კარი I

ჯაბრაილ ანგელოზი

1

„ხელმეორედ რომ დაიბადო, ჯერ უნდა მოკვდე, ჰო ჯი, ჰო ჯი!“ - ასე მიიმღეროდა ჯაბრაილ ფარიშტა, ზეციდან თავქვე დაქანებული. - „დედამიწაზე დასაშვებად, ჯერ მაღლა-მაღლა ფრენა მოგიწევს... ტაკ-ტაა! ტაკა-თუნ! ხელახლა როგორ გაიცინებ, თუკი არასდროს გიტირია? საყვარლის გულს როგორ მოიგებ, ერთი ოხვრაც თუ არ აღმოგხდა?! ასეა ბაბა, თუკი გსურს რომ ისევ გაჩნდე ამ ქვეყანაზე...“

ზამთრის სისხამ დილას, ზედ ახალი წლის განთიადზე, ორი ნაღდი, ზრდასრული, ცინცხალ-ცოცხალი ადამიანი, ლა-მანშის სრუტეს დამიზნებული, თავქვე მოფრინავდა 29.004 ფუტის სიმაღლიდან - ყოველგვარი პარაშუტების, ფრთებისა თუ სხვა რამ მანქანების გარეშე.

„...შენ გეუბნები, უნდა მოკვდე, მიიცვალო, გარდაიცვალო...“ - და მოთქვამდა ასე, მთვარის ათინათში გახვეული, ვიდრე საიდანღაც ხმამაღალმა შეძახილმა არ გაკვეთა ღამის წყვდიადი:

„ეშმაკსაც წაუღია შენი თავი, რა გაყროყინებს!“ - ხმა თითქოს ყინულის კრისტალებად იყრებოდა ამ თოში ღამის უკუნეთში, - „ფილმებში მხოლოდ პირს აღებდი ხოლმე, კადრსმიღმა სხვა გიმღეროდა და ახლა მაგასაც ჩემულობ? ეგ თასი მაინც ამაცილე.“

ჯაბრაილი, სმენაკნინი სოლისტი, მთვარის შუქში გახვეული, მანამდე რომ ამ თავის ახლადგამომცხვარ ღაზალს მოთქვამდა ჰაერში მხარულითა თუ ბაყაყურით, ანთუ ყოველზე-ყოვლად თავისუფა-

ლი სტილით მოცურავე, ხანაც რომ ერთიანად შეიკვროდა, ფრთებარწივიანი, ჰერალდიკურ პოზებს იჭერდა და ლევიტაციის ყოველი კანონისა დამთრგუნველი, ამ თითქმის უკიდეგანო რიბირაბოზე ლაგამამოუდებელი დაფარფატებდა - ახლა ამ დამცინავ ხმას ამოუტრიალდა, სვებედნიერი:

„ოჰე, სალათ-ბაბა, შენა ხარ? ძალიანაც კარგი. რაო ვითომ, რა მინდაო - შე მართლა ჩამიჩის ჩამჩავ შენა!“

ზვიადმა აჩრდილმა კიდე, ამის გამგონემ - თავდაღირებული რომ მოფრინავდა ღვინომუქ შარვალ-კოსტუმში გამოწკეპილი, ყელამდე ღილკილოშეკრული, გულხელდაკრეფილი და ბუზის ცხვირწინ არამფრენი - წამსვე განაწყენებული სახე დაკერა. „განახვნე თვალნი, ბებერო - ნაღდში რომ ლონდონ-ქალაქია, მე არ მოგიკვდე!“ - დაჰკივლა ჯაბრაილმა და კიდევ ერთი ყირა გაჭიმა საყრდენგარეშე. „ბჰაი! ეგერ, ქვევით, ეგ საბრალო ძუკნა ძაღლის გაგდებულები ვერც იაზრებენ რა ბედი ელით - დჰარრრაამმ! ჯახი და ეგრე?! უზურშიც არა აქვთ, რა იქნება ეს - ზეციური ქვათაცვენა, მეხი და მედგარი, ანთუ ღვთის რისხვა! აი, ამას ვეძახი მე მეხის დაკვრას მოწმენდილ ცაზე! ერთი დიდი ბრახანი და მორჩა - სცენაზე გამოსვლაც ამას ჰქვია, ღმერთს გეფიცები. „მოწმენდილ ცაზე: დიდი ბათქი და ვარსკვლავთცვენა. დაბადება, ჟამთასვლის საწყისის ერთი ციდა ექო... სამეფო ავიალაინერი „ბოსტან“, რეისი 420, ყოველგვარი რამ ნიშატის გარეშე ორად გაიპო - დიადი, ჩამპალი, პირსახიერი, ზიმზიმ-კრიალა, გაჩახჩახებული ქალაქის თავზე - გინდა მაჰარაბადი დაარქვი, გინდა ბაბილო, გინაც ალფავილი; ოღონდ ჯაბრაილმა ხომ უკვე დაანათლა სახელი და მეც რა ხელი მაქ, ემაგ საქმეში ჩავერიო: ლონდონ-ქალაქი, ვილაიეთის ჭიპი, ციმციმებდა და ზიმზიმებდა და გეპატიჟებოდა ქვევით, ბინდ-ბუნდში. და სწორედ მაშინ, როს ჰიმალაის გაწონილი, უძალო მზე ამოიწვერა იანვრის სუსხში, რადარის ეკრანზე სასიგნალო წერტილიც გაქრა; მაღლა, სულ

ზევით, თოში ჰაერი ადამიანთა სხეულებით გაიძეძგა, და ევერესტის სიმაღლიდან გარდამოსული ნამუსრევიღა შეერია ზღვის ზედაპირის რძისფერ სიმკრთალეს. ვინა ვარ? არის აქ კიდევ ვინმე? ორად გადასკდა თვითმფრინავი, კვერცხი გატყდა იდუმალი შიგთავსის გასამჟღავნებლად, პარკოსანთა ოჯახის წარმომადგენელივით მიმოაბნია სპორა; ხოლო მათგან ორი მოქმედი პირი - მოლაღური ჯაბრაილი და საყელოშეყრონჭილი, წარბშეყრილი ბ-ნი სალადინ ჩამჩა - გადამშრალი, ორად გადატეხილი ძველი სიგარიდან გადმოცვენილი თამბაქოს ნაფჩხვენებივით გადმოეყარნენ სივრცესა და დროში. მათს ზემოთ, ქვემოთ, უკან და გვერდით ბზრიალ-ტრიალით მოექანებოდა გადასაწევსაზურგიანი სავარძლები, სტერეოფონური ყურსასმენები, სასმელების ჩამოსატარებელი გორგოლაჭებიანი მაგიდა, რყევისსაწინააღმდეგო გამაწონასწორებლის ნამსხვრევები, ვიდეოთამაშებიანი კასეტები, მგზავრთა პიროვნების დამადასტურებელი ბარათები, წნული თაროები ხელბარგისათვის, მუყაოს ჭიქები, პლედები, ჟანგბადის ნიღბები... ასევე, რაკიღა მიგრანტების ნაკლებობა არ იგრძნობოდა და დინჯი, საქმიანი გამომეტყველების მქონე მოხელეების ყურადღებისაგან ქანცგაწყვეტილი ცოლების გარკვეული რაოდენობაც - ოფიციალური პირნი ხომ დიდ დაინტერესებას იჩენდნენ მათი ქმრების კუთვნილი გენიტალიების სიგრძე-სიდიდისა და „განსაკუთრებული ნიშნების“ გრაფაში მოსახვედრი ტყირპების ადგილმდებარეობის თაობაზე და ასევე, მათთა მონაგართა სახეზე მყოფობის საკითხიც ფრიად აღელვებდათ: ხომ ცნობილია, რაოდენ საფუძვლიანი ეჭვის საბაბს იძლევიან ისინი ბრიტანეთის ხელისუფლების თვალში - და ყველაფერი ეს და ყველა ესენი, ძრავის ნარჩენების ჩათვლით, იმგვარადვე დანაწევრებულ, იმგვარადვე აბსურდულ მატერიებში ალუფხულიყო, როგორიცაა, ვთქვათ, სულისა თუ დამსხვრეული იმედების ნარჩენები, მოგონებანი, გარსშემოცლილი თვითობა, შინაგანი „მე“, ორად გასერილი დედაენა, მყუდროებამორღვეული განმარტოება, უთარგმნელი ოხუნ-

ჯობანი, წართმეული მომავალი, დაკარგული სიყვარული, მჭექარე სიტყვათა ფიტულების მივიწყებული საზრისი - ენა, რჯული, დედასამშობლო!..

აფეთქებისაგან მცირეოდნავ ტვინგამოლაყებულნი, ჯაბრაილი და სალადინი მოფრინავდნენ თავქვე, როგორც რამ უგერგილო ყარყატის დაფჩენილი ნისკარტიდან გამომსხლტარი ორი-თეთრი ფუთა, და რაკიღა ბ-ნი ჩამჩა თავით მოდიოდა, როგორც რომ ახალშობილთათვისაა რჩევა გახსნილ ყელში გამოსაძრომად, გარკვეულწილ გაღიზიანებასაც კი გრძნობდა მეწყვილის მიერ საყოველთაოდ მიღებული წესით ვარდნას რომ უარყოფდა. ასე და ამგვარად, სალადინი ცხვირგაბზეკილი ეშვებოდა, ფარიშტა კიდე - ჰაერს ჩახვეული, ხელების ქნევით, იმ მსახიობსა ჰგავდა, თავის დაჭერის ტექნიკას რომ ვერ ფლობს და სახეზევე აწერია ღელვა-ვნებანი; ხოლო ღრუბლებსქვემოთ, მათი წყლისმიერი რეინკარნაციის მშვიდად მომლოდინე, ინგლისის სრუტის ნელი ტალღები მოგორავდნენ, მდორედ. „ხამლი მცმია ნიპონელის, შარვალი მაქ - ანგლოელის, ქუდი სუფთა რუსისა და... გული მრჩება ინდოელის!“ - ჯაბრაილ ფარიშტა ძველ სიმღერას ინგლისურ ყაიდაზე უქცევდა, ნიშნად მაინძელი ავტოქტონური ერის ზეწოლის მიმართ ქვეცნობიერი წინააღდგომისა, ხოლო ქულა-ღრუბლები, წვიმის ღრუბლებთან ერთად, უკვე მათკენ იბურცებოდა და იქნებ სწორედაც მათი შეყრის ბრალი თუ იყო ის თვალთმაქცობა, ეს ღრუბლები უზარმაზარ დაღირებულ უროსავით რომ მოჩანდა ალიონზე, ან იქნებ სულაც სიმღერის წყალობა იყო (ოღონდ გულით აკი ერთი მღეროდა მხოლოდ, მეორე ხომ ცხვირს იბზუებდა) ანდა აფეთქების ტალღისაგან მოწეული დელირიუმი - გონების ბნედვა, რამაც ამ ორს უცილობლობის გააზრების ნება არ მისცა... რაიც არ უნდა ყოფილიყო ამის მიზეზად, ჯაბრაილსალადინიცა და ფარიშტაჩამჩაც, ორივ ერთია და ერთია ორივე, ამ ანგელოზეშმაკეული, ვარდნადაუსრულებელი

ფრენის დასასრულს, აზრზეც არ იყვნენ, როდის და რა წამს იწყეს ამა ორთა ფერიცვალება. თუ გარდასახვა? დი-ი-ახ, სერ, ოღონდ არა შემთხვევითი, არა უნებლიე: ოდეს ყოფილა, ალჩუ-თოხანით კეთებულა საქმე. იქ, ზევით, ცისკიდურის ზემოთ, სულ ზემოთ, ცასა და სივრცეში, იმ შეუცნობ არეალში, რომელიც ამ საუკუნემ შექმნა და რომელმაც, თავის მხრივ, შექმნა ეს ხანა - ძრაობისა და ბრძოლის ალაგი, მნათობების შემკუმშავი და ვაკუუმისთვის ძალის მომცემი, კარმოფიათებული ზონა, ილუზორული, მეტაფორული - რაკიღა ზეცად, ანთუ მისკენ აღმავალ გზაზე ყველაფერი შესაძლებელი ხდება - ყოველ შემთხვევაში, შერეკილ მსახიობთათვის მაინც - სწორედ იმგვარი გარდასახვანი მოხდა, უფ. ლამარკს მთლად მალამოდ რომ დაედებოდა გულზე: მოგეხსენებათ, გარემო პირობების უშუალო ზემოქმედებით გამოწვეული ცვლილებები უკვე მახასიათებლის ნიშანს იძენსო - ამტკიცებდა.

ე. ი. ვინ რას იძენს? დაიცა, დაშუშდი; შენ რა, გგონია შესაქმე ასე სწრაფად აღსრულდება? და არც გამოცხადება ხდება წამებში, რო იცოდე... ერთი ამათ დამიხედე: განა რა უცნაურობას ამჩნევ? უბრალოდ, ორი შავტუხა მამაკაცი ეცემა დაბლა, გვარიანად. რაა ამაში უჩვეულო? ზედმიწევნით მაღლა აბობღდნენ, საკუთარ თავებს გადაახტნენ, ხატოვნად რომ ვთქვათ, მერე მზესაც სულ ახლო ჩაუფრინეს და... სულ ეგაა? არა - არც მთლად ეგრეა საქმე. ყური მიგდე: ჯაბრაილ ფარიშტას პირითგან აღმოთქმული პოპ-კიჩით გულგამეხებულ ბ-ნ სალადინ ჩამჩას აზრად მოუვიდა მაღალმხატვრული რამ ხელოვნებით დაეჩრდილა მისი თითლიბაზობა და მეწყვილის ყურს მალევე მიწვდა უდროოდ წასული ჯეიმზ თომსონის (1700-1748), შთაგონებულ სიტყვათა რიგი: „...ღვთიური ნებით...“ - სიცივისაგან ჩალურჯებულ-ჩატეტკილ ტუჩებს ძლივს იმორჩილებდა სალადინ ჩამჩა, მაგრამ მაინც გაჰკიოდა, თავგამეტებით - „ფირუზისფერ ტალღებიდამ ამოიზიდა...“ - აქეთ კიდე ფარიშტას არ ეთმობოდა და სულ უფრო უწევდა კრინს, ერთმანეთში აურია იაპონური წარმოე-

ბის ფეხსაცმელი, რუსული ქუდები და სუბკონტინენტურ გულთა ჰალალი ძგერა, გარნა მეტოქის გადამფარავი ეგ მაინც არ იყო: „...და ანგელო-ო-ზთა მთელი დასი უ-უ-მღერდა ნანას!..“ მოდით, სიმართლეს თვალი ვუსწოროთ: შანსი არ იყო, მაგათ ერთმანეთისა გაეგოთ რამე, აღარას ვამბობ ხმათა ღაღადით გაჯიბრებაზე; ცთომილისაკენ სიჩქარეაკრეფილთ, ატმოსფერულ შრეებში გავლისაგან მოწეული, სმენადამხშობი ხმების თანხლებით - იოტისოდენა შანსიც არ ქონდათ! ოღონდ მოახერხეს კია, და... დაღმა-დაღმა მიჯლიგინობდნენ, ზამთრის თოში წამწამების ძირებს უსუსხავდათ და ყინვაც გულისგულამდე უწევდათ - ლამის იყო, ამდღიური ძილ-ღვიძილიდან წამოეგდო ორივე; ლამის იყო, ერწმუნათ კიდეც საკუთარი ვოკალიზების ჯადო, კიდურებისა და სხეულთა ნაფლეთების წვიმაში მოხვედრილებს, და ბედისწერის, ქვემოდან რომ მიექანებოდა მათკენ, და ჩაასკდნენ, წამში გაილუმპნენ და თრთვილი მოედოთ ღრუბელთა ნულოვანგრადუსიან დუღილში.

გრძელ, შვეულ გვირაბში აღმოჩნდნენ თითქოს; მოქუშტული, წელგამართული და ჯერაც თავდაყირა მყოფი ჩამჩა ხედავდა, როგორ უახლოვდებოდა მეწამულ პერანგში გამოწყობილი ჯაბრაილ ფარიშტა, ღრუბლების კედლით შემოჯარულ ამ გვირაბის ყელში მოცურავდა, და ერთი სული ჰქონდა ეყვირა: „შემეშვი, მომწყდი თავიდან!“ ოღონდაც რაღაცამ არ დაანება - ჯიგარში ისეთი წვა იგრძნო, უნებურად ხელები გაშალა და ფარიშტაც ჩაეხვია, თავით - ფეხებისკენ, შეჯახების ძალამ კი ისე დაატრიალა ორთავე, როგორც რომ ორი ძმა-აკრობატი და საოცრებათა ქვეყანაში გამავალ გვირაბს გააყოლა. ამ რძესავით ჩასქელებული სითეთრიდან გამოვარდნილები კი უკვე იმ ქულა-ღრუბლებში მოხვდნენ, თანაბრად და თანმიმდევრულად რომ იცვლიდნენ სახეს: ღმერთები ხარებად იქცეოდნენ, ქალები - ობობებად, მამაკაცები - მგლებად. ეს რაღაც ნაჯვარი ღრუბლოვანი არსებები

გარშემო ირეოდნენ - ადამიანისმკერდიანი უზარმაზარი ყვავილები, ფრთოსანი კატები, ცხენკაცები, და სანახევროდ გონმიხდილ ჩამჩასაც უკვე ეჩვენებოდა, თითქოს მასაც ღრუბლოვანების ეს თვისება გადასდებოდა, მეტამორფოზული ანთუ გარდამსახავი, ჰიბრიდული ანთუ შეჯვარებადი ხასიათისა, და ახლა სწორედ იმას შეერწყმოდა, ვისი თავიც ფეხებშორისიდან ამოსდიოდა, ხოლო ფეხები მისსავე წაგრძელებულ, დიახაც რომ დიდგვაროვნად კეთილშობილ კისერს ჰქონდა შემოჭდობილი.

ოღონდაც ამა პიროვნებას ახლა ამისთანა „მაღალი შტილის“ განსჯა-გააზრებებისათვის არა სცხელოდა; სიმართლე ითქვას, საერთოდ არც არანაირი ტვინისჭყლეტისთვის, რაკიღა სწორედ ამ დროს, ღრუბლის ბოლქვიდან ოქრომკედით ნაქარგ დიბა-ატლასში გამოხვეული, ცხვირში ბრილიანტის ქვაგარჭობილი, შუახნის, ფრიადად მომხიბლავი ქალის სხეული გამოიკვეთა, რომელსაც თმა ლაქით ჰქონდა დაფარული - სხვანაირად მისი მაღლა-მაღლა აკრეფილი თმა ვერაფრით გაუძლებდა ასეთ სიმაღლეზე ქარის ამგვარ მობერვას, რადგან თავად მორჭმით მჯდარიყო მფრინავ ხალიჩაზე.

„რექჰა ფარდაგოსანო,“ - მიესალმა ჯაბრაილი. - „რა ხდება შენს თავს, ზეციური კარიბჭის გზა აგრევია თუ როგორაა შენი საქმე?“

ღმერთმანი, მეტად გულქვა სიტყვები იყო გარდაცვლილი ბანოვანის მიმართ! ან იქნებადა ჰაერში მისი ეს მალაყები გამომდგარიყო შემამსუბუქებელ გარემოებად... ჩამჩამ კიდე, რომელიც მის ფეხებს კიბოსავით ჩაფრენოდა, მთლად გაუგებარი შეკითხვა დაუსვა: „ახლა მაინც რა ეშმაკი შეგიჩნდა?“

„რაო, მთლად დაგეფსო თვალი?“ - იყვირა ჯაბრაილმა. - „ვეღარც ამ ბუხარულ ფარდაგს არჩევ?!“

არა ჯაბი, არა, - ჩაესმა ქალის ჩურჩული, - ნუკი ელი რომ ისიც დამინახავს: მხოლოდ შენ ერთს... ან იქნებ უკვე ჭკუასაც გადადიხარ, ბრიყვუნი? შე ღორის ქაქო შენა, ჩემო ერთო... სიკვდილს გუ-

ლახდილობა სდევს, გულოვ გულისა, და ახლა შენი ნამდვილი სახელებით უნდა მოგმართო.

კიდევ ბევრ ასეთ მწარე-მწარეს უჩურჩულებდა, ნაზად; ოღონდაც ჯაბრაილმა ისევ გასძახა ჩამჩას: „ბოლო-ბოლო, ხედავ თუ ვერა?“

გარნა სალადინ ჩამჩას არც არაფერი ეყურებოდა, ვერც ვერაფერს ხედვიდა და სიტყვასაც არ ეტყოდა არავის. ჯაბრაილი ეულად შერჩა ქალს: „არა, ეგრე არ უნდა გექნა,“ - უთხრა. - „დიდი ცოდვაა. ამისთანა რამე...“

ოჰო, ახლა დამუნათებასაც დამიწყებ? - ჩაეცინა. - რომელი მაღალი ზნეობით დამუხტული გვამი შენა მყევხარ? აკი თავად მიმატოვე... - ხმა მისი ზედ ყურთან ჩაესმოდა, თითქოსდა საცაა, ბიბილოზე მიადებს ტუჩებსო. - ეს ხომ შენ მიეფარე ღრუბლებს, მთვარევ ჩემთა სიამეთა... და უკუნში ჩამაგდე, თვალისჩინდაკარგული, უსიყვარულოდ.

შეეშინდასავით: „რა გინდა ჩემგან?! არა, არა თქვა - უბრალოდ, მომშორდი!“

ავად რომ იყავი, მოსანახულებლადაც კი ვერ მოვდიოდი - საშარო ამბავი იქნებოდა, ვინმეს რომ გაეგო; შორს მეჭირა შენგან თავი, ისევ შენსავე გამოისობით, სწორედ ამით ისარგებლე და მიმატოვე, ვითომ დამსაჯე, სინამდვილეში კი უბრალოდ, ეს ამბავი ღრუბლად აიფარე მისამალად. აი, ამაშია საქმე, და კიდევ - იმ გულქვა ქალში, შე ნაბიჭვარო შენა... ახლა კიდე, როცა უკვე მკვდარი ვარ, აღარც შენდობის უნარი გამაჩნია. წყეულიმც იყავ ჯაბრაილ, და ცხოვრებაც სატანჯველად გექცეს, იმ ჯოჯოხეთად, საცა შენვე გამისტუმრე! და თავადაც ხომ იქიდან ხარ, იქვე მიბრუნდები, შე ეშმას ნაშიერო, და გზაც იქით გქონია!

ლოცვას კიდე ლექსები მოჰყვა, თანხმოვნებითა და შიშინა ბგერებით გაჯერებულ რაღაც გაუგებარ ენაზე და ასე მოესმა, ან

სულაც მოეჩვენა რომ ეს ერთი სიტყვა მაინც გაიგონა, ზედიზედ გამეორებული - ალ-ლათ.

ჯაბრაილი ახლა მთლად ბოლომდე ჩაეჭიდა ჩამჩას და ერთად გაარღვიეს ღრუბლების ფსკერი.

სიჩქარე, სიჩქარის შეგრძნება დაუბრუნდათ ამაზრზენი სტვენით. ღრუბლების ჭერი აიხადა, წყლის იატაკი გაფართოვდა და თვალიც აეხილათ. კივილი აღმოხდა ჩამჩას - მზის სხივმა გაუპო ბაგეტუჩი და ხმა გამოუთავისუფლა. ოღონდაც მათ ხომ უკვე განვლეს ღრუბელთა გარდასახვების გროვა, და ამიტომაც ნათლის ისარმა არა მხოლოდ უსაგნო ყვირილი ამოაშვებინა ხორხიდან:

„გაფრინდი!“ - უბღავლა ჯაბრაილს. - „გაფრინდი-მეთქი, ახლავე!“ - ამა ბრძანებას კი ზედ მეორეც დაუსართა, ასევე სრულიად აზრმოკლებული: „...და იმღერე!“

რამე რომ იყოს, როგორ ჩნდება ქვეყნად რამე ახალი? ანთუ - როგორ იბადება?

განა რა შენარევების, შენაერთებისა და დუღაბებისაგან მზადდება?

როგორ არსებობს, საკუთარი თავისათვისვე უკიდურესად სახიფათო? და რა გარიგებებზე, დათმობებსა თუ ღალატზე უნდა წავიდეს საკუთარი იდუმალი არსის მიმართ, რათა დამსჯელ ბრიგადას, მოსწყვედნის ანგელოზსა თუ გილიოტინას გადაურჩეს?

განა შობა მუდამ დაცემას ნიშნავს?

განა ანგელოზთ ფრთები ასხიათ? ან ჯერ რომელ ადამის შვილს მომადლებია ფრენის უნარი?

როს ბ-ნი სალადინ ჩამჩა ლა-მანშის სრუტის თავზე ღრუბლებიდან გამოვარდა, იმისთანა ძალით მოეწურა გული, წამში მიხვდა - არა, აქ და ახლა სიკვდილი არ მიწერიაო. შემდგომ, როცა უკვე მყარად იდგება ფეხზე, ამ თავის მიხვედრილობაში ეჭვს შეიტანს და ამგვარ გაუგებრობასაც საკუთარი აღქმის აფეთქებისაგან გამოწვეულ აბერაციას გადააბრალებს, ხოლო მისი და ჯაბრაილის სასწაულებ-

რივ გადარჩენას - ბრმა შემთხვევითობას მიაწერს. ოღონდ იმ წამს არავითარი იჭვი არ ღრღნიდა: მხოლოდღა სიცოცხლის იმ-გვარ გაუნელებელ, დაუძლეველ, მწვავე წყურვილს შეეპყრო, რომელიც ეუბნებოდა: არაფერი საქმე ამ შენს საწყალობელ, ნა-ხევრად მანჭვა-გრეხისაგან და რაღაც ხმებისაგან გამოძერწილ პიროვნებასთან მე არა მაქვს, ეგ სულ ქინძზე მკიდიაო და ისიც მინებდა - თითქოს იმის გარეშე მაყურებლად იქცა, რაც მისსავე გონებასა თუ მისსავე სხეულში ხდებოდა, რადგან ცვლილება სწორედაც რომ სხეულის შუაწელიდან მოსდიოდა და გარეთ იწევდა, სისხლს რკინად უქცევდა, ხორცს კიდე - ფოლადად; თუმც თან ისეთი შეგრძნებაც დასდევდა, რომ მუშტში მოემ-წყვდიათ თითქოს, გაუსაძლისად მკვრივსა და იმავდროულად, აუტანლად ნაზში, და ძალა ესე უკვე მის პირ-ტუჩსა თუ თითებსაც კი დაეპატრონა, და როგორც კი ფესვი მყარად გაიდგა ხორცში, წამსვე ჯაბრაილ ფარიშტას გათოშილ კაკლებსაც გადასწვდა.

„გაფრინდი!“ - უბრძანა. - „იმღერე!“

ჩამჩა ხელს არ უშვებდა ჯაბრაილს, ეს უკანასკნელი კიდე, ჯერ ნელი-ნელ, გაუბედავად, მერე კი სულ უფრო სწრაფად და მძლავრად იქნევდა მკლავებს, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული, და ყოველ მოქნევაზე აღმოთქვამდა იმ სიმღე-რის სიტყვებს, რომელიც რექჰა ფარდაგოსნის მღერასავით იდუ-მალ ენაზე იმღერებოდა, იმ ჰანგზე, რომელიც აქამომდე სრული-ად უცნობი იყო მისთვის. მეწყვილისაგან განსხვავებით, რომე-ლიც რომ რაციონალური, გონებისმიერი ახსნა-განმარტებებით ცდილობდა სასწაულის დაკნინებას, მას იოტისოდენა ეჭვიც კი არ ოდეს შეუტანია რომ ზემოხსენებული ღაზალი ციური ძალის გამოვლინება გახლდათ და რომ ამ სიმღერის გარეშე ცარიელი ხელების ქნევა არც არაფერს მოიტანდა, ხოლო მოძრაობები ესე კი პირველმიზეზი გახლდათ იმისა, თავქვე რომ არ დაასკდნენ ტალღებს, ნაწილ-ნაწილ რომ არ დაიფანტნენ, ზღვის დოლივით

მოჭიმულ ზედაპირს დახეთქებულები. ამ საშინელების მაგივრად, ახლა ნარნარად დაშვება იწყეს და რაც უფრო თავგამოდებით იქნევდა ხელებს ჯაბრაილი, რაც უფრო ხმამაღლა მოიმღეროდა, რაც უფრო მეტად ლითონნარევი ხმით, მით უფრო ნარნარად ეშვებოდნენ, სანამ მთლად ნიავს აყოლილი ქაღალდის ფურცელივით არ გასრიალდნენ წყლის ზედაპირზე.

მხოლოდ ეს ორნი გადაურჩნენ აფეთქებას და ტალღებმა სანაპიროზე გამორიყა ორთავე. იქ იპოვეს. ერთი მათგანი - წითელპერანგა და გვარიანი მოლაყბე - ყველაწმინდას იფიცებოდა: წყალზე ვითარცა ხმელზე, ისე ვიდოდითო; ტალღები უბრალოდ, ნაპირისკენ მოგვერეკებოდაო. მეორე კიდე - რომელსაც მისი მთლად გალუმპული, წოწოლა ქუდი-ცილინდრი რაღაცა მანქანებით ისევ შემორჩენოდა თავზე, უარს იყო:

„ბედმა გაგვიღიმა!“ - გაიძახოდა. - „წარმოუდგენლად გაგვიმართლა, ეგაა და ეგ... მთლად ბეწვზე ვართ გადარჩენილები!“

ჯერჯერობით, ყველგანმყოფობასა და ყოვლადძლიერებას არ ვიჩემებ, თუმც არც უმაგისობაა... იმას კი გეტყვით, რომ მე ვიცი სიმართლე, მე ვადევნებდი თვალს ამ ყველაფერს. ამდენი მაინც შემიძლია. ჩამჩამ ინება, და ფარიშტამ მისი ნებაღა აღასრულა მხოლოდ.

მაშ, ვინღა იყო სასწაულთმქნელი?

და რა საწყისისა გახლდათ - ანგელოსური თუ ეშმაკეული - ფარიშტას სიმღერა?

და მე ვინღა ვარ?

ჯობს ის იკითხოთ - ვისი ჰანგებია უმჯობესი?

აი ეს გახლდათ ჯაბრაილ ფარიშტას ის პირველი სიტყვები, რომლებიც რომ ალბიონის თეთრად მოქათქათე სანაპიროზე წართქვა, ყურსუკან ზღვის ვარსკვლავგაჩხერილმა: „ხელახლა ვიშვით, ჩამჩის ტარო, შენცა და მეცა! და რა კარგი დღეა, რა ნათელი დღეა, იმიტომ რომ ჩვენი დაბადების დღეა!“

ამაზე სალადინ ჩამჩამ წამოახველა, გადმოაფურთხა, თვალები გაახილა და როგორაც ახალშობილს შეეფერება, აღნავლდა.

2

რეინკარნაცია მუდამ ფრიად მნიშვნელოვანი თემა გახლდათ ჯაბრაილისთვის, ვინაც ინდური კინემატოგრაფიის უდიდეს ვარსკვლავად მიიჩნეოდა მთელი თხუთმეტი წლის მანძილზე - ჯერ კიდევ მანამდე, სანამ იმ უჩინარ ავადობას სძლევდა, რომელიც, როგორც ეგონათ, ყველა მის კონტრაქტს ერთბაშად მოუთავებდა ხელს. არა, ვიღაცას მაინც ხომ უნდა ეწინასწარმეტყველებინა და ვერ კი მოახერხა, რომ ვერავითარი მიკრობები მას ვერა სძლევდა, კვლავაც ფეხზე დადგებოდა, საკუთარი ორმოცი წლის თავზე, ფუჰ! - მთელ თავის ძველ ცხოვრებას ერთ დიდ მსხვილ ხაზს გადაუსვამდა და თითლიბაზივით გაქრებოდა სისხამი დილის კამკამა ჰაერში. პირველნი, ვინაც მისი არყოფნა შეამჩნია, კინოსტუდიის მიერ დაქირავებული ოთხი ჯანიანი თანამშრომელი გახლდათ, რომელთაც ერთადერთი რამ ევალათ - ჯაბრაილი საგორავებელი სავარძლით ეტარებინათ აქეთ-იქით, დ. ვ. რამასა და კო. გადასაღები სტუდიის უ-უზარმაზარ ტერიტორიაზე. ჯერ კიდევ დაავადებამდე, მან წესად დაიდო მხოლოდ ნარჩევი, ფეხმარდი ბიჭების ხელით გადაადგილებულიყო, რაკიღა ერთდროულად 10-12 ფილმში გადასაღებად, ძალის დაზოგვას საჭიროებდა. ბავშვობაში, სახელდაგდებულ ბომბეელ საჭმლის დამტარებელთაგან (ამათზე მოგვიანებით გვექნება საუბარი) ათვისებული ნიშნების - წერტილების, ტირეებისა და წრეების ძალზერთული კოდის მეშვეობით, ისე გამოჯეკა ეს თავისი სა-

ვარძელთმტვირთველები, მუდამ დროულად და უშეცდომოდ ჩნდებოდა საჭირო დროს და საჭირო ალაგას - სწორედ ისე, როგორაც ერთ დროს მამამისი ჩამოარიგებდა ხოლმე დაკვეთილ სადილებს. ყოველი დასრულებული დუბლის მერე კი ჯაბრაილი ისევ ჩაესვენებოდა სავარძელში, ახლა უკვე სხვა ფილმის გადასაღებ მოედანზე მიიჩქაროდა, სადაც ციმციმ გადააცმევდნენ შესაფერის სამოსს, გრიმსაც დაადებდნენ და მისი როლისათვის განკუთვნილ ტექსტსაც წინ დაუდებდნენ. „ბოლივუდში კარიერის კეთება“, - ხშირად უთქვამს ამ თავისი საჯინიბოსთვის, - „საგორავებელი სავარძლებით რბოლას გავს, ერთი-ორი უცილობელი ჯიბით ტრასის გასწვრივ“.

მძიმე ავადობის მერე - უჩინარი ბაცილა დაარქვი, იდუმალი სახადი თუ სხვა რამ - თავს ცოტა კოჭი გაუგორა და ახლა მხოლოდ შვიდ ფილმში იღებდნენ ერთდროულად. და აი, სწორედ ამ დროს, იყო და არა იყო რა, კაცი გაქრა! სავარძელი ცარიელი იდგა მიყუჩებულ ჩამწერ სტუდიაში; მისი პატრონის არყოფნა კი თითქოს ხაზს უსვამდა დეკორაციების სიყალბეს. სავარძელთმტვირთველები, ოთხივე ერთხმად იმართლებდა თავს უფროსების წინაშე და ამტკიცებდა - უთუოდ ძაან-ძაან ავად თუა, ბაბუჯი, თორემ მაგის პუნქტუალობა განთქმულია მთელს ბომბეისა და შემოგარენშიც... არა, რატომ ასე უხეშად, მაჰარაჯი - დიდ ხელოვანთ ყველას ერთიანად თავიანთი პატარ-პატარა უცნაურობები სჭირთ... და სწორედ ამგვარი ენათშებრუნებისათვის დაითხოვეს ოთხთავე, presto და ekdumjaldi, და ამიტომაც საგორავებელი სავარძელი ეულად იმტვერებოდა ქოქოსის შეღებილ პალმებქვეშ, ნახერხის პლიაჟების ფონზე.

და ჯაბრაილი რაღა იქნა? შვიდგზის საყრდენგამოცლილი რეჟისორები გვარიანად დაფეთდნენ, პროდიუსერებმა კი საკუთარი ანგარიშები გაყინეს ბანკებში. აგერ: უილინგთონ-კლაბის საგოლფე მდელოებზე, სადაც ახლა მხოლოდ ცხრა ლუზაღაა დარჩენილი - იმ სხვა ცხრა ცალიდან კიდე, ვეება სარეველებივით თუ საფლავის ქვებივით ამოზრდილიყვნენ ცათამბჯენები, თითქოსდა ძველი ქალაქის

დაფლეთილი, მიწას მიბარებული ცხედრის ადგილსამყოფელის აღსანიშნავად - სწორედ აქ აცუდებენ ახლა საუკეთესო მოქნევებს მაღალჩინოსნები, ხოლო თავად კლუბის ასევე მაღალ-მაღალი ფანჯრებიდან შემოდგომის ფოთლებივით ცვივა წამყვან ექსპერტ-სპეციალისტთა თავებიდან ამოგლეჯილი თმები... კინოსაქმეში დიდი ფულის ჩამდებთა ღელვა-ნერვიულობაც ხომ გასაგებია: აუდიტორიის რაოდენობრივად დაცემის, საპნის ოპერების ზეობისა და სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემათა დასაცავად ამხედრებულ დიასახლისთა ჯვაროსნული ლაშქრობების ამ ხანაში, თავსართებში ანთუ სულაც თავად ფილმის სახელწოდების ზემოთ გამოსატანად ერთადერთი სახელიღა რჩებოდა, რომელიც რომ გარანტად ედგა ნებისმიერი კინონაწარმის წარმატება-შემოსავალს, ახლა კი ამ ერთადერთი სახელის მატარებელი პირი სადღაც გამქრალიყო, აორთქლილიყო, მომტყდარიყო!

ამ მეტი რომ არა ვთქვათ, უცნაური საქციელის გამოისობითა და ტელეფონებით, მოტოციკლებით, პოლიციის ქვეგანაყოფებით, მყვინთავების საშუალებით ძებნისა თუ ტრეილერებით ყურის ფსკერის ყოვლად უშედეგოდ გაფარცხვის მერე, ხალხში ამ უდროოდ ჩამქრალი ვარსკვლავის თაობაზეც ალაპარაკდნენ. „რამა სტუდიოს“ შვიდ აწ უკვე დაფინანსებაშეწყვეტილ ფილმთაგან ერთ-ერთის გადასაღებ მოედანზე, ცხარე-ცხარე ჟანრთა ახალთახალი შუშხა-საკმაზი, ქ-ნი წიწკვა ბილიმორიამ (ეს თქვენ რომელიღაც ადგილობრივი სერიალის ბიბი-ხანუმა არ გეგონოთ, ცეცხლია და ყინული), ტაძრის ნახევრადშიშველ, ოღონდ კი ჩადრჩამოფარებულ მოცეკვავე ქალად დაზმანული, ჩანდელთა დინასტიის ხანის ერთმანეთში გადახლართული ფიგურების დეკორაციებს მიყრდნობილი, სრულიად დარწმუნებული რომ მისი მთავარი გამოსასვლელი სცენა ჩაიშალა და სახელოვნების კიბეზე მისი აღმასვლაც ახლა უსახელოდ შეწყდა, თავჩაქინ-

დრულ, ურვით შეპყრობილ თავის აიას მხარს დაეყრდნო და ხმის ოპერატორებისა თუ გამნათებლების გარსშემოხვეულ, წეკოს მფუტებელ ჯგუფს ამგვარი გამოსათხოვარი სიტყვით მიმართა, ამრეზილად: „ღმერთო დიდებულო! აკი სასიყვარულო სცენის გადაღებას ვაპირებდით და წმ. პეტრეს კლიტეებსა ვფიცავ, გული მეწურებოდა იმაზე ფიქრში, ემაგ ტუჩებდასიებულსა და ტარაკანების ქაქით აქოთებულ პირს როგორ უნდა დავეკონო-მეთქი!“ - კოჭებზე წამოცმულმა ზანზალაკებიანმა სამაჯურებმა ჯავრიანად გაიწკარუნეს, ფეხი რომ დაკრა და გაწიწმატებულმა დაამატა: „ბედი ჰქონია, ეს მისი დამპალი ფილმიც მასსავით რომ არ ქოთს, თორემ ხომ კეთროვანივით კინწისკვრით გამოაგდებდნენ რა გინდა რა სხვა სამუშაოდან!“ აქ მისი მონოლოგი იმისთანა ბილწსიტყვაობაში გადაიზარდა, წეკოს მოყვარულებს მუხლები მოეკვეთათ, იქვე ჩასხდნენ და ახლა იმაზე გააბეს დავა-კამათი, ქ-ნ წიწკვა ბილიმორიას არანორმატიული ლექსიკა უფრო მაღლა იდგა აზრის გამოხატვის სიმძაფრის მხრივ თუ ყაჩაღთა სახელგანთქმული თავის, დედოფლად ნაკურთხი ფჰალან დევისა, რომლის აღმოთქმული ფიციც შაშხანების ლულებს გრეხდა თურმე და ჟურნალისტთა კალმისტრებს კიდე ერთიანად ადენდა მელანს...

აქვითინებულ ქ-ნ წიწკვა ბილიმორიას გამოსვლა მთლიანად დაჩეხეს, რაღა თქმა უნდა, და მისი მკერდიდან ჩამოფანტული რიოში ბრილიანტებიც ცრემლებად მიმოიფანტნენ სამონტაჟო ოთახის იატაკზე. აი, რაც შეეხება ფარიშტას ჰალიტოზს, აქ ის არცთუ მთლად ტყუოდა, პირიქით - ვგონებ დაამცრო კიდეც, რადგან ჯაბრაილის პირიდან ამოსული, გოგირდის სუნნარევი და კირის ოხშივრით გაჯერებული სუნთქვა - ქვრივისა და ყორნისფერი თმის მატარებელი კაცის სახელთან შეწყვილებული - მას უფრო სატურნალიურ, ვინემ ანგელოსურ აურას უქმნიდა. მისი გაქრობისმერე მავანნი იმასაც კი ამბობდნენ, მაგის პოვნა რა გახდა, ერთი კარგი ყნოსვის მქონე ვინმე და მორჩაო... არადა, სულ რაღაც ერთი კვირის თავზე, ქ-ნ წიწკვას

კარის გაჯახუნებაზე შეუდარებლად უფრო ტრაგიკულმა ამ განსვლამ მის ტკბილმოუბარ სახელსაც შეაპარა ეშმაკეული ნელსურნელება - ასე ვთქვათ, ეკრანიდან ცხოვრებაში გადაინაცვლა, სადაც - კინემატოგრაფისაგან განსხვავებით - ყველა კარგად გრძნობს, თუკი მართლა ყარხარ.

ჰაერის შვილნი, ჰაერშივე გარდასახულ ოცნების ღრუბლებს ვეთამაშებით... კარგად მეყოლეთ.

პოლიციის გამომძიებლის მიერ ამა, სავსებით შეიძლება ითქვას, იდუმალებით მოცული შინაარსის მქონე უსტარის ჯაბრაილ ფარიშტას პენტჰაუზში პოვნამ, მალაბარ-ჰილის უბანში, დაკიდულ ბაღებსა და ჯაინთა სალოცავს შორის ამოწვერილი „ევერესტ-ვილას“ ცათამბჯენის ბოლო სართულზე, ანუ - ქალაქის ყველაზე შემაღლებულ ალაგას წამომართული, ყველაზე მაღალი შენობის უმაღლეს საცხოვრისში, ორმხრივი ხედით, საიდანაც რომ ერთის მხრივ, მარინ-დრაივის ღამეული ყელსაბამი ბრწყინავდა, მეორის მხრიდან კი სქენდელ-პოინტის სანაპირო ზოლი იკლაკნებოდა, უბიძგა კიდეც გაზეთებს ამგვარი სათაურებით აეჭრელებინათ საკუთარი გამოცემები: ზეციდან - მიწისქვეშეთში! ან კიდევ ასეთით: ფარიშტა გალიიდან გამოფრინდა! გაზეთები იმ ფოტოებითაც გაივსო, სადაც რეზა ფეჰლევის ნარჩევი, პერსეპოლისის მაღლობზე ბედუინთა გოლიათური ტალავარის წამომჭიმავი, მილიონდოლარიანი პროექტის განმახორციელებელი ფრანგი დიზაინერ-გამფორმებლების მიერ ხელდასხმული ეს რეზიდენცია ისახებოდა ათასერთი რაკურსით - ჯაბრაილის მოულოდნელი გაუჩინარებით გამოწვეული კიდევ ერთი ილუზიის ქრობა; ჯ. ფ. - კარგად მეყოლეთ! - გაჰყვიროდნენ ყოველდღიური მაცნეები, ოღონდაც - საით? ზემოთ, ქვემოთ თუ სულაც - განზე? კაციშვილი არ იყო ამაზე პასუხის გამცემი. სიტყვა-ჩურჩულის ამ სატახტო ქალაქში ყველაზე მახვილი სმენის პატრონნიც კი ვერაფერს იგებდნენ სარწმუნოს. მხოლოდღა რექჰა ფარ-

დაგოსანმა, რომელიც რომ გაზეთებში სტატიას არ ტოვებდა წაუკითხავს, რადიო ოცდაოთხსაათიან რეჟიმში ქონდა ჩართული და დურდარშან-TV-ს თავგადაკლული პატივისმცემელი გახლდათ, მხოლოდ მან ჰკიდა თვალი რაღაცას ფარიშტას უსტარში, რაღაცა ისეთს, რაც ვერა უცხო თვალმა ვერ შეამჩნია, ხელი ჩაავლო თავის ბიჭსა და ორ ქალიშვილს და საკუთარი მრავალსართულიანი სახლის სახურავზე გამოვიდა. ამ სახლსაც სწორედ „ევერესტ-ვილა“ ერქვა. მისი მეზობელი, კარის მეზობელი, შეიძლება ითქვას; ბოლოსდაბოლოს, ზედ ჯაბრაილის ბინის ქვემოთ ცხოვრობდა - მეზობელი და მეგობარი. მეტი რაღა გითხრათ? რაღა თქმა უნდა, სკანდალურ ამბებზე დაგეშილი ჟურნალ-გაზეთები ამისთანა შანსს როგორ გაუშვებდნენ ხელიდან და თავიანთი ყვითელი გვერდებიც გამოავსეს ათასნაირი ინსინუაციებითა და მინიშნებებით, მაგრამ განა ეს რა მისაბაძი მაგალითია ჩვენთვის? ახლა მისი სახელის შელახვა ნამდვილად არას გვარგებს, მერწმუნეთ.

როგორი იყოო? მდიდარი, რაღა თქმა უნდა - აბა „ევერესტ-ვილა“ თქვენ კურლა-ქალაქის გარეუბნები ხომ არა გგონიათ? გათხოვილი გახლდათ, სრული ცამეტი წელი მდიდარი კომერსანტის მეუღლედ იწოდებოდა. დამოუკიდებელი რომ იყო, ესეც ნაღდია - მისი ფარდაგებისა და სხვა ანტიკვარების გამოფენა-გაყიდვები უამრავ ხალხს იზიდავდა კოლაბას უბანში, ეს კი უბრალო ამბავი არ გეგონოთ, ვისაც გინდათ დაეკითხეთ. თავის საქონელსაც ანტიკვარიატს კი არა, არტეფაქტებს უწოდებდა ჯიუტად. და კიდევ: ლამაზი იყო, თვალშისაცემად ლამაზი - აი, იმგვარი უხეში, გახამებული სილამაზით, ცათამბჯენების ბოლო სართულებზე მცხოვრებთ რომ ახასიათებთ: მისი კანისფერი, ტანის წყობა და მიხვრა-მოხვრა მოწმობდა თუ რა დიდი ხნის წინ განშორებოდა დაშაშხულ, გამოფიტულ, მკვდრადმშობიარე მიწას. ყველა დაგიდასტურებთ, მაგარი ქალი იყოო - მხოლოდ ლალიკის ნახელავი ბროლის ჭიქიდან გეახლებოდათ ხოლმე სასმელს; ვითომც აქ არაფერიო, დაუდევრად ჩამოგი-

კიდებდათ თავის ფართოფარფლიან ქუდს ჩოლა-ნატარაჯაზე, იცოდა რაც სურდა და ისიც იცოდა, როგორ მიეღწია საწადელისთვის და თან - რაც შეიძლებოდა სწრაფად. მისი ქმარი ერთი უბრალო თაგუნა იყო მის ხელში, ფულიანი და სკუოშის კარგი მოთამაშე. რექჰამ ჯაბრაილის გამოსათხოვარი წერილი გადაიკითხა გაზეთში, საკუთარიც დაწერა, ბავშვები მოხიკა, ლიფტი გამოიძახა ზეცისაკენ თუნდაც ერთი სართულით უფრო მისაახლოებლად, და მერე თავად ირჩია საკუთარი ბედი.

„დიდი, დიდი ხნის წინათ," - ეწერა მის წერილში. - „მშიშარა ვიყავი და იმიტომაც გავთხოვდი. ახლა მაინც მოვიქცევი უშიშრად". ლოგინზე გაზეთი დატოვა, მასში დაბეჭდილი ჯაბრაილის უცნაური მომართვისთვის წითელი ფანქარი შემოევლო და სამგზის მკვეთრად გაეხაზა - ერთ-ერთ განახაზს ქაღალდიც კი გაეხია და მომდევნო გვერდზეც გასულიყო. გასაგებია, ყვითელი პრესა ამა ამბავს აბა როგორ გაუშვებდა ხელიდან და ატყდა ავყიაობის დოღი: ზეციდან მოსროლილი საყვარელი... ლამაზი ქალი, ძირს გდია მკვდარი...

მაგრამ:

ვინძლო მასაც ახლადდაბადების ჭია შეჩენოდა და ჯაბრაილ ფარიშტამაც, მეტაფორის დამზაფრავი ძალის ყოვლად გაუაზრებლად, სწორედაც ფრენა ურჩია... ხელმეორედ რომ დაიბადო, ჯერ უნდა მოკვდე! დედამიწაზე დასაშვებად, მაღლა-მაღლა ფრენა მოგიწევს... ის კიდე ზეციური არსება გახლდათ, შამპანურს ლალიკის ბროლიდან სვამდა, ევერესტზე ცხოვრობდა და თუკი ერთი ვინმე მისი მეგობარი-ოლიმპიელი ზეცად აფრინდა, მასაც ხომ შეეძლო იგივე - ანუ, მთლად ზმანებებში გადასულიყო?

ვერა, ვერა ქნა. „ევერესტ-ვილაში" იმ დღეს მორიგე კარისკაცმა ყოვლად ბრიყვული ჩვენება მისცა საქვეყნოდ: „აქეთ-იქით მიმოვდიოდი ჭიშკართან და უცებ, ყრუ ჯახის ხმა გავიგონე; შევტრიალდი და რას ვხედავ, გოგონას სხეული გდია ძირს... თავის

ქალა მთლად შუაზე ქონდა გადამსკდარი. ზევით ავიხედე და ახლა ბიჭის სხეული მოქროდა ჰაერში, მაღლიდან... მერე - ისევ გოგონასი, უკვე - უმცროსის. ლამის მე დამეცნენ თავზე. პირზე ვიტაცე ხელი, მივუახლოვდი და რომელიღაცის კვნესაც გავიგონე. მერე ისევ ავწიე თავი, ახლა ის მოფრინავდა... სარის კალთები ბუშტივით გაბერვოდა და თმები ჰაერში გაშლოდა აფრასავით. თვალი ავარიდე, რაკი ქვევით მოქროდა და უწესობა იქნებოდა ტანსაცმლის ქვეშ შემეხედა ქალბატონისთვის."

რექჰა და მისი შვილები ევერესტიდან ჩამოვარდნენ; არავინ გადარჩენილა. ბოროტი ენები სავსავებდნენ, ჯაბრაილ ფარიშტას ედოსო კისერზე მაგათი ცოდვა. ჩვენდათავად, ჯერჯერობით მაინც, ამაზე სიტყვას ნუ დავძრავთ.

და კიდევ, აი რა: არ დაგავიწყდეთ - სიკვდილის მერეც ხომ ნახა და თან, რამდენჯერმე. ეს იქამდე მოხდა, სანამ ხალხი გაიაზრებდა, რამდენად ავად იყო ეს დიდი ადამიანი. ჯაბრაილ ვარსკვლავი. ჯაბრაილი, ვინაც უსახელო ავადობა დაამარცხა. ძილის მოშიში ჯაბრაილი.

მისი გაქრობის მერე, ბანერებზე გამოსახული ათასობით ფოტოსურათი გაიცრიცა, ფერი დაკარგა. ერთ დროს ფერად-ფერადად ააღებულ სარეკლამო ფარებზე, საიდანაც ის უბრალო მოკვდავივით იცქირებოდა, თვალებმა ჯერ მიბნედვა, მერე კი დასკდომა იწყეს, ქუთუთოებიც სულ ქვემოთ-ქვემოთ ჩამოსდიოდა, სანამ ღრუბლებით შემობურულ ორ პირბადრ მთვარეს არ დაემსგავსა, ანთუ ერთს, მისივე წამწამების ალესილი პირებით ორად გადაჭრილს. მერე ეს ქუთუთოებიც ჩამოიხა და რაღაცნაირი ველური გამომეტყველება შესძინა მისსავე გადმოკარკლულ, დაღებილ თვალებს. მუმბაის კინოთეატრების გარდა, ჯაბრაილის პორტრეტთა მუყაოს ეს მამონტები ნელი-ნელ იშლებოდნენ, კარკასზე იღვენთებოდნენ, ხელ-ფეხები ეკეცებოდათ და კისრები ეღრიცებოდათ უილაჯოდ, ხოლო ჟურნალების გარეკანზე მოთავსებულებს კიდე მკვდრისფერი ედებოდათ,

მზერა უცარიელდებოდათ, სრულიად უმეტყველონი ხდებოდნენ. ახლადდასტამბულ გამოცემებშიც კი მის სახეს უკვე ფერი ჰქონდა ხოლმე გადასული, და გამყიდველებიც უარს იყვნენ მათს დახლებზე გამოდებას. თავის მხრივ, გამომცემლები სტამბის მუშაკებს ამუნათებდნენ და უხარისხო საღებავების გამოყენებაში სდებდნენ ბრალს. თვით ჩაბნელებულ დარბაზებში, მოვერცხლისფრო ეკრანებზე მისი უკვდავად მიჩნეული პროფილიც კი ფერმკრთალდებოდა, იდღაბნებოდა, ნაწილ-ნაწილ იშლებოდა და რაღაც გაუგებარ ბუშტუკებს იდებდა; პროექტორები, ყოვლად აუხსნელი გზით, ფირს გამშვებ ღარებშივე გრეხდნენ, ხოლო მათი ნათურების სიმხურვალე ცელულოიდზე აღბეჭდილ მის ხსოვნას უკვალოდ წვავდა, სეანსის დამთავრებისთანავე. მოკლედ, ზეახალ ვარსკვლავად აალდა, როგორც ვარაუდობენ, მისსავე ბაგეთაგან მომდინარე ცეცხლის ენების წყალობით...

ეს უკვე ღვთაების სიკვდილი გახლდათ, ან რაიმე ამასთან ძალზე მიახლოებული; განა არა, ესეგვარი რჩეული პიროვნება, ლეგიონთათვის სინემატოგრაფიულ ღამეთა განმასხივოსნებელი და მართლაც რომ რაღაც ღვთიურ არსთან წილნაყარი, სადღაც შუაგზაზე გაჩხერილიყო მოკვდავისა და უკვდავის ყოფიერებას შორის. მეტიც - ბევრნი იტყოდნენ, ჯაბრაილ ფარიშტა ამ გზაგასაყარსაც გაცდა, ვინაიდან ყველასაგან გამორჩეული კარიერის მანძილზე, იგი სრული მხატვრული დამაჯერებლობით ეწერებოდა ხოლმე ჰინდოსტანის სუბკონტინენტის ათასერთ ღმერთთა რიგში - სწორედ იმ მეტად გავრცელებული ჟანრის ფილმებში, კინომანები „თეოლოგრაფიულს“ რომ უწოდებენ. სწორედ ამგვარი გახლდათ ამ პიროვნების მომაჯადოებელი შემადგენელი - რელიგიური საზღვრების დარღვევა ისე, არცერთ მორწმუნეს თავი შეურაცხყოფილად არ ეგრძნო. ლურჯკანიანი, ვითარცა კრიშნა - იგი გრძივი ფლეიტით ხელში ცეკვავდა გარშემორტყმულ მშვენიერ ასულებსა და მათ ჯიქანდაბერილ ზროხებს შო-

რის; სტუდიაში სანახევროდ გახარებული და სანახევროდ - გამხმარი ბოდჰის ხის ქვეშ, ხელისმტევნებმიტყუპებული, გაუტამასავით გონებადაწმენდილი ეძლეოდა მედიტაციას ადამიანთა სატანჯველსა ზედა. ხოლო იმ იშვიათ შემთხვევებში, როცა ზეციურიდან მიწიერზე ეშვებოდა და დიად მუგალს, ანთუ საკუთარი ვირეშმაკობით სახელგანთქმულ ვეზირს განასახიერებდა აწ უკვე კლასიკად ქცეულ ფილმში „აკბარი და ბირბალა“, მას აროდეს უქცევია ზურგი თანამოძმეთათვის; ლამის ორი ათეული წლის განმავლობაში, იგი ღვთის ყველაზე უფრო მისაღებ და მირქმად სახედ იქცა ამქვეყნად მილიონობით მორწმუნეთათვის, რომელთა რიცხვი სულ რაღაც სამჯერ თუ აღემატება აქ არსებულ ღმერთთა რაოდენობას! მოკლედ, უზენაესის მყისიერად ცნობადი სახე. რამე რომ იყოს, ჯ. ბ.-ს თაყვანისმცემელთა უმრავლესობისათვის შემსრულებლისა და მის მიერ შესრულებულ როლთა შორის ზღვარი დიდი ხანია, უკვალოდ წაშლილიყო.

ეს რაც შეეხება თაყვანისმცემლებს, ოღონდაც თავად ჯაბრაილმა რაღა?

მისი სახე. ბუნებრივ ზომამდე დაყვანილი, ისიც სრულიად არავარსკვლავურად გამოიყურებოდა უბრალო მოკვდავთა შორის: დაბლა-დაბლა დაშვებული ქუთუთოები ქანცგაწყვეტილი ცხენის იერს სძენდნენ და რაღაც უხეში მოსჩანდა მისი ცხვირის კვეთშიც - ნიკაპი მეტისმეტად ხორციანი ჰქონდა, ყურები - პანტურა... მოკლედ, სრულიად ჩვეულებრივი სახე გახლდათ, მიწიერი, რომელზეც ახლადგადატანილ და ლამის იყო, მომაკვდინებელ ავადობასაც დაემჩნია თავისი კვალი; მაგრამ ამ ყველაფრის მიუხედავად, ერთიერთზე კავშირდებოდა წმინდანობასთან, სრულყოფილებასთან, ნათელთან: ღვთის სახის გამოსაძერწი მასალა. გემოვნებაზე არ დაობენო, ასე არაა? გინდა ასე და გინდაც ისე, მაგრამ ამისთანა მსახიობისთვის (ან იქნებ, ნებისმიერი მსახიობისთვის, ჩამჩასთვისაც კი, ოღონდ ჯაბრაილისათვის - მით უმეტეს) ავატარი, ანუ ფერიცვა-

ლება, ღვთაება ვიშნუს გარდასახვები - არცთუ გასაკვირია. ხელახლადშობა: ეგეც ღვთის არჩივია, ღმერთმანი.

თუმცა... არა მთლად ყოველთვის: აკი მიწიერი გარდასახვებიც არცთუ ისე იშვიათია. დასაბამიდან, ჯაბრაილ ფარიშტა იმპერიის ერთ მივარდნილ კუთხეში, ისმაილ ნაჯმუდინის სახელდებით მოევლინა ამ ქვეყანას (დღესდღეობით არათუ ხალხი, ქალაქებიც კი იცვლიან სახელს) - ისმაილი იმ ბავშვის საპატივცემულოდ, იბრაჰიმი რომ უპირებდა მსხვერპლად შეწირვას, და ნაჯმუდინი კიდე - „რწმენის ვარსკვლავი“ - მართლაც რომ სახელი დაუტევა თავისი დროზე, როცა რომ ანგელოსისა დაიჩემა...

მერე, როცა ავიალაინერი გამტაცებელთა ხელში აღმოჩნდა და მომავლის შიშით შეპყრობილი მგზავრებიც ფიქრით წარსულს ეპოტინებოდნენ, ჯაბრაილიც დაეთანხმა სალადინ ჩამჩას - კი, ეგრეა, ფსევდონიმი ნეტარხსენებული დედაჩემის მოსაგონრად ვირჩიეო: „ჩემი საბრალო, საყვარელი, ერთადერთი და განუმეორებელი დედის, ჩემი დედუჯის მოსაგონრად, ბ-ნო ჩამჩა... ფარიშტა, ჩემი პირადი ანგელოსიო - ასე მეძახდა, რაკიღა მეტისმეტად ტკბილის რამ ვიყავი, თუ დაიჯერებ - ოქრო-ბიჭი, ნამდვილად.“

მშობლიურმა პაწია ქალაქმა ვერ დაინარჩუნა ერის სამომავლო განძი და ჯაბრაილი ბავშვობაშივე გაასხვისეს, ემიგრანტად აქციეს; მამამისმა მუმბაის დაბავალას - დაკვეთილი სადილების ფეხმარდ დამტარებელთა ამქარში დურთა თავი და 13 წლის ისმაილ-ფარიშტაც, მეტი რა ჩარა იყო, მის კვალს გაჰყვა.

მონა ღვთისა, რეის პ-420-ის პყრობილი ჯაბრაილი ვითარებისდა შესაბამის მოგონებებში გადავარდა, სალადინ ჩამჩა აელვარებული მზერით მონუსხა და მთელი მუმბაის დაბავალათა იდუმალი საკომუნიკაციო ნიშნები გადმოულაგა: შავი სვასტიკა, წითელი წრე, ყვითელი ხაზ-წერტილები, გონების თვალით კი მთელი გზაც ხელახლა გაირბინა სახლიდან - ოფისის დახლამ-

დე... ეს სისტემა ორიათასამდე დამტარებელს საშუალებას აძლევდა ასიათასზე მეტი შეკვეთა შეესრულებინათ დღიურად, და ყველაზე უიღბლო დღესაც კი, ჩამჩა ჩემო, 10-15 შეკვეთა თუ გაგვიცუდდებოდა ხოლმე, ეგ იყო და ეგ; უმრავლესობა ჩვენთაგანი ხომ უწიგნური გახლდათ, ამიტომაც ამგვარი ფარული ნიშნები გვშველოდა საერთო ენის გამოსანახად.

ავიალაინერი ლონდონ-ქალაქს დასტრიალებდა თავს, კბილებამდე შეიარაღებული გამტაცებლები სავარძლებს შორის გასასვლელებს აკონტროლებდნენ და სინათლეებიც გამოერთოთ სალონში, მაგრამ ახლა თითქოს ჯაბრაილის შინაგანი გასხივოსნება ანათებდა იქაურობას. კინოეკრანზე, რომელზეც ადრე ავიარეისების უცილობელი გამცილებლები - მსახიობები უოლტერ მეთიუ და გოლდი ჰოუნი ასევე უცილობლად წყვილდებოდნენ - ახლა მძევალთა წარსულზე დანანების შედეგად გამოწვეული აჩრდილები დარიალებდნენ, რომელთა შორის ეს გაჩხინკული ისმაილ ნაჯმუდინი გამოირჩეოდა, დედიკოს პირადი ანგელოსი, თავზე მაჰატმას გამოსახულებიანი კეპითა და ზედ შემოდგმული ხის ვეებერთელა ლანგრით, დაკვეთის დროულად მისატანად რომ მიიჩქაროდა: წარმოიდგინეთ ერთი, ჩამჩა-ბატონო, 30-40 კოლოფი ხემსი რომ გილაგია ერთ გრძელ ლანგარზე, ბრბოს მიარღვევ და სულ რაღაც წამები გაქვს რომ ჩამავალ ვაგონში შეეკვეტო ან იქიდან გამოაღწიო, მერე კი ქუჩებსა და ბინებს ჩამოუარო - აჰა-ა, ესეც ასე და მერე ისევ სატვირთოებსა და ავტობუსებს, მოპედებსა და ველოსიპედებს შორის, ერთი-ორი, ასე და ამგვარად და თუკი მუსონი ქროდა, ნახევრად დატბორილ შუკა-ქუჩებშიც, სადაც ჩამოძენძილი და თავზეხელაღებული ბანდები ბატონობდნენ და ერთთავად შენს გაძარცვაზე ეჭირათ თვალი - ეგრე იყო, ჩამჩა-ბატონო, მთლად დამშეული ქალაქი გახლდათ მაშინ ეს მუმბაი, ჩემო კარგო და მაინც ჩვენ ჩვენი გავიტანეთ, ყველგან შევაღწევდით თუ გავაღწევდით ხოლმე და არც არა-

ვითარი პოლიციისათვის არ მიგვიმართავს არასოდეს - საკუთარ თავს თავად მივხედავთ-თქო, გავიძახოდით.

საღამოხანს, ქანცგაწყვეტილი მამა-შვილი რომ შინ ბრუნდებოდა, სანტა-კრუსის აეროპორტის ზედ ასაფრენ ბილიკთან გამართულ, ფარღალალა ქოხმახში, თვითმფრინავების წითელ-ყვითელ-მწვანე შუქების ფონზე მისი შემხედვარე დედა იტყოდა ხოლმე - მარტო შენი დანახვაც კი ყველა ჩემს ნატვრას მისრულებსო და ეს იყო სწორედ პირველი ნიშატი იმისა, რა ზეგარდმო ნიჭიც ცხებოდა ჯაბრაილს: იმთავითვე ისე ჩანდა, თითქოს არაფრად უღირდა ხალხისთვის ნებისმიერი ნანინანატრი სურვილი აღესრულებინა, თუმც კი აზრზეც არ იყო, როგორ და რანაირად. მამამისს, ნაჯმუდინ-უფროსს, ხმაც არასოდეს გაუღია, როცა მეუღლე მისი თვალს არ აცილებდა შვილს, ძილის წინ ფეხებს უზელდა, მაშინ როცა თავად იგი ქალის ხელდაუკარებელი მიწვებოდა ხოლმე კუთხეში. ძე შენი - ზეგარდმო წყალობაა, რაიც მწყალობელის მიმართ მუდმივი სამადლობელის გამოჩენას ითხოვს...

ნაიმა ნაჯმუდინი მიიცვალა. ავტობუსი დაეჯახა და ისე მოხდა, არც ჯაბრაილი ყავდა გვერდით, მისი ბოლო ლოცვა მაინც შეესმინა. მამა-შვილს კრინტი არასოდეს დაუძრავთ საკუთარ ურვაზე. უჩუმრად, თითქოსდა ასეთი ყოფილიყო წესიცა და რიგიც, ნაღველს დამატებითი სამუშაოს ბადე გადააფარეს და ლამისერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ერთ ჯერზე ვინ მეტად დატვირთულ დაბას შემოიდებდა თავზე, ვინ მეტ შეკვეთას მიიღებდა, ვინ უფრო სწრაფი აღმოჩნდებოდა - ვითომდა მეტი სამუშაო მეტ სიყვარულზე იღაღადებდა, თავისთავად. ერთ საღამოს, მამამისის დაძარღვული ხელ-ფეხისა და დაბერილი სისხლძარღვების შემყურე ისმაილ ნაჯმუდინმა იაზრა, რამდენად გაენაწყენებინა მოხუცი, რამდენად მნიშვნელოვანი ყოფილიყო მშობლისათვის შვილზე გამარჯვება და ამით გარდაცვლილ მეუღლესთან ესეგვარი დაწყვილების პირველობა დაებრუნებინა. ამის გააზრება

და მისი სახმილიც ჩაინავლა, ოღონდაც არა მამამისისა და სულ მალე დააწინაურეს კიდეც: ახლა ის მუკადამად იწოდებოდა. ჯაბრაილი ჯერ ცხრამეტისაც არ იყო, ნაჯმუდინ-უფროსი რომ დამტარებელთა ამქრისა და მუმბაის ფილიალის საბჭოს ნამდვილი წევრიც გახდა, ხოლო სულ რაღაც ერთი წლის მერე მიიცვალა კიდეც, ზედ შუაგზაზე უმტყუნა გულმა. „თავი მიისიკვდილა," - დასაფლავებისას წართქვა ამქრის უსტაბაშმა, თავად ბაბასაჰიბ მჰათრმა. - „ძაღლიშვილი ეგა, ოფსილა აღარ ეყო".

ოღონდაც ობოლმა უკეთ იცოდა მამამისის: ბოლოსდაბოლოს, კაცმა მიაღწია იმას რომ საკუთარი სხეულიდან გამომსხლტარიყო, ორ სამყაროს შორის ზღვარი წაეშალა და სამუდამოდ ჩახვეოდა მეუღლეს, საბოლოოდ დაემტკიცებინა თავისი სიყვარულის აღმატება. აი, ასეც ხდება: მიმავალთ ზოგჯერ წასვლა უხარიათ კიდეც...

ბაბასაჰიბ მჰათრი თავის ცისფერ ოფისში იმყოფებოდა, მწვანედ შეღებილი კარის მიღმა, და ბაზრის ჩახლართულ ლაბირინთს გადაჰყურებდა - მორჭმით მჯდომარე, ჩათქვირული ბუდა, ქალაქის ერთი უგავლენიანეს პირთაგანი, აროდეს რომ არა სტოვებდა საკუთარ საბუდარს და მაინც ყველგან იყო, ყველასაგან პატივცემული და ყველა იმათთან საქმის დამჭერი, ვისაც კი ქალაქ ბომბეიში სიტყვა ეთქმოდა. ისმაილის მამის მიერ იმქვეყნიური საზღვრის გადაკვეთისა და ნაიმასთან ხელმეორედ შეუღლების მეორე დღესვე მან ბიჭი თავისთან იხმო.

- აბა, რას მეტყვი, გიჭირს განა?

პასუხი და თვალსმომდგარი ეული ცრემლი:

- მადლობელი, ბაბუჯი. რა მიჭირს.

- მოკეტე, - უთხრა ბაბასაჰიბ მჰათრმა. - დღეიდან ჩემთან იცხოვრებ.

- მაგრამ, ბაბუჯი...

- არავითარი მაგრამ. ჩემს ძვირფას მეუღლეს უკვე ვაცნობე. მე ვთქვი.

- ბოდიში მომითხოვია, ბაბუჯი და - რატომ, როგორ, რისთვის?

- მე ვთქვი.

ბიჭისთვის არც მერე აუხსნიათ ოდესმე, რატომ გადაწყვიტა ბაბასაჰიბმა წყალობა მოეღო და ქუჩის კლანჭებიდან ეხსნა ეს სხვისი შვილი, ოღონდ მერე და მერე თავადაც მიხვდა: ქ-ნი მჰათრისა ერთ ვინმე ძვალტყავა ქალად მოჩანდა საკუთარ ქმართან შედარებით, ოღონდაც დედობრივი სიყვარული იმდენად ჭარბად მოსდგამდა, ამას ვერა კაცი ვეღარ ამჩნევდა. შინ დაბრუნებულ ბაბას ის საკუთარი ხელით უტენიდა პირში ტკბილეულს, ხოლო ღამ-ღამობით ჯალაბის ამ ახალი წევრის სმენას ხშირად სწვდენია დამფ-ის გენერალური მდივნის ბოხი ბუზღუნი: „შემეშვი ქალო, ჯერ კიდევ შემიძლია ჩემით გავიძრო შარვალი!“

საუზმეზეც ძალისძალად, კოვზით უდებდა პირში ალაოს და ვიდრე სამუშაოდ გაისტუმრებდა, თმასაც თავად უვარცხნიდა. უშვილონი იყვნენ და ეტყობა, ბაბასაჰიბს სურდა მისით შეევსო ეს სიცარიელე. ოღონდაც ქალს ბიჭი ამგვარ ბავშვად სულაც არ მიაჩნდა:

- ყმაწვილკაცია უკვე, რაღა დროს მაგის ალაოს ყლაპვაა!

- მეხი და მედგარი! აბა მე რაღას გადამეკიდე?!

ქ-ნ მჰათრს ცრემლები წასკდა.

- მაგრამ თქვენ ხომ ყველაფერი ხართ ჩემთვის: მამაც, მეუღლეცა და შვილიც... - სლუკუნებდა გულამომჯდარი. - ჩემი ბატონი ხართ და ჩვილი... თუკი ეს გწყინთ ჩემგან, სიცოცხლეც აღარ მინდა...

და ალაონაყლაპი ბაბასაჰიბ მჰათრიც დამარცხებული სტოვებდა ამ ერთგვარ ოჯახური ბრძოლის ველს.

ზოგადად, კეთილი კაცი ეთქმოდა, მხოლოდ გარეგნულად ინიღბებოდა ყვირილითა და უხეშობით. ობოლის სანუგეშოდ, თავის ცისფერ ოფისში ხანგრძლივად ესაუბრებოდა ხოლმე გარ-

დასახვათა ფილოსოფიაზე და ირწმუნებოდა - შენი მშობლები უკვე ალბათ განემზადნენ კიდეც სხვა სახით ასაღორძინებლად, თუკი რაღა თქმა უნდა, მათივე ცხოვრება არ ყოფილა იმდენად წმინდა და ღვთისმოსავი, პირდაპირ და უშუალოდ მოჰფენოდათ აღსავლის მადლიო. სწორედ მჰათრი გახლდათ, ვინაც ფარიშტა მთელ ამ რეინკარნაციის საქმეში გახვია, და არა მარტო მაგაში - ბაბასაჰიბი ერთ დროს თან მოყვარული-პარაფსიქოლოგიც გახლდათ, სულთა გამომძახებელი და მუცლით მეზღაპრე. „ოღონდაც ყველაფერ ამას შევეშვი," - იტყოდა ხოლმე შესაბამისად თეატრალური ჩურჩულით, ხელის ჩაქნევითა და წარბების მოქუშტვით. - „რაც მე ჩემს ცხოვრებაში შიში ვჭამე..."

ერთხელაცო (იხსენებდა მჰათრი) ჭიქაში იმისთანა კეთილმოსურნე სული ჩამიძვრა, იმისთანა ალალი და გულმართალი, ვიფიქრე რამე ცოტა უფრო მაგარ-მაგარი შეკითხვები ხომ არ დავუსვამეთქი. ღმერთი არსებობს? - ვეკითხები და ეს ჩემი ჭიქა, აქამდე რო თაგვივით დარბოდა აქეთ-იქით, ადგილზე გაშეშდა, ზედ შუა მაგიდაზე - სრული ფუტ ან თუ გნებავს, კაპუტ. „არ გინდა - ნუ გინდა," - ვეუბნები, - „მაშინ ეს მითხარი, ეშმა თუარსებობს?" ამის თქმა იყო და ჭიქამ იმისთანა შეხტა-შეითამაშა, მთლად შენი მოწონებული! მერე კიდე დაბზრიალდა, ახტა-დახტა და მაგიდიდან ზედ იატაკს არ დაასკდა ჭახანით?! მოკლედ, ათასერთ ნამსხვრევად იქცა... მას მერე იყო სწორედ, - დაასრულა თხრობა ბაბასაჰიბ მჰათრმა - ჭკუა რომ ვისწავლე და ისეთ რამეებში აღარა ვყოფ ცხვირს, რისაც ბევრი არაფერი გამეგება.

ეს ამბავი ღრმად ჩაებეჭდა გონებაში მის ჭაბუკ მსმენელს, რომელიც ჯერ კიდევ დედის სიკვდილამდე დიდი ხნით ადრეც დარწმუნებული გახლდათ მიღმიერი სამყაროს არსებობაში. ხშირად, ირგვლივ რომ მიმოიხედავდა ხოლმე (განსაკუთრებით კი შუადღის ხვატში, როცა ჰაერი ლივლივებდა) არსებული სამყარო, მისი მახასიათებლები, მაცხოვრებლები, საგნები თითქოს რაღაც ცხელ-ცხე-

ლი აისბერგებივით მოჩანდნენ თხევადი ატმოსფეროს ზედაპირის თავზე - მანქანები, ადამიანები, ძაღლები, კინოაბრები, ხეები და საერთოდ, რეალობის 9/10 მისი მზერის მიღმა რჩებოდა. მართალია, მხოლოდ თვალის დახამხამება იყო საჭირო და ზმანებაც წამსვე ქრებოდა, მაგრამ თავად ეს უცნაური შეგრძნება არ სცილდებოდა. შესაბამისად, ბავშვობიდანვე ურყევად სწამდა ღმერთის, ანგელოზების, დემონების, იფრიტების, ჯინების, და ისევე ჩვეულად მიირქმევდა მათ არსებობას, როგორც ხარებშებმულ ურმებსა თუ ელექტროგაყვანილობის ბოძებს, ეს კი გულს უტეხდა საკუთარ მხედველობაზე, რაკიღა ვერა და ვერ ეღირსა თუნდაც ერთი აჩრდილის ნახვას. ამიტომაც ეს ნატვრა მუდამ თან სდევდა - ვინმე ჯადოსან ოფთალმოლოგს გადაჰყროდა, რომელიც იმგვარ მომწვანოშუშიან სათვალეს გამოუწერდა, მისი მხედველობის ესეგვარ კნინს რომ გაუსწორებდა და ამ ძელგი, თვალისმომჭრელი ჰაერის მიღმა არსებულ სამყაროსაც დაანახებდა.

დედამისისაგან, ნაიმა ნაჯმუდინისაგან უამრავი მონათხრობი მოესმინა წინასწარმეტყველზე, და თუკი იყო მაინც მათში რაღაც-რაღაც უზუსტობები, ამის თაობაზე გაგონებაც კი არაფრის სურდა. „არა, მაინც რა კაცი იყო!“ - ფიქრობდა ხოლმე - „რომელი ანგელოზი არ ისურვებდა მასთან საუბარს?“ თუმცა, ხანდახან იმგვარი ღვთისმგმობი ფიქრებიც წაიღებდნენ, თავადაც დაზაფრული რჩებოდა: მაგალითად, ძილ-ბურანში გადასული, თავის მდგომარეობას წინასწარმეტყველისას უდარებდა, როს დაობლებული და უსასოოდ შთენილი, იგი ვინმე მდიდარ ქვრივს, ჰადიჯას დაუდგა მოურავად, მერე კი ცოლადაც შეირთო; ძილღვიძილში ეზმანებოდა, თითქოსდა ვარდებით მოფენილ სარეცელზე წამომჯდარი, სარკეში თავისი ახალი ქმრის, ბაბასაჰიბ მჰათრის სახეს ლანდავდა, მისკენ რომ მოემართებოდა ჩარდახის ფარდის გადასაწევად. ეს სიზმარი განსაკუთრებით უმღვრევ-

და ტვინს და სახეალეწილი იღვიძებდა, შედეგად კი მართლა შეაეჭ-ვა საკუთარი შინაგანი ბუნების სიბილწემ, ამდაგვარ ამაზრზენ ზმა-ნებებს რომ უგზავნიდა.

თუმცაღა, მისი სარწმუნოებრივი თავდადება საკმარისად თავშე-კავებული გახლდათ: მისივე არსების ერთგვარი შემადგენელი, რა-იც არც არავითარ განსაკუთრებულ ყურადღებას არ მოითხოვდა. როდესაც ბაბასაჰიბ მჰათრმა ის თავის სახლში გადაიყვანა საცხოვ-რებლად, ბიჭს რწმენა განუმტკიცდა რომ ის ეული არსება არაა ამ-ქვეყნად, რომ ვიღაც ან რაღაც ზეგარდმო ძალა ზრუნავს მასზე და ამიტომაც არ შეუცხადია, თავისი ოცდამეერთე დაბადების დღის დი-ლით, მისმა კეთილისმყოფელმა ცისფერ ოფისში რომ გამოიძახა და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე დაითხოვა.

- მომწყდი თავიდან! - რატომღაც, სახეგაბრწყინებულმა უთხრა. - ჩემთან აღარა მუშაობ. ეგრეა!

- კი მაგრამ, ბაბუ...

- მოკეტე!

მერე კი იმისთანა საჩუქარი გაუკეთა, ობოლს სიზმრადაც რომ არ მოლანდებია: სახელგანთქმული კინომაგნატი, ბ-ნი დ.ვ. რამა თავის სტუდიაში გიბარებს სინჯებზეო.

- ეს ისე, თვალის ასახვევად, - დაამატა იქვე. - თორემ რამა ჩემი ახლო მეგობარია და უკვე ყველაფერი მოვილაპარაკეთ კიდეც. ჯერ პატარა როლი გექნება, მერე უკვე ვნახოთ - ყველაფერი თავად შენ-ზეა დამოკიდებული. ახლა კი გაქრი აქედან და შეეშვი ამ თავმდაბ-ლად მადლიერი კაცის სიფათის კერვას, არ გიხდება.

- კი მაგრამ, ბიძაჩემო...

- აბა შენისთანა გარეგნობის ბიჭი მთელი თავისი ცხოვრება დამ-ტარებლად ხომ არ იმუშავებს?! ახლა კი აქედან დამეკარგე - მეტრა-კე მსახიობებთან საქმის დაჭერა არანაირად არ მაწყობს. მოკლედ, დათხოვნილი ხარ.

- სიტყვა მათქმევინეთ, ბაბუჯი...

- მე ვთქვი. ახლა შენს ბედნიერ ვარსკვლავს უხადე მადლობები.

ასე იქცა იგი ჯაბრაილ ფარიშტად, თუმცაღა ვარსკვლავად - მხოლოდ ოთხი წლის მერე. მანამდე კი შეგირდად იდგა, მეორეხარისხოვან როლებზე და ისიც - ყოვლად სულელურ კომიკურ სცენებში. ოღონდაც მუდამ მშვიდი სახე ქონდა, აუღელვებლად ირჯებოდა, აუჩქარებლად - თითქოსდა წინდაწინ ჭვრეტდა მომავალს. პატივმოყვარეობის თითქოსდა სრული არქონა ერთგვარად სხვის მაჩანჩალად აქცევდა ინდუსტრიათა შორის ამ ყველაზე კარიერისტულ სახეობაში: ვინ სულელად თვლიდა და ვინ ამპარტავნად, ზოგიც კიდევ - ორივედ ერთად და ისიც ითქვას, მთელი ამ ოთხი წლის განდგომილობის მანძილზე მას ერთხელაც არ უკოცნია ქალისთვის ტუჩებში.

ეკრანზე ის მუდამ ვიღაც ისეთს განასახიერებდა - წყალწაღებულ ახალგაზრდას, ვინმე ლამაზმანში თავ-ფეხიანად შეყვარებულ ბრიყვს, რომელსაც ვერაფრით შეეგნო რომ მისი გულის ვარდი მისივე გულისსწორი ვერასდროს და ვერაფრით გახდებოდა, ცანცარა ბიძიას, ღარიბ ნათესავს, უნიათო მძარცველს, სოფლის გიჟს, მოუქნელ მსახურს, - ანუ იმათ, ვისაც არასოდეს ერგებოდათ სასიყვარულო სცენები; ქალები ხან წაუთაქებდნენ ხოლმე, ხან ისე, უმიზნოდ, გასართობად აღიზიანებდნენ, დასცინოდნენ კიდეც, ოღონდაც არსად, არცერთ ფილმში წყლიანი თვალებით არ შესცქეროდნენ, არ უმღერდნენ და არ ცეკვავდნენ მის გარშემო. ბინა იქვე, სტუდიის გვერდით ედო და მისი კადრსმიღმა ცხოვრება ორ გამოცარიელებულ ოთახში მიედინებოდა, მდორედ; ერთადერთი, მხოლოდ იმის წარმოდგენასღა ცდილობდა, როგორ გამოიყურებოდა ქალი შიშველი, უტანსაცმლოდ. ამგვარი ფიქრების გასართველად სწავლას მიჰყო ხელი და ყოვლისმომნელებელ, თვითმსწავლელ მკითხველად იქცა: ანტიკური საბერძნეთისა და რომის მეტამორფოზული მითები იქ-

ნებოდა ეს - იუპიტერის გარდასახვები, ყვავილად ქცეული ბიჭისა თუ ქალი-ობობას თავგადასავალი, ცირცეს ამბავი - მოკლედ, ყველაფრის; შემდგომ - ანი ბესენტის თეოსოფია, ერთიანი ველის თეორია, ეშმაკეული აიების გამოჩენა წინასწარმეტყველის აღმასვლის თავსაწყისში და მუჰამედის ჰარემისეული პოლიტიკა მისი მექაში დაბრუნების შემდგომ; ასევე, გაზეთების სიურრეალისტური თავაშვებულობა, საცა პეპლები გოგონების ბაგეებზე სხდებოდნენ, ჩასაყლაპად გამზადებულები, და საცა უსახოდ შობილი ჩვილები იბადებოდნენ და პატარა ბიჭუნები კიდე წინა გარდასახვათა გონებამიუწვდომელ რამეებს იხსენებდნენ - ვთქვათ, ძვირფასი ქვებით მოოჭვილ ოქროს ციხე-კოშკებს... რითი აღარ იტენიდა თავს, ოღონდ ამ უძილო ღამეების ალიონზე მაინც ვეღარ უარყოფდა ხოლმე, რომ რაღაც ისეთი სჭვალავდა, რითაც არც აროდეს უსარგებლია და არც ის იცოდა, როგორ მისდგომოდა - ანუ, სიყვარული. ზმანებებში მას მუდამ და მხოლოდ აუტანელი ხიბლისა და სილამაზის ქალწულები უმღვრევდნენ სულს, და ამიტომაც აღარ აძლევდა ხოლმე თავს მიძინების ნებას - მთელი ღამის განმავლობაში, მომავალი ფილმის სცენარის რაიმე ნაწილს იზუთხავდა, როგორმე მაინც რომ გადაეფარა სიყვარულის მოთხოვნილების ეს გაუსაძლისი გრძნობა, რისი შეთავაზებაც მას არა ადამიანისათვის არ შეეძლო დედამიწაზე.

დიდი გარღვევა მისთვის მაშინ მოხდა, როცა ეკრანებზე ზემოხსენებული „თეომატოგრაფიული“ ჟანრის ფილმები გამოჩნდა. პურანებზე დამყარებული, ცეკვა-სიმღერების ჩვეული საკმაზით უხვად შეზავებული, ერთხელ და სამუდამოდ შემუშავებული ფორმულის მიხედვით შექმნილი ეს ფილმები დიდად მომგებიანი აღმოჩნდა და ახლა პანთეონის ყოველ ღმერთსა თუ ღვთაებას მიეცა შანსი, ნამდვილ კინოვარსკვლავად ქცეულიყო. როცა დ. ვ. რამამ გადაწყვიტა განეშზე გაეკეთებინა ფილმი, არცერთმა იმდროინდელმა კინოვარსკვლავმა არ ინება, მთელი ორი საათის განმავლობაში სულ სპილოს მუყაოს თავით გამოჩენილიყო ეკრანზე. აი, ჯაბრაილმა კი ეს

შანსი არ გაუშვა ხელიდან. სწორედ ეს იყო მისი პირველი წარმატება, პირველი სახელის დაგდება - და ყველასათვის მოულოდნელად, ერთგვარ ზევარსკვლავადაც კი იქცა, გინდაც პარტყუნა ყურებითა და ხორთუმით... ექვსი სერია გადაიღეს, ერთიმეორეზე უფრო წარმატებული, რის შემდეგაც ეშვების მაგივრად ახლა გრძელი, ხშირბალნიანი კუდი გამოაბეს, რათა მაიმუნების მეუფე ჰანუმანი განესახიერებინა სათავგადასავლო ციკლში, რომელიც, ჩვენში დარჩეს და, იაფფასიან ჰონკონგურ ტელესერიალს უფრო წააგავდა, ვინემ რამაიანას ეკრანიზაციას. და რა მერე? სულ მალე მაიმუნის კუდები ერთგვარ, ლამის უცილობელ სამშვენისად იქცა ქალაქელი კოხტაპრუწებისათვის, წვეულებებზე თავმოსაწონებლად.

ამ როლის მერე ჯაბრაილს მოცლა არ ქონდა, და ასეთმა გამაოგნებელმა წარმატებამ კიდევ უფრო განუმტკიცა თავისი მფარველი ანგელოზის რწმენა. ოღონდაც ყველაფერ ამას გარკვეული საწუხარი ამბებიც სდევდა თან.

(ვატყობ, ახლა უკვე საბრალო რექჰასაც უნდა გადავწვდე).

ჯერაც სპილოს თავი მაიმუნის კუდზე არ გადაეცვალა, რომ ჯაბრაილ ფარიშტა უკვე ქალების ნამდვილ მუსუსად იქცა. თუმცა რა მისი ბრალი იყო რა - ზოგი ბანოვანი იქამდეც კი მიდიოდა, ლოგინში განეშის იმ მუყაოს თავის ჩამოცმასაც ეაჯებოდა, ოღონდ ჯაბრაილი მაინც საკმარის პატივს მიაგებდა ღვთებას, ამგვარი რამ არ ეკადრებინა მისთვის. ერთი ეგაა რომ ბ-ნ და ქ-ნ მჰათრთა ოჯახში მიღებული უმანკოდ აღზრდის გამოისობით, ის რაოდენობრივს ჯერ კიდევ ვერაფრით ანსხვავებდა ხარისხობრივისაგან და თითქოს ამ დაკარგული დროის ანაზღაურებას ესწრაფვოდა: იმდენი სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა გაბმული, ზოგჯერ ქალის სახელი მისი საწოლი ოთახიდან გასვლისთანავე ავიწყდებოდა. მოკლედ, იმისთანა მექალთანე გახდა - ამ სიტყვის მთლად უარესი გაგებით - რომ ძალაუნებურად, თვალთმაქ-

ცობის ხელოვნებასაც ეზიარა, ვინაიდან და რადგანაც ის, ვინც ღმერთის სახეს იღებს, ყოველგვარ კნინზე მაღლა უნდა იდგეს. მეორეს მხრივ, იმდენად კარგად ნიღბავდა ამ თავმოსაყივნებელ დროსტარებებსა თუ ყალილებს, რომ მისივე ყოფილი მამა და მარჩენალი, ბაბასაჰიბ მჰათრი, სასიკვდილო სარეცელს მიჯაჭვული სადღაც ათიოდე წლის მერე, რაც თავისი ყოფილი დაბავალა ცელულოიდის ზმანებათა, ვნებათა და ხელის დიდი ჭუჭყის სამყაროში მიავლინა, ევედრებოდა კიდეც - ცოლი შეირთე, ემანდ კაცის სახელი არ დაგეკარგოსო.

- ღვთის გულისათვის, ბატონო ჩემოო, - ემუდარებოდა. - როცა ჩემგან გაგისტუმრეთ და მეკურტუმედ იქეცი-თქო, გითხარით, რას ვიფიქრებდი თუკი ასე სიტყვა-სიტყვით აღიქვამდით ჩემს ნათქვამს! ბოლო-ბოლო, წინაპრების ხსოვნას მაინც ეცით პატივი!

ჯაბრაილმა ხელები აღაპყრო და დაიფიცა, არასოდეს არაფერ მაგისთანა უმსგავსობაში არ გავრეულვარ, არც ვაპირებ და როგორც კი ვინმე ღირსეულ ოჯახიშვილ გოგონას გადავეყრები, ქორწილსაც არ დავახანებო.

- და რაღას ელით, ერთი ვიცოდე? ქალღმერთს? გრეტა გარბოს? გრეისკალისა თუ ვის? - ხმას უწევდა მოხუცი, სისხლიან ნახველს იფურთხებოდა. მაგრამ ჯაბრაილი ღიმილით, თუმცა კი უპასუხოდ დაემშვიდობა, რამაც ბაბასაჰიბს საშუალება აღარ მისცა გულმშვიდად მაინც წასულიყო იმქვეყანას.

მრუშობის ამ მორევს, რომელშიც ლამის თავ-ფეხიანად გადაეშვა ჯაბრაილ ფარიშტა, სავსებით შეეძლო მისი თავი ნიჭიც შეესრუტა და თან ისე, საბოლოოდ ჩაეთრია უძირო სიღრმეებში: გულმართალი, უკიდეგანო და აუმღვრეველი სიყვარულის მისეულ ნიჭს ვგულისხმობ, ამ უიშვიათესსა და მყიფე საბოძვარს, რომლის გამომზეურებაც მას მანამდე არც აროდეს მოსწევია. საკუთარი მძიმე ავადობის წინახანს, ლამის გადავიწყნოდა კიდეც ის ტანჯვა, რაც სიყვარულის მწვავე წყურვილს მოჰქონდა მისთვის და ბოროტი ჯადოქ-

რის დანასავით, უხილავად რომ უსერავდა გულ-ღვიძლს: ახლა, ჩარდახიან სარეცელზე ჩატარებული, ქანცგამწყვეტი ვარჯიშობების მერე, ყოველგვარი ხილვების გარეშე ეძინა, თითქოსდა არც არასოდეს გაეტანჯათ სიზმრისეულ ლამაზმანებს, არც არასოდეს უნატრია ვინმეზე შევარდნოდა გული.

„შენი უბედურება ისაა," - ეუბნებოდა ქულა-ღრუბლებიდან თავგამოყოფილი რექჰა ფარდაგოსანი, - „რომ ყველა ყოველთვის და ყველაფერს გპატიობდა, ღმერთმა უწყის რატომ, და არასოდეს მოგწევია პასუხისგება, მკვლელობისთვისაც კი... პასუხისმგებლობის გრძნობა საერთოდ უცხო რამ ხილია შენთვის." - ამაზე კი ვერა პასუხი ვერ ეპოვა ჯაბრაილს. - „ზეგარდმო ნიჭიო?!" - მოთქვამდა რექჰა ღრუბლებსშორის გაჩენილი ღიობიდან - „ვინა გგონია შენი თავი, შე ტალახიდან მოზელილო, ეშმაკმა უწყის, რა დაავადებები არ მოსდე ქვეყანას!"

მაგრამ ამას ხომ სწორედ ქალები სჩადიოდნენ - ანთუ ასე ფიქრობდა იმ დროს - ჭურჭელნი ბილწებისა ღვართაი, საცა თავად მხოლოდ საკუთარ რაობას შთაასხამდა ხოლმე, ხოლო წასვლისას კი ყველაფერს პატიობდნენ, რაკიღა კარგად ესმოდათ, სწორედ ამგვარი იყო ბუნება მისი. ჭეშმარიტად, არც არავინ ამუნათებდა ასე უდიერად მოქცევის, ათასერთი უყურადღებობისა და ვინ უწყის, რამდენ მუცლის მოსაშლელად განწირული ჩანასახის გამო, რამდენი გაბზარული გულის! მთელი ეს წლები უკიდეგანო ქალური დიდსულოვნებით სარგებლობდა, ოღონდ თან ტყვეც გახლდათ მისი - რაკიღა მათმა შენმდობლობამ გარყვნილებათაგან უღრმესი და უამესი შეჰყარა: იმის რწმენა, რომ მუდამ და ყოველთვის სწორად იქცეოდა.

რექჰა: ეს ქალი მაშინ შემოვიდა მის ცხოვრებაში, როცა „ევერესტ-ვილაში" პენტჰაუზი შეიძინა, ხოლო ზედ მის ქვემოთ მაცხოვრებელმა საქმიანმა მეზობელმა დრო იხელთა და იშვიათი ნახელავი ფარდაგებისა თუ სხვა რამ „არტეფაქტების" ჩვენება

შესთავაზა. აკი ქმარი შვედეთში ჰყავდა გასტუმრებული, მეწარმეთა რომელიღაც საერთაშორისო კონგრესზე და არაფერი უშლიდა ხელს, ჯაბრაილი ჯაიპურული ქვის ცხაურებით ფანჯრებამოშენებულ, კერალას სასახლიდან გამოზიდული გრეხილი ავეჯით გაწყობილ და ამოტრიალებულ, ჯაკუზად გადაკეთებულ მოგოლთა ხანის ჩატრებიან აპარტამენტებში ეხმო; ქალმა ფრანგული შამპანური ჩამოუსხა, მერე კი მარმარილოს ფილებაკრულ კედლებს მიეყრდნო კეთილშობილი ქვის დაძარღვული ზედაპირიდან გამოსული სიგრილის შესაგრძნობად. ჯაბრაილი ჩაციებულ სითხეს რომ დაეწაფა, ქალმა გაჰკილა - აკი ღმერთებს არ ეგებათ ალკოჰოლის სმაო, მან კი აღა-ხანის სიტყვები მოიშველია: ჩემთვის ღვინო მხოლოდ გარეგნულადაა მაცდური, როგორც კი სასაზე მხვდება, მეყვსეულად წყლად გარდიქცევაო. ამის მერე არა წინაღობა აღარ იდგა მათ შორის - ბაგე ბაგეს შეეწება და ქალმაც კაცის მკლავებში ჰპოვა ნავსაყუდელი...

იმ დროისათვის როცა აიამ ბავშვები მოასხა სკოლიდან, ის უკვე შესაფერისად გამოწყობილი და თმადავარცხნილი უჯდა თავის სტუმარს, ფარდაგ-ხალიჩების საქმის მნიშვნელოვან წვრილმანებს უხსნიდა: თურმე ნუ იტყვით და, ხელ-ქმნილი ხელით ნაკეთებს კი არა, უბრალოდ, ხელოვნურს ნიშნავდა მათ ენაზე, ხოლო ათასგვარ ბუკლეტებში ნაქებ-ნადიდები, ბატკნის ყელიდან ამოპუტული მატყლისაგან მოქსოვილი ნოხები სხვა არაფერია, თუ არა მდარე ხარისხის მატყლის ნაწარმი - რას იზამ, რეკლამაა ვაჭრობის გამტანი, ბატონო ჩემო, ეგაა და ეგო.

არც შეყვარებული ყოფილა, არც მისი ერთგული, არც ამ ქალის დაბადების დღე ხსომებია ოდესმე, ყოველთვის არც მის სატელეფონო ზარებს პასუხობდა; ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე, ყოვლად უდროო დროსაც ხშირად მისდგომია კარზე, და მაინც ყველაფერს პატიობდნენ, ისევე როგორც ყველა სხვა მისნაირი. ოღონდაც, ეს პატიება სრულიადაც არ გავდა იმ სხვებისას, ჩუმად,

თავისთვის რომ წაიჩურჩულებდნენ - რა გაეწყობაო... არა, რექჰა ეგეთი არ გახლდათ: ჭკუასგადაცდენილივით, ხმამაღლა ჩიოდა მის უსაქციელობას, ჯოჯოხეთში მოხვედრას პირდებოდა, წყევლიდა და ქოქოლას აყრიდა, უსაქმურს, კარი-კარ მათხოვარსა და ჰარამზადას ეძახდა, ზოგჯერ კიდე - სალახანას, ანუ საკუთარ - არარსებულ დასთან ახლო ხორციელურთიერთობებშიც ადანაშაულებდა; ახალი ლანძღვაც კი მოუგონა - ჩამქრალი კინოეკრანივით ცარიელი ხარო, თათხავდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ყველაფერს პატიობდა და პერანგის გახდაშიც თავადვე ეხმარებოდა. ჯაბრაილიც ვერაფერს ხდებოდა რექჰას ამ საოპერეტო გამოხდომათა ასალაგმავად, იმასაც ითვალისწინებდა, რაოდენ საორჭოფო დღეში იყო ქალი საკუთარი ქმარი-მაგნატის წინაშე, და ყველა ამ სიტყვიერ გვემას ნამდვილი მამაკაცის ღირსებით იტანდა. მაგრამ თუკი სხვა ქალთაგან მიღებული შენდობა მისთვის არც არაფერს ნიშნავდა და ქალსაც და მის ნათქვამსაც წამსვე ივიწყებდა კიდეც, რექჰას ისევ და ისევ უბრუნდებოდა, თავისი წილი ლანძღვა-თათხვის მისაღებად, მერე კი ნებას აძლევდა ისე დაეყვავებინა და მოალერსებოდა, როგორც ეს მხოლოდ და მხოლოდ მას შეეძლო და მეტს არავის.

მერე ის იყო, რომ ლამის სული გააფრთხობინეს.

კანია-კუმარიში გაემგზავრა გადაღებებზე: კომორინის კონცხის მიდამოებში, სამი მხრით აფოფრილი ოკეანით გარშემორტყმულ რომელიღაც კლდის ქიმზე იღებდნენ სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლის სცენას; ერთ ჯერზე, ჯაბრაილს მოწინააღმდეგის ხელის მოქნევა სრულიად უდროო დროს გამოეპარა და მაღლიდან, შიგ აქაფებულ ტალღებში მოადინა ზღართანი.

თავისით ვეღარც გამოცურა, გამოიყვანეს.

მაშინ ყველანი მის მეწყვილეს, აყლაყუდა ინგლისელ მუშაითს, ვინმე იუსტას ბრაუნს სდებდნენ ბრალს, ის კიდე უარს იდგა: განა ის არ იყო, ვინაც რომ შტატის მთლად მთავარ მინისტერს

უწევდა პარტნიორობას მის მრავალრიცხოვან სერიალებში? განა მან არ გამოწვრთნა მოხუცი ისე, რომ უსასტიკეს კინოშეხლებშიც კი თითიც არ დაშავებია არასოდეს? არადა, მისგან უცილობლად მისაღებ დარტყმებს ხომ პროფკავშირი არ აღნუსხავდა და ამიტომაც, ყოველ ჯერზე, ამ ერთი შეხედვით საცოდავი მოხუცისაგან სულ ნაგვემი და დასილაქებული ამთავრებდა გადაღებებს! და განა ოდესმე დაუჩივლია? ანთუ კონტროლი დაუკარგავს? აბა, როდის ერთხელ? როგორ იფიქრეთ რომ ჯაბრაილ ფარიშტას - უკვდავთა სწორს, დავუშავებდიო რამეს?!

მაინც არაფერმა გაჭრა, სამუშაოდან დაითხოვეს და პოლიციამაც, ემანდ რა იცი რა ხდებაო და ვირის აბანოში უკრა თავი.

ოღონდ არა ყბაში მიღებული დარტყმისაგან დაშავდა ჯაბრაილი: როცა კინოვარსკვლავი სასწრაფოდ ბომბეის ჰოსპიტალში გადააფრინეს სამხედრო-საჰაერო ძალების კუთვნილი შვეულმფრენით, როცა ათასგვარმა ტესტებმა ვერც ვერაფერი გამოავლინა, ოღონდ სისხლის ანალიზი კი ჯიუტად მიათითებდა ტრომბოციტების საარაკო ნაკლებობაზე, მკურნალი ექიმი ეროვნული მედიის წინაშე წარსდგა მეტად უცნაური განცხადებით: „გაუგონარი ამბავია," - სთქვა მან. - „სრულიად გაუგებარი. ლამისაა, ღვთის ხელის ფათურზე მივიტანოთ ეჭვი..."

ყოვლად გაუგებარი მიზეზით, ჯაბრაილს მთელს შიგანში დაეწყო უწყვეტი სისხლდენა; შიგადაშიგ ფალოსისა და სწორი ნაწლავიდანაც გამოსდიოდა გარეთ და საერთოდ, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, საცაა ყურებიდან, ცხვირიდან და თვალის უპეებიდანაც კი გამოასხამსო. მთელი შვიდი დღე გრძელდებოდა ესეგვარი მდგომარეობა - სისხლის შემდედებელი ყველა ცნობილი საშუალების გადასხმის მიუხედავად, მათ შორის ვირთხის შხამისაც კი, ექიმები იმ დასკვნამდე მივიდნენ რომ უკვე ორ-სამ დღეში ის გაღმა გავიდოდა, მარილზე.

სრულიად ინდოეთი შეკრბა ჯაბრაილ ფარიშტას სარეცელთან. მისი მდგომარეობა ნებისმიერი ახალი ამბების მთავარ თემად იქცა რადიოსადგურებსა თუ ეროვნულ ტელეარხებზე. სამხედრო ჰოსპიტლის მიმდებარე ქუჩებიც კი ისე გადაიჭედა მგლოვიარე ხალხით, პოლიცია იძულებული გახდა ხელკეტები და ცრემლსადენი აირი გამოეყენებინა ბრბოს დასაშლელად, რაც მერე ძალის გადამეტებად ჩაეთვალა, რაკიღა რიცხვით ნახევარ მილიონზე მეტი მუხლმოკვეთილი მოტირალი ისედაც ცრემლებად იღვრებოდა; ქ-ნმა პრემიერ-მინისტრმა ყველა დათქმული შეხვედრა გადადო და მის სანახავად გამოქანდა; მისი ვაჟი, სახელგანთქმული მფრინავი, ფარიშტას სასთუმალს არ მოშორებია და მომაკვდავის უღონო მტევანი ეპყრა ორივე ხელით; მძიმე წინათგრძნობას შეეპყრო ერი და ბერი, რაკიღა თუ ღმერთმა ამგვარი რისხვა მოუვლინა მის რჩეულსა და მიწიერ განსახიერებას, უბრალო და უბირ ხალხს რაღას უმზადებდა? თუკი ჯაბრაილ ფარიშტას გამოასალმებს სიცოცხლეს, თავად ჰინდოსტანი რამდენ ხანს გასტანს ფეხზე? მეჩეთებსა და ათასი ჯურის სალოცავებში სულ სხვადასხვა რწმენის ხალხი ერთად აღავლენდა ლოცვებს - არათუ მხოლოდ მომაკვდავი კინომსახიობის, არამედ უკვე საკუთარი მომავლის თაობაზეც.

და ვის არ მოუნახულებია ამ დროს ჯაბრაილი? ვის არ მიუწერია არცერთი ბარათი, ერთი ზარიც არ გაუშვია, ყვავილების არცერთი თაიგული არ გაუგზავნია მისთვის? მაშინ როცა მისი ურიცხვი საყვარლები მოკითხვის ბარათებსა და ნაირ-ნაირ აღმოსავლურ ნუგბარს უგზავნიდნენ ყოვლად უსირცხვილოდ, მათ შორის მისი ყველაზე მეტად მოსიყვარულე არსად ჩანდა, რადგან საკუთარი მეუღლისა და ოჯახის ღირსებას ედგა სადარაჯოზე, ეგ იყო და ეგ. რექჰა ფარდაგოსანმა რკინის ურდულით გადაკეტა თავისი გული, დღეებს ბავშვებთან ურთიერთობასა და ქმართან მიმოწერაში ატარებდა, ხანაც მის წარმომადგენლადაც

კი ჩნდებოდა ადგილობრივ საქმიან წრეებში, მაგრამ აროდეს - თუნდაც იოტისოდენად არ უჩვენებია ვინმესთვის საკუთარი სულიერი განადგურება.

საბოლოოდ, ფარიშტა მაინც გამოჯანმრთელდა.

ოღონდაც, ეს გამოჯანმრთელებაისეთივე იდუმალებით მოცული გახლდათ, როგორიც თავად ავადობა და ასევე სწრაფი. დასტაქრებმა, ჟურნალისტებმა თუ მეგობრებმა ესეც ერთხმად აღიარეს უზენაესის ნების გამოხატულებად, ხოლო ხელისუფლებამ საყოველთაო ზეიმის დღეები გამოაცხადა. მაგრამ როგორც კი ჯაბრაილი ფეხზე დადგა, წამსვე ყველასათვის ცხადი გახდა - იგი შეცვლილიყო, და შეცვლილიყო იმდენად, რომ ღვთის რწმენა დაეკარგა.

ჰოსპიტლიდან გამოწერის იმ დილას ჯაბრაილ ფარიშტამ პოლიციის თანხლებით გაჭრა შემოჯარული ზღვა ხალხი, რომელიც ერთდროულად მისსა და საკუთარ გადარჩენას ზეიმობდა, ქუჩის კუთხეში მოყენებულ თავის მერსედესში ჩაჯდა და მძღოლს უბრძანა, ესკორტის მანქანები ჩამოიცილეო. ამას 7 საათი და 51 წუთი დასჭირდა, რის შემდეგაც ჯაბრაილმა უკვე გეგმაც დააწყო, როგორ ემოქმედა. ტაჯ-მაჰალ-ოტელთან გადმოვიდა მანქანიდან და პირდაპირ მის ფართო, ნათელ ჰოლს მიაშურა, სადაც შვედური მაგიდა მუდამ გაწყობილი გახლდათ ათასგვარი აკრძალული კერძებით: შებოლილი ლორით გინდა, ღორის შაშხით, მუჟუჟითა თუ სხვა რამ უცხო და ყოვლად ათეისტური საკვებით; ყველაფერი ეს ბლომად-ბლომად გადაიღო დიდრონ თეფშზე, მერე კი ისეთი სისწრაფით შეუდგა თქვლეფას, კაცმა არ იცის საიდან გაჩენილი ფოტორეპორტიორები ძლივს ასწრებდნენ ამ ამაზრზენი მუცელღმერთობის ფირზე აღბეჭდვას.

ჰოსპიტალში, ლოგინს მიჯაჭვული, ის ყოველ ფხიზელ წუთს უფალს შეჰღაღადებდა - ყოველი ამგვარ წუთის ყოველ წამს: ია-ალაჰ, ვისი უმორჩილესი მსახურიც ახლა სისხლმდინარე წევს ფერხთა შენთა, ნუ დამიტევებ! ია-ალაჰ, მომეც ნიშატი შენი მფარველობისა

და მეც ძალთა ჩემთა მოვიკრებ ავადობის დასათრგუნავად! ღმერთო ჩემო უგულმოწყალესო და ულმობიერესო, ნუ დამიტევებ ჩემი ყველაზე დიდი შეჭირვების ჟამს... მერე უცებ გააცნობიერა, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ სასჯელი თუ იყო მოწევნილ ცოდვათათვის, რომ უნდა დაეთმინა ტკივილი ესე სულიერი და ხორციელი, მაგრამ თან იქვე ბრაზიც მოერია: კარგი რა, - ეუბნებოდა აღმოუთქმელი სიტყვებით, - რისთვის უნდა მოვკვდე, თუკი თავად არავინ მომიკლავს?! ბოლოსდაბოლოს, შენ რა - სიყვარული ხარ თუ ღმერთი მოშურნე? ეს ბრაზი მომდევნო დღესაც გაჰყვა, ოღონდ მერე ჩაინავლა, გაქრა და იგრძნო რომ მხოლოდღა სიცარიელეში მოთქვამდა - ეული და მიუსაფარი, რომ იქ არც არავინ იყო და მაშინ უკვე თავად ამ სიცარიელეს შეჰღაღადა: ია-ალაჰ, იყავი მაინც, ეს ოხერი - გამოჩნდი მაინც! მაგრამ ვერც ვერაფერს გრძნობდა და სულ მალე იმასაც მიხვდა, არც არავისი რწმენა მე არ მჭირდებაო. სწორედ იმ დღეს დაიწყო მისი გარდასახვაცა და გამოჯანმრთელებაც. ახლა კიდე, საკუთარი თავისათვის უფლის არარსებობის დასამტკიცებლად, ქალაქის უსახელგანთქმულეს სასტუმროს ჰოლში იდგა და პირისახე ღორის ქონით ჰქონდა გაზინთული.

მერე თავი ასწია და იმ ქალის თვალებს შეეფეთა, სრულიად მშვიდად რომ მოსჩერებოდნენ. თმა ღია, ლამის მთლად თეთრი ფერისა ჰქონდა, ხოლო მისი ხავერდოვანი, სიფრიფანა კანი მთის ყინულის გამჭვირვალობას გაგახსენებდათ. ქალმა გაუცინა, მერე კი გატრიალდა და წასვლა დააპირა, უდარდელად.

- განა ვერა ხვდები?! - უყვირა, თან ძეხვის ნარჩენები გადმოაფურთხა. - არავითარი მეხთატეხა და ეგეთები! საქმეც ეგაა.

მოუტრიალდა, წინ დაუდგა.

- ცოცხალი ხარ, - უთხრა მშვიდად. - სიცოცხლე დაგიბრუნეს. მეტი რაღა გინდა?

და უთხრა რექჰას: სწორედ იმ წამს, როცა გატრიალდა და წასვლა დააპირა, ვიგრძენი რომ შეყვარებული ვარ. ჰალელუია კონი, მთამსვლელი, ევერესტის დამპყრობი, ქერა იაჰუდანი, ყინულის დედოფალი. ვერანაირად მის გამოწვევას ვერ აღვუდგებოდი წინ: შეცვალე ცხოვრება შენი, თორემ ასე გამოვა, სულ ტყუილად დაგიბრუნესო.

- შენცა და ეგ შენი რეინკარნაციის მიეთ-მოეთები! - თავს უქონავდა რექჰა ფარდაგოსანი. - ტვინის გამოლაყებაა და მეტი არაფერი... სიკვდილის კარიბჭე გამოგივლია, საავადმყოფოდან გამოდიხარ და მაშინვე ეგ მოგდის თავში, ხალხის გასაგიჟებელი რამე გამოხდომა არ მაწყენდაო... და უცბად - თითქოს კოჭი გაგიგორესო - ეგ ქერა ვალკირია არ გეცა თვალში? მოხარშულს გიცნობ, ჯაბო - გინდა რომ ახლა მე შეგინდო ეგ შენი პატარ-პატარა ეშმაკობები, ეგრეა?

- არც მთლად ეგრე. - უთხრა. მერე რექჰას ბინიდან გამოვიდა (ქალი ქვითინებდა, თურანულ ნოხში თავჩარგული) და ფეხიც აღარ დაუდგამს იქ.

სულ რაღაც სამი დღის მერე, რაც უწმინდური ხორცით პირგამოტენილ ჯაბრაილს შეხვდა, კონი თვითმფრინავში ჩაჯდა და სადღაც გაფრინდა. ოღონდ ეს სამი დღე სრულად სასტუმროს ნომერში გაატარეს, კარზე გამოკიდული გაფრთხილებით: ნუ შეგვაწუხებთ. ბოლო-ბოლო იმაზე შეთანხმდნენ, რომ ეს სამყარო არსებობს, ოღონდ მართლა, რომ შესაძლებელი შესაძლებელია, ხოლო შეუძლებელი - არა; ასე ვთქვათ, შეხვედრა მთაში, მოსაცდელ დარბაზში განცდილი წუთიერი სიყვარული, შევხვდით და დავიშალეთ, კარგად მენახე. ეულად დარჩენილი ჯაბრაილი ბევრს ეცადა მისი ნათქვამი ამოეგდო თავიდან, ისევ ჩვეულ ცხოვრებას დაბრუნებოდა: რწმენის დაკარგვა სულაც არ ნიშნავს, რომ აღარც მუშაობა შეგიძლია, და თუმც მისი ღორიჭამიობის ამსახველმა ფოტოებმა ჟურნალ-გაზეთი არ დატოვა მოუვლელი - ეს მის სახელთან დაკავშირებული ჯერ მხო-

ლოდ პირველი ყალილა გახლდათ - მაინც უამრავ ახალ კონ-ტრაქტს მოაწერა ხელი.

და აი, ერთხელაც მისი გორგოლაჭებიანი სავარძელი ცარიელი ნახეს, დერეფანში უპატრონოდ დაგდებული, თავად ჯაბრაილი კი უკვალოდ გაქრა. ახლა ვინმე ისმაილ ნაჯმუდინი, წვერმოშვე-ბული მგზავრი, რეის პ-420-ით მიფრინავდა ლონდონს. ამ ბოინგ 747-ს სამოთხის ერთი ბაღის სახელი დაანათლეს, ოღონდ არა გულისტანის, არამედ ბოსტანის. „ხელახლა რომ დაიბადო, - მოგვიანებით აუხსნა კიდეც ჯაბრაილ ფარიშტამ სალადინ ჩამ-ჩას, - ჯერ უნდა მოკვდე. ჩემი ამბავი კი ეგრეა რომ ორჯერ ნახე-ვარ-ნახევრად მივაბარე სული გამჩენს - ჯერ ჰოსპიტალში და მე-რე თვითმფრინავში, ასე რომ მაინც სრული გამომდის. ახლა კი-დე, ჩამჩავ ჩემო, აგერ ვარ, ლონდონ-ქალაქში, ახლადშობილი, ახალი ცხოვრების მომლოდინე... რაო, ამაზე უკეთესი რა შეიძ-ლება იყოს?“

რატომ გაემგზავრა?

იმ ქალის გამო, მისი ნათქვამის, განახლების, ერთადყოფნის მძვინვარებისა თუ იმ შეუძლებლის დაუნდობელი მოთხოვნის გამო, გულ-ღვიძლს რომ უწვავდა?

და/ან იქნებ: სულაც იმიტომ, ღორის ხორცის თქვლეფამ თა-ვისი საზღაური რომ მოითხოვა - სიზმრები, ეს ღამეული სასჯე-ლი.

3

როგორც კი თვითმფრინავი აფრინდა და ევროპისკენ აიღო გეზი, ხმელ-ხმელმა, ორმოციოდე წლის მამაკაცმა, არამწეველ-თა სალონში რომ მოკალათებულიყო და ფანჯრიდან გველის

ძველი პერანგივით დაგდებულ თავის მშობლიურ ქალაქს დასცქეროდა, წამიერად თავს ნება მისცა შვების გამომეტყველება გაკრთომოდა სახეზე. სახე ესე კი ერთგვარად პატრიციული, მცირეოდნავ თავმომაბეზრებელი სილამაზით გახლდათ აღბეჭდილი - შესქელებული მოგრძო ტუჩები, განაწყენებული ქორჭილასავით დაშვებული უპეები და თვალებსზემოთ მორკალური, წვრილ-წვრილი წარბები ერთობ ქედმაღლურ გამომეტყველებას სძენდა - თითქოსდა მუდმივად ამრეზილად მოცქირალი კაცის იერს. ბ-ნი სალადინ ჩამჩა წლების განმავლობაში, დიდის რუდუნებით იძერწავდა ამ იერსახეს - ზუსტად ისეთს, მის მიზნებს რომ შეეფერებოდა - და ახლა მას როგორც საკუთარს, ისე აღიქვამდა, რადგან საერთოდ აღარც კი ახსოვდა თუ როგორ გამოიყურებოდა მანამდე. მეტიც ითქვას, მან ხმაც კი სახის შესაბამისი დაიყენა: მასში თითქოსდა მიბნედილი, ზარმაცად გაწელილი ხმოვნები ერთგვარ დისონანსად გაისმოდა ხოლმე მკვეთრ თანხმოვანთა ფონზე. ესეგვარი შეპირისპირება სახესა და ხმას შორის, უნდა ითქვას, ერთობ შთამბეჭდავ შედეგს იძლეოდა, ოღონდ მშობლიური ქალაქის ბოლოდროინდელი მონახულებისას - ეს კი მისი ერთადერთი ჩასვლა იყო იქ ბოლო თხუთმეტი წლის მანძილზე (რაიც ჯაბრაილ ფარიშტას კინოაღმასვლის ჟამს ერთი-ერთზე ემთხვეოდა) - მის თავს მეტად უცნაური და შემაშფოთებელი ამბები მოხდა: სამწუხაროდ, ჯერ მისმა ხმამ, მერე კი სახის გამომეტყველებამაც ერთი-ორჯერ გვარიანად დააღალატა.

ეს ყველაფერი კი მაშინ დამეწყო - იხსენებდა თვალებმინაბული და უკვე თითებისთამაშთავგანებებული ჩამჩა იმის იმედით, ეს ჩემი ბოლო, რაღაცნაირად მაინც შემორჩენილი ცრურწმენის გამოვლინება ვერც ვერავინ შეამჩნიაო - მაღრიბიდან მაშრიყის მხარეს რომ გავფრინდი ამ რამდენიმე კვირის წინ. მაშინ ძილ-ბურანში გახლდათ, სპარსეთის ყურის მიმდებარე უდაბნოს თავზე მიფრინავდა და უცნაური ვინმე ეზმანა - შუშისკანიანი უცხოელი, ვისი სახსრებიც ამაზრზენად ეჭახუნებოდა ამ მყიფე გარსს და სალადინს განთავი-

სუფლებას თხოვდა. ჩამჩა ქვას დასწვდა, შუშას დაუწყო ცემა და წამსვე უცნობის დაბზარული, შუშისსაფარიანი სხეულიდან სისხლმა იწყო დენა, ხოლო როცა ჩამჩა უკვე ფრჩხილებით დასწვდა ნატეხების პირს და ტანიდან მათ მოშორებას შეეცადა, შუშისკაცს კივილი აღმოხდა, ვინაიდან ნატეხებს მისივე ხორცის ნაფლეთები მოყვებოდა თან. სწორედ ამ დროს, გამყოლი გოგონა დაიხარა ძილ-ღვიძილში მბორგავი მგზავრისაკენ და ამ მოდგმისათვის დამახასიათებელი, შეუბრალებლად სტუმართმოყვარე ხმით დაეკითხა: დასალევს ხომ არაფერს ინებებთ, სერ? და ავ ზმანებებს ახალთავდაღწეული სალადინიც, რატომღაც, იმ მუმბაური კილოკავით გაეპასუხა, ამდენი ხნის განმავლობაში (და ასე გულმოდგინედ!) რომ ცდილობდა აღმოეფხვრა საკუთარი უნარჩვევებიდან:

- აჰ-აა! რა მინდაო?! - წაიბურტყუნა შეჩქვიფებულმა. - რაის დასალევი?

ხოლო როცა იმან დაარწმუნა - ნებისმიერი მოგვეძევება და თან - სრულიად უფასოდო, ჩამჩას კვლავ ჩაესმა საკუთარი პირიდან ამოსული ეს მოღალატური კილოკავი:

- კაი ბატონო... ერთი განზავებული ვისკი, შემოგევლე.

მაგარი უსიამო მოულოდნელობა კი გახლდათ! თავს შეუძახა, წელში გაიმართა და ყურადღებაც არ მიუქცევია ვისკისა და არახისის მარცვლებისათვის. როგორ მოხდა, მისი წარსული ასე უგვანად რომ ამობუყბუყდა ხმოვნებისა და სიტყვათქმნადობის ამ სიმახინჯეში? და აწი რაღა? იქნებადა ქოქოსის კაკლის ზეთით თმების თხიპნასაც მიჰყოს ხელი? და მერე იქნებ ცხვირის თითებით მოხოცვა თუ ორ წინა კბილს შორის პურჭყებაც დაიწყოს? ანდა სულაც ჭიდაობის თავგადაკლულ გულშემატკივრად იქცეს? კიდევ რა დამცირება-თავმოყივნება ელოდა წინ? კარგად უნდა სცოდნოდა, რა შეცდომასაც სჩადიოდა შინ, უკან გამგზავრებისას - ამდენი წლის მერე, ამას მხოლოდღა დაკნინება თუ შეეძლო

გამოეწვია მის არსებაში! ღმერთმანი, სრულიად არაბუნებრივი ნაბიჯი იყო, დროის მდინარების წინააღდგომა, ისტორიული დიალექტიკის უარყოფა - მოკლედ, სრული მარცხის მომასწავებელი.

ჩემს თავს აღარც ვეკუთვნი, - გაიფიქრა მწარედ. les acteurs ne sont pas des gens, როგორც ამტკიცებდა ის მამალი ღორი ფრედერიკი მარსელ კარნეს ფილმში Les Enfants du Paradis. ნიღბები ნიღბებქვეშ და უცებ - შიშველი, სისხლდაწრეტილი თავისქალა.

სალონში უსაფრთხოების ქამრების გაკეთების მომთხოვნი ნათურა აინთო, მთავარი მფრინავის ხმამ კი ყველა გააფრთხილა, ტურბულენტობის ზონაში შევდივართო. თვითმფრინავი საჰაერო ორმოებზე ხტუნვას მოჰყვა. უდაბნო ირხეოდა მათ ქვემოთ, და ვიღაც ყატარელი მიგრანტი შავი მუშაც თავის ვეება ტრანზისტორს ჩაებღაუჭა, სარწყევად თავგადადებული. ჩამჩამ ისიც შეამჩნია, ჯეელს რომ ქამარი არ შემოერტყა და ჩვეული, ქედმაღლურ-ინგლისური კილო გამოურია ხმაში:

- მისმინეთ, არ ჯობია... - წამოიწყო და თავად უჩვენა, როგორ ჩაეკეტა ქამრის ბალთა. ოღონდ იმ საცოდავმა, სალადინისავე მიერ დროულად მიწოდებულ ქაღალდის პაკეტში რომ ასაქმებდა, თავი გააქნია, მხრები აიჩეჩა და ასე გაეპასუხა თავის კეთილისმყოფელს:

- განა რა საჭიროა, ეს ყველაფერი, საჰიბ? თუ ალაჰი ინებებს, მოვკვდები და თუ არა - არა... ეს რაღაც უსაფრთხოების ქამრები ვის რაში დაკარგვია?

წყალწაღებული ინდოეთი... - ბურდღუნებდა სალადინ ჩამჩა, თან ცდილობდა, სავარძელში გემრიელად მოკალათებულიყო. - წყალსა და მეწყერს წაუღია ყველაფერი! მე ხომ მაინც დავუსხლტი მის კლანჭებს და აწი ვეღარც ვერაფერი ჩამითრევს ემაგ ჭაობში...

* * *

იყო და არა იყო რა, - როგორც ამბობენ ხოლმე - ღვთის უკეთესი რა იქნებოდა? ან იქნებ სულაც არ ყოფილა არაფერი, ოღონდ ერთი კია რომ მავანმა ბიჭმა, მუმბაის სქენდალ-პოინტის უბანში, ზედ ქუჩის პირას, საფულე იპოვა. ჯერ სულ რაღაც ათი წლისა გახლდათ, სკოლიდან ბრუნდებოდა და ოღრო-ჩოღრო გზაზე სასკოლო ავტობუსში ნაჯაყჯაყევს, ოფლში გახვითქულ და ყელის ჩახლეჩამდე მოყაყანე თანაკლასელებში ჩაჭედილ-ჩაბეყვილს, მცირეოდნავი გულზიდვაც ერეოდა. ოღონდაც, როგორც რომ თვალი ჰკიდა ტყავის საფულეს, გულზიდვამაც მსწრაფლ გაუარა - დასწვდა, გახსნა და თავის გულის გასახარად, აღმოაჩინა რომ ფულით იყო გატენილი; თანაც, უნდა მოგახსენოთ რომ არა მხოლოდ რუპიებით, არამედ ნაღდი, ნამდვილი ფულით - ყველა შავ ბაზარსა თუ საერთაშორისო სავალუტო ბირჟებზე ფრიად და ფრიად მისაღები გირვანქა-სტერლინგებით, ანუ - სწორედაც რომ ცხრა მთასა და შვიდი ზღვის მიღმა, ღვთივკურთხეულ ვილაიეთს მდებარე ლონდონ-ქალაქში დასტამბული ქაღალდებით! ესეგვარი სიმდიდრით თავბრუდახვეულმა, ჯერ მაინც იქითაქეთ მიმოიხედა - ემანდ ვინმე ხომ არ მითვალთვალებსო და წამით მოეჩვენა კიდეც, რომ ცისარტყელა დაადგა თავს, ანგელოსის სუნთქვა მიელამუნა თმაზე, პასუხი ერგო ყოველი აღვლენილი ლოცვის წილად... თითები უკანაკლებდა, როცა ცდილობდა, კვლავ დაეკეტა საგანძური.

- აქ მომე!

ამის მერე კიდევ კარგა ხანი ასე ეგონა ბიჭს, მამაჩემი სულ კვალში დამდევსო, რადგან თუმც ჩინგიზ ჩამჩავალას ზორბა, მოსული კაცი ეთქმოდა (მის სიმდიდრესა და საზოგადოებრივ მდგომარეობაზე აღარას ვამბობ), არც ფეხის სიმარდე დაეკარგა და არც სურვილი, ყველგან და ყველაფერში თვალი ედევნებინა შვილისთვის; ის კი არადა, ერთხელაც ვითომ მძინარე სალაჰუ-

დინს წამოეპარა, საბანი გადააძრო და საკუთარ ასოზე ხელჩავლებულსაც კი წაასწრო. ფულს რაც შეეხება, კილომეტრზე იკრავდა ხოლმე მის სუნს - და ეს იმის მიუხედავად, თავად რომ მუდამ ასდიოდა ქიმიკატებისა და ათასგვარი სასუქის ყროლი, რაკიღა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შესასხურებლების, თხევადი შესაწამლებისა და ხელოვნური სასუქების ერთი უდიდეს მწარმოებელთაგანი გახლდათ მთელს ინდოსტანში. და აი, სწორედ ეს ჩინგიზ ჩამჩავალა, ფილანთროპი, ქალთმოყვარე, საარაკო პიროვნება და ეროვნული მოძრაობის ცოცხალი გმირი, ახლა საკუთარი სახლის კარიბჭიდან გამოვარდა, რათა საფულე წაეგლიჯა საკუთარი შვილის ხელიდან.

- აბა, აბა, რა წესია ქუჩაში ნაგდები ნივთების კრეფა! - ამუნათებდა, თან კიდე ასე ჰარამად ნაშოვნ ფულს იტენიდა ჯიბეში. - ქვაფენილი ხომ ჭუჭყიანია და ეს ხელის ჭუჭყიც კიდე - მასზე უარესი!

სანდალოზის ხის პანელებაკრულ მის კაბინეტში, „ათასერთი ღამის“ რიჩარდ ბარტონისეული თარგმანის ათტომეულის გვერდით (რომელთაც რომ, ბევრ სხვათა მსგავსად, ჭია გასჩენოდათ და ობიც გვარიანად მოკიდებოდათ, რაკიღა პატრონი მათი ფრიად აუგად გახლდათ განწყობილი ამგვარი რამეების მიმართ და ათასობით მხოლოდ იმიტომ ინახავდა, წაუკითხავად ჩაელპო ნახჭეებიან კარადებში) ჯადოსნური ლამპარი ედგა - ალადინის პირადი ჯინთამპყრობელის ავატარა, გაპრიალებულ-გაშანდაკებული, ლამის იყო, აქეთ რომ ითხოვდა ხელის გადასმას. ოღონდაც არც თავად ჩინგიზი შვებოდა ამას და არცა სხვას - თუნდაც საკუთარ შვილს რთავდა ნებას. „ეგ დღეცდადგება,“ - არწმუნებდა ხოლმე - „როცა ესეც შენს საკუთრებად იქცევა და მერე მიდექი და ხეხე რამდენიც გაგიხარდება - მაინც ვერაფერ ხეირს ვერ ნახავ... ჯერ კი მაინც ჩემია და მორჩა, თითიც არ უნდა დააკარო!“

ამგვარმა დაპირებამ ჩამჩავალა-უმცროსი იმ საზრისით გამსჭვალა, რომ ერთ მშვენიერ დღესაც ყველა მის უბედობას ერთბაშად მო-

ევლებოდა და ყველა მისი ფარული ნატვრაც აღსრულდებოდა - მხოლოდ მოცდა იყო საჭირო; მაგრამ როცა მისთვის, უშუალოდ მისთვის და არა მამამისისთვის გაკრთა ჯადო-ცისარტყელა, ჩამჩავალა-უფროსმა კი თვალსა და ხელსშუა ააცალა საბოძვარი, ბიჭი დარწმუნდა - მამამისი აროდეს შეეშვებოდა, მუდმივად ძირშივე ამოძირკვავდა ყველა მის იმედსა თუ მცდელობას, და ამიტომაც გადაწყვიტა ოკეანის მიღმა გადახვეწილიყო, მთები და უდაბნოები ჩაედგა მასსა და ამ დიდზე-დიდ კაცს შორის.

ცამეტი წლისა რომ შეიქნა, იაზრა - მხოლოდ და მხოლოდ ვილაიეთის გრილი ჰავისთვის იყო გაჩენილი, ტკიცინა გირვანქა სტერლინგების დედასამშობლოში საცხოვრებლად - ამაზე ხომ თავად იმ საფულემ მიანიშნა - და ისიც სულ უფრო და უფრო მეტი თავგამოდებით ცდილობდა დასხლტომოდა მტვრითა და წუმპეებით, გამყივანი ხმებით, შორტებიანი პოლიციელებით, ტრანსვესტიტებითა და ჭყეტელ-ჭყეტელა კინო-ჟურნალებით, ზედ გზების პირას მხვრინავი უსახლკაროებითა და სახელგატეხილი, ქალღმერთ იელამას მხევლებად დამწყები და მერე და მერე, ბევრად უფრო ხორციელი ტაძრებსა შინა მომღერალ-მოცეკვავე კახპებით სავსე ამ ბომბეი-მუმბაის. ყელში ჰქონდა ამოსული მაუდ-კამვოლის მწარმოებელი ფაბრიკები და ადგილობრივი რკინიგზა, ხალხმრავლობა და ამავე ხალხის თავსმოუბმელობა - მოკლედ, ერთი ნატვრაღა ჰქონდა: ვილაიეთის მხარე, სიმშვიდისა და აუღელვებლობა-აუმღვრევლობის ქვეყანა, მორჩა და გათავდა! მისი საყვარელი თამაშის, დახუჭობანას დროსაც კი, კედელთან მიმდგარი კი არ ითვლიდა რიცხვებს, არამედ იმ ექვს ასოს იმეორებდა შელოცვასავით, რომლისაგანაც მისი საოცნებო ლონდონ-ქალაქის სახელწოდება შედგებოდა: ელ-ოუ-ენ-დი-ოუ-ენ = ლონ-დონ...

სალაჰუდინ ჩამჩავალას გარდასახვა სალადინ ჩამჩად, როგორც ცხადი ხდება, ჯერ კიდევ ძველ ბომბეიში დაიწყო, ბევრად

ადრე, ვინემ ის ტრაფალგარის ბრინჯაოს ლომების ბდღვინვას მოჰ-კრავდა ყურს. როს ინგლისის ნაკრები ინდოეთს ჩამოდიოდა ხოლ-მე, ადგილობრივებთან კრიკეტში გასაჯიბრებლად, ბეიბორნის სტა-დიონზე მისული სალადინი ინგლისის გამარჯვებას შესთხოვდა ზე-ცას - ამა თამაშის მამამთავრების ზეობას ადგილობრივ წამხედუ-რებზე, რათა არსთა შესაბამისი წესი და რიგი დაცულიყო (ოღონ-დაც, სტუმრების დამრტყმელ-მიმწოდებელთა თავსდატეხილი ტრო-პიკული ძილქუშის გამოისობით, თამაში მუდამ ფრედ მთავრდებო-და ხოლმე და ესე დავაც - შემოქმედისა მიმბაძველთან, დამპყრობ-ლისა - დამორჩილებულთან, ისევ გადაუჭრელი რჩებოდა).

ცამეტი წლისა ის უკვე თავისი აიას, ანუ - გადიის გაფაციცებული მეთვალყურეობის გარეშეც ერთობოდა ხოლმე სქენდელ-პოინტის კლდეებს შორის. ერთხელაც ნება-ნება გამოემართა ჯერ სახლიდან - ფარსის სტილში ნაგებ დიდ, ალაგ-ალაგ ბათქაშჩამოცვენილ, ერ-თიანად კოლონებით, გრეხილი კაკლის ხის დარაბებითა და პაწია აივნებით მორთულ-მოკაზმული შენობიდან, მერე ბაღი გადაჭრა - მამამისის სიხარული და სიამაყე, საღამოურ ბინდ-ბუნდში უსასრუ-ლო რომ გეჩვენებოდა კაცს (და ერთობ იდუმალიც, ამოუცნობიც, რაკიღა არავის - არც მამასა და არც დაქირავებულ მებაღეს - არ ძა-ლუძდათ ყველა აქ დარგულ ხეთა თუ ყვავილთა დასახელება), და მთავარი კარიბჭის გავლით - ესეც ერთის ახირება რამე გახლდათ - რომში, ფორუმის სიახლოვეს აღმართული, სეპტიმუს სევერუსის ტრიუმფალური თაღის ალი-კვალი, იქიდან კიდე - ქუჩაბანდების რია-რიასა და პირსის ჩავლით და მთლად სულ ბოლოს - ნოტიო შა-ვი კლდეებითა და პატარ-პატარა ყურეებით მოფენილ სივრცეში ამოყოფდა თავს. აქ უკვე ქრისტიანული წესით მონათლული, ევრო-პულ კაბებში გამოწყობილი გოგონების კისკისი ისმოდა, ქოლგას დაყრდნობილი მამაკაცები კი ჩუმად იდგნენ, ცისკიდურის სილურ-ჯეს თვალმიშტერებულნი. თუმცა, არც მხოლოდ ეგენი - ორი, გვერ-დიგვერდ ამოშვერილი კლდის ღიობში სალაჰუდინმა დჰოტით მო-

სილი კაცი დალანდა, მიქცევის შედეგად დარჩენილ გუბურას რომ ჩასცქეროდა. კაცმა თითქოს მისი მზერა იგრძნოო, თვალი თვალში გაუყარა და თითით მოიხმო, მერე კი იგივე თითი მიიდო ტუჩებზე. მერე - სსუ-უ, სსუ-ო, - დაუსისინა და ბიჭიც მონუსხულივით მიუახლოვდა უცნობს. ძვალტყავა ვინმე იყო, ცხვირზე სპილოს ძვლის სათვალე დაეკოსებინა, დჰოტი ქარში უფრიალებდა. მოკაუჭებული თითით კვლავ უხმობდა: ახლო მოიწიო. სალაჰუდინი გვერდით დაუდგა, იმან კიდე, მოულოდნელად, ცალი ხელი პირზე ააფარა, მეორეთი კი მისას დასწვდა და აიძულა, ამ თავის გაჩხინკულ ფეხებშორის გამოკიდული ადრეკილა ჩაებღუჯა. სალაჰუდინს არც არასოდეს შეეძლო ვინმესთვის წინააღმდეგობის გაწევა; ის ქნა, რის ქმნასაც აიძულებდნენ, მერე კი უცნობმა უბრალოდ, ზურგი აქცია და თავის გზას დაადგა.

მას მერე სალაჰუდინს იმ კლდეებისაკენ აღარც გაუხედავს; მეტიც, მომხდარზე სიტყვაც კი არავისთან დასცდენია: იცოდა რა ვაი-ვიშსაც ატეხდა დედამისი და მამას კიდე, ვაითუ აქეთ დაედო მისთვის ბრალი. ახლა ისე ეჩვენებოდა, თითქოს ყველაფერი უსასიზღრესი- ყველაფერი ის, რაც მის მშობლიურ ქალაქში აუტანლად მიაჩნდა - ამ გაძვალტყავებული უცნობის შეხებაში გარდაისახა და უკვე არამარტო იმ უცხოკაცის მოგონება უნდა ამოეგდო თავიდან, არამედ ან თავად ბომბეის უნდა გაქცეოდა, ან არადა - თავი მოეკლა. ბოლოს ეს აზრი უკვე აჩემებადაც კი ექცა: ჭამდა-სვამდა-ისაქმებდა, სულ ერთი იყო - საოცრება უნდა მოეხდინა, თუნდაც მამამისის იმ სანათის გარეშე. ხშირ-ხშირად ეზმანებოდა ხოლმე, თითქოს ფანჯრიდან ამ ჩამყაყებულ ბომბეის კი არა, ღვთივკურთხეულ ლონდონ-ქალაქს გადაჰყურებდა, ბიგბენ-ნელსონსვეტ-სისხლიანტაუერ-ლორდთატავერნა-დედუფლისა სამფლობელოზედ დაჰფრენდა ზემოდან, ოღონდაც როს ამა დიადი მეტროპოლისის თავზე ირაოს კრავდა, უცებ იგრძნო - სიმაღლეს ვკარგავო და რამდენიც არ იქნევდა ხელ-ფეხს, ნელი-

ნელ მაინც ქვევით-ქვევით იწევდა, ხვეულად, მიწისკენ, მერე უფრო და უფრო სწრაფად, თავით ქალაქისკენ - წმინდაპავლეს, პუდინ-გლეინსა და თრედნიდლსრიტს დამიზნებული ყუმბარასავით...

***

ერთხელაც, შეუძლებელიც მოხდა და მამამისმა - მოწმენდილ ცაზე დაქუხებასავით - შესთავაზა, ინგლისს გაგაგზავნი განათლების მისაღებადო. ჩემი თავიდან მოშორება გადაუწყვეტია, აქ ფეხებში რომ არ ვებლანდებოდე, - გაიფიქრა. - ან რა ძნელი მისახვედრი ეგაა, ტყუილმა თავი მალაო... ოღონდაც, ნაჩუქარ ცხენს ხომ და ა. შ. და ა. შ. დედამისს, ქ-ნ ნასრინ ჩამჩავალას ამ ამბავზე წვეთი ცრემლი არ დაუღვრია, მაგიორში, მთლად ჭკუა-დარიგებებად იქცა:

- სულ ამ ფეთხუმ ინგლისელებსაც ნუ დაემსგავსები, - მოძღვრავ-და ვაჟიშვილს. - ეგენი წყალზე უმძრახად არიან, მხოლოდღა ქა-ღალდით იხოცავენ უკანალს... და არც სხვისი ნაბანი წყლით გამოვ-სებულ აბაზანაში შესვლაზე არიან უარს.

ცხადი იყო, დედამისი მხოლოდ იმიტომ აფრქვევდა ამისთანა ცი-ლისწამებებს, იქნებადა გამგზავრება გადავაფიქრებინოო და ერ-თმანეთისადმი დიდი სიყვარულის მიუხედავად, სალაჰუდინმა ამ-გვარი პასუხი გასცა:

- აბა რა უნდა გელაპარაკო, ამი! ინგლისი - დიადი ცივილიზაციის ქვეყანაა, შე მართლა სოფლელო შენა!

დედამისმა კი მხოლოდ ჩაიღიმილა, მცირეოდნავ ნერვიულად, და აღარც შეკამათებია. ოღონდ მერე, თვალმშრალი რომ იდგა იმ ტრიუმფალური თაღის ქვეშ, კარიბჭესთან, იმას იქით აღარც გაუცი-ლებია ერთადერთი შვილი. არადა, იმდენი გალა-გალა ყვავილები ჩამოაცვა კისერზე, რომ ბოლოს თავბრუც კი დაეხვა დედობრივი სიყვარულის ამ მძაფრსურნელოვანი გამოხატულებისაგან.

ნასრინ ჩამჩავალა ქალთა შორის უმყიფესი აღნაგობის მქონედ და უტანმორჩილესადაც კი შეგეძლოთ მიგეჩნიათ - მისი ძვლები ძვირფასი ხის უთხელეს ანათალს მოგაგონებდათ და ბუნების ამ

უსამართლობას იგი ადრეული ასაკიდანვე ებრძოდა - ისე იცვამ-იხურავდა, ბრმაც კი გამოარჩევდა რაგინდარა ხალხში: მისი მჭახე-ლიმონისფერი აბრეშუმის სარის მოხატულობას არათუ თვალშისა-ცემი, თვალისმომჭრელიც კი ეთქმოდა - დიდ-დიდი, ოქროქსოვილი ბრილიანტებით მოსირმული, ოპ-არტის შავ-თეთრი ნახჭეებით გაწყობილი, ვითომ ნაკოცნის ალისფერი ანაბეჭდებით მოფენი-ლი სპეტაკად თეთრ კალთებზე... ოღონდაც ყველა უსიტყვოდ პა-ტიობდა ესეგვარ ჩხიკვობანას, რაკიღა ნებისმიერ ამისთანა სა-მოსს იგი ისე უმანკოდ და უცოდველად ატარებდა, რომ ფერთა თუ ნაკერ-ნაქსოვის ეს კაკაფონია სრულიად დაბალ ხმაზე, შეიძ-ლება ითქვას, მოგუდულადაც კი მოისმოდა და თან - ალალ-მარ-თლად; და კიდევ - მის მიერვე გამართული წვეულებების გამოი-სობითაც:

გათხოვების მერე, ყოველ პარასკევს, ქ-ნი ნასრინი ჩამჩავა-ლათა სამყოფელს - სხვა დღეებში უქმად გამოცარიელებულ, ჩაბნელებულ ოთახ-დარბაზებს - უცილობლად ბრიალა სინათ-ლეებითა და ოდნავ დამორცხვებული მეგობარ-ნაცნობებით ავ-სებდა. როცა სალაჰუდინი ჯერ მთლად პატარა იყო, წესად და-იდო ერთგვარი მსახურთუფროსის როლი ეტვირთა - ძვირფასად მორთულ-მოკაზმულ, დაბრიოლინებულ სტუმრებს მედიდური გამომეტყველებით ეგებებოდა და თქვენ წარმოიდგინეთ, ნება-საც კი რთავდა, თავზე გადაესვათ ხელი და ენისმოჩლექით, ათასგვარი საალერსო სიტყვებით მიემართათ მისთვის. სწორედ პარასკეობით, სახლი ერთიანად ახმაურდებოდა ხოლმე: მუსი-კოსები გინდა, მომღერლები, მოცეკვავეები... „რადიო-ცეილო-ნის“ ტალღაზე მომართული მიმღებიდან სულ-სულ უკანასკნელ-ზე-უკანასკნელი ჰიტ-ჰანგები მოისმოდა, თოჯინების თეატრში კიდე, შეფერილი თიხის რაჯები ცხენჯოხებზე შემომსხდარიყვნენ და წყევლა-კრულვის ამოძახილით, ხის ხმლით წაასოსნინებ-დნენ ხოლმე თავს მტრის ასეთსავე ცხენოსნებს. აი, კვირის სხვა

დღეებში ქ-ნი ნასრინი მთლად მტრედივით დაგოგმანებდა სახლში გამეფებულ ბინდ-ბუნდში - თითქოსდა იმის შიში ჰქონოდა, აქ დასადგურებული მდუმარება არ დავარღვიოო და მის კვალში ჩამდგარი ბიჭიც დაეჩვია ნაბიჯის შემსუბუქებას, რათა სადმე ბნელ კუთხეში მოყუჩებული გობლინისა თუ აფრიდისთვის არ დაეფრთხო ძილი. გარნა ამგვარმა სიფრთხილემაც ვერ დაიცვა ქ-ნი ნასრინ ჩამჩავალა: სწორედ მაშინ უმუხთლა, როცა ყველაზე მეტად უსაფრთხოდ გრძნობდა თავს - ზაფრამ შეიპყრო და სულიც გააცხებინა ფოტოებითა და საგაზეთო სათაურებით აჭრელებულ თავის სარიში გამოწყობილს, მრავალსანთლიანი ჭაღის ნათების ქვეშ, საკუთარივე მეგობრებით გარშემოხვეულს.

* * *

მოკლედ, ყვავილების 10-12 გალათი მკერდდამშვენებული, ათასგზის გაფრთხილებული (გაფრთხილებული, ე.ი. შეიარაღებულიც!) ახალგაზრდა სალაჰუდინი უკვე რეაქტიული Douglas DC-8 თვითმფრინავის სალონში იჯდა და მაშრიყიდან მაღრიბისაკენ მიფრინავდა. წინ ინგლისი ედო, გვერდზე - მამამისი, ჩინგიზ ჩამჩავალა გამოჭიმულიყო სავარძელში, ქვევით და უკან კი სახლი და ბავშვობა რჩებოდა. რას იზამ, დედამისივით, არც მომავალ სალადინს ეხერხებოდა ცრემლების ღვარღვარი.

თავის ამ ორივე საჰაერო მგზავრობისას ის ძირითადად, სამეცნიერო ფანტასტიკას ეძალებოდა ვარსკვლავთშორისი გადაფრენების თაობაზე: აზიმოვის „დაფუძნება“, რეი ბრედბერის „მარსის ქრონიკები“ და სხვა ამდაგვარი. ეს DC-8 ახლა მართლა ერთგვარ დედახომალდად წარმოედგინა, რომელსაც ღვთისა და ადამიანთა რჩეულნი გადაჰყავდა უკიდეგანო სივრცეში: ასე ვთქვათ, ევგენიკის

მეშვეობით გამოყვანილ თაობათა მოგზაურობა, რომელთა შთამომავლებსაც ახალი ცხოვრება უნდა დაეთესათ სადმე ახალ, მშვენიერად თავაწყვეტილ სამყაროში, ყვითლად მანათობელი მზის ქვეშ... და იქვე შეუსწორა კიდეც საკუთარ თავს: დედა-ხომალდი არ გამოდგება, „მამა-ხომალდი“ უნდა იყოს, რადგან აგერ არ მიზის ეს დიდი კაცი, ჩემი აბუ, მამაჩემიო? ცამეტი წლის სალაჰუდინს (ჯერაც სალაჰუდინს) თითქოს გულიდან გადაყროდა ყველა წყენა თუ ეჭვი და ისევ ბავშვურად აღმერთებდა მამას; არადა, ხომ ჰქონდა კიდეც ამის საბაბი - ის მართლაც დიდებული ვინმე იყო - მანამ სანამ საკუთარ გონებას არ გამოწვრთნი, მერე კი მასთან კამათს უკვე მისი შენდამი გამოჩენილი სიყვარულის ღალატი დაერქმევა, ოღონდ ახლა ამას აბა რა მნიშვნელობა აქ, ბრალს მხოლოდ იმაში ვდებ, რომ უზენაესად მექცა, და მერე რაც მოხდა, ამას უკვე რწმენის განდგომა ჰქვია... დიახ, ეს მამა-ხომალდი უკვე მფრინავი საშო კი არა, ლითონისაგან ნაჭედი ფალოსი გახლდათ, ხოლო მგზავრები - გადმოსასხმელად მზადმყოფი სპერმატოზოიდები.

ხუთნახევარი საათის განსხვავება დროის სარტყლებს შორის; ბომბეიში რომ შენი მაჯის საათი უკუღმა გაიკეთო, ლონდონურ დროს გიჩვენებს. მამაჩემს, - ბრძნობდა ჩამჩა წლების მერე, განსაკუთრებით ძლიერი დარდი რომ შემოაწვებოდა ხოლმე, - იმაში ვდებ ბრალს, დრო რომ უკუღმა ამომიტრიალა.

და რა მანძილი დაფარეს? ხუთნახევარი ათასი პირდაპირი ხაზით. ანუ: ინდოელურობიდან ინგლისუროვნებამდე, გაუზომავი მანძილია. მეორეს მხრივ, არც ისე შორია, რამე რომ იყოს: აკი ერთი დიდი ქალაქიდან აფრინდნენ და მეორეში დასხდნენ! ქალაქებს შორის მანძილი კი მუდამ მცირეა ხოლმე - აი, გლეხი რომ ქალაქის გზას დაადგება თავისი სოფლიდან, ბევრად მეტი უშენი ადგილებისა თუ მთელი სივრცეების გადაკვეთაც კი უწევს.

სწორედ ამ დროს კი ჩინგიზ ჩამჩავალას, შვილის შეუმჩნევლად, ორთავ ხელის თითები გადაეჯვარედინებინა და ცერებს კი წაღმა-უკმო ატრიალებდა.

მერე, როცა სასტუმროში გაჩერდნენ, სულ რაღაც რამდენიმე ნაბიჯის სავალზე ტაიბორნის ხიდან, ჩინგიზმა ასე მიმართა შვილს:

- აჰა, აიღე - ეს უკვე შენია.

ხელით კი შავ საფულეს უწვდიდა, რომლის წარმომავლობაში ეჭვის შეტანა არ იქნებოდა.

- აიღე, აიღე - უკვე კაცი ხარ.

როგორც ყოველთვის, ადრე ჩამორთმეული საფულის ასე დაბრუნება და თანაც მთელი შიგთავსით, ჩინგიზ ჩამჩავალას კიდევ ერთი ხრიკთაგანი აღმოჩნდა. სულ ასე იცოდა ხოლმე და სალაჰუდინიც ყოველ ჯერზე ხელახლა ეგებოდა ანწუხზე: როცა შვილის დასჯა სურდა, ის ჯერ რაიმე საჩუქარს შესთავაზებდა - ვთქვათ, შოკოლადის ფილას ან საგანგებო ყველის ნაჭერს, მერე კი თვალსა და ხელს შუა ააცლიდა. „ასეა, ჩემო“ - დასცინოდა კიდეც, - „უფასო ყველი მხოლოდ სათაგურშია, კარგად დაიხსომე!“

და ახლაც, როცა სალაჰუდინმა მამაკაცად შერაცხვის ნიშნად მიირქვა ეს საბოძვარი, მამამისმაც არ დაახანა:

- ახლა უკვე დიდი ხარ, მთლად კაცი და მოხუც მამაშენზე ზრუნვა მოგიწევს. ასე რომ, სანამ ლონდონში ვართ, ფულსაც შენ იხდი.

1961 წლის იანვარი იდგა. შეგეძლოთ ეს ციფრი გადაგეტრიალებინათ და - საათისაგან განსხვავებით - მაინც იგივე რიცხვს მიიღებდით. მართალია, ზამთარი იყო და თოვდა კიდეც, მაგრამ კანკალმა რომ აიტანა სასტუმროს ნომერში, სალაჰუდინ ჩამჩავალას ეს იმიტომ კი არ მოსვლია, თითქოსდა გათბობა გამორთულიყოს - არა, უბრალოდ, შიშმა დარია ხელი: ეს მისი ოქროთი სავსე ქოთანი ახლა ბოროტი ჯადოსანის წყევლად უჩანდა.

საქმე ის გახლდათ, რომ სკოლაში წასვლამდე დარჩენილი ის ორი კვირა წამდაუწუმ ფულის თვლისა და დაანგარიშება-გამოთ-

ვლების ჯოჯოხეთად ექცა, რაკიღა ბ-ნმა ჩინგიზმა რაც თქვა, სწორედაც რომ იმასვე გულისხმობდა, ანუ - ერთხელაც არ გაუკრავს ჯიბეზე ხელი. სალაჰუდინს თავად უნდა შეეძინა თავისთვის ტანსაცმელი (ვთქვათ, ორმკერდიანი ლურჯი ბლეიზერი და შვიდი ლურჯსავე ზოლებიანი თეთრი პერანგი ვან-ჰოიზენისაგან, ცვლადი საყელოებით, რომელთა ტარებასაც ჩინგიზი უცილობლად ითხოვდა - საკინძეების ხმარების მისაჩვევად, და საბრალო სალაჰუდინს ეჩვენებოდა, ბლაგვი დანით მისერავენ ყანყრატოსო); იძულებული იყო თვალი ედევნებინა, სასტუმროს ქირა დროზე გადაეხადა და სხვა რამეზე ზედმეტი ერთი პენიც არ დახარჯოდა - ვთქვათ, თუნდაც კინოში წასვლაზე, თუნდაც ერთადერთი ფილმის - „წმ. ტრინიანის ჯოჯოხეთის“ სანახავად; ანდა - რომელიმე პაწია ჩინურ რესტორანში ესადილათ, ერთხელ მაინც. შემდგომ წლებში ის ვერაფერს გაიხსენებს იმ პირველი ორი კვირიდან, თავის საოცნებო „ელოუენდიოუენში“ რომ გაატარა - სტერლინგების, შილინგებისა და ასეულობით პენის თვლის გარდა, ანუ - სწორედ ის მოუვა, რაც მეფე-ბრძენ ჩანაკიას მოწაფეს დაემართა, როცა მასწავლებელს დაეკითხა, რას ნიშნავს იცხოვრო ამქვეყნად და არ კი მყოფობდე მასშიო და პასუხად ამგვარ დავალებას გამორჩა: გაპიპინებული დოქი შემოიდგი თავზე, მერე კი მოზეიმე ბრბოში ისე გაატარე, წვეთიც არ გადმოგეღვაროსო; უკან მიბრუნებულმა, ზეიმის მსვლელობაც კი ვერ აღწერა - საერთოდ ვერც შეემჩნია ვერაფერი, თვალისჩინდაკარგულივით, ამ თავზე შემოდგმული დოქის გადამკიდეს. ბ-ნი ჩინგიზ ჩამჩავალა კი მთელი ეს დღეები მართლაც რომ ბატონკაცურად იქცეოდა: ასე ჩანდა, თითქოს არც ჭამა-სმის საკითხი აღელვებდა და არც საქმე არაფერი ქონდა; იჯდა სასტუმროს ნომერში და ტელევიზორს მიშტერებოდა (განსაკუთრებით ფლინტსთოუნების სერიას ვერ წყდებოდა - მსახიობი ვილმა-ბიბი ჩემს ნასრინს მაგონებსო, აუხსნა შვილს). ბიჭი ბევრს ეცადა თავისი

ზრდასრულობა დაემტკიცებინა და ტოლი არ დაედო მისთვის ამ უცნაურ შიმშილობაში, ან იქნებადა დაეჯაბნა კიდეც, მაგრამ ნებისყოფამ დააღალატა და როცა კუჭმა მთლად ცანცალი დაუწყო, იაფიან სამიკიტნოში გადაირბინა იქვე ახლოში, სადაც მაყალზე ვარიკები იწვებოდა, მრგვლად - ნელ-ნელა ტრიალებდნენ თავისით და წვეთწვეთად გასდიოდათ ცხიმი. სასტუმროს ფოიეში ძაან შერცხვა თავისი ნადავლის, სახეალეწილმა, პიჯაკის ქვეშ შემალა და ასე, შემწვარ-მოხრაკულის თანმდევი სურნელით შეიპარა ლიფტში. იქ კიდე, ქათმისმკერდიანს, ვიღაც ქვრივი ქალებისა და ადგილობრივი ლიფტავალას გამჭოლავი მზერის ქვეშ იმგვარი რისხვა შემოაწვა, მთელი მეოთხედი საუკუნე რომ ვეღარაფერმა გაუნელა, რომელმაც მთელი მისი ბავშვური მამათმოშიშობა ქარს გაატანა და სრულად საერო კაცად აქცია; ის უკვე ყოველ ღონეს ხმარობდა, ყოველგვარი ღმერთების გარეშე ეცხოვრა, იმგვარ ვინმედ ქცეულიყო, რაიც მამამისი არ ყოფილა და ვერც ვერასოდეს გახდებოდა - ნაღდ, მისაბაძ, კანონთდამცველ ინგლისელად. დიახ, დიახ, თუნდაც დედამისი მართალი ყოფილიყო და ეს ხალხი მხოლოდ ქაღალდს მოიხმარდა ფეხსადგილში, ხოლო დასაბანად უკვე ერთხელ ფაქიზად ნახმარ წყალს იყენებდა; თუნდაც ამისთვის მთელი ცხოვრება გაეტარებინა ქვეყანაში, სადაც მზე მთვარესავით ანათებს, მთვარე კი ყველის თავს უფრო წააგავს, ვიდრე - მნათობს; მას, ვისაც მუდამ სიფრიფანა გადასაფარებლის ქვეშ ეძინა ხოლმე, ახლა კი პლედების მთელი გროვა ეფარა და რომელიღაც მითოსურ პერსონაჟს მოგაგონებდათ, ღმერთებმა რომ სამარადჟამოდ ლოდის ქვეშ წოლა მიუსაჯეს. მაგრამ ეს არაა მთავარი, დარდი გაუშვით - ის მართლა ინგლისელი გახდება, თუნდაც თანაკლასელებმა მასხრად აიგდონ მისი წარმოთქმა და კილო - ესეგვარი სიძნელეები მხოლოდ ცეცხლზე ნავთის დასხმასავით იყო მისთვის, და იმგვარ ნიღბებს მოირგებდა, მათ რომ გულს მოუფონავდა - მკრთალსახიან ნიღბებს, ჯამბაზის ნიღბებს, სანამ საბოლოოდ არ მოაღორებდა და არ დაარწმუნებდა

- მაგარი ვინმეა, ჩვენიანიო. ბოლო-ბოლო, ლამის იმას მიაღწია, რაც ერთმა მკვლევარმა-ნატურალისტმა მოუხერხა გორილებს: დაარწმუნა, მეც თქვენი ჯილაგისა ვარო, მერე მთლად თავი შეაამხანაგებინა, საკუთარ თავზე ზრუნვის გამოჩენის ნებასაც აძლევდა და თურმე, კარგი ქცევისთვის, ბოლოს ბანანებსაც კი იღებდა მათგან საჩუქრად.

(მას მერე რაც ბოლო და სულ უკანასკნელი ხარჯიც გაისტუმრა, ხოლო საფულე მთლად დაცარიელდა, მამამ უთხრა: „უყურე შენ! მართლა არ იკისრე ყველაფერი? კაცი გამიზრდია შენგან“. ეგრე იყო, კი. ოღონდ მამებმა არასოდეს უწყიან, რა ადამიანსაც ზრდიან. არა დასაბამიდან. არა მანამდე, როცა უკვე ძალზე გვიანაა ხოლმე).

ერთხელაც, სასაუზმოდ რომ გამოცხადდა სკოლის სატრაპეზოში, თეფშზე შებოლილი ორაგული დაუხვდა. კარგა ხანს იმტვრია თავი, ნეტა ამგვარი კერძი როგორ იჭმება - თავიდან თუ კუდიდანო; მერე სოლომონისებური გადაწყვეტილება მიიღო - ადგა და შიგ დაწინწკლულ მუცელში ჩაასო კბილები. ცხადია, პირი წვრილ-წვრილი ძვლებით გამოეტენა. ძლივს გამოარჩია; მერე კიდევ სცადა და - იგივე შედეგი. თანაკლასელები უხმოდ შესცქეროდნენ მის ტანჯვა-წამებას და არც ერთს არ უთქვამს: მოდი გაჩვენებ, ეგ როგორ უნდაო. მთელი საათნახევარი დასჭირდა თევზთან ანგარიშის გასასწორებლად, არადა ფეხზეც ვერ ადგებოდა, სანამ თეფშს არ მოასუფთავებდა - ასეთი გახლდათ სკოლის მკაცრი განაწესი. ლამის იყო, ქვითინი ავარდნოდა უილაჯობისაგან. მაგრამ სწორედ ამ დროს იაზრა - ეს ყველაფერი მაგარი გაკვეთილია ჩემთვისო. მოკლედ, წარმოიდგინა რომ მთელი ინგლისი მეტად თავისებური გემოს მქონე ერთი დიდი შებოლილი ორაგულია, მთლად დაძვალული და კაციშვილი არ ეტყოდა, როგორ უნდა ეჭამა. „დაიცათ, დამაცათ!“ - გაიძახოდა გულში. - „მე თქვენ გიჩვენებთ, სად მარხია ღორის თავი!“ ეს შეჭმული

ორაგული მისი პირველი გამარჯვება გახლდათ, სრულიად ინგლისის დასაპყრობად გადადგმული პირველი ნაბიჯი.

აკი როგორც ამბობენ, უილიამ დამპყრობელმაც ინგლისური სილით პირგამოვსებულმა მიჰყო საქმეს ხელი...

* * *

ხუთი წლისთავზე სახლში დაბრუნდა და ახლა უკვე ინგლისურ უნივერსიტეტში სემესტრის დაწყებას ელოდა, ასე რომ, მისი გარდასახვა ნაღდ ვილაიეთელად მხოლოდ დროის ამბავი გახლდათ.

- ერთი ამას დამიხედეთ, წუწუნებს კიდეცა! - კბილს გაჭკრავდა ხოლმე ნასრინი მამამისის თანდასწრებით. - დი-იდი კრიტიკოსი ვინმე კი გვეზრდება: ჭერზე დაყენებული ჰაერის დამანიავებლები თურმე ძალზე სახიფათო რამაა - ერთიც ვნახოთ და ჩამოვარდეს, ძილშივე წაგვასოსნის თავებს; საკვები აქ თურმე მეტისმეტად მაწიერია და უკვირს, რაღაზე ვწვავთ და ვხრაკავთ ყველაფერს; ზედა სართულის აივნებს ძალზე დაბალი მოაჯირი ჰქონია, ალაგ-ალაგ კი სახლს შელესვა ესაჭიროება; ბაღიც მოუვლელია და საერთოდ, ჯუნგლის ხალხი ვართ ნამდვილი - აბა ჩვენი კინო რა კინოა, სხვადასხვა ავადობებიც ნამეტანი მოდებულა ჰინდოსტანში და ან რა გასაკვირია რა - ონკანიდან წყალი არ დაილევა! მოკლედ, მართლა ნასწავლი შვილი დაგვიდგა ეს ჩვენი სალუ, ინგლისურად დაფერილი, წყობისად მოლაპარაკე და რა ვიცი...

საღამოობით ერთად დასეირნობდნენ ხოლმე ბაღში, ზღვაში მზის ჩასვლას გასცქეროდნენ, დღისით კი უზარმაზარი, განტოტილი ხეების ჩრდილს აფარებდნენ თავს; მათი სახელები სალაჰუდინს (ახლა რომ სალადინად იწოდებოდა ინგლისურ სკოლაში გაბატონებული წესისა და რიგის მიხედვით, თუმც კი ჯერ ისევ ჩამჩავალად

დარჩენილიყო - ვიდრე მისი თეატრალური აგენტი გვარს არ შეუმოკლებდა პირწმინდად კომერციული მოსაზრებით) ახლა სულ იოლად შეეძლო ჩამოეთვალა: ეს ჯეკ-ფრუტიო, ეს ბანიანიო, ეს ჯაკარანდაო, ტყისცეცხლაო... უკარება ჩუი-მუის უკვე ყლორტებიც ამოეყარა მისი პირადი სიცოცხლის ხის - ცხენისწაბლას ძირში, რომელიც ბ-ნმა ჩინგიზმა საკუთარი ხელით დარგო ძის ამქვეყნად მოვლენის დღეს. ახლა მამა-შვილი გვერდიგვერდ ისხდნენ, უხერხულად, რაკი სიტყვა არ ეთქმოდათ ნასრინის აშკარად სიყვარულით ნათქვამ გაკენწვლაზე. აი, სალადინს კი თითქოს გულიც კი წყდებოდა, რომ იმ დროიდან მოყოლებული, როცა მას ჯერ კიდევ არ შეეძლო ბაღში გაშენებული ნარგავების სახელ-სახელ ჩამოთვლა, აქაურობა ძალზე შეცვლილიყო და თან - უარესობისაკენ და ამ დანაკლისს ის ვეღარასოდეს აინაზღაურებდა. აი, ჩინგიზ ჩამჩავალამ კი ახლაღა აღმოაჩინა, შვილს თვალს ვეღარ ვუსწორებო, რადგან მათში ასახული ჭმუნვა გულს უწურავდა. იქნებ ამიტომაც იყო, ზუსტად თვრამეტწლოვან ცხენისწაბლას ხეს რომ ზურგი აქცია (ხშირად ეჩვენებოდა კიდეც, ამ ხეში ჩემივე ერთადერთი ვაჟის სულს დაუბუდიაო) და ხმა ამოიღო, ოღონდ ნათქვამმა რაღაც არაგულწრფელად გაიჟღერა, თითქოს ვინმე სასტიკი, ცივსისხლიანი კაცისა ყოფილიყო, როგორიც - იმედოვნებდა ბ-ნი ჩინგიზი - ის აროდეს გახდებოდა და იმავდროულად, იმის შიშიც ზაფრავდა - მინდა-არმინდა, უთუოდ ეგეთად ვიქცევიო.

- შენს შვილს გადაეცი, - დაიგრგვინა ცოლის მისამართით. - თუკი საზღვარგარეთ იმისთვის გაემგზავრა, საკუთარი მოდგმის მიმართ ამრეზით შეხედვა შეესწავლა, არც მის მოდგმას დარჩენია რაიმე მის მიმართ, ასევე ამრეზით ყურების გარდა! ვინ ჩემი ფეხებია - ფაუნტლეროი? დიადი პანჯანდრამი? ნუთუ ეს იყო ბედი ჩემი: შვილი დამეკარგა და ვიღაც ბრიყვი შემრჩენოდა ხელთ?!

- რადაც არ ვიქეცი, ეს მთლიანად და მხოლოდ შენი დამსახურებაა, მამავ-ბატონო! - მშვიდად გაეპასუხა სალადინი.

ეს მათი ბოლო ოჯახური გასაუბრება გახლდათ. მთელი ის ზაფხული ნასრინი ამაოდ ცდილობდა მათ მორიგებას: ბოდიში უნდა მოუხადო, საყვარელო... გულის-გულში ისე იტანჯება ეგ საბრალო, მისი ცოდვით აღარა ვარ! მხოლოდ ეს ცუდმედიდობა არ აძლევს ნებას, პირველმა მოგეხვიოს. თავად აია ქასთურბა და ბებერი მებაღე ვალაბჰი, მისი ქმარი, ბევრს ეცადნენ როგორმე შუამავლებად დასდგომოდნენ მამა-შვილს ამ გაარჯლებულ მტრობაში, მაგრამ არცერთს არაფრის გაგონება არ სურდა.

- როგორიც ალხანა, ისეთი ჩალხანაო... ესაა თავი და თავი, - მოახსენა ქასთურბამ ნასრინს. - მამა და შვილი, ხორცი ხორცთაგანი... რასაც ჩასძახებ, ყველაფერს უკუღმა ამოგძახებენო.

იმ სექტემბერს, როცა პაკისტან-ინდოეთის ომი დაიწყო, ნასრინმა გადაწყვიტა არამც და არამც არ გაეუქმებინა თავისი საპარასკეო წვეულებები; პირიქით - ერთგვარად, საქვეყნოდაც კი გამოაჭენა საკუთარი დამოკიდებულება მიმდინარე მოვლენების მიმართ: ჰინდუმაჰმადიანებს სიყვარულიც ისევე შეუძლიათ, როგორც სიძულვილიო, - განაცხადა.

მეუღლის თვალებში დანთებული ცეცხლის შემხედვარე ბ-ნი ჩამჩავალასაც აზრად აღარ მოსვლია შეკამათება, მხოლოდ მსახურებს უბრძანა, ფანჯრებზე ფარდები ჩამოუშვითო. იმავ საღამოს - და უკანასკნელად - სალადინ ჩამჩავალაც მთელის გულმოდგინებით ასრულებდა მსახურთუფროსის როლს: ინგლისური სმოკინგი მოერგო და სტუმრებს წინკარში ხვდებოდა (იგივენი იყვნენ, დროის მტვრით შევერცხლილები, ოღონდ - ზუსტად ისეთივენაირები) და ისინიც ძველებურად უჩლიქავდნენ ენას, თავზე უსვამდნენ პერგამენტივით ჩაყვითლებულ თითებს. „დედა-დედა, როგორ გაზრდილა!“ - გაიძახოდნენ - „რას ერჩი, მშვენიერი ყმაწვილი დამდგარა!“ ძაან-ძაან კი ცდილობდნენ, შიში არ დასტყობოდათ ომის, ანუ - რო-

გორც რადიოში აცხადებდნენ ხოლმე - საჰაერო თავდასხმების გამო, ოღონდ როცა კიარავის ესაუბრებოდნენ, ერთთავად ის ბებრული თითები უკანკალებდათ.

თითქოს ჯინაზეო, გვიან საღამოს სირენები ჩაირთო და სტუმრებიც ვინ სად მიიმალა - ლოგინების ქვეშ, კარადებში, ვინ სად და ვინ სად. ოღონდ იმ თავის სახელგანთქმულ სარიში გამოწყობილ ნასრინ ჩამჩავალას კი ფეხი არ მოუცვლია, წარბშეუხრელი იდგა და ვითომც აქ არაფერიო, სათალს მიირთმევდა. ამიტომაც იყო, რომ როცა ეშმაკმა უწყის, საიდან ჩარჩენილი ფხა გამოედო ხორხის კედელს, მერე გარდიგარდმო გაეჩხირა და სუნთქვაც შეუკრა, კაციშვილი არ აღმოჩნდა მის გვერდით რომ მიხმარებოდა, ხელი მაინც დაერტყა ზურგზე: ყველანი სადღაც კუთხე-კუნჭულებში მიმოფანტულიყვნენ, თვალებიც დაეხუჭათ და ყურებზეც ხელისგულები აეფარებინათ. თვით სალადინიც კი, შებოლილ ორაგულთა დამმარცხებელი, ვილაიეთის მთლად სატახტო ქალაქს დროებით გამორიდებული, ტუჩაბზუებული სალადინ პალადინი, ისიც აღარსად ჩანდა. ნასრინ ჩამჩავალას ფეხები მოეკვეთა, იქვე ჩაიკეცა და კრუნჩხვები დაეწყო, მერე კი დაიღრჩო და ასე წვალებით განუტევა სული. როცა განგაში გააუქმეს, სტუმრები ჯერი-ჯერზე, ერთმანეთის მიდევნით მოგროვდნენ სასტუმრო ოთახში და მაშინღა აღმოაჩინეს დიასახლისის გვამი, სული მისი კი მოსწყვედნის ანგელოზს წარეტაცა - როგორც ბომბეიში იტყვიან ხოლმე, ხალი-პილი-ჰალაას - სულ არაფრის გულისათვის.

* * *

თავის უცხოეთში ნასწავლ-გამოჯეკილი შვილისაგან განსხვავებით, თევზის ძვლებთან გასამკლავებლად სრულიად გაუწვრთნელ ნასრინ ჩამჩავალას ასე უდროოდ და მოულოდნელად გარდაცვალებიდან წელიც არ იყო გასული, რომ ბ-ნმა ჩინგიზმა კვლავ იქორწინა და თან ისე, სიტყვაც არ უთქვამს არავისთვის. მოგეხსენებათ, სალადინი ამ დროს უკვე ერთ-ერთ ინგლისურ კოლეჯში იღებდა განათლებას, სადაც მიიღო კიდეც მამის უსტარი, რომელიც ფრიად ძველმოდური, მეტისმეტად მაღალი შტილით მოითხოვდა მისგან, განეხარა: „იხარე ჩემთან ერთად, რამეთუ ვპოვე ის, რაიც სამუდამოდ დაკარგულად მიჩნდა“. ამ ერთგვარი იდუმალებით მოსილ ფრაზას ახსნა-განმარტება ქვემოთ მოსდევდა, და როდესაც სალადინმა გაიგო რომ დედინაცვალს ასევე ნასრინი ერქვა, რაღაც გადაუბრუნდა ტვინში, ადგა და იმისთანა ბრაზით, ხმაურითა და მძვინვარებით აღსავსე საპასუხო წერილი გაუშანშალა მამამისს, იმისთანა სისასტიკით გამსჭვალული, რომლის ფარდიც მხოლოდ მამებსა და შვილებს შორისაა შესაძლებელი და არასოდეს - დედებსა და ქალიშვილებს შორის, რამდენადაც მასში უშუალოდ გამოკრთოდა ხელჩართული ბრძოლის წყურვილი. ბ-ნმა ჩინგიზმაც როდი დაახანა და დეპეშა აფრინა, ცარიელი ლანძღვა-გინების სიტყვათა კორიანტელი, რაიც სულ ერთადერთი გამართული წინადადებით მთავრდებოდა: „ჩათვალე რომ ოჯახი აღარა გყავს, მოწევნადი შედეგები კი თავს დააბრალე“.

ზუსტად ერთი წლის თავზე, სალადინმა კიდევ ერთი, ამჯერად განტევების წერილიც მიიღო, რომლის მირქმა კიდევ უფრო საძნელო გახლდათ, ვიდრე წინასი: „ოდეს თავად გახდები მამა, შვილო ჩემო,“ - გულს უხსნიდა ჩინგიზ ჩამჩავალა, - „თავად იგრძნობ ამ მეყვსეული წამების სიტკბოს, როცა პაწია არსებას დაისვამ მუხლებზე, მიუალერსებ და ეს ღვთივკურთხეული ვინმე კიდე, ყოველგვარი წინასწარული ნიშატის გარეშე, ზედვე ჩაგასველებს! წამით იქნებ მართლა დაგიაროს ბრაზმა, გარნა ეს ქვენა გრძნობა იქვე ქრება: რა

ძნელი მისახვედრი ისაა, რომ ბალღი არაფერში არაა დამნაშავე?! განათუ იცის მან, რასა სჩადის?“

ქვეშაფსია ჩვილთან ამგვარი შედარებით გულშეძრული და განაწყენებული სალადინი, მისი აზრით, ღირსეულ თავდაჭერილობას იჩენდა და ამ დაუსწრებელ ორთაბრძოლაში ხმისამოუღებლობის იარაღი ირჩია. კოლეჯის დამთავრებისთანავე, მან ბრიტანეთის მოქალაქეობა მიიღო, რაკიღა მანამ ჩამოსულიყო ქვეყანაში, ვიდრე საიმიგრაციო კანონებს გაამკაცრებდნენ; ამიტომაც მამამისს უდეპეშა, აქა ვრჩები და მსახიობის კარიერაზე მინდა ვიფიქროო. ჩინგიზ ჩამჩავალას პასუხმაც, რაღა თქმა უნდა, არ დააყოვნა: „თავში ქვა გიხლია და მუცელში სამართებელი, ესემც გიქნია, მთლად ჟიგოლო გამხდარხარ! ასე მგონია, რაღაც ეშმაკი შეგიჩნდა და ის წაგმართავს... ამდენი მიიღე და გაცემას კი აღარა ფიქრობ? ვალიც აღარავისი გაქ - არცა ქვეყნის, არცა დედაშენის ხსოვნის, თუნდაც საკუთარი თავისა?! სოფიტების მჭახე ნათების ქვეშ გინდა იმანჭ-იგრიხო? და ვიღაცის ნათრევი, გადაღებილი ქერა ქალები პროშტნო ყველას დასანახად? შენ ჩემი შვილი კი არა, სისხლისმწოველი ტკიპა ხარ, ბეყეჩის ერთი, ჯოჯოხეთის მაშხალა! მსახიობიო... და ესეც მითხარი ერთი - ჩემს მეგობრებს რაღა პასუხი გავცე?“

ხელრთვის ქვემოთ კი საწყალობელი, თუმც ფრიად და ფრიად გულისმომწყვლელი მინაწერი მოსდევდა: „ახლა, რაკიღა საკუთარი ავი ჯინი შეგიჩნდა, ჯადოსნური ლამპარის სამემკვიდრეოდ დანარჩუნების იმედიც ნუღარ გექნება“.

* * *

მას მერე ბ-ნი ჩინგიზ ჩამჩავალა არცთუ ისე ხშირად იწერებოდა ამგვარ უსტარებს, თუმცა დემონებისა და ავი სულებით შეპყრობილობის თემას მუდამ უბრუნდებოდა ხოლმე: „საკუთარი თავის მიმართ არაგულწრფელი კაცი მოარულ ორფეხა მატყუარად იქცევა, ხოლო ამგვარი შედეგი შაითანის უპირველესი ნახელავია," - გულდათუთქული შთააგონებდა შვილს, - „ოღონდაც ეშმას მხოლოდღა შენი ხორცი ერგო, სულს კი შენსას აქ, ამ შენს ხეში ვებგურობ რუდუნებით. როცა უწმინდურის ხუნდებისაგან დააღწევ თავს, შინ დაბრუნდი და შენივე უკვდავი სული დაიბრუნე - აქაა, ამ ჩვენს ბაღში ჰყვავის, ხინჯმიუტანლად."

წლების განმავლობაში, მისი იოლად საცნობი ხელწერა აშკარად კარგავდა თავდაჯერებულობას, სიმკვეთრეს - ფერმკრთალდებოდა, წვრილდებოდა, მარტივდებოდა. საბოლოოდ, ესეგვარი - თუ შეიძლება ასე ითქვას - ცალმხრივი მიმოწერა სულაც შეწყდა კიდეც, თუმცა სალადინს ხმები მოსდიოდა - ჩინგიზ ჩამჩავალა იმდენად გაიტაცა ზებუნებრივ ძალებზე ფიქრმა, მთლად კარჩაკეტილ ცხოვრებას მიეცა და ვინძლო იმიტომაც, რათა იმ ცხოვრებას განდგომილიყო, რომელშიც ავმა სულებმა მისი ერთადერთი შვილის სხეულის დაჩემება მოახერხეს, და ახლა საკუთარი სულის გადარჩენასღა ესწრაფვისო.

მამის ამგვარმა გარდასახვამ ძალზედ შეაჩქვიფა თუნდაც ამხელა მანძილით მისგან დაშორებული სალადინი. მისი მშობლები მუდამ იმგვარი ზერელე, უფრო წამხედური მაჰმადიანები იყვნენ, ბომბეის მკვიდრთ რომ ახასიათებთ და ერთ დროს, მათ მცირეწლოვან შვილს ბ-ნი ჩინგიზ ჩამჩავალაც ბევრად მეტ ღმერთად ესახებოდა, ვიდრე ნებისმიერი ალაჰი. ახლა კიდე ეს საერო კაცი-ღვთაება (თუმც აწ უკვე კვარცხლბეკიდან ჩამოგდებული) სიბერეში თურმე მუხლებზე დამდგარა და მექას მხარეს იხრებოდა წელში, თაყვანისცემის ნიშნად... არა-ა, ამისთანა რამესთან შეგუება მისი უღმერთო ნაშიერისთვის იოლი არ იყო.

„იმ მჩხიბავ ქალს ვსდებ ბრალს...“ - რატომღაც იმავე რიტორიკულ კილოკავს მიმართა, მამამისს რომ დასჩემდა, - „...იმ ნასრინ II-ს. განა ეს მე ვარ ეშმათი შეპყრობილი, ანთუ ეს ჩემი ხელწერა შეიცვალა ამ ხნის მანძილზე?“

წერილები მეტი აღარც მოსულა. გავიდა წლები და სალადინ ჩამჩა, სახიობი, საკუთარი თავის თავისითვე შემოქმედი, მუმბაიქალაქს დაუბრუნდა: „პროსპეროს დასთან“ ერთად, მას ბერნარდ შოს „მილიონერ ქალბატონში“ უნდა ეთამაშა ინდოელი ექიმის როლი. სცენაზე მან საკუთარი ხმა პერსონაჟის სცენურ განსახიერებას მიუსადაგა, ოღონდ ეგაა რომ მერე და მერე, ამ მივიწყებულ კილოზე მოქცევა, ეს რა ხანია უკუგდებული ხმოვნები და თანხმოვნები, მისდაუნებურად თეატრსგარეთაც იჩენდნენ ხოლმე თავს. მოკლედ, საკუთარი ხმა ღალატობდა და როგორც აღმოჩნდა, მის შემადგენლებს სულ სხვა სახის დაღალატებაც კარგად შესძლებიათ.

* * *

ერთის მხრივ, კაცი რომელიც თავად ქმნის საკუთარ თავს და ამით შემოქმედს ეჯიბრება, არაბუნებრივი მოვლენაა, ღვთისმგმობი, ბილწთაგან უბილწესი; მეორეს მხრივ - მასში ბრძოლის პათოსი შეგვიძლია დავინახოთ, ძიების წყურვილი, რაკიღა ყველა მუტანტი როდია სიცოცხლისუნარიანი. ანდა სულაც, სოციოპოლიტიკური მხარეც გავითვალისწინოთ: მიგრანტთა უმეტესობა იმას სწავლობს, როგორ გახდეს უჩინარი. ჩვენივე ნაყალბევი დახასიათება კი ეწინააღმდეგება ჩვენსავე თაობაზე შეთხზულ სიყალბეს, რათა ისევ ის ჩვენი იდუმალი რაობა გადაფაროს.

ვინც ხელახლად ქმნის საკუთარ თავს, უცილობლად სჭირდება ვიღაც, მისი გარდასახვა რომ ირწმუნოს და ამით დასტურჰყოს კიდეც წარმატება; ანუ - ისევ და ისევ, კვლავ და კვლავ რომ მოირგოს დემიურგის როლი. ან იქნებ - ერთი-ორი საფეხურით მაინც ჩამოხვიდეთ ქვემოთ და წკარუნა ტინკერბელი გაიხსენოთ: ფერიები არ იარსებებენ, თუკი ბავშვები ტაშს არ დაუკრავენ მათ. ან კიდევ - ეს იგივეა, ადამიანად იქცე.

მაგრამ არც ისაა საკმარისი, შენი რწმენა ჰქონდეთ - თავადაც უნდა გწამდეს სხვისი. ეს კი უკვე სიყვარულს ნიშნავს.

სალადინ ჩამჩა სამოციანი წლების გასრულებამდე ზედ ხუთნახევარი დღით ადრე გადაეყარა პამელა ლავლეისს - ეს ის დრო იყო, როცა ქალები ჯერ კიდევ ატარებდნენ თავზე ხილაბანდებს. ტროცკისტი მსახიობებით გადავსებული ოთახის შუაგულში იდგა და თავისი ცეცხლოვანი თვალებით მოწვა. მთელი საღამო ერთად გაატარეს და ღიმილი არ მოსცილებია სახეზე, ოღონდ წასვლით კი მაინც სხვას გაჰყვა. სალადინსაც რაღა დარჩენოდა რა - ისიც სახლისკენ გაემართა: მის თვალებზე, მის ღიმილზე, მის აწყობილ ტანსა და ხავერდოვან კანზე საოცნებოდ. მთელი ორი წელი სდევდა კუდში. საზოგადოდ, ინგლისი ძნელად თმობს ხოლმე საკუთარ საგანძურს. თავად ძალზე უკვირდა საკუთარი საქციელი და იმასაც ხვდებოდა, რომ ნელი-ნელ სწორედ ეს ქალი ხდებოდა მისი ბედის განმგებელი: თუკი მას ვერ დაისაკუთრებდა, საკუთარ ფერიცვალებაზე ყოველგვარი ოცნებაც ფუჭი იქნებოდა და მცდელობაც - ამაო. „ნება მომეცით...“ - ემუდარებოდა და თან დიდის სიფრთხილით ებღლარძუნებოდა ფუმფულა თეთრ ნოხზე, - „მენდეთ, სწორედ ის ვარ, ვინც თქვენ გჭირდებათ.“

ერთხელაც ღამით, სრულიად მოულოდნელად, მინებდა: ასე თქვა, შენი მჯერაო. სასწრაფოდ ცოლად მოიყვანა - აქაოდა არ გადაიფიქროსო, ოღონდ მისი ფიქრების კითხვა მაინც ვერ ისწავლა. ჩვეულებრივ, თუკი ცუდ ხასიათზე ბრძანდებოდა, საწოლ ოთახში

გამოიკეტებოდა ხოლმე, ვიდრე გუნება-განწყობა არ გამოუკეთ-
დებოდა. „ეს შენ არ გეხება," - ეტყოდა ხოლმე. - „როცა ამისთანა
მდგომარეობაში ვარ, არც არავის ნახვა არ მინდა". მეტსახელად ხა-
მანწკა შეარქვა. „სეზამ, გააღე!" - იძახდა და თავიანთი ერთობლივი
ცხოვრების ყოველ კარს უბრახუნებდა მუშტებს: ჯერ იყო და სად-
ღაც, სარდაფივით ნახევრად მიწაში ჩასულ მოცუცქნულ ბინაში,
მერე - დუპლექსში და სულ ბოლოს კიდე - ცალკე წამოჭიმულ სა-
კუთარ სახლში. - „მიყვარხარ-მეთქი, შემომიშვი!" იმდენად ენატ-
რებოდა, ესაჭიროებოდა კიდეც საკუთარი არსებობის საბუთად
და ვერც ვერასოდეს გაარკვევდა, რაოდენი უსასოობა იმალებო-
და იმ დამზაფრავად მომხიბლავი ღიმილის ქვეშ, რომლითაც ის
სამყაროს შესცქეროდა, ანთუ იმ მიზეზებს, რის გამოც ის კარ-
სმიღმა იკეტებოდა, როცა თავის მოთოკვა აღარ შეეძლო; მხო-
ლოდ როცა უკვე ძალზე გვიანი გახლდათ, მაშინღა გაუმხილა: ის
იყო თვიურები უნდა დაწყებოდა და მშობლებს წყვილად მოუკ-
ლავთ თავი, ბანქოში წაგებული მთელი მათი ავლა-დიდების გა-
მო, მას კი მხოლოდ ეს არისტოკრატიულად მჟღერი ხმა დაუტო-
ვეს სამემკვიდრეოდ, რომლის წყალობითაც ყველა ოქროს გო-
გონად მიიჩნევდა, სინამდვილეში კი უბრალოდ მიატოვეს - არც
მოსვლიათ აზრად, ცოტა დაეცადათ მაინც და ენახათ ერთი, რო-
გორ იზრდებოდა მათი ნაშიერი; აი, ასე ძალიან უყვარდათ და რა
გასაკვირია თუკი მისხალი ნდობა აღარ შერჩენოდა ვინმესადმი,
მხოლოდ შიში და ზაფრა ამ დაუნდობელი სამყაროს მიმართ, და
ამიტომაც მუდამჟამ იღიმოდა, მხოლოდ კვირაში ერთხელ თუ
გამოიკეტებოდა სადმე და კანკალებდა ვერხვის ფოთოლივით,
არახისის ფუტურო ნაჭუჭად გრძნობდა თავს, ანთუ მთლად იმ მა-
იმუნად, უთხილოდ რომ დატოვეს.

ბავშვების ყოლა არ ეღირსათ და ამაში ქალი მხოლოდ საკუ-
თარ თავს ადანაშაულებდა. ათი წლის მერეღა აღმოაჩინა სალა-
დინმა, მისსავე ქრომოსომებში ყოფილა რაღაც ხინჯი: რაღაც

ორი ჩხირი ყოფილა ზედმეტად გრძელი თუ პირიქით - ზედმეტად მოკლე, ამდენს აღარ ჩასძიებია; აი, ამგვარი გენეტიკური წუნი ჰქონია თურმე. ის კი არა, კიდევ ბედი რომ რაღაც უგვან მახინჯად არ დაიბადეო, ასე უთხრეს. დედისაგან გამოყვა ეს რაღაც თუ - მამისაგან? დასტაქრები გადაჭრით ვერაფერს ეუბნებოდნენ, ისე კი ცხადია, თავად ვისზე მიიტანდა ეჭვს, ვის დააბრალებდა: გარდაცვლილებზე ხომ მხოლოდ კარგი ითქმის, ან - არაფერი.

ბოლო დროს კი ძალზე აერიათ ურთიერთობა.

თავს უმტკიცებდა - ეს მხოლოდ მერე, მანამდე კი - არასოდესო.

ბოლო დროს თითქოს კენჭებზე ვიწექითო, იხსენებდა: იქნებადა სწორედ უშვილობის გამოცო; რაღაცნაირად დავშორიშორდითო. იქნებადა სწორედაც ამის გამო, ან იქნებ - სულ სხვა რამისო...

ადრე კი გულსგარეთ ატარებდა მათ შორის არსებულ გაურკვეველ დაძაბულობას, უხერხულობას, მოუქნელობას, უდიერ შეპასუხებასაც კი, რაიც ოჯახურ შეხლა-შემოხლაში არც არასოდეს გადაზრდილა: თვალებს ხუჭავდა და უბრალოდ, მისი ჩვეული ღიმილის გამონათებას ელოდა ხოლმე; თავს ნება მისცა ღიმილის - სიხარულის ამ ნაყალბევი შემცვლელისა ერწმუნა.

ეცადა კიდეც, ბედნიერი მომავალი შეეთხზა მათთვის, გეგმავდა და მერე თავადაც სჯეროდა თავისივე დაწყობილი გეგმების. ინდოეთს რომ მიემგზავრებოდა, ერთთავად ამას უჩიჩინებდა საკუთარ თავს: მაგრა გამიმართლა, ვინ დაობს, სხვას ეგეთს სად ვიშოვიდი, ყველაზე იღბლიანი ძაღლიშვილი ვარ ამქვეყნადო! და კიდევ: წლების გრძელი, გრძელზე-გრძელი ხეივანი მიდევს წინ, ერთად და ერთმანეთთან ტკბილად შესაბერებლად გასავლელიო.

იმდენს მუშაობდა და იმდენად ახლო იყო ამ საწყალობელ გამონაგონთა გასათავისებლად, რომ ბომბეიში ჩაფრენიდან სულ რაღაც 48 საათის მერე, როცა ზინი ვაკილს ჩაუგორდა ლოგინში, ქალის ფეხებშორის გაწვართვაც კი ვერ მოასწრო, ისე გაითიშა, ცნობა დაკარგა, რადგანაც ტვინი მისი ორ, ყოვლად ურთიერთსაწინააღმდე-

გო გზავნილებს იღებდა: თითქოს მარჯვენა თვალი სამყაროს მარცხნივ გადაადგილებას ხედვიდა, მაშინ როდესაც მეორე, მარცხენა - საწინააღმდეგოს მტკიცებაში ყოფილიყო.

* * *

ზინი პირველი ინდოელი ქალი იყო, ვისთანაც ის წოლილა. მის საგრიმიოროში შემოვარდა, „მილიონერი ქალის“ პირველივე წარმოდგენის შემდეგ, ხელებს იმტვრევდა და დრამატული ხმით გაიზახოდა, თითქოსდა წლები არ გასულიყო მას მერე, რაც...

- აჰაი! ეს რა უბედურებაა - მთელი დრო მარტო იმის ლოდინში გავატარე, როგორ იმღერებდი Goodness Gracious Me, მთლად პიტერ სელერსივით - ვიფიქრე, იქნებადა ბიჭმა ნოტების გარჩევა მაინც ისწავლა-მეთქი! თუ გახსოვს, ელვისის როლს როგორ ასრულებდი, სქუოშის ჩოგნით ხელში, სიცილით ვიფხრიწებოდით ყველანი! აქ კიდე რა ხდება?! პიესაა და - არც არავითარი სიმღერა-თამაში! წყალსაც წაუღია ეგეთი რამეები... დაიცა, რამე რო იყოს, მთელ ამ მკრთალსახიანთა კოდლას ვერ აეთესები და ჩვენს ვოგებთან ვერ წამოხვალ? ალბათ აღარც გემახსოვრება არავინ...

გაახსენდა ჯერ კიდევ მოზარდის გამწლიკული ტანი, მერი ქენთის სტილში დაყენებული, ოღონდაც მუდამ გვერდზე მოქცეული თმის ვარცხნილობა და ეგრევე გვერდზე, ოღონდ - ახლა იმის საწინააღმდეგო მხარეს მოქცეული ღიმილი. დიდის აცვენილი ვინმე კი იყო. ერთხელაც რომელიღაც იაფფასიან კაფეში დურთა თავი ფოლკლენდ-როუდზე, ის კიდე იქ წამოსკუპებულიყო, პირში გაჩრილი სიგარეტითა და კოკა-კოლის პატარა ბოთ-

ლით ხელში, სანამ ვიღაც განაბები არ შემოვარდნენ დაპირისახის დასერვას არ დაპირდნენ: ამ ქუჩაზე თავისუფალი შემოქმედება არ დაიშვებოდა. იმან კიდე ამრეზით ახედ-დახედა მომხდურებს, სიგარეტი ჩაამთავრა და მერეღა იკადრა ქორფა უკანალის აღება სკამიდან. შიში არ ეკარებოდა. ან იქნებ უბრალოდ, ეგეთი თავქარიანი იყო. ახლა კი, ოცდაათს გადაცილებული, უკვე გამოცდილებაშეძენილი აქიმი გახლდათ, ბრიჩ-ქენდის საავადმყოფოში მუშაობდა და უსახლკაროებსაც აძლევდა რჩევა-დარიგებებს, იმათზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ვინც ბჰოპალის ტრაგედიის მსხვერპლი გახდა; ამას გარდა, ის კულტურათმცოდნეობასაც ჩემულობდა, ხოლო მისმა წიგნმა აუთენტურობა-თვითობის დებულების კნინთა თაობაზე (ხალხში ფართოდ ფესვგადგმულ ამ საზრისს იგი ისტორიულად დადასტურებული დიფუზია-ეკლექტიზმის უცილობლობის ქადაგებით ებრძოდა: განათუ მთელი ჩვენი ძირძველი ეროვნული კულტურა დასესხებაზე არაა აგებული? გინდა არიელობა დაიჩემე, გინდა მოგოლობა და გინდა - ბრიტანელობა! მანდ ერთი მოთხოვნა მოქმედებს - ხელი ავლე ოქროსაო, შეეშვი მაგ თოხლოსაო... ეგრეა, მაშ!) ფრიადი აღშფოთება გამოიწვია და განსაკუთრებით - ორაზროვანი თავსათაურისა გამო: „ნაღდი ინდოელი...“

- იგულისხმება, რომ ეგეთი მხოლოდ მკვდარი ინდოელია, - აუხსნა ჩამჩას, როცა წიგნის ხელმოწერილი ცალი უსახსოვრა. - აბა რაა იმაში ნაღდი, თუკი ამ ყბადაღებულ ვოგის მეტსახელს ვერ გასცდენილხარ? ესაა სწორედ ჩვენი ინდური ძირძველობა. მოკლედ, ყველანი ნაღდი ინდოელები ვართ, ეგრეა ჩვენი საქმე. უბრალოდ, ზოგი უარესია და ზოგიც - სულ ოდნავ უკეთესი.

ახლა მას უკვე თავისი ქალური მშვენების მთლად ზეობისთვის მიეღწია: ხშირი თმა მხრებზე ჩამოეშალა და აღარც სხეული გაგონებდათ ასანთის ღერს. მის საპირფარეშოში შემოჭრიდან ხუთი საათიც არ იქნებოდა გასული, ლოგინში ჩაწვნენ და სწორედ მაშინ იყო, სალადინს რომ გონება წაერთვა. არადა, მერე ზინი თავად გა-

მოუტყდა, სასმელში საძილე წამალი გაგირიეო. არასოდეს ჩასძიებია, მართალი უთხრა თუ - არც ისე.

მოკლედ, ზიინათ ზაკილმა ეს ჩვენი სალადინი საკუთარ - როგორც თანამედროვენი იტყვიან - პროექტად აქცია.

- აღდგენა-რესტავრაციას გიპირებთ, - ასე აუხსნა. - შენი თავი უნდა დავიბრუნოთ.

ზოგჯერ ეჩვენებოდა, ამის მისაღწევად ჩემს ცოცხლად შეჭმასაც არ დაერიდებაო. ყოველ შემთხვევაში, ლოგინში ისე ექცეოდა, როგორც რომ ვინმე ველური თავისსავე მონადირებულ, ორფეხა ღორის ანათალს.

- ისე, ჩვენში დარჩეს და, - დაეკითხა ერთხელ, - ვეგეტარიანობასა და ქვეცნობიერად, კაციჭამიობის სურვილის წაქეზებას შორის არსებულ კავშირზე თუ გსმენია რამე?

ზინიმ, რომელსაც ამ დროს მის შიშველ ბარძაყზე გაეწყო თავისთვის საუზმე, უარყოფის ნიშნად თავი გადააქნია.

- დამტკიცებული ამბავია, მცენარეული საზრდოს ზედმეტობა ორგანიზმში კანიბალური ფანტაზიების მასტიმულირებელ ბიოქიმიკატებს აჩენს. ამაზე არაფერი გაგიგია?

იმ ძველებური, მოღრეცილი ღიმილით გამოხედა. ზინი, უ-უმშვენიერესი ვამპირი.

- მოგცლია ერთი! - ხელი აიქნია. - ლამის მთელი ერი ვეგეტარიანელები ვართ და მთელი ჩვენი კულტურა კი მისტიურია და თან - მშვიდობისმოყვარეც.

ისიც სათქმელია, რაოდენი სიფრთხილით უნდა მოპყრობოდა: როცა პირველად შეეხო მკერდზე, ფურ-კამეჩის რძესავით ცხელ-ცხელი და შესქელებული ცრემლები აღვარღვარა - თურმე ნუ იტყვით, ახლაც ახსოვდა სუფრაზე შემოტანილი ფრინველივით ნაწილ-ნაწილ რომ ჭრიდნენ დედამისს, ჯერ მარცხენა ძუძუ, მერე მარჯვენა, მეტასტაზებს კი არ ეშველა არაფერი. დედის ბედის გაზიარების ზაფრამ მკერდზე ხელის მოკიდების აკრძალვა

შვა. უშიშარი ზინის ფარული შიშები. ბავშვები არასოდეს ყოლია, თვალებში კი რძე ედგა.

ოღონდ პირველივე ხელფეხგადახლართვის მერე, პირში ეცა, ცრემლები სულ გადაავიწყდა:

- გინდა გითხრა, ვინა ხარ? ერთის ვინმე ქვეშაფსია დეზერტირი - კიდევ უფრო გაინგლისურებული, ვიდრე ეგ შენი ანგლეზური კილო, დროშასავით რომ შემოგიხვევია თავზე და სულაც ნუ გგონია, უნაკ-ლოაო - ერთიც იქნება და ყალბი ულვაშებივით მოგძვრება, ბაბა - ასეა ეს!

„რამე რომ იყოს, რაღაც უცნაური კი მართლა ემართება ამ ჩემს ხმასო," - უნდოდა კიდეც ეთქვა, ოღონდ თავად რომ ვერაფრით აეხ-სნა რა სჭირდა ასეთი, ამიტომაც არჩია, ენაზე კბილი დაეჭირა.

- შენისთანები არიან, - ჩაიფრუტუნა ქალმა და მხარზე აკოცა. - ჩამოდიან აქ დიდი ხნის არყოფნის მერე და თავში უვარდებათ! კარ-გი, ერთი - არც ისე მაღალი წარმოდგენისა გახლავართ თქვენზე, ბა-ტონო ჩემო!

თქვა და ისე გაუღიმა, პამელა მონაგონი იყო.

- როგორც გატყობ, ის შენი ბინაკას ღიმილი არ დაგიკარგავს...

„ბინაკა". ვინ მექაჩებოდა ენაზე, კბილის პასტის ის დაობებული რეკლამა დამეყრანტალებინა?! თან ეს ხმოვნებიც რომ მთლად არა-სანდო რამე გამიხდა... ფრთხილად, ჩამჩა - საკუთარ ჩრდილს თვა-ლი არ უნდა მოაცილო. მაგარი შავი ვინმეა, მუდამ ფეხაკრეფით მო-არული.

მეორე საღამოს, თეატრში ვიღაც ორი ძმაბიჭიც გამოაყოლა ხელს: ახალგაზრდა მარქსისტი-რეჟისორი ჯორჯ მირანდა - სახე-ლოებდაკაპიწებული,გასიებულის ვინმე, დაძენძილ-დალაქავებულ ჟილეტს რომ არ იშორებდა და სამხედრო ყაიდაზე ბოლოებაპრეხი-ლი წვრილი ულვაშებიც დაეყენებინა დიდის რუდუნებით; მეორე კი პოეტი და ჟურნალისტი ბჰუპენ განდი გახლდათ - ნაადრევად გაჭა-ღარავებული, ოღონდაც ბავშვურად გულუბრყვილოდ მომზირალი,

ვიდრე თავის იმ უსიამოდ ეშმაკურ, ხითხითა სიცილს არ ამოუშვებდა პირიდან.

- განემზადე, სალათ-ბაბა! - გამოუცხადა ზინიმ. - ქალაქი უნდა მოგატაროთ.

მერე თავის ორკაციან ამალას მიუბრუნდა:

- ამ გაევროპიელებულ აზიელებს მისხალი სინდისი არ აწუხებთ. მართლა ღორისქადას სალათს არა გაგონებთ ეს ჩვენი სალადინი?

- ამ რამდენიმე დღის წინ ვინმე ტელერეპორტიორი გვეწვია, - ბრძნული სახით აღმოთქვა ჯორჯ მირანდამ. - ვარდისფერი თმა ედო თავზე. აზრზე მოდი, ჰერლიიდა მქვიაო, დაიჟინა. რა უნდა ელაპარაკო.

- საქმეც ეგაა რომ სულ ფეხებზე გკიდია. - სრულიად უდიერად შეაწყვეტინა ზინიმ. - ეგ ქალბატონი კიდე სუფთა თებჟორიკაა: ვეუბნები, ეგ რა სახელია, სინამდვილეში ხალიდა გამოითქმისმეთქი! ვერაფრით წარმოთქვა - თავისი საკუთარი სახელი ვერ გამოთქვა, რაღაც ანგლურად მოუქცია, გესმით თქვენ?! კულტურა არა, იხვი! ცარიელა ვოგებიღა შემოგვრჩნენ... რა, ტყუილს ვამბობ თუ? - გაკაპასდა, თან ცალი თვალი სალადინისკენ გამოაპარა, ძაან ხომ არ შევტოპეო.

- კარგი ახლა, ნამეტანიც ნუ მოგივა. - ჩაიბურტყუნა ბჰუპენ სინგჰმა.

- ეგ არაფერი, ძმაკაც. შეხუმრება-გახუმრება, - დასტურჰყო ჯორჯმაც.

მაგრამ ახლა ჩამჩასაც მოუნდა სიტყვიერ დაკა-დაკაში ჩაბმა:

- დედამიწა გაივსო ინდოელებით, ზინი! ახლა ჩვენ ყველგანა ვართ, ყოველ კონტინენტზე - ავსტრალიაში ხომ მექოთნეობით გავითქვით სახელი, და ჩვენიანების თავებს იდი ამინის მაცივარშიც კი პოულობდნენ თურმე... მე თუ მკითხავთ, კოლუმბი ძაანაც არ ტყუოდა - მთელი პლანეტა სულ ინდოეთებისაგან შედგება:

ოსტ-ინდოეთი გინდა, ვესტ-ინდოეთი, ნორდ-ინდოეთიც მალე გაჩნდება და მეყოლე მერე ვარდივით. რამე იყოს, რა - საამაყოდ არა გვაქ საქმე? უბრალოდ, ჩვენ იმდენად ჰინდოთმოსილნი არა ვართ, როგორც ვთქვათ, შენ. იქნებ ისა სჯობს, ჩვენს მხარეზე გადმოხვიდე? დაიცა და, იმ შენს წიგნს როგორ ერქვა, გამახსენე?

- ერთი ამ სალათის ჩამჩასაც დამიხედეთ! - აქ ზინიმ მხარზე მოხვია ხელი. - უცბად გაინდოელება არ მოისურვა?! და ეს მას შემდეგ, ნახევარი ცხოვრება გათეთრკანიანებას რომ შეალია! ხომ ხედავთ, ჯერ არც მთლად ისე წასულა ჩვენი საქმე! მაგისთანებსაც კი ჯერ რაღაც მაინც უხიჩინებთ გულისგულში...

ჩამჩა აიჭრა, თითქოს წამოაწითლა კიდეც. ინდოეთი... სახუმარო ამბავია? გეგონოს!

- ღმერთო ჩემო! - შესძახა ქალმა და ტუჩებზე დაეკონა. - შე მართლა ჩამჩალოკია შენა... ეშმაკსაც წაუღია შენი თავი! თან ემაგ თავს იკატუნებ და თან გინდა, აღარც ვიცინოთ? ვერ მოგართვი!

* * *

ზინის გვარიანად მონჯღრეულ „ჰინდუსტანში“ (ეს მანქანა აშკარად ე.წ. განვითარებად ქვეყნებში გახლდათ დამზადებული და მისი უკანა სავარძლებიც, შესაბამისად, ბევრად ხარისხიანი მასალით გაეწყოთ, ვიდრე წინა) სალადინს თითქოს ღამე შემოებურა და სრულიად ჰისდოსტანი მის მივიწყებულ სივრცეს აზომებდა, მის აქ გამეფებულ აბურდულობაში მუნ-ყოფნას. ამაზონის ვერცხლისბუნიკიანმა ჰიჯრამ იელვა ინდოელი ჯადო-ქალის ხელში, მანქანების დინება ერთი მბრძანებლური აქნევით შეაყოვნა და მათკენ გამოემართა. ჩამჩა მზერაგაშტერებული მისჩერებოდა მის ქალ-კაცურ ელვარე თვალებს: ჯაბრაილ ფარიშტა, კინოთვალთახედვიდან გამქრალი,

ახლა სარეკლამო ფირნიშებზეღა ლპებოდა. ხრეში, ნაგავი, ხმაური. გზის კიდეზე სიგარეტების ბრიყვული რეკლამა აუწყებდათ: „Scissors“ = ნეგატივიდან - პოზიტივში! და ამაზე კიდევ უარესი: „Panama“ - ეს დიადი ინდოეთის შემადგენელია!

- მაინც, საით გაგვიწევია?

ნეონის ნათურებით გაჩახჩახებულ ღამეს მომწვანო ფერი დაკრავდა. ზინიმ მანქანა სადგომზე შეაყენა.

- მთლად აგერია რამსები! - ამუნათებდა სალადინ ჩამჩას. - ბომბეისა რა გაგეგება? შენ რომ მშობლიური ქალაქი გგონია, ის არც არსებულა - შენივე ბავშვობის ზმანებაა და სხვა არაფერი! აქ გინდა სქენდელ-პოინტში გიცხოვრია და გინდა მთვარეზე... არც არავითარი ბიდონვილები - არა ძმაო ჩემო, მხოლოდ მომსახურე ხალხით დასახლებული უბნები. განა ოდესმე გამოჩენილან თქვენსა შივ სენის ბიჭები? რომელიმე შენს მეზობელს თუ უშიმშილია ფეიქართა გაფიცვაზე? რა, დატა სამანტს მოუწყვია ოდესმე მიტინგი თქვენი ფანჯრების წინ? რამდენი წლისა იყავი, პირველად რომ ჰკიდე თვალი პროფკავშირის მუშაკს საკუთარ სადარბაზოში? ან მძღოლიანი მანქანის გარდა, საზოგადოებრივი ტრანსპორტით თუ გიმგზავრია ოდესმე? არა ჩემო კარგო, ეგ ბომბეი კი არა, საოცრებათა ქვეყანა იყო, პერისტანი, ჯადოსან ოზის ქვეყანა, აღარასოდესობის მხარე...

- და შენ თავად? - დაეკითხა სალადინი. - შენ სადღა?

- მეც იქვე, - თქვა გამწარებულმა. - სხვა მცონარეებთან ერთად.

მიყრუებული ქუჩები. ჯაინთა ტაძარს ხელახლა ღებავდნენდა წმინდანთა ქანდაკებიც პოლიეთილენის ნაჭრებში გამოეხვიათ, უნებლიე შხეფებისაგან დასაცავად. ჟურნალ-გაზეთების ხელზე გამყიდველს ქუჩაშივე, სახელდახელოდ შეკრულ დახლზე გამოეფინა თავისი ახალი ამბების საშინელებანი - კატასტროფა

რკინიგზაზე. ბჰუპენ განდი მისეული დაგუდული ხმით ალაპარაკდა:

- ავარია რომ მოხდა, - თქვა. - გადარჩენილებმა ნაპირზე გამოცურეს (აკი მატარებელი ხიდიდან გადავარდა მდინარეში), ნაპირს შემოჯარული ადგილობრივები კიდე უკან, ისევ წყალში ყრიდნენ მათ - დამღვრჩვლები უფრო ადვილი გასაძარცვიაო.

- მოკეტე! - შეუძახა ზინიმ. - რას ბოდიალობ?! ისედაც ასე ფიქრობს ჩვენზე - ველურები არიან, ქვის ხანის ხალხიაო!

იქვე, პაწია მაღაზიაში სანდალოზის ხის საწვავ ჩხირებს ყიდდნენ, უახლოეს კრიშნაიტურ ტაძარში დასანთებად და კიდევ - ამავე ღვთაების ყოვლისმხილველ, თეთრ-ვარდისფრად მომინანქრებულ წყვილ თვალს.

- ნამეტანი ბევრია დასანახი, - შენიშნა ბჰუპენმა. - ფაქტია.

* * *

გადატენილ დჰაბაში, სადაც ჯორჯი ხშირად დაიარებოდა ხოლმე - რაღა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ კინოგადაღებებისათვის საჭირო მიზნით, რათა ადგილობრივ დადებთან დაედო კონტრაქტი - შავი რომი ღვარად ისმეოდა. ჯორჯმა და ბჰუპენმაც, სხვა რა ჩარა იყო, მცირე ადგილობრივი გაქანების ყალილაც მოაწყვეს. ზინი კი თუმს-უპ-კოლას წრუპავდა და ამ თავის მეგობრებზე უჩიოდა ჩამჩას.

- გაქანებული ლოთები არიან ორივე, ისე ჩაეშვნენ, მეტი რომ აღარ იქნება - ცოლებს ცემენ, ქულბაქებში ათენ-აღამებენ, ჩირად არ უღირთ ეს ცხოვრება... რაღა გაგიკვირდეს, შენისთანა ვინმე თუ ჩამივარდა გულში, ჩემო კარგო! სად ეს ჩამოფასებული ადგილობრივი საქონელი და სად შენ - უცხო რამ ხილი, ახლადშემოტანილი...

ამ დროს ზინისთან ერთად ბჰოპალში ნამყოფი ჯორჯი იდეოლოგიური კუთხით განიხილავდა იქ მომხდარ უბედურებას: - რაა ჩვენ-

თვის ეს ყბადაღებული ამერიკა? რაღაც შორეთი, ირრეალური ძალაუფლება, უსახური და უსარგებლო. ხელს ვერ შეახებ, არადა ისე გიხმარს, შენი მოწონებული. - და „უნიონ ქერბიდიც“ იქვე ტროას ცხენს შეადარა. - თავად არ მოვიწვიეთ ეგ ახვრები? ორმოცი ყაჩაღის ამბავს არა ჰგავს, ჭურებში რომ დაიმალნენ გათენებამდე? ეგაა, ჩვენ შორის ერთი ალი-ბაბა არ გამოგვიჩნდა არავინ. - აქვითინდა, მწარედ. - და ვინა გვყავდა რო? მისტერ რაჯივ გ. - ეგ იყო და ეგ.

აქ უკვე ფეხზეც წამოიმართა და შეპყრობილივით, ანთუ ზეგარდმო სულით გაცისკროვნებული დავარდა ქადაგად:

- პირადად ჩემთვის, - წართქვა საზეიმო ხმით. - უცხოური ინვესტიციები არაა პრობლემა. საქმე ისაა რომ მუდამ საკუთარ თავს ვიმართლებთ და ბრალს ვიღაც სხვას - ამერიკას, პაკისტანს, ნებისმიერ გარეშე ძალას ვდებთ! ჩვენ ბოდიში, ძმაო ჯორჯი, ოღონდ პირადად ჩემთვის ყველაფერი ეს ისევ და ისევ ასამის ამბავს უბრუნდება - სწორედ იქიდან უნდა დავიწყოთ!

ჩვილთა მოსწყვედნა. ფოტოები: აღლუმზე გამოსული ჯარისკაცებივით მიჯრით, წესისა და რიგის მიხედვით ჩალაგებული ბავშვთა გვამები. ქვებით ჩაქოლილები, თავგაჩეხილები, დანით ყურიდან ყურამდე ყელგამოღადრულები. დაწალიკებულად, ერთმანეთს მიწყობილი უსიცოცხლო სხეულები. „მხოლოდ ამგვარმა ზაფრამ თუ შეიძლება სრულიად ინდოეთი კანონთა გონს მოაქციოს...“ - ფიქრში გაუელვა ჩამჩას.

ბჰუპენი ზუსტად ოცდაცხრა წუთი ლაქლაქებდა, ყოველგვარი წაბორძიკებისა თუ შეყოვნების გარეშე.

- ჩვენ ყველას ასამის ცოდვა გვადევს, - თქვა. - ყველა ჩვენთაგანს, უკლებლივ. და ვინემ ჩვენივე ცდომილებანი უწლოვან ბავშვთა დახოცვის მიზეზი ხდება, ვერც ცივილიზებულ ხალხად ჩავითვლებით, ვერანაირად.

შიგადაშიგ რომსაც ყლუპავდა, სწრაფ-სწრაფად და ხმაც მისი სულ უფრო და უფრო მძლავრდებოდა, ოღონდაც სხეული ეხრებოდა ცალ მხარეს; და თუმც სიტყვაშეუბრუნებლად უსმენდნენ ყველანი, კაციშვილს აზრადაც არ მოსვლია წახმარებოდა, ხელი შეეშველებინა, ანთუ პირდაპირ ეთქვა - მთვრალი ხარ შენ და მორჩი ახლა ლაყბობასო. მერე - გონების სიბრმავე, შეხლა-შემოხლა, აღებ-მიცემობა და საერთოდ, ნეტა ვინა გვგონია საკუთარი თავიო - თქვა და გაითიშა, მძიმედ დაეშვა სკამზე, ჭიქას თვალმიშტერებული.

ახლა კიდე ვიღაც ახალგაზრდა წამოდგა და კამათის თავსაკითხს დაუბრუნდა: ასამის ტრაგედიაო, - გაიძახოდა, - პოლიტიკური ამბავია და შესაბამისობაში უნდა იქნას განხილულიო; ბოლო-ბოლო, ნურც ეკონომიკურ მიზეზებს გამოვრიცხავთო. მაშინ მეორე ყმაწვილი გაეპასუხა - ვერავითარი ფულადი საკითხები ვერ აგვიხსნის, დიდი ბიძები რატო ურახუნებდნენ თავში პატარა გოგონებსო, რაზეც ღირსეული პასუხი გასცეს: თუ მართლა ეგრე ფიქრობ, ნაღდი შიმშილიც ეტყობა არასოდეს განგიცდია ძმა, და მაგრა გეშლება, თუკი გგონია რომ ეკონომიკას არ შეუძლია ადამიანი მხეცად აქციოს! სალადინ ჩამჩა ჭიქას მოეჭიდა; გარშემო, ჩაკეტილ სივრცეში ხმაურმა იმატა და ჰაერიც კი შედედდა თითქოს. მის წინ ვიღაცის ოქროს კბილებმა გაიელვა, ვიღაცის მხარი აწვებოდა გვერდიდან, ნიდაყვი ერჭობოდა ფერდში, გული კი დარტყმაგამოტოვებით უფეთქავდა მკერდში. ჯორჯი-ბიჭმა მაჯაში ჩაავლო ხელი და გარეთ გამოათრია.

- რავა ხარ, ძმა? - დაეკითხა. - მთლად გამწვანებულხარ სახეზე.

მადლობის ნიშნად თავი დაუქნია. ძლივს ჩაისუნთქა ღამის ჰაერი, სული მოიბრუნა, ცოტა დაწყნარდა.

- რომისა და გადაღლის ბრალია, - აუხსნა. - ამგვარი შოუს მერე კი ნერვებიც მღალატობს ხოლმე. ვერ გავითვალისწინე.

ზინი ისეთი თვალებით შესცქეროდა, რომლებშიც რაღაც მეტი გამოსჭვიოდა, ვიდრე უბრალო თანგრძნობა. გამჭოლი, თითქოს მოზეიმე მზერა ჰქონდა. მაინც ხომ წამოეგე ანწუხზე! - ეუბნებოდა უსიტყვოდ. - დროული კი იყო და...

„ტიფშეყრილი რომ გამოკეთდები," - თავისთვის ბრძნობდა ამ დროს ჩამჩა. - „ერთი ათი წლით მაინც გიმუშავდება იმუნიტეტი. ოღონდ არაფერია სამარადისო და ეს ანტისხეულები ნელინელ გიქრება სხეულში. ახლა იმასაც უნდა შევეგუო, რომ სისხლში აღარცერთი იმუნომატარებელი აღარ შემრჩა ამ ინდური რეალიების წინააღსადგომად. რომი, გულისცემა, გონების გამოფიტვა. ნანუნების დროა".

ზიინათი ნაღდად არ წაიყვანდა თავისთან - მხოლოდ და ყოველთვის სასტუმრო, თავისი მოოქროვილსამკერდეებიანი არაბი ბიჭებით, ღამისეულ დერეფნებში რომ დასუნსულებენ კონტრაბანდული ვისკის ბოთლებით ხელში. ფეხსაცმელებიანა მიწვა ლოგინზე, მარტო საყელო გაიღეღა, მარჯვენა ხელით თვალებს იფარებდა. ზინი კიდე, სასტუმროსმონოგრამიან თეთრ ხალათში გამოწყობილი, დაიხარა და ნიკაპზე შეახო ტუჩები.

- მე გეტყვი, ამ საღამოს რაც დაგემართა, - უთხრა. - შენივე ნიჟარიდან გამოგაძვრინეთ, ეგაა სულ.

წამოჯდა, გაბრაზებული. სახე წამოუფაკლდა.

- კარგი, ახლა მე გეტყვი: ინგლისურად ნათარგმანები ინდოელი ვარ და როცა კი ნაღდ ჰინდუდ მინდა მოვაჩვენო ვინმეს თავი, ზრდილ სახეებს მიწყობენ. ეგა ვარ, რაცა ვარ.

ნასესხებ ენაზე ჩაღრმავების შედეგად ენადაბრგვილებულმა, ინდური ბაბილონის მრავალხმიანობაში ეს ავბედითი წინასწარმეტყველებაღა გაარჩია: უკან აღარ მოიხედო! როცა სარკისმიღმეთში შეაბიჯებ, მობრუნება კიდევ უფრო სახიფათოა: ვაითუ თავად სარკის ნამსხვრევებმა დაგჭრას-დაგჩეხოს...

- ბჰუპენით ვამაყობ! - თქვა ზინიმ და ლოგინში დურთა თავი. - სხვა რომელ ქვეყანაში შეგიძლია სადმე მიგდებულ ლუდხანაში შეხვიდე და ამისთანა კამათი გააჩაღო? ასეთი ვნებით, ამგვარი სერიოზულობით, ამნაირი ღირსების შეგრძნებით? დაიკიდე ეგ შენი ცივილიზაცია, ჩამჩაჯი; მე აქაურითაც კმაყოფილი ვარ.

- შემეშვი, თუ ღმერთი გწამს! - შეევედრა. - ვერ ვიტან, როცა ვისაც როდის მოეპრიანება, მაშინ მოგადგება კარზე, აღარც გრძელი ვირის წესები მახსოვს და აღარც ლახტის, აღარც ამ ლოცვების კითხვა შემიძლია და აღარც ის ვიცი, ნიკაჰის დროს როგორ უნდა მოვიქცე, ამ ქალაქში კიდე, სადაც გავიზარდე, ახლა მარტო რომ დამტოვო, გზასაც ვეღარ გავიგნებ... ეს ჩემი სახლი აღარაა. სახლს კი მაგონებს, მაგრამ არაა. გული მიჩქარდება და თავბრუ მესხმის.

- სულ გამოთაყვანებულხარ! - უყვირა ქალმა. - რეებს ამბობ?! საკუთარ თავს დაუბრუნდი! შესძლებ-მეთქი, მე გეუბნები!

ნაღდი ქალბორბალა იყო, ანთუ სირენა, ღია ზღვაში გემის უკან შემობრუნებას რომ სთხოვდა. ოღონდ ეს უკვე მისი მკვდარი გარსი იყო, აჩრდილის აჩრდილი, და იქით გზა აღარ ედო. ლონდონში დასაბრუნებელი ბილეთი საფულეში შეენახა, და ახლა სალადინი სწორედ მის გამოყენებას ეპირებოდა.

* * *

- ესე იგი, არ გათხოვილხარ. - ჩაილაპარაკა, ლოგინში უძილოდ გატარებული რამდენიმე საათის მერე.

ზინიმ ჩაიფხუკუნა.

- არა, ეტყობა მართლა მეტისმეტი მოგივიდა უცხოეთში ყოფნა. თვალებში ვერ იხედები? შავტუხა ვარ, შავი გოგო.

წელში გაიზნიქა და თხელი საბანი გადაიძრო, საკუთარი სიმდიდრის გამოსამზეურებლად. როცა მეკობრეთა დედოფალი, ფულანა დევი მთის ხეობიდან გამოვიდა რათა სამართალდამცველებს ჩაბარებოდა, მისმა ფოტოებმა ყველა ჟურნალ-გაზეთი მოიარა და ასე მოეღო ბოლო მათ მიერვე შექმნილ მითს მისი ზღაპრული მშვენების თაობაზე; უცებ, ერთ დღეში იქცა უბრალო, მიწიერ არსებად და მათთვისვე არცთუ ისე სასურველად, ვინც ადრე ჭკუას კარგავდა ამ ქალ-ლეგენდაზე. ასეა, არ გათეთრდების ყორანი - მით უმეტეს, ჩრდილო ინდოეთს...

- შენისთანები მოატყუე, - დაუგდო სალადინმა. - შანსი არაა, ეგ ზღაპარი დაგიჯერო.

ქალს გაეცინა.

- კეთილი და პატიოსანი, არც მთლად ასე გამოშტერებულხარ. გათხოვებაში რა ყრია? სამუშაო ისედაც თავს გადამდიოდა.

შეიცადა, მერე იქით დაეკითხა: ჩემი გავარკვიეთ... და თქვენსკენ?

- მდიდარიც და ცოლიანიც.

- უყურე შენ! და როგორ ეგუებით, შენ და შენი ბიბი-ხანუმი?

- დიდ სახლში ვცხოვრობთ, ხუთსართულიანში. ნოთინგ-ჰილის უბანი გაგიგია?

ისე, რამე რომ იყოს და, ამ ბოლო დროს კი გრძნობდა - აქ აღარ დაგვედგომებაო, რადგან უკვე მერამდენეჯერ მოპარეს ვიდეოცა და სტერეოდანადგარიც, ბოლოს კი ეზოში დარაჯად აშვებული ნაგაზიც ზედ მიაყოლეს. პამელასთვის რომ გეკითხათ, ეგ ძირძველი ჩვეულება იყო -ძაღლიპარიობა. გარდასულ დროსო (მისთვის კაცობრიობის ისტორია რამდენიმე საფეხურად იყოფოდა: ანტიკური ხანა, ბნელი შუასაუკუნეები, გარდასული დრო, ბრიტანეთის იმპერიის ზეობა, ახალი დროება და დღე დღესინდელი), ეს საქმე ფრიად საპატიოდ ითვლებოდაო. ღარიბები მდიდრებს პარავდნენ შინაურ ცხოველებს, ისე წვრთნიდნენ რომ ძვე-

ლი სახელი დავიწყნოდათ და მერე თავიანთივე მოსიყვარულე, უილაჯო პატრონებს უბრუნებდნენ პორტობელო-როუდზე, გვარიან ფასად. საზოგადოდ, პამელას მონათხრობი მუდამ უამრავი წვრილმანითა და ერთგვარი უზუსტობებით გამოირჩეოდა ხოლმე.

- არ გადამრიო! - შეიცხადა ზინი ვაკილმა. - აუცილებლად უნდა გადახვიდე მაქედან! ვიცნობ მე მაგ ვითომ გაინგლისელებულებს - გაიძვერები არიან და ნაბობები, ყველა ერთიანად. მარტო შენ რას გააწყობ...

მეუღლე ჩემი, პამელა ლოველასი - ვორჩესტერის ფაიფურის ფინჯანივით მყიფე და... - გაახსენდა: - ფესვს ვიდგამ ქალებში, რომლებსაც ვყვარობ.

ცოლქმრული ღალატის ბანალობა. ხელი ჩაიქნია და საკუთარ საქმიანობაზე გაბა საუბარი.

ოღონდ როცა ზინი ვაკილმა შეიტყო, რითი შოულობდა სალადინ ჩამჩა პურისფულს, იმისთანა წივილ-კივილი მორთო, მედალოსან არაბთაგან ერთ-ერთმა კარზეც კი დაუკაკუნათ, ხომ არაფერი გაგჭირვებიათო. მერე პასუხს არ დაელოდა, კარიც შემოაღო და რას ხედავს - წევს ქალი ლამაზი ლოგინში და სახეზე ფურ-კამეჩის რძესავით ჩამოსდის რაღაცა! მსწრაფლ მოუბოდიშა ჩამჩას და კუდამოძუებული გაიძურწა - ჩვენ ბოდიში, მაგარი ბედი კი გქონია, ძმაო!

- ვაი შე საცოდავო შენა! - ლამის სიცილში იღრჩობოდა ზინი, - ოხ ეს ძაღლი-მამაძაღლი ანგლოელები! მართლა უხმარიხართ და ეგაა!

ახლა სალადინის საქმიანობა არ ექცა საღადაოდ?!

- რა გიკვირს, - იწყინა იმანაც. - ნიჭი მაქვს კილოკავებზე ლაპარაკის... არ გამოვიყენო?

- კი, როგორ არა, ემანდ ნიჭი არ ჩაფლა მიწაში! ჩვენს მსახიობს ულვაში მოსძვრა, მიაწეპეთ ვინმემ!

ვაი ჩემს თავს უბედურს.

და რა მემართება ასეთი?

მიშველეთ, ხალხი არა ხართ?

ხოლო რამდენადაც სალადინ ჩამჩას მართლაც გააჩნდა ამგვარი ნიჭი და შეიძლება ითქვას, 1001 ხმის პატრონი გახლდათ, და თუკი გინდოდათ გაგეგოთ, როგორ უნდა ელაპარაკა კეჩუპის ბოთლს რომელიმე სატელევიზიო კომერციულ რგოლში, ან თუკი ეჭვი გღრღნიდათ, ნიორნაზავი ჩიპსების კოლოფს რა ხმა უნდა გამოეცა სარეკლამოდ - აგერ ეს კაცი ზედგამოჭრილი იქნებოდა თქვენთვის. არაფრად უღირდა ხალიჩები აელაპარაკებინა ამა თუ იმ საცალო ვაჭრობის ქსელის სასარგებლოდ, ანთუ ცნობადი სახეებისათვის მიებაძა, გინდაც მარწყვის ნაყინი აეძულებინა, მთლად ოქსფორდდამთავრებული ახალგაზრდა არისტოკრატივით ემეტყველა; წამის საქმე იყო მისთვის, რადიომსმენელები დაეჯერებინა რომ რუსი, ჩინელი, სიცილიელი ან თუნდაც აშშ-ს პრეზიდენტი უჯდა ახლა სტუდიაში მიკროფონს. ერთხელაც, რომელიღაც რადიოდადგმაში 37 სხვადასხვა ადამიანი გაახმოვანა და ეს კაციშვილმა ვერ შეამჩნია! თავის ქალურ ალი-კვალთან, ვინმე მიმი მამულიანთან ერთად, სალადინ ჩამჩა მთელი ბრიტანეთის რადიოეთერში ბატონობდა. ორივეს კი იმისთანა მარქაფა ჰქონდათ კადრსმიღმა ხმების ასარჩევად, მიმიმ ისიც კი თქვა, ჩვენი თანდასწრებით, ხუმრობითაც კი არავინ ახსენოს ანტიმონოპოლიური კომისიაო. სხვათა შორის, მისი დიაპაზონი მართლა განსაცვიფრებელი იყო: ნებისმიერი ასაკისა თუ წარმომავლობის პერსონაჟის განსახიერება შეეძლო, ვოკალური რეგისტრის ნებისმიერ ნახევარტონს იღებდა, ანგელოსური ჯულიეტადან დაწყებული, ხეშეში მეი უესტით დამთავრებული. „კარგი იქნებოდა შევუღლებულიყავით, როგორც კი განთავისუფლდები," - უთხრა ერთხელ. - „გაერო ინკორპორეიტედის ჩამოსაყალიბებლად".

- დაიცა, შენ ხომ ებრაელი ხარ, - შეახსენა. - მე კიდე ებრაელების მიმართ ჩემი აჩემებები მაქვს, ასე გამზარდეს.

- დიდი ამბავი! მაგიორში, წინადაცვეთილი ხომ ხარ? ასეა, არავინაა ჩვენს შორის სრულყოფილი.

მიმი ტანმორჩილი ქალი გახლდათ, ბიბენდუმისავით ხვეული კულულა თმით. ამ დროს კი ბომბეიში, ზიინათ ვაკილი ზმორებითა და მთქნარებით, სალადინ ჩამჩას ყველა სხვა ქალის მოგონებას უდევნიდა თავიდან.

- არა-ა, აქ რაღაცაშია საქმე! - იღიმებოდა, იქედნურად. - ფულს იმაში გიხდიან, მათ მაგივრად გაახმოვანო ფირი, ოღონდ არსად კი არ უნდა გამოჩნდე! ვითომ რათაო? იქნებ მეჭეჭი გაზის ცხვირზე, ან იქნებ ელამი ხარ? ტვინი გაანძრიე, ჩამჩა! სადაა ძაღლის თავი დამარხული?

„ისე, მართალს კი ამბობს, რას ერჩი...“ - გაიფიქრა. ისა და მიმი ერთგვარ ლეგენდად იქცნენ, ოღონდაც ეს მათი ლეგენდა რაღაც კნინი ჩანდა: არა ვარსკვლავები, არამედ შავი ხვრელები: მათივე უნართა მიზიდულობის ველის წყალობით, სამუშაო არასოდეს მოკლებიათ, ის თითქოს თავისით მოდიოდა მათთან, მაგრამ თავად კი უჩინრები რჩებოდნენ - თითქოს სხეულებს შელეოდნენ ხმების გულისათვის. რადიოში მიმის შეეძლო ბოტიჩელის ვენერად ქცეულიყო, ოლიმპიად, მერილინ მონროდ, მოკლედ - ნებისმიერ ქალად, ვისაც კი მოისურვებდა; სულ არ ედარდებოდა როგორ გამოიყურებოდა თვითონ, საკუთარ ხმაში გარდაისახებოდა ხოლმე და ფულსაც უამრავს შოულობდა, იმაზე აღარაფერი ვთქვათ,სულ მცირე, სამი ქალი რომ თავფეხიანად და უიმედოდ იყო მასში შეყვარებული. მიმი, ძირითადად, უძრავ ქონებაში აბანდებდა თავის ფულს: „ნევრასთენია მჭირს ერთგვარი,“ - ასე ხსნიდა ამ თავის გადაწყვეტილებებს. - „შეიძლება ითქვას, ფესვების გადგმის დაუძლეველი მოთხოვნილებაა, ებრაულ-სომხური ისტორიის გააზრების შედეგი.“ ანარადა, სულაც წლებისა და ყელში პაწია პოლიპების დაგროვებით გამოწვეული. უძრავი ქონება თითქოს გამშვიდებსო, - უმტკიცებდა ყველას. ნორფოლკში ერთი იქაური მღვდლის სახლი შეიძინა, ნორ-

მანდიაში - პატარა ფერმა, ტოსკანაში - სამრეკლო, ბოჰემიაში - ზღვის სანაპირო ზოლის ერთი მონაკვეთი... „უკლებლივ ყველა - საკუთარი აჩრდილ-მოჩვენებებით!“ - უმტკიცებდა, ვინც კი მზად იყო ყური ეთხოვებინა. - „ჯაჭვების ჟღრიალი გინდა, ღმუილ-ყმუილი ღამ-ღამობით, სისხლის ამოუყვანელი ლაქები ნოხზე, ღამისპერანგიანი ქალები... მოკლედ, სრული კომპლექტი. უბრძოლველად ვინ რას დაგითმობს.“

„ჩემს გარდა,“ - გაიფიქრა ჩამჩამ. მელანქოლიამ დარია ხელი, თუმც კი ზიინათ ვაკილი ჯერ ისევ გვერდით ეწვა. „იქნებადა მეც უკვე აჩრდილად ვიქეცი? ოღონდ - ავიაბილეთიან, წარმატებულ, ფულიან, დაოჯახებულ აჩრდილად; ხელშესახებ, მატერიალურ სამყაროში მცხოვრებ, აქტივების მეპატრონე გაზისებრ უხერხემლოთა სახეობის წარმომადგენლად. დი-იახ, სერ. ასეა ეს.

ამ დროს ზინი ყურზე გადმოშვებულ მის კულულებს ეთამაშებოდა.

- როცა ასე გაბუსუნებული ხარ ხოლმე, - წაუჩურჩულა. - როცა არც სასაცილო ვინმეებს ახმოვანებ და არც დიდ-დიდ ხალხს არ ბაძავ და როცა საერთოდ გავიწყდება თუ ვინმე გითვალთვალებს, აი მაშინ მთლად დაბოლილს გევხარ, ღმერთმანი! ვითომც სულ თიში იყო. მინდება ერთი კარგად მიგტყიპო და ამქვეყანას დაგაბრუნო! თან ცოტათი მეცოდები კიდეც - კინოვარსკვლავი, რომლის სახისკანიც არც მთლად შესაფერისია მათი ფერადი ტელევიზორებისათვის და მთელს ვოგლენდში გიწევს ბოდიალი ვიღაც მესამეხარისხოვან დასთან, ოღონდ კი დადგმაში მოხვდე. ყოველი მხრიდან გწიხლავენ და მაინც არ იშლი შენსას, მონური ფსიქიკით დაბორკილი! მისმინე, შე ძველო, - ახლა ზემოდან გადააჯდა, მხრებში ჩაავლო ხელები და მაგრად შეანჯღრია, აკრძალული ძუძუები კი ამ დროს ჩამჩას სახიდან სულ

რამდენიმე გოჯის დაშორებით თიმთიმებდნენ. - სალათ-ბაბა, ღვთის გულისათვის, დაგვიბრუნდი!

ის დიდი გარღვევა მის კარიერაში, რომელსაც მისთვის იქნებ ფულისთვისაც კი დაეკარგვინებინა მნიშვნელობა, სულ მცირედით დაიწყო: საბავშვო გადაცემით უცხოპლანეტელების შოუ - რაღაც საშუალო „მუნსტრებსა“ და ვარსკვლავეთის ომებს შორის, ოღონდ - სეზამის ქუჩის თარგზე გამოჭრილი. ნამდვილი სიტკომი იყო, უცხოპლანეტელებით - ძალიან-ძალიან საყვარელი ტიპებიდან დაწყებული და სრული ფსიქოპატებით დამთავრებული - ფუმფულა პაწია ცხოველი გინდა, მოარულ-მოლაპარაკე ბოსტნეული თუ სულაც მინერალი (ერთი ეგეთიც ბრძანდებოდა, ვინმე დარდი-მანდი სტუმარი კოსმოსიდან, რომელსაც უნარი გააჩნდა საკუთარი ნატეხებიდან ნებისმიერი ნედლი მასალა გამოედნო, კვირის ბოლოს კიდე, შემდგომი ეპიზოდისთვის, ვითომც აქ არაფერიო, ისევ სრულად აღიდგენდა საკუთარ თავს და სახელად სამყაროს ამ საოცრებას პიგმალიონმიღმელი ერქვა); პროდიუსერთა კნინი იუმორის გრძნობას შესანიშნავად გამოხატავდა კიდევ ერთი არსება - რატომღაც, სულ რომ აბოყინებდა და გარეგნობით შავჭირშეყრილ კაქტუსს მოგაგონებდათ, სახელად ავსტრალოპლანეტელი; თავად ვარსკვლავთმფრენის საძინებელ კაბინაში, ანუ - სერიალის მთავარ სამოქმედო ადგილას, ვეებერთელა ხოჭო-ფუნაგორია სახლობდა, რომელიც რომ პოლიტიკურ ზეწოლას გამოქცეოდა ანდრომედეს ნისლეულიდან, აკვარიუმში კი ჩინურ კერძებზე უგზო-უკვლოდ შეყვარებული, მთლად უცნაურზე-უცნაური მოლუსკი ჭყუმპალაობდა; ოღონდ მთელ ამ დასში გამორჩეული მაინც მსახიობ სიგურნი უივერზე ჭკუადაკარგული ბ-ნი რიდლი გახლდათ, ფრანსის ბეკონის ტილოებიდან გადმოსულ და გაცოცხლებულ პერსონაჟებს რომ უჯოკრავდნენ თავიანთი ფანტასმაგორიულობით. თუმცა, ნაღდად სხვა სამყაროდან ჩამოსულებს აქ მაინც თავზე ზვინად თმადადებული, ფერად-ფერად, ტალღოვან სამოსში გამოწყობილი დუეტი გავ-

და, ვინმე მაქსი და დედილო უცხოპლანები, რომლებიც - აბა თუ მიხვდებით? - დი-ახ, დი-ი-ახ, რაღა თქმა უნდა, ტელევარსკვლავობაზე ოცნებობდნენ! სწორედ მათ განასახიერებდნენ სალადინ ჩამჩა და მიმი მამულიანი, რომლებიც ისე იცვლიდნენ ხმებს, როგორც სამოსს, როგორც თმის ვარცხნილობას, კიდურების, ყურების, ცხვირისა თუ ასევე ფერად-ფერადი თით-ფრჩხილების სიგრძეს. ვინც რა უნდა თქვასო და ეს სანახაობა დიდად წარმატებული კი აღმოჩნდა კომპიუტერული გრაფიკის მიღწევათა ფართოდ გამოყენების წყალობით. ფონი ყველგან სიმულირებული იყო: კოსმოსური ხომალდი გინდა, უცხო პლანეტების ხედები თუ საგალაქტიკათაშორისო ტელეთამაშების სტუდიები; მსახიობების გარეგნობასაც კი ძირისძირამდე ამუშავებდნენ და ნელსაცხებელთა უთანამედროვესი მიღწევებით სქლად დაფარულებს, ათასნაირ პროტეზაკიდებულებს, დღეში ოთხ-ოთხი საათი მაინც უწევდათ აქეთ-იქით სიარული, თუმცა - როგორც კი ეს ქებული ვიდეო-კომპიუტერული ტექნიკა გამოირთვებოდა, წამში ეგეთსავე სიმულატორებს ემსგავსებოდნენ ხოლმე. ასეა თუ ისე, მაქსი უცხოპლანელმა, ამ კოსმიური მასშტაბის ფლეიბოიმ და მისმა განუყრელმა მეწყვილე დედილომაც - გალაქტიკური ორთაბრძოლების დაუმარცხებელმა დიდოსტატმა და სამყაროული სპაგეტის აღიარებულმა დედუფალმა, ერთ ღამეში დაიგდეს საქვეყნო სახელი. ცხადია ამ ყველაფერს რიგ-რიგად მოჰყვა პრაიმ-თაიმები ამერიკის ნაციონალურ არხებზე, ევროვიზიაზე, მსოფლიო ტელექსელში...

ოღონდ როცა „უცხოპლანეტელები“ ასე პოპულარულები გახდნენ, წარმოდგენას კრიტიკაც დაატყდა თავს: კონსერვატორებმა მეტისმეტად დამაფრთხობლად, ასე ვთქვათ, ექსპლიციტურ-სექსუალურად მიიჩნიეს (რიდლი ფალიკურად აიდრიკებოდა ხოლმე, რაწამს მისს უივერზე იწყებდა ფიქრს) და კიდევ - მეტისმეტად ზებუნებრივად. სხვები სტერეოტიპულობაში სდებ-

დნენ ბრალს, აქაოდა მახინჯ მომხდურებზე ამახვილებთ ყურადღებას, დადებითს ვერაფერს ხედავთ მათში და მართლა რომ გვეწვიონ, მერე სად მიდიხართო?! ჩამჩას პირდაპირ ეუბნებოდნენ, გიჯობს შოუ დატოვოო; არ დაუჯერა და ახლა თავად იქცა სამიზნედ.

- ყოველ წამს რაღაც ახალ-ახალი უსიამოვნების მოლოდინში ვარ, - გამოუტყდა ზინის. - ეშმაკსაც წაუღია ყველანი! ბოლო-ბოლო, ნებისმიერი წარმოდგენა გართობა უნდა იყოს და მეტი არაფერი.

- და ვინ უნდა გაართოს? - დაეკითხა. - სხვა თუ არაფერი, უკვე ეთერშიც მხოლოდ სახედაღებილსა და ცხვირზე წითელბურთულაწამოცმულს თუ გიშვებენ ხოლმე. მაგარი ხარ.

მეორე დილას კიდე, გაიღვიძა თუ არა, პირდაპირ აჯახა:

- საქმეც ისაა, ჩემო კარგო, რომ მაინც მშვენივრად გამოიყურები, არაა ბაზარი. კანისფერი ქაფქაფა რძეს გიგავს და ახლა, რაკი ჯაბრაილი გაქრა, შენი შეგდებაც შეიძლება ამ კინოკონვეირზე! ალალად გეუბნები. ახლა იმათ ყველას ახალი სახე სჭირდებათ, სასწრაფოდ. დაგვიბრუნდი და ღმერთმანი, შენგან ახალი ბაჩანი დადგება, გინდაც - ფარიშტა. ბოლო-ბოლო, მათსავით მაზალოდ მაინც არ მოიქცევი!

ახალგაზრდობისასო, უთხრა - ჩემი ცხოვრების ყოველი ახალი ფაზა, ყოველი ნიღაბი რომელსაც კი სახეზე ვირგებდი, ყოვლად დროებითი მეჩვენებოდა და მათ არასრულყოფილებას არავითარ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი, რადგან ყოველთვის შემეძლო ერთი - მეორეთი, ერთი სალადინი - სულ სხვათი შემეცვალა; ოღონდ ახლა უკვე ამგვარი ცვლილებები მტკივნეულია, შესაძლებლობათა არტერიები ჩამეკირაო. „მიჭირს შენთან ამაზე ლაპარაკი, ოღონდ ისიც გაითვალისწინე რომ დაქორწინებული ვარ - არა მხოლოდ ცოლზე, ჩემსავე ცხოვრებაზეც.“ ისევ გასხლტა ის ოხერი აქცენტი. „სიმართლე თუ გინდა, შოუ აქ არაფერ შუაშია, ბომბეიში სულ სხვა მიზეზით ჩამოვედი: ის ახლა სამოცდაათსაა გადაცილებული და სხვა მეტი შესაძლებლობა ვაითუ აღარც კი მომეცეს. თავად წარ-

მოდგენას არ დასწრებია და ახლა დროა, მუჰამედი მივიდეს მთასთან.“

მამაჩემი, ჩინგიზ ჩამჩავალა, ჯადოსნური სანათის მფლობელი.

- ბებერი ჩინგიზაო?! შენ რა, უჩემოდ აპირებ მაგას? - ტაში შემოჰკრა. - არ გაგივა! თავიდან ფეხებამდე უნდა გავერკვე მაგ ყველაფერში...

მამამისი, ცნობილი დაყუდებული. საერთოდაც, ბომბეი ხომ ერთგვარი რიმეიკების კულტურას ქადაგებდა: ცათამბჯენების ნასესხები არქიტექტურა, „შესანიშნავი შვიდეულისა“ თუ „ერთი სიყვარულის ამბის“ უთვალავი გადამღერება, სადაც კინოგმირს უბრალოდ, ევალებოდა კიდეც მავანი ლამაზმანისა თუ მთელი სოფლის ყაჩაღ-დაკოიტებისაგან ხსნა, ხოლო ყოველ კინომსახიობ ქალს - ლეიკემიით დაავადება (სასურველი გახლდათ, ფილმის დასაწყისშივე). აქაური მილიონერებიც სულ იოლად გადაეწყვნენ ცხოვრების ამ იმპორტირებულ ნირზე. ჩინგიზის უჩინარობაც პენტჰაუზებში გამოკეტილთა ოცნებების, ასე ვთქვათ, ადგილობრივი, ინდური ნაირსახეობა გახლდათ. ოღონდ ოცნება ფოტო არაა, და ზინისაც საკუთარი თვალით სურდა ენახა ეს ყველაფერი.

- თუ ხასიათზე არაა, მტრისას! - აფრთხილებდა ჩამჩა. - ისეთ სიფათებს დაგიწყობს, შეხედვა აღარ მოგინდება. ბევრს არ ჯერა, მაგრამ ეგრეა. ისე გამოგხედავს, მედუზა გორგონა მონაგონია. აქეთ შეიძლება კახპა გიძახოს და ხმასაც ვერ ამოიღებ. იქნებადა ჩხუბიც კი მომიწიოს, ბანქოზე მიმკითხავეს ეგრე.

აი, ამისთვის ჩამოვიდა სალადინ ჩამჩა ინდოეთს: საპატიებლად. ოღონდ უნდა ეთხოვა თუ იქით გაეღო - მაგას თავადაც ვერ გეტყოდათ.

* * *

ბ-ნ ჩინგიზ ჩამჩავალას ამდროინდელი პირადი ცხოვრების ზოგიერთი, უცნაურზე-უცნაური გარემოება: კვირაში ხუთ დღეს თავის მეორე ცოლთან, ნასრინ II-თან ატარებდა, კინოვარ-სკვლავთა მიერ ამოჩემებულ პალი-ჰილის მდიდართა უბანში მდე-ბარე, „წითელ სიმაგრედ“ წოდებულ, აგურის გალავანშემოვლებულ სამოსახლოში, ოღონდ ყოველ კვირაძალს კი თავის ძველ სახლს უბრუნდებოდა სქენდელ-პოინტში, უცოლოდ, რათა უქმეები წარსუ-ლის დაკარგულ სამყაროში, თავის პირველ და აწ გარდაცვლილ მე-უღლე ნასრინ I-თან ერთად ყოფილიყო. ესეც რომ არა, ამბობდნენ რომ მისი მეორე ცოლი უარს იყო თუნდაც ფეხი შეედგა იქ.

- ან მაგის ნებას არ აძლევენ, - ივარაუდა ჩინგიზის მიერ შვილის-თვის გამოგზავნილი, ჩამუქებულშუშებიანი მერსედეს-ლიმოს უკანა სავრძელზე გადასვენებულმა ზინიმ.

ბოლოს, როცა სალადინი მთელი ამ წინაისტორიების მოყოლას მორჩა, ქალმა ერთიღა დაუსტვინა, კმაყოფილების ნიშნად და იქვე დაამატა: მაგარია!

ჩამჩავალას ქიმიკატების ბიზნესი - მთელი ეს სანეხვე იმპერია - შესასწავლი გახლდათ საგადასახადოს ქვეშიდან გამოძრომასა და იმპორტული საქონლის სამთავრობო კომისიის მიერ დაწესებული ბაჟის დარღვევით ქვეყანაში შემოტანაზე, ოღონდ ეს ჩვენს ზინის სუ-ლაც არ აღელვებდა.

- ახლა იმას მაინც ვნახავ, - უთხრა. - სინამდვილეში რისი მაქნისი ხარ.

მათ წინაშე სქენდელ-პოინტი გადაშლილიყო. სალადინს უცებ შემოაწვა წარსულის მოგონებები, ზღვის მოქცევასავით, და თით-ქოს ფილტვები გაუვსოო მარილ-იოდიანი შეგრძნებებით. დღეს რა-ღაც ჩემს თავს არა ვგევარ, - გაიფიქრა. გული უჩვეულო აჩქარებით ცემს. ცხოვრება ცოცხლებს ვნებს. საკუთარ თავს აღარავინ ვგე-ვართ. საერთოდ აღარ ვგევართ არაფერს ეგეთს.

ახლა აქ რკინის ჭიშკარი დაეყენებინათ, დისტანციური სამართავით, გვარიანად შელახულ ტრიუმფალურ თაღს აქეთ რომ იჭერდა თითქოს. ჩუმი ზუზუნით გაიღო და სალადინმაც ამ დაკარგული დროის სივრცეში შეაბიჯა. მერე კიდე, სწორედ ის ხე რომ დალანდა, რომელშიც, მამამისს თუ რამე დაეჯერებოდა, თავად სალადინის სული მყოფობდა, ხელებიც აუკანკალდა. რაღა დარჩენოდა - ფაქტების მიუკერძოებლობას ამოეფარა.

- ქაშმირის მხარეში, - მიუბრუნდა ზინის. - საგვარეულო ხეს ფულად დაბანდებასავით უდგებიან: როცა ბავშვი სრულწლოვანი ხდება, მის სახელზე დარგული კაკლის ხე დაზღვევის პოლისის მაგივრობას სწევს - მაგით შეგიძლია ქორწილის ხარჯები გაისტუმრო ან სახლის მშენებლობა წამოიწყო... მოზარდი თავის ბავშვობას ჩეხავს, მოწიფულობის ხანაში რომ მოიხმაროს - ვერაფერი გრძნობიერი მიდგომაა, რას იტყვი?

მანქანა ზედ პარმაღთან გაჩერდა. ზინი გაყუჩდა, სანამ ეს ორნი მარმარილოს კიბეზე ადიოდნენ, რომლის თავში გაპრიალებულ სპილენძისფოლაქებიანი მსახური ელოდათ, ხოლო მისი მთლად თეთრად გადაპენტილი თავის დანახვაზე გაოგნებულმა ჩამჩამ ოდესღაც ყორნისფერთმიანი მაჟორდომი შეიცნო, უხსოვარი დროიდან რომ ემსახურებოდა ამ სახლის პატრონებს.

- ღმერთო დიდებულო! ვალაბჰაი... - თავი ხელში აიყვანა და მოხუცს მოეხვია.

მსახურმა ღიმილი გამოიწურა სახეზე.

- ისე დავბერდი, ბაბა... არც მეგონა, თუკი მიცნობდით.

ერთიანად ბროლითა და დიბა-ატლასით გაწყობილ ამ დიდი სახლის დერეფნებს დაუყვნენ, და სალადინისთვის ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ ცვლილებების სიმცირე მოსალოდნელზე ბევრად მეტი გახლდათ და თანაც - წინასწარულად გამიზნული. კი, ასეა, - თავი დაუკანტურა ვალაბჰაიმ. - როცა ბიგუმი მიიცვა-

ლა, ჩინგიზ-საჰიბმა დაიფიცა, აქაურობა მის მუზეუმად უნდა ვაქციო-ო... შედეგად, სახლში არაფერი შეცვლილა: სურათები, ავეჯი, დრეზ-დენის ფაიფურის ქანდაკები - ყველაფერი თავის ადგილას დარჩა; იგივე ჟურნალები მაგიდებზე, იქივე დაჭმუჭნილი ქაღალდები სანაგ-ვე ურნებში - თითქოსდა სახლიც მომკვდარიყო და ისიც დაებალზა-მებინათ.

- მუმიფიცირება, - ხმამაღლა წაიჩურჩულა ზინიმ და როგორც სჩვეოდა ხოლმე, ამჯერადაც უთქმელი განაცხადა, სახალხოდ. - მა-გარი დამზაფრავი რამაა, არა?

და სწორედ ამ დროს, როცა ვალაბჰაი ცისფერი სასტუმრო ოთა-ხის ორმაგ კარებს უღებდა, სალადინ ჩამჩამ საკუთარი დედის აჩ-რდილი დალანდა.

ყვირილი აღმოხდა და ზინიც ცალ ქუსლზე შემოტრიალდა, შეში-ნებული.

- აი, იქ! - დერეფნის შორეულ, ჩაბნელებულ კუთხეზე მიათითა. - ისევ ის გაზეთისსათაურებიანი სარი, იმ დღეს რომ ეცვა, როცა ის... როცა...

ოღონდ ახლა ვალაბჰაის მკლავები აფარფატდა ჰაერში, ფრთა-მოტეხილი ჩიტივით: „არა, არა ბაბა - რასა ბრძანებთ, ჩემი ცოლია, ქასთურბა, აღარ გახსოვთ?“

ჩემი აია-ქასთურბა, ვისაც კლდოვან ლაგუნაზე დავყავდი სათა-მაშოდ. მერე კი წამოვიზარდე და უიმისოდ წავედი იქ, სადაც ის კაცი დამხვდა, სპილოსძვლისჩარჩოიანი...

- ნუ გაგვინაწყენდებით, ბაბა! უბრალოდ, როცა ბიგუმი გარდაიც-ვალა, ჩინგიზ-საჰიბმა მისი რაღაც-რაღაც სამოსი უბოძა და... ხომ არ გვიბრაზდებით, ბაბა? დედათქვენიც უხვი და დიდსულოვანი ქალბა-ტონი იყო, მუდამ ხელგაშლილად არიგებდა საბოძვარს.

ჩამჩამ სრულ ბრიყვად იგრძნო თავი.

- ფუი ეშმაკს, ვალაბჰაი... - წაიბურტყუნა. - მე რა გამკითხავი ვარ მაგისა?!

ოდინდელი ცუდმედიდობა დაეტყო ხმაში ბებერ მსახურს:

- ბოდიში მომითხოვია, ბაბა - ეშმას ასე უდიერად არ უნდა იხსენიებდეთ.

- ლამის ოფლმა დაასხას, - ისევ ისე თეატრალურად გადაუჩურჩულა ზინიმ. - შიშს დიდი თვალები აქვს...

ქასთურბა შემოვიდა ოთახში და თუმც კი ჩამჩასთან მისი შეხვედრა ალალად გულთბილი იყო, რაღაც დაძაბულობა მაინც იგრძნობოდა ირგვლივ. ვალაბჰაი ლუდისა და ლიმონათის მოსატანად გაემართა და მალე ქასთურბამაც ბოდიში მოიხადა - ერთი წუთით დაგტოვებთო. ზინიმ წამსვე შენიშნა:

- საეჭვო ამბავია კია, შენ ნუ მომიკვდები! ნაღდი დიასახლისივით არ დაიარება! თავიც ისე უჭირავს, თითქოს მასპინძელიც ეგ იყოს! იმ მოხუცს კიდე შიშისაგან მუხლები უკანკალებს... რაღაცა ამბავია აქ, თავს დავდებ!

ჩამჩა შეეცადა დაეშუშებინა: ეგენი დროის მეტი წილი მარტოკები არიან ამ სახლში გამოკეტილები, ღამ-ღამობითაც ნაღდად პატრონის საძინებელში იძინებენ, ჯამ-ჭურჭელსაც ძვირფასს ხმარობენ და ნელი-ნელ მიეჩვივნენ კიდეც... ოღონდ თან ის ფიქრი არ ასვენებდა, ამ სარიში გამოწყობილი, მართლა როგორ დამსგავსებოდა დედამისს მისი გადია ქასთურბა.

- იმდენი ხანი გავიდა, - ზურგსუკან მამის ხმა გაისმა. - ახლა შენს ცოცხალ გადიას გარდაცვლილ დედაშენისაგან ვეღარც ანსხვავებ...

სალადინი შემოტრიალდა და მამამისის სევდისმომგვრელ იერს შეეფეთა - შარშანდელი ვაშლივით მომჭკნარიყო, თუმცა კი ისევ იმავეძვირადღირებულ, ახლა მისთვის აშკარად ფაშფაშა იტალიურ კოსტუმში გახლდათ გამოწყობილი. პოპაის ტრიცეპსებისა და ბრუტოს ფაშვის სახსენებელიც კი აღარსად უჩანდა და წლების ავჯადოობით ჩამშრალი ცხვირ-პირიც ძნელად თუ გაგახსენებდათ მისსავე ადრინდელ, კაციჭამია გოლიათის სახეს.

ჩამჩამ ისიც კი გაიფიქრა, აწი მამაჩემი რაღა ვინმეს შემშინებელია, აღარც მზერით მონუსხვის უნარი შერჩა და ერთი მაზალო მოხუცია, საკუთარი საფლავისაკენ რომ მიჩლახუნობსო. ზინიმ კიდე გულაცრუებით შენიშნა თავისთვის - ჩინგიზ ჩამჩავალას თმა რაღაც ძველმოდურად, მეტისმეტად მოკლედ ჰქონდა შეკრეჭილი და არც მისი გაპრიალებული „ინსპექტორის“ ფეხსაცმელები იძლეოდა იმის საბაბს, ხუთსანტიმეტრიანი ბრჭყალების თაობაზე აგორებული ჭორი სიმართლედ მიგეჩნიათ. ამასობაში ქასთურბაც დაბრუნდა, პირში სიგარეტგაჩრილი, მშვიდად ჩაუარა ამ სამებას - მამა-შვილი-საყვარელი, და ლურჯი გობელენით გაწყობილ „ჩესტერფილდის“ ტახტზე გაიწვართა ამომავალი კინოვარსკვლავივით, თუმც კი წლებისა და მარილების დაგროვებას უკვე მასზეც დაემჩნია მცირედი კვალი.

ეს იყო და ყოფილ გადიას ჩინგიზიც ფერხთით მიუჯდა, დაბარებულივით. თვალების სქენდელ-პოინტში დამხეცებული დაკვესებით, ზიინათ ვაკილმა ზედ ყურთან დაუსისინა ჩამჩას:

- რა ყბა ჩამოგივარდა, სალადინ... პირი დამუწე-მეთქი, შენ გეუბნები!

კარში გაჩხერილი ვალაბჰაი, სასმელებით დახუნძლულ გორგოლაჭებიან მაგიდას რომ მოაგორებდა, გულსგარეთ მიაჩერდა მისი უტყვი ცოლის წელს შემოხვეულ პატრონის ხელს.

ხშირია რომ მშობელს, ანთუ შემქმნელს ეშმაკი შეუჩნდება, ბავშვი კი ამ დროს ჯინში უდგება და ჩამჩასაც, სრულიად მოულოდნელად, საკუთარი ხმა ჩაესმა:

- და დედინაცვალი როგორა მყავს, მამაჩემო? ხომ არ გარცხვენს?

მოხუცი ზინის მიუბრუნდა:

- რა, თქვენთანაც ეგეთი ფარისეველია ხოლმე? თუ ეგრეა, ვერაფერი დრო გიტარებიათ ერთად...

მერე კი შვილს, უფრო მკაცრი ხმით:

- რაო, ჩემი ცოლი რაში გადარდებს? შენთან მას საქმე არა აქვს და არც შეგხვდება. რით უნდა შემარცხვინოს? შენ რა, შვილი ხარ მისი? ახლა კი მეც...

იმიტო არ მოვსულვარ აქ, ისევ უაზროდ წავეკიდო. ბებერი ვაცი. მაინც არ უნდა ვეჩხუბო. ოღონდ... არა, მართლა აუტანელი ვინმეა!

- დედაჩემის სახლში... - საკუთარ თავთან ეს ბრძოლა მაინც წააგო ჩამჩამ და ძაან თეატრალურადაც გამოუვიდა შეძახილი. - ხელისუფლება თვლის, მთელი შენი საქმიანობა თავით-ძირამდე ყალბია და აჰა, ახლა შენივე სულის სიყალბეც კარგად იჩენს თავს! ერთი ამათ შეხედე, რას მიამსგავსე შენი ერთგული მსახურები - გინდაც ვალაბჰაი და გინდაც მისი ცოლი... ფულით გინდა ყველაფერი იყიდო? სიცოცხლე მოუწამლე... ავადმყოფი ხარ, სულით ავადმყოფი!

მამამისის წინ იდგა, მართალი რისხვით თვალებანთებული.

უცებ, თავად ვალაბჰაიმ გამოიდო თავი:

- დაიცათ, ბაბა! განა რა იმდენი იცით? მიგვატოვეთ, რამდენი ხანია არც გამოჩენილხართ და ახლა გვამუნათებთ? კი, ეგრეა - ფულს გვიხდის, და რა მერე? ჩვენ-ჩვენ საქმეს ხომ ვაკეთებთ, ისევე როგორც ძველად...

სალადინს ეგონა, მიწა გამისკდა და ქვესკნელში მივექანებიო, ჩინგიზ ჩამჩავალმ კი უფრო მაგრად მოუჭირა მკლავი ქალის მიმნდობ, სიფრიფანა მხრებს.

- არა, მაინც რამდენს? - ახლა მართლა აყვირდა ჩამჩა. - რამდენს გიხდის? საკუთარი ცოლი რამდენად გაყიდე?

- ღმერთო რა ბრიყვია! - კბილებში გამოსცრა ქასთურბამ. - ინგლისური განათლება უძახე შენ და თავი მაინც თივითა აქვს გამოტენილი... დედაჩემის სახლშიო და რა ვიცი... ოღონდ თქვენ ისე არ გყვარებიათ დედათქვენი, როგორც ჩვენ სამს, ვინც ცდილობს მისი სული აქ, ცოცხლად ამყოფოს.

- ეს პუჯაა, - მშვიდად წართქვა ვალაბჰაიმ. - თაყვანისცემა.

- შენ კიდე ამ ტაძარში საკუთარი ურწმუნოებით შემოაბიჯე, - ასევე წყნარად თქვა ჩინგიზ ჩამჩავალამ. - და ახლა ნერვები გღალატობს.

საბოლოდ, ამას ყველაფერს ზიინათ ვაკილის ღალატიც დაემატა:

- კარგი რა, სალათ-ჯან, რა გეტაკა? არც შენა მყევხარ ციდან ჩამოვარდნილი ანგელოსი, ამათ კი ვატყობ, უშენოდაც მშვენივრად მოუგვარებიათ ყველაფერი.

სალადინ ჩამჩას ყბა ჩამოუვარდა, მამამისმაც დრო იხელთა და ზინის მუხლზე მოუთათუნა ხელი.

- აშკარად პროკურორის მოსასხამს ირგებს, ჩემო კარგო. საკუთარი ყმაწვილკაცობის დროებაზე მოთქვამს და აქეთ მდებს ბრალს. რას იზამ, მოდი შენ განსაჯე - მაგისაგან ვერავითარ ბრალდებებს ვერ ავიტან, ოღონდ შენგან კი უმძიმეს განაჩენსაც მშვიდად შევხვდები.

ძაღლის გაგდებული ეგა. წყობიდან უნდოდა გამოვეყვანე და მიაღწია კიდეც თავისას. რა ეშმაკად მინდოდა ეს ყველაფერი? სამარცხვინო ამბავია, ღმერთმანი.

- და იმ საფულეზე რას იტყვი? - თქვა. - და კიდე, იმ შემწვარ წიწილაზე...

* * *

ბოლო-ბოლო, მაინც რაში სდებდა ბრალს მამამისს? ყველაფერში: მუდმივ თვალთვალში ადანაშაულებდა, მისი ნაპოვნი საფულის წართმევაში, განდევნაში... იმად გადაქცევაში, რადაც უიმისოდ ვერასოდეს იქცეოდა. მოკლედ, კაცად გადაქცევაში. და კიდევ - იმაში,

რა-ვუთხრა-ჩემს-მეგობრებს... უგვანი სცენების მოწყობასა და შეურაცხმყოფელ ბოდიშობებში. ახალ ცოლთან ერთად ალაჰის თაყვანისმცემლობასა და ღვთისმგმობ თაყვანისცემაში გარდაცვლილი მეუღლის მიმართ. და ბოლო, მაგრამ არა უკანასკნელი - ჯადოლამფისტობასა და დაუფარავ სეზამღიაობაში: ყველაფერი ხომ ასერიგად იოლად მოსდიოდა - ქალები გინდა, სიმდიდრე, ძალაუფლება, მაღალი მდგომარეობა საზოგადოებაში... დაუსვამდა ხელს ჯინგამომწყვდეულ სანათს ხელს და - პრესტო! ეს ის მამა იყო, რომელიც შვილს ჯადოსნურ ლამპარს დაპირდა და მერე კი სადღაც გადაუმალა...

* * *

ჩინგიზს, ზინის, ვალაბჰაისა და ქასთურბას წარბი არ გაუტოკებიათ, ვიდრე სალადინ ჩამჩას ბრაზიანმა გამომეტყველებამ არ გადაუარა.

- სულის რაგვარი აღრჩევაა, და თანაც ამდენი წლის მერე... - მცირედი დუმილის შემდეგ თქვა ჩინგიზ ჩამჩავალამ. - სამწუხაროა, სამწუხარო. მეოთხედი საუკუნე მიილია, შვილი კი იმ რაღაც ძველისძველ, პატარ-პატარა ცოდვებს გახსენებს. რას გადამეკიდე? დროა შვილო, თუთიყუშივით აღარ მიჯენდე მხარზე - მე ჩემი ცხოვრება უკვე განვლიე. რომელი ზღვის მოხუცი მნახე? სიმართლეს თვალი უსწორე - მეტის ახსნა-განმარტებას აღარ ვაპირებ.

გამოღებულ ფანჯარაში სალადინ ჩამჩამ ორმოცწლიან ცხენისწაბლას ხეს ჰკიდა თვალი.

- მოჭერი. - უთხრა. - მოჭერი, გაყიდე და აღებული თანხა გამომიგზავნე.

მასპინძელი წამოდგა, მარჯვენა გაიწოდა. ზიინათმაც ისე ჩაჰკიდა ხელი, როგორც ბალერინა იღებს ხოლმე ნაბოძებ თაიგულს; ვალაბჰაიცა და მისი ქასთურბაც წამსვე იმავე მსახურებად გადაიქცნენ, თითქოსდა საათმა კვახის დრო ჩამოჰკრაო.

- ის თქვენი წიგნი გამახსენდა, - უთხრა ზინის. - ისეთი რამ მაქვს, სწორედ თქვენ რომ დაგაინტერესებთ.

ეს ორი ოთახიდან გავიდა. მთლად არაქათგამოცლილი სალადინი, მცირეოდნავი ყოყმანისა და ყანყალის მერე, გაღიზიანებული მიჰყვა უკან.

- დი-იდი ბუზღუნა ვინმე კი მყევხარ, - მხიარულად გამოსძახა ზინიმ მხარსზემოდან. - მორჩი რა, დროა დაკაცდე.

ჩამჩავალას აქ, სქენდელ-პოინტზე მდებარე სახლში განთავსებული ხელოვნების ნიმუშების კოლექცია ჰამზა-ნამეს უამრავ ტილოს მოიცავდა - XVI ს-ის მთელ სერიას, იმ ლეგენდარული გმირის ცხოვრებისეული ამბების ამსახველს, ვინაც ან იყო და ან არა თავად მაჰმადის ბიძა და ვისი ღვიძლიც, უჰუდის ბრძოლის ველზე დაცემის მერე, ვინმე მექელ ქალ ჰინდას დაეთოხლავებინა.

- მართლა მომწონს ეს სურათები, - გამოუტყდა ჩინგიზ ჩამჩავალა ზინის. - და იცით, განსაკუთრებით რითი მხიბლავს? იმით რომ გმირსაც უფლება აქვს მარცხი განიცადოს... აბა ნახეთ ერთი, რამდენჯერ უწევს ხალხს მისი შველა!

ნახატები ერთი-ერთზე ამყარებდა ზიინათ ვაკილის დებულებას ინდოეთის ხელოვნების ტრადიციათა შერეულ ხასიათსა თუ სრულ ეკლექტიკურობაზე: მოგოლებმა ქვეყნის ოთხივ კუთხით მოლალეს მხატვრები და პიროვნული ხელწერაც გაქრა - მის მაგივრად წარმოჩინდა ფუნჯმრავალი ვინმე ზემხატვარი, რაც საბოლოოდ იქცა კიდეც ინდურ მხატვრობად; მისი ერთი ხელი მოზაიკურ იატაკებს აგვირისტებდა, მეორე - ფიგურებს წარმოსახავდა, მესამე - ღრუბლიან ზეცას, ჩინურ ყაიდაზე. ტილოების უკანა მხარეზე კი ყოველი ნახატის განმარტება გახლდათ მოცემული. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს რა-

ღაც კინოფილმის ჩვენებას გავდა: უყურებდი ნახატს და ამ დროს ვიღაც ამავე გმირის შესაბამის ამბავს გიკითხავდა. „ჰამზა-ნამეში“ ერთმანეთში გადახლართულიყო სპარსული მინიატურების სკოლა და XI-XIV საუკუნეების კანადაელთა თუ კერალთა მოდგმის კულტურათა კვალი და აქვე წააწყდებოდით როგორც ინდუისტური, ეგრევე მაჰმადიანური ფილოსოფიის გამოვლინებებს, რაც გვიანმოგოლთა ხანისათვის დამახასიათებელ ნაერთს ქმნიდა.

გოლიათი ხაროში ჩაიტყუეს და მისი მწვალებელი ადამიანები შუბით უხვრეტდნენ შუბლს. შვეულად, თხემით-ტერფამდე ჩაჩეხილი კაცი ჯერ კიდევ ბღუჯავდა ხელში თავის ხმალს. ყველგან სისხლის კოშტები მიმოფანტულიყო.

სალადინ ჩამჩამ ძლივს შეიკავა თავი:

- ველურობაა, - თქვა, დაყენებული ინგლისური ხმით. - ტკივილის მიყენებისადმი ბარბაროსული მისწრაფება.

ჩინგიზ ჩამჩავალამ ყურიც არ ათხოვა, ზინის შესცქეროდა თვალებში და ისიც, თავის მხრივ, მას მიშტერებოდა.

- ჩვენი ხელისუფლება სუფთა ფილისტიმელები არიან, ქალბატონო - არ მეთანხმებით? მთელი ეს კოლექცია უსასყიდლოდ მინდოდა ქვეყნისთვის გადამეცა, თუკი სათანადოდ მოუვლიდნენ. და რა მერე? უარზე დადგნენ - რა ხეირიო. ოკეანისგაღმიდან კი თვე არ გავა, რაღაც წინადადება არ შემომთავაზონ... ფულის მთებს მპირდებიან, მაგრამ არ ვყიდი. არადა, მთელი ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა მალე შტატებში გადაინაცვლებს, აგერ ნახავთ თუ არა! რავი ვარმის ნახატები გინდა, ჩანდელის ბრინჯაო, ჯაისალმერის ცხაურები... საკუთარ თავს ვყიდით, მოკლედ. თავიანთ ქისებს ცხვირწინ გვიყრიან და ჩვენც მუხლებზე ვფორთხავთ ხოლმე! ჩვენი ნანდი ახლა სადღაც ტექსასის საჩეხშია გამომწყვდეული. რას იზამ, ინდოსტანი ხომ ძალიან-ძალიან თავისუფალი და სრულიად დამოუკიდებელი ქვეყანაა.

გაჩუმდა, ოღონდ ზინი მეტს ელოდა - აშკარა იყო, ჯერ კიდევ არ ეთქვა ყველაფერი. და თქვა კიდეც:

- როდისმე მეც ავიღებ ამ წყეულ დოლარებს. ოღონდ ხეირის გამო კი არა, თავად კახპად ქცევის სიამოვნებისა გამო. არარაობად რომ ვიგრძნო თავი. სრულ არარაობად.

აჰა, აქამდეც მივედით, სრული არარაობა. განაჩენთაგან უარესი.

- მოვკვდები და რა დარჩება ჩემგან? წყვილი ცარიელი ფეხსაცმელი. ჩემი ბედიც ეგ ყოფილა, ამ მსახიობისაგან ბოძებული. სახიობი, თვალთმაქცი... არარსებული ხალხის მიმბაძველი. მე კი აღარავინ დამრჩა სამემკვიდრეოდ. ეგაა მაგის შურისძიებაც - შთამომავლობა მომპარა. - გაიღიმა, ზინის მხარზე მოუთათუნა ხელი, თითქოს შვილს დაუბრუნა. - იმას ვეუბნებოდიო, - თქვა ამით, - შენც კაი დაბავალა რომ ხარ და ჯერ ისევ ტაბაკა-წიწილებს დაატარებ აქეთ-იქით. ახლა ამ ქალმა გაგვსაჯოს. ასეთი იყო პირობა.

ზიინათ ვაკილი მოხუცს მიუახლოვდა, მობოშებული პიჯაკის საყელოზე ჩაავლო ხელები, ფეხისწვერებზე აიწია და ტუჩებში აკოცა.

* * *

მამამისის გარყვნილებათა სახლში ზინის ამგვარი ღალატის მერე სალადინ ჩამჩა სათოფეზე აღარ იკარებდა და აღარც მის სატელეფონო ზარს პასუხობდა. „მილიონერი ქალის“ საგასტროლო წარმოდგენები დასასრულს მიუახლოვდა, ახლა უკან, ინგლისში დაბრუნების დროც დამდგარიყო.

ბოლო, გამოსათხოვარი წვეულება რომ დასრულდა, ჩამჩა პირდაპირ სასტუმროში დაბრუნდა, დასაძინებლად. ლიფტში ორ, აშკარად თაფლობის თვეში ჩაკარგულ წყვილს გადაეყარა, ყურსასმენე-

ბი გაეკეთებინათ და მუსიკის რიტმში აკანტურებდნენ თავებს. უცებ, კაცმა გადაუჩურჩულა თავის უკეთეს მეორე ნახევარს:

- ისევ გეჩვენები ხოლმე უცხო ვინმედ?

იმან კიდე ნაზად გაუღიმა და თავი გააქნია, არაფერი მესმისო. მერე მოისაზრა, ყურსასმენები მოიძრო. კაცმა კითხვა გაუმეორა, ძაან სერიოზული სახით:

- აი ისა... უცხოდ ჯერ კიდევ გეჩვენები ხანდახან?

ამჯერად გამხდარ მხარზე დაადო ლოყა:

- ხდება ხოლმე... - თქვა და ისევ გაიკეთა ყურსასმენები.

კაცი ეტყობა, სავსებით დააკმაყოფილა პასუხმა, რადგან მანაც ჩამოიცვა თავისები. ახლა ორივენი ისევ ისე ირხეოდნენ მუსიკის რიტმის ქვეშ.

კარი გაიღო და ჩამჩა ლიფტიდან გამოვიდა. კიბის თავზე ზინი იჯდა, ზურგით ეყრდნობოდა კედელს.

* * *

ნომერში დიდი ჭიქა ვისკი ჩამოისხა, გაუზავებლად.

- ბავშვივით იქცევი, - უთხრა ზინიმ. - ცოტათი მაინც შეგრცხვეს.

სწორედ იმ დღეს მიიღო მამისაგან ამანათი. ხის პატარა ნაჭერი იდო შიგ და ბლომად ფული, სულ გირვანქა სტერლინგებში: ასე ვთქვათ, კაკლის ხის ფერფლი. ახლა ნარჩენი გრძნობები აღრჩობდა და ცხელ გულზე ზიინათი ამოიღო მიზანში.

- შენა რა გგონია, მიყვარხარ?! - ხეშეში ხმით უთხრა. - გგონია, შენთან დავრჩები? ცოლიანი ვარ, ბოლო-ბოლო.

- კი მინდოდა დარჩენილიყავი, - უთხრა წყნარად. - ოღონდ ჩემი გულისათვის არა.

რამდენიმე დღით ადრე სარტრის ერთი მოთხრობის დადგმა ნახა, სირცხვილის თემაზე. დედანში ქმარი ცოლზე ეჭვიანობს და ხაფანგს უგებს, ცოლ-ქმრულ ღალატში დასარწმუნებლად: თავს ისე მოაჩვენებს თითქოს ერთკვირიან მივლინებაში მიდიოდეს, სინამდვილეში კი სულ რამდენიმე საათის მერე ბრუნდება და მუხლებზე დამდგარი, შემოსასვლელი კარის ჭუჭრიტანიდან იჭვრიტება. მაგრამ ამ დროს ვიღაც წამოადგება თავზე, მოტრიალდება და რას ხედავს - ზიზღით სავსე მზერით ცოლი არ დაჰყურებს ზემოდან?! მუხლებზე მდგარი ქმარი და ზემოდან ქვემოთ, ამრეზილად მოცქირალი ცოლი - ზედმიწევნით სარტრისეული არქეტიპი. ოღონდ ამ ინდურ დადგმაში კაცი არავითარ უხერხულობას არა გრძნობს, ქალს აქეთ სდებს შარს, ყვირის და ხელებს იქნევს; მერე კიდე, როცა ცოლი ცრემლად დაიღვრება, ხელს მოხვევს და შერიგდებიან კიდეც...

- ამბობ, უნდა გრცხვენოდესო? - მწარედ ჩაიცინა ჩამჩამ. - და ამას შენ მეუბნები, ვინაც საერთოდ არ იცის, სირცხვილი რა ხილია? და საერთოდ, ვატყობ ეს ჩვენ ზოგადეროვნულ მახასიათებლად იქცა, ღმერთმანი! ინდოელები ზნეობაზე საერთოდ მწყრალად არიან, ამის გამო აღარც ტრაგედიის აღქმის უნარი შერჩათ, რის გარეშეც სირცხვილის თავად საზრისი ქრება...

ზინიმ ვისკი ბოლომდე დაწრუპა, წამოდგა და კარისაკენ გაემართა.

- არ გინდა მეტი არაფრის თქმა. - ხელები აწია. - გნებდებით და მივდივარ, მისტერ სალადინ ჩამჩა. მეგონა სიცოცხლის რაღაც ნაპერწკალი მაინც გიღვიოდათ სულში, შევმცდარვარ. მკვდარი ხართ და მკვდარი.

და სულ ბოლოს კიდევ ერთიც დააყოლა, რძისთვალებამ:

- გულთან ახლოს ნურავის გაიკარებთ, მისტერ სალადინ. საკმარისია ჯავშანი სულ ოდნავ შეიხსნათ და ვინმე ნაბიჭვარი წამსვე სულს დაგიხანჯლავთ.

ამის მერე საბაბიც აღარ ქონდა, ქვეყანაში დარჩენილიყო. თვითმფრინავი მიწას მოსწყდა და ქალაქს თავზე გადაუფრინა. სადღაც იქ, ქვემოთ, ჩინგიზ ჩამჩავალა თავის მოახლეს ეაჯებოდა, გარდაცვლილი ცოლის სამოსში გამოწყობილიყო. ახალ სატრანსპორტო გეგმას ქალაქის ცენტრი რკინის მარწუხებში მოექცია. პოლიტიკოსები საკუთარ სამომავლო კარიერაზე ზრუნავდნენ - საქვეყნოდ დაეწყოთ მომლოცველობა და ფეხით მიემართებოდნენ წმინდა ადგილებისმოსახილველად. კედლებზე ახალ-ახალი წარწერები ჩნდებოდა, მაგალითად ასეთი: რჩევა პოლიტიკანებს: ერთი ნაბიჯი წინ, ორი - უკან!

მსახიობ-მომღერალნი აქტიურად ყოფდნენ ცხვირს პოლიტიკაში და სახალხოდ გაიძახოდნენ - ეს ჩვენი პროფკავშირი წითელ ფრონტად გადაიქცაო! რეის 420-ით მიმფრინავმა სალადინ ჩამჩამ თვალები მილულა და იგრძნო - არა, შეიგრძნო, რომ ისევ თავად წარმართავდა საკუთარ სახმო სიმებს, ხოლო მეტყველება მისი კვლავაც თავის ინგლისურ თვითობას დაბრუნებოდა.

სულიერი შფოთვის პირველი შემოტევა კი მხოლოდ მაშინ დაეუფლა, როცა თანამგზავრებს შორის თავისივე ზმანებებიდან გადმოსული ქალი იხილა.

4

მართალია, ეს სიზმრისეული ხილვა მაინც უფრო ტანმორჩილი და ნაკლებ ხიბლიანი ახსოვდა, მაგრამ როგორც კი ამ არსებას მოჰკრა თვალი, თვითმფრინავის სალონში რომ მიმოდიოდა იქით-აქეთ, წამსვე საკუთარი ავი სიზმარი გაახსენდა - აკი ზინათ ვაკილის წასვლისთანავე, მძიმე ძილმა წაართვა თავი, და აი რა წინასწარმეტყველური რამ ესიზმრა: ვიღაც ტერორისტი ქა-

ლი, ვისი რბილი, კანადურაქცენტიანი ხმოვნებიც რაღაცნაირად, შორეული ოკეანის მოქცევის ხმას მოგაგონებდათ. არადა, ისე იყო თავით-ფერხთამდე ასაფეთქებლით დახუნძლული, ცოცხალი ბომბი ეთქმოდა... ამ, სალონში მოსეირნე ქალს კი ხელში ჩვილი ეჭირა - ისე გემრიელად ჩაფუთნული, ღერი თმაც არ მოუჩანდა თავზე და მოგონებით გულშეძრულ ჩამჩას ეჭვი გაუჩნდა - ნაღდად დინამიტი იქნება, რის ბავშვი, რა ბავშვიო! ის იყო, დაყვირებასაც აპირებდა, რომ დროზე მოთოკა თავი. ეს მოლანდებებიღა მაკლდა, - გაიფიქრა. - აკი თავს დავპირდი, ყოველგვარ ცრურწმენებს უკან მოვიტოვებ-მეთქი... ახლა ის ერთის ვინმე ჩახალსტუჰებული, ოქროსსაკინძიანი, ზომიერად ფერ-ხორციანი შუახნის მამაკაცი, ლონდონს მიფრინავდა და სავსებით კმაყოფილი გახლდათ ცხოვრების. ესაა სწორედ რეალობა, - გაიფიქრა ისევ.

მარტოდ მგზავრობდა, თავს არიდებდა „პროსპეროს სახიობთა“ დასის სხვა წევრებს, ეკონომ-კლასის სალონში რომ დაყიალობდნენ უაზროდ, კვატა დონალდინიოს მაისურები ჩამოეფხატათ, ავიაკომპანია Alღ IნდIა-ს მიერ შემოთავაზებულ ყოვლად უვარგის, მაგიორში - სრულიად უფასო შამპანურს ეწაფებოდნენ, მერე ნატიამას სკოლის მოცეკვავეებს ბაძავდნენ თავისი ჭკუით და შიგადაშიგ, ამისთანეებით თავგაბეზრებულ სტიუარდესებსაც აწონებდნენ თავს (ის კი აზრადაც არავის მოსდიოდა, რომ ინდოელებისთვის სახიობობა იმთავითვე უმდაბლესი კასტის ნიშან-თვისება გახლდათ). მოკლედ, მათი პროფესიისათვის დამახასიათებელი ღლაბუცობით იქცევდნენ თავს. ის ბავშვიანი ქალი კიდე მშვიდად მიაბიჯებდა და არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მკრთალსახიან მსახიობებს და ისე მიმოდიოდა მათ შორის, თითქოსდა რაღაც უხორცო არსებები, ბოლი, მირაჟი თუ მოჩვენებები ყოფილიყვნენ. სალადინ ჩამჩასთანა ანგლოფილისთვის თავად კუნძულელებისაგან ინგლისურობის ასე გაბიაბრუება მეტისმეტად მტკივნეული იყო სახედველად. ამიტომაც გაზეთში ჩარგო თავი, რომელშიც წვრილად აღწერდნენ „სა-

რელსო გაფიცვას“, პოლიციას რომ დაურბევია ხის ხელკეტებით. ერთი ჟურნალისტისთვის ხელიც კი მოუტეხიათ და ფოტოკამერაც მიუყოლებიათ ზედ. პოლიციის სამმართველოს განცხადება გაუკეთებია - არც რეპორტიორსა და არც ვინმე სხვაზე თავდასხმა წინასწარგამიზნული არ ყოფილაო.

ჩამჩას საავიაციო რული მოერია. მივიწყებული ამბების ქალაქი, მოჭრილი ხეები და წინასწარგაუაზრებელი თავდასხმები ნელი-ნელ ამოუორთქლდა გონებიდან. თვალი რომ გაახილა, ახლა კიდევ ერთი, მთლად გამაოგნებელი მოულოდნელობა ელოდა: ვიღაც კაცმა ჩაუარა მის სავარძელს, ფეხსადგილისაკენ მიემართებოდა. წვერმოშვებული იყო და იაფფასიანი, შუშებჩამუქებული სათვალე დაეკოსებინა ცხვირზე, მაგრამ ჩამჩას მისი ცნობა არ გასჭირვებია - გინდ დაიჯერეთ და გინდ არა, მაგრამ რეის Par-420-ის ეკონომ-კლასით თავად კინოს დაკარგული სუპერვარსკვლავი, ცოცხალი ლეგენდა, ჯაბრაილ ფარიშტა მიფრინავდა!

- აბა, როგორ გეძინათ?

მიხვდა, მას მიმართავდნენ; თავი მიატრიალა და არანაკლებ განსაცვიფრებელი გარეგნობის მქონე თანამგზავრს მიაცქერდა. კაცს ბეისბოლის კეპი ეხურა, ლითონისჩარჩოიანი სათვალე ეკეთა და ტანზე სრულიად წარმოუდგენელი, მწვანე ნეონისფერი ტილოს პერანგი ემოსა, ზედ ბრჭყვიალა ოქრომკედით დაქარგული წყვილი გველეშაპით. ჩამჩა შეეცადა საკუთარი თვალსაწიერიდან ამოეგდო ესეგვარი არსება, გამოცალკევებოდა მეზობელს, საკუთარ აბრეშუმის პარკში გამოყუჟულიყო, მაგრამ განმარტება უკვე გამორიცხული გახლდათ:

- ეუგენიუს მეორედმომსვლელი, - გამოეცნაურა და ნიჩაბივით ხელი გამოუწოდა. - თქვენი მონა-მორჩილი და კიდევ - ჯარისა სრულიად საქრისტიანოსი!

ძილ-ღვიძილისაგან ჯერ კიდევ ბოლომდე გამოუფხიზლებელმა სალადინ ჩამჩამ თვალები ააფახულა:

- თქვენ რა, სამხედრო ბრძანდებით?

- ჰე-ჰე-ჰეე! ისე, მასეც შეიძლება ითქვას, რატომაც არა. რიგითი ფეხოსანი ძლევამოსილ ლაშქარში, სერ.

- გეთქვათ ბარემ, ღვთიურ ლაშქარშიო... - წაკბინა ჩამჩამ.

- მეცნიერი კაცი გახლავართ, სერ. ჩემი ვალია და მე ვიტყოდი, დიდი პატივიც, თქვენს დიად ქვეყანას რომ უნდა ვეწვიო და ხელჩართულ ბრძოლაში ჩავება იმ უბედურებასთან, ხალხის ტვინ-გონებას რომ დაპატრონებია.

- ე-ეე... რაღაც მთლად კარგად...

ბ-ნმა ეუგენიუსმა ხმა დაიდაბლა:

- იმ მაიმუნობას ვგულისხმობ, სერ. ახლა დარვინიზმს ეძახიან. ვინმე ჩარლზ დარვინის ევოლუციურ მწვალებლობას, სერ.

მისი ხმის ტემბრი და სახის გამომეტყველებაც ეჭვს არ იწვევდა - ხსენებული მემაიმუნეს სახელის ხსენება ეგრევე ამაზრზენი გახლდათ მისთვის, როგორც რომ ნებისმიერი სხვა კუდიან-რქოსან-ჩლიქოსანი ბოროტისა - ბაალ-ზებელი იქნებოდა ეს, ასმოდეუსი, ანთუ თავად ლუციფერი.

- განა არა, რამდენგზის გავაფრთხილე კაცობრიობა - აგერ ახლა არ იყო, ორმოცდაჩვიდმეტსლაიდიანი პრეზენტაციაც კი მოვაწყვე ინდოეთის კერალას შტატის ადგილობრივ როტარი-კლუბში! ჩემი ქვეყნის ახალგაზრდობაზე ვუამბობდი დამსწრეებს - ამერიკელები უსასოოდ, ჯერაც თვალაუხელელი კნუტებივით დაიარებიან ბნელში, ათასნაირ ბანგს ეძალებიან და ეგ კიდევ რა - წარმოიდგინეთ თქვენ, ქორწინებამდელ სექსზეც კი არ ამბობენ უარს! მაშინაც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: ვინმემ რომ მოახერხოს და დამარწმუნოს, შენი დიდი პაპა შიმპანზე იყოო, ვერც მე დავდგებოდი კარგ ხასიათზე... ასეა ეს, სერ!

ჯაბრაილ ფარიშტა ერთი რიგის იქით იჯდა, ფანჯრის მიღმა მზერაგაშტერებული. მგზავრებს ფილმი ჩაურთეს და სალონშიც ნათურები რაღაც მბჟუტავ რეჟიმზე გადაიყვანეს. ბავშვიანი ქალი კვლავაც იქით-აქეთ მიდი-მოდიოდა, ალბათ არ უნდოდა, ჩვილს უდროო დროს აეტეხა ჩხავილი.

- და როგორ ჩაიარა წარდგენამ? - ზრდილობის გამო, გულსგარეთ დაეკითხა ჩამჩა.

მეზობელმა მხრები აიჩეჩა.

- ეტყობა, მიკროფონს ხმა ჩაუვარდა. აბა ისე ეს კეთილი ხალხი როგორ დაიწყებდა ერთმანეთში ხმამაღლა საუბარს, თუკი დარწმუნებულნი არ იყვნენ რომ სიტყვა დავამთავრე.

ჩამჩამ მცირეოდნავ უხერხულადაც კი იგრძნო თავი. აქამდე ასე ეგონა, თავგადაკლულ მორწმუნეთა ქვეყანაში თავად საზრისი, რომ მეცნიერება ღვთისმგმობი რამაა, ბევრისთვის სავსებით მისაღები უნდა ყოფილიყო, ახლა კი საპირისპიროს ეუბნებოდნენ. სალონში ჩამოწოლილ მქრქალ სინათლეში ბ-ნი ეუგენიუს მეორედმომსვლელი უმწყემსოდ დაგდებული ცხვრის ბოყინა ხმით ყვებოდა რაღაც სისულელეებს, საკუთარივე მტკიცებულებების საწინააღმდეგოს. მერე კიდეო, არ დაიჯერებთ და როცა კოჩინის ყურეს გადავყურებდიო, საცა სანელებლების ძიებაში ერთ დროს ვასკო და გამას ჩაუშვია ღუზა და რამაც დასავლეთ-აღმოსავლეთის არაერთგვაროვან ურთიერთობებს დაუდო სათავეო, ვიღაც ბიჭუნა ამეკიდა: ეი შენ, იეზ! ჰაშიში არ გნებავს, საჰიბ? დაიცა, შე მისტერამერიკა! ბიძიასემს ოპიუმი არ უნდა? საუკეთესოა თავის ფასში!

სალადინმა ჩაიფხუკუნა. ერთის მხრივ, ეს რაღაც მისტიკურ შურისგებას გავდა დარვინის მხრიდან: თუკი ბ-ნ ეუგენიუსს ჯიბეგაფხეკილი, გახამებულსაყელოიანი და ვიქტორიანული ხანის ცრურწმენებით გაწამებული ჩარლზი მართლა მიაჩნდა ამერიკულ ნარკოკულტურაზე პასუხისმგებლად, ახია მასზე, როცა დე-

დამიწის მეორე ნახევარსფეროში, ახლა თავად მისტერ მეორედ-მომსვლელს განიხილავდნენ როგორც რომ სწორედაც იმ ზნეობა-უზნეობის წარმომადგენლად, რის წინააღმდეგაც ასე ხმალ-დახმალ იბრძოდა! არა, მართლა ვერაა ადვილი საქმე - იყო ამერიკელი და აზრზე ვერ მოდიოდე, დედამიწის ოთხივ კუთხით რატო არ უყვარხართ...

ჩამჩას უცნაურ რეაქციაზე განაწყენებული თანამგზავრი გაიფხორა, ენა მუცელში ჩაიგდო და სალადინი საკუთარ ფიქრებს შეატოვა: საინტერესოა, ეს „სარეისო ფილმები“ სახეობათა შემთხვევითი მუტაციის შედეგია, რომელიც ბუნებრივი გადარჩევის თეორიის თანახმად - თავად ამოჭამს საკუთარ თავს თუ ესაა სწორედ კინემატოგრაფიის ნათელი მომავალი? აი, ეგეთი მომავალი - მონტაჟის ათასგვარი ხრიკებით გამდიდრებული უთავბოლო მალაყები და გაკუება-გაცუებაზე აგებული ყოვლად ბრიყვული იუმორი? ამაზე ფიქრიც კი ძარღვებს უშლიდა და ისევ ძილ-ბურანში ჩაყვინთვა ამჯობინა. ოღონდაც სალონში მალევე აინთო სინათლე, ფილმის ჩვენება შეწყდა და კინემატოგრაფიული ილუზია რეალური ახალი ამბების მიმოხილვამ შეცვალა, სადაც ოთხმა შეიარაღებულმა, ხმისჩახლეჩამდე მყვირალმა ვიღაც ტიპებმა სალონებს შორის გასასვლელები გადაკეტეს.

* * *

გარე სამყაროს მოწყვეტილებმა, ზუსტად 111 დღე გაატარეს გატაცებულ თვითმფრინავში, ქვიშის წამოქოჩრილი ბარჰანებით შემოსაზღვრულ ასაფრენ ბილიკზე; ეს იმიტომ რომ როცა ოთხმა ტერორისტმა - სამი კაცი, ერთი ქალი - მფრინავი აიძულეს ამ უშენ ადგილას დაშვებულიყო, ვერავის გადაეწყვიტა, მათთვის რა განაჩენი

გამოეტანათ. ეს ყველაფერი კი იმიტომ მოხდა, რომ რომელიმე საერთაშორისო აეროპორტში კი არ დაეშვნენ, არამედ ადგილობრივი მნიშვნელობის შეიხის თვალგასახარად, შიგ შუაგულ უდაბნოში გაყვანილ უზარმაზარ ასაფრენ ბილიკზე - მის საყვარელ ოაზისში მოსახვედრად, იქ კიდევ ექვსხაზიანი სამანქანო გზატკეცილიც გადიოდა - ოღონდ როცა Par 420 ადგილზე გაქვავდა, ეს გზაც მთლიანად ჯავშანმანქანებმა, დახურულმა სატვირთოებმა თუ კაპოტებზე ალმებაფრიალებულმა ლიმუზინებმა გადაკეტეს, და სანამ დიპლომატები ავიალაინერის ბედს სჯიდნენ - იქვე მიეტანათ იერიში თუ ჯერ შეეცადათ - ვიდრე ცდილობდენენ გადაეწყვიტათ - დათმობაზე წასულიყვნენ თუ არავითარ შემთხვევაში, თუნდაც ამას მსხვერპლიც მოჰყოლოდა - თვითმფრინავის ირგვლივ სრული უძრაობა ჩამოწვა და ეს მანამდე მოხდა, სანამ მირაჟები გამოჩნდებოდა ცისკიდურზე.

სულ თავიდან დაიწყო და აღარ გათავდა - გამტაცებელთა დამუხტული მასობრივი კვარტეტი, განერვიულებული და სვებედნიერად აჩახმახებული. ამ წუთებზე უარესი არაფერია, - გაიფიქრა ჩამჩამ, როცა ბავშვები წიოდნენ, ზაფრა კი მელნის ლაქასავით მოჟონავდა ლაინერის სალონში. - აი, ასე მივფრინდებით დასავლეთის მხარეს... მერე კი ვითარებას ისინი დაეპატრონენ: სამი მამაკაცი და ერთი ქალი, ყველანი მაღლები, უნიღბონი, პირმშვენიერნი და თავი კინომსახიობებად წარმოედგინათ - მეტიც, ნამდვილ კინოვარსკვლავებად, და ოთხივეს საკუთარი სცენური მეტსახელი ქონდა შერჩეული: დარასინგჰ-ბუთასინგჰ-მანსინგჰ; ქალს კიდე - თავლინი. გაახსენდა რომ სიზმრისეულ ქალს სახელი არ ჰქონდა - აბა ჩამჩასეულ ზმანებათა გამწყობს მაგისთვის სად ეცალა; ოღონდ მართლა კანადურ კილოკავზე კი უქცევდა - მორბილებული, სლიკინა ხმოვნებით. ოაზისთან დაჯდომის მერე მგზავრები კობრას მიერ მონუსხული მანგუსტის მზერით შესცქეროდნენ თავიანთ გამტაცებლებს, აშკარად რაღაცა

ხიბლს ხედავდნენ მათში - თავზეხელაღებულობის, სიკვდილთან თამაშის, როცა წამდაუწუმ გაკრთებოდნენ ხოლმე ლაინერის გამოღებულ კარში და საკუთარი სხეულებით ოაზისის პალმებს შორის ჩასაფრებულ სნაიპერებს აღიზიანებდნენ; ქალი ამგვარი სიბრიყვისაგან შორს იდგა და ისიც აშკარად ეტყობოდა, ძლივს რომ იკავებდა თავს, ეს სამეული კარგად არ გამოელანძღა. თავად ის თითქოს არად დაგიდევდათ საკუთარ სილამაზეს და ამით ორმაგად სახიფათო ჩანდა. სალადინ ჩამჩას უცბად დაარტყა თავში, რომ ეს ბიჭები მეტისმეტად აზიზებად გამოიყურებოდნენ, მეტისმეტად საკუთარ თავში შეყვარებულებად და ხელებს ასე უბრალოდ არ ამოითხვრიდნენ სისხლში: ეს ნაღდად არ იყო მათი საქმე, მათ ტელეეკრანებზე მოხვედრა უფრო სწყუროდათ. თავლინი კი სულ სხვა იყო - მაშინ როცა ის სამეული მხოლოდ ფილმებში ნანახ გამტაცებლებს ბაძავდა (საკუთარი უგვანი გამოსახულების მიმბაძველი რეალობა, საკუთარი კუდის მყლაპავი გველი), იმ ქალმა იცოდა... სანამ დარა, ბუთა და მან სინქჰები თავს იწონებდნენ და კოხტაპრუწობდნენ, ის ხმას არ იღებდა, არც ირხეოდა, თვალი სიცარიელესთვის გაეშტერებინა და ეს იყო სწორედ, გულისგულამდე რომ ზაფრავდა მგზავრებს.

და რას ითხოვდნენ? არც არაფერ ახალს: სამშობლოს დამოუკიდებლობაო, რწმენის თავისუფლებაო, პოლიტპატიმართა განთავისუფლებაო, სამართლიანობის აღდგენაო, გამოსასყიდი ფულიო, პოლიტიკური თავშესაფარი ამა და ამ ქვეყანაშიო... ისიც სათქმელია რომ მგზავრთაგან ბევრი თითქოს თანაუგრძნობდა კიდეც - მათივე სიცოცხლის ხელყოფის მუდმივი მუქარის მიუხედავად: მეოცე საუკუნეში მცხოვრებისთვის ძალზე იოლია საკუთარი თავი დალანდოს მასში, ვინაც სამყაროს თავის ჭკუაზე გადაკეთებას ცდილობს...

უდაბნოში დაშვების მერე ტერორისტებმა მხოლოდ 50 მძევალი დაიტოვეს: საკმარისიც იყო და მათზე მუდმივი თვალყურის დევნებაც - ბევრად იოლი. ქალები და ბავშვები ერთიანად გაუშვეს; ხოლო

სალადინ ჩამჩა ერთადერთი აღმოჩნდა პროსპეროს დასის სახიობთაგან, ვინაც არ გაათავისუფლეს. ისე, შერყვნილი ცნობიერების ლოგიკით, სადღაც გაუხარდა კიდეც რომ ამ თავის გოიმ კოლეგებთან აღარ ექნებოდა საქმე - ნაგვის თავიდან მოცილების იოლი გამოსავალიაო, გაიფიქრა.

აი, მეცნიერმა კაცმა, მსოფლმხედველობითა და რწმენით კრეაციონისტმა ეუგენიუს მეორედმომსვლელმა კი ვერაფრით მიირქვა ის ამბავი, რომ მას არ გაათავისუფლებდნენ: მთელი თავისი აყლაყუდა ტანით წამოიმართა, ისე ირხეოდა ვითარცა ცათამბჯენი ქარიშხლისას, დამშრალ ტუჩებს ილოკავდა და ბოდავდა რაღაცს - ახლა დამიდექით თქვე ასეთებო-ისეთებო, მორჩა-გათავდა, მოთმენა აღარა მაქ და ვინ მიგდიხართ ყველანიო - მოკლედ, გარეკა და აღარ გაჩერდა. გააჩერეს: სწორედ ის ქალი მივიდა და ერთი მოქნევით, კონდახით ჩაუტეხა აკანკალებული ქვედა ყბა. და ეს კიდე არაფერი - ღრანჭი რომ მოუქციეს გვერდზე, სწორედ ამ დროს ილოკავდა ზედა ტუჩს, ყბა ჩაეკეტა, ენის წვერი შიგ მოყვა და ასე ვთქვათ, საკუთარი კბილებით მოკბეჩილი, სალადინ ჩამჩას ჩაუვარდა კალთაში. მერე კი მისივე პატრონიც ზედ მიჰყვა - მოკლედ, ეუგენიუს მეორედმომსვლელი, უენო და გონდაკარგული, მსახიობის მკლავებში ჩაესვენა.

ასე და ამგვარად, მან თავისუფლება მეტყველების უნარის დაკარგვით მოიპოვა: ანუ - ქადაგმა თავისი უმთავრესი ხელსაწყოს უკუგდებით მიაღწია მიზანს - რაკიღა დაჭრილის მოვლა-პატრონობა (რა იცი, განგრენა და მისთანები...) არავინ იკისრა, ისიც ლაინერიდან გამომსვლელთა გრძელ რიგს გააყოლეს. სწორედ ამ პირველ, მთლად სიგიჟემოდებულ საათებში, სალადინ ჩამჩას გონება რატომღაც, ისევ და ისევ მეათეხარისხოვან წვრილმანებს დასტრიალებდა: ავტომატური შაშხანები უჭირავთ ამათ ახლა თუ - ნახევრადავტომატური? ან იქნებ, სულაც ხელის მსუბუქი ტყვიამფრქვევებია? ასე სრულიად შეუმჩნევლად, ლი-

თონის ამხელა ტვირთი როგორ შემოიტანეს თვითმფრინავში? სხეულის რომელი ნაწილია სიცოცხლისთვის ნაკლებმნიშვნელოვანი, თუკი ამა და ამ ყალიბის ტყვია მოგხვდა? რამდენად არიან მომხდურები თავადაც დაზაფრულნი იმით, რაც შესაძლოა, ყველა ჩვენთაგანს მოგველის? ბ-ნ მეორედმომსვლელის თავიდან მოცილების მერე, ერთი პირობა იფიქრა, მცირე ხანს მაინც დავრჩები ჩემ თავთან მარტოო, მაგრამ ვერ მიართვეს - ვიღაც კაცი ჩამოუჯდა გვერდში და ჯიქურ დაეკითხა:

- ამისთანა ცირკში ვიღაც მაინც უნდა გეჯდეს გვერდზე, ასე არაა, ძმაკაც?

ნაღდად ის კინოვარსკვლავი იყო, ჯაბრაილი.

***

პირველ ხანებში თავზე ხილაბანდშემოხვეული ეს სამი ჯეელი აშკარად ჭკუაზე აფრაკად იყვნენ - ღამ-ღამობით ღია კარს მიადგებოდნენ და ხაფი ხმით გაჰყვიროდნენ სიბნელეში: ოხ მე თქვენი... მოდით და რასამში გრძელსაც წაიღებთ, იმასაც ვნახავთ! ანდა სულ პირიქით: ეს დედაიმასქნებულები მგონი კომანდოსებს გვიგზავნიან - ამერიკოსებს ან ბრიტებს, მე მაგათი... დაგვერხა! (სწორედ ასეთ წუთებში ხუჭავდნენ თვალებს ტყვეები და ლოცულობდნენ, რადგან ყველაზე უფრო მაშინ ერეოდათ შიში, როცა თავად გამტაცებლებს ეტყობოდათ სიმხდალე) - მერე კი ყველაფერი თითქოს მიწყნარდა და ლამის ყოველდღიურობის განცდაც კი გაუჩნდათ: დღეში ორჯერ, ეული თავღია ფურგონით საჭმელ-სასმელი მოჰქონდათ მათთვის და ასფალტის გზატკეცილზე ტოვებდნენ ლაინერის შორიახლო. მერე მძევლებს მუყაოს ყუთები თვითმფრინავში აჰქონდათ, ტერორისტები კი ფხიზლად ადევნებდნენ თვალს ზემოდან. ამის გარდა არავითარი კავშირი გარე სამყაროსთან მათ არა ჰქონიათ - რადიო გაითიშა. ისე ჩანდა, მათი ამბავი ყველას მიავიწყდა და არც გახსენება არავის უნდოდა, ყოველგვარი უხერხულობის თავიდან ასაცილებლად. „ემაგ ძაღლიშვილებმა საერთოდ დაგვივიწყეს! აქ და-

სალპობად გაგვწირეს!“ - ბღაოდა მან-სინგჰი, და მძევლებიც თავებს უკანტურებდნენ. - „მეკურტუმე-მეტრაკეები ეგენი, დედისიმისიმასმქნელები! უ-უ მაგათი!“

ხვატსა და მდუმარებას დაესადგურებინა ირგვლივ, და იქნებ ამის გამოც იყო, მოჩვენებებმა რომ იწყეს სტუმრობა. ჯერ ერთი კვირაც არ იქნებოდა გასული, მძევალთაგან ყველაზე ნერვებსუსტი - თხაკიკინაწვერიანი და დაკულულებულთმიანი ახალგაზრდა, დილაუთენია წამოხტა და წივილ-კივილი მორთო - აქაოდა აქლემზე ამხედრებულ ჩონჩხს მოვკარი თვალი, ეგერ იქ - დიუნებზე გადადიოდაო. სხვებს ცაში გამოკიდული ფერად-ფერადი ბუშტები ელანდებოდათ, ან რაღაც ვეება ფრთების ტყლაშუნი თავსზემოთ. თავად ის სამი ჯეელი-გამტაცებელი კიდე ღრმა და უკიდეგანო სევდას შეეპყრო. ერთხელაც თავლინმა ისინი ლაინერის მთლად კუდში, სათათბიროდ შეჰყარა. ტყვეებს მხოლოდ მათი ბრაზიანი ხმები ესმოდათ, სიტყვებს ვერ არჩევდნენ.

- ნაღდში იმას ეუბნება, ულტიმატუმი უნდა წავუყენოთ და ერთ-ერთი მაინც გამოვასალმოთ სიცოცხლესო, - უჩურჩულა ჩამჩას ჯაბრაილ ფარიშტამ.

ოღონდ როცა უკან მობრუნდნენ, თავლინი არსად ჩანდა, ბიჭებს კი რაღაც დარცხვენილი გამომეტყველება ედოთ სახეზე.

- მორჩა, დაერხათ... - ისევ აჩურჩულდა ჯაბრაილი. - კაკლები დაუქიშმიშდათ მაგ ჩემისებს. ახლა რაღას იზამს ეს ჩვენი თავლინ-ბიბი? მორჩა თამაშა, La comedia e finita!

იმან კიდე, მე თქვენ გიჩვენებთო და უჩვენა კიდეც:

აქაოდა ვერავითარ თქვენს კაპიტულანტურ გამოხდომებს ვერ მოვითმენო, ყველას წინაშე გასასვლელში წარსდგა მორიგე სტიუარდესასავით და მაშველი ჟილეტისა თუ სასიგნალო სასტვენის ხმარების წესების ახსნის მაგივრად, თავისი - როგორც აღმოჩნდა, ერთადერთი სამოსი - ფენა-ფენად ჩამოშვებული ჯელაბა წამოიხადა და მთლად დედიშობილა იდგა ასე, რათა ყვე-

ლას თვალნათლივ და ერთდროულად ეხილა მისი სხეულის მშვენიერებაცა და აღკაზმულობაც: მკერზე დამატებით წყვილ ძუძუებად ჩამოკიდული ხელყუმბარები, თეძოებზე - სკოჩით მიმაგრებული გელიგნიტის ფილები... etc. „დუინური ელეგიების“ ილუსტრაციად გამოდგებოდა, ღმერთმანი. მერე ისევ ჩამოუშვა ჯელაბას კალთები და იმ თავისი ზღვაურის ხმით ალაპარაკდა:

- მუდამ, როცა დიადი საზრისი ანთუ ქმედება იჩენს თავს ამ სამყაროში, ისტორია გვეკითხება ხოლმე: რანი ვართ ჩვენ, მისი გამტარებელნი? ფეხს არ მოვიცვლით, ბიჯსაც არ წარვდგამთ უკან, თუ - ქედს მოვიხრით, ენებს ავიქაფებთ და მშვიდობიან მორიგებას დავთანხმდებით?

პასუხად მისივე სხეული იყო: აქა ვდგევარ და სხვანაირად არ ძალმიძს...

დღეები გადიოდა. ჩაკეტილ გარემოში მიმდინარე ეს ტერორისტული აქტი, ერთდროულად ასე პირადული და უშუალო აღქმას ასე დაშორებულიც, სალადინ ჩამჩას თითქოს უბიძგებდა კიდეც საუბარი გაება ქალთან: იქნებადა აეხსნა როგორმე - უდრეკობაც შეიძლება აჩემებად გექცეს ადამიანს, ჯალათად გაქციოს, შიგნიდან გაგტეხოს - აკი თუჯიც მსხვრევადია, მაშინ როცა იგივე სილბო და დრეკადობა შესაძლოა ქვემძრომისა კი არა, ადამიანური იყოს და საკმარისად უტეხიც... მაგრამ არაფერი უთხრა, რაღა თქმა უნდა, და დღეების მდორე მდინარებას მისცა თავი.

ჯაბრაილ ფარიშტამ წინა სავარძლის ჯიბეში ბ-ნ ეუგენიუსის ხელნაწერი იპოვა და სალადინ ჩამჩას, რომელსაც მანამდეც შეემჩნია თუ რა თავგამოდებით ებრძოდა ეს კინოვარსკვლავი ძილს, აღარც ის გაკვირვებია, ახლა ამ კრეაციონისტულ ბჟუტურს რომ ჩაჰკირკიტებდა, ოღონდ თავად სულ უფრო და უფრო ერეოდა რული, დამძიმებული ქუთუთოები კი ერთმანეთან შეწებებას ლამობდნენ... თავს ძალა დაატანა, თვალები განახვნა. ეს მომცრო ნაშრომი ამტკიცებდა - მეცნიერნიც კი მუხლჩაუხრელად შრომობდნენ ღმერთის რა-

ობის გადასააზრებლად და რაკიღა ერთიანი უნივერსალური ძალის არსებობა უკვე დამტკიცდა (რომლისთვისაც თანამედროვე ფიზიკის აღმოჩენილი ელექტრომაგნიტური, გრავიტაციული, ძლიერი და სუსტი ურთიერთქმედებები მხოლოდღა ცალკეული ასპექტებია, ავატარები, ანთუ - ანგელოსები), აქედან ჩვენ ღვთაებათაგან უძველესს - ყოველთა არსთა გამრიგე უზენაეს რაობას ვიღებთ...

- ნახეთ ერთი, ეს ჩვენი ძმა რაებს გაიძახის: თუკი რაღაც განუსხეულებელ ძალოვან ველსა და ნამდვილ, განსხეულებულ ღმერთს შორის გიწევს არჩევანის კეთება, ვის აირჩევო? რაო ვითომ, მთლად უჭკუო შეკითხვაა? ელექტროდენს ხომვერ სცემ თაყვანს და ვერც ტალღოვან ფორმებს შესთხოვ სამოთხის კარის გასაღებს... - თვალები მილულა, მერე ისევ ააფახულა. - სრული სიბრიყვეა, - თქვა მერე. - გული აგერევა კაცს.

პირველივე დღეების მერე ჩამჩა ვეღარც ამჩნევდა ჯაბრაილის პირიდან ამოსულ სიმყრალეს, რადგან შიშისა და ოფლის ამ დასაზღვრულ საუფლოში უკეთესი სუნი არც არავის სდიოდა. ოღონდ მისი სახის არშემჩნევა კი შეუძლებელი გახლდათ: უძილობის დიდრონ, მოწითალო ლაქებს აეფორაჯებინა ყვრიმალები და თვალის უპეები, მერე კი ერთბაშად მოსწყდა კისერი, სალადინს დაემხო მხარზე და ოთხი დღე-ღამე არც გამოუღვიძია.

გონს რომ მოვიდა, აღმოაჩინა რომ ჩამჩას ერთი ვინმე კაფანდარა, უწვერ-ულვაშო მძევლის დახმარებით გადაეყვანა ლაინერის ცენტრალური ნაწილის გამოთავისუფლებულ რიგში და იქ დაეწვინა. მერე ფეხსადგილში მთელი თერთმეტი წუთი იცლებოდა სითხისაგან, ხოლო ჩამჩასთან რომ დაბრუნდა, სახეზე მართლა ენით აუწერელი შიში ეხატა. გვერდით მოუჯდა, თუმცა ხმა არ გაუღია და სიტყვაც არ უთქვამს. ორი ღამის მერე ისევ დაეტყო ძილთან ბრძოლის ნიშნები, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ - სიზმარ-ზმანებებთან ბრძოლის.

- მსოფლიოში სიმაღლით მეათე მწვერვალად, - მოესმა ჩამჩას მისი ბუტბუტი. - შიშაპანგმა ითვლება, რვა-ნოლი-ერთი-სამი მეტრი; ანაპურნა მეცხრეა: ოთხმოცი-სამოცდათვრამეტი...

ზოგჯერ კი საწყისი მხრიდან მოუვლიდა ხოლმე: პირველი ჩომოლუნგმაა - რვა-რვა-ოთხი-რვა; K2 მეორეა - ოთხმოცდაექვსი-თერთმეტი. კანჩეჯანგა - ეგ სულ რაღაც ოთხმოცდახუთი-ოთხმოცდათვრამეტი... მერე მოდის მაკალუ, დჰაულაგირი და მანასლუ. ნანგა-პარბატი კიდე - რვაათასასოცდაექვსია...

- თქვენ რა, რვაათასიანებს ითვლით, ძილის მოსაგვრელად? - დაეკითხა ჩამჩა. - ცხვრებზე დიდები კია, მაგრამ რაოდენობით... სულ თოთხმეტია, თუ სწორად მახსოვს.

ჯაბრაილ ფარიშტამ თვალი თვალში გაუყარა. მერე, თითქოს გადაწყვეტილება მიიღოო, თავი დახარა.

- არა იმისთვის რომ ჩამეძინოს, არამედ - რომ არ ჩამეძინოს. ასეა.

***

სწორედ მაშინ ეუწყა სალადინ ჩამჩას, თუ რატომ გაურბოდა ჯაბრაილ ფარიშტა ძილს. ეგრეა, ყველა ადამისშვილს მოგვდგამს ვინმეს შევჩივლოთ ხოლმე საკუთარი გასაჭირი, ჯაბრაილს კი ჯერ არც არავისთვის ეთქვა თუ რა დაემართა მას მერე, როცა ღორის უწმინდური ხორცი თქვლიფა. სიზმრებმა უკვე იმღამითვე არ მოასვენეს. ამ ზმანებებში მუდამ სხვად იყო ქცეული - არა, ვიღაცის როლს კი არ ვთამაშობდი, ბ-ნო ჩამჩა - მე ის ვიყავი და ის - მე... მოკლედ, ის დედაიმასქნებული ჯაბრაილ ანგელოსი, პირადად!

ჩამჩა. ზიინათ ვაკილისა არ იყოს, ამანაც ხომ მაგრად იხალისა სალადინის სახუმაროდ შემოკლებულ გვარზე:

- ვაუ! მაგარია! შიგ კაკალ გულში! და როგორ იქნება ეს ინგლისურად, შენ არ მომიკვდე? მაკ-ჩამჩა? თუ - ლაპოტსონი? მისტერ სალი ლაპოტსონი - ეგრე აჯობებს, ბჰაი!

ჯაბრაილ ფარიშტას უზურშიც არ ქონდა, თუკი ვინმეს წყობიდან გამოყვანა შეეძლო - არადა სალადინს ერთნაირად აღიზიანებდა ყოველგვარი მეტსახელები; ოღონდ ახლა რა გაეწყობოდა... მთავარი კი ის იყო, რომ ჯაბრაილის ხილვები სრულიად უბრალო და მარტივ ამბად ეჩვენებოდა: განა რა იყო მათში დამზაფრავი? ბოლო-ბოლო, სიზმრად რა არ მოგევლინება ხოლმე კაცს... საკუთარ თავში ჩაკეტვის ბრალია ეს ყველაფერი, აბა სხვა რა.

ოღონდაც ჯაბრაილი ლამის შიშის ოფლად დაღვრილიყო:

- საქმეც ისაა, ჩამჩა ჩემო, რომ ყოველ ჯერზე, როცა კი დასაძინებლად დავდებ თავს, სიზმარი ზუსტად იმავე ადგილიდან გრძელდება, სადაც წინა ჯერზე შეწყდა! თითქოს სანამ ოთახში მივბრუნდებოდი, ვინმემ ვიდეოჩანაწერი დააყოვნაო... თითქოს ის ფხიზლობდეს, ჩვენს გარშემო კი ეს კოშმარი ისევ გრძელდება... ან უფრო სწორად, მას ვესიზმრებოდეთ ჩვენ ყველანი.

ჩამჩა გაკვირვებული მიაჩერდა, ჯაბრაილი კი თავისას მიერეკებოდა:

- არა. მართლა ვერა ვარ სრულ ჭკუაზე: ვინ რა იცის, საერთოდ თუ სძინავთ ხოლმე ანგელოსებს... მათ სიზმრებზე აღარაფერს ვამბობ. არა, მართლა შიგნაკრავივით ვლაპარაკობ, ეგრეა?

- ე-ე... დაახლოებით.

- მაშ რა ოხერი ხდება ჩემს თავს?! - იყვირა ჯაბრაილმა. - ან თავში რა მიდევს?

* * *

რაც უფრო მეტ ხანს იყო ფხიზლად, მით მეტს ლაქლაქებდა; ბოლოს ყველას ერთად მიადგა - მძევლებს, გამტაცებლებს, 420-ის უკვე ერთიანად გამოქანთარებულ შემადგენლობას (ამ ერთ დროს ცხვირაბზუებულ სტიუარდესებსა და ოდესღაც მბზინავ, ქედმაღალ ეკიპაჟს, ახლა ჩრჩილნაჭამი ფარდაგივით საწყალობლად რომ გამოიყურებოდნენ და აღარც ბანქოს გაშლის სურვილი გააჩნდათ) და ტვინი ამოუჭამა თეორიებით სულთა გარდასახვის თაობაზე, მათსა და საკუთარ ახლანდელ მდგომარეობას კი განმეორებით ორსულობას ადარებდა - აქაოდა სამყაროსთვის ჯერ ყველანი ისევ მკვდრები ხართ, ოღონდ თავისებური აღდგენის ხანაში იმყოფებით, ხელახლად მოსავლენადო. ამ მოსაზრებამ თავად აშკარად გაახალისა, თუმცა ბევრი იქ მყოფი კი ნატრობდა, ერთი მაგის თავი მომცა ბნელ მოხვეულშიო, ის კიდე სავარძელზე შეხტებოდა ხოლმე და ამცნობდა ყველას - სწორედ განთავისუფლების დღეს ჩამორეკს თქვენივე ხელახლადშობის ჟამიო, რაიც ფრიად და ფრიად კეთილისმყოფელად მოქმედებდა გარეშემო შემოკრებილ მსმენელზე.

- გამაოგნებელი ამბავია, მე თქვენ გეუბნებით! ეს ნულოვანი დღე იქნება თქვენთვის - საერთო დაბადების დღე, და ყველანი ერთი ასაკისა ვიქნებით მთელი ჩვენი დარჩენილი ცხოვრება და აი - რა ქვია იმას, როცა ერთი დედის საშოდან ერთდროულად ორმოცდაათი ბავშვი გამოძვრება? ეშმაკმა უწყის... ორმოცდაათი ტყუპი, ეშმაკმა წაგიღოთ სუყველა!

ალაოდ მყოფი ჯაბრაილისათვის ეს სულთა ფერიცვალება ერთგვარ კრებით რაობად გადაიქცა, რომელიც რომ ბაბილონური სიმრავლის ცნებებს მოიცავდა: საკუთარი ფერფლიდან აღმსდგარი ფენიქსი, ქრისტეს აღდგომა, მეტემფსიქოზი, დალაი-ლამას სიკვდილისშემდგომი გარდამოსვლა ახალშობილის სხეულში... ყველაფერი ეს ვიშნუს ავატარებსა თუ იუპიტერის მეტამორფოზებში ათქვეფილიყო - ვიშნუსავე დარად, ხარის სახეს რომ იღებდა და ასე შემდეგ და ასე შემდგომ - რაღა თქმა უნდა, ადამიანთა მიერ მიჯრით მო-

ყოლებული სასიცოცხლო წრებრუნვის ჩათვლით - ჯერ რწყილი, მერე - მეფე... ნირვანას მისაღწევად. ხელახლა რომ დაიბადო, ჯერ უნდა მოკვდე...

ჩამჩას დაეზარა შეკამათებოდა რომ მისსავე მოყვანილი ამ მაგალითების უმრავლესობაში გარდასახვა სრულებითაც არ ითხოვდა სივდილს: ახალი სხეული სულ სხვა კარიბჭიდან გვევლინებოდა. სწორიც იყო, განათუ თავგადადებული და ყელმოღერებული, ფრთებივით ხელებისმქნეველი ჯაბრაილი გაუგონებდა რამეს.

- გარდასული უნდა მიიცვალოს, თუარადა ვერც ახალი მოგვევლინება.

ზოგჯერ ეს მისი სეფე-სიტყვა ცრემლების ღვრით თავდებოდა: მთლად არაქათგამოცლილ-დაშტერებულ ფარიშტას ცრემლები მოაწვებოდა, ქვითინი აუვარდებოდა და კვლავაც ჩამჩას მხარზე მიესვენებოდა ხოლმე, მაშინ როცა თავად სალადინი (დიდხნიანი ტყვეობა გარკვეულ წინაღობებს შლის ხოლმე ხალხის ურთიერთობაში) თავზე ხელს უსვამდა და კეფაზე ეამბორებოდა: კარგი, კარგი, გეყო ახლა... თუმცა, ხანდახან მასაც წამოუვლიდა გაღიზიანება - როცა ფარიშტამ ერთი მეშვიდეჯერ მაინც ახსენა გრამშის ბებერი წაბლი, ვეღარ მოითმინა და დაუბღავლა:

- იქნებადა შენც ეგ გჭირს, ენაქაფია შენა! ვაითუ ძველი თვითობა კვდება შენში და ახლა სწორედ ეგ სიზმრისეული ანგელოსი ცდილობს, შენად გარდაისახოს!

* * *

- გსურს მართლა გიჟური რამე მოისმინო? - შეთქმულის სახით დაუგდო ჯაბრაილმა ჩამჩას მათი ტყვეობის ასმეერთე დღეს.

- გინდა იცოდე, აქ როგორ მოვხვდი? - პასუხსაც არ დაუცადა, ისე დაამატა: „ქალის გამო, ეგრეა. მთელი ჩემი გაძაღლებული ცხოვრების ერთადერთი უდიდესი სიყვარულის გამო, იმ ქალის გამო, რომელთანაც, გადი-გამოდი, სულ სამნახევარი დღე მაქ გატარებული. განა ჩემი დაფსტვენის სხვა რა საბუთი გინდა? არც არაფერი, როგორც ხედავ“.

მცირე ხანს იყუჩა, მერე კი ისევ:

- აბა როგორ აგიხსნა? სამნახევარი დღე-მეთქი! თავად რამდენი დაგჭირდებოდა რომ მიმხვდარიყავი - ამაზე აღმატებულს, ამაზე ღრმასა და ალალ გრძნობას ცხოვრებაში ვეღარასოდეს ვეღირსებიო? ვფიცავ ცასა და დედამიწას, ძმაო - როცა ვკოცნიდი, ირგვლივ ნაპერწკლები ცვიოდა! ასე ამიხსნა, ეგ სულ სტატიკური ელექტრობის ბრალიაო, მაგრამ რა - სხვისთვის არავისთვის მიკოცნია განა სქელბეწვა ნოხზე?! ამგვარი რამ კი ერთხელ იყო და - მორჩა! დასწყევლოს ღმერთმა ეს ელექტრობა ძმაო - ისე დამიარა, უკან გავხტი და ტკივილისაგან დავიჭყანე!

სიტყვა არ ყოფნიდა ამ მთის ყინულიდან ჩამოქნილი ქალის აღსაწერად, იმის სათქმელად, მის ფეხებთან ნამსხვრევებად როგორ ჩამოეფჩხვნა საკუთარი აწყობილი ცხოვრება, ის ქალი კი არსებობის ერთადერთ საზრისად ექცა.

- შენ მაგას ვერ გამიგებ, - თავი გადააქნია. - ალბათ არც არასოდეს შეგხვედრია ვინმე, ვისაც ქვეყნის დასალიერზე გაყვებოდი, დაგდებდი ყველაფერს და თვითმფრინავს მოახტებოდი, დაუფიქრებლად. ევერესტზეა ნამყოფი ძმაო, ოცდაცხრაათას და კიდევ ორი ფუტის სიმაღლეზე, ან იქნებ ოცდაცხრა-ერთი-ოთხი-ერთი... აღარ მახსოვს. ზედ მწვერვალზე. განა ამისთანა ქალის გულისათვის არ ღირდა ამ წყეულ თვითმფრინავში ჯდომა?!

არადა, რაც მეტს ცდილობდა ჯაბრაილ ფარიშტა, ჰალელუია კონის მიმართ საკუთარი თავგამეტება აეხსნა, მით მეტად ებღაუჭებოდა ჩამჩას მეხსიერება პამელას სახეს, მაგრამ - სულ ტყუილად: ხან

ზინის ხარება უდგებოდა თვალწინ, ხან სულაც მისი აჩრდილი სდევდა, ხანაც - მთლად არაფერი. ჯაბრაილის ვნებით სავსე ლაქლაქი მხოლოდ ბრაზსა და გაოგნებას იწვევდა მასში, ოღონდაც ფარიშტა ამას ვერც ამჩნევდა და ბოლოს იმით ამთავრებდა, რომ მხარზე უტყაპუნებდა ხელს - ეგ არაფერი, მისტერ ლაპოტსონ - ბევრიც აღარ დაგვრჩა...

* * *

ასმეათე დღეს თავლინი სწორედ იმ კაფანდარას მიუახლოვდა და თითით მოიხმო თავისთან. - მოთმინების ფიალა აივსო, - გამოუცხადა. - ულტიმატუმის მიუხედავად, არსით ხმა, არსით ძახილი... პირველი მსხვერპლშეწირვის დრო დადგა.

სწორედ ასე თქვა - მსხვერპლშეწირვისო. მერე შიგ თვალებშიჩახედა და განაჩენიც გამოტანილი იყო:

- შენ პირველი იქნები. რწმენაშეშლილიმოღალატენაბიჭვარი.

თავისიანებს უბრძანა, ასაფრენად მოემზადეთო - სულაც არ აპირებდა, განაჩენის აღსრულების მერე თავად ლაინერი დაეყენებინა სპეცრაზმის შემოტევის საფრთხის ქვეშ. მერე შაშხანის ლულა ატაკა საბრალოს ფერდში და მოფიათებულ ღია წინა კარისაკენ უბიძგა. ის კიდე გაჰყვიროდა რაღაცა გაუგებარს - ცხადია, შეწყალებას თუ ითხოვდა.

- მიმინოს მზერა აქვს, - გადაულაპარაკა ჯაბრაილმა ჩამჩას. - ის კიდე სუფთა თავგადაპარსული სიქჰია, სირდარჯი.

ჯალანდრი მართლაც იმიტომ იქცა სამიზნედ, ჩალმა რომ შეიხსნა და ჩამოზრდილი თმა შეიკრიჭა. ამით კი წამსვე რწმენის

უარმყოფელად იქცა. მოკლედ, ახლა ის სირდარჯი გახლდათ: რვა ასოსაგან შემდგარი განჩინება, გადასინჯვას რომ არ ექვემდებარება.

მუხლებზე დაებერტყა, შარვლის ტოტებზე კი სველი ლაქა დააჩნდა, როცა იმ შეკრეჭილ თმაში ჩაავლეს ხელი და გასასვლელისკენ წაათრიეს. სალონში არავინ გატოკებულა. დარა, ბუთა და მან სინგჰებმა თავები მიატრიალეს. თავლინმა მუხლმორთხმული, პირით ღია კარისაკენ დასვა ტყვე, კეფაში დაახალა ტყვია და წიხლით გადააგდო გარეთ, ბეტონის საფარზე. მერე კარი მოხურა.

მან სინგჰმა, მათ შორის ყველაზე ახალგაზრდამ, მიაძახა:

- და ახლა რაღა? სადაც არ უნდა წავიდეთ, აღარ შეგვეშვებიან! ღორებივით ჩაგვკლავენ...

- მოწამეობა დიდი პატივია, - მშვიდად გაეპასუხა ქალი. - ვარსკვლავებად ვიქცევით, მზესავით გავანათებთ სამყაროს...

* * *

სილა თოვლად იქცა. ევროპა ზამთარში - თეთრი, ტალღოვანი ნოხით დაფარული, ღამისეულ წყვდიადშიც რომ ქათქათებდა. ალპები, საფრანგეთი, ინგლისის თეთრად დაკბილული სანაპირო, ალბიონი. ბ-ნმა სალადინ ჩამჩამაც - აბა ისე როგორ იქნებაო და თავისი ცილინდრი დაიკოსა თავზე. მსოფლიოს კვლავ წამოუტივტივდა მეხსიერებაში ბოინგ-747 სახელად „ბოსტან“, იგივე P-420; რადარის ეკრანზე აირეკლა მისი ფრენის მიმართულება, ატყდა რადიოგზავნილების გაშვება-გამოშვება. დაშვების ნებართვას ითხოვთ? მაგრამ დაშვებაზე არავითარი მოთხოვნა არ მიუღიათ. ბოსტანი ზღვის ფრინველივით მშვიდად დასტრიალებდა თავს ინგლისის სა-

ნაპიროს, თოლიას გავდა, ან უფრო - ალბატროსს. საწვავის მაჩვენებლები ნელი-ნელ უახლოვდებოდა წითელ ნიშნულს.

როცა ჯახი ატყდა, მძევლებმა რიგიანად აზრზე მოსვლაც კი ვერ მოასწრეს, რა ხდებოდა მათ თავს: არავითარი დავა-კამათი არ დაუწყია ვინმეს, ხმა არ აუმაღლებია, არც საწვავის ნაკლებობა უხსენებია და არც ის უკითხავს - ახლა აქ რა ჩემ ფეხებს ვაკეთებთო... უბრალოდ, მან-სინგჰს ნერვებმა უმტყუნა და პირდაპირ თავლინს ეცა, პირგამეხებული. ყველანი მათ სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლას მიაჩერდა, მოვლენათა მსვლელობაში საკუთარი ჩართულობა არც არავის გახსენებია, თითქოსდა ბედის განჩინებასღა ელოდა სუყველა; ის ორნი კიდე ერთმანეთს გადაეხლართნენ და თავლინის დანამ მუცელი გაუფატრა მან-სინგჰს. ეგ იყო და ეგ - თავად ამ ამბის მეყვსეულობა თითქოს საუკეთესოდ წარმოაჩენდა მის უმნიშვნელობასაც. ოღონდ როცა ქალი წამოდგა, მაშინღა გახდა ყველასთვის ნათელი - იგი ბოლო ნაბიჯის გადადგმას ეპირებოდა. ისიც დაინახეს, როგორ წაიღო მეორე, უდანო ხელი ჩამრთველისაკენ, რომელიც მისსავე შიშველ სხეულზე ასხმულ ასაფეთქებლებს აერთიანებდა, და თუმც ბუთა და დარა სხვებზე ადრეც მიხვდნენ ყველაფერს და შეეცადნენ კიდეც დაესწროთ მისთვის, ხელიდან გამოეგლიჯათ, მაინც მოასწრო თითის დაჭერა - და ჩამოიქცნენ ზღუდენი ქალაქისანი ძირისძირამდე.

არა, სიკვდილი არა: დაბადება.

კარი II

მაჰუნდი

გარდუვალს დამორჩილებული, დამძიმებული ქუთუთოებით ეგებება საკუთარი ანგელოსური საწყისის ხილვებს, ჩაუნარნარებს მოსიყვარულე დედის სახეს, მას კი სხვა სახელიც აქვს მისთვის - შაითანი, და ასეც იძახის ხოლმე - შაითანია ნამდვილი, ერთიერთზე! ეს კი იმიტომ, ლანგრებზე რომ უწყობდა დაკვეთას დაბავალებს - ეს პატარა შაითანი ესა - ყველაფერს აურ-დაურევდა ხოლმე - მაჰმადიანებისათვის განკუთვნილ თეფშებს ჰინდუ დამტარებლებს ულაგებდა და პირიქით. მოკლედ, ოფის-მენეჯერების ოხტში ამოდიოდა, ღმერთმანი. ეშმა ხარ ნამდვილი! - დალანძღავდა ხოლმე, მაგრამ იქვე გულში ჩაიკრავდა. - ჩემი პაწია ფარიშტა, რა გინდა რომ ქნა, ბიჭები სულ ეგეთები არიან... - ის კიდე გვერდით ჩაულივლივებს ძილში, სიჩქარეს კრეფს და ეს უკვე ვარდნასა გავს, მერე კიდე - ფრენას, დედის ხმაც სულ უფრო და უფრო შორიდან მოესმის: ნახე როგორ ჩამეზარდე ხელში, კუნთებიანი თაგუნა ხარ ნამდვილი, ვაიავაი-ავაჰაი, ტაში-ტუში! და ისიც დგას, გოლიათი, უფრთო, ცალი ფეხი ცისკიდურზე დაუდგამს და ხელები მზისთვის შემოუხვევია. ადრეულ ზმანებებში საწყისსაც ჭვრეტდა - ზეცას მომწყდარი შაითანი ქვესკნელს ინთქმება, ცდილობს დიადი საკარცხულის მზიდ უკიდურესი დასალიერის ლოტოსის ტოტს მოეჭიდოს, მაგრამ ხელი უცდება, სულ ქვემოთ და ქვემოთ მიექანება, ტყლაშ! ოღონდ გადარჩა, უკვდავია, და ახლა ქვესკნელიდან იმღერდა თავის ენაზე, ამ მაცდურ ლექსებს. ტკბილი და საამო იყო მისი მღერა - იმ თავის ქალიშვილებთან, მომყოლ ჯგუფთან ერთად - აი ის სამი: ლათ, მანათ, უზა - უდედო გოგონები, თავიანთ მამიკოსთან ერთად რომ ხითხითებდნენ, ჯაბრაილის შემხედვარე, ვაი რა მაგარი რამე შემოვინახეთ შენთვის, შენთვისა და იმ ბიზნესვალასათვის, გორაკზე რომ შემომდგარა. ოღონდ მანამდე სხვა ამბებიცაა მოსაყოლი - აგერ, ჯაბრაილი გაზაფხულზე ამოხეთქილ წყაროს რომ უჩვენებს ხაჯარს - მავან მეგვიპტელ ქალს, წინასწარმეტყველ იბრაჰიმის მიერ უდაბნოში

შთენილს, მისგანვე ნაშობი ბავშვით ხელში, ცივი და ანკარა წყალი რომ დალიოს და გადარჩეს ორივე. და შემდგომაც, როცა ჯურჭუმები ტალახითა და ოქროს ქურციკებით ამოავსებენ წმინდა ჭას, რათა მისი ხსოვნა ჟამთასვლაში ჩაკარგულიყო, ის კვლავაც იქაა და ახლა მუტალიბს, მეწამულ ჩარდახისქვეშიდან გამოსულ, ვერცხლისფერთმიანი ბავშვის მამას ათითებს წყაროსაკენ მიმავალ გზას, ის ბავშვი კიდე თავის მხრივ, მერე ბიზნესვალას ჩასახავს. მოკლედ, აგერ ისიც.

ზოგჯერ მძინარე ჯაბრაილი იმასაც იაზრებს - სიზმარსგარეთ - რომ სძინავს და საკუთარ ზმანებებს ელაციცება, და მაშინვე ზაფრა იპყრობს: ო ღმერთო - ყვირის, - ყოვლადმრავალთა ფრიადმოწყალეო, ხომ ხედავ, ჭკუაზე აღარა ვარ - მიშველე რამე, შემეწიე, მეოხ მეყავ და მერე მე ვიცი შენი პატივისცემა! გასკდა თავი... სწორედ ამგვარმა განცდამ მოიცვა ბიზნესვალაც, პირველად რომ იხილა მთავარანგელოზი: იფიქრა, სულ გავრეკეო და ქარაფიდან უნდოდა გადამხტარიყო - იმ კლდის ქარაფიდან, რომელზეც ერთი მიმჭკნარი ლოტოსის ხე იდგა, და თავად კლდე კი ქვეყნიერების ჭერივით მაღლა რომ აზიდულიყო.

ზემოთ მიიწევს: კონუსური მთის მწვერვალს ეპოტინება, ქვაბულს ეძებს. დაბადების დღეს გილოცავ: ორმოცდაოთხისა გახდი. ოღონდ ქალაქიც ქვემოთ დარჩა და მოზიმზიმე ბრბოც, ის კი მარტოდმარტო, სულ მარტოკა მიიწევს წინ. ვერ მოგართვეს: არავითარი სადაბადებისდღეო, გაქათქათებული, გატკიცინებული პერანგი არ დაგხვდება ლოგინის თავთან. ასკეტური მიდრეკილებების მქონე კაცი (მაგარი უცნაური ბიზნესვალა კია, ღმერთმანი!)

შეკითხვა: რაი არს რწმენის საპირისპირო?

არა ურწმუნოება - ეს მეტისმეტად საბოლოოა, გადამწყვეტი, კარჩაკეტილი. ბოლო-ბოლო, ეგეც ხომ რწმენაა, ოღონდ - თავისებური.

ეჭვი.

ადამიანური განცდაა, ოღონდ ანგელოსურს რაღა? შუაგზად ალაჰსაპიენსსა და კაცღმერთს შორის. არა ეგენი თუ ეჭვობენ რამეს ოდესმე? კი, იყო ერთხელ: ღვთის ნებას წინაღუდგნენ, საკარცხულის ქვეშე შეკრბენ სათათბიროდ და იმდენად გაკადნიერდნენ, აკრძალულ შეკითხვებსაც კი სვამდნენ: ობლების ანტიკვერი. თუ მართალია, რომ... იქნებადა აგვიხსნათ, როგორ და რანაირად... თავისუფლება, უძველესი ანტიშეკითხვა. მოკლედ, დააშოშმინა, რაღა თქმა უნდა - à la მენეჯმენტური უნარ-ჩვევებით. კოჭი გაუგორა: და იქცევით ნებისა ჩემისა იარაღად დედამიწაზე, ადამის მოდგმის ხსნადაწყევლისა, etc. ახლა კი - პრესტო, მორჩა პროტესტი, შარავანდედნი ჩამოიფხატეთ თავებსა ზედა და საქმეს შეუდექით. საზოგადოდ, ანგელოსთათვის თავის მოქონვა სულ იოლი ამბავია: სიმებად უნდა გააბა და ჩონგურიც ახმიანდება... აი, ადამიანი კი ცოტა სხვა რამაა, ყველაფერი ეეჭვება, საკუთარი თვალით დანახულიც კი. თუნდაც როცა ქუთუთოები უმძიმდებათ, და იმათ იქით რა ჩნდებაო, აინტერესებთ... ანგელოსებს კი საკუთარი ნების გამოვლენა უძნელდებათ: ნების გამოხატვა - შეკითხვის დასმა - იგივე ქედმოუდრეკობას, წინააღდგომას, შეპასუხებას ნიშნავს.

ვიცი, ეშმაკეული ნაუბარია ესე ყოველი: შაითანი, ჯაბრაილს რომ სიტყვას აწყვეტინებს.

ანუ - მე?

ბიზნესვალა: შესაბამისადაც გამოიყურება - მაღალიშუბლი, არწივისებური ცხვირი, მხარბეჭიანი და წელწვრილი; საშუალო სიმაღლისაა, ფიქრიანი მზერა აქვს, უბრალო ნაჭრის სამოსი მოსავს: თეძოებზე და მხარიღლივ შემოვლებული. დიდთვალებაა და ქალიშვილივით გრძელწამწამა. ნაბიჯი გრძელი აქვს, ფეხსწრაფია. ობლები სამიზნედ ქცევას ეჩვევიან, სწრაფ რეაქციას გამოიმუშავებენ, მსუბუქად სიარულს ითავისებენ და ენაზე კბილის დაჭერასაც იოლად სწავლობენ. ეკალ-ბარდებში მიიკვლევს გზას, სანდალოზის ხეებს

შორის, რომელიმე ლოდის გვერდს თუ გაედება ხანდახან; ჯირგვი ვინმეა, ვიღაც ფაშვგაგდებული მევახშე არ გეგონოთ. ერთხელაც შეგახსენებთ - უცნაურის ვინმე ბიზნესვალაა, უდაბნოსა ზედა მავალი, მთას მიმავალი, ეულად საყოფად - ხანდახან, მთელი თვითაც კი.

სახელი მისი: საოცნებო, ხილვით ნირშეცვლილი. სწორად თუ წარმოთქვამთ, გამოვა ის-ვისაც-მიეგების, ოღონდ აქ ის ამგვარ დაძახებაზე ყურსაც არ შეიბერტყავს; არც ის მეტსახელი გაჭრის, ქვემოთ, ჯაჰილიას რომ მოუგონეს: ის-ვინც-მთაზე-ადიჩამოდის. აქ ის არც მაჰმადია და არც მუჰამედი. ამის მაგივრად ფარანგთა ეშმაკეული ტვიფარი მოუმარჯვია და შეურაცხყოფის ძალმოსილებად გადასაქცევად, როგორც რომ ამას ვიგები, ანთუ თორები, ანთუ შავები სჩადიან - ყველანი იმას ცდილობენ, სიამაყით ატარონ ის სახეები, მათსავე შეურაცხსაყოფად რომ მოუგონეს - სწორედ ასევეა ეს ჩვენი მთამსვლელიც - ამ ჩვენი ქადაგად დასავარდნად განწირული მარტოსულის სახელით მომავალში ბავშვებს დააშინებენ, ეშმასთან გააიგივებენ უცებნი: მაჰუნდ.

ეგაა სწორედ მაჰუნდ-ბიზნესვალა, ჰიჯაზის მხარეში, თავის მხუთვარე მთაზე რომ მიიკვლევს გზას. მის ქვემოთ კი ქალაქის მირაჟი ლივლივებს მწველი მზის სხივებში.

***

ქალაქი ჯაჰილია მთლიანად სილა-ქვიშითაა ნაგები; შენობები აქ თავად უდაბნომ წამოჭიმა და საკვირველია საცქერლად: გალავანშემოვლებული, ოთხკარიბჭოვანი, მთელი ეს საოცრება მისივე მოსახლეობის ნახელავია, რომელთაც ამ ხრიოკის თეთრი, წვრილმარცვლოვანი ქვიშის - რაიც თავისთავად უმდგრადობის, ქაოსის, გარდამავლობის, ცვლადობის, უფორმობის, ამორფულობისა და დაღალატების მატერიალური გამოვლინებაა - მათივე ხელით ამ ახალშექმნილ მდგრადობასთან ალქი-

მიური წესით შენივთება დაისწავლეს. ეს ხალხი სულ რაღაც სამოოთხი თაობის წინ მომთაბარეები იყვნენ, არც ძირი გააჩნდათ და არც ფესვი, დიუნებივით მიდი-მოდიოდნენ და ეგონათ, სწორედ გადაადგილებაა ჩვენი საცხოვრისიო.

რამე რომ იყოს, გადასახლებულს სულაც არ სურს მოგზაურობა - ეს უბრალოდ, გარდუვალი შეჭირვება გახლავთ; მიზანი კი - ადგილზე ჩასვლაა.

შემდგომ - არცთუ ისე დიდი ხნის წინ - ჯაჰილიელები მთავარი საქარავნო გზების შესაყარზე დასახლდნენ და ქვიშაც საკუთარ მოთხოვნებს დაუმორჩილეს: ახლა ის ადგილობრივ სოვდაგრებს ემსახურება და აგურებად დაწნეხილს, მისით ჯაჰილიას შუკებს აშანდაკებენ. ღამ-ღამობით ოქროსფერი ალი ელვარებს სილისაგან ამოლესილ ფურნეებში; სილისავე სასახლეების ვიწროდ და გრძლად გამოჭრილ ფანჯრებში კი იმავე მასალისაგან მიღებული შუშა ჩაუდგამთ; კაჟნარევი ქვიშა-ტალახით ნაზელ ბორბლებზე შეყენებული ოთხთვალები მკვირცხლად მიგორავენ ჯაჰილიას ოკრო-ბოკრო ქუჩებში; ხანდახან ბოღმა მომერევა ხოლმე და წარმოვიდგენ უსაზარლესი სიდიდის ტალღას, ქაფმოდებული წყლის მთელ კედელს, ნაფოტებად ქცეული ფარატინა ნავებითა და ადამიანთა კიდურებით მოფენილ თხევად უბედურებას, ღრიალ-გუგუნით რომ იძვრის უდაბნოში და მზადაა ეს ქვიშაზე ქვიშით ნაგები ამაოება აღგავოს პირისაგან ქვიშისა, ქვიშისავე იმ მარცვლებად აქციოს, საიდანაც წარმოსდგა კიდეც. ოღონდ აქ არათუ მოქცევის ტალღები არ იცის, წყალი აქ - მტერია და თიხის ქოთნებში გამომწყვდეული მიმოაქვთ ისე, რომ წვეთიც არ დაიღვაროს (სასჯელი ამ მხრივ მკაცრზე-უმკაცრესია), რადგან სადაც კი მიწას შეეხება, ნგრევას უქადის მთელ ქალაქს: გზებზე ორმოები ჩნდება, შენობები ყანთრდება და ირყევა. ამიტომაც, მეთულუხჩენი ჯაჰილიაში იძულებით ასატანი ხალხია, პარიების კასტა, რომელთა არც შეუმჩნევლობა იქნება და არც პატიება. აქ წვიმა არასოდეს მოსულა, კაჟნარევი თიხისაგან ამოლესილ

შადრევნებში წყალი არასოდეს ჩქეფს. სულ რამდენიმე პალმა იზრდება შიდა ეზოებში, მათი ფესვები სად არ იტოტება მიწისქვეშეთში, ოღონდ კი სასიცოცხლო სითხეს მიაგნონ. წყალს ქალაქში ჭების მეშვეობით შოულობენ, და ერთ-ერთი მათგანია სწორედ ის ლეგენდარული ზამზამი - კონცენტრირებულ წრეებად გაშენებული ქალაქის გულისგულში, ზედ შავი ქვის სახლის გვერდით. აქ, ზამზამთან, ვინმე საწყალობელი ბეჰეშთი - ანუ მეთულუხჩე, მაცოცხლებელ და სახიფათო სითხეს ეზიდება. მას სახელიც აქვს: ჰალიდი.

ბიზნესვალათა ქალაქი, ჯაჰილია. ტომის ზედსახელი კი ზვიგენის ხალხია.

სწორედ აქ, წინასწარმეტყველად ქცეული ბიზნესვალა, მაჰუნდი ქმნის მსოფლიოს სარწმუნოებათა შორის ერთ უდიდესთაგანს; სწორედ დღეს, ამ თავის დაბადების დღეს, გადამწყვეტი ჟამი დაუდგა და ხმა იგი ეჩურჩულებოდა ყურში: და რაი ხარ შენ? კაცი თუ - თაგვი?

ამ ხმას კი ჩვენც ვცნობთ. ჩვენც გვესმა ერთხელ.

***

ვიდრე მაჰუნდი მთაზე ავიდოდეს, მთელი ჯაჰილია სულ სხვა რამ დღესასწაულს ზეიმობს - იმ უძველეს დროს, როცა მამამთავარი იბრაჰიმი ამ უდაბნოში შემოეხეტა თავის შვილ ისმაილსა და დედამის ხაჯართან ერთად. აკი სწორედ აქ, ამ უწყლო, ბერწ მიწაზე დაუტევა ისინი. და ჰკითხა ქალმა: დაღათუმცა ესაა ნება ღვთისა? და ჰრქუა მან: ეგრეა. და წავიდა, ნაბიჭვარი ეგა. დასაბამითგანვე, კაცები ღვთის სახელს იფარებდნენ ხოლმე, უკადრისის საკადრებლად: შეუცნობ არიან გზანი მისნიო - ახლაც ამით იმართლებენ თავს. რაღა გასაკვირია, ქალები თუ მე შემღაღადებენ...

ოღონდაც საკითხს ნუ გადავუხვევთ: ხაჯარი მჩხიბავი ანთუ კუდიანი არა ყოფილა. უბრალოდ, ირწმუნა: ის არ მიგვატოვებს

და არ გაგვწირავსო. როცა იბრაჰიმი აღარ ყავდა, ბავშვს ჯერ ძუძუ-თი კვებავდა, ვიდრე არ დაუშრა; მერე ორი მთა გადაიარა - ჯერ საფა და მერე - მარვა, ერთიდან მეორეზე გადარბოდა გულმოწურული, იქნებადა სადმე ტალავარს, ან აქლემს, ან ფეხით მოარულს მოვკრა ვინმეს თვალიო. ვერაფერი იხილა. და მაშინ გამოეცხადა ჯაბრა-ილი, და უჩვენა წყარო ზამზამისა. ასე გადარჩა ხაჯარი, მაგრამ მომ-ლოცველთ რაღა აქვთ სადღესასწაულო? ქალისა და ბავშვის - მათი უშუალო მამამთავრის გადარჩენა? არა-ა... უბრალოდ, ისინი აქაუ-რობის (აბა, გამოიცანით) სწორედ იბრაჰიმის მიერ მოხილვას ზე-იმობენ! აი ამ გულმოწყალე და მოსიყვარულე მეუღლის დაუვიწყა-რი ღვაწლის მოსაგონრად იკრიბებიან, ეთაყვანებიან მას და, რაც მთავარია, ხარჯის გაწევასაც არ ერიდებიან.

დღესდღეობით, ჯაჰილია ნელსურნელებითაა გაჟღენთილი. Arabia Odorifera: ბალზამი, კასია, გუნდრუკი, დარიჩინი, მური. მომ-ლოცველნი ფინიკის ღვინოს სვამენ და იბრაჰიმის დღესასწაულზე გამართულ ბაზრობას ეტანებიან. მათ შორის ერთიცაა, ვისი დაღა-რული შუბლიც მკვეთრად გამოარჩევს მას მოზიმზიმე ბრბოში: მა-ჰუნდზე მთელი თავით მაღალს, თეთრი სამოსი მოსავს; წვერი ბო-ლოდე მოუშვია მაღალყვრიმალიან სახეზე, მსუბუქად მოაბიჯებს და მის ძრაობაში ძალამოსილების მომაკვდინებელი დახვეწილობა გა-მოსჭვივის. და სახელი მისი? ისიც ზმანებების შედეგადაა სახეცვლი-ლი? ქარიმ აბუ სიმბელი - ჯაჰილიას ერთი დიდებულთაგანი, კაცი მძვინვარე და უმოწყალო. ქალაქის მამათა თავია, უმდიდრესი, შე-მოსავლიან სალოცავთა და აურაცხელ აქლემთა მფლობელი, ქარა-ვანთა გამგებელი და მეუღლე მისი - ულამაზესი ქალია მთელს იმ მხარეში; მაშ, რაღას ძალუძს ამისთანა კაცის თვითრწმენის შელახ-ვა? და მაინც, აბუ სიმბელის ცხოვრებასაც დააჩნდა ბზარი: სახელი უღრღნის გულს, და ძნელიც არაა იმის მიხვედრა, თუ ვისი. მაჰუნდ, მაჰუნდ...

არა, მაინც რა შეედრება ჯაჰილიაში გამართულ თვალსეირობებს! ფართო, საკმევლის სურნელებით გაჟღენთილ კარვებში რას არ ნახავთ - რა გინდა რა ნელსაცხებლებს, სუნამოებს, ზეთებსა თუ საწვავ ჩხირებს; დახლიდარები მომლოცველთა ცხვირებისა და იმავდროულად, მათივე ქისების დასაპატრონებლად ექიშპებიან ერთურთს. აბუ სიმბელი მხარულით მიიკვლევს გზას შემოჯარულ ხალხში. სოვდაგრები - იუდეველები გინდა, სხვადასხვა ტომის მონოფიზიტები, ნაბათეელები - ყიდულობენ და ჰყიდიან ვერცხლისა თუ ოქროს ზოდებს, წონიან და კბილით სინჯავენ ლითონის მონეტებს; აქვე ნახავთ ბროლ-ბალახშსა და ჩინურ აბრეშუმს, ბასრას ნავსადგურიდან შემოზიდულ იარაღსა და მარცვლეულს. არც ყომარის გაგორებაა აქ უცხო ხილი, არც სასმელით გამობრუჟვა და არც მუხლებში ჩაკეცვამდე ცეკვა-თამაში. გნებავთ, მონებიც შეგიძლიათ შეიძინოთ - ნუბიელები, ანატოლიელები, ეთიოპები... ზვიგენის ხალხის ოთხი შტო განაგებს ოთხადვე დაყოფილ ბაზრობას: ნელსურნელებანი და ნელსაცხებლები ალისფერ კარვებშია დაბინავებული, შავებში - ტყავნაჭრები; შევერცხლილთმებიანთა დასტა - ძვირფასი ლითონისა და ხმალ-მახვილების დახლებს განაგებს; რაც შეეხება გართობას - ყომარბაზობა, მუცლის ცეკვა, პალმის ღვინო, ჰაშიშ-ოპიუმით დაბოლება - ეგ სულ მეოთხე შტოს გამგებლობაშია, რომლის ებგურებიც საპალნედაცლილ-დატვირთულ აქლემთა გასვლა-გამოსვლასა და მონებით ვაჭრობის საქმესაც ასევე ადევნებენ თვალყურს.

აბუ-სიმბელმა მოცეკვავე ქალების კარავში შეიხედა: იქაც იგივე მომლოცველები სხედან, მარცხენა ხელში ყველას ქისა უკავია და დროდადრო, ლითონის ფული ქისიდან ახლა მარჯვენა ხელისგულზე გადაინაცვლებს ხოლმე; ოფლში გაღვრილი მოცეკვავეებიც მანამდე არ წყვეტენ როკვას, ვიდრე ფულის ეს

გადაადგილება არ შენელდება. აბუ სიმბელი, დიდი კაცი, უსიამოდ იმანჭება და კარვის კალთას ხელს უშვებს.

როგორც გითხარით, ჯაჰილია კონცენტრირებული წრეების თარგზეა აგებული და შენობები აქ „შავი ქვის სახლიდან“ იშლებიან გარე-გარე, მათი მფლობელების შეძლებულობისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის შესაბამისად. აბუ სიმბელის სასახლე შიგ პირველ წრეშია წამოჭიმული; თავად ახლა ნელი ნაბიჯით მიემართება ერთ-ერთი ასევე წრიულად გაყვანილი გზით, რომლის კიდეებზე უამრავი მკითხავი, ნათელმხილველი თუ მჩხიბავი ჩაცუცქულა. მომლოცველთა ფულის რაღაც წილის ხელში ჩასაგდებად ისინი ჩურჩულებენ, ჟღურტულებენ, სისინებენ ყველა შესაძლო ჩიტის, მხეცისა თუ ქვეწარმავლის ჯინთა მოსახმობად. ერთ მათგანს მთლად აერევა რამსები და ქალაქის თავკაცს გადაუდგება წინ:

- გინდა ქალის გულს დაეპატრონო, ოქრო? თუ ვინმეს დაჩმორება გინდა? აბა, გამომცადე ერთი - ნახავ, როგორი კვანძების გამოსკვნაც ვიცი!

თან ჩახლართულ-ჩაკვანძულ თოკს ათამაშებს ხელში, ხაფანგს, ოღონდაც მალევე ხვდება შეცდომას, რაღაცას წაიბურდღუნებს თავისთვის და სილაში უჩინარდება. ყველგან ხმაურია და არის ერთი ჯიკავ-ჯიკავი. ყუთებზე შემდგარი მოლექსეები ღაზალებს გაჰკივიან, მომლოცველები კი ხურდა ფულს უყრიან ფეხებთან. რამდენიმე სულაც რაჯაზში ჩამწვარა, რომლის ოთხხმოვნიანი წყობაც - გადმოცემის თანახმად, აქლემის სვლითაა ნაკარნახევი; სხვები ყასიდებით ართობენ მსმენელს - ესეც ერთგვარი პოემებია ავყია დედაკაცებზე, უდაბნოში მომხდარ თავგადასავლებზე, კანჯარზე ნადირობის ამბებზე. ამ დღეებში გაიმართება სწორედ სწორუპოვარ პოეტთა შეჯიბრი, ხოლო შვიდი საუკეთესო მათგანის ნაწერი შავი ქვის სახლის კედელზე იქნება მილურსმული. ამიტომაც მთელი დღე ვარჯიშობენ მთქმელები და აბუ სიმბელსაც გულიანად ეცინება მათზე, ვინაც ბოღმით სავსე პამფლეტებს, გესლიან ქებათა-ქებებსა თუ განმაქი-

ქებელ ბაიათებს დასძახის დილიდან საღამომდე: ცხადზე უცხადესია, რომელი თემის ბელადმა დაუკვეთა ესე შაირი მეორის წინააღმდეგ; რომელ ტომს აუთვალწუნებია მეზობელი... ოღონდ კეთილად უღიმის ერთ მათგანს, ძვალტყავასა და სწრაფთითებას: ამ ბიჭს უკვე სახელიც გაუთქვამს ენამწარობით, თუმც აბუ სიმბელს მაინც დიდად მორიდებით უწყობს ფეხს.

- რაზედ მოგიქუფრავს წარბები, გრანდი? თმა რომ ისედაც არ გითხელდებოდეს, გეტყოდი - დაიკიდე-მეთქი...

აბუ სიმბელს ცალყბად ეცინება:

- სახელი შენი წინ გისწრებს და სიბრძნის კბილის ამოსვლასაც არ გაცდის... გაფრთხილდი, ემანდ ძალით არ ამოგიყვანოთ.

ეღლაბუცება, მსუბუქად. მაგრამ ეს სიმსუბუქეც პირბასრი სატევარივით ატანს გონებაში, მთქმელის ძალმოსილების გათვალისწინებით... ოღონდაც ყმაწვილს წარბიც არ გაუტოკებია, მის გვერდით მოაბიჯებს და ასე ეპასუხება:

- განა ყოველ ამოძრობილ კბილის ადგილას სხვა არ ამოვა, გრანდი? უფრო ფესვმაგარი, უფრო მჭრელი, უფრო ღრმად რომ ჩაერჭობა ხორცს...

ის კიდე თავს უქნევს, თითქოს ეთანხმებაო.

- გატყობ, ახალი ხორცის მოყვარული ხარ.

ბიჭი მხრებს იჩეჩავს.

- პოეტის საქმეც ხომ ეგაა - ყველაფერს თავისი სახელი დაარქვას, უგვანი ამხილოს, კამათი ჩამოაგდოს, სამყარო გამოჩორკნოს და მერე მიძინების საშუალებაც აღარ მისცეს...

... და თუკი მისი ლექსებით მიყენებულ ჭრილობებს სისხლი სდით, მით უკეთესი - ამით დარწყულდება კიდეც. ის ხომ სატირიკოსია, იგივე ავსული.

ამასობაში, რვა კუნთმაგარმა ანატოლიელმა მონამ ჩარდახ-ჩამოშვებული ტახტრევანი ჩამოატარა: მავან ბანოვანს ბაზრო-

ბის მოხილვა მოსურვებოდა. აბუ სიმბელი, ვითომცდა გზა მივცეთო, მკლავში ავლებს ხელს ყმაწვილს და ჩურჩულებს:

- შენ გეძებდი, სიტყვა მაქ სათქმელი.

მართლაც გასაკვირი იყო ამ გრანდის ოსტატობა: თუკი კაცს ეძებდა, ჯერ მუდამ ისე აფიქრებინებდა მსხვერპლს, თითქოსდა ის აქეთ ნადირობდა მასზე. ახლა კიდევ უფრო მაგრად უჭერს მკლავზე ხელს და ქალაქის შიგ კაკალგულში, წმიდათა წმიდა ადგილას მიჰ-ყავს.

- დავალება მაქვს შენთვის, - ეუბნება. - მთხზველობის განხრით. ჩემდათავად, კარგად მომეხსენება საკუთარი ძალმოსილების საზ-ღვრები - ბალღამის გარითმულ ნთხევასა თუ ლექსად გაწყობილ ცი-ლისწამებაში მოვიკოჭლებ... გესმის ჩემი?

ოღონდაც ეს გაამაყებული, ცუდმედიდობის სენშეყრილი ჭაბუკი ხმას არ იღებს, მეტისმეტად ღირსეულად უჭირავს თავი.

- სახელმწიფოს მსახურად ქცევა ხელოვანისთვის კვდომის ტოლფასია. - ამბობს მერე.

სიმბელის ხმა აბრეშუმის სირბილეს იძენს:

- განა დავობს ვინმე? ოღონდ არც ასასინთა ბრმა იარაღად ქცე-ვაა მთლად მოსაწონი, მეთანხმები?

მკვდრის კულტი ზეობს ჯაჰილიაში. კაცი რომ კვდება, დაქირავე-ბული მოტირალნი ლოყებს იხოკავენ, მკერდს იფხაჭნიან, თმებს იგ-ლეჯენ. მყესებგადაჭრილ აქლემს უტოვებენ საფლავში, სასიკვდი-ლოდ; ხოლო თუ მოკლეს ვინმე, მისი უახლოესი ნათესავი ნამდვი-ლი ასკეტის აღთქმას დებს და მანამ სდევს მკვლელს, ვინემ სისხლს არ აიღებდეს. აი, ამის მერე კი გამარჯვების ლექსის შეთხზვაც უპრი-ანია! ოღონდ ეგაა - განათუ ყველა შურისმგებელს მოსდგამს პოეზი-ის ნიჭი... სწორედ ამიტომაც, ბევრი პოეტთაგანი ცხოვრების სახ-სარს იმით შოულობს, მკვლელებს ასხამს ხოტბა-დიდებას და ამ-გვარ სისხლნთხევათა მაქებრებს შორის საუკეთესო, საყოველთაო აზრით, სწორედაც რომ ეს ჩვენი ყმაწვილია. ახლა მხოლოდ ამქარს

მიკუთვნებულობის სიამაყე იცავს გრანდისეული ამ პატარ-პატარა ჩხვლეტებისაგან.

- ეს მხოლოდ კულტურათაშორისი განსხვავებულობის ამბავია, - დაუგდებს წარბშეკვრით.

აბუ სიმბელი მთლად დაიშაქრა:

- რაზეა ლაპარაკი! ოღონდ ეს მითხარი ერთი - განა ჩვენ ერთსა და იმავე ქალბატონს არ ვემსახურებით? და რაღაც პაწია, სულ პაწია დავალიანებაც უნდა გქონდეს, თუ არ მეშლება... - ამბობს და თან შავი ქვის სახლის ზღურბლს გადააბიჯებს.

ახლა კი მართლა მკვდრისფერი ედება ყმაწვილკაცს; მისი თვითდაჯერების ბაკანს ჯერ ბზარები უჩნდება, მერე კი მთლად ნამსხვრევებად ჩამოეშლება ფერხთით. ვითომც აქ არაფერიო, გრანდის სახლის სიღრმეში შეყავს ბიჭი.

ჯაჰილიელთა ღრმა რწმენით, მთელი ეს დაბლობი სამყაროს ჭიპია და ოდეს სამყარო შეიქმნა, სწორედ მის გარშემო იწყო წრებრუნვა. ამიტომაც მოვიდა აქ ადამი და იხილა საოცრება დიდი: ზურმუხტის ოთხი სვეტი, უზარმაზარ ლალისქვას რომ ედგნენ საყრდენად, ხოლო ამა საფარის ქვეშ - ვეება თეთრილოდი, საკუთარსავე ნათელს სულივით რომ აფენდა ირგვლივ. მან მკვიდრი კედელი შემოარტყა სახილველს, რათა მარად მიწაზე დარჩენილიყო, და ასეთი გახლდათ სახლი პირველი. ბევრჯერ გადააკეთეს - ჯერ იბრაჰიმმა იტვირთა ეს საქმე, მას მერე რაც ხაჯარი და ისმაილი იხსნა ანგელოსმა - მერე კი, საუკუნეების განმავლობაში, მომლოცველთა ხელისშეხებამ თეთრი ქვა შავად დაფერა. ოდეს კერპთა თაყვანისცემა გახშირდა კიდით-კიდემდე, უკვე 360 ქვის ღვთაება შემოეჯარა ღმერთის კუთვნილ ქვას და ასე იყო უკვე მაჰუნდის დროსაც.

ახლა რას იტყოდა ყველაფერ ამაზე თავად ადამი? მისივე შვილები მყოფობენ აქ: ამალეკელთა მიერ ნაძღვენევი თუბალის ქანდაკი, საგანძურის ჭას რომ ადგას თავზე - თუბალ-მწყემსი, ნა-

ხევარმთვარე; აქვეა თვალანთებული კაენიც: ის კლებადი მთვარეა, მჭედელი და მუსიკოსი; მასაც ჰყავს თაყვანისმცემლები.

თუბალიცა და კაენიც ზემოდან დაჰყურებენ ამ ორს - მათ ფერხთით ჩამვლელ გრანდისა და პოეტს. ნაბათელთა პროტო-დიონისეც აქაა, ზულ-შარა, შარას მხარედან; და დილის ვარსკვლავიც - ასთართა, და სახექუფრი ნაქრუხიც. აგერ - მზის ღვთაება, მანაფი! იქ კიდე არწივისდაგვარი ნასრი აფართხუნებს ფრთებს! შეხე: ესეც ქუზახი, ცისარტყელა რომ უპყრია ხელთ... განა ესე ყოველი ღვთაებათა სიმრავლე-სიჭრელეზე არ მიათითებს? ქვათა ნაზვავი, მომლოცველთა უწმინდურ შიმშილს რომ ასულდგმულებს - განა ისინიც მათსავით არ მიდი-მოდიან სამყაროს ოთხივ კუთხით? კერპნი ეგე - ერთგვარი საერთაშორისო ბაზრობის მომხილველნი...

აქვეა კიდევ ერთიც - ალაჰი (ანუ, უბრალოდ - ღმერთი); ნებისმიერ ჯაჰილიელს დაეკითხეთ და გიპასუხებენ, რომ ეგ ვინმე ძალამოსილებით ერთგვარად სხვათა გადამფარავიც კია, ოღონდაც არც იმდენად დიდი გასავალი აქვს, რაკიღა ყველაფერს მიედ-მოედება - ვიწრო სპეციალიზაციის ზეობის ამ ხანაში.

აბუ სიმბელიცა და შუბლდაცვარული პოეტიც ახლა უკვე ადგილობრივთა მიერ განსაკუთრებით პატივდებული სამი ღვთაების გვერდიგვერდ წამომართულ ქანდაკებს მიადგნენ და სამთავეს წინაშე იხრებიან წელში: მბრწყინავსახიანი უზა, სილამაზისა და სიყვარულის ღვთაება; პირქუში მანათი - სახე მიუბრუნებია და შეუცნობია გზანი მისნი - ქვიშას სცრის თითებშუა (სვე-ბედის გამრიგეა და თავადაც ბედისწერას განასახიერებს); და ბოლო, მაგრამ არა უკანასკნელი - დედა-ღვთაება, რომელსაც რომ ბერძნები ლატოდ იხსენიებენ და აქ კი ილათს უხმობენ, ან - უფრო ხშირად - ალ-ლათს. ღმერთქალი. თავად სახელიც კი აპირისპირებს მას ალაჰთან და მის სწორუპოვრად აქცევს. ლათ-ყოვლისშემძლე. უეცარი შვებით პყრობილი, ბიჭი მიწაზე განერთხმება და ხელებს წვართავს. აბუ სიმბელი ადგილიდან არ იძვრის.

გრანდის ოჯახი - უფრო სწორად, მისი მეუღლე ჰინდი - ლათის სახელოვან სალოცავს განაგებს ქალაქის სამხრეთ კარიბჭესთან (თუმცა, ასევე წილი შემოსდით მანათის სალოცავიდან აღმოსავლეთ მხარეს და უზას სალოცავიდან - ჩრდილოეთ მხარეს). კონგრეგაციის ეს თაიგული გრანდის საგვარეულოს ქონების ქვაკუთხედია და ცხადია - ასე ფიქრობს ბიჭი - ის ალ-ლათის მსახურად რჩება. ამ ხანმოთეული კაცის ერთგულება ზემოხსენებული ქალღმერთის მიმართ კი საყოველთაოდაა ცნობილი. ალბათ სულ ეს იყო, რასაც გულისხმობდაო - შვებით ამოისუნთქა ძირს გართხმულმა პოეტმა და კიდევ ერთხელ აღუვლინა ლოცვა თავის მფარველ ქალ ღვთაებას. ოღონდ რომ არც მთლად მასზე დანდობა იქნება! და აქ ბიჭს მაგარი იაღლიში მოუვიდა...

მეყვსეულად, გრანდი წიხლს ამოარტყამს შიგ თირკმელებში - სწორედ იმ დროს, როცა ბიჭმა ძლივს იგრძნო თავი დაცულად - წამოიყვირებს, ზურგზე გადატრიალდება და აბუ სიმბელი ახლა მკერდში ჩააზელს ჭიტლაყს. ნეკნის ტეხვის მჭახე ხმა გაისმის.

- უდღეურო შენა... - კვლავაც ისეთივე მშვიდი და აუმღვრეველი ხმით აცხადებს გრანდი. - წვრილკაკლებიანი და გამყივანხმიანი ლაწირაკი. შენა გგონია, ალ-ლათის სამლოცველოს მფლობელს მხოლოდ იმიტომ მოსურვებია შენი ნახვა, ქალღმერთის მიმართ საყმაწვილო სენი რომ გაგჩენია?

და კვლავ მოაყოლებს პანჩურების მთელ რიგს - აუჩქარებლად, გამოზომილად. ბიჭს ცრემლები უკვე ღაპაღუპით ჩამოსდის ლოყებზე. მართალია, შავი ქვის სახლი აროდესაა მთლად ცარიელი, მაგრამ ვინ გიჟი ჩადგება გრანდისა და მისსავე რისხვას შუა?

ის კიდე ისევე მოულოდნელად წყვეტს ამ ცემა-ტყეპას, როგორც დაიწყო და ყურში უჩურჩულებს მსხვერპლს:

- მაგრამ ეს ის ქალბატონი არაა, ვისაც ვგულისხმობდი... - და აქ უკვე მთლად ცხოველის ყმუილი აღმოხდება პოეტს, რადგან

გუმანით ხვდება რომ თავისი მიწიერი ცხოვრების სასრულს უწია და ეს სწორედ მაშინ, როცა ის იყო ამ სიცოცხლის გზაზე შეედგა ფეხი.

გრანდის ტუჩები ლამის მისი ყურის ბიბილოს შეეხოს:

- გაოჩნებული აქლემის ფუნავ შენა, - სისინებს. - გგონია, არ ვიცი რომ ჩემს ცოლს ხმარობ?

გაკვირვებული ხედავს, ბიჭს ადრეკილა ემართება - მისსავე ში-შის ძეგლად აღმართული ბოძი...

აბუ სიმბელი, რქოსანი გრანდი,წელში იმართება, ბრძანებს:

- აღიღე მძორი და ვიდოდე! - დაზაფრული ბიჭიც კრინტდაუძვრე-ლად მისდევს უკან, გარეთ.

ისმაილისა და დედამისის - მეგვიპტელი ხაჯარ/აგარის საფლავე-ბი შავი ქვის სახლის ჩრდილო-დასავლეთ ფრთეშია, ნიშაში ჩად-გმული. აბუ სიმბელი შორიახლო ჩერდება. ნიშაში ვიღაც ხალხი შეჯ-გუფებულა. სამნი არიან - მეთულუხჩე ჰალიდი, ვინმე მაოცარსახე-ლიანი სპარსი მაწანწალა - სალმანი, და მაჰუნდის მიერ გამოსყიდუ-ლი მონა ბილალი - შავი გოლიათი, არანაკლებ საზარ ხმებს რომ გამოსცემს. ეს სამი უსაქმური ნიშის შემომსაზღვრელ ყორეზე შე-მომჯდარა.

- აი, აწი ეს კოდლაა შენი სამიზნე, - აბუ სიმბელი ამბობს, ბიჭის გასაგონად. - მათზე დაწერ და მათს წინამძღოლზე.

ძრწოლის მიუხედავად, პოეტს უნდობლობა ეპარება ხმაში.

- ვიზე, აი ამ დაქლიავებულ მასხარებზე? რას ბრძანებ, გრანდი - იმ ვიღაცა მაჰუნდის ერთადერთ ღმერთს ძალუძს შენი კუთვნილი სალოცავების გაპარტახება?! სამას სამოცი ერთის წინააღმდეგ - და შიშობ, იმ ერთმა არ გაიმარჯვოს? გამორიცხულია!

ხომ ელდანაცემია და ნაბეგვი, მაგრამ ახლა ჩაბჟირებას არაფე-რი უკლია. მაგრამ აბუ სიმბელს წარბიც არ გატოკებია სახეზე:

- ეგ შენი საწყალობელი შეურაცხყოფები გიჯობს, ლექსებისათ-ვის შემოინახო.

ოღონდ ბიჭი უკვე თავს ვეღარც იკავებს:

- არა, როგორია?! ერთი მეთულუხჩე, ერთი გადმოხვეწილის ვინმე და ერთიც - მონა... მაგარი ამბოხი გველოდება, შენ ნუ მომიკვდები! აი ახლა კი მართლა ჩავისვარე...

აბუ სიმბელი მშვიდად ჩასცქერის თვალებში:

- აი, ეგ კი სწორია, უნდა გეშინოდეს კიდეც. მოკლედ, ჯღაბნას მოკიდე ხელი და იმის იმედზეღა ვარ, საკუთარ თავსაც რომ გადააჭარბებ.

პოეტს სახე მოეღრიცა, მოთქვამს:

- თუნდაც ჩემი საწყალობელი ნიჭის ასე მთლად მიწაში ჩაფლვა...

უცებ მოსხიპა, მიხვდა რომ გაუკვალავში გადავიდა.

- რაც გითხრეს, ის გააკეთე, - დაუგდო გრანდიმ. - არჩევანი მაინც არა გაქვს.

* * *

გრანდი საკუთარ საძინებელში ნებივრობს, რამდენიმე ხასა თავს ევლება: ქოქოსის ზეთი მისი შეთხელებული თმისთვის, ღვინო - სასისთვის, ენები - საალერსოდ. მართალი იყო ბიჭი, რას ერჩი... რას ვუფრთხი ამ მაჰუნდს? ზარმაცად იწყებს ხასების თვლას და მეთხუთმეტეზე ჩერდება. ლაწირაკი. ჰინდის ისევ ხვდება, ცხადია - ან რას გააწყობს ქალის სურვილის წინააღმდეგ? ეს მისივე სისუსტეა - ყველაფერი იცის, ყველაფერს ხედავს, ზედმეტად ბევრს ითმენს... ისე, ბოლო-ბოლო, მას ხომ თავისი მოთხოვნილებები აქვს და ქალსაც რაღატომ არ შეიძლება თავისი ჰქონდეს? ეგ მანამდე, სანამ ჭკუით იქცევა და არც ჩემთვისაა დაფარული რამე. ყველაფრის აზრზე უნდა იყოს - ცოდნა ბანგია, საკუთარი თავის დამღუპველი ჩვევა. შეუცნობს ვერ იტა-

ნს და სწორედ ამიტომ, მაჰუნდი მტერია მისი, ისიცა და მთელი მისი დასტაც. ბიჭს კი სიცილი წასკდა, მაგრამ მას, გრანდის, სიცილი უჭირს. საკუთარივე მეტოქესავით ფრთხილია, სულ თითის წვერებზე დაიარება. უცებ ის შავი გოლიათი, ბილალი გაახსენდა: პატრონმა მოსთხოვა, ღმერთები ჩამომითვალეო. „ერთია“, - თქვა, მძიმედ. ეს კი იმგვარი მკრეხელობაა, სიკვდილს იმსახურებდა, უთუოდ. ბაზრობის შუა მოედანზე გაწელეს ოთხივ კიდურით და მკერდზე ლოდი დაადეს. რა თქვი, რამდენიო? „ერთია,“ - თქვა ისევ. ერთ ლოდს ახლა მეორეც დაუმატეს. ერთია, ერთი, ერთი... სწორედ მაჰუნდმა გადაუხადა მონის პატრონს დიდძალი თანხა და გამოისყიდა. მერე გაათავისუფლა კიდეც.

არ-ა-ა, - ფიქრობს აბუ სიმბელი, - გუმანმა უმტყუნა ბიჭს, ეგ ხალხი ჩვენი დროის ნაშობია. რატომ უფრთხი მაჰუნდსო? სწორედაც რომ ამის გამო: ერთი, ერთი, ერთი... ეგაა მთავარი. თავად ხომ მუდამ დანაწევრებული ვარ - ორი, ხან სამი, ან სულაც თხუთმეტი... სადღაც მისიც კი მესმის: ისევე მდიდარია და წარმატებული, როგორაც ნებისმიერი ჩვენთაგანი საბჭოში, მაგრამ რაკიღა საჭირო ოჯახური კავშირები არ გააჩნდა, ჩვენიანად არ ვაღიარეთ; ახლა კი, რჩეულთა წრეში ვერმოხვედრილი, გულნაკლულია და განაწყენებულიც. ყოველთვის ეგეთი იყო, პატივმოყვარე. პატივმოყვარე, მაგრამ - თან უკარებაც. მარტო კი მწვერვალზე ვერ აფორთხდები. თუ რა თქმა უნდა, ანგელოზს არ გადაეყარე... ეგრეა. მოხარშულს ვიცნობ, თუმცა იმას კი ჩემი არაფერი გაეგება. და რა საზრისს ვატარებ თავად მე? ვიდრიკები, იქით-აქეთ ვიხრები, ჩემს შესაძლებლობებს ვწონი, აფრებს ვუნაცვლებ, გეზს ვიცვლი, თავის გადარჩენას ვცდილობ. ამიტომაც არ ვადანაშაულებ ჩემს ქალს ცოლ-ქმრულ ღალატში. მშვენიერი წყვილი ვართ, რამე რომ იყოს: ცეცხლი და ყინული. მისი საგვარეულო ღერბი ალისფერი ლომია, კბილბასრი მანტიკორი. ჯერ-ჯერობით, გაერთოს იმ თავისი სატირ-სატირიკოსით - ჩვენი შეწყვილება არც არასოდეს იდგა ხორციელ ურთიერთობებზე. მაგ

ბიჭს მერე მოვუვლი, როცა ჩემს მეორე ნახევარს თავს მოაბეზრებს. აი, კიდევ ერთი დიდი სიცრუე - ფიქრობს ჯაჰილიისგრანდი, და ძილიც სწორედ ამ დროს ართმევს თავს: კალამი მახვილზე უკეთ სჭრისო...

* * *

ჯაჰილიის მთელი კეთილდღეობა ქვიშის წყალზე აღმატებას გახლდათ დამყარებული: ძველად ნაწარმ-საქონლის უდაბნოს გზით გადატანა ბევრად უსაფრთხო იყო, ვიდრე ზღვით, სადაც მოულოდნელად ამოვარდნილ ქარიშხალს ნებისმიერ დროს შეეძლო მთელი ფლოტი გაენადგურებინა. მეტეოროლოგიისწინა ხანაში ამის ზუსტად წინასწარმეტყველება კი, ჩვენში დარჩეს, შეუძლებელი იყო. ამიტომაც, საქარავნო ხანაგები დიდ მოგებაში იყვნენ. მთელი იმდროინდელი მსოფლიოს სოვდაგრები მოემართებოდნენ ზაფარისა და საბას გავლით - ჯაჰილიისაკენ, იქიდან კიდე - ახლა იათრიბის ოაზისის გავლით - მიდიაში, საცა მოსე სახლობდა; და ბოლოს - აქაბასა და ეგვიპტეში. ჯაჰილიიდანვე იწყებოდა სხვა საქარავნე გზებიც: აღმოსავლეთით და ჩრდილოაღმოსავლეთით, მესოპოტამიისა თუ სპარსეთის დიადი იმპერიისაკენ, პეტრასა და პალმირასაკენ, საცა სოლომონს საბას დედოფალი ჩაუვარდა გულში... ნაყროვანი წლები იყო ესე, ოღონდ ახლა ნახევარკუნძულის გარშემო მცურავი გემები მომაგრებულიყვნენ, მეზღვაურებს სანაოსნო ხელსაწყოებიც გაეუმჯობესებინათ და თავადაც მეტად გამოჯეკილიყვნენ. მოკლედ, ლუკმას ართმევენ სახმელეთო ქარავნებს. ახლა უდაბნოს ხომალდისა და საზღვაო ხომალდის მეტოქეობაში ძალები არათუ გათანაბრდა, ამ უკანასკნელისაკენაც კი იხრება. ჯაჰილიის თავკაცნი შფოთავენ, მაგრამ რა გინდა რომ ქნა? აბუ სიმბელს ზოგ-

ჯერ ისიც კი ეჩვენება, რომ მხოლოდღა მომლოცველობა არჩენს ქალაქს, და საბჭოც მთელ დუნიაზე დაეძებდა უცხო ღმერთების ქანდაკებს, რათა რაც შეიძლება მეტი ხალხი მოეზიდა ქვიშის ქალაქში; თუმცა, ახლა ამაშიც გამოუჩნდნენ მოცილეები - საბაში უზარმაზარი ტაძარი აშენდა, რომელიც უკვე შავი ქვის სახლსაც კი უწევდა მეტოქეობას. მრავალი მომლოცველი მოიხიბლა მისით და ჯაჰილიის კარიბჭეებთანაც სულ უფრო თხელდება რიგი.

იმავე აბუ სიმბელის რჩევით, ყველა რელიგიურ მომსახურებას მცირეოდენი ბიწიც შეუზავეს სატყუარად და ქალაქმაც მალევე დაიგდო გარყვნილების, ხვეჭისა და თამაშ-გართობის საუკეთესო ადგილის სახელი. მაგრამ ზვიგენის თემის რამდენიმე წევრს ზედმეტად წასძლია მომლოცველთა ფულისაკენ ლტოლვამ და სახლის მათმა ებგურებმა ახლა უკვე ქრთამის გამოძალვაც კი იწყეს; ერთხელაც, ოთხ მათგანს საბოძვარი ეცოტავა, რამდენიმე მოგზაურს ხელი კრეს და მაღალი, დამრეცი კიბიდან დააგორეს. ეს გლახა ამბავი წამში გავრცელდა და ძაანაც დაეტყო მომხილველთა ნაკადს...

ისეც ხდება, რომ მომლოცველ ქალებსაც იტაცებენ გამოსასყიდის აღების მიზნით, ანდა სულაც ხარჭებად ჰყიდიან. „ახალგაზრდა ზვიგენთა“ ბანდა გუშაგობს ღამის ქუჩებს, და დროის ამ მონაკვეთში საკუთარ კანონებს ადგენს. ხმა დადის, აბუ სიმბელი მალულად ხვდება მაგათ მეთაურებს და მართავს კიდეც მათო. აი, ასეთი იყო სამყარო, რომელშიც მაჰუნდმა თავისი გზავნილი მოიტანა: ერთია, ერთი, ერთი. ამგვარი სიჭრელის ფონზე ეს უკვე მუქარად ჟღერდა.

გრანდი წამოიწევა, და ხასები წამსვე ანახლებენ ზეთის წასმასა და ალერსს. ხელის ერთი აქნევით იშორებს თავიდან, ტაშს შემოჰკრავს. შემოდის საჭურისი.

- ნათელმხილველ მაჰუნდის სახლში კაცი აფრინე, - უბრძანებს აბუ სიმბელი. ერთ პატარა გამოცდას მოვუწყობთ. პატიოსანი შეჯიბრი: სამი - ერთის წინააღმდეგ...

* * *

მეთულუხჩე, იმიგრანტი და მონა: მაჰუნდის სამივე შეგირდი ზამზამის ჭიდან ამოღებული წყლით იბანენ სახეებს. ქვიშის ქალაქში მათი ეს მუდმივი განბანვა უცნაური გეჩვენება კაცს: ტერფებიდან მუხლებამდე, თითებიდან - იდაყვებამდე, თავიდან - კისრამდე... მშრალტორსიანები, ოღონდ სველი თავებითა და ხელ-ფეხით, მართლა მაზალოდ გამოიყურებიან. ტყლაშ-ტყლუშ და - ლოცვა: მუხლმოყრილნი, ხელებს, ფეხებსა და თავს კვლავ და კვლავ სილაში დურთავენ, მერე კი ისევ იგივე იწყება - წყლისა და ლოცვის მონაცვლეობა. ნებისმიერი სატირიკოსისთვის ნამდვილად რომ იოლი ხალხია გასაქილიკებლად. საზოგადოდ, მათი ესეგვარი წყალთსიყვარული ნამდვილი ღალატია, რადგან ჯაჰილიელები მხოლოდ ქვიშის ძალმოსილებას ცნობენ და ის ყველგანაა - ფეხის თითებს შორის უქვავდებათ, წამწამებზე ეკიდებათ და თმებში უჯდებათ, კანის ფორებს უვსებთ... ასე ენივთებიან ისინი უდაბნოს: მოდი და სიმშრალითა შენითა გაგვბანეო. ეგეთია ჯაჰილიელთა წესი და რიგი, მათგან უდიდებულესიდან - მთლად სამკვიდრომოკლებულამდე. ისინი კაჟის ხალხია, მათ შორის კი ახლა წყლისმოყვარულნი გაჩენილან...

ჭაბუკი პოეტი მხოლოდ შორიდან ამასხარავებს - აბა, ახლოს გინდა ბილალთან მისულხარ და გინდა - ნილოსის ნიანგთან:

- არა, მითხარით ერთი, მაჰუნდის აზრებს რომ ფასი ქონდეს, მარტო თქვენისთანა მათხოვრები მიეტანებოდნენ?

სალმანი ბილალს აკავებს:

- აქეთ პატივია ჩვენთვის, დიადი მგოსანი რომ ანწუხზე გვაგდებს! - თან იცინის, და ბილალიც მშვიდდება.

ჰალიდ-მეთულუხჩე კი მაინც მოუსვენრობას შეუპყრია და მაჰუნ-დის ბიძას, მძიმე-მძიმედ მოარულ ჰამზას რომ მოკრავს თვალს, წამ-ში მასთან გაჩნდება. ჭარმაგი ასაკის მიუხედავად, ჰამზა დღესაც ცნობილი მუშტით მებრძოლია და ლომებზე მონადირე. მართალია, სინამდვილე თავისი დიდებულებით ოდნავ ჩამორჩება სადღეგრძე-ლოებში დახატულს - გალახულიც უნახავთ და შემთხვევის წყალო-ბითა თუ მეგობრების დახმარებით - ლომის ხახას გადარჩენილიც, მაგრამ ფული საკმარისად აქვს, რომ ეგეთი ხმები ვიწრო წრის იქით არ გავიდეს; ასევე, გარეგნობაცა და წლებიც ხელს უწყობს, ლეგენ-და წინ უსწრებდეს სიმართლეს. ბილალიცა და სალმანიც ახლა ჰამ-ზას აეტორღიალებიან. ორივენი ცქმუტავენ, სისხლი უდუღთ.

„ჯერაც არ მობრუნებულა სახლში“, - აცხადებს ჰამზა. ჰალიდი ღელავს: „ამდენი ხანია იქაა, რას უშვება ის მტარვალი - რა, თითებს უმტვრევს, შოლტით უმასპინძლდება თუ...“ სალმანი უფრო თავშე-კავებულია: „ეგეთი რამეეები მაგის ხელს არა გავს, სიმბელი რამე უფრო ახვრულს მოიფიქრებდა, დამიჯერეთ“. ბილალი კიდე ღმუის: „რაც არ უნდა იყოს, ქადაგისა მწამს - ეგრე იოლად არ გატყდება“. ჰამზა სიტყვას დაუგდებს: „აკი თავად რამდენჯერ გითხრა, რწმენა ღმერთისთვის შემოინახეო? მაცნეც მხოლოდ ადამიანია...“ ახლა ჰალიდი იფეთქებს, ჰამზას ექაჩება და პასუხს სთხოვს: „რისი თქმა გინდა, მაცნე კოჭებში მოისუსტებს თუ რა?! ბიძამისი არ იყო...“ ჰამზა მშვიდად, ნახევარძალით გააწნავს სილას: „ნუ გამოამზეურებ შენს შიშს,“ - ეუბნება. - „თუნდაც მუხლები გიკანკალებდეს“.

ახლა ოთხივენი ერთად განიბანებიან, და სწორედ ამ დროს, მა-ჰუნდიც გამოჩნდება. გარს ერტყმიან - ვინარატორისთვის? ჰამზა ბიჯს უკან დგამს:

- დისშვილო, რაღაც ცუდადაა საქმე! - ჰაფი ხმით, მხედრულად დაჰყვირებს. - მთიდან რომ ეშვები ხოლმე, თითქოს ნათება გადგას თავზე... დღეს კი რაღაც ბნელ ქულას ვხედავ.

მაჰუნდი ჭის პირზე ჩამოჯდება და ჩაიცინებს.

- გარიგება შემომთავაზეს.

- ეგ ვინა, აბუ სიმბელმა?! - აღმოხდება ჰალიდს. - არ არსებობს... უარზე დადექი!

ერთგული ბილალი მხარს გაკრავს: შენი ჭკუისდარიგებებიღა აკლია მაცნეს... თქმა არ უნდა, უარს ეტყოდა. სალმან სპარსი ეკითხება: რა გარიგება? მაჰუნდი ისევ ისე ჩაიცინებს:

- კიდე კარგი, ვიღაცა მაინც დაინტერესდა... სულ პატარა ამბავია, ქვიშის მარცვლისოდენა. აბუ სიმბელი ალაჰს შესთხოვს, ერთ საქმეში ხელი წაუკრას.

ჰამზა ახლაღა ამჩნევს დისშვილს, რამდენად არაქათგამოცლილია - თითქოსდა ავსულს დაჭიდებოდეს. მეთულუხჩე ყვირის:

- ვერ მიართვეს! მისხალიც კი რომ...

ჰამზა აწყვეტინებს:

- თუკი მაღალი ღმერთი თუნდაც გულის კუნჭულში დაუშვებს, - სწორედ ამ სიტყვას გაუსვა ხაზი. - რომ თუნდაც სამად-სამი კერპია ამ სამასსამოციდან თაყვანისცემის ღირსი...

- არ არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა! - გაჰყვირის ბილალი და სხვებიც მხარს უბამენ:

- ია ალაჰ!

მაჰუნდი წარბებს ქუშტავს:

- ბოლოსდაბოლოს, ისმინენ თუ არა მართლმორწმუნენი მაცნეს სიტყვას?

ხმას გაკმენდენ, მარტო ქვიშას ზელენ შიშველი ფეხებით.

- ალაჰს შესთხოვს-მეთქი, ლათი, უზა და მანათი ითნიოს კეთილად. სამაგიეროდ გვპირდება, ხელსაც არავინ გვახლებს და გვცნობენ კიდეც. ამის ნიშნად, ჯაჰილიის უმაღლეს საბჭოშიც კი შემიყვანენ. ეგეთი შემოთავაზებაა.

სალმან სპარსი წამითაც არ დაფიქრდება:

- ეს ხაფანგია! ჩამოხვალ მთიდან და იქვე დაგეკითხება - განა როგორ მოახერხე რომ ჯაბრაილმა ზუსტად ის განგიცხადა, რაც მე გთხოვეო? გაქნილსა და ცრუპენტელას დაგიძახებს, სახალხოდ!

მაჰუნდი თავს გადააქნევს:

- აბა რა გითხრა, სალმან... ოღონდ ეგაა, რომ მოსმენა ვისწავლე. ეს მოსმენა უბრალოდ დაყურადება კი არაა, ის უკვე დასმულ შეკითხვაზე პასუხიცაა, რადგან ჯაბრაილმა თითქოს წინასწარ იცის, რა მიდევს გულში, თითქოს ჩემივე გულისგულიდან გამომეცხადება ხოლმე, ჩემივე სულის სიღრმიდან.

- არ ვიცი, არ ვიცი... - ჯიუტობს სალმანი. - ან იქნებ სულ სხვა რამ აქვს ჩაფიქრებული? არა არს ღმერთი ღმერთის გარდაო, გავიძახოდით და ახლა რა იქნება, თუკი ჩვენსავე სიტყვებს ჩვენვე უარვყოფთ? სასაცილოდ გავიხდით თავს, მასხარად აგვიგდებენ და ზედაც აღარ შემოგვხედავს არავინ!

მაჰუნდს უკვე დაუფარავად ეცინება, ხალისიანად:

- გატყობ, დიდი ხანია აქეთ არ გამოგიხედია. ვერაფერს ამჩნევ? ისედაც ჩირად არავინ გვაგდებს. ჩემს ქადაგებებზე ორმოცდაათი კაცი თუ იკრიბება და მათი ნახევარიც შემთხვევითი ხალხია ხოლმე. განა არც იმ ბიჭის ფუნაგორიებისთვის მოგიკრავს თვალი, ლამის ყველა კედელზე როა გამოკრული?

კითხულობს, გამოთქმით:

მაცნეო ჩემო, მომაპყარ სმენა: ეგ შენი მონოფილია - სულ ერთი და ერთი, ჯაჰილიაში ვერ არი ღმერთი... შენც ადე და ახლა სხვას ვისმე დაუწყე გვემა.

ახლა უკვე ჰამზა შეფიქრიანდა:

- დაიცა, ადრე რაღაც სულ არ განაღვლებდა მათი აზრი... ახლა რაღა? რაღა მაინცადამაინც სიმბელთან სტუმრობის მერე?

მაჰუნდი თავს ქინდრავს:

- ხანდახან იმასაც ვფიქრობ, ცოტათი მაინც ხომ არ გავუადვილო-მეთქი ხალხს გზა ჭეშმარიტი რწმენისაკენ...

მძიმე სიჩუმე. მოწაფეები ერთმანეთისაკენ აპარებენ თვალს, მხრებში იწურებიან. მაჰუნდი ყვირის:

- არ გახსოვთ განა, როგორ იყო? ხალხის მოქცევა არც არასოდეს შეგვეძლო... ასე იოლად არავინდაუტევებს თავიანთ ღმერთებს!

დგება, მოშორდება მათ, ეულად განიბანება და იჩოქებს, სალოცავად.

- ხალხი ბრმაა, - ძალისძალად ამბობს ბილალი. - მაგრამ დაინახავენ. გაიგონებენ. ერთია ღმერთი.

ოთხივეს დარდის არტახი მოსჭერიათ გულზე, ჰამზასაც კი თავი ჩაუხრია: თავად მაჰუნდს შერყევია რწმენა, და რაღა გასაკვირია თუ მის მიმდევრებსაც სასო წარეკვეთათ.

შუბლს ქვიშას ადებს, დგება. მერე ჭას შემოუვლის, მათ რომ შეუერთდეს.

- ჯერ ყური მიგდეთ, - ამბობს. ცალ ხელს ბილალს ხვევს მხარზე, მეორეს - ბიძამისს. - არც ისე ცუდი შემოთავაზებაა.

ჰალიდი თავისას არ იშლის:

- შემპარავი წინადადებაა, ნამდვილად.

სხვებს სახეები ეღრიცებათ. ჰამზა მშვიდად ეკითხება:

- შენ არ იყავი, სულ ახლახანს მუშტი-კრივის გამართვას რომ მიპირებდი, აქაოდა მაცნე დამიმცირეო? ახლა რაღა? მე გამოგიწვიო იგივე ბრალდებით?

მაჰუნდი ხელებს მაღლა წევს:

- სანამ ასე ვძიძგილაობთ, იმედის მისხალიც არ უნდა გვქონდეს... - მერე ცდილობს, უკვე საღვთისმეტყველო სიბრტყეში გადაიტანოს დავა-კამათი:

- იგულისხმება, რომ ალაჰი ქალ-ღვთაებებს თავისთან კი არ ითანაბრებს, არამედ სცნობს, ვითარცა ერთი საფეხურით ქვე-ვით მდგომთ...

- ეშმაკებივით?! - სახე წამოუჭარხალდა ბილალს.

- არა, - უცბად ჩაავლო საკითხის არსს სალმან სპარსმა. - მთა-ვარანგელოზებივით. მაგარი ტვინია ეს გრანდი, ვერაფერს იტყვი.

- ანგელოზები და ეშმაკები, - ამბობს მაჰუნდი. - შაითანი და ჯაბ-რაილი. რა ხანია გავითავისეთ მათი არსებობა სადღაც შუაში ღმერ-თსა და ადამისშვილს შორის. აბუ სიმბელი იმას ითხოვს, მთელ ამ ჯგროს მხოლოდ კიდევ სამი მივამატოთ. მხოლოდ სამი, გესმით თქვენ? და მთელი ჯაჰილიის მორწმუნეთა სულები ჩვენი იქნებიან!

- და შავი ქვის სახლსაც მოაშორებენ ამ კერპებს? - ჩაეკითხა სალმანი.

მაჰუნდი აღიარებს, ამის თაობაზე სიტყვა არ თქმულაო. სალმანი თავს გადააქნევს:

- შენს გასანადგურებლადაა ეგ ყველაფერი მოგონილი...

ბილალიც მას უბამს მხარს:

- ღმერთი ოთხსახოვანი ვერ იქნება.

ჰალიდი კიდე, ლამის შესტირის:

- და ამას მაცნე აბობს?! ლათი, მანათი, უზა - ეგენი ხომ ყველა ქალია! ვაი ჩვენს თავს უბედურს - ახლა ღმერთქალებიც გვეყოლე-ბა? ვიღაც ბებრუხანა თებჟორიკები?!

ტანჯვა-დაძაბულობა-დაღლილობა ერთად აღბეჭდოდა სახეზე წინასწარმეტყველს. ჰამზა, თითქოს ომის ველზე დაჭრილ ამხანაგ-სო, ისე ხვევს ხელებს:

- ამას ჩვენ ვერ გავართმევთ თავს, დისშვილო, - ეუბნება. - მთაზე ადი, ჯაბრაილს დაეკითხე.

***

ჯაბრაილი: სიზმართმთხრობელი, რომლის ხედვა ხან ფოტოკა-მერის კუთხისეულია, ხანაც - მაყურებლის თვალით დანახული. რო-

ცა აპარატს იმარჯვებს, მუდამ მოძრაობაშია, გაყინულ კადრებს არ სცნობს და ამწეზე ამხედრებული, ზემოდან დაჰყურებს მსახიობებს; ანარადა უჩუმრად უახლოვდება, მათ შორისაა, ნელნელა ტრიალებს თავის მბრუნავსავარძლიანად, რათა სამასსამოცგრადუსიან ხედვას მიაღწიოს; ან იქნებ ახლა ოპერატორის ურიკით უდგას კვალში გარეგნულად მშვიდად მოსაუბრე პოეტსა და აბუ სიმბელს, ან სულაც პაწაწკინტელა ფარული კამერით მიძვრება გრანდის მოსასვენებელ ოთახში... ოღონდ ძირითადად, მაინც მთის წვერზე ზის, ფეხმორთხმით და მთელი ჯაჭილია ერთი ფართო, მოვერცხლისფერო ეკრანია მისთვის. თვალყურს ადევნებს და მისივე კინოგმირების მოქმედებებს აფასებს, ტკბება მათი შეხლა-შემოხლით, ღალატით, ზნეობრივი სიდუხჭირის გამოვლინებებით... ოღონდ ნაღდი ბლოკბასტერისთვის შხვართი ქალებიც აკლია და რიგიანი მუსიკაც! აი თუნდაც, ამ საბაზრო სცენის განვითარება შეიძლებოდა სულ სხვაგვარად... ანდა წიწკვა ბილიმორია მაინც დაგვეთრია და ძუძუებით როკვა შეესრულებინა ცეკვების კარავში...

და ამ დროს, უცებ ჰამზა ეუბნება მაჰუნდს: წადი, ჯაბრაილს დაეკითხეო. ეს ვის, მეე? - უკვირს მეოცნებეს, სიზმართმთხრობელსა და საერთოდ, განრიდებულს - მაგათ რა ჰგონიათ რა, მე მაქვს ყველაფერზე მზა-მზა პასუხი? ვზი აქ ჩემთვის, კინოს ვუყურებ და ეს ვიღაც სახიობი კიდე ჩემზე ათითებს! ვის სად გაუგონია, მაყურებელს მიჰყავდეს ფილმის მსვლელობა თუ სიუჟეტური ქარგა და ისიც - თეომატოგრაფიულ ამბავში?!

ოღონდ გარდასახულ ზმანებებს ეგეთი ხასიათი აქვთ - ფორმასაც იცვლიან ხოლმე და ჯაბრაილიც ახლა უკვე მხოლოდ მაყურებელი აღარაა, კინოგმირია, ამომავალი კინოვარსკვლავი და ერთი ზნეც სჭირს: უამრავ სხვადასხვა სახეს ირგებს - დი-იახ, დი-ახ - არა მხოლოდ მთავარანგელოზისას: იმ საქმიან კაცსაც ენაცვლება, მაცნეს, მაჰუნდს, ახლა აგერ რომ მოფოფხავს აღმარ-

თში. ძაან, ძაან სიფრთხილეა საჭირო, სწორად დაჩეხო-გადააბა კადრები ერთმანეთს ისე, ერთად არსად გამოჩნდნენ: ორივენი ცარიელ სივრცეს უნდა მიმართავდეს, წარმოსახულ თავის მეორე სახეცვლილებას, და მხოლოდღა ამ ახალი ტექნოლოგიის იმედზე იყოს - უკვე მაკრატელსა და წებოს, ანთუ - და რაიც უფრო ზღაპრული ამბავია, დამეთანხმებით - წარმოსახვის ფრთეთა გამოყენებისა. ოღონდაც, ესე ყველაფერი ახლა ჯადოსნურ ნოხში არ აგერიოთ, აჰი!

ისე, რამე რომ იყოსდა, ეს მისი შიში მოკვდავის მიმართ - განა ეს სიგიჟე არაა? მთავარანგელოზი და - მისი რიდით თრთის! ოღონდ ეს გადასაღებ მოედანზე პირველად გამოსვლისას გაჩენილი აღგზნებაა, როცა ელი, აი ახლა შემოაბიჯებს რომელიმე ცოცხალი ლეგენდა და ვაითუ მეც ენა დამებას, მთლად მოვიმჩვარო, ხელ-ფეხი დამებორკოს და თავსლაფი დამესხასო; გამწარებული ცდილობ, ღირსეულად დაიჭირო თავი. მის გენიას ძალუძს საუკეთესოდ წარმოგაჩინოს, მართლა რაღაცად გაქციოს, მაგრამ თუკი თავად ვერ გაქაჩე და ზედმეტ ტვირთად დააწექი... ჯაბრაილის ეს კრთომა საკუთარი თავის მიმართ, საკუთარივე ზმანებებით გამოწვეული, მაჰუნდის გამოჩენის წინააღმდეგია, სურს როგორმე გადაავადოს, ის კი ამოდის, სულ უფრო უახლოვდება, და მთავარანგელოზსაც სუნთქვა ეკვრის.

ეს იმას ჰგავს, როცა სცენაზე გამოგაგდებენ, იქ კი საერთოდ არაა შენი ადგილი, აზრზეც არა ხარ, რა უნდა თქვა, ტექსტისთვის თვალიც კი არ გადაგივლია, მაგრამ სავსე დარბაზი გატრუნულა, შენ შემოგცქერის - აი, ეგეთი გრძნობაა; ანდა ალბათ, იმ თეთრ ქალს რომ ქონდა, ზანგი მონის როლის შემსრულებელს შექსპირის რომელიღაც დადგმაში: სცენაზე გამოვიდა და მერეღა იაზრა - მკლავების დაღებვა დავიწყნოდა და ამიტომ ვეღარც ხელს აწევდა იმ ოხერი სათვალის მოსახსნელად, ცხვირზე რომ დაეკოსებინა... მაჰუნდი მოემართება ჩემსკენ, გაცხადების სათხოვნელად... მონოთეიზმსა და გენოთეისტობას შორის უნდა გავაკეთებინო არჩევანი.

გიჟია ოხერი?! მე ერთი შერეკილი სახიობი ვარ, ღამ-ღამობით რა არ მესიზმრება... ვაი-ავაი, აბა მე რა ვიცი, რა უნდა გითხრა? ვინა ხართ მშველელი...

* * *

ჯაჰილიიდან რომ იმ მთაზე ახვიდე, ჯერ ვიწრო ხეობები გაქ გასავლელი, სადაც ქვიშა მზის სხივების ამრეკლავი ყვითელი და კრიალა კი აღარაა, არამედ - ჩაშავებული და გულისმომწყვლელი, ყოველგვარ ნათელს რომ ახშობს, თავად მთა კი ამ დროს ზემოდან დაგყუდებია, ზღაპრული გოლიათივით. ნელა, ფრთხილად მიღოღავ მის კალთაზე. ჯერ ხეებს მოიტოვებ უკან - თეთრყვავილებიან, ნაჯერფოთლებიან ხეებს, მერე ლოდებს შორის მიიკვლევ გზას, ეს ლოდები კიდე, რაც უფრო მაღლა მიიწევ, სულ უფრო მატულობენ ზომა-წონაში, ბოლოსკენ კი მთლად კედლებად გეღობებიან და მზესაც კი ფარავენ. აქეთ-იქით ხვლიკები მიმორბიან, აჩრდილებივით. ბოლოს მწვერვალსაც უწევ და ჯაჰილიაც უკან გრჩება, წინ კი ბრტყელზე-ბრტყელი უდაბნოა გადაშლილი. ახლა უკვე მალევე აღწევ ქვაბულს - საკმაოდ დიდს, წელგამართულმა რომ შეაბიჯო შიგ. ფეხქვეშ გამაოგნებლად თეთრი ქვიშა-ალბინოსი ხრაშუნობს; ველური მტრედების ღუღუნი გესმის და თითქოს ქვებიც კი ღაღადებენ შენსავე ენაზე: მაჰუნდ, მაჰუნდ. გრძნობ, რომ არაქათი გამოგეცალა. წვები, იძინებ.

* * *

ოღონდ შეისვენებს თუ არა, ახლა სულ სხვა სახის ძილში ინ-თქმება: თავისებურ ძილ-ღვიძილში, რომელსაც ის მოსმენას ეძახის, და გრძნობს, რაღაც უვლის გულ-მუცელში, თითქოსდა რაღაც უნდა დაიბადოს მისი შიგანიდან; და ახლა, ცაში მოლივლი-ვე, ქვემოთ მაცქერალ ჯაბრაილს თავგზა ებნევა: ვინა ვარ მე? ეჩვე-ნება რომ მთავარანგელოზი სინამდვილეში ქადაგის შიგნითაა, მისი გულ-ღვიძლის ტკივილია, მძინარეს ჭიპლარიდან გამოდევნილი ან-გელოსი, და ის, ჯაბრაილ ფარიშტა, პირქვე გართხმულ, მის მსმე-ნელ მეორე „მე“-ს, მაჰუნდს ებმის იმავე ჭიპლარით - მბრწყინავი ნათლის ძაფით, და ამ დროს არცერთს არ ძალუძს თქვას, ვის რო-მელი ეზმანება. ერთმანეთს შევნივთებულვართ და ერთურთში გა-დავ-გადმოვდივართ ამა ჭიპლარისავე მეშვეობით.

დღესდღეობით, მაჰუნდის თავდადების გარდა, ჯაბრაილი მის უსასოობასაც ამჩნევს: ეწვის ჭია ღრღნის, აშკარად. ასევე, რომ შვე-ლა სჭირდება, მაგრამ ჯაბრაილს ჯერაც არ დაუსწავლია თავისი რო-ლი... მაჰუნდი კითხვას აღავლენს: ხალხს ნიშები სასწაულნი განეც-ხადათ, მათ კი არა ირწმუნეს: ხედავდნენ, როგორ მოხვედი ჩემთან, მთელი ქალაქის თვალწინ გადამიხსენი მკერდი, როგორ განბანე გული ჩემი ზამზამის წყალში და მერე უკანვე ჩამიბრუნე სხეულში - კი, მრავალთა იხილეს, მაგრამ მაინც ქვებს სცემენ თაყვანს. ხოლო როცა ღამით მოხვედ ჩემთან, იერუსალიმს გადამაფრინე და წმინდა ქალაქის თავზე ირაოს ვკრავდი, უკან მობრუნებულმა განა სულ წვრილად არ აღვწერე ყველაფერი? იმდენად გამოწვლილვით, იჭ-ვიც არ უნდა გასჩენოდა არავის, მაგრამ ისინი მაინც ალ-ლათთან მიდიან სალოცავად... განა ხელი არ გამოვიღე მათი სვე-ბედის შე-სამსუბუქებლად? აკი როცა ალაჰის ფერხთით დამავანე, უზენაესმაც ხომ ორმოცი ლოცვის ტვირთი განმიწესა მართლმორწმუნეთათვის, მაგრამ უკანა გზაზე მოსე ვიხილე და მითხრა მან: მძიმეა ტვირთი ესე, მიბრუნდი და ეაჯე რომ მათი ოდენობა შეამციროსო. ოთხგზის

მიმაბრუნა, მაგრამ მეხუთეჯერ უარზე დავდექი, რადგან მეტი თხოვნისა შემრცხვა. აი ასე, ორმოცის მაგივრად ის ახლა მხოლოდღა ხუთს ითხოვს, და მაინც ხალხი მანათს ეტრფის, უზას ეთაყვანება. რა გინდა რომ ვქნა? რა ვუთხრა, რა გადავცე?

ჯაბრაილი ხმას არ იღებს, პასუხი არა აქვს. გაფიცებ, მე ნუ მკითხავ. უსამანოა მაჰუნდის სატანჯველი. არადა, ერთადერთ შეკითხვაზე ითხოვს პასუხს: მართლა თუ შეიძლება რომ ანგელოზები იყვნენ ეს ლათი, მანათი, უზა... მართლა თუ ანგელოსური საწყისი აქვთ? დები გყავს, ჯაბრაილ? ღმერთს ქალიშვილები ყავს? თანაც, საკუთარ თავს ამუნათებს: ამპარტავანი ვარ, პატივმოყვარე; განა სისუსტე არაა, ძალმოსილებაზე რომ ვოცნებობ? საკუთარ თავს ვუღალატო - საბჭოში ადგილის დასაკავებლად? და იქნებოდა ეს აწონილი, გათვლილი ნაბიჯი თუ - თვითკმაროობისა და ამაოების გამოხატულება? ისიც კი არ ვიცი, გრანდი მართლა გულმართლად ლაპარაკობდა თუ... და თავად კი უწყის? ალბათ, არა. მე სუსტი ვარ, ის - ძლიერია და ამგვარი შეთანხმება ხელ-ფეხს გაუხსნის ჩემს გასანადგურებლად. მაგრამ მეც რომ დიდი ხეირი მიჩანს? მოქალაქეთა სულები, მთელი სამყაროს სულების მოქცევა - განა ეს სამ ანგელოზად არა ღირს? ნუთუ ამდენად უდრეკი აღმოჩნდება ალაჰი, რომ კიდევ სამად-სამს არ მიირქმევს, კაცობრიობის გადასარჩენად? არ ვიცი, არ ვიცი... ანთუ როგორი უნდა იყოს თავად უფალი: ამაყი თუ - მდაბალი, დიადი თუ - უბრალო, დამთმობი თუ - პირიქით? როგორია არსი მისი? და ჩემი?

* * *

ძილ-ღვიძილში მყოფი ფარიშტა ხშირად აღშფოთებულა იმის გამო, რომ არ ეცხადებოდა იგი, ვისაც პასუხები უნდა სცოდნოდა: არასოდეს ჩნდებოდა ის, ვინაც მუდამ გვერდზე იდგა, როცა მისი მოიმედე ვკვდებოდი, როცა ვუხმობდი... სულ მაგის გამოა და ეგაა ყველაფერი - ალაჰ-იშვარ-უფალი, ღმერთი: მუდამ არ-მყოფი, როცა აღრჩევა სულისა გვჭირს ანთუ სახელითა მისითა ვიტანჯებით.

უზენაესი არსება მუდამ განზე დგას; განმეორებადი მხოლოდ სცენაა: წინასწარმეტყველის გამოსვლა, განდევნა, ნათლის სხივი, და მერე ჯაბრაილი თავის გაორებულ როლში - ზემოდან-ქვემოთ-მაცქერალი, ანთუ ქვემოდან - ზემოთ; ორივენი კი მომხდარის ტრანსცენდენტურობით არიან დაზაფრულნი. ჯაბრაილს წინასწარმეტყველის იქ ყოფნა თრგუნავს, მისი სიდიადე და ისღა გაუელვებს თავში, ხმის ამომღები არა ვარ, ემანდ მთლად ბრიყვად არ გამოვჩნდეო. ჰამზას რჩევა: არავის დაანახო შიში შენი. ამისთანა რჩევა კი მთავარანგელოზებს ისევე სჭირდებათ, როგორც ვთქვათ, მეთულუხჩეებს. ყოველგვარ ვნებათღელვისაგან დაცლილი უნდა ჩანდეს, თორემ რას იფიქრებს წინასწარმეტყველი, თუკი ღვთის მარჯვენა ხელს სცენის შიში შეიპყრობს და რაღაც გაუგებარის ლუღლუღს მოჰყვება?

არადა, ასეც ხდება ხოლმე: გამოცხადება. ვთქვათ, ასე: ჯერ ისევ თავის ძილ-ღვიძილში მყოფი მაჰუნდი ერთიანად იძაგრება, სისხლძარღვები ებერება კისერზე, ოთხად იკაკვება; არა, არაფერი ეპილეფსიის მსგავსი, ამას ასე მარტივად ვერ ახსნი - განა რომელ ბნედიანს ძალუძს დღე ღამედ აქციოს, ღრუბლები ერთად მოაქუჩოს, ჰაერი შეადედოს, ვიდრე შიშისაგან რეტდასხმული ანგელოზი ცაშია გამოკიდული და ეს საცოდავი კიდე ოქროს ძაფით გამოუბია, ფრანივით? ტკივილი, ისევ ეს მწველი ტკივილი, და ახლა საოცრება მისჩემს-ჩვენს შიგანში იწყება, ჯაბრაილიც გრძნობს ამ ძალას, ყელში

აწვება და მაჰუნდის შიგან დაწყებული, ახლა მის სახმო სიმებს ათამაშებს, ხმად გარდაიქცევა.

ოღონდ ეს ჩემი ხმა არაა რადგან ასეთი სიტყვებიც კი არასოდეს ვიცოდი და არც ამისთანა მჭევრმეტყველი ვარ რამე რომ იყოს და არც არასოდეს ვიქნები და ეს ჩემი ხმა არაა, ეს - ხმაა!

მაჰუნდი თვალღიაა, რაღაცას მიშტერებია - აჰა, - ახსენდება ჯაბრაილს - მე მაცქერდება, ცხადია. მხედავს. ჩემი ტუჩები შეირხა, ვიღაც ამოძრავებს მათ. ვინ, რა? არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით. ოღონდ ჩემი ყელიდან კი ამოდიან, ჩემი პირიდან აღმოითქმებიან, ჩემს კბილებს შორის: სიტყვები.

ღმერთის დესპანად ყოფნა იოლი არაა, ცხადია.

თუმცა ის ამ კადრში მაინც ვერ ხვდება.

უფალმა უწყის მხოლოდ, ვისი შიკრიკიც ვყოფილვარ.

***

მაჰუნდს ჯაჰილიაში, ჭასთან ელიან. მუდამ მოუსვენარი მეთულუხჩე ჰალიდი ახლაც ცმუკავს და შიგადაშიგ, ქალაქის კარიბჭესთან გავარდება ხოლმე, დასაზვერად. როგორც ყველა ძველ ჯარისკაცს, ჰამზასაც საკუთარ თავთან დარჩენა ეადვილება, იქვე ჩაცუცქულა მტვერში და კენჭაობს. მოჩქარეობას მაინც აზრი არა აქ - ხდება ხოლმე, მთელი დღეები არ ჩანს, ხანდახან კვირეებიც კი. დღეს ქალაქის ქუჩებში სიცარიელეა: ყველა ბაზრობაზე გაშლილ კარვებში მოკალათებულა, პოეტების შეჯიბრზე დასასწრებად. ჩამოწოლილ სიჩუმეს ახლა მხოლოდ ჰამზას კენჭების კაკუნი არღვევს, და კიდევ - ორიოდ მტრედის ღუღუნი. უცბად, შიშველი ფეხისგულების ტყაპატყუპი მოისმის.

ეს ჰალიდია - აქოშინებული, სახეზე დაბნეულობა აწერია: კი, დაბრუნდა, ოღონდ აქეთ, ზამზამისკენ არ მოემართებაო, - ამბობს. ახლა უკვე ყველანი ფეხზე წამოხტნენ და ვერც გაკვირვებას ფარავენ ჩვეული წესის ამგვარი დარღვევის გამო. პალმის ფოთლებითა და სტილოსებით შეიარაღებულნი, ჰამზას ეკითხე-

ბიან: ნუთუ გზავნილი არაფერი იქნება? მაგრამ აღელვებული, ჯერ ისევ ჩქარ-ჩაქარა მსუნთქავი ჰალიდი თავს აქნევს:

- მგონი, მაინც იქნება. ისე გამოიყურება, როცა რომ სიტყვა გადაეცემა ხოლმე. ოღონდ მე არ დამლაპარაკებია და საერთოდ, აქეთ კი არა, ბაზრის მოედნისკენ მიემართებოდა...

ჰამზა საკუთარ თავზე იღებს უფროსობას, კამათს წყვეტს და წინ მიუძღვება ათიოდე შეგირდს, რომელნიც საეჭვო სახელის მქონე ადგილებს ისე ჩაუვლიან, ღვთისმოსავი ზიზღის გამომეტყველება არ სცილდებათ სახეებზე; ასე ჩანს, მხოლოდ თავად ჰამზას აქვს რაღაც იმედი, კეთილ საქმეს გამორჩეს ბაზრობაზე ამ მათი მსვლელობიდან. ჭრელი აქლემების პატრონთა კარვებთან მაჰუნდს გადააწყდებიან - თვალდახუჭული დგას და მიზნისაკენ მიმავალ გზას იაზრებს. ეჭვიან შეკითხვებს აყრიან, არავის პასუხობს. მერე, მოულოდნელად, პოეტთა კარავში შეაბიჯებს.

* * *

კარვის შიგნით ბრბო ჯერ აგდებულად, შიგადაშიგ დაცინვებითაც კი ხვდება ხელმოცარულ ქადაგსა და მის უდღეურ მიმდევრებს; ოღონდ მაჰუნდი წინ მიაბიჯებს, ისევ ისე თვალდახუჭული, მყარად ადგამს ფეხს და ისე მიადგება სცენას, არცერთხელ არ წაიფორხილებს და არც არავის გაკრავს მხარს. სტვენა-ქირქილი წყდება, ახლა სრული სიჩუმე ისადგურებს გარშემო. მაჰუნდი განათებულ ადგილს მიადგება, ოღონდ თვალებს მაინც არ ახელს. მგოსნები, მკვლელთათვის ქებათა-ქების მთხზველები, პოემების შემქმნელები თუ სატირიკოსები - ის უკვე სახელმოხვეჭილი ჭაბუკიც მათ შორისაა, რაღა თქმა უნდა - ეჭვით უცქერენ მთვარეულივით მოარულ მაჰუნდს - ეღიმებათ, მაგრამ რაღაც გაურკვეველ უხერხულობასაც

გრძნობენ თითქოს. ცნობისმოყვარე ბრბოში შეგირდები წვალებით გაიკვლევენ გზას, ჯიკავ-ჯიკავით. გადამწერებიც ცდილობენ, მასთან ახლოს მოირთხან ფეხი, რათა სიტყვაც არ გამორჩეთ თქმული.

გრანდი აბუ სიმბელი სქელბეწვა ნოხზე დაყრილ ბალიშებზე მისვენებულა, ზედ სცენის პირას. გვერდით მისი მეუღლე ჰინდი გაწვართულა - ბერძნულპროფილიანი, შავთვალწარბა, ბაჯაღლო ოქროს მძიმე გულქანდით ყელზე. აბუ სიმბელი წამოდგება, მაჰუნდს მიმართავს:

- კეთილი იყოს მობრძანება შენი, წინასწარმეტყველო!

მეტისმეტად პატივდებული მიმართვაა და ხალხიც გაიყურსა. ქადაგის შეგირდებს ახლა აქეთ უთმობენ გზას და ისინიც, გაკვირვებულნი, ერთგვარად ნაამებნიც კი, წინა რიგებში იკავებენ ადგილებს. კვლავაც თვალაღუხვნელი, მაჰუნდი ლაპარაკს იწყებს:

- პოეტთა თავყრილობაზე ვაითუ არც არაფერი მესაქმებოდეს - მკაფიოდ წარსთქვა. - მათი ამქრისა არა ვარ... მაგრამ მოციქული ვარ და ლექსიც იმისგან მომაქვს, ვინაც ყველა აქ მყოფს აღემატება.

მაყურებლებს მოთმინების ფიალა ევსებათ: სარწმუნოებრივი საკითხები ტაძარში უნდა გაირკვეს - ბაზრობაზე გაშლილი კარვის ხალხს გართობა სწყურია. ხმა ჩაიწყვიტე! ჭიტლაყი მაგას და გარეთ გაგდება!

აბუ სიმბელი კვლავ აჩერებს ბრბოს:

- თუკი ღმერთი შენი კვლავ გელაპარაკა, - ამბობს ხმამაღლა, მძიმედ. - მაშინ ყველამ უნდა დაგიგდოს ყური.

წამში სიჩუმე ისადგურებს ირგვლივ.

- ვარსკვლავი! - დასძახებს მაჰუნდი, და მწერალ-გადამწერნიც სტილოსებს აწრიპინებენ.

სახელითა ალაჰისა, შემწყნარებლისა და ყოვლადმოწყალისა!

ვფიცავ ვარსკვლავს, ოდეს მქრქალდება იგი: გზას არ ასცდენია ეს თქვენიანი და არც დაკარგულა;

და არ მეტყველებს იგი თავნებობით, არამედ რაც ზეშთააგონა და დაასწავლა ძალამოსილმა;

და იდგა იგი უმაღლეს ცისკიდურზე, მერე კი მოახლოვდა და დაეშვა.

და იყო იგი ისრის ორი ტყორცნის მანძილზე, ან უფრო ახლოსაც, და განუცხადა მონას თვისას, რაც განუცხადა;

და არ უარუყვია გულს იგი, რაიც იხილა: განათუ დავა-კამათს დაიწყებს ვინმე მასზედ, რასაც იგი ხედვის?!

და ეს მეორე გარდამოსვლა იყო მისი უკიდურესი მიჯნის სიახლოვეს, საცა მდებარეობს წალკოტი თავშესაფარი;

და არ უურჩია მზერას ჩემსას, და არც ნებადართულის ზღვარს გადასულა;

და მოვიხილე მე უფლის სასწაულთაგან უდიადესნი...

და აი, ამ ადგილას, ყოველგვარი ეჭვისა თუ ყოყმანის გარეშე, ის ორ შემდეგ აიასაც იტყვის:

გინახავთ განა უზა, ლათი და ის მესამე მათ შორის - მანათი?

პირველივე აიას გაგონებაზე, ჰინდი ფეხზე წამოდგება; ჯაჰილიის გრანდიც წამოიწევა, დაძაგრული. თვალებდახუჭული მაჰუნდი აგრძელებს:

ზეციური ფრინველები არიან ესენი, ალაჰის ასულნი, და შემწეობაც მათი სასურველია.

ვიდრე მთელი ეს გნიასი - მოწონების შეძახილები, ლანძღვა თუ ღმერთქალ ალ-ლათისადმი ერთგულების დასტურები კარავს ავსებს, ისედაც აჭრილი თავყრილობა მთლად გამაოცარი რამის შემსწრე ხდება: გრანდი აბუ სიმბელი ცერა თითებს ყურის ნიჟარებთან მიიდებს, დანარჩენებს მარაოსავით გაფარჩხავს და ხმამაღლა წარ-

თქვამს: „ალაჰუ აკბარ“, რის შემდეგაც მუხლებზე ეცემა და შუბლს მიწას ადებს. ცოლი მისი, ჰინდიც მის მაგალითს მისდევს.

მთელი ეს დრო მეთულუხჩე ჰალიდი კარვის შესასვლელთან იდგა; ახლა კი ხედავს, დაზაფრული, სრულიად საკრებულო - კარავს შიგნით თუ მის გარეთ - ერთმანეთის წამხედურობით მუხლს იყრის, რიგი-რიგზე, და ეს მოძრაობა ბრბოს ტალღებად ედება, ვიდრე საბოლოოდ, ყველა ერთად, დუნდულებით ზეცისაკენ წაჩოქილი არ აღმოჩნდება გარინდული წინასწარმეტყველის წინაშე, ვინაც ეს-ესაა ქალაქის მფარველი ღვთაებები სცნო. თავად მაცნე წელგამართული დგას, თითქოსდა არ სურს დანარჩენ მორწმუნეთ შეუერთდესო. ტირილი წასკდებაგულაზიზ მეთულუხჩეს, ქვიშის ქალაქის დაცარიელებული ცენტრისკენ გარბის, ყოველი მისი ცრემლი კი თითო ხვრელს წვავს მიწაში, თითქოსდა რაღაც ზენაჯერი მჟავისა იყოს.

მაჰუნდი არც გატოკებულა. სისველის კვალსაც კი ვერ შეატყობთ მისი ქუთუთოებდაშვებული თვალების წამწამებს.

***

მაცნეს ამ ყოვლადმომსპობი გამარჯვების მერე ურწმუნოთა კარავში რამდენიმე მკვლელობა მოხდა, რომელთა გამოც ჯაჰილიის პირველი ლედი წლების მერე, საშინლად იძიებს შურს...

წინასწარმეტყველის ბიძა, ჰამზა კი მარტოკა ბრუნდება სახლში, თავდახრილი, თმაშევერცხლილი, და უცებ ღრიალი ესმის - უზარაზარი მეწამული ლომი ზამბარასავით შემართულა ქალაქის დაკბილული კედლიდან გადმოსახტომად! იცნობს, როგორ არა - ეს უბრალო უდაბნოს ლომი კი არა, ანდრეზია: მისი ტყავის სისხლისფრად მოლაპლაპე ბეწვი უდაბნოს მოციმციმე ქვიშის ნათებას ერწყმის; ნესტოები მისი იავარქმნილი მიწის ზაფრას აფრქვევს, შავი ჭირი გადმოსდის პირთაგან და ოდეს ჯართა წყობა უდაბნოს სიღრმეში შედის, უკვალოდ შთანთქავს მას. მწუხრის

ჟამის ბოლო, მოლურჯო ნათელში ხაფი ხმით უყვირის მხეცს - უიარაღო, უკვე მზადაა სიკვდილს შეხვდეს:

- გადმოხტი, შე ნაბიჭვარო! გიცანი, განა არა - მანტიკორი ხარ! თავის დროზე არაერთი შენისთანა დიდი კატა მიმიღრჩვია საკუთარი ხელით...

როცა უფრო ახალგაზრდა ვიყავი. ბევრად უფრო ახალგაზრდა.

მის უკან სიცილი გაისმის და ეს ხმა თითქოს კედელს მიჰყვება, ექოდ. მოიხედავს - მანტიკორი აღარსადა ჩანს; ახლა გარშემო უცნაურად ჩაცმულ-დახურული ჯაჰილიელები შემოხვევიან, ქილიკობენ:

- რაც ამ მისტიკოსებმა ჩვენი ლათი მიირქვეს, ყველგან სულ ახალ-ახალი ღმერთები ელანდებათ ეტყობა!

ჰამზა ხვდება, ეს ღამე შიშითა და ზაფრით იქნება სავსე, სახლში ბრუნდება და თავის ხმალს ითხოვს.

- ჩემი მტრების სიმართლის აღიარებაზე უფრო არც არაფერი მაცოფებს ამქვეყნად! - უღრენს თავის ქაღალდივით ბრტყელბეჭება საჭურველთმტვირთველს, ორმოცდაოთხი წელი ერთგულად რომ ემსახურა ომიანობისა თუ მშვიდობის ჟამს. - ვერ ვიტან იმის თქმას, მართლები არიან-მეთქი... ხომ ვამტკიცებდი, ამოვჟუჟოთ ყველა და მოვისვენებთ-მეთქი - დაგიჯერა ვინმემ? - ხმალი მას შემდეგ არ ამოღებულა ტყავის ქარქაშიდან, რაც დისშვილის რწმენას ეზიარა, ოღონდ ამ საღამოს მსახურს გაუმხილა: „ლომმა აიშვა, მშვიდობა მოიცდის."

ეს იბრაჰიმობის სადღესასწაულო ბოლო ღამეა. მთელი ჯაჰილია დროსტარების სიგიჟეშია გადაწყვეტილი. ჩაკურატებულმა, ზეთნაცხებმა მოჭიდავეებმა თავიანთი გამოსვლები მოათავეს, შვიდი ლექსიც შავი ქვის სახლის კედელზეა უკვე მილურსმული. ახლა მომღერალი მეძავები ცვლიან პოეტებს, და ასევე ზეთცხებული მოცეკვავე მეძავებიც იწყებენ როკვას; ფეხბუმბულა და კალთამადლიან ქალებს ნისკარტწვეტიანი ნიღბები ჩამოუცვიათ თავზე და ცეკვა-თა-

მაშს კლიენტების ფულის ჩხრიალის ხმას აყოლებენ. ოქრო, ოქროს ბრჭყვიალია ყველგან: ჯაჰილიელ გადამყიდველთა თუ ჩამოსულ სტუმართა ხელებში, ქვიშის გავარვარებულ ღუმელებში, ღამისეული ქალაქის ათინათმოდებულ კედლებზე. დაღრეჯილსახიანი ჰამზა გზას მიიკვლევს ყოველ ფეხის ნაბიჯზე, უგონოდ გაშხლართული პილიგრიმების სხეულებს შორის, საცა ჯიბის ქურდები და ათასი ჯურის ჯიბგირები სარჩოს მოპოვებით არიან დაკავებულნი. ყოველი ოქროცურვილი კარის მიღმა მემთვრალეების ღრიანცელი ესმის, როხროხი და ფულთაცვენის რაკარუკი, და ეს ყველაფერი მომაკვდინებელ შეურაცხყოფასავით უკოდავს გულს. ოღონდ ვისაც ეძებს, მას ვერ პოულობს - ის აქ არაა და ამიტომაც განერიდება აქაურობას, ლანდების დევნას იწყებს, ლომის აჩრდილის ძებნაშია.

საბოლოოდ, პოულობს კიდეც - მრავალი საათის ძიების მერე, სწორედ იმას, ვის პოვნასაც ვარაუდობდა ქალაქის ზღუდის ერთ მიჩუმათებულ ადგილას: მის ავ ზმანებათა საგანს, წითელ, სამრიგკბილებიან მანტიკორს, ცისფერთვალებასა და მამაკაცისსახიანს, ხოლო ხმა მისი - ვითარცა ნახევრად საყვირი და ნახევრად - სალამური; ქარივით მარდია და კლანჭები ხანჯლებს მიუგავს, ხოლო კუდი მისი მოწამლულ ისრებს მიმოაბნევს... ადამიანის ხორცი კი ყველაფერს ურჩევნია საკვებად. ჯახი გარდაუვალია - ნატყორცნი დანისპირები სისინებენ ბნელში, და შიგადაშიგ ლითონის ლითონზე მძიმე დარტყმების ჟღარუნიც ისმის. ჰამზა დამხდურებს სცნობს: ჰალიდი, სალმანი, ბილალი. ახლა თავად ემსგავსება ლომს, ხმალს ამოაგებს ქარქაშიდან და ღრიალით გარბის იქით - იმდენად სწრაფად, რამდენადაც ეს მისი სამოცწლიანი ფეხები რთავენ ნებას. მომხდურთა ცნობა შეუძლებელია, რადგან უკლებლივ ყველას ნიღბები უფარებიათ სახეზე.

რა გაეწყობა - ეს ნიღბების ღამეა. ბალღამით სავსე გულით მიმოდიოდა ჰამზა ჯაჰილიის შუკა-ქუჩებში და ხედავდა არწივის, აფთრის, ცხენის, გრიფონის, სალამანდრასა თუ სხვა და სხვა ჩიტ-ცხოველებად გადაცმულ კაცსა თუ ქალს; ჩაბნელებულ კუთხე-კუნჭულებიდან ჩნდებოდნენ ორთავა ამფისბენები და ასირიულ სფინქსებად წოდებული ფრთოსანი ხარები; ჯინებს, ჰურიებს, დემონებს გაეძეძგათ ქალაქი ამ ფანტასმაგორიული, ვნებით სავსე ღამით და ბოლოსდაბოლოს, როგორც იქნა ისინიც დალანდა, ვისაც ეძებდა: ლომკაცების წითელი ნიღბები. ჰამზა საკუთარი ბედისწერის შესახვედრად გაქანდა.

* * *

ღვინოს უჩვევი, თვითგამანადგურებელი ბოღმა-უხასიათობით შეპყრობილი სამი შეგირდი ისე გამოთვრა, ამას გატყვრომა უფრო ეთქმოდა. მერე ქუჩის კუთხეში მიდგნენ და გამვლელ-გამომვლელს ეღლაბუცებოდნენ. ცოტა ხნის მერე კი ჰალიდი წყლით სავსე ტიკჭორის ქნევას მოჰყვა - მთელს ქალაქს დავაქცევ თუ მინდა, ზე-იარაღი მიჭირავს ხელშიო; მხოლოდ წყალს ძალუძს ჯაჰილიის გადარეცხვა ჭუჭყისაგან, რათა განწმენდილი თეთრი ქვიშიდან ახალი აღმოცენდესო! სწორედ მაშინ დაედევნენ ლომკაცები, კუთხეში მიჩიხეს. შიშისა და სირბილის წყალობით ახლა მთლად გამოფხიზლებულები, წითელ სიკვდილს ჩასცქეროდნენ ნიღბებში გამოჭრილ სახედველში და მაშინ იყო სწორედ, ჰამზაც რომ გამოჩნდა.

...ჯაბრაილი ქალაქის თავზე კრავს ირაოს, ამ ხელჩართულ ბრძოლას ადევნებს თვალს. ოღონდ შეხლა მალევე მთავრდება, როგორც კი ჰამზა ხელს გამოიღებს. ორი მომხდური უკანმოუხედავად გარბის, ორიც ძირს გდია მკვდარი. ბილალი, ჰალიდი და სალ-

მანი მსუბუქად დაიჭრნენ, ოღონდ ჭრილობებზე უფრო მძიმე ახლა ლომის ნიღბების ქვეშ ამოკითხული ამბებია:

- ჰინდის ძმები, - ცნობს ჰამზა. - და ჩვენს ნაღვაწსაც ბოლო ეღება...

მანტიკორთა მომსწყვედნი და მაჰუნდის მიმდევარი ტიკჭორიანი ტერორისტები ქალაქის კედლის ჩრდილში სხდებიან და მწარედ მოთქვამენ.

* * *

ჩვენს წინასწარმეტყველ-მაცნე-საქმოსანს რაც შეეხება, მისი სამზირალნი ახლა ღიაა: სახლის - მისი ცოლის სახლის - მომცრო შიდა ეზოში დააბიჯებს და მასთან შესვლაზე ფეხს ითრევს. ქალი უკვე სამოცდაათსაა მიღწეული და უფრო ისე ექცევა, როგორც დედას და არა - როგორც მეუღლეს. მდიდარია და დიდი ხნის წინათ დაუდგა სამსახურში, ქარავნების ზედამხედველად. სწორედაც მისი ეს მართვის უნარი იყო, რამაც იმთავითვე მიიპყრო ქალის ყურადღება, მერე კი შეუყვარდათ კიდეც ერთმანეთი. ისე, საძნელო ამბავია ჩენილი, წარმატებული ქალი იყო იმ ქალაქში, სადაც მდედრობითი სქესის ღვთაებებს კი სცემენ თაყვანს, ოღონდ ნებისმიერ ქალს მაინც თავისი ფასი ადევს - საქონელივით. მამაკაცები ან უფრთხოდნენ, ან თვლიდნენ რომ არავითარი მათი თანალმობა მას არ სჭირდება. აი, ეს კი სულაც არ უფრთხოდა და სწორედ იმგვარ საყრდენის გრძნობას უჩენდა, ქალს რომ მუდამ სჭირდება ვიღაცისაგან; მან კიდე, ობლად გაზრდილმა, ამ ერთში ჰპოვა ბევრი სხვა ქალის ხატება: დედა-დასაყვარელი-სიბილა-მეგობარი. იმ ზღვრამდე როცა მივიდა, ჭკუას ხომ არ გადავედიო, ქალმა უყოყმანოდ ირწმუნა მისი ხილვე-

ბის: „ჯაბრაილია, მთავარანგელოზი," - უთხრა. - „რის მოჩვენება-გადაჩვენება! შენ კი ღვთის მაცნე ხარ, მისი მოციქული."

ოღონდ ახლა მისი ნახვის სურვილიც არა აქვს - ქალი ფანჯრებზე აკრული ქვის ცხაურის მიღმიდან უთვალთვალებს, ის კი ადგილზე ვერ ჩერდება, თითქოს წრეზე დადის, მაგრამ სინამდვილეში, აზრმიუტანლად გამოყავს ელიფსები, რომბები, წრფეები... ამასობაში ქალს ახსენდება, როგორ უბრუნდებოდა კაცი აქლემების ქარავნებთან ერთად, მერე კი გზისპირა ოაზისებში გაგონილს უყვებოდა: უდაბნოში, პალმის ხის ქვეშ, უკაცოდ მუცლადღებული ბიბი მარიამისაგან შობილი მოციქული ისსას ამბავს. თვალები უბრწყინავდა მაშინ, ახლა კი ეს მონაყოლი თითქოს იმავე უდაბნოს სივრცეში ნავლდება. მის აღგზნებასაც იხსენებს: მის წადილს, თუნდაც მთელი ღამე ეკამათა იმაზე, რამდენად უკეთესი იყო ის ძველი, მომთაბარე ცხოვრება დღევანდელზე, როცა ოქროცურვილი ქალაქის მოსახლეობა საკუთარ ჩვილთ უდაბნოში ყრის... ძველ დროში უპოვარ ობლებსაც კი არ დატოვებდნენ მიუსაფრად. „ღმერთი უდაბნოსა შინა სახლობს," - იტყოდა ხოლმე. - „და არა ამ უკეთურ ადგილას". რაზეც ქალი მუდამ ასე პასუხობდა: არავინ დავობს, სულო - ოღონდ ახლა უკვე გვიანია, ხვალ უთენია კი ანგარიშები უნდა გავასწოროთო.

ქალს სმენაც გამახვილებული აქვს და მოსმენის უნარიც; გაუგონია, რაც ლათსა, მანათსა და უზას თაობაზე უთქვამს. და რა მერე? თუკი ადრე ჯაჰილიის პაწია ასულების დაცვას ცდილობდა, ახლა რაღა უშლის ხელს, ალაჰის ასულებიც შეიფაროს? ოღონდ როგორც კი ამ კითხვას სვამს, იქვე თავს გადააქნევს და გრილ კედელს ეყრდნობა იმავე ცხაურიან ფანჯარასთან, მაშინ როცა მისი ქმარი ახლა პარალელოგრამებს, სამკუთხედებს, ექვსქიმიან ვარსკვლავებსა თუ სულაც გაუგებარ, აბსტრაქტულ ნახაზებს თხზავს ეზოში - თითქოსდა სწორი ხაზის არც გავლება ძალუძს და არც უკვე გავლებულის პოვნაო.

რამდენიმე ხნის მერე ქალი ისევ გაიხედავს ეზოში, ოღონდ კაცი იქ უკვე აღარაა.

***

მოციქული ახლა აბრეშუმისშალითებიან ქვეშაგებში იღვიძებს, თავი უსკდება და აზრზეც არაა, სად მოხვდა, ვის ოთახში. მზე უკვე შუბისტარს, თავისი მძვინვარების უმაღლეს წერტილს უწევს და ფანჯრის სითეთრეში, კუნკულიან შავ მოსასხამში გამოწყობილი, დაბალ, ძლიერ ხმაზე მომღერალი ვიღაცის სხეული ილანდება. სწორედ ის სიმღერაა, რომლითაც ჯაჰილიელი ქალები, დაფდაფების თანხლებით, მამაკაცებს აცილებენ ომში.

იბრძოლეთ - დაგელოდებით,
დაგელოდებით ვიდრე,
გამარჯვებულის გვირგვინს არ დავწნავთ
გვირგვინს არ დაგიწნავთ, ვიდრე!
ოღონდ თუ უკან დაიხევთ
და მტერს ზურგს აქცევთ შიშით,
აღარც აქ ვინმე დაგვხვდებათ -
ლაჩარ-მშიშრების რიდით.

ჰინდის ხმა ეცნო, წამოიწევა და რას ხედავს - მთლად დედიშობილა წევს ქათქათა გადასაფარებლის ქვეშ. ქალს გასძახებს:

- რა, თავს დამესხნენ?

ის კიდე იმ რაღაც თავისი შვლისნუკრისებრი ღიმილით უბრუნებს კითხვას:

- თავს დაგესხნენო? - მერე ტაშს შემოკრავს, საუზმის შემოტანის ნიშანს იძლევა.

საჭურისები შემოდიან, შემოაქვთ, მოართმევენ, გააქვთ, ქრებიან. მაჰუნდს ოქროსფრად მოსირმულ შავ ხალათს მოაცმევენ ბეჭებზე, ჰინდი ნაძალადევად არიდებს თვალს.

- თავი მისკდება, - ამბობს ისევ. - ჩამარტყეს რამე?

ის კიდე ფანჯარასთან დგას, თავჩაღუნული, მორცხვი ქალიშვილის ხატს ირგებს.

- მაცნე, მაცნე... ნამეტანი არათავაზიანი მოციქული ხარ, ღმერთმანი. აბა საკუთარი ნებით შემოიჭრებოდი ჩემს საძინებელში? არა, რაღა თქმა უნდა - შენ მხოლოდ ზიზღით თუ მიყურებ ხოლმე - აგრე არაა?

არა, მისთვის ასეთ თამაშში აყოლა არ ეგების.

- ტყვე ვარ? - ეკითხება და პასუხად ისევ დაცინვა მოისმის ქალის ხმაში:

- ნუ სულელობ ერთი! - მერე მოლბება, მხრებს იჩეჩავს. - გუშინ ქალაქის ქუჩებში დავიარებოდი ნიღბით, თვალსასეიროდ და რას წამოვკარი ფეხი, თუ იცი? შიშველ მიწაზე გართხმულ შენს სხეულს, მაჰუნდ! კარგი მემთვრალესავით ეგდე, თავს გეფიცები! მსახურები გავაგზავნე საკაცის მოსატანად და აქ მოგაბრძანეთ. მადლობას არა ხარ?

- მადლობელი. - ჩაიბურტყუნა, უხალისოდ.

- არა მგონია ვინმეს ეცნე, - განაგრძობდა ქალი. - ადგილზევე ჩაგაძაღლებდნენ. ხვდები ალბათ, რაც ხდებოდა გუშინ - ისეთი ამბავი იყო, მტრისას! ზედმეტი მოუვიდათ. ჩემი საკუთარი ძმებიც კი არ დაბრუნებულან ჯერ.

ახლაღა დაუწყო მოგონებებმა დაბრუნება - ეს რაღაც ველური, მტანჯველი გასეირნება ყოვლად გარყვნილ ქალაქში, იმ სულიერთა ნახვა, ვის სულთა გადარჩენასაც ასე ესწრაფვოდა, და კიდევ - სიმურგების, ეშმაკების, ბეჰემოთებისა და ჰიპოგრიფების ნიღაბთა ორომტრიალი. იმ გრძელი, მძიმე დღისაგან მოწეული დაღლილობა, როცა ის მთიდან ჩამოვიდა, ქალაქში, მერე პოეტ-მთხზველთა კარავში თავსგადახდენილი ამბები, მოწაფეთა ბრაზი, გულსშეპარული ეჭვი - ყველაფერმა ამან ხელი მოუთავა, ეტყობა.

- გული წამივიდა, - თქვა. ქალი მასთან მიდის, ლოგინზე ჩამოუჯდება, ხალათის ქვეშ შეუცურებს თითებს და მკერდზე ეალერსება.

- გული წასვლია საბრალოს. - კრუტუნებს. - ეს სისუსტეა, მაჰუნდ. ძალა გეცლება?

მოალერსე თითს მანამ ადებს ტუჩებზე, ვიდრე ხმის ამოღებას მოასწრებდეს.

- ნურაფერს იტყვი, მაჰუნდ. მე გრანდის ცოლი ვარ და არცერთი ჩვენთაგანი მეგობრობას არ გაგიწევს. ოღონდ ქმარი ჩემი ძარღვებში მოისუსტებს. ჯაჰილიაში დიდი ცბიერი ვინმეს სახელი აქ დაგდებული, მაგრამ მე უკეთ ვიცნობ. აი, ხომ იცის რომ საყვარლები მყავს, მაგრამ ყურსაც არ იბერტყავს, რადგან სალოცავები ჩემი გვარის ხელშია - ლათის, უზისა და მანათის. ეს მეჩეთები - შემიძლია უკვე ასე ვუწოდო? - ამ შენი ახლადმოვლენილი ანგელოსებისაა.

ნესვის თხელ ნაჭრებს სთავაზობს, ცდილობს საკუთარი ხელით აჭამოს, მაგრამ ის არ ანებებს, თავად დასწვდება ერთ ცალს, გაღეჭავს. ქალი აგრძელებს:

- ჩემი ბოლო შეყვარებული ის პოეტი ბიჭი იყო, ბაალს ეძახიან. - ამჩნევს, კაცს სახე ექუფრება. - კი, გავიგე რომ შენც გადაგწვდა თურმე. ოღონდ ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს: ვერც ეგ ბიჭი და ვერც აბუ სიმბელი ვერ დაგიდგებიან გვერდში, შენამდე ბევრი უკლიათ. მარტო მე.

- უნდა წავიდე, - თქვა.

- და ძალიან მალეც, - თქვა ქალმა და ფანჯარასთან მივიდა.

მთელ ქალაქში კარვებისა თუ ტალავარების აშლა მიდის, აქლემებისა და საზიდრების გრძელი წყება უდაბნოში გასასვლელად ემზადება, დღესასწაული დამთავრდა. ქალი ისევ მას მოუტრიალდა:

- მარტო მე, - გაიმეორა ისევ. - ოღონდ თან - შენი სრული საპირწონეც მე ვარ. არ მსურს, ასე დასუსტებული კიდევ გიხილო. არ უნდა მოქცეულიყავი ასე.

- შენსას მაინც ხომ მიიღებ, - მწარედ პასუხობს მაჰუნდი. - სალოცავებიდან აკრეფილ შემოსავალს ახლა აღარაფერი ემუქრება.

- მთავარი მაინც გავიწყდება, - ეუბნება შემპარავად; უახლოვდება, სახე მის სახესთან მიაქვს. - როგორც შენ ალაჰისათვის, ისე მე - ალ-ლათისათვის. იმას კი არ სწამს შენი ღმერთის აღიარების. მათი წინააღდგომა სრულია და შეურიგებელი. ამ ომში ზავი ვერ დაიდება. შენი ღმერთი ცუდმედიდია და მოშურნე! ალ-ლათს არავითარი სურვილი არ გააჩნია, ახლა ალაჰის ქალიშვილად იქცეს. ის ისეთივე სწორფერია მისი, როგორაც მე - შენი. აბა ერთი, ბაალსაც დაეკითხე - ის მას უკეთ იცნობს. ისევე როგორც მე.

- მაშ, გრანდი თავის სიტყვას უკან წაიღებს?

- ვინ უწყის?- ჩაეცინება ჰინდს. - ის თავისთავსაც კი არ იცნობს კარგად. ჯერ ხომ უნდა აწონ-დაწონოს ყოველივე. ძარღვებში მოისუსტებს-მეთქი, ხომ გითხარი. ეჭვიც არ შეგეპაროს, სიმართლეს ვამბობ. ალაჰსა და იმ სამს შორის მშვიდობა არ არსებობს. და არც მე მსურს ეგ. მე ომი მინდა, სრულ განადგურებამდე. ეგაა ჩემი არსი... და შენი?

- ოღონდ შენ ქვიშა ხარ, მე კიდე - წყალი... - ეუბნება მოციქული. - წყალი ქვიშას გადარეცხავს.

- მაგრამ უდაბნო წყალს ისრუტავს, არ დაგავიწყდეს. - პასუხობს ჰინდი. - აბა ერთი, ირგვლივ მიმოიხედე!

მისი წასვლიდან დიდი დრო არ იყო გასული, დაჭრილი კაცები რომ ეახლენ ჰინდს და მთელი თავიანთი გამბედაობის მოკრების მერე მოახსენეს, ბებერმა ჰამზამ შენი ძმები დახოცაო. ოღონდ იმ დროისთვის მაცნე უკვე შორს იყო და პირდაპირ მთის წვერისაკენ მიემართებოდა.

* * *

როცა ჯაბრაილი ასეთი ქანცგაცლილია, მზადაა დედამისს გამოჭრას ყელი ამისთანა სულელური თიკუნის მოგონებისთვის - ანგელოზი! დიდება შენდა ღმერთო, ეს რა უბედურებაა და ემუდარება - რაო? ვის? - ამ სიზმრად ნანახ, ქვიშის სასახლეებისაგან ნაგებ ქალაქისა და სამწკრივკბილებიანი ლომებისაგან იხსნას. არ ეყო, რაც ვიღაც-ვიღაც მახარებლებს გულები ურეცხა და მცნებები უკითხა და სამოთხის ვაშლებს პირდებოდა? გვეყო გამოცხადებები, გარდამოსვლები - ფინიტო, ქჰათამ-შუდ! ერთადერთი, რაც ახლა ენატრება: მრუმე, უსიზმრო ძილი. ეს მართლა დედაიმასქნებული სიზმრები, ეგაა ადამის მოდგმის წყევლა, კინოსი არ იყოს, და მე რომ ღმერთად მაქცია, ამ ხალხს საერთოდ გავუქრობდი წარმოსახვის უნარს და იქნებ მაშინ მაინც მოესვენათ ჩემისთანა უბედურებს და ღამ-ღამობითაც ერთი გემრიელად გამოეძინათ...

ძილ-ღვიძილს ებრძოდა და თვალებს ღიას იტოვებდა, დაუხამხამებლად, ვიდრე ბადურას მთლად მეწამული არ ეკვრებოდა და თუნდაც მიწიერ, მაგრამ მაინც სიბრმავეს არ ანიჭებდა; ბოლო-ბოლო ბაჭიის სოროში ხვდება და ისევ საოცრებათა ქვეყანაში ამოყოფს თავს, მთისწვერზე, და ისიც იღვიძებს, და ისევ მისივე სურვილები და მოთხოვნები იჩენენ თავს - ახლა უკვე ენითა და სიტყვებით გამოხატული კი არა, მთლიანად ჩემსავე ტანში ჩნდებიან: შიგ მითრევენ, მათი მიზიდულობის ველი შეუწონავია, წყეული მეგავარსკვლავივით დაუძლეველი... მერე კი ჯაბრაილი და მოციქული ეჭიდებიან ერთმანეთს, შიშველნი, გასაოცრად სპეტაკი ქვიშით მოფენილ ქვაბულში, ჰაერში რომ ეკიდება და ზემოდან ეფინებათ ჩარდახივით. თითქოსდა მეძებდეს, მსწავლობდეს, თითქოსდა აქეთ გავდიოდე გამოცდას.

წვერიდან ასიოდე ფუტით ქვევით, ქვაბულში, მაჰუნდი მთავარანგელოზს ეჭიდება, აქეთ-იქით ახეთქებს და უნდა გითხრათ,

ყველგან აღწევს - კბილებით ყურში მაფრინდება, მუშტს კაკლებში მცემს და აროდეს ყოფილა ასეთი გავეშებული, სურს იცოდეს, იცოდეს, იცოდეს - მე კი არაფერი მაქვს მისთვის სათქმელი, ფიზიკურადაც ორჯერ ჩემზე გამძლეა და სულ მცირე, ოთხჯერ უფრო სწავლასმოწყურებული, ან იქნებ სულაც ორივემ თავად ვისწავლეთ იმიტომ რომ ბევრს ვისმენდით თუმცა ის კიდევ ჩემზე უფრო უამესი მომსმენია; და აი ვგორავთ ქვიშაზე, წიხლებს ვისვრით და ვკბენთ და ვფხაჭნით კიდეც ერთურთს ოღონდ კანი ჩემი ახალშობილის დუნდულებივით თოთო რჩება რაღა თქმა უნდა - ვინ დაკაწროს ანგელოსი და/ან ქვით გაუჩეჩქვოს თავი?! მაყურებლებიც ჰყავთ, რაღა თქმა უნდა - ჯინები გინდა თუ იფრიტები, ათასნაირი აჩრდილები ჩამომსხდარან ქარაფებზე და მორკინალებს გაფაციცებულნი ადევნებენ თვალს; ცაში კიდე სამი ფრთოსანი არსება - რაღაც ყარყატებისა თუ გედების ან სულაც ქალების მსგავსნი - სინათლის ათინათს გაანჩნია... მაჰუნდმა ხელები დაუშვა. ნებდება.

საათები თუ იქნებ მთელი კვირეებიც კი გრძელდებოდა ეს შეხლა, და ახლა მაჰუნდი ბეჭებზეა გაკრული, ასეც სურდა - ეს მისი ნება მაძლევდა ძალას დამეთრგუნა მოკვდავი, რაკიღა მთავარანგელოზები არავითარ შემთხვევაში არ უნდა მარცხდებოდნენ ამგვარ ორთაბრძოლებში, ეს უკვე არასწორი იქნებოდა, მხოლოდ ავსულთ ემართებათ ეს, და როცა ზემოდან მოვექეცი, სიხარულისაგან ატირდა, მერე კი ის ძველი ხრიკი გაიხსენა და მაიძულა ბაგენი განმეხვნა, ხმა ამომეღო და ეს ხმა ჩემი ნარწყევივით გადმოეღვარა, სრულად.

* * *

მთავარანგელოზ ჯაბრაილთან მისი ამ გაჭიდების ბოლოს მოციქულმა მაჰუნდმა ჩვეულ, გამთანგავ, გამოცხადებათაშემდგომ

ძილს მისცა თავი, ოღონდ ამჯერად ბევრად უფრო სწრაფად ეგებ-ბა გონს. გარშემო ახლა არავინ ჩანს, არც რამ საეჭვო არსებები სხედან ქვებზე და არც ის ფრთოსნები დაფარფატებენ ცაში, და ისიც წამოხტება, ახალი ამბავი აქვს ყველასათვის სამცნობი:

- ეშმა იქნებოდა, ნამდვილად! - გაიძახის სიცარიელეში, და ამ განსიტყვებით უკვე ჭეშმარიტების ძალას სძენს ნათქვამს. - თა-ვად შაითანი თუ გამომეცხადა წინა ჯერზე!

აი რა ესმა მას საკუთარი დაყურადებით: გააცურეს, ეშმა გა-მოეცხადა მთავარანგელოზის სახით, და ამიტომაც ის აიები, რომლებიც მაშინ ჩაიბეჭდა გონებაში -აი ისინი, პოეტთა და მთხზველთა ტალავარში რომ აღმოთქვა - ჭეშმარიტი კი არა, სწორედაც რომ მისი საპირისპირო გახლდათ: ეშმაკეული, და არა - ღვთაებრივი... სასწრაფოდ ბრუნდება ქალაქში, იმ წამბილ-წავი აიების აღმოსაფხვრელად, ნაღვერდლისა და წუმწუმას ოხ-შივარით რომ ყარდა; ყველა ჩანაწერიდან მათ აღმოსაფხეკად, ან იქნებ სულ რაღაც ორიოდ, ნდობადაუმსახურებელ კრებულ-სღა შემორჩენილიყო, რომელთა მოთარგმანებასაც კი აღარა-ვინ მოკიდებდა ხელს! ოღონდაც მის ფარულად თავსდამტრია-ლე ჯაბრაილს ერთი პაწია ამბავი აქვს მიჩუმათებული - ეს მე ვი-ყავი ორივეჯერ, ბაბა: პირველადაც და ბოლო ჯერზეც... პირითა-გან ჩემისა გადმოდიოდა სიტყვაცა და მისი უარყოფაც, თქმაცა და თქმით დაშავებაც, ღვთაებრიობაცა და ეშმაკეულობაც, ხო-ლო როგორ და რანაირად ამოდიოდა ხმა ჩემი, ესეც ყველამ კარგად ვიცით.

- ჯერეთ ეშმა იყო, - ბურტყუნებს ჯაჰილიისაკენ მოჩქარე მა-ჰუნდი, - ამჯერად კი ეს ანგელოსია, წყალი არ გაუვა: ბეჭებით გა-მაკრა ქვიშას!

***

მოწაფეები უკვე მთის ძირში, ხეობაში ხვდებიან და აფრთხი-ლებენ - ქ-ნ ჰინდის მძვინვარებას ზღვარი არ უჩანს, სპეტაკი სამ-

გლოვიარო სამოსი შემოუცვამს, ყორნისფერი თმა ისე გაუშლია, ხან ქარში აფრასავით ფრიალებს და ხანაც მტვერში დანატოვარ მის ფეხისკვალს შლის - მოკლედ, მთლად შურისგების ავსულის განსახირებააო. ჩვენ ყველანი ქალაქს გამოვერიდეთ - ჰამზაც კი აქაა, მთლად ხასიათწამხდარი, ოღონდ ხმები დადის, აბუ სიმბელი ჯერაც არ აყოლია ცოლს და უარს ეუბნება სისხლი სისხლის წილ მოითხოვოსო... ეტყობა, ჯერაც მაჰუნდსა და ღმერთქალებს შორის წონის ფსონებსო. მის მიმდევართა რჩევების მიუხედავად, მაჰუნდი ჯაჰილიაში ბრუნდება და პირდაპირ შავი ქვის სახლს მიადგება. მოწაფეებიც კვალში ჩასდგომიან, ყველაფრის მიუხედავად. მალე ბრბოც შეიკრიბა - ყალილის ანთუ ჩეხვის ან კიდევ რაიმე ეგეთი თვალსასეიროს სანახავად. მაჰუნდიც არ გააწბილებს, ცხადია.

ახლა იმ სამის ქანდაკებთან დგას და აცხადებს - ეშმას მიერ ნაჩურჩულები აიები ყველა გასაუქმებელია და ამიერიდან, მათ ჭეშმარიტი გაცხადებიდან, ალ-ყურანიდან ამოღებულად მივიჩნევთო. მათ მაგივრად, სხვებს წარსთქვამს:

- განა თქვენ გყავთ მამრნი და მას კიდევ - მდედრნი? ეს შეურაცხმყოფელი დანაწილება იქნებოდა. ისინი მხოლოდ სახელებია, თქვენ და თქვენმა წინაპრებმა რომ დაარქვით და არ ზეგარდმოუვლენია ალაჰს მათზე რაიმე ძალი...

ის მანამ სტოვებს გაოგნებულ ხალხს, ვიდრე რომელიმე მათგანი მოიაზრებდა და პირველი ესროდა ქვას...

***

ეშმაკეული აიების უარყოფის შემდეგ, მოციქული მაჰუნდი სახლში ბრუნდება და იქ ერთგვარი სასჯელი ხვდება: შურისგება? და მერე - ვისგან? ნათელისა თუ ბოროტისაგან? კარგიბიჭი - ცუდიბიჭი? როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ისევ უდანაშაულოზე გადატყდა ჯოხი. მისი მეუღლე, უკვე სამოცდაათს მიღწეული, სარკმელთან ზის, ზურგით კედელს მიყრდნობილი. მკვდარი.

მაჰუნდი საკუთარ თავში იკეტება, კვირაობით არ იღებს ხოლმე ხმას. ჯაჰილიის გრანდი პოლიტიკურ კურსს დასჯაზე აგებს, რაც ჰინდის აზრით, მეტისმეტად ნელა ხორციელდება. ახალ მრწამსად მორჩილება ცხადდება და აბუ სიმბელის დადგენილებით, მისი მიმდევარნი ღვთიურ ნებას უნდა დამორჩილდნენ - ქალაქის შემოღობილ, ქოხმახებიან უბნებში სახლობდნენ, კომენდანტის საათს იცავდნენ და მხოლოდ დაქირავებულ მუშახელად იდგნენ; ასევე, დაითმინონ ყოველგვარი ფიზიკური შეურაცხყოფა - იქნება ეს დახლიდარების მხრიდან მათი ქალებისთვის სახეში ფურთხება თუ ბანდებად გაერთიანებული ახალგაზრდა თურქების თავდასხმები, რასაც თავად გრანდი წარმართავს ფარულად; ღამ-ღამობით ფანჯრებში მაშხალასაც შემოგიგდებენ ხოლმე, რათა ცეცხლი სწორედ მძინარეებს მოედოთ. შედეგად - მსოფლიო ისტორიის ცნობილი პარადოქსია - მართლმორწმუნეთა რიგები იმ ნათესებივით მრავლდება, ყველა წესისა და რიგის საწინააღმდეგოდ, ნიადაგის მდგომარეობის გაუარესებასთან ერთად რომ სულ უფრო და უფრო უკეთ ჯეჯილობს.

ჩრდილოეთის მხარეში მდებარე იასრიბის ოაზისიდან ცნობა მოვიდა: იქაურები შეიფარებენ მათ-ვინც-მორჩილებს, თუკი ისინი ჯაჰილიას დაუტევებენ. ჰამზას აზრით, მათთვის ეს ერთადერთი გამოსავალია.

- აქ ვერასდროს მოამთავრებ სამოციქულოს შენსას, ძმისშვილო... გეფიცები. ქ-ნი ჰინდი ვერ მოისვენებს, ვიდრე მაგ ენას არ ამოგაგლეჯს, ჩემს - ბოდიში მომითხოვია და, კაკლებზე რომ არაფერი ვთქვათ.

დანაკარგთა მოგონებებით გაძეძგილ სახლში მარტოსულად მობორიალე მაჰუნდი თანახმაა, და ისინიც მიდიან, რათა საკუთარი გეგმები აღასრულონ. ჰალიდ-მეთულუხჩე ჭოჭმანობს, ადგილზე ტოკავს, და მზერაუტყვი მაცნეც ელის. ის კიდე მორიდებით ეტყვის:

- მოციქულო, ურწმუნო ვიყავ შენს მიმართ, შენ კი ჩვენზე ბევრად შორსმჭვრეტელი გამოდექი. ჯერეთ ვამბობდით: მაჰუნდი არასოდეს დათანხმდება ზავს, შენ კი დაუზავდი; მერე გვეგონა რომ გვიღალატე, შენ კი უღრმეს ჭეშმარიტებას გვაზიარე; მერე თავად უწმინდური გვიჩვენე, რათა გვეხილა საქმენი მისნი უკეთურნი და ქცევითა მართლითა დათრგუნვა მისი. შენ გაამდიდრე რწმენა ჩვენი, და ახლა ვნანობ, უგვანს რომ ვეჭვობდი შენზე.

მაჰუნდი ფანჯრიდან შემოჭრილ მზის სხივს არიდებს თავს.

- ეგრეა, წყალი არ გაუვა. - სიმწარე და გაქირდვა ერევა ხმაში. - მაგარი იყო. უღრმესი ჭეშმარიტება. უწმინდურის ყურით მოთრევა და საქმენი საგმირონი... რატომაც არა?

* * *

მთის წვერიდან ადევნებს თვალს ჯაბრაილი ჯაჰილიელ მართლმორწმუნეთა განსვლას მოხრიოკებული ქალაქიდან - გრილი ნიავის, პალმებისა და წყლის, წყლის, წყლის აღთქმულ მხარეში. მცირე-მცირე ჯგუფებად და მსუბუქად - მხოლოდ ხელბარგით დატვირთულნი მიიწევენ მზის ამ სამფლობელოში, ახალი ხანის ამ პირველი წლის პირველსავე დღეს, და ახლა ძველი უკან რჩება, მომავალი კი წინ უძევთ.

სწორედ ამ დღეს, მაჰუნდიც გაქრა. მისი გაქცევის ამბავი რომ გახმაურდა, ბაალ-პოეტი გამოსამშვიდობებელ ლექსს თხზავს:

რაი არს საზრისი ამა ღამისა,
ანთუ - ამათი რწმენის?
„მორჩილნი“ ლანდებს უფრთხიან,
მათ მრწამსსაც კი გაქცევა ელის...

საბოლოოდ, მაჰუნდმა თავის ოაზისს მაინც ჩააღწია, ოღონდ ჯაბრაილი არც ამდენად ბედიღბლიანი აღმოჩნდა: ახლა ის ხშირად დგას ხოლმე მთის წვერზე, სულ მარტოკა და ცივ, ცარგვალს მოწ-ყვეტილ ცთომილებს ადევნებს თვალს; სწორედ ამ დროს ატყდება თავს სამი ფრთოსანი არსება - ლათ მანათ უზა, სცემენ და თვალებს ბრჭყალებით უკაწრავენ, თმებს უტყლაშუნებენ სახეზე, ფრთებს გამეტებით ურტყამენ. ხელებს მაღლა სწევს, თავდასაცავად, მაგრამ ისინი არ ცხრებიან - სულის მოთქმის საშუალებასაც კი არ აძლევენ. ცდილობს მოიგერიოს, მაგრამ ისინი მასზე სწრაფე-ბი არიან, მოხერხებულები, თან - ფრთოსნები...

არ ძალუძს, იჯმნას ეშმასაგან - მას ეგეთი არავინა ჰყავს; ასე რომ, ვერც იმას ინატრებს, ძილში მაინც გამანებეთ თავიო.

კარი III

ბა-ბი-ლონ-დონ

1

- აჩრდილებისა მე მკითხეთ, - ჩუმად წართქვა დედაბერმა. როუზ დიამანტი ერქვა, ოთხმოცდარვა წლისა იყო, ჩიტივით იბუ-ზებოდა ხოლმე და ბადრი მთვარით დაფერილ ზღვას გასცქერო-და მარილნადები ფანჯრებიდან. - რაც შეუძლიათ იყვნენ და რაც არ შეუძლიათ გახდნენ, მაგის ყველაფერი ვიცი. არავითარი სკა-რიფიკაცია ეგ არაა, არც მფრინავი ზეწრები - სისულელეა ეგ ყვე-

ლაფერი... რა არი აჩრდილი? მოუმთავრებელი საქმე, ეგაა და ეგ.

მთელი ექვსი ფუტის სიმაღლისა იქნებოდა, ჩამოქნილტანიანი, მამაკაცურად მოკლედ შეკრეჭილი თმით, ქვემოთ დაშვებული ვიწრო ტუჩების კუთხეები უკმაყოფილების ნიღაბს ადებდა სახის გამომეტყველებას; გაჩხინკულ მხრებზე მოგდებული მოსასხამი შეისწორა, უძილობისაგან დაწითლებული თვალები წამით დახუჭა და წასულთა დასაბრუნებელი ლოცვის კითხვას მოჰყვა. დაგვიბრუნდით, ნორმანთა ხომალდებო - გესმის უილი, შე მართლა ნაბუშარო შენა!

სულ რაღაც 900 წლის წინათ აქაურობა წყლით იყო დაფარული: სანაპიროს მთელი ეს ნაწილი - მოყუჩებული, კენჭოვანი ზღვისპირი, დამრეცად რომ იწევდა მოპირკეთებაშელახული სახლებისაკენ, რომლებშიც რას არ იპოვიდით - კანაფშემოხვეული წერილების დასტებითა თუ ნაფტალინმოყრილი, აბრეშუმისთასმებიანი საცეკვაო კაბებით, ცრემლსადინარი ქალური საკითხავი წიგნებით, საფოსტო მარკების ალბომებითა და სხვა ათასგვარი მოსაგონრითა და დაკარგული დროით გამოვსებულ ძველებურ ზანდუკებს, სურათების ცარიელ ჩარჩოებსა და რა ვიცი, რაღას არა... ახლა სანაპირო ზოლი მთლად შეცვლილიყო, კარგა ერთ მილზე შეწეულიყო ზღვაში, ხოლო ნორმანთა სადარაჯო კოშკი წყლიდან კარგა მოშორებით მოეტოვებინა - დაჭაობებულ მიწაზე, რომლის ნესტი და ციებ-ცხელების უპირველესი გამომწვევი ოხშივარი ზედ მაცხოვრებელ ღარიბ-ღატაკთათვის სრულიად ჩვეულ გარემოდ ქცეულიყო. ამ მოხუც ქალბატონს კი კოშკი დრო-ჟამისაგან გაქვავებულ, მიქცევისაგან ნაღალატევ, ზღვის დაღუპულ ურჩხულად ესახებოდა. 900 წელი! ცხრაასი წლის წინათ, ნორმანთა ფლოტმა ზედ ამ ქალის სახლზე გადაიარა და ახლაც, სავსე მთვარობისას, სწორედ ამ გასხივოსნებულ აჩრდილთა მობრუნებას ელოდა...

საუკეთესო ადგილია თვალის მოსავლებადო, თავს ირწმუნებდა - გინდა თეატრის ლოჟაში მჯდარხარო. მოარული გამოთქმების გა-

მეორება მოგონებების დამაშუშებელ ხერხად ექცა: დაუმთავრებელი საქმეები, ლოჟაში ჯდომა. მყარი, უცვლელი, მარადიული შეგრძნებები. ნაოჭებისა და სიცარიელის მაგივრად, საკუთარ არსებობას ამყოფებდა.

- სრული მთვარობისას, ალიონისწინა ბინდში დგება მაგათი დრო. აფრებს შლიან და ნიჩბებს წყალზე უშვებენ, თავად ვილჰელმ დამპყრობელი კი დგას მეწინავეს კიჩოზე, მარჯვენას იშვერს და გემს ნაპირზე გამოაცურებს... კი, ბევრი რამ მიხილავს, როცა ჯერ კიდევ მქონდა ნიჭი - აჩრდილების დანახვის ნიჭი. წაწვეტებულჩაჩქანიანი დამპყრობელი ჩემს წინკარში შემოდის, კარის გაუღებლად, კარადასა და მოქარგულბალიშებიან დივანს შორის, ექოსავით გასრიალდება მოგონებათა სევდის ამ საბუდარში; მერე - სიჩუმე. როგორც სასაფლაოზე.

- ერთხელაც, პატარაობისას, - ხშირად იმეორებდა ხოლმე, ერთიდაიგივე, დროისაგან გადაფხეკილ-გადაპრიალებული სიტყვებით, - ეს პატარა გოგონა ბეთელ-გორადან სულ მარტოკა აღმოვჩნდი შიგ გაქანებული ჩეხვის შუაგულში! შუბებიო, მახვილებიო, გურზებიო... საქსონელი გლეხის ბიჭები, ჭაბუკობაშივე ჩაჩეხილნი. ჰაროლდ ისრისთვალა და ვილჰელმი, პირი რომ სილით ქონდა გამოტენილი. კი, ნიჭი - აჩრდილების ხილვის უნარი.

იმ დღის ამბავი, როცა პაწია როუზს ჰასთინგზის ბრძოლა ეზმანა, მოხუცის ცხოვრებაში უცვლელ საყრდენად კი დარჩა, თუმცა იმდენჯერ და იმდენნაირად ჰქონდა მოყოლილი, ახლა კაცი ვეღარც გაარჩევდა ტყუილსა და მართალს. მაგრა მენატრებიან ხოლმე, - იმეორებდა ხშირ-ხშირად, - ლეს ბეაუხ ჯოურს: აწ გარდასული, მშვენიერი დღეები. მოგონებებში წასული თვალები მოხუჭა, ხოლო როცა ისევე გაახილა, იქვე ფეხებთან, წყლის პირას, რაღაც მოძრაობა დალანდა.

აღელვებულმა, ესღა აღმოთქვა:

- დაუჯერებელია!

- შეუძლებელია!

და მერე:

- არა, ის აქ არასოდეს...

ფეხებაკანკალებული, სულშეგუბებული როუზი თავისი ქუდის, მოსასხამისა და ხელჯოხის მოსატანად გაცუხცუხდა. ამასობაში კი არა სილით, არამედ - თოვლით პირგამოტენილი ჯაბრაილ ფარიშტა ნაზამთრალ სანაპიროზე მოდიოდა გონს.

* * *

თფუ!

გადმოაფურთხა; მერე წამოხტა, თოფნაკრავივით. ჩამჩას - როგორც უკვე მოგახსენეთ კიდეც - ბედნიერი დაბადების დღე უსურვა და დამბალი, თოვლგაძეძგილი სახელოების ფერთხვას მოჰყვა.

- ა, ძმაო - გაიკვირვე ახლა, ამ ხალხს თუ მკერდში ყინულის ლოლუები უყრიათ გულის მაგივრად!

თუმცა, სულ მალე მისი თავდაპირველი აგდებული დამოკიდებულება ერთბაშად ამდენი თოვლის ნახვით გამოწვეულმა აღტაცებამ გადაფარა - მაინც ხომ ტროპიკების ნაშიერი იყო ბილო-ბილო - და გალუმპულმა, გუნდების კეთებასა და მერე მათი საკუთარი თანამოძმისთვის სროლას მიჰყო ხელი: აქაოდა მშვენიერზე-მშვენიერი თოვლისბაბუ გამოვიდოდა შენგანო, თან კიდე ჯაზურად დამღერებულ „შობის ზარებს“ გაჰკიოდა. ცას უკვე ნათლის პირველი ნიშნები დააჩნდა, და ამ უკაცრიელ სანაპიროზე ახლა ლუციფერი ცეკვავდა, დილის ვარსკვლავი...

მის სუნთქვასაც - ეს კი ცალკე უნდა აღინიშნოს - რაღაცა მანქანებით, სრულიად დაკარგვოდა თავისი წინანდელი მყრალი ოხშივარი.

- წამო რა, ძმა! - გაჰყვიროდა მოუთოკავი ჯაბრაილი, რომლის ქცევაში აშკარად გამოსჭვიოდა მისი ამ ბოლოდროინდელი ვარდნის ტვინმღრძნობელი გავლენა. - ადე და იბრწყინე - ერთი შეტევით უნდა ავიღოთ აქაურობა!

ზღვას ზურგი აქცია, ცუდ მოგონებათა ჩამოსარეცხად და ხელთ რომ ჰქონოდა, უცილობლად რაიმე ალამს დაარჭობდა სილაში, ამ რაღაცა-გაუგებარი-მოთეთრო-მიწის დასასაკუთრებლად, პირველაღმომჩენთა უფლებით.

- კარგი რა, შე ბებერო ჩამჩა შენა! - ეაჯებოდა. - თუ მთლად მიაბარე უფალს სული?

ოღონდ ამ სიტყვებმა აქეთ უფრო გამოაფხიზლა მათი წამომროშველი, ძალაგამოცლილი სხეულის თავთან ჩაუჩოქა, ხელის მიკარებას კი ვერ უბედავდა:

- ოღონდ ახლა არა, ძმა! რაღა ახლა, როცა მთლად სამშვიდობოს გამოგვიღწევია...

სალადინი: არა კვდებოდა, სცრემლოოდა მხოლოდ. სულის შეძვრის ცრემლები ეყინებოდა ყვრიმალებზე. ეგ კი არადა, მთელი ტანი დაფარვია შუშისმაგვარი, გლუვი ყინულოვანი კანით, თითქოსდა ის რაღაც თავისი ავი სიზმარი ახდენიაო. სხეულის სითბოს დაცემისაგან გამოწვეული დაბოლილობის ნახევრადუგრძნობ მდგომარეობაში, ახლა მისი ნამსხვრევებად ქცევა ელანდება, ყინულოვან ნახეთქებიდან ამოქაფებული სისხლი, კრამიტის ნატეხებივით მიმოყრილი ხორცი... შეკითხვები არ ასვენებდა: არ მითხრათ ახლა, ყველაფერი სწორედ მასე იყოო, ხელებს რომ აფართხუნებდით, მერე კიდე ეს წყალი და იმ ფილმივით, სადაც ჩარლი ჰესტონი თავის საბიჯგელს იქნევს და ჩვენც ნახევარი ოკეანე გადავიარეთ - არ იქნებოდა მასე, ვერ იქნებო-

და, მაგრამ თუ არა, მაშინ როგორღა გამოვაღწიეთ თუ ვითომ წყალქვეშ გამოვიარეთ, ფსკერზე, ქალთევზების გარემოცვაში, ვითომ თევზები ვიყავით ან მოჩვენებები - მითხარით ბოლო-ბოლო... ოღონდ როცა თვალები გაახილა, შეკითხვებიც გაიდღაბნა, ერთი კი გაუელვა თვალწინ და გაქრა, თოვლი შარშანწინდელი. მერე ზევით აიხედა და რას ხედავს: სრულიად არასწორი შეფერილობისაა, ნამდვილად: სისხლისფერ-ალისფერი, მწვანე-მწვანედ დაწინწკლული. აი, თოვლი კი მელნისფერი იყო, ნაღდად. თვალები აახამხამა - არაფერი შეცვლილა, თითქოს სადღაც არასწორ ადგილას მოხვდა, არა ინგლისსა თუ არა-ინგლისში, რაღაც სატყუარა ზონაში, მახინჯი ქვეყნის ჩამპალ დაბა-ქალაქში. იქნებადა ჯოჯოხეთიაო - გაუელვა. არა-ა, შანსი არაა, ჯერ ხომ არ მომკვდარხარ, მხოლოდ კვდები.

აჰა-ა, მოვედით: ე.ი. - სატრანზიტო მოსაცდელი.

გააჟრჟოლა. ისე ძლიერად, ვაითუ ერთიანად დავიშალოო, გაიფიქრა. აი, რა ქვია იმას - თვითმფრინავივით...

ოღონდ მაშინ ხომ არც არაფერი იარსებებდა, სიცარიელეში ეგდებოდა და თავის გადასარჩენად, რაღაცის გამოგონება დასჭირდებოდა - თუნდაც მიწის, ფეხის დასადგმელად, ახლა კი ჯერ მაინც ამგვარი არაფერი ჰქონდა სადარდებელი და მის წინაც მაღალი, ძვალტყავა სხეული წამოიმართა, ფართოფარფლიანი ქუდითა და ქარში კალთებმოფარფატე შავი მოსასხამით შებურვილი, მაღალყელიანი ყავისფერი ფეხსაცმელებით მოსილი, ვერცხლისბუნიკიან ხელჯოხს დაყრდნობილი სიკვდილი:

- და რა ეშმაკები გინდათ აქ, ნეტავი ვიცოდე? - დაეკითხა. - აქაურობა სულ კერძო საკუთრებაა, ვერ ხედავთ წარწერას?

ქალის ხმა ჰქონდა, მთრთოლვარე და აშკარად აღელვებულიც ჩანდა. ცოტა ხნის მერე დაიხარა - ცხადია, საკოცნელადო, გაუელვა თავში. - სუნთქვა უნდა ამომიღოს სხეულიდან... შეეცადა წინააღმდეგობა მაინც გაეწია როგორმე, უსუსურად, თუნდაც.

- სავსებით ცოცხალია, არაფერი უჭირს, - განუცხადა სიკვდილმა, ე-ე... ვის? ჯაბრაილს. - ოღონდ ჩემო კარგო, კბილები ხანდახან მაინც ხომ უნდა გაიწმინდოს ხოლმე...

* * *

მაშ ასე, ერთის სუნთქვა ახლა დამტკბარი იყო, მაშინ როცა მეორისა - რაღაც ბირდაბირი იდუმალების შედეგად - სუნდაკრული. აბა, რას ელოდნენ? ციდან ვარდნა და არავითარი მომყოლი შედეგები?! უზენაესმა ძალებმა ორივეს მიმართ გარკვეული დაინტერესება გამოავლინეს, ცხადია, მაგრამ ამგვარი ძალები ხომ (თუნდაც თავად მე) ერთ მავნე, ლამის ბავშვურ მიდრეკილებას იჩენენ გარკვეული სახეობის ბუზებზე ცდების ჩატარების მხრივ. და კიდევ: დიადი დაცემანი ადამიანებს ცვლიან ხოლმე. თქვენა გგონიათ, ისინი ვარდებოდნენ დიდხნას? კარგით ერთი! განა მე ვის დავუდებ ტოლს ვარდნების მხრივ? გინდა მოკვდავი იყოს და გინდა - უ. ვარსკვლავებიდან ფერფლამდე, ასე ვთქვათ, საკვამურის დაყოლებით; ციური ნათებიდან - ჯოჯოხეთის ცეცხლამდე... ამგვარი დაშვების დროს, მე თქვენ გეუბნებით, ცვლილება-მუტაციები გარდაუვალია, და ბევრი მათგანი სულაც არაა შემთხვევითი. არაბუნებრივი გადარჩევა. მცირე საზღაური გადარჩენისთვის, აღორძინებისთვის, ახლის ჩამოყალიბებისთვის... და ახლა მათი ასაკიც გაითვალისწინეთ!

რაო, სხვა ნიშნებიც ჩამოგითვალოთ?

საამო სუნთქვა/უამო სუნთქვა.

სწორედ ამ დროს, როუზ დიამანტმა ჯაბრაილ ფარიშტას თავსზემოთ მართალია სუსტ, მაგრამ მაინც აშკარად გასარჩევ, ოქროსფერი ნათებას მოკრა თვალი.

და კიდევ - ეს რა წამონაზარდები აჩნდა ჩამჩას საფეთქლებთან? და ა. შ. და ა. შ.

* * *

უცნაურზე-უცნაური, მართლა სატირის მსგავსი, ოღონდაც დიონისეს მბაძავი ჯაბრაილ ფარიშტას დანახვაზე, როუზ დიამანტს აზრადაც არ მოსვლია ანგელოსებად შეერაცხა ეს მომხდურები - მეტიც, არც ნორმანების შემოსევა გახსენებია და მოღალატე,ბებრული კიდურების მიუხედავად, სულ ფართხა-ფურთხით დაეშვა ქვევით, რათა ზრდილობის გამო მაინც დაელანძღა ეს წარმოუდგენელი უცნობი, აქაოდა ჩემს კერძო საკუთრებას ხელჰყოფთო.

საზოგადოდ, სრულიად შეურიგებელი გახლდათ თავისი წილი სანაპიროს ხელყოფის მიმართ - როცა კი შაბათ-კვირას „ბუნებაში გასვლის“ დაუდგრომელი მოყვარულნი მის სახლისწინა სამფლობელოში დაიბანაკებდნენ, ისე ეტაკებოდა ხოლმე, როგორცა მგელი - ნახირს და ამუნათებდა, ამ ჩემს მოვლილ-ნალოლიავებ მდელოს მოშორდითო. თუკი არაფერი სჭრიდა - აქაოდა ამჭკუასგადაცდენილიბებრუხანასგამორომელიგიჟიწავა და მისთანანი - სახლში შებრუნდებოდა ხოლმე, გძელ, მწვანე სარწყავ შლანგს გამოაცუნცულებდა და მიდი-ი-ი - ერთიანად გაწუწავდა ყველას, პირსახოცებს დაულბობდა, ლოსიონიან პლასტიკის ბოთლებს მიმოუფანტავდა, ქვიშის ციხე-სიმაგრეებს ჩამოუშლიდა, ღვიძლისპაშტეტიან ბუტერბროდებს ქვიშის აჯაფსანდალად უქცევდა და თან ჩაუკრუტუნებდა კიდეც: დიდად საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნებათ, ეს ჩემი მოლი რომ მოვრწყაო?

ყველა გადასარევად იცნობდა სოფელში და ვერც ვერავინ გაუბედავდა მოხუცთა თავშესაფარში მის გამომწყვდევას - ნათესაო-

ბაც კი ხმას ვერ იღებდა იმის შიშით, ემანდ უსამემკვიდრეოდ არ დაგვტოვოსო. დორა შაფლბოთემის გარდა, კაციშვილი ვერ აბიჯებდა მისი კარის ზღურბლს და ისიც წინა სექტემბერს მიიცვალა, ღმერთმა აცხონოს და მართლა გასაკვირი კი იყო, მის ასაკში როგორ აუდიოდა ყველაფერს და ამგვარ მარტოობაში სრულ ჭკუაზეც რომ გახლდათ.

ჯაბრაილს წილად არც შლანგიდან გამოვარდნილი წყლის ჭავლი ერგო და არც დედაბრის მწარე ენა; როუზმა მხოლოდ ის რამდენიმე წინადადება წაიბურტყუნა, რატომღაც გოგირდსუნდაკრული სალადინიც დაყნოსა (იმას კიდე თავისი ცილინდრის მოხდა არც უფიქრია) და საკუთარი თავისათვისვე გასაკვირად, მეტად მორიდებით შესთავაზა: ამ თოშ სიცივეში ასე ნუ დააგდებთ მეგობარს, აჯობებს სახლში შემოიყვანოთო; მერე კი ჩაიდნის შემოსადგმელად გაკუსკუსდა, თან კი ზამთრის მკბენარ ჰაერს უხდიდა მადლობას, ლოყები რომ წამოუწითლა და ძველებურად მაღალ შტილში რომ ვთქვათ, ღაწვების შეფაკვლა შეუნიღბა...

* * *

ყმაწვილობისას, სალადინ ჩამჩას გამორჩეულად უმანკო გამომეტყველება ედო ხოლმე სახეზე: თითქოსდა არც გულისგატეხა ეგემნა არასდროს და არც ბოროტს გადაყროდა სადმე, კანი კი იმგვარად სალუქი ჰქონდა, მეფის ასულს შეშურდებოდა. ეს მახასიათებლები ფრიად და ფრიად წაადგა ქალებთან ურთიერთობაში და ამიტომაც იყო, პამელა ლავლეისმაც რომ ვერ უთხრა ცოლობაზე უარი.

- დედა-დედა, რა ფუნთუშა ქერუბიმია! - გაიკვირვა და მისი ნიკაპი მოიქცია ხელებში. - თითქოს საჰაერო ბუშტი იყოს, მართლა-მართლა!

იწყინა, რაღა თქმა უნდა.

- ძვლებიც მაქვს, - უთხრა. - ძვლიანი ანაგობა.

- სადღაც იქ, შიგნით, ყველასა აქვს... - დაუთმო ქალმა.

ამას მერე მუდმივად თან სდევდა იმის რწმენა, რომ რაღაც ფომფლო მედუზას გავს, და საპირწონედ, ქედმაღლურად დახვეწილი თუ დახვეწილად ქედმაღლური ქცევა შეიმუშავა, რაც სულ მალე მეორე მახასიათებლადაც ექცა. ასე და ამგვარად, იყო რაღაც მიზეზ-შედეგობრივი კავშირი იმაში, რომ მოგვიანებით, ზმანებათა მთელი რიგი დაეწყო, რომლებშიც ახლა უკვე ზღვისქალად ქცეული და აისბერგის წვერზე წამოწოლილი ზინი ვაკილი საწყალობელი ვნებით უმღეროდა, საკუთარ უუნარობას დასტიროდა, მყარ მიწაზე რომ ვერ დაედგა ფეხი და მას ვერ შეერთებოდა, მაგრამ როგორც კი თავად ეახლებოდა, წამსვე ყინულის მთის გულისგულში გამოამწყვდევდა ხოლმე და მისი სიმღერაც იცვლებოდა, შურისგების საზეიმო ჰანგებად იღვრებოდა უკვე...

მოკლედ, ახლა ახალი პრობლემის წინაშე დადგა, როცა ლაქდაფერილი ხის იაპონურ ჩარჩოში ჩასმულ სარკეში ჩაიჭყიტა და აღმოაჩინა - ქერუბიმის სახე კი შერჩენოდა, ოღონდაც შუბლზე (ცხადია, ბოლოდროინდელი თავგადასავლის უტყვი შედეგი) ორი ცალი გვარიანი კოპი წამოზრდოდა.

ამ თავისი ახალი სახის შემყურე, ჩამჩა ცდილობდა საკუთარი თავისთვის საკუთარი თავივე გაეხსენებინა. ნამდვილად არსებული ადამიანი ვარ, - უთხრა სარკეს - ნაღდი ბიოგრაფიითა და სამომავლო გეგმებით. ჩემისთანასთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სიმკაცრეს, თავდაჭერას, გონს, რაის მოძიებაც ამ მყიფე ხელჯოხის ღმერთის გარეშეც კარგად შეიძლება. მშვენიერების საწყისი, აღტკინების უნარი, გონიერება... თანაც, დაოჯახებულიც ვარ, ეგრეა? მაგრამ ამ

ლიტანიის მიუხედავად, რაღაც-რაღაც ბილწი აზრები მაინც ეძალებოდა. მაგალითად: ვაითუ აქ-და-ახლა, ამ ზღვისპირისა და პაწია სახლის გარდა, არც არავითარი სხვა სამყარო არ არსებობდა? თუ ფრთხილად არ იქნა, ამ საკუთარ შეკითხვებს თუ გაჰყვა, მერე იქნებ კიდესაც გადასცდეს, ღრუბლებში... ყველაფერი არსებული ჯერ უნდა შეიქმნას. ან კიდევ: ახლა რომ სახლში დაერეკა იმის სათქმელად, არ მოვმკვდარვარ, ყველაფერი კარგადაა, არც ქარტეხილს არ დავუგლეჯივარ და აგერ ვარ, მყარ მიწაზეო, - ამისთანა გონიერი ნაბიჯიც რომ გადაედგა, განა ვინც ყურმილს აიღებდა იქ, მეორე მხარეს, მის სახელს ნაღდში გაიხსენებდა? ანთუ კიდევ: ის ხმა, ყურში რომ უდადგუნებს - უახლოვდება, რიტმულად - არა ვარდნის შედეგად გამოწვეული ხმოვანი ჰალუცინაცია, არა შორი და ველურისპილოა, არამედ სხვა, დამღუპველი დინება: ბა-ბი-ლონ-დონ. არც ისე შორია ლონდონამდე. აგერ ვარ, ბებიაჩემის სახლში. დიდი თვალები აქვს, გრძელი ხელები, ბასრი ღოჯები.

გვერდით, სასთუმალთან, პაწია განჯინაზე ტელეფონების წიგნი იდო. მიდი, რას ელოდები - ეუბნებოდა საკუთარ თავს. აიღე და დარეკე. სულიერი წონასწორობაც აღგიდგება. ყოყმანი: არ გეკადრება, არაა შენი ჩვევა. იმ ქალს დაურეკე.

ღამე იდგა და არც ის იცოდა, რა დრო იყო ახლა. მისი მაჯის საათი სადღაც მიეკარგა ამ გაწამაწიაში. დაურეკავ თუ არა, ბოლოსდაბოლოს? ცხრანიშნა ნომერი აკრიფა. მეოთხე ზარზე ვიღაც კაცმა უპასუხა.

- ვინ ოხერი ხარ? - ნამძინარევი, უცნობი, გაღიზიანებული ხმა.

- მაპატიეთ, - ძლივს ამოღერღა სალადინ ჩამჩამ. - ნომერი შემეშალა.

ყურმილს დააჩერდა და უცებ გაახსენდა ბომბეიში ნანახი დადგმა - დრამატული რამე იყო, ინგლისურიდან მოთარგმანე-

ბული მოთხრობის მიხედვით; ავტორის გვარი აღარც ახსოვდა - ტენისონი თუ სამერსეტ მოომი, ახლა მაგას რა მნიშვნელობა აქვს? მოკლედ, იქ ერთი კაცი, რომელიც კარგა ხანია მკვდარი ჰგონიათ, საკუთარი თავის აჩრდილად ბრუნდება, ცოცხალი მოჩვენებასავით. ღამით მიადგება საკუთარი სახლის ფანჯარას, შეიხედავს და ხვდება, რომ ქვრივად მიჩნეული მისი ცოლი მეორედ გათხოვილა. ფანჯრის რაფაზე ბავშვის მიტოვებულ სათამაშოს ჰკიდებს თვალს და ერთხანს საკუთარ გრძნობებს ებრძვის, მერე კი იმ სათამაშოს დაავლებს ხელს და სამუდამოდ გაუჩინარდება. ოღონდ დადგმა კი საგრძნობლად განსხვავდებოდა დედნის ტექსტისაგან: ქალი ქმრის საუკეთესო მეგობარს მისთხოვდება; ის კიდე არაფერს ეჭვობს და პირდაპირ სახლში შეაბოტებს. ხედავს რომ მისი ცოლი და ის მისი მეგობარი გვერდიგვერდ სხედან, მაგრამ ჯერ ვერაფერს ხვდება. ძმაკაცს მადლობასაც კი გადაუხდის ასეთი გულისხმიერების გამოჩენისთვის, ოღონდ ახლა თავად დავბრუნდი და ყველაფერი კარგად იქნებაო, ეუბნება. იმათ კი არ იციან, სიმართლე როგორ გაუმხილონ. ბოლოს ისევ მსახური იტვირთებს ამ საქმეს. მაგრამ ამნეზიაშეყრილი ქმარი (ეტყობა, ამდენი ხანი ამიტომაც არ მობრუნებულა აქამდე) რაღაც უცნაურად აღიქვამს ამ ამბავს - ალბათ მართალი ხარო, - მსახურს ეუბნება. - მეც თუ მეორედ შევირთე ცოლი და არ კი მახსოვს არაფერიო... ამიტომაც პოლიციაში მიდის და სთხოვს, ჩემი მეორე ცოლი მაპოვნინეთო, თუმცა არც მისი გარეგნობა ახსოვს და არც ვინაობა.

ამ დროს ეშვება კიდეც ფარდა.

სალადინ ჩამჩა, უცხო საძინებელში, მისთვის სრულიად უცხო თეთრ-წითელ ზოლიან პიჟამაში გამოწყობილი, ბალიშში ჩარგავს თავს და მოთქვამს:

- ეშმაკსაც წაუღია ყველა ინდოელი! - ზლუქუნებდა და თან ისე გამეტებით უშენდა მუშტებს ამ ორმოცდაათი წლის წინ მთლად ბუენოს-აირესიდან ჩამოტანილ მაქმანებიან ბალიშისპირს, სულ ნაფ-

ლეთებად აქცია. - ეს რა უბედურებაა ჩვენს თავს! ეს მეკურტუმე-მეტრაკეები ეგენი, მე მაგათი... მისხალი გემოვნება მაინც ქონდეთ!

სწორედ ამ დროს გამოცხადდა პოლიციაც. დაჭერას უპირებდნენ.

* * *

იმავე ღამით, როუზ დიამანტი ისევ ფანჯარასთან იდგა, დედაბრული უძილობით შეპყრობილი, და ცხრასაუკუნოვან ზღვას გასცქეროდა. იმ პირაყროლებულს მას მერე ეძინა, რაც ლოგინში ჩააწვინეს და ცხელი წყლით სავსე სათბურები შემოულაგეს გარშემო. ძალიანაც კარგი - იწვეს, ძალა მოიკრიბოს. ორივენი ზემო სართულზე განამწესა: ჩამჩა თავისუფალ ოთახში, ჯაბრაილი კიდე - მისი უდროოდ გარდაცვლილი ქმრის კაბინეტში და ახლა, ჩაშავებული ზღვის უკიდეგანო სივრცეს რომ გაჰყურებდა, თან ჩაესმოდა მისი ფეხის ხმა, ბ-ნ ჰენრი დიამანტის ორნითოლოგიური ცნობარებისა და იხვის სატყუარებით მოფენილ ჩაკეტილ სივრცეში, ესტანსია ლოს-ალამოსის აეროგადაღებებით გაკეთებულ ძველისძველ ფოტოსურათებს, ბოთლებსა და მათრახებს შორის. ამდენი წლის მერე იმ ოთახში მამაკაცის ნაბიჯების გაგონება მართლაც კეთილისმყოფლად მოქმედებდა მოხუცზე.

ფარიშტა კი აქეთ-იქით დაბოდიალობდა, ძილს გაურბოდა. როუზმა რამდენჯერმე ახედა ჭერს, და მერე ჩურჩულით გაიმეორა დიდი, დიდი ხნის განმავლობაში არამოთქმული სახელი: მარტინ, თქვა მან. მისი გვარი კი მისსავე სამშობლოში გავრცე-

ლებული, მომაკვდინებლად სახიფათო გველგესლასი გახლდათ: ვიბორა, დე ლა კრუსი.

და მაშინათვე ნაპირზე მოარულ ჩრდილებს მოკრა თვალი, თითქოსდა აკრძალულ სახელს მკვდრები გამოეძახა მოუსავლეთიდან. რა, ისევ? - გაიკვირვა და თავისი ლორნეტის მოსატანად წავიდა. მობრუნებულს, უკვე მთელი სანაპირო აჩრდილების დაკავებული დახვდა და შეშინდა კიდეც - ნორმანთა ძლევამოსილი ფლოტი ღიად, ამაყად ადგებოდა ხოლმე ნაპირს, მაშინ როცა ესენი რაღაცას ქვემძრომობდნენ, თითლიბაზობდნენ, ყეფდნენ და წკავწკავებდნენ, უთავოები, ჩაცუცქულები, უზარმაზარი დაჯავშნული კიბორჩხალებივით ასავსავებდნენ კიდურებს; ზოგიც კუზიანივით მხრებში მოხრილი და თავჩაქინდრული მიმორბოდა აქეთ-იქით, მძიმე ფეხსაცმელებამოცმულნი - მთელს სანაპიროზე მოყრილ ბრტყელ, გლუვ კენჭებს სულ ხრაშა-ხრუში გაუდიოდათ. ძალიან, ძალიან ბევრნი იყვნენ. ეს უკვე მეტისმეტია! ამას უკვე ვეღარ ავიტან, - თქვა და თბილი მოსასხამი მოიგდო ბებრულ მხრებზე, მერე კი იმ თავის შემაძრწუნებელ იარაღს - რეზინის შლანგსაც დასწვდა. ოღონდ ჯერ წინკარში ხმამაღლა, მკაფიო ხმით გასძახა:

- ნურას უკაცრავად, ძალიანაც კარგად გხედავთ ყველას! აბა ერთი აქეთ მოდექით, ვინც არ უნდა იყოთ მანდ!

შვიდი მზე ერთად აანთეს და ლამის დააბრმავეს, მაგრადაც დაშინდა, ერთბაშად შვიდი პროჟექტორის მოცისფრო-მოთეთრო შუქი რომ მიადგა, რომელთა შორის ციცინათელებივით ბჟუტავდა მრავალი მომცრო: სანათები, მაშხალები, სიგარეტები... თავბრუ ეხვეოდა, წამიერად ვეღარც კი განასხვავა მაშინ და ახლა; გაოგნებული იმეორებდა: ეს ნათება მოაშორეთ, ფარდები ჩამოაფარეთ, თორემ ისევ მოფრინდებიან ფრიცები და ნახავთ მერე!

„ნაღდად ვბოდავ," - მიხვდა ბოლოს და საბიჯგელი ჯოხის წვერი გამეტებით დაჰკრა იატაკს. ეს იყო და, თითქოს რაღაც ჯადოსნობითო, წამსვე პოლიციელების მთელი ჯგრო არ გამოიკვეთა სინათ-

ლის წრეში?! როგორც აღმოჩნდა, მავანს დაურეკავს სადაც ჯერ არს - სანაპიროზე ვიღაც-ვიღაც საეჭვო მასტები დაბორიალობენო და რაკი აქ მეთევზეთა ნავებს ხშირად მოჰყვებოდნენ ხოლმე ქვეყანაში არალეგალურად შემოსვლის მოსურნენი, ამ ერთ ანონიმურ ზარს დიდ-პატარა ფეხზე დაუყენებია - აგერ ახლა ორმოცდაჩვიდმეტი კონსტებლი ჩხრეკდა სანაპიროს ხელის სანათებით, ფორმიანები ჰასტინგსიდან, ისტბორნიდან და ბექსჰილიდანაც კი მოჯარულიყვნენ, არავის სურდა დევნის სეირს გამორჩენოდა; ყველა ამათ კი ცამეტი მაძებარი ძაღლი ახლდა, განუწყვეტლად რომ იყნოსავდნენ ღამეული ზღვის ჰაერს, უკანა თათებზე დგებოდნენ და ყეფით იკლებდნენ იქაურობას.

სახლში შეყუჟული ქ-ნი როუზ დიამანტი თვალს არ აშორებდა იმ ხუთ კონსტებლს, მისი სახლის ყველა შესასვლელ-გამოსასვლელს რომ დარაჯობდა ისე, ყოველი შემთხვევისათვის; იმ სამს, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილებს, ყოვლად უმეტყველო სახეებით რომ დაიარებოდნენ და კიდევ ახალგაზრდა ინსპექტორ ლაიმს, თვალს რომ ვერ უსწორებდა, წარამარა ფეხს რომ ინაცვლებდა უხერხულობისაგან, შუბლს რომ იქექავდა და ბევრად უფრო ხნიერი შესახედაობის დადებას რომ ცდილობდა, ვიდრე ეს თავისი ორმოციოდე წელი აძლევდა საშუალებას. ხელჯოხის წვერი ახლა იმას ატაკა მკერდში და დაუცაცხანა: რაღა მაინცადამაინც ამ შუაღამისას აგიტყდათ, ფრენკი? ეს რა უბედურებაა? ოღონდაც ახალგამომცხვარი ინსპექტორი სულაც არ ეპირებოდა ამ ბებრუხანასთვის ნება მიეცა და ასე უცერემონიოდ მიემართა მისთვის ყველას თანდასწრებით - არა ამ ღამით, არა საიმიგრაციო სამსახურის ხალხის წინაშე, ყოველ მის ნაბიჯს რომ წონიდნენ და ამიტომაც, ყბაც ზემოთ აზიდა და რაც შეეძლო, გაიჯგიმა კიდეც:

- ბოდიში მომითხოვია, მისის დიამანტ! გარკვეულ ინფორმაციაზე დაყრდნობით - საფუძველი მაქვს ვამტკიცო, სავსებით

სარწმუნოზე - თქვენს სახლში ჩხრეკა უნდა ჩავატაროთ. ორდერიც ხელთა გვაქვს.

- ნუ მიედ-მოედებით რაღაცას, ფრენკი! - ის იყო აიფოფრა როუზი, რომ იმ სამიდან ჯერ ერთმა ასწია თავი, მერე მეორემ - ცალი ფეხი, მთლად ყანჩასავით, მესამემ კმაყოფილებით ამოიხვნეშა და სამივე კი ქ-ნ დიამანტის ზურგსუკან მიაჩერდა რაღაცას. მერე ერთად, მწყობრი ნაბიჯით გაემართნენ იქით, სასტუმრო ოთახში, სადაც სალადინ ჩამჩა, ცალი ხელით ზონარგაწყვეტილ პიჟამას შარვალს ჩაფრენოდა, მეორეთი კიდე ჯერაც თვალებს ისრესდა, ნამძინარევი.

- ბინგო, - წართქვა პირველმა, მაშინ როცა მეორემ თვალები ზეცისაკენ აღაპყრო, მადლობის ნიშნად, მესამემ კი უცერემონიოდ მისწია გვერდზე ქ-ნი როუზი, მხოლოდ ეგღა ჩაიბურდღუნა: „ჩვენ ბოდიში, მადამ!“

ამის მერე იყო მხოლოდ, ნამდვილი წარღვნა რომ დაატყდა ქალს - პოლიციელების ჩაფხუტებმა წალეკეს წინკარი და ეს პაწია სახლიც ლამის სხვენამდე გამოავსო მათმა უბოდიშოდ მოვარდნილმა ტალღამ. ამიტომაც იყო, რომ ვეღარც ვერაფერი გაარჩია, რას ამბობდნენ ვიღაცის ბოსტნის იავარქმნაზე, რას გაიძახოდა ჩამჩა - არავითარი არალეგალი მე არა ვარ, არც უგანდელი ვარ და არც კენიელი, შემეშვითო... პოლიციელები კიდე იღმიჭებოდნენ და - როგორ არა, სერ, დაგინახეთ, ოცდაათიათასი ფუტის სიმაღლეზე დაფარფატებდით, მერე კი ნაპირისკენ გამოცურეთ! ნება გეძლევათ ხმა არ ამოიღოთ, - როხროხებდნენ, - უფლებები თავზე საყრელად გექნებათ, ნამდვილად!

ოღონდ როუზის სმენას სალადინის საპროტესტო ხმა აღარ მისწვდენია, ისევ თავისას რომ გაიძახოდა - ბრიტანელი ვარ, აქ ცხოვრების უფლებაც მაქვს და მუშაობისაცო, მაგრამ ვინ დააჯერა - არც პასპორტი გააჩნდა და არც სხვა რამ საბუთი და ლამის ჩაბჟირდნენ სიცილისაგან, საიმიგრაციო სამსახურის აგენტებს კი სუფთად გა-

პარსულ ლოყებზე სულ ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდათ ცრემლი: გინდათ თქვათ, ფრენისას გადმოგიცვივდათ ჯიბეებიდან თუ ქალთევზებმა აგწაპნეს? ხალხის ხარხარსა და ძაღლების ყეფა-წკავწკავში ძლივასღა გაიგონა ჩამჩას ბოლო, განწირული ამოძახილი:

- ტელევიზორს მაინც არ უყურებთ არავინ?! ვერ მიცანით? მაქს სხვაპლანეტელი ვარ!!!

- აბა, აბა... და მე კიდე - გომბეშო კერმიტი, მაშ! - აროხროხდა რომელიღაც ლოყებღაჟღაჟა ოფიცერი.

რაიც სალადინ ჩამჩას არ დასცდენია, არც მანამდე და არც მერე: „ა, ბატონო - აგერ ჩემი ტელეფონის ნომერი - დარეკეთ ლონდონში და ჩემს ვინაობასაც იქ დაგიდასტურებენ... ჩემი მშვენიერი, თეთრი, ფუმფულა ინგლისელი მეუღლე დაგიდასტურებთ! მეტი რაღა გინდათ?!“ არა, არ უთქვამს. ეგღა აკლდა.

როუზ დიამანტმა ერთი კიდევ გაიბრძოლა:

- სულ ერთი წუთით, ფრენკ ლაიმ! - თქვა. - ერთი აქეთ მოიხედეთ... მაგრამ ის სამი ისევ თავისას უბერავდა და ბოლოს აქეთ მიათითეს, მათი აზრით, საუკეთესო საბუთზე: სალადინ ჩამჩას შუბლს ორი თოთო, ოღონდ უკვე საკმარისად წამოზრდილი, წვერწამახული რქა უმშვენებდა.

* * *

მანამ, ვიდრე პოლიციელთა ჯგრო სალადინ ჩამჩას მის ახალ ცხოვრებაში შეუძღვებოდა, კიდევ ერთი მოულოდნელი ამბავი მოხდა: ჯაბრაილ ფარიშტას სმენასაც მისწვდა მთელი ეს აყალ-მაყალი და ისიც მეორე სართულიდან ქვემოთ დაეშვა, ჰენრი დი-

ამანტის გარდერობიდან ნასესხებ ნარინჯოვან სმოკინგში გამოწყობილი.

ნაფტალინის ნელსურნელებით გაჟღენთილი, ხვეული კიბის ქვედა ბაქანზე იდგა და მშვიდად, ყოველგვარი საპროტესტო გამოხდომების გარეშე შესცქეროდა როგორ ადებდნენ ხუნდებს მის მეგობარს, როგორ მიათრევდნენ „შავ ყორანში“ ჩასასმელად. უცბად, ფეხშიშველა და ბორკილებდადებულმა სალადინმაც ჰკიდა თვალი და აყვირდა:

- ჯაბრაილ, ღვთის გულისათვის, აუხსენი ამათ რამე!

საიმიგრაციო სამსახურის სამი მუშკეტერი ერთდროულად მიაშტერდა დრამის ამ, სავარაუდოდ, ახალ მოქმედ პირს.

- ვითომ, კიდევ ერთი ზეციური მყვინთავია? - წარბი აზიდა და უნდოდა ეკითხა ინსპექტორ ლაიმს, ოღონდაც დამცინავი შეკითხვა ტუჩებზევე შეეყინა, რადგან სწორედ ამ დროს პროჟექტორებიც გამორთეს, ჩამჩასაც ცხაურებიან მანქანაში უკრეს თავი და რაკი გარეშემო ისევ ბუნებრივი ბინდ-ბუნდი ჩამოწვა, ყველამ კარგად გაარჩია კიბეზე მდგარი უცნობის ზედ თავზე მბჟუტავი ოქროსფერი ნათება, თუმცა ეგაა რომ შემდგომში ისპექტორ ლაიმს სიტყვაც არ დასცდენია ამის თაობაზე და რომც გეკითხათ, ხელებს თუ გაასავსავებდა მხოლოდ - ბებიათქვენისამ, XX საუკუნის ბოლოა და კაცს შარავანდი ადგეს თავზე? კიდე რა გინდათ?!

ოღონდ როგორც კი ჯაბრაილმა ხმისაუწევლად იკითხა, ამ ხალხს რა უნდაო? - უკლებლივ ყველა დამსწრე ერთმა მოურეველმა სურვილმა შეიპყრო: გამოწვლილვით მოეთხროთ მისთვის საკუთარი ფარული ცელქობების ამბები, თითქოს... კარგით ერთი, რასაა რო მიედ-მოედებით - უბრალოდ, სრულიად წეს-კანონის დაცვით ვმოქმედებდითო, - არწმუნებდნენ მერე საკუთარ თავს და არწმუნებდნენ ყველას, ვისაც კი ყურის გდება მოეხალისებოდა, - ქ-ნ დიამანტის ძველი ნაცნობი გახლდათ, სწორედ მათ აღმოაჩინეს ეს ლამის მიმხრჩვალი ვიღაცა გაიძვერა და პირწმინდად კაცთმოყვარეო-

ბის გამო შეიფარეს; არა-ა, რას ბრძანებთ - ტყუილად ვინღა შეაწუხებდა ქ-ნ როუზს ან ბ-ნ ფარიშტას - ამ თვალშისაცემი, წარმოსადეგი ჯენტლმენის ხელახლა მონახულების სურვილიც არავის გასჩენია, იმ მისი რაღაცა, რა-ქვია-იმას... მოკლედ, ექსცენტრიკული გამოხდომები დანაშაულად არ ითვლება, ასეა ეს!

- ჯაბრაილ! - ხაფი ხმით გაჰყვიროდა ჩამჩა. - მიშველეთ რამე!

მაგრამ ამ უკანასკნელის მზერა როუზ დიამანტს დაეპყრო ერთიანად. შეიძლება ითქვას, თვალს ვერ სწყვეტდა. მერე კი თავი დაუქნია და ისევ ზემოთ ავიდა. ასე და ამგვარად, როცა სალადინ ჩამჩამ ბოლოჯერ გაიხედა სახლისაკენ, მხოლოდ ვინმე მოღალატე დაინახა, ზემოდან ქვემოთ რომ დასცქეროდა მეორე სართულის საძინებლის პაწია აივნიდან, და აღარც არავითარი შარავანდედი არ ადგა თავზე, გათახსირებულს მაგას.

2

კან მა კან/ფი ქადიმ აზზამან... - იყო და არა იყო რა, უხსოვარ დროში, ვერცხლად დაფერილ არგენტინის ქვეყანას ერთი ვინმე დონ ენრიკე დიამანტი სახლობდა - ბევრი რამ რომ იცოდა ჩიტებზე და ცოტა - ქალებზე; ასევე, მეუღლე მისი - როუზი, რომელსაც რომ არაფერი გაეგებოდა კაცებისა, მაგრამ სიყვარულისა - ყველაფერი. ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც სენიორა ცხენს დააჭენებდა, უნაგირზე ქალური წესისამებრ გვერდულად, და არა გარდიგარდმო მჯდომი, ფართოფარფლიან ქუდში სირაქლემას ბუმბულგარჭობილი, მათივე ესტანსიის დიდ, ქვის კარიბჭეს მიადგა და რას ხედავს - ნანდუ მორბის მისკენ და თან ისეთი გამწარებით, მხოლოდ ამ დაფეთებულ ფრთოსანს რომ შეუძლია საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად - აქეთ-იქით აწყდებოდა, კუთხე-

ებს ჭრიდა ეშმაკურად... საბრალოს მტვრის ბუღში გახვეული მონადირეები ჩასდგომოდნენ კვალში და სულ რაღაც ექვსიოდე ფუტი რომღა აშორებდა სამშვიდობოს, მტვრის ამ ბუღიდან შხუილით გამოფრინდა ბოლა, ყანჩა ფეხებზე შემოეხვია და ძირს დასცა, ზედ ქალბატონის ცხენის ფლოქვებთან.

კაბალიერო, მსხვერპლისათვის ყელის გამოსაჭრელად რომ ჩამოქვეითდა, თვალს არ აცილებდა როუზს. ვერცხლით მოსევადებული ხანჯალი ამოიწვდინა წელზე შემორტყმული ტყავის ფართო ქამარზე ჩამოკიდებული ქარქაშიდან და ყვითელ მიწაზე მუხლმოდრეკილს, ერთხელაც არ დაუხედია ნანადირევისთვის, ისე მოუღო ბოლო. კაცს მარტინ დე ლა კრუსი ერქვა.

* * *

მას შემდეგ რაც ჩამჩა წააპროწიალეს, ჯაბრაილ ფარიშტა თავის საქციელს ჩაუფიქრდადა არაერთხელ. იმ სიზმარეულ წამს, როცა ბებერი ინგლისელი ქალბატონის თვალებმა თითქოსდა დაატყვევესო, მოეჩვენა კიდეც - საკუთარი ნება აღარ გააჩნდა, ვიღაც სხვის ნებას დაჰყოლოდა და ბოლოდროინდელი ამბების გამაოგნებელ მოცემულობათა, ისევე როგორც თავისივე სურვილის - რაც შეიძლება დიდხანს არ მოეხუჭა თვალი, რაკიღა სულ რამდენიმე დღის წინ გაიაზრა მის სახედველთა მიღმა სამყაროს რეალობასთან კავშირი - აი, ყოველივე ამისაგან გამომდინარე დაასკვნა: უნდა მოვტყდე, ავითესო, ავორთქლდე, თორემ საკუთარ ავ ზმანებათა სამყარო უკვე ჩემივე ცხოვრების ყოველდღიურობაში გამოაღწევს და მერე ვაი ჩემი ბრალი, ვეღარც ვერაფერს დავიწყებ ხელახლა და ვეღარც ხელახლა დავიბადები მასთან ერთად, მისი მეშვეობით - ჰალელუია კონის, ვისაც რომ სამყაროს სახურავისთვის დაუბიჯებია...

თავადაც გაოგნებული გახლდათ - ეგ როგორ მოხდა, მცდელობაც კი არა მქონია ან ჰალეს დავკავშირებოდი, ან ჩამჩასთვის მაინც გამეწოდა დახმარების ხელიო; ის კი არა, არც სალადინის შუბლზე გაჩენილ ორ მეტად უცნაურ წამონაზარდს შეუშფოთებია - რა-რა და ამას მაინც ხომ უნდა გამოეწვია მასში რაღაც ეჭვისდაგვარი! ერთგვარი დაშტერება მოეძალა ეტყობა, ხოლო მოხუც ქალბატონს რომ დაეკითხა ყოველივეს ამის თაობაზე, მეტად იდუმალღიმილიანი პასუხი მიიღო: არაფერია ახალი ცისა ქვეშე და ეგეთი რამეებიც ბლომად მინახავს - რქიანჩაფხუტებიან მამაკაცებსაც ბევრჯერ დაუდგამთ ფეხი ამ სანაპიროზე და საერთოდ, ინგლისისთანა ძირძველ მიწაზე ახალი აღარც არაფერი ხდება, ტორფის ყოველი ფენის თითო ადლიც კი ათასგზის გადავლილ-გადმოვლილია უკვეო. მართალია, დღის განმავლობაში მისი ნაუბარი ზოგჯერ არეულ-დარეულად და უთავბოლოდაც კი მოესმოდა ხოლმე, მაგრამ არც სამზარეულოში ფუსფუსი და მაწიერი საჭმლის მომზადება ავიწყდებოდა მისთვის: ეს სქელ-სქელი შეჭამანდებიო, ეს ზეთში ამოვლებული ორცხობილებიო, ეს ცხვრის შიგანით გაძეძგილი პუდინგიო... და მთელი ეს ხანობა იმგვარი სიმშვიდე დაჰფენოდა სახეზე, თითქოსდა თავად ამ კაცის მუნყოფნა ანიჭებდა ყოვლად აუხსნელ, ღრმა კმაყოფილებას. ფარიშტა სოფელშიც დაჰყვებოდა ხოლმე, საყიდლებზე; იქაურები თვალებს აჭყეტდნენ, ქალი კიდე აინუნშიც არ აგდებდა, მხოლოდ შიგადაშიგ ხელჯოხს თუ აუქნევდა მედიდურად, მისალმების ნიშნად. ასე გადიოდა დღეები. ჯაბრაილი ფეხს არ იცვლიდა.

„წყალწაღებული ინგლისელი მადამაა," - ეუბნებოდა საკუთარ თავს. - „ცოცხალი ლეში. რა ეშმაკი შემიჩნდა?"

ოღონდ მაინც არსად წასულა, უხილავი ჯაჭვით დაბორკილი. ხანდახან ქალი რაღაც ძველ სიმღერას წაუღიღინებდა, ესპანურად - ფარიშტას სიტყვა არ ესმოდა, ცხადია. იქნებადა მჩხიბა-

ვია? ასე ვთქვათ, ფერია მორგანა, ყმაწვილ მერლინს რომ უმღერის ბროლის გამოქვაბულში? კარს მიადგებოდა და ქალიც, თითქოს განგებო, სწორედ ამ დროს აუწევდა ხმას. ჩერდებოდა, გადაიფიქრებდა ხოლმე.

„რა მოხდა ბოლო-ბოლო," - აიჩეჩდა მხრებს. - „მოხუცს უნდა რომ ვინმე ყავდეს გვერდით. მოგონებანი გარდასულ დღეთა, ღმერთმანი. აგე, რა დღეში ჩაიგდო თავი. ასეა თუ ისე, ორი-სამი დღით დასვენება არც მე მაწყენდა. ძალებს მოვიკრეფ და მერე ვნახოთ".

საღამოობით ვერცხლის სამშვენისებით მოფენილ სასტუმრო ოთახში სხდებოდნენ - განსაკუთრებით ჰენრი დიამანტის თაბაშირის ბიუსტის ქვეშ ჩამოკიდებული ვერცხლის ხანჯალი მოგტაცებდათ თვალს - და როგორც კი ბაბუისეული კედლის საათი ექვსს ჩამოჰკრავდა, თითო ჭიქა ხერესის ღვინოს ჩამოისხამდნენ, მერე კი ქალი გუდას მოხსნიდა პირს, ოღონდ არა მანამდე, ვინემ იმავე საათის მექანიზმივით ზუსტად დათქმულ დროს არ იტყოდა: ბაბუ მუდამ ოთხი წუთით იგვიანებს, აქაოდა ზრდილი ხალხი ზედმიწევნით დროსადევნებული არ უნდა იყოსო.

თხრობას რომ იწყებდა, უკვე აღარც იყოდაარაიყორა შესავალი ახსოვდა და აღარც იმას დაგიდევდათ, რამდენად მართალი ან რამდენად მცდარი იყო მონათხრობი, ეგაა რომ მის სიტყვებში მუდამ რაღაც სიმძაფრე იგრძნობოდა ხოლმე, მისი ნების უკანასკნელი მარქაფი. ერთადერთი ნათელი ხანა ჩემს ცხოვრებაშიო, ეს ისე ამცნო, ცხადი გახდა - მახსოვრობის ხლართისაგან გამოკერილი ეს ტომსიკა მართლა მისი გული იყო, ავტოპორტრეტი, სარკეში დანახული საკუთარი თავი, როცა სხვა არავინ იყო ოთახში და რომ მისი სანატრელი სამყოფელი წარსულის ისევ ის ვერცხლის მიწა გახლდათ და არა ეს დაყანთრული ფიცრული სახლი, რომელშიც მუდამ რაღაცას წამოედებოდა ხოლმე - ხან მაგიდის კიდეს, ხანაც - კარის სახელურებს, მერე კი ცრემლები წასკდებოდა და გაიძახოდა: სამყარო იკუმშებაო...

1935 წელს, როცა მავანი ანგლო-არგენტინელის, ვინმე დონ ენრიკე ლოს-ალამოსის საცოლედ ჩავიდა იქ, იმან უკვე ზურგსუკან მოტოვებულ ოკეანეზე მიათითა და უთხრა - აი, ეგაა პამპაო: „მისი შემხედვარე ვერც ვერაფრით იტყვი, რამდენად დიდია: მასში მოგზაურობ, დღე-დღეზე, ის კი არ იცვლება; ზოგან ქარი მუშტივით გირტყამს სხეულზე, თუმცა არაფერი გესმის და რომც დაგაგდოს, მის ხმას მაინც ვერ გაიგებ - ერთი ხეც არაა სადმე და იმიტომ; არც ომბუ, არც ალვის ხე- ჩვენში ნადას რომ ეძახიან... ისე, გახსოვდეს - ომბუს ფოთლებს არ გაეკარო, მომაკვდინებელია. ქარი ვერ მოგკლავს, ფოთლების წვენი კი - სულ იოლად...“ პატარა ბავშვივით აღტაცებულმა შემოჰკრა ტაში: „კარგი რა, ჰენრი - ჩუმი ქარი, შხამიანი ფოთლები... თითქოს ტყის ფერია მიყვებოდეს ზღაპრებს!“ ტალღოვანთმიანი, ტანჩამჯდარი და დიდთვალება ჰენრი გაოგნებული ჩანდა: არა საყვარელოო, - უთხრა. - არც მთლად ასეთი საშინელებაა აქაურობა...

ამ უკიდეგანო, ამოტრიალებული ზღვის სილურჯისქვეშა სივრცეში კი იმიტომაც ჩამოვიდა, რომ ჰენრიმ, უბრალოდ, ხელი სთხოვა: და რა პასუხი შეიძლებოდა გაეცა ამაზე ორმოცი წლის შინაბერას?! ოღონდ ჩამოსვლისთანავე, ახლა საკუთარ თავს მოსთხოვა პასუხი გაეცა შეკითხვაზე: რა უნდა ექნა აქ? საქმე ის კი არ იყო, კარგად იქნებოდა თუ - არც ისე: ახლებურად, სხვანაირად უნდა ყოფილიყო! იცით, - უთხრა ჯაბრაილს, - ერთი მეზობელი გვყავდა, ვინმე ჯორჯ ბაბინგთონი: სულაც არ ვეხატებოდი გულზე და ათას სისაძაგლეს მიყვებოდა სამხრეთ ამერიკაში გადმოსახლებულ ბრიტანელებზე: ერთიანად მსტოვრები არიან, ფირალები და მძარცველებიო. დავიჯერო, თქვენთან, ინგლისშიც ასე იქცევითო? - მეკითხებოდა, მერე კი თავადვე აშანშალებდა პასუხს: არა მგონია მთლად ასე იყოს ეს, სენიორა - უბრალოდ, კუნძულზე გამოკეტილები, ახლა სხვაგან ცდილობთ საკუთარი ფარული თვითობის გამოხატვას...

როუზ დიამანტისათვის კი ღიაცა და ფარული თვითობაც მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულის იმგვარი წყურვილი გახლდათ, რასაც საბრალო ჰენრი ვერაფრით დაარწყულებდა, რაკიღა მთელი მისი სიყვარული ფრთოსნებს დაესაკუთრებინათ: ეს ბოლობეჭედაო, ეს - ჩიბუხაო, ეს - ჭაობის ძერაო... პაწია ბრტყელძირა ნავით ლელიანში ჩასაფრებულს, საველე დურბინდით ხელში, უბედნიერესი დღეები გაეტარებინა მდინარის შამბნარით დაფარულ შენაკადებში. ერთხელაც, ბუენოს-აირესში მიემგზავრებოდნენ მატარებლით და შიგ ვაგონ-რესტორანში მოინდომა ცოლისთვის ეჩვენებინა, სტვენა-სტვენით როგორ იტყუებდა იბისს, წრიპას, ქედანს... რაღა მაგათი სიყვარული აგიტყდა, მე ვეღარც მხედავო? - უნდოდა ეკითხა, მაგრამ თავი შეიკავა, რადგან ჰენრისთვის ის მხოლოდ სულიერის ერთის რამ მომხიბლავი ნაირსახეობა იყო, ვნებალტოლვა კი, ეტყობა, სულ სხვა რასის მახასიათებლად მიაჩნდა... მოკლედ, მთელი ფერმის მეთვალყურედ იქცა და ყოველმხრივ ცდილობდა საკუთარი საძრახისი მიდრეკილებები ჩაეხშო. მხოლოდ ეგ იყო, რომ ღამ-ღამობით პამპაში გადიოდა ხოლმე, ზურგზე წვებოდა და უძირო ცას აშტერდებოდა; ხანდახან კიდე, ამ სილამაზის შემყურეს, მთელს ტანში გააჟრიალებდა, დაკმაყოფილების კანკალი აუვარდებოდა და რაღაც უცნობი ჰანგის მღერას იწყებდა უნებურად, ვარსკვლავებით მოჭედილი ჩარდახით რეტდასხმული.

ჯაბრაილ ფარიშტა: მისი მონათხრობი ხლართივით ედებოდა და იმ სამყაროში აკავებდა, სადაც ხუთი ათეული კაცი ერთად სხდებოდა სადილად, მაგარი ბიჭები იყვნენ ის ჩვენი გაუჩოები, მსახურებს კი არ გავდნენ, ნაღდები იყვნენ და ამაყნი, მეტი რომ არ შეიძლება... მართლა ხორცზე დაზრდილი ბიჭები, ფოტოებზეც კი შეატყობ. გრძელი, უძილო ღამეების განმავლობაში მოუთხრობდა ხოლმე პამპაში ჩამოწოლილ იმგვარ ხვატზე, როცა კანტი-კუნტად ამოზრდილი ხეები კუნძულებად მოჩანდა, მხედრები კი ოკეანის ზედაპირზე მოჭენავე რაღაც მითიურ გმირებს მოგაგონებდნენ. თავად ზღვის აჩრდი-

ლი გეგონებოდა, ღმერთმანი. კოცონის პირას გაგონილ ამბებსაც უყვებოდა - მაგალითად, ერთ ვინმე ღვთისურწმუნო გაუჩოზე, რომელიც გაქირ ვირზე შემჯდარიყო და სამოთხის არსებობას უარყოფდა: დედამისის სიკვდილის მერე, შვიდი ღამის განმავლობაში, ყოველღამ მოუხმობდა მის სულს, დაგვიბრუნდიო. მერვე ღამეს კი სახალხოდ გამოაცხადა - არ ესმის, თორემ უეჭველად გარდამოვიდოდა საყვარელი შვილის სანუგეშებლადო; აქედან გამომდინარეო - ამტკიცებდა, - თუ მოკვდი, მორჩა და გათავდა - მკვდარი ხარ და მკვდარიო. მერე იმ დღეთა ჟამთაღწერის მახეში გააბა, როცა თეთრად ჩაკოსტუმებული, თმაჩამოვარცხნილი პერონისტები მოჯარდნენ და პეონებმა კი დაიფრინეს; ანგლოსებმა რომ სარკინიგზო გზები გაიყვანეს საკუთარი ესტანსიების მომსახურებისათვის; ჯებირებთან დაკავშირებითაც კი შეეძლო რაგინდარა ამბის გახსენება: მაგალითად, საკუთარ მეგობარ ქალ კლაუდეტაზე (მართლა კალთამადლიანი ვინმე იყო, მე არ მოგიკვდე და ვიღაც ინჟინერ გრენჯერს რომ გაჰყვა ცოლად, ნახევარი ჰარლინგემ-ქალაქის გულიც თან გაიყოლა...). სწორედ ამ გრენჯერის აშენებულ ჯებირზე დასეირნობდა მასთან ერთად, როცა ხმა მოვიდა - მოჯანყეები აფეთქებას უპირებენო. გრენჯერმა ცოლი სახლში გააბრუნა, თავად კი იარაღით ხელში, იქვე დარჩა, ჯებირის დასაცავად. ცოტა ხანში მოახლე გოგომ მოახსენა კლაუდეტას, ვიღაცა კაცი გკითხულობთო. აჯანყებულთა თავი აღმოჩნდა. „თქვენი მეუღლე სადღაა, სენიორა?“ - ეკითხება. „ნაღდად იქ გელოდებათო,“ - მიუგო კლაუდეტამ. „რაკი ასე მთლად ხელი აუღია თქვენზე, რევოლუცია დაგიცავთ, სენიორა!“ - შესძახა კაპიტანმა, სახლს მართლა მიუჩინა დაცვა და თავად კი ჯებირისაკენ გააჭენა ცხენი. ოღონდ ამ შეხლაში ორივენი მოკლეს, ქმარიცა და კაპიტანიც, და კლაუდეტამ მოითხოვა გვერდიგვერდ დაესაფლავებინათ. მერე ორივეს ერ-

თად დასტიროდაო, ამბობენ. ასეა, მეტად სახიფათო ვინმე იყო ეს კლაუდეტა - ტროპ ფემმე ფატალე, ნამდვილად.

ამ სულელურ გამონაგონში ჯაბრაილს თავად მისის დიამანტის სევდის გამოძახილი ჩაესმოდა და ასეთ წუთებში ქალის ირიბ გამოხედვასაც მალი-მალ იჭერდა ხოლმე; მერე თითქოს რაღაც გაჰკრავდა გულის კუნჭულში, თითქოს რაღაცა იქიდან გამოძრომას ლამობსო, მაგრამ როგორც კი ქალი მზერას მოარიდებდა და შორეთს გახედავდა, ეს შეგრძნებაც მყის სადღაც ქრებოდა. გადატანილი დაძაბულობის მონარჩენი ჭვალი თუ იყო, ნამდვილად.

ერთხელაც დაეკითხა - ჩამჩას თავზე ამოსულ რქებს თუ მიაქციე ყურადღებაო, მაგრამ იმან წაუყრუა და პასუხად მოუყვა, როგორ იჯდა ხოლმე საჩიხის წინ ლოს-ალამოსში, საჯიშე ბუღები კი მოდიოდნენ მასთან და თავიანთ უზარმაზარ რქიან თავებს ადებდნენ მუხლებზე. ერთხელაც აურორა დე ლა სოლმა, მარტინ დე ლა კრუსის საცოლემ, ყოვლად თავხედური სიტყვა დააგდო: მეგონა, ამას მხოლოდ ქალწულების კალთაში შვებიანო - თეატრალური ჩურჩულით გადაულაპარაკა თავის ხითხითა მეგობრებს; როუზი კი მაშინათვე მოუტრიალდა და მიბნედილი ხმით უთხრა: ბარემ გეცადათ კიდეც, ძვირფასო? მას მერე აურორა დელ სოლი, მთელს იმ მხარეში საუკეთესო მროკავი და პეონ ქალებს შორის კაცებისათვის ყველაზე სასურველი, სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაემტერა ზღვისგაღმიდან ჩამოსულ ამ მეტისმეტად მაღალ და მეტისმეტად ხორცნაკლულ ქალს.

- მისი ალი-კვალი ხარ, - უთხრა ერთხელ ღამით, როცა გვერდიგვერდ, მოფიათებული ფანჯრიდან გასცქეროდნენ ჩაშავებულ ზღვას. - მარტინ დე ლა კრუსის ორეული.

კოვბოის სახელის ხსენებაზე ჯაბრაილს ისე დაუარა ჭიპთან, თითქოს გავარვარებული შანთი ატაკესო; წამოიყვირა კიდეც, ოღონდ როუზ დიამანტს თითქოს არც გაეგონოს არაფერი.

- გახედე! - შესძახა მხიარულად. - აი, ეგერ...

მთვარიან სანაპიროზე, ზედ წყლის პირზე, მარტელოს კოშკის მიმართულებით, ზორბა, ზრდასრული ნანდა მირბოდა - მირბოდა საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად, მიხვეულ-მოხვეული გეზით... გაოგნებულმა ჯაბრაილმა მხოლოდ თვალი გააყოლა, ვიდრე მთლად სიბნელეში არ დაინთქა მისი გრძელფეხება, გველკისერა სხეული...

* * *

შემდეგი ამბავი უკვე სოფელში შეემთხვათ. ქალაქში ეპირებოდნენ წასვლას, ტორტისა და ბოთლი შამპანურის საყიდლად - როუზს სწორედ იმ დღეს გაახსენდა რომ ოთხმოცდაცხრა წლისა მოწეულიყო - და რაკი სანათესაო მის ცხოვრებაში არ არსებობდა, არც ღია ბარათები მოსვლია და არც ტელეფონის ზარებით აუკლია ვინმეს. ჯაბრაილმა დაიჟინა, ეს უნდა აღვნიშნოთო და ბომბეიდან წამოსვლის წინ, შავ ბაზარზე ნაყიდი გირვანქა სტერლინგებით გაძეძგილი სამალავიანი ქამარიც აჩვენა.

- საკრედიტო ბარათებიც არ მაკლია, - დაამატა მერე. - არც იმისთანა ჯიბეგაფხეკილი ვარ, თქვენ რომ გეგონათ. წავედით, მე ვიხდი.

იმგვარ დამოკიდებულებაში ჩავარდნილიყო როუზის მომნუსხავი მონათხრობების მიმართ, ახლა აღარც ახსოვდა თუკი სხვა ცხოვრებაც ელოდა წინ, ან ის ქალი, თავად საკუთარი გადარჩენის ფაქტით რომ უნდა განეცვიფრებინა, ან კიდევ რაიმე ამდაგვარი. თავმდაბლად მისდევდა კვალში ქ-ნ დიამანტს, მისი ხელჩანთებით დახუნძლული. ვიდრე როუზი ხაბაზთან იქავებდა ენას, ის ქუჩის კუთხეში დაბოდიალობდა და უცებ, ისევ იმ ცხელი შანთით დახანჯვლა იგრძნო მუცელში, ფანრის ბოძთან ჩაიკეცა,

პირი დააფჩინა და ცდილობდა, ყლუპი ჰაერი მაინც ჩაეყლაპა. სწორედ ამ დროს, გვერდითა შუკიდან მომცრო, ძველებური ფაეტონი გამოგორდა, შიგ შებმული პონითა და თითქოს საკარნავალო ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდებით სავსე: მამაკაცებს ტანზე შემოტმასნილი, შავი ფერის, ვერცხლით გაწყობილი შარვლები ეცვათ, მკერდზე თეთრი პერანგები ჩაეღეღათ; ქალებს ფერად-ფერადი, ფართო, მრავალფენიანი, მაქმანებიანი კაბები ემოსათ - ალისფერი, ზურმუხტისფერი, ოქროსფერი... უცხო ენაზე იმღერდნენ და მათი ეს მხიარულება მთელს ქუჩას რაღაც მქრქალად, ლამის მოჟამულადაც კი წარმოაჩენდა და ჯაბრაილმაც წამსვე იაზრა, რაღაც ვერ იყო რიგზე - მის გარდა, კაციშვილს არ მიუქცევია ყურადღება ამ მსვლელობისთვის. მხოლოდ საცხობიდან ტორტით ხელში გამოსულმა როუზმა შესძახა:

- აი, მოცეკვავეებიც ჩამოსულან! იქ მუდამ ცეკვები იმართებოდა, ხომ იცი - ძალზე უყვართ ეგ საქმე, მაგათ ეგ ლამის სისხლში აქვთ გამჯდარი...

დააყოვნა და მერე დაამატა: „სწორედაც ცეკვის დროს მოკლა ის სვავი, მაშ!“

ეს ის ცეკვა იყო, რომლის დროსაც ვინმე ხუან ხულია, „სვავად“ წოდებული, რაკიღა მართლა ლეშისმჭამელის იერი ედო ხოლმე, მთლად გაილეშა და აურორა დელ სოლს მიაყენა შეურაცხყოფა; მერე აღარც გაჩერდა და მარტინსაც სხვა რა გზა დარჩენოდა, გამოწვევის გარდა: ჰეი, მარტინ - რა ნახე ამ ქალში ამისთანა? ნაღდში გეუბნები - სისხლი კი არა, წყალი დაუდის ძარღვებში! გარეთ გავიდეთო, - მარტინმა უთხრა, მერე კი ის ორნი პონჩოებს იხვევდნენ მკლავებზე, დანებს ირგებდნენ თითებში, ქორებივით დასტრიალებდნენ ერთმანეთს საცეკვაო მოედნის გარშემო, ხეების ფოთლებში გამოკიდული სანათების შუქზე. ხუანი მოკლეს. მარტინ დე ლა კრუზმა ქუდი გადააძრო და ფეხებთან დაუგდო აურორა დელ სოლს. ქალმა ქუდი აიღო და მერე უყურებდა, როგორ მიდიოდა კაცი, სამუდამოდ.

გრძელ ვერცხლისფერ კაბაში გამოწყობილი, ოთხმოცდაცხრა წლის როუზ დიამანტი მუნდშტუკში გარჭობილ სიგარეტს აბოლებდა გრძელხელთათმანიანი ხელით, „ცოდვის ჯინს“ წრუპავდა მომწვანო შუშის გრძელფეხიანი ჭიქიდან და თან გარდასულ დღეთა კეთილ ამბებს იხსენებდა.

- ცეკვა მომინდა, - განაცხადა უცებ. - ჩემი დაბადების დღეა, მე კი ჯერ ერთიც არ მიცეკვია!

* * *

იმ ღამის დაძაბულობა, როცა როუზი და ჯაბრაილი გათენებამდე ცეკვავდნენ, მეტისმეტი აღმოჩნდა მოხუცი ქალბატონისთვის - მეორე დღეს ცხელებით ჩავარდა ლოგინად და კიდევ უფრო ფანტასმაგორიული ხილვები დაეწყო: ახლა ჯაბრაილი მარტინ დე ლა კრუზსა და აურორა დელ სოლს ხედავდა, კრამიტით გადახურულ, წვერწამახულ სახურავზე რომ ცეკვავდნენ ფლამენკოს, ხოლო პერონისტები ნავმისადგომზე მოგროვილიყვნენ და პეონებს ნათელი მომავლისაკენ მოუწოდებდნენ: „პერონის გაპრეზიდენტების შემთხვევაში ეს მიწები მემამულეებს ჩამოერთმევათ და ხალხს დაურიგდება! ბრიტანული რკინიგზებიც მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებად იქცევა - გავყაროთ ეს ბანდიტები, ეს მძარცველები, ხალხის სისხლის მწოველები!..“ ჰენრი დიამანტის თაბაშირის ბიუსტი დაჰყურებდა ყველაფერ ამას, თეთრკოსტუმიანი აგიტატორი კი მისკენ იშვერდა თითს და გაჰყვიროდა: ეგაა თქვენი მჩაგვრელი, ეგაა თქვენი კლასობრივი მტერიო. ფარიშტას ისე ასტკივდა მუცელი, ისიც კი იფიქრა - ვაითუ დიდი დღე აღარ მიწერიაო, ოღონდ სწორედ მაშინ, როცა მისი გონების ერთი ნახევარი წყლულისა თუ ბრმა ნაწლავის შემო-

ტევის ალბათობას წონიდა, მეორე იმას უჩიჩინებდა, როუზის სურ-ვილთა ძალას მორჩილებ ისევე, როგორც ანგელოსი ჯაბრაილი ხდებოდა იძულებული, მაჰუნდ-ქადაგის მოთხოვნათა მორჩილს ელაპარაკაო.

- კვდება, - მიხვდა ბოლოს. - მალე მეც უნდა წავიდე.

ცხელებით გათანგული როუზ დიამანტი ომბუს შხამზე ბუტბუტებ-და რაღაცას და იმ თავის ავყია მეზობელზე, ვინმე ბაბინგთონზე, ჰენ-რის რომ ჰკითხა ერთხელ: და მეუღლე თქვენი საკმარისად გულ-მშვიდი თუა ამგვარი პასტორალური ცხოვრებისთვისო? მერე კი (ტიფს რომ გადაურჩა) ამერიგო ვესპუჩის მოგზაურობათა აღრიც-ხვა-ანგარიშების ასლი უსახსოვრა. „ცხადია, ეგ კაცი მაგარი მეოც-ნებე ვინმე იყო“, - გაუღიმა დ-რმა ბაბინგთონმა. - „ოღონდ ზოგჯერ ზმანებები რეალობასაც ჯაბნის; ბოლო-ბოლო, მაინც მაგის სახელი არ დაარქვეს მთელ კონტინენტს?“ რაც უფრო ეცლებოდა ძალ-ღო-ნე, მით მეტად ეჯარებოდა ეს ტყუილ-მართალი მოგონებები არგენ-ტინაზე, და ჯაბრაილსაც უკვე შიგანი ეწვოდა; მოხუცის სასთუმალ-თან ჩაყუჟულიყო სავარძელში, და წუთი-წუთზე მატულობდა ზმანე-ბათა სიმძაფრეც. სულ მალე სალამურის ხმა გაისმა, პატარა თეთრი კუნძული ამოიზარდა სანაპიროსთან - თოვლივით თეთრი-თეთრი, ხოლო თეთრსავე სილაზე ალბინოსი ხეები ჩანდნენ: ცარცივით თეთრები, ქაღალდის ფურცლებივით, ყოველი ფოთლის წვერამდე.

აი, ამ კუნძულის გამოჩენის მერე იყო, ჯაბრაილს რომ საღათას ძილი ეწვია; მომაკვდავი ქალის საძინებელში, სავარძელში გადას-ვენებულს, ისე დაუმძიმდა სხეული, განძრევაც აღარ შეეძლო; ოღო-ნდ მალევე უკვე სულ სხვა ოთახში აღმოჩნდა, ვერცხლის ფოლაქე-ბით გაწყობილ შავ შარვალში გამოკვართული, ვერცხლისავე ბალ-თით ქამარზე. მიხმობდით და მეც აქა ვარ, დონ ენრიკე - ეუბნებოდა მძიმეწონოსან, თაბაშირისსახიან მამაკაცს, თუმცა კი ძალიანაც კარგად მოეხსენებოდა, ვინ შეაწია სიტყვა. თვალს არ აცილებდა და

მაშინაც არ მოუცილებია მზერა, თეთრმაქმანებიანი საყელოდან ზემოთ, ყვრიმალებზე რომ გადაჰკრა ქალს სიწითლემ.

ჰენრი დიამანტმა ნება არ მისცა ხელისუფლების წარმომადგენლებს, ამ საქმეში ჩარეულიყვნენ - ეს ხალხი ჩემი პასუხსაგებია, უთხრა როუზს. - ღირსების საკითხი იყო, ბოლო-ბოლო. მერე სულ უფრო და უფრო მეტ ნდობას უცხადებდა მკვლელს, დე ლა კრუზს. მეტი რაღა ექნა - პოლოს ადგილობრივი გუნდის კაპიტნადაც კი დანიშნა! ოღონდ თავად დონ ენრიკე კი ის აღარ იყო, რაც მანამდე: მოიმჩვარა, ჩამოხმა, ორნითოლოგიაც კი აღარ იტაცებდა. რაღაც ჩაიჟანგა ლოს-ალამოსის სამეფოში - თავიდან შეუმჩნევლად, მერე და მერე კი - თვალშისაცემად. თეთრკოსტუმიანი ტიპები დაბრუნდნენ და მათ აღარც არავინ აგდებდა სადმე. როცა როუზ დიამანტს პარტახტიანი ტიფი შეეყარა, ბევრმა ეს ძველი წეს-წყობის ნგრევის ზეგარდმო ნიშნად აღიქვა.

ღმერთო დიდებულო, აქ რა მესაქმება?! - დაფეთებული ფიქრობდა რანჩოს მფლობელის კაბინეტში, თავად დონ ენრიკეს წინაშე მდგარი ჯაბრაილი, მაშინ როცა დონა როზას ნელი-ნელ უფაკლდებოდა სახე, - არაა აქ ჩემი ადგილი. „თქვენი იმედი მაქვს," - ეუბნებოდა ამასობაში ჰენრი; არა ინგლისურად, მაგრამ ჯაბრაილს მაინც მშვენივრად ესმოდა მისი. - „ჩემმა ცოლმა მოტო-მოგზაურობა გადაწყვიტა, ნერვების მოსამაგრებლად... თქვენ კი უნდა დაემგზავროთ, სხვა გზა არაა - აქაურობას ვერ მივატოვებ, მოვალეობები მაწევს." ახლა რაღაცა მაინც ხომ უნდა ვთქვა, რა ვთქვა... ოღონდ როცა პირი გააღო, ვიღაცის სიტყვები თავისით გამოიყარა იქიდან: ეს ჩემთვის დიდი პატივია, დონ ენრიკე! ჩექმების ქუსლების ჭახანი, გატრიალება, ნაბიჯით იარ!

როუზ დიამანტი, თავის ოთხმოცდაცხრაწლის ასაკით გამოწვეული სისუსტის შედეგად, მთლად მოგონებებშიგადავარდა და ახლა იმ ქვეყნის ამბავს იხსენებდა, ნახევარ საუკუნეზე მეტხანს რომ ინახავდა სათუთად, ჯაბრაილი კი ცხენდაცხენ მიჰყვებოდა

მის ისპანო-სუიზას, ესტანსიიდან ესტანსიამდე, არაიანას რელიქტური ხეების კორომების გავლითა და კორდილიერების მთაგრეხილების ძირში აღმართული, უცნაურზე-უცნაური, შოტლანდიური ციხეკოშკებისა თუ ინდური სასახლეების დარად ნაგები შენობების მოსახილველად; სენიორ კადვალადერის მამულზეც გადიარეს, ვისი 7 ცოლიდან ყოველი ცალ-ცალკე იმითაც ფრიად კმაყოფილი გახლდათ, მხოლოდ კვირაში ერთხელ რომ უწევდა ცოლ-ქმრული მოვალეობის შესრულება; ასევე, ავად ცნობილი მაკსუინის მიწაზეც, რომელიც რომ ალემანიის ქვეყნიდან ჩამოსულიყო არგენტინას და მისი ესტანსიის საალმე ჯოხზეც შინდისფერი დროშა ფრიალებდა, თეთრ წრეში ჩასმული სვასტიკითურთ. სწორედ მაკსუინის სამფლობელოში გადააწყდენენ იმ პაწია ყურეს, სადაც როუზმა პირველად იხილა თეთრი კუნძული და აიჩემა, ნავით მივცუროთ იქ, პიკნიკი მოვაწყოთ, ოღონდ არც მძღოლის წაყვანა არ გვინდა და არც ამ ჩემი მოახლისო; მარტინ დე ლა კრუზის წამოყოლაც საკმარისი იქნება, ნიჩბებსაც მოუსვამს, ალისფერ მოსასხამსაც დამიფენს თეთრ ქვიშაზე და ღვინოსა თუ ხორცის ნარჩევ ნაჭრებსაც არ მომაკლებსო...

თოვლივით თეთრი, სისხლივით წითელი, აბანოზის ხესავით შავი... თეთრ პერანგსა და შავ ქვედაკაბაში გამოწყობილი, თეთრზე გაშლილ წითელ ნაჭერზე გადაესვენა, სანამ კაცი (ასევე შავ-თეთრში გადაწყვეტილი) მეწამული სითხით უვსებდა თეთრხელთათმანიანი ხელით გამოწვდილ ჭიქას; და უცებ, მისსავე გასაკვირად - დასწყევლოს ეშმაკმა - ხელს ხელი ჩაავლო, ეამბორა და სურათიც გაიდღაბნა: ახლა იმ წითელ ქსოვილზე ეხლართებოდნენ ერთმანეთს, ყველებიცა და ხემსიც, სალათებიცა და პაშტეტებიც აიზილა მათი ვნების ქვეშ, ხოლო როცა იმ თავის ისპანო-სუიზას დაუბრუნდნენ, ვეღარც ვერაფერს გამოაპარებდნენ ვერც მძღოლის მახვილ თვალსა და ვერც მოახლის იჭვნეულ მზერას, ისე დალაქავებოდათ სამოსი... ოღონდაც სხვა რეალობაში განზე სწევდა ხელს - არა მკაც-

რად, არა - სევდიანად, თავს უარყოფის ნიშნად გადაიქნევდა, კაცი კიდე ადგებოდა, წელში მოხრილი თავს დაუკრავდა და მიუკარებლად ტოვებდა სადილსა თუ ქალის პატიოსნებას. ეს ორი შესაძლებლობა ერთმანეთს ენაცვლებოდა სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარე როუზის გონებაში: ალჩუ და თოხანი - ვქენი-არვქენი-ვქენი-არვქენი და ვეღარ კი გადაეწყვიტა, რომელი სიმართლე სურდა თავისთვის.

* * *

„მგონი, სულ ვგიჟდები," - გაიფიქრა ჯაბრაილმა. - „ის კვდება, მე კი გონება მებინდება". ამასობაში, მთვარეც ამოვიდა; როუზის სუნთქვა ერთადერთი ხმა იყო, რაც ოთახში გაისმოდა: მძიმე, ხროტინა შესუნთქვა-გამოსუნთქვის ხმა. ჯაბრაილი წამოდგომას შეეცადა, მაგრამ მიხვდა, ვერ მოახერხებდა. ზმანებებშორისაც კი მისი სხეული უცნაურად ემძიმებოდა, თითქოს ლოდი დაადეს მკერდზეო. თავად ხილვებიც აბურდული იყო - ერთ ჯერზე რომ ლოს-ალამოსის ფერმაში, თივის ზვინზე ესიყვარულებოდა ქალს, ის კი მის სახელს კრუტუნებდა, მარტინ ჯვაროსანი - მეორე წამს უარს ეუბნებოდა ვინმე აურორა დელ სოლის გამო და არც არავითარი გზა არ არსებობდა, სასურველი - სინამდვილისაგან გამოგერჩია, ანთუ ცოდვის მოგონებები - აღსარებისმიერი სიმართლისაგან: საქმე ისაა რომ სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარესაც კი, თავად როუზ დიამანტს არ ესმოდა, როგორ გაესწორებინა თვალი წარსულისათვის.

მთვარის შუქი ახლა უკვე ოთახშიც აღწევდა, როუზის სახეს დანათოდა და ასე გეგონებოდათ, მთლად მასში ატანსო - რაკიღა ჯაბრაილს შეეძლო დაეფიცა, მაქმანებიან ბალიშისპირსაც კი

ვარჩევ თავისქალის მიღმაო. მერე აივანზე გადმომდგარ დონ ენრიკესა და მის მეგობრას - მოპურიტანო ხედვისა და მუდამ უკმაყოფილო განწყობების მქონე დ-რ ბაბინქთონს მოჰკრა თვალი: იმდენად მკაფიოდ ჩანდნენ, მეტი რომ არ გინდა. აზრმა გაჰკრა - ეს ხილვები მით უფრო მკაფიო ხდება, რაც მეტად ეცლება როუზს ძალ-ღონე და რაც უფრო ილევა მისი სხეული - ერგო, შეიძლება ითქვას რომ თავადაც ქრება და ახლა აჩრდილებს უცვლის ადგილს? იმასაც მიხვდა, ამაზე რომ იყო დამოკიდებული მისივე განცდები - მუცლის ტკივილი, მკერდს დაწოლილი სიმძიმე - და საკუთარი სიცოცხლის დაკარგვის საფრთხეც იყნოსა.

- გინდოდათ, ყალბი ცნობა გამეცა ხუან ხულიას სიკვდილის თაობაზე... - ეუბნებოდა დ-რი ბაბინგთონი. - ეს ჩვენი ძველი მეგობრობის ხათრით მართლაც გავაკეთე. არადა, სწორი არ ვიყავი და აი, ახლა ამის შედეგს ვიმკით... მკვლელს დააფარეთ ხელი და ეს ცოდვა მთელი დარჩენილი ცხოვრება არ მოგასვენებთ, სინდისის ქენჯნა გაგტანჯავთ. შინ დაბრუნდით, დონ ენრიკე - დაბრუნდით და ეს თქვენი ცოლიც თან წაიყვანეთ, ვინემ რაიმე უარესი არაფერი ჩაუდენია.

- ისედაც შინ ვარ, - უპასუხა ჰენრი დიამანტმა. - ჩემი მეუღლის თაობაზე ნათქვამს კი გულსგარეთ გავატარებ.

- საცა არ უნდა სახლობდეს, ინგლისელი მაინც მუდამ ინგლისში გრძნობს თავს, - შენიშნა დ-რმა ბაბინგთონმა და ჩუმად ჩაინავლა მთვარის სინათლეში. - თუკი, დონა როზასი არ იყოს, გულში არ ჩაუვარდა ვინმე.

მთვარეს ღრუბელი გადაეფარა და მხოლოდ ახლა, როცა აივანი დაცარიელდა, ჯაბრაილ ფარიშტამ მოახერხა სკამიდან წამომდგარიყო. მძიმე-მძიმედ, თითქოსდა ფეხებში ტყვია ჩაესხათო, ფანჯარასთან მივიდა. ყოველი მხრიდან, სანამდეც კი მზერა გასწვდებოდა, ქარში ნარშავის ზღვა ლივლივებდა, მთლად ცისკიდურამდე. მაღალი კი გაზრდილიყო, კაცის სიმაღლე. ჯაბრაილმა გაიგონა, უს-

ხეულო ბაბინგთონის ხმამ როგორ ჩასჩურჩულა ყურში: „ბოლო ორმოცდაათი წლის განმავლობაში, ეს ნარშავას პირველი შემოსევაა. წარსული თუ ბრუნდება, აშკარად“. ქალსაც ხედავდა - მცენარის ამ მფეთქავ ხალიჩაზე ვიღაც ფეხშიშველი, ყორნისფერთმაგაშლილი ქალი მორბოდა. „მაინც თავისი გაიტანა,“ - ახლა როუზის ხმა ჩაესმოდა ზურგსუკნიდან. - „სვავთან უღალატა და მკვლელად აქცია. მას მერე დანახვაც კი აღარ უნდოდა მაგ ქალის. ნაღდში ეგრე იყო. ძაან სახიფათო თამაშს ეწეოდა, ძალიან“. ჯაბრაილი უკვე თვალთახედვიდან კარგავდა აურორა დელ სოლს, მაღალი ნარშავა მთლიანად ფარავდა ქალს, ერთმა ზმანებამ სრულიად ჩაანაცვლა მეორე.

იგრძნო, როგორ ჩაავლო რაღაც ძალამ, დაატრიალა და ოთახში მოისროლა. არავინ ჩანდა, მხოლოდ როუზ დიამანტი წამომჯდარიყო ლოგინში, ფართოდ თვალებგახელილი, თითქოს ეუბნებოდა - სიცოცხლეს აღარ ვებღაუჭები და ახლა დამეხმარე, ბოლო გამოცხადებას ვეზიაროო. როგორც იმ მაცნესთან საკუთარ ზმანებებში, სრულიად უცებ და უუნარო ვინმედ იგრძნო თავი... მოხუცმა თითქოს იცოდა, როგორ გამოეწვია მასში ეს ხილვები. ამ ორს შორის დამაკავშირებელ, ერთმანეთზე ჭიპლარით გადამბმელ, მანათობელ ძაფსაც კი ხედავდა.

ახლა ნარშავას უსაზღვროობაში გაჩენილი ტბორის წყლით არწყულებდა ცხენს, ის კი თავისი ფაშატით მოვიდა. აი, ეხვევა, ტანსაცმელს ხდის და თმას მხრებზე უშლის, მიწაზე აწვენს. ქალი ჩურჩულებს: როგორ შეგიძლია ეს, რამდენად შენზე უფროსი ვარ... ის კი ნაზ, ნუგეშისცემის სიტყვებს ეუბნება.

მერე ქალი დგება, იცვამს, ცხენს მოაჯდება და გააჭენებს, მაშინ როცა ის იქვე რჩება, მისი სხეული გახურებულია და მოთენთილი, იქნებ ამიტომაც ვეღარ შეამჩნია, როდის გამოიწვართა ქალის ხელი და ქამრიდან მისი ვერცხლისტარიანი დანა ააცალა...

არა, ასე არა! სულ სხვანაირად იყო:

ცხენდაცხენ მიუახლოვდა ტბორს, ჩამოქვეითდა და ჯიქურ შეხედა კაცს, ის კიდე ეცა, ტანსაცმელი შემოახია, უყვიროდა რომ ვეღარ აიტანდა მის ამ უაზრო უარებს, მიწაზე გაგორდნენ და სწორედ მაშინ იყო, ქალის თითები მის ქამარზე დანისტარს რომ გადააწყდნენ...

არა, ასე არა! სულ სხვანაირად იყო:

ეს ორნი თავდავიწყებაში არიან გადავარდნილნი, ოღონდ ნაზად, ნელა კი ეალერსებიან ერთმანეთს; ამ დროს მესამე ჩნდება ტბორთან, ესენიც ფეხზე წამოხტებიან, დონ ენრიკე კი პაწია პისტოლეტს იღებს ჯიბიდან და გულში უმიზნებს მეტოქეს.

- და გრძნობს როგორ გულამდე უწევს აურორას დანისწვერი, ისევ და ისევ, ეს - ხუანისთვის, ეს - ჩემი მიტოვებისთვის, ეს კიდე - შენი დიდი ინგლისელი ნაბოზარისთვის...

- და გრძნობდა თავისი მსხვერპლის დანა როგორ აღწევდა მის მკერდში, როცა როუზი ხანჯლავდა - კიდევ და კიდევ...

- და მას შემდეგ, რაც ჰენრის ტყვიამ შეუნგრია გულისფიცარი, ინგლისელმა მოკლულის დანა აიღო და რამდენიმეგზის ჩასცა, სულ ერთსა და იმავე ადგილას.

აქ ჯაბრაილს კვნესა აღმოხდა და გონებაც დაკარგა.

აზრზე რომ მოვიდა, მოხუცი ქალბატონი საკუთარ თავს ელაპარაკებოდა ლოგინში, ისე ჩუმად, ძლივს გაარჩია ნათქვამი.

- პამპერომ დაუბერა, სამხრეთ-დასავლეთის ქარმა, წელშივე რომ წყვეტდა აწოწილ ნარშავას; სწორედ მაშინ იპოვეს, ან - ცოტა უფრო ადრე.

და ბოლო, მაგრამ არა უკანასკნელი ამბავიც: როგორ მიაფურთხა აურორა დელ სოლმა სახეში როუზ დიამანტს, მარტინ დე ლა კრუზის დასაფლავებაზე; და როგორ შეთანხმდნენ, რომ არავის მოსთხოვდნენ პასუხს ამ მკვლელობის გამო, თუკი დონ ენრიკე ხელს დაავლებდა თავის ცოლს და სასწრაფოდ გაბრუნდებოდა ინ-

გლისში; და როგორ სხდებოდნენ მატარებელში ლოს-ალამოსის სადგურზე, ხოლო ჩათეთრკოსტუმებული და ბორსალინოს ქუდებ-ჩამოფხატული ტიპები ბაქანზე იდგნენ დასარწმუნებლად, ხომ ნამ-დვილად გაეგმზავრენო; და როცა შემადგენლობა დაიძრა, როუზ დიამანტმა რომ თავისი ხელჩანთა გახსნა და გამომწვევად უთ-ხრა: რაღაც მაინც გამოვაყოლე ხელს. პაწია სამახსოვრო... და ნაჭერში გამოხვეული, ნაღდი გაუჩოს მოსევადებულტარიანი და-ნა ამოიღო.

- ინგლისში ჰენრი პირველსავე ზამთარს გარდაიცვალა. მე-რე კი აღარაფერი მომხდარა. მხოლოდ ომი. დამთავრდა ყველა-ფერი. - მცირე ხნით იყუჩა. - ასე დაჩიავდე, იმხელა სივრცის მე-რე. აუტანელია. - ისევ გაყუჩდა, მერე: - ყველაფერი იკუმშება...

მთვარემ ფერი იცვალა და ჯაბრაილმაც იგრძნო, ისე სწრა-ფად კარგავდა წონას, გაიფიქრა კიდეც - ასე ჭერშიც ავფრინდე-ბიო. როუზ დიამანტი გაუნძრევლად იწვა, თვალდახუჭული; ხე-ლები დაჭმუჭნილ ზეწარზე ესვენა. სრულიად ჩვეულებრივად გა-მოიყურებოდა. ჯაბრაილი მიხვდა, ახლა აღარაფერი მიშლის ხელს, კარი გავაღო და ოთახიდან გავიდეო.

ფრთხილად ჩავიდა ქვევით, მუხლები ჯერ კიდევ უკანკალებ-და; საკიდიდან მძიმე, გაბარდინის პალტო ჩამოიღო, ერთ დროს ჰენრი დიამანტის ჩანაცვამი და მსუბუქი, რუხი ფერის ფეტრის ქუ-დი, რომლის კიდეზე დონ ენრიკეს სახელი იყო თავად მისი მეუღ-ლის ხელით ამოქარგული. მერე კი წავიდა, უკან არც მოუხედავს, ისე. ოღონდ გამოვიდა თუ არა კარში, ქარმა ქუდი გადახადა და ნაპირ-ნაპირ გაუშვა საგორავად. გაეკიდა, დაეწია, დაიბრუნა. მოვდივარ, ლონდონ-შარიფ! მთელი ქალაქი ჯიბეში ედო: ლონ-დონის გეოგრაფია, ნახმარ-გაცრეცილი; მთელი მეტროპოლი-სი, თავ-ფეხიანად.

„ახლა რა ვქნა?“ - ფიქრობდა. - „დავრეკო-არდავრეკო? უბ-რალოდ, ასე დილაუთენია დავადგე თავზე და ვუთხრა - აი, მეც

აქა ვარ, გამიღე კარი! ზღვის ფსკერიდან - პირდაპირ შენს საწოლ-ში... რაღაც მეტია საჭირო, ვიდრე უბრალო ავიაკატასტროფა, შენამ-დე რომ არ მომიშვან! კარგი, იქნებ მთლად ასე არა, მაგრამ რაღაც ამდაგვარი. მოულოდნელობა საუკეთესო საშუალებაა: ჰალე-ბიბი, ჭიტა!“

მერე სიმღერა ჩაესმა. საზამთროდ ნავების დასაბინავებელი ძვე-ლი, ფარღალალა ქოხიდან მოისმოდა, ცალთვალა მეკობრე რომ ეხატა ჩაშავებულ ფიცრებზე და უცხო რამ ჰანგი იყო, თუმც კი სად-ღაც უკვე გაგონილი: სწორედ ამას ღიღინებდა როუზ დიამანტი, და ხმაც ჩვეული, ოღონდ მცირედ განსხვავებული, უფრო ახალგაზრდა. ქოხმახის კარი ღია დარჩენოდათ, აქეთ-იქით ეხეთქებოდა ქარში. ხმის მიმართულებით გასწია.

- პალტო გაიხადე, - უთხრა.

თვითონ კი ისევე ეცვა, როგორც თეთრი კუნძულის მონახულე-ბის დღეს: შავი ქვედაკაბა და ყელიანი ფეხსაცმელები, აბრეშუმის თეთრი პერანგი, ქუდი არ ეხურა. პალტო ფიცრულ იატაკზევე და-აფინა, მისი ალისფერი სარჩული მჭახედ მოჩანს მთვარის შუქმოდე-ბულ პატარა ოთახში. ქალი ინგლისური ყოფის გარემოში წამოწვა: კუთხეში - კრიკეტის ყვანჯები, ნავთის სანათის ჩაყვითლებული თალფაქი, პირმოტეხილი ლარნაკი, დასაკეცი მაგიდა, მუხის ხის განჯინა; თან ხელს იწვდის. გვერდით მოუწვა.

- როგორ შეგიძლია გიყვარდე? - ჩურჩულებს ქალი. - იმდენად შენზე უფროსი ვარ...

3

როცა პოლიციის უფანჯრო ფურგონში პიჟამა წააძრეს და მთელს ბარძაყებზე მოდებულ თავის ჯაგარივით გასქელებულ-დახუჭუჭე-

ბულ თმას ჰკიდა თვალი, სალადინ ჩამჩას იმღამით მეორეჯერ ეცა ელდა; ოღონდ ამჯერად გონებამიუტანელ ხითხითს მოჰყვა - იქნებდა სულაც მისივე დამტყვევებელთა სიცილ-ხარხარს აყოლილი. საიმიგრაციო სამსახურის ეს სამი ოფიცერი მეტად ამჩატებულ ხასიათზე გახლდათ - განსაკუთრებით ის ერთი, რომლის სახელიც, როგორც მერე გაირკვა, შტაინი გახლდათ - უშუალოდ რომ „განაპაკეტა“ სალადინი და თან მხიარულად დასძახოდა: „ვნახოთ ერთი, პაკი - ამ პაკეტში რა დევს!“

თეთრ-წითელ ზოლებად ჩამოაფხრიწეს სამოსი ძირს გაშხლართულ საბრალო ჩამჩას, რომლის აღშფოთებული ხელები ორ პოლიციელს ეჭირა აქეთ-იქიდან, მკერდზე კი ზორბა კონსტებლის ჩექმა აწვებოდა და ასე ხალისიანად, ერთობლივი ძალით ახშობდნენ მის გაბრძოლებებს; შუბლზე უკვე გვარიანად ამოსული რქები აქეთ-იქით ეხეთქებოდა - ხან მანქანის შიშველ იატაკს და ხან - პოლიციელების კოჭ-მუხლს (ამ შემთხვევაში, გასაგები მიზეზების გამო, საპასუხო ალიყურებსაც იღებდა ხოლმე განაწყენებული სამართალდამცავებისაგან) და ასევე ყოვლად გასაგები მიზეზების გამო, მთლად ხასიათწამხდარი გახლდათ; ოღონდაც, საქმე ისაა რომ როგორც კი დაიხედავდა იმაზე, რაც მისი პიჟამას ნაფლეთებს შორის მოჩანდა, იმ ბრიყვულ ხითხითსაც ვეღარაფრით იკავებდა...

ბაყვები გაფართოებოდა და დაკუნთებოდა, მათ თმიანობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. აი, მუხლსქვემოთ კი თმა აღარ ეზრდებოდა, ხოლო ძვალტყავა წვივები, თავის მხრივ, იმგვარი წყვილი, გაორებული ჩლიქებით უმთავრდებოდა, ნებისმიერი ვაცისთვის იქნებოდა თავმოსაწონი; სირს რაც შეეხება, იმხელა იყო და იმხელაზე ადრეკილი, თავისად ვერაფრით სცნობდა.

- ეს რაღაა?! - სიცილით კვდებოდა ვინმე ნოვაკი. - რომელიმე ჩვენგანზე ხომ არ აგიდგა, ჰა?

ჯო ბრუნო კიდე ბარძაყზე ირტყამდა ხელებს და გაიძახოდა - „არა ძმაო, მგონი ნამდვილი ვაცი დავიჭირეთ!“

- შენ კი არა, მე! - არ დაუთმო ნოვაკმა და შიგ უზომოდ გადიდებულ კაკლებში ჩააჭედა მუშტი.

- დაიცათ, ეგრე ჯობია... - სულს ძლივას ითქვამდა შტაინი. - ამისთანა რქიანს...

„რქიანიო“ და იმისთანა ხარხარი აუტყდათ, მათი გაჩერება აღარ იყო. ჩამჩას კი უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ აქეთ შეეშინდა, ემანდ ხმაც თხისა ხომ არ გამიხდაო, თანაც პოლიციელის ჩექმა ისე აწვებოდა მკერდზე, რაიმე ნათლად ჩამოყალიბებული აზრის აღმოთქმა არ არსებობდა. ოღონდ ყველაფერ ამას შევეშვათ და მთავარი მაოცარი ჩამჩასთვის მაინც ის გახლდათ, მისი ეს ზებუნებრივი გარდასახვა ამათ რომ სრულიად ჩვეულებრივ, სახორხოცო ამბად მიაჩნდათ!

„არა-ა, ეს ინგლისი არაა“, - გაიფიქრა და არა უკანასკნელად. აბა ამ მოწესრიგებულ და საღი აზრის მიმდევარ ქვეყანაში რა უნდოდა ამისთანა პოლიციის მანქანას, სადაც ამისთანა ამბები ხდებოდა? ერთი პირობა იმ დასკვნამდეც კი მივიდა, ალბათ აფეთქების დროს მართლა დავიღუპე და ეს ყველაფერი სიკვდილისმიღმა ყოფის შემადგენელიაო... არადა, ასეთ შემთხვევაში, მის მიერ მუდამ უარყოფილი მკვდრების საუფლო ახლა უკვე ხომ რაღაც ფორმასაც იძენდა! სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს. მაგრამ მაშინ, უზენაესი არსება სადღაა - გინდ მოშურნე იყოს და გინდ - მწყალობელი? რატომაა რომ აქაურობა - განსაწმენდელი ქვია თუ პირდაპირ ჯოჯოხეთი თუ რაღაცა - ასე ერთი-ერთზე გავს ყოველი ინგლისელი ბავშვისათვის ნაცნობ საბოძვრებისა და ფერიების სასექსს?! იქნებადა სულაც არ დაღუპულა იმ აფეთქებისას - უბრალოდ, რომელიღაც ფსიქიატრიული საავადმყოფოს პალატაში წევს და ბოდვითი მოვლენები სჭირს? მაგრამ იქვე უარჰყო ეს მოსაზრება, რადგან ბირდაბირ წინააღმდეგობაში მოდიოდა ღამისეული სატელეფონო

ზარისა და ყურმილში ვიღაც მამაკაცის ხმის გაგონებასთან, რის დავიწყებასაც უგერგილოდ ცდილობდა... გარდა ამისა, დარტყმათცვენისაგან ნეკნები ისე უბჟუოდა, მთელი ეს თეორია მოჩვენება-გადაჩვენებების თაობაზე, ვერავითარ საღ კრიტიკას ვეღარ უძლებდა. ამიტომაც, ისევ არსებულისაკენ მოაბრუნა ყურადღება, დღევანდელობისკენ, რაც „შავ ყორანში“ მსხდომ საიმიგრაციო სამსახურის სამ ოფიცერს მოიცავდა, დანარჩენ ხუთ პოლიციელზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ახლა ეს მისთვის მთელი სამყარო იყო - ყოველ შემთხვევაში, ის რაც ამ სამყაროსაგან დარჩენილიყო. უფრო მოკლედ თუ ვიტყვით - შიშისა და ზაფრის სამყარო.

ნოვაკმა და სხვებმაც, უცბად მოსხიპეს სიცილ-ხარხარი და საქმეზე გადავიდნენ:

- ცხოველია ნამდვილი, - თქვა შტაინმა, თან ერთი კიდევ გემოზე ჩააზილა წიხლი.

- ეგრეა. და ცხოველისაგან ცივილიზებულობის რა სტანდარტები გინდა რო მოითხოვო? - კვერი დაუკრა ბრუნომ.

- პირად ჰიგიენაზე აღარას ვამბობ, - ისევ ნოვაკმა გამოიდო თავი. - ერთი ამას დამიხედეთ!

ჩამჩამ ახლაღა შეამჩნია იატაკზე მოფენილი რბილ-თბილი ბურთულები... მართლაც რომ სამარცხვინო ამბავი ხდებოდა მის თავს: ბუნებრივი მოთხოვნილებებიც კი სრულად ვაცისად ქცეოდა! არადა, აკი ფრიად თავშეკავებულ პიროვნებადაც მიაჩნდა საკუთარი თავი! ესეგვარი დეგრადაცია სილჰეთის მხარის ვინმე სოფლელს რომ დამართოდა ან ნახმარი ველოსიპედებით მოვაჭრეს გუჯრანვალადან, კიდევ გასაგები იქნებოდა - მაგრამ მას, სალადინ ჩამჩავალას?! გონებამიუწვდომელი აბავია, ღმერთმანი!

- ჩემო კარგებო, - შეეცადა ხმა გაემკაცრებინა, რაც გასაგები მიზეზების გამო, ყოვლად შეუძლებელი აღმოჩნდა - რაკიღა

ჩლიქებფეხიანი, ზურგზე გადათხლაშული იწვა, გაფარჩხული და თანაც საკუთარი კურკლით გარემოცული. - ჩემო კარგებო, დროზე აღიარეთ შეცდომა თქვენი, სანამ გვიან არაა...

ნოვაკმა ყურთან მიიდო თითები:

- რაო, რა მინდაო?

შტაინმაც წამსვე აუბა მხარი:

- რაღაც ხმა მესმა...

- რა ვერ გაიგონეთ? - გაიკვირვასავით ბრუნომ და ყელმოღერებულმა დაიკიკინა: მე-ე-ე!!!

აქ ისევ აუტყდათ ყროყინი, და თან იმისთანა, ჩამჩას არათუ არავითარი ხერხი აღარ შერჩა საურთიერთობოდ, აქეთ შეშინდა - ემანდ სახმო სიმები არ დაიზიანონო... ისევ დაუარა კანკალმა. ძან-ძაან ცივი იყო ღამე.

ოფიცერი შტაინი, რომელიც რომ ამ სამეულის მოთავედ ჩანდა, ან - ყოველ შემთხვევაში, რაღაც პრიმუს ინტერ პარეს დაგვარი, მკვეთრად დაუბრუნდა კურკლის თემას:

- ამ ქვეყანაში, - განუცხადა სალადინს. - ყველამ საკუთარ განავალს უნდა მიხედოს.

ბრუნომ კი ჭიტლაყის ერთი ამორტყმით წამოაყენა მუხლებზე.

- სრული სიმართლეა, - დასტურჰყო ნოვაკმა. - აბა, მოასუფთავე აქაურობა!

ჯო ბრუნომ ახლა კისერში ჩაავლო ტორი და თავი წინ წაახრევინა.

- მიდი, მიდი! ადრე დაიწყებ, ადრე მორჩები...

***

მაშინაც კი, როცა სხვა გამოსავლის არარსებობის გამო, საკუთარი თავმოყივნების ამ ბოლო ჭაპანსაც სწევდა, სალადინ ჩამჩამ შეამჩნია რომ საიმიგრაციო სამსახურის ეს სამი ოფიცერი აღარც მთლად ისე უცნაურად იქცეოდა, როგორც ადრე - ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ასე გაჭრილი ვაშლივით მაინც აღარ გავდნენ ერ-

თმანეთს: მაგალითად, ოფიცერი შტაინი, რომელსაც კოლეგები „მაკს“ ან „ჯოკს“ ეძახდნენ, ერთ მაიმახ, კეხცხვირიან ტიპად იქცა, ვისი შოტლანდიური კილოკავიც ყურშისაცემად გადაჭარბებული ჩანდა.

- ბილათები დაიადეთ, ბილათები! - გაიძახოდა და დიდის კმაყოფილებით დასცქეროდა ტრაგიკულად პირაწკლაპუნებულ ჩამჩას. - მაგრა ნაყვარება ბიჭები რო საქმეში არიან...

ამან ოფიცერ ნოვაკს (იგივე „კიმი“) - ვისი ფერმკრთალი, ასკეტურნაკვთებიანი სახე შუასაუკუნეების ხატზე გამოსახულ რომელიღაც წმინდანისას წააგავდა და ერთგვარ ღრმად ჩამალულ სულიერ აღრჩევებზე მიათითებდა - უბიძგა საყვარელი სატელევიზიო ვარსკვლავუკები გაეხსენებინა, მაშინ როცა ოფიცერმა ბრუნომ (შუაზე უზადოდ გადაყოფილი, დაბრიონილებული შავი თმა და ამავე დროს, ქერა წვერი - ფერთა მეტად უცნაური წინააღმდეგობა, უნდა მოგახსენოთ), ყველაზე ახალგაზრდამ ამ სამეულიდან, ტუჩების ლოკვით წარმოქვა: მე კიდე ის ნაყვარება, გოგოები რო გამყავს ხოლმე საქმეში... ცხადია, ამას უკვე ცხარეცხარე ანეკდოტებისა თუ ნაღდში მომხდარი ამბების მთელი ნაკადი მოჰყვა, მაგრამ როცა პოლიციელებმაც გამოიდეს თავი, აქ კი უკვე ოფიცრებმა თავიანთ ადგილებზე მოსვეს უმწიფარიკონსტებლნი:

- თქვენისთანა ბიჭუკელები, - მკაცრად მოქუშტა წარბები შტაინმა. - სმენაზე უნდა იდგნენ და ენებს არ იქავებდნენ!

ამასობაში ჩამჩა ლამის იღრჩობოდა თავისი სალაფავით, პირღებინებას ძლივს იკავებდა - იცოდა, ეს მხოლოდ თუ გაუხანგრძლივებდა ტანჯვა-წამებას; ძარაზე დაფორთხავდა, აქეთ-იქით მგორავ კურკლებს აგროვებდა და საიმიგრაციო სამსახურის ოფიცრებისაგან მიღებული მკაცრი შენიშვნით გულდამძიმებულმა პოლიციელებმაც გამოსავალი იპოვეს - ცალკე ჩამჩას უთაქებდნენ ხოლმე შიგადაშიგ და ცალკე - სხვადასხვა კინო-

ვარსკვლავთა თუ მოკრივე-მოჭიდავეთა ღირსება-ნაკლოვანებების აღნუსხვას შეუდგნენ. ოღონდ ეგაა, თავიანთი ზემდგომების მაღალი დონის ღადაობა ვერ გაქაჩეს და ისევ 60-იანი წლების დასაწყისში დუბლის გამკეთებლის - „ტოტენჰემ ჰოთსპურსისა“ და იმდღევანდელი „დიადი ლივერპულის“ შედარებას გადაყვნენ: როგორც მოსალოდნელი იყო, „ლივერპულის“ ხალხმა დეზებიანების თავგადაკლული მომხრეები იმით გამოიყვანეს წყობიდან, აქაოდა დენი ბენჩფლაუერი ერთი იაჟუჟუნა ვინმე იყო - კაცი გვარზე ხტისო - იმათ კიდე ლივერპულელებს სულ „ბაყაყები“ უძახეს და დაპირდნენ, სტადიონის სადმე მახლობლად გვანახა ერთი თქვენი თავი და მერე ჩვენ ვიცითო... რაღა თქმა უნდა, ყოველ მათგანს ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი ხულიგანი ვაი-გულშემატკივრების ჩვევები, რაკიღა ხშირად უწევდათ ქალაქის სხვადასხვა სტადიონზე მორიგეობა და ახლა მათთან ბრძოლის ხერხების სათვალსაჩინოდ გამოყენებაზეც არ იტყოდნენ უარს. მოკლედ, ვითარება საკმაოდ დაიძაბა და სწორედ ამ დროს, ყველამ ერთბაშად საბრალო ჩამჩას მიაპყრო ისევ მზერა. ნაღდად რომ საუკეთესო ორთქლის გამოსაშვები სარქველი გახლდათ - საუბედუროდ, ენაზე კბილის დაჭერის მაგივრად, თავადაც აჭყივლებულიყო გოჭივით და მოსდგნენ მარა რას მოსდგნენ - ოღონდ ისე დიდოსტატურად, ისეთ რბილ ადგილებზე, კვალიც რომ არაფერი დარჩენილიყო.

მოკლედ, როცა ჯოკმა, კიმმა და ჯოიმ შეხედეს, რითი ერთობოდნენ მათი ხელქვეითები, პატარა ბიჭებსაც თავიანთი გასართობი უნდა ჰქონდეთო, - ჩაილაპარაკეს შემწყნარებლურად და სხვა საჭირბოროტო საკითხებს მიუბრუნდნენ: ახლა, საზეიმო იერითა და მორჭმით მსხდომნი, ბრძნულად მსჯელობდნენ დღესინდელ დროში „ცქერასა“ და „თვალყურის დევნებას“ შორის არსებულ ძირეულ განსხვავებაზე, რაც უთუოდ ყურადღების გამახვილებას საჭიროებდა:

- თავისუფლების ერთადერთი გადასახადი - მუდმივი სიფხიზლეა! - წართქვა შტაინმა.

- ვაი! - ყოვლად უზრდელურად გააწყვეტინა ჩამჩამ. - ვუი! უგხ! მი...

* * *

ცოტა ხანში სალადინს რაღაც გან-დგომა დაემართა: აღარც იმის აზრზე არ იყო, მაინც რამდენი ხანი გრძელდებდა ეს მათი „შავი ყორანით“ მოგზაურობა და აღარც იმის, მაინც საითკენ მითრიხინობდნენ; ოღონდ ხმაური ყურებში კი სულ უფრო უძლიერდებოდა, ეს რიტმული კაკაკუკი: ბა-ბი-ლონ-დონ, ლონდონისაკენ. ისიც ითქვას, სეტყვასავით წამოსული დარტყმები ახლა უკვე ლამის ალერსად ეჩვენებოდა, საკუთარი სხეულის გროტესკული გარდასახვებიც აღარ ზაფრავდა და არც თხის კურკლები არ უტრიალებდა გულ-მუცელს: უბრალოდ, საკუთარ პაწია სამყაროში გამოიკეტა, თავადაც მოიკუნტა, ზომაშიც დაპატარავდა თითქოს და ცდილობდა, ამ გზით მოეპოვებინა თავისუფლება.

თვალყურის დევნების მეთოდთა გამოწვლილვით განხილვამ კვლავ გააერთიანა საიმიგრაციო სამსახურის ოფიცერთა და ახალგაზრდა კონსტებლთა ამქარი და სავსებით ამოავსო ის ნაპრალი, რაიც ჯოკ შტაინის პურიტანული ხასიათის საყვედურმა გააჩინა სულ მცირე ხნის წინ. ძარაზე გაშხლართულ ჩამჩას თითქოს შორიდან ჩაესმოდა გამტაცებლების ნაუბარი - საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ვიდეოაპარატურის დაყენებისა და თავად კომპიუტერიზაციის სარგებლიანობის თაობაზე; ამავე დროს, უაღრესად საჭიროდ თვლიდნენ პოლიციელთა ცხენებისათვის უფრო ნაჯერი საკვები რაციონის გამოყოფას ვთქვათ, სა-

ფეხბურთო დერბის დღეებში, რაკიღა კუჭ-ნაწლავის ტრაქტის აშლილობა უცილობლად იწვევდა ფუნის ლავაშების გაძლიერებულ ყრას, რაც თავის მხრივ, ახლა უკვე გულშემატკივართა იმგვარ გულისწყრომას იწვევდა, რომ შეხლა-შემოხლა, გინდა-არგინდა, გარდუვალი ხდებოდა. აი მაშინ კი გავილაღებთ - არ მითხრათ ახლა, ვერაო!

და სწორედ აქ და ამ დროს, ჩამჩას თავში თითქოს რაღაცამ გაიჩხაკუნა.

- კომპს დაეკითხეთ!

საიმიგრაციო სამსახურის სამივე ოფიცერი პირდაღებული მიაჩერდა უცაბედად აღრიალებულ რქოსან პირუტყვს.

- რა-ა მინდაო? - გაიკვირვა ტოტენჰემზე თავგადაკლულმა ერთმა პოლიციელმა. - უფროსო, ერთი კიდე ხო არ მივადოთ ჟანგიან ყბაში?

- ჩემი სახელია სალაჰუდინ ჩამჩავალა, პროფესიული ფსევდონიმი - სალადინ ჩამჩა, - ამოიხავლა ვაცნახევარმა. - მსახიობთა ამქრის წევრი ვარ, ავტომოყვარულთა ასოციაციის მდივანი და გერიკ-კლაბის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე! ჩემი საკუთარი მანქანის სარეგისტრაციო ნომერი - ესადაეს. კომპიუტერში შედით, გემუდარებით!

- ვისაა რო აბამ? - დაეკითხა „წითელი ეშმაკების“ რომელიღაც მხარდამჭერი, თუმცა ხმა კი აღარც მთლად ისეთი ახვრული ქონდა. - თავზე დაიხედე ერთი - როდის აქეთაა რო გაინგლისელდი?! პაკი ხარ და პაკაპუკით დადიხარ... სახელიც კი არ გივარგა - სალი-მალი...

ჩამჩას რაღაც ბრაზისმაგვარი ჯერაც კიდევ შერჩენოდა თურმე:

- და იმათზე რაღას მეტყვი? - რქიანი თავი საიმიგრაციო სამსახურის ოფიცრებისკენ გაიქნია. - რამე იყოს, არც მათი გვარ-სახელებია მთლად ანგლო-საქსური!

ერთ წამს ისეთი ავბედითი სიჩუმე ჩამოწვა, იფიქრებდით მორჩა და გათავდა ამ კაცის საქმე - ახლა ტიკინასავით დაგლეჯენ ნაწილ-ნაწილო, მაგრამ სიბრაზისაგან ფითრსახიანმა ოფიცერმა ნოვაკმა ორიოდ მძლავრი ალიყური აკმარა და მერე ყურში წაუსისინა:

- უეიბრიჯიდანა ვარ, შე სირო... რა გეცოდინება, მარა ბიტლზის ხალხი სულ მანდ სახლობდა.

- მაინც შეგვემოწმებინა, რა ვქნა? - იკითხა შტაინმა.

ზუსტად სამწუთნახევრის მერე „შავმა ყორანმა“ დაასტოპა და საიმიგრაციო სამსახურის სამივე ოფიცერი, ხუთი კონსტებლი და ერთიც მძღოლი-პოლიციელი სათათბიროდ ჩამოსხდნენ. ჩამჩამ წამსვე მოწვა - ახლა ისევ გაჭრილი ვაშლებივით დაემსგავსნენ ერთმანეთს და ქცევითაც ერთნაირად იქცეოდნენ - საერთო ეჭვისა და საერთო განწყობის საჩვენებლად. მაგრამ დიდი ხანი არ გასულა და ჩამჩა მიხვდა, საერთო საპოლიციო კომპიუტერული ქსელის მონაცემებმა, რაც სალაჰუდინ ჩამჩავალას უშუალოდ ბრიტანულ ქვეშევრდომობა-მოქალაქეობას ადასტურებდა, ვერავითარი ხეირი ვერ შეჰყარა: პირიქით, ლამის გაუუარესა კიდეც.

- შეგვიძლია ვთქვათ და თვალნათლივ დავამტკიცოთ კიდეც, ზღვის ნაპირას გადავაწყდით: ეგდო იქ თავისთვის, უგონოდ... - აზრი გამოთქვა ერთმა იმ ცხრა ძმათაგანმა.

- არ გამოვა, - მოუჭრეს მოკლედ. - იქ კიდე ის მოხუცი ქალი იყო და კიდევ ის ერთი ვიღაც შერეკილი.

- წინააღმდეგობა გაგვიწია და ის ბებრუხანა კიდე მიედ-მოედებოდა რაღაცას, ვერაფერი გაგვაგებინა, ის შერეკილი კიდე ხმას არ იღებდა და რა უნდა გვექნა რო? ერთი ამას შეხედეთ - რქიანია და გადარეული, აბა იქვე დაგვეტოვებინა, სანამ ვინმეს არ ურქენდა?!

- მართალია, - ჩაერთო მეორე. - გვეცა და რა გვექნა რა, თქვენო ღირსებავ, ოღონდ მერე სრული სამედიცინო შემწეობა აღმოვუჩინეთ და დაკავების ცენტრშიც ყველა წესისა და რიგის მიხედვით დავკითხეთ, მოწმეების თანდასწრებით - უდანაშაულობის პრეზუმპცია თავპრინციპად გვიდევს თავში, თქვენო მაღალღირსებავ... მოკლედ, ასე და ამგვარად შევუბეროთ?

- კარგი კი იქნებოდა, გაიტანდა ნამდვილად... ოღონდ ბებრუხანასა და მის ყლიყვს რაღა მოვუხერხოთ?

- ეგ მერე. მთავარია შევთანხმდეთ - ზედ სველ ქვიშაზე ვნახეთ რომ ეგდო, უგონოდ.

- მოსულა.

* * *

ჩამჩამ საავადმყოფოს საწოლზე გაახილა თვალი, ფილტვებიდან ყელში რაღაც მწვანე ლორწო აწვებოდა და მერე ენაზე გადმოსდიოდა. ძვლებში ამტვრევდა, თითქოს ვიღაცას საყინულეში შეეწყო კარგა ხნით. წამოახველა, მერე კი ისეთი ახველა და ახველა, სადღაც ოციოდე წუთის მერე რომ მორჩა, ისევ ბალიშზე მიეგდო და ისე გაითიშა, აზრზე მოსვლაც ვერ მოასწრო - სად იყო და რა ხდებოდა მის თავს. გონს მოსულს, უკვე ვიღაც სანდომიანი ქალის კეთილი სახე დასცქეროდა, ზედ აკრული დამაწყნარებელი ღიმილით.

- აწი აღარაფერი გიჭირთ, - დაამშვიდა. - პატარა ფილტვების ანთება აიკიდეთ, ეგაა და ეგ.

თავიც წარუდგინა: თქვენი ფიზიოთერაპევტი გახლავართო, იაჟუჟუნა ფილიპსი. მერე კი დაამატა:

- არასოდეს ვმსჯელობ ადამიანზე მისი გარეგნობის მიხედვით. არასოდეს, სერ.

თქვა და ჯერ ზურგზე გადააბრუნა კარგი მოჭიდავის ილეთით, მერე კი ხალათი აიწია და ერთი ნახტომით შეახტა ზედ.

- ექიმის დანიშნულებაა, - აუხსნა. - ნახევარსაათიანი სეანსები, დღეში ორჯერ.

მეტ ახსნა-განმარტებას აღარ მოჰყოლია, პირთან მუყაოს კოლოფი დაუდო, მერე მოსდგა და პაწია, მაგრამ აშკარად გავარჯიშებული მუშტებით დაუწყო შუაწელის დამუშავება.

პოლიციელთა მიერ სულ ახლახანს, ასე მწარედ ნაცემ-ნაგვემი საბრალო სალადინისათვის ეს უკვე ბოლო წვეთი აღმოჩნდა, გაიბრძოლა კიდეც და თან გაჰყვიროდა:

- შემეშვი-ით! ვინმემ თუ დაურეკა ჩემს ცოლს?!

მაგრამ ყვირილზე ისევ ისეთი ხველა აუტყდა, ჩვიდმეტი წუთი და ორმოცდახუთი წამი არ გაჩერებულა, მომხიბვლელმა ფიზიოთერაპევტმა კი უსაყვედურა:

- ტყუილად მახარჯვინებთ დროს! მარჯვენა ფილტვი უკვე უნდა მომემთავრებინა კიდეც და ახლა მარცხენაზე გადავსულიყავი, ახლა კი მომიწევს ისევ თავიდან დავიწყო ყველაფერი... ბოლოსდაბოლოს, რა ბავშვივით იქცევით!

მერე მართლა თავიდან დაიწყო ყველაფერი - ისე დახტოდა მის გატანჯულ სხეულზე, როგორც როდეოს მოჯირითე და ბოლოსაკენ, თითქოს მთელი ის მწვანე სითხეც გამოუდევნა გავარვარებული ფილტვებიდან. ქალი საქმეს რომ მორჩა, მუყაოს კოლოფი სანახევროდ სავსე იყო ლორწოთი, და სალადინიც აშკარად უკეთ გრძნობდა თავს.

- მალე ყველაფერი გაგიმაგრდებათ და ფეხზეც მაგრა დადგებით, - უთხრა ქ-ნმა იაჟუჟუნამ. - ამ ჯერზე მოვრჩი.

მერე მიხვდა, ცოტა უხერხულად კი გამომივიდაო, სახეწამოფაკლულმა ბოდიშიც მოუხადა და დაღლილ-მოთენთილი ჩამოძვრა ჩამჩას სხეულიდან.

„არა-აა, აქ კიდე გასარკვევია საკითხი...“ - ჩაიბურტყუნა სალადინ ჩამჩამ, მაგრამ როგორც კი სხეულზე დაიხედა, წამსვე წაუხდა ხასიათი: არაფერი, სრულიად არაფერი შეცვლოდა, თუმცა კი იმედოვნებდა, გამოძინების მერე, ეს უბედურებაც ალბათ, უკუღმა გარდაისახებოდაო. ახლაც სხვისი პიჟამა ემოსა, ამჯერად ღია-მწვანე ფერისა, ფეხებიც ისევე ჩლიქებით უმთავრდებოდა და არც პაწია რქებს დასტყობიათ ცვეთა... ამა უსიამო სახედველისაგან სადღაც გვერდიდან წამოსულმა, გულისგამგმირავმა მოთქმამ გადაუტანა ყურადღება:

- ვაი, ავაი, აჰავაი!

„ამას რაღა სჭირს?“ - გაიკვირვა ჩამჩამ. ოღონდ უკვე ათას სხვა ხმებსაც არჩევდა - სულ ცხოველებისა და ფრინველების: ხარების ფრუტუნი გინდა, მაიმუნების წკავწკავი, თუთიყუშების კაკანი... მათ შორის, მგონი, პარაკიტ-თუთიყუშ არრას ხმადაყენებული ლაქლაქიც გამოარჩია. მეორე მხრიდან კი მშობიარე ქალის კივილი მოესმა, აშკარად; მერე - ახალშობილის ჩხავილიც მოსწვდა სმენას, ოღონდ ამით ქალის ხმა არ ჩამწყდარა და მცირე ხნის მერე, იმ პირველ ჩხავილს ახლა მეორეც შეუერთდა, მერე - კიდევ და კიდევ, გაუთავებლად. ჯერ ტყუპები, მერე სამეული, ოთხეული, ხუთეული... მთელი ფეხბურთის გუნდი გამოვიდოდა, ალალად.

მერე ცხვირმაც ამცნო, რომ ამ სანატორიუმსა, სამშობიაროსა თუ ეშმაკმა უწყის, რა დაწესებულებაში აშკარად დაიღვარა რაღაც სულ სხვა სურნელი - ჯუნგლებისა და ფერმის სუნებს ახლა აშიშხინებულ ზეთში მოხრაკული სხვადასხვა აღმოსავლური სანელებლების არომაც დაჰყვა: კურკუმის, ილის, მიხაკ-დარიჩინის...

„ახლა, ეს უკვე მართლა მეტისმეტია,“ - ჩაიბურტყუნა ჩამჩამ. - „დროა გავარკვიოთ ერთი, რა ხდება ჩვენს თავს!“

ფეხები გადმოყო, ჩამოუშვა, დადგომაც სცადა, წაიბორძიკა და იქვე დაებერტყა ძირს, რადგან ტერფების მაგივრად ჩლიქების ხმარებას სრულიად დაუჩვეველი გახლდათ. კარგა ერთი საათი დას-

ჭირდა ამ საკითხის მოსაგვარებლად - სიარულის იმ დონეზე მაინც ხელახლა სწავლას, წარამარა არ ებორძიკა. ნელა-ნელა, ყანყალით მიაბიჯა უახლოეს თეჯირამდე, რომლის უკნიდანაც უცებ გამოხტა ჩეშირის კატასავით ფართოდ პირმომღიმარი ოფიცერი შტაინი, ხოლო მეორე მხრიდან - მისი ორი მეგობარი, და წინ აეყუდნენ, საეჭვოდ.

- როგორ გიკითხოთ? - ღიმილმოუცილებლად დაეკითხა შტაინი.

- თქვენ ის მითხარით, ექიმი როდის მნახავს? ტუალეტი სადაა? როდის გამწერენ? - დააყარა ჩამჩამ.

შტაინი აუჩქარებლად პასუხობდა ყოველ მის კითხვას: ექიმი მალე გეახლებათ, დაი ფილიპსი შესადგამს მოგართმევთ, აქედან კი გამომჯობინებისთანავე შეგეძლებათ წასვლაო.

- ეგ ფილტვების ამბავი კი კარგა დროულად გაიჩალიჩეთ, მე და ჩემმა ღმერთმა! - დაამატა მერე ისეთი სახით, თითქოს მართლა აქეთ უხდიდა მადლობას. - ამით მთელს თქვენს ამბავს დამაჯერებლობას მატებთ, ნამდვილად! სწორედ ეს თქვენი ავადობა თუ იყო მიზეზი, თავს რომ დაგვესხით... სულ მცირე, ცხრა კაცი მაინც დაგვიდასტურებს. მადლობელი ვართ, ნამდვილად.

ჩამჩა პირღია იდგა და კრინტიც ვერ დაეძრა აღშფოთებისაგან.

- და აი, კიდევ რა, - გააგრძელა შტაინმა. - იმ ბებერ ქათამს რაც შეეხება, მისის დიამანტს... საკუთარ ლოგინში იპოვეს, მკვდარზე-მკვდარი. მთლად გათოშილი ყოფილა. ის მეორე ჯენტლმენი კიდე ან აორთქლდა, ან მიწამ პირი უყო, მის კვალსაც ვერ მიაგნეს. ბინძურ თამაშზე გვაქვს ეჭვი. თქვენ რას იტყვით?

და ვიდრე სალადინ ჩამჩას ამ ახალი ცხოვრებიდან ფეხს ამოიკვეთავდა, კიდევ ერთიც დაამატა:

- გულწრფელად გირჩევთ, ბ-ნო მოქალაქე სალადინ, საჩივრების წერა არ დამიწყოთ აქ. ბოლო-ბოლო, ემაგ რქებითა და

ჩლიქებით, მთლად და მაინცადამაინც სანდო კაცი ვერ ჩანხართ, მერწმუნეთ.

სალადინ ჩამჩამ თვალები დახუჭა, ხოლო როცა გაახილა, მის წინ მხოლოდ მედდა და ფიზიოთერაპევტი იაჟუჟუნა ფილიპსი იდგა.

- არა, მაინც საით გაგიწევიათ, ბატონო ჩემო? - დაეკითხა ნაზად. - თქვენ ოღონდ მითხარით, რა მოგსურვებიათ და მერე მე ვნახავ, რით შემიძლია გემსახუროთ.

* * *

- ჩუ!

იმავე ღამით, ამ იდუმალი დაწესებულების მომწვანო ნათელში, სალადინი რაღაც უცნაურმა ხმიანობამ გამოაღვიძა.

- ჩუ-მეთქი... შენა, ბელზებუბ - ადე!

მის წინ მდგარი არსება იმდენად არაბუნებრივი იყო, ჩამჩას ისევ ბალიშში მოუნდა თავის ჩარგვა, მაგრამ უცბადვე გადაიფიქრა: განა ახლა თავადაც ეგეთი არ იყო?..

- სწორად აზროვნებ, - ჩაიბურტყუნა არსებამ. - ხომ ხედავ, სადღაც გენათესავები კიდეც...

სხეული სავსებით ადამიანისა ჰქონდა, ოღონდ თავი ვეფხვისა ედგა, პირი კი სამი წყება კბილებით ჰქონდა გამოტენილი.

- ღამის დაცვა ხშირად წაუძინებს ხოლმე, - აუხსნა. - ჩვენც კიდე ამით ვსარგებლობთ, საურთიერთობოდ.

სწორედ ამ დროს, რომელიღაც სხვა საწოლიდან ისევ გაისმა ის გულგამგმირავი ვაი, ავაი, აჰავაი!.. და ვეფხკაცამ (ანუ მანტიკორმა, როგორც რომ თავად ერჩივნა მისთვის ეწოდებინათ) ბრაზიანად ჩაიღრინა:

- სუფთა ნონა ლიზაა, რა! ბოლო-ბოლო, მხოლოდ დააბრმავეს, მეტი ხო არაფერი...

- რა უქნეს?! - სულ დაიბნა ჩამჩა.

- შენ რა, ციდან ჩამოვარდი? - გაიკვირვა მანტიკორმა. - ახლა ის მითხარი, შევურიგდეთ ყველაფერ ამას?

სალადინი ჯერმაინც ვერაფერში გარკვეულიყო: ასე გამოდის, მთელ ამ გარდასახვებში ვიღაცა სხვაა დამნაშავე? და ეს როგორ, ანთუ - რანაირად?

- ე-ე... და ვის დავდოთ ბრალი? - წაილუღლუღა გაუბედავად.

მანტიკორმა სამივე წყება კბილები ერთად გააღრჭიალა.

- იქით ერთი ქალია, სუფთა ინდურ წყლის კამეჩს გავს, ბუბალუს ბუბალის; არიან კიდევ ნიგერიელი ბიზნესმენები - იმათ იმისთანა კუდები გამოუბეს, გველეშაპს შეშურდება... კიდევ სენეგალელი შოუმენების მთელი ხროვაა, თვითმფრინავში სხდებოდნენ და ჰოპ! - გველებად აქციეს! მე თვითონ ტანსაცმლის ბიზნესში ვიყავი - ბომბეიში მაღალანაზღაურებად მოდელად ვითვლებოდი, ხან კაცის პერანგებს ვუკეთებდი რეკლამას და ხანაც - კოსტუმ-ჟილეტებს. ასეთი კიდე ვის რაღაში ვჭირდები?! - თქვა და უეცრად, ღვარად წასკდა ცრემლი.

- კარგი, კარგი... - მექანიკურად დაუყვავა ჩამჩამ. - მოგვარდება ყველაფერი, აი ნახავ თუ არა. ჯანმრთელად ვიყოთ და ყველაფერს ეშველება.

არსებამ, რომ იტყვიან, თავი ხელში აიყვანა.

- მორჩა, - თქვა ავად. - ზოგიერთ ჩვენგანს ყელში ამოუვიდა ეს ყველაფერი. მეტის ატანა აღარა გვაქვს! დროზე უნდა გავასწროთ აქედან, სანამ რამე ამაზე უარესი არ გვიქნეს. განა არა, ყოველ ღამე ვგრძნობ, რაღაც ისევ მეცვლება სხეულში, რაღაცეები მემართება... მაგალითად, ბოდიში მომითხოვია და, ცუილ-კუილს ვეღარ ვიკავებ. საქმეა ეს?! უკაცრაული პასუხია და... ეს არ გინდათ? - თქვა უცებ და მთელი შეკვრა ცხარე კევი გაუწოდა.

- სუნთქვას უხდება. ერთი მცველთაგანი მოვისყიდე, ბლომად რომ შემოეტანა.

- დაიცათ და, ამას ყველაფერს როგორ გვიხერხებენ, თუ იცით? - დაეკითხა ჩამჩა.

- გამოგვხატავენ ხოლმე, - იდუმალი ხმით ჩაუჩურჩულა უცნაურმა სტუმარმა. - მაგათ გამოხატვის დიდი უნარი შესწევთ და ჩვენც მათსავე შექმნილ ხატებებად ვიქცევით.

- არაა ეგ ადვილი დასაჯერებელი, - თავი გადააქნია ჩამჩამ. - რამდენი ხანი გავატარე აქ და ამისთანა ჯერ არაფერი დამმართნია...

ხმა გაკმინდა, რაკიღა შეატყო, მანტიკორს თვალები მოეწკურა და ეჭვიანად მოშტერებოდა.

- აქ გავატარეო? - ახლა აქეთ დაეკითხა ვეფხკაცი. - ეგ როგორ? რამე რო იყოს, ვირთხა ხომ არა ხარ? ანუ - მსტოვარი? მარტივად რომ ვთქვათ - მოგზავნილი?

იმავე წამს წივილ-კივილი გაისმა პალატის შორეული კუთხიდან:

- გამიშვით! - გაიძახოდა ვიღაც ქალი. - ღმერთო დიდებულო, გამიშვით, რა იქნება! წმიდაო მარიამ, შენ შემეწიე!

მეტად ავხორცი გამომეტყველების მგელმა გადმოყო დრუნჩი თეჯირის ზემოდან და სხაპასხუპით მიაყარა მანტიკორს:

- დაცვა წამი-წამზე აქ იქნება... ისევ ეს შუშის ბერტაა რომ ტეხავს ყალილას, ეშმაკმა წაიღოს მაგისი თავი!

- რა... შუშის? - ენა დაება ჩამჩას.

- კანი შუშად უქციეს, - ჩქარ-ჩქარა აუხსნა მანტიკორმა და აზრზეც არ იყო, მისი უსაშინლესი ავი ზმანება რომ უხსენა სალადინს. - მერე კი ზედვე მიუმტვრიეს და ეს საცოდავი ფეხსადგილშიც კი ვერ გადის თავისით.

ღამისეულ სიმწვანეში ახლა კიდევ ახალი ხმა გაისმა:

- მორჩი რა, ქალო! არ შეგიძლია და ნუ! შესადგმელი ჭურჭელი დაილია?!

მგელკაცამ წუთით გვერდზე გაიყვანა მანტიკორი:

- ეგ კაცი ჩვენთანაა თუ რა?

იმან კიდე მხრები აიჩეჩა.

- ჯერ გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი, ჭოჭმანობს. საკუთარ თვალებს არ უჯერებს და ეგაა პრობლემა.

მერე გაშპნენ, როგორც კი დაცვის ხალხის მძიმე ნაბიჯების ხმა გაისმა კიბეზე.

* * *

მეორე დღეს არსად ნასახიც კი არ იყო არც ვინმე ექიმისა და არც პამელასი, და ჩვენი ჩამჩაც უგზო-უკვლოდ ჩაიკარგა ძილღვიძილში - თითქოსდა წესით, არსებობის ეს ორი სხვადასხვა ფორმა ახლა არა ურთიერთსაწინააღმდეგო, არამედ ურთიერთგარდამავალ მდგომარეობად ქცეულიყო, რომელთა წყალობითაც მუდმივად რაღაც ზმანებები ეხვია გარს... ახლა დედოფალი ელანდებოდა, უზენაესი ხელმწიფის ალერსს შეიგრძნობდა. იგი იყო ბრიტანეთის სხეული, მონარქიის სული, და სწორედ იგი ირჩია, იმას შეერწყა; ის იქცა მის გულის ვარდად, მთვარედ მისსავე სიამტკბილობათა...

იაჟუჟუნა დანიშნულ დროს მოვიდა, მოახტა და გააჭენა, და ისიც მინებდა, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე. ბოლოს, რომ მოამთავრა, ყურში უჩურჩულა ქალმა:

- თქვენც მათთანა ხართ? - და მიხვდა ჩამჩა, ისიც ჩაეთრიათ ამ დიდ შეთქმულებაში.

- საცა თქვენ, მეც იქ! - მოესმა საკუთარი სიტყვები.

ქალმა თავი დაუქნია, სავსებით კმაყოფილი ჩანდა. ჩამჩას მთელ ტანში დაუარა სითბომ, და გაიკვირვა კიდეც ფიზიოთერა-

პევტის ამ პაწია, გარნა მკვრივზე-მკვრივი მუშტების ძალა. ოღონდ ამ დროს ისევ იმ საცოდავი დაბრმავებულის საწოლის მხრიდან მოისმა ახალი მოთქმა:

- საბიჯგელი! ჩემი საბიჯგელი მომპარეს!

- საბრალო ბებერი კუანა! - წამოიძახა იაჟუჟუნამ, ჩამჩას ზურგიდან ჩამოხტა, უსინათლოსთან მიბაკუნდა და ძირს დავარდნილი ჯოხი ჩაუდო ხელებში. მერე სწრაფადვე მიბრუნდა უკან. - ახლა, როგორაა საქმე: შემდეგ ჯერზე ნასადილევს უნდა შემოგიაროთ, გაწყობთ?

უნდოდა კიდევ დარჩენილიყო, მაგრამ ამ ვერცხლისწყალივით ქალს რა გააჩერებდა ადგილზე:

- მაგდენი სადა მცალია, ბ-ნო ჩამჩა! საქმე მაქვს, ხალხს ვუვლი. თქვენს გარდა სხვაც ბევრი მყავს მოსანახულებელი.

ქალი რომ წავიდა, ზურგზე გადაწვა და პირველად გაეღიმა ამ დიდი ხნის განმავლობაში. აზრზეც არ იყო, თუ მისი გარდასახვები ჯერ კიდევ გრძელდებოდა, რაკიღა წარმოსახვაში ახლა ვიღაც შავკანიან ქალს დაჰფოფინებდა თავზე, ხოლო ვიდრე ესეგვარ რთულ საკითხებს გაიაზრებდა, ისევ გაისმა მეზობელი საწოლიდან:

- რა ხანია გაკვირდებით, - მოესმა ჩამჩას. - თქვენი გულკეთილობაც თვალშისაცემია, ნამდვილად. - სალადინი მიხვდა, ეგ კაცი სიცარიელეს უხდის სამადლობელს, რადგან გონია, ფიზიოთერაპევტი ჯერაც იქ დგასო. - მე ისეთი ვინმე არა ვარ, სიკეთე დაგივიწყოთ. ვინძლო ოდესმე სიკეთითვე გადაგიხადოთ კიდეც, ოღონდ ახლა მხოლოდ ეს მადლობის სიტყვები მიიღეთ ჩემგან...

ჩამჩას იმის გული არ ქონდა, პირდაპირ ეთქვა - არავინაც არაა მანდ, ბებერო - ის ქალი რა ხანია წავიდაო... გულმოკლული, მანამდე უსმენდა საწყალს, ვიდრე ის ახლა ცარიელ სივრცეს არ დაეკითხა:

- იმედი ვიქონიო, რომ თქვენც არ დაგავიწყდებით? ხანდახან მაინც თუ გამიხსენებთ ხოლმე?

მერე სიჩუმე ჩამოვარდა; მერე - ხეშეში სიცილი; ლოგინზე მკვეთრი მოძრაობით წამოჯდომის შარიშური. ბოლოს, კარგა ხნის აუტანელი პაუზის შემდგომ, მაღალი შტილის ფინალური მოთქმა-crescendo: ო-ო, ვაი, ავაი, აჰავაი!!!

სულ სხვა სულიერი სიმაღლეებისაკენ მივილტვით, ოღონდაც ჩვენივე მიწიერი ბუნება გვბორკავს... - გაიფიქრა სალადინ ჩამჩამ. განდიდების ლივრეა მანტიის ნაცვლად. სიმწარე შეეპარა სულში. ადრე სულ სხვა ვიყავი - ამყოლი, გულთბილი, ხალისიანი. ახლა კი მხოლოდ შავი წყალი დამიდის ძარღვში.

პამელაც არსად ჩანს. ჭირსაც წაუღია. იმ ღამესვე უთხრა ორივეს - მანტიკორსა და მგელკაცას - თქვენს რიგებში მიგულეთო.

* * *

გაქცევაი საკვირველი სულ რამდენიმე ღამის მერე მოხდა, როცა სალადინის ფილტვები, ქ-ნ იაჟუჟუნა ფილიპსის მეცადინეობით, მთლიანად განიწმინდა იქ ჩაგუბებული ლორწოსაგან. ზემოხსენებულ ღონისძიებას რაც შეეხება, დიახაც რომ სუკეთესოდ გახლდათ ორგანიზებული და არა მხოლოდ თავად ამ ე.წ. „სანატორიუმის“ ბინადარნი მოიცვა, არამედ მავთულხლართების იქით, დროებით დაკავებულთა ცენტრში მყოფნიც. რაკიღა ევაკუაციის დიდ სტრატეგოსად ვერაფრით ჩათვლიდა თავს, ჩამჩა სხვის მითითებებს მორჩილებდა და უბრალოდ, თავის საწოლთან იცდიდა, ვიდრე იაჟუჟუნა ფილიპსმა არ ამცნო - დროაო, მერე კი ერთად გააბიჯეს მთვარის ნათებით მოფენილ ცივ ღამეში, მას მერე რაც ჯერ რამდენიმე დარაჯს ამოდეს ალიკაპი და ხელ-ფეხიც მაგრად დაუბორკეს. გარეთ უამრავი ვინმე გარბოდა

ბნელში და ჩამჩაც პირდაღებული აყოლებდა თვალს იმისთანა არსებებს, ადრე რომ ავ სიზმარშიც არ მოლანდებია: ნახევრად მცენარეებად თუ მწერებად ქცეულ ქალსა თუ კაცს, ზოგს რომ სულაც ქვააგური ჰქონდა სხეულში ჩამატებული; მამაკაცებს, ადამიანური ცხვირის მაგივრად მარტორქის ორმაგი რქები რომ ამოსვლოდათ, ჟირაფივით კისერწაგრძელებულ ქალებს - ეს საშინელებები სწრაფად და უჩუმრად მოძრაობდნენ, იქითკენ გარბოდნენ სადაც მანტიკორსა თუ სხვა კბილბასრ მუტანტებს დიდრონი ხვრელები გამოეღრღნათ მავთულხლართში. იქიდან თავდაღწეულები კი სულ სხვადასხვა მხარეს მიეშურებოდნენ: მართალია უიმედოდ, მაგრამ - უსირცხვილოდაც...

სალადინ ჩამჩა და იაჟუჟუნა ფილიპსი გვერდიგვერდ გარბოდნენ, მის ჩლიქებს კი სულ თქარათქური გაუდიოდა ქვაფენილზე. აღმოსავლეთით, - უთხრა ქალმა და იგრძნო, ახლა ეს თქარუნი რომ ჩაენაცვლა აქამომდე ყურებში რატომღაც გაჩენილ წუილს - აღმოსავლეთით აღმოსავლეთით აღმოსავლეთით - ისინი ახლა მიხვეულ-მოხვეული ბილიკებით მიემართებოდნენ ლონდონ-ქალაქისაკენ.

4

ჯამშიდ ჯოში პამელა ჩამჩას საყვარელი სწორედ იმ ღამით გახდა (არადა ქალი მერე ამტკიცებდა - სრულიად შემთხვევითო), როცა ამ უკანასკნელმა საჰაერო კატასტროფაში საკუთარი ქმრის დაღუპვის ამბავი შეიტყო. ასევე შემთხვევით, სწორედ ჯამიმ აიღო ტელეფონის ყურმილი და რაღა გასაკვირია, თუკი ზედ შუაღამისას, საიქიოდან თავისი ძველი, კოლეჯისდროინდელი ძმაკაცის ხმა გაიგონა - ბოდიში, ალბათ ნომერი შემეშალაო და ეს ყველაფერი სულ რაღაც ორი-

ოდ საათის მერე, რაც მან და პამელამ, სულ რაღაც ორიოდ ბოთ-ლი ვისკის შემწეობით, ორზურგა ცხოველი განასახიერეს - მცი-რეოდნავ მაინც დაძაბვოდა ნერვები!

„ვის რა ეშმაკი შეუჩნდა ამ დილაუთენია?“ - იკითხა პამელამ, ზურგზე გადაბრუნდა და თვალები მოიფშვნიტა. „მხვნეშავი იქნე-ბოდა ვიღაც“ - გაეპასუხა და არც არაფერი, ოღონდ ახლა, სა-წოლზე შიშლიკანა წამომჯდარს, მარტოს უნდა ენერვიულა - ჩვე-ულებისამებრ, პირში ცერათითგაჩრილს.

ჯამშიდ (ჯამი) ჯოში მართლა ნერვების ერთის საჭურჭლე გახ-ლდათ, გამხდარი და ბეჭებთხელი, ფერმკრთალი და წყლიან-თვალებიანი; ჯერ ისევ ყორნის ფრთასავით შავი, ხუჭუჭა თმა - მუდმივი ნერვიულობისაგან იმდენად ნაწვალები წარამარა ხე-ლების წავლებით - აღარც სავარცხელს მორჩილებდა, აღარც ჯაგრისს და სწორედ ამის გამო, მუდმივად ლოგინიდან ახალწა-მომდგარისა თუ სულაც, ახალგამოღვიძებულის იერი ედო ხოლ-მე. სიცილიც მაღალხმიანი, აღგზნებული და ხშირად, თვითგამ-კილავი იცოდა... იქნებადა ამიტომაც შეუმოკლეს სახელი და ყვე-ლა, პამელა ჩამჩას გამოკლებით, ახლა მხოლოდ ჯამის ეძახდა. „ბოლო-ბოლო, ახლა ეს ქალი სალადონ ჩამჩას ცოლია თუ ქვრივი?“ - დაეკითხა საკუთარ თავს, თან ცერა თითს წუწნიდა. - „არა-ა, მაინც ცოლი გამოდის...“ მაგრა გაუტყდა და სადღაც, გა-ნაწყენდა კიდეც ჩამჩაზე: ყოფილიყო თავისთვის იმ თხევად საფ-ლავში - ეს უდროოდ მობრუნება რაღა იყო?! სუფთა ოპერეტა, შენ ნუ მომიკვდები, ჩვენს დროში... უხერხულიც კია, ბოლო-ბო-ლო.

ჯამი მაშინვე მიადგა პამელას, როგორც კი ახალი ამბების გა-დაცემაში ბოინგის კატასტროფის თაობაზე შეიტყო: მისასამძიმ-რებლად მივიდა, რაღა თქმა უნდა, ოღონდ ქალის თვალები რომ მშრალ ადგილზე დაუხვდა, დარჩა კიდეც. ქალმა თავისი მომავა-ლი საყვარელი კაბინეტში გაიყვანა, საცა ვარდის ბუჩქების ამ-

სახველი აკვარელები Partido Socialista-ს სააგიტაციო ფურცლების გვერდიგვერდ ეკიდა; იქვე ნახავდით ნაცნობ-მეგობართა ფოტოებსა და აფრიკული ნიღბების მთელ კოლექციას, ათასნაირ საფერფლესა თუ ფანტასტიკის ჟანრში მოღვაწე ფემინისტი მწერლების კრებულებს.

- უცნაური ამბავია, - გამოუტყდა პამელა ლოველასი. - როცა ეს საშინელება მაცნობეს, წამსვე გავიფიქრე: გადი-გამოდი, არც ისეთი დიდი დანაკარგია-მეთქი...

ჯამი, რომელსაც უკვე თვალს ცრემლი ჰქონდა მომდგარი, ადგილზევე გაშეშდა: აშკარად დიდი ზომის, ფართხუნა შავ პალტოში გამოხვეული, ფერმკრთალი და შემკრთალი, ახლა იმ ვამპირს გავდა, მოულოდნელად რომ გადააწყდება მისთვის ესოდენ საძულველ დღის სინათლეს. მერე ვისკის დაცარიელებული ბოთლების გროვას შეავლო მზერა - პამელას, მისივე აღიარებით, სულ რამდენიმე საათის წინ დაეწყო სმა, ოღონდ ბეჯითად, მეთოდურად, რიტმულად, სტაიერის მიზანდასახულობით მიიწევდა მიზნისაკენ. ჯამი გვერზე მოუჯდა და შესთავაზა, ამ შემთხვევაში იქნებ ლიდერის მაისური ახლა მე გადამეცვაო...

- როგორც ინებებთ, - უარზე არ დამდგარა ქ-ნი პამელა და ნახევრამდე ჩაყვანილი ბოთლი გადაულოცა.

ახლა კი იჯდა ასე, ბოთლის მაგივრად საკუთარ ცერა თითს წუწნიდა. საქმე ის გახლდათ, სალადინ ჩამჩას იდუმალი გარდამოსვლისა და საკუთარი ნასმურობის გამონაყოლი ერთნაირად უგუგუნებდა თავში, ის კი არასოდეს ყოფილა არც სმისა და არც რაღაც საიდუმლოებების გახსნის დიდი ტრფიალი. იგრძნო, კვლავაც ეძალებოდა ცრემლი, ამიტომაც გადაწყვიტა, ავდგები და ცოტას გავივლ-გამოვივლიო. მუხლის გასაშლელად, რატომღაც, მანსარდა აირჩია - სალადინი სახლის ამ კუთხეს „ჩემს ბუნაგს“ უხმობდა; სახურავში შუშის უზარმაზარი სარკმელი ჰქონდა ჩატანებული და ფანჯრებიც ამაყად გადაჰყურებდა გარშემო გაშლილ საზოგადოებრივი დანიშ-

ნულების ტყე-პარკს - მუხისა თუ ფოთლოვანის კორომებსა და თქვენ წარმოიდგინეთ, ერთადერთ თელასაც კი, ჭირის წელს რომ გადაურჩა. ჯერეთ ვარჯი, მერე - ფესვი, მერე კი მეყოლე ვარდივით... ჩაიბურტყუნა. ა, ძმაო - აკი ხეებიც გვაფრთხილებდნენ, ცუდი ამბავია თქვენს თავსო! გააჟრჟოლა, თავი ბუზნაკბენი ცხენივით გადაიქნია და კაკლის ხის პაწია მაგიდაზე შემოსკუპდა. ერთხელ, ჯერ კიდევ კოლეჯში მოწყობილ დროსტარებაზე, სწორედ ასევე შემომჯდარიყო დაქცეული ღვინითა და ლუდით მოთხვრილი მაგიდის კიდეზე, მაზალოდ გამოპრანჭული ვიღაც გოგოს გვერდით და ამაოდ ცდილობდა, საუბრის გასაბმელი ორიოდ სიტყვა გამოეძებნა. ბოლოს მაინც ამოღერღა რაღაც სულელურზე-სულელური, ის კიდე ზანტად მოუტრიალდა და დათხაპნილი ტუჩები არც აუმოძრავებია, ისე გადმოუგდო: მორჩი რა, ტოლი ნახე! მთლად წაუხდა ხასიათი, აბა რა იქნებოდა და უკვე ხელჩაქნეული დაეკითხა - რამე რო იყოს, ამ ქალაქში ყველა გოგო ასე რატო მეუზრდელებაო? იმან კიდე დაუფიქრებლად მიახალა - იმიტომ რომ მეტს მაინც არ იმსახურებო. სულ ცოტა ხნის მერე კი ჩამჩა გამოჩნდა - თეთრ კურტაში გამოხვეული, თავ-ფეხიანად პაჩულის სურნელით გაჟღენთილი, რაღაცა პაროდია აღმოსავლურ იდუმალებაზე, და ხუთ წუთში გოგოც მისი იყო... ძაღლიშვილი, - გაიფიქრა ჯამშიდ ჯოშიმ, რაკიღა მწარე მოგონებები მოსძალებოდა. - არც სინდისი აქ და არც ნამუსი, უსირცხვილოს მაგას... ოღონდ ფული მისცენ და რასაც გინდა, იმას ისახიობებს - ხელისგულიმაიტაგიმკითხაო ბიჭო თუ კურტამოსხმული ჰარეკრიშნა დჰარმას მათხოვრები თუ რა ვიცი, ვერასოდეს მნახამ მკვდარსა! აი, ამ ბოლო სიტყვამ გაჭედა: მკვდარსა. გოგოები არასოდეს დაგდევდნენ კუდში, ჯამი. სიმართლე თუ გინდა, ესაა და ყველაფერი დანარჩენი შურია მხოლოდ. კარგი, ეგრე იყოს - ლამის დათანხმდა მაგრამ მერე ისევ თავიდან წამოიწყო: ან მკვდარია, ან - არა, მიდი ახლა და გაიგე...

თავად ჩამჩას ეს საცხოვრისი ჩვენს ძილგატეხილ ჯამის მსახიობის არტისტულად გაწყობილ საპირფარეშოს რაღაც გაკილვად მოეჩვენა: სახელოვანი თანამოძმეებისმიერ წარწერილი ფოტოები, აფიშები, პროგრამები, ჩარჩოში ჩასმული სიგელ-გუჯრები, რაღაც სამახსოვრო ჯილდოები, კინოვარსკვლავთა მოგონებების ტომეულები, ათასგვარი სამშვენისები - ოთახი ნახმარი ნივთების მაღაზიაში ნაყიდ ტანსაცმელს გავდა, მდარე ცხოვრების მიბაძვას, ნიღბის ნიღაბს; არადა, ყველგან რაღაც ყურით მოთრეული სიახლის ნიშნებიც გეჩხირებოდათ თვალში: როიალის ფორმის საფერფლეები აქა თუ იქ, ჩინური ფაიფურისაგან ჩამოსხმული პიეროები წიგნების თაროდან იჭყიტებოდნენ და ყოველგნით - კედლებიდან გინდა, ფერადი სარეკლამო აბრებიდან, ბრინჯაოს ეროსის ხელში დანთებული სანათის თალფაქიდან, გულის ფორმის სარკიდან - მეწამულ სისხლისფრად მოწვეთავდა სალადინის მხრივ სიყვარულის თანაზიარობის მოთხოვნილება.

თეატრში ყველა მტლაშა-მტლუშობს და სიყვარულს ეფიცება ერთურთს; მსახიობის ცხოვრება იმთავითვე გულისხმობს სიყვარულის სიმულაციას და ნიღაბიც შეიძლება დაკმაყოფილდეს, ან თავი ინუგეშოს მაინც, სასურველისაგან მოძახილი ექოთი. აშკარად, სასოწარკვეთა ეძალებოდა, - გაიფიქრა ჯამიმ. - ყველაფერს იზამდა, ჯამბაზის ჩაჩსაც დაიხურავდა, ნებისმიერ გარდასახვას მოირგებდა, სიყვარულის თუნდაც ერთი ბეწო გამოვლინებისათვის... სალადინ ჩამჩა, რომელსაც საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობაში, დასაჩივლად სულაც არ ქონდა საქმე. საბრალო, მიუსაფარის ერთი. უმშვენიერესი პამელაც კი ვერაფერს რგებდა.

ისიც ცხადია, იოლად არც ქალისათვის იქნებოდა ის თეთრ ცხენზე მჯდომი მეფისწული; სადღაც მეორე ბოთლ ვისკის ჩაცლის მერე, თავი მხარზე ჩამოადო და მოჰყვა შექეიფიანებულის მიეთ-მოეთს:

- აზრზე არა ხარ რაგვარი შვებაა, როცა ვინმე იმისთანასთან წვები, ვისთანაც წარამარა ბრძოლა არ გიწევს საკუთარი აზრის გამო-

სათქმელად! აი იმისთანასთან, სულ მამაცხონებული ანგელოზე-ბის მხარეს რომ არ დგას... - დააცადა; დიდხანს ლოდინი არც და-ჭირვებია, მალევე გააგრძელა: ეგა და ის მისი სამეფო ოჯახი - ეს კრიკეტიო, პარლამენტის შენობაო, დედუფალიო... საშობაო ბა-რათზე გამოსახულად დაურჩა ყველაფერი. სიმართლეს ვერ და-ანახებ, არც ეცადო.

პამელამ თვალები მოხუჭა და ვითომ უნებლიედ, ახლა მის მხარს დაეყრდნო.

- ნამდვილი სალადინი იყო, - თქვა ჯამიმ. - წმინდა მიწაზე ჩა-მოსული, თავისი ინგლისის დასაპყრობად. აი, ამის სწამდა. შენც ამ გეგმის ნაწილი იყავი...

- რაის ნაწილი?! უბედური ბრიტანია ვიყავი! თბილი ლუდი, პუდინგი, საღი აზრი და მე. ოღონდ მე მართლა ნაღდი ვარ, ჯეი-ჯეი - მართლა-მართლა. - თავი დახარა, თავისკენ მიიზიდა, ტუ-ჩებზე დაეკონა, თავისებურად. - ახლა ხვდები, რასაც ვგულის-ხმობ?

ახლა კი ხვდებოდა, ნამდვილად.

- ერთი მოგესმინა მაგისთვის გაქანებული ფოლკლენდის ომის დროს! - თქვა ქალმა, თან იხდიდა, და თან, შიგადაშიგ, კა-ცის დაკულულებულ თმას ეთამაშებოდა. - პამელა, დავუშვათ და შუაღამისას რაღაც ხმაური მოგესმა ქვემოდან, ჩახვედი და რას ხედავ - ვიღაც მაიმახი დგას თოფით ხელში და გეუბნება - უკან აბრუნდიო... რას იზამდი? რას ვიზამდი რა, დავუჯერებდი-მეთქი, ვუთხარი. მაგაშია საქმეო, - მეუბნება. - სახლში რომ შემოგეჭრე-ბიან, ასე არ უნდა მოიქცეო... მერვინმა შეამჩნია, როგორ მომუშ-ტა თითები. - ვუთხარი, როცა ორს სახლის აშენება უნდა, ერთი რაღაცას საქმიანობს, მეორე კი თოფით ხელში დაადგება თავს, მერე აღარ უნდა გითხრას „ასე არ უნდა მოიქცე!“ ასეა.

- წყალი არ გაუვა, - ბრძნულად დასტურჰყო ჯამიმ.

- აბა რა! - წამოიძახა ქალმა და მუხლზე დაუტყაპუნა ხელი. - ეგ-რეა. კიდე დავლიოთ!

მაგნიტოფონისკენ წაიხარა და ღილაკს დააჭირა თითი. „ვაი ჩემს თავს უბედურს," - გაიფიქრა ჯამიმ. - „ბონი M-ღა მაკლდა! მაგარი ქალია, ოღონდ მუსიკის ამბავში კი ბუმჩიკაბუმ. მერე უცბად ცრემლები წასკდა, ყალბი ემოციით გამოწვეული ნაღდი ცრემლები, სულიერი დისკო-ტკივილის რიტმული ცემა.

ასოცდამეჩვიდმეტე ფსალმუნი გახლდათ, Super flumina. მეფე დავითი, საუკუნეების მიღმიდან მოტირალი. ვითარმე ვგალობდეთ გალობასა უფლისასა ქუეყანასა უცხოსა.

- ფსალმუნებს სკოლაში გვაზუთხინებდნენ, - აუხსნა იატაკზე ფეხმორთხმულმა პამელა ჩამჩამ. მუნ დავსხედით და ვსტიროდით, რაჟამს მოვიხსენეთ ჩვენ სიონი. - თვალები მილულა და გააგრძელა: უკეთუ დაგივიწყო შენ, იერუსალემ, დაივიწყენ მარჯვენაცა ჩემი; აექუნ ენაი ჩემი სასასა ჩემსა, არა თუ მოგიხსენო შენ და არა თუ პირველ განგებელ-ვყო იერუსალემი, ვითარცა იგი დასაბამსა მას სიხარულისა ჩემისასა...

მოგვინებით, უკვე ლოგინში მწოლიარეს, სამონასტრო სკოლაში გატარებული წლები ესიზმრებოდა, დილისა და მწუხრის ლოცვები, ფსალმუნების გალობა და სწორედ ამ დროს ჯამშიდი შემოვარდა, ყვირილით:

- მორჩი რა! არ მომკვდარა. წყეული სალადინი - ცოცხალია და ეგრე?!

* * *

უცბადვე გამოფხიზლდა - სქელი, ტალღოვანი, ინით დაფერილი, თითო-ოროლა ჭაღარაშერეული თმა თითებშორის გაიტარა; ლო-

გინზე წამოიწია, აცალა სანამ ჯამი ლაპარაკს მორჩებოდა და მერე ეცა, მუშტები დაუშინა მკერდზე, მხრებზე, სახეშიც კი - რაც კი შეეძლო, მთელი ძალით. ის კიდე ლოგინზე ჩამოჯდა, სასაცილოდ გამოიყურებოდა ქალის ხალათით შემოსილი; არც ხმა გაუღიადა არც წინააღმდეგობა გაუწევია, მარტო ერთი ის გაიფიქრა რატომღაც, ემანდ ხელი არ მოიტეხოსო. მერე, სუნთქვაამოგდებულები, გვერდიგვერდ ისხდნენ, უხმოდ.

ოთახში ახლა მისი ძაღლი შემოცუნცულდა, შეშფოთებული, პამელასთან მივიდა, თათი კალთაზე ჩამოადო და მის მარცხენა ფეხს დაუწყო ლოკვა. ჯამი მოუტრიალდა, ფრთხილად.

- მეგონა, მოგპარეს. - თქვა.

პამელამ თავი დააქნია - „კი, ეგრე იყო, ოღონდ... მერე ქურდები დამიკავშირდნენ და გამოსასყიდი მომთხოვეს. მივეცი, რა უნდა მექნა. ახლა გლენს თუ დაუძახებ, მხოლოდ მაშინ მორბის და ძაანაც კარგი - ვერც ვერასოდეს ვახერხებდი მაგისთვის ის ბრიყვული სახელი, შერხანი დამეძახნა“.

ცოტა ხნის მერე, ისევ ჯოშმა ამოიღო ხმა:

- დაიცა და, ეს რა იყო...

- მორჩი რა! არ დამიწყო ახლა...

- იმის თქმა მინდა რომ მეც მომსვლია ეგეთი რაღაცა და მგონი, ერთადერთი ჭკვიანური რამ ჩემს ცხოვრებაში...

თურმე ნუ იტყვით და 1967 წლის ზაფხულს, მასხარად იგდებდა თურმე ანტისამხედრო დემონსტრაციაზე გამოსულ ოცი წლის სალადინს: ქალაქში პრემიერ-მინისტრი ჰაროლდ უილსონი ჩამოსულიყო და ვიღაც-ვიღაცეებს ლეიბორისტების მიერ აშშ-ს ვიეტნამში ომის წარმოების მხარდაჭერის საპროტესტო მსვლელობა მოეწყოთ. ჩამჩას, მისივე აღიარებით, „ცნობისმოყვარეობამ წასძლია“ - მინდა ვნახო ერთი, ინტელიგენტებად წოდებული ეს ხალხი როგორ გადაიქცევს თავს ბრბოდო.

იმ დღეს ცა ფეხად ჩამოდიოდა და ყველანი ერთიანად გაილუმპნენ. მალე, ბრბოს აყოლილნი, ეს ორნიც მერიის წინ აღმოჩნდნენ. „საუკეთესო ადგილები გვერგო," - ირონიულად ჩაილაპარაკა ჩამჩამ. - „აწი რაღა გვიჭირს". მათ გვერდით ორი შავნიღბიანი სტუდენტი ატუზულიყო, შავ ლაბადებსა და შავსავე სათვალეებში გამოწყობილნი. ორივეს ხელში დამპალი პომიდორებით სავსე მუყაოს ყუთები ეჭირათ წარწერით: ყუმბარები. პრემიერ-მინისტრის კორტეჟის გამოჩენამდე ერთმა მათგანმა ხაზგასმით ზრდილად მიმართა პოლიციელს: „გეთაყვათ, როცა ეგ ვითომდა პრემიერი ჩამოივლის, სთხოვეთ ფანჯარა ჩაწიოს - ჩემს მეგობარს უნდა რომ ეს ყუთები შეუყაროს შიგ". პოლიციელი გვარიანად გახალისდა და აქეთ დაუწყო ქილიკი: „რაზეა ლაპარაკი! გნებავთ პომიდორები ესროლეთ და გნებავთ - ლაყე კვერცხები! ოღონდ რამე უფრო სახიფათო გისროლიათ და მერე მე მოგისვრით საცა საჭიროა!" ეჰ, ნეტა იმ დროს, როცა სამყარო ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო! მერე ბრბომ როგორღაც, ერთმანეთისაგან გააცალკევა ჩამჩა და ჯამი. კიდევ მერე კი ჯოში ჰაროლდ უილსონის ლიმუზინის კაპოტზე აღმოჩნდა, როკავდა ველურივით და გარშემო შემოჯარულ ხალხთან ერთად იმღეროდა: გამარჯვებით მივალთ შინ, გაუმარჯოს ხო ში მინს!

„ჩამო, გეყოფა!" - უყვიროდა სალადინი, რადგან იქაურობა სავსე იყო უშიშროების განყოფილების ტიპებით, თან მაგრადაც ეუხერხულებოდა ძმაკაცის ეს წრეგადასული მხიარულება, მაგრამ გალუმპული ჯოში უმატებდა და უმატებდა ხტუნვა-თამაშს, ფაფარაშლილი, იმ წლების მითებში იჭრებოდა ხტუნვა-ხტუნვით. ბოლო-ბოლო, ერთი ღრმად ამოიხვნეშა და თავით გადაეშვა ხალხის მორევში - გაქრა, ისე რომ მის კვალსაც ვეღარ მიაგნეს იმ ახვრებმა.

- ამის მერე მთელი კვირა ხმას არ მცემდა, - განაგრძობდა ჯამი. - მერე კი ესღა მითხრა მხოლოდ: ახი კი იქნებოდა ადგილზევე გაეთავებინეთ, მაგრამ არ იკადრეს...

ჯერ ისევ გვერდიგვერდ ისხდნენ ლოგინის კიდეზე. ჯამშიდმა მკლავზე შეახო ხელი:

- იმის თქმა მინდა, ხანდახან ასეცაა საჭირო. მაგარი განცდაა.

- დიდება შენდა ღმერთო! - წამოიძახა ქალმა. - გეთანხმები: ცუდია, მაგრამ თან - აუცილებელიც.

* * *

მთელი საათი დასჭირდა, სანამ ვინმეს დაუკავშირდებოდა, რადგან მომხდარი ავიაკატასტროფის გამო უამრავი ხალხი იყო ჩამოკიდებული ტელეფონზე; მერე კიდევ ერთი ოცდახუთი წუთი მაინც წაუვიდა ვიღაც ქალთან ლაპარაკში, - ნამდვილად ის მირეკავდა, მისი ხმა იყო... - იქითა მხარეს კი პროფესიულად დაყენებული და კრიზისულ ვითარებებში ხალხთან ლაპარაკში გამოჯეკილი ქალბატონი თანალმობითა და დიდის მოთმინებით უხსნიდა, გისამძიმრებთ რაღა თქმა უნდა, შევდივარ თქვენს მდგომარეობაში, მაგრამ მაგისთანა რამეს მაინც ვერ დაგიჯერებთო: ვწუხვარ დიდად, მაგრამ თვითმფრინავი ხომ ოცდაათიათასი ფუტის სიმაღლეზე აფეთქდა, არავინ გადარჩენილა, როგორღა... საუბრის ბოლოს პამელა ჩამჩა - ეს ყოვლად გაწონასწორებული ქალი, რომელიც უცილობლად სააბაზანოში იკეტებოდა ხოლმე, თუკი ტირილს მოისურვებდა - აკივლდა მარა რა აკივლდა! „მორჩი ბაზარს და კეთილი სამარიტელის დაყენებული ხმით ლაქლაქსაც შეეშვი! გესმის მაინც, რას გეუბნები?!“ - მერე კი მაინც დაახეთქა ყურმილი და ისე მიაშტერდა ჯამი ჯოშის, ამ უკანასკნელს ხელები აუკანკალდა შიშისაგან და ყავა გადმოეღვარა ლამბაქზე.

- ოხ შე მართლა ჭიაყელა შენა! - დააყარა და დააყარა. - ჯერ ისევ ცოცხალიაო, არა? ზეციდან დაეშვა ფრთების ქნევით, პირდაპირ ტელეფონ-ავტომატს მიადგა და საყვარელ ცოლუკას დაურეკა, არა?!

სამზარეულოში იყვნენ, და ჯოშიც თვალს ვერ აცილებდა ალესილ დანებს, პამელას ხელმარცხნივ რომ მიემაგნიტებინათ ლითონის ფირფიტაზე. პირი დააღო, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვინ აცალა:

- მომწყდი თავიდან, სანამ რაღაც უბედურება არ ჩამიდენია, - თქვა ქალმა. - არა მჯერა, ამ სისულელეზე როგორ წამოვეგე! შენ და ის ვიღაცის ხმა ყურმილში... მაშინვე უნდა მივმხვდარიყავი.

მერე გაახსენდა: სამოცდაათიანების დასაწყისში ჯოში დისკ-ჟოკეობას ეწეოდა საკუთარი ყვითელი მიკროავტობუსიდან - ტურისტებს ართობდა. ერთხელაც სალადინმა მაგარი ოინი უყო: დაურეკა და გაურკვეველი ხმელთაშუაზღვისპირული აქცენტით დი-ჯეი მოითხოვა კუნძულ სკორპიოზე, ქ-ნ ჟაკლინ კენედი ონასისისათვის. ანაზღაურება - 10.000 დოლარი და გამგზავრებაც - სპეციალურად მისთვის გამოყოფილი თვითმფრინავით, ექვსი თანაშემწის თანხლებით. მართლა უსინდისობა იყო ჯამშიდ ჯოშისთანა შეურყვნელი და გულუბრყვილო კაცისათვის ამგვარი რამის შეთავაზება. ერთი საათი მომეცით მოსაფიქრებლადო, - უპასუხია. მერე კი დაეწყო განწვალვა სულისა. ზუსტად ერთი საათის მერე, სალადინმა რომ ისევ დაურეკა, უარი სტკიცა - „პოლიტიკური მიზეზების გამოისობით“. მაშინღა მიხვდა მის ძმაკაცს რომ წმინდანად შერაცხავდნენ ოდესმე... არ ვიცი, ქ-ნი ონასისი ამას როგორ გადაიტანსო, შეიცხადა და პასუხად მიიღო: „თუ შეიძლება, გადაეცით რომ არაფერი პირადი - მისით აღტაცებულიც კი ვარ, მაგრამ ხომ გესმით...“

არა, მაინც მეტისმეტად დიდხანს ვიცნობდით ერთმანეთს, - გაიფიქრა პამელამ, როცა ჯამი წავიდა. ორი ათეული წელი საკმარისია, მარტო მათი მოგონებაც კი საკმარისია გულსატკენად...

* * *

იმ ხმებს რაც შეეხება, - გაიფიქრა, როცა თავისი MG-ს გაზის პედალს აწვებოდა ლონდონ-ბრისტოლის ტრასაზე. - ცოტა მეტი შემწყნარებლობა მმართებს...

უნდა ითქვას, პამელა ჩამჩა, ქალიშვილობაში ლოველასი, იმისთანა ხმის პატრონი გახლდათ, მთელი მისი დანარჩენი ცხოვრება ამ კნინის საზღაურად მოჩანდა: იმისთანა მჭექარე იყო, ნებისმიერი ცირკის გამომცხადებელს შეშურდებოდა. ამ ხმის გამო აეკიდებოდნენ ხოლმე სოფლელი ჯენტლმენები თუ ქალაქელი ვიგინდარები, მაშინ როცა მწვანეები, მშვიდობის მარშების მონაწილენი თუ სამყაროს გარდაქმნის მოსურნენი - ყველა ისინი, ვისაც თავად მშვენივრად ეწყობოდა, დიდის ეჭვითა და აღშფოთებითაც კი ეკიდებოდნენ: როგორ შეიძლებოდა ანგელოზთა მხარე დაგეჭირა, ამისთანა ხმის პატრონს? წარსულის გახსენებაზე, პამელას კრიჭა შეეკრა. ერთი იმ მიზეზთაგანი, რატომაც ჩამჩასთან ვითომდა საუკუნო კავშირი დაერღვა, ის იყო რომ ერთ მშვენიერ დღეს გაეღვიძა და მიხვდა - ჩამჩა მასში კი არ იყო შეყვარებული, არამედ ამ ხმაში, რომელიც იორკშირულ პუდინგს, ძველი კეთილი ინგლისის ხის კედლებსა და მუხის ხის გულებს და საერთოდ, ყველაფერ იმას აგონებდა, რაც მისი ოცნების ქვეყანასთან იყო დაკავშირებული, სადაც მას უკიდეგანოდ სურდა ცხოვრება. მოკლედ, მათი ქორწინება ორი საწინააღმდეგო სურვილის თანხვედრა გახლდათ: ერთი მათგანი იქით ილტვოდა, საიდან გაქცევაზეც მეორე ოცნებობდა.

არავინ გადარჩენილაო. და უცებ, ზედ შუაღამეს, ეს იდიოტი ჯამი არ გამოტყვრა და ატეხა ცრუ განგაში?! მას კი ამის გამო ისეთი თავზარი დაეცა, ოთახშიც აღარ მიბრუნებულა დასაწოლად,

ან ჯამისთან საცელქოდ, რაც - ცოდვა გამხელილი ჯობია - არცთუ უსიამო რამ იქნებოდა, გამოვტყდეთ. კარგი, შემეშვი ახლა. როდის იყო, ბოლოს ასე რომ იკაიფე. ჯერ კიდე ბევრი რამ ჰქონდა გასარკვევი და იმიტომაც მიიჩქაროდა. რამდენიმე დღე სადმე ძვირიან ქალაქგარე სასტუმროში და სამყაროც აღარც მთლად ისეთი გათხელებული მოეჩვენებოდა. ფუფუნებითი თერაპია: ვიცი, ვიცი... კლასი უნდა დავიბრუნო. ფუ შენი! თუ რამე ეჭვი გაქვთ, უკან შეიკვეხეთ. უკან, წინ, უკან.

ის იყო, საათში ასი მილის სიჩქარით ჩაუქროლა სუინდონს და ამინდიც გაფუჭდა: შავი ღრუბლები მოჯარდა, ატყდა ჭექა-ქუხლი, წვიმამაც მაგრად დასცხო; ოღონდ სიჩქარე მაინც არ დაუგდია. არავინ გადარჩა ცოცხალიო. მის გვერდით მუდამ ვიღაც კვდებოდა და თან ისე, უთქმელი სიტყვებით პირგამოტენილს ტოვებდნენ ხოლმე. მამამისი - კლასიკური ფილოლოგიის სწავლული, ვინაც დიდებულად ადგენდა სიტყვა-თამაშებს ძველბერძნულად, და ვისგანაც მემკვიდრეობით ერგო ეს მისი ხმა, მისივე წყევლა; დედამისი - მთელი ომის განმავლობაში რომ მისტიროდა მფრინავ-მოხალისედ წასულ ამ თავის ქმარს, რომელიც აეროპლანით 111-ჯერ გაფრინდა გერმანიაში და უკან - ღამ-ღამობით, საკუთარი სასიგნალო მაშხალებით რომ ანიშნებდა ბომბდამშენებს, სად ჩამოეყარათ სასიკვდილო ტვირთი, და შინ მობრუნებულს რომ დაპირდა, წამითაც აღარასოდეს მიგატოვებო, მერე კი მართლა ყველგან კუდში დასდევდა, დეპრესიაშიც მის გვერდით იყო, პოკერში დანიავებული ფულის გამო ვალებსაც უსტუმრებდა, მერე კი, სულ ბოლოს, ცათამბჯენის სახურავზეც აჰყვა, სადაც ერთად დაასრულეს კიდეც სიცოცხლე... პამელამ ვერასოდეს აპატია მშობლებს ეს გაქცევა, და ორმაგად მძიმეც იყო მისთვის, რაკიღა ვერც ვერაფრით ამცნობდა მათ ამ არპატიების ამბავს.

საკუთარი თავის დასაბრუნებლად, ყველაფერ იმის უარყოფას მოჰყვა რაც დედ-მამისაგან გამოყოლოდა: მაგალითად, ჭკუა-გონე-

ბა - აიღო და სულაც უარი თქვა კოლეჯში სწავლაზე. ხოლო რა-კიღა იმ სამემკვიდრეო ხმასაც ასევე იოლად ვერ მოიცილებდა, ამავე ხმით იმისთანა აზრების ფრქვევა დაიწყო, მის კონსერვა-ტიული შეხედულებებისა და თვითმკვლელობისაკენ მიდრეკილ მშობლებს რომ გაეგოთ, ალბათ საფლავებში გადატრიალდე-ბოდნენ! მერე ინდოელს გაჰყვა ცოლად, ოღონდ მეტისმეტად მა-თივე ალი-კვალი გამოდგა და მალევე მიატოვა. ახლა თავად სცადა იმქვეყანას გამგზავრებულიყო, მაგრამ რად გინდა - სიკ-ვდილმა კიდევ ერთხელ გააცუცურაკა...

ის იყო, ფურგონ-რეფრიჟერატორს წამოეწია და იმანაც დიდ გუბეზე გადაირა, ოხრად წყალი შემოასხა უკანა ბორბლებიდან, დააბრმავა და მისი MG-ც სულ სრიალ-სრიალითა და ბზრიალ-ტრიალით გადავიდა მოპირდაპირე სავალ ნაწილზე, პამელამ კი თეთრი ტრეილერის დიდრონ, სიკვდილის ანგელოზ აზრაილის თვალებივით ავად მომზირალ ფარებს ჰკიდა თვალი. „მორჩა," - ამის გაფიქრებაღა მოასწრო რომ მისი მანქანაც დაუსხლტა ჯა-გერნაუტის ეტლის თვლებს, კიდევ სამი ზოლი გაიარა ისე, ბედად ერთი შემხვედრიც არ დატაკებია და ასე სასწაულებრივად მიას-კდა ტრასის დამსაზღვრელ ჯებირს; თუმცა, შეასკდა რა - მხო-ლოდ აქა-იქ თუ შეეჯყლიტა თუნუქი, რადგან სისწრაფე უკვე და-კარგული ქონდა და ინერციის ძალაც - შემცირებული. ეგ იყო, მარტო ერთხელ კიდევ შემოტრიალდა მთელი ასოთხმოცი გრა-დუსით, ცხვირით დასავლეთისაკენ, სადაც და როგორც ეს ჩვე-ულებრივ, რომანებში ხდება ხოლმე - მზემ ისევ გამოარღვია ჩა-ქუფრული ზეცის ჩარდახი.

* * *

ეს სასწაულებრივი გადარჩენა აღსანიშნი იყო, ნამდვილად და პამელამაც არ დაიკლო არაფერი: იმავე ღამით, მუხის ხეაკრულ და შუასაკუნეებისდროინდელი ალმებით მორთულ მისაღებ ოთახში, საუცხოო კაბაში გამოკვართული, ვერცხლითა და ბროლით გაწყობილ მაგიდასთან მჯდომი პამელა ჩამჩა ირმის ხორცს მიირთმევდა და ბორდოს ღვინოს გეახლებოდათ, რაკიღა თავისი ახალი გზის საწყისს, სიკვდილის ყბებიდან თავდაღწევასა თუ მეორედ დაბადებას დღესასწაულობდა: ხელახლა რომ დაიბადო, ჯერ უნდა... მოკლედ, ლამის ეგრე არ იყო? ვიღაც ამერიკელებისა და ადგილობრივი გაქსუებული საქმოსნების დაჟინებული მზერის ქვეშ იტკბარუნებდა პირს, მერე კი ადრიანად გაეშურა საკუთარ ნომერში გამოსაკეტად - ასე ვთქვათ, მეფის ასული ქვის მაღალ კოშკში, რაკიღა ხანგრძლივი აბაზანა ჰქონდა მისაღები და რომელიმე ძველი ფილმი - ტელევიზორში საყურებლად.

სიკვდილთან ლამის ასე პირისპირ შეჯახებამ მერე და მერე მასში წარსულის სურათები დაუტრიალა: მაგალითად, მის მეურვედ გამწესებულ ბიძია ჰარი ჰაიემთან გატარებული წლები XVII საუკუნის მამულში (ბიძია ჰარი იფიცებოდა, აქაურობა ერთ დროს ჩემს შორეულ ნათესავს, მეტიუ ჰოპკინსს ეკუთვნოდა - აი, სწორედ იმას, ალქაჯთა საქმეების გენერალურ პროკურორსო, და მამულს გრემლინი შეარქვა - თავისი მოკლე ჭკუით, იუმორის ამბავში).

ოღონდ უფ. მსაჯული ჰაიემის გახსენება და დავიწყება ერთი იყო, მერე კი ამჯერად მის გვერდით არმყოფ ჯამი ჯოშის მიუბრუნდა და განუცხადა: მეც მაქ ჩემი ვიეტნამური ამბავიო. თურმე ნუ იტყვით და გროსვენორ-სქუერზე პირველი დიდი გამოსვლების მერე, როცა ბევრი მომიტინგე მარმარილოს სათამაშო ბურთულებს უგორებდა ფლოქვებქვეშ ცხენოსან პოლიციას, სასწრაფოდ იქნა მიღებული მთელს ბრიტანეთში ერთადერთი კანონი მარმარილოს ბურთულების თაობაზე, რომლის თანახმადაც ნივთი ესე სასიკვდილო საფრთხის შემცველად გამოცხადდა, შემდგომ კი ბევრი ახალგაზრდა

დააკავეს და ქვეყნიდანაც კი გაასახლეს შუშის პაწია ბურთულების ქონის გამო. მთავარ მსაჯულად ამ საქმეზე სწორედაც ჰენრი ჰაიემი (შემდგომში, მეტსახელად ჰაშ-ჰაშ ჰაიემად წოდებული) გახლდათ და ეს კიდევ ერთ ტვირთად აწვა უკვე ისედაც გულდამძიმებულ ახალგაზრდა ქალს. ოღონდ ახლა, ამ თავის დროებით კოშკში შეყუჟული, საწოლში ნებიერად გაწოლილი პამელა ჩამჩა თავის დემონს ეთხოვებოდა: მშვიდობით, ჰაშ-ჰაშ - შენზე დასახარჯი დრო არა მაქვს! - და მერე საკუთარი მშობლების აჩრდილებსაც, და იმისთვისაც კი ემზადებოდა, ახლა ცხოვრებისეულ აჩრდილთაგან ეს უკანასკნელიც საბოლოოდ დაექნია.

კონიაკს წრუპავდა, ტელევიზორში ვამპირების სერიალს უყურებდა ცალი თვალით და მეორეთი კი, ასე ვთქვათ, საკუთარი თავით ტკბებოდა. განა თავად არ შეიქმნა თავი ხატად თვისად? მე ვარ, რაიც ვარ. მერე სირჩა „ნაპოლეონიც“ ყლურწა საკუთარ სადღეგრძელოდ. მე ბატონებო, საზოგადოებრივ ურთიერთობათა სფეროში ვმოღვაწეობ, უფროსი თანამშრომლის მოადგილედ, მა-აშ! ახლახანს პირველად ავირჩიეთ შავი კაცი თავმჯდომარედ და შავი კენჭებიც მხოლოდ თეთრმა ვიღაცეებმა თუ ჩაუყარეს, ნაღდად. წინა კვირას კი ღირსპატივსაცემი ხელზე მოვაჭრე, ვისაც პარლამეტის წევრთა დიდმა უმრავლესობამ შეაწია სიტყვა, ბრიტანეთიდან გაასახლეს იმის გამო, თხუთმეტი წლის წინ რომ რაღაც საბუთი 48 საათის დაგვიანებით შეუვსია... აბა, ჩვენ გაგვიმარჯოს! ამ დღეებში ადგილობრივ სასამართლოში ორმოცდაათი წლის ნიგერიელ ქალბატონს დაატუსაღებენ, მაგარი წინასწარი დაქოთების მერე. გთხოვთ, ბატონებო - ჩინ-ჩინ! აი, ესაა თავი და თავი - აზრზე ხარ? თავით რომ კედელს ეჯახები...

სალადინი მკვდარი იყო და ის - ცოცხალი.

ახლა სწორედ ამისას სვამდა. იყო რაღაცეები, რისი თქმაც დიდი ხნის წინ მინდოდაშენთვის, სალადინ. მაგალითად, იმ ახა-

ლი, საოფისე მრავალსართულიანი შენობის თაობაზე, ზედ „მაკდონალდსის“ პირდაპირ - გადაწყვიტეს სრულიად ხმაგაუმტარი აეშენებინათ და რა გამოვიდა? მუშებიც კი ისე დააფეთა ამ სამარისებურმა სიჩუმემ, ხელის მაგნიტოფონები მოჰქონდათ და რა ჩანაწერებს არ ატრიალებდნენ ზედ! და კიდე იმ ფარსი გოგოზე, ბეპსის ეძახდნენ - ერთხანობა გერმანიაში ცხოვრობდა და ვიღაც თურქი კი შეუყვარდა... ერთადერთი პრობლემა ის იყო რომ ერთადერთი ენა, რომელზეც ურთიერთობა შეეძლოთ, გერმანული იყო; ახლა იმ საბრალო ბეპსის ლამის ყველაფერი გაადავიწყდა, თურქის გერმანული კი მიდი-მოვდივარ - სულ უფრო გამართული ხდებოდა; უკვე ლექსებსაც უწერს, ის კი საპასუხოდ თავის ჩიქორთულ ენაზე რითმავს წვალებწვალებით... სიყვარულის კვდომა ენობრივი შეუთავსებლობის გამო - ეგეთი რამე გაგიგია? სიყვარულის კვდომა. არის ამაში რაღაცა ჭკუისსასწავლებელი ჩვენთვისაც, ჰა - სალადინ? რაო, რა მინდაო?

და ერთი-ორი პაწია რაღაც-რაღაცეებიც შემიძლია გითხრა. აგერ ვიღაც მანიაკი დაბოდიალობს, ხანშიშესულ ქალებზე ნადირობსო. ოღონდ ეგ მე არ მეხება, იმდენია აქ ჩემზე ბებერი.

ახლა კიდევ ერთი ამბავიც: მივდივარ, გტოვებ. მორჩა და გათავდა.

შენთან არაფერზე არ შეიძლებოდა სიტყვის დაძვრა: გეტყოდი, წონაში იმატებ-მეთქი და ჭკუას გადადიოდი - მთელი საათი შეგეძლო გეყვირა, თითქოს შენს ყვირილს შეეძლო იმის გამოსწორება, რასაც სარკეში თავადაც ხედავდი და რასაც ბარძაყებზე გადატკეცილი შარვალი გეუბნებოდა; ხალხში ისე მაკმედინებდი ხმას, ყველა კარგად ხედავდა, რა წარმოდგენისაც იყავი ჩემზე. ყველაფერს გპატიობდი და ჩემი შეცდომაც ალბათ ეგ იყო, მე კი იმ შენს დამზაფრავ საიდუმლოს თითქოს ხელისგულზე ვხედავდი - შენს გამოცარიელებულ შიგთავსს.

კარგად მეყოლე, სალადინ. ჭიქა ჩასცალა და გვერდით მოიდგა. განახლებული წვიმის წვეთები ფანჯრებზე კაკუნობდნენ. ფარდები დაუშვა და სინათლე ჩააქრო.

უკვე ძილ-ღვიძილში გადასულს, ისიც კი მოაფიქრდა, რა უნდოდა ეთქვა თავისი ყოფილი ქმრისთვის: „ლოგინშიც," - თავისთავად მოდიოდა სიტყვები, - „საერთოდ არ გაინტერესებდი; არც მე და არც ჩემი სიამოვნება უზურშიც არ გაგივლია და არც არასოდეს გიკითხავს, რა მსურდა... ასე მგონია, საყვარელი კი არა, მსახური გჭირდებოდა. ასეა. ახლა კი კარგად მეყოლე. განისვენე, მშვიდად".

მაინც ის ეზმანებოდა, მისი სახე უვსებდა სიზმარს. „ყველაფერს თავისი ბოლო აქვს," - აქეთ შემოედავა. - „ეს ცივილიზაცია საკუთარ თავში იკეტება. კულტურაც იყო, როგორ არა - ბრწყინვალეცა და წუმპეში ამოვლებულიც, კანიბალური თუ ქრისტიანული, სამყაროული სიდიადე. ეს მაინც ვიზეიმოთ, ვიდრე ბნელეთი ჩამოწვება".

ქალი სიზმარშიც კი არ ეთანხმებოდა, ოღონდ როგორღაც, იმასაც კარგად იაზრებდა, ახლა რომ მასთან ამაზე დავას აზრი არ ჰქონდა.

* * *

მას მერე, რაც პამელა ჩამჩამ გამოაგდო, ჯამშიდ ჯოში შანდაარში - ბ-ნ სუფიანის კაფეში წაბლაყუნდა, მაგიდას მიუჯდა და იმაზე ფიქრს მისცა თავი, ემანდ მართლა ბრიყვი ხომ არა ვარო. ადრიანი დილა გახლდათ ჯერ, და იქ თითქმის არც არავინ იყო, ერთი ვინმე ჩაპუტკუნებული ქალბატონისა და ორი მუშის გარდა, ჩალუ-ჩაის რომ გეახლებოდნენ. თუმცა არა - კიდევ ერთი პო-

ლონელიც იჯდა იქ, იმ დროის გადმონაშთი, როცა ებრაელებმა ამ გარეუბანში ფაბრიკები დახსნეს და მთელი დღე რომ ერთ ჯამ კარტოფილის პიურეს, ბოსტნეულის ორ ფუნთუშასა და ჭიქა რძეს შეექცეოდა, ხოლო ყველა შემსვლელ-გამომსვლელს იმას ამცნობდა, ამისთანა კოშერული ადგილი მეორე არაა და დღეს კი იმისთანა დღეა, მხოლოდ საუკეთესო უნდა მიირთვა კაცმაო. ჯამი თავის ჭიქა ყავას წრუპავდა ფართოტილოიანი ნახატის ქვეშ, რომელიც რომ ფრიად მკერდსავსე, გარნა ქულა-ქულა ღრუბლებით დაბურულ, ნაზად-მოვარდისფრო და მოოქროვილ ფერებში გადაწყვეტილ ვიღაც ღმერთქალს გამოსახავდა, და რაკი მომსვლელების დილის შემოსევა ჯერ არ დაწყებულიყო, ბ-ნმა სუფიანმა იმდენი გულისხმიერება გამოიჩინა, ახალგაზრდა კაცის დაძმარებულ სახესაც მიაქცია ყურადღება.

- ჰაი, წმინდაო ჯოში! - წართქვა-წაიგალობასავით. - რაიზა შემოგაქ ავდარი ჩემს სამყოფელში? რაო, ჰინდოსტანს საავდრო ღრუბლები შემოლევია?

ჯამის წამოაწითლა, როცა სუფიანი მისკენ დაიხარა. თავზე მართლმორწმუნეობის ქუდი დაეკოსა, ულვაშმოკლებული წვერი კი წითელი ინით შეეღება - მექაში მომლოცველობის აღსანიშნად. მუჰამედ სუფიანი - მოსული, ჩასქელებულმკლავებიანი მამაკაცი, ფაშვგაგდებული, დიდად მორწმუნე, თუმც კი თავგადაკლულ ფანატიზმს სრულიად მოკლებული პიროვნება - ჯოშისთვის რაღაც უფროსი ნათესავის მსგავსს წარმოადგენდა.

- ერთი ეს მითხარი, ბიძაჩემო, - შესაფერისი კრძალვით მიმართა თავზე წამომდგარ მეპატრონეს. - მართლა ეგეთი ბრიყვი ვარ?

- ცოტა ფულს მაინც თუ შოულობ? - დაეკითხა სუფიანი.

- შანსი არაა, ბიძაჩემო.

- შენი საქმე თუ გქონია ოდესმე? აი, სხვადასხვა საქონლის გატანა-შემოტანა, კაფე-ბარი, საკუთარი დახლი...

- თვლაში მოვიკოჭლებ.

- ოჯახი გყავს?

- არა, ბიძაჩემო - კინკილა ვარ.

- მაშ, ალბათ დღედაღამ იმაზე ლოცულობ, ღმერთმა სწორ გზაზე დაგაყენოს?

- მე და ლოცვა? საიდან-სადაო...

- აბა რაზეა ლაპარაკი! იმაზე დიდი ბრიყვიც ყოფილხარ, ვიდრე ეჭვი მიგიტანია.

- მადლობელი დიდად, ბიძაჩემო. - თქვა ჯამშიდმა და ყავის ბოლო ყლუპი გადაუშვა ხახაში. - ძაან კი გამამხნევე.

სუფიანმა იგრძნო, გაკილვის ჩემმა ნიჭმა ბიჭი ცოტა ხასიათზე მოიყვანაო და სწორედ იმწამს შემოსულ მკრთალსახიან, ცისფერთვალა, ზეფართო სახელოებიან სამოსელში გამოწყობილ ვიღაც აზიელს გასძახა:

- თქვენა, ჰანიფ ჯონსონ! იქნება აქეთ მობრძანდეთ და იდუმალი კვანძი ესე გაგვიხსნათ...

უკვე სახელოვანი ვექილი და ყველა აქაურის ძმაკაცის ერთი, ვისაც ოფისი სწორედ შანდაარ-კაფეს თავზე გაეწყო, მუჰამედის ორ პირმშვენიერ ქალიშვილს მოწყდა და მათთან მივიდა.

- ერთი ამ ბიჭისა ამიხსენით რამე, - თქვა საფიანმა. - მომკლავს მაგის დარდი. არ სვამს, ფული ხელის ჭუჭყად მიაჩნია, სულ ორად-ორი პერანგი მოეძევება და არავითარი ვიდეომაგნიტოფონი, ორმოცი წლისაა და უცოლო, სპორტულ ცენტრში შოულობს ოროდ პაისს - აღმოსავლურ ორთაბრძოლებს ასწავლის თუ რაღაც მაგდაგვარს; ღია ცის ქვეშ ათევს ღამეს, ვითომც დიდის წმინდა კაცი - ვინმე რიში ანთუ პირი მყავდეს - ოღონდ ურწმუნოა, არც არსად დაიარება და რაღაც საიდუმლოს კი ფლობს, მისი მოკლე ჭკუით. ყველაფერი ეს და კიდე - კოლეჯში მიღებული განათლება... ახლა ამ დომხალში თქვენ გამარკვიეთ.

ჰანიფ ჯონსონმა მხარზე დაუტყაპუნა ხელი.

- მაგ ბიჭს ხმები ჩაესმის, - თქვა.

ვითომდა მთლად განცვიფრებულმა სუფიანმა ხელები გაასავსავა.

- ხმებიო?! ვაი ჩემს თავს უბედურს! და საიდან? ციდან, ტელეფონიდან, წელზე მიმაგრებული „სონის“ მიმღებიდან?..

- არა, შინაგანი ხმები, - საზეიმოდ წარსთქვა ჰანიფმა. - ზემო სართულზე, მაგიდის უჯრაში ხელნაწერი ფურცელი უდევს. ლექსია სათაურით „სისხლის მდინარე“.

ჯამი ისე წამოიჭრა სკამიდან, უნებურად ცარიელი ჭიქა გადააყირავა.

- მოგკლავ, შე უდღეურო! - აყვირდა და ჰანიფს გამოენთო, ის კიდე მაგიდის გარშემო დარბოდა და გაიძახოდა:

- პოეტი გამოგვრევია ჩვენს რიგებში, სუფიან-საჰიბ! პატივით მოეპყარით და გაუფრთხილდით, ემანდ ხელში არ ჩაგატყდეთ. ასე ამტკიცებს, ქუჩა მდინარეა, ჩვენ კიდე - მისი ტალღებიო... მთელი კაცობრიობა სისხლის მდინარეა - ეგაა ლექსის მთავარი საზრისი. და ნებისმიერი ცალკეული პიროვნებაც იგივეაო. - რვაკაციანი სუფრის მეორე ბოლოში შეწყვიტა უაზრო სრბოლა, სახეწამოჭარხალებული ხელებს აქეთ-იქით იქნევდა. - განა ჩვენსავე სხეულში არ დაგვიდის სისხლის მდინარე? რომაელებისა არ იყოს, - თქვა ერთხელ გაქნილ-გამოქნილმა ენოქ პაუელმა, - ვჭვრეტ ვითარ ტიბრის წყლები სისხლით ქაფდება.

„მეტაფორა გადაასხვაფერე,“ - საკუთარ თავს ურჩია ჯამშიდ ჯოშმა. - სულაც ამოატრიალე, ყოველდღიურ სახმარად აქციე.

- ეს უკვე ნაღდი ძალადობაა! - ეაჯებოდა ჰანიფს. - მორჩით რა...

- მაგრამ ზეგარდმო ხმებიც, - საკუთარ თავს ემსჯელებოდა კაფეს მეპატრონე. - თუნდაც ჟანა დ'არკის ამბავი გავიხსენოთ, ანდა ვთქვათ, ჩექმებიანი კატის პატრონისა... თუმცა ამისთანა ხმების გამგონე ან სახელოვანი ვინმე უნდა გახდე, ან არადა - გამდიდრდე მაინც. ეს კიდე არც ერთია და არც მეორე...

- მოვრჩით ახლა! - ჯოშმა ხელები ასწია და ნაძალადევად გაიღიმა. - გნებდებით.

მას მერე მთელი სამი დღე გავიდა, რაც ბ-ნ სუფიანის, ქ-ნ სუფიანისა, მათი ქალიშვილების - მიშალისა და ანაჰიტას - ასევე, ჰანიფ ჯონსონის ყველა მცდელობის მიუხედავად, ჯამშიდ ჯოში თავის ჭკუაზე არ იყო: „არც ჯამი და არც ჩამჩა...“ - როგორც დაახასიათა თავად სუფიანმა.

რაღაცას ვითომ კი საქმიანობდა - ახალგაზრდულ კლუბებში დაიარებოდა, კინოკოოპერატივის ოფისშიც შეიხედავდა ხოლმე (ამ ორგანიზაციის წევრადაც კი ითვლებოდა), ქუჩა-ქუჩა არიგებდა სარეკლამო ბროშურებს, გაზეთებსაც ყიდდა, აფიშებს აკრავდა; ოღონდ ნაბიჯი დამძიმებოდა, რაკიღა საკუთარი გზით ვლიდა. მერე, მეოთხე დღის მოსაღამოვებულზე, შანდაარ-კაფეში ტელეფონის ზარი აწკარუნდა.

- მისტერ ჯამშიდ ჯოში, - გასძახა ანაჰიტა სუფიანმა, თან ვითომდა მაღალი წრის ინგლისელთა წარმოთქმას ბაძავდა. - მისტერ ჯოში, ტელეფონთან გთხოვენ. პირადად.

მამამისმა ერთი კი გახედა სახეაალებულ ჯამის და ნაზად გადაუჩურჩულა მეუღლეს: „თავს დავდებ, ვერავითარი შინაგანი ხმა ასე ვერ გამოუკეთებდა გუნება-განწყობას, შანსი არაა...“

* * *

რაღაც წარმოუდგენელი მაინც შეემთხვათ პამელასა და ჯამშიდს იმ შვიდი დღის მერე, რომელთა განმავლობაში იმგვარი თავგამოდებით, სინაზითა და სასოებით ეძალებოდნენ სასიყვარულო თამაშებს, თოთქოსდა ეს საქმიანობა სულ მთლად ახალგამოგონებული ყოფილიყო. შვიდი დღე-ღამე დედიშობილა დაი-

არებოდნენ ბინაში - ცენტრალური გათბობა ჩაერთოთ და რომელიღაც ტროპიკულ ქვეყანაში ჩასულ შეყვარებულ წყვილად წარმოედგინათ თავი. ჯამი, რომელიც არც არასოდეს გამოირჩეოდა ქალებთან სწორი მიდგომით, ახლაც გამოუტყდა - ასეთი სიამოვნება მას მერე აღარ განმიცდია, რაც თვრამეტი წლის ასაკში, ველოსიპედის ტარება ვისწავლეო. ამის ბოლომდე თქმა ვერ მოესწრო და უკვე ინანა კიდეც, ეს რა წამოვროშეო - ვაითუ ამისთანა სიყვარულის განცდის ძველისძველ, საჭემორყეულ ველოსიპედთან შედარება საწყენად დაურჩესო; მაგრამ სულ ტყუილად: პამელამ შიგ ტუჩებში აკოცა და მადლობაც კი უთხრა მშვენიერი კომპლიმენტისთვის - ეგეთი რამე ჯერ არა კაცს არ უთქვამს შეყვარებული ქალისთვისო. სწორედ მაშინ იაზრა - აწი ვერც ვეღარაფერს ვიქმ არასწორად და პირველად ცხოვრებაში, მართლა დაცულად იგრძნო თავი: როგორც საკუთარ სახლში, როგორც ადამიანმა რომელიც უყვართ, და პამელა ჩამჩაც სწორედაც რომ იგივეს გრძნობდა...

მეშვიდე ღამეს კი იმგვარმა ხმაურმა გამოაღვიძათ, რაც უეჭველად იმაზე მიუთითებდა, მათთან ვიღაც ცდილობდა შეჭრას.

- სადღაც ლოგინქვეშ ჰოკიჯოხი უნდა ეგდოს... - ჩაიჩურჩულა დაფეთებულმა პამელამ.

- აქ მომე... - ხელი გამოუწოდა არანაკლებ შეშინებულმა ჯამიმ.

- მეც წამოვალ! - გული მოიცა ქალმა.

- არავითარ შემთხვევაში! - თავისაზე დადგა ჯოში.

საბოლოოდ, ორივენი ფეხაკრეფით დაეშვნენ პირველ სართულზე, ორივეს ერთი ყვანჯი ჩაებღუჯა და რამე იყოს, არცერთი არ გახლდათ მისი გამომყენებელი. წარმოიდგინე რომ თოფიანი კაცია, - გაახსენდა პამელას. - და გეუბნება, უკან აბრუნდითო... ძლივს ჩააღწიეს კიბის ბოლომდე და ვიღაცამ სინათლეც აანთო.

პამელამ და ჯამიმ ერთ ხმაში იკივლეს, ყვანჯიც გაუვარდათ ხელებიდან და დაოთხილნი გავარდნენ ზევით; ქვემოთ კი, შემოსასვლელში (რომლის შუშის კარის ჩარაზვა პამელას თავშიც არასო-

დეს მოსვლია) გვიანი ღამის ტელესერიალიდან გადმოსული, პირდაპირ ითქვას, ამაზრზენი პერსონაჟი იდგა: ტალახში, თოვლსა და სისხლში ამოთხვრილი, აჩეჩილბეწვიანი არსება, გოლიათი ვაცის საკადრისი, დაჩლიქული ფეხებითა და თხის ბეწვით მოსილი ტორსით, ადამიანის ხელებითა და სავსებით ადამიანისავე, ოღონდ კი რქებდადგმული თავით, რომლის ქვედა ყბას ტალახსა და ნაკელში ამოგანგლული, თხისავე წვერი უმშვენებდა. და ახლა ეს მართლა წარმოუდგენელი, რაღაც ფანტასმაგორიული არსება იატაკზე გაიშხლართა, უძრავად. მოკლედ, კაცი არ ყავდა პატრონი.

ზემოთ კი, ასე ვთქვათ, „სალადინის სამყოფელში“, ანუ - იმ სხვენსა თუ მანსარდაზე ქალბატონი პამელა ჩამჩა საკუთარი საყვარლის მკლავებში ფართხალებდა და თავისივე ცნობილი ხმის მთლად ზედა რეგისტრში გაჰკიოდა:

- ტყულია! ჩემი ქმარი აფეთქდა და არც არავინ გადარჩენილა!! მე უბრალოდ, ჩამჩას ქვრივი ვარ, ვისმა მეუღლემაც ძაღლივით დალია სული!!!

5

ლონდონამდე მატარებლით მგზავრობისას, ბ-ნი ჯაბრაილ ფარიშტა კვლავაც იმაზე იტეხდა თავს, რწმენის დაკარგვის საზღაურად ღმერთმა სიგიჟე ხომ არ შემყარაო. ზედ ფანჯარასთან, არამწეველთა პირველი კლასის ვაგონში მოკალათებულიყო, ზურგით სავალი მიმართულებისაკენ (მისდა სამწუხაროდ, საპირისპირო ადგილი უკვე დაეკავა ვიღაცას), ხელში თავის ფეტრის ქუდს აწვალებდა და სრულად დაფეთებული გამოიყურებოდა. მისი ეს ყოვლად გაუგებარი ზაფრა (მით უფრო შეუსაბამო, რომ დამზაფვრელად სწორედ ის ძალა გამოდიოდა, რომელიც რომ

თავად უარჰყო და რომელიც, ეჭვი არაა, ამავე სიგიჟის მეშვეობით აქცევდა მას ქიმერული მთავარანგელოზის რაღაც განსახიერებად) იმდენად ძალუმი გახლდათ, თვალსაც კი ვერ გაუსწორებდით ხეირიანად; და მაინც, აბა სხვა რით გინდოდათ მთელი ამ საოცრებების, გარდასახვებისა თუ ხილვების ახსნა, ბოლო დღეებში რომ დაატყდა თავს?!

- დიდი ვერაფერი არჩევანია, - ბუტბუტებდა აკანკალებული. - ან ა: ჭკუიდანა ვარ გადასული, ან ბ: ვიღაცა ადგა და წესები შეცვალა...

თუმცა, თანდათან მაინც თავისი ჰქნა კუპეს სითბომ და მყუდროებამ, რომელშიც ნერვების დამაწყნარებლად მოქმედებდა თუნდაც ის, რომ აქ სასწაულებრივის ნასახსაც კი ვერსად ჰპოვებდით - სავარძლის სახელურები გაქექილიყო, თალფაქიანი სანათი არ ირთვებოდა, ჩარჩოში არ ესვა სარკე, ოღონდ მზერა სულ იოლად გადააწყდებოდა ხოლმე ათასგვარ მითითებებს: პაწია მრგვალი თეთრ-წითელი ნიშნები მოწევას კრძალავდა, ისრები ფანჯრის გვერდით - მათ იმაზე მეტად ჩამოწევას, ვიდრე ეს მინიშნებული იყო... ჯაბრაილი ფეხსადგილსაც ეწვია და იქაც აკრძალვა-მითითებების სიმრავლემ გაუხარა გული. ხოლო როცა გამყოლიც გამოჩნდა თავისი ბილეთების სახვრეტი ხელსაწყოთი, ჯაბრაილი მთლად დაამშვიდა კანონის ზეობის ამ დასტურყოფამ, მცირედად გამოცოცხლდა კიდეც და ახლა განსჯა-მსჯელობა წამოიწყო: იღბლად გადაურჩა სიკვდილს, მერე - იმ რაღაც სიხელესაც და ახლა, ძალამოცემული, იმედოვნებდა რომ მისი ძველი ცხოვრების ძაფი (ანუ, ძველი ახალი ცხოვრების - იმ ცხოვრების, რომელსაც იგი მანამ გეგმავდა, სანამ ასე მცდარად არ აურ-დაურევდნენ) კვლავაც დაირთვებოდა. რაც უფრო აშორებდა მატარებელი იმ ადგილს, სადაც დაეშვა და სადაც მერე ასე უაზროდ შეაყოვნეს კიდეც, რაც უფრო შორს მიყავდა ლიანდაგის გვერდიგვერდ დაგებულხაზებს არა უსასრულობაში, არამედ ბედნიერი წინასწარგათვლის გზით, ზუსტად იქ სადაც მიისწრაფოდა - მით მეტად შეიგრძნობდა დიადი ქალაქის ჯადოს, და იმე-

დის ჩასახვის ის ძველი უნარიც ხელახლა დაუბრუნდა, განახლების მირქმის ნიჭიც, წარსულის წარუმატებლობათა დავიწყების ხერხებიცა და მომავლის ხედვის თვალიც. წამოხტა, კუპეს მოპირდაპირე მხარეს გახტა, პირი ლონდონისაკენ ქნა - თუმც კი ამისათვის ფანჯარასთან განშორებაც მოუწია, და რა მერე - რა ქვეყნის ფანჯრების დარდი ჰქონდა? განა გონების თვალით არა სჭვრეტდა მთელს ლონდონ-ქალაქს?! მერე კი სრულიად უნებლიედ, ხმამაღლა გააცხადა სახელი მისი: „ჰალელუია“.

- ალილუია, ძმაო, - დაემოწმა ის ერთადერთი თანამგზავრიც. - ოსანა, კეთილო კაცო, და ამინ!

* * *

- თუმც ისიც უნდა მოგახსენოთ, ბატონო ჩემო, რომ მრწამსი ჩემი დენომინაციებს ვერა ჰგუობს, - განაგრძობდა უცნობი. - თუკი ინებებთ დაიძახოთ ლა-ილაჰა, მეც იგივე სიამოვნებით გაგეპასუხებით - ილალაჰ!

ჯაბრაილმა იაზრა - ეს ჩემი გადაადგილება და დაუდევრად წამოსროლილი, სხვისი ყურისათვის უჩვეულო ეს ქალის სახელი თანამგზავრისთვის როგორც საურთიერთობო გაგებით, ეგრევე ღვთისმეტყველების მხრივაც შეცდომაში შემყვანი აღმოჩნდაო.

- ჯონ მასლამა გახლავართ, - ისევ თავისას მიერეკებოდა ის კაცი და საბუთად, ნიანგის ტყავის ჩანთიდან სავიზიტო ბარათიც დააძრო. - ჩემდათავად, მეუფე აკბარის მიერ ბოძებული საყოველთაო რწმენის ჩემეულ გააზრებას მივსდევ: ღმერთი, მე თუ მკითხავთ, უფრო სფეროთა ჰანგების წილნაყარი რაობაა...

ცხადი იყო, ბ-ნ მასლამას სიტყვის შეუკავებლობა შეჰყროდა და რაკი მისი აღნაგობა მთლად და სრულად მძიმეწონოსანი მო-

ჭიდავისას მოგაგონებდათ, ცხადი იყო - ამ კაცის გაღიზიანება არამც და არამც არ ივარგებდა. ასევე, მის მზერაში ფარიშტამ ჭეშმარიტი რწმენისათვის ხმალამოღებული მეომრის დამახასიათებელ რაღაც გაელვებასაც ჰკიდა თვალი, იმ ნაპერწკალს, რომელსაც აქამომდე დღეყოველ ამჩნევდა სარკეში, წვერის პარსვისას...

- საქმეები კარგად მიმდის, ბატონო ჩემო, - დაიქადნა მასლამამ თავისი დაყენებული ოქსფორდული ხმით. - ფერადკანიანისთვის საუკეთესოდაც, იმ სიძნელეთა გათვალისწინებით, რასაც ჩვენი ძმა აწყდება ხოლმე აქ - თუკი ნებას მომცემთ, ასეთი აზრიც გამოვთქვა.

ხორციანი ხელის ერთი, მსუბუქი მოძრაობით მიათითა საკუთარ აღკაზმულობაზე: აშკარად რომ ვიღაც სახელდაგდებულ თერძთან უნაკლოდ შეკერილ, ჟილეტიან შარვალ-კოსტუმზე, ოქროს მსხვილ-ძეწკვიან ჯიბის საათზე, იტალიურ წაღებზე, ღერბდაქარგულ აბრეშუმის ჰალსტუხზე, თოვლზე უსპეტაკესად გახამებული პერანგის ძვირფასთვლებიან სარჭეებზე... მავანი ინგლისელი მილორდის ამ სამოსს უზომო სიდიდის თავი ამშვენებდა, სქელი თმა ტალღოვნად ეფინებოდა კისერზე, ხოლო დაფანჩულ წარბებქვეშ სწორედ ის ელვარე თვალები მოუჩანდა, რომელთა თაობაზეც ჯაბრაილმა უკვე შეიქმნა საკუთარი აზრი.

- სავსებით გეთანხმებით, - თავი დაუქნია, რაკიღა მისგან აშკარად და ყოვლად დაუფარავად სწორედ ამგვარ თანხმობას მოითხოვდნენ.

ბ-ნი მასლამაც კმაყოფილი დაურჩა პასუხით.

- ცოდვა გამხელილი სჯობია და, მუდამ მიდრეკილი კი გახლდით დახვეწილი ჩაცმულობისაკენ. - თქვა დინჯად.

როგორც თავად ბრძანა მერე, თავდაპირველი ქონება სარეკლამო რგოლების დამზადებით დაუგროვებია - იმ „ეშმაკეული სატყუარათი“, ქალები რომ მაქმანებიანი საცვლებისა და ათასგვარი ნელსაცხებელ-ფერუმარილების საცდურში, კაცები კი - განსაცდელში შეყავს; ოღონდ ახლა ხმის ჩამწერი სტუდიების ქსელი მთელს ქა-

ლაქში ქონდა მოფენილი, ღამის კლუბის მეპატრონეც გახლდათ და მისი უმთავრესი თავმოსაწონის - პრიალა მუსიკალური ხელ-საწყო-საკრავებით ჭერამდე გაძეძგილი მაღაზიისაც. წარმოშობით გაიანელი ინდიელი ყოფილა თურმე (ოღონდაც ახლა ხალხი იქ აღარ ჩერდება და ბევრად სწრაფადაც იცვლის საცხოვრისს, ვიდრე თვითმფრინავები - აეროდრომებს), თავად კი ძალზე სწრაფად ეწია ბედს - „ღვთის შეწევნით, რაღა თქმა უნდა... კვირის წირვას არა ვტოვებ დაუსწრებელს, ბატონო ჩემო - გამოგიტყდებით და ანგლიკანური ფსალმუნები გულზე მალამოდ მედება, ჭერის ახდამდე ვუწევ ხოლმე ხმას...“

საკუთარი ცხოვრების ამბავი მეუღლისა და მთელი კოდლა ბავშვების ხსენებით მოამთავრა, მოკლედ. მაგრამ ის იყო, ჯაბრაილმა მილოცვისა და ყოველივე სიკეთის სურვილის თქმა მოინდომა - იქნებადა აწი მაინც მეღირსოს პატარა სიჩუმეო, რომ ბნმა მასლამამ მართლა ყუმბარა არ დაუგდო ფეხებთან?!

- საკუთარ თავზე შეგიძლიათ სიტყვა არ დაგცდეთ, - რაღაც მეტისმეტად მხიარული სახით კი განუცხადა. - ცხადია ვიცი ვინცა ხართ, არადა მთლად თქვენისთანა პიროვნებას გადააწყდეს კაცი ისტბორნ-ვიქტორიას სარკინიგზო ხაზზე - ნაღდად რომ ძნელი დასაჯერებელია! - შეთქმულივით ჩაუკრა თვალი და საჩვენებელი თითი მიიტანა ცხვირთან. - ღმერთია მოწმე, სხვისი საიდუმლოს რიდიც მაქვს და არავითარი შეკითხვები, მორჩა და გათავდა!

- მე ვინცა ვარ... და ვინ ვარ მე? - ჯაბრაილი ახლა ვითარების ამ სრულმა აბურდულობამ გააოგნა.

ამაზე მოპირდაპირე მხარემ წარბები ზუსტად ისე აამოძრავა, მწერი რომ ააცმაცუნებს ხოლმე ულვაშებს.

- საკითხთა-საკითხია, მე და ჩემმა ღმერთმა...მძიმე დროება დაგვიდგა ზნეობას გადევნებულ ხალხს: თუკი კაცი ჯერ საკუთარ არსში არაა გარკვეული, როგორღა განყოს ბოროტი კეთილისა-

გან? თავი ხომ არ შეგაწყინეთ? ამგვარ შეკითხვებს, ჩემდათავად, ღვთის რწმენით ვპასუხობ, - აქ მასლამამ ვაგონის ჭერზე მიათითა. - ცხადია, თქვენ სახელგანთქმული, შეიძლება ითქვას, ლეგენდარული ჯაბრაილ ფარიშტა ბრძანდებით, კინოსა და, ჩემდა სამწუხაროდ, მეკობრული ვიდეოების კაშკაშა ვარსკვლავი! მე, ჩემი თორმეტი შვილი და ჩემი მეუღლეც - თქვენს მიერ განსახიერებული კინოგმირების დიდი თაყვანისმცემელნი გახლავართ, ნამდვილად.

მარჯვენა მტევანში ებდღვნა და ხელი მაგრად ჩამოართვა.

- უნდა გითხრათ, პანთეისტური ხედვისაკენ ვიხრები, - მატარებელზე მეტს მასლამა რახრახებდა. - და თქვენი შრომის მიმართ ჩემი პირადი კეთილგანწყობაც იმითაა განპირობებული, რომ მზადა ხართ ნებისმიერი ჩამოსხმის ღვთაება განასახიეროთ. მე ვიტყოდი რომ თქვენი სახით, ბატონო ჩემო, ღმრთიურ ფერთა მთელ ცისარტყელას ვჭვრეტთ - ასე ვთქვათ, გაერო-ს მოარულ ორეულს... მოკლედ, თქვენა ხართ ჩვენი მომავალი და ახლა კი ნება მომეცით, გულით მოგესალმოთ!

უკვე ცხადად აფრქვევდა ირგვლივ სიგიჟის ნელსურნელებას - მართალია, ჯერ ისეთი არაფერი ჩაედინა, მაგრამ ჯაბრაილი უკვე თვალით ზომავდა მანძილს კარამდე.

- გავბედავ და იმასაც ვიტყვი, ბატონო ჩემო, - მთლად ქადაგად დავარდნილიყო მასლამა. - როგორაც არ უნდა ვიხსენიებდეთ უზენაესს, ეს მხოლოდ და მხოლოდ კოდია ერთგვარი, ქარაგმა, რის უკანაც ჭეშმარიტი სახელი იმალება.

ჯაბრაილს ხმა არ გაუღია, მასლამა კი უკვე უბრალოდ, იძულებულიც კი ხდებოდა მის მაგივრადაც ელაპარაკა.

- და მაინც რომელია ეს ჭეშმარიტი სახელდებაო, იკითხავთ. - ამჯერად ჯაბრაილისთვის ეჭვის ნატამალიც აღარ რჩებოდა, რომ ეს კაცი ნაღდად შერეკილი იყო, ისეთივე შეურაცხადი, როგორი უთავბოლოც - მისივე ეს „რწმენა“. ცარიელი ზმანებები გამოსჭვიოდა ყოველ მის მოძრაობაში - ის ზმანებები, სისხლხორცეულ ადამიანებად

რომ ინიღბებოდნენ. „ღმერთმანი, ახია ჩემზე!“ - საკუთარ თავს ამუნათებდა ფარიშტა. - „ვიფიქრე, ვაფრენ-მეთქი და ეშმაკმა უწყის, ქვეცნობიერის რა ჯურღმულებიდან გამოვიძახე ეს ენააქაფებული და ვაითუ, ყოვლად სახიფათო არსება...“

- არაფერიც შენ არ იცი! - უცებ აყვირდა მასლამა და ფეხზე წამოხტა. - ყალთაბანდი ხარ, ტაკიმასხარა და ყალბისმქმნელი! - ეკრანის უკვდავება ვარ, ასერთი ღვთაების განსახიერებაო - გაიძახოდი და სინამდვლეში, არაფრის აზრზე არა ხარ! აბა როგორ მოხდა რომ მე, გაიანადან ჩამოსული ერთი ვიღაც საწყალი ბიჭი იმის ცოდნას ვფლობ, რაც თვით ჯაბრაილ ფარიშტასაც კი არ დასიზმრებია? ფუი შენ და ნაფუარი!

ჯაბრაილი წამოიწია, მაგრამ მის ამ უცნაურზე-უცნაურ თანამგზავრს ლამის იყო, მთელი კუპეს სივრცე დაეპყრო და გვერდზე მოუწია გადახრა, მასლამას ჰაერში მორიალე მუშტებთან ცხვირ-პირით შეხლა რომ აერიდებინა თავიდან; თუმცა ერთმა (მგონი, მარცხენამ) მაინც გასდო და ის ნაცრისფერი ქუდიც გადააძრო თავიდან. იმავ წამს, მუშტის პატრონს გაოცებისგან ყბა ჩამოუვარდა, თითქოს ტანში დაპატარავდა კიდეც, მერე კი ხმაურით დაებერტყა მუხლებზე.

„რა ეშმაკები უნდა?“ - გაიკვირვა ჯაბრაილმა. - „რა, ქუდი უნდა დამაწეროს?“

ოღონდაც ის ახლა ბოდიშებად იღვრებოდა და აქეთ უწვდიდა თავსაბურავს.

- თქვენი გარდამოსვლის მისხალი ეჭვიც არასოდეს გამჩენია, გეფიცებით! შემინდეთ ეს ჩემი უაზრო გამოხდომა...

მატარებელი გვირაბში შევიდა და ჯაბრაილმა უცებ შენიშნა, როგორი ნაზი, ოქროსფერი ნათება იღვრებოდა მის თავსზემოდან. გასაწევი კარის შუშაში კი საკუთარი თმის გარშემო დადებული შარავანდედი აირეკლა.

მასლამა უკვე ფეხსაცმლის თასმებს ებრძოდა.

- მთელი ჩემი ცხოვრება ვიცოდი, რომ რჩეული ვარ... - ახლა ისევე ცხვარივით ბღაოდა, როგორც რომ სულ ცოტა ხნის წინ ბდღვინავდა ლომივით. - ბავშვობიდანვე. ეჭვიც არ შემპარვია... - მარჯვენა წუღა გაიძრო და ახლა წინდას ექაჩებოდა. - ღვთიური ნიშატი მომეცა... - როგორც იქნა, წინდაც წაიძრო და ერთის შეხედვით, სრულიად ჩვეულებრივი (უჩვეულო ზომა-სიდიდეს თუ არ ჩავთვლით) ტერფი გამოაჩინა. მერე კი ჯაბრაილმა უნებლიედ, თითებზე დახედა, გადათვალა და... ისევ გადათვალა: ექვსი იყო, ნამდვილად. - მეორე ფეხზეც იგივე მჭირს, - ამაყად დასტურჰყო მასლამამ. - ამის მნიშვნელობაში წამით არ შემიტანია ეჭვი.

ღვთის თვითმარქვია შემწე, მეექვსე თითი სამყაროული არსის ტერფზე. რაღაც ფარცაგი შემთხვეოდა პლანეტის სულიერ ცხოვრებას, ადამისძეთა შიგან მეტისმეტად ბევრი ეშმა გაიძახოდა ღვთის სადიდებელს...

შემადგენლობა გვირაბიდან ამოყურყუმალავდა და ჯაბრაილმაც გადაწყვეტილება მიიღო:

- აღსდექ, ექვსთითა ჯონ! - ინდური კინემატოგრაფიის საუკეთესო, მაღალ შტილში წარსთქვა. - აღსდექ და ვიდოდე!

და ისიც წამოდგა, თავდახრილი, ფეხისთითებს ათამაშებდა, ნერვიულად.

- ერთი რაც მინდა ვიცოდე, ჩემო ბატონო, - წაიბურტყუნა. - რა გველის? მოსპობა თუ გადარჩენა? რაისთვის გარდამოხვედით?

ჯაბრაილი სიტყვას წონიდა:

- განსასჯელია ყველაფერი, - თქვა ბოლოს, მძიმედ. - ფაქტები უნდა გადაირჩეს, ყოველივე pro და contra კარგად აიწონოს... სრულიად ადამიანთა მოდგმაა განსასჯელი, მოპასუხეს კი ნამსახურეობის სია არ უვარგა, ლაყეა კვერცხი. ამჯერად, განაჩენის გამოტანა გადადებულია. საბოლოოს და განუსაჩივრებელს კი სათანადო დროს მოგახსენებთ. ახლა კი ჩემი მუნყოფნა საიდუმლოდ უნდა დარჩეს, უსაფრთხოების სასიცოცხლო საჭიროებისამებრ.

დაასრულა და ქუდი თავზე დაიკოსა, საკუთარივე თავით ნაამებმა.

მასლამა კი მთელის სიშმაგით უქნევდა თავს.

- ჩემი იმედი გქონდეთ, - დაიქადნა. - სამარე ვარ!

ჯაბრაილმა ფართხა-ფურთხით დატოვა კუპე, ზურგში კი იმ შლეგი კაცის აღვლენილი ქებათა-ქებანი მოსდევდა - ა-ლელ-ლუია! ა-ლელ-ლუია! - ასე ჩანდა, მისი ეს ახლადდამოწაფებული მიმდევარი ახლა ჰენდელის „მესიადან“ ირჩევდა საგალობლებს, მაგრამ ვიდრე შემადგენლობის ბოლომდე გააღწევდა, ეს ხმაც მიწყდა.

ასე იყო თუ ისე, ჯაბრაილმა ყოველგვარი ოსანას გარეშე გაატანა ბოლოში, სადაც ბედად, პირველი კლასის კიდევ ერთი ვაგონი ეგულებოდა. აქ კუპეები არ იყო, მაგიდების გარშემო ოთხ-ოთხი, ნარინჯისფრად დაშალითებული სავარძლები შემოეწყოთ და ისიც ფანჯარასთან მოყუჩდა, ქუდი შუბლზე ჩამოიფხატა და ჯერ კიდევ გულისცემააჩქარებულმა, ლონდონისაკენ ჰქნა მზერა. ჯერ შეეცადა შარავანდის არსებობის ვერუარსაყოფ ფაქტს მაინც შეჰგუებოდა, მაგრამ თუნდაც უკან მოტოვებული ჯონ მასლამას სიხელე და ჰალელუია კონის წინდასახვედრი ვნება მის ფიქრთ გართვას უშლიდა ხელს; მერე იყო და ბუხარულ ხალიჩაზე მორჭმით მჯდომარე რექჰა ფარდაგოსანმა ჩაუფრინა ზედ ფანჯარასთან, ვინაც საერთოდ არას დაგიდევდათ მის გარეშემო ატეხილ ქარბუქს, ლამის მთელი ინგლისი დღის პროგრამადამთავრებულ და ჯერაც გამოურთველ ტელევიზორის ეკრანს რომ დაამსგავსა. ამ სანახაობამ მცირედ კი შეაკრთო ფარიშტა, თითქოს იმედმაც განელება უწყო... არა, მაინც როგორია - მფრინავ ხალიჩაზე დასკუპებული სასჯელი, სამაგიეროს მიზღვა... თვალები დახუჭა და შეეცადა, აკანკალებული სხეული დაეოკებინა.

* * *

- აჩრდილებისა მე მკითხეთ, - ჰალი კონიმ წამოჩიტულ გოგონათა სასოებით გასხივოსნებული სახეებით სავსე საკლასო ოთახს მოავლო თვალი. - მაღალმთიან ჰიმალაებში ხდება ხოლმე, რომ ალპინისტებს იმათი ნაღვლიანი აჩრდილები აედევნებიან, ვინაც ასვლისას განიცადა მარცხი, ან იმათი ამაყი სულები, ვინაც კი ააღწია მწვერვალს, მაგრამ დაშვებისას დაუცდა ფეხი...

გარეთ თოვლი ედებოდა მაღალ, ფოთოლშემოძარცულ ხეებსა და ხელოვნური ტყე-პარკის სანახებს. თოვლის მრუმე, დაბლა-დაბლა მიმცურავ ღრუბლებსა და ქალაქს დაფენილ თეთრ ხალიჩას შორის თალხ-ყვითელი ნათელი იჩითებოდა - მღვრიე ფერის წვრილ-წვრილი სხივები, გულისმომწურავი და ნებისმიერ ოცნებათა ადგილზევე მომაშთობელი. იქ, ზემოთ - გაიფიქრა ჰალიმ, - რვა ათასი მეტრის სიმაღლეზე, სინათლე ისეთი კამკამაა, ისეთი კრიალა - თითქოს თრთის, დაფარფატებს, მუსიკასავით რეკსო. აქ კი, დაბლობზე, სინათლეც გაცრეცილი და დამიწებული უჩანდა; არაფერი არ ფრიალებდა, ფოთლები ჭკნებოდა და ჩიტის თუნდაც ეული ჭიკ-ჭიკიც კი არ მოისმოდა საიდანმე. მალე დაბინდდებოდა კიდეც.

- მისს კონი? - გოგონების ზეაწეულმა, მოქანავე ხელებმა ჰალის გონება საკლასო ოთახში დააბრუნა. - მოჩვენებები? ნამდვილი სულები? იქ, ზემოთ? გვაბოლებთ, არა? - მათ თვალებში უნდობლობა აღტაცებას ებრძოდა.

მშვენივრად იცოდა, სინამდვილეში რა კითხვაც უტრიალებდათ ენაზე, ოღონდ თავად ეს კითხვა ვერ შეებედათ: მაინც რა კანი ჰქონდა ამისთანა? აკი საკლასო ოთახში შესვლისთანავე მისწვდა მის სმენას მათი აღელვებული ჩურჩული: ჩუ-უ! ნახე, მართლა რა ფერმკრთალია... არ არსებობს! ჰალელუია კონის ყინულოვნება რვაათასი მეტრის სიმაღლეზე მზის პირდაპირ დასხივებასაც კი უძლებ-

და. ფიფქია ჰალე, ყინულის დედოფალი. მზე მართლა არასოდეს გეკიდებათ, მისს? როცა შვიდ კაცთან ერთად ავიდა ევერესტზე, გაზეთებმა ეს „ფიფქიასა და შვიდი ჯუჯას ექსპედიციად“ მონათლეს, თუმცა თავად არცთუ მთლად დისნეის ნახატს გავდა: ტუჩები უსისხლო ჰქონდა და არა ვარდისფერი, თმა - ფერფლისფერი და არა ყორნისფერი, თვალები - არა ფართოდ გახელილი, არამედ უკვე ჩვევადქცეულ-მოწკურული, თითქოსდა ახლაც მაღალმთიანეთის თოვლს გასცქერისო. უცებ, სრულიად მოულოდნელად, ჯაბრაილ ფარიშტა მოაგონდა - იმ სამდღენახევრიდან რომელიღაც წუთს, ენა რომ არ უჩერდებოდა პირში: „ჩემო კარგო, რის აისბერგი შენა მყავხარ - ვინც არ უნდა თქვასო და ცეცხლი ხარ ნამდვილი, ბიბი, ცხარე კაშორი...“ მერე ვითომ დამწვარ თითებს უბერავდა, ადგილზე დახტოდა და გაიძახოდა - ცხელია, ცხელი - მთლად დავიფუფქე! ჯაბრაილ ფარიშტა. თავი ხელში აიყვანა: ჰეი-ჰო! ჰეი-ჰო! სამუშაოდ გავდივართ!

- დიახ, აჩრდილებიცა და მოჩვენებებიც, - თქვა მკაცრად. - ევერესტზე, ერთ ნაზვავში რომ გავიარეთ, სიპ ქვაზე ლოტოსის პოზაში მჯდარი კაცი დავლანდეთ - თვალები მიელულა და ძველისძველ მანტრას დუდუნებდა: ომ მანი პადმე ჰუმ.

თავზე დაკოსებული, გაცრეცილი შოტლანდიური ბერეტითა და ამ უცნაური ქცევის მიხედვით იაზრა, მორის უილსონის აჩრდილიაო - შორეულ 1934-ში ეს უჯიათი ვინმე მარტო ეპირებოდა ევერესტზე ასვლას და ამისთვის, თავის გურუ იოგთან ერთად სამი კვირა შიმშილობდა, რათა ხორცი და სული ისე შენივთებოდა, ამ მთასაც ვეღარ შესძლებოდა მათი განცალკევება.

ეს შლეგი ერთადგილიანი აეროპლანით იმდენზე ავიდა, რამდენზეც ძრავამ მისცა საშუალება, მერე კი ძალით მოახდინა ავარია - შედარებით მოსწორებულ ადგილას, ღრმა თოვლში და ფეხით გააგრძელა გზა მწვერვალისაკენ. მეტი ის არც აღარავის უნახავს.

ჰალეს მოახლოებაზე უილსონმა თვალები გაახილა და თავის ოდნავი დაქნევით მიესალმა. მთელი ის დღე მასთან ერთად გაატარა: ან გვერდით მიყვებოდა, ან ჰაერში გამოკიდებული ადევნებდა თვალს, როცა ქალი ციცაბოზე მიიწევდა ზევით; ერთხელაც კიდე მუცელზე გაწვა და თითქოს ანტიგრავიტაციული ძრავა ჰქონოდა ჩართული, ისე გასრიალდა ყინულის დამრეც ფერდობზე. ჰალე, როგორც რომ ძველ ნაცნობს გადაყროდა სადმე ქუჩაში, სრულიად ჩვეულებრივად აღიქვამდა ამ მოვლენას - რაც მისთვისვე ბოლომდე ამოუხსნელი დარჩა.

უილსონი არც ლაყბობაზე იყო უარს: „ამ ბოლო დროს არც ისე ბევრი ამოდის ხოლმე აქეთ, კაცი რომ დაემგზავროს...“ - და სხვათა შორის, დიდი უკმაყოფილება გამოთქვა ჩინელების 1960 წლის ექსპედიციასთან დაკავშირებით, რომელთაც მისი გვამი აღმოუჩენიათ: „ეს ყვითელკანიანი ჯუჯები ისე დამესიენ, როგორც ჭიანჭველები თაფლს და სურათების გადაღებაც კი დამიპირეს!“ ერთადერთი, რაც მართლაც გამაოგნებელი ეჩვენა კონის, აჩრდილის მკვეთრად შავყვითელ ფერებში გადაწყვეტილი ბრიჯები გახლდათ...

ყველაფერ ამას აქაურ ქალთა სკოლის აღსაზრდელებს მოუყვა: იმდენჯერ მოსწერეს წერილი თხოვნით - გვესტუმრეთ რა, ბოლობოლო, ხომ სულ აქვე ცხოვრობთო - უარი ვეღარ უთხრა. ახლა კი საკლასო ოთახის ფანჯრიდან გაჰყურებდა საკუთარი ბინის აივანს, რაღაცნაირად გადღაბნილად რომ მოჩანდა დათოვლილი პარკის იქით.

ოღონდ აი, რის თაობაზეც არაფერი უთხრა გოგონებს: რამდენად გამოწვლილვით აღუწერდა მორისი საკუთარი ასვლის ამბებსა თუ სიკვდილისშემდგომ აღმოჩენებს - თუნდაც იეტთა შეუღლების ნელ, განუზომლად ფრთხილსა და ყოვლად არანაყოფიერ წესსა და რიგს, რომლის მოწმეც სულ ცოტა ხნის წინ თავად გამხდარა მწვერვალის სამხრეთ უნაგირზე... საქმე ისაა, რომ მაშინვე იაზრა - 1934-ში დაღუპული ამ შერეკილის ხილვა, რაღაცით რომ თავად წააგავდა

თოვლის კაცს და რომელმაც პირველმა სცადა „მსოფლიოს ჭერის“ მარტოკა დალაშქვრა - სულაც არ გახლდათ შემთხვევითი, არამედ ერთგვარ სანიშნეს წარმოადგენდა სულიერი ერთობის დასტურსაყოფად; ანთუ სულაც მომავლის გზამკვლევი იმ ფარულის გასამჟღავნებლად, რაიც ჰალელუია კონის იმთავითვე ჩასახვოდა: ეული ასვლა ევერესტზე. ბოლო-ბოლო, ხომ არც ის იყო გამორიცხული, მორის უილსონი სულაც მისი სიკვდილის ანგელოზი გამომდგარიყო...

- აჩრდილებზე იმიტომაც მინდოდა გაგსაუბრებოდით, რომ მთამსვლელთა უმრავლესობას ეჩოთირება ამ თემაზე ლაპარაკი და ამჯობინებს, საერთოდ არც მოიხსენიოს ამგვარი შეხვედრები. მე კი ვაღიარებ - ისინი არსებობენ! ვაღიარებ იმისდა მიუხედავად, თავად რომ მიწაზე მყარად მიდგას ორივე ფეხი...

ჩემი ფეხები. სასაცილოც კია, სატირალი რომ არ იყოს. ჯერ კიდევ ევერესტზე ასვლამდე მწარედ წამოსტკივდებოდა ხოლმე და მისმა თერაპევტმა, დ-რმა მისტრიმ - სავსებით ჭკუადამჯდარმა ბომბეელმა ქალმა უთხრა, „თაღები“ გაქვს დაბალიო: მაგას მარტივად, ჩვენში ბრტყელტერფიანობას ეძახიან. დაბადებიდან ასე დაჰყოლია თურმე და მერე და მერე, უქუსლო სპორტული ფეხსაცმელების მიჩვევამ უარესი უქნა. ქ-ნმა მისტრიმ ბევრი ვერაფერი ურჩია - ფეხისთითების გავარჯიშება, ფეხშიშველა აღმართ-აღმართ სირბილი, ქალისთვის შესაფერისი, წესიერი ფეხსამოსის შერჩევა... „ჯერ სავსებით ახალგაზრდა ხართ და თუ თავს გაუფრთხილდებით, არც არაფერი გიჭირთ. აი, თუ მართლა ფეხებზე დაიკიდებთ ყველაფერს, ორმოცისა უკვე ხეიბარი დარჩებით!“ - სწორედ ასე უთხრა. როცა ჯაბრაილმა - ეშმაკმა წაიღოს მისი თავ-ფეხი! - გაიგო რომ ამგვარად დაავადებული ფეხებით ასულიყო ევერესტზე, სულ „ჩემი პატარა პინგვინი“ უძახა. მერე ქალთევზას ზღაპარი გაახსენდა, ოკეანე რომ მიატოვა და კუდის ფარფლის ნაცვლად, ადამიანის ფეხები გამოიბა - იმ კაცის გუ-

ლისთვის, ვინც გულით უყვარდა. ოღონდაც ახლა ხომ ყოველი ნაბიჯი სატანჯველად გახდომოდა, თითქოსდა შუშის ნამსხვრევებზე დაიარებოდა და მაინც ვიდოდა - შორს წყლის სიღრმეებიდან, ხმელეთის სიღრმეში... შენ ეს იმ ოხერი მთის გულისათვის ჩაიდინე, - უთხრა. - ოღონდ კაცისთვის თუ გააკეთებდი იგივეს?

ეს თავისი დაბალთაღიანობის ამბავი გუნდის წევრებს დაუმალა - იმდენად დიდი იყო მთაზე ასვლის ჟინი. ოღონდ დღესდღეობით ტკივილი არათუ არ გამქრალა, მგონი მატულობდა კიდეც. მოკლედ, ფეხების თანდაყოლილი ზადი ექცა სწორედ მძიმე ხუნდებად. „მორჩა თამაშა“, - გაიფიქრა ალემ. - „საკუთარმა ტერფებმა დამაღალატა“. - ახლა რკინის ხუნდებითა თუ თოკით დაბორკილი ფეხების სურათი მუდამ თან სდევდა, სიზმრებშიც კი.

ყვითელი ჯუჯები- აეკიდა უილსონის აჩრდილის ნათქვამი. - ზოგისთვის რა ადვილია ცხოვრება! - თან სლუკუნებდა, ჯაბრაილ ფარიშტას მკლავებში თავჩარგული, - რატო იმათ არ ჩამოურიგებენ ეგეთ უვარგის ფეხებს?! ახსოვს, როგორ აკოცა მაშინ ჯაბრაილმა შუბლზე: შენთვის ეგ მუდმივ სატანჯველად დარჩებაო, ასე უთხრა. - მეტისმეტად ბევრს ითხოვ...

მთელი კლასი გასუსული იჯდა, აჩრდილებსა და სულებზე საუბრით დაინტრიგებული. ახლა კი მაგ ამბის მოსმენა სურდათ, მისი ამბის. თავად უნდოდათ მწვერვალზე დგომა. განა თუ გესმით როგორია, როცა მთელი შენი ცხოვრება, მეყვსეულად, სულ რაღაც რამდენიმე საათით ისაზღვრება? თუ გესმით ეს რას ნიშნავს, როცა ერთადერთი სავალი გზაღა გრჩება - მხოლოდ ქვევით?

- რიგით მეორე წყვილში ვიყავი ჩაბმული, შერპა პემბასთან ერთად, - უყვებოდა მშვიდად. - მშვენიერი ამინდი იდგა, საუკეთესო. ცა ისე მოკრიალებულიყო, თითქოს მზერა იმის იქითაც აღწევდა, სადღაც მიღმეთში. პირველი წყვილი ალბათ უკვე მწვერვალზეა-მეთქი, - ვუთხარი პემბას. თუ ასეთი ამინდი გაგვიგრძელდა, არც არაფერი გვიჭირს-მეთქი. პემბა უცებ მოიღუშა და გამიკვირდა კიდეც - აქამდე

ექსპედიციის მთავარ მასხარად ეგ იყო ცნობილი და რამე რომ იყოს, არც რომელიმე მწვერვალზე შეუდგამს მანამდე ფეხი. საქმე ის იყო, ჟანგბადის ბალონის გამოყენებას არ ვაპირებდი - ერთი აზრი ამეკვიატა, ყოვლად სულელური და პროფესიული თვალსაზრისით, სრულიად მიუღებელიც კი: უცებ მომინდა მართლა ქალივით მოვჯდომოდი ამ ოხერ მთას, ლაჯებქვეშ ამომედო და არა ასე - რაღაც სასუნთქი ხელსაწყოსავით ვმდგარიყავი ზედ. პემბამ კი გამაფრთხილა, არ ქნა ეგრე, ალი-ბიბი, მაგრამ ყურიც არ ვათხოვე და ასვლა განვაგრძე. ამასობაში, იმ პირველ წყვილს ავუქციეთ გვერდი, უკვე ქვევით რომ ეშვებოდა: თვალებში რაღაც არაჩვეულებრივი, არამიწიერი ნათება ჩასდგომოდათ და ვერც კი შეამჩნიეს, არავითარი ჟანგბადის ნიღაბი რომ არ მეკეთა პირზე. ანგელოზებს უფრთხილდითო, - ერთი ესღა გადმოგვძახეს. პემბა კარგ ტემპში მიაბიჯებდა და მეც სწორად ავყევი - შესუნთქვა-გამოსუნთქვა, დაყოვნება; შესუნთქვა-გამოსუნთქვა, დაყოვნება... თითქოს რაღაც ზედმეტი ამეხსნა თავის ქალიდან და ფართოდ მეღიმებოდა, ლამის ყურამდე გამხეოდა ტუჩები, და რამდენჯერაც პემბამ გადმომხედა, იმდენჯერვე იმასაც იგივე გამომეტყველება ედო სახეზე - თითქოს ტკივილისაგან იღრიჭებაო, მაგრამ სინამდვილეში, ეს უბრალო ღიმილი იყო, სიხარულის ყოვლად სულელური გამოვლენა. აი, მაშინღა ვიაზრე რომ მე, ქალმა, მძიმე ფიზიკური ძალისხმევის შედეგად მივაღწიე გარდასახვას, სულიერ გასხივოსნებას, როცა ამ ლამის ცხრაათასმეტრიანი, მარადდათოვლილი, თავმოყინული კლდის წვერისაკენ მივიწევდი...

- და სწორედ მაშინ, - უთხრა მისი ამ აღმასვლის თანამონაწილე, თითოეული ნაბიჯის თვალგაფაციცებით შემყურე გოგონებს, - ყველაფერიც ვირწმუნე: რომ სამყაროს საკუთარი ხმიანობა აქვს, რომ შეგიძლია კრეტსაბმელი გადახსნა და ღმერთის სახე იხილო, მოკლედ - ყველაფერი... ვხედავდი ჩემს ფეხებქვეშ

გართხმულ ჰიმალაებს, და ესეც ღვთიური ხატება გახლდათ. ამ დროს ეტყობა პემბამ შემატყო რაღაც, რადგან ხაფი ხმით დამიყვირა: ფრთხილად, ჰალე-ბიბი - აქ უკვე მწვერვალია! მახსოვს, რომ ბოლო ლავგარდანზე თითქოს მივცურავდით - ზედ მთის წვერისაკენ და მერე იქ აღმოვჩნდით, სადაც ყოველი მხრით მიწა ირღვეოდა ჩვენს წინ, უკან, გვერდით... და სინათლე: მთელი სამყარო, ამ ნათელში განბანილი. მინდოდა ტანსაცმელი შემომეძარცვა და ჩემი შიშველი სხეულიც მიმეშვირა მისთვის, ჩემი კანიც გამებანა მის სხივებში... - ჩქამიც არ გაისმა კლასში, არცა ვისმე ჩაფრუტუნება, არცა ფხუკუნი: ახლა ისინიც შიშველნი როკავდნენ მასთან ერთად, სამყაროს სახურავზე. - და ხილვებიც სწორედ მაშინ დამეწყო: ერთმანეთში ჩაწნული ცისარტყელები რიალებდნენ ცის კაბადონზე; ნათება წყალვარდნილივით ეშვებოდა ქვემოთ და ანგელოზთა მთელი დასიც ვიხილეთ! მოკლედ, ის წინა წყვილი არ ხუმრობდა - მეც ვნახე და პემბამაც ნახა. მუხლმოდრეკილნი ვიდექით და ვხედავ, თვალის გუგები სულ მთლად გათეთრებია - ალბათ ისევე როგორც მე და ნაღდად სამუდამოდ იქვე დავრჩებოდით ორივენი, თოვლის სიბრმავის ავადობაშეყრილნი და გონსგადასულნი, ოღონდ ამ დროს რაღაც ხმა მესმა: მქუხარე, საზარელი, ქვემეხის გასროლასავით; იმან გამომაფხიზლა, პემბას ვუყვირე და ისიც გონს მოვიყვანე, დაშვება დავიწყეთ. ამინდი თვალსა და ხელსშუა იცვლებოდა და მალე ქარბუქი წამოგვეწია. ჰაერი დამძიმდა, ჩამობნელდა; ნათლისა და ჰაეროვნების ნაცვლად, ახლა სიმძიმე და ბნელეთი გვეხვია ირგვლივ. მუხლჩახრილები, ხელების ცეცებით, ლამის ოთხით მივიწევდით წინ და ძლივას ჩავაღწიეთ 27.000 ფუტის სიმაღლეზე „გაშლილ“ მეექვსე, საიერიშო ბანაკამდე (ერთი პატარა კარავი იდგა, ეგ იყო და ეგ). მეტი რაღაა მოსაყოლი? მთელი ღამის განმავლობაში თვალი არ მოგვიხუჭავს არცერთს, ოღონდ ბევრს მაინც ვერ ილაპარაკებდი იქ, მაღლა და მხოლოდ ჩვენ-ჩვენს ევერესტს ვიხსენებდით ოთხივე. ერთი ეგ ვიკითხე: ის მაინც რა ხმა იყო, გაისროლა-მეთქი

ვინმემ? ისე შემომხედეს, როგორც მთლადდარტყმულს - აბა ვინ ეშმაკი ჩაიდენდა ეგეთ რამეს და საერთოდ, ქვემეხს თუ ზარბაზანს აქ რა უნდა, ჰალე? - მეუბნებიან. ცხადია მართლებიც იყვნენ, მაგრამ მე ხომ ნაღდად გავიგონე, არ მომეყურა: ბუჰ! და კიდევ - ექოს გამოძახილი... ეგრეა, - მოსხიპა უცებ. - ეგაა მთელი ჩემი ცხოვრების ამბავი. - თქვა და ვერცხლისბუნიკიან ხელჯოხს დასწვდა, წასასვლელად. კლასის დამრიგებელმა, ქ-ნმა ბარიმ ნაბიჯიც კი წადგა წინ, აშკარად რაიმე ჩვეული, გაცვეთილი ბანალობის წარმოთქმა სურდა მაგრამ გოგონები ყაბულს არ იყვნენ ასე იოლად გაეშვათ ხელიდან საკბილო: და რა იყო ეს, მისს კონი? მან კიდე, თავის ოცდაცამეტ წელს თითქოს მთელი ათეულით ხანმომატებულმა, მხოლოდღა მხრები აიჩეჩა.

- აბა რა გითხრათ, - თქვა მშვიდად. - ალბათ ისევ იმ ჯამბაზი უილსონის ნამოქმედარი თუ იქნებოდა.

ოთახიდან გავიდა და სიარულში ხელჯოხს ეყრდნობოდა, მძიმედ.

* * *

ქალაქი: ნაღდი ლონდონი, იაარ - არავითარი შემოგარენი და ეგეთები - მთლად თეთრად შემოსილიყო, როგორც რომ მართლმორწმუნე მაჰმადიანი გლოვის ჟამს. ბაბო გყამს? - გაუელვა თავში. - რის გლოვა ძმაო, რა თავში ხელების წაშენა, მე - ჯაბრაილ ფარიშტა, მხოლოდ იმედითა და რწმენით ვარ სავსე... ვიქტორიას სადგურს რომ უწია მატარებელმა, მის ბოლომდე გაჩერებას არც დაელოდა, ისკუპა და ფეხი ცუდად დადგა, ამოუტრიალდა და მომლოდინე ლონდონელების დამცინავ ღიმილთა თანხლებით, საბარგო ურიკებს ქვეშ შეძვრა თავისივე დაქოთე-

ბული ქუდის ბორბლებსქვეშიდან გამოსაღებად. რექჰა ფარდაგოსანი არსად ჩანდა, ამიტომაც ბრბო გაარღვია და დაფეთებული გავარდა მხოლოდ იმისთვის, ზედ ტურნიკეტის გვერდით რომ დაელანდა, ნოხზე ფეხმორთხმული, სამი ფუტის სიმაღლეზე, სხვათა თვალთაგან დაუნახავი.

- რა გინდა, რას გადამეკიდე? - წამოიყეფა.

- შენი სრული დაცემა მინდა ვიხილო, - იყო პასუხი. - მიმოიხედე ერთი, ჩემის წყალობით უკვე ყველა ისე გიყურებს, როგორც რომ საგიჟეთიდან გამოქცეულს.

ხალხი მართლა უფრთხოდა და გვერდს უვლიდა უზომოდ დიდ პალტოსა და დაჭმუჭნილ ქუდში გამოწყობილ ამ ფეთიანს, და რომელიღაც ბავშვმაც კი აღნიშნა - ნახე-ნახე, ძია საკუთარ თავს ელაპარაკება!.. დედამისმა კი დაუცაცხანა - ჭკუასუსტების დაცინვა აბა, როგორ იქნებაო. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ლონდონს. ჯაბრაილ ფარიშტა მეტროში ჩასასვლელი კიბისაკენ გაქანდა, რექჰამ კი ხელი ჩაიქნია, ვითომ.

ოღონდ ჩრდილო ბაქანს რომ მიაღწია, ისევ დაინახა: ამჯერად ფერად ფოტოდ დახვდა ლიანდაგების იქით, კედელზე გაკრულ 48-გვერდიან სარეკლამო აბრაზე, საერთაშორისო ავტომატური სატელეფონო კავშირის ღირსებებს რომ აქებ-ადიდებდა. თქვენი ხმა მფრინავ ხალიჩას გაატანეთ ინდოეთში! - რჩევას იძლეოდა, პირმოღიმარი. - აღარც ჯინის გამოძახება გჭირდებათ, არც ლამპრის ხეხვა! ისეთი ყვირილი ამოუშვა პირიდან, ისევ დააფეთა ყველანი და ახლა სამხრეთ ბაქანზე გავარდა, სადაც ის-ის იყო, შემადგენლობა ჩამოდგა; შეხტა და რას ხედავს - რექჰა ზის თავისთვის, მუხლებზე სათუთად დახვეული ნოხი უდევს. ამ დროს კი კარებიც ჯახანით დაიკეტა მის ზურგს უკან.

იმ დღეს საბრალო ჯაბრაილმა ლონდონის მეტროს ლამის ყველა განტოტება მოიარა, მაგრამ რექჰა ვერანაირად ვერ ჩამოიცილა, ჭედვაშიც კი მაინცადამაინც მის გვერდით აღმოჩნდებოდა

ხოლმე და ისე ეკვროდა, სიცოცხლეში რომ თავად ჩათვლიდა უსირცხვილოდ. სადაც კი მატარებელი მიწისზემოთ გაივლიდა, იქ საკუთარი შვილების მოჩვენებებს ყრიდა მაღალი ხეების ვარჯებიდან, ხოლო ინგლისის ბანკის ნეოკლასიკური სტილის ფრონტონიდან უკვე თავადაც ისკუპა ყოვლად თეატრალურად. ჯაბრაილს წარმოდგენაც არ ქონდა ქალაქთაგან ამ მართლაცდა ქამელეონისდაგვარად ცვალებადის ჭეშმარიტ სახეზე, ისეთი გრძნობა გაუჩნდა რომ ლონდონი აქ და ახლაც იცვლიდა გარეგნობას - როცა თავად ერთი სადგურიდან მეორეში, ერთი ხაზიდან მეორეზე გადადიოდა, ყოვლად შემთხვევით არჩევანთა თანამიმდევრობით. არა, მაინც რამდენჯერ იყო რომ აქოშინებულმა, გარეთაც გამოაღწია ამ მიწისქვეშეთიდან, სადაც უკვე აღარც დროისა და აღარც სივრცის კანონებს ძალა არ ქონდათ და ცდილობდა, ტაქსი დაეჭირა; ოღონდ კაციშვილი არ უჩერებდა და ისევ იმ ეშმაკეულ ლაბირინთებში უწევდა დაყვინვა ამ ლამის ეპიკური ხეტიალის გასაგრძელებლად. ბოლო-ბოლო, არაქათგამოცლილი და სასოწარკვეთილი, საკუთარი სიგიჟის ალჩუთოხანის საბედისწერო ლოგიკას მიენდო და ამ გრძელი, ყოვლად უაზრო მგზავრობის რომელიღაც, მისი ვარაუდით, ბოლო სადგურზე ჩამოვიდა - გამოჯანმრთელება-განახლების ქიმერის საძიებლად; იქიდან კი გარეთ, სატრანზიტო სატვირთოებით გადავსებულსა და ნაგავმიყრილი ქუჩის გულისგამგმირავ გულგრილობაში. უკვე ბინდბუნდში, ფეხათრევითა და ყოველგვარ იმედგადაწურული, ვოლფრამის ნათურების ექტოპლაზმური სინათლის წყალობით მთლად აჩრდილ-მოლანდებებით სავსე რომელიღაც პარკში შებოდიალდა. მერე მუხლებზე დაეშვა ამ მიყრუებულ ალაგას და უცებ, ხედავს - ვიღაც ქალი უახლოვდება, ნელა, ზედ დათოვლილ გაზონზე მოაბიჯებს; გადაწყვიტა კიდეც, ესეც ჩემი ნემეზიდა, რექჰა ფარდაგოსანი გამომეცხადა ისევ, სასიკვდილო ამბორსაყოფად -იმავე ქვესკნელში უნდა რომ ჩამი-

ყოლოს, სადაც თავად გაისტუმრა საკუთარი იავარყოფილი სულიო. უკვე აღარც გაქცევის თავი ქონდა, ხელებზე დაემხო და მისი პალტოს კალთებიც, მისივე სხეულის გარშემო ფრთებივით გაშლილი, უცნაური სახეობის გოლიათურ, ოღონდაც მომაკვდავ ხოჭოს მოგაგონებდათ, რომელსაც რომ, რაღაცა მანქანებით, ფეტრის ქუდი ჩამოუფხატია თავზე.

და მაშინ, თითქოს შორიდანო, ქალის ტუჩებიდან გადმომსკდარი, ყრუ ხავილი მისწვდა მის სმენას - დაუჯერებლობის, სიხარულისა და აღშფოთების უცნაური ნაზავი და სანამ გონებასაც დაკარგავდა, ერთი რამეც იაზრა: რექჰას დროებით მაინც მიეცა მისთვის მყუდრო თავშესაფრის ილუზია - რათა ალბათ, მერე უფრო კარგად დაეგემოვნებინა მისი სრული დაცემისაგან მოგვრილი სიამე.

- ცოცხალი ხარ... - სწორედ ის სიტყვები აღმოხდა ქალს, მათ პირველსავე შეხვედრაზე რომ უთხრა. - ცოცხლებში დარჩი, ახლა ეგაა მთავარი.

კარი IV

აიშა

ახლა კი მისი მრავალსერიული ზმანებებიც მასთან ერთად ქცეულან ემიგრანტებად და ქალაქსაც უკეთ ცნობენ; მათი წყალობით კიდე, როუზისა და რექჰას მერე მისივე ზეანგელოსური მეორე „მე“-ს ზღაპრული სამყაროები იმ მარადცვლადი სინამდვილესავით ხელშესახები ეჩვენა, რომელშიც ის ფხიზლად ყოფნის დროს მყოფობს. ახლა, მაგალითად, ჰოლანდიურ ყაიდაზე გაწყობილი ნაგებობის მესერს ჩაუარა კენსინგთონში, მერე - ბარკერების სახელგან-

თქმულ მაღაზიასა და ორმაგფანჯრებიან რუხ შენობას, სადაც თეკერეი წერდა თავის „ამაოების ბაზარს“, და მერე - ქალთა მონასტერს, საცა ერთგვაროვნად გამოწყობილი გოგონები დაწალიკებულნი შედიან მაგრამ არასოდეს გამოდიან იქიდან; შემდეგ - სახლს, სადაც ტალეირანმა გაატარა მოხუცებულობის წლები, რაკიღა როგორც ქვეშევრდომობის, ეგრევე პრინციპების უთვალავჯერ შეცვლა-გამოცვლის მერე, ვითომც საფრანგეთის წარმომადგენლის წოდებაც მოირგო; და ბოლოს, იმ შვიდსართულიან შენობასაც მიადგა, რომლის მეოთხე სართულზე, მწვანედ შეღებილ რკინის რიკულებს იქით, მძიმე ფარდებით დაბურული ფანჯრების მიღმა, მუდამ უძილო, წვერიანი, თავზე დოლბანდმოხვეული მოხუცი ზის და მქრქალ-მოყვითალო სინათლეზე, მომავალს გასცქერის...

განა ვინაა? დევნილი. და უმორჩილესად გთხოვთ, იმ სხვა ცნებებში ნუ აურევთ, რომელთაც უმეცარნი მარჯვნივ-მარცხნივ არიგებენ დაუფიქრებლად: émigré, ექსპატრიანტი, ლტოლვილი, იმიგრანტი... დუმილი, მახვილგონიერება, დევნილობა; ეს უკანასკნელი კი ოცნებაა თეთრ ცხენზე ამხედრებულის მობრუნებაზე. ისტორიის შემობრუნება: ელბა, და არა წმ. ელენეს კუნძული. ეს უკვე უსასრულო პარადოქსია: მომავლის ხედვა წარსულისკენ მიმართული მზერით. დევნილი კაცი ჰაერში გამოკიდულ ბურთსა გავს - დროში გაყინული, ფოტოსურათად ქცეული; უარყოფილი მოძრაობა, მშობლიური მიწიდან წარმოუდგენლად მაღლა გაშეშებული ელის, როდის გაცოცხლდება ფოტო და მიწაც ისევ თავისაკენ მოუხმობს. აი, ამას ფიქრობს ახლა იმამი. მისი საცხოვრისი ნაქირავები ბინაა, სადგურის მოსაცდელი დარბაზი, ფოტო, ჩაკეტილი სივრცე.

სქელი შპალერი - ნაღებისფერზე დადებული ზეთისხილისფერი ხაზები - უკვე მცირეოდნავ გაცრეცილიყო კიდეც; ყოველ შემთხვევაში იმდენად მაინც, რომ ადრე იქ, სადაც სურათები ეკიდა,

ახლა ჩამუქებული ოთხკუთხეები იკვეთებოდა, რადგან იმამი გამოსახულებებს ვერ იტანს. ბინაში რომ შემოსახლდა, ისინიც უხმაუროდ გაუჩინარდნენ კედლებიდან, მის აღმოუთქმელ რისხვას განსარიდებლად. თუმცა, ზოგიერთს მაინც ერგო მასთან დარჩენის პატივი - მაგალითად, ბუხრის თაროზე რამდენიმე ცალი ღია ბარათია, მისი სამშობლო მხარის ხედებით, რომელსაც ის უბრალოდ, დეშს ეძახის: ერთზე ქალაქის თავზე გადმოყუდული მთაა გადაღებული, მეორეზე - თითქოს უზარმაზარი ხის ქვეშ მოქცეული სოფლის ხედი, მესამეზე - რომელიღაც მეჩეთი. ოღონდაც, მის საძინებელში კიდევ ერთი, ბევრად ძლიერი ხატება კიდია კედელზე - მაღალი, ბერძნულ-პროფილიანი, ყორნისფერთმიანი, ძალამოსილი ქალბატონის, მისი მტრისა და მისი წინააღმდგომის; ამიტომაც ჰყავს გამომწყვდეული, ხელის გაწვდენაზე - ისევე როგორც თავის სრა-სასახლეში, მისი პორტრეტი იმ ქალსა აქვს სამეფო მოსასხამქვეშ ამოდებული, ანთუ ყელზე ჩამოკიდებულ მედალიონში გამოკეტილი. ეს ქალი მეფეთა მეფეა და სახელიც მისი - აიშა! აქ, კუნძულზე, დევნილი იმამია და იქ, დეშში - ის ქალი. ერთმანეთს კი სიკვდილს უმზადებს ორივე.

ფანჯრებზე მძიმე, ოქროსფერი ხავერდის ფარდა ყველა ჩამოფარებულია, რათა ბოროტი არაფერი შემოძვრეს ბინაში - ვთქვათ, სხვა ქვეყანა, განსხვავებული ადათები, უცხო ჩვევები. მკაცრი სინამდვილე: ის აქაა და არა იქ, საითკენაც ყველა მისი ფიქრი თუ ზრახვაა მიმართული. იმ იშვიათ შემთხვევებში, როცა იმამი კენსინგთონის ჰაერის ჩასაყლაპად გამოდის გარეთ, მის გარშემო მზისსათვალიანი და უბეგამობერილი რვა ჯანიანი მამაკაცის მართკუთხედი იკვრება, ის კი ხელისგულებს ატყუპებს ერთმანეთს და მხოლოდ ძირს იყურება, რათა ამ ამაზრზენი ქალაქის - ამ შესაკრებელისა ღვართა არა მწიკვი, არა მისხალი, არა მარცვალი არ მიეკაროს მის სულს - ქალაქისა, რომელმაც უკვე იმით შეურაცხყო, რომ შეიფარა - ამ თანამედროვე ბაბილონის ვნებათა, სიხარბეთა და ცუდმედიდობათა მიუხედავად - და უნებლიეთ, მისი მოვალეც რომ

გახდა. საბოლოოდ, როცა თავისი განდევნილობის ამ უბადრუკ ადგილს მიატოვებს და ზარ-ზეიმით დაუბრუნდება ღია ბარათზე გამოსახულ სანახებს, საამაყოდ ისიც ეყოფა რომ მზერა მისი არ შერყვნილა სოდომის ხილვით, თუმც კი იქ ყოფნა უწევდა და ამიტომაც, ჩირქმოუცხებელი, ლაქადაუდებელი, სპეტაკი დაუბრუნდა სამწყსოს!

კიდევ ერთი მიზეზი, რატომაცაა ფარდები დაშვებული: გარშემო კედლებსაც კი ყურები ასხიათ და არც ყველა თვალი გიყურებს კეთილმოსურნედ. სადღაც, ქუჩის იქითა მხარეს, ნარინჯისფერი შენობის სახურავიდან შესაძლოა ტელესკოპური ჭოგრიტის ლინზებმა გაიბრწყინოს, სადღეღამისო ვიდეომოწყობილობა იყოს ჩართული, ზემგრძნობიარე მიკროფონები ეყენოს... და კიდევ - სნაიპერთაგან მომდინარე მუდმივი საფრთხე. იმამის გარშემო - ზემოთ, ქვემოთ, გვერდით - ყველა ბინა მის ხალხს უკავია; შემოგარენში კი ქალებად გადაცმული მისივე მსტოვრები დაიარებიან, გრძელ სამოსელში გამოწყობილნი და ვერცხლის სამკაულებით დახუნძლულნი; მაგრამ სიფრთხილე ზედმეტი არასოდეს არაა - პარანოია განდევნილთა ხვედრია და ზოგჯერ, გადარჩენისწინაპირობაც.

ერთხელ ეგეთი ამბავიც კი მისწვდა მის ყურს თავისი ფავორიტის, მართლმოქცეული ამერიკელისაგან, ადრე რომ პოპმომღერლად და ახლა კი ვინმე ბილალ იქსად იყო ცნობილი: ერთ ღამის კლუბში, სადაც იმამს წესად ჰქონდა ოპოზიციური ფრაქციების ზოგიერთ წევრთა დასაყურადებლად თავისი ხელქვეითების დაგზავნა, ბილალი მავან ახალგაზრდა კაცს გაცნობია დეშიდან - სახელად მაჰმუდს - ისიც რაღაც მომღერალისდაგვარი გახლდათ და საუბარიც გულითადი გაუბამთ. ეს მაჰმუდი კი მაგარი შეშინებული ჩანდა - სულ ცოტა ხნის წინ ერთ ჟღალთმიან, მაღალ და ფერხორციან ინგლისელ ქალს, რენატას დაახლოებია, რომელიც თურმე ნუ იტყვით და, სავაკ-ის - შაჰისდროინდე-

ლი ირანის სადამსჯელო ორგანიზაციის ყოფილი და ამჟამად ძებნილი მთლად უფროსის ხარჯა ყოფილა ადრე. მოკლედ, ვინმე რიგით ფრჩხილებისმძრობელ და ველოსიპედის მანების ყურში გამრჭობლისა კი არა, მთავარზე-მთავარი ჰარამზადის, თავად უდიადესი პანჯანდრამისა. მოკლედ, დღე არ იყო გასული მას შემდეგ, რაც ეს წყვილი ახალ ბინაზე გადავიდა, რომ მაჰმუდის სახელზე შემდეგი შინაარსის წერილი მიიღეს: კარგი, შე ქაქიჭამია შენა - შენ ჩემს ქალს ხმარობ, მე კი მოკითხვას გითვლი... მეორე დღეს - კიდევ ერთი: დამავიწყდა მეთქვა, აი შენი ახალი ტელეფონის ნომერი-მეთქი, სირო! საქმე ის იყო, რომ ცოტა ხნით ადრე ორივემ ითხოვა მათი ტელეფონი ე.წ. „ექსდირექტორიის“ - არაგასაჯაროებულთა სიაში შეეტანათ და ახალი ნომერი კი ჯერაც არ აეღოთ. სულ რაღაც ორიოდ დღის მერე, როცა ნომერიც მისცეს და ის ერთი-ერთზე დაემთხვა წერილში მოხსენიებულს, საბრალო მაჰმუდს ერთ ღამეში დასცვივდა თმა. დილით, რაც რომ ბალიშზე შერჩა, მობოჭა, რენატას უჩვენა და უთხრა: „კარგო, ქოჩორი ხომ დამაკარგინე და ახლა ჩემი ქაჩალი თავიც არ მიაყოლებინო ზედ - წადი რა... და რაც შეიძლება, შორს!“ ამას რომ მოუყვნენ, იმამმა თავი გადააქნია და თქვა: საბრალო კახპა, ახლა ვინღა მიეკარება მის რაგინდარა მაცდუნებელ ხორცს? ისეთი დაღი დაისვა, მაგას კეთრის შეყრა ერჩივნა... აი, ასე ისახიჩრებენ ადამიანები საკუთარ თავს. ოღონდაც ამა იგავის დედააზრი მაინც ის გახლდათ, რომ რევოლუციის სადარაჯოზე მყოფთათვის ყურადღების მოდუნება არასოდეს ეგების - მუდამ შემართულნი უნდა ყოფილიყვნენ, რაკიღა ლონდონ-ქალაქში ისიც კი შესაძლებელი იყო, სავაკ-ის ყოფილ თავს მჭიდროზე-მჭიდრო კავშირები ჰქონოდა სატელეფონო კომპანიაში, შაჰის ყოფილ მზარეულს კიდე საკუთარი რესტორანი გაეხსნა ჰაუნსლოუს გარეუბანში. მოკლედ, დიდი სალმიანი და გულითადი ალაგია, ყველა ჯურის დევნილისათვის. ასე რომ, დაუშვით ფარდები მრავალბინიანი სახლის მესამე სართულიდან მეხუთის ჩათვლით - ახლა ესაა სულ, რაც იმამს სამშობლო-

საგან შემორჩა. აქ შაშხანებიც აქვთ და მოკლე ტალღებზე მოქმედი გადამცემებიც, ხოლო რამდენიმე ოთახი სავსეა დაკუნთული, ჩაკურატებული ახალგაზრდებით, ერთდროულად რომ ლაპარაკობენ რამდენიმე ტელეფონზე; ოღონდ ვერც ალკოჰოლს მოიძიებთ სადმე, ვერც კამათლებსა თუ ბანქოს ქაღალდს. ერთადერთი, ასე ვთქვათ, ქალიც სწორედ ისაა, მოხუცის საძინებელში რომაა გაკრული კედელზე. ამ რაღაც ხელოვნურ სამშობლოში, უძილობით გატანჯული წმინდანისათვის ცენტრალური გათბობა დღედაღამ ჩართულია და ფანჯრებიც - მჭიდროდ დაგმანული. დევნილობაში არანაირად არ ეგების წარსულის სადიდებელსა და სამომავლოდ აღთქმულ მიწას - დეშს მოდებული მშრალი ხვატის დავიწყება, საცა მთვარეც კი ცხელ-ცხელ, ზეთწვეთოვან ჩაპატის წააგავს და ეტყობა, აქ ახლა სწორედ მისი ჰავის მიმსგავსებას ცდილობენ. ახლა არ მკითხოთ, რარიგ ნატრულობს ქვეყნიერების იმ ნაწილის ხილვას, საცა მზეცა და მთვარეც - ორივ მამრია, ოღონდაც მათ ტკბილ, მხურვალე ნათებას კი ქალთა სახელები ქვიათ! საღამოობით, განდევნილი მაინც ოდნავ გადასწევს ხოლმე ფარდას, და უცხო მთვარის სხივი მსტოვარივით შემოიპარება, მისი სიცივე სამსჭვალივით ესობა თვალებში. გააძაგძაგებს, თვალებს წკურავს. ხალათმოსხმული, წარბმოქუშტული, ავად მომზირალი, უძილო: სწორედ ესაა იმამი.

დევნილი მუდამ რაღაც უსულგულო გარემოში მყოფობს: იქ ავეჯიც ერთი სიმახინჯეა - ძვირიანი, ფართხა-ფურთხით ნაყიდი - ერთსა და იმავე დროსა და ერთსა და იმავე მაღაზიაში: კუზიანი, უაზროდ მოვერცხლილი დივანი ძველი დროის დე სოტოს, ოლდსმობილისა თუ ბიუიკის მარკის ავტომობილებს წააგავს; შუშისკარიანი წიგნის კარადები, ფოლიანტების მაგივრად, ცარიელი საქაღალდებითაა სავსე. დევნილობაში შხაპიც უცილობლად დაგთუთქავს, თუ ამ დროს ვინმემ წყალი მოუშვა სამზარეულოში

და ამიტომ, როცა იმამი დასაბანად შედის, ყველას ეკრძალება არა-თუ ჩაიდნის ავსება, ჭიქა წყლის დალევაც კი; და თუ იმამი ფეხსად-გილს ეწვევა და ამის თაობაზე არავის აფრთხილებს, ვაი მისი ბრა-ლი ვინც ამ დროს საშხაპეში აღმოჩნდა - დამდუღრული გამორბის ხოლმე გარეთ. დევნილობაში საჭმელს არავინ იმზადებს: შავსათვა-ლეებიანი პირადი დაცვა იქვე, კაფეში გადადის რაიმე კბილის გა-საკრავის საყიდლად, რადგან დევნილისათვის ფესვის გადგმის სულ უმცირესი მცდელობაც კი ღალატად და დამარცხების აღიარე-ბად აღიქმება.

იმამი- ბორბლის შუაგულია.

დღითა თუ ღამით, ყოველი მოძრაობა მისგან იწყება. შვილი მი-სი, ჰალიდი იმამის წმიდათა წმიდა სამყოფელში შედის ჭიქით ხელ-ში - მარჯვენაში უჭირავს და მარცხენა ქვეშიდან ამოუდვია. მამამისი ბევრ წყალს სვამს, ლამის ყოველ ხუთ წუთში ერთხელ, რათა რამ უწმინდურობა არ გაეკაროს - თავად წყალს კი ამერიკული წარმოე-ბის ფილტრში ატარებენ, მინარევებისაგან განსაწმენდად. მის მხლებლებს ზედმიწევნით აქვთ შესწავლილი მისივე სახელგან-თქმული ნაშრომი „წყლის თაობაზე“, რომლის მიხედვითაც ცხადი ხდება, რომ მოცემული სითხის სიწმინდე უშუალოდ გადადის დამ-ლევზე, რომ არაფერი ვთქვათ გემოს დახვეწილობასა თუ მისგან მოწევნად ასკეტურ სიამოვნებაზე... „აი, დედუფალი კი, მეფეთ-მეფე, ღვინოსა სვამს“, - აღნიშნავს იმამი. ბორდო, ბურგუნდიული და რა-ინვაინი ერევა ერთმანეთს, მათრობელა ვნებით აღუვსებს სხეულს, ბილწსა და მშვენიერს ერთდროულად. მარტო ცოდვა ესე საკმარი-სია სამუდამო სასჯელის გარდმოსავლენად, ყოველგვარი მონანიე-ბისა და განწმენდის იმედის გარეშე. კედელზე გამოკიდული ნახატი დედუფალ აიშას ასახავს, მუქ-წითელი სითხით სავსე ადამიანის თა-ვის ქალა რომ უპყრია ხელთ. ის სისხლს ეწაფება ხოლმე, იმამი კი წყლის კაცია. „განათუ შემთხვევითია, რომ ჩვენს ცხელ მხარეში მას უფრო სცემენ თაყვანს,“ - გამოწვლილვით გვიხსნის იმამისეული

მონოგრაფია. - „წყალი სიცოცხლის მფარველია და არცერთ ცივილიზებულ ადამიანს არ ძალუძს ის რითიმე ჩაანაცვლოს... ნეკრისის ქარით გატანჯული მოხუციც კი ფეხზე წამოდგება და ონკანს მიაშურებს, თუკი პაწია ბავშვი შესთხოვს - პანი, ნანი! უფრთხილდით მათ, ვინც წყალს შეურაცხყოფს: გათხვრილი სითხე ესე, სულსაც უწმინდურად აქცევს“.

აღა-ხანის ყოველ ხსენებაზე, იმამი რისხვით ენთება იმ გამონათქვამის გამო, ცხონებულმა რომ კარგად დაძველებული შამპანურის თაობაზე ბრძანა: ჩემთვის ღვინო მხოლოდ გარეგნულადაა მაცდური, როგორც კი სასაზე მხვდება, მეყვსეულად წყლად გარდიქცევაო. „გათახსირებული ეგა! - იძახის იმამი. - თახსირი, ღვთისმგმობი და გარეწარი... დროი მოვალის, ამისთანებიც განიკითხებიან! წყლის დღეც დადგება და სისხლიც ღვინოსავით დაიღვრება“. ეგეთია განდევნილთა მომავლის ბუნება: გადახურებული ბინის უსასოობაში ნათქვამი, მერე მთელ ერს ავბედითად დაატყდება თავს! განა ვის არ უოცნებია - თუნდაც ერთი დღით ემეფა სადმე? ოღონდ იმამს ერთი დღე არ ჰყოფნის - მისი თითისწვერებიდან აბლაბუდას ქსელი იხვევა, რომლის ძაფებითაც თავად ისტორიის სვლა უნდა განსაზღვროს.

არა, ისტორიის არა.

მისი ოცნება კიდევ უფრო უცნაურია.

* * *

შვილი მისი, ჰალიდ-მეთულუხჩე, ისე წახრილა მამამისის თავთან, როგორც მომლოცველი წმინდა ნაწილების წინ და ანგარიშს აბარებს - თავშესაფრის გარე პერიმეტრზე მორიგედ სალმან ფარსი დგას, რადიოგადამცემთან კი ბილალი ზის და

დღევანდელ ცნობებს აწვდის დეშთან შეთანხმებულ სიხშირეზეო.

იმამი - სახეგაყინული, უმოძრაო, მასიური. ცოცხალი ქანდაკი. მისი დიდი, დაძარღვული ხელისმტევნები რუხი ფიქალის ქვებივით ადევს მაღალზურგიანი სავარძლის სახელურებს. ტანთან შედარებით უზომოდ დიდი თავი მძიმედ ადგას საოცრად წვრილ კისერზე, ძლივას რომ მოჩანს შავ-თეთრი წვერის მიღმა. თვალებზე ლიბრი გადაჰკვრია, არც ტუჩები უმოძრავებს. ცარიელი ძალაა, ელემენტალი. უმოძრაობაში იძვრის, უმოქმედობაში მოქმედებს, ხმისამოუღებლად ლაპარაკობს. თანაც ხრიკების დიდოსტატია, ისტორიის განხრით.

არა, ისტორიის არა: რაღაც უფრო შეუცნობელის.

ამ თავსატეხის ახსნა ახლავე შეგიძლიათ მოისმინოთ გასაიდუმლოებულ რადიოსიხშირეებზე, საცა ბილალის, ამ მართლმოქცეული ამერიკელის ხმა იმამის წმინდა სიმღერას გალობს. ბილალ-მუეძინი: მისი ხმა კენსინგთონიდან გამომავალ ღორისხორცის მოყვარულთა სამოყვარულო რადიოტალღებში იძირება და საოცნებო დეშის ჰაერში ამოყვინთავს - თავად იმამის მეხთამტეხი სიტყვის მაცნე. დედუფლის ჩვეული ლანძღვა-თათხვის, მის დანაშაულებათა გრძელზე-უგრძესი სიის ამოკითხვისა და მისივე ქვეწარმავლებთან ხორციელი კავშირის მხილებათა მერე, საბოლოო ჯამში, ისევ იმამისეული მწუხრის მოძახილის წართქმაზე გადადის - ქალის ქუსლის ქვეშ მგმინავი დეშის მოსახლეთა მიმართ მოწოდებაზე, ბოროტის წინააღსადგომად.

- რევოლუციას მოვახდენთ... - ბილალის ხმით ქადაგებს იმამი. - და ეს არა მხოლოდ ვიღაცა ერთი ტირანის, არამედ სრულიად ისტორიის მიმართ წინააღდგომა იქნება!

რაკიღა აიშას გარდა, კიდევ ერთი მტერი ჰყავს დასამარცხებელი - თავად ისტორია, ანუ - ის სისხლიანი ღვინო, რომელიც აღარ უნდა ისმეოდეს. ისტორია ბალღამია, სამსალა, ეშმას ქმნილება და პირმშო, ტყუილთა შორის უდიდესი, პირადად შაითანის საკუთრება

- მეცნიერება, პროგრესი, სამართალი - აი, ამათ უმართავს ხელ-ჩართულ ბრძოლას იმამი. ისტორია დიადი გზიდან გადახვევაა, ცოდნა - თვალთმაქცობა, რაკიღა ნათელმა მაშინ იმძლავრა სწორედ, როს ალ-ლაჰმა თავისი გამოცხადება დაუსრულა მა-ჰუნდს.

- ისტორიას ნიღაბს ჩამოვგლეჯთ! - ბილალის ხმა ზარივით რეკს ამ დაყურადებულ ღამეში. - და გაბრწყინდება სამოთხე, დი-ადი და ნათელმოსილი!

იმამმა ამ საქმისათვის ბილალი მისი ხმის მჟღერადობის გა-მო შეარჩია - სწორედაც რომ ხმის წყალობით დაეპყრო, და არა-ერთხელ, ჰიტ-პარადების ევერესტი იმ თავისწინა გარდასახვაში; ხმაი იგი ხავერდოვანი გახლდათ და თან - შეუვალიც: კარგად დაყენებული, მოსმენას ჩვეული, ამერიკული მიმნდობლობის ხმა, დასავლეთის იარაღი, მისივე დამამზადებელთა წინააღმდეგ მიმართული, რომელნიც რომ ფარულად თუ დაუფარავად უჭერ-დნენ მხარს დედუფალსა და მის ერთმმართველობას. თავდა-პირველად ბილალ X-ი წინააღმდეგიც კი გახლდათ ამგვარი გან-საზღვრისა: თავად ჩაგრულთა კლასის წარმომადგენელს, არაფ-რად ეპიტნავებოდა იმპერიალისტ იანკებთან მისი ესეგვარი გა-იგივება; გარნა იმამმა ნუგეში სცა - ტანჯვა შენი იგივე ჩვენი გან-საცდელია, ბილალ! ოღონდაც იმპერიის კარზე ყოფნა სწორე-დაც იმას ნიშნავს, მათი ხერხები შეისწავლო, მათი ხრიკები გა-ითავისო, რაკიღა თავად შენს ზურგზე გადამტყდარა ძალაუფლე-ბის ჯოხიო. ეს სახადია, რომელიც უმალ შეეყრება, ვისაც კი რამ შეხება ჰქონია მასთან: თვითმპყრობელობა თუ ჩექმით ქქელავს, სწორედაც რომ მისი ლანჩიდან გადაგედება ავადობა.

ბილალი კვლავ ქადაგებს, სიბნელეში:

- სიკვდილი დედუფალ აიშას, კალენდარს, ამერიკას და ამ დროებას! ჩვენ მარადისობას, უდროობას, უფალს ვესწრაფვით! სული ღვთისა იქცეოდეს წყალთა უძრავთა, და არა ამ ქალის

დანთხეულსა ღვინოსა ზედა! სწვავდეთ წიგნებს და ერთადერთი წიგნისა გწამდეთ; ფხრეწდეთ გაზეთებსა და უსმენდეთ სიტყვას, რომელიც ეუწყა მაცნესა მაჰუნდს, ხოლო განიმარტა იმამის მიერ...

„ამი-ინ!“ - დაასრულა ბილალმა მწუხრის საკითხავი.

ამავე დროს, თავის საყუდელში, იმამი საკუთარ გზავნილს თხზავს და მთვარანგელოზ ჯაბრაილს უხმობს.

* * *

საკუთარო თავი ეზმანება სიზმარში: გარეგნობით არავითარი ანგელოზი ეგ არაა - ცხონებული ჰენრი დიამანტის უბრალო, საყოველდღეო სამოსში გამოწყობილი ერთი ჩვეულებრივი ადამიანია - ფეტრის ქუდი, დაჭმუჭნილსაყელოიანი თეთრი პერანგი, ნაქსოვი პულოვერი, ორი ზომით დიდი შარვალი აჭიმების იმედზეა... ეს სიზმრისეული ჯაბრაილი, გაჭრილი ვაშლივით რომ გავს თავის მღვიძარ ორეულს, ქულა-ღრუბლებივით თეთრთვალებიან იმამის წინაშე დგას და თავით ფეხებამდე ძაგძაგებს.

მერე ბუზღუნა ხმით ეკითხება, საკუთარი შიშის დასაფარავად:

- რა მთავარანგელოზები აგიტყდა? წავიდა ეგ დრო...

იმამი თვალებს ხუჭავს, ოხრავს. ნოხიდან რაღაც საცეცები გამოცოცდება, ჯაბრაილს ფეხებზე შემოესალტება და განძრევის საშუალებასაც აღარ აძლევს.

- მე არ გჭირდები, - არწმუნებს ჯაბრაილი. - გამოცხადება დასრულებულია. გამიშვი.

მაგრამ იმამი თავს აქნევს და ამბობს - თუმცა ტუჩებს ისევ არ ამოძრავებს და ეს ხმაც ბილალისაა, თუმცა თავად ის არსად ჩანს - ახლაა ღამე ღამისა, და შენც იერუსალიმს უნდა გადამაფრინო.

მერე ბინა ქრება, ორივენი სახურავზე არიან, წყლის რეზერვუარის გვერდით, რადგან იმამს, როცა კი მოისურვებს, ძალუძს ადგილზე დარჩეს და სამყარო გადაადგილოს თავის გარშემო. წვერს ქარი უფრიალებს - ისე ჩამოგრძელებია, ეს ქარი რომ არა, მიწას შეეხებოდა მის ფეხქვეშ; თვალები ჩასწითლებია და ხმაც მისი ცას ეფინება. ამიყვანე და გადამაფრინე. ჯაბრაილი ედავება: თავადაც ხომ შეგიძლია... მაგრამ იმამი ერთი მკვეთრი მოძრაობით წვერს მხარსუკან გადაიგდებს, სამოსის კალთებს იწევს და წყვილ ჩხინკ, დაბალნულ კანჭებს აჩენს, მერე მაღლა, ჰაერში შეხტება, კამარას შეკრავს და ჯაბრაილს მხარზე აჯდება, კლანჭებით აფრინდება ლავიწის ძვალში, და ჯაბრაილიც გრძნობს რომ ჰაერში იწევს, თან ზღვის მოხუცს მიათრევს მხრებით - იმამს, ვისაც თმა-წვერიც წამი-წამზე უგრძელდება, ფაფრად ექცევა და წარბებიც ნიავში მოთამაშე ფრანებს მიუგავს.

„იერუსალიმშიო?!“ - გაიკვირვა. - „ეგ საითაა?“ თანაც, ჩვენში დარჩეს და, მეტისმეტად სლიკინა სიტყვაა, იერუსალემი - ადგილსაც შეიძლება აღნიშნავდეს და ზოგადად, იდეასაც - ან იქნებ, მიზანს, აღტკინებას... და იმამის იერუსალიმი სადღაა?

- კახპის დაცემა, - ჩაესმოდა ყურში. - ბაბილოვანისა, დედაისა მეძავთა...

ღამეში მიჰქრიან; მთვარე ვარვარდება და ბუშტუკებს იჩენს - ცეცხლზე შემოდგმული ყველივით. ჯაბრაილი ხედავს, დროდადრო როგორ სცვივა ნატეხები: მთვარის წვეთები, ცის ტაფაზე რომ შიშხინებენ. მათ ქვემოთ მიწა მოჩანს. სიცხე მატულობს.

ფოთოლშემომჭკნარხეებიან, უკიდეგანო სანახებს ჟანგისფერი დაჰკრავთ და გორაკებიც აქ ბრტყელთავებაა - თითქოსდა ხვატს ქვებიც კი დაულღვია და ყველაფერი გადაუბრტყელებიაო. მერე ლამის ზედმიწევნით კონიკური ფორმის მაღალ მთას მიადგებიან - სწორედ იმას, აქედან ასე შორს, ბუხრის თაროზე შემოდებულ ღია ბარათზე რომაა გამოსახული; მთის ძირში - ქალა-

ქია, მის ფერხთით გართხმული ყარიბი მთხოვნელივით, ხოლო თავად მთის კალთებზე - სასახლე, ანთუ ციხე-სიმაგრე, საცა თავად დედუფალს, მორჭმით მჯდომარეს, საკუთარი თავი გამოუმწყვდევია: მეფეთ-მეფე რადიოგზავნილებს გაუტანჯავთ. მოკლეტალღოვანი რევოლუცია, დღე დღესინდელი.

იმამი მფრინავი ხალიჩასავით მართავს ჯაბრაილს და უფრო ქვემოთ აიძულებს დაშვებას, ლივლივა ღამეში კი ქუჩები თითქოს ცოცხლდებიან, გველებივით იკლაკნებიან, ხოლო დედუფლის მარცხის სასახლის წინ რაღაც ახალი კედელი შენდება. აქ რაღა ხდება, ბაბა? იმამის ხმა ჰაერში რეკს:

- მიდი, მიდი... სიყვარული უნდა გაჩვენო!

სახურავებამდე დაიწიეს და ჯაბრაილი ახლაღა ხვდება, რომ ქუჩებში ხალხი ირევა. ადამიანებს ისე გაუჭედავთ ეს მიხვეულ-მოხვეული შუკა-ქუჩები, ახლა რაღაცა ახალ, ერთ, ვეებერთელა, თანწყობილ, მოუსვენარ, კლაკნია არსებად ქცეულან; ისინი ნელა მოძრაობენ, თანაბარი ნაბიჯით გადაადგილდებიან ქუჩებიდან შესახვევებში, იქიდან - შუკებში, შუკებიდან კიდევ - გვერდითა ქუჩებში, რომლებიც თავის მხრივ, ერთ დიდ და ფართო - თორმეტხაზიან, უზარმაზარი ევკალიპტებით მორთულ გამზირს უერთდება, პირდაპირ სასახლის კარიბჭესთან რომ მიჰყევხარ. გამზირიც ხალხითაა სავსე; ეს ახლა ამ საცეცებიანი არსების თავ ორგანოდ მოჩანს - რიგში სამოცდაათი კაცი, მძიმე ნაბიჯით მიემართება წინ, იქ კი სამ მწკრივად ჩაწყობილი პირადი გვარდია ელოდებათ - მწოლიარე, ცალ მუხლზე ჩაჩოქილი და ფეხზე მდგომარე, ხელის ტყვიამფრქვევებმომარჯვებული. ხალხის ტალღა აღმა მიემართება და სამოცდაათი ერთდროულად შედის სასროლ არეალში; ტყვიამფრქვევები ტყვიებს იფურთხებიან და სამოცდაათივე მკვდარი ყრია ძირს, მაგრამ მათ გვამებს ახლა შემდეგი სამოცდაათი აბიჯებს, ისევ ტყვიამფრქვევების ყეფა და ცხედრების კედელიც მაღლდება. ახლა მათ უკან მომავალნი მიძვრებიან ზედ, ხოლო თავშალიანი დედები თა-

ვიანთ ერთადერთებს ხელს კრავენ და სიკვდილის ამ აღლუმზე აგზავნიან: მიდით, მოწამეებად იქეცით, მოკვდით.

- ხედავ, როგორ ვუყვარვარ ხალხს? - გაისმის უხორცო სხეულის ხმა. - ამ მდორედ მდინარ სიყვარულს რომელი ტირანია დაუდგება წინ!

- ეს სიყვარული არაა, - მოთქვამს ჯაბრაილი. - სიძულვილია მხოლოდ. შენს ხელთ გაბარებს სხეულთა მათთა.

ვერაფერი პასუხია, ახსნაც - მეტისმეტად ზედაპირული.

- ვუყვარვარ, - თავისას ერეკება იმამის ხმა. - რაკიღა მე ვარ წყალი ესე, ხვავი და ბარაქა, ის კი - ჭკნობა და კვდომა. იმიტომაც ვუყვარვარ ყველა ამათ, რომ დროს ვამსხვრევ. ვინაც ღმერთს ივიწყებს, ის სიყვარულს, რწმენასა და ასევე - ღვთის უსამანო დროის საზრისსაც კარგავს - წარსულის, აწმყოსა და მომავლის გამაერთიანებელს; უდროობის დროს, არსაით რომ არ მოძრაობს. ჩვენ ყველანი მარადს ვესწრაფით, მე კი თავად ვარ ეს მარადისობა. დედუფალი არაფერია: ტიკ-ტაკ. დღეყოველ სარკეში იხედება და მოთეული ასაკის, დროის მდინარების შიში იპყრობს. ამიტომაცაა საკუთარ ბუნებას რომ ჰმონებს, რაკიღა ისიც ჟამის ჯაჭვითაა დაბორკილი; რევოლუციის მერე კი აღარავითარი საათები აღარ იქნება - ყველას დავამსხვრევთ. დროის ცნებაც კი ამოიგდება ჩვენი სიტყვარებიდან. აღარც არავითარი დაბადების დღეების აღნიშვნა - ჩვენ ყველანი ხელახლა დავიბადებით, ერთი ასაკისა წინაშე ღვთისა.

მერე ჩუმდება, რადგან ქვემოთ დიადი წუთი დგება: ხალხი ზედ ტყვიამფრქვევებს მიადგა, ჩააჩუმა - ადამიანთა ეს უსასრულო სიგველე, აღმსდგარ მასებთა მაღრჩობელა პითონი დაცვას ესალტება, გუდავს, აშთობს იარაღის მომაკვდინებელ ხარხარს. იმამი ოხრავს:

- აღსრულდა.

ხალხის მიახლოებაზე სასახლეში სინათლეები ქრება, ისინი კი იმავე გამოზომილი ნაბიჯით მიიწევენ წინ; მერე, სიბნელეში დანთქმული შენობიდან ამაზრზენი ხმა გამოიჭრება - ჯერ ყურისწამღებად წვრილი წივილი, მერე კი ისეთ ყმუილად გარდაიქცევა, თავისი სიმძაფრით ქალაქის ყოველ კუთხე-კუნჭულში რომ აღწევს. სასახლის ოქროს გუმბათი ორად სკდება, სათამაშო კვერცხივით და იქიდან შავად მოლაპლაპე რაღაც ზღაპრული არსება ამოდის, ყორნისფერი ფრთებითა და ისევე გრძლად, შავად თმაგაშლილი, როგორც იმამს აქვს თეთრად: ეს ალ-ლათია, - ხვდება ჯაბრაილი, - აიშას ნაჭუჭიდან იშვა...

- მოკალი, - ბრძანებს იმამი.

ჯაბრაილი სრა-სასახლის ბანზე ეშვება; ხელები წინ გაუწვდენია, თითქოს საერთო სახალხო სიხარულს უნდა რომ ჩაეხვიოს - სიმღერასავით ამოზიდულ ერთადერთ ბგერას, რომელშიც თავად ღმერთქალის გოდებაც კი იკარგება - მაგრამ მერე ისევ ზემოთ მიიწევს, ჰაერში: მას ხომ არჩევანის უფლება არა აქვს - ის ომში მიმავალი თოჯინაა, სხვის ძაფებზე ჩამოკიდული; ღმერთქალი თუ ალქაჯი კიდე შემოუტრიალდება და დამზაფრავი ყივილით ასკდება მთელის ძალით. ჯაბრაილს კარგად ესმის, რომ სხვისი ხელით ნარის გლეჯის მოყვარული იმამი მასაც ისევე იოლად შეელევა, როგორც გვამები დაახვავა სასახლის კარიბჭესთან; რომ ის მხოლოდ თვითმკვლელი შაჰიდია, სასულიერო პირის მსახური და მისივე მიზნების მიღწევის საშუალება. სუსტი ვარ, - ფიქრობს. - მაგას რას გავეტოლები... მაგრამ ალ-ლათიც ხომ დასუსტებულია წინარე მარცხით. ახლა იმამის ძალა მართავს ჯაბრაილს, მეხსა და მედგარს ჩრის ხელში და ბრძოლაც გრძელდება: ერთი ელვის ჰოროლს ურჭობს ფეხში, მეორე კი ციურ ქვებს უშენს ზედ მუცელსქვემოთ. „ერთმანეთს ვუსწრაფავთ სიცოცხლეს," - გაუკრთა გონებაში. - „მოვკვდებით და ცის კაბადონზეც ორი ახალი თანავარსკვლავედი გაჩნდება: ალ-ლათისა და ჯაბრაილის". გვამებით მოფენილ ველს შერჩენილი, ქანცგამწყდარი

მეომრებივით ბარბაცებენ, მაგრამ თავისას მაინც არ იშლიან, დარტყმა დარტყმას სდევს. ორივენი უკანასკნელ ძალებს იკრებენ.

ბოლოს, ალ-ლათი მაინც ეცემა.

თავქვე მოფრინავს, ღამის დედოფალი; თავდაყირა ასკდება მიწას და წევს ახლა, ფრთებდაგლეჯილი, უთავო შავი ანგელოზი, სასახლის ბაღში შესასვლელი კუტიკარის წინ. ჯაბრაილი სახეს მიაბრუნებს და ახლა უზომოდ გაზრდილ იმამს ხედავს, სასახლის წინა მოედანზე რომ გაშხლართულა, ხახა ზედ ჭიშკრის უკან, ჭიშკრისხელაზევე დაუღია, ხოლო ხალხი ფეხაწყობით შედის შიგ, მერე იქიდან - მის ხახაში და იქ უჩინარდება, ყველა უკლებლივ.

ალ-ლათის სხეული იჭმუჭნება, პატარავდება, ქრება და ბოლოს, სულ ერთ რაღაც მუქ ლაქად რჩება მწვანე ბალახზე. დეშის დედაქალაქში ყველა საათი ერთდროულად იწყებს რეკვას, გაუთავებლად, თორმეტზე მეტჯერ, ოცდაოთხსაც გადადიან და ათასერთს უწევენ - დროის დასასრულს ეხმიანებიან, იმ საათის დადგომას, რომელიც ვეღარ განიზომება: დევნილობიდან დაბრუნების საათს, ღვინოზე წყლის გამარჯვებას, იმამის უდროობათა დადგომის საწყისს.

* * *

ოდეს ღამეული ამბავი იცვლება, როცა - ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე - ჯაჰილიასა და იათრიბში მოვლენათა ჩვეულ თანამიმდევრობას იმამისა და დედუფლის ბრძოლა ცვლის, ჯაბრაილს იმედი უჩნდება რომ წყევლა გასრულდა, რომ მისი სიზმრები ისევ დაუბრუნდებოდა ყოველდღიური ცხოვრების

უნებლიე უცნაურობებს; მაგრამ მერე და მერე, რაკი ეს ახალი ისტორიაც ძველი გზით იწყებს სვლას და ისინიც, დაწვება თუ არა დასაძინებლად, ზუსტად იმ ადგილიდან გრძელდება, საცა წინა ჯერზე შეწყდა, და როცა მისივე საკუთარი იერსახე, მთავარანგელოზის ხატად გარდაქცეული, კვლავაც ობიექტივის ჩარჩოში ჯდება, მისი იმედიც ინავლება და გარდუვალს უხრის ქედს. ახლა იმგვარი ვითარებაა, რომ მისი ღამეული საგებიდან ზოგიერთი უფრო ასატანი ხდება ვინემ სხვები და იმამისეული აპოკალიფსის დასრულების შემდეგ, ლამის კმაყოფილებასაც კი გრძნობს მორიგის დაწყების გამოისობით - ბოლოსდაბოლოს, ის ღვთაება, რომლის განადგურებასაც ცდილობდა, შესაძლოა სიყვარულის ღმერთი ყოფილიყო, ან შურისგების, ან ძალამოსილების, წეს-რიგისა თუ სიძულვილის; ეს ყველაფერი კი ერთგვარ ნოსტალგიურ თხრობად შეიძლება იქცეს დაკარგული სამშობლოს თაობაზე, წარსულში დაბრუნებაზე... და როგორია თავად ამბავი? მოდით, დასაბამიდან მივყვეთ: თავისი მეორმოცე დაბადების დღის დილას, პეპლებით სავსე ოთახში, მირზა საიდ აჰტარი თავისსავე მძინარე მეუღლეს დასცქეროდა...

* * *

თავის მეორმოცე დაბადების დღის იმ საბედისწერო დილას, პეპლებით სავსე ოთახში, ზამინდარი მირზა საიდ აჰტარი თავისსავე მძინარე მეუღლეს დასცქეროდა და გული მისდიოდა სიყვარულისაგან. იმ ჯერზე, რატომღაც, მთლად ალიონზე გამოიღვიძა - ავი სიზმრისაგან პირგამშრალმა: სამყაროს დასასრული ეზმანა, მისივე ბრალეულობით გამოწვეული. წინა ღამეს ნიცშეს ფურცლავდა: იმ პაწია, გაყოყოჩებული სახეობის მთლად საწყალობელი ბოლო, ადამიანი რომ ჰქვია... და ასევე, მკერდზე ნიკაპჩამოდებულს ჩასძი-

ნებოდა. გრილ, დაჩრდილულ, პეპლების ფრთების ფაჩუნში გამოღვიძებულს კი საკუთარ თავზე მოუვიდა ბრაზი - ძილისპირულზე ამგვარი საკითხავის არჩევისათვის. ოღონდ ახლა უკვე სრულად გამოფხიზლებულიყო და ფეხებიც ფლოსტებში გაყო, მერე კი ამ დიდი სახლის ფართო ვერანდაზე მოჰყვა ბოლთის ცემას, და პეპლებიც გუნდ-გუნდად დაჰფარფატებდნენ ზურგსუკან. სადღაც შორიდან, სალამურის ხმა მოისმოდა. მირზა საიდმა მძიმე, ყვითელი ფარდები გადაწია და თასმებით დაამაგრა. ბაღები თეთრ ნისლში გახვეულიყო, რომელშიც პეპლების ღრუბლები დარიალობდნენ - ერთი ნისლოვანი, მეორეში რომ იჭრებოდა. ეს მხარე ყოველთვის ცნობილი იყო lepidoptera-დ სახელდებული ამ თავისი ღირსშესანიშნაობით: დღითა თუ ღამით, მთელი მათი არმადები გადაადგილდებოდნენ ჰაერში - ქამელეონის უნარშეძენილი პეპლები, რომელთა ფრთებიც იმის მიხედვით იცვლიდა შეფერილობას, ყვავილების ზურმუხტოვან ფოთლებზე სხდებოდნენ, ოქროსფრად მოლივლივე ფარდებზე, მთის ბროლისაგან გამოთლილ ბარძიმებსა თუ ქარვისქვის ბეჭდებზე... ზამანდარის სახლ-კარსა თუ უახლოეს სოფელშიც, ეს საოცრება იმდენად ნაცნობი და ნაჩვევი გახლდათ, ვეღარც ვერაფერ განსაკუთრებულს ხედავდნენ მათში, თუმცა - როგორც ბებერი მოახლეები იხსენებდნენ - მხოლოდ ამ ცხრამეტი წლის წინ მობრუნებიან აქაურობას. ესენი (როგორც ხმები დადიოდა), იმ ადგილობრივი წმინდანის ფამილიარები იყვნენ, ვისაც ხალხი უბრალოდ, ბიბიჯის ეძახდა და ვინაც ორასორმოცი წელი იცოცხლა, ხოლო მის საფლავზე მისვლა, ვიდრე არ მიივიწყეს, მამაკაცური უძალობისა და მეჭეჭებისაგან ჰკურნავდა ყველა მომლოცველს. ასოცი წლის წინ, როცა ბიბიჯი მიიცვალა, ამ საოცარმა მწერებმაც ალბათ იმავე ზღაპრულ ქვეყანას მიაშურეს, რომელსაც თავად წმინდანმა და ზუსტად ასერთი წლის მერეღა გამოჩნდნენ, რაიც რაღაც ახლისა და ჯერაც არნახულის ერთგვარ სანიშნედ

იქნა აღქმული: ბიბიჯის სიკვდილის მერე - ეგეც ითქვას - სოფლის კეთილდღეობას არაფერი დამუქრებია, კარტოფილის მოსავალიც ძველებურად საუცხოო რჩებოდა, ოღონდ ბევრი ადგილობრივის გულში რაღაც ნაპრალი გაჩნდა, იმის მიუხედავად რომ დღესინდელი სოფლელები საერთოდ არც შესწრებიან ბებერი წმინდანის დროებას. ამიტომაც, პეპლების დაბრუნებამ ზოგს მართლაც გული გაუკეთა, ოღონდ არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა არავის თავს და ნელი-ნელ ისინიც ძველ, ნაჩვევ ყოველდღიურობას დაუბრუნდნენ. ოღონდაც თავად სოფლის სახელდება - თიტლიპური ხომ აშკარად მათთანაა დაკავშირებული, გარნა სახელებიც ცვდება უამო ხმარებისაგან- ცარიელ ბგერათშეხამებად გარდაიქცევა და მათ ეტიმოლოგიასაც, დედამიწისეული მრავალი საოცრების მსგავსად, ჩვეულების მტვერი ედება ხოლმე. იქნებადა ამიტომაც იყო, რომ თიტლიპურის მოსახლეობა და პეპლების გუნდები ასე უგულისყუროდ გადი-გამოდიოდნენ ერთმანეთში. თავად ზამინდარის ჯალაბობას კი რა ხანია, ხელი აეღო მათი სახლიდან გამოდევნის მცდელობაზე და ახლა, გამოაღებდი თუ არა განჯინას, ან ახდიდი თუ არა თავს ზანდუკს, ასობით ფერიცვალია გამოფრინდ-ამოფრინდებოდა ხოლმე იქიდან - ღმერთმანი, პანდორას ყუთის ამბავი გაგახსენდებოდა კაცს; მათ ფეხსადგილის ჩასარეცხი ავზის სახურავქვეშაც კი იპოვიდით, არათუ რომელიმე კარადაში თუ წიგნის ფურცლებშორის. ის კი არა, გაიღვიძებდი და შენს საკუთარ ლოყაზე მთვლემარენიც შეიძლებოდა აღმოგეჩინა.

თვალნაჩვევი, ნებისმიერი რამ ბოლო-ბოლო, უკვე შეუმჩნეველი ხდება და მრავალი წელია, მირზა საიდი ვეღარც კი ამჩნევდა მათ არსებობას; ოღონდ ახლა, საკუთარი მეორმოცე დაბადების დღეს, გამთენიის პირველ სხივებში აბრჭყვიალებული პეპლების მომაჯადოებელმა სილამაზემ წამიერად სუნთქვა შეუკრა. მერე ზენანაზე - სახლის საქალებო მეოთხედზე გადავიდა და მოსკიტებისაგან დამცავი ჩარდახის ქვეშ მძინარე თავის მეუღლეს, მიშალას და-

ადგა თავზე. ეს გრძნეული მწერები ქალის გარეთ გამოყოფილ ფეხისთითებზე ისხდნენ და ცხადი იყო - ერთ კოღოს მაინც შეეღწია ჩარდახქვეშ, რადგან ლავიწზე რამდენიმე, წითლად ამობურცული პაწია ნაკბენი აჩნდა. ერთი პირობა კინაღამ ბადე გადასწია და ზედ დაეკონა, სანამ არ გამქრალიყვნენ, სანამ ასე ცეცხლწაკიდებულად მოჩანდნენ ფითქინა კანზე! ალბათ, როგორ ექავება... მაგრამ თავი შეიკავა, არჩია ამ უმანკო, მძინარე სხეულის ცქერით დამტკბარიყო. რბილი, წაბლისფერი თმა ბალიშზე დაჰფენოდა, რძისფერი კანი თეთრად უქათქათებდა და ისიც იცოდა - ჩამოშვებული ქუთუთოების მიღმა აბრეშუმნარევი ნაცრისფერი თვალები იმალებოდა. მამამისი სახელმწიფო ბანკის მმართველი გახლდათ და ცხადია, მათი ქორწინებაც ანგარიშიანი იყო: მირზას ძირძველი, უკვე საფუძველმორყეული გვარის ფესვების გამყარება... თუმცაღა, იმის მიუხედავად, რომ უშვილძირონი იყვნენ, საბოლოოდ მათი ეს კავშირიც ნაღდ, უანგარო სიყვარულში გადაიზარდა. გულაჩქროლებული მირზა საიდი მძინარეს აკვირდებოდა და გუნებიდან ღამეული ავი სიზმრის ნაფლეთთა გამოდევნას ცდილობდა. „არა, მაინც როგორ გინდა ამგვარი რაღაცეების დაჯერება," - თავისთავს ემსჯელებოდა, საკუთარი თავით ფრიად კმაყოფილი, - „თუკი სამყაროში სრულყოფილების ისეთ მაგალითებს ხედავ, როგორიც ვთქვათ, აი ეს საოცარი ალიონია?"

ამ ფიქრებს ადევნებულმა, უსიტყვო სამადლობელი შეთხზა საკუთარი მძინარე მეუღლისადმი: „მიშალა, უკვე ორმოცისა მოვიყარე და ორმოცი დღის ბალღივით ბედნიერი ვარ... მთელი ეს წლები სულ უფრო ღრმად ვეფლობოდი ჩვენს სიყვარულში და ახლა ამ თბილ ზღვაში თევზივით ვცურავ!" მაინც, რამდენი რამ მისცა, რამდენად სჭირდებოდა თურმე! მათი შეუღლება უბრალო ვნებას რა ხანია გასცდა და ახლა განხეთქილებაც, უბრალოდ, წარმოუდგენელი იყო. „შენს გვერდით დაბერება დიდი პატივია

ჩემთვის, მიშალა“. - უთხრა მძინარეს და საკუთარ თავს ერთგვარი ამჩატების გამოხატვის უფლებაც კი მისცა - საჰაერო კოცნა გაუგზავნა, მერე კი უჩუმრად, ფეხისწვერებზე გავიდა ოთახიდან. ბანიდან ერთხელაც გადაავლო თვალი უკვე განთიადის მიერ განდევნილი ბურუსით შეუბურავ ბაღებს და იმგვარ რამეს ჰკიდა თვალი, რამაც საბოლოოდ მოუთავა ხელი მის სულიერ სიმშვიდეს - სწორედ მაშინ, როცა ირწმუნა, ახლა არა ბედისწერას აღარ ძალუძს ჩემი ბედნიერების შერყევაო: ვიღაც გოგონა ჩამომჯდარიყო მოლზე, მარცხენა ხელისგული გაეწვდინა და პეპლებიც ბღუჯა-ბღუჯად ასხდებოდნენ ზედ, ის კიდე მარჯვენათი კრეფდა მათ, პირში იყრიდა - აი, ასე გამოზომილად, აუჩქარებლად საუზმობდა მორჩილი, ფარფატა ფრთებით...

ტუჩები, ლოყები და ნიკაპიც მომაკვდავი პეპლების ფრთებიდანვე ჩამოყრილი ფერადი მტვერით ჰქონდა მოთხუპნული.

როცა მირზა საიდ აჰტარმა ამ ცოცხალ სურათს დაადგა თვალი, იმგვარი ვნება მოეძალა, შერცხვა კიდეც. „შეუძლებელია!“ - ამუნათებდა საკუთარ თავს. - „ცხოველი ხომ არა ვარ, ბოლოს და ბოლოს“. უბრალო, თხელი ნაჭრის სარი ემოსა, როგორც ეს იქაურ ღარიბ ქალებს სჩვევიათ და წინ რომ გადმოიხარა, თავისუფლად აჭრილმა ამ კაბამაც, გაოგნებული ზამინდარის გასახარად, ორი პატარა, ქათქათა ბორცვი გამოუჩინა. მირზა საიდმა უნებლიედ აივნის თეჯირს ჩაავლო ორივე ხელი და ეტყობა, მისი თეთრი კურტას ეს ოდნავი მოძრაობაც კი არ გამორჩენია გოგონას თვალს, თავია ასწია და შიგ სახეში მიაფეთა მზერა.

მერე კი არც თვალები დაუხრია მეყვსეულად, არც წამომხტარა და არ გაქცეულა, როგორც ამას კაცი ელოდა.

ამის მაგივრად, აი რა მოიმოქმედა: ჯერ ორიოდ წამი შეიცადა, თითქოს აცდიდა - აბა თუ იტყვის რამესო, მერე კი მშვიდად გააგრძელა თავისი ეს უცნაურზე-უცნაური საუზმობა და თან ისე, მზერა არ მოუცილებია კაცისთვის. თავი უცნაურობა კი აქ ის გახლდათ, რომ

პეპლები თითქოს პირდაპირ ჰაერში იბადებოდნენ და ზედ მისი გაწვდილი ხელისაკენ მიფარფატებდნენ, სასიკვდილოდ. ის კიდეორი თითით დასწვდებოდა ხოლმე ფრთებში, თავს უკან გადაიგდებდა და წვრილი ენის ერთი მოძრაობით, ხრაშუნით უშვებდა პირში. ერთხელაც, როცა ასე გამომწვევად გაზიდა ტუჩები, მირზა საიდმა თვალი ჰკიდა მისი ყელის ღიობში მორიალე თეთრ პეპელას, სულაც რომ არ ცდილობდა საკუთარ სიკვდილს დასხლტომოდა და ერთბაშად ტანში გასცრა. ქალმა კი, ვითომც აქ არაფერიო, გულმშვიდად გააგრძელა თავისი საქმე. ასე იყვნენ, გლეხისგოგო ქვემოთ, მემამულე - ზემოთ, გაუნძრევლად, ოღონდაც ქალს უცებ თვალები მიებნიდა, გააკანკალა და უკუიქცა.

წამიერად, მირზა თითქოს გაქვავდა კიდეც, მერე კი აყვირდა:

- ოჰე, ოჰე! ვინა ხართ ფეხზე, ჩქარა გარეთ გამოდით, სასწრაფოდ!

მერე ფართხა-ფურთხით ჩაუყვა შორეული ინგლისის მთლად მიღმიერი უორქშირიდან ჩამოტანილ, მუხის ხის დიდებულ კიბეს, რომელსაც რომ თურმე, თავად მეფე ჩარლზ I მიუყვებოდა ბინდბუნდში, ვიდრე თავს არ წაასოსნიდნენ - სხვა წელთაღრიცხვის XVII საუკუნეში მოხდა ეგა და სწორედ ამ კიბეზე დაეშვა ახლა მირზა საიდ აჰტარი, გვარში უკანასკნელი, გულზე ადგამდა ფეხს თავწაცლილი სხეულის მქრქალ მოგონებებს.

გოგონას კი აშკარად ბნედა სჭირდა: კრუნჩხვაშეყრილი, იქით-აქეთ გორავდა და მის ქვეშ მოყოლილ პეპლებს ასრესდა ლორთქო ბალახს; მირზა საიდი პირველი მიეჭრა, თუმცა მის ყვირილზე წამოფეთებულმა მიშალამ და მსახურებმაც კვალში მისდიეს. ეცა, ყბა ჩამოუწია და პირველივე ხელში მოხვედრილი რაღაც ჩხირი გაუდო კბილებშორის; მართალია, გოგონამ წამში გადაკვნიტა, სისხლიც წამოუვიდა ჩაკბენილი ენიდან, მაგრამ ამან მაინც უშველა - კრუნჩხვა შეუწყდა, სხეულიც ერთბაშად მო-

ემჩვარა და ღრმა ძილს მისცა თავი. მიშალამ ის თავის საძინებელში გადააყვანინა მსახურებს - ახლა მირზა საიდი მეორე, სხვა ლამაზმანს ხედავდა იმავე საწოლში და კვლავაც ის გრძნობა დაეუფლა, რაც მეტისმეტად ღრმა და გულისშემძვრელად მოეჩვენა ზოგადი და ყოვლად ზედაპირული სიტყვების - ვნება/ლტოლვის მისადაგებისთვის. პირიქით, რაღაც ზიზღისდაგვარიც კი მოეძალა საკუთარ თავში ამგვარი ბილწი ზრახვების გაელვების გამოისობით, თუმცა კი რაღაც უცხო და ცინცხალი გრძნობაც გაუჩნდა - აღმგზნები და ამაღლებული ერთდროულად.

მიშალა გვერდით ამოუდგა და საიდიც დაეკითხა:

- იცი, ვინაა?

თავი დაუქნია:

- ობოლია. შაქარყინულის მამალოებს ამზადებს და გზაზე ჰყიდის. ბავშვობიდანვე ბნედიანია.

მირზა საიდი პირველად არ გაუოგნებია მისი ცოლის უნარს - ყველასა და ყოვლის თანაზიარი ყოფილიყო. თავად თითო-ოროლა სოფლელს თუ სცნობდა სახით, ის კიდე თიკუნით უძახდა ნებისმიერს, მის ოჯახურ მდგომარეობაზეც აზრზე იყო და შემოსავლების თაობაზეც - ბოლომდე გათვითცნობიერებული; ის კი არა, სოფლელები საკუთარ ოცნებებსაც არ უმალავდნენ, თუმცა სიღარიბის გამოისობით, ამგვარი ნეტარი უსაქმურობის ნებას ხომ თვეში ერთხელ თუ აძლევდნენ თავს...

მირზა საიდს წეღანდელი სინაზე შემოაწვა მეუღლის მიმართ, მიშალას ხელი გადახვია და იმანაც მხარზე დაადო თავი:

- ბედნიერ დაბადების დღეს გისურვებ, - უთხრა.

შუბლზე აკოცა ქალს და მერე იდგნენ ასე, ხელიხელგადახვეულები, მძინარე გოგონას დასცქეროდნენ. აიშა: ასე ქვიაო, უთხრა ცოლმა.

* * *

მას მერე რაც ობოლი აიშა დაქალდა და არაამქვეყნიური სილამაზითა თუ მიღმა სამყაროში მიმართული მზერის წყალობით, მრავალი ახალგაზრდა კაცისათვის სანატრელი ვინმე გახდა, იმაზეც კი დაიწყეს მითქმა-მოთქმა - ეგ თავის ზეციურ სიყვარულს ელოდება, რაკიღა მოკვდავთა შორის ფარდი არავინ ეგულებაო. მის მიერ უგულებელყოფილი თაყვანისმცემლები კიდე ჩიოდნენ: რა გახდა ასეთი, თან ობოლია და უმზითვო, თანაც - ბნედიანი და ეგებ მაგიტომაცაა, არცერთ ზეცით გარდამოვალ არსებას რომ ჯერაც არ დახატვია გულზეო... ზოგი გულბოროტი იმასაც კი ამბობდა - რაკი ქმარი ვერ უპოვნია, საყვარლები მაინც გაიჩინოს, ამისთანა სილამაზე ზეზეურად რომ არ დააჭკნოსო. მაგრამ თიტლიპურის არშიყთა ყველა მცდელობის მიუხედავად, აიშა უბიწოებას ვერ შელეოდა და ამაში მისი ის დაჟინებული მზერა შველოდა, ყველა ამისთანას მარცხენა მხარსზემოთ რომ გაუშტერებდა ხოლმე და რომელიც ხშირად ათვალწუნების გამოხატულებად მიიჩნეოდა. მერე ხმა დაირხა, პეპლებჭამია გამხდარაო და დაადგინეს - მაგას ისე უქრის თავში, მასთან დაწოლასაც კარგი ვაჟკაცობა უნდა, რადგან შესაძლოა, ავსულებმა ახლა მის კუროზეც გადაინაცვლონო. აი, ამის მერე კი მართლა შეეშვნენ და ერთ პაწია ქოხში, თავის მამალოებსა და ფრთებრხეველა დიეტას შეატოვეს. თუმცა, ერთი ახალგაზრდა კაცი მაინც შერჩა, მის კართან ზურგით ჩაცუცქული - აქაოდა კი არაფერს ვითხოვ, აქეთ ვდარაჯობო: ყოფილი უკარებელი სოფელ ჩატნაპატადან, ვისაც მაჰმადიანობა მიეღო და სახელადაც ოსმანი დაერქვა. ერთი შეხედვით, თავად აიშა აინუნშიც არ აგდებდა ოსმანს, ის კიდე არც ცდილობდა მისი ყურადღების მიპყრობას. მათ შორის დაბუდებულ სიჩუმეს მხოლოდ მათსავე

თავსზემოთ, ბანიანის ხის ფოთლების რხევის ხმა თუ არღვევდა ქარში.

ნამდვილად ცალკე აღსანიშნი ამბავია, რომ თავის დროზე, სოფელმა თიტლიპურმა უზარმაზარი ბანიანის ხის, იგივე ინდური ლეღვის ხის ჩრდილში იბარტყა - ეს პატრიარქი, თავისივე ფესვებიდან ამოყრილ წამონაზარდებსაც თუ ჩავთვლით - კარგა ნახევარი მილის დიამეტრზე ბატონობდა მიდამოს. ამჟამად ხის სოფელში შეზრდა თუ სოფლისა - ხეში, იმდენად ჩახლართული საკითხი გახლდათ, კაცი აღარ იყო ამის დასაბამისა თუ ბოლოს გამრკვევი. მისი ზოგიერთი, მთლად ჩამალული კუთხე-კუნჭული შეყვარებულებს ჰქონდათ ამოჩემებული, სხვები წიწილებისათვის იყო შემოჩიხული; მთლად უსახლკაროები სამ-ოთხ მაგარ ამონაყარს დაითავისებდნენ ხოლმე და ასე ცხოვრობდნენ, ფართო ფოთლების სახურავქვეშ. ზოგან ხის ტოტები ისე გადახლართულიყო ქოხმახების კედლებში, გეგონებოდათ, ჩიტი-ფეიქრების რომელიღაც გოლიათურ სახეობას დაუდევს აქ ბინაო. სოფლის საბჭოს - პანჩაიატის თავყრილობისას კი უხუცესები მთლად დედა-ხის ძირში სხდებოდნენ ხოლმე. მოსახლეობაც ამ საოცრება-ხეს ხშირად სოფლის სახელს უხმობდა და თავად სოფელს - უბრალოდ „ხეს“. ბანიანის არაჰუმანოიდური სახლეულიც კი - „ძმანი მცირედნი“ - თაფლიჭამია ჭიანჭველები, ციყვები, ჭოტები - დიდის პატივისცემით სარგებლობდნენ თავიანთი „დიდი ძმებისაგან“ და მხოლოდღა პეპლებს, როგორაც რომ დიდი ხნის წინ წამხდარ იმედს, აღარავინ აგდებდა სათვალავში.

სოფელი ესე მაჰმადიანური გახლდათ და ახლადმოქცეულმა ოსმანმაც ამიტომაც მოაშურა აქეთ, თავის დაკოდილ ბუღასთან ერთად, რაკიღა იმედოვნებდა, წინარე სახელცვლილებათა შედარებით, იქნებ ამან მაინც მომცეს რამე ხეირიო (ერთხანობა უკარებლებს „ღვთისშვილნიც“ კი უწოდეს, და რა მერე?! ჩატნაპატნაში საერთო ჭიდან წყლის ამოღებასაც კი უკრძალავდნენ - წაბილწავო...). უმიწაწყლო და აიშასავით ობოლი ოსმანი ჯამბაზ-მასხარაობით შო-

ულობდა ლუკმაპურს. მისი ბუღა, უფრო სწორად კი - ნაბუღარი, რქებზე ღაჟღაჟა წითელი ქაღალდის ხვეულებსა და ზურგზე ჭყეტელა საფანელს ატარებდა; სოფელ-სოფელ დაიარებოდნენ, ქორწილებსა და სხვადასხვა დღესასწაულებზე ხალხს ართობდნენ - პატრონი შეკითხვებს უსვამდა კეთილშობილ პირუტყვს, ის კიდე თავის დაქნევით პასუხობდა: ერთი თავისდაქნევა უარყოფითის ნიშანი გახლდათ, ორი - დადებითის.

- განა მშვენიერ სოფელს არ მოვადექით? - ჰკითხავდა ოსმანი.

არაო, - თავის დაქნევით უარობდა რქოსანი.

- როგორ თუ არა?! გინდოდა გეთქვა - კიო? ერჩი რამეს ამ კეთილ ხალხს?

თავის ორჯერ დაქნევა.

- რაო ვითომ, ცოდვილნი არიან თუ რა?

ისევ ორჯერ იქნევს თავს.

- ანუ, ჯოჯოხეთის გზას ადგანან?

წყალი არ გაუვაო, ამტკიცებს ნაბუღარა-ბუბუ.

- დაიცა, ბჰაიჯან - ამათ სულთა სახსნელი ხერხი თუ იცი რამე?

ხარი ისევ ორჯერ აქნევს თავს და ყოველ დაქნევაზე თითო პარკს ხსნის ოსმანი რქებიდან.

- ასე თუ ეშველებათ რამე?

ხარი ისევ აკანტურებს თავს და ოსმანიც ხალხს ჩამოუვლის, ხელგაწვდილი, თითო პარკით ორივე ხელში.

ოსმანი და მისი ნაბუღარა-ბუბუ ძაანაც უყვარდათ თიტლიპურში, ოღონდ ბიჭს მხოლოდ ერთისაგან სურდა მოწონების დასტური, ის კი ამას არა და არ იძლეოდა. გამოუტყდა კიდეც, ჩემი მაჰმადიანად მოქცევა პირწმინდად ხეირზე გათვლილი ნაბიჯი იყოო: „რას არ იზამს კაცი, ბიბი - ოღონდ კი წყურვილი მოიკლას?“ განაწყენებულმა ქალიშვილმა წვრილად აუხსნა - არც არავითარი მაჰმადიანი შენ არა მყევხარ, სული შენი საფრთხე-

შია და საერთოდ, შეგიძლია იმ შენს ჩატნაპატნაში დაბრუნდე, გზაც იქით გქონიაო. სახეზეც კი წამოჭარხალდა, როცა ასე უცნაურად გულარძნილი ლაპარაკობდა, და სწორედ მისმა ამ გრძნობიერებამ აფიქრებინა ბიჭს, არც მთლად ისე წასულია ჩემი საქმეო - ამიტომაც იჯდა ახლა მისი ქოხის წინ, დღითა თუ ღამით; გოგონა კიდე ისე აუვლიდ-ჩაუვლიდა ხოლმე, ზედაც არ უყურებდა, არათუ დილამშვიდობისა მაინც ეთქვა ან რამე ეგეთი.

კვირაში ერთხელ, კარტოფილით დატვირთული ოთხთვალები თიტლიპურიდან ვიწრო, ოთხსაათიან გზას ადგებიან ჩატნაპატნასკენ, რომელიც რომ ზედ მთავარი გზის შესაყართან მდებარეობს და სადაც კარტოფილის ბითუმად მოვაჭრეთა მაღალ-მაღალი, ალუმინით გადახურული სასილოსე კოშკურები დგას. ოღონდ აიშას ქალაქში სიარულთან ამას არაფერი კავშირი არა აქვს - უბრალოდ, ოთხთვალაზე აძვრება და დაემგზავრება ხოლმე, თავის ბაზარში გასაყიდი მამალოებით სავსე პარკით ხელში. მთელს იმ მხარეში, იქაურობა განთქმულია ხელნაკეთი სათამაშოებით, ხისგან გამოჩორკნილი სამშვენისებითა თუ ათასგვარი მომინანქრებული ქანდაკებით. ოსმანი და მისი ნაბუღარა ბანიანის ხის ჩრდილს შეფარებიან და გაჰყურებენ, ნელი-ნელ როგორ მთლად ერთ წერტილად იქცევა ოთხთვალაცა და მასზე შემოსკუპული გოგონაც.

ჩატნაპატნაში ჩასვლისთანავე, ის შრი შრინივასის - ქალაქში სათამაშოების უდიდესი ფაბრიკის მფლობელის სახლს მიადგება, რომლის კედლებიც მთლად გადაჭრელებულია პოლიტიკური შინაარსის წარწერებით: ხმა - ხელს! ან უფრო ზრდილად: გთხოვთ, ხმა კომპარტიას მისცეთ! ყველა ამათ თავზე კი ამაყად მოსჩანს წარწერა: შრინივასის უნივერსუმი - ჩვენი დევიზია: გულითადობა + კრეატივი! თავად შრინივასს მხოლოდ შენობის შიგნით თუ ნახავთ: ზონზროხა, ჟელესავით მოთიმთიმე კაცია, გამელოტებულ მზესავით თავი ადგას ფართო მხრებზე, ორმოცდაათიოდე წლისა იქნება და ბევრად უფრო მეტი ხნისად კი გამოიყურება - სათამაშოების ბიზნესი

არცთუ მთლად იოლი გასამართია. აიშაც მას უნდა უმადლოდეს პურისფულს. ბ-ნ შრინივასს იმდენად მოეწონა მისი ნახელავი, რამდენსაც დამიმზადებ, იმდენს ვიყიდი შენგანო, უთხრა. თუმცა, როგორც კი აიშამ პარკს თავი მოხსნა, კაცის მზერაც მოიქუშა - შიგ ჯამბაზის ჩაჩიანი ბიჭისა და მისი საზეიმოდ მორთული, რქებ-დახრილი ბუღა-ბუბუს ათამდე პაწია, გემრიელი ქანდაკი აღმოჩ-ნდა. რაკი მიხვდა, გოგონამ ოსმანს მისი მოქცევა შეუნდოო, შრი შრინივასი მთლად მოიქუფრა:

- ეგ ბიჭი საკუთარი ბედისწერის მოღალატეა, ასეა ეს! განა ძა-ლუძს ვინმეს, საკუთარი დჰოტივით იცვალოს ღმერთები?! არ ვი-ცი რა ეშმაკი შეგიჩნდა, ოღონდ ეგეთ რაღაცეებს მე არ ავიღებ!

მისი სამუშაო მაგიდის თავზე ერთობ თვალშისაცემი სერტი-ფიკატი ჰკიდია, იმის დასტურჰყოფად, რომ ბ-ნი შრი შ. შრინივა-სი დედამიწის გეოლოგიური ისტორიის ექსპერტია და პირადად შემოუფრენია დიდი კანიონისათვის - სანახაობათა ავიახაზების მეშვეობით. შრინივასი თვალებს ხუჭავს და ხელებს გულზე იკ-რეფს: გაუცინარი ბუდა, იმ კაცის შეუვალი ავტორიტეტით მოსი-ლი, ვისაც სადაც ჯერ არს, იქ რომ უფრენია.

- ეგ ბიჭი ეშმაკეულია, - წართქვამს მძიმე-მძიმედ, აიშა კი ამ დროს ისევ პარკში აწყობს თავის ნაკეთობებს და კარისაკენ მი-დის, უსიტყვოდ.

შრინივასი თვალებს აფახულებს.

- არა, ვითომდა მაგით რაო? - იძახის. - განა არ ვიცი, ფული რომ გჭირდება? ახლა რა ვქნათ? მიდი რა, ცოტაოდენი ოდ-თო-ჯინები გამიკეთე, სასწრაფოდ და მეც უმაღლეს ფასად ავიღებ შენგან - გულკეთილი ვარ და რა ვქნა! შეცდომები კი ვის არ მოს-ვლია...

პირადად ბ-ნ შრინივასის გამოგონება გახლდათ ე. წ. „ოჯახის დაგეგმარების თოჯინები“ - რუსული მატრიოშკას სოციალურად საპასუხისმგებლო ალი-კვალი: შარვალ-ჩაკოსტუმებული მამა-

თოჯინას, აბბა-ს შიგნით თავმდაბალი, სარით შემოსილი ამმა-თოჯინა იდო, მის შიგნით კიდე - მათი ქალიშვილი, რომელსაც თავის მხრივ, კიდევ პატარა ბიჭი ეჯდა მუცელში. ერთზე მეტი ბავშვი - ფუფუნებაა: სწორედ ამგვარი გახლდათ თოჯინების მეშვეობით გაკეთებული, სოციალური პასუხისმგებლობით სავსე გზავნილი.

- და ცოტა სწრაფად! - დაადევნა უკვე კართან მისულ აიშას. - მაგეებზე კარგი მოთხოვნაა, იცოდე.

გოგონა მოუტრიალდა, გაუღიმა:

- ჩემზე ნუ იდარდებ, შრინივასჯი. - თქვა და გავიდა.

ცხრამეტისა იყო მაშინ აიშა, იმავე კარტოფილის გზას რომ დაადგა შინ დასაბრუნებლად და ორმოცდარვა საათის შემდეგ, სოფელში რომ შედგა ფეხი, უკვე ერთგვარ უასაკობისთვის მიეღწია - თმა თოვლივით გასთეთრებოდა, კანი კი ახალდაბადებული ჩვილივით თოთო ჰქონდა; დედიშობილა გახლდათ, თუმცა პეპლები ისე დახვეოდნენ ტანზე, იფიქრებდით უთხელესი რამ ძაფისაგან მოუქსოვიათო. ამ დროს, ოსმან-ჯამბაზი თავის ჩვეულ ხრიკებში ავარჯიშებდა ბუღაყოფილს - იმისდა მიუხედავად, თუ რამდენად შეშფოთებული იყო აიშას დაგვიანებითა და მთელი ღამეც მის ლოდინში რომ არ მოუხუჭავს თვალი, ლუკმა-პურის საშოვნელად თავისა და ამ რქოსანი პირუტყვის შეწუხება მაინც აუცილებელი გახლდათ; ხოლო როცა ბილიკზე მომავალს ჰკიდა თვალი, ჭაბუკს, რომელიც საერთოდ არ სცნობდა ღმერთებს იმ უბრალო მიზეზის გამოისობით, რაკიღა მიუკარებელი გაჩნდა ამქვეყნად, არაამქვეყნიური ზაფრა დაედო და არც კი უცდია თუნდაც ბიჯი გადაედგა იმ არსებისაკენ, ასე უგზო-უკვლოდ რომ შეყვარებოდა.

ის კიდე თავის ქოხში შეიმალა და მთელი ერთი დღე-ღამე ისე იძინა, თვალი არ გაუხელია. მერე სოფლის სარფანჩა - მამასახლისი მუჰამედ-დინი მოინახულა, და სასხვათაშორისოდ მოუყვა, როგორ ესტუმრა სიზმრად მთავარანგელოზი ჯაბრაილი და გვერდით მოუწვა, მოსასვენებლად.

- სიდიადე გარდამოვიდა ჩვენსა, - უთხრა არცთუ მცირედად შეშფოთებულ სარფანჩას, რომელიც დღესამომდე კარტოფილის მოსავლის დანაწილებით უფრო გახლდათ შეფიქრიანებული, ვინემ ზეგარდმო მოვლენებით. - ყოველი განიკითხება და ყველას მიეზღვება თავისი.

ბანიანის დედა-ხის სულ სხვა კუთხეში კი, სარფანჩას ცოლი ხადიჯა მოტირალ ჯამბაზს ამშვიდებდა, რომელიც ვერაფრით შეგუებოდა იმას, რომ აწი საბოლოოდ უნდა აეღო ხელი აიშაზე - რაკიღა თუ მთავარანგელოზი დაწვა ქალთან, მიწიერ მამაკაცთათვის ის სამუდამოდ დაკარგულია. ხადიჯა კიდე მეტისმეტად მოხუცი, გულმავიწყი და ყოვლად უვარგისი მოსიყვარულე გამოდგა, ამიტომაც ესეგვარად გულსგარეთ უყვავებდა ოსმანს:

- მზე ჩადის, როცა ვეფხვის შიში ისადგურებს ირგვლივ, - მოიშველია ძირძველი ანდაზა: ცუდი ამბები მუდამ მოულოდნელია ხოლმე.

მალე, ლამის როგორც კი ეს საოცარი ამბავი მთელ მხარეს მოედო, გოგონა აიშა დიდ სახლში გამოიძახეს, სადაც ზამინდარის მეუღლემ, მიშალა აჰტარმა მთელი დღეები გაატარა მასთან ერთი-ერთზე საუბრებში, ხოლო დედამისმა მუხლიც კი მოიყარა მთავარანგელოზის თმაგათეთრებული თანამეცხედრის წინაშე.

* * *

სიზმრადმყოფს, ზმანებებში გადავარდნილს, სურს (მაგრამ არ ძალუძს) შეეწინააღმდეგოს: თითიც არ დამიკარებია მისთვის,საიდან მოიტანა? გგონიათ, პოლუცია მომივიდა თუ რა? მე რა ვიცი, იმ გოგოს რა უდევს გულში... ჩვენიანი რო არაა, მაგას რა ფიცი-მტკიცი უნდა!

მოკლედ, ასე იყო ეს ამბავი: ქალიშვილი სოფელში ბრუნდებოდა, დაიღალა და ხის ქვეშ, ჩრდილში მიწვა. თვალები მოხუჭა თუ არა, პალტოსა და ქუდში გამოწყობილი, სიცხისაგან გათანგული, სიზმარეული ჯაბრაილიც იქვე გაჩნდა. ერთი კი შეავლო გოგონამ მძინარე მზერა, მაგრამ თავადაც ვერ გეტყოდათ, რა დაინახა: იქნებ ფრთები, ან შარავანდედი, ანთუ - საქმენი მისნი. მერე ისიც მიუწვა გვერდით და აღმოაჩინა, რომ ახლა ვეღარც ადგებოდა - ტყვიასავით დამძიმებოდა სხეული, ლამის მიწაშივე ჩაფლულიყო საკუთარი სიმძიმისაგან. ქალიშვილმა ჯერ მზერა მოარიდა, მერე თავი დაუქნია, თითქოს რაღაცაზე ეთანხმებაო, მერე კი ის ჭრელი სარი გადაიძრო თავზე და მის გვერდით გაიწვართა, სრულიად შიშველი. მერე მას სიზმარშივე ჩაეძინა, ერთბაშად, თითქოს სინათლე გამოურთესო და როცა ესიზმრა რომ ისევ გამოიღვიძა, გოგონა მის წინ იდგა, თეთრთმაგაშლილი და პეპლებშემოხვეული: მოკლედ, ერთიანად გარდასახული. ოღონდ ისევ ისე უქნევდა თავს, აღტაცება ეწერა სახეზე და ვიღაც ჯაბრაილისაგან ჩაესმოდა რაღაც გზავნილები. მერე კი მიატოვა, მწოლიარე, და თავის სოფელს დაუბრუნდა, სცენაზე გამოსასვლელად.

ასე რომ, მე ახლა სიზმრისეული მეუღლეცა მყავს, - საკუთარ თავს ემსჯელება სიზმრებში წასული. - და რა ეშმაკები გინდა რომ უყო? ოღონდ ეს უკვე აღარაა მისი გადასაწყვეტი. აიშა და მიშალ ახტარი უკვე დიდ სახლში არიან, ერთად.

* * *

იმ დაბადების დღიდან მირზა საიდი მთლად ვნებებს აჰყვა - „თითქოს მართლა ორმოცი წლისა იწყებდეს ცხოვრებას," - ჰკვირობდა მეუღლე. მათი ცოლ-ქმრული ურთიერთობები იმდენად გა-

ჯერებული გახდა, მოახლეებს დღეში სამჯერ უწევდათ ზეწრების გამოცვლა. მიშალა ფარულად იმედოვნებდა, რომ მისი ქმრის ლიბიდოს ესეგვარი გაძლიერება მიზნის მიღწევაში უთუოდ დაეხმარებოდათ, რადგან (რასაც არ უნდა ამტკიცებდნენ ექიმები) განწყობას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვსო; სწორედაც რომ ყოველ დილით სიცხის გასინჯვა და ზოგადად, მისი ოვულაციის ციკლის ზუსტი განსაზღვრის ეს დაუსრულებელი მცდელობები იყო, სულ უფრო რომ აშორებდათ ბავშვის გაჩენის შესაძლებლობას: აბა როგორია, ლოგინში მეცნიერებასთან ერთად უწვებოდე ქმარს და საერთოდ, მითხარით ერთი, რომელი საკუთარი თავის პატივისმცემელი ჩანასახი დაიბუდებს საშვილოსნოში, ამგვარი წინასწარ დადგენილი წესითა და რიგით! მიშალა ძველებურად ლოცულობდა და ჩვილს შესთხოვდა უფალს, თუმცა ქმართან ამის თაობაზე კრინტსაც არ სძრავდა, რათა მისი მამაკაცური გრძნობები არ შეურაცხეყო; ხოლო როცა საიდი ამგვარ მომთხოვნ, ასეთ მოყვარულ თანამეცხედრედ ექცა, იფიქრა - აი, ახლა კი ნამდვილად ვეწევით საწადელსო. ამიტომაც იყო, რომ მეუღლის უცნაურმა თხოვნამ - აწი, პერისტანში ყოფნისას, ძველ ადათ-წესებს უნდა მისდიო, საქალებო მეოთხედიდან ცხვირიც არ გამოყო დაუკითხავად და სახეც დაფარული უნდა გქონდესო - მასში არანაირი აღშფოთება არ გამოუწვევია. აკი ქალაქშიც ჰქონდათ დიდი, სტუმართმოყვარეობით ცნობილი სახლი და იქ ცოლ-ქმარი ერთ-ერთ სრულიად თანამედროვე, როგორც იქ ამბობდნენ, ედვანსირებულ წყვილად მიიჩნეოდა ადგილობრივ ცნობად სახეებს შორის: თანამედროვე ხელოვნების ნიმუშებს აგროვებდნენ, თანამედროვედ ეცვათ და მათ ყოველკვირეულ ფართიზე წესად ედოთ, სტუმრებს დივანზე მოესვენათ ჩაბნელებულ სასტუმრო ოთახში - ვიდეოზე მსუბუქი პორნოსათვის საცქერლად. შესაბამისად, მირზას თხოვნას - კარგი იქნებოდა, ჩვენი ქცევა ამ ძველი სახლის გარემოსთვის შეგვეთავსებინაო, ქა-

ლის მხრიდან მწარე დაცინვის მაგივრად, სრული გაგება და თანხმობა მოჰყვა. „როგორც შენ იტყვი, საიდ," - უთხრა, რაკიღა წამსვე იაზრა, ამაში რაღაც ეროტიული თამაშისდაგვარი იმალებაო. კაცმა მიანიშნა კიდეც: იმდენად შეპყრობილი ვარ შენს მიმართ ვნებით, ვინ იცის როდის წამომივლის და მუდამ თუ თვალმოსაკრავი იქნები, სხვებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ეს მსახურებსაც კი უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდებსო. ისიც სათქმელია, შენი გვერდით ყოფნა საშუალებას არ მაძლევს საქმეზე ვიფიქრო, ქალაქში კი როგორც გენებოს - შეგვიძლია ისევ ჩვეულებრივად ვიცხოვროთო. ქალი აქედან ასკვნიდა, ქალაქში მრავალი ხელისშემშლელი გარემოებაა, ჩანაფიქრის აღსრულება კი აქ, თიტლიპურში უფროა უპრიანიო. ამიტომაც სთხოვა დედამისს, მასთან დასარჩენად ჩამოსულიყო, რადგან თუკი საქალებო ზენანით აპირებდა შემოფარგვლას, ვინმე ხომ უნდა ჰყოლოდა გვერდით.

ქ-ნი კურეიშისა მთლად ადუღებული ჩამოვიდა, მზად იყო იმდენი ელანძღა სიძე, სანამ ამ სულელურ მოთხოვნებს არ შეეშვებოდა, მაგრამ მიშალას ნათქვამმა მთლად გაახევა:

- არა დედა, სწორს შვება ყველაფერს...

სახბანკის დირექტორის მეუღლის, ქ-ნ კურეიშის გაოგნებას ზღვარი არ ჰქონდა:

- შვილო მიშუ, მუდამ მეგონა, ამ პროვინციული ჭაობიდან ამოგყავდა ქმარი, შენ კიდე იმას იქით ჩაუთრევიხარ!

ჩვენში დარჩეს და, სიდედრს მუდამ ეჭვი ღრღნიდა, ეს ჩემი სიძე გვარიანი კრიჟანი ვინმეაო (ამა მოსაზრების დამამტკიცებელი საბუთების უქონლობაკი შეიძლება ითქვას, ცეცხლზე ნავთს უსხავდა), ამიტომაც ყური აღარ ათხოვა ქალიშვილის ნათქვამს და, კეთილშობილი რისხვით ანთებულმა, საიდი ბაღში დაიმარტოხელა:

- არა, მაინც რას უპირებთ ჩემს ქალიშვილს, ჰა? სახლში გინდათ გამოკეტოთ?! დასამალი რა სჭირს - გამოსაჩენად და თავმოსაწონებლად უნდა გყავდეთ! რაში გარგიათ ქონება, თუკი ცოლს არ და-

ახარჯავთ? დამიჯერე, შვილო ჩემო - ცოლიც სახალხოდ უნდა გამოაჩინო და საფულეც! იქნებ სადმე სამოგზაუროდ წასულიყავით, რომელიმე ცნობილ, საამო მხარეს...

მირზა საიდმა ის იყო, პირი გააღო რაღაცის სათქმელად და ისევ მომუწა, რადგან საკუთარი მჭევრმეტყველებით გონებადაბინდულ მის სიდედრს აფრები ეტყობა, ბოლომდე ჰქონდა აშვებული:

- ჩაავლე ხელი და გაემგზავრეთ! - ქადაგებდა ქ-ნი კურეიშისა. - კაცი ხარ თუ ნაქურჩალი?! თუ ის გინდა, მანამ გყავდეს ზენანს გამომწყვდეული, ვიდრე თავად სამუდამოდ (აქ კი ნაღდი ქადაგივით იშვირა თითი ზეცისკენ) იქ არ გაემგზავრება?

საიდმა მართლა ბრალეულივით ჩაქინდრა თავი და დაპირდა, ვიფიქრებ მაგაზეო.

- ვიფიქრებო?! რაა აქ საფიქრალი? გამომიჩნდა ესეც ჰამლეტის ერთი!

სიდედრის ამგვარმა ჯიქურ შემოტევამ საგონებელში ჩააგდო მირზა საიდი და ფიქრთ გასართველად, რაბინდრანატ თაგორის წიგნი გადაიკითხა - „გარე-ბაირე“, სადაც მავანი ზამინდარი საკუთარ ცოლს შარიათის ხუნდებიდან ათავისუფლებს, ის კიდე ვიღაც მოპოლიტიკოსო ვინმეს გადაეყრება, რომელიც რომ სვადეშის რადიკალური მოძრაობის წევრია და ზამინდარიც თავს იღუპავს. რომანმა, ერთი პირობა, გვარიანად გაახალისა, მაგრამ მერე ეჭვები ისევ დაუბრუნდა: მართლა თუ გულმართალი იყო საკუთარ ცოლთან, თუ უბრალოდ, ამ მყუდრო ნაპირს სურდა მოშორებოდა, რათა პეპლების ქალბატონის, ბნედიანი აიშას საძებნელად შეეცურა ზღვაში? „დაიცა ერთი,“ - დაუცაცხანა საკუთარ თავს, რაკიღა სიდედრი და მისი ანთებული მზერა გაახსენდა უცებ. - „რის ზღვაში ხეტიალი, თავად არ შევთავაზე მიშალას, დედაშენი მოიპატიჟე-მეთქი?“ მართლაც ასე იყო, თუმცა კი მშვენივრად მოეხსენებოდა, მის მიმართ რა ეჭვებიც ღრღნიდა ამ ჩა-

სუქებულ დედაკაცს! „განა მის აქ ყოფნას დავთანხმდებოდი, თუკი ვიღაცასთან ვეპირებოდი არშიყობის ქსელის გაბმას?!“ ოღონდ შინაგანი ხმა არა ცხრებოდა და უმტკიცებდა - მთელი ეს შენი თანამედროვე სექსოლოგია, ეს შენი ახლადგამოღვიძებული ლტოლვა საკუთარი მეუღლისადმი, უბრალო გადანაცვლებაა და სხვა არაფერი... სინამდვილეში, ერთი სული გაქ იმ შენს გლეხიგოგოსთან გაუტიოო!

ბრალეულობის შეგრძნებამ ზამინდარს უღირსად აგრძნობინა თავი. სიდედრის მიერ როყიოდ ნასროლი შეურაცხყოფა ახლა სავსებით გამართლებულად ეჩვენებოდა. ჰამლეტობა მინდა ახლა მე? - ჩაიბურტყუნა და წიგნის კარადებს გახედა, რომლებშიც ალბათ უკვე ჭიაც მოსდებოდა უძვირფასეს სანსკრიტულ ტექსტებს, რომელთა დარი ვინძლო, ეროვნულ არქივშიც კი არ მოიძებნებოდა... პერსი ვესტერმანის, ჯ. ა. ჰანტისა თუ დორნფორდ იეიტსის სრულ კრებულებზე ხომ აღარას ვამბობთ. მართალია ის ქალი, არის ჩემში რაღაც ჰამლეტისეული! - გაიფიქრა გულმოკლულმა. ეს მისი საგვარეულო ბუდე შვიდი თაობის წინ აშენდა და ამ ხნის განმავლობაში, ერთგვარ უნიათობას მართლა დაესადგურებინა მის კედლებში. დერეფანს დაუყვა, რომლის გაყოლებაზეც მრუმე, ოქროცურვილი ჩარჩოებიდან მომზირალი მისი წინაპრების სურათები ეკიდა და იმ სარკეშიც ჩაიხედა, რომელიც კაცმა არ იცის, როდიდან იდგა იქ - იმის შესაგონებლად, დრო მოვა და შენი სურათიც გამოეფინება ამათ გვერდითო. არადა, უნდა ითქვას რომ ეს ჩვენი ზამინდარი მეტად მრგვლოვანი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა: იდაყვებზეც კი ხორცი ედო, ნიკაპიც არ ჰქონდა დაკუთხული და ცხვირი, ლოყები, შუბლიც კი ხორციანი ჰქონდა. ბეტელის ფოთლების წვენით მოთხვრილ, ასევე მომრგვალებულ ზედა ტუჩსაც წვრილი, რბილი ულვაში უფარავდა: „მერე, ვისზე რა შთაბეჭდილებას მოახდენს ამისთანა ვინმე?“ - მწარედ გაიფიქრა და აზლუქუნებული, მიხვდა რომ გრძნობების ამგვარი შემოტევა მართლაც მხოლოდ ერთ რამეს შეეძლო გამოეწვია - შეყვარებული გახლდათ, სიყვარულის სახადი

შეჰყროდა და ეს მისი ავადობა სულაც აღარ იყო საკუთარი ცოლის გამოისობით გამოწვეული...

„მაშ რა ოხერი, წყალწყალა, თავქარიანი და ცრუპენტელა ვინმე ვყოფილვარ, თუკი ასე სწრაფად და ამნაირად მოვახერხე გადასხვაფერება!“ - გაიფიქრა ისევ. - „საცა წესია, ახლოსაც არ უნდა გამიკაროს არავინ... სიკვდილის მისჯაც კი ცოტაა ჩემთვის.“

ოღონდ ის იმისთანა ვინმე არ გახლდათ, საკუთარ მახვილზე წამოეგო თავი. პირიქით, პერისტანის სართულ-სართულ მოჰყვა სიარულს და ამ ძველისძველი სახლის მომაჯადოებელმა გარემომაც სულ მალე გამოუკეთა გუნება-განწყობა.

სახლი: თავისი უცნაური სახელის მიუხედავად, ეს მეტად მყარი და სრულიად უბრალო ნაგებობა, რომელიც მხოლოდ ამ არასწორად ნაგებ ქვეყანაში თუ მიიჩნეოდა არაჩვეულებრივად, როგორც უკვე მოგახსენეთ, შვიდი თაობით ადრე დაეგეგმარებინა ვინმე პეროუნს, ინგლისელ არქიტექტორს, ვისაც რომ დიდად პატივს სცემდნენ კოლონიალური ხელისუფალნი. მისი ნაგებობაც ინგლისურ ნეოკლასიცისტურ სტილში აღმართული ქალაქგარე სახლის უბრალო გადამღერება გახლდათ, გარნა ყველაფერ ევროპულზე მთლად გადაგებული მაშინდელი ზამინდარნი ლამის თავს ევლებოდნენ და საიდის დიდმა პაპის-პაპის-პაპის-პაპის პაპამაც უყოყმანოდ დაიქირავა, მას შემდეგ რაც მეფისნაცვლის სასახლეში გააცნეს მიღებაზე: აქაოდა განათუ ყველა მაჰმადიანი უჭერს მხარს სიპაებისა და ძმათა მათთა ამბოხს - არავითარ შემთხვევაში! - მერე კი სრული კარტ-ბლანში უბოძა; ასე რომ, სულ მალე კარტოფილის მინდვრებისა და უ-უზარმაზარი ბანიანის ხის მახლობლად, აქ პერისტანი წამოიმართა. ისე, ზოგ-ზოგი ავყია ენები იმასაც ამბობდნენ, არაფერი ჯადოსნური მის სახელწოდებაში არ იმალება და უბრალოდ, პეროუნისტანის დამახინჯებული წარმოთქმაო.

ოღონდაც, ამ შვიდი თაობის ჩავლის მერე, ის უკვე ისე გამოიყურებოდა, თითქოს იმთავითვე ეკუთვნოდა აქაურობას - კარტოფილით დატვირთულ, ხარებშებმულ ოთხთვალებს, პალმის ხეებსა და დღისით ფირუზისფერ, ღამ-ღამობით კი დიდრონი ვარსკვლავებით დახუნძლულ ცას. ის კი არა, მეფე ჩარლზ თავწასოსნილის კიბეს დამყურე ფანჯრების ფერად-ფერადი შუშებიც კი რაღაცნაირად აქაურობას გაშინაურებულიყო. ისე, ძველ ზამინდართა სახლებიდან მხოლოდ თითო-ოროლა თუ გადაურჩა გაჩანაგებას, და ამიტომაც - და კიდევ იმიტომ, თავად მირზა საიდი რომ არაფერს იშურებდა მის მუდმივად წესრიგში მოსაყვანად - იქ მუდამ რაღაც სამუზეუმო განწყობა სუფევდა. თავად სახლის პატრონს მაღალჩარდახიან ლოგინში ეძინა, რომლისთვისაც პატივი დაედოთ და სხვადასხვა დროს, სამ მეფისნაცვალს გაუთევია ღამე. დიდ სასტუმრო ოთახში მიშალასთან და ქ-ნ კურეიშისთან ერთად ჯდომა უყვარდა ვეებერთელა, სამნაწილიან დივანზე. კუთხეში, ხის განსაკუთრებულ სადგამზე, სამეჯლისოდ გამზადებული, უზარმაზარი შირაზული ნოხი იყო შემოდებული, თუმც კი ამ ხელთქმნილ საოცრებას ვერაფრით ეღირსა თავის მოწონება მისი დამფასებელი, ჯეროვანი სტუმრების წინაშე. შემოსასვლელში ნახავდით კლასიკურ სტილში გამოწახნაგებულ სვეტებს, კორინთული სვეტისთავებით თავმობმულს; ორ ფარშევანგს - ერთს მარმარილოს ქვაში ნაკვეთსა და მეორეს - ცოცხალს; ვენეციური შუშის „მომღერალ“ ჭაღებს... ყველა პუნკა (ჭერქვეშ დამაგრებულ დიდ, სწორკუთხა ჩარჩოზე გადაჭიმული თხელი ნაჭრის მარაო) სრულ სამუშაო მდგომარეობაში იყო და მას - ბედის დაცინვა! - პაწია ჩახუთულ ოთახში მჯდარი ერთადერთი პუნკავალა მართავდა. მსახურებისაც სწორედ რომ შვიდი თაობა გამოიცვალა სახლმა და მათ ახლა ჩივილ-წუწუნის მაღალი ხელოვნების უნარ-ჩვევები მთლად გადავიწყნოდათ. აქაურობას კვლავ ძველი ადათ-წესები განაგებდა და თიტლიპურის სულ უკანასკნელ ტკბილეულის გამყიდველსაც კი, ზამინდარის თანხმობა სჭირდებოდა ახალი რამ ნუგ-

ბარის გასაყიდად გამოსატანად. მოკლედ, ცხოვრება პერისტანში ისევე გლუვი და ნელ-თბილი გახლდათ, როგორიც ხეშეში და ცივ-ცხელი - ხისქვეშ; ოღონდ ეგაა - სულ მთლად ბუმბულში მწოლიარესაც შეიძლება მოედოს სუსხი...

* * *

იმის გაგებამ - ცოლი დროის უმეტეს ნაწილს აიშასთან ერთად ატარებს, სახლის საქალებო ნაწილში გამოკეტილიო, მირზა ისე გააღიზიანა რომ შეიძლება ითქვას, სულიერი ეგზემა დამართა - ათგზის უფრო შემაწუხებელი, რაკიღა მისი მოქავებაც არასგზით არ გამოდიოდა. საქმე ის იყო, მიშალა ვარაუდობდა - თავისი სტუმრობის დასტურად, მთავარანგელოზი ბიჭს მაინც დაუტოვებდა აიშას, მაგრამ ამის თაობაზე ხომ სიტყვასაც ვერ დასძრავდა ქმართან, ამიტომაც ერთთავად სახემოღუშული დაიარებოდა და მის ყოველ შეკითხვაზე - რას ახარჯავ დროს ამ ჭკუანაკლულ სოფლელ გოგოსო, უკმაყოფილოდ იჩეჩავდა მხრებს. ამგვარმა ქცევამ მთლად აუშალა ნერვები მირზა საიდს და სხვა ყველაფერთან ერთად, ახლა ეჭვიანიც გახადა, თუმცა გაურკვეველი დაურჩა - აიშაზე ეჭვიანობდა თუ მიშალაზე. მერე იმასაც მიაქცია ყურადღება, რომ პეპლების მბრძანებელს თვალები ისეთივე ციმციმა ნაცრისფერი ჰქონდა, როგორიც მის ცოლს და ამან კიდევ უფრო გულჩათხრობილი გახადა, თითქოს ესე ამბავი იმის მაუწყებელი ყოფილიყო, რომ ქალები უშუალოდ მის წინააღმდეგ აწყობდნენ რაღაც შეთქმულებას; ან იქნებ - და ეს კიდევ უარესი - თავად მასზე ჭორაობდნენ?! მოკლედ, ზენანში დატრიალებული ეს ამბები არაფრად ეჭაშნიკებოდა - მისი ბებრუხანა სიდედრიც კი დაუახლოვდა აიშას და ახლა მაგარი სამეული გამო-

დიოდა, ღმერთმანი! როცა ამისთანა თებჟორიკები ერთად შეიყრებიან, კარგს რას უნდა ელოდე კაცი...

ახლა აიშაზეც ვთქვათ: საცა არ უნდა გადაყროდა - ბანზე თუ ბაღში, სადაც მას სასიყვარულო ლექსების კითხვა უყვარდა ურდუს ენაზე - მუდამ მდაბლად, თვალებდახრილი ესალმებოდა ხოლმე; ოღონდ ეს დახვეწილი და მისხალი ეროტიულობისაგან დაცლილი ქცევა კიდევ უფრო აღრმავებდა საიდის სევდას. ამიტომაც იყო, რომ ერთხელაც, როცა მალულად აყურადებდა ზენანის კარს და სიდედრის მელოდრამატული შეკივლება მოესმა, შურისგების ჟინმა წამოუარა და რამდენიმე წუთი კიდევ აცალა, ვიდრე კარს შეაღებდა იმის გასარკვევად, რა უბედურება ხდება მანდო. ოღონდ ჯობდა კი ეს არ ექნა: ქ-ნი კურეიშისა კინოეკრანიდან გადმოსული დედოფალივით იმტვრევდა თითებს და მწარედ მოსთქვამდა; მიშალა და აიშა კიდე ლოგინზე ჩამომსხდარიყვნენ, გვერდიგვერდ - თვალებში შესცქეროდნენ ერთმანეთს - ნაცრისფერი ირეკლავდა ნაცრისფერს...

როგორც აღმოჩნდა, მთავარანგელოზს განუცხადებია აიშასათვის - ზამინდარის ცოლი კიბოთია ავად, მეტასტაზებიც მომრავლებია და სულ რაღაც ორიოდე თვის სიცოცხლეღა დარჩენიაო. თავად კვანძების სწორედ მკერდში გაჩენა კი თავისთავად უდასტურებდა მიშალას ღვთის სისასტიკეს, რაკიღა მხოლოდ შეურაცხად ღვთაებას თუ შეეძლო იმ ქალის მკერდში ჩაედო სიკვდილი, რომელიც მხოლოდ ახალი სიცოცხლის მეძუძურეობას ოცნებობდა. თავად საიდმა ამ სიტყვებსღა მოჰკრა ყური:

- ნუ ნაღვლობთ. ღმერთი გიშველით. სწორედ ესაა რწმენის გამოცდა.

ქ-ნმა კურეიშისამ ერთი წივილ-კივილითა და მოთქმა-გოდებით აცნობა მირზა საიდს ეს დამზაფრავი ამბავი და ეს უკვე მთლად ბოლო წვეთი აღმოჩნდა საბრალო, დაფეთებული ზამინდარისათვის -

თავდაჭერა დაკარგა და ისე აკანკალდა, იფიქრებდით - აი ახლა დაერევა ყველას და ყველაფერს მთელს ოთახშიო.

- ერთი შენცა და შენი კიბოებიც! - აუყვირდა აიშას. - ახლა ჩემს ოჯახში გინდა შემომიყარო სიგიჟე და ანგელოზები?! მოუსვი აქედან! არც ეგ მოჩვენებები მჭირდება და არც ეგ ვიღაც მოჩვენებითი ქმარი! ეს თანამედროვე სამყაროა - აქ ნამდვილი ექიმები გვისვამენ დიაგნოზს, და არა კარტოფილის მინდვრებზე მოხეტიალე სულები! სულ ტყუილად ტეხავ რაღაც აურზაურს! გაქრი აქედან და ჩემს სახლში მეორედ მოსული აღარ დაგინახო!

აიშას ხმა არ გაუღია, მიშალას არ აცილებდა თვალს. აცალა, სანამ საიდი სულს მოიბრუნებდა, მერე კი მშვიდად უთხრა მის ცოლს:

- ყოველი განიკითხება და ყველას მიეზღვება თავისი.

ეს რომ გაიგონა - ეს რაღაც მანტრა, მთელი სოფლის მოსახლეობა თუთიყუშივით რომ იმეორებდა, თითქოსდა ცოდნოდათ მაინც, რას ნიშნავდა, მირზა საიდ აჰტარს გონება მთლად დაებინდა, ხელი ასწია და ისეთი გაარტყა აიშას, იქვე გათიშა. გოგონა დაეცა, სისხლი წამოუვიდა პირიდან - წინა კბილი ჩამტვრეოდა; ქ-ნმა კურეიშისამ კი წყევლა-კრულვის მთელი შეკვრა დაყარა თავზე საკუთარ სიძეს:

- ღმერთო მაღალო, ქალიშვილი მკვლელისათვის გამიყოლებია! გაგიგია, ასე დაარტყა ბავშვს?! მიდი, მეც დამარტყი შე გათახსირებულო, ღვთისპირიდან გადავარდნილო, ეშმას გაგდებულო, უწმინდურო!!!

საიდი უსიტყვოდ გავიდა ოთახიდან.

მეორე დღეს მიშალა აჰტარმა დაიჟინა - ქალაქში უნდა წავიდე, სრული სამედიცინო გამოკვლევის ჩასატარებლადო. საიდი განაწყენდა:

- მთლად ცრურწმენებში თუ გადავარდი, ეგ შენი საქმეა, მე კიდე მაგეებში ვერ აგყვები... ბოლო-ბოლო, რვა საათის გზაა იქით-აქეთ. მეზარება.

მიშალა ნაშუადღევს გაემგზავრა, დედასა და მძღოლის თანხლებით, ამიტომაც მირზა იქ არ იმყოფებოდა, სადაც წესით და რიგით უნდა ყოფილიყო, ანუ - თავისი მეუღლის გვერდით, როცა მას გამოკვლევის შედეგები აცნობეს: საოპერაციოდ დაგვიანებული, მეტასტაზებში გადასული კიბოს მარწუხები ღრმად მოდებოდა მკერდში. დიდი-დიდი, ექვსი თვე დაგრჩათო, - უთხრეს; ტკივილი კი დღითიდღე იმატებსო. მიშალა პერისტანში დაბრუნდა და პირდაპირ თავის ოთახს მიაშურა ზენანში, ქმარს კი მოკლე წერილი დაუწერა, სადაც მშრალად მოახსენა ექიმების დასკვნის თაობაზე. მირზა საიდ აჰტარი რომ გაკრული ხელით ნაწერ ამ სასიკვდილო განაჩენს გაეცნო, გულით უნდოდა ეტირა, მაგრამ კურცხალი ცრემლი არ გადმოვარდნია თვალთაგან. რა ხანია, ღვთის სამადლობელოდ ვერ მოეცალა, და ახლა აიშას ნათქვამი არ შორდებოდა გონებიდან: ღმერთი გიშველით. ყველას მიეზღვება თავისი. მწარე, მკრეხელურმა აზრმა გაუელვა თავში: „წყევლაა ეს. აიშა მოვისურვე და მიშალა წამართვა“.

ზენანას რომ მიაშურა, მეუღლემ მისი ნახვა აღარ ისურვა, ოღონდ სიდედრმა ცისფერ, ნელსურნელებით გაჟღენთილ ქაღალდზე ნაწერი მისი მეორე ბარათი კი გადასცა: „აიშას მინდა დაველაპარაკო. იქნებ ნება დამრთოთ...“ მირზა საიდმა თავის ერთი დაქნევით გამოხატა თანხმობა და შერცხვენილი, იქაურობას გაეცალა.

* * *

მაჰუნდთან მუდამ ერთი ბრძოლა და დაკა-დაკაა; იმამთან - მონობა; ოღონდ ამ გოგოსთან კი - არაფერი. ჯაბრაილი უნიათოა - ჩვეულებრივ, თავის ზმანებებშიც ისეთივე მძინარეა, როგორც ცხოვრებაში. ხან ხის ქვეშ გადააწყდება ხოლმე, ხან - გზისპირა თხრილში; ესმის ის, რასაც იგი არ აღმოთქვამს, იღებს იმას, რაც სურს და მიდის. აბა, მაგან რა იცის კიბოსი? არც არაფერი.

მის გარშემო ყველას ესმის ხმები, - ფიქრობს ძილ-ღვიძილში. - სიტყვებით ცდუნდებიან. ოღონდ - არა მისი ნათქვამით; მაშ - ვისი? ვინ უჩურჩულებს მათ ყურში, ვინ ახერხებინებს მთების დაძვრას, საათის გაჩერებას, ავადობის დადგენას?!

პასუხი არ არის.

* * *

მიშალა აჰტარის ტიტლიპურში დაბრუნების მერე, გოგონა აიშა, ვისაც ხალხი უკვე კაჰინს, ანთუ პირს უხმობდა, სრულიად გაქრა მთელი ერთი კვირით. მისი უბედიღბლო თაყვანისმცემელი, მასხარა ოსმანი ყვებოდა - შორიახლო მივდევდი კარტოფილის გზაზე, უცბად ქარი ამოვარდა, მტვრის ბუღი დააყენა და როცა თვალში გამოვიხედე, „უკვე გამქრალიყოო“. ჩვეულებრივ, როცა ბიჭი და მისი ნაბუღარი ჯინებზე, ჯადოსნურ სანათებსა და სეზამ-გააღეს ამბებზე იწყებდნენ მოყოლას, სოფლელები კეთილადითნიებდნენ ხოლმე მის მონათხრობს და თუ მაინცადამაინც, სიტყვას ბანზე უგდებდნენ - კარგი რა, ჩვენი ძმა: ჩატნაპატნაში იქნებ გაგდიოდა კიდეც ეგეთები, ოღონდ აქ, თიტლიპურში, არა სრა-სასახლეები არ წამოიმართება, თუკი ათასერთი მშენებელი არ შეესია სამუშაოს, და არც ქალაქები ქრება, თუკი სხვები

არ დაანგრევენ ნაშენებს! ოღონდ ამჯერად არც არავის გაუქილიკებია, რადგან გლეხები მართლა სწუხდნენ გოგონას გაქრობას და მზად იყნენ, ყველაფერი დაეჯერებინათ. ნელი-ნელ იმ მოსაზრებამაც მოიკიდა ფეხი, რომ თოვლისფერთმიანი ქალიშვილი ბებერი ბიბიჯის პირდაპირი მემკვიდრე იყო, რაკიღა პეპლები სწორედ მის დაბადების დღეს გამოჩნდნენ ისევ და მას მერე კაბის მაგივრობასაც კი უწევდნენ! აიშა მათთვის დიდ ხნის მინავლული იმედის აალება იყო და იმის დასტური, რომ რაღაც დიადი კიდევ შეიძლებოდა მომხდარიყო ამქვეყნად, თუნდაც უმცირესთა და უღარიბესთა შორის.

- ანგელოზმა თუ წაიყვანა თავისთან! - ჰკვირობდა სარფანჩას ცოლი და ოსმანიც მწარედ აქვითინდა. - დაიცა, რა გატირებს, ამას რა სჯობია? - უხსნიდა ყოვლად უმეცარი ბებერი ხადიჯა. სოფლელებმა კი ქოქოლა დააყარეს თავად სარფანჩას - ნეტა როგორ გახდი სოფლის თავი, ამისთანა ხეპრე ცოლის ხელშიო...

- თქვენ თავად არ ამირჩიეთ? - იხტიბარს არ იტეხდა ისიც.

თავისი გაქრობის მეშვიდე დღის თავზე აიშა კვლავ გამოჩნდა სოფლად, ისევ შიშველი და ოქროსფერი პეპლებით შემოსილი; ვერცხლისფერი თმა ქარში უფრიალებდა. ზედ სარფანჩა მუჰამედ-დინის სახლს მიადგა და მოითხოვა, სრულიად თიტლიპურის პანჩაიატისთვის ეხმოთ, სასწრაფოდ.

- ამა ხის არსებობის მანძილზე უდიდესი რამ მოხდა ჩვენს თავს! - ამცნო თანასოფლელებს.

მუჰამედ-დინმაც უარი ვერ ჰკადრა და იმავე საღამოს, მიმწუხრის ჟამს დანიშნა სხდომა. როგორც კი საბჭოს წევრებმა კუთვნილი ადგილები დაიკავეს, წინ აიშა-კაჰინი წარსდგა და განაცხადა:

- იცოდეთ ყველამ, ანგელოზმა ამიყვანა თვალუწვდენელ სიმაღლეებზე! დიახაც, უკიდურესი დასალიერის ლოტოსს მაზიარა. მთავარანგელოზი ჯაბრაილი მაცნეა ჩვენი და ამ დანაბარების გადმომცემი: ყოველი განიკითხება და ყველას მიეზღვება თავისი.

სარფანჩა მუჰამედ-დინი აშკარად არ გახლდათ მზად რაიმე არჩევანის გასაკეთებლად.

- და რას მოითხოვს ჩვენგან ანგელოზი, შვილო ჩემო? - დაეკითხა და თან ცდილობდა, ხმაში კანკალი არ გამორეოდა.

- ყველა ჩვენგანი, ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ბავშვი, მოსალოცად უნდა გაიკრიფოს სოფლიდან. მექა-შარიფს უნდა ჩავიდეთ, ქააბას შავ ქვას ვემთხვიოთ ჰარამ-შარიფის მეჩეთის შუაგულში. ვალდებულნი ვართ.

პანჩაიატის კვინტეტი ცხარე კამათში გაიხლართა. ცალკე ნათესების დარდი ჰკლავდათ და ცალკე - კარ-მიდამოს ასე ერთბაშად, მიუსაფრად დაგდება.

- რაღაც თავი ბოლოს არ ებმის, შვილო ჩემო, - თავი გადააქნია სარფანჩამ. - საყოველთაოდ ცნობილია, რომ ალაჰი განუტევებს მათ, ვისაც ჰაჯისა და უმრას აღსრულება სიღარიბისა თუ ავადობის გამოისობით არ ძალუძს.

ოღონდაც აიშა დუმდა, და უხუცესნიც ბჭობას განაგრძობდნენ. მერე, თითქოსდა ეს დუმილი მათაც გადაედოთო, ყველანი მოყუჩდნენ და გონმიუწვდომელია თუ როგორ და რანაირად, ოღონდ საკამათო საკითხი კი თავისთავად გადაწყდა.

ბოლოს, ისევ ოსმანმა გაიღო ხმა - ოსმან-მოქცეულმა, რომლისთვისაც ეს მისი ახალი რწმენა მხოლოდღა სასმელი წყლით დაკმაყოფილების საშუალება გახლდათ.

- მარტო ზღვამდე ორასი მილი იქნება აქედან! - აყვირდა თავისდაუნებურად. - აქ კი მოხუცებიცა და ბავშვებიც ბლომად არიან... იქამდე რას ჩავაღწევთ?!

- ღმერთი მოგვგვრის ძალს, - წართქვა აიშამ, მშვიდად.

- და ის თუ მოგსვლიათ აზრად, ჩვენსა და მექა-შარიფს შორის ოკეანე რომ ძევს? იმას როგორღა გადავალთ? სადა გვაქვს გემის საქირავებელი ფული! იქნებდა ანგელოზი აპირებს ფრთები დაგვირიგოს?

ბევრი გაბრაზებული გარს შემოერტყა ღვთისმგმობელს.

- იყუჩე! - დაუცაცხანა სარფანჩა მუჰამედ-დინმა. - არც ისე დიდი ხანია მოგაქციეთ და აქ დაგასახლეთ. ენა დაიმოკლე და ჩვენს გზებს დაადექი.

ოღონდაც ოსმანი არ ეპუებოდა:

- მაშ ასე მიირქმევთ ახალმოსახლეებს? არა თქვენთა თანასწორად, არამედ მხოლოდღა თქვენი ნების აღმსრულებლებად?

სახეწამოჭარხალებულ სოფლელთა წრე სულ უფრო ვიწროვდებოდა მის გარშემო; მაგრამ აქ კაჰინ აიშამ აიღო სიტყვა და ყველა დაადუმა:

- ანგელოზმა ესეც ამიხსნა: ჯერ ამ ორას მილს გავივლით, მერე კიდე, ზღვას რომ მივადგებით, ქაფში შევდგამთ ფეხს და წყალნიც განიხვნებიან წინაშე ჩვენთა. ზღვის ფსკერზე გავლით მივადგებით მექას.

* * *

მეორე დღეს მირზა საიდ აჰტარმა მთლად სიჩუმეში ჩაფლულ სახლში გამოიღვიძა და როცა მსახურებს უხმო, არც არავინ გამოპასუხებია. სრული უძრაობა შეინიშნებოდა კარტოფილის მინდვრებზეც, ოღონდ თავად დედა-ხის ძირში კი ერთი გნიასი იდგა: პანჩაიატი ერთსულოვნად დასთანხმებოდა მთავარანგელოზ ჯაბრაილის მოთხოვნას და ახლა ყველანი დიდ მზადებაში იყვნენ. სარფანჩა ეპირებოდა სოფლის ხუროსთვის ეთხოვა - იმდენი ოთხთვალა ააგე, ყველა ზედ დავეტიოთო, მაგრამ ეს აზრი წამსვე დაუსამარა ცოლმა:

- არ გეყურება, სარფანჩ-საჰიბჯი? მთავარანგელოზმა ბრძანა, იარეთო და ვივლით კიდეც ყველანი!

მხოლოდღა ჩვილები აარიდეს ფეხდაფეხ მომლოცველობას - გადაწყდა, ყველა ასაკსრული რიგ-რიგობით ატარებდა მათ ზურგით. სოფლელებმა მთელი თავიანთი მარაგი მოზიდეს და პატარა მოედანი გაივსო კარტოფილის, ბრინჯის, ხილის ჩირის, კვახისა და ბადრიჯნის, წიწაკისა და ათასი სხვა ბოსტნეულის ტომრებით. ტვირთი თანაბრად გადაინაწილეს ფეხით მოსიარულეთა შორის. ტაფა-ქვაბები თუ საბან-გობანიც გვერდიგვერდ დაელაგებინათ. ცოცხალი ქათამ-წიწილებისთვის ცალკე, გალიიანი საზიდარი მოაგორეს, ხოლო პირადი ნივთები, იმავე სარფანჩას რჩევით, მთლად აუცილებელ საჭიროებამდე დაიყვანეს. მთელი ეს მზადება დილაუთენია დაიწყო, ასე რომ, როცა გაავებული მირზა საიდი სოფელს მიადგა, ბარგის უმეტესობა უკვე ჩალაგებულ-დაბინავებულიც ჰქონდათ. მთელი ერთი საათის განმავლობაში ამუნათებდა ზამინდარი ხალხს, აქეთ-იქით ყრიდა მათ დალაგებულ-ჩალაგებულ ნივთებს, მაგრამ ბოლოს შეეშვა და გაერიდა. ასე რომ, საქმიანობა მალევე ძველებურად გააგრძელეს. წასვლის წინ მირზამ რამდენჯერმე მიირტყა შუბლზე ხელი და სოფლელებიც გვარიანად გამოლანძღა - სულ ბეყეირათები და შეშლილები უწოდა, მაგრამ ის ხომ ოდითგანვე მცირედმორწმუნე გახლდათ და ახლა თავად უნდა ედია საკუთარი ბედისთვის. ამისთანებს ხომ ვერც ვერაფერში გადაარწმუნებ.

მზის ჩასვლისას მთელი სოფელი უკვე მზად იყო გზაზე დასადგომად, და სარფანჩამაც მწუხრის ლოცვაზე უხმო ყველას. გადაწყდა, ღამ-ღამობით ევლოთ, დღის ხვატის თავიდან ასაცილებლად. ბოლოჯერ რომ წამოწვნენ საკუთარ სახლში, მუჰამედდინმა ასე მიმართა თავის ბებერ ცოლს:

- ძალიანაც კარგი. ყოველთვის ვოცნებობდი ქააბა მენახა, ერთი წრე მაინც დამერტყა წმინდა ქვისთვის.

ხადიჯამ მკლავზე დაადო ხელი.

- ყველაფრის მიუხედავად, მეც მაგ იმედით ვცოცხლობდი... ახლა კი ერთად გავივლით წყალზე.

ამ დროს, სოფლის ჭკუასუსტობით გაცოფებული მირზა საიდი მეუღლეს შეუვარდა საქალებოში:

- არა, განახა ერთი, რა დღეში არიან! - თან ხელებს აქეთ-იქით იქნევდა უაზროდ. - მთელი თიტლიპური აიყარა და უგონოდ მიალაჯებენ სანაპიროსკენ! რა სიკეთე დაადგება ახლა მაგათ სახნავ-სათესებს? მარაგიც რომ არაფრის დაიტოვეს... არა, ეგ ნაღდად ვიღაც პოლიტიკოსის ნაჩალიჩარია, ვინმე აუმღვრევდა ტვინს! ან სულაც, იქნებ მოისყიდა კიდეც ეგ საცოდავი ხალხი... იქნებ მეც ფული შემეთავაზებინა? დახარბდებოდნენ და...

უცებ, ხმა ჩაუწყდა. ოთახში აიშა დაინახა.

- ბოზანდარა, - გამოსცრა კბილებში.

ლოგინზე წამომჯდარიყო, ფეხმორთხმით, მიშალა და დედამისი კი იატაკზე ჩაცუცქულიყვნენ და იმ ცოტაოდენს არჩევდნენ, რაც მომლოცველობის გზად უცილობლად დასჭირდებოდათ.

- ფეხსაც არსად არ გადადგამ! - ბობოქრობდა მირზა საიდი. - ეშმაკმა უწყის, რითი აუმღვრია ტვინი ამ გათახსირებულმა საბრალო გლეხებს, ოღონდ შენ კი ჩემი კანონიერი ცოლი ხარ და ნებას არ მოგცემ ამ სისულელეში გაყო თავი!

- მაგარი ხარ! - მწარედ გაეცინა მიშალას. - მშვენიერი სიტყვა გამოგივიდა. ცხოვრება ჩემი დასასრულს უახლოვდება, შენ კი რაღაცეებს მიკრძალავ... საიდ, აქ ისეთი რამ მოხდა, შენ შენი ნასესხები ევროპული ათეიზმით აზრზე ვერ მოდიხარ, ან იქნებ ეგ ინგლისში შეკერილი პიჯაკი გადაიღეღო და საკუთარ გულს მაინც დაეკითხო, საიდ?

- მართლა შენ მეუბნები მაგას, მიშუ?! თვითონ იქეცი ამ უბედური, ღვთისმოშიში, საცოდავი არსების მიმდევრად?

ამაზე ქ-ნმა კურეიშისამ აღიმაღლა ხმა:

- წადი, შვილო - აქ ურწმუნოთა ადგილი არაა. ანგელოზმა დაუბარა აიშას - როგორც კი მიშალა მექაში მომლოცველობას მოათავებს, სიმსივნეც გაუქრებაო... ყოველი განიკითხება და ყველას მიეზღვება თავისი.

მირზა საიდ აჰტარმა ხელისგულები კედელს მიაბჯინა და შუბლი შპალერს მიაკრა. კარგა ხანი იდგა ასე, მერე კი აღმოთქვა, მძიმე-მძიმედ:

- თუ ეს მხოლოდ უმრას აღსრულებას ეხება, წავედით ქალაქში, თვითმფრინავში ჩავსხდეთ და ხვალ საღამოს უკვე მექაში ვიქნებით.

- ფეხით ჩასვლა გვაქვს ნაბრძანები... - თქვა მიშალამ.

აი, აქ კი მთლად დაკარგა საიდმა თავგზა:

- მიშალა! - აყვირდა, - ვინ გიბრძანა, მითხარი ერთი? მთავარანგელოზმა, მიშუ? იმ ჯაბრაილმა? თუ თავად იმ წვერგაფანჩულმა ღმერთმა? ზესკნელ-ქვესკნელის ამბავია, მიშუ? წაწვეტებულკუდიანი ეშმა, ის ჩლიქოსანი ჯეელი? და სადამდე მიხვალ? საერთოდ, აქვთ კია ქალებს სული? ან - რა სქესის? წყალნი რომ განიხვნებიან, ნარჩენი სად წავა? კედლებივით აღიმართება აქეთ-იქიდან? სამოთხის გწამს? და მე თუ მომეტევება ცოდვები, მიშალა? - მუხლებზე წამოიჩოქა, აქვითინდა, შუბლი ჯერაც კედელზე ქონდა მიბჯენილი. სასიკვდილოდ გადადებული მისი ცოლი მიუახლოვდა და ზურგიდან მოხვია ხელი.

- თუ ასეა, გზაც იქით გქონია. - ჩაიბურტყუნა. - ოღონდ ჩვენი მერსედესით მაინც წადი. კონდიციონერიც აქვს და საყინულეც...

- არა, - უთხრა მტკიცედ. - როგორც ყველა, ისე ჩვენ. მომლოცველები ვართ საიდ, და არა ტურისტები. საპიკნიკოდ კი არ მივდივართ.

- აღარც კი ვიცი რა ვქნა... - ქვითინებდა მირზა საიდ აჰტარი. - მარტო ხო არ დავრჩები აქ?!

- ჩვენთან ერთად წამოდით, მირზა-საჰიბ. - გაისმა აიშას წკრიალა ხმა. - წამოდით და სულიც გადაირჩინეთ.

საიდი წამოდგა, თვალები ჩასწითლებოდა.

- რა ხეტიალი აგიტყდათ? - ბოღმიანად დაეკითხა ქ-ნ კურეიშისას. - ეს წიწილაც კარგ დროს დაგვადგა თავზე, ღმერთმანი... ჩვენი მოდგმის მეშვიდე თაობის ამბავიც ამით დამთავრდება, ერთი გასროლით.

მიშალამ ლოყა ჩამოადო მხარზე.

- წამოდი, საიდ. უბრალოდ, ერთად ვიაროთ.

მოტრიალდა და აიშას შეეჩეხა.

- ღმერთი არაა, - თქვა მძიმედ.

- არა არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა და მუჰამედი წინასწარმეტყველია მისი, - თავი დაუქნია იმანაც.

- მისტიური ცდა სუბიექტურია, და არა ობიექტური ჭეშმარიტება, - თავისას ერეკებოდა მირზა საიდი. - წყალნი არ განიხვნებიან.

- ანგელოზის ბრძანებით განიხვნებიან, - არ თმობდა აიშა.

- უბედურებას გადაჰყრი ამ ხალხს.

- არა, ღმერთთან მივიყვან.

- მისხალიც არა მჯერა შენი, - ამტკიცებდა მირზა საიდი. - მაგრამ წამოვალ, რათა ყოველი ხერხით ვცადო ბოლო დავუდო ამ სიგიჟეს.

- შეუცნობ არიან გზანი უფლისანი, - გამარჯვებულის ღიმილით გამოხედა აიშამ. - და კაცმა არ უწყის, რა გზით აზიარებს რწმენას ნებისმიერ ურწმუნოს!

- ეშმაკსაც წაუღია შენი თავი! - იყვირა საიდ აჰტარმა და ხელების ქნევით, თითქოს მართლა პეპლებს იცილებსო, გავარდა ოთახიდან.

* * *

- არა, მაინც ვინ უფრო გიჟია, - უჩურჩულებდა მასხარა ყურში თავის ხარს, თან ბალანს უვარცხნიდა სათუთად. - შეშლილი თუ ის ბრიყვი, ვისაც ეს შეშლილი უყვარს? - ნაბუღარა არ გამოპასუხებია. - იქნებ ჯობდა, მიუკარებლებად დავრჩენილიყავით? - განაგრძობდა ოსმანი. - ნაბრძანები ოკეანე აკრძალულ ჭაზე უარესია...

და ნაბუღარმაც ორჯერ დაუქნია ბოხორა თავი.

კარი V

ქალაქი ცხადი, თუმც უჩინარი

1

- „თუკი ჭოტი ვარ, რა შელოცვა ანთუ გამოლოცვაა საჭირო, რათა ბუმბულის ეს სამოსი მოვიცილო და კვლავაც საკუთარ თავს დავემსგავსო?“

ბ-ნმა მუჰამედ სუფიანმა, შაანდარ-კაფესა და მიმდებარე გასაქირავებელი ოთახების პატრონმა, ორივე ამ დაწესებულების სულ სხვადასხვა იერსახისა და არაერთგვაროვანი მდგრადობით გამორჩეულ მომხმარებელთა ჭკუის დამრიგებელმა, ყოვლისმნახველმა, ყველაზე მრწამსდაუდევარმა ჰაჯთა შორის და ვიდეოთამაშთა ყოვლად უსირცხვილო მადევარმა, სკოლის ყოფილმა მასწავლებელმა, კლასიკურ ტექსტთა და მრავალ კულტურათა თვითნასწავლმა მკვლევარმა, საკუთარი შეხედულებების გამო ბანგლადეშის თავ-ქალაქ დაკადან გამოგდებულმა ჯერ

კიდევ იმ დროს, როცა ეს ქვეყანა პაკისტანის შემადგენლობაში შედიოდა და ამიტომაც, საკუთარ თავს უფრო იმი- და არა ემი-გრანტს უწოდებდა, კაცმა ხორცსავსემ, ოღონდაც ფრიად ტანმორჩილმა - როცა სრულიად მოულოდნელად, ზედ შუაღამეს, ჯამშიდ ჯოში დაადგა თავს, ჯერ ნამძინარევი თვალები ააფახულა, მერე თავისი ბენგალური კურტას სახელოთი გაიწმინდა ყელზე, წვრილი თასმით ელეგანტურად ჩამოკონწიალებული პენსნე, დაჭყეტილ-მოწკურულ-ისევ-ფართოდ-გახელილ თვალებთან ახლოს, ცხვირზე დაიკოსა, ხნით შეღებილ წვერზე ჩამოისვა ხელი და ბოლოსდაბოლოს, მანაც მიაქცია ჯეროვანი ყურადღება იმავე ჯოშის მიერ წარდგენილ, თავით-ფეხებამდე მოკანკალე ახალგაზრდა კაცის შუბლზე წამოზრდილ რქებს და ზემოთ უკვე ხსენებული კბილგასაკრავი ექსპრომტით მიეგება (რომელიც, ცოდვა გამხელილი ჯობია და, ერთ მაროკოელ მწიგნობარს, ვინმე ლუციუს აპულეუსს - დაახ. 120-180 წწ. - აწაპნა, ის კიდე თავის მხრივ აკი გაიძახოდა: არავითარი მდიდარი ქვრივი მე არ მომიჯადოებია, რაღაცა მჩხიბაობით, აქეთ მაქციეს - არა, ჭოტად არა - ვირადო...).

- მაშ ასე, - დააბოლოვა სუფიანმა, როცა დერეფანში შეუძღვა დაუპატიჟებელ სტუმრებს და ცხვირზე მიდებული ხელისგულებით, თან ზამთრის სუსხი შემოიტანა სახლში. - ბედუკუღმართო შენა... ახლა რაღა აზრი აქ ძილის შებრუნებას, ისევ ცოლი გავაღვიძო, ისა სჯობია. მოკლედ, კონსტრუქციულად უნდა მივუდგეთ საკითხს.

ჩამჩა ერთიანად ტალახსა და ბუმბულში გახლდათ ამოგანგლული. საბანი ტოგასავით შემოეხვია ტანზე, ქვემოთ კი სასაცილომდე მახინჯი თხის ჩლიქები მოუჩანდა. საბნის ზემოდან, მთლად კომიკურად მოეცვა ჯამშიდისაგან ნასესხები ცხვრის ტყაპუჭი, რომლის აწეული საყელოები სწორედ რომ რქებამდე უწევდა. ენას ვერ ატრიალებდა პირში, ტანში მოთენთილიყო და მზერაც ჩაქრობოდა; ჯამშიდი კი ცდილობდა მის ხასიათზე მოყვანას („ნახავ, აქ წამში გაარკვევენ, რა ხდება შენს თავს“), სალადინი მაინც ყველაზე უნიათო

და უნებისყოფო რჩებოდა - ე-ე, ვთქვათ... - სწორია, სატირებს შორის!

ამასობაში, სუფიანი აპულეუსის თემას ვერ ეშვებოდა:

- ვირთან დაკავშირებით, უკუგარდასახვას ხომ პირადად ღმერთქალ იზიდას ჩარევა დასჭირდა... - აქ, შეიძლება ითქვას, სახე მოექუფრა. - ოღონდ სადღაა თოვლი შარშანწინდელი! მოცემულ შემთხვევაში, ბატონი ჩემო, ჯერ ერთი მათლაფა ცხელი ბულიონით უნდა შემოვიფარგლოთ.

მოულოდნელად, მისი ამაღლებული მეტყველება მკვეთრად გადაფარა მეორე, ყოვლად დრამატულმა სოპრანომ და წამში, ეს ტანმორჩილი სხეულიც ვიღაც მთასავით ქალის თონთლო მკლავებში აღმოჩნდა, რომელსაც თითქოს ჯერაც ვერ გადაეწყვიტა - გვერდზე მოესროლა ნადავლი თუ ფარივით ეფარა წინ. მერე კი წითელლაქწასმული კოტიტა თითი გამოიშვირა და კივილს უმატა:

- ე-ეს რაღაა?! საიდან გაჩნდა?!

- ჩვენი ჯამშიდის მეგობარია, - მშვიდად გაეპასუხა სუფიანი და ჩამჩას მიუბრუნდა: დიდ ბოდიშობანას კი მოგიხდით, მაგრამ ხომ გესმით - სრული მოულოდნელობა, ასე ვთქვათ, et cetera... ასეა თუ ისე, ნება მომეცით წარმოგიდგინოთ: ჩემი ბიგუმ საჰიბა, ჰინდი ჰქვია.

- რის მეგობარი... რაის მეგობარი?! - კივილს არ უკლებდა ქალი. - ია ალაჰ! თვალებში ვეღარ იხედები თუ რა გჭირს?!

ფიცრისიატაკიანი და ფერადქაღალდგაკრულკედლებიანი დერეფანი მდგმურებით გამოივსო. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნი გახლდათ ორი მოზარდი გოგონა: ერთს ომის ბილიკზე შემდგარ იროკეზთა ტომის ბელადის საბრძოლო ვარცხნილობის მსგავსად დაეყენებინა თმა, მეორეს - პონი-ცხენივით ჩამოეშვა თვალებზე და ორივეს ერთი სული ჰქონდა, ვინ-ჩუნისა თუ კარატეს ჯამშიდზე ნავარჯიშევი ილეთები ეჩვენებინათ სახალ-

ხოდ; ეს სუფიანის ქალიშვილები - 17 წლის მიშალა და 15 წლის ანა-ჰიტა - ბრიუს ლის პიჟამებსა და თანამედროვე მადონას გამოსახულებიან მაისურებში გამოწყობილნი, საჩხუბრად მომართულები გამოვარდნილიყვნენ საწოლი ოთახიდან, ოღონდ საბრალო სალადინის დანახვაზე, ადგილზევე გაქვავდნენ და დაუფარავი აღტაცებით მიაჩერდნენ ამ უცხო რამ სანახავს.

- მაგარია! - თავი დააქნია მიშალამ.

- ნაღდია! - კვერი დაუკრა დაიკომ.

დედამათი კიდე, კივილს განაგრძობდა, შეუვალად:

- ერთი ამ ჩემს ქმარს დამიხედეთ! ამისთანა ჰაჯი გაგიგიათ?! აგე - თავად შაითანი გვეწვია, მე კიდე ვახშამი უნდა რო გავუმზადო!

სულ ტყუილად ცდილობდა ჯამშიდ ჯოში ვითარების ახსნასა და მის დაწყნარებას, სულ ტყუილად სთხოვდა გაგებასა და შემწყნარებლობის გამოჩენას...

- ეგ თუ ეშმასთან არაა წილნაყარი, ამისთანა მყრალი სუნი საიდან? - გამარჯვებულის სახით დაეკითხა დიასახლისი. - არ მითხრათ ახლა, ყვავილთა ბაღიდანო!

- გულისტანიდან კი არა, ბოსტანიდან! - მოულოდნელად გაიღო ხმა ჩამჩამ. - რეისი 420.

ამ ხმის გაგონებაზე კი ქ-ნმა ჰინდმა ერთი კიდევ წამოიკივლა და ამჯობინა, ისევ სამზარეულოსთვის შეეფარებინა თავი.

- ბატონო ჩემო, - ზრდილად მიმართა მიშალამ სალადინს. - ვინც კი მოახერხებს და ასე დააფეთებს დედაჩემს, მართლა ძაან-ძაან ბოროტი ვინმე უნდა იყოს...

- ანდა მთლად ღვთისპირიდან გადავარდნილი, - დასტურჰყო ანაჰიტამ. - კეთილი იყოს თქვენი მობრძანება და თავიც ისე იგრძენით, როგორც საკუთარ სახლში!

* * *

არადა, ისიც ითქვას - სწორედ ეს ქალბატონი ჰინდი, ახლა რომ ფარშავანგივით გაჰკიოდა, ერთ დროს - გეთანხმებით, დაუჯერებელი ამბავია! - ცოლთა შორის უთავმდაბლესი, უნაზესი, დათმენის ხატება და კეთილგანწყობის განსახიერება გახლდათ! უგანათლებულეს მასწავლებლის მეუღლე, საკუთარ მოვალეობებსაც მთელის ხალისით ასრულებდა: არასდროს ავიწყდებოდა ილის სურნელოვანი ჩაის მირთმევა, როცა კი მისი მეორე ნახევარი გვიანობამდე უჯდა ხოლმე საგამოცდო თემებს; სკოლის ხელმძღვანელობის კეთილგანწყობას ინარჩუნებდა პედაგოგ-მასწავლებელთა ყოველწლიურ ოჯახურ პიკნიკებში მუდმივი და აქტიური მონაწილეობით; ბიბჰუტიბუშან ბანერჯის რომანებსა და თაგორის მეტაფიზიკაში ჰქონდა ცხვირი ჩარგული - აქაოდა, ჩემის უვიცობით ქმარს თავი არ მოვჭრაო, რაკიღა იგი ისევე მეხსიერებადაუტანლად იმოწმებდა ხოლმე რიგვედასა და ყურანშარიფს, როგორაც იულიუს კეისრის ჩანაწერებსა თუ წმ. იოანეს გამოცხადების ტექსტს. იმ კეთილსახსენებელ დროს ქალი აღტაცებული რჩებოდა ქმრის პლურალისტული გონებაგახსნილობით, და საკუთარ სამზარეულოშიც ეგეთსავე ეკლექტიზმს ნერგავდა - ერთნაირად ოსტატურად კმაზავდა სამხრეთ ინდოეთში გავრცელებულ დოსას კერძსა თუ ენაზე დამდნობ ქაშმირულ გუფთას... თანდათანობით, ესეგვარი თანადგომა ნამდვილ ვნებად გადაექცა, და ვიდრე სეკულარისტი სუფიანი მშვიდად მიირთმევდა სუბკონტინენტის მრავალფეროვანი კულტურის გასტრონომიულ ფასეულობებს (არ მითხრათ ახლა, ჩვენში დასავლური კულტურა არ არსებობსო - მთელი ამ ასწლეულების განმავლობაში, როგორ შეიძლებოდა ისიც ჩვენივე მემკვიდრეობის ნაწილად არ ქცეულიყო?!) მისი მეუღლე ამზადებდა და ასევე გულდინჯად ნთქავდა - სულ უფრო მზარდი რაოდენობით - საკუ-

თარ ნახელავს. შედეგად, რაც უფრო მეტად კალორიულ შეჭამანდს გეახლებოდათ ჰაიდარაბადის მხარის წესითა და რიგით მოქაფულს, რაც მეტ ცხიმგაუცლელ, ლაქჰნაური იოგურტის საკმაზებს მოიხმარდა, მისი სხეულიც ნელი-ნელ იცვლებოდა, პირველად ფორმას კარგავდა და ახალს იძენდა - ბოლოს კი მთლად დედამიწის ბურთს დაემსგავსა მრგვლოვანებით - ანთუ ერთგვარ უსაზღვრო სუბკონტინენტს, რაკიღა საკვები, მოგეხსენებათ, არცა პოლიტიკურ და არცა ფიზიკურ საზღვრებს არა სცნობს.

ოღონდ მუჰამედ სუფიანი კი მისხალ წონას არ იმატებდა: არცა გრამს, არცა უნციას.

სწორედ მისი ეს წონამოუმატებლობა ექცათ უსიამოვნებათა საწყისად: „მაშ, ჩემი სალაფავი არ გეპიტნავება? ვისი ან რისი გულისთვისღა ვიხვითქები სამზარეულოში ოფლად? საკუთარი თავის ჩასასუქებლად?!“ - საყვედურობდა მეუღლეს, ოღონდ მისი სათვალის ზემოდან პასუხად ისეთს იღებდა, წამსვე რომ უქრობდა დავა-კამათის ხალისს: „ნაყროვანებაზე უარის თქმაც ერთი ჩვენს წესთაგანია, ბიგუმ... მუცლის ბოლომდე ამოყორვა სიყმილზე უარესია - ესაა სწორედ სასურველის უარყოფა, ასკეტიზმის ჭეშმარიტი გზა!“ მოდი და ელაპარაკე ახლა ამისთანას, ყველაფერზე მზადა აქვს პასუხი.

არადა, თავშეკავება ჰინდის ხასიათში ვერა ჯდებოდა: სუფიანს რომ ეთქვა, თუნდაც დაეჩივლა - მეგონა, ერთი ქალი მოვიყვანე ცოლად, შენ კი ახლა ორზე მეტი ხარ! - იქნებადა ამის გამოისობით მაინც შეეწყვიტა მუცელღმერთობა; არა, ნამდვილად რომ ასე იზამდა, მაგრამ მეუღლე მისი სრულიად დაცლილი გახლდათ ნებისმიერი სახის აგრესიისაგან, და რა კაცია იგი, ვინც საკუთარ გაქსუებულ ქალბატონსაც კი ვერ მოსვამს თავის ალაგას?!

ცოდვა გამხელილი სჯობია და იქნებ ქ-ნ ჰინდს ვერც ვერაფრით აელაგმა საკუთარი გასტრონომიული გაქანება, თუნდაც სუფიანს ათასერთი აკრძალვა და მოთხოვნა დაედო მისთვის, ოღონდ არა-

ფერი მსგავსი თავშიც არ მოსდიოდა და დედაკაციც თავისას განაგრძობდა, ბრალს კი ისევ მეუღლეს სდებდა.

ისიც ითქვას, როგორც კი ამ თავისებურ ხერხს მიმართა, მალევე სხვა საბრალმდებლო საკითხებსაც მიაკვლია, რომ აღარაფერი ვთქვათ საკუთარი ხმის სიმძლავრესა და ენის სიმწარეზე - ჯერ ეს ერთი, მისსა პრინციპთა სიმაღლეებს ვერა ჰგუობდა, რომელთა გამოისობით, როგორც თავად ამტკიცებდა - მდიდარი კაცის ცოლობას ვერასოდეს ეღირსებოდა: განა რა მოეთხოვება იმას, ვინც აღმოაჩენს რომ ბანკმა მის სახელზე შეცდომით ორჯერ გასცა ხელფასი, ამიტომაც ალაგობრივ დაჯდება და ინსტიტუციურ შენიშვნას გააშანშალებს დირექტორის სახელზე, ფულს კი მეყვსეულად აბრუნებს სადაც ჯერ არს? რა იმედი უნდა ჰქონოდა იმ მასწავლებლის, რომელმაც თავის მოსწავლეთაგან უმდიდრესის მშობლებს ჯიქურ უარი სტკიცა მათი ერთადერთი ნაშიერისათვის საგამოცდო ბილეთების მონიშვნაზე? „ყველაფერ ამას კიდევ ავიტანდი...“ - მრუმე ხმით უმეორებდა ხოლმე ხშირ-ხშირად დადაუმთავრებელს სტოვებდა წინადადებას, რომელიც გულისხმობდა: რომ არა ორი-სამი უფრო მძიმე დანაშაული, რაიც შენს სექსუალურ თუ პოლიტიკური ხასიათის გადაცდომებს შეეხებაო.

პირველის თაობაზე საქმე მარტივად გახლდათ: მათი ცოლქმრული ურთიერთობები იშვიათი რამ ხილი იყო, მუდამ სრულ უკუნში მოსაწყვეტი ტოტიდან, და თან ისე, ეს ზემოხსენებული ტოტი არც კი უნდა შერხეულიყო: ქ-ნ ჰინდს ტანის მცირედი შერხევაც კი ეზარებოდა, და რაკი სუფიანი მიზანს თავადაც უმცირესი ძალისხმევით აღწევდა, მეუღლე მისი დარწმუნებული ბრძანდებოდა - სწორედ ასეა საჭირო და არა სხვაგვარადო; მოკლედ, მუშაკობა ესე მდაბალ, უკადრის საქმიანობად მიაჩნდა, რომელსაც არც მანამდე, არცა მერე და მით უმეტეს, არც ქმედების დროს ზედმეტი ყურადღება არამც და არამც არ უნდა დაეთმოს; ხოლო

იმ ამბავს, რომ ბავშვი არ უჩნდებოდათ, მარტოოდენ ღვთის რისხვის გამოვლენად აღიქვამდა, რაკიღა მხოლოდ მან თუ უწყოდა წინა ცხოვრების ცოდვანი მისნი, ხოლო მერე, როცა მიყოლებით გაუჩნდა ორი ქალიშვილი, ამაში უკვე ალაჰს კი არა, ქმრის სუსტ, უილაჯო თესლს სდებდა ბრალს და ამ მხრივ ნამდვილად არ ზოგავდა მეუღლეს - ბებიაქალის გასაკვირად, პაწია ანაჰიტას მშობიარობის დროსაც კი არ გაუჩერებია ენა: „ისევ გოგო! ახლა, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, ვისგან ჩამესახა, აქეთ მადლობა მითქვამს რომ არც თაგვია, არც ბაყაყი და ან სხვა რამ მომცრო არსება!“

ამ, რიგით მეორე მშობიარობის შემდეგ უთხრა კიდეც სუფიანს - სავსებით საკმარისიაო და იმ დღეიდან მოყოლებული, ლოგინს სასტუმრო ოთახში უშლიდა ხოლმე. მეუღლემ უსიტყვოდ მიიღო მისი უარი ბავშვების კიდევ გაჩენაზე; ოღონდაც, ისიც ცხადი გახდა, რომ ეს გარყვნილის ერთი სულაც არ აპირებდა ამ უცნაურ ურთიერთობაზე საბოლოოდ აეღო ხელი - შიგადაშიგ მაინც ეპირებოდა თურმე იგივე სიბნელესა და ნაკლებძრაობაში ჩაეტარებინა ის მოქმედება, რასაც ქალი ადრე მხოლოდ ჩასახვის მიზნით თანხმდებოდა. „შენა რა გგონია,“ - აუყვირდა პირველივე ამგვარი მცდელობისას. - „მე ამას გასართობად ვჩადიოდი?!“

როგორც კი კაცის ტვინში შევიდა, რომ ქალისათვის ეს საქმე არც საწადელი ყოფილა და არც თამაში, გარყვნილებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მანაც სახლში გვიან-გვიანობით მოსვლას მოუხშირა. სწორედ იმხანად ჩაითრია იგი პოლიტიკამ (არადა, ცოლი მისი ეჭვობდა - სრულიად უსაფუძვლოდ - მეძავებში დასუნსულებსო) და არც მეტი, არც ნაკლები, ეს ჩვენი უგანათლებულესი ტვინიკოსი პირდაპირ კომუნისტურ პარტიას არ მიადგა?! ესეც შენი პრინციპები... ღმერთმანი, ამას არა სჯობდა, ბოზებში ევლო? სწორედ ამ იდეოლოგიური მჩხიბაობა-შელოცვების წყალობით მოხვდა დევნილობაში, ორი ბავშვით ხელში; ამის გამო იყო, რომ აღარც ეღირსებოდა საკუთარი სოფლის ხილვა... „ინგლისი“, - უთხრა ერთხელ

ქმარს. - „შენი შურისგებაა ჩემზე იმისთვის, საკუთარი სხეულის ჯიჯგნის უფლებას რომ აღარ გაძლევდი!“ პასუხად არაფერი გაუგია - სიჩუმე კი, მოგეხსენებათ, თანხმობის ნიშანია მხოლოდ.

და რამ უშველათ, რითი გაიტანეს თავი დევნილობის ამ ვილაიეთში? მისი სექსუალურად შეჭირვებული, შურისმგებელი ქმრის ამ გაერთიანებულ ბილწებისა შესაკრებელთაში? რაო - მწიგნობრობამო? არ დაიჯეროთ! მაგასაც გიტანჯალი არ დაეწერა ან ოტელო არ გადაემღერებინა ინგლისურათ!

არა, ბატონებო: ეს მისი უბადლო მზარეულობა გახლდათ.

„შაანდაარ!“ - ხელს უქებდნენ. - „საოცრებაა ნამდვილი! თითებს ჩაიკვნეტ!“ მთელი ლონდონის ჯამაათი იკრიბებოდა მასთან, მისი ნახელავი სამოსას, ბომბეური ჩაატისა თუ გულაბ-ჯამანის დასაგემოვნებლად; და რაღა დარჩენოდა სუფიანს? ფული მიითვალე, ხურდა დაუბრუნე, ჩაი დაუსხი, გაიქეც-გამოიქეცი, მიიტან-მოიტანე - მსახური ხარ, მთელი შენი სწავლა-განათლების მიუხედავად! თქმა არ უნდა, მომსვლელებს მისი ხასიათიც მოსწონდათ და მოსწრებული სიტყვა-პასუხიც, ოღონდ ფულს ლაქლაქში არავინ იხდიდა - ჯალები, ბარფი - ეგ იყო საქმის თავი და თავი! ახლა ქალი ბრძანდებოდა ოჯახის ბატონ-პატრონიცა და გამძღოლიც.

გამარჯვებაც ამასა ჰქვია, ღმერთმანი!

და მაინც, ამ ამბავს ვერსად წაუხვიდოდი: მის გარშემო - შანდაარ-კაფეს წარმატების ფუძისა და მთავარი საყრდენის, ვინაც საქმე იქამდე მიიყვანა, რომ ახლა უკვე სამსართულიანი სახლიც კი შეიძინეს ბინების გასაქირავებლად - ახლა მარცხის სუნი ტრიალებდა... როცა სუფიანი ზეობდა, ქალი მიმქრალი ვარსკვლავივით იყო, გადამწვარი ნათურასავით, მინავლებული ცეცხლივით: რატომ? რატომ და იმიტომ, რომ როცა სუფიანს ყველაფერი წაერთვა, წონაში მატებაც იწყო და ამ უდღეურ ლონდონში ხელ-

ფეხიც სააღდგომო ბატკანივით ჰქონდა შეკრული, ახლა თავად ქალს დაატყდა ცვლილებათა მსახვრალი ხელი.

მისი ენა: ახლა იმისთანა უცხო ბგერების გამოცემა უწევდა, მუდმივად ყელი ჰქონდა ჩახეული; მისი მშობლიური ადგილები ახლა ამ წამოყუდულმა ნაგებობამ შეუცვალა; სადღა იყო ის ქალაქი, ის სოფელი, ის მდელოები და ნაკადული, რომლის გარშემოც ეწყობოდა მისი ცხოვრება? მთელს ამ ვილაიეთში კაცს არა ჰქონდა დრო, სულმცირედი რამ ყურადღება მაინც გამოეჩინა მეზობლის მიმართ, ანთუ რწმენის მორევში გადაშვებულიყო! ადრე ქმრის ჩრდილში ნებივრობდა, ახლა კი თავად უწევდა საქმის გაძღოლა. პატივცემული ახლა პატივსმოკლებულადღა იქცა...

ახლა იმასაც ამჩნევდა - ანკი როგორ დაურჩებოდა შეუმჩნეველი? - რაგვარი სევდა მალავდა თავს მის მიმართ ქმრის კეთილ დამოკიდებულებაში, და ესეც ერთგვარი მარცხი გახლდათ; არასოდეს უგრძვნია თავი ეგზომ დაშორებულად მეუღლის უფლება-მოვალეობებისაგან - ან როგორი ქალბატონი ეთქმოდა, თუკი მხარში ვეღარ დაუდგებოდა მას და ამის მაგივრად, ისეთ სახეს იღებდა, თითქოსდა სწორედ ამგვარი ცხოვრება იყო მისთვის ნაღდი მაკ-კოი!

და კიდევ: ახლა ისინი ეშმაკეულ ქალაქში სახლობდნენ, სადაც ნებისმიერ დროს ნებისმიერი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო - სრულიად უმიზეზოდ, ან ფანჯრის შუშა ჩაემსხვრიათ თქვენთვის, ან ღამით, ქუჩაში, გვარიანი მუშტი ეთავაზებინა ვინმეს; მაღაზიაში შეიძლებოდა ისეთი ლანძღვა-გინება მოგესმინათ, ყურზე ალმური მოგედებოდა ქალსა თუ კაცს; ყოველდღიურად გაიგებდით ხოლმე ვიღაც უხილავის მიერ ნაცემი გოგო-ბიჭების ამბავს...

თავად მარცხის მიზეზებს იკითხავთ? ბაბა, ჯერ ეს ერთი რომ დახლიდარის ცოლად იქცა და თავად კიდე - მზარეულად, ახლა უახლოეს ადამიანებსაც კი ვერ ენდობოდი ბოლომდე - კაცი წესიერი გეგონა, შარიფი და უცებ რა გესმის - ოჯახი მიატოვა და ვიღაც ჰარამზადისთან ერთად აორთქლდაო; ის კი არა, ხმა დადიოდა, გოგონებს

ხოცავდნენ თურმე უმზითვობის გამო! სხვას რას დაეძებდა და საკუთარი ქალიშვილებიც კი მოუწამლა ამ ეშმასეული კუნძულის სამსალამ - მშობლებს მშობლიურ ენაზე აღარც ელაპარაკებოდნენ, მიშალამ კიდე თმებიც შეიჭრა და ნარჩენი ცისარტყელას ფერებად შეიღება; დღეყოველ ერთი ჩხუბი და აყალმაყალი ჰქონდათ და ეს ყველაფერი სრულიადაც არ იყო უჩვეულო რამ - პირიქით, მისი ჩივილი ახლა იმნაირადვე ჟღერდა, როგორც ნებისმიერი სხვა დიასახლისისა - ის ახლა ძველი ჰინდი აღარ იყო, ერთადერთი და განუმეორებელი - მასწავლებელ სუფიანის მეუღლე! რას იზამ, ასეთი ყოფილა მისნაირების ბედი: მათ არაფერი რჩებათ წვალების, ხსოვნისა და სიკვდილის მეტი.

ის კი რას შვებოდა: საკუთარი ქმრის სისუსტეების მისავიწყებლად, მეფესავით ეპყრობოდა; მათი კაფეს იქით არსებული აჩრდილ-მოჩვენებებისაგან თავის დასაფარად, საყიდლებზე სხვებს აგზავნიდა ხოლმე; ხოლო „ნამდვილ სამყაროსთან“ საურთიერთობოდ, ბენგალური თუ ინდური ფილმების ვიდეოკასეტები დაეხვავებინა, ინდურ კინოჟურნალებზე რომ აღარაფერი ვთქვათ და ასე იგებდა უბადლო ჯაბრაილ ფარიშტას საკვირველი გაუჩინარებისა თუ მერე ავიაკატასტროფაში მისსავე ტრაგიკულად დაღუპვის ამბებს; შვებას კი იმაში პოულობდა, საკუთარ ქალიშვილებს რომ უყვიროდა ხშირ-ხშირად, ისინი კიდე, საპასუხოდ, თმებს იკრეჭდნენ და ახალაკოკრებულ ძუძუსთავებს შემოტმასნილ პერანგებში აჩენდნენ მაცდურად.

ასე რომ, სრულად მოსილი ეშმას - რქიანი ვაცკაცას გამოჩენა ის ბოლო თუ არა, ბოლოსწინა წვეთი მაინც აღმოჩნდა, მოთმინების ფიალა რომ გადაუვსო.

* * *

მოკლედ, საღამოხანს, შანდაარის მთელი ჯალაბობა სამზარეულოს მიმდებარე პატარა ოთახში შეიკრიბა, შექმნილი კრიზისული ვითარების თაობაზე სამსჯელოდ. ვიდრე ჰინდი ქათმის ბულიონში ყრიდა და ყრიდა ქოქოლას, სუფიანმა ჩამჩა მაგიდასთან დასვა, მერე კი სხდომის სეფე-გამოსვლის გაცხადებას შეუდგა და უნდა ითქვას, სკოლის დევნილი მასწავლებლის კვალობაზე, ფრიად დაყენებული ხმით, სავსებით გასაგებად მოიხილავდა ლამარკის თეორიას; ხოლო როცა მის მერე, ჯამშიდმა ჩამჩას ზეცით გარდამოსვლის საეჭვო ვერსია გადმოსცა (თავად ამ ამბის მთავარი მონაწილე უკვე ისე იყო ჩართული საკუთარ ვაებასა და ქათმის ბულიონის თქვლეფაში, ხმის ამომღები არ გახლდათ), სუფიანი „სახეობათა წარმოშობის“ საკითხსაც მიადგა:

- დიადი ჩარლზ დარვინიც კი აღიარებდა მუტაციის შესაძლებლობას განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა ეს ამა თუ იმ სახეობის გადარჩენას ემსახურებოდა; რას იზამ, მისსსავე მიმდევრებმა - როგორც ეს ხდება ხოლმე, დარვინზე უფრო მეტად დარვინისტებმა - ლამარკი სრულიად უარჰყვეს და მხოლოდღა ბუნებრივი გადარჩევის პრინციპი აღიარეს... თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ საქმე არ ეხება ერთეულის გადარჩენას, არამედ - მთელი სახეობისას; და ასევე, ანგარიშგასაწევია ესეგვარი მუტაციის ხასიათიც - ანუ, ცვლილების ფიზიკური მახასიათებლები მისი სარგებლიანობის თვალსაზრისით...

- მა-მაა! - ანაჰიტა სუფიანმა თვალები ჭერად აღაპყრო. - გეყო, რა! მოკლედ, როგორ იქცა ეგ ჩემისა ეგეთ... - აქ ლამის იყო, მზერა გაუბრწყინდა, - ეგეთ მახინჯად?

აი, ამაზე კი თავად ეშმაკეულმაც ვეღარ მოითმინა, რქიანი თავი ანება ბულიონის ხვრეპას და რაც შეეძლო, ომახიანი ხმით დასძახა:

- არავითარი მახინჯი მე არა ვარ! უბრალოდ, ეგრე მოხდა და...

ხმაი მისი, თითქოსდა თავად მისივე ურვა-ვაების უძირობი-დან აღმოსული, ისე მოქმედებდა დამსწრეებზე, როგორც რომ უბიწო ქალიშვილის ხილვა - რქაცხენაზე; ახლა მიშალა ეცა, მხარზე ხელი მოუთათუნა, დაუყვავა:

- არა, რაღა თქმა უნდა! ამ ჩემს პატარა დაიკოს მხოლოდ ის უნდოდა ეთქვა, მართლა მახინჯი კი არაა, უბრალოდ, ძალიან გავსო!

სალადინ ჩამჩამ სახე ხელებში ჩარგო და ცრემლები წასკდა.

ოღონდ ახლა ქ-ნი სუფიანისა, რაკიღა იხილა თუ როგორ ეფერებოდა მისი ქალიშვილი უწმინდურ არსებას, მოთქვამდა და დამსწრეთ ევედრებოდა, ხელი გამოეღოთ:

- არა, გაგიგიათ?! ჩემს საკუთარ სახლში! ამ პაწიებს რაღას ერჩით - არც მათი ბედი გადარდებთ?!

მიშალა სუფიანს მოთმინების ძაფი გაუწყდა:

- იესო მაცხოვარო! რა გჭირს, დედა?!

- იესო... მაცხოვარიო?!

- ფიქრობთ, ეს მაინც დროებითია? - მიშალამ ზურგი აქცია დედამისს და ახლა მამამისსა და ჯამშიდს მიმართავდა. - იქნება-და შეპყრობილია? ეშმაკის განდევნა რომ გვეცადა?

მხეცის ნიშანი, გობლინები, ეგზორცისტი, საშინელება თე-ლების ქუჩაზე... მამამისმა, როგორც ამგვარი ვიდეონაწარმის მასზე არანაკლებ თავგადადებულმა მომხმარებელმა, საკითხი გაისიგრძეგანა:

- რომანში Der Steppenwolf...

მაგრამ აქ უკვე ჯამშიდმა აღარ დააცალა:

- მთავარ მოთხოვნად, - განაცხადა შეუვალი ხმით, - ვითარე-ბის იდეოლოგიური მხარის განხილვა უნდა მივიჩნიოთ.

ამის გაგონებაზე, ყველას ენა ჩაუვარდა.

- ობიექტურად თუ შევხედავთ საკითხს, - თქვა, მცირეოდნავ დარცხვენილი სახით, - რა მოხდა სინამდვილეში? ა: ადამიანის

უფლებათა დარღვევა, მოსახლეობის დაშინება, ძალაუფლების გადამეტება... ბ: პიროვნების უკანონო დაკავება, გაუგებარი სამედიცინო ცდების ჩატარება საავადმყოფოში... - აქ კი ატყდა თავების კანტური: საშვილოსნოს ყელისშიდა შემოწმებები, მშობიარობისშემდგომი ნებადაურთველი სტერილიზაციის შემთხვევები, Depo-Provera-ს გამოყენებასთან დაკავშირებული სკანდალი, მთელს მესამე სამყაროს მოდებული ნარკოდემპინგი - ყველაფერი ეს მშვენივრად უმაგრებდა ზურგს მომხსენებლის ბრალდებებს (ბოლოსდაბოლოს, რითიმე ხომ უნდა აეხსნათ რქებისა და ჩლიქების ხილული არსებობა!) - და ბოლოს, - განაგრძობდა თავის ცხენჯოხაზე გადამჯდარი ჯოში, - ფსიქოტრავმა, თვითშეგნების აღუქმელობა, ურთიერთობის უნარის დაკარგვა... ყველაფერი ეს არახალია, ძველია.

კაციშვილი არ შეკამათებია, თავად ქ-ნი ჰინდიც კი: რაღაც-რაღაც შეუვალი ჭეშმარიტებებიც ხომ არსებობს ქვეყნად.

- იდეოლოგიურად, - ძაან-ძაან რიხით მირახრახებდა ჯამშიდი, - პირადად მე ვერაფრით გავიზიარებ დაზარალებულის პოზიციას: დაზარალდა, რაღა თქმა უნდა, მაგრამ მოგეხსენებათ, ხელისუფლებისაგან დევნა გარკვეულწილად, თავად დევნილის გამოწვეულია ხოლმე და სწორედაც რომ ჩვენივე პასიურობა იძლევა საშუალებას, ამგვარი დანაშაულებანი იქნას ჩადენილი!

ამის შემდეგ, რაკიღა სათანადოდ დაამუნათა ყველა ამ სამარცხვინო უნიათობისათვის, სუფიანს მოსთხოვა სხვენის პაწია ოთახი გამოეყო ჩამჩასთვის, და ისიც, მხარდაჭერის სურვილითა თუ ბრალეულობის იჭვით შეპყრობილი, მხოლოდ 1 სიმბოლურ პენის დასთანხმდა ქირის ამბავში. მართალია, ჰინდი კი გაიძახოდა - დანამდვილებით ვიცი რომ სამყარო მართლა შეიშალა, რაკი ეშმას საპატიო სტუმარივით ვხვდებით ოჯახშიო, - მაგრამ მიშალას გარდა, მისი ეს დაბალ ხმაზე მოთქმა არავის გაუგონია. სუფიანი კი მეორე ქალიშვილის თხოვნას დაყაბულდა და პირადად ავიდა სხვენზე, სადაც საბანშემოხვეული ჩამჩა უძირო მათლაფიდან თქვლეფდა ჰინდის

შეუდარებელ, ქათმის თეთრხორციან იაჰნის, გვერდით ჩამოუჯდა და ჯერაც კანკალატანილს, მხარზე მოხვია ხელი.

- აქ ახლა საუკეთესო თავშესაფარია შენთვის, - ისე ელაპარაკებოდა, თითქოს ჭკუასუსტი ან ვინმე უწლოვანი მჯდარიყო მის გვერდით. - სხვაგან აბა, სად მოახერხებ იარები მოირჩინო და სულიერი ჯანმრთელობა აღიდგინო? მხოლოდ აქ, შენს საკუთარ ხალხს შორის, შენივე მოდგმისა და ჯილაგის ხალხთან თუ მოახერხებ ამას!

მერეღა, მარტოდ რომ დარჩა, მოახერხა სალადინმა პასუხი აღმოეთქვა სუფიანის ამ, ჩვენში დარჩეს და, რიტორიკულ შეკითხვაზე:

- არა ვარ მე თქვენი მოდგმის... - სრულიად ნათლად და გასაგებად ისროლა წყვდიადში. - და არც ჩემიანები არა ხართ. ნახევარი ცხოვრება იმას შევალიე, როგორმე თავი დამეღწია თქვენგან...

* * *

გულისცემა არეოდა, ხან ბაგაბუგი გაჰქონდა და ხანაც მთლად მიინავლებოდა ხოლმე, თითქოს ისიც ახალ, ეშმაკეულ რიტმში გარდასახვას ესწრაფვოდა, ძველი მეტრონომიული სიზუსტის შეცვლა მოსდომებოდა ტაბლასა თუ დოლ-დაფდაფის იმპროვიზაციების დარად. ახლა უძილო იწვა ვიწრო ლოგინზე, წარამარა ხვანხვალებდა, პაწია რქები ეხლართებოდა ზეწარსა და ბალიშისპირში, ოღონდ ეს კორონარული ამოვარდნები კი მაინც ერთგვარი ფატალისტური ხედვით გაითავისა: სადაც სხვა ყველაფერი, რატომ ესეც არა? ბუმ-ბუმ - ცვლადი ბაგაბუგი გაჰქონდა გულს. - ბუმ-ბუმ-ბუმ! ბედისწერის ამბავია, სხვა არაფერი. ჯო-

ჯოხეთიც ესაა: ჯაჰანამად, გეჰენიად, მუსპელჰაიმად ქცეული ლონ-დონ-ქალაქი.

არა, თავად ეშმები თუ იტანჯებიან იქ? თუ მარტო ფიწლები უჭირავთ და ეგაა სულ?

სარკმლიდან წყალი მოწვეთავს. გარეთ, ამ მოღალატე ქალაქს თოვლი ადნება და შენობებსაც სველი მუყაოს იერი ადევთ. ჭუჭყდა-დებული თეთრი მასა სახურავების დამრეც სიბრტყეზე ცურდება. სატვირთო მანქანების საბურავები ტალახს ზელს ქუჩებში. თენდება და ქალაქიც ნოტიოდ იღვიძებს: პნევმატური ჩაქუჩების რახარუხი, მანქანის საყვირების გაბმული ხმიანობა, მომწვანო-ზეთისხილის-ფერი ნაგავმზიდის ხრჭიალი, ლუდხანის თავზე დაკოსებულიმხატ-ვრის მანსარდიდან გამოსული რადიოტალღების დგაფუნი - მოკ-ლედ, დიადი ჯაგერნაუტის ბდღვინვა, გრძელ და ვიწრო ბილიკს რომ მოუყვება თავბრუდამხვევი სისწრაფით; მიწისქვემოდან, ხვრელებ-ში უზარმაზარი ჭიების გაძრომ-გამოძრომა იგრძნობა, ხალხს რომ ყლაპავენ და მერე სხვა ალაგას ამოანთხევენ; ზეციდან კი მოლაპ-ლაპე ჩიტების გუგუნი მოისმის.

მზეც ამოიწვერება და ქალაქს საბოძვარივით აცლის ნისლოვან შესაფუთს. სალადინ ჩამჩაც, როგორც იქნა, ძილმა წაიღო.

ოღონდ კი ეს არაფერ შვებას არა ჰგვრის: ის სხვა, საღამოს ქუჩა ახსენდება, რომელსაც იაჟუჟუნა ფილიპსთან ერთად მიუყვებოდა, ჩლიქების პაკა-პუკით, და ქალს სახეცა და სხეულიც ეცვლებოდა - თმაც კი მედუზა-გორგონასავით ეხლართებოდა, თავი უსამკუთხედ-დებოდა, კანი უმუქდებოდა, კბილები უწვრილდებოდა, თვალებით ჭამდა, სპერმა სდიოდა უპეებიდან და ისე ჩაფრენოდა ძვალტყავა თითებით, თითქოს ჩონჩხი ცდილობს საფლავში ჩაიყოლოსო. კი, ნამდვილად - ახალამოთხრილი მიწის სუნიც კი სცემდა მისი პირი-დან, სუნთქვას მოჰყვებოდა... გულძმარვა მოაწვა - არა, მაინც რო-გორ მოხდა რომ გული უთქმოდა მისთვის, ეზმანებოდა კიდეც, თით-ქოს ის ზედ გადაჯდომოდა და სითხეს უდევნიდა ფილტვებიდან,

თითქოსდა საყვარლები იყვნენ, ურთიერთლტოლვის თავდავიწ-ყებაში გადავარდნილნი?!

ქალაქი მოიქუფრა მათ გარშემო, უსიერი ტყესავით და მიჯრით ჩაწყობილი სახლებიც ერთმანეთში აბურდულ თმებს დაემსგავ-სა.

- არა სინათლე არ შემოაღწევს აქ, - უჩურჩულებდა ყურში. - შავია ყველაფერი, უკუნში იძირება.

ცდილობდა მიწაზე გაწოლილიყო და ისიც თავისთან მიეწვი-ნა, მაგრამ აყვირდა:

- სწრაფად, ეკლესიაში! - დაიძახა და რაღაც შენობაში დურთა თავი, წმინდანობის შარავანდედზე რაღაც მეტს ეძებდა იქ.

ოღონდაც შიგნით მერხები სავსე იყო იაჟუჟუნებით, ახალგაზ-რდებითა და მიმჭკნარებით, რიოში მარგალიტებით დახუნძლუ-ლებით, რომელნიცა ერთხმაში იმღერდნენ: იესო მხსნელია ჩე-მი; ოღონდ ჩამჩას იქ ყოფნაც მალევე შეამჩნიეს და ახლა სულ სხვა კილოზე მორთეს ღნავილი: ეშმა, თხა, ვაცი! - თუ რაღაც ამ-დაგვარი. ახლა უკვე იაჟუჟუნაც ისე უყურებდა, როგორც თავად ის უცქეროდა ქუჩაში - გულმოკლული გამოხედვა ჰქონდა, ზიზღი ეხატებოდა სახეზე და ეს კი ვეღარ მოითმინა, იფეთქა:

- ჰუბშის! - მიაძახა რატომღაც, მშობლიურ, მისსავე მიერ დი-დი ხნის წინ უარყოფილ ენაზე. - შავტრაკა ველურებო! დღეყო-ველ სარკეში იხედებით და სიბნელის მეტს ვერაფერს ხედავთ, მხოლოდ შავ ლაქას... ამით მაინც ხომ უნდა მიმხვდარიყავით - მდაბალთა შორის უმდაბლესნი ხართ ყველანი!

მერე კი გარს შემოეხვივნენ, მთელი ეს იადაჟუჟუნებული სამ-წყსო, რომელშიც მისი საკუთარი ისევე ჩაკარგულიყო, როგორც ყვავილი ყვავილნარში, მაგრამ მალევე იაზრა - მათში შიში მე-ტობდა რისხვას; წამოიმართა, ხაფი ხმით დაჰყვირა და დაიფრი-ნა ყველანი - ისე რომ ქედი არავისთვის არ მოუხრია.

სიზმარეული ზმანებები თავისებურად ლაგდებიან ხოლმე; საკუთარი გულისცემის სინკოპებით გამოღვიძებულმა ჩამჩამ ეს სიმართლეც აღიარა და ისევ მიიძინა, რათა ახლა საკუთარ სახლში აღმოჩენილიყო, სადაც - სულ ერთი სართულით ზემოთ - ჯამშიდ ჯოში პამელას ედავებოდა რაღაცას. პამელას, ჩემს ცოლს! - გაუელვა თავში.

მერე კიდე, როცა სიზმარეულმა პამელამაც ერთი-ერთში გაიმეორა ნამდვილის სიტყვები - არ არსებობს, ასე არ ხდებაო, ისევ ჯამშიდ გულდამწვარმა გამოუწოდა დახმარების ხელი: მოტირალი პამელა უკან მოიტოვა (არა, აქ მაინც რამ მოგათრევინა ეგ საზიზღრობა?! - გაჰკიოდა სხვენიდან), საბან-ტყაპუჭში გამოხვია და, მუხლებაკანკალებული, შანდაარ-კაფესკენ წაიყვანა ყოვლად გულუბრყვილო დაპირებების თანხლებით: „ყველაფერს ეშველება, აი ნახავ - ყველაფერი კარგად იქნება...“

კვლავაც რომ გამოახილა თვალი, ამ სიტყვების გახსენებამ, გულზე მალამოდ დადების მაგივრად, აქეთ გაამწარა: „სად ეშმაკებშია ახლა ის ვირიშვილი ფარიშტა? ნაძლევს ჩამოვალ, იმას კი ექნება ყველაფერი საათივით აწყობილი!“ - აი, ამ ფიქრს კიდევ ბევრჯერ დაუბრუნდებოდა, არცთუ უშედეგოდ; ოღონდ ახლა კიდევ სხვა რაღაცაც ჰქონდა მოსატვინი. „სიმართლეს თვალებში უნდა შევხედოთ,“ - ედავებოდა საკუთარ თავს. - „ნაღდში რომ ბოროტების განსახიერება ვარ... ნაღდში რომ ეგრე მოხდა და ახლა რას უშველი ამ საქმეს! მე - მე აღარ ვარ, ანდა - მხოლოდ მე აღარ ვარ. ახლა თავად ბოროტება გახლავართ, ცოდვა, ზიზღი...“

და რატომ მერე? რატომ - მე?

ამისთანა რა შესცოდა, და აწი რას ჩაიდენს კიდევ?

ბოლო-ბოლო, რისთვის დაისაჯა? - ამ ცნებას ვერაფრით უვლიდა გვერდს, - და ვის მიერ? (ჩემდათავად, ენაზე კბილი დამიჭერია).

განათუ ოდესმე გადუხვევია კეთილის მისსავე მიერ არჩეული გზისათვის? განა დღეყოველ არა ცდილობდა სხვათა აღტაცება და-

ემსახურებინა და ლამის თავიც დაედო გაინგლისელადყოფის მცდელობაში? განა ყოველ ღონეს არა ხმარობდა, თავს არ ზოგავდა - სხვანაირი გამხდარიყო? თავგამოდება, თავდაჭერა, თვითკმარობა, თვითრწმენა, პატიოსნება, ოჯახი: განა ესე ყოველი არ შეადგენს, საბოლოო ჯამში, ზნეობრივ საწყისს? ანიქნებ უშვილობას საყვედურობენ? და მერე, ვის დავდოთ ბრალი? გენეტიკას? ან იქნებ, ეს მისი დევნილობა - თავად ასე ახასიათებდა საკუთარ ხელმოცარვას - სულაც ამ ზემოხსენებული სიკეთისადმი მისივე ლტოლვის შედეგია? იქნებადა ახლა ამგვარი სურვილიც კი ცოდვად ითვლება? მაშ, რაღა დარჩა იმ სამყაროდან, რომლისკენაც ასე გულით მიილტვოდა? ახლა უნდა განაგდონ იმ კარიბჭეთაგან, რომელნიც რა ხანია უკვე განვლილი ჰგონებოდა? რა უბედურებაა, რა სიბეცე - ისევ იმ ხალხის ხელში ჩააგდონ, ვისაც მთელი ეს ხანი ასე გაურბოდა!

აი, აქ კი ზინი ვაკილი გაახსენდა და მანაც, ძარღვაშლილმა, ბრალეულობის გრძნობით აღვსილმა, ხელის ერთი მოსმით დახურა მეხსიერების ზარდახშის თავი.

გულს ბაგაბუგი გაუდიოდა და სულშეგუბებული წამოჯდა, ნაპირზე გამოგდებული ღლავივით აფჩენდა პირს. დაწყნარდი, თორემ - დაგერხა... რა ტვინისჭყლეტა აგიტყდა, ერთი ვიცოდე! ამოისუნთქა, გაწვა, გონი გათიშა. მკერდსშიგნით, მოღალატემ კვლავაც ჩვეულებრივ გააგრძელა ბატონის მომსახურება.

„მორჩა, გათავდა!“ - თავისთავს უთხრა სალადინ ჩამჩამ. - „რაის ბოროტი მე ვარ?! გარეგნობა მაცდურია: ყდა მუდამ როდი ესადაგება წიგნის ხასიათს. ეშმა, ვაცი, შაითანი? ოღონდ მე არა.“

აბა, ვინ?

* * *

მიშალა და ანაჰიტა ლანგრით ხელში და შეშფოთებული სახეებით გამოეცხადნენ, დილაუთენია. ჩამჩა ყბაგაუჩერებლად შეექცეოდა საუზმეს, ვიდრე გოგონები ერთდროულად, სიტყვა-შეუწყვეტლად და ჩქარ-ჩქარა აყრიდნენ სათქმელს:

- მაგარი ხარ! არ დააფეთე ყველა?! მე მე არ ვიყო!

- ღამით კიდე სახეს იცვლი, ეგრეა?

- და რამე ოინია თუ მართლა ეგრეა საქმე? ანუ - კოსმეტიკა, გრიმი, რამე ეგეთი... არა?

- ჯამშიდმა თქვა, მსახიობიაო და ვიფიქრეთ...

აი აქ კი პატარა ანაჰიტამ მაინც დაასტოპა, რადგან ჩამჩამ უეცრად იბღავლა, Neskafeდაფუფქულმა:

- რა კოსმეტიკა, რის გრიმი, რაის ოინი!!!

- კი არ გეწყინოთ და, - გააწყვეტინა მიშალამ. - ეგრე ვიფიქრეთ, ნუ, ხომ გესმით... კარგიც კია თუ ეგრეა, თორე რომ არ იყოთ, ეგრე რაღა საკაიფო იქნებოდა, ხომ გესმით? - და ახლა იმანაც დაასტოპა, ჩამჩას გამყინავი მზერით მონუსხულმა.

- იმის თქმა გვინდა, - ისევ ჩაერთო ანაჰიტა. - ჩვენ თუ ვინმე რამეს გვკითხავს, მაგარი ამბავია-თქო, ვეტყვით.

- და თვითონ თუ იცით, რა ამბავია? ამის გაგება გვინდოდა, რამე რო იყოს.

- ასეა თუ ისე, მაინც მაგარია! - თქვა ისევ ანაჰიტამ და სახე გაებადრა. - ჯადოა თუ რაც არი...

- მთელი ღამე თვალი არ მოგვიხუჭავს, - წაიტრაბახა მიშალამ. - ლამის ქოთნები აგვიდუღდა და ბოლოს, აი რა მოვიფიქრეთ: რაკი ახლა სახე იცვალეთ, იქნებადა რაღაც სხვაც დაგემართათ - მაგალითად, ძალა შეგემატათ ან რამე...

მაგრამ ჩამჩას გამომეტყველების შემხედვარე, ორთავემ ერთად დაიწყეს უკან-უკან, კარისკენ დახევა:

- ჩვენ რა, ჩვენ არაფერი... ისე, ვიფიქრეთ - იქნება-თქო... გემრიელად მიირთვით.

ოღონდ სანამ კარში გაშპებოდნენ, მიშალამ ჯიბიდან რაღაც პაწია ბოთლი დააძრო, ზედ ზღურბლზე დადო და სხაპასხუპით მიაყარა:

- ჩვენბოდიში მაგრამ დედამთქვა ეს კარგი რამაა პირისღრუსგასაწმენდათო და...

გავარდნენ და კარიც გაიხურეს.

* * *

მისი სიმახინჯით ამ ორის აღტაცებამ საბოლოოდ დაარწმუნა სალადინ ჩამჩა - როგორც რომ ადრევე ვვარაუდობდი, ეს „ჩემი ხალხი“ ნაღდად ვერაა თავის ჭკუაზეო. ამიტომაც, როცა მეორე დილას მასალა-დოსა მოუტანეს ბეკონიანი ტაფამწვარის მაგივრად, ერთი ამბავი დააწია: ამ უცხოურ სალაფავს რა მაჭმევსო. ოღონდაც, მისდა გასაკვირად, ორივე და წამსვე დაეთანხმა - დიდი საზიზღრობა რამეა, ჯობდა ჩიპსები მოგვეტანაო. ცოტათი შერცხვა კიდეც, ასე რომ ხელი უკრა დედასმათის სტუმართმოყვარეობას და სცადა აეხსნა - ერთი ხანობაა, მე უკვე ლამის მთლად ბრიტანელად ვგრძნობ თავსო.

- და ჩვენ რაღა? - დაეკითხა ანაჰიტა. - გგონიათ, ჩვენ სხვა ვართ?

- ბანგლადეში საერთოდ აღარც მახსოვს. - დაემოწმა მიშალა. - ვიცი რომ რაღაც ადგილია, რომელიც ჯერ ისევ ენატრებათ ჩვენებს.

- მე კიდე ბანგლაბუშს ვეძახი, - თავი დაუქნია ანაჰიტამ. - ასე მგონია, სულ რაღაც ბალახ-ბულახია იქ და მეტი არც არაფერი...

თუმცა არც მთლად ბრიტანელები ეთქმოდათ, ნამდვილად არა - ამას ვერაფრით აღიარებდა და ვერც მოიტყუილებდა.

- ტელეფონი სადაა? - იკითხა. - დასარეკი მაქ სადღაც-სადღაც.

საერთო ტელეფონ-ავტომატი ედგათ ჰოლში. ანაჰიტამ საკუთარი დანაზოგები გადათვალა და ხურდა ჩაუყარა მუჭში. მერე, თავზე პირსახოცმოხვეული, ჯამშიდის შარვალში გამოკვართული და მიშალას ფლოსტებში ფეხებწაყოფილი, ჩამჩა ძირს დაეშვა და საკუთარ წარსულს დაუკავშირდა.

- ჩამჩა, - ძლივს გაარჩია მიმი მამულიანის ხმა. - შენ ხომ მკვდარი ხარ...

ეს იმის ბრალი იყო, მიმის მთელი კბილები რომ ერთად დასცვენოდა.

- ისეთი თეთრი-თეთრი მქონდა, არ გახსოვს? - ჩიფჩიფით მოთქვამდა. - რა მიზეზით? არ მკითხო. ჩვენს დროში მიზეზ-შედეგობრიობას ვინღა დაგიდევს? რა ნომერია? გადმოგირეკავ. - ეს იმიტომ, ყურმილში რომ უკვე რამდენიმე მოკლე-მოკლე, გამაფრთხილებელი საყვირი გაისმა.

კარგა ხუთი წუთი კი გავიდა, სანამ გამოაღწევდა.

- ახლა სწორედ მაგაზე ვიმტვრევდი თავს, როგორ გადარჩა-მეთქი... რაღა მხოლოდ შენსა და იმ მეორეს წინაშე განიხვნენ წყალნი? ახლა არ მითხრა, უფრო ღირსეულთო... ამას ვინ ჭამს, ჩამჩა! მე კიდე ნაღდი ნიანგის ტყავის ფეხსაცმელებს დავეძებდი ოქსფორდსტრიტზე და სწორედ მაშინ არ მომივიდა ეს უბედურება?! დავეცი და თან ისე, მთელი კბილები ერთად გადმომეყარა ქვაფენილზე! ჩვენს ასაკში მეტი სიფრთხილე გვმართებს, ნამდვილად... გონს რომ მოვედი, სულ ვიღაც ქუჩის ბიჭები მომშტერებოდნენ, კარგია, არა? კიდე კარგი, ფული მაქვს და ახლებს ჩავასმევინებ, ბოლო-ბოლო. ასე რომ, ახლა უნებურ შესვენებაზე ვარ. ჩვენისთანა უპასუხისმგებლო ხალხის გამოისობით, გახმოვანების ბიზნესში ახლა ცუდად მიდის

საქმე - შენ მკვდარი ხარ და მე კიდე კბილები არ ჩამისვამს ჯერ. მოუსმინე ერთი, რა ხდება რადიოგადაცემებში ან - ეს ახალი სიტყვა ამეკვიატა - ტელესივრცეში: ძაღლი კატას ვერა სცნობს, ღმერთმანი! არადა, „უცხოპლანეტელთა შოუდანაც“ რომ გამოგვყარეს! მოკლედ, დროზე გამოჯანმრთელდი და მეც იგივე მისურვე.

ასე და ამგვარად, სამუშაოც ისევე დაეკარგა, როგორც ცოლი, სახლი, საკუთარი ცხოვრება.

- მარტო კბილებშიც არაა საქმე, ჩამჩა: კუანაც გავხდი. ლამისაა, ბებერი ძვლები მივაფშვნიო აქეთ-იქით... სიბერის ამბავია - ცარიელი დამცირება, სხვა არაფერი. იბადები, მთელი ცხოვრება წელებზე ფეხს იდგამ, მერე კი მოტყდები და სანაგვეზეც მოგისვრიან. რამდენიც არ უნდა იშრომო, დიდი-დიდი, კარგად დაგასაფლაონ, ეგაა და ეგ. მე კიდე რაცა მაქვს, სიკვდილამდე მეყოფა. ის თუ იცი, ბილი ბატუტასტან ერთად რომ ვარ ახლა? თუმცა საიდან, შენ ხომ დაცურავდი აქეთ-იქით... შენზე ნადირობას შევეშვი და ისევ ერთი შენიანი დავითრიე. თუ გინდა, შეგიძლია ეს კომპლიმენტად მიითვალო. უი-უი, უნდა გავიქცე! სასიამოვნო იყო მიცვალებულთან საუბარი, ჩამჩა ჩემო. აბა, შენ იცი, კარგად მეყოლე.

„რამე რო იყოს, დიდი სულიჩხრეკია ვინმე ვარ,“ - ჩაილაპარაკა უკვე გათიშულ ყურმილში. - „ავად თუ კარგად, ჩემებურად ვცდილობდი მაღალ მატერიებზე მეფიქრა, დახვეწილობის რაღაც დონისათვისაც მიმეღწია... ხანდახან მეჩვენებოდა კიდეც, საცაა მიზანსაც მივაღწევ-მთქი, მაგრამ მუდამ ხელცარიელი ვრჩებოდი. ნივთებში, სამყაროში, მთელ ამ არეულობაში ჩავიკარგე. ახლა კი წინააღდგომის თავიც აღარა მაქვს. მთლად გროტესკში გადავვარდი, ისევე როგორც ადრე ყოველდღიურობა მითრევდა და მიმონებდა. ზღვამ ნაპირზე გამომრიყა, მიწამ კი პირი მიყო.

რუხ, დამრეც ზედაპირზე მოსრიალებდა, შავი წყალი ესხმებოდა გულზე - მაინც, რატომ უნდა აღიქვამდეს ასე მწარედ ჯაბრაილისა და მისთვის მიცემულ, ხელახლადშობის ამ მეორე შესაძლებლობას?! უდროო და უვადო სიკვდილი, გარდასახვის უცილობლობა, დამწვარი ხიდები - ყველაფერი ეს ახლა შიშსა გვრიდა. როცა წარსულს კარგავ, შიშველი წარუდგები აზრაელს, სიკვდილის ანგელოზს. დროთა კავშირი არ გაწყვიტო, - უთხრა საკუთარ თავს - ფრჩხილებით მოეპოტინე გუშინდელს და ამ დამრეც სირუხესაც საკუთარი ბრჭყალების ნაკვალევი დაამჩნიე.

ბილი ბატუტა: ყოვლად უმაქნისი, ქაქის ერთი. პაკისტანელი ფლეიბოი, ვინაც ერთი პაწაწკინტელა ტურისტული ბიზნესი სუპერტანკერების მთელ ფლოტად აქცია. ნაღდი გაიძვერა - სახელი იმით გაითქვა, ინდური კინოს ცნობად სახეებთან რომ აბამდა რომანებს და საკუთარ თავს ჭორებს უყრიდა ქერათმიან ქალებთან მის უმსგავსო ქცევასთან დაკავშირებით... ამისთანა რა ნახა მიმიმ ამ კაცში? აღვირახსნილობა და მაზერატი ბიტურბო? მაგისთანებისთვის თეთრი ქალი - არა აქ მნიშვნელობა, მსუქანაა თუ მჭლე, ურია თუ სკანდინავი - მხოლოდ სახმარი საქონელი იყო და სხვა არაფერი. თეთრის სრულიად შესაძულებლად ანთუ ყავისფერი შაქრის საწუწნად, შავიც უნდა გეზიზღებოდეს. ბრმა რწმენა მხოლოდ ძალაუფლების მახასიათებელი არაა.

მიმიმ მეორე დღესვე დაურეკა ნიუ-იორკიდან. ანაჰიტამ თავისი დაყენებული ამერიკულით დაუძახა ტელეფონთან, მაგრამ სანამ ჰოლში ჩამოვიდოდა, კავშირიც გაწყდა. ეგ არაფერი, ისევ გადმორეკა.

- აბა ვინ გიჟი გადაიხდის საკონტინენტთაშორისო ფასებს ვიღაცის ლოდინში!

- მიმი, არ გითქვამს თუ სადმე მიემგზავრებოდი... - უიმედობა გამოერია ხმაში.

- არც შენ გითქვამს შენი მისამართი! - მოუჭრა მოკლედ. - ასე რომ, ბარი-ბარში ვართ.

უნდოდა ეთქვა: დაბრუნდი მიმი, დაგერხევა უჩემოდო, მაგრამ სიტყვები ყელში გაეჩხირა.

- ოჯახს წარვუდგინე ბიჭი! - აცნობა, კეკლუცად. - როგორია: იასერ არაფატი რომ მენაჰემ ბეგინს ხვდება... ეგ არაფერი, მოინელებენ როგორმე.

უნდოდა ეთქვა: მიმი, შენს მეტი აღარაფერი გამაჩნია დედამიწის ზურგზე, ის კიდე გამოგიყენებს და ფეხებსაც შეგაწმენდს ზედო.

- ბილიზე მინდოდა მეთქვა...

ოღონდ ქალს ახლა უკვე ყინული გაერია ხმაში:

- მისმინე, ჩამჩა-ჩემო! ამაზე ჯერ-ჯერობით მაინც, მხოლოდ იმიტომ გელაპარაკები რომ ეტყობა, ცოტათი მაინც გული შეგტკივა ჩემზე... მაგრამ ისიც გაითვალისწინე, ინტელექტით გაჟღენთილი ძუ გახლავართ და არა ვიღაც გომბიო. „ფინეგანის აღაპიც“ წაკითხული მაქ და დასავლეთის პოსტმოდერნისტული კრიტიკის აზრზეც ვარ - აქაოდა ჩვენ მხოლოდ წაბაძვისა და „გადამღერების“ უნარიღა შეგვრჩაო! ამ დაუთოებულ სამყაროში, როცა შამპუნის ბოთლის ხმად უნდა ვიქცე ხოლმე, ბრტყელლანდიაში გადავდივარ და ვიცი კიდეც, თუ რატომ და რისთვის. ასე ვშოულობ ცხოვრების სახსარს და უნდა გითხრა, არცთუ ცუდად ვცხოვრობ! ასე რომ, ჩემო კარგო - ბილი-ბიჭის ყველა უხამსობებიც ძაან-ძაან კარგად მომეხსენება. ახლა არ მითხრა, გიყენებსო - აბა ერთი სცადე და ერთ ვინმე შეუხედავ ებრაელ დედაკაცად იქეცი! აქეთ შეეხვეწები, შავად მაქციეთო... მომიტევეთ ჩემი ფრანგული - ყავისფრად!

- ესე იგი, იმის შანსს მაინც უშვებ, რომ შეიძლება გიყენებდეს... - სიტყვა ჩაუგდო ჩამჩამ, მაგრამ ვინ აცალა:

- და რა მერე?! - მომღერალი ნამცხვრის ხმით ჩაიღიღინა. - მშვენიერი ბიჭია, მამაძაღლობების დიდოსტატია ნამდვილი... და იცი, რატო და საიდან? სულ რამდენიმე რამაა, რაც კაცს არაფერში არგია: პატრიოტიზმი, ღმერთი და სიყვარული. არაფერი ხეირი მათგან არაა. ბილი იმიტომ მომწონს, ანგარიშიანი ვინმეა.

- მისმინე, მიმი... - ხმა ამოიღო სალადინმაც. - რაღაც ისეთი დამემართა...

მაგრამ ქალი ჯერაც მეტისმეტად უარს იყო და არაფერი გაუგია. ყურმილი დაკიდა, ისე რომ თავისი მისამართი არც ახლა მიუცია.

რამდენიმე კვირის მერე, მიმიმ ერთხელაც დაურეკა, და იმ დროისათვის საზღვრების შეუხებლობის პაქტიც უკვე დადებული გახლდათ: ქალს არაფერი უკითხავს, სალადინს კი არაფერი უთქვამს საკუთარი ადგილმყოფობის თაობაზე; ამით ყველაფერი იყო ნათქვამი - ერთი ხანა დასრულდა, ახლა ცალ-ცალკე გაუდგებოდნენ გზას. მიმის დიდი გეგმები ჰქონდა: მას და ბილის ინდური კინო უნდა წამოეწიათ მსოფლიო ბაზარზე, ამისათვის კი თავად ინგლისსა თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში აპირებდნენ ფილმების გადაღებას - ვინოდ კხანას, შრი დევისა თუ ვის არ მოიწვევდნენ, რომლებიც ახლა ბრედფორდის მთავარ მოედანსა თუ „ოქროს კარიბჭის“ ხიდის წინ იცეკვებდნენ... ცხადია, ეს მხოლოდ გადასახადების თავიდან ასაცილებლად, - მიმი სიცილს ვერ იკავებდა. მოკლედ, ბილი ხელის გვარიანად მოთბობას ეპირებოდა ამ საქმეზე: ხომ იცი, კუზიანს სამარე თუ გაასწორებს! - ჩაიცინა მიმიმ. - გაიძვერას შენ აქცევ წესიერ ადამიანად?!

- მერე, ერთ დღესაც მეუბნება: ერთი-ორი კარგი ქურქი არ გინდა? მეთქი - ძონძებით ვერ მომთაფლავ, ის კიდე - ძონძებზე ვინ გეუბნება? ნაღდ ბეწვზე გელაპარაკები, თანაც - ეს ბიზნესია, არაფერი პირადი, ჩემო კარგო!

ნიუ-იორკში ჩასულან და ბილის გრძელზე-გრძელი ლიმუზინი დაუქირავებია და ასეთივე სიფათწაგრძელებული მძღოლიც ისე,

სართად და ბეწვეულის მაღაზიას რომ მიადგნენ, ნავთობის შეიხი და მისი წიწკვი გეგონებოდნენ. ხუთი ცალი მოისინჯა, სანამ ბილიმ არ უთხრა - აი, ეგა ყველას ჯობიაო. ეგ ორმოცი ათასი ღირს, ბილი! - ის კიდე გამყიდველს ებლატავებოდა უკვე: პარასკევი საღამოა და ბანკებიც დაკეტილია, მაგრამ ჩემგან ჩეკს ხომ მაინც მიიღებთ? იმან ხომ იცის უკვე, ნაღდი მენავთობე შეიხი რომაა, თავს უკანტურებს და კარებამდეც მიაცილებს ორივეს. მერე იმავე ქუჩაზე, ოქროულობის მაღაზიაში შესულან და ბილი მენეჯერის თანაშემწეს ეუბნება - აი, ორმოც ათასად ვიყიდე, ქვითარიც აგერ მიჭირავს ხელში, ოღონდ 30.000 დოლარი მჭირდება სასწრაფოდ და ვერ დამეხმარებითო? ატყდა ერთი ვაიუშველებელი, ამ მაღაზიიდან იმ პირველში გადარეკეს, იქ გულები დაუსკდათ, ხუთ წუთში პოლიციაც იქვე გაჩნდა და ყალბი ჩეკის გამოწერისთვის დააკავეს ორივე. მოკლედ, შაბათ-კვირა კი კამერებში აყურყუტეს, მაგრამ ორშაბათს, ბანკები რომ გაიხსნა, ბილის ანგარიშზე 42,117 დოლარი აღმოაჩინეს - ასე რომ არავითარ სიყალბეს და ხელმრუდობას ადგილი არა ჰქონია თურმე. ბილიმ ცხადია, ერთი ამბავი დააწია ბეწვეულის მაღაზიას - 2 მილიონ დოლარზე უნდა შევიტანო თქვენზე საჩივარიო. ბოლო-ბოლო, 250.000-ზე მორიგდნენ.

- აი, როგორ გინდა, ამისთანა ვინმე არ შეგიყვარდეს? - დაეკითხა მიმი. - მაგარია! ამაზე მეტი დროსტარება რა გინდა?

არა ძმაო, - უთხრა ჩამჩამ საკუთარ თავს. - ამ უზნეო, ანგარიშიანი, წამგლეჯი ხალხით სავსე სამყაროში ჩემისთანა უანგარიშო კაცის ადგილი არაა, ვერ გამოვდგები.

არადა, მიშალა და ანაჰიტა სუფიანები ისევ თავს დაფოფინებდნენ - აშკარად იმ ყაიდის გოგონები გახლდნენ, ღამის ჯიბგირებზე, მაღაზიების მძარცველებზე, ათასი ჯურის ხულიგნებზე, ჯიბის ქურდებსა და საერთოდ, შავ-ბნელ ხალხზე რომ ეკეტებათ ჭკუა. თუმცა, რამე რომ იყოს, არცერთი მათგანი ქინძისთავსაც

კი არ აწაპნიდა ვინმეს. უბრალოდ, ისინი ერთ რაღაც მთლიანობაში აღიქვამდნენ მათ - განსხვავებულებად, მარგინალებად... ბილი ბატუტასა და ორმოცათასიანი ბეწვის ქურქის ამბავს მოუყვა და გენახათ ერთი, რა დღეში ჩავარდნენ: თვალები აუპარპალდათ, ფხუკუნებდნენ, ტაშსაც კი დასცხებდნენ ხოლმე შიგადაშიგ - დაუსჯელი ბოროტება ამხიარულებდათ. სწორედ ასევე მიესალმებოდა ერთ დროს ხალხი წარსულის სახელგანთქმულ, თავზეხელაღებულ მძარცველებსა და მკვლელებს: დიკ ტერპინს, ნედ კელის, ფულანა დევის და კიდევ ერთ, სულ სხვა ბილის - უილიამ ბონის, იგივე ბილი კიდს.

- ახალგაზრდობის საჯართე კერპები, - თითქოს მისი ფიქრები წაიკითხა მიშალამ და ყვითელი პრესის სათაურებად აქციაო; მერე კი გაიწვართა და თავისი ჩამოქნილი, გასაოცრად აწყობილი ტანი რომელიღაც საპნის სარეკლამო ფოტოს მიამსგავსა. ფისო-ფისო? - თან აქეთ გამოაჯავრა.

მისი უმცროსი დაც ცდილობს მიბაძოს, ხვდება რომ მთლად ასე კარგად ვერ გამოსდის და განაწყენებული, დოინჯშემოყრილი უმტკიცებს:

- ოღონდ ჩვენ მაინც კარგად ვართ ცხოვრებაში მოწყობილი: ძმები არა გვყავს, ოჯახსაც საკუთარი ბიზნესი აქვს, ადგილიც მაგარია... მოკლედ, ეგრე ვართ, რა.

შანდაარის სასტუმრო ღამისსათევ ხანაგად გადიოდა ქალაქის განსახლების დეპარტამენტის საბუთებში, ოღონდ მუნიციპალური ფართის მხრივ გარკვეული შეჭირვების გამოისობით, ქალაქის საბჭო ხუთ-ხუთ სულს ასახლებდა ერთადგილიან ოთახებში, ქინძზე იკიდებდა უსაფრთხოების მოთხოვნებსა თუ ჯანდაცვის ნორმებს, ხოლო ცენტრალური ხელისუფლებისაგან შეღავათებს ითხოვდა ხალხისათვის დროებითი ფართდაკავების გამო.

- ათიანი ერთ ღამისთევაში, - მაშინათვე ამცნო ანაჰიტამ, როგორც კი სხვენზე შეეყო თავი. - ასე რომ, ახლა შენს გამო თვეში სა-

მასს ვკარგავთ... იმედია, მართლა გულზე გესობა, ეგეთ ფუფუნებაში რო გამყოფებთ!

ამისთანა თანხით, გაუელვა ჩამჩას, მართლა მშვენიერი ბინის ქირაობა შეიძლებოდა კერძო სექტორში, ოღონდ ეგ უკვე „დროებითი ფართდაკავების“ ამბავში ვეღარ გავიდოდა და შესაბამისად, ქალაქის თავი ვერც ვერავითარ დაფინანსებას ვერ მიიღებდა, ეს კი იმ ადგილობრივ პოლიტიკოსთა წისქვილზე ასხამდა წყალს, ვინაც „ჩამოწერებზე“ დებდა ფსონს. მოკლედ, La lutte continue, ასე ვთქვათ, ბრძოლა გრძელდება. ამასობაში, სანამ ქნი ჰინდი და მისი ქალიშვილები არაფრიდან ფულს აკეთებდნენ, ყოველგვარ მიწიერ სურვილებს განრიდებული სუფიანი მექას გაემგზავრა და იქიდან ოჯახურ ურთიერთობებში მოსახმარი სიბრძნე, კეთილი ღიმილი და მშვიდი განწყობა ჩამოიტანა - ეს ყველაფრი კი იმის მიუხედავად, დერეფანში ტელეფონზე სალაპარაკოდ თუ ტუალეტში გასასვლელად გამოსულს, ამგვარი წესით გაქირავებული ოთახების ექვსივე კარი რომ მოფიათებული ხვდებოდა - სამ ათეულამდე დროებითი მოსახლე გაფაციცებული ელოდა მუდმივმოსახლეობის თაობაზე ცნობის მიღებას.

ესეც შენი არსებული, და არა წარმოსახვითი სამყარო.

- სულ ტყუილად იდებ ამ რაღაც წმინდანის სახეს, - უთხრა ერთხელ მიშალამ მამამისს. - ვერა ხედავ, მაგ შენმა კანონმორჩილებამ სადამდე მიგვიყვანა?

* * *

- შენი სამყაროც იკუმშება.

საქმის კაცს, ვინმე ჰალ ფარშა-ვანგას, „უცხოპლანეტელთა შოუს“ შემქმნელსა და ერთადერთ პროდიუსერს, სულ რაღაც 17

წამი დასჭირდა ჩამჩასთვის ამქვეყნად მობრუნებაც მიელოცა და ისიც აეხსნა, რატომ ვერ იქონიებდა ეს ფაქტი ვერავითარ გავლენას მისი - სალადინ ჩამჩას - იმავე შოუში დაბრუნების საკითხზე. ბ-ნმა ფარშა-ვანგამ თავისი მოღვაწეობა სარეკლამო ბიზნესით დაიწყო და მის მეტყველებას ჯერაც ამის კვალი ეტყობოდა, კარგა ღრმად: „ეთნიკური უნივერსის პრობლემას ვგულისხმობ“ - დაამატა თავის ღრმა ყელში დაყენებული ხმით. თუმცა, ჩამჩაც არ გახლდათ ჯაბანი - აკი კადრსმიღმა გახმოვანების ამბავში ჭიპი ჰქონდა მოჭრილი და იქ ხომ მიდი-მოვდივარ, იმისთანების თქმა უწევდა... მარკეტინგის ექსპერტთა ენაზე, უნივერსი „მოცემული პროდუქტისა თუ სამომხმარებლო აქტივობის პოტენციურ ბაზარს“ ნიშნავდა: შოკოლადის უნივერსი, გახდომის უნივერსი... კბილთაღრჭენის უნივერსი ალბათ, კბილებსა და მათ მოვლა-ჩასმას მოიცავდა, დანარჩენი კი დენტალური უნივერსის სფერო გახლდათ.

და ისევ ეს ჩემი ხალხი: ჩაბალახითა და სხვა ასეთივე მოუხერხებელი რამე-რუმეებით შემოსილი ჩამჩა ტელეფონს ჩასძახოდა, ვიდრე გამოღებულ კართა ღრიჭოებიდან იქაური დროებითი მოსახლეობა აყურადებდა და თავად კი ახლა იმას ფიქრობდა, კიდე რა კვანტს გამომდებს ეს ჩემი წარმომავლობაო.

- მთლად კარგად ვერ ანდერსტენდარე, - ჩასძახა ყურმილში, რაკიღა ბ-ნ ფარშა-ვანგას დიდი ტრფობა გაახსენდა იტალო-ამერიკული ჟარგონის მიმართ; ბოლო-ბოლო, ეგ არ იყო რომ სწრაფკვების უკვდავი მოწოდება მოიგონა: Getta pizza da action! - აქაოდა აქცია გვაქვს, აბა პიცა იაფადო!

ოღონდ ახლა უფრო სხვანაირად იყო საქმე.

- ჩვენმა გამოკითხვებმა გამოავლინა, რომ ეთნიკური უმცირესობა ეთნიკურ შოუებს აღარ სწყალობს! ახლა დინასტია მომინდომეს ან რაღაც ეგეთი. რასაც ყველა, ჩვენც იგივესო, გაიძახიან...შენი მონაწილეობით კი შოუ რასობრივ ელფერს იძენს! „უცხოპლანეტელთა შოუ“ არ შეიძლება რასობრივი კონოტაციის მსხვერპლად

ვაქციოთ, ამას ვერ დავუშვებთ - ბაზრის მსყიდველობითი უნარი, ხომ გესმის.

ჩამჩა თავის გამოსახულებას შეჰყურებდა ტელეფონის აპარატის თავზე ჩამოკიდულ პაწია გაბზარულ სარკეში: იმ ჯინს გავდა, საკუთარი ლამპარი რომ ვერ უპოვია...

- კი მაგრამ, ეს მხოლოდ აზრია აზრის შესახებ... - ჩაიბურტყუნა, თუმც კარგად მოეხსენებოდა, ამგვარი საბუთი აქ არა სჭრიდა. ჰალ ფარშა-ვანგასთან საკუთარი საზრისის ნებისმიერ დასაბუთებას მხოლოდ და მხოლოდ post factum ტვინისჭყლეტის შედეგი შეიძლებოდა ჰქონოდა. ინსტრუქცია-ტრეინინგების შეუვალი მიმდევარი გახლდათ და დევიზად ღრმა ყელის მიერ ბობ ვუდვარდისათვის მიცემული რჩევა აეღო: „ფულის კვალს გაჰყევით!“. მერე ეს ნათქვამი მსხვილი შრიფტითაც წააწერინა სამუშაო მაგიდის თავზე გამოკიდულ „სრულიად პრეზიდენტის მხედრიონის“ კინოპლაკატზე, სადაც მსხიობი ჰალ ჰოლბრუკი ავტოსადგომზე დგას, ჩრდილს შეფარებული. ფულს მისდიე: როგორც თავად ამტკიცებდა, ეს მისმა ხუთმა ცოლყოფილმა - ერთნაირად ფულიანმა და თავკერძამ - რომლებთანაც სათავისოდ ერთნაირად ხელსაყრელ განქორწინების შეთანხმებას მიაღწია, კარგად ჩაუბეჭდეს თავში. ახლანდელი მისი მეუღლე კი ერთი გამწლიკულის ვინმე გახლდათ, ერთი სამჯერ მასზე უმცროსი, წელამდე თმაჩამოზრდილი და მიბნედილმზერიანი, სადღაც მეოთხედი საუკუნის წინ რომ სილამაზის ეტალონად ჩაითვლებოდა. „სულსიქით არაფერი გააჩნია,“ - ადრე, მათი ურთიერთობის უკეთეს დღეებში გაანდო ჩამჩას. - „იმიტომაც დამყვა რომ იცის - რასაც კი ისურვებს, ყველაფერს მიიღებს ჩემგან! ბოლომდე გამომწურავს, მერე კი მორჩა თამაში... და ეგრეც უნდა იყოს! მეც ადამიანი ვარ და არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არაა - ამჯერად ეს სიყვარულია, ძმაო!“

ეგეც კიდე ერთი ინფანტოფილი გამომიჩნდა, რაღა. მრავლდებიან და მრავლდებიან. სახელიც კი ვეღარ გაიხსენა იმ ქალის.

- მოკლედ, ჩემი მიზანი ხომ იცი, - დასკვნის სახით თქვა ბ-ნმა ფარშა-ვანგამ.

- კი, - გულსგარეთ გაეპასუხა ჩამჩა. - ნაღდი წარმოება ნაღდი ნაწარმის მისაღებად.

„თავადა ხარ ნაწარმი, შე ღორო შენა," - გაიფიქრა გულში.

კარგად ახსოვს, პირველად რესტორან „თეთრ კოშკში" რომ შეხვდა ჰალ ფარშა-ვანგას ამ ხუთი თუ ექვსი წლის წინ, მაშინაც უკვე ნაღდი კარიკატურა იყო: რაღაც აბსურდულ, დაგრეხილ სიგარებს ეწეოდა - კუბურებს თავის სრულად კაპიტალისტური თვალთახედვის გამო არა სცნობდა; ბრიტანეთის დროშიან ჟილეტს ატარებდა და უნიონ-ჯეკი საკუთარი სახლის წინაც აღამართვინა გრძელ ჭოკზე. სახელგანთქმულ შანსონიე მორის შევალიესავით ფეტრის ქუდითა და ვერცხლისბუნიკიანი ხელჯოხით დაიარებოდა, რაღაც საშუალოატლანტიკური (არც ამერიკული და არცა ინგლისური) აქცენტით საუბრობდა და დიდი მანქანების დიდი მოყვარული გახლდათ. ერთხელაც, ჩქაროსნულ ტრასაზე მიჯლიგინობდა თურმე, მავანი შვედი ლამაზმანის თავბრუდასახვევად, და ავარიაში კი მოჰყვა. თავად ბ-ნ ფარშა-ვანგას იმ მართლა დრედნოუტს არაფერი დაშავებია, ოღონდ მეორე მხარეს კი ბევრად ცუდად იყო საქმე და ორმეტრიანი, გაცოფებული ოყლაყი რომ დაადგა თავზე, ჰალმა ფანჯარა ჩამოუშვა, ნაზად შეჰღიმილა და თქვა: „ახლა, თუ დროზე არ გატრიალდებით და თქვენს საქმეს არ მიხედავთ, იძულებული გავხდები ალაგობრივ მოგკლათ, სერ!" ეს ალაგობრივ მოგკლავთ მერე მოარულ გამოთქმად იქცა და თუმც ჩამჩა არცთუ უსაფუძვლოდ ეჭვობდა, მთელი ეს ამბავი თავად ჰალის მონაგონიაო, მაგრა გაუთქვა სახელი შოუ-ბიზნესის სამყაროში.

როცა „უცხოპლანეტელები" შავმა რადიკალებმა ამოიღეს მიზანში, ჩამჩას მეტსახელი მოუგონეს - „ყავისფერი ბიძია თომა", ხოლო

მათი ლიდერის, ვინმე უჰურუ სიმბას დაჟინებული მოთხოვნით, შოუს „დეპოლიტიზირება“ მოხდა იმით, რომ ჩამჩა გამოაგდეს იქიდან და მის მაგივრად ოქროსფერკულულებიანი ტევტონი დაააყენეს, რელიეფური მუსკულატურისა და კოსმეტიკური პროტეზირების ერთობლივი ნაწარმი - ერთგვარი ლატექს-სილიკონური შვარცენეგერი. ამ გარდაქმნებს ბარემ ებრაელებიც მიაყოლეს და მიმის მაგივრად, ვიღაც თოჯინა-ბარბის განსახიერება აიყვანეს.

- ჰალ, აკი კონტრაქტი მაქვს დადებული შენს სააგენტოსთან...

ვითარცა ვაცი შესაწირავი.

- არ გამაცინო! რაღა თქმა უნდა, გაქვს - აბა ისე როგორ იქნება? ოღონდ ჯერ ვინმე ვექილს წააკითხე და მერე მიჩივლე. მოკლედ, შენ წარსული ხარ, ჩამჩა, ვეღარ შეიგნე?

მოკლე-მოკლე საყვირები ყურმილში.

* * *

ერთი გაუცხოებული ინგლისის მიერ უარყოფილმა და მეორის მიმართ - გულგატეხილმა, ფრიად უხასიათოდ მყოფმა სალადინ ჩამჩამ უცებ თავის ბევრად უფრო სვებედნიერი ყოფილი კომპანიონის თაობაზე გაიგო ახალი ამბავი: ტინი ბენჩე აჩენ! - გაჰყვიროდა მისი ახლანდელი დიასახლისი. ქ-ნი ჰინდი სღსდ შანდაარის დერეფანში მოლივლივებდა, Cine-Blitz - იმპორტული ინდური კინოალმანახით ხელში, და მის უკან რიგ-რიგობით იღებოდა კარები, დროებითი მოსახლეობა შეჩქვიფებული სახეებით იყურებოდა ღიობებიდან. მიშალა სუფიანი თავისი ოთახიდან გამოვარდა დაფეთებული, „ლივაიზის“ 501-სა და ლიფს

შორის დარჩენილი, ფრიად და ფრიად მომნუსხველი სიშიშვლით, რომლის თვალისმკიდე ვექილმა ჰანიფ ჯონსონმა სახეზე აიფარა ხელი და ისევ საკუთარ კაბინეტში დააპირა შებრუნება.

- ღმერთო შენ დამიფარე ცდუნებათაგან! - ჩაიბურტყუნა სახეაჭარხალებულმა.

მიშალას კი ის აინუნშიც არ ჩაუგდია, დედამისს უყვიროდა:

- რა მოხდა, ვინაა ცოცხალიო?!

- ჯერ ხორცები დაიფარე, უსირცხვილო შენა! - გამოსძახა ქ-ნმა ჰინდმა.

- მორჩი ერთი! - ჩაიბურტყუნა მიშალამ და ჰანიფ ჯონსონს დაეკითხა, გამომწვევად:

- არა, იმაზე რას იტყვი, რაც თვითონ მას ჩოლისა და სარის შორის მოუჩანს?!

ამ დროს კი ქ-ნი ჰინდი ჟურნალს აქეთ-იქით აფრიალებდა მდგმურების თვალწინ და ერთსა და იმავეს გაიძახოდა: ცოცხალია, ცოცხალი!

- ვინა-მეთქი?! - კვლავ მოითხოვა ახსნა-განმარტება მიშალამ.

- ვინა და ჯაბრაილი! - ერთხმად აგნიასდნენ დროებით მოსახლე შოკოლადისფერი ბავშვები. - ფარიშტა ბენჩე აჩენ!

ოღონდაც დიასახლისს ის აღარ შეუნიშნავს, ოთახში შებრუნებულ მის ქალიშვილს კარი რომ დარჩა სულ ოდნავ გამოღებული და ამ ღიობში წამსვე შესხლტა ღირსპატივსაცემი ბ-ნი ჰანიფ ჯონსონი, PhD, წარმატებული ვექილი, ვისაც ერთნაირად პატივს სცემდნენ „შრომის პარტიაში“ და ლანძღავდნენ პარლამენტში - ხმების გადათვლისას ადგილების მითვისების ბრალდებით.

ისე, რამე რომ იყოს და, როდის შეუსრულდა მიშალას 18 წელი? არც არასდროს - იქამდე კიდევ რამდენიმე კვირა რჩებოდა. და სად ბრძანდებოდა ამ დროს მისი უმრწემესი დაიკო, მისი აჩრდილი, ვისაც ასე ვთქვათ, ზედამხედველობა უნდა გაეწია მასზე? სად და - გარეთ. ყოველ შემთხვევაში, იმ ოთახში ნამდვილად არა.

მაგრამ ჩვენ ჩვენს თხრობას მივყვეთ:

Cine-Blitz-ის ცინცხალი ამბავი კი ის გახლდათ, რომ ლონდონში განთავსებული ახალი კინოკომპანია, რომელსაც მაგარი ბიჭი ბილი ბატუტა ჩასდგომოდა სათავეში - მისი მიდრეკილება კინოხელოვნებისადმი ხომ საყოველთაოდ იყო ცნობილი - სახელგანთქმულ დამოუკიდებელ ინდოელ პროდიუსერს, ბ-ნ ვ-ს სისოდიას შეამხანაგებია ლეგენდარული ჯაბრაილის კინოინდუსტრიაში დასაბრუნებლად. თავად ჯაბრაილ ფარიშტა ასე ხსნიდა სიკვდილის ყბებიდან უკვე მეორეჯერ თავის დაღწევას: „ნამდვილად დავჯავშნე ბილეთი ნაჯმუდინის სახელზე და როცა მაძებრებმა ეს ვითომ ჩემი ინკოგნიტო გაშიფრეს - არადა, ჩემი ნამდვილი სახელიც ეგაა - ამან თურმე დიდი გლოვა და ურვა გამოიწვია იქ, ჩემს მიწაზე... ღმერთმანი, სრულიად შემთხვევით დავაგვიანე ჩემს რეისზე, ანთუ ღვთის წყალობა იყო და რაკი ისედაც მინდოდა მცირე ხნით მაინც გავრიდებოდი ყველასა და ყველაფერს, ჩემი სიკვდილის ცნობის ნაადრევობა აღარ გამიმჟღავნებია. გულწრფელ ბოდიშს ვუხდი ყველა ჩემს თაყვანისმცემელს და ახლა ვიტყვი, რომ სიამოვნებით ვუერთდები ზემოხსენებულ პროექტს!“

ცხადია, ფილმი სწორედაც რომ თეოლოგრაფიული იქნებოდა - ოღონდაც, სულ სხვა ნირისა: თხრობა ქვიშისაგან ნაგებ ერთ გამოგონილ, ზღაპრულ ქალაქზე, საცა წინასწარმეტყველი და მთავარანგელოზი შეეჯახნენ ერთმანეთს; ასევე - წინასწარმეტყველის ცდუნებასა და მის მიერ წმინდა, და არა დათმობის გზის არჩევის თაობაზე. „ეს ფილმი, - ალმანახისავე ფურცლებზე უზიარებდა თავის საზრისს მკითხველს პროდიუსერი სისოდია, - მასზედ მოგვითხრობს, თუ როგორ შემოდის სამყაროში სიახლე“.

- და განა არ იქნება ეს აღქმული ვითარცა ღვთისგმობა, შეურაცხყოფა?..

„არავითარ შემთხვევაში!“ - ბეჭედს ასვამდა ბილი ბატუტა. - „ზღაპარი ზღაპარია და ფაქტები - სულ სხვა. ჩვენ მიზნად კი არ

დაგვიდევს რაღაც იმისთანა მასხარაობა გადავიღოთ, როგორიც აი, ის ფილმი გახლდათ - რა ერქვა? ჰო - ღვთის მაცნე, სადაც ყველგან, როცა კი წინასწარმეტყველ მაჰმადს (მშვიდობა სახელსა მისსა!) ხმები ჩაესმოდა, მისივე აქლემის თავს გვაჩვენებდნენ მხოლოდ, პირს რომ აფჩენდა... ბოდიში მომითხოვია და, ეგეთი რამ საჩვენო არაა. ეს მაღალხარისხოვანი, მაღალგემოვნებიანი კინონაწარმი იქნება და არა ერთდღიანი მოხმარებისა. ასე ვთქვათ, ზნეობრივად გამართული თხრობა - ერთგვარი იგავი."

- ან, სულაც სიზმარი. - ამატებს ბ-ნი სისოდია.

მოგვიანებით, როცა დებმა ახალი ამბები სხვენზეც აუტანეს ჩამ-ჩას, იმისთანა განრისხდა, ჩემს მტერს - ხმა მისი იმგვარ სიმაღლე-ებს უწევდა, ლამის იყო გაფხრეწოდა, თითქოს ხორხში დანები ამოუვიდა და მის ყვირილს ფატრავსო; აყროლებული სუნთქვა ქუ-ლებად გამოსდიოდა და ხელებშემართული, ვაცისჩლიქებიანი ფე-ხებით მროკავი, ახლა მართლა ეშმას დაემსგავსა - ხატად მისად რომ ექცია კიდეც განგებას.

- მატყუარა! - გაჰყვიროდა იქ არმყოფი ჯაბრაილის მისამართით. - მოღალატე, დეზერტირი, ნაგავი! რეისზე დავაგვიანეო?! მაშ აბა, ვისი თავი მეჭირა მუხლებშორის, ვინ მიყვებოდა ავ სიზმრებს და სულ სიმღერ-სიმღერით ვინ მოქროდა ცაში?!

- წყნარად, წყნარად, - ემუდარებოდა დაფეთებული მიშალა. - დამშვიდდით, დედა ახლავე მოვა...

სალადინს საბოლოოდ ჩაუწყდა ხმა, მოეშვა, კურკლის გროვაც დაახვავა და მიწყნარდა.

- სულ ტყუილებს გაიძახის, - მოთქვამდა მწარედ. - რაც დაგვე-მართა, ორივეს დაგვემართა...

- ცხადია, ეგრე იქნებოდა! - კვერს უკრავს ანაჰიტა. - აბა სხვა რო-გორ? მაგ ჟურნალებს რა დაეჯერებათ - ცრუპენტელობენ რაღაცას!

ორივე და ფეხაკრეფით ჩამოვიდა სხვენიდან და ჩამჩა საკუთარ სატანჯველს შეატოვა. ოღონდ საქმეც ისაა, რომ მისი გამოხდომით

დაზაფრულებმა, საერთოდ ვერ შეამჩნიეს ის ცვლილება, რაც ამ ვაცკაცას თავს - სწორედაც რომ თავს - ხდებოდა...

და რა იყო მაინც ასეთი? - იკითხავთ. რა და - უკვე შესამჩნევად წამოზრდილი რქები, რისხვით ამგვარი აფეთქების შედეგად, ახლა აშკარად ისევ დამოკლებოდა.

სრული სიზუსტის დაცვის მიზნით კი იმასაც მოგახსენებთ, რომ მის ვაცისმაგვარ სხეულსაც დაეტყო ესე ცვლილება: ნასესხები შარვლის შიგნით (მთლად ნუღარ დავწვრილმანდებით) რაღაც-რაღაცეებმაც იწყო მოცულობითი შემცირება.

მერე კი მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: ადგილობრივმა გაზეთებმა ერთი ამბავი ატეხეს ბილი ბატუტასა და მისი თანმხლები ქალბატონის, მსახიობ მილდრედ მამულიანის მთლად ქალაქის ცენტრში, ერთ-ერთ სუში-ბარში დაკავების გამო. ის ამბავი გასკდა, რომ საზოგადოებისათვის ქველმოქმედებითა და ოკულტისტური საქმიანობით ცნობილ მავან ქალბატონებთან მისულა გვარიანი თანხის გამოსართმევად - აქაოდა ეშმას თაყვანისმცემელ სექტისაგან უნდა დაეხსნა თავი. გაიძვერას რა უნდა და შესაფერისი გარემოო - ცხადია, ეშმას თუ ჩაუვარდი ბრჭყალებში, იაფად ვეღარ გამოძვრები კაცი - უხსნიდა ბილი და მთლად ექვსნიშნა ციფრებს ეაჯებოდა. საქმე ის გახლდათ, რომ ოთხმოციან წლებში ღრმად და ბრმად მორწმუნეთა სრულიად ამერიკული საზოგადოება თავადაც ძაან ისწრაფვოდა, როგორმე უშუალო კავშირი დაემყარებინა უზენაეს ძალებთან და ამიტომაც ბილის თხოვნა - სწორედ დოლარის ძალამოსილების წყალობით ეხსნათ ქვესკნელის ძალებისაგან, ფრიად საამოდ წარმოაჩენდა ეშმაკეულთა დემოკრატიულ ხასიათსა და მათსავე პროგრესულ წინსვლას. ერთადერთი, რაც ბილის მოეთხოვებოდა უესტსაიდელ „მოწყალების დათაგან“ მსხვილ-მსხვილი თანხების გამოსართმევად, მისივე პატიოსანი სიტყვა იყო რომ ეშმა ნამდვილად არსებობს - ის კი არა, საკუთარი თვალებით ყავდა

ნანახი! ასე და ამგვარად, თუკი ლუციფერი არსებობდა, იარსებებდა მიქელ-გაბრიელიც; თუკი ჯოჯოხეთის ალი წვავდა და დაგავდა, ე.ი. სადღაც, ცისარტყელას მიღმა, სამოთხის ნათებასაც შენიშნავდა დაკვირვებული თვალი! როგორც დამტკიცდა, ქ-ნი მამულიანისაც თავს არ ზოგავდა თურმე, ცრემლებად იღვრებოდა და ვისაც საჭიროდ მიიჩნევდა, სწორედ იმათ ემთხვეოდა ხოლმე კაბის კალთაზე - არიქა, ეს ჩემი კაცი გადამირჩინეთო...

ორივენი კი უბრალოდ, მათივე მეტისმეტმა თავდაჯერებამ დაღუპა: მაინცადამაინც იმ სუში-ბარში შეეხეტნენ, სადაც მავანი ქალბატონი ვახშმობდა, რომელმაც რომ სწორედ წინა დღეს მიუთვალა „ეშმაკეული სექტის ბრჭყალებში ჩავარდნილ“ საბრალო წყვილს ხუთი ათასი დოლარი. ისიც ითქვას, ამ ქალბატონს მეტად სასარგებლო კავშირები ჰქონია თურმე ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტში და ლურჯფორმიანები მანამდე გაჩნდნენ იქ, ვიდრე მიმი თავის ტემპურას დააჭაშნიკებდა. ჩამჩას ვარაუდით, ფოტოზე მიმი სწორედ იმ ორმოცათასიან მანტოში გახლდათ გამოწყობილი და სახეზეც ერთმნიშვნელოვანი გამომეტყველება ედო:

არ გაგკარით სუყველას!

ამის მერე ფარიშტას ახალი ფილმის თაობაზე, კარგა ხანს არავის არაფერი სმენია.

* * *

იყო და არა იყო რა, ოღონდ სალადინ ჩამჩამ კი ნამდვილად გაატარა ეშმას ტყავში მთელი თვეები, და ბოლოს უკვე შესამჩნევად გაუუარესდა კიდეც საერთო მდგომარეობა (ის წამიერი გაუმჯობესება, ზემოთ რომ მოგახსენეთ, სათვალავში ჩასაგდებიც არაა): რქები წამოეზარდა და გაუმსხვილდა, ჩაუმუქდა და დაეგრიხა და ახლა უკ-

ვე თავზე შემოხვეული ჩაბალახიდანაც კი იწვერებოდა. გრძელი, ხშირი წვერი მოუშვა, რაც ადრე წარმოუდგენელიც იყო მის პირმრგვალ, ხავერდოვან პირისკანზე. თუმცა, მთელი ტანიც ასეთივე ხშირი, დახუჭუჭებული ბალნით დაეფარა და კუდუსუნიდან კარგა გვარიანი კუდიც ამოეზარდა, დღითიდღე რომ სულ უგრძელდებოდა და მალე შარვლის ტარებაზეც კი ათქმევინა უარი. ისევ ანაჰიტამ უშველა - დედის მდიდარი გარდერობიდან აწაპნა ქალის შაროვარები და ახლა რგოლებად იკეცავდა ფართო, ფართხუნა აღმოსავლურ სამოსში. არადა, ამ მეტამორფოზებით გამოწვეული სტრესის შედეგი იყო თუ რა, მაგრამ სხვაც ბევრი რამ შეეცვალა - მაგალითად, მისთვის უკვე სულერთი იყო, რას გაღეჭდა - ყველაფერს ერთი გემო ჰქონდა და ხანდახან აღმოაჩენდა, რომ სრულიად გონებამიუტანლად, ძველი გაზეთები შეუჭამია... მოკლედ, სულიერადაც იტანჯებოდა საკუთარი თავის ადამიანობიდან - ვაცობაში გარდასახვის გამოისობით. ახლა უკვე სულ უფრო და უფრო მეტ იმ მომწვანო სითხეს საჭიროებდა პირში გამოსავლებად - ისეთი სიმყრალე ამოსდიოდა ხოლმე, მართლა გაუსაძლისი იქნებოდა გარეშე ვინმესთვის.

მისი ამ სახლში ყოფნა გულზე კი ეკლად ესობოდა ქ-ნ ჰინდს, რომლისთვისაც პირველად ელდას ახლა დაკარგული შემოსავლის სადარდებელიც ემატებოდა, თუმცა ისიც ითქვას, ყველაფერს ეჩვევა ადამიანი და ბოლოსდაბოლოს, ისიც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ჩამჩას ეს უბედურება ერთგვარ „სპილოს დაავადებას“ წააგავდა - მეტად ამაზრზენს, რაღა თქმა უნდა, მაგრამ არა - დამზაფრავს.

- ოღონდ ფეხებში ნუ გამებლანდება და უბედურებაში ჩავარდნილ ადამიანისშვილს ლუკმას როგორ დავამადლი, - განუცხადა საკუთარ ქალიშვილებს. - ოღონდაც თქვენ, ჩემივე უსასოობის ნაშიერნო, რაღა ძალა გადგიათ რომ ამ ავადმყოფს დასტრიალებთ თავს, როცა ახალგაზრდობა თითებში გადნებათ?

თუმცა, ამ ვილაიეთში ყოველი ჩემი რწმენა ყავლგასულად და სრულიად უვარგისად მიაჩნიათ - თუნდაც ის რომ ახალგაზრდა ქალიშვილები დედას შემწედ უნდა უდგნენ, გათხოვებაზე ფიქრობდნენ, სწავლას ეწაფებოდნენ... თქვენ კიდე ვიღაც ვაცს უზიხართ სახლში. ეგეთებს ჩვენში ყელს გამოსჭრიდნენ ყურბან-ბაირამის დღესასწაულზე!

თუმცა ქმარი მისი კი გულთბილად ეპყრობოდა, იმ ამბის მიუხედავად, რაც მაშინ მოხდა, როცა თავად ააკითხა სხვენზე და ასე ვთქვათ, კითხვა შეაპარა - იქნებადა შენი სხეულის ეს სატანჯველი მოლას სულიერ ღაღადს განედევნაო? ოღონდ ამის გაგონებაზე, ჩამჩა წამოხტა, პირი დააღო და იმისთანა ოხშივარი ამოუშვა ხახიდან, კაცს კი არა, ცხენს წააქცევდა. მერე კი ეცა სარკმელს, გამოაღო, თან მასპინძელს ებოდიშებოდა:

- ღმერთმანი არ ვიცი რა მჭირს, მაგრამ ხანდახან მეჩვენება, რომ რაღაცა დიდი უბედურება კია ჩემს თავს!

სუფიანი მივიდა, რქებზე ხელებშემოჭდობილ ჩამჩას მხარზე მოუთათუნა და დაუყვავა:

- საკუთარი არსის ცვლილებათა საკითხი, - წამოიწყო რაღაცნაირად, უხერხულად. - მუდამ დიდი და ღრმა დავა-კამათის საგანი გახლდათ. მაგალითისთვის, ლუკრეციუსი თავის უკვდავ ნაშრომში De Rerum Natura გვამცნობს: quodcumque suis mutatum finibus exit, continuo hoc mors est illius quod fuit ante, - ანუ, ბოდიში მომითხოვია ესეგვარი მოთარგმანებისათვის - „თუკი რაიმე საკუთარ საზღვრებს სცილდება და სახეს იცვლის, მეტამორფოზა სასიკვდილოა იმისთვის, რაიც თავად იყო ადრე.“

- თუმცაღა, - საჩვენებელი თითი ზეასწია მასწავლებლადყოფილმა, - პოეტი ოვიდიუსი სწორედ თავის „მეტამორფოზებში“ დიამეტრულად საწინააღმდეგოს გვიმტკიცებს: ცვილისდაგვარად, რომელიც რომ შემთბარი სახით, ნებისმიერ ფორმას იღებს - ოღონდაც კი თავისი არსით იგივე რჩება - ეგრევე სული ჩვენი, იგივმყოფი,

ათასგვარად გარდისახება! - გესმით, ბატონო ჩემო? ჩვენივ სული, ჩვენივე უკვდავი არსი! ამაშია საქმე...

წამოხტა და ლამის იყო, ასკინკილა ეხტუნავა ამ ძველთაძველ სიბრძნეთა აღმოთქმისას.

- რამე რომ იყოს, მუდამ ოვიდიუსი მერჩივნა ლუკრეციუსს, - განაცხადა თავაწეულმა. - სული თქვენი, ჩემო კარგო, მუდამ თქვენთანაა და მხოლოდღა სახეს იცვლის, გადასხვაფერდება, ასე ვთქვათ.

- დიდი შეღავათი... - ჩაიბურდღუნა ჩამჩამ და ფართხუნა სახელოთი ცრემლი შეიშრო თვალზე. - ან ლუკრეციუსს უნდა ვენდო და ვაღიარო, რომ რაღაც ეშმაკისეული გარდასახვა მოხდა ჩემსავე სულის სიღრმეებში, ანდა ოვიდიუსს მივსდიო და ვიძახო - რაც მოხდა, მხოლოდ ჩემივე არსის გამოვლინებაა-მეთქი!

- ე-ე... როგორ ვთქვა და, მთლად დამაჯერებელი დასაბუთება ვერ გამომსვლია. - თავი გააქნია სუფიანმა. - ერთი ეგაა, თქვენი გამხნევება მსურდა.

- რაის გამხნევება, - მწარედ აქვითინდა ჩამჩა და ვეღარც თავისივე ნათქვამის ორაზროვნებას იაზრებდა უკვე. - როცა ის კაცი ვყოფილვარ, ვისი ძველი მეგობარი და მშველელიც, იმავდროულად, მისივე ცოლის საყვარელია და ამით - რასაც ცხადია, თქვენი გრაგნილებიც დასტურჰყოფს - რქიან არსებად გარდამაქცია?

* * *

ძველი მეგობარი, ჯამი ჯოში წამითაც კი ვერ იცილებდა თავიდან იმ აზრს, რომ პირველად თავის ცხოვრებაში, ყოველგვარი სურვილი დაკარგა საკუთარი ზნეობრივი სტანდარტებისთვის

ედევნა. სპორტდარბაზშიც კი, სადაც აღმოსავლურ საბრძოლო ხელოვნებაში ავარჯიშებდა სტუდენტებს და ცდილობდა, ამ დისციპლინის სულიერ მახასიათებლებზე გაემახვილებინა მათი ყურადღება, რის გამოც მაგრადაც აღადავებდნენ (ეი, ჯამილოკია! - გასძახებდა ხოლმე მისი საუკეთესო მოწაფე, მიშალა სუფიანი. - ვიღაც ღორი რო მომადგება ღამით ბნელ მოხვეულში, რა ვქნა - ჯერ ბუდას მოძღვრებაზე გავუბა ლაილაი თუ პირდაპირ ყვერებში ამოვადო?), ახლა უკვე იმგვარი ვნებიანი სიხელე მოედებოდა ხოლმე, ეს სხვებმაც შენიშნეს და ეჭვის თვალითაც კი დაუწყეს ცქერა... ერთხელაც, ერთობლივი სპარინგის მერე, როცა ჯერი-ჯერზე, ორთავე დამშეული საყვარლებივით ებდღვნებოდნენ ხოლმე ერთმანეთს, როცა ორივეს კარგად მოხვდა და ბოლოს, სუნთქვას ძლივს რომ იბრუნებდნენ, მიშალა დაეკითხა კიდეც ამის თაობაზე, მაგრამ იმან ისე აიცილა შეკითხვა, თითქოს ვინმე გულჩათხრობილის ერთი ყოფილიყო:

- დამიწყო ახლა ქოთნისა და ჩაიდნის ამბავი... თუ უფრო - ბეწვისა და დირესი?

გამაგრილებელი სასმელების ავტომატთან შეჩერდნენ.

- კარგი, ხო! ჯერ მე გამოგიტყდები, ოღონდ საიდუმლოს შენახვა უნდა იცოდე...

ერთი ქილა კოკა დაითრია.

- და რა საიდუმლოა ეგეთი?

უმანკო ჯოში. მიშალამ ყურში ჩასჩურჩულა:

- იმ შენმა ძმაკაცმა, ჰანიფ ჯონსონმა წამაწვინა... აი, ვექილი როა, იმან.

აშკარად გაოგნებული ჩანდა და ამან უფრო გააღიზიანა:

- კარგირა! თხუთმეტი წლისა ხო არა ვარ!

- დედაშენმა რომ... - წამოიკნავლა.

- რომ იცოდე, ანაჰიტაზე უფრო ვნერვიულობ. ყველაფერი უნდა, რაც მე მაქვს... ის კი მართლა თხუთმეტისაა ჯერ.

ჯამის კოკა გადმოეღვარა ფეხსაცმელზე.

- მიდი, ჰო! ახლა შენი ჯერია. - თავისას აწვებოდა მიშალა.

ოღონდ ჯ. ჯოშს მთლად ენა დაება, ჯერ ისევ ის ჰანიფის ამბავი ვერ მოენელებინა.

- დაერხა იმ საცოდავს, - ამოღერღა ბოლოს.

მიშალამ წამში იყნოსა რაღაც.

- აჰა-ა, გავიგე. ესე იგი, საიმისო არა ვარ, ეგ გინდოდა გეთქვა? - მერე გატრიალდა და ახლა უკვე მხარსზემოდან გამოსძახა:

- რაო, ბერები არასოდეს წერაობენ?

ბერი არა, იხვი. ისეთივე ბერია, როგორც დეივიდ კარადაინი იმ თავის კუნგ-ფუ სერიალებში - აი, მოხეტიალე შაოლინელ ბერს რომ განასახიერებდა... თვითონ კი აგერ როგორ არ ცდილობს ნოთინგ-ჰილს ახლოსაც არ გაეკაროს, მაგრამ ყოველ საღამოს ისევ პამელასთან მიდის, ფრჩხილებს იკვნეტს, მის ფინიასა და საკუთარ ბრალეულობის გრძნობას ერთად იცილებს თავიდან, მერე კი დროს ტყუილად არ კარგავს, პირდაპირ საძინებელში მიემართება, სადაც ერთმანეთს ეხლებიან, ტუჩებით ნაცნობ თუ ახალ-ახალ ეროგენულ წერტილებს ეძიებენ - ძუძუს კერტებსა თუ მის 21-ე თითს ზედ ტანდენის ქვემოთ.

პამელაც ძალზე აფასებდა მის ამ მოუთმენლობას, რომელიც ჯერ მხოლოდ უკმარისობის გრძნობის შედეგი ეგონა, თუმც კი მერე და მერე, მისი ის თვისებებიც გაიაზრა, რაც მას საშუალებას აძლევდა ქალის ფარულ სურვილებს ჩასწვდომოდა, მისი ტანთხელი სხეულის, კოკორაძუძუებიანი მკერდის აღმა-დაღმა ასვლა-ჩასვლის რიტმი დაეჭირა და ის სიძნელეებიც გადაელახა, მანამდე, კაცებთან ვნებიანი ურთიერთობებისას, ბევრგზის რომ გადაღობებია წინ; მის ფარულ სინდისის ქენჯნასაც გრძნობდა და ორმაგად მადლობელი იყო, რაკიღა ამის გადალახვასაც ახერხებდა ისე, მათს თამაშებში ეს არ გამოჩხერილიყო უდროო

დროს. დიახ, ყველაფერ ამას აფასებდა, ოღონდ იმას კი ვეღარ ხედავდა, ამგვარ სიყვარულსაც რომ თავისი ბოლო უდგება.

იქნებ ამიტომაც იყო რომ ბოლოსაკენ, მთლად მკივანა ხდებოდა ხოლმე: „ვაი! ა-აა!“ - გაჰკიოდა და საკუთარი ხმის მთელს იმ სახელგანთქმულ არისტოკრატიულობას აქსოვდა ამ უაზრო შორისდებულების ამოძახილში: „ო-ო-ო! უ-აა! ხ-ხოო!“

ისე, რამე რო იყოს და, მაგრა კი სვამდა - სკოჩი გინდა, ბურბონი თუ ჯინი და უკვე არცთუ მთლად ჯანმრთელი სიწითლეც გადაჰკრავდა ხოლმე სახეზე. სწორედ სასმელის გამო თუ იყო, მარჯვენა თვალი დაუპატარავდა - მარცხენის განახევრებული სიდიდისა გაუხდა და ჯამშიდი ლამის ჭკუას გადადიოდა, რადგან ეს ამბავი უკვე რაღაც ზიზღისდაგვარსაც კი იწვევდა მასში. ოღონდ ამაზე სიტყვის ჩამოგდებაც კი აკრძალული გახლდათ: ერთხელ სცადა კიდეც და წამში ქუჩაში აღმოჩნდა - ცალ ხელში საკუთარი ფეხსაცმელებითა და პალტოთი - მეორეში. მაინც მიბრუნდა და პამელამაც, ვითომც აქ არაფერიო, ისე გაუღო კარი. მოკლედ, მის გარეგნობაზე ბჭობა-საუბარს პირწმინდად ტაბუ ჰქონდა დადებული, ისევე როგორც ვისკის ცარიელ ბოთლებსა თუ იმ საოცრებაზე, რომ მისი ბოლო ქმარი, მსახიობი სალადინ ჩამჩა, თურმე ჯერ ისევ ცოცხალი გახლდათ, ამავე ქალაქის ერთ რაღაც ხანაგაში სახლობდა და ზებუნებრივი ცხოველის იერი ედო.

ერთი პირობა, ჯამშიდმა სცადა კიდეც სალადინზე ჩამოეგდო სიტყვა - აქაოდა უნდა გაეყარო და მთელი ეს ბაზარი ქვრივობის თაობაზე, სრული უაზრობაა - ბოლო-ბოლო, ადამიანის უფლებები, საკუთრების წილი - რა, მთლად ჯიბეგაფხეკილს ხო არ დატოვებდა კაცს ქუჩაში?! მაგრამ იქვე მოაკეტინეს.

- მისი სიკვდილის ცნობა აგერ მაქ, უჯრაში, - ერთადერთხელ უთხრა და ამით მოითავა ეს საკითხი. - ეგ ვიღაცა ცირკის მაჯლაჯუნა კი ასი წელი არა მჭირდება...

მის ლოთობასთან ერთად, ეს ამბავიც ცუდად გაეჩხირა მათ ურთიერთობაში. ვინ იცის, იქნებ ამიტომაც იყო, ჯამი ჯოში რომ ასე თავდავიწყებით გადაეშვებოდა ხოლმე აღმოსავლური ორთაბრძოლების ჯახა-ჯუხში?!

უცნაური კია და, სწორედ იმხანად, როცა პამელა ლოველასი ასე ჯიუტად უარყოფდა მისი გარდაცვლილ-გარდასახული მეუღლის შესახებ მსჯელობის შესაძლებლობასაც კი, საზოგადოებრივ ურთიერთობათა კომიტეტში მას თანამდებობრივად მოუწია განეხილა განცხადება პოლიციის ქვეგანყოფილებებში ოფიცერთა შემადგენლობის მხრივ ჯადოქრობის შემთხვევათა გამოვლენის თაობაზე. არა, ზოგიერთი საპოლიციო უბანი, დროდადრო, მართლა იკერებდა ხოლმე „უმართავის“ სახელს - ნოთინგ-ჰილი გინდათ, კენტიშთაუნი თუ აილინგტონი - მაგრამ ჯადოქრობა? აქ უკვე ჯამი მეტად იჭვიანად აღიქვამდა საკითხს.

- მთელი შენი უბედურება ისაა, - გაისროლა პამელამ თავისი მაღალდაყენებული ხმით. - რომ ნორმალურობა ჯერ კიდევ ნორმალური მოვლენა გგონია... თვალი გაახილე: ნახე, რა აღარ ხდება ამ ქვეყანაში! არმატურას ღუნავენ კბილებით, სამოსს იძრობენ, შარდს ჩაჩქანებიდან სვამენ - ეს კიდევ არაფერი... შეგიძლია ეს მუშათა კლასის ფრანკმასონობად მონათლო, ოღონდ ჩემთან დღე არ გავა, ვინმე დაფეთებული შავკანიანი არ შემომივარდეს და მოთქმას არ მოჰყვეს ობეას ამაზრზენ წეს-ჩვეულებებზე, გამოწელილ მამლებზე და რა ვიცი... ეგ ნაბიჭვრები ამით კაიფობენ: თავიანთივე უგა-ბუგათი დააშინებენ საცოდავებს და მერე მათია ღამე... არა გჯერა? გამოიღვიძე!

ჯადოქრებზე ნადირობა ეტყობა, სისხლში სდევდათ: მეთიუ ჰოპკინსიდან - პამელა ლოველასამდე. საჯარო გამოსვლებსა თუ რადიო-ტელესივრცეში არცთუ იშვიათად მოკრავდით ყურს მჩხიბავთა გამოვლენაში გამოჯეკილი ბებერი გამომძიებლის ხმას, და სწორედ ამ ხმის გამო იყო, XX საუკუნის გლორიანას ეს

პროექტები სიცილ-ხარხარში რომ არ ინთქმებოდა ხოლმე - პირიქით, „ახალმა ცოცხმა ყველა ჯადო-მისნობა უნდა გამოხვეტოს ჩვენი სახლებიდან!“ - გაისმოდა და სრულიად ოფიციალურ, სამთავრობო გამოძიებასაც კი მოითხოვდნენ ზოგიერთნი. მით უფრო უცნაურად ეჩვენებოდა ჯოშს ის ამბავი, რომ პამელა უარს იყო პოლიციელების ეს უცნაური საქმე საკუთარი ქმრის უცნაურზე-უცნაურ გაუჩინარება-გამოჩენასთან დაეწყვილებინა: სწორედ სალადინ ჩამჩას გარდასახვას არ უნდა გაეჩინა აზრი, რომ ნორმალურობა არანაირად აღარ შედგება უბრალო, „ჩვეული“ შემადგენელებისაგან?! „არა-ა, ეგეთთან არაფერი მესაქმება!“ - ნაღდი მაღრჩობელა მსაჯულივით დასვა პამელამ წერტილი.

* * *

მას მერე რაც მიშალა სუფიანი ჰანიფ ჯონსონთან თავის უკანონო სქესობრივ ურთიერთობაში გამოუტყდა, ჯამშიდს მთელი გზა ერთი აზრი აეკვიატა: არ ყოფილიყო მამამისი თეთრკანიანი და არც ეგეთი მოხდებოდა რამე; ეგ ჩემისა კიდე ალბათ, სირზე ინიშნავს, ვინ, სად და რამდენი წააწვინა! ეგეც ეროვნული სიამაყის ერთი გამოვლინება, ღმერთმანი! და არ უნდა იკითხოს, რა ხნისაა? მიშალას ტანი აქ აყრილი, თორე ისე ბავშვია ჯერ! არაფერიც - რის ბავშვი, რა ბავშვი... ოხ, მე მაგის! და აქ ჯოშს თავადაც გაუტყდა, ასე რომ ემცხეთა მისი პირველობა.

არადა, აქეთ პამელასთან მომავალი, მთელი გზა თავს ირწმუნებდა - ეს ჩემი აღშფოთება ჩემივე ძმაკაცის მიმართ, შეიძლება ითქვას, პირწმინდად ენათმცოდნეობის ამბავიაო. ჰანიფი სრულყოფილად ფლობდა მთავარ ენებს: სოციოლოგიურს, სოციალისტურს, შავ-რადიკალურს, ანტი-ანტი-რასისტულს, დემაგოგიურს, ორატო-

რულს, საქადაგებოს: მოკლედ, ძალაუფლების მთელ სიტყვის კონას. ოღონდ შე ჩათლახო შენა, ჩემი საწერი მაგიდის უჯრაში კი იქექები და ჩემს ლექსებზე ღადაობ; აი, ენის საკითხი: მიხრა-მოხრით როგორ მივაღწიოთ ფორმას, ამით როგორ მივაღწიოთ თავისუფლებას, როგორ გავწმინდოთ მოწამლული ჭები, კალა-პოტში როგორ მოვაქციოთ დროისა და სისხლის ნიაღვრები - აი, ამისთვის კი არა ხელსაწყო არ გაგაჩნია. ძნელი საბრძოლოა და მარცხიც - გარდაუვალი. არც არავინ მოვა შენს ამოსარჩევად, არც ძალა გაგაჩნია, არცა მხარდამჭერები არ გიდგანან გვერ-დში. ოღონდ ჯამშიდს ისიც უნდა ეღიარებინა, რომ ჰანიფის მი-მართ მისი შური სურვილთა ენის უღრმესი ცოდნის გამოისობით იყო განპირობებული: მიშალა სუფიანს განსაკუთრებული, მთლად გადასარევი სილამაზე მომადლებოდა, ოღონდ არც ის იცოდა როგორ მისდგომოდა და ვერც გაუბედავდა ვერასოდეს. ენის ფლობა იგივე გაბედულებაა: აზრის ჩამოქნისა და მისი გან-სიტყვების, რათა მერე ჭეშმარიტებად აქციო.

მერე კიდე, პამელა ჩამჩამ რომ კარი გაუღო, რას ხედავს - ქალს თმა ერთ ღამეში თოვლივით გასთეთრებია, და ამ უბედუ-რების გამო იძულებულიც გამხდარა ერთიანად გადაეპარსა, რა-ღაც ბურგუნდიული ჩაბალახით დაეფარა, რომლის მოხდასაც ახლა არასდიდებით არ თანხმდებოდა.

- სულ ახლახანს დამემართა, - შესტირა. - ვერ გამოვრიცხავ, რომ შემილოცეს.

არ დაუჯერა, რაღა თქმა უნდა.

- უფრო დაგვიანებულ რეაქციას ჰგავს ქმრის ამბავზე, რომე-ლიც გარდაისახა, მაგრამ ჯერაც ცოცხალია.

შუა კიბიდან მოუტრიალდა, სასტუმრო ოთახისკენ გაიშვირა ხელი და დრამატული კონტრალტოთი იკითხა:

- მაშინ, მიბრძანეთ ერთი, რაღა ჩემს ძაღლს დაემართა იგი-ვე?

* * *

იმღამითვე შეეძლო ეთქვა, უნდა მოვრჩეთ ამას, სინდისი აღარ მაძლევს ამის ნებასო, - იქნებ სურდა კიდეც, ამ ქალის რისხვა დაეტეხა თავს და იმ აზრსაც შეგუებოდა, რომ ამგვარი გადაწყვეტილება ერთდროულად კეთილსინდისიერიც იქნებოდა და უზნეოც (იგულისხმება - დაუნდობელი, ცალმხრივი, სათავისო); მაგრამ გადაებიჯა თუ არა საძილე ოთახის ზღურბლს, პამელა კისერზე ჩამოეკიდა და ძაან აინტერესებდა, როგორ მიიღებდა ცნობას, ეს ერთხანობაა ჩასახვის საწინააღმდეგო აბებს აღარ ვიღებო. მოკლედ, ორსულად გახლდათ - მასზე ბევრად იქეთ იყო ცალმხრივი გადაწყვეტილების მიღების იშტაზე და ბოლოს და ბოლოს, სწორედ ის მიეღო რაც სურდა, რაც ჩამჩამ ვერ დაუტოვა - ბავშვი.

- მინდოდა და მივიღე კიდეც საჩუქარი! - უყვირა და აშკარად წკიპზე იყო, აფეთქებას აღარაფერი უკლდა.

ქალის თავკერძობამ კაცისას გადაუჯოკრა და ახლა რაღაც შვებასავითაც კი იგრძნო - აღარც პასუხისმგებლობა და აღარც ზნეობრივი ტვინისჭყლეტა - ოღონდ ახლა ხომ ვეღარ მიატოვებდა? ამიტომაც გამოიბერტყა თავიდან ზედმეტი ფიქრები და პამელასაც მორჩილი ბატკანივით აედევნა საწოლისაკენ.

* * *

კაცი ვერ იტყვის, თანდათანობით ტრანსმიგრირებული სალადინ ჩამჩა საბოლოოდ რაიმე მუტანტად თუ ჯოჯოხეთის მეუფის ავა-

ტარად იქცეოდა, ანთუ (და ამ შესაძლებლობასაც ძალზე ფრთხილად განვიხილავთ, მომხდარი ფაქტიდან - დადგენილ ფაქტამდე, ვიდრე უდავო ჭეშმარიტებათა ჩვენი ყვითელი წყალქვეშა ნავი თავის ნავსაყუდელს არ მიადგება) ჰაჯი სუფიანის იმ ორი ქალიშვილივით, ურჩხულს რომ თავს დაჰფოფინებდნენ ისე, როგორც ეს მხოლოდ ლამაზმანებს შეუძლიათ ურჩხულის მიმართ, სალადინ ჩამჩაც ნელი-ნელ, სულ უფრო და უფრო გულში ჩაიკრავდა მათ. კარგა ხნის განმავლობაში, მიშალაცა და ანაჰიტაც ერთნაირად ახვევდნენ თავბრუს - მუშტი და ჩრდილი, გასროლა და ექო, უმცროსი მუდამ რომ ყველაფერში ცდილობდა მიებაძა თავისი ტანაყრილი, ვითომ სულ ბრაზიანი დისთვის და კარატეს ფეხით დარტყმებსა თუ ვინ-ჩუნის მტკივნეულ, იდაყვისმიერი ბლოკების დაყენებაში ვარჯიშობდა თავგამოდებით. ოღონდ მოგვიანებით, ის სამწუხარო ამბავიც შენიშნა, რომ დებს შორის შუღლმა იჩინა თავი: ერთხელ, როცა სხვენის სარკმლიდან მიშალა ქუჩის მავან ცნობად სახეებზე მიათითებდა სალადინს და უხსნიდა - აი, ეს აქაური სიქჰია, ვიღაც რასისტები დაესხნენ თავს და მას მერე დამუნჯდაო, თორემ ადრე ერთი იმ რამდენიმეთაგანი იყო, მსაჯულად რომ აირჩიესო, ახლა კი სიტყვასაც არ ძრავს და მხოლოდ მისივე ცოლის თანხლებით თუ გამოჩნდება ხოლმე ხალხში, ის დედაკაცი კიდე სულ ერთსადაიმავეს გაიძახის - ყურადღებას ნუ მიაქცევთ, თევზივით მუნჯიაო... კიდე ვინმე „ბუღალტერის მასტი“ (მიშალას სიტყვებია), სახლში მიეშურება პორტფელითა და შიგ ერთი კოლოფი კანფეტებით - ყველას კარგად მოეხსენება, რომ ყოველ საღამოს, სასტუმრო ოთახში სკამებს დაალაგებს ხოლმე ორრიგად, ოჯახის წევრებს სვამს ზედ და ბანგლადეშისაკენ მიმავალი ავტობუსის კონდუქტორი ჰგონია თავი, ზუსტად ნახევარი საათის მერე კი ყველაფერს თავს ანებებს და უაზროდ ზის გატრუნული...

აი, სწორედ ამ დროს შემოვარდა აფოფრილი ანაჰიტა: „ამით მხოლოდ იმის თქმა უნდა, რომ შენ ერთადერთი გამონაკლისი არა ხარ და სულ ეგეთი მახინჯებითა და გაუბედურებულებითაა სავსე აქაურობა!“

მიშალა კიდე ისე ლაპარაკობდა ხოლმე ქუჩაზე, თითქოს ეს რაღაც ბრძოლის ველი ყოფილიყო, ის კიდე - სხვენის სარკმლის სიმაღლეებიდან მომზირალი ანგელოზ-მედავთრე-ტერმინატორი; მისგან იგებდა ჩამჩა ახალი დროის კაურავთა და პანდავთა - თეთრი რასისტებისა და შავკანიანი „შავრაზმელების“ - თანამედროვე მაჰაბჰარატას, ანთუ მაჰავილაიეთის ამბებს.

- ერთი ამას დამიხედეთ! - მიერეკებოდა ანაჰიტა. - თითქოსდა აზრზე არავინ ვიყოთ, „ცხელი ცვილის“ დისკო-ბარში რომ დაიარება ამ პანკურ სამოსში გამოწყობილი და იქ ხელ-ფეხს რომ იქნევს - ცეკვავს, თავისი მოკლე ჭკუით! და კიდე იმ თავის გაქნილ-დაქნილ ვექილთან რომ შმაშუნობს ჭიპხახუნა ბლუზ-როკის ხმებზე! შიდსით დაამთავრებს, მე მე არ ვიყო!

მიშალამ დაუპირა თმებით დაეთრია, მაგრამ დაც კარგი მომზადებული აღმოჩნდა, უგანა და გაშპა კარში. ორივენი სულ თრიხინ-თრიხინით ჩაბრაგუნდნენ ხის კიბეზე.

რაღაც ცუდი იჩითებაო, - გაიფიქრა სალადინ ჩამჩამ.

ნაღდად ეგრე იყო, კი.

* * *

სულ უფრო ხშირად და ხშირად, განსაკუთრებით მაშინ, მარტო რომ რჩებოდა, რაღაც სიმძიმე მოაწვებოდა თითქოს, მერე ჩერდებოდა, ზამბარამოშვებული მოსამართი სათამაშოსავით, მისი სხეული კი რაღაც საეჭვო ხმებს გამოსცემდა, ჯოჯოხეთური საბერვლე-

ბის ქშინვასა თუ ეშმასეული ძვლების ჭახა-ჭუხს; სწორედ ამ დროს ატყობდა ხოლმე, რომ ტანში იზრდებოდა, აქეთ-იქით ირხეოდა და ასევე ირხეოდა ხმები მისი იქ ყოფნის თაობაზე - ბოლოს და ბოლოს, შეუძლებელია ეშმა გყავდეს სხვენზე დამწყვდეული და იმედოვნებდე, ამის შესახებ ვერავინ ვერაფერს გაიგებსო.

ეს ხმები კი ამგვარი გახლდათ: ის თურმე ადგილობრივ მცხოვრებლებს ეცხადებოდა ძილში - ჯამი-მასჯიდის სალოცავის მოლებს, აფრიკულ თავსაბურავსა და შავ-წითელ-ყვითელ პონჩოში გამოწყობილ დრ. უჰურუ სიმბას - ადამიან-მთას, ვინაც დიდის წარმატებით დაასამარა „უცხოპლანეტელთა შოუ“, და თავად მიშალას, და ჯამშიდს, და ჰანიფს, და თვით იმ „საოჯახო“ ავტობუსის კონდუქტორსაც კი - ყველას ესიზმრა, აპოკალიფსურად რომ წამოყუდებულიყო ქუჩის თავზე და ქალაქს რომ ბუგავდა, დამცველგადამწვარი ტოსტერივით; ხოლო ამ ათასერთ ზმანებაში, უზომო კიდურების პატრონი და რქიან-ჩაბალახთავიანი სალადინ ჩამჩა, იმგვარი შემაძრწუნებელი, ხორხისმიერი ხმით მიიმღეროდა რაღაცას, კაცი ვერ გაიგებდა მისი ნამღერის სიტყვებს - იმისდა მიუხედავად, ხილვები ესე განმეორებადი ხასიათისა რომ გახლდათ და ყოველღამ, ჯერი-ჯერზე რომ ეზმანებოდათ იქაურებს.

სულ მალე (ან რა დრო ამას სჭირდება, რო?) სიზმრისეული ეშმას ხატებამ ფრიად მატერიალური გამოხატულება ჰპოვა მათ შორის, ვისაც ჰალ ფარშა-ვანგამ გადაღებილმრწამსიანი ხალხი უწოდა: მაშინ როცა უფერული ნეო-წმ. გიორგიანელები სიზმრად თავიანთ უშუალო, ღრჩოლისმდენ მტერს ხედავდნენ, ყავისფერმოშავო ჯამაათი კლასობრივ-რასობრივ-ისტორიული ძნელბედობით სახიჩარ, გარნა მაინც თავისიანს ჭვრეტდა.სულ მალე-მეთქი, უკვე ზოგს სამკერდე ნიშნად ჰქონდა, ზოგს - ფანჯრების გისოსებზე აკრული, ზოგს - მაისურზე ეხატა და ზოგს - ამოსვი-

რინგებულიც კი. მოკლედ, Sympathy for the Devil - ეშმასადმი თანაგრძნობა: ახალი კონტრაქტი ძველი ჰანგისთვის. ბავშვები რეზინისრქებიანი ქუდებით დარბოდნენ იქით-აქეთ - სწორედ ისე, როგორც ცოტა ხნით ადრე - ანტენებიანით: მაშინ კოსმონავტობა იტაცებდათ. ვაცმენის სიმბოლო - მუშტშეკრული დაძარღვული ხელი ახლა დროშებზე ჩნდებოდა სხვადასხვა პოლიტიკური მსვლელობების დროს; ფლიზჩუ მიჩიუ - მოისმოდა დინამიკებიდან - ჰოუფ იუ გესს მა ნეი-იმ! პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებიდან, ჩინოსნები პირდაპირ მიათითებდნენ „ახალგაზრდა აფრო-აზიელთა შორის ეშმას თაყვანისცემის მზარდ და დაუფარავ ხასიათზე“ და „ფრიად შემაშფოთებლად“ სახავდნენ ვითარებას.

- ჩამჩა, - გაიძახოდა მიშალა. - გმირი ხარ, მე არ მოგიკვდე! ახლა ხალხს მართლა შეუძლია გაგითავისოს: თეთრმა რასამ იმდენი ხნის წინ უარჰყო ეს ხატი, ნამდვილად შეგვიძლია ჩვენ ავიღოთ და ჩვენად ვაქციოთ. მოკლედ, შენი დროც დადგა - უნდა იმოქმედო!

- მომწყდი თავიდან! - აყვირდა სალადინ ჩამჩა. - ეს ის არაა, რაც მინდოდა - ის არაა, რასაც ვნატრობდი!

- ასეა თუ ისე, ამ შენი სხვენიდან მაინც მოგიწევს გამოსვლა, - ნაწყენი ხმით გაეპასუხა გოგონა. - საცაა, ვეღარც დაეტევი შიგ...

რაღაც მართლა ხდებოდა მის თავს.

* * *

- წუხელ კიდევ ერთ ბებრუხანას გამოსჭრეს ყელი, - გამოაცხადა ჰანიფ ჯონსონმა და მერე, ისევ თავის ტრინიდადულ ყაიდაზე მოუქცია. - წყნარად-მშვიდად ვეღაარც გაგივლია ქუჩააში!

ანაჰიტა სუფიანმა, დახლთან რომ ტრიალებდა, ლანგარი დაახეთქა მაგიდაზე.

- არ მესმის, რას წამომადგები ხოლმე თავს, - დაიჩივლა. - ისედაც ცარიელი ნერვები ვარ!

ჰანიფმა ყურიც არ ათხოვა, ჯამშიდს მიუჯდა გვერდით, იმას კიდე მომავალი მამობის გარდა ახლა არც არაფერი ადარდებდა.

- საცოდავო შენა, - მიუსამძიმრა. - მაღალი შტილის პოეზია აღარ მუშაობს? ეგრეა, ძველი სისხლი იოლად შედედდება ხოლმე.

ჯამი ჯოშიმ რაღაც უცნაურად გამოხედა მეგობარს.

- იმას გაიძახიან, რაც თავში მოსდით, - დაასკვნა ბრძნული სახით. - აბა ერთი იმ ფერადკანიანებს გახედეთ, გემისხელა მანქანებით რომ დაგრიალებენ! არადა, ახლა ვინმემ ზანგი თუ გაასაღა, ამბობენ - რასობრივი დანაშაულის ნიშნები არ იკვეთებაო... იმის თქმა მინდა, - დაუმატა ხმადაბლა. - ხანდახან ამ ქალაქის ტყავქვეშ მობუყბუყე აგრესია მართლა მაშინებს! აქ მარტო ვიღაც ბებრუხანების ყელისმჭრელში არაა საქმე - სადაც არ გაიხედავ, იგივე ამბავია. მეტროში ვინმე ტიპის გაზეთზე რომ გაგეკრას იდაყვი, მოგიტრიალდება და შიგ ცხვირ-პირში გწეპავს! ხალხი ისეა გაღიზიანებული, მათთან მე რა მოსატანი ვარ. სხვათა შორის, არც შენა ხარ გამონაკლისი, ჩემო კარგო...

თქვა, მოიბოდიშა, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გავიდა კარში. ჰანიფმა ხელები უმწეოდ გაშალა და კბილები შეანათა ანაჰიტას:

- არა, მაინც რა გინდა რომ ქნა?

იმან კიდე ტკბილად გაუღიმა საპასუხოდ.

- ჰანიფ-ჯან, არასოდეს მოგსვლია თავში, რომ მაინცადამაინც არც არავის ეხატები გულზე?

როცა ამ ბოლო, მაგრამ არა უკანასკნელი მსხვერპლის ამბავი გახმაურდა, საზრისი - ვითომც მოხუც ქალბატონთა მოსწყვედნას ამ „ადამიანის სახედაკარგული ვიღაცის“ მიერ, ვინც მსხერპლთა ფაქიზად ამოღებულ შიგანს რაღაც მხოლოდ მის-

თვის ცნობილი წესისა და რიგის მიხედვით ალაგებდა გაფატრული სხეულის გარშემო, მალე დაესმებოდა წერტილი, რაკიღა გამოძიებას უცილო ეჭვი მიეტანა - აქ საქმე შავკანიანების ოკულტურ რწმენათა გამოვლინებასთან უნდა გვქონდესო; შესაბამისად, მომრავლდა „შავტრაკათა“ დაკავებისა და შემდგომი „მიკერძოებითი დაკითხვის“ შემთხვევები, ისევე როგორც რეიდები იმგვარ დაწესებულებებზე, რომლებიც „ოკულტური პრაქტიკის მიმდევართა იატაქვეშა უჯრედებისათვის თავშესაფრის მიცემაში“ გახლდნენ ეჭმიტანილნი. შედეგად (თუცა კი თავიდან ვერავინ გაიაზრა, რა შედეგიც მოჰყვებოდა ამას) შავებმა, ფერადებმა, თეთრებმა - ყველამ უკვე რეალურად არსებულ ვინმედ მიიჩნია საკუთარ ზმანებათა გმირი - იმად, ვინაც ბუნების კანონთა მიერ დაწესებული ზღვარი გადალახა და ახლა საბელაშვებული დაბორიალობდა ქალაქში; ანუ - ქვეყანაში არალეგალურად შემოღწეული იმიგრანტი, კრიმინალური ელემენტი, რასობრივ უმცირესობათა მებაირახტრე, ვინმე სალადინ ჩამჩა - ამისთანას აბა სხვა რაღა გზა ჰქონდა, თუ არა რომ ხორცშესხმული ყოფილიყო? ხმები კი ელვის სისწრაფით ვრცელდებოდა: მართალია, მავანი ფიზიოთერაპევტი, ვინმე ქ-ნი იაჟუჟუნა, ვინაც საკვირაო გამოცემებს მიჰყიდა ეს ვერსია, ბოლომდე თავადაც ვერ იჯერებდა საკუთარ მონაყოლს, მაგრამ ხალხი კი გაიძახოდა - ბოლი უცეცხლოდ ვის გაუჩენიაო და შანდაარ-კაფეში მოწყობილმა ჩხრეკამ ხომ მთლად გადარია სრულიად ლონდონ-ქალაქის მოსახლეობა. ცხადია, ღვთისმსახურნიც ჩართეს საქმეში, იმათ კიდე, ჩვეულებისამებრ, ცეცხლს ნავთი გადაასხეს - თუ ცოდვებმა არ უწიათ, შავები რაღათ არიან, და საცა ფერთა სიმუქეა, შავი საქმეებიც იქა კეთდებაო...

ამასობაში კი სალადინ ჩამჩა ხორციელ ზრდას განაგრძობდა სხვენში და ისიც ითქვას, ლუკრეციუსი საბოლოოდ არჩია ოვიდიუსს.

* * *

არამდგრადი სული, ყოველივეს ცვლადობა: Das Iცჰ - მე, ყოვლად ფროიდისტული გაგებით. ცხოვრების მდინარებამ შეესაძლოა შენეული მე სრულიად სხვათი შეგიცვალოს, დაგინაწევროს, ამბავს მოგწყვიტოს და შიგადაშიგ ზინი ვაკილზეც ფიქრობდა ხოლმე: გალაქტიკის შორეულ კუთხეში, იმ სხვა პლანეტა ბომბეიზე დარჩენილი ზინი - ეკლექტურობა, ჰიბრიდულობა... რავარი ოპტიმიზმია! მთელი ეს იდეები ერთ დედაბოძს ეყრდნობოდა: თავისუფალი ნება, არჩევანის თავისუფლება. ოღონდაც, ზინი ჩემო, ცხოვრება უბრალოდ, გემართება - ავტოავარიასავით. ანდა უფრო უკეთ - შენივე მდგომარეობის შედეგად: არა არჩევანი, არამედ - უკეთეს შემთხვევაში - რაღაც მიმდინარე პროცესი, უარესში კი - სრული გარდასახვა. სიახლეო? ბევრს ეცადა, მაგრამ იმგვარი ერგო, როგორიც ახლა აქვს. ეგაა და ეგ.

სიმწარე, მძულვარებისა არ იყოს - უხეში საშენი მასალაა; ახლა თავის ახალ თვითობას უნდა ეზიაროს, მართლა იმად იქცეს, რაც არის: ხმამაღალ, მყრალ, საზიზღარ, ჯერარნახულ, ჯერარგაგონილ, არაადამიანურ, ზემძლავრ არსებად. ისეთი გრძნობა გაუჩნდა, ძალმოსილების იმგვარი მოზღავება იგრძნო, იმგვარი რისხვა მოეძალა, თითქოსდა ახლა ნეკა თითით შეეძლო ეკლესიებისთვის გუმბათები აეხადა. ძალამოსილება.

ბრალეულს ეძიებდა. ისიც ზმანებებში იყო და რაღაც განუსხეულებელი, სახე-ხატება უახლოვდებოდა - ჯერაც ბუნდოვანი, მაგრამ სულ მალე სახელსაც მოუძებნიდა.

ვარ ის, რაც ვარ.

დამორჩილება.

* * *

შანდაარის სამყუდროში მაშინ დაერღვა მყუდროება, როცა ერთ დღესაც ჰანიფ ჯონსონი მოვარდა ყვირილ-ყვირილით - უჰურუ სიმბა დააკავეს ბებრუხანების მკვლელობისათვის, შავი ჯადო-მჩხიბაობისათვის, ვუდუს რჯულ-წესებით შემლოცაობისთვის და საერთოდ, კერძო საკუთრების რბევა და ხალხის ცემა-ტყეპა სულ მალე უკვე მასშტაბურ ხასიათს მიიღებსო.

- კარები ჩარაზეთ, - უთხრა სუფიანსა და ქ-ნ ჰინდს. - მაგარი ცუდი ღამე გველოდება.

ჰანიფი იმდენად დარწმუნებული გახლდათ, მთლად გამაოგნებელი ამბები მოვიტანეო, სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა ქ-ნ ჰინდის ყოვლად შეუსაბამო ქცევისათვის, რომელმაც ისეთი ალიყური უთავაზა, ალაგობრივ გათიშა და ჯამის მოუწია ლარნაკიდან ყვავილები ამოეღო და წყალი ესხა მისთვის სახეზე, დიასახლისი კი მეთოდურად ყრიდა ფანჯრიდან ვექილ-პოლიტიკოსის ნივთებს და საბეჭდი მანქანის უბრალო შავი, თუ იურიდიული სიგელ-გუჯრების გასარედაქტირებლად გამიზნული წითელი ლენტებიც ლამის სამეჯლისო განწყობით მიფრიალებდნენ ქუჩაში. საქმე ის იყო, ანაჰიტა სუფიანს, ვისაც რომ ძალა აღარ შესწევდა ეჭვიანობის ნიადაგზე აღმოცენებულ თავის ქვენა გრძნობებს გამკლავებოდა, სულ წვრილად ჩაუკაკლავს დედამისისთვის საკუთარი დისა და ამ გაიძვერა მდგმურის ურთიერთობის ამბავი, ამის მერე კი ქ-ნ ჰინდს რაღა დაეკავებდა - მთელი ამ წლების დამცირება ახლა ამოუვიდა ყელში: ეს ამ ურიებითა და მთლად უცხო ხალხით გაძეძგილ ქვეყანაში იძულებით გადმოსახლება, ეს ზანგების ჯილაგისაგან მისი და მისი ჯალაბობის განუსხვავებლობა, მისი ქმრის უნიათობა - ჰაჯი კი მოილოცა, ოღონდ საკუთარ სახლში ღვთისმოსაობა რომ ვერ დაემკვიდრები-

ნა... და ახლა კიდევ ამისთანა სირცხვილი და თავისმოჭრა უნდოდა?! კაცმა ვერ გააკავა, ისე შეუვარდა მიშალას ოთახში, დიდპირა დანით ხელში და კიდე კარგი, შვილმა მხოლოდ ბლოკებითა და გამტარი დარტყმებით აიცილა საფრთხე - პირწმინდად თავდაცვის მიზნით, თორემ დედისმკვლელობა ზედ ჰქონდა...

ამასობაში ჰანიფიც გონს მოვიდა, ჰაჯი სუფიანი კიდე უსასოოდ შლიდა ხელებს - აქაოდა მე რა ვქნა, მაჰმადიანთა უმეტესობისათვის მექას მოლოცვა უდიდესი სიკეთეა, მე კი ეტყობა, წყევლად მექცაო.

- წადი, - თქვა ბოლოს. - ჰანიფ, ჩემო მეგობარო, წადი და უკან ნუღარ მოიხედავ...

მაგრამ იმან მანამდე არ მოიცვალა ფეხი, სანამ ბოლომდე არა თქვა სათქმელი: მეტისმეტად დიდხანს ვაჭერდი ენას კბილსო, - გაჰყვიროდა. - ძაან-ძაან მაღალზნეობრივ ოჯახად მოგაქვთ თავი, თან კი ცხრა პირ ტყავს აძრობთ თქვენივე სისხლისა და ჯილაგის მობინადრეებსო... ასე და ამგვარად გამოირკვა, რომ ქ-ნ ჰინდს თურმე ქალიშვილებისათვის ფიცი დაედებინებინა - მამამ არაფერი გაიგოს ჩვენს ხანაგაში საცხოვრებელი ფასების თაობაზე, თორემ ყველას თავ-თავის ფულს დაუბრუნებს და ჩვენ ისევ ისე სიდუხჭირეში მოგვიწევს ცხოვრებაო, - რის შედეგად, შანდაარ-კაფეს ამ ციმციმა სულმა საბოლოოდ დაკარგა ცხოვრების ყოველგვარი წადილი.

თავად მიშალაც გამონარნარდა ოთახიდან (ვაი სირცხვილი და თავსლაფდასხმა ნებისმიერი ოჯახისათვისო! - ბოლო მუშტარიც უკვე ამრეზით სტოვებდა დაულეველ ჩაის ფიალაში), თავისი ჩანთა-ჩემოდნებით და თავაწეულმა განაცხადა:

- მივემგზავრები... აბა ერთი სცადოს ვინმემ და დამაკაოს!

როს ქ-ნმა ჰინდმა იხილა უფროსი ქალიშვილი თვისი, ოჯახის ვინძლო საბოლოოდ მისატოვებლად განმზადებული, მაშინღა ჩასწვდა ბნელეთის თავადის მოციქულისათვის თავშესაფრის

მიცემის საზღაურს! მუხლთ ჩაუვარდა და ეაჯებოდა საკუთარ ქმარს - იაზრე, რა დღეც გაგვითენა შენმა გულკეთილობამ და დიდსულოვ-ნებამ და თუ ახლავე, ალაგობრივ არ განვდევნეთ ეშმა სახლიდან, ვაითუ ეს ოჯახი ჩვენი ვეღარც ვერასდროს ეღირსოს ძველებურად ბეჯითად და ბედნიერად ცხოვრებასო! ოღონდაც, ეს მოთქმა-აჯა დასრულებულიც არ ჰქონდა, სახლმა რომ დგანდგარი იწყო, კიბე დაყანთრდა, ხოლო ზემო ბაქნიდან იმისთანა ხმა მოისმა, კაცი ვერ გაიგებდი - იმღერდა ვინმე თუ რაღაც მხეცი ბდღვინავდა და ღრი-ალებდა.

საბოლოოდ, ისევ მიშალა გაემართა იქითკენ, ჰანიფს ხელჩაკი-დებული, მოღალატე ანაჰიტა კი ქვემოდან უცქერდა მხოლოდ: ჩამ-ჩა ახლა უკვე რვა ფუტს აჭარბებდა სიმაღლეში, ნესტოებიდან კი კვამლი ორფერად გამოსდიოდა: ყვითელი მარცხნიდან და შავიც - მარჯვნიდან. ტანს არაფერი ემოსა, მხოლოდღა ხშირი, გრძელი ბა-ლანი უფარავდა სიშიშვლეს, კუდი მისი კი ბრაზიანად აპობდა ჰა-ერს, თვალები წითლად უელავდა და რაღა გასაკვირია, თუკი შიში-საგან ლამის სული გააფრთხობინა რამდენიმე ფეხათრეულ მდგმურს. ოღონდ მიშალა სუფიანი სულ სხვა თიხისაგან გახლდათ მოზელილი:

- არა, მაინც საით გაგიწევია?! - დაეკითხა. - თუ გგონია, ხუთ წუთს მაინც გაატან გარეთ, თანაც - ეგეთ მდგომარეობაში...

ჩამჩა შეჩერდა, თავის უზომოდ ადრეკილ სარცხვინელზე დაიხე-და და მხრები აიჩეჩა.

- რაღაცა მაინც ხომ უნდა მოვიმოქმედო, - გაახსენა მისივე ნათ-ქვამი, თუმცა ამ გრგვინვა-ბღავილში სიტყვებს საერთოდ ძნელად თუ გაარჩევდი კაცი. - ერთი ვინმეა, ვისი ნახვაც მსურს!

- დაიცა, დაასტოპე! - მიშალა ეუბნება. - რამეს მოვიფიქრებთ.

* * *

რა უნდა გეპოვა კაცს შანდაარ-კაფედან ერთი მილით დაშორებულ ამ ადგილას, სადაც ქუჩა რიტმებითაა სავსე, კლუბ ცხელ ცვილში, ადრე რომ ცხელ შოკოლადად იყო ცნობილი? ამ უმთვარო ღამეს, მოდით თვალი მივადევნოთ იმ ხალხს, ოთხივ მხრიდან რომ მოედინება და უაბრო კარში თავის შერგვას რომ ეშურება - მათგან ზოგი წელგამართულია, რიგიანად ჩაცმულ-დახურული, გაამაყებული მზერითა და დამცინავი ღიმილით სახეზე, სხვები - მხრებში აწურულნი, საყელოებაწეულნი, ჩრდილ-ჩრდილ მოარულნი... და რაა იმ კარის მიღმა? ათასფერადი ნათება, დასალევი, დასაყნოსი, მროკავი სხეულები - ზოგი ეულად, თავისთვის, ზოგიც - დაწყვილებულნი, აქეთ-იქით მიქანაობენ; და ის სხვები რაღას მიკეთებენ - საყინულეში გამოდებულ არყისა თუ ჯინის ბოთლებს რომ გაგონებენ, მთელ ამ ავარდნილ მოცეკვავეთა შორის? მთელი ეს ჰიპ-ჰოპისა თუ ჰინდი-ჰოპის ვარსკვლავუკები?

- ძაან-ძაან კი დაზმანულხართ, მთელი ეს ცხელი ცვილის კოდლა! - გაიძახის იქაურობის მეპატრონე, მაგარი ენააქაფებულის ერთი, საუკეთესო თამადა და შეუდარებელი დი-ჯეი - ვინმე პინკვალა, რომლის უზადო კოსტუმი მუსიკის ტაქტზე ელავს და ლაპლაპებს. მართლა მიუსაბაძი ვინმეა, ეს შვიდფუტიანი ალბინოსი: უფერული აქოჩრილი თმა, ეგეთივე უფერო თვალები, ულაპარაკოდ ინდური სახისნაკვთები, ოღონდაც იმ ინდოელის, ინდოეთი რომ არასოდეს უნახავს - ოსტ-ინდოელი ვესტ-ინდოეთიდან. თეთრი შავი კაცი. ნაღდის ვინმე.

და ცვილის ეს უძრავი ფიგურები ვიღასია? არც არავის - ეს თავად ისტორიაა: აი, მერი სიკოლე, რომელმაც ყირიმში არანაკლები მოიმოქმედა, ვიდრე იმ მეორემ, ფლორენციის ბულბულ-

მა, ოღონდ კანის სიმუქის გამო, მის ნამღერს იმდენად აღარც უგ-დებდნენ ყურს; აი, აბდულ ქარიმი, იგივე მუნში, რომელსაც რომ დიდად სწყალობდა დედოფალი ვიქტორია, მაგრამ არ სწყა-ლობდნენ მისი მინისტრები; აგე, ცხელი ცვილის უძრაოდ მოცეკ-ვავე სხვა ფიგურებიც - სეპტიმუს სევერუსის შავი მასხარა, გეორგ IV-ის პირადი დალაქი, რატომღაც მონა-ქალ გრეისთან ხელიხელ-ჩაკიდებული; ექვს ფუტ ქსოვილში გადაცვლილი აფრიკელი მეფის-წული უკოსო გრონიოსო, მონის შვილი იგნეიშეზ სანჩო, რომელიც პირველ აფრიკელ ინგლისურენოვან მწერლად მოევლინა ქვეყანას 1782 წელს - წარსულის მიგრანტები, ბევრ აქაურ ცოცხალ და ნაღ-დად მოცეკვავეთა წინაპრები, მათი სისხლი სისხლთაგანი და ხორ-ცი ხორცთაგანი, შეიძლება ითქვას; პინკვალა კი ამ დროს საქმეშია გართული, სცენიდან ისვრის მოწოდება-სადღეგრძელოებს: მაგრა-ნაწყენი-ვარ-რომ-მესმის-ნარწყევი-ხარ იმიგრაცია-ესეც-კიდევ-ერ-თი-ინსინუაცია ვპასუხობთ-რომ-ჩვენი-პროკლამაცია-ეს-არის-ერ-თი-ნაცია და-თუა-ოკუპაცია-მაშინ-გვეკუთვნის-კონტრიბუცია... და ასე და ამგვარად, რეპის სტილში, მოშხამულ მწვანე ფერდადებული ცვილის ცუდიანები კი იჭყანებიან: მოსლი გინდა, პაუელი, ედვარდ ლონგი თუ ლეგრის ყველა ადგილობრივი ავატარა. მერე კი ბრბოს გუგუნი მატულობს, მუსიკასაც კი ფარავს, ერთ სიტყვად იკვრება:

- დაადნე, დაადნე, გადაადნე, გაალღვე ეგე!

- და ვინ იყოს ეგე? - დასძახებს დი-ჯეი პინკვალა და ბრბოც ხან ამ სახელს გაჰყვირის, ხან - იმას, ბოლოს კი მაინც რომელიღაც ერთზე შეჯერდება. პინკვალაც ტაშს შემოჰკრავს, კრეტსაბმელი მის უკან განიხვნება და ვარდისფერ ზემინიკაბებში გამოწყობილი ქალწულე-ბი საოცარ ოთხთვალას გამოაგორებენ: შუშისკარიან, შიგნიდან ცეცხლისფრად განათებულ, მიკროტალღოვან ღუმელს - ჯოჯოხე-თის ფურნეს...

- აბა, შეუდგეთ გასტრონომიას! - გრგვინავს ხელებაპყრობილი პინკვალა.

არც დიდი რჩევა-გადარჩევა არ უწევთ - ხმა ერისა და ხმა პინკვალასი: სწორედ იმ, ლურჯსამოსიან, დატალღულთმიან, მარგალიტასხმულ ცვილისთოჯინას წამოავლებენ ხელს და - მეგი-ი-მეგა-ფლიდი-ი-მეგი-ი! - ღნავის ბრბო. - მეგი-ფოქსი დავწვათ ბოქსში! ცვილის ფიგურას ჯოჯოხეთის ფურნეში შეაგდებენ და პინკვალაც ჩამრთველის სახელურს დაექაჩება. ო, რა მშვენივრად დნება, ჯერ იკუნტება, მერე იკუჭება, მერე იღვენთება და ბოლოს მთლად უფორმო მასად იქცევა - ახლა უკვე რაღაც ჟელეა მხოლოდ და ბრბოც შვებით ამოიქშინავს: გათავდა!

- ახლა ისევ შევუბერეთ ჩვენებურად! - დასძახებს პინკვალა და მუსიკა ავსებს ღამეს.

* * *

როცა დი-ჯეი პინკვალამ კარგად დაალივერა ის, რაც მისი ავტოფურგონის საბარგულში მოკალათებულიყო, რომელიც მისმა მეგობრებმა, ჰანიფმა და მიშალამ სთხოვეს შანდაარის უკანა კართან მიეყენებინა, გულმა რეჩხი უყო, თუმცა მეორეს მხრივ, არ შეიძლებოდა სიამაყის გრძნობით არ აღვსილიყო, რაკიღა მისი სიზმრების გმირი მართლა ხორციელ არსებად მოვლენოდა! შუა ქუჩაში დადგა, ფარნის ქვეშ, სანამ ის ორი ბჭობდა - სადმე ხომ უნდა წავიყვანოთ და მის მომავალზეც ვიფიქროთო. ბოლოს, ამ დავა-კამათს რომ მორჩნენ, მანაც მხრები აიჩეჩა, მანქანაში ჩაჯდა და ძრავა აამუშავა. ჰანიფი გვერდში მოუჯდა, მიშალა კი ფართო საბარგულში მოთავსდა, სალადინთან ერთად.

დილის ოთხი საათი იქნებოდა, როცა ჩამჩა ცარიელ, ჩარაზულ-გადარაზულ ღამის კლუბში მიიყვანეს. პინკვალამ (მისი ნამდვილი სახელი არასოდეს იხმარებოდა) საწყისი ორი ცალი

ძილის გუდაც გამოჩხრიკა და ჩათვალა, ესეც საკმარისი იქნებაო. ღამენებისას თქმამდე, ჰანიფ ჯონსონმა მაინც სცადა სერიოზული საუბარი ჩამოეგდო ამ ურჩხულთან (ხომ უნდა გესმოდეთ თუ რამდენად მნიშვნელოვანი შეიძლება აღმოჩნდეთ ჩვენთვის, ასე რომ ახლა სასწორზე თქვენს საკუთარ მოთხოვნილებებზე ცოტა მეტი რამ ძევს...), ოღონდ სალადინ მუტანტი მხოლოდ ფრუტუნებდა - ყვითელი და შავი ბოლის თანხლებით - და მანაც ხელი ჩაიქნია. ცვილის ქანდაკებს მარტოდმარტო შერჩენილ ჩამჩას ახლა შეეძლო მის წარმოსახვაში კვლავაც აღდგენილი ის სახე ეჭვრიტა: გასხივოსნებული, შარავანდდადებული, მისტერ პერფექტო - თავად ბ-ნი სრულყოფილება, ღმერთთა სადარი, კოჭი მუდამ ალჩუზე რომ უჯდებოდა, ვისაც მუდამ მიუტევებდნენ ხოლმე ცოდვებს მისთა, ვინც უყვარდათ წრფელის სიყვარულით, ვისაც მარადჟამს აქებ-ადიდებდნენ, აღმერთებდნენ კიდეც... ჯაბრაილ ფარიშტა, რომელიც რომ ისევე ქცეულიყო ანგელოზის მსგავსებად, როგორც თავად იგი - ეშმას ანარეკლად.

და კაცმა რომ თქვას, ვის დასდოს ეშმამ ბრალი, თუ არა მთავარანგელოზს?

ძილისგუდებში გაწოლილმა მხეცმა თვალები გაახილა; ბოლი წამოუვიდა ფორებიდან. ცვილის მანეკენებს ახლა ყველას ერთად ჯაბრაილის სახე დაედოთ - ჩამოგრძელებული, დახვეწილი, მედიდურად პირქუში, თვალმოუწყვეტი ნაკვთებით. მხეცმა კბილები დაკრიჭა და ხანგრძლივი, მყრალი ამოოხვრა ამოუშვა ხახიდან, რასაც ცვილის ფიგურების მეყვსეული ლღობა მოჰყვა. ყველა ერთიანად იატაკზე დაეღვენთა, ტანისამოსიანად. არსება ხვნეშა-ხვნეშით გადაწვა ზურგზე, კმაყოფილი. ახლა, ისევ საკუთარ მოწინააღმდეგეზე შეეძლო გონების მიპყრობა.

სულ მალე შიგანში რაღაც კუმშვა იგრძნო, შეწოვა, განსვლა; აუტანელი, მომკრუნჩხავი ტკივილები დაეწყო და ისეთი გამგმირავი ჭყივილ-კივილი მორთო, ზედ კლუბის თავზე მდებარე, პინკვალას

კუთვნილ ბინაზე ღამენათევმა მიშალამ და ჰანიფმაც კი ვერ გაბედეს გამოხმაურება. ტკივილი ძლიერდებოდა, შემოტევები უხშირდებოდა, გორავდა და დახტუნაობდა კლუბის საცეკვაო მოედანზე, გმინავდა და ოხრავდა, ვიდრე მთლად ძალაგამოცლილს, კვლავაც ღრმა ძილმა არ წაართვა თავი.

მერე, როცა მიშალა, ჰანიფი და პინკვალა საბოლოოდ გამამაცდნენ და რამდენიმე საათის მერე, საცეკვაო დარბაზში მომხდარ სრულ განადგურებას მოავლეს თვალი (მაგიდები იქითაქეთ იყო მიყრილ-მოყრილი, სკამების ნახევარზე მეტი - დამტვრეული, ცვილის ქანდაკები კიდე - დამლღვალი), ყველაფერ ამის შუაგულში იხილეს - არა რაღაც მითიური მაჯლაჯუნა, არა რაღაც რქიანი, ოხშივარსუნთქვიანი იკონოგრაფიული არსება, არამედ თავად ბ-ნი სალადინ ჩამჩა, საკუთარ პირველყოფილ რაობას დაბრუნებული, დედიშობილა და ამდენად, აშკარად და დაუფარავად ადამიანური იერსახისა და თანაფარდობის - მოკლედ, სრულად გაადამიანებული - არადა, ესე ყოველი ხომ მხოლოდ და მხოლოდ მისივე მძვინვარების შედეგად!

ოღონდ თვალებში კი ისევ იგივე ცეცხლისფერი ნათება ედგა.

2

ევერესტიდან რომ ეშვებოდა, ჰალელუია კონიმ კლდოვანი ქედის იქით, მეექვსე ბანაკის დასავლეთით, ჩო-ოიუს მასივის ოდნავ ქვემოთკენ, მზის სხივებში მოელვარე ყინულის ქალაქი დალანდა. შანგრი-ლა - გაუელვა თავში; ოღონდაც ეს მარადიულობის დიდ მწვანე ველს რაღაც არ ჰგავდა - უფრო ცადაწვდენილ, ბასრსა და ცივ ყინულწვერებით ნაგებ ქალაქს. თუმცა სწორედ ამ დროს, შერპა პემბამ შეუძახა - ყურადღება მოიკრიფეო, და როცა ისევ მიატრიალა თავი, ქალაქიც გამქრალიყო. თავად ჯერაც ოცდაშვიდიათასი ფუტის სიმაღლეზე იმყოფებოდა, მაგრამ ამ შეუძლებელი ქალაქის ხილვამ წამიერად კვლავ დროისა და სივრცის მიღმა მოისროლა - ძველი, ჩამუქებული ავეჯითა და

ხავერდის მძიმე-მძიმედ დაშვებული ფარდებით გაწყობილ კაბინეტ-ში, სადაც მამამისი, ოტო კონი, პიკაბიას ბიოგრაფოსი და მისი დრო-ის ხატოვნად ჟამთააღმწერელი, თავის უკანასკნელდა ქალიშვილის დაბადების მეთოთხმეტე წელს „სიცრუეთაგან იმ უსახიფათოესზე“ ესაუბრებოდა, ანუ - ერთიანობის საზრისზე - რომლითაც მთელი ცხოვრება ტვინს გვიმღვრევენო: „თუკი ოდესმე ვინმე გეტყვის, ცდომილთაგან ეს ულამაზესი და უავესი, ასე თუ ისე, ერთგვაროვა-ნია, სავსებით შეთავსებადი და თანხმიერი ელემენტებისაგან შედ-გება, წამსვე ნაცნობ თერძს გადაურეკე და გიჟის პერანგი დაუკვეთე იმ საცოდავისთვის...“ - ისე მოძღვრავდა, თითქოსდა წარსულში თა-ვად არაერთზე დაედგას ფეხი და დასკვნაც შესაბამისი გამოეტანოს. - „არ დაგავიწყდეს, სამყარო შეუთავსებადია: გარეკილი. ინკვიზი-ცია გინდა, ნაცისტები, კომუნისტები, წმინდანები - ყველა ერთად არსებობს დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში: უბრალოდ, ერთ წერტილში რომ ნეტარება სუფევს, ორი ნაბიჯის იქით - ჯოჯოხეთის კარია მოფიათებული. ამაზე ველური ადგილი არც არსადაა.“

აი, იმას ნაღდად რომ ვერ შეაკრთობდა ქვეყნიერების სახურავზე გაშენებული ყინულის ქალაქები. ისევე როგორც მისი მეუღლე ალი-ცია - ალის დედა - ისიც ომიანობის დროს იმ საკონცენტრაციო ბა-ნაკგამოვლილი პოლონელი ემიგრანტი გახლდათ, რომლის სახე-ლიც ოჯახში არასოდეს იხსენიებოდა. „ისეთ სახეს იღებდა, ვითომ ეს ყველაფერი არც ყოფილა,“ - უყვებოდა დედამისი უკვე წამოზ-რდილ ჰალეს. - „ერთის მხრივ, ცხოვრებას სრულიად მოწყვეტილი ვინმე იყო; ოღონდ სიკეთით სავსე და საერთოდ, საუკეთესო ადამი-ანი, ვისაც კი ოდესმე შევხვედრივარ“. - უყვებოდა და გულისგულში კი ეღიმებოდა, რადგან თავის მოგონებებში ბევრად უფრო შემნდო-ბი იყო, ვიდრე მათი ერთობლივი ცხოვრების განმავლობაში, როცა ქმრის გამოხდომები ხშირად მართლა აუტანელი ხდებოდა ხოლმე: კომუნიზმი ისე სძულდა, ეს ხანდახან ქცევის საყოველთაოდ მიღე-ბულ ნორმებსაც კი არღვევინებდა (მაგალითად, შობის წინაღამეს,

რომელსაც ეს ებრაელი კაცი უდრეკად აღნიშნავდა თავისი „ახალ სამშობლოში“ მიღებული წესისა და რიგის მიხედვით, სასტუმრო ოთახში შემოვარდებოდა და სტუმრებს აფეთებდა შე-ძახილებით: „თოვლის ბაბუა მოკვდა! მე მოვკალი, მე - თავმჯდო-მარე მაომ! საშობაო საჩუქრები კი არა, ხვიშტი თქვენ!“). ამის გახსენებაზე, ევერესტის სამხრეთ კალთაზე მდგომ ჰალეს გააჟ-რჟოლა - თითქოსდა დედამისის მაშინდელი შეკრთომა ახლაღა გადაედოო.

სასიცოცხლო ელემენტების შეუთავსებლობა: აქ, ოცდაშვი-დიათასი ფუტის სიმაღლეზე, IV ბანაკის კარავში, მამამისის ეს აკვიატებული საზრისი ყოვლად ბანალურად, სწორედაც რომ ატ-მოსფერომოკლებულად გაისმოდა. „ევერესტი გთრგუნავს,“ - გამოუტყდა ჯაბრაილ ფარიშტას, როცა პარაშუტის ნაჭრისაგან შეკერილ ჩარდახქვეშ იწვნენ ლოგინში. - „უკვე ქვემოთ რომ ეშ-ვები, თითქოს სათქმელიც აღარაფერია. გარშემო ბგერასავით გესმის სიცარიელე. არ-ყოფნა. რაღა თქმა უნდა, დიდხანს ამ შეგრძნებას ვერ დააკავებ. სულ მალე სამყარო ისევ შემოიჭრება შენში. რაც ხმას გაკმენდინებს ისაა, რომ სრულყოფილებას შე-ავლე თვალი და თუკი სრულყოფილად ვერ დაალაგებ საკუთარ აზრებს, სრულყოფილადვე ვერ გადმოსცემ მათ, რაღა გაქ სალა-პარაკო? ერთგვარად, ეს უკვე განცდილის ღალატს გავს, რაც მა-ლევე ქრება; მერე კი რაღაც-რაღაც დათმობებზეც იოლად მიდი-ხარ, რაღაცეებზე თვალსაც ხუჭავ, ცოცხალი რომ დარჩე“.

მათი შეხვედრიდან პირველი ორი კვირა უამრავ დროს ატა-რებდნენ საწოლში: დამშეულებივით, დღეში 6-7-ჯერ ესიყვარუ-ლებოდნენ ერთმანეთს. „შენი წყალობით გავიხსენი,“ - უთხრა ერთხელ. - „თითქოს მესაუბრებოდი, თითქოს შენი ფიქრების წა-კითხვა შემეძლო... არა, თითქოს კი არა,“ - გაისწორა ნათქვამი, - „ვკითხულობდი კიდეც, ეგრეა?“ - ისიც თავს უქნევდა, ნამდვი-ლად ეგრე იყოო. - „მერე კი უკვე სწორი სიტყვებიც თავისთავად

მცდებოდა ენიდან. სწორედაც რომ: ეგაა სიყვარული. პირველად იყო სიტყვა“.

დედამისი რაღაცნაირად ფატალისტურად მიუდგა ჰალეს ცხოვრებაში ამ დრამატულ ამბავს - მისი საყვარლის საიქიოდან მობრუნებას:

- იცი რა გავიფიქრე, როგორც კი ეს მითხარი? - განუცხადა კრეპლახის დაჭაშნიკებისას, ბლუმის ებრაული კერძების რესტორანში. - რომ ღმერთო მაღალო, ეს დიდი გრძნობაა, საბრალო ჰალე ახლა ამასაც უნდა გაუმკლავდეს, საბრალო გოგონა-მეთქი!

ალიციას მთელი სტრატეგია იმაში მდგომარეობდა, საკუთარი ემოციებისთვის მკაცრად ედევნა თვალყური; მაღალი, ფერ-ხორციანი ქალი გახლდათ, ტუჩებსავსე, მაგრამ როგორც თავად იტყოდა ხოლმე, დიდად ხმაურიანი ვინმე არასოდეს ვყოფილვარო. ჰალესთვის არასოდეს დაუმალავს საკუთარი სექსუალური პასიურობა და იმასაც ყოველთვის აღიარებდა, მამაშენი ცოტა განსხვავებული ტემპერამენტის იყო - ვნებებს ვერ ერეოდა ხოლმე, მაგრამ ამის გამო იმდენად უბედურად გრძნობდა თავს, არც კი ვიცოდი რა მექნაო. ერთი ის ამშვიდებდა, რომ მისი ქმრის - ამ ტანმორჩილი, ადრე გამელოტებული, მუდამ ნერვებდაჭიმული კაცის პასიები, როგორც წესი, სულ დიდჯიქნებიანი, ყველაფერზე წამსვლელი ქალები იყვნენ, რომელთაც თვალი მხოლოდ მის საფულეზე ეჭირათ... „ძველი ყაიდის ვინმე იყო, ხელგაშლილი და ძვირფასი საჩუქრების დარიგებაც უყვარდა“.

მამამისი, ოტო კოხენი, ფასდაუდებელ მარგალიტს ეძახდა ჰალელუიას და დიდ მომავალსაც ნატრობდა მისთვის - ისევე როგორც ნებისმიერი მუსიკოსი ნატრობს დიდ საკონცერტო დარბაზში გამოსვლას. „აი, შენმა დამ, ელეინმა კი იმედები გამიცრუა,“ - გამოუტყდა სიკვდილამდე სამი კვირით ადრე საკუთარ კაბინეტში, დიად წიგნებსა და პიკაბიას ნაჩალიჩევ მაიმუნის ფიტულს შორის, რომლის თაობაზეც ამტკიცებდა - პირველი ცდაა, ვიდრე იმ თავის სახელგავარ-

დნილ უბედურებას - „სეზანის, რემბრანდტისა და რენუარის პორტრეტს“ გააშანშალებდაო... და კიდევ რას არ ნახავდით იქ - უამრავ მექანიკურ ხელსაწყოს, სექსუალური ძალის ელექტროსტიმულატორებს, ალფრედ ჟარის „მეფე უბუს“ პირველ გამოცემას... - „ელეინს, აზრების მაგივრად, მხოლოდ მოთხოვნა-სურვილები უყრია თავში...“ (ელენა ინგლისურ ყაიდაზე, ელეინად გადააკეთა, ისევე როგორც ჰალელუია - ჰალე-დ შეკვეცა, თავად კიდე, პან კოხენი ვარშავიდან - ბ-ნ კონ-ად იქცა). წარსული არ ასვენებდა, თანამედროვე პოლონურ ლიტერატურას კი საერთოდ არ კითხულობდა, ცხვირს იბზუებდა ჰერბერტზე, მილოშზე, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ბარანჩაკზე, რადგან მისთვის ენა უიმედოდ გახლდათ ისტორიით შერყვნილი. „მე ახლა ინგლისელი ვარ,“ - ამაყად აცხადებდა თავისი აღმოსავლურევროპული კილოთი. - „სულელური კრიკეტი და... უინძორი! ფუი!“ საკუთარი გამოხდომების მიუხედავად, თითქოსდა სავსებით კმაყოფილიც გახლდათ ესეგვარი „ინგლისელობით“, თუმცა ოთახებში მძიმე ფარდები კი მუდამ ჩამოშვებული ჰქონდა ხოლმე - ემანდ ერთ დღესაც არ გავიხედო და ჩვეული მოსქოუ-როუდის ნაცვლად, ყოფნა-არყოფნის სამყაროულმა შეუთავსებლობამ რაღაც ჯოჯოები ან სულაც, მთვარის სანახები არ დამახვედროსო.

„ასიმილაციის თავგადაკლული მომხრე იყო,“ - განაგრძობდა ალიცია და ახლა ციმესს ჩაასო კბილები. - „სახელები რომ დაგვიცვალა, ვუთხარი კიდეც: ოტო, აბა ეს რაღა საჭირო იყო, ამერიკაში ხომ არა ვართ-მეთქი, მაგრამ გაგიგონა?! მთლად სუფთა ფურცლიდან სურდა ყველაფრის დაწყება, ებრაელობაზეც კი უარი თქვა! ბრიტანელ ებრაელთა საბჭოში ამის თაობაზე დიდი შეხლა-შემოხლაც კი მოუწია. რომ კითხო, ყველაფერი ცივილიზებულადაა იქ, სინამდვილეში კი - ნაღდი ბრძოლა მიდის წესების გარეშე!

ქმრის გარდაცვალების მერე, სწრაფადვე დაუბრუნდა კოხენის გვარს, ჰანუკასა და ბლუმის რესტორანს.

- მორჩა, აღარავითარი ცხოვრების მიბაძვა ამ ცხოვრებაში! - განაცხადა და მეტი დამაჯერებლობისათვის, ჩანგალი აიქნია. - გახსოვს ეგ ფილმი? ჭკუას ვკარგავდი. ლანა ტერნერი გახსოვს? კაცებიც კი ცრემლებს აღვარღვარებდნენ. და ის სცენა - მეჰალია ჯექსონი რომ მღერის ეკლესიაში...

ოტო კონი სამოცდაათს გადაცილებული იყო, ლიფტის ცარიელ ხაროში რომ ჩახტა და სულიც განუტევა. ახლა მხოლოდ ეს რამდენიმე შეკითხვაღა რჩებოდა, რომელთაც ალიცია, ნებისმიერი სხვა, თუნდაც საყოველთაოდ ტაბუდადებული თემებისაგან განსხვავებით, არასგზით არ განიხილავდა ხოლმე: როგორ და რატომ ხდება, რომ საკონცენტრაციო ბანაკს თავდაღწეული ადამიანი კიდევ ორმოცი წელი ცხოვრობს თავისთვის, მერე კი იშვერს ფეხს და იმას აკეთებს, რასაც ჯალათებმა თავი ვერ მოაბეს? ნუთუ ბოროტება ყოველთვის იმარჯვებს, რაც არ უნდა წინააღმდეგობა გაუწიო კაცმა? ნუთუ სისხლში მართლა რჩება ყუნულის ნატეხი და იმდენ ხანს მოძრაობს შიგ, სანამ გულს არ მიაღწევს? და ბოლოს: შესაძლებელია, რომ ადამიანის სიკვდილი ასერიგად შეუთავსებელი იყოს მის ცხოვრებასთან? ჰალემ, რომლის პირველი გამოძახილი მამის სიკვდილზე მხოლოდ ბრაზი იყო, ამისთანები პირშივე მიაყარა დედამისს, იმან კიდე, ფართოფარფლიანი შავი ქუდის ქვემოდან გამოხედა, სახეგაყინულმა და ესღა უპასუხა: „ეტყობა, ეს თავშეკავების უუნარობაც მისგან გადმოგედო, ჩემო კარგო“.

ქმრის სიკვდილის შემდეგ, თავი ანება მაღალი სტილის ჩაცმულობასა და მიხრა-მოხრას, რაიც ოტოს ინგლისურ საზოგადოებაში გათქვეფის უცილობელ პირობად მიაჩნდა: „უ-უფ! რამხელა შვებაა, ჩემო კარგო!“ - გამოუტყდა ერთხელ საკუთარ ქალიშვილს. - „ბოლოს და ბოლოს, ხანდახან ცოტა ფორმიდანაც უნდა ამოვარდე ქალი - ისე, ნაირ-ნაირობისათვის“. ახლა თავის გაჭაღარავებულ თმას

უდარდელ-აგდებულად იკრავდა კეფაზე, ფაშფაშა, ფერად-ფერად, მზა კაბებს ყიდულობდა სუპერმარკეტში, ფერუმარილი საერთოდ მიივიწყა, ბოსტნეული მოჰყავდა იქ, სადაც ოტოს აზრით, მხოლოდ ინგლისური ყვავილნარი შეიძლებოდა გაეწყოთ და ბრძნული ლაყბობით გაჯერებული სადილების ნაცვლად - ნაშუადღევის საუზმეებზე პატიჟებდა გაუგებარ ხალხს და ბალიშებზე ფეხმორთხმული უნგრელი პოეტი-დისიდენტებიც გურჯიევის მისტიციზმზე ავსიტყვაობდნენ. ჰალემ ეს ყველაფერი სრულ უაზრობად მიიჩნია და ერთგვარად საპირისპირო მოქმედება ირჩია: მთაში დაიწყო სიარული.

საქმეც ეგაა, რომ ალიცია კოხენი, რომელიც მუდამ და ყველაფერში მხარს უჭერდა და ამასთან დაკავშირებითაც კი, ქალიშვილს წახალისების სიტყვების გარდა არაფერი გაუგია მისგან, სრულიად უუნარო აღმოჩნდა (როგორც თავად აღიარა, უკვე ფინჯან ყავაზე რომ მიდგა საქმე) მკვდრეთით აღმსდგარი ინდოელი კინოვარსკვლავის თაობაზეც გაეზიარებინა ჰალეს დამოკიდებულება.

„რაც შენგან მესმის, ჩემო კარგო, მაფიქრებინებს რომ ეგ კაცი შენი ტოლფერი ვერაა," - გამოძებნა, მისი აზრით, არასაშენოს ზუსტი სინონიმი და იმედი ჰქონდა, არც რასობრივ თუ რელიგიურ მინიშნებად არ ჩაეთვლებოდა, თუმცაღა სწორედ ასე კი მოხდა:

- ძალიანაც კარგი, - გაცხარდა ჰალე და წამოდგა. - რამე რომ იყოს, ჩემი ფერის ხალხი სულაც არ მეხატება გულზე!

ფეხები ისე სტკიოდა, სულ კოჭლა-კოჭლაობით - ვერ ვიტყვით, გავარდაო - მაგრამ აჩქარებულად ფეხმოთრეული ნაბიჯებით კი გავიდა რესტორნიდან.

- ძლიერი ვნება... - უკან დაედევნა დედის ხმა. - სიტყვად უცხოთა ენათა. ასეთ დროს რაც თავში მოგივა, იმას დააყრანტალებ.

* * *

აღსანიშნია, რომ მისი სწავლა-განათლების ზოგიერთი მხარე უცნაურად უგულებელყოფილი დაურჩათ. ერთხელ მაგალითად, მამამისის სიკვდილის მერე, საკვირაო გაზეთების საყიდლად გავიდა იქვე, კუთხის პაწია მაღაზიაში და გამყიდველმა შესჩივლა: „ეს ჩემი ბოლო კვირაა - ოცდასამი წელი ვიმუშავე ამ ადგილას და ახლა სქელტრაკიანები მაინც მაგდებენ აქედან!“ ჰალეს „სქელკანიანები“ მოესმა და ვერაფრით წარმოიდგინა, სპილოებისა თუ მარტორქების ჯოგი როგორ ქელავს გაზეთების გამყიდველთა დახლებს ზედ მოსქოუ-როუდზე. „ეგენი ვინღა არიან?!“ - დაეკითხა და პასუხიც შესაბამისი მიიღო: „იგივე ყევერები, ოღონდ ახლა - ყავისფერკანიანები!“ ამის მერე კარგა ხანი ეგონა, რომ ვიღაც პაქიდერმებს თურმე თვალში არ მოსდით გარკვეული კანისფერის ხალხი... ეს ამბავი ჯაბრაილს მოუყვა და იმან კი ბევრი იცინა: სპილოებზე ხუმრობები არ გაგიგიაო? - ესღა ჰკითხა. ხანდახან, არც ის გახლდათ მთლად იოლი ასატანი კაცი... ოღონდ ახლა ეს ზორბა, გაუთლელი ბიჭი მის ლოგინში იწვა და ისე ეფერებოდა, თითქოს მკერდი გადაუხსნა და პირდაპირ გულზე ეალერსებაო.

არც ისე დიდი ხნის წინ შეაბიჯა სექსუალურ ცხოვრებაში და სიმართლე ითქვას, არც არასოდეს ყოფილა რომ ასე სწრაფად დაახლოებოდა ვინმეს - თანაც, ყოველგვარი სინდისის ქენჯნისა თუ სირცხვილის გრძნობის სულ იოტისოდენა გამოვლენის გარეშე. ძალზე მწვავედ კი იმას განიცდიდა, რომ აღარ ეხმიანებოდა (სანამ არ გაიგო - ისიც Bostan-ის მგზავრთა შორის ირიცხებოდაო) და შიშობდა, ვაითუ სწორედ ეს გამოხატავს მის ჩემდამი დამოკიდებულებასო: მაგრამ რანაირად შეიძლებოდა შემცდარიყო მის სურვილებში, მის-

წრაფებებში - ეს უბრალოდ, შეუძლებლად მიაჩნდა... ამიტომაც იყო, რომ მისი დაღუპვის ამბავმა ორგვარი, მთლად ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობა გაუჩინა: ერთის მხრივ, მადლიერებისა და სიხარულის, რაკიღა ნახევარი მსოფლიო გადმოულახავს მასთან ერთად ახალი ცხოვრების დასაწყებად; მეორეს მხრივ კი - რაღა სწორედ მაშინ აღარ ყავდა გვერდით, როცა ირწმუნა - ნამდვილად ვუყვარვარო! მაგრამ მერე და მერე ცოტათი ნაკლებ ამაღლებული ფიქრებიც შეეპარა: რანაირად ვარაუდობდა ასე გაუფრთხილებლად მისდგომოდა კარზე - რა იცოდა რომ ხელებგაშლილი დაუხვდებოდა, მომლოდინე, მარტოსული და ორივესთვის საკმარისად დიდ ბინაში? ისე, სხვა რისი მოლოდინი უნდა ჰქონოდა განებივრებული, თავგასული კინომსახიობისაგან, რომელიც იმთავითვე დარწმუნებული გახლდათ, თითქოს ყველა მისი სურვილი წამში უნდა აღსრულებულიყო? თუმცა, ამისთანა ეჭვები მალევე მოიცილა თავიდან და გულის იმ სიღრმეში გამოკეტა, საიდანაც გაუჩნდნენ კიდეც... ბოლოს და ბოლოს, ჯაბრაილმა ხომ ძვირად ზღო საკუთარი ეს თვითდაჯერება და მკვდარი საყვარელი ნაღდად იმსახურებდა „უდანაშაულობის პრეზუმფციის“ მიგებას.

მერე, სანამ ფარიშტა მის ფერხთით იწვა, თოვლში, ჰალე - სულშეგუბებული თავად მისი გამოჩენის ფაქტის შეუძლებლობის გამო - ახლა იმაზე იმტვრევდა თავს, ვაითუ ეს უბრალოდ, ჩემი იმ მხედველობითი ცდომილებების გამოვლენაო (ამგვარი სამედიცინო განსაზღვრება ერჩივნა უფრო მრავლისმომცველ ზმანებას, მას მერე რომ დასჩემდა, რაც ჟანგბადის ბალონებზე თქვა უარი და ჯომოლუნგმას წვერს საკუთარი ფილტვების ხარჯზე ააღწია). თუმცა, როცა წამოსწია, მხარზე გადაიკიდა და წვალებ-წვალებით შეათრია ბინაში, საბოლოოდ დარწმუნდა - არავითარი მოჩვენება და გადაჩვენება ეს არაა, ხორცსავსეცაა და სისხლიც დაუდის ძარღვებშიო. სიმძიმის თრევისაგან ფეხები

ისევ ასტკივდა და ახლა ძველი აღშფოთება დაუბრუნდა: არა, მითხარით ერთი, რა ეშმაკები უნდა ექნა მის ლოგინზე გადათხლაშულ ამ ტეტიასათვის? ღმერთო დიდებულო, ისიც კი გადავიწყნოდა, რამხელაზე შეეძლო ამ კაცს საწოლზე გაწვართვა, ღამის განმავლობაში კი შენს ნახევარზეც შემოჭრილიყო და შენი წილი საბანიც კი დაეთრია სათავისოდ! ოღონდ ახლა სხვა გრძნობაც შემოაწვა - აგერ იწვა, მის იმედად, მისი დაკარგული იმედი: სიყვარული უკანასკნელი.

მთელი ერთი კვირა ლამის დღედაღამ ეძინა, მხოლოდ შიმშილი თუ გამოაღვიძებდა ხოლმე ან სხვა ბუნებრივი მოთხოვნები, და თითქმის არაფერს ამბობდა. ძილშიც მოუსვენრად იყო: საწოლში წრიალებდა, რაღაც სიტყვებს გაიძახოდა - ჯაჰილია, ალ-ლათი, ჰინდი... თითქოს ებრძოდა კიდეც ძილს, მაგრამ ის მასზე ძლიერი იყო და ტალღებად მოაწყდებოდა ხოლმე, უკუაქცევდა და ხელებსღა თუ გაასავსავებდა მხოლოდ, მერე კი ითიშებოდა. ჰალეს ვერაფერი გაეგო, ამისთანა რა სიზმრები სდევდა, რა არ ასვენებდა და შეშფოთებულმა, დედამისს დაურეკა. ალიცია დაუყოვნებლივ გამოცხადდა, ერთი კი შეავლო თვალი მძინარე ჯაბრაილს, ტუჩები დაბრიცა და შვილს განუცხადა:

- ეს კაცი ნაღდად შეპყრობილია, ჩემო კარგო! - ამ ბოლო დროს, აშკარად ზინგერის გავლენის ქვეშ გახლდათ და ამგვარი ცრურწმენები უკვე გვარიანადაღიზიანებდა კიდეც ბევრად უფრო პრაგმატულად მოაზროვნე მის ქალიშვილს. - იქნებ ყურის საცობების გამოსაწმენდი ტუმბო გეხმარა? ამბობენ, დიბუკებს ეგრე უყვართ სხეულიდან გამოსვლაო...

ჰალემ კარამდე მიაცილა დედამისი.

- დიდი მადლობა, - უთხრა. - რომ გამოფხიზლდება, აუცილებლად გადავცემ.

მხოლოდ მეშვიდე დღეს გამოფხიზლდა ბოლომდე, თვალები თოჯინასავით ჭყიტა, წამსვე მისკენ გამოვარდა და ჩაეხვია. ასეთ

უშუალო ქცევაზე ქალს ჯერ სიცილი აუტყდა, მერე კი რაღაც ბუნებრივი სიახლოვის გრძნობა დაუბრუნდა, ჩაეცინა კიდეც: კარგი, ეგრე იყოსო, - თქვა და ერთი მოხდენილი მოძრაობით წაიძრო შარვალიცა და მოფლაშული სვიტრიც (საერთოდ ვერ იტანდა ტანზე შემოტმასნილ სამოსს); მერე კი დაიწყო მაგრამ რა დაიწყო - ნამდვილი სექსუალური მარათონი, რომლის ბოლოს ორივე არაქათგამოცლილი, ბედნიერი და მისავათებული მიეგდო ლოგინზე.

ამის შემდეგ იყო, თავის ამბავს რომ მოუყვა - თვითმფრინავიდან გადმოვვარდი და გადავრჩიო. ჰალემ ერთი ღრმად ამოიოხრა, მაგრამ ცხოვრების უამრავ და ურთიერთსაწინააღმდეგო შესაძლებლობათა მამისაგან ჩანერგილი რწმენის წყალობით, მაინც დაუჯერა - და კიდევ ალბათ იმიტომ, მთაში სიარულმაც ასწავლა ბევრი რამ.

- კარგი, გავიარეთ. - თქვა. - ოღონდ ეს დედაჩემს მაინც არ უთხრა, მოვრიგდით?

სამყარო საოცრებათა სკივრია და მხოლოდ ჩვევა - ყოველდღიურობის ეს თრიაქი გვიჩლუნგებს აღქმის უნარს. ორიოდ დღის წინ წაიკითხა სადღაც - წვის ბუნებრივი პროცესის თანახმად, ვარსკვლავები ნახშირბადს ალმასებად აქცევენო; როგორია?! ვარსკვლავები, სიცარიელეში რომ აფრქვევენ ალმასებს! ეგეც საოცრება იყო, თავისთავად და თუკი ეგეთი რამ შესაძლებელი გახლდათ, სხვა რატომღა იქნებოდა შეუძლებელი? ბავშვები მრავალსართულიანი სახლის ფანჯრიდან გადმოეყარნენ და... არაფერი. იყო ერთი ეგეთი სცენა ფრანსუა ტრიუფოს ფილმში „ჯიბის ფული“: ბიჭუნა მეექვსე სართულიდან გადმოვარდება, რაღაც ბუჩქზე დაებერტყება და ამბობს - „დედა, ბუმ მომივიდა!“ მერე კი დგება და ვითომც არაფერიო, მიდის. აი, დედას კი გული შეუღონდება...

დაფიქრდა.

- ხანდახან, - თქვა. - მეც საოცრებები მემართება.

მერე კი იმას მოუყვა, რაც არავისთვის არასოდეს უთქვამს: ევერესტზე მოხილული ზმანების, ანგელოზებისა და ყინულის ქალაქის ამბავი.

- არადა, ეს მარტო იქ არ მომსვლია, - დაუმატა მერე და მცირე ხნის ყოყმანის შემდეგ გააგრძელა: „უკვე ლონდონში დაბრუნებული, სანაპიროზე მივსეირნობდი - მსურდა ისევე შემეგრძნო, როგორც ის მთა - სისხლხორცეულად, გულისგულში... მთლად ალიონზე იყო ეს, ნისლი ედებოდა იქაურობას და სქელი თოვლი. ის აისბერგებიც სწორედ მაშინ გამოჩნდა - ათი ცალი, მედიდურად მიიწევდნენ აღმა, დინების საწინააღმდეგოდ. ბარდნიდა და რომ გამისწორდნენ, მათი ფორმებიც მერეღა გავარჩიე - მსოფლიოს ათი უმაღლესი მწვერვალის ზუსტი ასლი, აღმავალი წყობით და ის, ჩემი მთაც - გოროზად წამომართული სულ ბოლოს. შევეცადე წარმომედგინა, ხიდებქვეშ როგორ გამოაღწიეს-მეთქი და ამ დროს დაინთქნენ კიდეც ბურანში, თითქოს ნისლმა დაადნოო.“

- ოღონდ ეს კი ნამდვილად მოხდა, - არწმუნებდა ჯაბრაილს. - იქ იყვნენ ყველანი - ნანგა-პარბატი, დჰაულაგირი, შიშაპანგმა...

არც შეკამათებია.

- თუ შენ ასე ამბობ, მართლა ასე იქნებოდა, კი.

აისბერგი - ეს წყალია, მიწად გარდასახვა რომ სურს; ჰიმალაის მთები და განსაკუთრებით, ევერესტი - მიწის მცდელობაა ზეცად იქცეს; ეს მიწის ფრენაა, ლამის ჰაერად რომ იცვალა სახე და განდიდებასაც ეზიარა - ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ვიდრე ამ მთაზე შეადგამდა ფეხს, ჰალელუია კონი დარწმუნებული იყო - ის ჩემს სულში ბინადრობს, ჩემსავე მფარველადო. მისი ბინაც გამოვსებული იყო ჰიმალაებით: ევერესტის გამოსახულებები კორპზე, პლასტიკატზე, ქვაზე, ფილაზე, აგურზე... მთელი სივრცე ევერესტით იყო დასაზღვრული. ერთი სულაც მართლა ყინულისა იყო - მაცივარში, საყინულეში ინახავდა და იშვიათად თუ გამოაჩენდა ხოლმე

- მეგობრებთან თავმოსაწონებლად. რატომ ამდენი? იმიტომ რომ... - სხვა პასუხს ვერც ვერავინ გამოძებნიდა - ის მართლა არსებობს!

- შეხე, - უთხრა და ლოგინიდან არც წამომდგარა, ხელი გაიწვდინა და იქვე მდგარი პატარა, სამფეხა მაგიდიდან მთის ნაძვისგან გამოთლილი ევერესტი გაუწოდა. - ერთმა შერპამ მაჩუქა ნამჩებაზარში. სოფელია 3,440 მეტრის სიმაღლეზე.

ჯაბრაილმა გამოართვა, შეათვალიერა. როცა ემშვიდობებოდა, მაშინ გაუწოდა თურმე - მთელი ჯგუფის სახელითო, უთხრა, თუმცა აშკარად ჩქმალავდა საკუთარ „ღვაწლს“ ამ ამბავში. ერთი-ერთზე იყო გამოჩორკნილი, „ჰილარის საფეხურიც“ კი კარგად ჩანდა - ბოლო წინაღობა ზედ მწვერვალის წინ და მათ მიერ განვლილი მარშრუტიც ღრმად ამოეჭრა ხეში. თითებში ამოატრიალა და წარწერა დაინახა, სასკოლო ინგლისურით შესრულებული: ალე-ბიბის. ამჯერად ბედმა გაგვიღიმა. მეტს ნუღარ ეცდები.

ის კი აღარ უთქვამს ჯაბრაილისთვის, რამდენად დააფეთა შერპას ნათქვამმა - ღმერთქალ-მთაზე მეორედ ფეხისშედგმა სიკვდილის ტოლფასია, რადგან არა მოკვდავს არ ძალუძს ორჯერ შეხედოს თვალებში ღვთაებასო; ოღონდ მთა ხომ იმდენადვე იყო ეშმაკეული, რამდენად ტრანსცენდენტურიც გახლდათ (ან, უფრო უკეთ, მისი ეშმაკეულობა და ტრანსცენდენცია ერთი და იგივე იყო), ამიტომ პემბას მინაწერის დანახვამაც კი მასში ისეთი ღრმა, უკიდეგანო სურვილი გაუღვიძა, რომ ამოიკვნესა კიდეც - სექსუალური თავდავიწყებისა თუ უსასოობის განცდის მსგავსად.

- ჰიმალაები, - უთხრა ჯაბრაილს იმის დასამალად, რასაც სინამდვილეში ფიქრობდა. - ემოციური მწვერვალებია თავისთავად, ისევე როგორც ფიზიკური. რაღაცით ოპერას ჰგავს. ამიტომაცაა ეგეთი სახიფათო. მიდი და შენი გაიტანე, თუ ბიჭი ხარ.

ჰალეს განსაკუთრებული უნარი ჰქონდა რაღაც კონკრეტულიდან აბსტრაქტულში გადაენაცვლა და ამას ისე ახერხებდა, გარეშე მეთვალყურე საგონებელში ვარდებოდა ხოლმე - საერთოდ თუ ითვალისწინებს ამ ორ ცნებას შორის განსხვავებასო.

ჰალე კი იმას იჩემებდა, რომ ან უნდა როგორმე მოეთაფლა მთა, ან - მომკვდარიყო; თავისი ამ ბრტყელტერფობის გადამკიდეს, ალპინიზმზე საერთოდ აღარც უნდა ეფიქრა, მაგრამ ავადობასავით შეყროდა ეს აკვიატება: მორის უილსონის დღესამომდე განუხორციელებელი ჩანაფიქრი - მარტოდმარტო ასვლა ევერესტზე.

ერთადერთი, რაზეც სიტყვაც არ დასცდენია, ის იყო რომ მერე ერთხელ კიდევ იხილა მორის უილსონი - ახლა უკვე ლონდონში, გობლინივით კრამიტის სახურავზე შემომჯდარიყო და იგივე კილტი და ქუდი ამშვენებდა. ისე, არც ჯაბრაილ ფარიშტა უმხელდა, რექჰა ფარდაგოსნის აჩრდილი რომ სდევდა - ასე რომ, მათ შორის კიდევ იყო ჩაკეტილი კარები, ყოველგვარი ფიზიკური სიახლოვისა და ურთიერთობის მიუხედავად: ორივე მალავდა მათზე ადევნებულ აჩრდილებს. ჯაბრაილმაც, ჰალეს მონაყოლის შედეგად გამოწვეული მღელვარება უბრალო სიტყვების ქვეშ ჩაჩურთა - თუ შენ ასე ამბობ, მართლა ასე იქნებოდა... რადგან ეს კიდევ ერთი საბუთი გახლდათ, რომ ზმანებათა სამყარო ნელი-ნელ მოჟონავდა სიცხადის გარემოში და ამ ორი მხარის გამყოფი ბეჭდებიც ახსნადი გახლდათ - ანუ, ორივე ეს, ზენა და ქვენა სამყარო ნებისმიერ წუთს შეიძლებოდა შერწყმულიყო, რაიც თავის მხრივ, ყოველი არსის დასასრულს გამოიწვევდა, უცილობლად. ერთ დღესაც ჰალემ ჯაბრაილს მაშინ წაასწრო, ბლეიკისეულ დიდი ხნის გადაუშლელ „ცისა და ჯოჯოხეთის ქორწინებას“ რომ ფურცლავდა, რომელშიც - ერთ დროს მეტისმეტად ახალგაზრდასა და წიგნების მიმართ ყოველგვარ მოწიწებამოკლებულს - უამრავი შენიშვნა მიეწერა კიდეებზე, ძახილისა თუ კითხვის ნიშნებით აეჭრელებინა გვერდები. ჯაბრაილმა თავი ასწია და

იქედნური ღიმილით შეუდგა რაღაც-რაღაც შენიშვნების ხმამაღლა კითხვას:

- ჯოჯოხეთის იგავთა წიგნში წერია, - ამცნო აუდიტორიას, - რომ ავხორცობა ვაცისა ხელგაშლილობაა ღვთისა ... - (ჰალე ბრაზისაგან წამოჭარხალდა). - მერე კი ეგეთი რამეც სწერია: როგორაც ჯოჯოხეთს მამცნეს, სამყაროს ექვსიათასი წლის შემდგომ ცეცხლში შთანთქმის წინასწარმეტყველება სრულად შეესაბამება სინამდვილეს. - მერე კიდევ, ხაზგასმულია: ესე ყოველივე კი გრძნობად სიამეთა განწმენდის შედეგად მოხდება. თუ გიყვარდე, ეს რაღა უბედურებაა? - დაეკითხა და მკვდარი ქალის, მისი დის, ელენას ფოტო გადააწოდა. - ამაშივე ვიპოვე.

კიდევ ერთი თავსმოხვეული ზმანება, მისი და - დაკრძალული და დავიწყებული. ჩვევის მსხვერპლი.

- ამაზე არ ვლაპარაკობთ ხოლმე. - შიშველი, ლოგინიდან წამოიმართა, მუხლებზე; უფერო თმა სახეს უფარავდა. - თავის ადგილას დააბრუნე.

არავითარი ღმერთი მე არ მიხილავს, და არც გრძნობად აღქმაში ჩაფლულს მიგრძვნია რაიმეს სასრული; ოღონდ თავად შეგრძნებებმა კი ყველაფერში მაპოვნინეს უსასრულობა. წიგნი გადაფურცლა, ელენა კონის ფოტოსურათი შიშველი, გორაკზე ფეხმორთხმით მჯდარი „აღორძინებული ადამიანის“ მზით გასხივოსნებული გამოსახულების გვერდით ჩადო. არაერთხელ მსმენია, ამაოებით პყრობილნი, როგორ უხმობდნენ ანგელოსნი საკუთარ თავს „სიბრძნის ერთადერთ წყაროს“. ჰალემ ხელები აიფარა სახეზე. ახლა ჯაბრაილი მის გამოხალისებას შეეცადა:

- აქ კიდე, ჩამატებულ ფურცელზე მიგიწერია: „სამყაროს წესწყობის შექმნა. მთავარეპისკოპოსი აშერი, 4004 წ. ძვ წ. აღ. მეორედ მოსვლის სავარაუდო თარიღი - 1996“. ასე რომ, ხორციელ გრძნობათა განსაწმენდად დრო ჯერ კიდევ გვაქვს.

თავი გადააქნია. ახლა მოკეტე. გაჩუმდა.

- აბა, ახლა თავიდან მომიყევი ყველაფერი, - უთხრა და წიგნი გვერდზე გადადო.

* * *

ელენა სულ რაღაც ოცი წლისა გახლდათ, ლონდონი რომ ერთი შეტევით აიღო. მისი ექვსი ფუტის სიმაღლის მოუთოკავი სხეული პაკო რაბანის ოქროსფერი ჯაჭვის პერანგშიც მშვენივრად მოჩანდა. მუდამ საოცრად ღირსეულად ეჭირა თავი, თითქოს მთელს დედამიწაზე თავის უფლებას ამკვიდრებსო. ქალაქი მისი სტიქია იყო, აქ ის ისე გრძნობდა თავს, როგორც თევზი წყალში. ოცდაერთისა მოკვდა - ცივი წყლით სავსე აბაზანაში ჩაიღრჩო, ფსიქოტროპული წამლებით გაჭყეპილი. განათუ ყველას შეუძლია საკუთარ სტიქიაში ჩაიძიროს, ფიქრობდა ჰალე. თუკი თევზი შეიძლება წყალში ჩაიღრჩოს, რატო ადამიანები ვერ ახერხებენ იგივეს ჰაერზე? როცა ჰალე 18-19 წლისა გახლდათ, ელენას თვითდაჯერებისა შურდა. ნეტა, რა იყო მისი შემადგენელი ელემენტი? სულთა რომელ პერიოდულ ტაბულაში შეიძლებოდა მისი ნახვა? ახლა, ოთხკედელშუა გამომწყვდეული, მტკივანი ფეხებით, ჰიმალაების ვეტერანი, ჰალელუია კონი მის დაკარგვას გლოვობდა. როცა დიდ სიმაღლეებს აღწევ, ძალიან ძნელია ისევ იმ ძველ, პაწია კოლოფში გამოიკეტო, ციცქნა კუნძულზე, უსასოობის უსასრულობაში. ოღონდ ფეხებმა უღალატეს და ახლა მთებმა უნდა მოუღონ ბოლო.

მითოლოგიური ელენა, პრიალა ჟურნალების გარეკანიდან გადმოსული ქალი, დარწმუნებული იყო თავის უკვდავებაში. ერთხელაც ჰალემ უარი უთხრა „შაქრის ნატეხებზე“ - გონებას აქვეითებსო. ის კიდე, თავის ფართოდ ჩასმული თვალებით, წაწვეტებული ნიკაპით - დამცინავად შესცქეროდა და თავს აქეთ-იქით აქნევდა: იმდენი უჯ-

რედი გაქვს ტვინში, ცოტა რომც გამოგაკლდეს, ვინ რას შეგამჩნევსო, - ეუბნებოდა. თავად კი ისე ფანტავდა ამ თავის უჯრედებს, როგორც რომ მილიარდერი - ხურდას და საკუთარ მწვერვალებს ეპოტინებოდა: როგორც ახლა იტყვიან ხოლმე, გაფრენას ცდილობდა. სიცოცხლეც შაქარყინულივით შემოადნა ხელში და სიკვდილიც შაქარმოყრილი იხილა...

მუდამ ცდილობდა თავისი უმცროსი და „გამოსულ ქალად“ ექცია. ერთხელაც ისე გამოაწყო, ტანსაცმელი უფრო უჩენდა, ვიდრე უფარავდა რამეს და ღამის კლუბში წაიყვანა. ნახევარი საათიც კი ვერ გაძლო იქ. თუმცა ერთი თვის მერე ისევ მიადგა და გამოუტყდა, ქალწულობა მივაკარგეო. აი მაშინ უნდა გენახათ ელენას აღშფოთება - სულ ნათრევი ძუკნა და რაღაც ეგეთები ეძახა. თავად რა - ბოლომდე ქალაქის „ქალწულ დედოფლად“ დარჩა: პათოლოგოანატომმა დასტურჰყო კიდეც მისი virgo intacta, მაშინ როცა ჰალე აღარც ქვედა საცვალს ხმარობდა და ყოველი შემთხვევითი კავშირი დაზე შურისძიების აქტად ეჩვენებოდა. ორ წელიწადში სამი აბორტი გაიკეთა და ისიც შეიგნო, ჩასახვისსაწინააღმდეგო აბები კიბოს გაჩენის გვარიანი წინაპირობა რომ გახლდათ.

დის სიკვდილი რომელიღაც სარეკლამო სტენდზე გამოკრული გაზეთიდან გაიგო: ტკბილი სიკვდილი - ფოტომოდელი შაქარწყალში ჩაიღრჩო! როცა მოკვდები, სიტყვების ამისთანა სულელურ გათამაშებასაც კი ვეღარ აირიდებ - ეს იყო მისი პირველი რეაქცია. სწორედ მაშინ აღმოაჩინა, ტირილი რომ აღარ შეეძლო.

- მერე კიდევ რამდენჯერმე ვნახე, პრიალაყდიანი ჟურნალები გადაჭრელებული იყო მისი ფოტოებით. - უთხრა ჯაბრაილს.

უკვე მკვდარი ელენას შიშველ სხეულს სად არ ნახავდით - მაროკოს ოქროსქვიშოვან უდაბნოში, მთვარის „ჩრდილების ზღვის“ გამოხრიოკებულ ფსკერზე... ჰალე ხან ულვაშებს მიახა-

ტავდა ხოლმე - დახლიდართა გასაცოფებლად, ხან სულაც ჩამოგ-ლეჯდა გამოკრულ ჟურნალს და იქვე, ნაკუწებად აქცევდა... თითქოს სურდა, ცხოვრებიდან წასული საკუთარი და ამ გარეკანებზე ზომბი-რებული არსებობის კლანჭებიდან გამოეგლიჯა. „ნახვამდის," - უთ-ხრა ერთხელაც. - „აღარ მინდა შენი ყურება".

- თუმცა საბოლოოდ, განა მეც იგივე არ დამემართა?

მთებმა ჩაითრია; საკუთარი ტვინის უჯრედები სულაც არანაკლე-ბი საფრთხის ქვეშ ჩააგდო, სულიერი აღტკინების მისაღწევად. რამ-დენი ექსპერტი არ უმტკიცებდა - რვა ათასი მეტრის სიმაღლეზე ადა-მიანს არ შეუძლია გაძლება სასუნთქი ხელსაწყოების გარეშეო. ჯერ თვალებიდან იწყებს სისხლი დენას, მერე ტვინი ჭკნება და სიკვდი-ლიც გარდაუვალიაო. ამიტომაცაა რომ იქ ნაპოვნი, თოვლში ჩაყი-ნული ცხედრები ერთიანად სუყველა ბრმა იყოო. ოღონდ ჰალე და შერპა პემბა ავიდნენ და ჩამოვიდნენ კიდეც, არც თვალები გადმოს-ცვენიათ ბუდეებიდან და არც ჭკუაზე იყვნენ აფრაკად. მაშ, ამ ჩვენს მეცნიერებს რა შეეშალათ?

- მთავარი ისაა რომ ნების სიმტკიცე მათემატიკურად არ გამო-ითვლება და ამიტომ არც ისინი უწევდნენ ამას ანგარიშს. არადა, სა-ბოლოო ჯამში, სწორედ ესაა რასაც იქ აყავხარ, ნება და ბრაზი, ამათ კი ბუნების ნებისმიერი კანონის დაჯაბვნა შეუძლიათ - თუნდაც მცი-რე ხნით. ოღონდ ეგაა, იღბალსაც უნდა სცე პატივი.

თუმცა, რაღაც-რაღაც დანაკარგები მაინც იყო: ზოგჯერ მეხსიე-რების უცნაური ამოვარდნები ეწყებოდა, პატარ-პატარა, სრულიად უცნაური. ერთხელ, თევზეულობის მაღაზიაში, სიტყვა თევზი ვერ გა-იხსენა ვერაფრით; მეორეჯერ - საკუთარ აბაზანაში იდგა კბილის ჯაგრისით ხელში და ვერაფრით გაეგო ამ ნივთის დანიშნულება. ერ-თხელ კი ასეც მოხდა: დილით, ჯაბრაილის გვერდით რომ გაიღვიძა, კინაღამ წაუთაქა და დაეკითხა - ვინა ხარ და ამ ჩემ ლოგინში საიდან გაჩნდიო? „იმედია, მალე გამივლის," - უთხრა მაშინ. თუმცა ჯერაც ხელს უქნევდა ხოლმე მორის უილსონის აჩრდილს სახურავზე.

* * *

სავსებით „გამოსული ქალი“ დადგა, პროფესიონალი სპორტსმენი, საზოგადოებასთან ურთიერთობის უზარმაზარი სააგენტოს წარმომადგენელი, საკუთარ ალპინისტურ აღჭურვილობასაც რომ უწევდა რეკლამას. ოქროს გოგონა იყო, „სამყაროს ჭერიდან“ ჩამოსული, ოღონდ სპორტის სამყაროშიც, სადაც გასაგები მიზეზების გამო, ბანჯგვლიან მამაკაცებს მიყავთ სტოსი, საკუთარი თავის გაყიდვაც უნდა შეგეძლოს და ამდენად, ერთგვარი „ყინულის დედოფლის“ სახელი სულაც არ გახლდათ ზედმეტი. ამ სფეროში გვარიანი ფული ტრიალებდა და ახლა, წლებმომატებულს, სრულიადაც აღარ უჭირდა რაღაც-რაღაც პატარ-პატარა კომპრომისებზე წასვლა, სატელევიზიო თოქ-შოუებშიც კადრულობდა გამოსვლას და აღარც მოზარდების დასმული შეკითხვები აკრთობდა მაღალმთიან პირობებში ქალისა და კაცის ურთიერთობის თაობაზე. ჯაბრაილთან პირველი შელაპარაკებაც სწორედ ამ ნიადაგზე მოუვიდა: „კარგია, როცა საკუთარ თავს გაურბიხარ და იცი, ეს შენი შინაგანი ბუნება უკან მოგდევს, მაგრამ დევნა რომ შეწყვიტოს, მერე სად მიდიხარ?“ - დაეკითხა ერთხელ და თავადვე გასცა პასუხი: „მაგას ჯობია, რაღაც სხვა გზა ეძებო“. მართალიც იყო, რას ერჩი. მერე კი, როცა ისევ შეხვდნენ ერთმანეთს, უკვე დიდების მწვერვალზე მყოფი ერთადერთი, თანაც - ქერათმიანი ქალი, ახლა აქეთ დაეკითხა: „რაკი შენ აღარ ჩნდები ფილმებში, იქნებ მე დამეწყო?“ ოღონდ ამაზე კი ისეთი პასუხი მიიღო, ქვას გახეთქდა: „მხოლოდ ჩემი სიკვდილის მერე!“

მართალია, თითქოს არც არასოდეს უჭირდა რეალობის ჭუჭყში გაესვარა ხელი, მაგრამ მუდამ ისეთი გრძნობა სდევდა, რომ რაღაც უბედურება მიყუჟულიყო სადღაც კუთხეში - ეს ალბათ, მამისა და დის უეცარი სიკვდილის გამო. ეკლიანი მავთულხლართივით გაჭიმულმა მოგონებებმა კი მართლა „საღად მოაზროვნე“ ალპინისტად აქცია და რაკი მისი სათაყვანებელი მეგობრები ერთმანეთის მიყოლებით იღუპებოდნენ მთებში, მისი სიფრთხილეც სულ უფრო მატულობდა. ხშირად ეს დაძაბულ, მჭახე გამოხედვაშიც ვლინდებოდა, ხოლო გარშემო იმგვარი აურა სდევდა, თითქოს ციხე-სიმაგრეა, რომელიც ადრე თუ გვიან, უცილობლად უნდა დაეცესო. სახელიც შესაფერისი დაიგდო - ყინულის დედოფალი და გარკვეულად, ყველა ერიდებოდა მასთან ზედმეტად დაახლოებას. ბოლოს და ბოლოს, მარტოსულობა მისთვის სიმშვიდის სინონიმი გახდა.

ოღონდ ჯაბრაილს კი სიმშვიდის არაფერი ეცხო: მსახურებს დაჩვეული, ტანსაცმელს, ნაფჩხვენებს, ჩაის ნახმარ პაკეტებსაც კი იქ ყრიდა, საცა მოუხდებოდა. თითქოსდა ღატაკი, ქუჩის ბიჭი საკუთარ თავს უმტკიცებდა - ახლა უკვე არაფრის ლაგება მე აღარა მჭირდებაო. და ეს არ იყო ერთადერთი, რასაც ლამის ჭკუაზე გადაყავდა ჰალე: ღვინის ჭიქებს რომ შეავსებდა, ის თავისას უცებ ხუხავდა, მერე საკმარისი იყო გვერდზე გაეხედა და მისსასაც იგივეს დამართავდა ხოლმე. მერე კი ანგელოსური გამომეტყველებით შეხედავდა და ჰკითხავდა - რა მოხდა, ხომ კიდევ დარჩაო? ის კი არადა, ხშირად მართლა წუწუნებდა - წუწუნებდა, ეგ მართლა თოვლიდან ამოთხრილი ეგა - მეტისმეტად პატარა ბინა გაქვსო: „ორ ნაბიჯს გადადგამ და ცხვირით კედელს ეჯახები კაცი!“ ტელეფონზე კი ისე უხეშად ელაპარაკებოდა ყველას განურჩევლად, როგორც ეს ბომბეელ კინოვარსკვლავებს სჩვევიათ - აქაოდა ეს ლაქიები რას გვიკეთებენ, უაზრო სატელეფონო საუბრებსაც კი ვერ აგარიდებენო. ერთხელაც, ალიციამ განუცხადა (მესამე თუ მეოთხე ამისთანა სიტყვიერი ბათქების

მერე) - მაგ შენს მეგობარს რაღაც ყველაფერი რიგზე ვერა აქ სხვენზეო...

- რა სხვენზე, დედა?

- აი იმაზე, თავის მაგივრად რომ ადგას! მოაფათუროს ხელი და უამრავ ნიგოზსა და ქოქოსის კაკალს იპოვის იქ! (ალიციას არასოდეს ავიწყდებოდა ჯაბრაილის ჰინდურობის თაობაზე გადაეკრა სიტყვა).

ჰალე აღარ შეპასუხებია, რადგან უკვე ეჭვი ღრღნიდა - მართლა თუ მოახერხებდა ჯაბრაილთან ცხოვრების აწყობას, თუნდაც იმას ნახევარი მსოფლიო გადმოელახა მისი გულისთვის და ციდანაც ჩამოვარდნილიყო ზედ მის კართან. ცდილობდა კიდეც გაეგო იმ კაცისა, ვინაც საკუთარ თავს მისი ცხოვრების უდიდეს სიყვარულად მიიჩნევდა და ეჭვიც კი არ ეპარებოდა ამაში - ე.ი. ან მართალი იყო ან - ნაგიჟარი. ერთხელ სცადა კიდეც ნაბოკოვის მოჭადრაკესავით გაეაზრებინა, რომ ცხოვრებაში, ისევე როგორც ჭადრაკში, უამრავი კომბინაცია არსებობს, რომელთაც უცილობელი მარცხისაკენ მიყავხარ, და ჯაბრაილს რომ დაელაპარაკა ამის თაობაზე, პასუხად გამყინავი მზერა და გულსატკენი პასუხი მიიღო: „ეგ ლუჟინი ვინ ჩემი ფეხებია? არც მაგის დაცვისა გამიგია რამე და არც თავდასხმის!“ თუმცა, მეორეჯერ მაგრა გააკვირვა, უცბად რომ დაეკითხა: „რატომ მაინცადამაინც პიკაბია?“ და მერე ისიც მოაყოლა, ძალზე უცნაური ამბავი იყო ოტო კოხენის - საკონცენტრაციო ბანაკს თავდაღწეული კაცისაგან - მანქანების, უხეში მექანიკური ძალის, დეჰუმანიზაციის განდიდების ამ ნეოფაშისტური მიდრეკილების მოწონებაო. „ვისაც კი ოდესმე მანქანებთან ჰქონია საქმე, მხოლოდ ერთ რამეს გეტყვის ძრავებზე, კომპიუტერებზე ან თუნდაც, ველოსიპედზე - ბოლო-ბოლო, მაინც ფუჭდებაო“. ნეტა შენ მაინც რა გესმის მაგისიო, უნდოდა ეკითხა, მაგრამ დროზე დააჭირა ენას კბილი. იმან კი წყნარად და მშვიდად აუხსნა: „როცა პირველად გავიგე მარი-

ნეტის თაობაზე, მეგონა მარიონეტებს ეხებოდა საქმე. იმხანად კი მე მართლაც ძალიან მინდოდა ფილმებში თოჯინების ჩართვა - დემონებისა და სხვა ზებუნებრივი ძალების განსასახიერებლად. წავედი და მისი წიგნი ვიყიდე."

წავედი და ვიყიდე. მის გონებას ნემსივით ჩაერჭო ეს სიტყვები. გოგონასთვის, რომლის ოჯახში წიგნი ლამის თაყვანისცემის საგანი გახლდათ (მამა აიძულებდა ეამბორა ყოველი ცალისათვის, რომელიც კი თუნდაც შემთხვევით დაუვარდებოდა ძირს) და საპასუხო რეაქციად მათ მიმართ უმსგავსო მოპყრობა დასჩემდა - მთელ გვერდებს ფხრეწდა, თუკი რაიმე არ მოეწონებოდა; შიგვე იწერდა შენიშვნებს, ტელეფონის ნომრებს - იმის საჩვენებლად, თუ ვინ ვისი პატრონი ბრძანდებოდა, ჯაბრაილის ეს ქცევა - ყოველგვარი ქედმოხრისა თუ პირიქით - განაწყენების გარეშე აეღო წიგნი მხოლოდ იმის გასაგებად, რაც თავად აინტერესებდა, არც კერპად ექცია და არც გაენადგურებინა, მართლა რაღაც ახალი ხილი იყო.

მთავარი კი მაინც ის გახლდათ, რომ ინსტინქტურად ხვდებოდა მის სურვილებს, თითქოსდა მის სულში იხედებაო და შედეგად, სექსიც კი დაელექტროებული გამოსდიოდათ და მათი პირველი კოცნის დროს გაელვებული ის ნაპერწკალი სულაც არ ყოფილა არც ბოლო, არც უკანასკნელი - ეს მუდმივად ხდებოდა და ქალს არათუ ესმოდა ელექტროდების წკაპანი, თმებიც კი - პირდაპირი მნიშვნელობით - ყალყზე უდგებოდა. „მართლა შენი ცხოვრების სიყვარული ვარ?" - დაეკითხა ერთხელ და პასუხი მეყვსეული იყო - „აბა რა!" მერე იმაშიც თავადვე გამოუტყდა, რომ ხმები მისი მიუდგომლობისა და გულცივობის თაობაზე სულაც არ იყო გადაჭარბებული: „ელენა რომ მოკვდა, თითქოს მისი ეს თვისება უკვე მე გადმომედო. აღარც მჭირდებოდა საყვარლების დათვლა მის გასაღიზიანებლად და კაცმა რომ თქვას, სიამოვნებასაც ვეღარ ვღებულობდი მათგან. მთებშიც იმიტომ დავიწყე სიარული, იქ მაინც ვეღარ მომწვდებიან-მეთქი.

თუმცა, არც მთლად ეგრე იყო საქმე: თავად მჭირდებოდა ეს და იმიტომ“.

ყოველ საღამოს თითო საათს დარბოდა კიბეებზე, ფეხშიშველა. მერე კი ბალიშებზე გადაესვენებოდა და თავის წილ ირლანდიურ ვისკის ხუხავდა, პატიოსნად. თავიანთ ოცდამეერთე ერთობლივ ღამეს, ხუთი გვარიანი სირჩა „ჯეიმსონი“ რომ მიირთვა, უთხრა:

- იცი, სინამდვილეში რატო გავუტიე მთებში? არ დამცინო: კეთილისა და ბოროტისაგან თავის დასაღწევად.

არ გაუცინია.

- შენი მოკლე ჭკუით, მთები ზნეობაზე მაღლა დგას? - დაეკითხა, სერიოზული სახით.

- იცი რას გეტყვი? სადღაც XX საუკუნის მიწურულს, ინფორმაციის მიღებამ აზრი დაკარგა და მას მერე სულ ზღაპარში გვგონია თავი. ღმერთმანი, ყველაფერი ჯადოსნურად ხდება და არცერთი ფერია აზრზეც არაა, როგორ და რანაირად. ის როგორღა გავიგოთ, რაა სწორი და რა - მართალი? ისიც კი არ გვესმის კარგად, მათ შორის რა განსხვავებაა. მოკლედ, ან გული უნდა გაიხეთქო, ან მთაზე აბობღდე, წვერზე შემოჯდე და იქ მოგევლინება ჭეშმარიტება, თავისით. იმიტომ რომ, გინდ დაიჯერე და გინდ არა, ქალაქებში ის აღარ სახლობს - აქ ყველაფერი ხელოვნურია, მატყუარა, - და იქ დასახლდა, თხელზე-უთხელეს ძაფებისაგან მოქსოვილ ჰაერში, სადაც მატყუარები ფეხის დადგმასაც კი ვერ ბედავენ იმის შიშით, ტვინი აგვიფეთქდებაო. იქაა, იქ - ეგ მე მკითხე.

კინწი მოწყდა და ფრთხილად გადააწვინა ლოგინში.

როცა ავიაკატასტროფაში მისი სიკვდილის ამბავი გაიგო, მძიმედ განიცადა და სულ რაღაცეებს იგონებდა - დაკარგულ სიყვარულზე თხზავდა რაღაც-რაღაც ზღაპრებს. ისიც სათქმელია, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ეს ერთადერთი მამაკაცი იყო, ვისთანაც ღამე გაეთია და ბოლომდე ვერც გაითავისუფლა თავი

სექსის განხრით არცთუ მთლად საკმარისი გათვითცნობიერების შეგნებისაგან. იქნებადა მართლა გამოჩენილიყო ვინმე, - ოცნებობდა ხოლმე. - ნაბიჯ-ნაბიჯ რომ ამიყვანდა იმ უსახელო მწვერვალებზე, ბანაკებს გამაშლევინებდა, კარვებს დამადგმევინებდა, გეზს დამისახავდა, ქვათაცვენას, ყინულის ნაპრალებს, თოვლის ზვავებს ამარიდებდა... მერე წვერზეც შევდგამდი ფეხს და მოცეკვავე ანგელოზებსაც ვიხილავდი. ოღონდ ის ახლა მკვდარია, ზღვის ფსკერზე წევს, სამუდამოდ.

მერე კი ხელახლა იპოვა.

იქნებ იმანაც ასევე იპოვა ის, ვინც ძველ ცხოვრებას გაურბოდა სიყვარულის საძიებლად და არაფერია ამაში უცნაური: არც მთლად ისე იშვიათად ხდება, რომ ორი ადამიანი ერთმანეთს ერგება, მახვილ კუთხეებს უგლუვებენ ერთმანეთს, ფანტაზიებს რეალობას არგებენ და თავადვე წყვეტენ, რა აკეთონ და რა - არა, ერთად იყვნენ თუ დროზე დაშორდნენ ერთმანეთს; ოღონდ ჯაბრაილ ფარიშტასა და ჰალელუია კონის ურთიერთობა შორს იდგა ამგვარი ერთობისაგან. უფრო სწორად, მათ ურთიერთობას იმთავითვე დაჰყვებოდა გარკვეული კნინი:

(„თანამედროვე ქალაქი, - ბრძნობდა საყვარელ ცხენჯოხას შემომჯდარი ოტო კონი, - არს locus classicus შეუთავსებელ რეალობათა სადემონსტრაციოდ. იმათი ცხოვრება, ვისაც არაფერი აქვთ ერთმანეთთან საერთო, პარალელურად მიედინება ავტობუსში, ერთმანეთის გვერდიგვერდ მსხდომთა მყოფობის წამს; რომელიღაც გზაჯვარედინზე ერთი სამყარო თვალებს აფახულებს იმ მანქანის შუქებში გამოჭერილი შეშინებული კურდღელივით, რომელშიც კიდევ სხვა, სრულიად უცხო და ვაითუ, საწინააღმდეგო ტიპის ინდივიდუუმი აღმოჩნდეს! მაგრამ ვიდრე ასე, ჯიკავ-ჯიკავით ჩადიან მეტროში თუ ქუდს იხდიან სასტუმროს დერეფანში შეხვედრისას, კიდევ არა უშავს; მაგრამ თუკიშენივთდებიან, მაშინ ეს უკვე ურანიუმი და პლუტონიუმია, ერთი ხლეჩს მეორეს და ბუ-უმ!“ - „სინამდვილეში,

ჩემო კარგო, ხშირად საკუთარ თავს უფრო ვამჩნევ შეუთავსებლობის ნიშნებს!“ - გულსგარეთ შენიშნავს ალიცია.)

ანუ - ჯაბრაილის წრეგადასული მესაკუთრეობა და ეჭვიანობა, რომელსაც ბოლომდე თავადაც ვერ იაზრებდა, რადგან არასოდეს მანამდე არ აღიქვამდა ქალს როგორც რამ საუნჯეს, და კიდევ - ის მოახლოებული გარდასახვა, ანთუ ბნედისმომგვრელი საზრისი, რომ არც მეტი, არც ნაკლები - თავად მთავარანგელოზი გახლდათ, და არა უბრალო ვინმე რიგითი მთავარანგელოზი, არამედ გაცხადების ანგელოზი - ახლა, შაითანის დაცემის მერე, უპირველესი პირველთა შორის.

* * *

რაკიღა დღეებს სრულ განმარტოებაში ატარებდნენ, ვნების ზეწრებში გამოხვეულები, მისი ეს მთლად ველური, განუკითხავი ეჭვიანობა - რომელიც, როგორც რომ იაგო გვაფრთხილებდა - მწვანეთვალა, საზარელი ქმნილება არის და იმავ საზრდოს გესლავს, რითაც თავად იკვებება - იმთავითვე თვალშისაცემი არ გამხდარა. ოღონდ ერთხელაც, მხარიღლივ ზეწარგადაგდებული რომ დააბიჯებდა ბინაში, კარზე მიმაგრებული, ჩარჩოებში ჩასმული კომიკსების ნახატი აღმოაჩინა წარწერით: ჰალეს, მომავლის იმედით, ბრუნელისაგან და ერთი ამბავი დააწია - ვინაა ეს ჩემისა, აქ რატო გიკიდიაო. ქალს კი ალალად ჩაეცინა:

- ნაღდი ტოგაში გამოწყობილი ბრუტოსი ხარ, რა! „და ბრუტოსი ხომ არის კაცი პატიოსანი!“

ის კიდე თავისას არ იშლიდა, მხარში ჩაფრენოდა და გაიძახოდა - მითხარი, ვინააო.

- შენ რა, მართლა არ ხუმრობ? - გაიკვირვა. ჯეკ ბრუნელი მხატვარ-ანიმატორი გახლდათ და კარგად იცნობდა მამამისს. ერთმანეთთან არც არაფერი აკავშირებდათ, ამ პატარა საჩუქრის გარდა. ჯაბრაილი კიდე დაიქოქა და აღარ გაჩერდა - თუ თქვენს შორის არც არაფერი ყოფილა, აქამდე რატო არ გადაუძახე სანაგვეშიო! მერე კი საწოლ ოთახში გაბლაყუნდა, ის თავისი გაბარდინის პალტო მოიცვა და არც დონ ენრიკე დიამანტის ფეტრის ქუდის თავზე ჩამოფხატვა დავიწყნია. კარის წირთხლს მიყრდნობილი ჰალე ჯერ ისევ მშვიდად ადევნებდა თვალს.

- არც იფიქრო, ოდესმე უკან დამაბრუნებ! - გაჰყვიროდა ჯაბრაილი და გულის სიღრმეში იმედი ჰქონდა, მოვა, დამაწყნარებს და ყველაფერი ძველებურად იქნებაო.

ოღონდ ჰალეს ეს არც უფიქრია, მხრები აიჩეჩა მხოლოდ და სწორედ მაშინ იყო, საკუთარი მძვინვარების უმაღლეს ტალღაზე, მიწის საზღვრები რომ მოიშალა თითქოს, წყალთა ზღუდეებიც მოირღვა, ზმანებათა სულები შემოიჭრნენ ყოველდღიურობის სამყაროში და ჯაბრაილ ფარიშტამაც იხილა ღმერთი.

ბლეიკისეული ისაიასათვის ღმერთი მუდმივი ერთეული იყო, განუსხეულებელი მოშურნე; ოღონდ უზენაესის ჯაბრაილისეული ხილვა სულაც არ გახლდათ რაღაც განყენებული რამ: პირიქით - საწოლზე წამომჯდარი, საშუალო სიმაღლის ერთი ვინმე მამაკაცი, ჩაფსკვნილი აღნაგობისა, მოკლედ შეკრეჭილი, შევერცხლილი წვერით... ყველაზე გამაოგნებელი კი ის გახლდათ, რომ ზმანებას კეფაზე აშკარად შეთხელებოდა თმა, ცხვირზე კი სათვალე დაეკოსებინა. არა, ყოვლადძლიერის ამისთანა ხატების ხილვას ნამდვილად არ ელოდა.

- ვინ ბრძანდებით? - დაეკითხა, და ახლა აღარავითარ ყურადღებას აღარ აქცევდა ჰალელუია კონის, რომელიც ჯერ ისევ კარში იდგა და ახლა, როცა შეამჩნია რომ ჯაბრაილი საკუთარ თავს ელაპარაკებოდა, სახე მოებრიცა დაბნეულობისაგან.

- უპარვალა ვარ, - იყო პასუხი. - ზემდგომი პირი.

- და საიდან უნდა ვიცოდე, რომ ნიჩაივალა არა ხარ - მავანი ქვემდგომი? - ჩამჭრელი კითხვა გაუგორა ჯაბრაილმა.

ყოვლად თავხედური გამოხდომა გახლდათ, რაღა თქმა უნდა, და პასუხიც საკადრისი ერგო: ღვთაება ესე იქნებადა მოგაგონებდათ კიდეც ვინმე ახლომხედველ მწიგნობარ-გადამწერს, ოღონდ ზეგარდმო ძალამოსილების ტრადიციულ გამოვლინებებს კი უნაკლოდ ფლობდა - გარეთ შავბნელი ღრუბლები ჩამოწვა, ქარმა და ელჭექმა შეაზანზარა ოთახი... პარკში რამდენიმე ხე წამოიქცა.

- მოთმინებას გვაკარგინებ, ჯაბრაილ ფარიშტა! მეტისმეტად დიდხანს ეჭვობდი ჩვენი არსებობის თაობაზე! - ჯაბრაილმა ღვთის რისხვის ამგვარი მოძალებით გაბრუებული თავი დახარა. - არაფერი ვალდებულნი არა ვართ, შენ გიხსნათ ჩვენივე ღვთაებრივი ბუნების არსი! მრავალსახოვანი ვიქნებით, მრავალჯერადნი, უპარისა და ნიჩაის ურთიერთწინააღმდეგობათა ნაჯვარკავშიროვანნი თუ პირუკუ - სუფთა და სრულნი, ანთუ დასაზღვრულნი, ეს ახლა და აქ გადასაწყვეტი არაა!

აყრილ-დაყრილი ქვეშაგები, რომელზეც თავისი უკანალი დაესვენებინა (სხვათა შორის, ახლაღა შეამჩნია ჯაბრაილმა - ისიც ისევე ანათებდა, როგორაც მისივე სხეულის სხვა ნაწილები), ამ არსების აშკარა უკმაყოფილებას იწვევდა. - მოკლედ, მორჩა თამაშა: ჩვენი არსებობის ხელშესახები ნივთმტკიცება გინდოდა გეხილა? აკი გამოგიგზავნეთ კიდეც შენი სიზმრების შემავსებელი ზმანებები, რითაც აშკარად და დაუფარავად აგიხსენით როგორც ჩვენი, ეგრევე შენი ბუნების არსი! გარნა წინაღუდექი მათ, თავად ძილის წინააღმდეგაც კი გაილაშქრე, რომლითაც გაღვიძებდით! საბოლოოდ, ჭეშმარიტების შეცნობის შენეულმა შიშმა გვაიძულა სწორედ, პირადად გამოგცხადებოდით, იმ უხერხულობის მიუხედავად, რაიცამ დედაკაცის სამყოფელში

ჩვენს ამჟამინდელ გამოჩენას სდევს თან. ახლა კი დროა, საქმეს მიხედო! განათუ იმისთვის ჩამოგიშვით ციდან, ვიღაც ქერათმიან (თუმც კი სახედველად საამო) მდედრს გაუმართო დავა-კამათი?! საქმეს მიხედე ჯაბრაილ, საქმეს!

- მზად ვარ! - მხედრულად უპატაკა დაფეთებულმა ჯაბრაილმა. - აკი ვეპირებოდი კიდეც...

- აქეთ მოიხედე! - ჰალელუია კონი ევედრებოდა. - შეეშვი ამ რაღაც ბრძოლას, მე მომისმინე: მართლა მიყვარხარ.

ახლა სულ ორნიღა იყვნენ ოთახში.

- უნდა წავიდე, - თქვა წყნარად.

- მისმინე-მეთქი! - მკლავზე ჩამოეკიდა. - რაღაც ვერა ხარ რომ უნდა იყო, ისე...

თავისაზე იდგა და არც ძალუძდა სხვაგვარად:

- შემეშვი! თავად მკარი ხელი და ამგვარი ზრუნვის სფერო ახლა შენი იურისდიქციის მიღმა ძევს!

ასე და ამგვარად დაიწყო წიგნი მისი გამოსვლათა. ჰალელუიამ ერთი კი სცადა დასდევნებოდა, მაგრამ იმგვარმა ტკივილმა გამსჭვალა ტერფებში, თვალცრემლიანი დაეშვა იატაკზე: ინდური ფილმების ზეტრაგიკული მსახიობივით, ანდა რექჰა ფარდაგოსანივით - ოდეს ჯაბრაილი სტოვებდა სამარადჟამოდ; მოკლედ, იმ რაღაც ამბის გმირი ქალივით, რომლის მონაწილედაც ვერასოდეს წარმოედგინა თავი.

* * *

ღვთაების მიერ საკუთარი მსახურის მიმართ გამოხატული რისხვის შედეგად ატეხილი მეტეოროლოგიური რყევები მალევე დალაგდა და მშვიდმა, სურნელოვანმა ღამემ დაისადგურა ირგვლივ,

ციდან კი მსუყე ყველისფერი მთვარე დანათოდა არემარეს. მხოლოდღა მიწად მოფენილი ხეები თუ დასტურჰყოფდნენ ზეგარდმო არსის ძალამოსილებას. შუბლზე ქუდჩამოფხატული და წელზე სარტყელ-საფულეთი აღჭურვილი ჯაბრაილი გაბარდინის პალტოში იფუთებოდა, ხელით კი რბილყდიან წიგნს ისინჯავდა ჯიბეში, თან მადლს სწირავდა ასე და ამგვარად გადარჩენისთვის. ახლა, საკუთარი მთავარანგელოზური სტატუტით რწმენაგამყარებულმა, სულ იოლად უკუაგდო ყოველგვარი ადრეული ეჭვები თუ გარდასულზე დანანებანი და სულ სხვა გადაწყვეტილება მიიღო: სატახტო ქალაქი ესე, თანამედროვე ადისა და სამუდის ტომთაგან დასახლებული, ისევ ღვთის შეცნობამდე მიეყვანა - ღვთივკურთხეულ გაცხადებათა და წმიდა სიტყვათა ღვართქაფამდე. იგრძნო, რარიგ წვეთ-წვეთად ჩამოსდიოდა მისივე წინა თვითობა და მხრების აჩეჩვით დაემშვიდობა, თუმც კი ადამიანურ განზომილებას არ გამოსთხოვებია ჯერ-ჯერობით: ზრდის დრო არ დამდგარიყო ჯერეთ, ზეცის დასალიერამდე დასაფარად, თუმც ეს დროც სულ მალე მოახლოვდებოდა.

ქალაქის ქუჩები გადაეხლართნენ გარშემო, უნასებივით სხმარტალებდნენ, იგრიხებოდნენ. ლონდონ-ქალაქი კვლავაც არამდგრადი გახდა და თავის ნაღდ, ავადმყოფურ, აღრჩეულ სულს აჩენდა - განწვალვას ქალაქისა, რომელსაც რომ არსებობის საზრისი დაუკარგავს და საკუთარი არსისავე უმწეობაში გახლართულა, ნიღაბთა და ბაძვათა თანადროულობის ბრაზში და საკუთარივე წარსულის ტვირთით განაწამებს, მომავლის ერთფეროვნების ჭვრეტით ეხუთება სული. მთელი ღამე ქუჩა-ქუჩა დახეტიალობდა, და შემდგომი დღეც, და შემდგომი ღამეც და ასე მანამდე, ვინემ დღე-ღამის მონაცვლეობამ ყოველგვარი მნიშვნელობა არ დაკარგა. ასე ჩანდა, აღარც საჭმელ-სასმელს საჭიროებდა, აღარც ძილს, მხოლოდ მიბოდიალობდა ამ ქუჩებში, რომლის ფაქტურაც კი ახლა მთლიანად შეიცვალა - მდიდარ უბ-

ნებში სახლები ჩაქვავებული შიშისაგან იყო ნაგები, სახელმწიფო დაწესებულებები - ნახევრად ქედმაღლობით, ნახევრად - ზიზღით, ღარიბთა სახლები კიდე - უნდობლობითა და კეთილდღეობაზე ოცნებებით. როცა ანგელოზის ხედვით უყურებ, რომელიც საგანთა თავად არსს ჭვრეტს და არა გარეგან იერსახეს, ხედავ სულის ჭკნობას, გამვლელთა კანზე რომ ხმება და იჭმუჭნება, ანდა - იმავე სულთა სიდიადეს, მხრებზე რომ უსხედან დაღლილი ფრინველებივით. ამ სახეცვლილ ქალაქში ხეტიალისას, სახლების სახურავზე მოკალათებულ, ტყუილებისაგან გამოძერწილ, ღამურასფრთიან არსებებს ათვალიერებდა და იმ ავსულებსაც ხედავდა, საზოგადოებრივი ფეხსადგილებიდან რომ მოჟონავდნენ. ვითარცა XIII საუკუნის გერმანელი ბერი რიხალმუსი - თვალების მოხუჭვისთანავე დედამიწაზე ყოველი კაცისა თუ ქალის სხეულს შემოჯარულ, მზის სხივებში მოცეკვავე პაწაწა დემონებს რომ ჭვრეტდა, ჯაბრაილი მთვარის შუქზეც კი ყველგან პოულობდა თავის მტერს - თავის შაითან-სატანას ხედავდა.

მოაგონდა, წარღვნამდე დიდი ხნით ადრე (ახლა, როცა ხელმეორედ იტვირთა მთავარანგელოზის წოდება და შესაბამისად, მეხსიერებისა და სიბრძნის მთელი სპექტრიც ნელი-ნელ უბრუნდებოდა) როგორ დაეშვა ანგელოზთა დასი ციდან, (პირველთაგან აზაზაელის სახელი ამოუტივტივდა გონებაში) და იხილეს მათ ასულნი კაცთაგანი, რამეთუ მშვენიერ იყვნენ, მიიყვანეს თავისთა თვისთა ცოლებად... და იშვნენ გოლიათნი გულბოროტნი. ახლაღა გაიაზრა ის საფრთხე, რაიც მას ჰალელუია კონისთან ელოდა - აჰაი, უორპირესი ქვემძრომთა შორის! ავაი, ჰაერის ძალთა მეფის ასული! - ხოლო ოდეს წინასწარმეტყველი (მშვიდობა სახელსა მისსა!) ჯერ ვახის, ანუ გაცხადებას ეზიარა, განა არა იეჭვა - ჭკუას ხომ არ გადავდივარო?! და ვინ იყო იგი, ვინაც მხარში დაუდგა და გაამხნევა? რაღა თქმა უნდა, ჰადიჯა - ცოლი მისი. იმან გადაარწმუნა - შეპყრობილი კი არა, ღვთის მაცნე ხარო. ხოლო რა ჰქმნა მისთვის ჰალელუიამ?

რაღაც ვერა ხარ რომ უნდა იყო, ისეო... ესღა უთხრა. აჰავაი, მომტანო უბედურებათა, განხეთქილების ჩამომგდებო და გულისმიერ ტკივილთა დედავ! თეთრთოვლოვანი სხეულითა და სპეტაკი თმით მაცდურმა - ვითარ დაუბინდა სული მას, ჯაბრაილ ფარიშტას, ხორციელად სუსტს... ახლა კი ხედავდა, რაოდენ მარტივი გახლდათ არჩევანი: ლტოლვა ადამისშვილ ქალწულთა მიმართ თუ - ღვთიური თაყვანისცემა უზენაესის მიმართ! სულ ბოლო წამსღა მოახერხა სწორ გზაზე დადგომა...

მარჯვენა ჯიბიდან ის წიგნი ამოიღო, ათასწლეულის მანძილზე რომ ედო იქ - იმ დღიდან, რაც როუზ დიამანტის სახლი დატოვა: მისი გადასარჩენი ლონდონ-ქალაქის, ვილაიეთის ჭიპის გზამკვლევი - უმცირესი შუკებითა თუ მინაშენებით ზედდებული, ანიდან ჰოემდე. ახლა ეს ყავდა გამოსასყიდ-საცხონებელი.

* * *

სწორედ იმ ქუჩის კუთხეში, ერთ დროს რომ მხატვრებით, ათასი ჯურის მემარცხენე-რადიკალებითა და მსუბუქი ყოფაქცევის გოგოების ძიებით გართული მამაკაცებით იყო ხოლმე სავსე, ახლა კი სარეკლამო აგენტებსა და წვრილ-წვრილ კინოპროდიუსერებს ეგდოთ ხელთ, მთავარანგელოზი ჯაბრაილი, უეცრად, დაკარგულ სულს გადააწყდა. აშკარად ახალგაზრდა კაცისა უნდა ყოფილიყო, მაღლისა და მოხდენილის, გრძლად ჩამოვარცხნილი, შუაზე გაყოფილი ყორნისფერი თმისა და ოქროს კბილის პატრონის. ეს დაკარგული სული ახლა ქვაფენილის პირას იდგა და ხელში აშკარად მისთვის მეტად ძვირფასი რამ ჩაებღუჯა. მეტად უცნაურად კი იქცეოდა, ნამდვილად: ჯერ იყო და გავეშებული სახით დასცქეროდა იმ რაღაცას, მერე აქეთ-იქით

დაიწყო ყურება, გამვლელ-გამომვლელს ჯიქურ აშტერდებოდა და თან სწორედ იმ რაღაცას ახლა თავში იტკიცებდა ხოლმე ბანქოს ქაღალდივით. ჯაბრაილი ფეხაკრეფით მიუახლოვდა და რას ხედავს: სულს ხელში მომცრო ფოტოსურათი უჭირავს - ასე, პასპორტის ფორმატისა. ბევრი აღარც უყოყმანია და ჰკითხა - გნებავთ, დაგეხმაროთო?

იმან ძალზე ეჭვიანად შეათვალიერა, მერე კი საჩვენებელი თითი ატაკა ფოტოს - ამ კაცს თუ იცნობთ? - ეუბნება.

ერთი დახედვაც საკმარისი აღმოჩნდა იმის დასადგენად, ეს საცოდავი საკუთარ თავს ეძებსო: მოგეხსენებათ, საკუთარი გარსის, სხეულის გარეშე სულს, ანუ - კა-ს მხოლოდ ერთი დღე-ღამე ძალუძს არსებობა, ვიდრე სინათლის ის ოქროსფერი ძაფი არ გაწყდება, რაც მას თავის ხორციელ სამყოფელთან აკავშირებს. დაგეხმარებიო, - დაპირდა და ასაკმოუთეველმა, გარნა იმედჩასახულმა სულმაც მთლად გაოგნებული მზერით გამოხედა.

ჯაბრაილი წინ გადაიხარა, კა-ს ხელისგულები შემოუჭირა სახეზე და ტუჩებში ჩაკოცნა, რადგან - ესეც კარგად მოგეხსენებათ - მთავრანგელოზის მიერ ნაამბორები სული მეყვსეულად ჰპოვებს სწორ ნიშანსვეტებს, ანთუ ჭეშმარიტებისა და სათნოების გზას ადგება...

თუმცა, ამ შემთხვევაში რაღაც აშკარა იაღლიში მოუვიდა, რადგან:

- აი ეს მეტრაკეღა მაკლდა! - აყვირდა სული. - იქნებადა გამოუვალ მდგომარეობაში კი ვარ, მაგრამ არც მთლად ეგეთში! - რის მერეც, გაზისებრხერხემლიანთათვის სრულიად შეუფერებელი სიმტკიცით, იმისთანა ალიყური აჭამა, ლამის ძმარი ადინა ცხვირიდან. გონს რომ მოვიდა და თვალშიც გამოიხედა, სული დაკარგული აღარსად ჩანდა, მის მაგივრად კიდე - მიწიდან სულ რაღაც ხუთი ფუტის სიმაღლეზე, რექჭა ფარდაგოსანი ლივლივებდა.

- მაგარი დასაწყისი გამოგივიდა, ღმერთმანი! - ჩაიფხუკუნა. - მთავარანგელოზი არა, ის კიდე... ჯაბრაილ-ჯანაბ, სულ გამოშტერე-

ბულხარ, რაღა! იმდენი ფრთიანი არსება გითამაშია ფილმებში, ახლა ვეღარც გამოდიხარ როლიდან? ისე, რამე რო იყოს, იმ შენს ღვთაებას არც მე ვენდობოდი ცხოვრებაში... რეებს გებჟუ-ტურებოდა, უპარ-ნიჩაის თაობაზე კი პასუხი მაინც არ გაღირსა. მთელი ეს ფუნქციების დანაწილება, ნათელი ბნელეთის წინააღ-მდეგ, კეთილმა სძლია ბოროტსა - იქნებადა მართლა ეგრეა მაჰ-მადიანური მრწამსის ამბავში - მონაგარო ადამისანო! ნუ გაცდუ-ნებთ თქუენ შაითანი ისევე, როგორაც გამოაძევებინა მშობლები თქვენი სამოთხიდან, განსძარცვა სამოსი და მათივე უმსგავსოე-ბანი გამოუმზეურა! - ოღონდაც ცოტა ტვინი გაანძრიე და მიხვდე-ბი, სულ უახლესი გამონაგონია! აკი ჯერ კიდევ ბიბლიური წინას-წარმეტყველი ამოსი (VIII ს. ძვ. წ. აღ.) გვეკითხება: „უკეთუ იყოს სიბოროტე ქალაქსა შინა, რომელი უფალმა არა ქმნა?“ ეგრევე თვით უფალი ღმერთი იტყვის მეორად-ესაიას პირით, სადღაც ორი საუკუნის მერე: „მე ვარ, რომელმან შევმზადე ნათელი და ვქმენ ბნელი. მე ვარ, რომელი ვიქმ მშვიდობასა და აღვაგებ ბო-როტთა, მე ვარ უფალი ღმერთი, მოქმედი ამათ ყოველთა“. მხო-ლოდღა წიგნში ნეშტთა (IV ს. ძვ. წ. აღ.) სიტყვა შაითანი/სატანა ცნებად, საკუთარ სახელად, და არა მხოლოდ ღვთის ერთ-ერთ მახასიათებლად ჩნდება...

არა-ა, ეს „ნაღდი“ რექჰას ნაუბარი ვერ იქნებოდა: პოლითეი-სტურ ადათ-წესებით იზრდებოდა და შედარებითი ღვთისმეტ-ყველებისა თუ მით უმეტეს, აპოკრიფთა შესწავლისადმი არასო-დეს არანაირი წადილი არ დასტყობია, - სავსებით ათვიცნობიე-რებდა ჯაბრაილი; ოღონდ ეს რექჰაც ხომ ის აღარ იყო, - არც რა-იმე ობიექტური, ფსიქოლოგიური თუ, გნებავთ, მატერიალისტუ-რი თვალთახედვით და მაშ, ვინ იყო? უადვილესი იქნებოდა მისი წარმოდგენა საკუთარივე წარმოსახვის ქმნილებად - ასე ვთქვათ, რაღაც პირად მხარდამჭერ/მოწინააღმდეგედ, თავისივე შინაგან დემონად და ამით იოლად აიხსნებოდა კიდეც ამგვარ სა-

კითხებში მისი ესეგვარი გათვითცნობიერება. კი მაგრამ, მაშინ ისიც საკითხავია - თავად საიდანღა აღმოაჩნდა ეგ ცოდნა? იქნებადა ადრე ფლობდა, მერე დაჰკარგა და ახლაღა უბრუნებდა მეხსიერება? (ძაან კი აეჭვებდა ეს საზრისი, რადგან იმ „ბნელი ხანის“ გახსენებისას, როს საკუთარი ანგელოსური არსის დაჯერება არ სურდა, იმისთანა ღრუბლებში დაცურავდა და იმისთანა ქარაფებს აწყდებოდა, ძლივას არჩევდა რაღაც-რაღაც ლანდებს); ან იქნებ, ის რითაც ახლა თავი აქვს გამოტენილი, სინამდვილეში იმავე გაურკვეველი წარმოშობის არსების ჩადებულია შიგ, იმ ზენა-ქვენა ქმნილების, ჰალელუია კონის საწოლ ოთახში რომ გამოეცხადა და ხანგრძლივი ძილღვიძილიდან გამოაფხიზლა? ასეთ შემთხვევაში, რექჰაც ამ ღვთაების წარმოგზავნილი ყოფილა - გარეგანი, გარნა ზეგარდმო წინააღმდგომი და არა - შინაგანი, ბრალეულობის გრძნობით გაჩენილი აჩრდილი; მაშთამე, მას სწორედაც ჯაბრაილთან შეჭიდება ევალებოდა - მისივე არსის გასამთლიანებლად!

ცხვირიდან სისხლი სდიოდა, გვარიანადაც წამოსტკივდა. მისი არსი - გინდაც კნინი და გინდაც ერთიანი - ტკივილამტანი არასოდეს ყოფილა.

- მტირალა, მტირალა! - გამოაჯავრა ქ-ნმა რექჰამ. აი, შაითანი კი მეტის აზრზეც იყო:

განა თუ არის ვინმე,
საკუთარი ტანჯვა-წამება სიხარულს ჰგვრიდეს!
ვინ არ ეცდება გზა გაკვალოს ჯოჯოხეთიდან
და დღის ნათელს კვლავ ეზიაროს?
განა შენ თავად ყოველ ძარღვს არ გაიწყვიტავდი,
ოღონდ კი თავი დაგეღწია ქვესკნელისაგან
და მალამოდ დაგდებოდა თავისუფლება...

ერთი-ერთში გაარტყა, ხო იცი! ჯოჯოხეთში მოხვედრილი კაცი რაზე არ წავა - ძალადობასაც იკისრებს, მკვლელობასაც, თვითმკვლელობასაც დაყაბულდება, ოღონდ კი იქაურობას თავი დააღ-

წიოს... სახეზე ცხვირსახოცი აიფარა, რექჰა კი თავის ნაკლებად მეტაფიზიკურ სპეკულაციებს განაგრძობდა:

- წესით, მე უნდა შეგყვარებოდი: ყველას კი არ ძალუძს ამგვარი გრძნობის მირქმა! მე კი - შემიძლია... უფრო სწორად - შემეძლო! იმას კი არ ვგავარ/ვგავდი - აი, იმ უფერულთმიან ახვარს, ბავშვის გაჩენას რომ ეპირება და შენთან კი სიტყვაც არ დასცდენია ამაზე! და არც იმ შენი ღმერთივით - ის დრო წავიდა, ეგეთი პირები შესაბამის დაინტერესებას რომ იჩენდნენ ადამიანის ბედის მიმართ.

არცთუ მთლად უკამათო დებულება გახლდათ.

- ჯერ ეს ერთი, უკვე გათხოვილი ქალი ბრძანდებოდი და ბავშვებიც გყავდა... - გაეპასუხა ჯაბრაილი. - უბრალოდ, ჩაროზად მდებდი ცხოვრების სუფრაზე. მე კიდე იმდენ ხანს ველოდე, ვიდრე უზენაესი პირადად მეწვეოდა, postfactum მასზე ავსიტყვაობას არ ვაპირებ. და საერთოდ, საითკენ მიგყავს ეს ლაქლაქი? შენ რომ მიგიშვას კაცმა, საითაც მოგეპრიანება, იქით გაუბერავ...

- ჯოჯოხეთის ქარებისა შენ რა იცი?! - შემოუყეფა, და აუღელვებლობის ნიღაბიც მყის ჩამოიცილა სახიდან. - მაგრამ მალე კი გაიგებ! ერთი შენი სიტყვა და იმ ჩემს ვითომ-ქმარსაც კინწისკვრით მოვისროდი კარში! მაგრამ არა, მინიშნებითაც კი სიტყვა არ დაგცდენია, კრინტიც არასოდეს დაგიძრავს! ახლა ერთი მოსასვენებელიღა გელოდება - Welcome to the Hotel Neechayvala!

- ერთბაშად არ დაგიჯერო! - ჩაიდუდუნა ცხვირსისხლგამოტენილმა. - ბავშვების მიმტოვებელი იყავი?! საცოდავები, აკი ჯერ ისინი გადმოყარე სახურავიდან, ვიდრე თავად ისკუპებდი! იმათ რაღას ერჩოდი, რამე რო იყოს?!

ამან მთლად წყობიდან გამოიყვანა ფარდაგოსანი:

- მე მეუბნები ამას?! ბატივით შეგწვავ შამფურზე! არა, ჯერ გულს ამოგაგლეჯ, უწმინდურ წყალში მოვხარშავ და ისე შევჭამ! შენს ფიფქიას დაეკითხე ერთი, მისთვის ბავშვი მუდამ დედასია - კაცები მხოლოდ მიდიან და მოდიანო... ეგრეა, ეგრე! ბოდიში მომითხოვია და შენ თესლი ხარ, ის კი - ბაღი... თესლს ვინ რას ეკითხება, სად დარგავენ? და საერთოდ, თავი ვინა გგონია, შე ბომბეის ქუჩებში გაგდებულო, შენა!

- და შენ კი დაეკითხე მამაჯის, სანამ მის გოგონებს თავქვე გადმოუშვებდი სასტუმროს სახურავიდან?

გაცოფებისაგან ერთი იფეთქა და ყვითელ ბოლში გახვეული გაქრა; ოღონდ ერთი ისეთი კი დააზანზარა იქაურობა, ჯაბრაილს ქუდი წააძრო თავიდან. ასევე, აფეთქებამ იმისთანა ქოთი დააყენა, მის გატენილ ცხვირშიც კი შეაღწია და ლამის გულ-მუცელი ამოუტრიალა, ოღონდ კუჭი მისი, უკვე მრავალი დღის იძულებით ნამარხულევი, ვაღარაფერს გადმოანთხევდა. „ესეც შენი უკვდავება," - გაიფიქრა. - „სხეულის ტირანიას რომ დააღწევ თავს, სწორედ ეგაა". მერე კი ორი ვიღაც შემთხვევითი გამვლელი დალანდა: ერთს ძაან ზიზილ-პიპილოდ ეცვა - მთლად ჩატყავებულ-ჩამოქლონებული შარვალ-ქურთუკი, თავზე - იროკეზთა ვარცხნილობა დაეყენებინა სათუთად და სახეზე, რატომღაც, ელვა ამოესვირინგებინა; მეორე კი გულკეთილად მომზირალი, თავზე ხილაბანდწაკრული, შუახნის ქალი გახლდათ. „ძალიანაც კარგი," - გაიფიქრა. - „დადგა დრო და მოაწია ჟამმა!"

- მოინანიეთ! - დასჭყივლა. - „რამეთუ მოვედმთავარანგელოზი ღვთისა!"

- საცოდავი შიგნაკრავი! - თქვა იროკეზმა და ძირს დავარდნილ ქუდში ხურდა ფული ჩაუგდო ფარიშტას. მერე თავის გზას გაუდგა, ოღონდ გულკეთილმზერიანი ქალბატონი კი იდუმალი გამომეტყველებით წაიხარა ჯაბრაილისკენ და რაღაც პროკლამაცია თუ მოწოდება გაუწოდა.

- თქვენ ნამდვილად დაგაინტერესებთ, - თქვა.

თვალის ერთი გადავლებითაც მიხვდა - რასისტული განწყობის ტექსტი იყო, ქვეყნის შავკანიანი მოსახლეობის „რეპატრიაციას“ მოითხოვდა. თეთრკანიანთა მფარველ ანგელოზად თუ მიმიჩნიაო, - გაიფიქრა. ეტყობა, ანგელოსებიც ხომ თავ-თავიანთ კატეგორიებს მიეკუთვნებიან ამქვეყნად.

- ახლა, ისიცა ვთქვათ... - ქალმა მისი მდუმარება აშკარად ყოყმანის ნიშნად მიიღო და პირდაპირ აგიტაციაზე გადავიდა. - თქვენც ხომ არ გესიამოვნებოდათ, ეგენი რომ იმ თქვენს საბერძნეთში თუ სადღაც შემოგისახლდნენ? ერთი ამაზეც დაფიქრდით!

* * *

ალიყურნაჭამ, ვიღაც ფანტომების გამასხრებულ-ნაღადავებ, თაყვანისცემის მაგივრად მოწყალებაგამომეტებულ ჯაბრაილს მხოლოდ გაუათკეცდა სურვილი, ახლავე შესდგომოდა კეთილის ქმნასა და მოწინააღმდეგის საუფლოთა საზღვრების შემცირებას. ჯიბეში ჩადებული გზამკვლევი კი მის გენერალურ გეგმად უნდა ქცეულიყო: ბიჯი-ბიჯ, ქუჩა-ქუჩა უნდა გამოესყიდა ამ ქალაქის ცოდვები, მერე კი ამ მძიმე სამუშაოს დამთავრება ერთი კარგი ხელი გოლფით აღენიშნა სავსებით შესაბამისი სახელწოდების ალაგას, რუკის მთლად კუთხეში: უაილდერნესი, ვერანა ადგილი.

ხოლო სადღაც ამ გზაზე თავად მტერი ჩაუსაფრდებოდა: შაითანი, იბლისი თუ რა სახელიც არ უნდა აეღო, და ხატება მისი - რქისთავიანი და დაღმეჭილი, უკვე თითქოს ელანდებოდა კიდეც ბნელ მოსახვევში... არა უშავს, მალე სრულ ფორმაში იქნება, სა-

ხელსაც გაიხსენებს - განა ძალა დღითიდღე არ ემატება, და განა მას არ ერგება პატივი, კვლავაც შთანთქას იგი უშავბნელეს უფსკრულ-ში?

და რა ქვია მას? ჩა-რაღაცა... ჩუ-ჩე-ჩინ-ჩოუ. ერთი მაგის! გაიხ-სენებს - ბოლოსდაბოლოს, ყველაფერს თავისი დრო აქვს.

* * *

ოღონდაც, ეს სახედამახინჯებული ქალაქი სრულებით აღარ მორჩილებდა კარტოგრაფთა ნამოღვაწარს - ფორმას თავის ნებაზე იცვლიდა, გაუფრთხილებლად, და არავითარ საშუალებას აღარ აძ-ლევდა ჯაბრაილს, ძიებისთვის რაიმე მწყობრი ხასიათი მიეცა. ერ-თხელაც, ცადაწვდილი სვეტოვანის კუთხე მოჭრა და გზამკვლევზე სულაც აღუნიშნავ უშენ ადგილას მოხვდა, საიდანაც კარგად ჩანდა წმ. პავლეს ტაძრის გუმბათიცა და ტელესაკომუნიკაციო ქონგურის ლითონის სანთელიც, ქარში რომ ქვიშის კოშკივით იფშვნებოდა; მერე ულამაზესად გაშენებულ უსახელო პარკებშიც მიძვრებოდა და მოკლეზე გადიოდა უესტ-ენდის გადავსებულ ქუჩებზე, მანქანის მძღოლების გულის გასახეთქად, ამ დროს კი ციდან მჟავა-წვიმის წვეთები მოწანწკარებდა, კარგა მოზრდილ ნახვრეტებს რომ ტოვებ-და გზის საფარზე... და მთელს ამ მოჩვენება-მოლანდებებში ხშირად ესმოდა სიცილიც - ქალაქი დასცინოდა მის უნიათო მცდელობებს, ელოდა, როდის ჩაიქნევდა ხელს და აღიარებდა - თავსზევით ძალა არაა, არც აქაურობის მესმის რამე და ვერც ვერაფრის შეცვლა ძალ-მიძსო. ჯაბრაილი წყევლა-კრულვას უთვლიდა თავის ჯერაც უსახო მოწინააღმდეგეს, ღმერთს რაიმე ნიშატის ჩვენებას შესთხოვდა, ში-შობდა - ვაითუ ჩემი წადილი არასაკმარისი აღმოჩნდეს დასახულის მისაღწევადო. მოკლედ, ამისთანა ნირწამხდარი მთავარანგელოზი

არ გენახოთ: გაზინზლული სამოსი, აბურდული თმა და უსწორ-მასწოროდ ჩამოზრდილი მეჩხერი წვერი...

შარავანდედიც მთლად მიმებჟუტა... და არც სამარქაფო რომ არ მომიმარაგებია... პატარა სკვერში ჩამომჯდარიყო სკამძელზე და საკუთარი მცდელობების უდღეურობაზე ფიქრს მისცემოდა. უნებურად უტივტივდებოდა გონებაში რაღაც მწვალებლური აზრები: თუკი დაბა არასწორად იქნა მონიშნული და არა იმ მიმღებს მიუვიდოდა, რა ბრალი ედო ამაში დაბავალას? თუკი სცენაზე მფრინავ ხალიჩას ხედავ, ოღონდ ბოლოში ლურჯი ნათელი უციმციმებს - განა მსახიობია დამნაშავე? და ასევე: თუკი ანგელოზობა საკმარისი არ აღმოჩნდა, ვის დავდოთ ბრალი? თავად მას თუ - ვინმე სხვას? მისი ეჭვების ბაღში ბავშვები ჟრიამულობდნენ, ვარდის ბუჩქებსა და უსასოობას შორის. ბა-ბი-ლონ-დონ. ლონ-დონ. ანგელოზთა დაცემა სულაც არაა იგივე, რაც ქალისა და კაცის პირველცოდვა. ადამისძეთა შემთხვევაში, საქმე ზნეობრივ საწყისებთან გვაქვს, - იაზრებდა ჯაბრაილი. - არა უნდა ეჭამათ ხიდან კეთილისა და ბოროტისა, მათ კი დედიმათისა მიირთვეს. ისე, პირველმა ქალმა ჩაკბიჩა, მერე კი მამაკაცს შესთავაზა და ამით ზედსართავი ეთიკური სტანდარტები გამოიმუშავა, ვაშლის ძმრით შეზავებული: გველმა კი უკვე ფასეულობათა სისტემა შესთავაზა, რაიც თავად ღმერთის განსჯის საშუალებას იძლეოდა, სხვადასხვა სახის შეკითხვების დასმის მეშვეობით: საიდან ბოროტი? რატომ ტანჯვა? რისთვის - სიკვდილი? მერე კი დაითხოვა: სულაც არ სჭირდებოდა საკუთარი ქმნილებები, საკუთარ სტატუტს რომ არას დაგიდევდნენ.

ამ დროს კი ბავშვები მასხრად იგდებენ და სათამაშო თოფიარაღის მუქარით სურთ თავიანთი სათამაშო მოედნიდან გააძევონ. აქ აღარ დაგინახოთ! - უყვირის ვიღაც ნალოლიავები, ფერხორციანი, ფითქინაკანიანი და ჟღალთმიანი ქალბატონი; ხმაში

ზიზღი გამორევია: გაიგეთ რაც გითხარით? ახლავე აიბარგეთ აქედან!

ნამდვილად რომ, ანგელოსთა გვემა მხოლოდ და მხოლოდ ძალაუფლების საკითხი გახლდათ: ციური პოლიციის საქმიანობის ერთი შემადგენელი - ჯანყის ჩახშობა, მკაცრი და კეთილმოსურნე pour encourager les autreს - სხვებისათვის ჭკუისსასწავლებლად და რამდენად თვითრწმენადაკარგული უნდა ყოფილიყო ეგე ღვთაება, რომელსაც არც სურდა მის საუკეთესო ქმნილებებს სწორი მართლისაგან განერჩიათ; რომელიც რომ ტერორის ძალით ზეობდა, უახლოეს თანამებრძოლთაგანაც კი მხოლოდღა გაუაზრებელ მორჩილებას ითხოვდა, ხოლო დისიდენტებს - ანუ სხვაგვარად მოფიქრალთა ადგილს კი ციმბირსა შიგან, გულაგის ჯოჯოხეთს ამწესებდა... თავი მოთოკა. ცხადია, ეს სულ ეშმაკეული აზრები იყო, იბლის-ბელზებელ-შაითანის შთაგონებული. თუკი უზენაესი ჯერაც წარსულის შეცდომებისათვის სჯიდა, ესე ყოველი არცთუ საუკეთესო გზად უჩნდა შენდობის მისაღებად. თუმცა, ჯობდა ყოველგვარ ბილწ ფიქრთაგან განწმენდილიყო და ანგელოზური ძალიც სრულად აღედგინა. ასე და ამგვარად, ბინდბუნდში იჯდა, ახლა უკვე ბავშვთაგან მოშორებით და გონს ითავისუფლებდა. ცისფერი ხარ ბაბა, თვალებს ისე ნაბავ... დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ვიღაც გაბუსუნებული, დიდთვალება ბიჭუნა შეცქერის და ამბობს: დედაჩემმა თქვა, ეგ კაცი ფერიების დედოფალიაო...

სად იყო, სად არა, რექჰა ფარდაგოსანიც გაიჩითა - მთლად ფირუზ-ზურმუხტსა და ბაჯაღლო ოქროს სამკაულებში ჩამჯდარი, სიცილს ვერ იკავებდა:

- ბოჩები ახლა უკვე უგვან გათვლა-ლექსებსაც თხზავენ შენზე, ანგელოზო ღვთისაო! რაღაც მთლად კარგად ვერ უნდა მიგდიოდეს საქმეები, ეგრეა?

* * *

თუმცა, ამჯერად რექჰას თვითმკვლელი სული მხოლოდ მასზე სამასხარაოდ არ გამოცხადებულა. ჯაბრაილის გასაკვირად, ფიცი-მტკიცი წამოუწყო - შენს თავს მოწევნილი უბედურებები მთლიანად ჩემი ნახელავიაო:

- შენა რა გგონია, ყველაფერს მართლა ის შენი ერთარსება განაგებს? - გაჰყვიროდა ბოლო ხმაზე. - კარგი, გულო გულისავ, ახლავე აგიხელ თვალს... - მისმა უზადო ბომბეურმა ინგლისურმა კილომ მონატრების სიმძაფრით გამსჭვალა მარცხენა ძუძუს ქვემოთ, ის კიდე თავისას მიერეკებოდა: აკი შენმა სიყვარულმა გადამიყოლა, შე მართლა მუცელზე მცოცავო შენა! ამიტომაც, გარკვეული უფლებები გამაჩნია - ვთქვათ, შურისგებით დავტკბე, მთლად დაგინგრიო ცხოვრება... კაცმა უნდა იტანჯოს, თუკი სურს რომ საყვარლის საბედისწერო ნახტომის ცოდვა გამოისყიდოს - ასე არაა? გინდა-არგინდა, ასეთია წესი. იმიტომაც ამოვდიოდი შენს ოხტში, მაგრამ უკვე ესეც მომბეზრდა. ახლა გაიხსენე, შენდობაც როგორი ვიცოდი! ეგეც მოგწონდა ჩემი, ეგრე არაა? ამიტომაც მინდა მოგახსენო, რომ ურთიერთდათმობა ყოველთვის უფრო სახეიროა, ვიდრე სიკერპე! ჩამოვაგდოთ ამაზე სიტყვა, თუ ისევ ამ შენს სიგიჟეში გინდა ჩარჩენა - ანგელოზად კი არა, თანდათანობით ქუჩის მასხარად, ქუჩისავე მათხოვრად რომ გაქცევს?

- რა დათმობებზე მელაპარაკები? - გაიკვირვა.

- რა და... - ახლა სულ სხვანაირად ელაპარაკებოდა, რბილად, თვალებაჟუჟუნებული. - სულ მცირე რამ, ჩემო ფარიშტა, სულ უმცირესი...

თუკი ეტყოდა, მიყვარხარო;

თუკი კვირაში ერთხელ, როცა სარეცელზე დაუწვებოდა, არც დაამადლიდა ამ სიყვარულს;

თუკი მისსავე არჩეულ ღამით, ერთხელ მაინც მოხდებოდა ის, რაც ხდებოდა, როცა ის მისი ვითომ-ქმარი სხვაგან მიემგზავრებოდა ხოლმე საქმეებზე;

- მაშინ გავაქრობ ამა ქალაქის სიგიჟეს, რითაც გდევნი და სულს გხდი; აღარც ეს სიხელე შეგიპყრობს, აქაურობის ცოდვათა გამოსყიდვა რომ მოგსურვებია - თითქოსდა რაღაც ნივთი გდებოდეს მევახშესთან დაგირავებული; ყველაფერი მშვიდად და წყნარად მოგვარდება - რამე რომ იყოს, გინდა იმ შენს მკრთალსახიან მემ-საჰიბთანაც იცხოვრე და ასე გიქნია, მსოფლიოში უცნობილესი კინოვარსკვლავიც გამხდარხარ - როგორ უნდა ვიეჭვიანო, ჯაბრაილ ჩემო, თუკი უკვე მკვდარი ვარ?! და არც ის მჭირდება ხშირ-ხშირად იძახო - ერთნაირად მიყვარხართ შენცა და ის ქალიცო; არა ჯაბრაილ, თუნდაც მეორადი სიყვარული მიბოძე, სხვისი ნასუფრალი. ამაზე რას იტყვი, ჯაბრაილ? ერთადერთი სიტყვა!

მადროვე.

- არც რაიმე ახალსა და შენთვის მთლად მიუღებელს გთხოვ, რაიმე ისეთს, რაზეც არც ადრე მიგსვლია გული... ბოლო-ბოლო, აჩრდილთან სარეცელის გაყოფა არც ისე დამამძიმებელი ამბავია, რამე რომ იყოს - ჰა, რას იტყვი? რა - იმ ბებრუხანა ქალბატონ დიამანტთან ხომ კარგად გორაობდი? მაშ ასე - ჰო თუ არა? ისიც გაითვალისწინე, ახლა მე ნებისმიერი იერსახის მიღება რომ შემიძლია... თუ ინებებ, იმ როუზ დიამანტისაგან მართლა ვერ გამომარჩევ! ან თუ ის შენი ცივსისხლა და ყინულებში მცოცავი დედაკაცი მოგდომებია, presto! რაა მაგაზე ადვილი? შენ ოღონდ თქვი და...

მთელი ის ღამე ქალაქში დაბოდიალობდა, რექჰა კი გვერდით სდევდა, ფარდაგზე ფეხმორთხმული და სპილოსძვლის პაწია, ძველისძველ კლავიკორდზე ათამაშებდა თითებს - ფაიზ აჰმად ფაიზის უტკბილეს ღაზალებს უმღეროდა, ხანაც კიდე მელოდიებს ძველი

ფილმებიდან (არც ის გამორჩენია, მათგან საუკეთესო, რომლითაც მოცეკვავე ანარკალი უტკბობდა სმენას დიად მოგოლ აკბარს - 60-იანების კლასიკურ ფილმში „მუგალ-ე-აზამ“, სადაც ის იმ გრძნობაზე უმღერის მეფისწულს, თავის გამხელას რომ ვერ ბედავს: „პიაარ კიია ტუ დამა კია?“ - რისი უნდა ეშინოდეს სიყვარულს? და ჯაბრაილიც, ვისაც რექჰა მიმართავდა მის ეჭვთა ბაღნარში, გრძნობდა თუ როგორ ირთვებოდა აბრეშუმის უხილავი ძაფის ხლართი მათ შორის, როგორ ნელი-ნელ იზიდავდა, რაკიღა რასაც ის სთხოვდა, მართლაც იმდენად მცირე იყო, იმდენად იოლი...

ბოლოს, მდინარის პირას აღმოჩნდა, თუჯის აქლემებზე გადებული სკამძელის წინ, კლეოპატრას ნემსის შორიახლოს. დაჯდა და თვალები მილულა. რექჰა სიმღერას განაგრძობდა:

ნუღარას მკითხავ იმ სიყვარულზე,
შენს მიმართ გულში რომ ვიმარხავდი...
ახლა უკვე უძალო ვარ და გონმიხდილი.
სიყვარულზე მეტი წუხილიც მახსოვს,
და სიყვარულზე მეტი ხალისიც -
ნუღარას მკითხავ იმ გრძნობაზე, ჩემო -
მე რომ გულში ვიმარხავდი წლობით.

დაშვებულ ქუთუთოებს მიღმა ჯაბრაილმა ვიღაც კაცი დალანდა: ოღონდ ეს ფაიზი არ იყო - ვიღაც სხვა, თავისი დიდების მწვერვალიდან უკვე დაღმა მომავალი, დაუძლურებული. გაახსენდა - ბაალს ეძახდნენ. აქ რაღა უნდოდა? სათქმელი ჰქონდა რაიმე? აშკარად რაღაცის თქმა კი ეწადა, ოღონდ სიტყვები მისი, მძიმე და დაბურული, ძნელად გასარჩევი გახლდათ: ნებისმიერ ახალ საზრისს, მაჰუნდ, ორი შეკითხვა დაესმება ხოლმე... პირველი მაშინ ისმის, როცა ის ჯერ სუსტია და ახლადფეხადგმული: რა სახისა ხარ? ისეთის, რომელიც მუდამ თანხმობას დაეძებს, დათმობებზეც მიდის, უთანხმდება სხვა მხარეს, არსებულ საზოგა-

დოებას ერგება, საკუთარ ადგილს ეძიებს და თავის გადარჩენას ცდილობს? ანთუ იმგვარი ხარ - უჯიათი, სასტიკი, სწორხაზოვანი და უმალ წელში გადატყდები, ვიდრე - თუნდაც დროებით - ქარს მოახრევინო ქედი? იმგვარი, ასიდან ოთხმოცდაცხრამეტ შემთხვევაში რომ სულ ნაწილებად დაიმსხვრევა, ოღონდ - უკვე მეასეჯერ - სამყაროს შეცვლის?

- და მეორე შეკითხვა რაღაა? - ხმამაღლა დაეკითხა ჯაბრაილი.

ჯერ პირველზე მიპასუხე.

* * *

დილაუთენია, თვალი რომ გაახილა, დადუმებული რექჰა დაინახა - სიმღერის თავი აღარ ჰქონდა, გაურკვევლობასა და ამაო მოლოდინს სიქა გაეცალა მისთვის. შუბლში აჯახა:

- ეგ სულ შენი ვირეშმაკობაა. არა არს უფალი თვინიერ უფლისა, შენ კი არც ერთარსი ხარ და არც მისი წინააღმდგომი - უბრალოდ, ერთი ხმატკბილი არარაობა, მოჩვენებებთან კი არავითარ დათმობებზე არ წავალ.

და სწორედ მაშინ იყო რომ იხილა, დიბა-ატლასის სამოსსა და ყველა სამკაულთან ერთად, როგორ გასძვრა ხორცი ძვალს, ცარიელი ჩონჩხიღა შემორჩა რექჰასაგან, მერე ისიც მტვრად იქცა და მხოლოდღა ერთმა საწყალობელმა, გულისმომწურავმა, უძალო მძვინვარებით ნაჯერმა კივილმა უწია ზეცას.

აღარც დაბრუნებულა: გარნა მთლად ბოლოს, ანთუ - ბოლოსკენ.

სავსებით დარწმუნებული, გამოცდა გავიარეო, ჯაბრაილმა შვებით ამოიოხრა. გუნება-განწყობაც გამოუკეთდა და ამ მზიანი დღის შემყურეს, ხალისიც წამი-წამ ემატებოდა. ახლა უკვე მართლაც შე-

ეძლო საქმეს შესდგომოდა: მტერთა მისთა ზეწოლა - რექჰა იქ-ნებოდა თუ ჰალელუია კონი (და საერთოდ, ნებისმიერ ქალთა-გან, ვინაც სურვილებითა თუ სიმღერით მის მოთოკვას შეეცდე-ბოდა) სამარადჟამოდ დასრულდა; ახლა კვლავაც ის ნათელი შეიგრძნო, მის თავსზემოთ რომ ციალებდა და სხეულის წონაც აშკარად, წუთი-წუთზე უმცირდებოდა. დიახ, დიახ - ადამიანურო-ბის ბოლო ნიშნებსაც ეთხოვებოდა და ფრენის უნარს კი იბრუ-ნებდა, ეთერს ერწყმოდა, მანათობელი ჰაერით ნაქსოვს ემსგავ-სებოდა. ამ წუთს შეეძლო კიდეც ფეხი წარედგა და ამ ბებერი მდინარის გაყოლებით ეფრინა მაღლა-მაღლა, ან ნებისმიერი ხიდიდან თავქვე გადმოშვებულიყო და ფეხისწვერიც კი აღარა-სოდეს დაედგა ამ ცოდვილ მიწაზე. მაშ ასე, დრო მოწეულიყო ქა-ლაქისთვის ეჩვენებინა ეს გაუსაძლისი სანახაობა - დასავლეთის ცისკიდურის თავზე, ღვთაებრიობით მოსილი და ამომავალი მზის სხივებში მონანავე მთავარანგელოზი ჯაბრაილი - რომლის შემხედვარე ხალხს, ცხადია, ზაფრა მოიცავს და ყველანი ალა-გობრივ მოინანიებენ ცოდვებს.

აი, ახლა უკვე საკუთარი სხეულის გაზრდაზეც იზრუნა: აბა, ვნახოთ ერთი მძღოლთა გაოგნება (აკი დილის ჭედვაში მოხდე-ბოდა ესე ყოველი), გახედავდნენ და - მორჩა!

მაგრამ მას საქმე იმგვარ ხალხთან ჰქონდა, თვალნი რომ ას-ხმენ და ვერა ხედვიდენ... რამდენადაც ადამიანებსა და ანგელო-ზებს შორის ურთიერთობა მეტად ჩახლართული გახლდათ (ან-გელოზები, ანუ - მალაიკა, ბუნების ძალთა განმგებელნი იყვნენ და იმავდროულად, ღმერთსა და ადამიანთა მოდგმას შორის შუ-ამავლებად გამოდიოდნენ; ოღონდ ყურანში ხომ ნათლად და გა-საგებად წერია: ვუბრძანეთ ჩვენ ანგელოზებს - მორჩილებდეთ ადამს! და ამდენად, იმის ნიშნის მატარებლადაც გვევლინებიან, რომ შეცნობის მეშვეობით, ადამიანებს ბუნების იმ ძალებზე ბა-ტონობაც ხელეწიფებათ, რომლებსაც თავად ანგელოზები წარ-

მოადგენენ), ხოლო ყურადღებანაკლულ და ამით მთლად წყობიდან გამოყვანილ ჯაბრაილს ბევრის არც არაფრის გაკეთება შეეძლო: მთავარანგელოზებს მხოლოდ მაშინ ძალუძთ ლაპარაკი, როცა ხალხი მზადაა უსმინოს მათ. ამისთანებს კი რა უნდა ელაპარაკო? არადა, ყოვლადძლიერსაც ხომ დროულად მოახსენა ყველაფერი ავყიებისა დახელმრუდების ამ ბრბოს თაობაზე: „და განა დაადგენ იქ იმისთანებს, ვინც უკეთურებას გაამრავლებს და სისხლს დაღვრის?“ - სწორედ ასე ჰკითხა და პასუხად კი რა მიიღო? ის, რაც ყოველთვის: მე უკეთ მომეხსენებაო. და იყვნენ ახლა აქ ეს მიწის მბრძანებლები, ჩაყრილ-ჩატკეპნილები ამ ბორბლებიან რკინის კასრებში, ღამურებივით ბრმანი და უკეთურებით თავგამოტენილნი ისევე, როგორც მაგათი გაზეთები - სიბრიყვით.

მართლაცდა გამაოგნებელი ამბავი იყო: ღვთიური არსება, მთელი თავისი ბრწყინვალებითა და სიდიადით მოსილი, სიმაღლით ბიგ-ბენსაც რომ ამეტებდა, ერთი ფეხის დადგმით რომ ძალუძდა გადაეკეტა თემზის მდინარე - და ეს კაცუნები კიდე, ეს ჯინჭველები - მანქანაში ჩადგმული რადიოს ხმებით გაბრუებულები, ერთმანეთთან და სხვა მძღოლებთან დავა-კამათში ხმაჩახლეჩილები, ყურსაც არ იბერტყავდნენ!

- მე ვარ ჯაბრაილი! - დასძახა იმგვარი ხმით, მთელი სანაპიროს გაყოლებაზე რომ დააზანზარა შენობები: კაციშვილს არაფერი გაუგია. ერთ ვინმესაც კი არ შეუწუხებია თავი და მოყანყალე შენობიდან არ გამოვარდნილა, სავარაუდო მიწისძვრით დაფეთებული. საუფლო ბრმათა, ყრუთა და მძინარეთა.

გადაწყვიტა, რაღაც სხვა ეღონა.

მანქანები მწყობრისად, რიგი-რიგზე მიედინებოდნენ მის გვერდით; ღრმად ჩაისუნთქა, გოლიათური ქვედა კიდური ასწია და ზედ გზაზე დადგა, ლითონის ამ დინების ბირდაბირ...

* * *

ჯაბრაილ ფარიშტა ჰალეს დაუსვენეს კართან - შესაბრალისი, ნა-ბეგვი, დასისხლიანებული და ტვინშერყეული - ერთი ვინმე ტან-მორჩილი, სახეგაბრწყინებული ჯენტლმენის წყალობით, რომე-ლიც შესამჩნევად უკიდებდა ენას. ერთგვარი გაჭირვებით აუხ-სნა - კინოპროდიუსერი ვ-ს. სისოდია გახლავართ და უფრო ვი-ვისკი-სს-ოდა სისოდიად მი-იცნობენ, რა-ადგან ყ-ყლურწვა მი-მი-ყვარს-სო. ჩ-ჩემი სსასავიზზიტტო ბარრრათ-თი ი-ინებბბეთ, მეემ - დაამატა მერე (უფრო ახლოს რომ გაიცნეს ერთმანეთი, ბ-ნმა სისოდიამ ლამის სიცილის კრუნჩხვებში ჩააგდო ჰალე, როცა შარვლის მარჯვენა ტოტი დაიკაპიწა, ფეხი სკამზე შემოდო და სა-კუთარ შიშველ მუხლს საკუთარივე სქელ-სქელი სათვალე ჩამო-აცვა: ჩჩ-ეე-მი ავ-ავ ავტოპორტრეტი იი-ნებეთ, ქქაბატტონო!); ისე, მართლა ძაან სქელშუშიან სათვალეს კი ატარებდა, მეტის-მეტად ძლიერი შორსმხედველობის გამო: „ნე-ნებისმიერი ფორ-მატის ფილმს უპრრ-ობლემოდ ვუყუყურებ, ოღღ-ონდ რეალური ცხო-ცხოვრება კი მთლააად შეუმჩჩნეველი მრრჩება...“ საქმე ის გახლდათ, რომ თურმე სწორედ ვ-ს. სისოდიას ნაქირავები ლი-მუზინი დაჯახებია ჯაბრაილს; ბედზე, ისეთი საცობები იყო, მანქა-ნა ძლივს მიღოღავდა. მსახიობი კაპოტზე მწოლიარე მოსულა გონს და პირველი რაც თქვა, მთლად ფილმნათრევი ფრაზა გახ-ლდათ: „სადა ვარ?“ და ბ-ნმა სისოდიამ, რომელსაც წამსვე ეცნო ერთხანს კინომანთა თვალსაწიერიდან გამქრალი კერპის სა-არაკო პროფილი, კინაღამ დააყრანტალა: იიქ ქაქიხარ სადააც უუნდა იიყო: პრ-პრ-პროდუსერთან! ე-ეხლა ფი-ფილმის გადადა-ღებას ვივი-წყებთ!

- ეე-რრთი ძძვალიც კიკი არა აქ ჩჩატეხხილი, - უპატაკა სისო-დიამ ჰალეს. - სსაააოცცრებაა, პირრდაპირრ! ზზედ ბბამპპერს შშეასკდა.

მაშ, დამიბრუნდი არა? უხმოდ დაეკითხა ჰალე ჯაბრაილს. რაღაც ჩვევად დაგჩემდა, აი - ყოველი დაცემა აქ გიმთავრდება ხოლმე.

- და კიდევ, სკოჩ-და-სსოდდიასაც მეძახიან, - პირველსაწყისებს დაუბრუნდა პროდიუსერი. - იიმავვე მიზზეზზისა გამო. ჩემი საყ-ყყვარრელი სსაყლლურწავია.

- ამ თავგამოდებას როგორ დაგივიწყებთ! - ახლა ჰალელუია კონიმ გამოიდო თავი. - უნდა აღვნიშნოთ.

- ვვინც უუარრი გითთხრათ! - წამსვე მხარი აუბა ბ-ნმა სისოდიამ. - მმთელი ინდდური კინემმმატტოგაფიიის სახელით...

* * *

- დავიჯერო, სულ არაფერი გსმენია იმ შერეკილის თაობაზე, აქაოდა იმპერატორი ნაპოლეონ ბონაპარტე გახლავართო და სიცრუის დეტექტორზე ტესტის ჩაბარებას დათანხმდა? - ალიცია კონი დიდის სიამით მიირთმევდა შემწვარ თევზს და ჩანგლის ქნევით იდასტურებდა ნათქვამს. - ეკითხებიან: მართლა ნაპოლეონი ხართო? ის კიდე იღმიჭება და იქვე პასუხობს, არაო. მერედა რა? რა და - ის რომ მანქანამ, თანამედროვე მეცნიერების ამ საოცრებამ, ასეთი შეფასება დადო: ტყუისო.

„ისევ ეს ბლეიკი," - გაიფიქრა ჰალემ. და ვკითხე მე: განათუ ძალუძს საკუთარ რწმენას, რწმენის საგანი ჭეშმარიტებად აქციოს? ის კიდე - ისევ ის ესაია, რაღა თქმა უნდა - ასე პასუხობს: ყველა პოეტი ამას ჩემულობს და იყო დრო, ურყევი რწმენა მთებს გადადგამდა, გარნა მცირედღა არიან მორწმუნენი.

- მისმენ თუ ქარსა და ბორიას ველაპარაკები? - დაუცაცხანა დედამისმა. - იმ შენს კუროს შენი ღამეული მოვლა-პატრონობა კი არა, ერთი კარგი რკინის გალია უფრო მოუხდებოდა, მე თუ მკითხავ.

- შენი ნება იყოს, მართლა ასე იზამდი და კლიტის გასაღებსაც სადმე შორს მოისროდი... - მოუჭრა ჰალემ. - ბარემ დენიც გაგეტარებინა გისოსებში. ეშმა ტვინიდან გამოიწვება - უცნაურია, მაგრამ აჩემებულ აზრებს საუკუნეში ერთხელ თუ იცვლის ვინმე.

- აჰა-ა, - ჩაფიქრდა ალიცია, ოღონდ იმგვარი გაურკვეველი და თან სრულიად უწყინარი გამომეტყველება დაიდო სახეზე, მისი ქალიშვილის წყობიდან გამოსვლას აღარაფერი უკლდა.- და რა მოუვა რო? ჰა და ჰა, ცოტა ტვინმა გამოუჟონოს ყურებიდან...

- რაც ესაჭიროება, ყველაფერი აქვს, დედაჩემო! სამედიცინო მეთვალყურეობაც, დასვენებაც და კიდევ ის, რაზეც ხმას არ იღებ... - ენა დაება, ხელუხლებელ სალათს დახედა თეფშზე და ხმაშეცვლილმა დაამატა: სიყვარული.

- რაზეა ლაპარაკი! - მყის უკან დაიხია დედამისმა. - ეგ სწორედ შენ უფრო გჭირდება... და ახლა ისიცა ვთქვათ, ვინაა ის შენი გულის ვარდი? სალოსის ერთი, გარეკილი, ნაგიჟარი? არა, რას ბრძანებთ - ანგელოზი! ღმერთო დიდებულო, ეგეთი ჯერ არაფერი მსმენია... კაცები ხშირად ნამეტანს კი ითხოვენ ხოლმე, მაგრამ ეს უკვე ყოველგვარ ზღვარს სცილდება, მე არ მოგიკვდე!

- კარგი რა, დედა! - სცადა შვილმა მშვიდობის მტრედის გამოშვება, მაგრამ ამჯერად ალიციამ ისე დაიწყო ლაპარაკი, სიტყვების მაგივრად მას უკვე მხოლოდ ტკივილი ესმოდა - ის განცდა, რომელსაც ორივე მალავდა და რომლის გამხელაც ორივეს ეწადა: იმ ქალის ტკივილი, ვისაც ბედმა უმუხთლა, ვინაც ქმარი დაკარგა და მერე ერთი ქალიშვილიც უდროოდ გამოეცალა ხელიდან - როგორც ყვითელ პრესაში მიღებული შავბნელი იუმორით წერდნენ - უდროოდ ზიარებამიღებულმაო.

- ჰალე, ჩემო კარგო - თქვა ბოლოს ალიციამ. - რამე უნდა ვიღონოთ, ერთად.

ერთი იმ მიზეზთაგანი, რომელთა მეშვეობითაც ჰალემ იოლად ამოიკითხა ეს ზაფრა დედის სახეზე, ჯაბრაილ ფარიშტას გა-

მოხედვაშიც ზუსტად იგივეს ცნობა გახლდათ: როცა ბ-ნმა სისოდიამ კვლავ მის საზრუნავად ჩააბარა ჯაბრაილი, კაცზე ამან ისე იმოქმედა, დამბლადაცემულს დაემსგავსა და მზერაც მთლად გამოეფიტა; არადა, გონების ეს ჩავარდნები სულაც არ გაუბიაბრუებია და სავსებით საღად აღიქვა სინამდვილე; ოღონდაც, სიმართლე ითქვას და, გვარიანად შეშინებული კი გახლდათ. ჰალესთვის მისი ამგვარი სახეცვლილება - შეუვალი აგდებულობიდან ბავშვურად დამჯერე, უსუსურ არსებად ქცევა - კიდევ უფრო მიმზიდველი, გულშიჩამწვდომი ამბავი აღმოჩნდა და სრულიად არ აცამტვერებდა მის მიმართ ადრინდელი „დიდი სიყვარულის“ გრძნობას. რაც არ უნდა მოხდეს, მაინც დავიბრუნებ ძველ ჯაბრაილს, - სწორედ ასე ფიქრობდა და გულის ფიცარზე ამოეჭრა - მისი ჭკუასუსტობის ამ ქარბუქსაც გადავიტან და მწვერვალზეც შევდგამ ფეხსო. ერთხანობა, მართლაც უმორჩილესი და მოსავლელადაც უადვილესი სნეული გამოდგა მისთვის: მოდსლის საავადმყოფოს ექიმთა მიერ გამოწერილი, მძიმედმოქმედი წამლების მიღების შედეგად, დიდხნობით ეძინა და გამოღვიძებულიც, სიტყვაშეუბრუნებლად ასრულებდა ყოველ მოთხოვნას. როცა გონს იყო, სულ წვრილ-წვრილად აღადგენდა საკუთარი ავადობის ისტორიას: ინდოეთში მიღებული, ლამის სასიკვდილო ტრავმიდან დაწყებული, ერთმანეთზე წაწყობილი, უცნაური ზმანებებით დამთავრებული.

- უკვე ძილისაც აღარ მეშინია, - გამოუტყდა ერთხელ. - იმიტომ რომ, ღვიძილში ახლა უარესი მემართება - სულ იმას ვფიქრობ, ვაითუ ეს ყველაფერი ისევ გამიმეორდეს-მეთქი.

განა თუ არის ვინმე...

„არა, ეგ აღარ გემუქრება,“ - არწმუნებდა ჯიუტად. - „ექიმების მტკიცებით...“ მერე ფულზე დაეკითხა და როცა ჰალემ პასუხს თავი აარიდა, დაიჟინა - ის ჩემი წელზე შემოსარტყმელი საფულე გახსენი და ფსიქიატრებს გადაუხადეო. ოღონდ გუნებაზე მაინც ვერა და ვერ მოდიოდა.

- რაც არ უნდა მითხრან, ეს რაღაც სიხელე არ მცილდება და სულ მგონია, დღეს თუ არა, ხვალ მაინც ისევ შემიპყრობს...

მერე იმ თავის ანგელოსზე მოჰყვა ლაპარაკს - თითქოსდა სულ სხვა ვინმე ყოფილიყოს: რაღაც ბეკეტისეული „მე არა - იგი“ გამოსდიოდა. მისი პირადი ბ-ნი ჰაიდი. ჰალე შეეცადა ამგვარი რაღაცეები მაინც გამოებერტყა მისთვის თავიდან: „არავითარი სხვა ვინმე ეგ არაა, შენა ხარ - ავადმყოფი და როცა კარგად გახდები, აღარც ის აღარ იქნება“.

არ გაჭრა. ოღონდ ისე კი ჩანდა, თითქოს მკურნალობამ შედეგი მაინც გამოიღო: ჯაბრაილი უფრო და უფრო მშვიდდებოდა, უფრო გაწონასწორებული ხდებოდა, თუმცა ხილვები მაინც ეწვეოდნენ ხოლმე შიგადაშიგ და ასეთ დროს არაბულად იწყებდა ლექსების კითხვას - თუმცა არაბული არასოდეს სცოდნია (ჰალემ ჩაიწერა კიდეც ფონეტიკური მიმსგავსებით ერთი ასეთი და უახლოეს მეჩეთში წაიღო მოლასათვის საჩვენებლად, იმას კიდე დოლბანდის ქვეშ თმები დასგომია ყალყზე): თილქ ალ-ჰარანიკ ალ-‘ალა ვა ინა შაფა’ათა-ჰუნა ლა-თურტაჯა - „ზეციური ფრინველები არიან ესენი, ალაჰის ასულნი, და შემწეობაც მათი სასურველია...“

მართალია, ახლა უკვე ამ ღამისეულ აჩემებებს თავისგან გარეგან, განცალკევებით აღიქვამდა და მოუდსლის ფსიქიატრებიც იმედოვნებდნენ, ავადმყოფი ნელი-ნელ აღიდგენდა კედელს საკუთარ ზმანებებსა და არსებულ რეალობას შორის, მაგრამ არც მთლად ასე იოლად იყო საქმე: როგორც აღმოჩნდა, ჯაბრაილისთვის ესე განყოფა იმავე ყაიდისა აღმოჩნდა, რაიც საკუთარი მეობის ორად გახლეჩა - ერთს კი ებრძოდა, თუმცა იმავ დროს, მისგანვე გარეგან ძალად სახავდა და ათას ზეგარდმო უნარ-ჩვევებს მიაწერდა... რაც შეეხება თავად ჰალეს, მცირე ხნით მაინც, მაგრამ ისიც გათავისუფლდა იმ მწვავე, არასწორი შეგრძნებისაგან, ვითომც რამ ბიწიერ წრეში, ანთუ სხვის მონათხრობში მოხ-

ვედრილიყოს: ჯაბრაილზე ზრუნვა, როგორც თავად ამბობდა ხოლმე - მასში ინვესტიციების ჩადება - რათა გამოჯანმრთელების შემდგომ ისევ იმ დიდი სიყვარულისთვის ბრძოლას დაბრუნებოდნენ (ძიძგილაობა მათ შორის, ალბათ, არც არასოდეს შეწყდებოდა - მაშინაც კი, უკვე ცხოვრების მიმწუხრის ბანზე ჩამომსხდარ ორ ბეხრეკ, ერთმანეთის ცხვირწინ საბრძოლო კვერთხებად დახვეული გაზეთების უილაჯოდ მქნეველ ცოლ-ქმრად რომ იქცეოდნენ), ქალში სულ უფრო საგრძნობს ხდიდა მისდამი ლტოლვას - მისსავე, ასე ვთქვათ, გათავისებას. ეს ყველაფერი კი მას მერე დაეწყო, რაც საკვამურებს შორის მოკალათებულმა მორის უილსონმა სასიკვდილოდ მოუხმო სახურავიდან.

* * *

ბ-ნი „ვისკი-სოდა“ სისოდია, ეს უმომხიბლავესი მუხლსათვალეება პიროვნება, ათასგვარი ნუგბარით გამოვსებული კოლოფებით დატვირთული, კვირაში ორჯერ-სამჯერ მაინც მოიკითხავდა ხოლმე ჯაბრაილს, რადგან თავისი „ანგელოსური ხანის“ იძულებითი მარხვით გატანჯულ ავადმყოფს ექიმები ერთხმად ურჩევდნენ - არაფერი მოიკლოთ, ეგ თქვენი ზმანებანიც, მრავალწილად, სწორედაც რომ შიმშილობითაა გამოწვეულიო.

- ასე და ამგვარად, დადგა ჟამი აკრეფათა ხორცთა! - აცხადებდა ბ-ნი სისოდია და იცოცხლე, აწოდებდა და აწოდებდა: ჩინური ტკბილი ბრინჯი გინდაო, ინდონეზიური ქათმის ბულიონიო, ბომბეურ ყაიდაზე მომზადებული ბჰელ-პურიო თუ რა ვიცი, რა გინდა სულო და გულო (ესე ყოველი ამ ღირსპატივსაცემ გვამს დიდად სახელგავარდნილ რესტორან „პაგალ-ხანადან“ მოჰქონდა, და რომლის სახელწოდებაც ორგვარად ითარგმნება - ჭამპურა ან საკუჭეთი) და ასევე,

ამ დაწესებულების მუდმივი მეტოქის - შანდაარ-კაფეს ტკბილეულობასაც ამატებდა ზედ, რათა მიკერძოებაში არავის დაედო მისთვის ბრალი. მეორეს მხრივ, არც საკუთარ ნახელავს აკლებდა - ინდური კერძების მთელ სიას, და არც ის ავიწყდებოდა აღენიშნა, რომ თავად ლუჩიანო პავაროტი მის ადღვებილ ლასის ანიჭებდა უპირატესობას, საბრალო ჯეიმზ მეისონი - სივაიანს, ხოლო რაც შეხებათ ვანესა რედგრეივზს, ამიტაბხ ბაჩანს, დასტინ ჰოფმანს, შრიდევისა თუ ქრისტოფერ რივს... ე-ეჰ, ყველას თავისი ამოჩემება სჭირდა, ახლა რა გაიხსენებსო - ამატებდა თავმდაბლად.

სიტყვამ მოიტანა და, ბ-ნი სისოდია თავად გახლდათ ერთგვარი ლეგენდა: როგორც ჯაბრაილმა აუხსნა ჰალეს, ამ სლიკინა, ტკბილმოუბარ კაცს მთელი რიგი „მაღალმხატვრული“ ფილმები გადაუღია მთლად ნისიად და ბარე ორი ათეული წელი, ცარიელი თავების მოქონვითა და საკუთარი მოუსვენრობით გააქვს ლელოო. ხალხს მუდამ ხელმომჭირნედ უხდიდა, მაგრამ კაციშვილი არაა ხმის გამცემიო. შემთხვევა იყო, მთელი გადამღები ჯგუფის ერთობლივი ამბოხი ჩააქრო ერთი მარტივი სვლით: აიღო და მავანი მაჰარაჯას მთელს ინდოეთში ზღაპრულ ადგილად მიჩნეულ სასახლეში დაპატიჟა ყველანი, საქეიფოდ - არადა, იქ მხოლოდ ელიტას - ჯაიპურისა თუ ქაშმირის მხარის დიდგვაროვნებს შეედგმებოდათ ფეხი. როგორ და რანაირად მოახერხა ეს, კაცმა არ იცის, ოღონდ ამისთანა პატივისცემის შემდეგ გასამრჯელოს მომატებაზე სიტყვა აღარავის დაუძრავს... უხერხულიც კი იქნებოდა, ღმერთმანი.

- ოღონდ ეგეცაა, რომ შეჭირვებულის დახმარებაზე არასოდეს უთქვამს უარი, - დაამთავრა ჯაბრაილმა. - როცა ჩარულატას როლის შემსრულებელ მოცეკვავე ქალს სიმსივნე აღმოუჩინეს და მეტად ძვირი მკურნალობა დაენიშნა, წლობით დაგროვილი საზღაურის თანხა ერთ საათში დაიდო მის ანგარიშზე.

იმ დროისათვის ბ-ნი სისოდია უკვე ლონდონსა და ნიუ-იორკში ფლობდა საკუთარ ბინებს, და უცხოელთათვის განკუთვნილ რამდენიმე „ოსკარისთვისაც“ კი გამოეკრა ხელი. ცხადია, ჰალე ძალზე ემადლიერებოდა მისგან ასეთი ყურადღებისა და დროის დათმობისათვის (საერთოდ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს საქვეყნოდ ცნობილ პროდიუსერს დრო ჩირად არ უღირდა), და ეს სწორედ მაშინ, როცა თავად ჰალელუია კონიზე ნამდვილი ტაციობა ატყდა: ჯერ იყო და გაყინული საკვების უზარმაზარ კორპორაციასთან შეთანხმებას მოაწერა ხელი, რომლის სარეკლამო აგენტმაც, ბ-ნმა ჰალ ფარშა-ვანგამ პირდაპირ განუცხადა - თქვენი პროფილი დიახაც რომ ჩვენს მომხმარებელზე გამიზნულ ყველა დადებით პარამეტრს აკმაყოფილებს - ასე ვთქვათ, „გაყინვასა“ და „ჩაციებას“, ერთი-ერთზეო. ისიც ითქვას, ზოგიერთი მოდელი ბოლო-ბოლო ნამდვილ ვამპირად იქცევა ხოლმე და ცნობადი სახელის ხარჯზე, აქეთ სწოვს მასებს ყურადღებას, ოღონდ თქვენს შემთხვევაში, ეს ჩვენი თანამშრომლობა ნამდვილ სინერგიად გარდაიქცევაო... ასე რომ, ახლა მაცივრების ფასდაკლებით გაყიდვებს, სამომხმარებლო საკითხებთან დაკავშირებულ კონფერენციებს, ნაყინით სავსე მთელი სათლების უფასოდ ჩამორიგების სარეკლამო აქციებს ვეღარ აუდიოდა, რომ არაფერი ვთქვათ მისი ალპინისტური ტანსაცმლის საავტორო ხაზის დამპროექტებელ-დამამზადებლებთან ყოველკვირეულ შეხვედრებზე; ამას კიდევ ის ამბავიც დაუმატეთ, რომ გამაჯანსაღებელი ვარჯიშების საკუთარი პროგრამა მიჰყავდა ტელევიზიაში, ხოლო საკუთარ თავს აიძულებდა, მუხლებში მწვავე და მჩხვლეტავი ტკივილის მიუხედავად, დღეყოველ ხუთ-ხუთი მილი ერბინა პარკში.

- რაზზეა ლლაპარაკი! - ხელები გაასავსავა ბ-ნმა სისოდიამ. - აქქაქ ვიჯდები ფფეხმოუცვლელლად, სანამ არ დაბრუნდებით. ჯჯაბბრრაილ ფფარიშშტას სასსსთუმალთან ჯჯდომა დდიდი პპატივია ჩჩემთთვის!

მერე იჯდა ხოლმე და ათას თავშესაქცევ ამბავს უყვებოდა, ანეკდოტებით ბერავდა, ჭორ-მართალს ერთმანეთში ურევდა ან უბრალოდ, აქეთურ-იქითურზე ლაქლაქებდა. ერთხელაც იმას შეესწრო, ზოგადად ინგლისელებს რომ იგდებდა მასხრად:

- პრობლემა ის გახლავთ, ჯაბრაილ ჩემო, რომ მთელი მაგათი იმპერიის ისტორია სულ წყალგაღმა ხდებოდა და აზრზე არ არიან, სად და როგორ იყო...

- ლონდონის წვეულებებზე უბრალოდ, მათზე მეტნი უნდა ვიყოთ ხოლმე და მაშინ პრობლემა არაა, წესიერად მოიქცევიან, ოღონდ მეტობაში - ნურას უკაცრავად...

- ცვილის ქანდაკთა „საშინელებების დარბაზში“ მიბრძანდით ერთი და ნახავთ, სინამდვილეში რისთვის უთქვამთ გული ბრიტებს: გიჟი მექუდე კი არა, გიჟი დალაქია მაგათი საყვარელი პერსონაჟი, ეგრე არაა? გაზეთებიც რომ სულ არატრადიციული სექსით თავმოყივნებისა და მსოფლიოს ყველა კუთხეში სისხლისღვრის ამბებითაა სავსე! თან რომ ჰკითხოთ, ძაან თავშეკავებული ხალხი კია, მე არ მოგიკვდეთ... ცხვირზე ბუზს რომ არ დაისვამენ, ისეთი! ჩვენ კიდე მთელი ამ სისულელეების გვჯერა.

ჯაბრაილიც კმაყოფილი ღიმილით უსმენდა და შიგადაშიგ თავსაც კი უკანტურებდა ხოლმე, რაც უკვე ძარღვებს უშლიდა ჰალეს: რაო ვითომ, მართლა ეს სულელური განზოგადებებია, რაც მათ ინგლისში ყოფნისას გაითავისეს?!

- არ-ა-ა, - ყოვლად უსირცხვილო ღიმილით დაიხია უკან ბ-ნმა სისოდიამ. - მაგგრამ ხანდახხან გუულის მოფფხანაც არ გაწწწყენს კაცს...

იმ დროისათვის, როცა მოუდის კონსილიუმმა შესაძლებლად ჩათვალა ჯაბრაილისთვის წამლების რაოდენობა შეემცირებინა, ბ-ნი სისოდია იმდენად გაშინაურებულიყო ჯაბრაილის საწოლთან, ერთი ვინმე ცერცეტი, მაგრამ ყოვლად გულკეთილი ნათესავი გეგონებოდათ; ხოლო როცა სათაგურის კარი გაჩხაკუნდა,

ჰალელუია კონისა და ჯაბრაილ ფარიშტას გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა.

* * *

როგორც გაირკვა, ის დიდი ხნით ადრე დაკავშირებოდა თავის ბომბეელ კოლეგებს: იმ შვიდ პროდიუსერს, პირში ჩალაგამოვლებული რომ დარჩნენ მას მერე, რაც ჯაბრაილი ინდოეთის ავიაკომპანიის კუთვნილ ლაინერში ჩაჯდა, რეისი 420.

- მმოკლედ, ძძალიან გაიხარეს თთქვენი გადარჩჩენით, - გამოუცხადა ჯაბრაილს. - სამ-სამ... სამწუხაროდ, ახლა კკონტრაქტების დარღვევვის ამბავია ggასარკვევი.

თურმე ნუ იტყვით და, ათასი ვინმე ყოფილა მკვდრეთით აღმსდგარი ჯაბრაილ ფარიშტას მიმართ სარჩელის შეტანით დაინტერესებული და მათ შორის, ვინმე პაწია, მაგრამ კაშკაშა ვარსკვლავი, ქ-ნი წიწკვა ბილიმორიაც - მისი პროფესიული საქმიანობისათვის მიყენებულ ზარალსა და შემოსავლების კლების თაობაზე რომ ვიშვიშებდა.

- კაი ggვარიანი თანხა დაggვიჯდდება... - ამოიოხრა ბ-ნმა სისოდიამ.

ჰალემ ლამის იყო, იფეთქა:

- თავად არ ააზუზუნეთ ეს კრაზანების ბუდე?! - იყვირა. - თავიდანვე უნდა მივმხვდარიყავი: იმისთანა დატკბილული ვინმე ბრძანდებოდით, მანდ რაღაცაში უნდა ყოფილიყო საქმე!

- რას ბრრძანებთ! - აღშფოთებას არაფერი უკლდა ბ-ნ სისოდიას მხრიდან. - მე, ჩემდათავად, ყყოველმმხრივ ვეეცდები საურრავის თანხა შევვამცირრებინო... ცუდი არრაფერი იფიქრროთ, უბრრალოდ - ერთჯერადი ვერგამარრთლების ამბავია.

მართლაცდა, სინამდვილეში, ბომბეის კინოსაქმიან წრეებიდან არც არავის სურდა ჯაბრაილის მიმართ საჩივარი აღეძრა სასამართლოში - განა ვის რაში აწყობდა ოქროს კვერცხების მდებელი დედლის დაკვლა?! ეგეც არ იყოს, ყველა იმაზე თანხმდებოდა, რომ ძველი პროექტები მართლა მოძველებულიყო: აღარც ის მსახიობები იყვნენ, არც რეჟისორები, აღარც... მოკლედ, სულ თავიდან იყო ყველაფერი დასაწყები. მეორეს მხრივ, ჯაბრაილ ფარიშტას გარდამოსვლა ამ სამყაროში იმდენად მომგებიან კომერციულ ფასეულობას შეიცავდა, ამასთან რაღაც არარსებული ფილმების ხსენებაც კი უხერხული გახლდათ. ახლა ის იყო საქმე, ყველა დაინტერესებული პირის ჩართვით, საუკეთესოდ როგორ წარემართათ შექმნილი ვითარება. ლონდონში მისი გამოჩენაც კი უკვე თავისთავად გზას ხსნიდა საერთაშორისო კავშირების დასამყარებლად: დაფინანსების, ადგილობრივი და არა მაინცადამაინც ინდური სანახების გამოყენების, ადგილობრივივე „უცხოელი“ ვარსკვლავების დასაქმებისა და ა.შ. და ა.შ. მოკლედ რომ ვთქვათ, საუკეთესო დრო იყო ჯაბრაილისთვის, იძულებითი შვებულებიდან დაბრუნებულიყო და კვლავ გადამღებ მოედანზე შეედგა ფეხი.

- აარჩჩევანი არრცა გვვაქვს, - უხსნიდა სისოდია ორივეს. - თუ უუარს იტყვით, ერრთ ხრროოვად დაგეცე-ცემიან თავს და მერე მმთთელი თთქვენი ქქონება ბაი-ბაი, გაკკოტტრება, ცციხე, ფფანტუშ!

ბოლო-ბოლო, ისევ ბ-ნმა სისოდიამ იტვირთა ყველაფერი, ორივე მხარე დასთანხმდა მისთვის ებოძათ აღმასრულებელი უფლებამოსილებანი და მანაც შემდეგი სახის დავთარი შეადგინა: ბრიტანელი საქმოსანი ბილი ბატუტა მზად გახლდათ კაპიტალი ჩაედო როგორც გირვანქა სტერლინგების, ასევე იმ არაკონვერტირებადი, ე. წ. „დაბლოკილი რუპიების“ სახით, რომლებიც ინდოეთის სუბკონტინენტზე ბრიტანელ კინოგამქირავებლებს

ერგებოდათ. ყველა ინდოელ კინომწარმოებელს გამოაღებინეს ხელი, ხოლო ქ-ნ წიწკვა ბილიმორიას, მისი ჩაჩუმების მიზნით, ორი მშვენიერი როლი შესთავაზეს - ორივე ცეკვებითურთ. გადაწყდა, რომ გადაღებები სამ კონტინენტზე გაიმართებოდა - ევროპაში, ინდოეთში, აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროზე. ჯაბრაილი პროექტის თავი დათავი იქნებოდა, პროდიუსერების სუფთა მოგებიდან სამ-პროცენტიანი საზღაურით...

- ერთიანი მოგების ათი! - ბალიშიდან თავი წამოსწია ჯაბრაილმა: ნელ-ნელა, მაგრამ აშკარად უნათდებოდა გონება.

- ბბატონი ბბრძანდები, ათი ეერთიანიდან, - თვალიც კი არ დაუხამხამებია ბ-ნ სისოდიას. - სსარეკლამო კკამპანიას რაც შშეეხება...

- და რა პროექტია ასეთი? - ჩაეკითხა ჰალე კონი. - მე არაფერს მეტყვით?

ბ-ნი ვისკი-სოდა სისოდია ერთიანად გაიბადრა:

- გგეკადრებათ, ქქალბატონო?! რაღა თქმა უნდა, მთავრანგელოზ ჯაბრაილის როლი ერგება... ამაზე ნაკლებს ვერაფრით დავთანხმდებით.

* * *

მოკლედ, საქმე ეხებოდა სრულმეტრაჟიანი ფილმების მთელ ციკლს - როგორც ისტორიულის, ეგრევე თანადროულის ქარგით, ხოლო ყოველი მათგანი ანგელოზის თავმბრუდამხვევი აღმასვლის ერთ რომელიმე ეპიზოდს შეეხებოდა - გადი-გამოდი, ტრილოგიაზე ნაკლებში ვერაფრით ჩაეტეოდი.

- ახლა არ მითხრათ, სათაურებიც კი შევარჩიეთო... - ვითომ გააქილიკა ჰალემ ეს ტანმორჩილი, თავით-ფერხთამდე მბზინავი კი-

ნომაგნატი. - „ჯაბრაილი ჯაჰილიაში, ჯაბრაილი იმამს ხვდება, ჯაბრაილი და პეპლების მეუფე...“ ეგრეა?

ნურას უკაცრავად, ბ-ნი სისოდია ოდნავადაც არ შეჩქვიფებულა, ამაყად დაუქნია თავი.

- დდიახ, დდიახ, სსწორედაც რრომ! სსიუჟეტური ქქარგა, სსცენარების მმმონახხაზი და მუშა ჯჯგუფფის შშერჩჩევა - უუკვე მთეელი სსვლით...

აი ეს კი უკვე მეტისმეტი იყო საბრალო ჰალესთვის.

- მართლა ყროლის სუნი მცემს, ღმერთმანი! - ძუ ლომივით ბდღვინავდა, ბ-ნ სისოდიას დასდევდა მთელ ბინაში, ავეჯს ეტაკებოდა, კარებს აჯახუნებდა. - მის ავადმყოფობაზე გინდათ ხელი მოითბოთ?! ვეღარ გაიგეთ რომ შეეშვა ამ საქმეს? ვარსკვლავი აღარაა, არა! მორჩა ეგ ამბავი! და საერთოდ, ერთ ადგილას გამიჩერდით, მართლა შეჭმას კი არ გიპირებთ...

დაუჯერა, ოღონდ წინდახედულად მოიქცა და მხოლოდ ტახტის იქითა მხარეს გაიმაგრა პოზიციები.

- გგემუდარებით, აახლა სსხვა მხრი-მხრიდანაც შეხხედეთ საკკითხს... - მღელვარებისაგან კინაღამ ენაც კი მოიკვნიტა. - განა ششეიძლება სსავსე მთვარე ღღამეში ნათთებას ششეეშვას?! თთანაც - ششვიდი ხხელმოწერრაა, ششვიდი! პპასსუხისმგეებბლობა სახხეზეა... გგინდათ რომ ფფსიქიატრიულში გამმოამწყვდიოთ?

- რაო?!

- არრა, ეგგეც ერრთი გგამოსსავალი იქქნებოდა, ოღღონდ...

ის იყო, ევერესტის ფორმის სამელნეს დასწვდა და კარგადაც ამოიღო მიზანში, რომ კარის ღიობში ჯერ ისევ ფერმკრთალი, ჩამომხმარი, თვალებჩაცვენილი ჯაბრაილი აისვეტა.

- დაიცა, კონი... - თქვა ჩუმად, ტუჩების ცმაცუნით. - იქნებადა ასე უკეთესიც იყოს. მართლა მინდა საქმეს დავუბრუნდე.

* * *

- ჯაბრაილ-საჰიბ, ენა ვერ იტყვის, როგორ გამახარეთ! ისევ ამობრწყინდა ვარსკვლავი!

ბილი ბატუტა სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა ჰალესათვის: ნამდვილად რომ არაფრით მოგაგონებდათ დაპოხილთმებიან და ბეჭდებახუნძლულთითებიან, საზოგადოებაში მოცურავე ზვიგენს - პირიქით, ძალზე თვალშიუცემრად ეცვა: სპორტულ ყაიდაზე აჭრილი პიჯაკი და ლურჯი ჯინსი, ხოლო მამლაყინწური თავდაჯერების ნაცვლად, შეიძლება ითქვას, მიმზიდველად საამო თავდაჭერილობითაც კი გამოირჩეოდა; ერთია რომ იმგვარი თხაკიკინა წვერი დაეყენებინა, რაც მიუტევებელ მსგავსებას ანიჭებდა ტურინის კვართზე აღბეჭდილ მაცხოვრის სახესთან. ბ-ნ სისოდიას ლიმუზინში მოკალათებულებმა, წესიერად მისალმებაც ვერ მოასწრეს, აქეთ ჩაავლო ხელი ჰალეს, მრავალმნიშვნელოვნად მოუჭირა, მერე ჯაბრაილს გასწვდა და ისე ჩაბღუჯა, თითქოს მასზე სანატრელი სანახავი არც არავინ ყოლოდა დედამიწის ზურგზე. მისი თანამგზავრი და თანაზიარი, ქ-ნი მიმი მამულიანი ბევრად უფრო ენაწყლიანი აღმოჩნდა:

- ყველაფერი მზადაა, - გამოაცხადა. - ხილი, გოგონები, პაპარაცები, თოქ-შოუ, ჭორები, მსუბუქი მინიშნებები აქეთურ-იქითურზე: ყველაფერი, რაც კი მსოფლიო სახელის მქონე ცნობადი სახისთვისაა აუცილებელი. ყვავილები, პირადი დაცვა, უთვალავგირვანქასტერლინგიანი კონტრაქტები... მოკლედ, თავი ისე იგრძენით, როგორც საკუთარ სახლში.

„ასეა თუ ისე, ეს ყველას საერთო აზრი გახლდათ," - თავს იმშვიდებდა ჰალე. - „მთელი ამ დავიდარაბისადმი ჩემი წინააღმდეგობა თავად ჯაბრაილის სურვილმა გატეხა და კიდე იმან, ექიმებიც რომ

მისსავე ფეხის ხმას აყვნენ და ერთხმად გაიძახოდნენ: ნაცნობ გარემოში დაბრუნება - ერთგვარად სახლში დაბრუნებაც კი - იქნებადა მართლაც კეთილისმყოფელი აღმოჩნდეს მისთვისო. ახლა უკვე ბ-ნ სისოდიას მიერ იმ სიზმრისეულ ზმანებათა ამბის მითვისება, რაც მან ჯაბრაილის სასთუმალთან მოისმინა, მათ წისქვილზე ასხამდა წყალს: ამ მოლანდებათა კინემატოგრაფიის ხელოვნურ, შეთითხნილ სამყაროში გადატანა იქნებადა მართლაც სასიკეთო ყოფილიყო ჯაბრაილისთვის, რადგან მათი უბრალო ფანტაზიებად აღქმა უკვე ბევრად გაუადვილდებოდა და ცხადია, ამით ძილისა და ღვიძილის სამყაროებს შორის ბერლინის კედლის აღმართვაც გაიოლდებოდა. ყოველ შემთხვევაში, ღირდა ჩიტი ბდღვნად.

ოღონდაც საქმეები (მიმდინარე საქმეები) მთლად ისე ვერ აეწყო, როგორც იგეგმებოდა. ჰალე არცთუ მცირედ გაანაწყენა სისოდიას, ბატუტასა და მიმის უკიდეგანო ჩარევებმა ჯაბრაილის ცხოვრებაში - ჯერ იყო და დღის განრიგი მთლად წუთი-წუთზე გაუწერეს, მერე გარდერობი თავიანთ ჭკუაზე გამოუტენეს და ბოლოს, სულაც გადაასახლეს ჰალეს ბინიდან - აქაოდა, ამგვარი მუდმივი კავშირი მსახიობის იმიჯისათვის ვერაფერი სახეიროაო. ჯერ „რიცში“ სახლობდა, მერე კი სამი ოთახი გამოუყვეს ბ-ნ სისოდიას სახლში გროსვენორ-სქვერზე, მარმარილოსიატაკიან, მოფარდაგებულკედლებიან, გამოქვაბულის ყაიდაზე გაწყობილ ბინაში. თავად ჯაბრაილის მიერ ამგვარ ცვლილებებზე ასე სიტყვაშეუბრუნებლად დათანხმება ჰალესთვის თავი გამაოგნებელი ამბავი გახლდათ და ახლაღა გაისიგრძეგანა ის ნაბიჯი, მას რომ გადაედგა ამგვარი ცხოვრებისაგან გასამიჯნავად და ლონდონს რომ გამოეშურა მისი, ჰალელუია კონის საძებრად. ახლა კი, როცა კვლავაც კბილებამდე შეიარაღებული პირადი მცველებისა და საუზმის ლანგარზე შემომტანი, ნაზად მომღიმარი გოგონების სამყაროში იფლობოდა, ისევე დრამატულად ხომ არ მო-

იცილებდა თავიდან, როგორც რომ მის ცხოვრებაში შემოაბიჯა? ვაითუ თავად შეუწყო ხელი მის ამ წარსულში დაბრუნებას, თავად კი კვლავაც ეული, მარტოხელა ქალის ბედი ირგუნა? ახლა ჯაბრაილი ლამის ყოველი ლაპლაპაყდიანი ჟურნალიდან იმზირებოდა, ყოველ ჯერზე სხვადასხვა ქალით გვერდში, სულელურად მომღიმარი. მართლა ვეღარ იტანდა ამას, მაგრამ ის აინუნშიაც არ აგდებდა ამ ყველაფერს: „რა განერვიულებს?“ - ეკითხებოდა, უზარმაზარ დივანზე გადაშხლართული. - „უბრალო ფოტოებია, ბიზნესი, სხვა რა?“

ყველაზე უარესი კი ის გახლდათ, ახლა რომ აქეთ დაუწყო ეჭვიანობა: როგორც კი მძიმედმოქმედი წამლების მიღებას შეეშვა, ხოლო ორივეს თავ-თავიანთი საქმიანობა აიძულებდათ, მეტისმეტად ბევრი დრო გაეტარებინათ უერთმანეთოდ, ჯაბრაილი ისევ იმ ყოვლად აუხსნელმა, აულაგმავმა ეჭვებმა შეიპყრო: ახლა ყოველ შეხვედრაზე წვრილად გამოკითხავდა ხოლმე - როდის სად იყო, ვისთან ერთად, ხომ არ... ჰა? ჰალეს უკვე ყელში ამოსდიოდა ეს ყველაფერი. ჯერ იყო და შერყეულფსიქიკიანი კაცის მოვლა-პატრონობა, ახლა კიდე - ეს ღამისეული დაკითხვები... ასე უჩნდა, უკვე მისი ცხოვრება იდღაბნებოდა უსასრულოდ. კი მაგრამ, მე რაღა? ჩემი ცხოვრება როდისღა დავიბრუნო? ქანცგაწყვეტილმა, ახლაც დედას მიაკითხა რჩევისათვის. მოსქოუ-როუდზე ყველაფერი ისევე იყო, როგორც მამამისის სიკვდილამდე - ეგაა რომ ფარდები გადაეწიათ იმდენი სინათლის შემოსაშვებად, რამდენიც საერთოდ შეეძლო ბებერ ინგლისს შემოეთავაზებინა; და კიდევ - სტრატეგიულად მნიშვნელოვან წერტილებში ყვავილებიანი ლარნაკები დაედგათ. ალიციამაც, თავდაპირველად, მსოფლიო სევდის გააზრების გარდა ვერაფერი სახეირო ვერ შესთავაზა ქალიშვილს:

- მამაკაცები მუდამ ასე აშთობენ ხოლმე ქალების სურვილს, საკუთარ ცხოვრებას მიჰყონ ხელი... ასე რომ, ჩვენს თემში გაწევრიანება მოგიწევს. შენთვის კი ეს ახალი ხილია - გარემოების სამართავი ბერკეტების ხელიდან გაშვება...

ჰალეც მყის დაეთანხმა: კი, მისი მიტოვებაც მინდოდა, მაგრამ ვერ მოვახერხეო. თუნდაც იმიტომ, ასეთ მდგომარეობაში მყოფ კაცზე თუ ხელს ავიღებდი, მერე მთელი ჩემი ცხოვრება სინდისის ქენჯნა გამტანჯავდაო. და კიდევ იმიტომ, ის ვერ აღმოეთქვა, რაც ენაზე ეკერა და სასას უწვავდა...

- მოკლედ, ბავშვი გინდა მისგან, - დაასკვნა ალიციამ.

ჰალე წამოჭარხალდა:

- მე ჩემი ბავშვი მინდა! - მაგრამ იქვე აარიდა მზერა, თავი ჩაღუნა და მზად იყო, ცრემლებიც დაეღვარღვარებინა.

- მოკლედ, მთავარი გამოცდა გინდა მოუწყო.

რა ხანია, დედა-შვილს ასე არ უსაუბრია, ხელიხელჩაჭიდებულთ? ძალიან დიდი. და იქნებ, ეს სულაც ბოლო იყო.

- ასე რომ, გარდასულზე ნუ ინანი და ჩემი არ იყოს, ჯობია მომავალს გაუსწორო თვალი... - დაამატა რაღაცნაირი, იდუმალი ღიმილით.

თურმე ნუ იტყვით, ალიციას ცხოვრების ცისკიდურზე ვინმე პროფესორი ბონეკი გამოჩენილიყო, დიდის რამ ავტორიტეტი გენური ინჟინერიის დარგში. მისმა ქალიშვილმა ჯერ საკუთარ ყურებს არ დაუჯერა, მერე თვალები ჭყიტა და სულ ბოლოს, ალალი სიცილი აუტყდა:

- შენს ასაკში! ცოტა დაირცხვინე მაინც, დედაჩემო!

- კარგი, მოვრჩეთ ამაზე... ისე, რომ იცოდე - პროფესორი სტენფორდის უნივერსიტეტში მოღვაწეობს, კალიფორნიაში და იქ კიდე, მოგეხსენებათ, მზე საკმარისადაა წელიწადის ნებისმიერ დროს. ასე რომ, ამ სიბერეში გემრიელად გავირუჯები კიდეც. მოკლედ, საამო და სასარგებლო ერთად.

* * *

მხოლოდ მას მერე, რაც აღმოაჩინა რომ ჯაბრაილს მასზე თვალთვალი დაეწესებინა, ჰალემ, ბოლოსდაბოლოს, გადაწყვიტა საბოლოოდ დაშორებოდა. ეს უკვე მკლავს... დაუწერა გამოსათხოვარ ბარათში, უჯრაში მის თაობაზე წარდგენილ, მის მიერვე შემთხვევით აღმოჩენილ მოხსენებაში ჩადო და დაუმშვიდობებლად გავიდა სახლიდან. ჯაბრაილს არც კი დაურეკავს - იმხანად მისი დაბრუნებისადმი მიძღვნილ დიდი შოუსათვის ემზადებოდა, რომელსაც ბილი ბატუტას კუთვნილი ერთი კომპანიათაგანი აწყობდა ერლზ-ქოურთის დარბაზში. თვითონ ამ წარმოდგენის სრულიად მოულოდნელი, დამაგვირგვინებელი ნომერი უნდა წარედგინა და მთელ დასთან ერთად, თავგადადებული ვარჯიშობდა ცეკვა-სიმღერაში. თავად ბატუტას აგენტები დაუღალავად ყრიდნენ ხმებს მავანი იდუმალი ვარსკვლავის ამობრწყინებაზე, ხოლო ფარშა-ვანგას სარეკლამო სააგენტომ ლამის წალეკა ეთერი რადიო და ტელერეკლამებით.

ერლზ-ქოურთის სცენაზე ჯაბრაილის გამოჩენა - პირდაპირ ჭერიდან უნდა დაშვებულიყო, მუყაოს ღრუბლებსა და ფერადი ბოლის ბოლქვებში გახვეული - მისი დიდების კვარცხლბეკზე დაბრუნების ბრიტანულ ნაწილშიმწვერვალად უნდა ქცეულიყო, შემდეგი სადგური კი უკვე ბომბეი გახლდათ. როგორც თავად განაცხადა, ჰალელუია კონის მიერ მიტოვებული, ახლა მხოლოდღა შემოქმედებით საქმიანობას უძღვნიდა თავს.

მაგრამ ჯერ იყო და თავად ბილი ბატუტა დააკავეს ნიუ-იორკში რაღაც თაღლითობაში გახვევის გამო; ჰალემ, როგორც კი ეს ამბავი გაიგო, ყოველგვარი კდემამოსილება დაივიწყა, ერლზ-ქოურთში მივიდა და ჯაბრაილი პირდაპირ სარეპეტიციო დარბაზიდან გამოიხმო, აფრთხილებდა - ამისთანა ხალხთან საქმის დაჭერა ხეირს არ დაგაყრისო. „გარეწარია ნამდვილი," - უმტკიცებდა. - „მაგის ატეხილი მთელი ეს ხმაური სუფთა წყლის ოინბაზობაა, ქვიშაზე ნაგები". ოღონდ ჯაბრაილმა შორს დაიჭირა - აკი თავად მიმატოვე და ახლა

შენგან რა რჩევები უნდა მივიღოო; სისოდია/ბატუტას პრომოჯგუფი კი წელებზე ფეხს იდგამს, ბილის ამბავსაც ამ საქმესთან არავითარი კავშირი არა აქვს, ხოლო ფულადი სახსრები სრულადაა მოძიებული, ყველა ინდოელი ვარსკვლავიც თავის მონაწილეობას წერილობით ადასტურებსო.

- მოკლედ, როგორც ბ-ნი სისოდია ამბობს, Sho... show must go on... - უთხრა და ისევ სცენას მიაშურა.

ოღონდ ახლა თავად ჯაბრაილის საქმე ვერ იყო კარგად.

* * *

სისოდიას მოთხოვნა - ხალხი ბოლო წუთამდე აზრზე არ უნდა იყოს, ვინაა ეს იდუმალი ვარსკვლავიო, - გულისხმობდა რომ ჯაბრაილი ადგილზე ბურკაში გახვეული გამოცხადდებოდა - ისე, რომ მისი სქესიც კი გამოუცნობი ყოფილიყო. ყველაზე დიდი საგრიმიორო არგუნეს, რომლის კარზეც შავი, ხუთქიმიანი ვარსკვლავი მიელურსმათ და მერე, ყოველგვარი ბოდიშობანას გარეშე გამოკეტა იქ საკუთარმა სქელშუშასათვალიანმა პროდიუსერმა და სადაც თავისი საანგელოზო ჩაცმულობაც მოიძია (სხვათა შორის, შუბლზე მისამაგრებელი განსაკუთრებული მოწყობილობაც, რომელიც შარავანდედის შესაფერ მანათობელ რგოლს აუნთებდა თავსზემოთ) და შიდა სატელევიზიო ეკრანი - შოუსათვის თვალის სადევნებლად, რადგან ვინ გინდა რომ იქ არ ყოფილიყო: მითჰუნი და კიმი, ჯაიაპრადჰა და რექჰა (ბოლივუდის ნამდვილი მეგავარსკვლავი, და არა რაღაც ის ზმანება ფარდაგზე), ვინოდ ქჰანა და დჰარმენდრა; სველ სარიში გამოწყობილი შრიდევი... მოკლედ, არავინ აკლდა და სულ ბოლოს, ჩაროზად - პირადი საჩუქარი წინდახედული პროდიუსერისაგან: ყვა-

ვილის ფორმის დიდი ყუთი, რომლიდანაც ოქროსფერ ფოთლებში გამოწყობილი ქ-ნი წიწკვა ბილიმორია უნდა ამოზრდილიყო, სანდომიანი ღიმილით სახეზე... აი, ამაზე იტყვიან, ჩვენსა კინო ჩამოსულაო.

* * *

უცნაური შეგრძნება კი დაეწყო - უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, დაუბრუნდაო - როცა სცენის ზემოთ, საგანგებოდ მისთვის გამზადებულ საკარცხულში ჩაბრძანდა და თავის გამოსვლა/ჩამოშვებას ელოდა. ჯერ იყო და მიხვდა (თუ მიახვედრეს), რომ ახლა ყოველ წამს შეიძლებოდა მისთვის (ეს სიტყვა მისი ყოველგვარი ტვინისჭყლეტის გარეშე ამოუტივტივდა) არჩევანი შეეთავაზებინათ: ამ სამყაროსა და იმ სამყაროს შორის; უცბადვე საკუთარი შემეცნების გარეგან იგრძნო თავი და იმასაც მიხვდა, რამდენად ცდებოდნენ ექიმები, შიზოფრენიას რომ აბრალებდნენ - გონის განხეთქვა მასში კი არა, თავად სამყაროში ხდებოდა და როცა საკარცხული ქვემოთ დაუშვეს, გავეშებულ ზღვასავით აბორგებული ხალხის წინაშე, როცა ის თავისი დაზეპირებული მისალმება წარმოთქვა - მე ჯაბრაილ ფარიშტა ვარ, მკვდრეთით აღმდგარი! - ეს ხმა ორივე სამყაროს იყო, ასე ვთქვათ, სტერეოხმიანობით მოისმოდა, თუმც კი სულ სხვადასხვა მნიშვნელობით; მერე კი ხელები აღაპყრო და ბრბომაც იქუხა, თავისიანად სცნო, კაციან-ქალიანად, ადგილებიდან წამოხტნენ, მეცხრე ტალღასავით მოაწყდნენ სცენას.

პირველი, ვინც წაეპოტინა, ვიღაც კაცი იყო: გახსოვარ, ჯაბრაილ? ექვსთითა მასლამა - გახსოვარ? ეს მე ვარ, ჯონ მასლამა - აქამომდე საიდუმლოდ ვინახავდი შენს ჩვენს შორის ყოფნას, ჯაბრაილ! ოღონდაც წინარე შენისა ვიყავ და იმას ვქადაგებდი, რომ ჩვენთან

არს ღმერთი, და დავრჩი ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, ოღონდაც განვამზადე მე გზანი უფლისანი! - ოღონდაც იქვე გასკვანჩეს და გაარიდეს იქაურობას, ხოლო დაცვის ხალხი ჯაბრაილს შემოეხვია - სერ, მთლად ჭკუას გადავიდნენ, მოგიწევთ... მაგრამ ის არსად არ აპირებდა გარიდებას, რადგან შეამჩნია რომ ხალხის ნახევრს მაინც უცნაურზე-უცნაური თავსაბურავები ეხურათ - რეზინისრქებიანი, რაც მეტად უცნაურ, რაღაც მართლა ეშმაკეულ გამომეტყველებას ადებდა ყველას სახეზე და როგორც კი მტრისა და მოწინააღმდეგის ეს საფირმო ნიშანი შენიშნა, სამყაროთა გზისგასაყარის მარცხენა განტოტება არჩია...

მეორე დღეს, თავად ამ ღონისძიების ორგანიზატორების მიერ მას-მედიისათვის გავრცელებული და საყოველთაოდ მიღებული ახსნა-განმარტება იუწყებოდა, რომ ჯაბრაილ ფარიშტა ხიფათს იმავე დაკიდული საკარცხულის მეშვეობით განარიდეს, რომლითაც სცენაზე დაეშვა და გადმოსვლა კი ვერ მოასწრო, რის შედეგადაც მისი მთლად უხიფათო და გასაიდუმლოებულ ალაგას გადაყვანა უკვე სიძნელეს აღარ წარმოადგენდა. მართალია, ზოგ-ზოგან ხმები დაიყარა - რეჟისორის თანამშემწეს არ ჩაურთავს - ვიმეორებთ: არ ჩაურთავს ამწე მას შემდეგ, რაც ფარიშტა სცენაზე დაეშვა და საკარცხულიც თვალშისაცემად უძრავად იდგა თავგადაკლული და ჭკუასგადასულითაყვანისმცემლების მიერ ატეხილი არეულ-დარეულობის დროსო, ხოლო მომსახურე პერსონალს, უბრალოდ, საკმარისი თანხა ჩამოურიგეს პირში წყლის ჩასაგუბებლადო, მაგრამ ეს მხოლოდ ცეცხლზე ნავთის გადასხმასავით იყო და ვარსკვლავის თვალსა და ხელსშუა გაქრობას ვერანაირად ვერ ხსნიდა.

თუმცაღა, ჯაბრაილ ფარიშტას ზეცად ამაღლების თვალსაზრისი ჯიუტად იკიდებდა ფეხს ქალაქის მაშრიყულ მოსახლეობაში და ამის საბუთად მის თავსზემოთ აკიაფებულ ნათება-შარავანდედს ასახელებდნენ. ეს უცნაური, გარნა მეტად დამაჯერებე-

ლი საბური იმის მიზეზად იქცა, რომ უკვე მეორე დღეს, მიმდებარე უბნებსა და განსაკუთრებით, ბრიქსთონში, დახლიდარები თუ ათასი ჯურის ხელზე მოვაჭრენი მუხლჩაუხრელად ასაღებდნენ ჯოხზე წამოცმულ, თავზე დასამაგრებელ მანათობელ რგოლებსა და თავზევე თასმებით მოსაჭერ, რეზინის პაწია რქებს.

* * *

დი-იახ, ახლა ის ლონდონ-ქალაქს დაჰფრენდა თავს! - ჰუ-ჰუუ, აბა და ახლაც წაავლონ ხელი, თუ კაი ბიჭები არიან! - ზემოდან დაჰყურებდა ამ ბრიტებს და ცხადი ხდებოდა: მათი გასაჭირი სწორედ ის იყო, კუნძულელები რომ იყვნენ - წლიდან-წლამდე წყალი ესხმოდათ თავზე და დღეებიც აქ ღამესავით იყო - მზე მთვარეს ჰგავდა და მთვარე კიდე - ერთ რამ ყველის თავს! კარგი: ახლა დიადი გარდამსახველი მოსულიყო რაღაც-რაღაც ცვლილებების მოსახდენად - ბუნების კანონი ხომ მისივე გარდასახვების კანონია და სწორედ ის გახლდათ კაცი იგი, ვინაც ამა მოვლენას სათავისოდ გამოიყენებდა! დროი მოვალისო - სთქუა ერთმა ვინმე პოეტმა და ეს დროც დამდგარიყო, ნამდვილად!

აი, ახლა კი უჩვენებდა მათ თავის ძალამოსილებას, ამ უძალო ინგლისელებს! აკი არ ეგონათ, მათივე ისტორია თუ უკუღმა შემოუბრუნდებოდათ! „ადგილობრივი, აბორიგენული მოსახლეობა - ესაა ჩაგრული, მჩაგვრელობაზე რომ ოცნებობს...“ (ფენონი). ახლა ინგლისელი ქალები ვეღარ დააბამდნენ - შეთქმულება მათი გამოაშკარავდა! ახლა შორს მთელი ამ ნისლოვანებიდან! ის მთელს ამ კუნძულს განაახლებს! მთავარანგელოზი ჯაბრაილი: კვლავაც მოველ!

მტრის სახე კვლავაც დაეხატა თვალწინ - უფრო ნათლად, უფრო გამოკვეთილად. ჩაფიქრებული, დამცინავი ღიმილით სახეზე; ოღონდ სახელი მაინც უსხლტებოდა... ჩა - რაღაცა ჩაის მსგავსი? ჩა-ჩა-ჩა... ცეკვაა ეგეთი. ეგ რაღაც უფრო ახლოა. ბუნება მისი კიდე - თვითგამანადგურებელი, თვითკმაყოფილი, თვითმკმარი. ისევ ფენონი: „ამ შემთხვევაში, პიროვნება-ინდივიდუმი (ფენონისეული აბორიგენი) ღვთის მიერ დაწესებულ რღვევას ეგუება, ჩამოსახლებულთა ნებას მისდევს და ერთგვარი შინაგანი რესტაბილიზაციის საშუალებით, ქვის სიმშვიდეს იძენს“. - ქვის სიმშვიდეს გაჩვენებ მე შენ! ძირძველ მოსახლეთა და ახალჩამოსახლებულთა ურთიერთდაპირისპირება ახლა ამ ნესტიან ქუჩებში გრძელდება, ოღონდ - დიამეტრულად საწინააღმდეგო ვითარებაში. გაახსენდა, ერთ მაგისთანასთან როგორ მოფრინავდა ციდან - ხელ-ფეხ-გადახლართული, „69-ე“ პოზაში, სანამ მიწას არ დაებერტყნენ, ანუ სანამ არ ჩამოსახლდნენ. როგორც დაიწყო, ისევე გრძელდებოდა ყველაფერი. ახლა კი ის უახლოვდებოდა - ჩი-ჩი? სა-სა? ჩემი სხვა „მე“, ჩემი სიყვარული...

- არა-ა! - გაჰყვიროდა თაღებსზემოთ მიმქროლავი და ჩიტებს აფეთებდა. - მორჩა ეს ინგლისური ორაზროვნება, ეს ბიბლიურ-ეშმაკეული აღრევები! სინათლე და მხოლოდ სინათლე, ნებისმიერ ფასად! ეს ჩვენი შაითანი არავითარი დაცემული ანგელოზი არა ყოფილა, არავითარი კარგი-ბიჭი-ცუდად-იქცა და ეგეთები! სუფთა ბოროტება იყო - არაფერი ანგელოზური მასში არც არასოდეს ყოფილა: „იყო იგი ერთი ჯინთაგანი და წარიწყმიდა“ (ყურანი, 18:50) - დღესავით არის ნათელი, ღმერთმანი... და რამდენად უფრო მარტივი და გასაგები გახლდათ ეს ვარაუდი! რამდენად უფრო აზრიანი, მიწიერი, იოლად შესაცნობი! იბლის/შაითანი ბნელეთის მხარეს, ჯაბრაილი - ნათლის; ეშმაკსაც წაუღია ყვე-

ლა ეს ერთიანობა, შერწყმა, სიყვარული... იპოვე და გაანადგურე - მორჩა და გათავდა.

... ჰოი, ჰოი უეშმაკესო და მოუხელთებელო ქალაქთა შორის, რომელშიც რომ ამისთანა თვალნათელი წინააღმდეგობრიობებიც კი უწყვეტად მდინარე სირუხეში ინთქმებოდა! და სავსებით მართალიც გახლდათ, მთელი ეს ეშმაკეულ-ბიბლიური ეჭვები რომ უკუაგდო: აი ისინი, ღვთის უსურველობაზე - სხვაგვარად აზროვნების ნება მიეცა საკუთარი ხელქვეითებისათვის - აკი ეს ჩვენი იბლისშაითანი სულაც არ ყოფილა ანგელოზი, მაშთამე, ვერც ანგელოზდისიდენტები იქნებოდნენ, რომელთა დათრგუნვაც ხელეწიფებოდა უფალს! და კიდე აი, ისინიც - აკრძალული ხილისა და ღვთის მიერ საკუთარ ქმნილებათათვის ზნეობრივი არჩევანის უფლების ვითომდა აყრის თაობაზე: განათუ სადმე იხსენიება ხე ესე, კეთილისა და ბოროტის შეცნობის თავად და თავად? არაფერიც - ეს უბრალოდ, სულ სხვა ხე გახლდათ! სატანა, ედემის ბაღში მოკალათებულ წყვილს რომ აცდუნებდა, მხოლოდღა „მარადისობის ხედ“ იხსენიებდა და რაკი დაბადებით ცრუსმთქმელი იყო, ინვერსიის გზით გამოვლენილი ჭეშმარიტებაც ისაა, რომ ეს აკრძალული ხილი (მაინცადამაინც ვაშლი არსადაა მითითებული) სინამდვილეში, სწორედაც რომ „მო-კვდავების ხეს“ ესხა და არა - „უ-კვდავებისას“; მოკლედ, ადამიანის სულის ჩამკვლელი იყო ეგ ძაღლი-მამაძაღლი, ნამდვილად. და რაღა დარჩა ახლა ამ ზნეობადამფრთხალ ღმერთისაგან? სადღა ვეძიოთ? სადა და - მხოლოდ ქვემოთ, ამ ზნედაცემულ ბრიტთა გულებში, რომელთა გარდასახვად მოევლინა კიდეც მათ ჯაბრაილი.

აბრაკადაბრა!

ჰოკუს-პოკუს!

მაგრამ საკითხავიც აი, ესაა - საიდან დაეწყო? ბოლო-ბოლო, ინგლისელთა პრობლემა, ასე ვთქვათ...

მათსავე...

მათივე...

ჰავა-ამინდში მდგომარეობდა, ულაპარაკოდ!

ღრუბლებში მონანავე ჯაბრაილ ფარიშტა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ინგლისელთა ზნეობრივი არამდგრადობა მხოლოდ და მხოლოდ მეტეოროლოგიური მოცემულობებითაა განპირობებული: „როცა დღე ღამეზე თბილი არაა, ხოლო სინათლე ბნელს არა სჭარბობს, თუკი ხმელეთი ისეთივე ნოტიოა, როგორაც ზღვა - ცხადზე-უცხადესია, რომ მოსახლეობას განსხვავების აღქმა აღარ ძალუძს და ყველაფერს - პოლიტიკური პარტიებიდან დაწყებული, სექსუალური პარტნიორებითა და მრწამსით გათავებული - ასე თუ ისე, ერთნაირად ხედავს: ცოტა იქით მეტობა, მცირედით აქეთ კლება - მაგას უკვე აღარა აქვს დიდი მნიშვნელობა... სუფთა სიგიჟეა, ღმერთმანი! ჭეშმარიტება უკიდურესი ცნებაა - მხოლოდ ასეთი, და არა ამგვარი; ზუსტად, და არა - მიახლოებით... მიდგომის საკითხია, ბოლო-ბოლო, და არა - გულშემატკივრობის. ქალაქი ესე კი ნელთბილია მხოლოდ, და არა - მცხუნვარე.

„ეჰეი!“ - და ხმა მისი გრგვინვასავით გადადიოდა სახურავებზე. - „შენი შეხურება მნებავს!“

ჯაბრაილმა ჯერი-ჯერზე ჩამოთვალა ყველა ის უპირატესობა, რაიც ლონდონის ტროპიკულ ქალაქად გარდაქცევას მოჰყვებოდა: ზნეობრივ განსაზღვრებათა ზუსტი ჩარჩოების დადგენა, სიესტის წეს-ჩვეულების დანერგვა სრულიად ეროვნული მასშტაბით, ფართო მასების ქცევის სრული დემოკრატიზაცია, ხალხური მუსიკის გავლენის გაზრდა, ფაუნის გამრავალფეროვნება (ხეებზე ფრინველთა განსხვავებული ჯიშების მომრავლების გზით), განსხვავებულ ჯიშთა ხეების მასობრივად დარგვა იმავე ფრინველთათვის საჯდომად, ქუჩების კეთილმოწყობა უსახლკაროთათვის, კონდიციონერებისა და ვენტილატორების, ეგრევე ნაყინის წარმოება/გასაღების გაათკეცება, ფეხბურთელთა ნაკრებ-

ში ბურთის ფლობის ტექნიკის განუხრელი ზრდა, ხოლო „შრომის მაჩვენებელთა ტრადიციულად მაღალი მოთხოვნები“ ხომ თავისთავად მიეცემა დავიწყებას - ჰავის საშუალო მაჩვენებლის (ფარენჰაიტით) უზომოდ აწევის გამოისობით. ასევე, სახეზე იქნებოდა უწყვეტი სარწმუნოებრივი თავგამოდება, პოლიტიკური აქტივობა, ინტელიგენციის ზეაღსვლა ქვეყნის სამმართველო აპარატში... მოკლედ რომ ვთქვათ, ბრიტანულ თავდაჭერილობას საერთოდ მოეღება ბოლო და მოქალაქეებს ლოგინებში, რეზინის სათბურების ნაცვლად, უკვე მოსიყვარულე წყვილთა სხეულების მხურვალება გამიჯნავს. თავისთავად გაჩნდება სულ ახალ-ახალი სოციალური ფასეულობანი: მეგობრები, დაუპატიჟებლად რომ გეწვევიან ხოლმე, მრავალსულიანი ოჯახების აუცილებლობის გააზრება, ცხარე საჭმელი, ფეხსადგილებში - რბილ ქაღალდთან ერთად - თბილი წყლის მოხმარება...

უარყოფითი მოვლენები: ქოლერა, ტიფი, დისბაქტერიოზი, ტარაკანების მომრავლება, მტვერი, ხმაური, ყოველგვარი მეტობისა და სიჭარბის კულტურა...

ცისკიდურზე გამომდგარ, ხელებგაშლილ ჯაბრაილს ნახევარი ცა დაეფარა და თავგადაგდებული გაჰყვიროდა:

- იქმენინ ეგრე!

და მეესეულად, სამი რამ მოხდა.

ჯერ ეს ერთი, იმის გამოისობით, რომ გარდამსახავ ქმედებათა შემადგენელი უკიდეგანო ძალები მისი სხეულიდან (განა თავად მათი განსხეულება არ იყო?) გარეთ გამოვიდნენ, ჯერ სულ ოდნავი, მომთენთავი რყევა შეიგრძნო და თვალებიც კი მილულა: წამიერად.

მეორეც, სწორედ მაშინ გამოეცხადა გონებაში მტერი და წინააღმდგომი მისი, რქოსანი და ვაცმაგვარი ბ-ნი სალადინ ჩამჩა - ნათლად და კვეთილად, ხოლო ფერხთით - ერთგვარი სუბტიტრების მსგავსად - ეწერა სახელი მისი.

და მესამეც: ის იყო თვალები განახვნა, რომ კვლავაც ჰალელუია კონის კარის ზღურბლზე მიგდებული იხილა საკუთარი თავი - შენდობის შემთხოვი და ხმითა მაღლითა მოტირალი: ღმერთო დიდებულო, მარადიული წრებრუნვა, ისევ და ისევ ...

***

ლოგინში ჩააწვინა და მანაც ღრმა ძილს მისცა თავი - ერთიანად გადაეშვა ამ მორევში, შორს ლონდონიდამ, ჯაჰილიასკენ - რაკიღა მის ღამისეულ ზაფრას დამსაზღვრავი კედელი გადმოელახა და უკვე ღვიძილშიც თან სდევდა.

- ე.წ. ჰოუმინგის ინსტინქტი: ერთი მავანი შეპყრობილია მეორესთან მიღწევის ჟინით, - დაასკვნა ალიციამ, როგორც კი ქალიშვილმა „ახარა“ ეს ამბავი. - ნაღდში რომ რაღაც უხილავ ტალღებს გამოსცემ, რითაც გპოულობს კიდეც...

როგორც სჩვეოდა, თავის შეშფოთებას ახლაც ენამწარობით ნიღბავდა. ბოლოს, მაინც შეეცვალა ხმა:

- ახლა კი უნდა მართლა მიხედო ამ საქმეს. აკი გეუბნებოდი, მაგის ადგილი ფსიქიატრიულშია-მეთქი.

- ჯერ მაინც ვნახოთ. ახლა სძინავს.

- იქნებადა არც გაღვიძებას აპირებს? აი, ეგ იქნებოდა სეირი! კარგი, კარგი - შენი ცხოვრებაა და როგორ თუ რა გზით გაიფუჭებ, შენივე გადასაწყვეტია... ისე, ამინდს თუ ატყობ, რას გვიშვება? მოსკოვში წვიმს თურმე, აქ კი ლამის ტროპიკულმა სიცხემ დააჭიროს... ბონეკს დავურეკე სტენფორდში და ვეუბნები - მარტო თქვენ კი არა, ახლა ინგლისელებსაც დაგვიდგა ამინდი-მეთქი...

კარი VI

ოდეს ბაალ-პოეტმა შავი ქვის სახლში მდგარ ალ-ლათის ქანდაკს მარცხენა თვალის უპედან მომდინარე სისხლისფერი, ეული ცრემლი შეამჩნია, იმასაც მიხვდა რომ მაჰუნდ წინასწარმეტყველი უკან, ჯაჰილიაში ბრუნდებოდა მეოთხედსაუკუნოვანი განდევნის მერე. დააბოყინა - სავსებით მისატევებელი უმსგავსობა იმ კაცისაგან, ვისაც წლებმა ფაშვიც დაუმძიმეს და ენაც, ხოლო ორმოცდაათს მიღწეულს, უკვე სისხლიც ადრინდელივით აღარ დაუდიოდა ძარღვებში. ზოგჯერ ისიც კი ეჩვენებოდა, თავად ჰაერია შესქელებული და ყოველ ჩემს მოძრაობას ეწინააღმდეგება - ამიტომაცაა, სულ მოკლე მანძილის გავლაზეც კი სული მეხუთება, ქოშინი მივარდება და გულიც მჩხვლეტსო... განათუ თავად მაჰუნდსაც არ შეეცვლებოდა იერი? ის ახლა ბრწყინვალე და ყოვლადძლიერი უბრუნდებოდა იქაურობას, საიდანაც მთლად ხელცარიელი გააძევეს, ისე რომ მეუღლეც კი ვერ წაიყვანა თან. ის ახლა სამოცდახუთისა უნდა ყოფილიყო. ერთი და იგივე სახელები ხვდებიან და იყრებიან ცხოვრების გზაზე, - ფიქრობდა ბაალი, - ოღონდ ამ სახელების მატარებელი ადამიანები კი იცვლებიან. ის იყო, ალ-ლათის სალოცავიდან მზით განათებულ სივრცეში გამოვიდა, რომ ზურგსუკან ჩაფხუკუნება მოესმა. შემოტრიალდა, მძიმედ. არავინაა. მხოლოდ ხალათის კალთამ გაიფრიალა და მყის მოეფარა შენობის კუთხეს. ქუჩაში მოსეირნე, ქუსლგაცვეთილ ქოშებში ფეხწადგმულ და ჩამობრანძულ ბაალს ამ ბოლო დროს ხშირად მოესმოდა ხოლმე უცხოთა ქირქილი.

- ძაღლის გაგდებულო! - მიაძახა ჩახრინწყული ხმით, და სხვა მომლოცველთა დიდი უკმაყოფილებაც დაიმსახურა: ეს ბებერი ბაალი, მუდამ ასე უზნეოდ იქცევა... მხრები აიჩეჩა და სახლისაკენ დააღირა თავი.

ჯაჰილია უკვე მართლა ქვიშისაგან ნაგები აღარაა. იმის თქმა მინდა, რომ ჩავლილმა წლებმა, უდაბნოს ხორშაკი ქარისა და ღამისეული მთვარის ჯადოქრობამ, თუ ხალხის მოკლე მახსოვრობამ მთლად ჩაკირა ეს ქალაქი - არც ის ძველი, მირაჟისეული ცვალებადობა შეარჩინა და ერთ სრულიად ჩვეულებრივ, დონდლო, უნიათო ალაგად იქცა - მისივე პოეტების მსგავსად, გაღატაკებულად; მაჰუნდს გრძელი ხელები ჰქონდა: მისმა ძალამოსილებამ მოაშთო ქალაქი, აღარც მომლოცველები მოსდიოდა და აღარც ქარავნები შემოდიოდნენ აქ, ხოლო მისი ბაზრობები მთლად საწყალობელი სანახავი გახლდათ.

თვით გრანდის მზერაც კი ჩაინავლა, და თმაც ისევე გამოუხშირდა, როგორც კბილები. ხარჭები ერთიმეორის მიყოლებით უკვდებოდნენ, ასაკისდაკვალად, და მას უკვე სურვილიც აღარ ჰქონდა, ხოლო ბოროტი ენები სავსავებდნენ - საჭიროებაცო, ახლები მოეყვანა. როცა ზედიზედ რამდენიმე დღის განმავლობაში აღარ იპარსავდა ხოლმე წვერს, სახეზე კიდევ უფრო გაცრეცილი და იმედგადაწურული გამომეტყველება ედო. მხოლოდ ჰინდი არ იცვლიდა იერს.

თუმცა, მისი სახელი ხომ მუდამ ჯადოსნობას უკავშირდებოდა, აქაოდა შავ ჭირს შეგყრის, თუკი მდაბლად არ დაუკრავ თავს, ანდა ყველა შენიანს გველად აქცევს, უდაბნოსა შინა დაჰფანტავს და მერე, კუდებით დაჭერილს, ტყავიანად შეიწვავს ვახშმადო... ახლა, როცა სამოცს უწია ასაკით, შავჯადოსნობაში მის განსწავლულობას ახალი საბუთი დაედო: ჰინდი არასდიდებით არ თანხმდებოდა დაბერებას და ვიდრე გარშემო ყველა და ყველაფერი უძრაობას შეეპყრო, ვიდრე ზვიგენების ტომის დაჯგუფებებს ბანქოს თამაშსა და ყომარის გორებაში გაყავდათ დრო, ვიდრე ბებრუხანა შემლოცავებსა და მუშაითებს შიმშილისაგან სული სძვრებოდათ, ვიდრე მოდიოდა თაობა, რომლის თაყვანისცემა ყოველივე მიწიერი და მატერიალურის მიმართ უმუშევ-

რობისა და სიღატაკის მათივე მოლოდინით იყო განპირობებული, ვიდრე ქალაქი ნელინელ კარგავდა საკუთარ სახეს და უკვე მკვდართა პატივისცემაც კი იმდენად წაშლილიყო, საფლავებზე მყესების გადასაჭრელად მიყვანილ საცოდავ აქლემებსაც კი ათავისუფლებდნენ... მოკლედ, ვინემ ჯაჰილია აღზევებისაგან - სრულად დაცემისაკენ მიილტვოდა, ჰინდის სახეს ერთი ნაოჭიც არ დასჩენია, სხეული მისი ქალიშვილი ქალივით დრეკადი რჩებოდა, თმა - ადრინდელივით ყორნისფერი, თვალები - დანისპირივით ელვარე, ქცევა - ქედმაღალი, ხმა კი - მტკიცე და შეუვალი ჟღერადობისა. ჰინდი - არა სიმბელი - მართავდა ახლა ქალაქს; ან - ეჭვი არაა - თავად ფიქრობდა ასე.

მაშინ როცა გრანდი თონთლო და უშფოთველ სიბერეს უახლოვდებოდა, ჰინდი გამაფრთხილებელ, ჭკუისსასწავლებელ გზავნილებს თხზავდა თანამოქალაქეთათვის და ბულები ესე უკლებლივ ყველა ქუჩაზე გახლდათ ხოლმე გამოკრული. ამიტომაც იყო, რომ სწორედაც ჰინდს, და არა აბუ სიმბელს აღიქვამდნენ ჯაჰილიელები ქალაქის სახედ, მის ავატარად, რაკიღა ამ უცვლელობასა და უდრეკ გადაწყვეტილებებში უფრო ხედავდნენ საკუთარი თავის გაცხადებას, ვიდრე დროის მსახვრალი ხელით დახატულ სიმბელის სახის ნიშატში.

ისიც ითქვას, ჰინდის ამ მოწოდებებს გავლენაც მეტი ჰქონდათ, ვიდრე რომელიც გნებავთ მელექსეს მგზნებარე სიტყვებს; სარეცელზეც ჯერ ისევ გაუმაძღარი გახლდათ და კალმოსანი არ დარჩენია, ვისთანაც არა წოლილიყოს (არადა, რა ხანი გასულიყო მას მერე, რაც ბაალი შეუშვა თავის საძინებელში!); ახლა ამათი დრო წასულიყო, ის კი ისეთივე აულაგმავი რჩებოდა. მოკლედ, გინდა ხმალი და გინდა - კალამი, ორივეს ერთნაირად ხმარობდა: მამაკაცურადგადაცმული, ჯაჰილიის ჯარს შეუერთდა და ჯადო-გრძნეულების ძალით, არა შუბი და მახვილი არ ეკარებოდა, ძმების მკვლელს დაეძებდა შუაგულ ბრძოლაში, მერე კი წინასწარმეტყველის ბიძა გა-

მოასალმა სიცოცხლეს, ბებერი ჰამზა გამოფატრა და მისი გულიცა და ღვიძლიც ერთნაირი სიამით გაღეჭა. და ასეთს ახლა ვინ აღუდგებოდა წინ? პირიქით: მისი ეს მარადი ახალგაზრდობა, მისი მძვინვარება, რაც მისივე აულაგმაობის რწმენას აჩენდა, მისი კედლებზე გაკრული მიმართვები - დროს რომ უარყოფდა, ისტორიას, ხანიერებას, და ქალაქის ჩაუნავლებელ ბრწყინვალებაზე ღაღადებდა; რომლებიც რომ ხმამაღლად უპირისპირდებოდა ქუჩების ჭუჭყსა და შენობების ფარღალალობას და ერთთავად სიდიადეზე, მედროშეობასა და უკვდავებაზე - ჯაჰილიელთა მიერ ღვთაებრივის ებგურობის რწმენას ამკვიდრებდა... სწორედ ამ მიმართვა/გზავნილების გამო თუ იყო, ჰინდის მის მეტად მსუბუქ ყოფაქცევას რომ პატიობდნენ, ჭორებს რომ არად აგდებდნენ - თითქოსდა პეშვებით წონიდა ზურმუხტებს თავის დაბადების დღეებზე, თითქოსდა ყოვლად ზნედაცემულ ღრეობებს აწყობდა სასახლეში, იცინოდნენ - როცა მისი ჩასაცმელ-დასახურის რაოდენობაზე ჩამოაგდებდა ვინმე სიტყვას: აქაოდა ხუთასოთხმოცდაერთი მარტო ღამის პერანგი აქვს, ბაჯაღლო ოქროს ძაფისაგან მოქსოვილი და კიდევ - ოთხასოცი მოვერცხლილი ქოშიო; და ასევე, თითქოს ვიღაცის ჯინაზეო, ჯაჰილიელები ჰაიჰარად დაიარებოდნენ ქალაქის სულ უფრო და უფრო სახიფათოდქცეულ ქუჩებში, საცა ხურდა ფულის გამო კაცისკვლა ჩვეულ ამბად ქცეულიყო, საცა ბებრუხანებს აუპატიურებდნენ, ყელს ღადრავდნენ და მერე ნაწილ-ნაწილ აქნიდნენ ხოლმე, საცა დამშეულთა ჯანყი მუდამ ჰინდის პირადი დაცვის, მანტიკორპუსელთა ძალისხმევით იხშობოდა და საკუთარი თვალებით ნანახის, ჩაცვენილი ფერდებისა და გამოფხეკილი საფულეების მიუხედავად, მოქალაქეებს მაინც ჰინდის წერილობითი განცხადებებისა უფრო სჯეროდათ: იბატონე, ჯაჰილია - ხმელსა და წყალზე!

ყველას არა, რაღა თქმა უნდა. თუნდაც ბაალს, რომელიც მუდამ არიდებდა მზერას საზოგადოებრივ საქმეებს და უზიარო სიყვარულზე თხზავდა პოემებს.

მწიფე თალგამის კბეჩა-კბეჩით მივიდა სახლამდე, დაბზარულკედლებიანი თაღის ქვეშ გაიარა და მოუვლელ, ანთუ მთლად უპატრონოდ მიგდებულ პაწია ეზოში შეაბიჯა. კაცისშვილი არ ჭაჭანებდა - მხოლოდ ბუზები, ჩრდილები, შიში. ამისთანა დროს სულ შემართული უნდა იყო, არ იცი, საიდან რა გამოტყვრება. მკვლელ ჰაშიშინთა მთელი დასტა დაბოდიალობდა ქალაქში. მდიდარმა მოქალაქეება კარგად იცოდნენ, რომ საკუთარ სახლს ქუჩის საპირისპირო მხრიდან უნდა მოახლოვებოდნენ, რათა საკუთარი თვალით ერწმუნათ - არავინ ყავდათ ჩასაფრებული; მერე სწრაფად გადაირბენდნენ გზას და კარიბჭესაც მსწრაფლ მიიკეტავდნენ, რათა არავინ მიჰყოლოდათ კვალში. ოღონდ თავად ბაალს ამგვარი არაფერი ადარდებდა: ერთ დროს კი ეთქმოდა ფულიანი კაცი, მაგრამ ეს კარგა მეოთხედი საუკუნის წინანდელი აბავი გახლდათ. ახლა სატირა მეტისმეტად არამოთხოვნადი საქონელი გამხდარიყო - მაჰუნდის წინაშე შიშმა გონებამახვილობისა და ავყიობის ბაზარი სრულიად იავარჰყო. ასევე, მკვდართა თაყვანისცემის წეს-ჩვეულების დაკნინებასთან ერთად, საფლავის ქვების კაზმულსიტყვაობით ნაჯერ წარწერებსა და შურისგებათა გალექსილ ქებათა-ქებებზეც დავარდა მოთხოვნა. მძიმე დროება დამდგარიყო, საყოველთაოდ.

ახლა, დიდი ხნის წინანდელ ღვინისძიებებს რომ იხსენებდა, ბაალი მოყანყალებული ხის კიბით აუჩქარებლად ადიოდა თავის მომცრო ოთახში, ზედა სართულზე: განა მას რა ქონდა მოსაპარი? ზურგში დანის ჩაცემადაც არავის უღირდა. კარი შეაღო, ზღურბლს გადააბიჯა და შიგ ცხვირში დარტყმამ იქითა კედელზე მიაგდო.

- არ მომკლათ! ღვთის გულისათვის, გემუდარებით! - ანგარიშმიუცემლად გაიძახოდა, თუმცა კარგად მოეხსენებოდა, კაციშვილი

არ იყო მისი მშველელი: თავადაც, ვინმე ასეთის განწირული ძახილი რომ გაეგონა, აქეთ ჩარაზავდა კარს.

მომხდურის ხელმა კარი მიხურა. ბაალს მისი სახის დანახვა არ შეეძლო - კუნკულმოცმული ლაბადა მთლიანად უფარავდა თავფეხს.

- ჯიბეგახვრეტილი ვარ... - მოთქვამდა შესაბრალისად. - არაფერი მე არ მაბადია...

- მშიერი ძაღლი სხვა ძაღლის ხუხულაში არ დაეძებს საკვებს. - წართქვა უცნობმა. მერე, მცირედი დაყოვნების შემდეგ: - მთლად ჩაშვებულხარ, ბაალ. შენგან მეტს ველოდი.

ახლა ბაალმა უკვე რაღაც შეურაცხყოფილადაც კი იგრძნო თავი - ვინმე ტვინგამორეცხილი თაყვანისმცემელთაგანი იყო, აქაოდა ძველებურად რატო არა წერო თუ... შეეცადა, სხვა მხარეს გადაეგდო სიტყვა:

- ე-ე... რას იზამ, როცა პირისპირ ხვდები ავტორს, ხშირად გულგაცრუებული რჩები ხოლმე კაცი.

მომხდურმა ყურიც არ შეიბერტყა.

- მაჰუნდი მოდის, - თქვა.

ამ უმარტივესმა განაცხადმა მთლად დაზაფრა ბაალი:

- და ჩემგან რა უნდა?! რას მიპირებს? - აყვირდა. - ყველაფერი იმდენი ხნის წინ მოხდა, ვიღას ახსოვს... მთელი ცხოვრება გავიდა და კიდევ მეტი! დაიცა, რა - თავად გამოგგზავნა?!

- მეხსიერება სახეზე უგრძესი აქვს, - მხრები აიჩეჩა მომხდურმა და კუნკული თავიდან გადაიგდო. - არა, მისგან გამოგზავნილი არა ვარ. ჩვენ ორივეს ერთი რამ გვაქვს საერთო: ორივეს გვეშინია მისი.

- მგონი, გიცნობ...

- კი, ეგრეა.

- უცხოელივით კი ლაპარაკობ.

- ერთი მეთულუხჩე, ერთი გადმოხვეწილის ვინმე და ერთიც - მონა... მაგარი ამბოხი გველოდებაო, - შენი სიტყვებია?

- იმიგრანტი ხარ, - გაახსენდა ბაალს. - სპარსი. სულეიმანი გქვია.

სპარსს ჩაეცინა.

- სალმანი. ბრძენი არა, მაგრამ - მშვიდობისმოყვარე.

- აკი ლამის ყველაზე ახლოს იყავი მასთან, - გაიკვირვა.

- რაც უფრო ახლოს დგეხარ ოინბაზთან, - მწარედ დააგდო სალმანმა, - მით უფრო ადვილია მისი ოინების გამოცნობა.

და აი, რა ესიზმრა ჯაბრაილს:

იასრიბის ოაზისში მორჩილების ახალი მრწამსის მიმდევრები უმიწაწყლოდ დარჩნენ, სრულად ღატაკნი. წლების განმავლობაში, მძარცველობით ირჩენდნენ თავს, ჯაჰილიაში მიმავალ თუ იქიდან მომავალ მექარავნეებს აწიოკებდნენ. მაჰუნდს უბრალოდ, დროც არ ჰქონდა მიზან-საშუალებების შესაბამისობაზე ეჭყლიტა ტვინი - უხსნიდა სალმანი ბაალს. - ხალხი უკანონობაში ცხოვრობდა, და სწორედ მაშინ, მაჰუნდი - თუ ჯობს ვთქვათ მთავარანგელოზი ჯაბრაილი? ანთუ - თავად ალ-ლაჰი? - კანონიერების დაწესების წადილით აღივსო. ოაზისის პალმების ქვეშ ეცხადებოდა ჯაბრაილი წინასწარმეტყველს და წესებს აფრქვევდა, კანონებს, წესებს, ისევ წესებს... ბოლო-ბოლო, ხალხს თავგზაც კი აებნა ამდენი ბრძანებულებებითა და კანონებით: აღმოჩნდა რომ, თუკი აკუებ, უცილობლად ქარის მხარეს უნდა ქნა პირი და მოსაქმების მერე, რომელი ხელით გამოიწმინდო უკანალი, ეგეც კი შესაბამის წეს-კანონს ექვემდებარება! ასე გამოდის, ადამიანის არსებობის არცერთი მხარე არა რჩებოდა თვალდაუდგამი და სათავისო ჩარჩოში ჩაუსმელი: გამოცხადება ესე, ანუ გაცხადება - ზუსტად ადგენდა, თუ რამდენად ღრმად უნდა სძინებოდა მართლმორწმუნეს, რაგვარი სექსუალური მიდგომები იყო ღვთით დადგენილი და რა - იკრძალებოდა; ასე და ამგვარად გაიგეს, რომ თურმე ნუ იტყვით და, მეკურტუმეობაცა და მისიონერუ-

ლი პოზაც თავად მთავარანგელოზის მიერ ყოფილა დასტურყოფილი, ხოლო აკრძალულ იქნა ყველა ის წოლითი მდგომარეობა, როცა ქალი ზემოდან ექცეოდა მამაკაცს.

შემდგომ, ჯაბრაილმა ნებადართული და ნებადაურთველი საუბრების მთელი სია დადო, და ასევე, სხეულის ის ნაწილებიც ჩამოთვალა, რომელთა ფხანა არასდიდებით არ შეიძლებოდა, რაგინდარა ქავილი აგტეხოდა კაცს; უმკაცრესი აკრძალვა დაედო კიბო-კიბორჩხალების ჭამას - არადა, ეს სულ სხვა სამყაროსეული, უცნაური ქმნილებები თვალითაც არავის ენახა - და საქონლის ნელი, სისხლისაგან დაცლის ხერხით მოკვდინებას მოითხოვდა, რათა მათ საკუთარი სიცოცხლის გააზრებისათვის მიეღწიათ: აკი მხოლოდღა სიკვდილის წამს ხვდება ცოცხალი არსება, რომ ცხოვრება მისი ნაღდში არსებული რამ იყო და არა - ძილღვიძილის რაღაც ნაირსახეობა. ჯაბრაილ-მთავარანგელოზმავე დაადგინა, რანაირად დაემარხათ გარდაცვლილი და როგორ გაეყოთ მისი დანატოვარი - რამაც მეტად გააკვირვა სალმან სპარსი, რადგან მისი აზრით, ამგვარი ქადაგება საქმოსანს უფრო შეეფერებოდა, ვინემ ღმერთს, და იქნებ ამიტომაც შეერყა რწმენა, რაკი გაახსენდა - თავად მაჰუნდი ხომ სწორედ ეგეთი ვინმე გახლდათ და თანაც - ფრიად წარმატებული; ხოლო ამგვარი ნამეტნავად საქმიანი მთავარანგელოზი პირდაპირ მისწრება იყო უკიდურესად კორპორატიული სულის მატარებელი, თუმცაღა სრულიად არახორციელი ღვთაებისათვის.

მერე უკვე იმასაც მიხვდა, ეს ანგელოზური გაცხადებები რამდენად იყო გათვლილი პირწმინდა ანგარიშიანობასა და ხეირზე: საკითხი არ იქნებოდა - ზეცად მოგზაურობას შეეხებოდა თუ ჯოჯოხეთში ყოფნის მარადისობას - ანგელოზი მზა პასუხით არ გამოცხადებულიყო და მუდამ - მაჰუნდის სასარგებლოდ: ვთქვათ, რომ ადამიანი ვერც ვერასოდეს დაფრინდებოდა მთვარეზე, ან რომ ქვესკნელის წყევლაც კი სასრულია და ბოროტი სულებიც,

ადრე თუ გვიან, ცეცხლით განწმენდილნი გაემართებიან გულისტანსა და ბოსტანში - ნელსურნელებით მოცულ ამ ზეგარდმო ბაღებშიო. სულ სხვა ამბავი იქნებოდა, - ეწუწუნებოდა სალმანი ბაალს, - მაჰუნდს რომ თავისი საზრისი ჯაბრაილთან შეჯერების შემდეგ ექადაგა, მაგრამ ის ხომ ჯერ კანონს ადგენდა, მერე კი მთავარანგელოზი დასტურჰყოფდა ხოლმე მის მართებულობას! ასე რომ, მალევე ვიყნოსე - აქ რაღაც ხიმანკობასა აქვს ადგილი-მეთქი...

ეს მძაფრი სურნელი სალმანს იმიტომაც დასდევდა თან, რომ იმ დროის სპარსეთში გაბატონებული მშვენიერი საგანმანათლებლო წყობის გამოისობით, მაჰუნდის თანამებრძოლთა შორის ის ყველაზე ნასწავლი და გონებაგახსნილი ჩანდა. აკი სწორედაც რომ თვალშისაცემი უნარ-ჩვევების გამო დაინიშნა მაჰუნდის პირად მდივნად და შედეგად, მისი უსასრულოდ მრავალი წეს-კანონების ჩაწერაც მასვე უწევდა. „ამისთანა, სულ მთლად ხეირსა და ამქვეყნიური ცხოვრების საჭიროებებს გამოდევნებული გამოცხადებები უკვე ყელში ამომდიოდა,“ - დასძინა ბოლოს.

თუმცაღა, ეს თავისი ეჭვები დროებით მაინც გვერდზე გადადო, რადგან ჯაჰილია იასრიბზე სალაშქროდ გამოემართა - საქარავნო გზების მოთარეშეთაგან გასაწმენდად. რაც ამას მოჰყვა, ისედაც ყველას კარგად მოეხსენება, - თქვა მერე, თუმცა თავი მაინც ვერ შეიკავა და წვრილად მოჰყვა, ვითარ იხსნა მთელი ოაზისი განადგურებისაგან, იმ თავისი სანგრების გათხრის წყალობით: მაჰუნდი დაურწმუნებია, კედლის მიღმა, მთელს მის გარშემოწერილობაზე, ღრმა და ფართო თხრილი გაეკეთებინათ - ისეთი, სახელგანთქმული არაბული ტაიჭებიც ვერ გადამხტარიყვნენ ზედ, ძირში კი წვერწამახული სარები ჩაერგოთ; როს ჯაჰილიელებმა მიწისმთხრელობის ეს ყოვლად უკადრისი საქციელი იხილეს, რაინდობისა და სიქველის მათებურმა გაგებამ აიძულათ ისე დაეჭირათ თავი, ვითომ არც არავითარი თხრილი არ ყოფილიყოს: გაექანენ და მთელი მათი სახელოვანი მხედრობა ზედ მიაწყვიტეს - ცხენი თუ მხედარი, ერ-

თნაირად ეგებოდა სალმან სპარსის მიერ დაგებულ, ხიშტებად-ქცეულ სარებზე: არა-ა, ეს ჩამოთესლილი უცხოელი სულაც არ აპირებდა ოდითგანვე დახვეწილი წესებით ეთამაშა მათთან.

- და რა მერე? - თავს აქნევდა განაწყენებული. - გგონია, გმირად შემრაცხეს? არ დაიჯერო! რის სახალხო პატივისცემა, რის მაჰუნდის მიერ ჩემისთანა მთავარსარდლის დაფასება - მთავარანგელოზსაც კი არ ვუხსენებივარ არსად! თითქოსდა ისინიც ლაფში ამოეთხვაროს ვიღაც გადამთიელის ამ ნაეშმაკარს, გამარჯვების მონაგარი სახელი და დიდება შეებილწოს! მათი ტყავი რომ ფიცრებზე გაკვრას გადავარჩინე - ეს ვითომც არაფერი... ხმა არ გამიღია, ერთი საყვედურიც არ დამცდენია, თუმცა მეგობრები კი შემომეფანტნენ: ხალხს სულაც არ ეხატება გულზე, როცა მათ რაღაც კეთილ საქმეს გაუკეთებ...

სრული გამარჯვების მიუხედავად, მაინც ბევრი მეომარი დაკარგეს - თითქმის იმდენივე, რამდენსაც თავად მოუსწრაფეს სიცოცხლე; და აი, ზედ ომის ბოლოს, ჰოპლა! - მთავარანგელოზი აცხადებს, ცოცხლებმა დაღუპულების ცოლები უნდა ითხოვონ, რათა ისინი, უსასოოდ დარჩენილები, მეორედ გათხოვების შემთხვევაში, ვინმე ისეთს არ გაჰყვნენ, მორჩილთა რწმენას ჩამოშორდნენო. ა, ბატონო - ანგელოზიც ასეთი უნდა! - დაიჭყანა სალმანი, მერე ლაბადის ჯიბიდან ბრტყელი მათარა დააძრო და ორივენი ბეჯითად, ჯერი-ჯერზე შეუდგნენ მის დაცლას. სითხის ერთი ჭურჭლიდან სხვა სათავსოში გადასვლისდა კვალად, სალმანმა სულ უფრო მეტად მოხსნა გუდას პირი - ამგვარად ენაწყლიანი ბაალს ის არც არასოდეს ენახა. არა, წარმოიდგინე ერთი - უკვე ხმასაც უწევდა სპარსი. - თუ ოფსილა გაქ, გინდა ოთხი ცოლი მოგიყვანიაო! ბიჭებსაც მეტი რაღა უნდოდათ?!

სწორედ აქ დამთავრდა სალმანისა და მაჰუნდის სიამტკბილობა: ქალებისა და ეშმაკეული აიების საკითხზე. „მისმინე, რომელი ჭორიკანა დედაკაცი მე ვარ," - უკვე ძლივს ატრიალებდა

ენას. - „მაგრამ ცოლის სიკვდილის მერე მაჰუნდმა მთლად აიშვა... იქ კიდე, იასრიბში, რომელი ქალი დაუდებდა ტოლს - წელიწადი არ გასულა და წვერი ლამის სულ გაუთეთრეს! საქმეც ეგაა, ბაალ ჩემო, რომ ვერ იტანს, თუკი მისი ქალები სიტყვას შეუბრუნებენ, მუდამ ან დედას, ან ქალიშვილს ეძებს სათავისოდ - თუნდაც მისი ის ორი სიყვარული გაიხსენე, ჯერ პირველი ცოლი და მერე მეორე, აიშა: მასზე უფროსი და მასზე ბევრად უმცროსი. თავის სარგოს კი ვერა ჰგუობს. აი, იასრიბში ქალები სხვანაირები არიან, ძმაო! აქ, ჯაჰილიაში, ცოლებს თქვენ ბრძანებლობთ, იქ კი ეგეთ რამეს არავინ მოგითმენთ - ბოლო-ბოლო, კაცი რომ ცოლს ირთავს, ქალის ოჯახში მიდის, ეგეთი გაგიგია?! და ქალს საკუთარი კარავი აქვს ხოლმე დადგმული - თუკი ქმარი აითვალწუნა, შეატრიალებს (კარავზე გეუბნები!) და კაცი რომ სახლში მოვა, შესასვლელს ვეღარ პოულობს... ეს კი იმას ნიშნავს, წადი-დამეკარგეო და ვერც ვერაფერს გააწყობ! მოკლედ, ხარი ხართან დააბიო და ჩვენმა გოგოებმაც მოინდომეს იგივე, ოღონდ ნურას უკაცრავად - ციდან წესების მორიგი წიგნი ჩამოვარდა, საცა წვრილად წერია, რა არ უნდა ქნას ქალმა - ე.ი. რაც წინასწარმეტყველს სურს, მხოლოდ ის უნდა ქნას - მორჩილება და დედობა: იჯექი შენთვის სამი წყრთით უკან ანდა, სიარულისას, სამი ნაბიჯით ჩამორჩი, თუ არადა სახლში გამოგკეტენ!

რაც ამაზე იქაურმა ქალებმა იცინეს, ენა ვერ აღწერს, ოღონდ ეს კაცი მართლა ჯადოქარია - წინააღმდეგობას ვერავინ უწევს, ყველა კუდზე ყავს გამობმული, და ისინიც დამორჩილდნენ: აკი სამოთხეს პირდებოდა და...

- ყველაფერი კი იმით დამთავრდა, - დააბოლოვა სალმანმა, ბოლო წვეთიც რომ ჩამოაპირქვავა. - მისი გამოცდა გადავწყვიტე.

ერთხელ ღამით, ამ ჩვენს სპარს გადამწერს დასიზმრებია, თითქოს მთაზე, ზედ წინასწარმეტყველის თავს გამოკიდულიყო ქვაბულში. ჯერ იყო და უბრალოდ, წარსულის თაობაზე შემოწოლილი სევდიანი მოგონებების გამოძახილი ეგონა, მაგრამ გაოგნდა, როცა

მიხვდა რომ თვალისხედვის კუთხე სიზმარში ისეთივე იყო, თითქოს მთავარანგელოზისაო; წამსვე ეშმაკეულ აიებთან დაკავშირებული ჯახი გაახსენდა ისე ნათლად და მკაფიოდ, თითქოს გუშინ მომხდარიყო ყოველივე.

- რამე რომ იყოს, იქნებადა იმ ზმანებაში ჯაბრაილი კი არა, თავად შაითანი გახლდით?

სწორედ ამ შესაძლებლობის გამოცდის სურვილმა უბიძგა და წინასწარმეტყველის ფერხთით მჯდომარემ, გაუთავებელი წესკანონების წერისას, ფარულად მათში ცვლილებების შეტანა იწყო:

- ჯერ სულ მცირედის: თუკი მაჰუნდი ლექსს აწყობდა, საცა ღმერთი ყოვლისმცოდნედ და ყოვლისგამგონედ იხსენიებოდა, ვწერდი: ყოვლსიმცოდნე, ყოვლადბრძენი. საქმეც ის იყო, რომ მაჰუნდი ვერაფერს ამჩნევდა. ასე რომ, ახლა, კაცმა რომ თქვას, უკვე მე ვწერდი დიად წიგნს, ან კიდევ უარესი - ღვთის სიტყვას საკუთარი უცები ენით ვამახინჯებდი... ოღონდ, ვფიცავ ზეცას, თუკი ჩემეული ჩიქორთულის ღვთის სიტყვისაგან გარჩევა თავად მოციქულსაც არ ძალუძდა, რისი მაჩვენებელი იყო ეს?! ან რაგვარად წარმოაჩენდა ღვთაებრივი ლექსების დონესა და ხარისხს? ღმერთმანი, გულისგულამდე შემძრა ამ აღმოჩენამ. ერთია როცა გაქნილ საქმოსანზე გაქ ეჭვი - რაღაცას ყალთაბანდობსო, და სულ სხვაა, როცა ეს ეჭვი მახლობელზე დაგიდასტურდება. მისმინე: ამ კაცის გულისათვის შევიცვალე ცხოვრების ნირი - საკუთარი ქვეყანა დავთმე და იმ ხალხში ჩამოვსახლდი, ვისაც აუტანელ, უცხოელ გაიძვერად მივაჩნივარ და არცერთხელ ჯეროვნად არ დაუფასებია მათზე გაწეული ჩემი ამაგი, მაგრამ ახლა ამაში არაა საქმე. უბრალოდ, როცა პირველად მივეცი თავს ერთი პაწია ჩასწორების უფლება, მინდოდა (და ვაპირებდი კიდეც!) წინასწარმეტყველისათვის წამეკითხა, ის კიდე, ჩემი ვარაუდით, აი რას მეტყოდა: სალმან, დაყრუვდი? რეებს

წერ? მე კი ასე ვუპასუხებდი: ვაჰმე, ეს რა მომსვლია, ახლავე გადავაკეთებ-მეთქი! ოღონდ სინამდვილეში, ეგრე არ მომხდარა და ახლა უკვე მე ვწერდი გამოცხადებას, და კაციშვილი არ იყო, სიმართლე გამოეაშკარავებინა. გამოგიტყდები, მაგრა მეშინოდა, ხასიათიც წამიხდა და თავს იმით ვიმშვიდებდი, იქნებადა მეორეჯერ აღარ გამეპაროს ამგვარი თავხედობა-მეთქი... შენც არ მომიკვდე! მერე და მერე სულ მეტსა და მეტს ვცვლიდი: მეტყოდა - ქრისტიანი, ვწერდი - ურია. ის კიდე მხოლოდ თავს მიკანტურებდა, როცა ხმამაღლა ვუკითხავდი დაწერილს და აქეთ მიხდიდა მადლობას. დამიჯერე, თვალცრემლიანი გამოვდიოდი ხოლმე კარვიდან.

და აი, სწორედ მაშინ მივხვდი, რომ საბოლოოდ, იასრიბში ჩემი დღეები დათვლილი იყო; ოღონდ ჯერ საქმე უნდა გამეგრძელებინა, ვალდებულადაც კი ვთვლიდი თავს. განა რა შეედრება იმ კაცის გამწარებას, ვინც გაიგებს, რომ თურმე რაღაც აჩრდილს ეთაყვანებოდა?! ჩემი დაცემა გარდუვალი იყო, ოღონდ იმასაც თან ჩავითრევდი. ამიტომაც არ უნდა გავჩერებულიყავი, უნდა მეცვალა და მეცვალა აიები მანამ, ვიდრე თავად არ შემაჩერებდა. ერთხელ თითქოს მოხდა კიდეც ასე - წარბები მოქუშტა, თავი გადააქნია, თითქოს აკვიატებული რაღაც ფიქრის მოშორება უნდაო, ოღონდ მერე ისევ ნელა, ეჭვიანად, მაგრამ მაინც მანიშნა - კარგია, გააგრძელეო. მივხვდი, ეს უკვე ზღვარი იყო, შემდეგ ჯერზე სიყალბის გამჟღავნება არ ამცდებოდა. იმ ღამით თვალღიას მეძინა და მისი ბედი ისევე მეჭირა ხელთ, როგორც საკუთარი. თუკი სხვას ნებას მივცემდი გავენადგურებინე, მასაც მოვსპობდი. იმ საზარელ ღამითვე უნდა გადამეწყვიტა - ან შურისგება და სიკვდლი, ან - სიცოცხლე და უპოვრობა. როგორც ხედავ, ეს მეორე ვარჩიე. აქლემზე გადამჯდარმა, გამთენიისას დავტოვე იასრიბი და მრავალ ხიფათგამოვლილმა, ჯაჰილიას ჩამოვაღწიე. ახლა მაჰუნდი თეთრ ცხენზე, გამარჯვებული ბრუნდება უკან და ვატყობ, მაინც მომიწევს გამოვესალმო სიცოცხლეს, ხოლო

ძალამოსილება მისი ახლა იმხელაა, უკვე ვეღარც ვერაფერს დავაკლებ.

ბაალი დაეკითხა:

- რატომ გგონია, რომ უცილობლად უნდა მოგკლას?

სალმანმაც არ დაუხანა პასუხი:

- მისი სიტყვა ჩემი განსიტყვების საპირისპიროდ... არაფრით დამინდობს.

* * *

სალმანი რომ უგონოდ გაიშხლართა იატაკზე, ბაალმა უხეში, ჩალის ქვეშაგები ამოიდო და ზედ გაწვა. თავი უსკდებოდა. ხშირად ყოფილა, ცხოვრებისაგან დაღლა ანატრებდა ხოლმე - ნეტა არ ვბერდებოდეო, მაგრამ როგორც სალმანმა შენიშნა, რაღაცაზე ოცნება მკვეთრად განსხვავდება არსებულისაგან: ერთხანობაა, უკვე აღარ შეეძლო თავი დაერწმუნებინა - მხედველობა ძველებური მაქვსო, რადგან სამყარო სულ უფრო მჭიდროვდებოდა მის ირგვლივ, მისი გაბუნდოვნება კი თავად სიცოცხლესაც რაღაც დაბინდულ, სულ უფრო მეტად გაუგებარს უხდიდა. სმენაც დაუქვეითდა და ასე შეგრძნებებმოჩლუნგებულს, რაღა გასაკვირია, თუკი პოეზიის წყაროც დაეწრიტა... მალე სულაც გაირიყება გარე სამყაროსაგან. ან იქნებადა მაჰუნდის მოსვლა... არა, ეს ლოთის ერთი რაღაზე მოადგა კარს? მის ღალატთან მე რა კავშირი მაქვსო, - ფიქრობდა გაბრაზებული. ის სალაღობო სტრიქონები კი რატომაც დავწერე, ყველას კარგად მოეხსენება: გრანდი მემუქრებოდა და იმიტომ. მე რა პასუხი უნდა ვაგო? და საერთოდ, სად მე და სად ის მაშინდელი ცქვიტი, ხალისიანი, ეშმაკის ფეხი ბაალი? შემომხედეთ: გასიებული, ხასიათწამხდარი,

ახლომხედველი, მალე დავყრუვდები კიდეც. ვის რას უნდა ვერჩოდე?

სალმანს ჩააფრინდა მხარში და შეაჯანჯღარა: ადე, არაფერი საქმე შენთან მე არა მაქ, სულ არ მინდა შენს გამო რამე უსიამოვნება შემხვდესო. ის კიდე ხვრინვას განაგრძობდა, ზურგით კედელს მიყრდნობილი, თავი თოჯინასავით გადაეგდო გვერდზე. შუბლგახურებული ბაალი შეეშვა და ისევ საკუთარ ნაღვლიან ფიქრებსმიეცა: როგორი ლექსები ქონდა? ეს ოხერი, სულ აღარ ახსოვდა... მაჰუნდ, ნებისმიერი საზრისის არსი ორ შეკითხვამდე დადის: როცა ჯერ სუსტია, დათმობებზე წასვლას თუ თანხმდება? ამაზე პასუხი უკვე ვიცით. ახლა, გამარჯვებული რომ გვიბრუნდები, საკითხავიც აი, ეს არის: როგორ იქცევა გამარჯვებული? როცა მტერთა შენთა ყოფნა-არყოფნაც შენსავე ხელთაა, მაშინ როგორ? ჩვენ ყველანი ძაან შევიცვალეთ - ყველანი, ჰინდის გარდა, და ისიც - ამ ლოთბაზარას სიტყვებს თუ ვენდობით - უფრო იასრიბელ ქალს გავს, ვინემ ჯაჰილიელს... რაღა გასაკვირია, თუკი თქვენ ორნი ერთმანეთს ვერ შეეწყვეთ: ის არც დედად დაგიდგება და არც ხელისგოგოდ.

ძილსთავმიცემული ბაალი მაინც საკუთარ უსარგებლობასა და კოჭლ ხელოვნებას მისტიროდა: მის ლექსებს აღარც ახალგაზრდული შემართება ეტყობოდა, აღარც მშვენიერებისა ეცხო რამე, აღარცა სიყვარულის, უმანკოების, მიზნის მიღწევის წადილის, გამოხატვის ძალის, იმედისა თუ რწმენის... ცოდნაც დაკარგა, ფულიცა და ჰინდიც. მისი პოეზიის სანახები ისევ ის უდაბნო გახლდათ, თეთრი ქვიშნარის წვერმობლაგვებული ბორცვებით დაფარული. მოძრავი დიუნები, დაუმთავრებელი მოგზაურობები, კარავთა მუდმივი გადაადგილება... როგორ გინდა იმ ქვეყნის რუკა შეადგინო, რომელიც რომ დღეყოველ იცვლის ფორმას? აი, ამ შეკითხვებმა გაუბუნდოვანეს ენა, სახეები გაუფერმკრთალეს, ლექსის ზომა მოურღვიეს... სწორედ ამიტომ იყო, ათასი ქიმერა რომ მოეძალა - ლომისთავა, თხისფეხა, გველისკუდა არსებები, გამოჩენისთანავე რომ იცვლიდ-

ნენ მოხაზულობას, რათა მდაბიურ კილოს აეძულებინა, კლასიკური წყობა გაედო ფეხქვეშ, ხოლო სპეტაკი სიყვარულის თემა მუდმივად კნინდებოდა ფარსულ განწყობათა შემოჭრის გამოისობით. არც არაფერი დარჩება ამისაგან, - ფიქრობდა ნაღველმოძალებული. - და არც არავის ვემახსოვრები. ჰოდა, ძალიანაც კარგი. მივიწყება ყველაზე უხიფათო რამაა. მერე კი გულისცემამ აურია და წამსვე გამოფხიზლდა, შეშინებული, შემცივნებული. მაჰუნდ, იქნებადა შენი შურისგების ბასრ კლანჭებსაც დავუსხლტე? მთელი ღამე თვალი აღარც მოუხუჭავს - სალმანის ზღვის ტალღებივით ჯერი-ჯერზე მომსკდარ ხვრინვას უგდებდა ყურს.

ჯაბრაილს კი ბანაკებში, ჯარისკაცების მიერ დანთებული კოცონები ეზმანებოდა:

სახელდაგდებული და მოულოდნელი ვინმე დაიარება მაჰუნდის ლაშქრის კარვებს შორის. სიბნელისა თუ მისი აქყოფნის წარმოუდგენლობის გამოისობით, ისე ჩანს თითქოს ჯაჰილიის გრანდს წამიერად მისი ძალაუფლება დაბრუნებოდა, საკუთარი ძველი ძალის თუნდაც ნაწილი. მარტო მიადგა მაჰუნდის კარავს; მხოლოდ ჰალიდი მოუძღვებოდა, მეთულუხჩე და კიდევ - ბილალი, ყოფილი მონა.

მერე, მისი შინ დაბრუნებაც ესიზმრა ჯაბრაილს:

ჭორებით სავსე ქალაქი, სახლის წინ - მთელი ბრბო შეგროვილა. მცირე ხნის შემდეგ, ჰინდის აღშფოთებული, რისხვით ათრთოლებული ხმა გაისმის. მერე აივანზე გამოდის და მოითხოვს, ხალხმა ნაკუწებად აქციოს მისი ქმარი. უკან გრანდი მოსდევს; ქალი შეტრიალდება და აქეთ-იქიდან, ორ გემრიელ ალიყურს აწნავს მეუღლეს. როგორც გაირკვა, გრანდის მაინც ჩაუბარებია ქალაქის გასაღები მაჰუნდისათვის.

და კიდევ: აბუ სიმბელი მაჰმადიანად მოქცეულა.

მარცხს რაღაც სხვაც უსწავლებია მისთვის: ჯერ იყო და ჰინდს ნება მისცა, სახალხოდ გაესილაქებინა, მერე კი ვითომც აქ არა-

ფერიო, მშვიდად მიმართა შეკრებილთ. ასე თქვა, მაჰუნდი სიტყვას დებს, გრანდის კედლებში თავშეფარებულთ არაფერი ემუქრებათო.

- ასე რომ, აქ შემოიხიზნეთ ყველა და ჯალაბობაც თან მოიყვანეთ.

ჰინდი კი ბრბოს მაგივრად ეპასუხება:

- სიბერეში მთლად გამოსულელებულხარ! განა რამდენი დაეტევა ამ ერთადერთი სახლის ეზოში?! საკუთარი ტყავი გადაგირჩენია და ამითა ხარ კმაყოფილი? ახლა ნაკუწ-ნაკუწ აგქნიან და შენს თავს უდაბნოს წითელ ჭიანჭველებს დაუყრიან საკვებად!

გრანდის წარბიც არ შეუხრია:

- მაჰუნდმა ისიცა სთქვა, ვინც სახლში გამოიკეტება, არც იმას ვახლებთ ხელსო. ვისაც ჩემს ეზოში ყოფნა არ სურს, საკუთარში მიბრუნდეს და იქ დაიცადოს.

მესამედ ცდილობს მისი მეუღლე, ბრბო აუმხედროს - პირწმინდად შექსპირისეული აივნის სცენა იქნებოდა, ოღონდ სიყვარულის მაგივრად, მოქმედებას აქ სიძულვილი წარმართავს. „არა დათმობა არ იქნება მაჰუნდთან!“ - გაიძახის, - „იმის სიტყვას კაცი ვერ ენდობა... ყურს ნუ უგდებთ აბუ სიმბელს და საბრძოლველად მოემზადეთ ყველანი - ქალი თუ კაცი!“ თავად წაუძღვება ჯარს და სისხლის ბოლო წვეთამდე იომებს ჯაჰილიის თავისუფლებისათვის:

- თქვენ რა, ამ ცრუმოციქულის წინაშე აპირებთ მუხლებზე დამხობას?! ამ დაჯალს გინდათ თაყვანი სცეთ? განა რა პატივისცემა შეიძლება გქონდეთ იმ კაცის მიმართ, ვინც თავის მშობლიურ ქალაქს უპირებს იავარყოფას?! განათუ შეიძლება დაუმთმობელს დაუთმო, დაუნდობელს დაენდო? ჯაჰილიელები ვართ და ჩვენი ღმერთქალნი დაგვიფარავენ!

მერე კი ალ-ლათის სახელით ბრძანებს, სალაშქროდ გაემზადეთო, მაგრამ ხალხი დაშლას იწყებს.

ცოლ-ქმარი ჯერ ისევ აივანზე დგას და ის ხალხი, ვინაც ბოლო დროს ჰინდის ახალგაზრდულ შემართებას არჩევდა გრანდის შე-

ვერცხლილ წვერსა და სიდინჯეს, ახლა წელში ვეღარ გამართულან; ვისაც ბრმად სჯეროდა ქალაქის შეუვალობისადა სიდიადის, ახლა - თვალახელილნი - ხელებით იფარავენ სახეებს: ძლევამოსილნი, როგორ დავეცით ამგვარადო? მაგრამ მერე და მერე ხვდებიან კიდეც, რომ ეს რწმენა მათი ჰაერში ყოფილა გამოკიდული, ჰინდის ცარიელ სიტყვას ეყრდნობოდა და სხვა არაფერს. მასაც ეთხოვებიან და... იმედსაც. იმედგადაწურულნი, ჯაჰილიელები საკუთარ სახლ-კარს უბრუნდებიან კარ-დარაბების ჩასარაზად.

ჰინდი თმებს იგლეჯს, ემუდარება, უყვირის:

- შავი ქვის სახლში მიდით! მსხვერპლი შესწირეთ ლათს!

მაგრამ ყურს აღარავინ უგდებს. ახლა მარტონი რჩებიან აივანზე, სასოწარკვეთა ისადგურებს ირგვლივ და ჰინდი თვალებს ხუჭავს: მორჩა, გათავდა.

გრანდი ჩურჩულებს:

- ცოტა ვინმეს თუ აქვს მიზეზი მაჰუნდს ისევე უფრთხოდეს, როგორც შენ... როცა ვიღაცის ბიძას ათოხლავებ და მარილსაც კი არ აყრი ზედ, ნუღარ გაგიკვირდება თუ შენც შებოლილი ხორცის ნაჭერივით მოგექცევიან.

მერე კიბეზე ეშვება და ქუჩას გადაჭრის (საცა ერთი ძაღლი რაა, ისიც კი აღარ ჭაჭანებს სადმე), ქალაქის ბჭეთა მოსაფიათებლად.

* * *

ახლა კი ტაძარი ეზმანება ჯაბრაილს:

ჯაჰილიის კარიბჭის ბირდაბირ ქალღმერთ უზას სალოცავი დგას. და სთქუა მაჰუნდმა ჰალიდს, რომელიც ადრე მეთულუხჩე

იყო, ახლა კი ბევრად მძიმე ტვირთი გაედო მხრებზე: „წარვედ და განწმინდე ალაგი ეგე!“ და დაეცა ჰალიდი სალოცავს, და იავარ-ჰყო, რამეთუ მაჰუნდი ვერ შესდგამდა ფეხს ქალაქს, ვინემ უწმინ-დურება ესე ედგა დარაჯად.

როცა სალოცავის ებგურმა ზვიგენთა მოდგმიდან, იხილა ჰალი-დი და ცხენოსნები მისი, აღიღო მახვილი, ღმერთქალს დაჰკიდა კი-სერზე და სთქუა: „ესერა, თუკი ჭეშმარიტი მფარველი ხარ ჩვენი, დაგვიცავ მსახურთა შენთა და თავსაც დაიცავ მაჰუნდისაგან!“ გარ-ნა არც გატოკებულა კერპი, და კვლავაც წარსთქვა ებგურმა: „ახლა-ღა ვხედავ, რომ ჭეშმარიტად, მაჰუნდის ღმერთია ღმერთი და ეს ქვა - მხოლოდ ქვაა და სხვა არაფერი!“ ჰალიდმა კი ჩამოამზღვლია სა-ლოცავი, დასცა კერპი და მაჰუნდის კარავში დაბრუნდა. „რაი ნახე?“ - ჰკითხა მაჰუნდმა. „არც არაფერი,“ - უპასუხა ჰალიდმა. „ტყუილად გარჯილხარ,“ - ხაფი ხმით დასძახა მაჰუნდმა. - „კვლავაც წარვედ და რაც უნდა გააკეთო, გააკეთე!“ და გაბრუნდა ჰალიდი, და იხილა ნან-გრევებზე ქალი შავი, ცეცხლისა ენისა მოსავსავე, და ესმა წყევლა მისი: „გინახავს განა უზა, ლათი და ის მესამე მათ შორის - მანათი? ზეციური ფრინველები არიან ესენი...“ გარნა ჰალიდი გააწყვეტი-ნებს: „ეშმაკეულია აია ესე, და შენც ეშმაკეული ხარ! არა სათაყვანო, არამედ - განსაგდები!“ - და ჩასცა მახვილი და მოუთავა ხელი.

მერეღა დაუბრუნდა კვლავაც მაჰუნდის კარავს და მოუთხრო მას ყოველივე. და სთქუა წინასწარმეტყველმან: „ახლა კი ჯაჰილიას შე-ვალთ!“ და აღსდგა ლაშქარი მისი, შევიდა ქალაქს და სახელითა მომსწყვედნისა კაცთა, უზენაესისა, დაეპატრონა მას.

* * *

და სულ რამდენი კერპია აღმართული შავი ქვის სახლში? არა დაივიწყოთ: სამასსამოცი. ყველანი მაჰუნდის მოსვლას ელოდებიან, იციან - არავინ დაინდობს მათ. ასეცაა, ოღონდ ახლა ამაზე ნუღარ დავკარგავთ დროს. ქანდაკნი ეცემიან, ქვა სკდება: გასაკეთებელი უნდა გაკეთდეს.

იქაურობის დაწმენდის მერე, მაჰუნდი თავის კარავს ძველი ბაზრობის ადგილას გამართავს. მილეთის ხალხი ირევა გარშემო, გამარჯვებულის სარწმუნოების მისარქმელად. სრულიად ჯაჰილიის მორჩილება. ესეც უცილობელია და აღარც ამაზე შევყოვნდებით.

ვიდრე ისინი ქედს იხრიან მის წინაშე და საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენ ყალმას ბუტბუტებენ - არა არს ღმერთი თვინიერ ალ-ლაჰისა! - მაჰუნდი რაღაცას უჩურჩულებს ჰალიდს: ვიღაც მაინც არ მოსულა მუხლის მოსაყრელად, ვიღაც, ვისაც დიდხანს ელოდნენ. „სალმანი," - ეკითხება წინასწარმეტყველი. - „ჯერაც ვერ გიპოვნიათ?"

- ჯერაც ვერა. სადღაც აქვე იმალება, მაგრამ სანამდე?

ახლა ვიღაც პირბადიანი ქალი უჩოქებს, ფეხებს უკოცნის. „არ ეგების ესე," - მაჰუნდი ეუბნება. - „ასე მარტო ღმერთს შეიძლება სცე თაყვანი". ოღონდ ქალი არ ჩერდება - უკვე ფეხისთითებსაც ულოკავს, წუწნის... მაჰუნდს ძარღვი ეშლება: „მორჩიმეთქი!" - ფეხს გაიქნევს და უნებურად, მთხოვნელს ყელში ატაკებს ცერა თითს. ქალი უკუიქცევა, სუნთქვა ეკვრის, ახველებს. მერე იატაკზე განერთხმება და წართქვამს: „არა არს ღმერთი თვინიერ ალ-ლაჰისა და მაჰუნდი წინასწარმეტყველია მისი". მაჰუნდი თავს მოთოკავს, ხელს უწვდის. „არა ზიანი არ მოგადგება," - არწმუნებს. - „ვინც მორჩილებს, ყველას შეენდობა". ოღონდ მაინც რაღაც ჭია უღრღნის გულს, და უცბად ხვდება, რატომაც: ეს ფარული, მძვინვარებამდე მისული ბრაზი, მწარე დაცინვა

ხმაში და წრეგადასული ვნებიანი ამბორი... ქალი პირბადეს იძრობს: ჰინდი.

- აბუ სიმბელის ცოლი, - აცხადებს და მძიმე სიჩუმე ისადგურებს ირგვლივ.

- არ დამვიწყებიხარ, ჰინდ.

ოღონდ მერე, მაინც თავს უქნევს:

- შენ უკვე დამორჩილდი. კეთილი იყოს შენი ფეხი ჩემს კარავში.

უკვე მეორე დღესვე, გაქანებული მოქცევების დროს, სალმან სპარსი ყურით შეათრიეს მაჰუნდთან. ჰალიდს ბასრი ყამა აქვს მის კისერზე დაღირებული და ისე მიყავს წინასწარმეტყველის ტახტთან, ის კიდე ერთთავად მოთქვამს და ფშლუკუნებს.

- რა ბევრი ძებნა ამას უნდოდა, - ამბობს ჰალიდი. - თავის კახპასთან ყოფილა, ის კიდე მთელი ქუჩის გასაგონად გაიძახოდა - ვალი გმართებს ჩემი, ჯერ ის გადამიხადეო... სასმელით ყარს.

- სალმან ფარსი... - ისაა წინასწარმეტყველმა სიკვდილის განაჩენი უნდა გამოუტანოს, რომ ის საცოდავი დასაკლავი გოჭივით აჭყვიტინდება:

- ლა ილაჰა ილალაჰ! ლა ილაჰა...

მაჰუნდი თავს გადააქნევს:

- არა, სალმან. ყალმა არ გიშველის. ღვთისგმობა შენი უპატიებელია. გეგონა, ვერაფერს მივხვდებოდი... შენი სიტყვა ღვთის სიტყვის სანაცვლოდ - ჭკუა სად გქონდა, სალმან?!

გადამწერი, მიწისმთხრელი, სიკვდილმისჯილი: მისხალი ღირსების გრძნობა აღარ შერჩენია - მოთქვამს-გოდებს-იხვეწება-წკმუტუნებს-მჯიღს იცემს მკერდში, ინანიებს... ჰალიდი ამბობს:

- ვფიცავ უზენაესს, ეს უკვე აუტანელია, მოციქულო! რატო არ იქნება, აქვე წავაცალო თავი?

უცებ, სალმანი აჯას მოსხიპავს და რაღაც იმედისდაგვარიც ესახება ხმაში:

- შენი ნაღდი მტრის სამყოფელს გიჩვენებ, მაჰუნდ!

წამიერად, ყველა გაშეშდება. მერე ჰალიდი თმაში წაავლებს ხელს და თავს უკან გადაუგდებს:

- რაო?! ვინ მტერი, რას ბოდავ?

სალმანი სახელს აღმოთქვამს. მაჰუნდი ბალიშებზე გადაწვება, ჩაფიქრებული.

- ბაალი, - ამბობს წარბშეკრული. მერე კი ორჯერ გაიმეორებს: ბაალ, ბაალ...

ჰალიდის გულისგასახეთქად, სალმან სპარსს სიკვდილს აღარ მიუსჯიან. ბილალი უდგება თავდებად და ფიქრებში წასული მაჰუნდიც თავს უქნევს, მძიმე-მძიმედ: ქარსა და ბორიას წაუღია მაგისი თავი, იცოცხლოსო. აი, მორჩილების მიმდევართა ჭეშმარიტი დიდსულოვნება! ჰინდს შეუნდეს, სალმანსაც, და არცერთი კარი არ შეუმტვრევიათ ჯაჰილიაში, არა ვინმე არ გამოუთრევიათ გარეთ, ნაწლავების მტვერში გამოსაყრელად. ეგაა სწორედ მაჰუნდის პასუხი მეორე შეკითხვაზე: რა მოხდება, როცა გაიმარჯვებ? ოღონდ ერთის სახელი მაინც არ სცილდება გონებიდან, ვისი გესლიანი ლექსები თითქოს ახლაც კი გულს უსერავს. იმდღევანდელი მიღება რომ მორჩა, ჰალიდი ეკითხება მაჰუნდს:

- მაინც იმაზე ფიქრობ?

მოციქული თავს უქნევს, უხმოდ. ჰალიდი ამბობს:

- სალმანმა მის სოროში მიმიყვანა, მაგრამ გაგვასწრო და სადღაც ჩაიმარხა. გინდა ამოვთხარო?

ისევ თავის დაქნევა, ისევ უსიტყვო.

- და რას უპირებ? - საჩვენებელ თითს ყელში გამოისვამს. - ამას? თუ ამას? - და ახლა მუცელზე დაისვამს ცერა თითს.

მაჰუნდი წყობიდან გამოყავს ამ თითებისქნევას:

- ბრიყვი ხარ ნამდვილი! - უყვირის ყოფილ მეთულუხჩესა და ახლანდელ თავის მხედართმთავარს. - რაღაც მაინც გააკეთე ჩემი მითითებების გარეშე...

ჰალიდი თავს უკრავს და გადის. მაჰუნდი იძინებს: მისი ძველის-ძველი ხრიკი - ასე ებრძვის უხასიათობას.

* * *

ოღონდ ჰალიდი, მთავარსარდალი, ბაალს ვერაფრით პოულობს - კარდაკარ სიარული გინდა, სარდაფების ჩხრეკა, ჯილდოს დაწესება, განცხადებების გაკვრა კედლებზე... ლამის ყოველი ქვა გადააბრუნეს, მაგრამ მიწამ უყო პირი თუ რა, ის კალმოსანი ვერსად მოიხელთეს. ჰალიდი ხელებს იჭამდა სიმწრისაგან:

- ერთი გამოჩნდებოდეს სადმე, თუნდაც ცხვირი გამოყოს და მერე... - ნაბიჯ-ნაბიჯ ზომავდა მაჰუნდის კარავს. - ისეთ თხელ ნაჭრებად ავქნი, შიგ სინათლე ატანდეს...

მაჰუნდი კი არაფერს ამბობდა და ბოლომდე იმედგაცრუებული იყო თუ არც მთლად, კარვის ბინდ-ბუნდში მაინც ვერ გაარჩევდი კაცი.

* * *

ჯაჰილიელები ნელი-ნელ ეგუებოდნენ ახალ წეს-ჩვეულებებს: დღეში ხუთჯერ ლოცვა, არავითარი სმა, ცოლების სახლში გამოკეტვა... თავად ჰინდიც კი აღარ გამოდიოდა თავისი ოთახებიდან. ოღონდ აი, ეს ბაალი რაღა იქნა?

ჯაბრაილს კრეტსაბმელი ეზმანა:

თუმცა, აქ მას ჰიჯაბი ერქვა და მთელს ჯაჰილიაში უცნობილესი საროსკიპო გახლდათ. ფინიკის ხეებში ჩაფლული, დიდზე-დიდი ნაგებობა იყო, მორაკრაკე შადრევნებიანი რამდენიმე ეზოთი და იმ-

დენი, ერთმანეთში გადახლართული დერეფნით, კაცი ძნელად რომ გაიკვლევდა გზას. ან რა გასაკვირია, როცა კედლები მთლად ერთნაირად მოეფარდაგებინათ, ერთნაირად ლამაზად გამოყვანილი სასიყვარულო წარწერებით მოერთოთ, ქვის ერთნაირი ურნები დაედგათ კუთხეებში და ამას ისიც დაუმატეთ, რომ ერთი ფანჯარა რაა, ისიც კი არ გაეჭრათ... სტუმრებს ძირითადად, თავად მათივე არჩეული გოგონები აცილებდნენ ხოლმე, რაც გასამრჯელოს უკლებლივ მიღების თავდები და იმავ დროს, არასასურველი მომსვლელებისაგან თავის არიდების უებარი საშუალებაც გახლდათ. სხვა, განსაკუთრებულ შემთხვევებში, მათ ახმახი ჩერქეზი საჭურისები გადაიბარებდნენ ხოლმე და დაგორგლილი ძაფის მეშვეობით გაჰყავდათ გარეთ, ერთ-ერთ ეზოში. აქაურობას ვინმე უსახელო ქ-ნი ჰიჯაბოსანი განაგებდა, ვისმა კრეტსაბმელების მიღმიდან ხშირ-ხშირად გამოღწეულმა, ხრინწიანმა მიმართვებმა მერე და მერე მისნის ნაწინასწარმეტყველების ელფერი შეიძინა და ვინ იყომისთვის სიტყვის შემბრუნებელი - გინდა მსახურთა, გინდა სტუმართა მხრიდან! ისიცა ვთქვათ, მისი გამონათქვამები კრიჭაში ედგა მაჰუნდის განცხადებებს და იქნებ ამიტომაც, მფარველობის სათხოვნად მის ფერხთით გართხმულ ბაალს თავშესაფარსაც დაპირდნენ და დასაქმებაზეც არ უთხრეს უარი. ასე რომ, როცა ჰალიდის ხალხი შემოიჭრა იქაურობის განსაჩხრეკად, საჭურისებმა იმდენი ატარეს აღმა-დაღმა, სულ წყევლა-კრულვით იხსენიებდნენ იმ ორმოც დერეფანსა და ამდენივე საკანს, საცა ფერუმარილების, მალამოებისა და მწნილეულობის გარდა, ვერც ვერაფერს მიაკვლიეს, თუმც კი გულისგულში მაინც ღრღნიდათ ეჭვის ჭია, რომ სადღაც, ორმოცდამეერთე დერეფნის ბოლოს, ორმოცდამეერთე საკუჭნაოში მაინც იმალებოდა მათ მიერ ძებნილი, ერთთავად შიშის ოფლში გაწურული ის ნაგიჟარი პოეტი...

მერე, ქაბატოსავე ბრძანებით, საჭურისებმა თავ-ფეხიანად შეღებეს ბაალი - თმაცა და კანიც გაუშავეს, ზღაპრული ლამპარის ჯინივით, ხალათ-დოლბანდში გამოაწყვეს და გაძლიერებული ფიზიკური ვარჯიშობანიც დაუწესეს, რათა სამომავლოდ, მის გარეგნულ შეუსაბამობაზე ცუდად არავის დაედგა ეჭვიანი თვალი.

* * *

ოღონდაც, ამ დაწესებულებაში გამოკეტვამ სულაც არაფერი ავნო გარე სამყაროზე მის წარმოდგენას: პირიქით, რაკიღა ხშირად უწევდა სიამის დარბაზის კართან დარაჯად დგომა, სტუმართა შვებანეტარების შედეგად აქავებული ენების წყალობით იმაზე მეტიც იცოდა, ვიდრე მისი ახლომხედველობისა და დაქვეითებული სმენის პატრონი, ამ პირაკრული ქალაქის ქუჩებში ხეტიალით გაიგებდა.

და აი, რა გაიგო ბაალმა:

გუნებაამღვრეული ყასაბი იბრაჰიმი ზუზუნებდა - ღორის ხორცზე დაწესებული აკრძალვის მიუხედავად, ასე ნაუცბათევად და ჰაიჰარად რწმენამოქცეული ჯაჰილიელები უკანა კარზე მადგებიან აკრძალული ხილის საყიდლადო: „ფასი კი დიდი დაედო, იცოცხლე, მაგრამ ეს ოხერი ღორი ისეთი ცხოველი არაა, ჩუმად დაკლა და ვერავინ ვერაფერი გაიგოს!“ - თან დიდის ამბით შერჩეულ გოგონას აჯდებოდა. ფაშვგაგდებული ბაყალი მუსაც თავისას უზიარებდა ხოლმე საროსკიპოს თარაზული მეთოდით მუშაკს - „რა ვქნა, დაიკო - ჩვევა რჯულზე უმტკიცესია: ხან მანათს აღვუვლენ ლოცვას და ხან - ალ-ლათს... განა რას იზამ, ქალღმერთებს იმისთანა რაღაცეები აქვთ, მამრ ღმერთებს რომ ვერ უპოვი...“ და მერე ასევე ხვნეშა-ხვნეშით მოერგებოდა ხოლმე იმ რაღაცეების მიწიერ განსახიერებებს. აი, ასე და ამგვარად გაიგო ბაალმა ის ჭეშმარიტება, რომ არა ძალა-

უფლება არაა მთლად უკიდეგანო, არა გამარჯვება - სრული; ნელი-ნელ მაჰუნდსაც შემოხვეოდა განქიქების უნასი და ამისდაკვალად, ბაალმაც იწყო ფერიცვალება: მის ყურამდეც მოაწია ტაიფ-ქალაქში ალ-ლათის ტაძრის დანგრევის ამბავმა და ღრმა სევდამ მოიცვა მისი სული - კერპთა თაყვანისცემის მიმართ ახალგაზრდობისათვის დამახასიათებელი აგდებული დამოკიდებულების მიუხედავად, ქალღმერთისადმი მისი გრძნობა ყოველთვის ალალი იყო და იქნებ - ერთადერთიც. ამას ემატებოდა ის გულაცრუებაც, რომ მისი ამ ჭეშმარიტი სიყვარულის მატარებელი ერთი უბრალო ქვა აღმოჩნდა, გადამთიელი ბარბაროსებისათვის წინააღმდეგობის გაწევის უუნარო. თანდათანობით იმ დასკვნამდეც კი მივიდა, რომ ღვთაების ესეგვარი დაცემა უკვე თავად მისი, ბაალის კვდომასაც მოასწავებდა; ოღონდ ამას, რა უცნაურიც არ უნდა გეჩვენოთ, შიში არ გამოუწვევია მასში: პირიქით - მისდა გასაკვირად, აღმოაჩინა რომ სიკვდილის მოახლოებამ სიცოცხლის სიტკბო გაუმძაფრა. და მაშ, სადღა იყო ჭეშმარიტება? ალ-ლათი მოკვდა - არც არასოდეს უცოცხლია, კაცმა რომ თქვას - ოღონდ ეს არანაირად არ აქცევდა მაჰუნდს წინასწარმეტყველად! საბოლოოდ, ბაალი უღმერთობის ბილიკს დაადგა და ერთხელაც, როცა მუსა-ბაყალმა თავისი მორიგი ბუზღუნი წამოიწყო მაჰუნდის 12 ცოლის თაობაზე - აქაოდა რას გავს ეს, ერთი წესი მისთვის, სხვა - ჩვენთვისო?! - ბაალი მიხვდა, რით და როგორ დაპირისპირებოდა საყოველთაო მორჩილებას.

ისიც ითქვას, ჰიჯაბის გოგონები - საყოველთაოდ მიღებული წესით, სწორედ ასე იხსენიებდნენ ყველანი, თორემ მათ შორის ყველაზე ხანიერი ორმოცს კარგად გადაცილებული გახდათ, უმცროსი კიდე - თუმც კი სულ თხუთმეტისა, გამოცდილებით არავის დაუდებდა ტოლს - ჭკუაზე არ იყვნენ ამ ახალი, არცთუმთლად საჭურისისაგან და არასამუშაო საათებში, მოგეცათ ლხენა, ერთ ამბავს აწევდნენ საბრალოს: ხან თვალებს უჟუჟუნებ-

დნენ გამომწვევად, ხან მკერდს გაუხახუნებდნენ მკლავზე, ხანაც თლილი ფეხებით შემოეჭდობოდნენ წელზე, ანდა სულაც, ზედ მის ცხვირწინ, ერთმანეთს კოცნიდნენ ვნებიანად. შედეგი ადვილი მისახვედრი გახლდათ, ოღონდ ისინი მხოლოდ კისკისებდნენ, სირცხვილში აგდებდნენ და ძალზე იშვიათად, ვინმეს მაინც შეარჩევდნენ ხოლმე მის უფასოდ მოსამსახურებლად - ბოლო-ბოლო, მათივე მიერ წამოხურებული კაცი ხომ უნდა დაეშოშმინებინათ როგორმე. აი ასე, დაბანგული ბუღა ხარივით ატარებდა თავის დღეებს ნაპოეტარი, სიკვდილსა და შურისგებაზე მეოცნებე და ვეღარ გაერკვია, საკუთარი ხვედრის ყველაზე კმაყოფილი კაცი უნდა ყოფილიყო ამქვეყნად თუ - უბედურთა შორის უუბედურესი.

ერთხელაც, სწორედ ამგვარი ლაზღანდარობის დროს, ბაალმა სწორედ რომ ყველაზე ახალგაზრდა გოგონასაგან გაიგონა მუსა-ბაყალის ნათქვამი:

- ეგა?! მაგ მართლა ერეკება წინასწარმეტყველის ცოლების ამბავზე! მარტო მათი სახელებისგაგონებაზეც კი უდგება... ერთხელ მეც მითხრა - სუფთა აიშა ხარო, ის კიდე მისი ბოლო სიყვარულია, ყველა ეგრე ამბობს!

- ამ ჩვენს კაცებს მართლა აღარაფერი აქვთ სალაპარაკო?! გამოკეტა მაჰუნდმა თავისი ცოლები ჰარემში და უარესი ქნა - ხალხი იმაზე ლაპარაკობს ყველაზე მეტს, რისი დანახვაც არ ეკრძალება! - გაიჭიფხა „უხუცესი“ ქალბატონი.

„მართალს კი ამბობს, ხომ იცი...“ - გაიფიქრა ბაალმა. მანამდეც, ვიდრე მაჰუნდი იმ თავის წესების წიგნს დაუდებდა ხალხს, ქალები ჯაჰილიაში სულ ჭრელა-ჭრულებს იცვამდნენ და საუბრებიც სულ წერაობაზე და ფულზე, ფულზე და შედება-გამოდებაზე იყო, და არა მხოლოდ საუბრები...

დაეკითხა:

- რატო თავს არ მოაჩვენებ?

- ვის?

- ვისა და იმას, იმ შენს მუსას. თუკი აიშაზე აბოდებს, აიღე და დაუდექი აიშად!

- ბედი შენი რომ არავინ გვაყურადებს, თორემ მაგ კაკლებს სულ ქაფქაფა ზეთში დაგიბრაწავდნენ!

არა, მაინც რამდენი ცოლი ყავსო? თორმეტი, და კიდე - ის ერთიც, დიდი ხნის გარდაცვლილი... და აქ, კრეტსაბმელის მიღმა რამდენია? ასევე თორმეტი! ადგა და ქაბატოს მოახსენა ყველაფერი, ისე რომ მისი სახე არც კი დაუნახავს. ბოლო-ბოლო, საცა რწმენა არაა, იქ არც ღვთისგმობად ჩაითვლება რაიმე.

- სახიფათოა, ძალიან. - მოესმა ბაყაყის ყიყინივით ხმა. - მაგრამ საქმეს კი კარგად წაადგება! ვცადოთ...

მეორე დღესვე, გოგონამ რაღაც უჩურჩულა ბაყალს. იმას თვალები გაუბრწყინდა:

- მიდი, მიდი, დაწვრილებით მომიყევი ყველაფერი, სიტყვა არ გამოგრჩეს იცოდე! და არც ის ამბავი დაივიწყო, სოლომონის ცხენს რომ გადააჯდებოდი ხოლმე და მოციქული აქეთ-იქით დაგატარებდა...

თხოვნა აუსრულა, ყველაფერს მოუყვა და მერე ისიც მოაყოლა, თორმეტი წლისამ როგორ დაკარგა ქალწულობა... ბაყალმა ორმაგად გადაუხადა - მადლობაცა და ფულიც.

- ოღონდ ძალზე ფრთხილად კი უნდა ვიყოთ, - უთხრა ქაბატომ ბაალს. - სახიფათო თამაშაა, ნამდვილად.

* * *

როცა მთელს ჯაჰილიაში ხმა დაირხა - ჰიჯაბში ყოველ გოგოს მაჰუნდის ერთ-ერთი ცოლის იერი მიუღიაო, ქალაქის მამრთა ფარული ლტოლვა უბრალოდ, დაუძლეველი გახდა. ოღონდ ყვე-

ლას კარგად მოეხსენებოდა, რა ბედიც ეწეოდათ იმ შემთხვევაში, თუკი ამგვარი მკრეხელობა გამჟღავნდებოდა და ამიტომ, კრეტსაბ-მელის ორივე მხრიდან ყოველ ღონეს ხმარობდნენ ხელისუფალთა-გან ამის საიდუმლოდ შესანახად. იმ დღეებში თავად მაჰუნდიც იას-რიბს დაუბრუნდა თავის ცოლებთან ერთად, რაკიღა ჩრდილოეთის ოაზისის სიგრილე ამჯობინა ჯაჰილიის ხვატს, ქალაქი კი მხედარ-თმთავარ ჰალიდის განმგებლობაში დატოვა. არც ისე დიდი ხნის წინ, მაჰუნდმა განიხილა მისი წინადადება - ჯაჰილიის ყველა საროს-კიპო უნდა დავხუროთო, მაგრამ აბუ სიმბელმა გადაარწმუნა ამგვა-რი ნაჩქარევი ნაბიჯის გადადგმისაგან: აქაურები ხომ მხოლოდ ახ-ლახან მოიქცნენ ჭეშმარიტი რწმენისაკენ და ზედმეტი არ მოგივიდე-თო. მაჰუნდი, მოგეხსენებათ, წინასწარმეტყველთაგან უწინდახედუ-ლესი გახლდათ - მაშინვე დასთანხმდა ე. წ. „გარდამავალ პერი-ოდს“. ასე და ამგვარად, მაჰუნდის არყოფნაში, სრულიად ჯაჰილიის მამრები წყება-წყებად სტუმრობდნენ ჰიჯაბს, ხოლო ზემოხსენებუ-ლი დაწესებულების შემოსავალმა სამგზის იმატა. გასაგები მიზეზე-ბის გამო, ქუჩაში რიგების გაჩენა არავის აწყობდა და ამიტომაც, განსაკუთრებით მოუთმენელნი შიდა ეზოებში არტყამდნენ წრეებს „სიყვარულის შადრევნების“ გარშემო - ზუსტად ისე, თუმც კი სულ სხვა მიზეზით, მომლოცველები რომ მიმოძრაობენ შავი ქვის გარშე-მო. ყველა მათგანს ნიღაბი ეკეთა სახეზე, და მათი შემხედვარე ბა-ალიც ფრიად კმაყოფილი გახლდათ: ეს მხოლოდ ერთ-ერთი გზა იყო უზენაესი მორჩილების უგულებელსაყოფად.

მომდევნო თვეს, ჰიჯაბის მომსახურეთა მთელი შემადგენლობა უკვე კარგადაც გაიწაფა ამ ახალ დავალებასთან შესაჭიდებლად: მა-გალითად, თხუთმეტი წლის „აიშა“ ყველაზე მეტად მოთხოვნადი ნა-წარმი გახლდათ, და ისევე როგორც ის მეორე, ნამდვილი აიშა, მე-ტად უფრთხილდებოდა „საუკეთესო საყვარლის“ თავის ახლანდელ წოდებას - სწყინდა კიდეც, თუკი ვინმე სხვას მეტი მნახველი დაუგ-როვდებოდა დღის განმავლობაში, ანთუ გაიგებდა რომ განსაკუთ-

რებულად ხელგაშლილად დაასაჩუქრეს. ხოლო უხნიერესი, მეტისმეტად ხორცსავსე როსკიპი, სახელად „საუდა“ რომ დაირქვა, თავის არცთუ მცირე რაოდენობის სტუმრებს (ბევრი სწორედაც მის დედობრივ და კალთამადლიან ხიბლს ეტანებოდა) სულ წვრილ-წვრილად მოუთხრობდა, როგორ შეირთო მაჰუნდმა ისა და აიშა: ერთსა და იმავე დღეს, როცა აიშა ჯერ მთლად ბავშვი გახლდათ.

- ჩვენ ორში, - უყვებოდა და ისინიც გაფაციცებით უსმენდნენ, - წინასწარმეტყველმა თავისი ნეტარხსენებული პირველი ცოლის ორი ნახევარი იპოვა: ბავშვიცა და დედაც.

„ჰაფზად“ წოდებულ მეძავს რაც შეეხება, ისეთივე პილპილა ვინმედ იქცა როგორიც მისი „სეხნია“, და საერთოდ, ამ თორმეტმა ისე მოირგეს და გაითავისეს იმ თორმეტის არსებობა, საროსკიპო იასრიბის მეჩეთში გამეფებული პოლიტიკური ვითარების ლამის სარკისებურ ანარეკლად იქცა: აიშა და ჰაფზა, მაგალითად, მუდამ იმ სხვა ორს ექიშპებოდნენ, რომელთაც სახელმოდგამად უარისტოკრატიულესი წყვილი შეერჩიათ - „უმ სალამა“ და „რამლა“ - ეს უკანასკნელი, მოგეხსენებათ, მთლად აბუ სიმბელისა და ჰინდის ქალიშვილი, მაჰუნდის მეთერთმეტე ცოლი იყო. იყვნენ კიდევ „ზეინაბ ბინტ ჯახში“ და „ჯუვაირია“ (ეს მაჰუნდის სამხედრო ნადავლი გახლდათ), „რეჰანა ებრაელი“, „საფია“, „მაიმუნა“ და მათ შორის ყველაზე ვნებიანი, ათასი ხრიკის მცოდნე, რომელთაც არასდიდებით არ უმხელდა დობილებს - მეგვიპტელი ლამაზმანი, „მირიამ კოპტი“... თუმცა, მთლად ყველაზე გამაოგნებელი ის მეძავი გახლდათ, რომელიც საკუთარი ნებით შეეზიარა სახელს „ზეინაბ ბინტ ჰუზაიმა“ - იმის მიუხედავად, მაჰუნდის ეს ცოლი რომ კარგა ხნის წინ გარდაცვლილიყო. აი, მასთან მომსვლელთა ნეკროფილიური გამოხდომები, რის გამოც მას თითის გატოკებასაც კი უკრძალავდნენ მიდგომის დროს, ერთი ყველაზე საეჭვოთაგანი გახლდათ ჰიჯაბში დამყა-

რებულ ახალ წეს-ჩვეულებებთაგან. რას იზამ, ბიზნესის ამბავია - ვინც ფულს იხდის, პოზებსაც ის უკვეთავს - მსოფლიოს ნებისმიერ საროსკიპოში ასეა.

წლის ბოლოსთვის ეს თორმეტი ისე შევიდა როლში, მათი წინარე თვითობა ნელნელა გაედღაბნათ კიდეც, ხოლო ბაალი, რომელიც სულ უფრო და უფრო კარგავდა თვალისჩინს, ფორმითაც ორორს ხედავდა, თითქოს ლანდი ედებოდა ლანდს. თავად გოგოებსაც გვარიანად შეეცვალათ მისდამი დამოკიდებულება: იმხანად როსკიპებს ჩვევად ჰქონდათ - ამ პირველი უძველესი პროფესიის არჩევისთანავე, ქმარიც ისეთი შეერჩიათ, ხელს რომ არაფერში შეუშლიდათ - ვთქვათ, მთა, ან შადრევანი, ან ბუჩქი... ასე რომ, უკვე მაინც გათხოვილი ბანოვანები ეთქმოდათ. ადრე აქაურები ზედ შუანა ეზოში მდებარე „სიყვარულის წყაროს“ შადრევნით იხიბლებოდნენ, მაგრამ ერთ დღესაც ჯანყი ატყდა და ქაბატოს აცნობეს - ახლა, როცა წინასწარმეტყველის ცოლებად მოგვაქვს თავი, ქმარიც შესაფერისი გვჭირდებაო; ბოლოს და ბოლოს, ამ ქვით გაწყობილი წყაროსთვალის ცოლობა უკვე კერპთაყვანისმცემლობასაც კი უდრისო. მოკლედ, ერთხმად განუცხადეს - ეს ჩვენი ვითომც უმაქნისი ბაალი სავსებით გამოგვადგება ამ ახალი წოდებისთვისო. ქაბატომ თავიდან შორს დაიჭირა, მაგრამ მერე და მერე ისიც ჩახვდა - ამაში რაღაც ხეირი ყრიაო და ყოფილი კალმოსანის მოხმობა ბრძანა. სულ სიცილ-კისკისითა და ჯიკავ-ჯიკავით მოუყვანეს, ოღონდ როცა საქმის ვითარება აუხსნეს, ბაალს იმისთანა აჩქარებული გულისცემა გაუხდა, ერთთავად გადაფითრდა და ძირს მოადინა ბრაგვანი.

- დიდება შენდა ღმერთო! - შეჰყვირა დაფეთებულმა „აიშამ“. - ჯერ არ გავთხოვებულვართ და უკვე ქვრივებად უნდა ვიქცეთ?!

მაგრამ არც მთლად მასე იყო საქმე: ბაალი მალევე მოსულიერდა და გარიგებასაც დასთანხმდა. აი, ასე იქცა იგი ყოფილი საქმოსანისა და ამჟამად, ღვთის დესპანის, წინასწარმეტყველ მაჰუნდის თორმეტი „ცოლის“ მეუღლედ... მერე კი შესაბამისი დავთარიც შე-

ადგინეს, სადაც - წესისა და რიგის თანახმად - მას ჯერი-ჯერზე უწევდა თითო დღის გატარება თითო მათგანთან (საქმეც ეგაა, რომ ამ დაწესებულებაში დღე და ღამე შებრუნებული გახლდათ: სამუშაო საათები ღამით იწყებოდა, დღისით კი ისვენებდნენ). ოღონდ ახლა სახელისა და სამოსის გამოცვლაც მოსთხოვეს - ცოტათი მაინც რომ დამსგავსებოდა მათს „ნამდვილ“ ქმარს - ე.ი. მაჰუნდს.

აი, ამაზე კი გაქირ ვირივით გაოჩნდა:

- იქნებადა არც არაფერია აქ სატრაბახო, მაგრამ ჩემი სახელია და მორჩა! ბოლოს და ბოლოს, მე არც სტუმრებთან არ ვიჭერ საქმეს და შესაბამისად, არც რამ სარფა ამაში არაა...

- კარგი ერთი! - თხელი მხრები შეათამაშა „მირიამმა“ - მაგას განა რა მნიშვნელობა აქ, მთავარია მასსავით იქცეოდე.

- და მე რა ვიცი, ახლა ის როგორ იქცევა? - გაიკვირვა ბაალმა.

და სწორედ მაშინ აჩვენა „აიშამ“, როგორ უნდა იქცეოდეს უმცროსი, ყველაზე საყვარელი ცოლი - გაუღიმა, მკლავზე აეკრა და ყურში ჩასჩურჩულა: „განა რა ძნელი ეგაა? უბრალოდ, გვინდა რომ ჩვენი ბატონი იყო...“

როგორც აღმოჩნდა, ჰიჯაბის მეძავნი ყველაზე ძველმოდური და სულ უბრალო მოთხოვნა-შეხედულებების ქალები ყოფილან მთელს ჯაჰილიაში: მათ ყოველდღიურობას სავსებით შეიძლებოდა, მთლად გულცივ და ხელჩაქნეულ არსებებად ექცია ისინი, მაგრამ ამის მაგივრად, წმინდა წყლის მეოცნებეებად კი უქცევია. გარე სამყაროს მოწყვეტილებს, თავიანთთვის მხოლოდ და მხოლოდ „ერთი უბრალო ცხოვრება“ მონატრებოდათ, საცა ისინი - მორჩილი და სათნო დიასახლისები, ძლიერ, ბრძენ და მოალერსე მამაკაცს ამოუდგებოდნენ მხარში; მოკლედ რომ ვთქვათ, თვისობრივად თავისებური საქმიანობის წლებმა იმდენად დაუმახინჯეს საკუთარი ოცნებები, რომ ახლა სწორედ ის უნდოდათ, მამაკაცების უმარტივესი ოცნების განსახიერება გამხდარიყ-

ვნენ. მოკლედ, თამაშ-თამაშ, მაგრამ ბაალი ნელ-ნელა იმასაც მიხვდა, თუ რას ნიშნავდა ერთდროულად 12 ქალის თავგამოდება, მის კეთილგანწყობას რომ ჩემულობდნენ - როცა მისივე ღიმილის დასამსახურებლად, ფეხს ბანდნენ და საკუთარი თმებით უმშრალებდნენ, როცა ნელსურნელებას უცხებდნენ ტანზე ან თავდავიწყებით ცეკვავდნენ მის წინ... ანუ - ათას იმგვარ რამეს სჩადიოდნენ, რაც მათი საოცნებო შეუღლების არსს შეადგენდა და რის ახდენასაც არც არასოდეს ვარაუდობდნენ.

ასე რომ, ბაალს ახლა სიამესაც კი გვრიდა მათზე მბრძანებლობა, მათს გაუთავებელ დავა-კამათებში ბოლო სიტყვის თქმა, მათი დასჯა, თუკი რაიმეთი გაანაწყენებდნენ; ერთხელაც, თავგაბეზრებულმა, მთელი ერთი თვით აიღო მათზე ხელი და როცა, ოცდამეცხრე დღეს, „აიშას“ სტუმრობდა, იმან ისეთ დღეში ჩააგდო, კინაღამ ნეტარებაში გააპარა იმქვეყანას...

- კიდევ კარგი, ეს თვე სულ ოცდაცხრა დღისაგან შედგებოდაო, - თქვა მერე.

მერე იყო და ჰაფზად სახელდებულმა, მირიამ კოპტელთან წაასწრო თავის ოთახში და თითქოს ჯინაზეო, სწორედ „აიშასათვის“ განკუთვნილ დღეს. ბევრიც ეხვეწა, იმასთან სიტყვა არ დაგცდესო, მაგრამ ქალს აბა, ენა როგორ გაუჩერდებოდა და საბრალო ბაალს კიდევ კარგა ხანს მოუწია ნაზკანიანი და ხვეულათმიანი მირიამისაგან შორს დაეჭირა თავი... ასე და ამგვარად, დროთა განმავლობაში, მას მაჰუნდის ფარულ, ასე ვთქვათ, სეკულარულ სარკედ მოუწია ქცევა და იქნებ ამიტომაც იყო, კვლავაც კალამი რომ აიღო ხელში - ლექსები ახლა იმაზე ტკბილხმიანი გამოსდიოდა, ვიდრე ოდესმე დაუწერია. თუმცა ხანდახან, სწორედ აიშასთან ერთად ყოფნისას, რაღაც სიმძიმე დააწვებოდა მხრებზე, მოძრაობები უნელდებოდა და ბალიშებზე გადაწვებოდა ხოლმე, მოსასვენებლად.

- უცნაური ამბავია, - უთხრა კიდეც ერთხელ. - თითქოს საკუთარ თავს ვხედავდე, ჩემსავე სასთუმალთან მდგომს: ის მეორე მესაუბრება, მე კი ვდგები და მერე მის ამ ნაუბარ ლექსებს ვიწერ...

ოღონდ ეს უცნაურობა დიდად აღელვებდათ და გულზეც ეფონებოდათ მის ცოლებს. ერთხელაც, უმ სალამას ოთახში ჩასძინებოდა სავარძელში მჯდომს, და რომ წამოდგა, ფეხები დაბუჟებოდა, კისერი გაშეშებოდა და სახსრებშიც ძლივს გაიშალა. ქალს უსაყვედურა - რატომ არ გამაღვიძეო.

- ვიფიქრე, ვაითუ ისევ ლექსები ეწვია-მეთქი... - დაირცხვინა ქალმა.

- არა, - თავი გადააქნია ბაალმა. - მაგაზე ნუ იდარდებ. ერთადერთი, ვისი თანდასწრებითაც ეს მემართება ხოლმე, აიშაა.

* * *

ორი წელი არ იქნებოდა გასული, რაც ბაალი ჰიჯაბში ჩასახლდა, რომ აიშას რომელიღაც კლიენტმა იცნო - შეღებილი თმაკანის, ჩაცმულობისა და ყოველდღიური ვარჯიშობისაგან მცირეოდნავ მაინც დაკუნთული ტანის მიუხედავად - თითი დააღირა და აყვირდა:

- აი სად შემალულხარ თურმე!

აიშა ძაან კი დაფეთდა, მაგრამ ბაალმა დაამშვიდა - ეგ არაფერი, მაგისგან ცუდს ნუ ელიო. მერე სალმან სპარსი თავის ოთახში შეიპატიჟა და დაუჭყლეტავი კუმპალებისაგან გამოყვანილი ტკბილი ღვინოს ერთ ბოთლს წააცალა თავი (ამგვარად დაწურული ამ მართლაც ღვთაებრივი სითხის ეშმაკეულად გამოცხადება მხედველობიდან გამორჩა ჯაჰილიელების მიერ იმ-

ჟამად უკვე ხუმრობაგაშვებით, „აკრძალვათა დავთრად“ წოდებული წიგნის შემდგენელს).

- როგორც იქნა, ვტოვებ ამ ჩაქცეულ ქალაქს და აქ იმიტომაც მოვედი, ამდენი ხნის ქაქში ჯდომის მერე, წუთი სიამე მაინც რომ ვიგემო! - ყინჩად განაცხადა სალმანმა.

ძველი მეგობრობის ხათრით რომ დაუდგა ბილალი თავდებად, ეს ჩვენი მოკვეთილი გადამწერად და უსტართა მთხზველად მოკალათებულა საქმიანი უბნის მთავარი ქუჩის კუთხეში, და მალე სახელიც დაუგდია.

- ხალხი წერილებს იმიტომაც წერს, სიმართლე მიჩქმალოს, - ბრძნობდა სალმანი, თან წუთი-წუთზე სულ უფრო ეკიდებოდა სასმელი. - ამიტომაც, ნაღდზე-ნაღდი, დახვეწილი ქოსატყუილას ფასი პატარა არ გეგონოს! ჩემი შეთხზული სასიყვარულო წერილები თუ საქმიანი მიწერ-მოწერა განთქმულია ქალაქში - სწორედაც იმის წყალობით, წამი ფიქრი რომ არ მჭირდება იმგვარი ტყუილის გამოსაცხობად, დიდად არც განსხვავდებოდეს სიმართლისაგან! ასე და ამგვარად, სულ რაღაც ორ წელიწადში საკმარისი თანხა დამიგროვდა სახლში დასაბრუნებლად... სახლი - ტკბილმოსაგონარი სახლი! ძირძველი ქვეყანა! არა, ხვალვე მოვხიკავ ჩემს ბარგი-ბარხანას და...

ბოთლი რომ სულ ძირამდე ჩაიცალა, სალმანი კვლავ თავის შეჭირვებათა თავ მიზეზს - მოციქულსა და მის გზავნილებს მიუბრუნდა. ჯერ მაჰუნდსა და აიშას შორის ჩამოვარდნილ უამობაზე მოუთხრო ბაალს, და თან ყოველ ჭორსა თუ შემთხვევით ყურმოკრულს, უეჭველ სიმართლედ ასაღებდა.

- ამ გოგოს ვერ გაუგია, რად უნდა მის ქმარს ამდენი სხვადასხვა ქალი! ის კიდე რაღაც სახელმწიფო ინტერესებზე, პოლიტიკურ კავშირებსა და ეგეთებზე ებაზრება - მაგით მოაღორებ ქალს?! ბოლო-ბოლო, იმ თავის ჩვეულ თიშში გადავიდა და როგორც ყოველთვის, უკან მთავარანგელოზის გზავნილით დაბრუნდა. და შენ რა გგონია -

უბრალო აიები კი არა, სრული ღვთაებრივი მხარდაჭერაა! ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, შეუძლია რამდენიც მოეხუშტურება, იმდენი ქალი იხმაროს და ვინაა ხმის ამომღები! აბა, სად აიშა და სად - უზენაესის სიტყვა, თანაც - ლექსად თქმული! ოღონდ ერთი ეს კი ახალა პირში: ეგ შენი ღმერთი რა, მუდამ მზადაა ასკინკილა მოვარდეს შენივე პატარ-პატარა რამეების მოსაგვარებლადო? - აი, ეგრე!სხვა ვინმე რომ ყოფილიყო, ნაღდში სარზე გაასმევინებდა, მაგრამ იმას ყველაფერი გასდის...

ბაალს სიტყვა არ ჩაუდგამს, ლაქლაქს აცდიდა. საცნაური იყო, რომ სპარსს ძალზე აღელვებდა მორჩილებაში მყოფ ქალკაცთა ურთიერთობის გარკვეული მხარე:

- ეს ამბავი სიკეთეს არ მოიტანს... არაჯანმრთელი მიდგომაა და იმიტომ!

და ძალზედ გაკვირვებული დარჩა, ბაალი რომ მისდა სრულიად მოულოდნელად, მაჰუნდს ამოუდგა მხარში:

- ახლა ერთი მისი თვალითაც შეხედე ყველაფერს! თუ მავანი ოჯახი მას ქალიშვილს ურიგებს, უარი და მათი მტრად გადაკიდება ერთია. თანაც, ის მთლად უბრალო კაცი არაა და რაკი ასე დაჰყო ყველანი, რაღაც თავისი საზრისიც ექნება, უეჭველად. ქალების სახლში გამოკეტვას რაც შეეხება, აბა წარმოიდგინე ერთი, მის რომელიმე ცოლთაგანს რაიმე ავი რომ შეემთხვას, რა ამბავი ატყდება! ერთი ჩემთან ერთად გეცხოვრა აქ და თავად ნახავდი - ხორციელი თავაშვებულობისათვის მცირედი ლაგამის ამოდება არც არავის აწყენდა... უბრალო მოკვდავთ ვგულისხმობ, რაღა თქმა უნდა.

- მთლად გაგირეკია, აი! - უდიერად გაეპასუხა სალმანი. - მეტისმეტად დიდი ხანი გაატარე უმზეოდ და გონებაც დაგიბნელდა... ან იქნებ ეს ტაკიმასხარას სამოსელი გალაპარაკებს?

ბაალმა კიდევ სცადა საკუთარი მოსაზრებების დასაბუთება, მაგრამ სალმანმა აღარ აცალა:

- მორჩი ბაზარს! ჯობია, ერთ კარგ ამბავს მოგიყვები: ჯერ ერთი რომ მთელი ქალაქის სალაპარაკოა და თან - ჭკუისსასწავლებელიც...

სალმანის მონათხრობი: აიშა და წინასწარმეტყველი ერთ შორეულ სოფელს გაემგზავრნენ, უკანა გზაზე კი შემოაღამდათ და ამალიანად დიუნებში დასცეს ბანაკი. სისხამ დილით კი აიყარნენ, ჯერ კიდევ ბინდ-ბუნდში. წუთით ადრე, აიშამ უდაბნოს მიაშურა და თვალს მოეფარა, ბუნებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მეტახტრევნეებმა ვერაფერი შენიშნეს და რაკი აგებულებითაც მთლად ჰაეროვანი ქალი ეთქმის, ვერც ტვირთის წონას შეატყვეს რამე - ასწიეს და დაადგნენ გზას. უკან მობრუნებული აიშა ხედავს, მარტოკაა ქვიშის ამ უკიდეგანო ოკეანეში და აქლემზე ამხედრებული მავანი ახალგაზრდა, ვინმე საფვანი რომ არ გამოჩენილიყო მშველელად, კაცმა არ იცის, რა უბედურება დატრიალდებოდა მის თავს. საფვანმა უვნებლად ჩაიყვანა აიშა იასრიბში, საცა წამსვე ათასობით ბოროტი ენები ასავსავდნენ - და განსაკუთრებით, თავად ჰარემში - აბა სხვა ცოლები ხელიდან როგორ გაუშვებდნენ ამისთანა შესაძლებლობას! ახალგაზრდა ქალი და კაცი მრავალი საათი მარტოდ-მარტო შერჩნენ სრულიად უკაცრიელ მხარეს და დავიჯეროთ, ამისთანა წარმოსადეგი, პირმშვენიერი ყმაწვილი... თანაც - მაჰუნდი ხომ ბევრად ასაკოვანია თავის ახალგაზრდა ქალბატონზე და...

- ატყდა მარა რა ატყდა! - კმაყოფილი იფშვნეტდა ხელებს სალმანი.

- და მაჰუნდმა რაო? - ჩაეკითხა ბაალი.

- აი, იმან ქნა რაც ქნა... რასაც ყოველთვის იქმოდა, სხვა რა? თავის კუდს, მთავარანგელოზს უხმო და მერე ყველას განუცხადა მისი ნება - აიშას ბიწი არაფერში ადევსო. - აქ სალმანმა ხელები გაასავსავა. - ამჯერად, ჩემო კარგო, ქალბატონს სიტყვაც არ დასცდენია

„მაღალი შტილის“ ლექსთწყობის ვითარებასთან საეჭვოდ მორგების თაობაზე...

* * *

სალმან სპარსი მეორე დილითვე დაემგზავრა ჩრდილოეთის მხარეს ტაატით მიმავალი აქლემების გრძელ ქარავანს. ოღონდ წინა ღამეს ჯერ ბაალს გადაეხვია, პირზე კოცნით დაემშვიდობა და ესღა უთხრა:

- იქნებადა მართალიც იყო... ვინძლო, ჩრდილში ყოფნა სჯობდეს მზის გულზე გამოჩენას.

- მე კი ვიმედოვნებ, რომ სახლსაც კეთილად ჩააღწევ და სიყვარულის ღირს რაიმესაც იქვე იპოვი.

სალმანს სახე გაუმტკნარდა. პირი კი დააღო რაღაცის სათქმელად, მაგრამ გადაიფიქრა. მერე გატრიალდა და წავიდა.

„აიშა“ ესტუმრა და ბაალისთვის გულის გაკეთებას შეეცადა.

- დარწმუნებული ხარ, არაფერს დააყრანტალებს სიმთვრალეში? - დაეკითხა და თან თმაზე ეალერსებოდა. - მაგას ღვინისსმას რა გადააჩვევს...

- არაფერია უცვლელი ცისა ქვეშე,- თქვა ბაალმა. სალმანის მოსვლამ იმ სიზმრებიდან გამოაფხიზლა, ამდენი ხნის განმავლობაში რომ ნეტარებდა, და ახლა მათი მობრუნება უჭირდა.

- არის, როგორ არ არის! - დაიჟინა „აიშამ“. - აი ნახავ, თუ არა.

მაგრამ ბაალმა თავი გადააქნია უარყოფის ნიშნად და ცხოვრებაში ერთადერთი წინასწარმეტყველება დააფრქვია:

- რაღაც დიდი ამბავი ხდება... - თქვა. - კაცი მუდამ ქალის კაბის ქვეშ ვერ დაიმალება.

მაჰუნდის ჯაჰილიაში დაბრუნებისთანავე, ჯარისკაცები ქაბატოს მოადგნენ და განუცხადეს - გარდამავალი პერიოდი დასრულდა, რაც იყო - იყო და ახლა უკლებლივ ყველა საროსკიპო უნდა დაიხუროსო. ქაბატომ მარტო ის ითხოვა, ერთი საათი მოგვეცით ასაბარგებლად და ხალხის გასასტუმრებლად, მეტი არც გვინდაო. ზნეობის პოლიციის ქვეგანაყოფის ოფიცერი ერთი უწვერული ახალგაზრდა აღმოჩნდა, გამოუცდელი, და არც არაფერი უეჭვია. ქაბატომ საჭურისები დაგზავნა სამწუხარო ამბის მომსახურე პერსონალისთვის შესატყობინებლად და სტუმრებისუჩუმრად გასაპარებლად.

- ყველას ცალ-ცალკე მოუხადეთ ბოდიში და აუხსენით, რომ შექმნილი ვითარებისდა გამოისობით, გადასახდელი არაფერი აქვთ.

ეს მისი უკანასკნელი სიტყვები გახლდათ: როცა შეშფოთებული გოგოები ერთად მოიყარნენ მთავარ დარბაზში და არცერთ შეკითხვაზე - ახლა რა უნდა ვქნათ? ხომ არ დაგვაპატიმრებენ? სად უნდა წავიდეთ? - პასუხი არავინ გასცათ, გამბედაობა მოიკრიბეს და აიშამ კრეტსაბმელი გადასწია... მის უკან კი სულ რაღაც ერთ მეტრამდე სიმაღლის, დიდი თოჯინის მსგავსი ქალი იწვა - ასე, 50-120 წლისა, მოწნულ სარწეველა სავარძელში მოკუნტულიყო, თითებში კი სამსალადაცლილი პაწია ბოთლი ჩაებღუჯა.

- ახლა უკვე შეგვიძლია სხვა ფარდებიც ჩამოვიღოთ და ეს ამოგმანული ფანჯრებიც გავჭრათ, - თქვა ბაალმა. - აზრი აღარა აქვს მზისაგან მალვას.

* * *

ზნეობის პოლიციის ქვეგანაყოფის მეთაური, ვინმე უმარი აღშფოთებას ვერ მალავდა, ქაბატოს თვითმკვლელობის ამბავი რომ გაიგო.

- რაკი მთავარ დამნაშავეს ვერ ჩამოვაღრჩობთ, მის ხელ-ქვეითებს მაინც მივხედავთ! - აყვირდა და ჯარისკაცებს უბრძანა, „ეს როსკიპები“ ხაროში გამოამწყვდიეთო. ორჯერ თქმა არ დას-ჭირვებია, დიდის სიამით შეუდგნენ ბიჭები დავალების შესრუ-ლებას. საჭურისებს რაც შეეხება, უმარმა მათ მარტივად აუხსნა: „ზემდგომებს სურთ, ყველა ფათახი საკადრისად დაისაჯოს, ოღონდ თქვენს თაობაზე კი არავის არაფერი უთქვამს; ამიტომ, თუ არ გინდათ რომ დაკარგულ კაკლებს თავებიც ზედ მიაყო-ლოთ, წყნარად იყავით მანდ!“

ასე რომ, საჭურისები (მათ შორის, კან-თმა შეფერილი ბა-ალი), ვერაფრით დაეხმარნენ ქალებს, რომელთაც ჯარისკაცები პირს უკრავდნენ, ხელ-ფეხს უბაწრავდნენ და ოთხთვალაში ყრიდნენ ყველას ერთად. მხოლოდ როცა აიშაც დაითრიეს, იმან უყვირა თავის „მეუღლეს“:

- ხელი მაინც გამოიღე, ქმარი თუ გქვია!

პოლიციის ოფიცერს, გასაგები მიზეზების გამო, მაგრა გაუკ-ვირდა.

- ვისზე ამბობს?! აბა, მეჩვენე ერთი!

ყველამ სივრცეს გაუშტერა თვალი, რათა არც აიშასა და არც უმარის მზერას არ შეფეთებოდნენ. მეთაური ოფიცერი კი მაინ-ცადამაინც ბაალის წინ გაჩერდა.

- არ მითხრა ახლა, ჩემზე ამბობსო...

- ეს მხოლოდ ასე ითქმის, ბატონო. გოგოები ხუმრობენ ასე - წესადა აქვთ, ყველა მათგანმა თითო ქმარი შეირჩიოს ჩვენგან... ეს იმიტომ რომ, რომ...

უცბად უმარმა კვერცხებში ჩაავლო თითები და მაგრად მო-უჭირა.

- იმიტომ რომ ვერც ვერაფერს უზამთ, არა? მაგარია...

ტკივილმა თვალები დაუბნელა, და გონს რომ მოვიდა, ქალები აღარსად ჩანდნენ. წასვლის წინ, უმარმა ყველას ურჩია, უშნოდ არ შეჩეხებოდნენ სადმე:

- აქედან დამეკარგეთ! - თქვა. - ვაითუ ხვალ თქვენს თაობაზეც მომივიდეს რამე ბრძანება... ორჯერ ზედიზედ კი ძნელად თუ უმართლებს ვინმეს.

საჭურისებმა იქვე ჩაიმუხლეს მტვერში და ტირილი აუვარდათ. მარტო სირცხვილნაჭამი ბაალი არა სტიროდა.

* * *

ჯაბრაილს ბაალის სიკვდილი ესიზმრა:

თორმეტმავე „გოგონამ“ უცებ იაზრა - იმდენად შენივთებოდნენ ამ თავიანთ ახალ სახელებს, საკუთარი ძველი სახელები აღარც კი ახსოვდათ. ოღონდ ასე ხომ არ წარუდგებოდნენ მსაჯულებს, და საერთოდ ვეღარც ვერაფერი თქვეს. ბოლო-ბოლო, ბევრი დავა-კამათისა და უაზრო მუქარების შემდეგ, ისინიც შეთანხმდნენ რომ ნომრების მიხედვით გაეყვანათ საქმეში: ჰიჯაბი ნ1, ჰიჯაბი ნ2 და ასე შემდეგ. რაღა თქმა უნდა, „კრეტსაბმელში“ მოარულმა სტუმრებმაც პირში წყალი ჩაიგუბეს და არც არაფერი იქნებოდა, ისევ ბაალს რომ არ დაეწყო, მაღალი ხმით, ციხის კედლების იქით იმ თავისი ლექსების გზავნა.

საქმე ისაა, ორი დღეც არ გასულიყო და ქალაქის ციხე მთლად გადაიტენა კახპებითა და მათი მწყალობლებით, ხოლო მოსახლეობის მამრთა ზრდასრული ნაწილი აღარას დაგიდევდათ - არც სხვათა კილვა-დაცინვებს, აღარც უზნეობის აღსაკვეთად ახალშემოღებულ კანონებს და მის კედლებთან ჯგროდ მოგროვილი, გამამხნევებელი შეძახილებითა და სასიყვარულო სიმღერებით უტკბობდა სმენას იქ

გამომწყვდეულებს. მესამე დღეს კი მათ შორის ერთი ისეთი ვინმეც გამოჩნდა, ერთბაშად რომ მიიქცია ყველას ყურადღება: ალაგ-ალაგ ფერგადასული, ერთიანად აფორაჯებულკანიანი მამაკაცი მოადგა და ლექსების მღერა იწყო. თავიდან სიცილი წასკდათ, მაგრამ ჯაჰილიელები ხომ ოდითგანვე გამოირჩეოდნენ პოეზიის სიყვარულით, და ღრმა გრძნობით ნამღერი, ულამაზესი სტროფების გაგონებაზე, ყველას ენა ჩაუვარდა მუცელში. ბაალი თავდავიწყებით ასრულებდა ამ თავის მუღამებს და სხვებმაც სიტყვაშეუბრუნებლად დაუთმეს ეს თავისებური ასპარეზი. გისოსებიან სარკმელებში ქალების სახეები გამოჩნდა, გაფაციცებით რომ უსმენდნენ მარგალიტის მძივებივით ასხმულ, ჯადოსნურ სიტყვებს. რომ მორჩა, დაწერილი ტექსტი ამოიღო ბაალმა და ფურცელი კედელს მიაკრა, თავადაც ცრემლმორეულ მეციხოვნეებს კი აზრად არ მოსვლიათ, ხელი ეხლოთ მისთვის.

მას შემდეგ, ყოველი დღის მიმწუხრზე, ეს უცნაური ვინმე გამოჩნდებოდა ხოლმე და ახალ წყება ლექსებს იმღერდა, და ყოველი შემდგომი წინანდელზე მომხიბლავად გაისმოდა. იქნება და სწორედ ამ მომაჯადოებელი ხიბლის გამოისობით, მეთორმეტე საღამომდე, ვიდრე ბაალმა თავისი უკანასკნელი ლექსი მეთორმეტე და რიცხვით ბოლო ქალს არ მიუძღვნა - კაციშვილმა ვერ გაიაზრა, რომ მათი სახელები ერთი-ერთზე იმეორებდა იმ სხვა თორმეტისას...

ოღონდ იმ მეთორმეტე ღამეს კი გაცხადდა ესე შეურაცხყოფა, და ბრბოს განწყობაც მყის შეიცვალა - წრეში მოაქციეს პოეტი და მოსთხოვეს, ალაგობრივ აეხსნა ამგვარი გარყვნილი ქვეტექსტის დედააზრი. სწორედ მაშინ, ბაალმაც ჩამოიგლიჯა დოლბანდი თავიდან:

- მე ბაალი ვარ! - განაცხადა ხმამაღლა. - და არავითარ წესკანონებს არ ვცნობ, საკუთარი მუზებიდან მოვლენილთა გარდა! უფრო სწორად, 12 მუზისაგან...

აქ კი ციხის დარაჯებმა მყის გამოიღეს ხელი.

ჰალიდ მხედართმთავარი იქვე უპირებდა ყელის გამოჭრას, მაგრამ მაჰუნდმა მოითხოვა, მხოლოდ მეძავთა გასამართლების მერე აგოს მაგანაც პასუხიო. ასე რომ, როცა იმ თორმეტ ქალს, შადრევნის ქვებს რომ განექორწინენ ბაალთან შესაერთებლად, ახლა ქვებითვე ჩაქოლვა მიუსაჯეს - საკუთარი ბიწიერი ცხოვრების საზღაურად - მერე უკვე თავად ბაალი წარუდგა პირისპირ წინასწარმეტყველს: თავისსავე ხატს შეხვედრილი ანარეკლი - ბნელეთი, ნათელს რომ შეეყარა.

მაჰუნდის მარჯვენით მჯდარმა ჰალიდმა ბოლო შესაძლებლობა მისცა ბაალს, ცოდვები ეღიარებინა, და მანაც ჰიჯაბში თავისი ყოფის ყველა წვრილმანი დაფქვა - უმარტივესი, ყველასათვის გასაგები ენით უბნობდა, არც არაფერი დაუმალავს, თავის ბოლო შერცხვენის ამბავიც კი, და რის შემდეგაც ყველა მისი ნამოქმედარი ერთგვარად ამ თავმოსაყივნებელი საქციელის გამოსყიდვად ესახებოდა მხოლოდ. მაგრამ სწორედ აქ, და ამ დროს, გაუგონარი რამ მოხდა: სასამართლოს უზარმაზარ სეფა-კარავში თავმოყრილ ხალხს სიცილი აუვარდა! და რაც უფრო პატიოსნად, დაუფარავად ყვებოდა ბაალი „მოციქულის 12 ცოლთან“ თავისი შეუღლების ამბავს, სიცილიც მატულობდა, ბოლოსკენ კი უკვე ბაალის ხმასაც ახშობდა ხალხის თავშეუკავებელი ხარხარი. თავით-ფერხთამდე შეიარაღებული დაცვის მუქარაც კი აღარა სჭრიდა - ნაჭერ-ნაჭერ აგკუწავთ აქვეო.

- რა მეხუმრება! - იძახდა ბაალი. - რა გაცინებთ?!

ოღონდ ბრბოს არაფერი ეშველა, სანამ თავად მაჰუნდი არ წამოდგა ფეხზე. წამსვე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

- დრო იყო, უზენაესის გზავნილებს იგდებდი მასხრად, - წართქვა მაჰუნდმა. - და ეს ხალხიც გულით ერთობოდა შენი ენამწარობით. ახლა კი ჩემი სახლი გსურს ამასხარაო და ვატყობ, ისევ იმის დამტკიცება გსურს, უარესზე-უარესი რომ ხარ ადამის მოდგმაში.

ბაალმა თავი ჩაქინდრა:

- მე ვთქვი. ახლა რაც გინდა, ისა ჰქენი.

ასე რომ, თავის წაცლა მიუსაჯეს და როცა ჯალათებს კარვიდან გაჰყავდათ, ერთი კი მოაძახა წინასწარმეტყველს:

- მეძავები და მწერლები, მაჰუნდ! ამისთანა ხალხს შენ არა-სოდეს არაფერს პატიობ...

- მწერლები და როსკიპები, - წართქვა ისევ მაჰუნდმა. - და რა განსხვავებაა?

* * *

იყო და არა იყო რა - იყო ერთი ქალი, რომელიც არ სდევდა ჟამთასვლას.

მას მერე რაც აბუ სიმბელის ღალატმა ჯაჰილია ხელში ჩაუგ-დო მაჰუნდს და ქალაქის სიდიადეც მაჰუნდისავე დუხჭირი სინამ-დვილით შეიცვალა, ჰინდმა ფეხისთითები აულოკა წინასწარ-მეტყველს, ლა-ილალაჰაც იძახა და თავის კოშკში გამოიკეტა, საცა მაინც მისწვდა მის ყურს თაიფაში ალ-ლათის ყველა ქანდა-კის მსხვრევის ხმა. იმავე კოშკის ერთ-ერთ სენაკში გაატარა მან ორი წელი, უძველეს ხელნაწერთა შორის, რომელთა ამოქარაგ-მება არა კაცსა თუ ქალს არა ძალუძდა ჯაჰილიაში; ფარული ცოდნის მატარებელ გრაგნილებს უჯდა და ბრძანებაც გაეცა - დღეში მხოლოდ ერთხელ, კარის წინ დაედგათ მისთვის სალაფა-ვით სავსე ჯამი და ღამის ქოთანიც მაშინვე გაეტანათ. ორი წელი და ორი თვე გავიდა, ცოცხალი არსება არ ენახა; მერე კი ქმრის საწოლ ოთახში გამოცხადდა: დილაადრიან, სამკაულებასხმუ-ლი, დიბა-ატლასით შემოსილი.

- გაიღვიძე! - უბრძანა და ფარდა გადასწია. - ზეიმის დღე დად-გა.

აბუ სიმბელს თვალში მოხვდა, რომ მეუღლე მისი ისევე გამოიყურებოდა, როგორც მათი ბოლო შეხვედრისას - ერთი ზედმეტი ნაოჭი რაა, ისიც კი არ გასჩენოდა სახეზე და კაცი იფიქრებდი, ის კი არა, აქეთ გაახალგაზრდავებულიც გამოიყურებაო - თითქოს დროჟამი მართლა შებრუნებულიყო პირადად მისთვის.

- და რა გვაქვს საზეიმო? - იკითხა ჯაჰილიის უკანასკნელმა გრანდმა, თან უკვე ჩვეული, დილის სისხლგაჟღენთილი ნახველი ამოიღო.

- კაცობრიობის მთელს ჟამთასვლას მე ერთი ვერ შევცვლი, ოღონდ შურისგება კი ტკბილი იქნება, ამას გპირდები...

ერთ საათში ცნობა მოვიდა, მაჰუნდ-წინასწარმეტყველს რაღაც სასიკვდილო ავადობა შეჰყრია, აიშას ლოგინიდან ვერ დგება და თავში თითქოს ავსულები ჩასახლებიანო... იმ დღეს ჰინდი მშვიდად და წყნარად ემზადებოდა დიდი წვეულებისათვის - ქალაქის ყოველ კუთხეში აგზავნიდა მსახურებს, სტუმრების დასაპატიჟებლად. არადა, ხომ ცხადი იყო - არავინ მოვიდოდა. საღამოს კი, საკუთარი სახლის საქეიფო დარბაზში, მარტოკა უჯდა შურისგების ოქროცურვილი თეფშებითა და ბროლის ჭიქებით გაწყობილ მაგიდას და ათასი ნუგბარით გარშემორტყმული, უბრალო თიხის ლანგრიდან მიირთმევდა ოხშივრიან კუსკუსს. აბუ სიმბელი უარზე იყო შემოერთებოდა, რაკიღა სრულ უგვანობად მიიჩნია მეუღლის ქცევა.

- ბიძამისის გული გაქ ნაჭამი! - გაჰყვიროდა ყველას გასაგონად. - ახლა კი მისი შეჭმაც გინდა?!

ის კიდე სახეში შესცინოდა და როცა მსახურებსაც წასკდათ ცრემლი, ყველა დაითხოვა - იჯდა ასე, სულ მარტო და სანთლის ჩრდილები დასთამაშებდა ჩამოქნილ, შეუვალ სახეზე.

ჯაბრაილს მაჰუნდის სიკვდილიც ეზმანა:

რაკიღა თავი ისე სტკიოდა, როგორც აქამომდე არასოდეს სტკიებია, მიხვდა რომ დრო დამდგარიყო არჩევანის გასაკეთებლად;

რაკიღა არცერთ წინასწარმეტყველს არ ძალუძს სიკვდილი, ვინემ სამოთხის მოხილვას არ ეღირსება, იცოდა რომ არჩევანის გაკეთებასაც მოსთხოვდნენ ამ ქვეყანასა და იმ ქვეყანას შორის;

ამიტომაც იწვა წყნარად, თავი საყვარელ აიშას კალთაში ჩაედო, თვალები მიელულა და ასე ჩანდა, სიცოცხლეც ნელი-ნელ სტოვებდა მას, მაგრამ მცირე ხნის მერე, ისევ მობრუნდა...

და უთხრა აიშას:

- მომეცა არჩევანი და ვირჩიე კიდეც - სასუფეველი ღვთისა.

მაშინ სცრემლოოდა აიშა, რაკიღა მიხვდა, სიკვდილს გულისხმობდა მეუღლე მისი; ხოლო მაჰუნდს მზერა მის მიღმა გაექცა, ოთახში მყოფ სხვა ვიღაცისაკენ, თუმც ოდეს აიშამაც გაიხედა იქით, მხოლოდღა სანათის მოციმციმე ალი დალანდა.

- ვინაა აქ? - იკითხა მომაკვდავმა. - შენა ხარ, აზრაილ?

ოღონდ აიშას კი ამაზრზენი, გარნა ტკბილმოუბარი ხმა ესმა, ქალის ხმა:

- არა, ალ-ლაჰის მოციქულო, აზრაილი არა ვარ.

და ჩაქრა სანათი, და ახლა სიბნელეს ჰკითხა მაჰუნდმა:

- მაშ ეს ხელთა შენთა ნამოქმედარია, ალ-ლათ?

- ეს შურისგებაა, მაჰუნდ... ახლა მეც მშვიდადა ვარ. უთხარი, თეთრ აქლემს დააჭრან მყესები და შენს საფლავზე დააწვინონ, მაჰუნდ.

მერე კვლავ აალდა სანათი, ნათელი მოაფრქვია ირგვლივ და მოციქულმაც წაიჩურჩულა:

- მაინც მადლობელი ვარ შენი, ალ-ლათ, ამგვარი საბოძვარისთვის.

ის მალევე მიიცვალა. აიშა მომიჯნავე ოთახში გავიდა, საცა სხვა ცოლები და მოწაფეები, გულდამძიმებულნი ელოდნენ მაჰუნდის აღსასრულს, და სტიროდნენ მწარედ.

ოღონდ აიშამ კი თვალები მოიწმინდა და უთხრა მათ:

- თუკი არის აქ ვინმე, ვინაც მოციქულს ეთაყვანებოდა, იტიროს - მაჰუნდი მოკვდა; მაგრამ თუ არის ვინმე, ვინც თაყვანს სცემს ღმერთს, განიხაროს - რადგან ის ჭეშმარიტად ცოცხალი არს.

ამაზე ზმანება გაქრა.

კარი VII

აზრაილ ანგელოზი

1

საბოლოოდ, ყველაფერი მაინც სიყვარულამდე დადის, - აცხადებდა ხოლმე სალადინ ჩამჩა იმ თავის თავშესაფარში: ჯიუტი და ქედმოუდრეკი ჩიტი „კარმენის“ მეილიაკისა და ჰალევისეულ ლიბრეტოდან - საუკეთესო ნიმუში იმ მეტაფორულ საფრინველედან, უფრო ნათელ დღეებში რომ მოახლაფორთა: ლურჯი ფრინველი სვებედნიერთათვის, ჰაიამ-ფიცჯერალდისეული დრო-ფრინველი (ისიც ფრთოსანი, რასაკვირველია), და კიდევ - ერთი უსირცხვილოც: ეს უკანასკნელი სერ ჰენრი ჯეიმზის უსტარიდან გახლდათ შვილების მიმართ... „ყოველი ადამიანი, თუნდაც მისი ინტელექტი მოზარდის დონეზე იყოს გაყინული, ნელ-ნელა ხვდება, რომ ცხოვრება არათუ უბრალო ფარსი, დახვეწილი კომედიაც კი არაა, პირიქით - ეს ძირეულ ნაკლოვანებათა უმრუმესი და უტრაგიკულესი სიღრმეებიდან ამოზრდილი ყვავილი თუ ნაყოფია - ყველა იმათი ბუნებითი მემკვიდრეობა, ვისაც სულიერი ცხოვრება ძალუძს, ანუ - უსიერი ტყე, საცა მგლის ყმუილი და ბიწიერი ჩიტის ღამისეული ჟივჟივი

მოისმის...“ - ეგეც თქვენ, შვილებო! - ხოლო საკუთარ მოგონებათა განცალკევებით მდგარ შუშის სამხეცეში, ჩამჩას რჩეულთა სიის თავში მოფარფატე ის მოუხელთებელი პეპელა მოეთავსებინა, რომლისთვისაც oiseau rebelle და l’amur ერთი იყო. აკი გვაფრთხილებს კიდეც კარმენი - შეყვარებულის ეს განსხეულებული იდეა, მარადი და ამიტომაც ღვთიური, ანთუ - პირიქით: „სიყვარულს ლაგამს ვერ ამოუდებ - არ გიყვარვარ და მით უკეთესი... ოღონდ მიფრთხილდი, თუკი მე შეგიყვარე!“ და რას ერჩი?! თავის მხრივ, სალადინი გაუფრთხილებლად ჰყვარობდა (და ახლა, თავის ღრმა რწმენით, სწორედ ამის გამო იტანჯებოდა) მრავალმხრივად განვითარებულ ინგლისურენოვან კულტურას: ერთხელ უთხრა კიდეც პამელას - მე თუ მკითხავ, „ოტელო“ ერთი ჯობია ყველა სხვა ენაზე მწერალი რაგინდარა დრამატურგის მთელს შემოქმედებასო, - და არცთუ მაინცადამაინც დიდ გაზვიადებად ეჩვენებოდა საკუთარი ნათქვამი (პამელამ კიდე, ოტელო შაილოკში ადღვიბა და რასისტ შექსპირს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა, დაუსწრებლად); იმასაც ცდილობდა, ბენგალელ ინგლისურენოვან მწერალ ნირად ჩაუდჰურისა არ იყოს, ყველაფერ იმის ღირსი ყოფილიყო, რასაც Civis Britannicus sum ერქვა. მისი გაგებით კი იმპერია, არც მეტი, არც ნაკლები - ყველაფერი ის საუკეთესო იყო, რაც კი მის საზღვრებში არსებობდა, და სწორედ ამან მისცა საშუალება, ცივი ზღვით გარშემორტყმული გრძნობიერების ამ კუნძულისკენ სწრაფვა ჩამოყალიბებოდა. ხელშესახები გაგებით, სიყვარულის ფსონი მან ლონდონ-ქალაქზე დადო - ის მშობლიურ კუთხესაც ერჩივნა და ნებისმიერ სხვასაც - უჩუმრად უახლოვდებოდა მთელი სიცოცხლე: ფარული, შინაგანი მღელვარებით, როგორც მოსურნე - ოქროს რტოს (ოღონდ ქალაქზე, და არა ხალხზე: ერთი პირობა, მთავრობამ მუზეუმებში შესვლა რომ ფასიანი გახადა და ხელოვნების მოყვარულთა მთელი ჯგრო მოაწყდა კულტურის ამ საგანძურებს - ალ-

ყა შემოარტყეს და არავის უშვებდნენ შიგ, ამის დამნახავ ჩამჩას საპირისპირო სურვილი გაუჩნდა - პროტესტანტთა მიმართ პირადი პროტესტი გამოეხატა შესაბამისი პლაკატითა და ერთ გარკვეულ ადგილას ოცდაოთხი საათი დგომით: განა რა - არ იცოდა ამ ხალხმა, რა ფასი ედო იქ დაცულ არტეფაქტებს?! ისინი კი იდგნენ იქ, ვაჟკაცურად ილპობდნენ ფილტვებს თამბაქოს გაუთავებელი წევით, თითო კოლოფი სიგარეტი კი იმ გადასახადზე მეტი ღირდა, რასაც ისინი აპროტესტებდნენ... ბოლო-ბოლო, გამოდიოდა რომ საქვეყნოდ იჭრიდნენ თავს და ყველას უჩვენებდნენ - რა მცირედად ფასობდა მათთვის საკუთარი კულტურული მემკვიდრეობა).

და ამ ადამიანთა შორის, პამელა, მაინცადამაინც შენ შემიყვარდი.

კულტურა, ქალაქი, ცოლი... და ის მეოთხე, ბოლო სიყვარული, რომელზეც სიტყვა არავისთან დასცდენია: ზმანებებისადმი სიყვარული. ადრე თვეში ერთხელ მაინც ეწვეოდა ხოლმე ეს სიზმარი - უბრალო ამბავი, ქალაქის პარკში სეირნობა თელების გაფანჩული ტოტების ქვეშ, და თითქოს რაღაც მწვანე გვირაბში მიდიოდი, რომელშიც მხოლოდ ალაგ-ალაგ თუ აღწევდა დღის სინათლე. ამ ფერადფოთლოვან იდუმალებაში სალადინი საკუთარ თავს ჭვრეტდა, ხუთიოდე წლის ბიჭთან ერთად მიაგორებდა ველოსიპედს და ბიჭუნას ზედ ჯდომას ასწავლიდა. ის კიდე გმირულად ცდილობდა წონასწორობის დაცვას, თავს არ ზოგავდა, ოღონდ კი მამამისს საამაყოდ დარჩენოდა მათი ეს ძალისხმევა. ჩამჩა უკან მისდევდა თავის, სავარაუდოდ, შვილს - საბარგულს ჩაჭიდებული ეხმარებოდა, შვეულ მდგომარეობაში დაენარჩუნებინა ორბორბლიანი ურჩხული, მერე ხელს უშვებდა და ბიჭიც, რომელიც აზრზე არ იყო, უკვე თუ მარტოკა მართავდა საჭეს, ბორბლების ტრიალს განაგრძობდა; წონასწორობის დაცვის შეგრძნება ფრენის ტოლფასი იყო და ეს ორიც თავდავიწყებით მიექანებოდა ბილიკზე: უქუდოდ დარჩენილი ჩამჩა მირბოდა, ბიჭი კი სულ უფრო მეტად აწვებოდა სატერფულებს, სიჩქარეს

უმატებდა... „შემომხედე! მამ, შემომხედე!“ - გაჰყვიროდა და მამის შექებას ელოდა. ცრემლებისმომგვრელი სიზმარი გახლდათ, ნამდვილად - იღვიძებდა და არც ბიჭი და არც ველოსიპედი აღარსად იყო.

- ახლა რა გინდა რომ ქნა? - დაეკითხა მიშალა. მომსპარ-განადგურებული კლუბის დარბაზში იდგნენ, ოთხივენი.

- ცხოვრებას უნდადავუბრუნდე, სხვა რა. - რაღაც ისე, უდარდელად გაეპასუხა.

მიშალამ, ჰანიფმა და პინკვალამ სალადინი პამელას სახლთან მიიყვანეს, თავიანთი ფურგონით. ნაშუადღევი იქნებოდა, ჯამი ჯერაც ვარჯიშზე გახლდათ.

- აბა, ბედნიერად. - მიშალამ ლოყაზე აკოცა, პინკვალა კი დაინტერესდა - ხომ არ აჯობებდა აქ დაგლოდებოდით, ყოველი შემთხვევისთვისო.

- მადლობელი, - თქვა სალადინმა. - მაგრამ როცა ციდან ჩამოვარდები კაცი, მეგობარი გიღალატებს, პოლიციელები დაგთეთქვავენ, ვაცად გადაიქცევი, სამუშაოსა და ცოლს ერთად დაკარგავ, ბოღმით აივსები, მერე კი მოახერხებ და ადამიანის სახეს მაინც აღიდგენ, რაღა დაგრჩენია? უნდა ადგე და ახლა საკუთარი უფლებები აღიდგინო, სხვა რა?

ხელი დაუქნია, გამომშვიდობების ნიშნად.

- ღმერთმა ხელი მოგიმართოს, - თქვა მიშალამ და ფურგონიც დაიძრა. სალადინმა ამოიოხრა, პარმაღზე ააბიჯა და ზარი დარეკა.

მის დანახვაზე, პამელას ელეთ-მელეთი დაემართა; ორსულობა ჯერ არ ეტყობოდა, მაგრამ როცა ამაზე ჰკითხა, წამოწითლდა და - ყველაფერი კარგად მიდისო, - ჩაიბურტყუნა. ორივე მაგრა უხერხულად გრძნობდა თავს: ორსულობის მიუხედავად, პამელა აშკარად ნალოთავები გახლდათ, თან - აკი თავად ითხოვდა განქორწინებას; ოღონდ ჩამჩაც ვერ იყო საკუთარ ქერქში

და აშკარად გრძნობდა - ამ ვისკის ოხშივრით აყროლებულ, თავზე სასაცილო დოლბანდშემოხვეულ, სახედათხაპნილ, მკაცრად ტუ-ჩებმოკუმულ ქალთან არც აღარაფერი ჰქონდა საერთო. ეს რაღაც უცნაურად გაჭაღარავებული ძაღლიც რომ უყეფდა უაზროდ... თუმცა შინაური ცხოველები არც მას ჰყვარებია ოდესმე.

- სავარაუდოდ, ჩემი საქციელი ყოვლად უპატიებლად გეჩვენება, ეგრეა?

- არა მგონია, ვინმესთვის რაიმეს პატიების სურვილი შემრჩენოდეს, - თქვა მძიმედ.

ეს კი აღარ მოეწონა და დაუდევრად, არასტუმართმოყვარედ გაუწოდა ფინჯანი. მუდამ აუტანელ ყავას ადუღებდა ხოლმე და არც ახლა იქნებოდა გამონაკლისი. თუმცა, ეს უკვე მისი სადარდებელი აღარ იყო.

- აქ ვბრუნდები, - თქვა. - დიდი სახლია, ბევრი ოთახი... აბაზანაც ორია - ასე რომ, ხელს არ შეგიშლი. რაკი ჩემი გვამი არ აღმოუჩენიათ, ე.ი. უგზო-უკვლოდ დაკარგულად ვითვლები. თუ რაღა თქმა უნდა, არ დაიზარე და სასამართლოს გზით უკვე არ გააფორმე ჩემი სიკვდილი. ასეა თუ ისე, მკვდრეთით აღდგომა არ გამიჭირდება - საკმარისი იქნება ჩემს ვექილს, აგენტსა და ბუღალტერს მივმართო... ამის მერე, სახლს გავყიდით და განქორწინების საბუთსაც მიიღებ.

მანამ დაგაზა ზევით, საკუთარი საძინებლისკენ, ვიდრე კანკალს დააწყებინებდა. პამელა ალბათ, ცრემლებს აღვარღვარებდა ქვემოთ, ოღონდ მას კი კანკალი უღებდა ხოლმე ბოლოს. ახლა ამას აჩქარებული გულისცემაც დაემატა: ბუმ-ბადუმ-დუდუდუმ...

ხელახლა რომ დაიბადო, ჯერ უნდა მოკვდე.

* * *

მარტოკა დარჩენილს, უცებ ერთი ამბავი გაახსენდა - ის და პამელა რომ ვერაფრით შეთანხმდნენ წაკითხულის შეფასების თაობაზე: საქმე უპატიებელის ჭეშმარიტ ბუნებას ეხებოდა. ავტორი და თავად ნაწარმოების სათაური ახლა აღარც ახსოვდა, ოღონდ დედააზრი კი მაინც ნათლად ჩაბეჭდოდა გუნებაში: მავანი ქალი და კაცი მთელი მათი შეგნებული ცხოვრების მანძილზე, მეტად ახლო მეგობრები იყვნენ (ოღონდ საყვარლები კი არასოდეს გამხდარან); ერთხელაც, თავისი ოცდამეერთე დაბადების დღეს (იმხანად ორივე ჯერ ისევ ჯიბეზე ქესატად იყვნენ) ქალმა - ალალად სახუმაროდ - რაღაც ყოვლად უგვანი, უიაფესი შუშის ლარნაკი აჩუქა, ვენეციური ნაკეთობის უდღეური მინაბაძი, დიდის წვალებით რომ ეშოვა სადღაც, მეწვრილმანე დახლიდარებთან. ასე, ორი ათეული წლის მერე, უკვე ხანმოთეულებმა და წარმატებულებმა, რაღაცაზე წაიჩხუბეს; უნებლიედ, ქალმა თვალი სწორედ ამ ჭყეტელა უბედურებას დაადგა, რომელსაც კაცი სათუთად ინახავდა ბუხრის თავზე, დაავლო ხელი და იატაკს დაანარცხა გაშმაგებულმა. ლარნაკი იმდენ პატარ-პატარა ნამსხვრევად იქცა, მათ შეკოწიწება-შეწებებას არავითარი აზრი აღარ ჰქონდა. ამაზე მათი ურთიერთობაც გაწყდა - წლების განმავლობაში, სიტყვაც კი არ დაუგდიათ ერთმანეთისთვის. მერე ქალს მძიმე ავადობა შეეყარა და სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარემ შეუთვალა - შენი ნახვა მინდაო, მაგრამ კაცი უარზე დადგა: „ასე გადაეცით," - უთხრა საერთო მეგობრებს, - „წარმოდგენაც კი არ აქვს თუ რამდენად ვაფასებდი იმას, რაც თავადვე ნამსხვრევებად მიქცია!" როგორ არ ეხვეწნენ, ემუდარნენ, ამუნათეს კიდეც - თუ აზრზე არ იყო როგორ გეძვირფასებოდა, რაღაზე უნდა აგებინო პასუხიო?! და განა რამდენჯერმე არ სცადა, შემოერიგებინეო? ბოლოს და ბოლოს, მომაკვდავის უკანასკნელ ნებას მაინც ეცი პატივიო... არაფერმა გაჭრა! იქნებადა სხვა რამ მიზეზია და ამას მხოლოდ

საბაბად იყენებო? - ეკითხებოდნენ, მაგრამ პასუხი სულ ერთი და იგივე იყო: იმ დამსხვრეული ლარნაკის ამბავია ყველაფერიო... პამელა უბრალოდ, ფსიქოპატად თვლიდა ამ მოთხრობის გმირს, ჩამჩამ კი უკვე მაშინ გაიაზრა საკითხის ამოუხსნელი იდუმალება: არა კაცს არ ძალუძს შინაგან დაზიანებათა შეფასება ნაიარევის მხოლოდ გარეგანი შესახედაობითო, -თქვა და აღარც გადაუთქვამს ოდესმე.

Sunt lacrimae rerum... - იტყოდა მისი ყოფილი მოძღვარი და მასწავლებელი, აბუ სუფიანი და სალადინსაც ოხრად დრო ჰქონდა ეს საკითხი გაესიგრძეგანებინა: ჯერ იყო, ლამის მთლად გაუნძრევლად იწვა - აქაოდა დრო საუკეთესო მკურნალია - სხეული თავად დაიბრუნებს ადრინდელ რაობასო; ცალი თვალით უყურებდა სხვადასხვა რაღაც ტელეგადაცემებს, რაკიღა დისტანციური მართვის ცივილიზაციის პირმშო გახლდათ და „პარკერ-ქნოლის“ სახელოვანი ფირმის სავარძელში გადათხლაშული, ზარმაცად ცვლიდა ერთ არხს მეორეთი. ოღონდ - რა მერე? ისე ჩანდა, ამ ყუთში სიმახინჯეების გარდა არც არაფერი მოიძებნებოდა სახეირო: საბავშვო გადაცემებიც კი სავსე იყო ადამიანისდაგვარი რობოტებითა და მეტამორფული სხეულების მქონე არსებებით; სხვაგან კიდე, წამყვანებიანად, თანამედროვე მედიცინა-კოსმეტიკის მსხვერპლთა ნამდვილი აღლუმის მონაწილენი გეგონებოდათ... სამეცნიერო-პოპულარულ გადაცემებზე ხომ ნუღარ იტყვით: აგერ, გაიანას ერთ-ერთ საავადმყოფოში სრულად ჩამოყალიბებული, ქაცვით დაფარული და ლაყუჩებით მსუნთქავი წყლისკაცი დაუსპირტავთ... შოტლანდიის მთიან მხარეში მგელკაცები მომრავლებულან თურმე; ასევე, მრავალმნიშვნელოვნად მსჯელობდნენ კენტავრთა არსებობის გენეტიკურ შესაძლებლობებზე, ასურათხატებდნენ სქესის ქირურგიული გზით შეცვლის მეთოდებს... ჯამი ჯოშის მიერ მისთვის ნაჩვენები ის ლექსი გაახსენდა, „ეკლექტურ სხეულს ვუმღერი...“ ისე, რამე რო იყოს და, იმ ბიჭს სხეულის ნაწილებისა არაფერი უჭირს - რა ციმციმ აკიდა

ბავშვი პამელას! მერე საკუთარი თავი იცნო „უცხოპლანეტელთა შოუს“ კლასიკური ვარიანტის განმეორებით ჩვენებაში: ამ სწრაფადგანვითარებად კულტურულ გარემოში „კლასიკურის“ წოდება მზესუმზირასავით რიგდებოდა... მოკლედ, რეალობის აღსაქმელად მთელი ეს ბოდვა-სიგიჟე ვერაფერი ხეირის მომტანი გახლდათ, თუმცა თანდათანობით, გარკვეული შინაგანი წინააღმდეგობრივი ძალებიც ამოქმედდნენ: ახლა ჯაბრაილის მიმართ მთლად ისეთი გაარჯლებული მტრობაც აღარ ედო გულში და არც რქებს, ჩლიქებს თუ რაიმე ამდაგვარის ნიშნებს აღარ უჩენიათ თავი. ასე ჩანდა, მართლა სრული გამოჯანმრთელების გზას ადგა. ნელი-ნელ, ყველაფერი ის რაც შეემთხვა, უკვე რაღაცნაირად ბაცდებოდა მეხსიერებაში, რადგან ავ ზმანებათაგან უამესიც კი ქრება, როცა პირზე წყალს შეისხამ, კბილებს გამოიხეხავ და რაიმე ცხელსა და ნაჯერდაყენებულს დალევ.

მერე და მერე, გარე სამყაროსაც მეტ-ნაკლებად გაუშინაურდა - ხან თავის მრჩევლებს - ვექილ-აგენტ-ბუღალტერს სტუმრობდა, რომელთა ტომეულებითა თუ სქელ-სქელი საქაღალდეებით გამოვსებულ ოფისებში არა სასწაულის ადგილი არაა და იმ „ფსიქოლოგიურ ტრავმასა“ თუ „კატასტროფის შედეგად მიღებულ სულიერ რყევებზე“ მსჯელობდა, თითქოს არც არასოდეს გადმოვარდნილა ჰიმალაების მწვერვალთა დარი სიმაღლიდან, არც „იბატონე, ბრიტანეთო!“ ემღერა ოდესმე ცაში... ყოველმხრივ ცდილობდა, ძველი აღქმა-შეგრძნებები დაებრუნებინა და ბეჯითად დაიარებოდა სხვადასხვა კონცერტებსა თუ გამოფენებზე, წარმოდგენებსა თუ წარდგენებზე, და იმის მიუხედავად, რომ სულიერ აღტკინებას ვერაფრით აღწევდა, თავს იმით იმშვიდებდა, ყველაფერს თავისი დრო სჭირდებაო. ხოლო მერე, უკვე საკუთარ სოროში ჩაყუჟული, უკვე იმას ფიქრობდა - სიძულვილი ჩემში დიდი ხნით მაინც ვერ იბუდებსო: აღარც პამელას მიმართ გრძნობდა რაიმე უარყოფითს და ჯაბრაილი ხომ ლამის აღარც

კი ახსოვდა; მოკლედ, სიძულვილგანწმენდილი, ისევ თავისუფალ ადამიანად იქცევი კაციო, ირწმუნებოდა.

მოკლედ, თითქოს ყველაფერი წყობისად მიდიოდა, ოღონდ ჩვეულ ცხოვრებაში დაბრუნებასთან დაკავშირებულ რაღაც-რაღაც წინაღობებს კი ბოლო არ უჩანდა: მაგალითად, ბანკები სულაც არ ჩქარობდნენ მის ანგარიშებზე დადებული ყადაღის ახსნას და ისევ პამელასაგან უწევდა ჯიბის ფულის სესხება; სამუშაოს პოვნაც ჭირდა და მისი აგენტი მხრებს იჩეჩავდა მხოლოდ: „ეს ხალხი გადამრევს! იძახიან, ზომბი-ზომბიო - თითქოს საფლავი გაეთხაროთ საკუთარი ხელით! ცოტაც უნდა დაიცადო - ბოლო-ბოლო, გამოჩნდება რამე, მართლა ვიღაც დრაკულა ხომ არა ხარ...“. მაგაზეც დიდი მადლობელი. რას ბრძანებთ, კეთილი სიტყვაც ერთ რამედ ღირს.

მოკლედ, მისი ოდინდელი სურვილი, ჯაბრაილისათვის რაიმე მართლაცდა საკადრისი, ყოვლად დაუნდობელი საზღაური გამოეგონა, წარსულს ჩაბარდა: „ვის რაში დაკარგვია ეშმაკები, თუკი თავად ადამიანია უკვე ეშმაკეულთან წილნაყარი?“ - ეკითხებოდა სადღაც ტიშევიცეში, ვიღაცის სხვენზე მოკალათებული ის უკანასკნელი ეშმა. ამაზე კი ჩამჩას ის წონასწორობის მეექვსე გრძნობა, მისი სურვილი, მუდამ და ყოველთვის კარგად აეწონ-დაეწონა ყველაფერი, მუდამ უბიძგებდა ხოლმე დაემატებინა: „და ვის რაში დაკარგვია ანგელოზები, თუკი ადამიანი, იმავდროულად, ანგელოზიცაა?“ (აბა მაშინ, ლეონარდოს ნახატები საიდან? ანთუ მოცარტი მართლა დაპუდრულპარიკიანი ბელზებელი იყო?!) ოღონდაც იმას კი აღიარებდა, რომ იმ დროის მოვლენები არავითარ ეშმაკეულ ახსნა-განმარტებებს არ ითხოვდა.

***

არაფერს ვამბობ და ნურც რაიმეს ახსნას მომთხოვთ; გაცხადებების დრო დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა. შესაქმის წესები ცხადზეუცხადესია: რაღაცას ქმნი და მერე ნებას აძლევ, თავის გზას დაადგეს. ან რა კაიფია წარამარა ყველაფერში ცხვირის ჩაყოფა, რაღა-

ცეებზე მინიშნებები, კანონების ცვლა, ომების ატეხვა? უჩემოდაც კარგად გაართმევენ თავს. ერთხანობა, ბლომადაც ვეჩალიჩებოდი, ზედმეტიც კი მომსვლია, ნაღდად, და ახლა მეყოფა. აბა ის რა იყო, ჰალელუია კონის რომ ვეჯექი სასთუმალთან და იმ ჩემის სუპერვარსკვლავს, ჯაბრაილს ვესაუბრებოდი? უპარვალა თუ ნიჩაივალაო - არ წაიღო ტვინი? უხსენი მაგას ეგეთები. ან კიდე იმას - ჭკუაარეულ ჩამჩას.

ახლა კი უნდა წავიდე. მეც უნდა წავუძინო ხოლმე ხანდახან.

* * *

მისი ამ აღორძინებული, ახლადფეხადგმული ბავშვივით მობანტალე და შეცდომების დაშვებისაკენ მიდრეკილი ოპტიმიზმისთვის ცეცხლის შეკეთება ყველაზე უფრო ღამ-ღამობით ჭირდა, რაკიღა იმ სხვასამყაროსეული რქებისა და ჩლიქების უარყოფა ამ დროს უფრო საძნელო ხდებოდა. ასევე, საფიქრელად გადაექცა ის ორი ქალი, სიზმრად რომ ეცხადებოდნენ ხოლმე: პირველი - საკუთარ თავთანაც კი უჭირდა ამის აღიარება - ის გოგო შანდაარ-კაფედან, მისი მხარდამჭერი, აღმოსავლური ორთაბრძოლების ხელოვნების მოტრფიალე, ჰანიფ ჯონსონის საყვარელი, მიშალა სუფიანი გახლდათ.

მეორე - ბომბეიდან მისი წამოსვლით გულდახანჯლული, ალბათ აქამომდე მისი მკვდრად მიმჩნევი ზინი ვაკილი.

* * *

ჯამი ჯოშის დაფეთება, რომელმაც ბოლოს და ბოლოს შეიტყო, რომ სრულად ადამიანისსახიანი სალადინ ჩამჩა ახლა თავის სახლს დაბრუნებოდა და ზედა სართული დაეკავებინა, მართლაცდა ენით აღუწერელი გახლდათ - იმდენად აშკარა, რომ ვგონებ, ყველაფერ სხვაზე მეტად სწორედ ეს აღიზიანებდა პამელას. არაფერი უთხრა, სანამ ლოგინში არ მოისვენეს ერთად და ნეტა არც მერე ექნა ეგ საქმე - მწოლიარევე ისე წამოხტა, ლამის იყო, ჭერს აარტყა თავი, დედიშობილა დადგა ნოხზე და პირში ცერათითჩადებული, თავ-ფეხიანად კანკალებდა.

- მორჩი ამ სისულელეებს და ჩაწექი ლოგინში! - შეუვალი ხმით გასცა ბრძანება პამელამ, მაგრამ სულ ფუჭი იყო ყველაფერი, იდგა და ჩიფჩიფებდა:

- აქაააა! აზრზე მოდი, ჩვენს თავსზემოთ! მე რაღა?.. - მერე ტანსაცმელი იღლიაში ამოიჩარა და სულ ფართხა-ფურთხით დაეშვა კიბეზე; ოღონდ ბევრიც არ დასცალდა - მალევე ისეთი ბრაგვანი გაისმა, ცხადი იყო, საკუთარი ქვედა კიდურების დახმარების გარეშე აღმოჩნდებოდა შემოსასვლელში.

- მაგარი ხარ! - მიაძახა გაცოფებულმა პამელამ. - იქნებადა კისერიც მოიტეხო!

თუმცა, რამდენემე წუთის მერე, თავად ააკითხა ქმარყოფილს და ახარა:

- ჯი-ჯეი დგას ქუჩაში... ეგ იდიოტი გაიძახის, სანამ თავად არ მეტყვის რომ აღარაფერი ჭირს, მანამდე ფეხს არ შემოვადგამო!

ისევ ნასვამი იყო, ცხადია. მცირეოდნავ მაინც გაკვირვებული ჩამჩა დაეკითხა:

- და მე რა უნდა ვქნა? გინდა რომ შემოვიყვანო?

რაღა ამის თქმა და რაღა ნაიარევზე მარილის მოყრა - პამელა მთლად წამოჭარხალდა და გაცოფებულ-განაწყენებულმა ძლივსღა ამოღერღა, კიო.

მოკლედ, საკუთარ სახლში გადმობარგების პირველსავე ღამეს, სალადინ ჩამჩას გარეთ გამოსვლა მოუწია ცოლის საყვარლის დასამშვიდებლად - ყველაფერი რიგზეა კუტუნია, ადი ახლა ზევით და მიუწექი იმ ქალს გვერდზეო...

- არა, კაცი ვარო, მაგან უნდა თქვას! - მოწოლილი გრძნობებისაგან ცრემლი სდიოდა ჯამი ჯოშის. - წმინდანია ნამდვილი!

- მოკეტე! - შეუღრინა პამელამ. - კიდე გითქვამს რამე შე მკვდარძაღლო და ძაღლს მართლა მოგისევ, იცოდე!

* * *

კიდევ კარგა ხანი ჯ.ჯ. ისე უყურებდა ჩამჩას, როგორც რამ დამზაფრავ აჩრდილს, რომელსაც მუდამ რაღაცით უნდა მოუქონო თავი. სადილს რომ გააკეთებდა ხოლმე (სახლში მზარეულიც ის იყო - აბა პამელას მოთითხნილი ჩემ მტერს ეჭამა) უცილობლად მასაც პატიჟებდა სუფრასთან, უარის შემთხვევაში კი სავსე ლანგარს უდებდა კართან, აქაოდა ზრდილობის ამბავიაო.

- არა, ნახე ერთი, კაცი როგორ იქცევა და მერე მელაპარაკე! - ამუნათებდა აღრენილ პამელას. - რაღაცით მაინც ხომ უნდა გამოვხატო პატივისცემა...

სწორედ ამის გამოხატულება თუ იყო, რომ ხან ჩაის მიართმევდა, ხან რაღაც-რაღაც წიგნებს და გაზეთების ატანაც არ ავიწყდებოდა დილაობით, ათი-თხუთმეტი წუთიც დაუჯდებოდა ხოლმე სასაუბროდ (ამაზე ნაკლები უზრდელობა იქნებოდაო, ამტკიცებდა), ვიდრე პამელა ბურბონის წრუპვით იღრჩობდა ავ ფიქრებს.

- ბარემ ჩვენთან, ლოგინშიც მოგეპატიჟა, - ბოროტად უკბინა ერთხელ პამელამ. შენც არ მომიკვდე:

- არა მგონია, ამას დათანხმებოდი. - სავსებით სერიოზულად გაეპასუხა ჯამი.

ერთი ეგაა, რომ ჩამჩას დაბინავება ზედა სართულზე ჯამიმ ერთგვარ დალოცვად აღიქვა და ახლა სიყვარულისა და მეგობრობის იმპერატივთა შერწყმა-შეთანხმების მეშვეობით, მამობის საზრისმაც ფრიადად იმძლავრა მასში, ერთ ღამით კი სულაც იმგვარი სიზმარი იხილა, მეორე დილით სულ ცრემლად დაიღვარა: განტოტილი ხეების ჩრდილში, ვიღაც პატარა ბიჭს ასწავლიდა ველოსიპედზე ჯდომას; „ხო მაგარი ვარ, მამი?“ - ყვიროდა ბიჭუნა. - „ხო მაგარი ვარ?“

* * *

ჩამჩას გასაკვირად, პამელა და ჯოში ფრიად აქტიურად ჩართულიყვნენ დ-რ უჰურუ სიმბას დაპატიმრების საპროტესტო კანპანიაში - ამ კაცს თურმე ვიღაც ბებრუხანების გამოფაშვაში ედებოდა ბრალი.

- მთელი ეს ბრალდება თეთრი ძაფითაა ნაკერი, - უხსნიდა ჯოში ჩამჩას. -სულ ირიბი სამხილებისა და რაღაც ყურით მოთრეული მტკიცებულებების იმედზე არიან! ჰანიფი ამბობს, საქმეში იმხელა ხვრელებია, ავტობუსი გაეტევაო... როყიო სიტყვების კორიანტელს დაატრიალებენ, იქნებადა ვითომ მოწმეებიც კი გამონახონ - საკუთარი თვალით დავინახეთ, როგორ ნაჭერ-ნაჭერ კუწავდა საბრალოებსო...

ჩამჩას მიშალა სუფიანის მონაყოლი გაახსენდა და მხრები აიჩეჩა - რაღაც არც მთლად მასე უნდა იყოს საქმეო:

- როგორც ვიცი, მაგ კაცს ძალადობაში ბრალდებების მთელი კუდი გასდევს უკან...

ჯოში არ დაეთანხმა:

- პირად ცხოვრებაში იქნებ მართლა უვარგისი ვინმე იყოს, მაგრამ იმ ვიღაც მოხუცებისთვის მაინც არ გამოუღადრავს ყელი! სავალდებულო არაა მაინცადამაინც ანგელოზი იყოს კაცი, უდანაშაულოდ რომ ცნონ... თუ რა თქმა უნდა, ფერადკანიანი არაა.

ამაზე ჩამჩას ყურიც არ გაუპარტყუნებია.

- ე-ე... პოლიტიკურს ვგულისხმობ, არაფერი პირადი! - აღელდა ჯოში. - ხვალ ამის თაობაზე შეკრებას ვმართავთ, მე და პამელაც იქ ვიქნებით... არ წამოხვალ?

- არც დამეკითხე და ისე შესთავაზე ჩვენთან ერთად წამოსვლა?! - პამელას ახლა გულზიდვები ჰქონდა, რაც ცხადია, სრულიადაც არ უწყობდა ხელს მისი გუნება-განწყობის გამოკეთებას. - კარგი, რა მნიშვნელობა აქვს... მეტი არაა ჩემი მტერი, ეგ იქ არ გამოჩნდეს.

მაგრამ მეორე დილით, მშვენიერ ყავისფერ კოსტუმსა და აქლემის ბეწვის საყელოიან პალტოში გამოწყობილი სალადინი შემოსასვლელში დაუხვდათ.

- საით გაგიწევია? - წარბები აწკიპა პამელამ, რომელსაც სამხედრო ყაიდის ქურთუკი, სავარჯიშო ელასტიკები და „ნაიკის“ სპორტული ფეხსაცმელები ემოსა. - ახლა არ მითხრა, ესკოტში, სამეფო დოღზეო...

- მე ასე გავიგე, თითქოს შეკრებაზე მეპატიჟებოდით...

პამელას დაასლოკინა.

- სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, სულ მაგას გაიძახოდი და ახლა თუ რამე უსიამოვნება შეგემთხვა, საკუთარ თავს დააბრალე.

* * *

არა, მართლა რა ეშმაკმა უბიძგა, ისევ იმ სხვაგან ამოეყო თავი, იმ ქალაქისქვეშა სამყაროში, რომელსაც ერთ დროს თავადვე უარყოფდა? რა ძალა ადგა, იმ თავის სოროდან რომ გამოძვრა და რუკებზე აღუნიშნავ წყლებში შეცურა?

აი, ჯამშიდ ჯოშს კი ერთი ვარსკვლავი უნათებდა გზას: გამწლიკული, ფერადთმიანი, ახლახანს თვრამეტწელშესრულებული საკუთარი მოწაფე; ოღონდ სალადინი აზრზეც არ იყო, თუკი მასაც იგივე ეშმაკი შეჩენოდა და ახლა მშვიდად მიალაჯებდა მიშალა სუფიანთან შესახვედრად.

* * *

ჯერ ეგონა, ეს შეხვედრა სადმე პატარა ოთახში იქნებოდა, რამდენიმე ენაგრძელი აქტივისტისა და ბრაზიანი ასაკოვანი ქალის წინამძღოლობით, მაგრამ ევანგელიკურ სალოცავ სახლში კი მოხვდა, სადაც ასაკოვნებიც შეყრილიყვნენ, სკოლის მოწაფეებიც, ჯენტლმენებიცა და ქუჩის ბიჭებიც, რასტამანებიცა და ჩინური რესტორნის მომსახურე პერსონალიც, თეთრებიცა და შავებიც და შეკრებილთა განწყობაც არაფრით მოასწავებდა ლოყების ხოკვასა თუ მკერდში მჯიღის ცემას - აქ ყველანი აშკარად იმის გასაგებად შეკრებილიყვნენ, რისი გაკეთება იყო საჭირო. გვერდით მდგომმა ახალგაზრდა, ნაკვეთსახიანმა შავმა გოგონამ გაკვირვებით შეუთვალიერა სამოსი და მის საპასუხო მზერას რომ გადააააწყდა, გულღიად გაუცინა:

- მაპატიეთ, საწყენად არ მიიღოთ...

თავად კი სამკერდე ნიშანი მიემაგრებინა ორმაგი წარწერით: სიმბას - უჰურუ! ლომს - თავისუფლება!

- ეს მის მიერ არჩეული სახელის გამო, - აუხსნა ისედაც ცხადზე-უცხადესი მინიშნება. - აფრიკულადაა.

„მაინც, რომელ აფრიკულ ენაზე?“ - უნდოდა ეკითხა, მაგრამ სწორედ ამ დროს, ვიღაცამ აიღო სიტყვა. აფრიკულადაა... კილოთი თუ ვიმსჯელებდით, აშკარად დეფტფორდსა თუ ნიუ-კროსის გარეუბნებში უნდა ყოფილიყო დაბადებულ-გაზრდილი და მისთვის აფრიკაც ერთი იყო...

- ბოლოს და ბოლოს, შენც მოიხელთე რაღაც ისეთი, საკუთარ უპირატესობას რომ გაგრძნობინებდა! - ყურში ჩასჩურჩულა პამელამ.

ღმერთმანი, ჯერ ისევ გადაშლილი წიგნივით იყო მისთვის.

ამასობაში, ვიღაც სამოცდაათს აშკარად გადაცილებული, კაფანდარა ქალბატონი აიყვანეს სცენაზე, ერთი ახალგაზრდა კაცის თანხლებით, რომელიც თავად უჭურუ სიმბას უმცროსი ძმა აღმოჩნდა, სახელად უოლკოტი, ასაკოვანი ბანოვანი კი - დედამათი, პირადად.

„ღმერთმა უწყის, იმხელა კაცი ერთ დროს რანაირად გამოძვრა ამ ქალის საშოდან...“ - ჩაიბურტყუნა ჯამშიმ, ხოლო პამელამ იქვე შეუღრინა - ეტყობა, ყველა ფეხმძიმე დედაკაცთან - ყოფილსა თუ ახლანდელთან - სრული სოლიდარობის ნიშნად. ოღონდ როცა იმან ხმა გაიღო, აღმოჩნდა რომ ამ, ერთის შეხედვით, დაჩამიჩებულ ქალბატონს საკმარისად ძლიერი ხმა ჰქონია, ყოველგვარი მიკროფონებისა და გამაძლიერებლების გარეშე დალაპარაკებოდა იქ შეკრებილებს; ამას გარდა, არცთუ ურიგო მჭევრმეტყველი აღმოჩნდა, ხოლო კილო პირწმინდად ბი-ბი-სის დიქტორების ყაიდაზე ჰქონდა დაყენებული.

- შვილი ჩემი, სილვესტრი, - მიმართა ჩაჩუმებულ დარბაზს. - და მომიტევეთ, თუკი იმ სახელით მოვიხსენიებ, რომელიც თავად დავანათლე და არა იმით, რომელიც თვითონ ირჩია, თუმც კი არც იმის საწინააღმდეგო მაქვს რაიმე - ლევიათანივით ამოი-

ზიდაჩვენივე ცხოვრების ტალღებიდან... მინდა იცოდეთ, რა თქვა მან დაკითხვისას, და ლაპარაკობდა იგი ხმამაღლა, ნათლად და გასაგებად: „მე აქა ვდგევარ, - თქვა შვილმა ჩემმა, - რადგან ჯიუტი და ქედმოუხრელი შავტრაკას ძირძველი როლი მინდა მოვირგო. ეს იმიტომ, რომ აღარა მსურს ჭკვიანი და მორჩილი შავკანიანი მერქვას. ამრიგად, მე აქ საკუთარი უმადურობის გამოისობით მოვხვდი...“ - გოლიათივით იდგა ჯუჯებს შორის და ასე უბნობდა სილვესტრი: „არაფერი შეგეშალოთ - ჩვენ ყველაფერს განვაახლებთ აქ, და იქნებ საკუთარი თავის განახლებაც კი მომიწიოს... აფრიკელი, კარიბელი, ინდოელი, პაკისტანელი, ბენგალელი, კვიპროსელი, ჩინელი - ჩვენ ყველანი სხვანი ვიქნებოდით, ამ ჩვენს მშობლებს ზღვები და ოკეანეები რომ არ გადმოელახათ, ან ჩვენ არ გადმოვფრენილიყავით აქ ზეცით - სამუშაოს საშოვრად, პატივისცემის მოსაპოვებლად, საკუთარი შვილებისთვის უკეთესი მომავლის დასამკვიდრებლად. ჩვენ ყველანი ხელახლად ვიშვით, ოღონდ გეტყვით თქვენ - ახლა ისინი უნდა გავხდეთ, ვინაც ამ საზოგადოებასაც გარდაქმნის, თავით ფერხთამდე. და ვიქცევით ჩვენ გამკაფველებად ხეთა ხენეშთა და მებაღეებად მსხმოიარეთა! ახლა ჩვენი დროა!“ - მინდა კარგად დაუფიქრდეთ იმას, რაც შვილმა ჩემმა, სილვესტრ რობერტსმა, დოქტორმა უჰურუ სიმბამ სთქვა სამსჯავროზე; ჩვენ კი იმაზე ვიფიქრებთ, რა მოვიმოქმედოთ!

უოლკოტმა ფრთხილად, ხელკავით ჩაიყვანა სცენიდან, ის კიდე ხელს უქნევდა ახმაურებულ დარბაზს. ამის მერე, მართალია ნაკლებ ქარიზმატული, მაგრამ უფრო საქმიანი სიტყვები გაისმა სცენიდან: სიმბას ვექილმა, ჰანიფ ჯონსონმა რამდენიმე წინადადება შემოიტანა: დამსწრეთათვის განკუთვნილი ადგილები მუდამ სავსე უნდა იყოსო - კანონის დამცველებს არ აწყენთ, თუკი ხალხის მზერას იგრძნობენო; აუცილებელია სასამართლოს შენობის პიკეტირება და ამისათვის, მორიგეობა უნდა დავაწესოთო; შესაგროვებელი და შესატანია თავდების თანხაო... ჩამჩა ჯოშის მიუბრუნდა:

- როგორც ვხედავ, სექსუალური აგრესიისაკენ მისი მიდრეკილება კაციშვილს არ გახსენებია...

იმან კიდე მხრები აიჩეჩა:

- ზოგი, ვინც უჩიოდა, აგერ იყო დარბაზში და ხმა არ გაუღია. მიშალა, მაგალითად. იმიტომ რომ ახლა ამის არც დროა და არც ადგილი. მისი ბუღა ხარობა და ცხოველური გამოხდომები ოჯახის სადარდებელია, აქ კი უბედურებაში მოხვედრილ ადამიანთანა გვაქ საქმე.

სხვა ვითარებაში სალადინი არ დაიზარებდა, ერთი-ორი თბილი სიტყვა მაინც ეთქვა - თუნდაც ის, რომ როცა კაცს მკვლელობაში ედება ბრალი, ადრე ჩადენილი ძალადობის მთელი ნუსხა ასე ჰაიჰარად ჩამოწერო - ვერაფერი ჭკუაა; მეორეც, სულ არ ეპიტნავებოდა ორგანიზატორებისა და დამსწრეთა მიერ ლამის საგალობლებად გადაკეთებული იმგვარი სიმღერების მოსმენა, როგორიცაა „ჩვენსას გავიტანთ!“ ან თუნდაც - კიდევ უარესი - „ნკოსი სიკელ ი’აფრიკა“: თითქოსდა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი დარღვეულიყო და ისტორიის ნებისმიერ მონაკვეთში ახლა სხვა მისდაგვარი შეიძლებოდა ჩაგენაცვლებინა... ოღონდ არაფერი ამისდაგვარი არ უთქვამს, რადგან უეცრად თავბრუ დაეხვა და სიკვდილის წინათგრძნობამ გათანგა.

ჰანიფ ჯონსონი თავის გამოსვლას ამთავრებდა: როგორც დოქტორი სიმბა ამბობდა, სიახლე ამ საზოგადოებაში კოლექტიური, და არა ინდივიდუალური ძალისხმევით თუ შემოვა - მგზნებარე სიტყვიდან ზნეობრივ ქცევაზე გადასვლა ნიშნავს სწორედ ადამიანად ყოფნას. ეს კი უკვე რაღაც კამიუსაგან აწაპნილს გავდა. მერე ძაან-ძაან ახალგაზრდა ბრიტანელმა მაშრიყელმა ოდნავ ხრინწნარევ, ბლიუზურ კილოზე დაამღერა ბობ დილანის I პიტყ ტჰე პოორ Iმმიგრანტ, რაც ჩამჩას კიდევ ერთ ნაყალბევ თუ ნასესხებ ხმიანობად მოეჩვენა: ბოლოს და ბოლოს, აქ ეგ სულაც არ გაისმოდა „საბრალო იმიგრანტის“ თანალმობად - აკი საკუ-

თარი ოცნების შუშასავით მსხვრევას მისტიროდა და გაიძახოდა: „იძულებული ვარ, ქალაქი ჩემი სისხლით ვაშენო...“ - აი, თავის ლექსებში სისხლის მდინარეების ძველი, რასისტული ხატის მუდამ გადათამაშების მოსურნე ჯოში კი ნაღდად დააფასებდა ამას.

ოღონდ სალადინი რაღაც უცნაურად, თითქოს გარეგან მყოფი აღიქვამდა ყველაფერს. და რა მოხდა ასეთი? რა და - როცა ჯამი ჯოშიმ მიშალა სუფიანზე მიათითა, მის შუბლზე ავარდნილი, თვალისმომჭრელი ცეცხლი იხილა, ფრთებისცემაც გაიგონა და მოშხუილე წყვილი ყინულოვანი ჩრდილიც დალანდა. ორმაგი ხედვით ხედავდა ახლა, ორ სამყაროს გაჰყურებდა ერთდროულად - ერთი ეს კარგად განათებული დარბაზი იყო, მეორე კიდე - აჩრდილების სამყარო, საცა მოსწყვედნის ანგელოზი, აზრაილი მოემართებოდა მისკენ, ხოლო გოგონას შუბლს ალი მოსდებოდა. ჩემი სიკვდილია - ესაა სულ! - გაიფიქრა ერთ სამყაროში, მაშინ როცა მეორეში თავს ირწმუნებდა - ნუ სულელობ, აქაურობა სავსეა ეგეთი ხალხით, თავზე ამ ბოლო დროს მოდაში შემოსული ეს რაღაც სულელური რქები თუ ცეცხლის ენები რომ დაუკოსებიათ - ნეონისშუქიანი შარავანდედები, მომწვანო, მანათობელი საღებავით დაფერილი წამონაზარდები... მიშალასაც, ცხადია, რაიმე ამდაგვარი ექნებოდა ჩამოცმული შუბლზე... არა, დაგღუპავს! - უმეორებდა მისი მეორე, ჩრდილოვანი მხარე. - განათუ ყველა შესაძლებლობა გვეძლევა ხელთ... სამყარო სასრულია; ჩვენი იმედებიც მისი კიდის მიღმა გადაედინება. მერე კი უკვე გულიც აუბაგუნდა: ბააბბუმ, ბუუმბა, დაბადუმ.

აზრზე არ იყო, როდის დაუბრუნდა გარე სამყაროს, საცა ჯამი გამეტებით აჯანჯღარებდა და პამელასაც კი შეშფოთება ეწერა სახეზე.

- სული მე მეხუთება და გული შენ მიგდის? - დაეკითხა აღელვებული ხმით. - რა ოხრობა დაგემართა?

ჯამი თავისას უბერავდა: წამო, ჩემს სპორტულ ცენტრში მიგიყვან, უცებ გამოკეთდები, მერე კი სახლში წავიდეთ ერთადო, მაგრამ პამელა უარზე დადგა - ვაითუ ექიმი გახდეს საჭიროო. არა, - ძლივს

ამოღერღა. - არავითარი ექიმი არა მჭირდება. ჯამშიდს გავყვები. უბრალოდ, ზედმეტის ჩაცმა მომივიდა, აქ კი ძაან ცხელა თურმე. მორჩა, აღარაფერია სანერვიულო.

იქვე მახლობლად კინოთეატრი იდგა, და სალადინიც რაღაც აფიშას მიეყრდნო. მეფისტო გადიოდა, ერთი მსახიობის ამბავი, ნაცისტებთან თანამშრომლობას რომ დახარბდა. თავად მსახიობს - ამ როლს გერმანელი კინოვარსკვლავი, კლაუს მარია ბრანდაუერი განასახიერებდა - აფიშაზე მეფისტოფელივით ემოსა: ჩატეტკილი სახე, შავი მოსასხამი, ხელაპყრობილი. თავსზემოთ წარწერა, ფაუსტიდან:

- და განა ვინ ხარ?- ნაწილი ვარ იმ შეუცნობ ძალის, ბოროტი რომ სურს... კეთილს კი სჩადის.

* * *

დოძოში ძლივს აიძულა თავი, მიშალასაკენ გაეხედა, ის კიდე გამალებული იქნევდა ხელ-ფეხს და შავ კიმონოში გამოწყობილი, თავის გრძელ, გამწლიკულ სხეულს აქეთ-იქით ისროდა. შიგადაშიგ კი მაინც გამოაპარებდა ხოლმე თვალს, თითქოს უხმოდ ეუბნებოდა - მართლა ჩემს სანახავად მოხვედი? მაგარია! ის კიდე, რომც ეცადა, ორ სიტყვას ვერ გადააბამდა ერთმანეთს, არათუ ეკითხა: ახლახან რომ ცეცხლი გეკიდა შუბლზე, სად გაქრაო...

- აი, მეორე ჩვენი ვარსკვლავი დღეს არ გამოჩენილა, - უთხრა ჯამი ჯოშმა სალადინს, ვარჯიშობებს შორის წუთშესვენების დროს. - ჰალელუია კონიზე ვამბობ, ევერესტზე რომ ქალი ავიდა, იმაზე. მინდოდა გაგეცნო. თუ არ ვცდები, ახლა ჯაბრაილთან ერ-

თად ცხოვრობს - იმ ჯაბრაილ ფარიშტაზე გეუბნები, მსახიობზე, ორივე ერთად არ გადარჩით მაშინ?..

ალყაში ვარ. ეს ჯაბრაილი კიდე, გოდვანას პროტოკონტინენტს მოწყვეტილი ინდოეთივით მოემართებოდა მისკენ, ლავრაზიისაკენ და ახლა ჰიმალაების წარმოშობის დროც დამდგარიყო... (მისი ფიქრები, სასხვათაშორისოდ აღნიშნა გუნებაში, რაღაც ძაან-ძაან უცნაურ ასოციაციებს მისდევდა).

რა არის მთა, თუნდაც მაღალი? წინააღმდეგობა, გადაძალვა; და ბოლოს - შედეგი.

- დაიცა, საით? - სადღაც შორიდან ჩაესმა ჯამშიდის ხმა. - აკი დაგპირდით, მე წაგიყვანთ სახლში-მეთქი. კარგადა ხართ?

გადასარევად. უბრალოდ, ფეხით გავლა მინდა.

- რაკი არ იშლით...

არც მოვიშლი. დროზე დაგაზე აქედან, სანამ მიშალას ნაღვლიან თვალებს არ გადაწყდომიხარ.

უკვე ქუჩაში ხარ. ჩქარა - შორს აქაურობიდან, ამ მიწისქვეშეთიდან...

არა-ა, საშველი არაა. აგე ის ვიტრინა, მუსიკალური ხელსაწყოების მაღაზია, ჰობოები-საქსოფონები-საყვირები... რა ქვია? კარგი ჩაბერვა. თუ - შეუბერე? რაღაც ამდაგვარი, მაზალო სახელი. შუშაზე კი განცხადებაა გაკრული: მთავარანგელოზ ჯაბრაილის გარდუვალი გამოცხადება. გარდამოსვლა და სამყაროს გადარჩენა. დაგაზე.

აი, ეს ტაქსი გავაჩეროთ. კარგად მაცვია, მძღოლი არაფერს იეჭვებს.

- დაბრძანდით, სერ... რადიოს ხმა ხომ არ გიშლით? რას არ გაიგებ კაცი: თურმე მძევლად აყვანილი ვიღაც საწყალი ამერიკელი მეცნიერისთვის ნახევარი ენა ამოუჭრიათ, ახლა კი ამათ უკანალიდან ააჭრეს ხორცი და ზედ მიუკერეს! მაგარია! ჩემთვის რომ ამოევსოთ პირი საკუთარი ნატრაკით, მაინცადამაინც კმაყოფილი ვერ...

ისე, რამე რო იყოს, სხვა რა გზა ჰქონდა? ახლა ერთი მოუსმინეთ, რა ამბავშია.

ვინმე ეუგენიუს მეორედმომსვლელი დედამიწის ქერქის პალეონტოლოგიურ დათარიღებებში არსებულ შეუსაბამობებს ააშკარავებდა თავისი ამ ახალი, ტრაკდაღდასმული ენით. ეშმამ სცადა ჩემი დადუმება, გარნა თავად მამაზეციერმა და ამერიკელმა ქირურგებმა სხვანაირად განსაჯეს. არადა, ეს შეუსაბამობანი მართლაც ე. წ. კრეაციონისტთა argumentum baculinum გამხდარიყო: თუ-კი ბუნებრივი გადარჩევის თეორია მართებულია, სადაა იმ შემთხვევითი მუტაციების კვალი, შერჩევის გამოცდა რომ ვერ გაიარეს? რა იქნენ ევოლუციის ეს გერები? ამის თაობაზე პალეონტოლოგია დუმდა: იქ არავითარი სამფეხა ცხენების ბურდღაც კი არსად დარჩენილიყო.

- რა უნდა ედავო ახლა ამას?! - შენიშნა მძღოლმა. - არადა, თავადაც რომ ურწმუნო ვარ...

„მართალი ხარ, არავითარი აზრი არა აქვს," - დაეთანხმა ჩამჩას გონების ერთი პაწია ნაწილი. ევოლუციის თეორიამ ძალზე წაიწია წინ დარვინის მერე. ახლა უფრო იმას აწვებიან, რომ სახეობათა განვითარება რაღაც ცდისა და შეცდომების ბორძიკ-ბორძიკა მეთოდით კი არ ხდება, არამედ დიდი და ძირეული ნახტომისებრი ცვლილებებით. ანუ - სიცოცხლის ისტორია მძიმე-მძიმედ მიმგორავი წინსვლა კი არაა - რაღაცა ინგლისური საშუალო კლასის ჩამოყალიბებისდაგვარი, როგორც ეს ვიქტორიანულ ხანაში ეგონათ - არამედ დრამატულობით სავსე, ფეთქებადი გარდასახვებით განპირობებული: ძველი დახასიათებით თუ ვისარგებლებთ, უფრო რევოლუციური, ვინემ ევოლუციური.

- გასკდა თავი, - თქვა მძღოლმა.

იუჯინ დამზდეი მეორედმომსვლელი ისევე გაქრა ეთერიდან, როგორც გაჩნდა შიგ. ახლა დისკო-მუსიკა იღვრებოდა რადიოსივრცეში. Ave atque vale!

სალადინ ჩამჩამ ერთი ის კი გაიგო იმ დღეს, რომ ერთგვარ ყალბ სიმშვიდეში ცხოვრობდა და დიდი ცვლილებებიც კარს იყო მომდგარი. სულ სხვა, შავბნელი სამყარო გადაიშალა მის წინ (ანთუ - მისსავე შიგან), როცა ზეცით გარდამოეშვა და როგორც არ უნდა ცდილიყო, ამას აღარაფერი ეშველებოდა. თითქოსდა განტოტილ ბილიკს გაჰყურებდა და მანქანის საზურგეზე გადაწოლილმა, მარცხენა მიმართება ირჩია.

2

სიცხე მატულობდა. როცა ლამის იყო, დუღილის წერტილს უწია, ბ-ნმა ბილი ბატუტამ და მისმა კომპანიონმა, მიმი მამულიანმა, ნიუიორკის პენიტენციალურ სისტემასთან სტუმრობის მერე დედაქალაქს რომ დაბრუნებოდნენ, წვეულება გამართეს თავიანთი „დიადი გათავისუფლების“ საბაბით. საქმიან წრეებში ნაცნობობა დიდად წაადგა ბილის მსაჯულებთან ურთიერთობაში, ხოლო პირადმა ხიბლმა დაარწმუნა ყველა ის ქალბატონი, რომელთაც თავის დროზე ბლომად-ბლომად ფარა ააფცქვნა საკუთარი თავის ეშმას ბრჭყალებიდან გამოსათავისუფლებლად, რომ შეწყალების თხოვნაზე მოეწერათ ხელი - აქაოდა ბ-ნი ბატუტა სულით-გულით ინანიებს საკუთარ შეცდომებს, და ახლა სჯობს იმ თავის პროფესიულ საქმიანობას დაუბრუნდეს, რომლის საზოგადო სარგებელი - სამუშაო ადგილების შექმნისა და ხალხის დასაქმების განხრით - სავსებით შეიძლება შემამსუბუქებელ გარემოებას გაუტოლდესო; ასევე, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მისივე განცხადებამ - მზად ვარ ნებაყოფლობით გავიარო ფსიქიატრიული მკურნალობის სრული კურსი, რათა ძირისძირამდე აღმოვფხვრა ბოროტქმედებებისადმი ჩემში ჩაბუდებული ლტოლვის ნარჩენებიო. ყველაფერ ამის მერე, მსაჯულებს ისღა

დარჩენოდათ, სასჯელი საგრძნობლად შეემსუბუქებინათ მისთვის და საერთოდ, აღარც თავისუფლების აღკვეთაზე ყოფილიყო რაიმე ლაპარაკი: მოცემულ შემთხვევაში, მიზნის მიღწევის საშუალება, რაიც ციხეში ჩასმით გამოიხატება, თავისი შედეგიანობით ბევრად ჩამოუვარდება იმგვარ გადაწყვეტილებას, უქრისტიანულესად რომ გვიჩანს მართლმსაჯულების გადასახედიდანო - აი, ასეთი გახლდათ საბოლოო განაჩენის დასტურჰყოფა და ამას უკვე წყალი აღარ გაუვიდოდა.

ქ-ნ მიმის (სასამართლოს განჩინებით - სიყვარულის გრძნობით თავბრუდახვეულ, ბილის უბრალო მხარდამჭერს) მხოლოდ პირობითი სასჯელი ერგო; თავად ბატუტას კი ქვეყნის დატოვება და ჯარიმა დაუწესეს, თუმცა ვექილის დაჟინებული თხოვნით, ეს გადაწყვეტილებაც კი ფრიად შეუმსუბუქეს, რადგან არც პასპორტზე დაუდვიათ შესაბამისი დამღა - ისევ და ისევ, ცნობილი ბიზნესმენის საქმიანი ურთიერთობებისათვის შესაძლო ჩრდილის მიყენების თავიდან ასაცილებლად. ოცდაოთხი საათის მერე, ბილი და მიმი ლონდონს დაბრუნდნენ და მიწაზე ფეხის დადგმაც კი არ აცალეს საკუთარ თავს, ისე შეძრეს მთელი ქალაქის beau monde - მაღალი საზოგადოება, ასე ვთქვათ - იმისთანა წვეულებას ვმართავთ, ამ უჩვეულოდ ცხელ და ჩახუთულ სეზონზე არც დაგსიზმრებიათო... მოსაწვევებიდან ერთმა - ბ-ნ ვ-ს სისოდიას მეცადინეობით - ჰალელუია კონისა და ჯაბრაილ ფარიშტას სამყოფელისკენ გაიკვლია გზა; მეორე - გარკვეული შეყოვნებით, მაგრამ მაინც - სალადინ ჩამჩას ოთახში აღმოჩნდა, ჯამშიდ ჯოშის მზრუნველი ხელით კარის ღრიჭოში შესრიალებული (მიმიმ ჯერ მხოლოდ პამელა დაპატიჟა, მაგრამ ტელეფონით ნახევარსაათიანი ჭორაობის მერე დააყოლა: „მოკლედ, აგიწყვია ცხოვრება და ეგ არი! დაავლე მაგ ორივეს ხელი და მოიყვანე ჩვენთან - მაგარი სეირი კი იქნება...).

ჩვეულებისათვის ადგილის შერჩევა კვლავ ბ-ნ სისოდიას დამსახურება გახლდათ: შეპერტონისეული კინოსტუდიის დაქირავება, ჩვეულებისამებრ, ერთი პენიც კი არ დასჯდომია, ხოლო სტუმრებს საშუალება ექნებოდათ დიკენსისეული ლონდონის უზარმაზარი რეკონსტრუქციის გარემოში მოხვედრილიყვნენ (გენიალური მწერლის უკანასკნელი რომანის მიუზიკლად ქცევა და ფილმად გადაღება უკვე გადაწყვეტილი ამბავი იყო).

- პპიპი... პიარის სპეცცები ამტკიცცებენ, მთლად გადასარევი აზზრიაო, - უხსნიდა ჯაბრაილს სისოდია. - ყველა ვარრსკვლავის მოწვევა, დდადგმასაც ძძაან წაადგებაო... კკომპანიაც სსიამოვნებით დამთთანხმდა! დადგა დათქმული საღამო და ღამესაც აუტანლად ცხელს ვარაუდობდნენ.

* * *

ახლა კი მაღალი საზოგადოების ეს „ცნობადი სახეები“, კინოვარსკვლავუკები, ბიზნეს-საქმოსნები, ფოტო-მოდელები, პოლიტიკანები და სხვა ამდაგვარი ჯამაათი ერთმანეთში ირევა და ოფლიანობს ამ ყალბ ქუჩაბანდებში - ასეთსავე ყალბ, რეკვიზიტიდან გამოტანილ, იმ დროის შესაფერის სამოსში გამოწყობილ მსახიობთა „ქალაქის მოსახლეობაში“ შერეული. ხოლო ჩამჩამ, რომელმაც მყისიერად იაზრა - აი, ეს შეხლა-შეჯახება იქნება სწორედ ჩემი მიზანთამიზანიო, ზედ ლონდონის ხიდზე ჰკიდა ჯაბრაილს თვალი, და კიდევ - მის ნაყინოვან დედუფალს, ჰალელუია რა ქვია იმას, კონის. არა, მაინც რა დახვეწილი დაუდევრობით იხრება ოდნავ მარცხნივ, ქალისკენ, ის კიდე სულ თვალებში შესცი‌ცინებს, და გარშემოც ყველა ელოლიავება, ვარსკვლავბიჭუნას, ვარსკვლავთვარსკვლავს, და ბატუტა მის მარცხნით, და სისოდია - მარჯვნით, პერუდან ტიმბუქ-

ტუმდე გრგვინავს სახელი მათი! ჩამჩა ხალხში მიძვრება, შეუპოვრად, დრედნოუტივით მიარღვევს ზღვა ხალხის ტალღებს - ჯაბრაილს უნდა უწიოს, ყოველმიზეზგარეშე! და სწორედ ამდროს გაისმის შოუ-პაუზის მაუწყებელი დაფდაფების ხმა, ეს ზღვაც განიხვნება - წითელი ზღვის წყლების დარად წინაშე ძეთა ისრაელისათა, და ჩამჩაც წონასწორობას კარგავს, უკუიქცევა, მოქცევის ტალღაატაცებული, ზედ რაღაც დეკორაციას შეასკდება - რაღაცას კი არა, მთლად სიძველეთა დახლს! ამასობაში კი ერთნაირქუდებიანი და შავ-თეთრი მაქმანებით გაწყობილ კაბებში გამოკვართული, ცილინდრიან მამაკაცთა ჯგროაკიდებული, მკერდსავსე გოგონათა მთელი გუნდი ჩამოივლის სავსებით შესაბამისი სიმღერ-სიმღერით:

ვინაა ეს ბიჭი - მეგობარი ჩვენი, საერთო?

და რას გვიპირებს ნეტა?

გულში ჩაგვიკრავს თუ - ახლოსაც კი არ გაგვიკარებს?

და ა. შ. და ა. შ.

- მაგარია! - ვიღაც ქალის ხმა გაისმის მის ზურგსუკან. - შეიძლება ითქვას, ძალზე ვნებიანი სცენაა...

ახალგაზრდა, ტანმორჩილი, ხიბლიანი და ღვინისა თუ სიცხისაგან ლოყებწამოწითლებული ბანოვანი - ჩრდილში დგას და ასე უფრო აშკარაა, რომ თვალებშიც ნაპერწკლები უთამაშებს.

- დრო კიდევ გვაქვს, - ნაზად უჩურჩულებს. - ამის მერე მისტერ პოდსნეპის სოლო პარტია მოდის.

და უცებ, პაროდირებას იწყებს, სავსებით ოსტატურად:

ენა ვისია ლამაზი,

გვაქვს უთვალავის ფერითა!

ეგეთი ფლოტი ვისა ჰყავს -

სახელგანთქმული ძლევითა!

ნეტავ სად არი კიდევ სხვა -

ალბიონი რომ ერქვას?

სხვა უესტმინსტერი სად არი -

და გული - ეგრე რომ ფეთქავს!

მერე, უკვე რექს ჰარისონის სტილში აგრძელებს, ხმოვნების გაწელვით:

- ეს ჩვენი ლონდონი როგორ მოგწონთ? იტყვით ალბათ, C'est fantastique! - ეგრეა? და რას ბრძანებდით ბრიტანეთის კონსტიტუციის იმა ნაკვთებზე, ამა მსოფლიო დედაქალაქში ხალხს რომ დიდებით მოსავს? აბა სად სხვაგან, თუ არა აქ, ინგლისის გულისგულში, ჰპოვებთ თქვენ ხასიათის ყველა სიკეთეს - თავმდაბლობას, დამოუკიდებლობას, აუღელვებლობას, პასუხისმგებლობასა და თვითკმარობას - ზედადებით თვისებათა ამგვარ ერთობლიობას სხვაგან სად ნახავთ!

უახლოვდება, გულ-მკერდს იღეღავს და მოქალაქეობრივი სიამაყის საუკეთესო მაგალითს სთავაზობს - ზედვე ალისფრად ამოსვირინგებულ ლონდონის რუკას, რომელზეც ლურჯით მდინარე თემზაა გამოხაზული. მანგუსტისა და გველის შეხვედრას ჰგავს ეს ყველაფერი, რუკაც უხმობს, მაგრამ სალადინ ჩამჩა, პირწმინდად დიკენსისეულ სტილში, ამ ყალბ სიძველეთა სავაჭროდან გამოვარდება და ქუჩის სიგიჟეში დურთავს თავს.

სწორედ ამ დროს, ჯაბრაილი ლონდონის ხიდიდან გადმოხედავს; ჩამჩასაც ეჩვენება, ჩემი და მისი მზერა ერთმანეთს გადაეჭდოო. კი, ეგრეა: ჯაბრაილი მარჯვენას სწევს და ხელს უქნევს, რაღაც უნიათოდ.

* * *

ამას კი ტრაგედია მოჰყვა - ყოველ შემთხვევაში, მისი გამოძახილი მაინც - რაკიღა სრული სახით თანამედროვეობას ეს ამბავი აღარც შემორჩა: ერთგვარი ფარსი ჩვენს დამდაბლებულ, წაბაძვის მოტრფიალე საზოგადოებაზე გამიზნული, საცა მასხარები ცდილობენ ის განაახლონ, რაც ადრე ხელმწიფეთა და გმირთა მიერ გახლდათ ნაკეთები. კარგი, თუნდაც ეგრე იყოს. საკითხი ესე ახლაც იმგვარადვე ღიად რჩება, როგორც ოდითგანვე ყოფილა: როგორია ბოროტების ბუნება, საიდან ჩნდება, რატომ მატულობს, რანაირად იმორჩილებს ადამიანის მრავალწახნაგა სულიერებას? მოკლედ, იაგოს ენიგმა.

ისე, არაფერი ახალი ჩვენი ლიტერატურულ-თეატრალური ყაიდის მკვლევარ-მჩხრეკავებისათვის აქ არაა - ყველაფერ ამას სულ იოლად მიაწერენ ხოლმე ერთგვარ „უნიადაგო ბოღმას“. ბოროტი ბოროტია და ბოროტებას სჩადის - ასეა ეს. გესლი - აი, საუკეთესო სახელი მისთვის.

კარგი, ახლა ეს რიოში მარგალიტებით თამაში არაფერს გვარგებს: ჩემი ჩამჩა ვერაფერი ვენეციელი ასისთავია, ქ-ნი ჰალე კონი - სულგაფრთხობილი დეზდემონა, ვერც ფარიშტა ქაჩავს მავრის სიდიადემდე, ოღონდ ის სამოსი ხომ მაინც შემიძლია მოვარგო, რასაც ჩემი მოკლე ჭკუა გასწვდება...

მოკლედ, ჯაბრაილი ხელს უქნევს მისალმების ნიშნად, ჩამჩა მისკენ მიიწევს და ჩაბნელებულ სცენაზეც ფარდა ეშვება.

* * *

მოდით ახლა ყველაფერ ამას სალადინის თვალით შევხედოთ: მარტოსულია და ერთადერთ ხმისგამცემად ის არცთუ მთლად ფხიზელი, მკერდრუკამოხატული ვიღაც გოგო ყავდა, ახ-

ლა კი იმ ბრბოში მიიკვლევს გზას, საცა ყველას ყველას მეგობრად მოაქვს თავი, ხოლო ზემოთ, ხიდზე - თაყვანისმცემლებით გარშემორტყმული ფარიშტა გადმომდგარა და აშკარად მას უქნევს ხელს...

ახლა კი ისიც გავიაზროთ, რა შთაბეჭდილებას ახდენს ესე ყველაფერი სალადინ ჩამჩაზე - რომელსაც რომ ინგლისი თავისი აწ დაკარგული ინგლისელივე ცოლის სახით უყვარს - ჯაბრაილ ფარიშტას გვერდით მდგარი ფერმკრთალი, ოქროცურვილი, გაყინულმზერიანი ჰალელუია კონი: წამსვე გვერდით ჩამავალი ლანგრიდან სავსე ჭიქას დაითრევს, ყლურწავს, იღებს მეორეს, და ახლა უკვე ნათლად აღიქვამს თავის დანაკარგს...

და მეყვსეულად, ჯაბრაილი მისთვის საკუთარი მარცხისა და ხელმოცარულობის ანტიგანსხეულებად იქცევა - მით უმეტეს, რომ მეორე გვერდს კიდევ ერთი მოღალატე უმშვენებს - ორმოცდაათს გადაცილებული, დადებული და აპრეხილი წამწამებით, მოკლედ, ბებერი ცხვარი, ბატკნად რომ ასაღებს თავს - ჩამჩას აგენტი, ქ-ნი სელერსი... აბა ერთი, ფარიშტას თუ შეადარებს იმ ტრანსილვანიელ სისხლისმსმელს! თავის ჩაცარიელებულ ჭიქაში ჩაიხედავს და მოგეცეს ლხენა - საკუთარ უიღბლობას, უიმედობას, ხელმოცარულობას ხედავს შიგ, მისი მეგობარყოფილის სახელდაგდებულობის საპირწონეს, და ამგვარი განყოფის უსამართლობაც მწარედ სჩხვლეტს გულში...

„მთლად ამაზრზენი ამბავი კიდე ისაა," - ფიქრობდა გამწარებული, - „რომ ეგ ძაღლი-მამაძაღლი, ლონდონის დამპყრობელი, ასე ვთქვათ, იმ ფასეულობების აზრზე არაა, რაც ახლა მის ფერხთით დაიყარა! ეს ვირიშვილი მუდამ მასხრად იგდებდა კურთხეულ ლონდონ-ქალაქს, მთელს ვილაიეთს: ინგლისელებს, ჩამჩა-ჩემო, სისხლი კი არა, ბროწი დაუდით ძარღვებში!" - ის კიდე, აქ თავმოყრილ ხალხში გზისმკვლევი, აგერ ახლაც ხედავს გამქირდავ ღიმილს ფარიშტას სახეზე, იგივე ხელთათმანივით ამობრუნებული მ-რ პოდ-

სნეპის ზიზღნარევ დაცინვას, ვისთვისაც ყველაფერი ინგლისური განსადიდებელი კი არა, უბრალოდ, საძაგია - და რაღა მას, ამ ქალაქის ჯვაროსან სალადინ ჩამჩას მოუწია იმის ხილვა, თუ ვითარ იყრის მუხლს ლონდონი მისი ანტიპოდისა და შესაბამისად, წინააღმდგომის წინაშე! და კიდევ, აი რა - თავად ერთი სული აქვს, ფარიშტას ტყავი მოირგოს, მაშინ როცა იმას სულ ქინძზე კიდია ჩამჩაცა და იმისი ტყავიც...

რაი არს უპატიებელი?

მას მერე, რაც როუზ დიამანტის სახლში, უხეში ძალის გამოყენებით დააცილეს ერთმანეთს, პირველად მიეცა საშუალება თვალებში ჩაეხედა ჯაბრაილისთვის, იქ ახლა უცნაურ სიცარიელეს ამჩნევს და იმ გაყინულ მზერას უდარებს, როცა იგი, კიბის თავზე მდგარი, მშვიდად შესცქეროდა, როგორ მიათრევდნენ რქიანსა და ხელ-ფეხგაკოჭილს გარეთ, ღამის სიბნელეში; და ახლა იგივე სიძულვილის გრძნობა იპყრობს, მწვანე სამსალით უვსებს სულს... თავის მართლება არც სცადო! ეშმაკსაც წაუღია შენი აბა-რა-უნდა-მექნა და ეგეთები - უპატიებელის პატიება არ იქნება. არა კაცს არ ძალუძს შინაგანი ზიანის შეფასება ნაიარევის გარეგანი შეთვალიერებით!

მაშ ასე: ჯაბრაილ ფარიშტა მეტი სიმკაცრით განისჯება, ვიდრე მიმი და ბილი ერთად, ხოლო დანაშაულის სახელდება ასეთია - უპატიებელი საქციელი. შესაბამისად... მაგრამ განათუ მართლა მხოლოდ მის იმჟამინდელ დუმილშია საქმე? თუ სალადინ ჩამჩას აღშფოთებას უფრო ღრმა პირველმიზეზი უძევს საფუძვლად? იქნებადა საქმეც ისაა, რომ ორივენი ერთიმეორის შეუთავსებელი წინააღმდეგობებია, და ერთი - მეორის აჩრდილი? პირველი სულ იმის ცდაშია, საკუთარი თვითობის სახე იცვალოს და თავისი აღტაცების საგანს - უცხოეთს მიამსგავსოს, მეორე - ქედმაღლურად ცდილობს თავად იქცეს სხვათა გარდამსახველად; ერთი - უბედურ დღეზეა გაჩენილი, იმისათვის სჯიან,

რაც არასოდეს ჩაუდენია, მეორეს კი აქეთ-იქიდან სულ ანგელოზად მიიჩნევენ, არასოდეს არაფერი ფარცაგი რომ არ შეემთხვევა... ასე და ამგვარად, სალადინ ჩამჩა ოდნავ ნაკლებია იმაზე, რასაც სინამდვილეში წარმოადგენს, თუმცა ხმაურიანი და აღვირახსნილი ჯაბრაილ ფარიშტა კი ნამდვილად იმაზე მეტად მოჩანს, რაც სინამდვილეშია: ანუ, ესეგვარი უთანასწორობაა სწორედ, ნეოპროკრუსტესეულ სურვილებს რომ უღვივებს ჩამჩას - ანუ, საკუთარი მე-ს წასაგრძელებლად, ფარიშტას დამოკლებისაკენ მიუწევს გული...

და მაინც, რაი არს უპატიებელი?

თუნდაც - იმის ცნობა, რომ სრულად დაუცველი ხარ იმის წინაშე, ვისაც არ ენდობი? და განა ჯაბრაილმა არ იხილა ჩამჩა ამ მდგომარეობაში - გატაცება, ვარდნა, დატუსაღება - როცა პიროვნების დაფარული შიდა სამყარო სააშკარაოზე იქნა გამოტანილი?

მაშ ასე: მივუახლოვდით თუ არა საკითხის არსს? ახლა მაინც თუ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ორნი ერთმანეთისაგან ძირეულად განსხვავებული რაობაა? თუ - ვერაფრით დავეთანხმებით, თითქოსდა მთელი მისი სცენური სახელებისა და იერსახეების, ხელახლადაბადების მოწოდებებისა და გარდასახვების მიუხედავად, ჯაბრაილს მაინც სურდა უწყვეტი დარჩენილიყო, ანუ - წარსულს დაკავშირებული და მისგანვე ამოზრდილი; რომ არც მის ლამის მომაკვდინებელ ავადობასა და არც ყოვლად გარდამსახველ ვარდნას არ მიეყვანა იქამდე, როცა სიზმრები, გაღვიძებისთანავე, ცხადად ექცეოდა - იმ ანგელოსურ საწყისში გამოახვევდა, რაში ყოფნის არც არანაირი წადილი არ გააჩნდა; ე.ი. - ჯერაც ის ჯაბრაილია, ჩვენი ამჯერადი მიზნების შესაბამისად რომ „ნაღდი“ შეგვიძლია ვუწოდოთ...

ამავე დროს, სალადინ ჩამჩა შერჩევითი სასრულობის, ნებსითი ხელახლადქმნის შედეგია და თავად ირჩევს ისტორიის წინაშე ჯანყს, რაც საშუალებას გვაძლევს, ჩვენს მიერვე მისადაგებული ცნებების გამოყენებით, მას „ყალბი“ შევარქვათ. ასე და ამგვარად, ჩვენს მსჯელობას თუ თვალს ბოლომდე გავადევნებთ, გამოვა რომ

ეს სიყალბე იწვევს სწორედ უარეს და უფრო ღრმა გადახრას ჩამ-ჩას არსში - პირობითად, ამას უკვე „ბოროტება“ შეიძლება და-ვარქვათ - და ესაა სწორედ ის სინამდვილე, ის კარი, რომელიც მასში გაიღო გარდამოვარდნის ჟამს, მაშინ როცა ჯაბრაილი, ჩვენივ ყოვლად პირობითი ცნებების თამაშის შედეგად, უკვე „სი-კეთედ“ მოინათლება - ათასგვარი გარდასახვების მიუხედავად, საკუთარი ადამიანური საწყისის იგივე უცვლელობისადმი მიდ-რეკილების გამოისობით.

მაგრამ და ისევ ეს მაგრამ: განა ყველაფერი ეს ინტენციონა-ლისტთა ძირეულ შეცდომას არ გაგონებთ? ამგვარი სახელდება-ნი, რაც რომ იმას ეფუძნება - თვითობა ერთგვაროვანია, იმთა-ვითვე შეუჯვარებელი და „სუფთაო“ (მთლად აზრმიუტანი დებუ-ლება) - განათუ კმასაყოფელია ჩვენთვის? არავითარ შემთხვევა-ში! უარესსაც გეტყვით: ბოროტი არ შეიძლება ისე ღრმად იყოს ჩაფლული ჩვენში, როგორც ეს ჩვენ გვსურს რომ წარმოვაჩი-ნოთ. სინამდვილეში, ჩვენ ყველანი სრულიად ბუნებრივად, ნე-ლი-ნელ ვეფლობით მასში; ბუნებრივად-მეთქი, ანუ - არა ჩვენი-ვე შინაგანი ბუნების საწინააღმდეგოდ! ასე რომ, სალადინ ჩამ-ჩას სურვილი, რაღაცნაირად ბოლო მოეღო ჯაბრაილ ფარიშტა-სათვის, სავსებით ბუნებრივი გახლდათ და თავად ბოროტების ჩადენის სიადვილეც ხომ ხელს უწყობდა ამ ნაბიჯის გადადგმისა-კენ სწრაფვას: ამ გზაზე შედგომა ადვილია, უკან მობრუნებაა შე-უძლებელი.

თუმცაღა, თავად სალადინ ჩამჩა უფრო მარტივ ახსნას პოუ-ლობს: „ეს სულ იმის ბრალია, როუზ დიამანტის სახლში რომ მი-ღალატა, სხვა არაფერი“.

ახლა ლონდონის ხიდის იმიტაციაზე შედგამს ფეხს. იქვე წა-მოჭიმული, თეთრ-წითელ ზოლებიანი ფარდიდან პანჩი მოსძა-ხის - თან ჯუდის უპარტყუნებს თავში - აი ესე უნდა მაგას, ესე! ჯაბ-

რაილი კიდე - საწინააღმდეგო ამბავში - სრულიად უგრძნობელი ხმით ესალმება, თუმც კი გულითადი სიტყვებით:

- ჩამჩა, შე ბებერო, რავა ხარ? ეშმაკის ფეხო შენა - ძაან კი გაბრექილხარ, აი! აქეთ მოდექი სალათ-ბაბა, შე ბებერო ჩამიჩო...

* * *

აი, ასე მოხდა ეს: რაწამსაც სალადინ ჩამჩა ჰალე კონის მიუახლოვდა, ჯერ თითქოს ორმა ისარმა გამსჭვალა, მერე კი ადგილზე გაყინა მისმა გამოხედვამ და იაზრა - მისი ჯაბრაილზე გადამტერება ახლა ამ ყინულმზერიან ქალზეც ვრცელდებოდა, რომელშიც იყო რაღაც ისეთი - სამყაროულ საიდუმლოსთან წილნაყარობას რომ გაფიქრებინებდა კაცს. ამას გარდა, ხასიათშივე ედო რაღაც ველური, შეუვალი, ანტი-საზოგადოებრივი, თითქოსდა თვითკმარი კარჩაკეტილობა... და რატომღა მოხვდა ასე მწარედ გულზე? რატომ მოხდა, რომ თუნდაც ვიდრე ხმას ამოიღებდა, უკვე იმთავითვე აღიქვა მტრის ხატად?

იქნებ იმიტომაც, რომ მეყვსეულად იგრძნო მისდამი ლტოლვა - თუნდაც იმ შინაგანი თვითრწმენის გამო, რაიც თავად აკლდა, შურდა კიდეც მისი და ამ შურის გამომწვევი მიზეზის განადგურებაც სურდა. თუკი სიყვარული გაცდუნებს შეყვარებულს დაემსგავსო, სავსებით შესაძლოა, იგივე სურვილის აღუსრულებლობა უკვე სიძულვილად გექცეს.

სწორედ ასე მოხდა: ჩამჩამ საკუთარი ჰალე შექმნა და ახლა საკუთარი ფანტაზიების ანტაგონისტად იქცა. თუმცა, ამაზე არათუ სიტყვა არ დაუძრავს, არც არაფერი შეტყობია. გაუღიმა, ხელი ჩამოართვა, მოხარული ვარო, - უთხრა... ჯაბრაილსაც გადაეხვია. საკუთა-

რი მიზნებისთვის ვემსახურები, ეგაა და ეგ. ჰალე აზრზე ვერაფ-
რის მოვიდა, ბოდიში მოუხადა - ალბათ, რამდენი რამ გაქვთ ერ-
თმანეთისათვის სათქმელიო და მცირე ხნით, სადღაც გასწია.
ჩამჩამ თვალი ჰკიდა, ერთ-ორ ნაბიჯზე როგორ მოითრია ფეხი,
მერე შეყოვნდა, ნაბიჯი გაისწორა და გზა გააგრძელა. ჯერ ბევრი
რამ არ იცოდა ამ ქალის შესახებ, მისი ტკივილის თაობაზე ხომ
ფიქრშიც არაფერი გაუვლია.

აზრზეც არ იყო, ეს უდარდელად მომსალმებელი და თვალ-
მიბნედილი ჯაბრაილი თუ სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ
გახლდათ და დღეყოველ ინდაურივით ყლაპავდა საკუთარი, უკ-
ვე სახელდებული ავადობის - პარანოიდური შიზოფრენიის -
მკურნალობის კურსის შესაბამის წამლებს, რის შედეგადაც გა-
რემოს აღქმა მცირეოდნავ მობლაგვებოდა და ჰალეს მეცადინე-
ობით, რა ხანია კინოსამყაროსაც განრიდებოდა (მათი იმდღე-
ვანდელი ბატუტა-მამულიანის წვეულებაზე დასწრებაც ქალის
მხრივ დიდი წინააღმდეგობის დაძლევის შედეგად მოხერხდა
მხოლოდ - ჯაბრაილმა ყვირილი მორთო, აღარ ვაპირებ ასე გა-
მოკეტილში ყოფნას და ჩემს „ნამდვილ ცხოვრებას“ უნდა დავუბ-
რუნდეო); ხოლო ამგვარმა ოცდაოთხსაათიანმა მეთვალყურეო-
ბამ კონიც მთლად გამოფიტა და მხოლოდ ერთგვარ მედდად,
განტევების ვაცად და საიმედო საყრდენად აქცია ერთდრო-
ულად, ჩამჩა კიდე, როგორც რომ უკვე მოგახსენეთ, ყველაფერ
ამის აზრზეც არ იყო - ის ჯაბრაილი, რომელსაც ეგონა აგერ, პი-
რისპირ ვუდგევარო - სინამდვილეში ბედის ნებიერი კი არა, ჩამ-
ჩასავე შურიანი, განწვალული წარმოსახვის ნაშობი იმგვარი ნა-
ყოფი გახლდათ, იმგვარივე გამონაგონი, როგორაც ეს კლასიკუ-
რი იერსახის ქერა და საბედისწერო ასული, ჰალელუია კონი -
თუმცაღა, სწორედაც რომ ამ უცოდინრობამ მისცა ძალა, ჯაბრაი-
ლის ჯავშანი შეენგრია და იმასაც მიხვედრილიყო, ვითარ წამო-

ექცია კვარცხლბეკზე ძეგლივით წამომართული ეს მისი ორეული.

ჯაბრაილის ყოვლად უწყინარმა შეკითხვამ ჰქმნა ეს: დამამშვიდებელი წამლების ზემოქმედების ქვეშ მყოფმა, სხვა ვეღარაფერი ამოღერღა, თუ არა ყოვლად ბანალური - ის შენი უკეთესი მეორე ნახევარი როგორა გყავს? აი, ამაზე კი ნაყლაპმა ჩამჩამ თავი ვეღარ შეიკავა და იქვე დააბრეხვა:

- მიაღწია თავისას! ისეთი შეუდეს, ახლა ბავშვს ელოდება...

თვალებმილულულმა ჯაბრაილმა ვერაფრით ჩაავლო ბალღამს ჩამჩას ხმაში, სახე უაზროდ გაუბრწყინდა, ხელი გადახვია და მიულოცა, თავისი ჭკუით:

- შაბაშ, მურაბაკ! კარგადგიმუშავია, ჩამჩა-ბატონო!

- ჯობია, მის კუროს მიულოცო... - თავისდაუნებურად აჯაჯღანდა სალადინი. - იცნობდეთ, ჩემი ძველი მეგობარია: ჯამშიდ ჯოში. ეს ქალები გადამრევენ, ღმერთმანი!

- ვინები, მაგალითად?! - ისეთი ხმით გაიკვირვა ჯაბრაილმა, ვიღაცეებმა წამსვე მათკენ მოატრიალეს თავი.

- გეტყვი რა, რა მაქ დასამალი! ჩემი ცოლი, მაგალითად... პამელა, ვინმე ბანოვანი არ გეგონოს.

და სწორედ ამ დროს, როცა სასმელით გონებადაბინდულმა სალადინმა საერთოდ ვერც შენიშნა ნათქვამის შედეგად ჯაბრაილის სახეზე ასახული შთაბეჭდილება (იმას კი უკვე ერთმანეთზე დაედო ორი სახება: რექჰა ფარდაგოსნისა, რომელიც აფრთხილებდა - ჰალეს შენგან უჩუმრად სურს ბავშვის გაჩენაო - თესლს ვინ რას ეკითხება, სად დარგავენ? და მეორე - აღმოსავლურ ორთაბრძოლათა დამრიგებლისა, მაღალ დარტყმა-ვნებებში რომ ეუფლებოდა ჰალელუია კონის), ჯამშიდ ჯოშის სხეულის მოძრაობაც შეინიშნებოდა „საუთუარკის ხიდის“ თავში - როგორც აღმოჩნდა, პამელას მაძებარს, ამ ფსევდოდიკენსისეულ ბრბოში რომ დაკარგვოდა უნებლიედ.

- აჰა, ძაღლი ახსენე და ჯოხი მოიმარჯვეო, - თავი გადააქნია სალადინმა. - სწორედ აქეთ მოემართება...

ჯაბრაილს მოუტრიალდა, მაგრამ იმას უკვე თითქოს მიწამ პირი უყოო, სადღაც გამქრალიყო.

მაგიორში, ჰალე კონი გამოჩნდა ისევ: გაბრაზებული და მშფოთვარე.

- სადაა? ღმერთო დიდებულო! წამით ვერ დატოვებ მარტო! ნუთუ არ შეგეძლოთ, ერთი წუთით მიგედევნათ თვალი?!

- რა... რა მოხდა?

ოღონდ ჰალემ მეყვსეულად დაყვინა ბრბოში და როცა ჩამჩამ კვლავ ჰკიდა თვალი ჯაბრაილს, იგივე „საუთუარკის ხიდზე“ მიმავალს, ხმას უკვე ვეღარც ვერაფრით მიაწვდენდა.

- ჯამშიდი არ გინახავს? - ეკითხება საიდანღაც ამოჩითული პამელა. „აგე, იქ.“ - უთხრა და ისიც სადღაც გაქრა, ერთი მადლობის სიტყვაც კი არ უთქვამს, თუნდაც ზრდილობის გულისათვის. მერე ისევ ჰკიდა თვალი თმაგაჩეჩილ, მხრებში წახრილ ჯამი ჯოშს და იმავე წამს, ჯაბრაილსაც, სწორედ მისკენ რომ მიემართებოდა.

მოკლედ, ფარსის განვითარებას აღარაფერი უკლდა, ოღონდ ბებერი ჰექსემის როლის შემსრულებელმა (ეგ ისაა, დიკენსთან თემზაზე ნავით რომ დაცურავს აღმა-დაღმა და დამღრჩვალ სხეულებს ყველაფერი ფასეულისაგან უთავისუფლებს ჯიბეებს, ვიდრე მათ პოლიციას გადასცემდეს), კონცეპტუალურ ამბავში ასიმეტრიულად შეკრეჭილ-შეჭრილ, შევერცხლილი თმების პატრონმა რომ მოაყენა ფანერისაგან გამოთლილ ნაპირს ნავი, ფარსი განუვითარებლად დამთავრდა: ნავში თავით-ფეხამდე გალუმპული, უგონოდ მყოფი ჯამშიდ ჯოშის სხეული ესვენა.

- თავი დაარტყა რაღაცას! - დაიძახა მენავემ და ვეებერთელა, ჩალურჯებულ კოპზე მიათითა, შუბლზე რომ აჯდა ჯამშის. - ბედი მისი, დაღრჩობა ვერ მოასწრო...

* * *

ამ ამბებიდან ერთი კვირის თავზე, ჩამჩა უკვე მომავალ ალისია ბონეკის სიტროენში იჯდა, რომელიც თავის ქალიშვილ კონის დაუტოვა დედამისმა, კალიფორნიაში გამგზავრების წინ: საქმე ის გახლდათ, რომ ჰალემ ყველა აიკლო რეკვით, სანამ სალადინის კვალს არ მიაგნო და ბოდიშებად არ დაიღვარა - რა ვქნა, რა უფლება მაქვს ასეთი რამ გთხოვოთ, აკი თქვენ არაფერი იცოდით - ვგულისხმობ, მის შესახებ... ღმერთს მადლობა, არავის არაფერი დაუნახავს, თორემ კაცისთვის თავში რაღაცის ჩარტყმასა და მერე მდინარეში გადაგდებას ხუმრობად არავინ ჩაუთვლიდა! ახლა ერთი ადგილი შევარჩიეთ შოტლანდიაში, კაციშვილი ნაცნობი იქ ფეხს არ ჩამოადგამს და თქვენზე კი იკითხა უკვე... მართლა შეგიძლიათ დაეხმაროთ, მე კი ეს მხოლოდ სასიამოვნოდ დამირჩება! - და ახლა სალადინ ჩამჩა შოტლანდიისკენ უბერავდა ვერცხლისფერი „სიტროენით“, ჰალე კი სატერფულიდან ფეხს არ იღებდა, კარგი გამოჯეკილი მრბოლელივით.

- კიდევ კარგი, უმანქანოდ შორს ვერ წავა, თორემ მის მარტო დატოვებას ვერც გავბედავდი, - უხსნიდა კონი. - ამას წინეებზე კი გასაღები მომპარა და სადღაც მინდორში იპოვა საგზაო პოლიციის პატრულმა... რომ მივედი, ლანძღვა-მუქარით იკლებდა ყველას და - განემზადენით ღვთის რისხვისათვის, რამეთუ მოვუხმობ აზრაილს, ჩემს მარჯვენა ხელსო, - გაჰყვიროდა. ყველაფერი ჩაიწერა ოქმში. ძლივს დავარწმუნე კონსტებლი, არ დაეპატიმრებინათ.

ჩამჩამ, რომლის გულში ჯერ ისევ ენთო შურისგების ალი, ვითომ ძაან დამწუხრებულმა გადააქნია თავი.

- და ჯამშიდმა რაო? - ჰკითხა, ვითომ ასევე ძაან-ძაან შეშფოთებულმა.

ჰალემ მხრები აიჩეჩა - რა გინდა რომ ქნაო:

- ექიმებს რომ კითხო, მთელი ეს ამბავი რაღაც ეჭვიანობასთან უნდა იყოს დაკავშირებული... ყოველ შემთხვევაში, ჯერ-ჯერობით მაინც, ჯაბის არავინ ადანაშაულებს.

აშკარად რომ გულის გადაშლის იშტაზე იყო მოსული, ჩამჩამ კი ყური ცქვიტა: ქალი ჯაბრაილის გამო ენდობოდა, და ახლა არც არავითარი სურვილი არ ჰქონდა, ეს ნდობა გაექარწყლებინა. ძალიანაც კარგი - აკი ყველა ხიდი თავად ჩაანგრია და მოდი ეგონოს, თითქოს თავ-ფეხიანად მისი ერთგული ვარ! ჯერაც თოჯინების მხოლოდ დამწყებ დამთამაშებლად გრძნობდა თავს: ვერ გაერკვია, რომელი ძაფი საით მიდიოდა, რომელი რისთვის იყო...

- ვერაფრით ვეხმარები, - გამოუტყდა ჰალე. - თანაც, რაღაცნაირ გაურკვევლობაში ვარ, თითქოს მართლა რაღაც ბრალი მიმიძღოდეს მის წინაშე... ერთად ცხოვრება ვერ ავაწყვეთ და ამაში მხოლოდ საკუთარ თავს ვადანაშაულებ. აი, დედაჩემი კი მიბრაზდება, როცა ეგეთ რამეს ვამბობ.

თვითმფრინავში ჩაჯდომის წინ, ზედ გასასვლელთან, ალიცია ქალიშვილს ამუნათებდა: „არ მესმის," - უყვიროდა ტურისტებით, მათი ხელჩანთებითა და ცრემლმდინარე აზიელი დედიკოებით შემოჯარული. - „ახლა იმასაც იტყვი, არც მამაჩემის ცხოვრება ყოფილა საათივით აწყობილიო... საკონცენტრაციო ბანაკში მოხვედრა რა, მისი ბრალი იყო?! ამ საუკუნეში, ადამიანის ხასიათი აღარაა მისი ბედის განმსაზღვრელი - ეკონომიკა საზღვრავს ყველაფერს, იდეოლოგია, ომი... განა შიმშილს, გაზის კამერებს, ყუმბარებს რამეში ეკითხებათ, როგორ გაატარე შენი ცხოვრება? კრიზისის ხანა დგება თუ სიკვდილი მოდის, შენს ყოვლად უმნიშვნელო არსებას ამასთან არაფერი აქვს დასაპირისპირებელი!

სხვა რა გზა გაქვს, che sara, sara... შედეგებს უნდა შეეგუო. ეს შენი ჯაბრაილიც ერთი უბრალო ამბავია, ცხოვრებაში რომ შეგემთხვა“. ისევ იმ ძველ, ოტო კონის ქვრივისათვის შესაფერ, სამოსის მაღალ მოდას დაბრუნებოდა და იმგვარ მეტყველებას, შავ, ფარფლიან ქუდებსა და წელზე შემოტმასნილ კაბებს რომ უფრო ერგებოდა.

- კარგი დრო გაგეტარებინოს კალიფორნიაში, - დაუგდო ქალიშვილმა.

- ჩვენს შორის თუ მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს ბედნიერი, რატომ არა მე? - და ვიდრე ჰალე რაიმე პასუხს მოიფიქრებდა, იმან უკვე უბაჟო მაღაზიისკენ დააღირა თავი - შესაბამისად, თითო-თითო ბოთლ სუნამოსა და ჯინის შესაძენად...

საღამოვდებოდა, როცა უკვე უტყეო, მანანის ბუჩქებით დაფარულ ზეგანზე გავიდნენ. ერთხელ იყო, ოღონდ სხვა ქვეყანაში, სწორედ ასევე შეღამებულზე, მოულოდნელად პერსეპოლისის ნანგრევებს რომ მიადგა; ოღონდ ახლა პიროვნების ნარჩენებს უნდა მისდგომოდა და არა აღსატაცებლად, არამედ - მთლად მოსასპობად (თუმცა ბოროტის ჩადენის გადაწყვეტილება არასოდეს მიიღება წინასწარულად და არასოდეს არაა საბოლოო - ყოველთვის გეძლევა უკანდახევის შესაძლებლობა), ზედ ჯაბრაილის სხეულზე ამოსატვიფრავად: აქ იყო სალადინი.

- მერე, გაძალებთ ვინმე მასთან ყოფნას? - დაეკითხა და მისდა გასაკვირად, ქალი წამოწითლდა.

- რამე რომ იყოს, ხეირიანად არცკი გიცნობთ... - ჯერ თითქოს ენა დაებორკაო, მერე მაინც გააგრძელა. - კარგად გამიგეთ, სულაც არ მემაყება, ოღონდ... სექსი რომ არა... წარმოუდგენლად კარგად ვეწყობით ერთმანეთს - ეგეთი არასოდეს არავისთან მქონია. ზღაპარში მგონია ხოლმე თავი. იცით, ისე იქცევა, თითქოს მართლა იცოდეს, როდის რა... თითქოს ბოლომდე მცნობდეს.

გაჩუმდა. ღამის ბინდი გადაეფარა სახეზე, ჩამჩას კი ისევ ბოღმა შემოაწვა: აგერ ამას ზღაპარში გონია თავი, მე კიდე... პირი მაგრად მოკუმა და უნებურად, ენაც მოიკვნიტა.

ჰალესა და ჯაბრაილს ერთ პატარა სოფელში ეპოვათ თავშესაფარი - იმდენად პაწიაში, ერთი პაბიც კი არ იყო იქ. ძველ, განკვეთილ ეკლესიაში ცხოვრობდნენ - ჰაკეს რომელიღაც მეგობარ არქიტექტორს გვარიანი ქონება დაუგროვებია თურმე ამგვარი საეკლესიო სიძველეების საერო დანიშნულების შენობებად გადაკეთებით. თავიდან მეტისმეტად მრუმე ადგილად კი ეჩვენა, ქათქათა თეთრად შებეთქილი კედლების, ნიშებში შედგმული სანათებისა და ღუნღულა ნოხებით მოფენილი იატაკის მიუხედავად; ბაღშიც, ალაგ-ალაგ, საფლავების ქვებს ამოეყოთ თავი. ვერაფერი ნავსაყუდელია კაცისთვის, ვისაც პარანოიდალური აკვიატებები დაუდგინეს... მთავარანგელოზობას ჩემულობდა, ეგრე არაა? მანქანა რომ ეზოში დააყენეს, თავად ჯაბრაილი წინკარში გამოეგებათ, აჩრდილივით წამომართულიყო ოთახიდან გამოსული სინათლის ფონზე.

- მოხვედი, როგორც იქნა! იაარ, მაგრა გამახარე. კეთილი იყოს შენი ფეხი ამ საპატიმროში...

წამლებს თავისი გაეტანა და ჯაბრაილი აშკარად მძიმე-მძიმედ ირჯებოდა. სამზარეულოში, თითო ჭიქა ვისკი რომ დაწრუპეს ჰალემ და ჩამჩამ (ჯაბრაილმა ხაზგასმით უარი თქვა სასმელზე) ყავის ჭიქა გადმოუპირქვავდა, მერე კი კუთხეში მიყუდებულ იატაკის ჯოხს წამოედო და გემოზეც შეუკურთხა.

- ღმერთმანი, იაარ - რომ მცოდნოდა, ასე ცუდად წამივიდოდა საქმე, რაღაცას ვუზამდი საკუთარ თავს...

- მოკეტე! - მოულოდნელად, ყოვლად უხეშად გააწყვეტინა ჰალემ, მაგრამ ის თავისას მიერეკებოდა:

- ერთხელ ამ ქალს მოკვლაც კი დავუპირე, წარმოგიდგენია? ვიღაც ალქაჯი მეგონა თუ რაღაც ამდაგვარი... იცი რა შეუძლია კაცს, როცა სიგიჟე წამოუვლის და გონება ებინდება?

- კიდევ კარგი, უიარაღოდ თავდაცვის კურსები გავიარე... - ჩაეცინა ჰალეს. - ზედმეტებს იბრალებს, არ უნდა გამოტყდეს რომ იატაკზე გავადენინე ბრაგვანი!

- კი, ეგრე იყო... - მორჩილად დაეთანხმა ჯაბრაილიც.

არადა, ნოხის ქვეშ, იატაკი ქვის ფილებით იყო მოპირკეთებული.

- მაგრა გეტკინებოდა, - წაიბურტყუნა ჩამჩამ.

- შენ ეგა თქვი! - იყვირა რატომღაც უცებ მოხალისებულმა ჯაბრაილმა. - აბა რა გეგონა?! ადგილზევე გავითიშე.

შიგნით ეკლესია ორ ნაწილად გაეტიხრათ - დიდ, ორსართულიან (უძრავი ქონების აგენტის ენაზე: ორმაგმოცულობიან) მისაღებ ოთახად, წარსულში მრევლის თავშესაყრელი ალაგი რომ გახლდათ და ჩვეულებრივ სამოსახლოდ, სამზარეულოთი ქვემო სართულზე და საძინებლებითა და სააბაზანოებით - ზედაზე. შუაღამით, ძილგამფრთხალი ჩამჩა სასტუმრო ოთახში დაბოდიალობდა, განკვეთილ ქადაგთა აჩრდილებს დაყურადებული, ვიდრე ჯაბრაილი და ჰალე მაღალი დონის სიყვარულობანათი გახლდნენ დაკავებულნი. ისევე როგორც პამელა. სცადა მიშალასა ან ზინი ვაკილზე ეფიქრა, მაგრამ ამ ხრიკმაც არ გაჭრა. მერე ყურებზე აიფარა ხელები - ჰალელუია კონისა და ფარიშტას ურთიერთშერწყმის ხმიანობას რომ შებრძოლებოდა როგორმე. მათი ერთობა იმთავითვე დიდი ხიფათის შემცველ ამბად ჩანდა: ჯერ ჯაბრაილის მიერ ყველაფერზე უარის თქმა და ასე ნაჩქარევი გამგზავრება სამყაროს დასალიერზე, ახლა კი ჰალეს ეს თავდადება - როგორმე დაემარცხებინა ჯაბრაილის ავადობა, მისი ეს მთავარანგელოზური აკვიატება და კვლავ იმ ადამიანად ქცევა, რომელიც მართლა უყვარდა. არავითარი დათმობა: მანამდე ივლიან, სანამ წელში არ გადატყდება ორივე. ის კიდე, სალადინ ჩამჩა, თავის ყოფილ ცოლსა და მის საყვარელთან იცხოვ-

რებს ერთ ჭერქვეშ... და რომელი გზა ჯობს? კაპიტანი აჰაბი დაიღუპა, - შეახსენა საკუთარ თავს. - ყველაფერს კარგად მომრგები იშმაილი კი ერთადერთი იყო, ვინც გადარჩა.

* * *

მეორე დღეს ჯაბრაილმა ერთი ადგილობრივი „მწვერვალის“ დალაშქვრა აიჩემა. ჰალემ იუარა, თუმცა ჩამჩასთვის აშკარა იყო - თავისთავად ქალაქს მოცილება მას ერთ რამედ უღირდა.

- არ წაიღო ტვინი ამ ბრტყელტერფა დედაკაცმა! - ვითომ ლანძღავდა ჯაბრაილი. - წამო, სალათ-ჯან, ვაჩვენოთ ამ ევერესტზე ამბობღავს, როგორ უნდა ნაღდ მთებში სიარული! რა დღე დაგვიდგა, მე და ჩემმა ღმერთმა - ჩვენ მწვერვალზე ავდივართ, ეს კიდე აქ უნდა იჯდეს და ტელეფონით რაღაც საქმიან მოლაპარაკებებს ეწეოდეს...

სალადინის ფიქრები ერთი-ერთმანეთს უსწრებდა: ახლა კი მიხვდა, ასე უცნაურად რატომაც მიითრევდა ჰალე ფეხს იქ, შეპერთონში; რომ ამ მშვენიერ ადგილს გამომწყვდეულები, დიდხანს მაინც ვერ გასძლებდნენ და რა უნდა ექნა? არაფერი? თუკი შური უნდა ეძია - როგორ და რანაირად?

- აი, წაღები ამოიცვი, - ბრძანებლობდა ჯაბრაილი. - ნეტა ეს ოხერი წვიმა თუ გადაიღებს ოდესმე?

არ გადაიღო. წვერს რომ მიაღწიეს, ჯერ კიდევ ცრიდა.

- კარგია, მე არ მოგიკვდე! - ქოშინებდა ჯაბრაილი. - შეხე: ეგე იქა ზის, მორჭმით, დიადი პანჯარამი.

ეკლესიაყოფილზე მიათითა. ჩამჩას კი გული უფრიალებდა და საკუთარ თავს ჭკუას არიგებდა: გული თუ გაწუხებს, ასე ბრიყვულად არ უნდა იქცეოდე - რა ბედენაა წვიმიან დღეს ამ მეჭეჭზე

ამოსვლა და გულის შეტევით სიკვდილი?! დაგიფასებს ვინმე თუ რა? ამასობაში, ჯაბრაილმა საველე დურბინდი დააძრო ზურგჩანთიდან და არე-მარე მიათვალ-მოათვალიერა. ქვემოთ, დაბლობში, ორი თუ სამი კაცი დალანდა, რამდენიმე ძაღლი, პალოზე დაბმული ერთი კინკილა ცხვარი... ეგ იყო და ეგ.

- ახლა, მარტონი რომ დავრჩით, - უთხრა უცებ. - იმასაც მოგახსენებ თუ სინამდვილეში რატომ ჩამოვედით აქ, ამ გადაკარგულში. ყველაფერი იმის გამოა, იმ ქალის. კი, ეგრეა. რაღაცნაირად, სხვანაირად, მეტისმეტად ლამაზია! კაცები ბუზებივით ეხვევიან, მე მე არ ვიყო! სულ თვალწინ მიდგას ხოლმე, როგორ შეიძლება დაქერონ და თათები უფათურონ... მე უნდა დავიცვა, ეგრეა.

აი, ამან კი ნაღდად გაჭედა სალადინი. შე საცოდავო ნაბუშარო შენა, მართლა გადაგტრიალებია ტვინი... და უცებ, ამ ფიქრს მეორე დაედო ზემოდან: წამით არ იფიქრო, მაგის გამო რამე შეღავათი მოგცე...

* * *

რკინიგზის სადგურზე მისვლამდე, ჩამჩამ ის ამბავი ახსენა, სოფლები ჩანაგდებაო.

- სამუშაო არაა, - დაეთანხმა ჰალე. - ამიტომაც იცლება აქაურობა. ჯაბრაილი კი ვერაფრით აღიქვამს ამას სიღატაკის წინაპირობად: ასე ამბობს, ინდოეთის მოსახლეობის სიჭარბე რომ მახსენდება, აქაური სიცარიელე ფუფუნებად მეჩვენებაო...

- და თავად თქვენი სამუშაო? ეგ როგორღა?

გაუღიმა, ყინულის დედოფლის ქანდაკი თვალსა და ხელსშუა დნებოდა.

- კარგია რომ მკითხეთ. იქნებ ოდესმე ჩემი ცხოვრების მთავარ საყრდენადაც იქცეს - იმის მაგივრად, რასაც ეს ადგილი ახლა უკავია. ანდა... რაღაცნაირად, ძნელია აქ მრავლობითის ხმარება - ჩვენი ცხოვრების. ასე უკეთესია?

- ნება არ მისცეთ, თქვენსავე ცხოვრებას მოგწყვიტოთ, - უთხრა ჩამჩამ. - ჯამშიდს, საკუთარ სამყაროს... რა მნიშვნელობა აქვს, ყველაფერს.

ეს სწორედ ის წუთი იყო, როცა შეიძლებოდა ეთქვა, ომის ბილიკს დავადექიო.

- მართალი ხართ, - თავი დაუქნია ჰალემ. - არადა, რომ იცოდეს... ეს მისი მურაბა კაცი, სისოდია - იმისთანებს სჩადის...

-თქვენს შებმასაც ცდილობდა? - დაეკითხა, იქნებადა ესეც გამომადგეს სამომავლოდო.

- მაგისთანა უსირცხვილო არაფერი გენახოთ! - გაეცინა ჰალეს. - ჯაბრაილის ცხვირწინ... თან თავისას რომ ბუტბუტებს ხოლმე: მე-ე... მე არრაფერრი ისსეთი... ჯაბრაილისთვის რომ დამეფქვა ყველაფერი, რა ამბავს დააწევდა, წარმოგიდგენიათ?

ბაქანზე გასასვლელთან ჩამოსვა და ერთმანეთს დაემშვიდობნენ.

- ერთ-ორ კვირაში მაინც მოგვიწევს ლონდონს ჩამოსვლა, - გამოსძახა მანქანის ჩაწეული ფანჯრიდან. - შეხვედრები მაქვს დანიშნული. იქნებ მაშინ შეხვდეთ თქვენ და ჯაბრაილი ერთმანეთს? მისთვის მაინც კარგი იქნებოდა...

- ნებისმიერ დროს, - უთხრა და მანამდე გაჰყურებდა უკან მიმავალ სიტროენს, ვიდრე მოსახვევში თვალს არ მიეფარა.

* * *

ჰალე კონი, ყოვლად უნებურად, სალადინ ჩამჩას შურისგების იარაღად უნდა ქცეულიყო - ახლა უკვე ბევრად უფრო მარტივად დასაგეგმ ღონისძიებად, რაკიღა თავად ჯაბრაილს, ზედ ეტყობოდა, ერთი სული ჰქონდა მთლად გამოწვლილვით დაეხატა ჰალელუიასთან თავისი ლოგინად თანაზიარობის აღტკინება. არა, მაინც რა კაცი უნდა იყო, მთლად უცხო ვინმეს ამგვარი სიამით გადმოულაგო საყვარელ ქალთან შენი ხორციელი ურთიერთობის ამბები? მისი თეძოებშორისი სივრცე გინდა, შესაფერ დროს დაბინდული თვალები, მკვრივი დუნდულების ლამის სრულყოფილებამდე მისული მონახაზი, მიკნავებული ხმები, შიგადაშიგ რომ გამოსცემდა... ეს კაცი აშკარად ვერ იყო თავის ჭკუაზე. ან არადა - როგორც თავად ჰალე უმტკიცებდა - ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ჯაბრაილს ვინძლო აღარც ახსოვდა ხოლმე, რას სჩადიოდა ან ამბობდა, როცა - გარდაუვალი მონაცვლეობით - ციდან ძირს, ამ ცოდვილ მიწაზე ეშვებოდა ხოლმე.

გიჟსა თუ არც მთლად, ყოველ შემთხვევაში, - ასე ფიქრობდა სალადინი, - მთელი ეს სიტყვათმრუშობა სწორედაც რომ მათი „დიადი ლტოლვის“ სუსტ წერტილად შეიძლებოდა გაეაზრებინა. თუმცა, ცოდვა გამხელილი ჯობია და თავადაც უკვე სულ იოლად წარმოიდგენდა ხოლმე საკუთარ თავს, მის ფანჯრისქვეშ მდგომს, სანათის სუსტ შუქზე ჰალეს მთლად დედიშობილა სხეულის მაცქერალს...

ოღონდ იმას მაინც ახერხებდა, თავი მოეთოკა და გულისგულში, ესეგვარი წადილი სამარცხვინოდაც კი მიაჩნდა: წმინდა წყლის ვუაიერიზმი გახლდათ ეს ყველაფერი და სულაც არ აპირებდა, ამგვარ ქვეცნობიერ სურვილებს აყოლოდა.

ოღონდ ეგაა, ჯაბრაილის სექსუალური გადახრები ახლა ჩამჩას საქმეს უადვილებდა.

- მართლა მომხიბლავი ვინმეა, ნამდვილად. - თქვა ხმამაღლა და თავისდა გასაკვირად, ჯაბრაილი მთლად აილეწა სახეზე; ოღონდ მალევე ჩაწყნარდა, ხელი გადახვია თანამგზავრს და ნაძალადევი მხიარულებით აროხროხდა:

- მაპატიე, ჩემო მეგობარო! რა ვქნა, სულ მასზე ვფიქრობ... ბჰაი! შევეშვათ ამას, ამ მოციცქნულ პარკსაც შევეშვათ და ნამდვილ ქალაქს მივაშუროთ!

არის წამი, ბოროტებამდე იმ ერთი ნაბიჯის გადასადგმელად; მერე - კიდევ ერთი ჩნდება, როცა ის პირველი უკვე გადადგმულია და ყოველი შემდეგი, უფრო და უფრო დიდი ნაბიჯი, გეომეტრიული პროგრესიით უადვილდება კაცს.

- ბატონი ბრძანდები, - თქვა ჩამჩამ. - მიხარია, ასე კარგად რომ გამოიყურები.

6-7 წლის ბიჭუნამ ჩაუქროლათ, „ბაიკზე“ გადამჯდარმა. თვალი გააყოლა, ვიდრე გაფანჩულ ტოტებქვეშ, ფოთლებში გამომავალი მზის სხივების ათინათში არ მიიმალა. საკუთარი სიზმრის ასე თვალნათლივ ახდენამ ადგილზე გააშეშა ჩამჩა და ენის ქვეშ მწარე გემო დაუტოვა: შესაძლოს შეუძლებლობის განსახიერება.

ჯაბრაილი კი მშვენიერ ხასიათზე გახლდათ - ათასგვარ სისულელეს მიედ-მოედებოდა ლონდონსა და ზოგადად, ინგლისელებზე: საცა ჩამჩა ძირძველ, თუმც კი ფერგადასულ ბრწყინვალებას ჭვრეტდა, ის საფუძვლების მორყევასა და ჩაჟამებას ამჩნევდა მხოლოდ. ასე ვთქვათ, ქალაქი-რობინზონი, საკუთარი წარსულის კუნძულს რომ შერჩენია და ახლა ვიღაც-ვიღაც პარასკევების მეშვეობით ცდილობს, ძველი ადათ-წესები მაინც შეინარჩუნოს. აგე, ხახადაფჩენილი ქვის ლომების წინაშე, მტრედებს დასდევდა მოედანზე და გაჰყვიროდა:

- ღმერთს გეფიცები, ძმაო ჩამჩა, ამისთანა ხორციანები სხვაგან არსად მინახავს! მოდი, თითო მაინც წავიმძღვანიოთ სახლში, სადილად...

ამაზე სალადინ ჩამჩას ანგლოფილურ სულს სირცხვილისაგან ლამის ალმური მოსდებოდა. დაბოღმილმა, რატომღაც ის ამბავი გაახსენა ჯაბრაილს, როცა ლონდონის განთქმული ძვე-

ლი ბაზარი სხვა ალაგას გადაიტანეს, ვირთხების შემოსევით შეწუ-ხებულმა ქალაქის ხელისუფლებამ სანიაღვრეები გადაკეტა და ათიათასობით ვირთხა მოსპო. თუმცა, როგორც ამბობენ, ასობით კი მაინც გადარჩა და მომავალში, ესეც საკმარისი იქნებოდა...

- აჰა-ა, ახლა გასაგებია! - წამოიძახა იმანაც. - კუნძული კი არა, გემია, რომელიც იძირება! მოკლედ, ყველას საკუთარი მესტვირე-მესალამურე სჭირდება, ეგრეა? სულ ცეკვა-თამაშით რომ გაისტუმ-რო იმქვეყნად.

„მეც კარგი გაიძვერა აღმოვჩნდი, მიმი“, - გაიფიქრა ჩამჩამ. - „არადა, მკვლელობის ხელოვნებაც ეგრე მოითხოვს, ჯერ ახლოს, დანის გაწვდენაზე მოიტყუო მსხვერპლი...“

მალე ჰალელუია კონის ბინასაც მიადგნენ.

- სტრინდბერგმა, დრამატურგმა, - სასხვათაშორისოდ აღნიშნა ჩამჩამ, თითქოს საკუთარ ფიქრთა ქარავანს ადევნებიაო. - ორი უვარგისიქორწინების მერე, უკვე სახელგანთქმული ლამაზმანი, მსახიობი ქალი, ოცი წლის ჰარიეტ ბოსე შეირთო ცოლად. ახალგაზ-რდა მამაკაცები ხომ ჭკუას კარგავდნენ მასზე და სტრინდბერგმაც გარეკა - ისეთი ეჭვიანი გახდა, მეტი რომ არ შეიძლებოდა: ხან სახ-ლში გამოამწყვდევდა ხოლმე, ხან კიდე - სამოგზაუროდ წაყვანის მაგივრად - მოგზაურობაზე წიგნები მოჰქონდა მისთვის... აი, კლიფ რიჩარდის სიმღერაში როა: სადმე გამოგკეტავ, სულ ჩემთან იქნე-ბი...

ფარიშტამ მძიმედ დაუქნია თავი, მიგიხვდიო. ჩაფიქრებული ჩან-და.

- და რა მერე? - იკითხა ბოლოს.

- ქალმა მიატოვა, - ვითომ გულუბრყვილოდ დაუგდო ჩამჩამ. - ასე უთქვამს, ადამიანთა მოდგმასთან შენი შერიგება არ იქნებაო...

* * *

სახლში მომავალი ჰალელუია კონი დედამისის სტენფორდიდან (კალიფორნია) გამოგზავნილ, დადებითი ემოციებით აღსავსე უსტარს კითხულობდა: „თუ ვინმემ გითხრას, ბედნიერება მიუღწეველიაო, არ დაუჯერო და პირდაპირ ჩემთან გამოაგზავნე!“ - წერდა ალიცია მსხვილად მომრგვალებული, მარცხნივ წახრილი ასოებით. - „საკუთარ მაგალითზე დავუმტკიცებ - აკი ორჯერ გავბედნიერდი: ერთხელ როცა მამაშენს გავყევი და მეორეჯერ - აი ამ კეთილ, დიდსულოვან ადამიანს, სახეზე რომ იმ მწიფე ფორთოხლის ფერი ადევს, რომელიც აქ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჰყვავის... კმაყოფილება, ჰალე - ეს გრძნობა ნებისმიერ მღელვარებას ახშობს. სცადე და ნახავ თუ არა!“. მიმოიხედა და მორის უილსონის აჩრდილს ჰკიდა თვალი, ტანმაღალ თელას ზედ კენწეროზე რომ მოქცეოდა: იგივე ნაქსოვი სამოსი ეცვა და „+4“ დამღა ეკრა ზედ. რამე რომ იყოს, მეტისმეტად კი ჩათბუნებულიყო ამ ამინდში. „ახლა არ მცალია შენთვის“, - მიაძახა და იმანაც მარტო მხრებიღა აიჩეჩა. დავიცდი, არსად მეჩქარება.

ფეხები ისევ წამოსტკივდა. კბილი კბილს დააჭირა და გზა განაგრძო.

იმავე თელას ამოფარებული, რომლის წვერიდანაც მორის უილსონის აჩრდილი ფეხათრეული ნაბიჯით მიმავალ ჰალეს გასცქეროდა, სალადინ ჩამჩა ფარიშტას ადევნებდა თვალს, ვისაც ლოდინი მობეზრებოდა და ქალის ბინიდან ისევ გარეთ გამოსულიყო; თვალები ჩასწითლებოდა, მზერა აქეთ-იქით დაურბოდა, უაზროდ. ეჭვიანობის ავსულები შემოჯდომოდნენ მხრებზე, და იმავე ძველი სიმღერის სიტყვებს გაჰყვიროდა: სადეშმაკებში დაეხეტები, ჯოჯოხეთის ალი გწვავდეს უკუნისამდე-ე...

ხის კენწეროზე შემომჯდარი მეთვალყურე მეყვსეულად აორთქლდა; მეორემ - აი იმან, ხის ტანს რომ ამოფარებოდა, თავი გააქნია და დაჩრდილულ ხეივანს დაუყვა, სავსებით კმაყოფილი.

* * *

აი, ამის მერე კი ატყდა რეკვა ჰალესა და ჯაბრაილის ტელეფონებზე: ჯერ არც ისე ხშირი, თუმცა მალე უკვე იშვიათსაც ვეღარ დაარქმევდით; ამასთან, ხმებიც არ იყო ძაან განსხვავებული, მაგრამ მერე და მერე სრულიად სხვადასხვა გახდა. ამგვარი რეკვა არცთუ მთლად ისეთი ხანმოკლე გახლდათ, გამოჯეკილ სატელეფონო ხულიგნებს რომ სჩვევიათ, თუმცა არც საკმარისი, პოლიციას რომ ზარების წყარო დაედგინა. ისიც სათქმელია, მთელი ეს ამბავი არც ისე დიდხანს გაგრძელებულა, - სულ რაღაც ორიოდ კვირა და მერე სამუდამოდ შეწყდა, თუმცა ჯაბრაილ ფარიშტამ ეგეც ეყო - იგივე რამ იკისრა ჰალელუია კონის მიმართ, რაც ადრე სალადინ ჩამჩას მიმართ ჩაიდინა, ანუ - უპატიებელი საქციელი.

აღსანიშნია, რომ არც ჯაბრაილს, არც ჰალეს, არც პროფესიონალ ტექნიკოსებს, რომლებიც მათვე გამოიძახეს - ეჭვიც კი არ გასჩენიათ, თუ ეს სულ ერთი ადამიანის ნამოქმედარი გახლდათ; ოღონდ ერთ დროს და მხოლოდ გარკვეულ ვიწრო წრეებში „ათასხმიან კაცად“ ფართოდ ცნობილ სალადინ ჩამჩასთვის ამგვარი რამ სულ იოლად გასახერხებელი ამბავი იყო: იმ თავის ათასერთი ხმიდან სულ რაღაც 39 გამოიყენა და ეგეც საკმარისი აღმოჩნდა.

როცა ყურმილს ჰალე იღებდა, ვიღაც უცნობი მამაკაცების ხმები ჩაესმოდა - მთლად თეატრალური ჩურჩულით ეუბნებოდნენ ისეთ რამეებს, კაციშვილ უცხოს რომ არ შეიძლებოდა სცოდნოდა - სად რა ნიშანი ედო სხეულის ინტიმურ ადგილებზე, რა ხერხებს ირჩევდა

ლოგინში მამაკაცთან ურთიერთობისას... ახლა ვეღარც ვერავის აწოდებდა ყურმილს, თავად უნდა მდგარიყო და ეს ყველაფერი ესმინა სახეალეწილს, ბრაზისაგან აკანკალებულს, გაგონილის გამო გაოგნებულს; ხოლო ყოველი მისი ცდა, როგორმე გაეხანგრძლივებინა საუბარი - დამრეკის ადგილსამყოფელის დასადგენად, მარცხით მთავრდებოდა.

ჯაბრაილიც იღებდა თავის წილ ნერვების წყვეტას: ძირითადად, იმის თაობაზე ტრაბახს, თუ როგორ და რა ხერხებით აპირებდნენ, უახლოეს ხანებში, „ევერესტის დამპყრობის დაპყრობას“; ვიღაც ქუჩის ბიჭების უგვან ღადაობას, საუკეთესო მეგობრების ხმებს მიმსგავსებულ გაფრთხილებებსა და ვითომ თანაგრძნობის გამოხატულებებს: ჭკუას უხმე, როგორ იქცევი, მაგ ძუკნას მარტო ის აინტერესებს, შარვალში რამხელას მალავ და კეთილისმსურველის რჩევას მაინც უგდე ყური... ოღონდ მთელს ამ უხამსობებში ერთი ხმა კიდევ გამოირჩეოდა ყველასაგან - ვინმე გიჟ-პოეტას გულისმომწველი სიტყვები, მეტწილად ვითომ გარითმული და იმდენადვე ბრიყვული, რამდენადაც სხვებისა - რაღაც ხელმრუშობის მანიშნებელი უხეშობით აღსავსე.

მიყვარს ჩაი, მიყვარს ყავა მიყვარს კონის კოხტა გავა!

ეგრევე გადაეცი, - უთხრა ხმამ და ზარიც გათიშა. მეორედ - იგივე, სულ მცირედი სახეცვლილებით:

მიყვარს ჩაი, მიყვარს რძე,

ჰალეს ქერვა ლოგინზე!

არც ამის გადაცემა დაგავიწდეს, თუ გიყვარდე... - არადა, იყო რაღაც ამოუცნობი, მთლად ქვეშ-ქვეშა მთელს ამ თითქოსდა სრულიად უაზრო გადმორეკვებში!

და კიდევ - „პოეტის“ სულ ამ ერთგვარად „სამზარეულო“ თემებშიც:

ტკბილია ვით ბადაგი,

ჩემი ჰალეს ფათახი!

„უხ შენი!“ - ჯაბრაილმა ზიზღით დაახეთქა ყურმილი; ლამის ერთიანად კანკალს აეტანა. მერე ერთხანობა მელექსე რატომღაც, აღარ შეხმიანებია, ოღონდ ის უკვე მხოლოდ ამ ხმის გაგონების მოლოდინში იყო, თითქოს წინათგრძნობა ეუბნებოდა - სწორედ ესაა ის ნაღდი, შეუმღვრეველი ბოროტება, დაღუპვამდე რომ მიგიყვანსო.

* * *

ისე, რა მარტივი იყო ყველაფერი! რა მოხერხებულად, გემრიელად დაიბუდა ბოროტებამ ამ უსაზღვროდ დრეკად, დამყოლ სახმო სიმებში! თანაბრად, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე მისრიალებდა სატელეფონო ქსელში, მავთულებს მიუყვებოდა კარგი მუშაითივით, რა თავდაჯერებით ესაუბრებოდა თავის მსხვერპლს, რა იოლად ასურვა სალადინს ლექსაობის მუსიკობანი, რა დაუდევრად არჩევდა ხმებს - დაბალი თუ მაღალი ჟღერადობისას, მდორე თუ სხაპასხუპით მოლაპარაკეს, გესლიანსა თუ მხიარულს, ბრაზით სავსესა თუ უდარდელს... ერთიმეორის მიყოლებით ესხმებოდა ეს ბალღამი ყურში ჯაბრაილს, არსებულ სამყაროსთან კავშირს უჩლუნგებდა, თავის მატყუარა ბადეში ახვევდა, რათა გამოგონილ, ყოვლად უსირცხვილო ქალებს დაეჩრდილათ ის, გვერდით მყოფი; აკვარიუმის ძველი, ამღვრეული წყალივით გაედღაბნა მისი ხატება და ნელინელ, დაეშორებინა კიდეც. აი, მერე კი ის დროც დადგა, როცა ამ ეშმაკეულმა ლექსაობამაც თავისი შედეგი გამოიღო და ჯაბრაილიც მთლად გადააყენა ჭკუიდან.

* * *

ვარდი - წითელი, კოკორი - მოდიდო...

ერთი სული მაქ, ღრმად რომ შეგიდო!

წყობისად გადაეცით, თუ შეიძლება - ემანდ არაფერი შეგეშალოთ. აი, ასე დაბრუნდა, ორკვირიანი შესვენების შემდეგ, და გულ-მუცელი ამოუტრიალა. შიგადაშიგ, მათში რაღაც სასკოლო გათვლა-დაცინვების ექოც კი მოისმოდა:

გლორია და ჰალელუია!

შიგ ბაღნარში ამდგარი,

ფართოდფეხებგაშლილი და

ოთხით ტახტზე დამდგარი...

სულ ბოლო კი მაშინ გაისმა, როცა ჰალე საჯარო გაყიდვების ახალი დარბაზის გახსნაზე გახლდათ ჰაუნსლოუში და კი არ მიანიშნებდა, დაუფარავად ეუბნებოდა:

აქეთ ფიცარი, იქით ფიცარი,

ისე ვიხმარე, ვეღარც იცანი!

კარგად, ბრიყვუნი-ი!

და ყურმილიც დაუკიდა.

* * *

უკან მობრუნებულმა კონიმ აღმოაჩინა, რომ ჯაბრაილი სადღაც გამქრალიყო და გამოცარიელებული ბინის შეურაცხმყოფელ სიჩუმეში დაიფიცა - მაგის შინ შემომშვები მე აღარა ვარ, რაგინდარა მდგომარეობაში არ მომადგეს კარზე და თუნდაც სულ ხვეწნა-მუდარით აიკლოს აქაურობაო. შეურაცხყოფისთვის კიდე წყენაც დაუმატებია და წასვლის წინ ერთი მისი საყვარელი

სამახსოვროც კი არ დაუტოვებია მთელი: არც მუყაოს ჰიმალაები, არც ქვის მწვერვალები, ყინულის ევერესტიც კი გამოეღო საყინულედან და გაუდნო, ლოგინის ჩარდახად ხმარებული პარაშუტის აბრეშუმის ნაჭერიც კი ნაკუწ-ნაკუწ დაეფლითა და შერპა პემბას ნაბოძვარიც არ დაენდო - სამზარეულოში ნაპოვნი, ყინულის სამტვრევი პაწია წერაყინით დაეჩეხა... ალე-ბიბის. ამჯერად ბედმა გაგვიღიმა. მეტს ნუღარ ეცდები.

ფანჯრიდან გადაეკიდა და სიბნელეს მიაწყევლა:

- ცოცხლადაც დამწვარხარ, ნელ ცეცხლზე!

მერე, ატირებულმა, სალადინ ჩამჩას დაურეკა, ამ ცუდი ამბავის სათქმელად.

* * *

ღამის კლუბ „ცხელი ცვილის“, იმავე სახელწოდების ჩამწერი სტუდიისა და ჩასაბერ საკრავთა სახელდაგდებულ მაღაზია „შეუბერე!“-ს მფლობელი, ბ-ნი ჯონ მასლამა ფრიად დაკავებული კაცი გახლდათ, ამიტომაც მხოლოდ უზენაესის ნების ჩარევით ხსნიდა იმ ბედნიერ დამთხვევას, რომ სწორედ მაშინ აღმოჩნდა საკუთარ მაღაზიაში, რაწამსაც იქ მთავარანგელოზი დაეშვა ბუკ-ნაღარის ხმიერებითა და შარავანდედის მსგავსად, მისსავე კეთილშობილ იერსახეს შემოჭდობილი ელვა-ნათების თანხლებით.

პრაქტიკული ჭკუის მქონე საქმოსანი, ბ-ნი მასლამა უარს იყო, რეკლამის ფული გადაეხადა ჟურნალ-გაზეთებისათვის, ამიტომაც ყოვლად უჩუმრად, თავად აკრავდა ხოლმე ვიტრინაზე საღვთო და ცითმოვლენილი რაობის მადიდებელ საკუთარი საქონლის, სასულე საკრავთა ქება-დიდებასა და შიგადაშიგ, ფარშა-ვანგას სააგენტოს მიერ გავრცელებული განცხადებების მეშვეობით ამტკიცებდა -

ერთხელ უკვე დამედო პატივი პირადად მეხილა გარდამოსვლა მისი და დღე-დღეზე მის მეორედ მოსვლასაც მოველიო. ესე ყოველივე ჩინური გახლდათ იმ სამი მაღალ-მაღალი, შენელებული მოძრაობებით გამორჩეული ახალგაზრდა კაცისათვის, კონსულტანტებად რომ იხსენიებოდნენ მასლამას მაღაზიაში („ქალგამყიდველს აქ ვერ გავაჭაჭანებო," - გაიძახოდა ხუმრობაგაშვებით. - „ქალს ხმაურის ასატეხი ხელსაწყოსათვის რომელი ჭკუათმყოფელი გადაუხდის ფულს?!") და ამიტომაც, საკუთარ თვალებს არ უჯერებდნენ, როცა მაღაზიის მეპატრონე თავად გაექანა სრულიად ველური გამომეტყველების მქონე, წვერგაუპარსავი ვიღაც კაცისაკენ - არადა, მუდამ არმანის ფირმის ზედა-ქვედასა და ლაქგადასმულ, ორფერად მბზინავ ესპანური ტყავის ფეხსაცმელებში გამოწყობილი, რობერტ დე ნიროს მსგავსად უკან თმაგადავარცხნილი, დაბრიოლინებულთმიანი და წარბებმოქუშტული ბ-ნი მასლამაარანაირად არ გავდა ვინმე ვაჭრუკანას, ყოველ შემომსვლელს რომ ელაქუცება, მაგრამ ახლა - თავად მოვემსახურები ამ ბატონსო - დაუგდო სამივეს და წელში ორად მოხრილი, დათაფლული ხმით მიეგება შემოსულს. ეგეთი რამ გაგიგიათ?!

ასე იყო თუ ისე, კაცს გვარიანად გამობერილი ქამარი-საფულე შემოერტყა წელზე და დაუფიქრებლად მიაშურა სწორედაც რომ მაღალი ფასებით გამორჩეულ თაროებს. აი, ზუსტად ეგეთი მინდაო, - მიათითა საყვირს და ბ-ნი მასლამაც (მთლად დაუჯერებელი ამბავია!) თავად აფორთხდა მისადგმელ კიბეზე და მერე (აი, ამას მართლა აღარავინ დაიჯერებს!) ფულის გამორთმევაზეც კი უარს იყო!!! არა ბატონო, როგორ გეკადრებათ, რის ფული, რა ფულიო, - ოღონდ უცნობმა მაინც ჩაუჩურთა გულის გარეთა ჯიბეში, თითქოს ვიღაც ხელზე მოსამსახურე ბიჭთან ქონოდა საქმე, მერე იმ ვიღაც „კონსულტანტებს" მოუტრიალდა და

მთელი ხმით დასჭექა: ღვთის მარჯვენა ვარ! - ღმერთმანი, სანამ მართლა მეორედ მოსვლა არ დადგება, კაციშვილი ამას არ...

მერე - კიდევ უარესი: მასლამა მუხლებზე დაეცა, იმ შერეკილმა კიდე საყვირი აღაპყრო და დასძახა: და სახელი ამისა აზრაილ, ხმაი საბოლოო, მომსწყვედნი კაცთა! ჩვენ კიდე ვიდექით ასე, ქვადქცეულნი, ამ დაფშტვენილს კიდე თავზე ის რაღაც ნათელი ადგა - რა ქვია იმას? - ჰო, შარავანდედი.

ვინც რა უნდა თქვასო, - გაიძახოდნენ შემდგომში სამივე. - ოღონდ რომელი ვნახეთ, ვნახეთ.

3

დ-რ უჰურუ სიმბას, იგივე სილვესტრ რობერტსის სიკვდილი წინასწარი პატიმრობის საკანში წვრილად იქნა აღწერილი პოლიციის სამმართველოს საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრის, ვინმე სტივენ კინჩის მიერ, და დახასიათებული, როგორც „მილიონში ერთი შესაძლებლობიდან“ მომხდარი. თურმე ნუ იტყვით, დ-რ სიმბას იმისთანა ავსიზმრიანობა დასჩემებოდა, ერთხელაც იმისთანა ყვირილი აეტეხა ძილში, ორივე მორიგე ოფიცერი ერთად შევარდნია საკანში სწორედ იმ წამს, როცა ჯერ ისევ მძინარე, ლოგინიდან გადმოვარდნილა და კეფით დასკდომია შიშველ იატაკს. ორივე პოლიციელი იფიცებოდა - ძვლების ჭახანის ხმაც კი გავიგეთო... დ-რი სიმბა ადგილზევე გარდაცვლილიყო, გონსმოუსვლელად.

თავისი მეორე, უმცროსი შვილის პიკაპის ძარაზე შემომდგარმა, სამგლოვიარო პირბადეახდილმა, გარდაცვლილის შეუსაბამოდ ტანმორჩილმა დედამ სახალხოდ ესროლა ხელთათმანი ამ ყოვლად უგვანი ვერსიის ოფიციალურ განმსიტყვებელს და ხელისუფლების სხეულზე გაჩენილ სოკოს გამონაყარს შეადარა.

- ეს უნიფორმებში გამოკვართული ხალხი ჩვენზე უბრალოდ, ფსონებს ჩამოდის! - განუცხადა საპოლიციო უბნის წინ შეკრებილ, აღშფოთებულ ბრბოს. - აინტერესებთ ალბათ, საერთოდ გადავრჩებით თუ ვერა... და ახლა მითხარით, ეგენი თუ გვთვლიან ადამიანებად?!

რაც შეეხება თავად უჰურუ სიმბას ახლა უკვე ყოფილ დამცველს, ჰანიფ ჯონსონს, ისიც აძვრა დაღუპულის ძმის, უოლკოტ რობერტსის მანქანის ძარაზე და მართალია, ნაკლებ ემოციურად, მაგრამ მაინც მკვეთრად უარყოფითი და სარკასტული დამოკიდებულებაც კი გამოავლინა პოლიციის დასკვნის მიმართ: როგორც აღინიშნა, ვარდნა ქვედა საწოლიდან მომხდარა, ამსიმაღლიდან კაცის გადმოვარდნას კი ოდესმე სასიკვდილო შედეგი მოეტანოს, ლონდინის არცერთ საავადმყოფოში არ დასტურდებაო; ამას გარდა, ორადგილიან საკანში ერთადერთი პატიმრის გამოკეტვა, როცა ციხეები გადავსებულია, მეტად საეჭვო ამბად მეჩვენება - იქნებადა სულაც იმისთვის გაკეთდა, ამ ყოვლად უცნაური სიკვდილის მომსწრე სხვა არც არავინ ყოფილიყო, თავად მორიგე პოლიციელების გარდა და ყვირილს რაც შეეხება, ამისთანა რა უნდა დასიზმრებოდა, მეციხოვნეები შეეყარა მის ძახილს?! ვაითუ აქაც სულ სხვა მიზეზი იმალებაო... საბოლოოდ, ოფიციალური ვერსია მან სახელოვან რასისტ ჯონ კინგსლი რიდის გამონათქვამს შეადარა, როცა ვიღაც შავკანიანის სიკვდილის ამბავი გაიგო: „ერთს ეშველა, ახლა მილიონ სხვას უნდა მივხედოთ!“ ბრბო ბობოქრობდა; გარდაცვლილის ძმა, უოლკოტი კი გაიძახოდა: „გულს ნურავის ნუ მოგეშვებათ და ბრაზიც არავინ ჩაიცხროთ!“ მოკლედ, ცხელი დღე იდგა და ავისმომასწავებელი.

ზოგადად, გაზეთები გადაჭრელებული იყო გარდაცვლილის სანაქებო გამონათქვამებით მუამარ კადაფის, ჰომეინისა თუ ლუის ფარაჰანის მისამართით, მაშინ როცა ქუჩებში ახალგაზ-

რდობა საკუთარ რისხვის ცეცხლს სულს უბერავდა - უხილავ ალს, მაგრამ რომელსაც ნათლის დაჩრდილვაც იოლად შეეძლო.

ორი ღამე არ იყო გასული და „ბებრუხანების ამქნელმა“ ისევ გამოიღო ხელი, შემდეგ ღამეს - კიდევ ერთი მსხვერპლი... კინჩმა ახალი თეორია წამოაყენა: აქაოდა უჰურუ სიმბას მიმბაძველი გამოუჩნდა და ახლა პოლიციის შემადეგნლობის სულ მცირე, ორჯერ გაზრდა�ა საჭიროო; და რაკი ამის შესაძლებლობა არაა, ისღა დაგვრჩენია, კვირაძალზე დაგეგმილი საფეხბურთო მატჩები გადავიტანოთო. ამან ხო წარმოგიდგენიათ, რა ამბავი გამოიწვია როგორც ფერადკანიან, ეგრევე თეთრკანიან მოსახლეობაში! შანდაარ-კაფესა და პაგალ-ხანში ახალგაზრდები ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ და პანდა-რეიდების საწინააღმდეგო რაზმებს ქმნიდნენ. „ცხელ ცვილში“ პოლიციის დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის უსტაბაშის, მ-რ კინჩის ფიგურებს ამზადებდნენ დასაწვავად... მოკლედ, ნამდვილი ხვატი ხომ ისედაც იდგა და თერმომეტრებზე სიცხის მაჩვენებელი სინდიყი ახლა სულ უფრო მაღლა და მაღლა იწევდა.

შეხლა-შემოხლებსაც ბოლო არ უჩანდა: ხან შავკანიან მოსწავლეებს ესხმოდნენ ვიღაცეები თავს, ხან პაბებში ატყდებოდა აყალმაყალი; პოლიცია ცალკე აჭარბებდა თავის უფლება-მოვალეობებს და ცალკე - ვიღაც ფერადკანიანები უნომრო ფურგონიანი მანქანებით დაშლიგინობდნენ და საკუთარ „წესრიგს“ ამყარებდნენ.

და აი, ამ დროს, ამ ადუღებულ ქვაბში დაყვინა სწორედ ჯაბრაილ ფარიშტამ, ოქროს საყვირით ხელში.

* * *

იმავე შაბათ საღამოს, რვა საათისთვის, პამელა ჩამჩა და ჯამ-შიდ ჯოში - აქაოდა მარტოს ასეთ საქმეზე ვერ გაგიშვებო - ქუჩის კუთხეში იდგნენ და უოლკოტ რობერტსს ელოდნენ. ზუსტად ცხრის თხუთმეტზე ისიც მოვიდა, პიკაპში ჩასხა ორივე და დედა-მისის, ანტუანეტა რობერტსის გასაიდუმლოებულ ბინაზე მიიყვა-ნა, სადაც მის გარდა კიდევ სამი, ფრიად საეჭვო გარეგნობის რასტაფარი - აშკარად ნებსითი პირადი დაცვა იმყოფებოდა.

- ლიმონათი მიირთვით, - შესთავაზა პამელას დიდრონ, ძვე-ლებურ სავარძელში ლამის მთლად ჩაკარგულმა დიასახლისმა. - ბავშვისთვისაც კარგია, თუნდაც ჯერ ისევ მუცელში იყოს. მერე აცნობა, რომ მისი შვილის მკვლელობა, სავარაუდოდ, იმ ფარუ-ლი საქმიანობის გამო მოხდა, რომელსაც ერთი მათი საერთო ნაცნობი ეწეოდა. „ახლა კი გვინდა, ეს საქმე საჯარო გახდეს...“ - დაამატა და წითელი საქაღალდე გაუწოდა ჯამშიდს. - „ამ საბუ-თებით ცხადი ხდება, რამდენად აქვს ფესვები გადგმული ჯადო-მჩხიბაობის ცრურწმენებს ჩვენი პოლიციის გარკვეულ ეშელო-ნებში“.

უოლკოტი წამოდგა.

- წასვლის დროა, - თქვა.

პამელა აპირებდა, თანაგრძნობის ასეთ დროს საყოვეთაოდ მიღებული სიტყვები ეთქვა, მაგრამ დედა-რობერტსმა აღარ აცა-ლა:

- ჩემო გოგონა, ტყუილად ნუ დაიხარჯებით... ის უფრო გამი-ხარდება, ემაგ „ჯადოქრებზე მონადირეებს“ გრძელ ლურსმანს თუ გაურჭობთ შიგ გულში!

* * *

უოლკოტმა ისინი საზოგადოებრივ ურთიერთობათა ადგილობრივი საბჭოს შენობასთან მიიყვანა, სადაც მათ ეს ფეთქებადი შინაარსის მქონე საბუთები უნდა გადაემრავლებინათ ქსეროქსზე და საიმედო ხალხისთვის დაერიგებინათ.

ამ ამბიდან სულ რაღაც თხუთმეტი წუთით ადრე, ექვსი-შვიდი ბრგე სიქჰისაგან შემდგარი საპატრულო ჯგუფი ხიდს გადადიოდა თავიანთი უნომრო ფურგონით, როცა ხიდის ქვეშიდან განწირული ყვირილი შემოესმათ. დაუყოვნებლივ ჩაირბინეს იქ და ვიღაც ფერმკრთალ, საშუალო ხნის, ქერათმიან მამაკაცს გადააწყდნენ, გასისხლიანებული სკალპელისთვის რომ ვერაფრით გაეშვა ხელი. იქვე შორიახლოს, ხანმოთეული ქალბატონის ყელგამოჭრილი გვამი ეგდო. მამაკაცი იოლად შეიპყრეს - კაცმა რომ თქვას, არც არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია, ოღონდ ყველაფერი ისე არ დალაგდა, როგორც ხალხი იმედოვნებდა - პოლიცია არ აპირებდა მანიაკისათვის პირდაპირი ბრალდების წაყენებას, მოხალისე პატრულის წევრები კი დასაკითხად დააკავეს საგამოძიებო განყოფილებაში; ხმა დაირხა, აპირებენ, სულაც ჩაფარცხონ ეს საქმეო... ხალხი ქუჩებში გამოეფინა, ალაგ-ალაგ რაღაც შეხლა-შემოხლაც შეინიშნებოდა. ასევე, ადგილი ჰქონდა ქონების დაზიანებას: სამ კერძო ავტომანქანას შუშები ჩაუმსხვრიეს, ვიდეოტექნიკის ერთი მაღაზია გაძარცვეს, ერთი-ორგან ქვების მცირე წვიმაც წამოვიდა...

ცხადია, დედაქალაქის პოლიცია გულხელდაკრეფილი ვერ იჯდებოდა და შესაბამის უბნებში გაძლიერებული სპეცრაზმები მიავლინეს.

აი, ეგ დრო იყო, როცა სალადინ ჩამჩამ ჰალე კონის ბინაში სადილიც მიირთვა, ყალბი თანაგრძნობაც გამოუცხადა, ყოველგვარი თანადგომაც აღუთქვა მასპინძელს და გარეთ მიმდინარე ამბების სრულიად უცებმა, ღამეში გააბიჯა, იქ კი პირდაპირ მისკენ, მოძრავ კედლად მომავალი ჩაფხუტოსან-ფაროსან-ხელჯოხოსანი მთელი ასეული არ დალანდა! ეს კიდევ არაფერი - ცაში ვერტმფრენების

მთელი გუნდი რიალებდა, თქეშის მძიმე წვეთებივით რომ აფრქვევდა პროჟექტორების შუქს და დიდრონი, წითელი სახანძრო მანქანების ციმციმა შუქებმაც თვალი მოსჭრა... არა, რაღა გასაკვირი იყო, თუკი შინაგან ძახილს აჰყვა, ყოვლად უჭკუო გადაწყვეტილება მიიღო, გატრიალდა და მაინცა და მაინც შანდაარისაკენ გააჭენა?!

* * *

ტელეკამერები წამი-წამზე მომართეს „ცხელი ცვილის“ კლუბზე თავდასხმის ჟამს: პოლიციის ვერტმფრენი პროჟექტორის სხივებს აფსამს შენობას - სახელმწიფო რეპრესიული მანქანა მტრებს არ ინდობს... რომელიღაც არხის ახალი ამბების რედაქტორმა დროულად გადაიხადა ფული სანქცირებული აეროგადაღებებისთვის და ახლა ტელეკომპანიის კუთვნილ მეორე ვერტმფრენს ნამდვილი ვიდეონადირობა აქვს გამართული - ოღონდ ბრბოს ხმიანობა ძრავების გუგუნში ინთქმება და ფონიც ნამდვილად რომ არაშესაბამისია:

- ჩართვა, წავიდა!

ფეთქებად ნათებებში გახვეული ჟურნალისტი გაუჩერებლად ქაქანებს, მოიერიშე რაზმის დაჯავშნული ზურგებით საიმედოდ დაცული: რეზინის ტყვიები-„მოლოტოვის კოქტეილები“-ტრავმამიყენებული პოლიციელები-ბრანდსპოიტები-ძარცვა-გლეჯა - ჩვენ მხოლოდ შიშველი ფაქტებით ვიფარგლებით. ოღონდ ვიდეოკამერების თვალში მაინც ხვდება ის, რაზეც თავად ის სიტყვას არ ძრავს: კამერა მყიფე და იოლად გასანადგურებელი რამაა და ეგებ ამიტომაც - გამორჩეულად კირკიტა: ითხოვს წესრიგს, კანონის დაცვას, ოღონდ - იმავე კანონის ფარგლებში, ძა-

ლის გამოყენების არგადაჭარბებით! ასევე, ამავე მიზეზით და უძველესი სიბრძნის მიდევნით - სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, - შემოსაზღვრულ სივრცეში რჩება, შორიდან ადევნებს მოვლენებს თავის შუშის თვალს, ანუ - თავად არჩევს, ვისმხარეს დადგეს.

- კიდე ერთი ჩართვა!

ახლა სინათლის სხივი ჩაპუტკუნებულ, სახეალეწილ კაცს დაადგება და მორბენალი სტრიქონი გვაუწყებს, რომ ეს - არც მეტი, არც ნაკლები - პოლიციის დეპარტამენტის მთავარი განმსიტყვებელი, ინსპექტორის რანგში აყვანილი ბ-ნი სტივენ კინჩი გახლავთ და იმიტომაც გვიჩვენებენ, რომ ის დადებითი პირია, ამ საძნელო დავალების შესასრულებლად მოვლენილი - კაცი, ვით შეჰფერის კაცსა კაცობა - კარგი მეოჯახე და ლუდის დიდი კათხებით მსმელი... ასე ამბობს, დაუშვებელია ხალხის მასების აქეთ-იქით გადაადგილება, მაგრამ პოლიციას უკეთესი შეიარაღება სჭირდება - ხომ ხედავთ, რა იოლად ეკიდება დამცავ ფარებს ხულიგნური ელემენტების ხელით ნატყორცნი ცეცხლი! მერე ორგანიზებულ დამნაშავეობასა და ნარკოტიკებზეც ჩამოაგდებს სიტყვას და პირობასაც დებს, რომ სამართალდამცავები არავითარ შემთხვევაში არ მისცემენ ვინმეს ნებას, დამნაშავეობის ამ ტალღამ პოლიტიკური ელფერი შეიძინოს და ახლა სულ სხვა სიბრტყეში გადაინაცვლოს! „ჩვენ ვიცით ჩვენი საქმე!“ - ამბობს ინსპექტორი კინჩი და ყინჩად მიემართება სადღაც, წინ. ამ ბავშვებმა არ უწყიან, რაოდენ გაუღიმათ ბედმა - აფრიკა, აზია, კარიბის კუნძულები - აი, სადაა ნამდვილი პრობლემები, სად შეიძლება მართლა თანაუგრძნო ჩაგრულ ხალხს; ჩვენთან კი არაფერი ამისდაგვარი არ შეინიშნება - არც სისხლისღვრა, არც უმიზეზო დაკავებები და საკნებში პატიმრების წამება, არც სამხედრო გადატრიალებები... ხალხმა უნდა დააფასოს ის, რაც აქვს, ვიდრე თავად გათელავდეს ფეხქვეშ საკუთარ უფლებებს! ასეა ეს... მის უკან ვიდეოთვალი აალებულ ფანჯრებს ხედავს, საკაცეებს, სასწრაფო დახმარების მანქანებს, სისხლსა და ტკივილს. ეს ხალხი რა, საკუთარ სახ-

ლებს უკიდებს ცეცხლს?! ვიღაც-ვიღაცეები გამოყავთ, მთლად გაშეშებულები. „ეს მხოლოდ ცვილის ფიგურებია," - გვიხსნის ინსპექტორი. - „აქვე ამზადებენ და მერე საჯაროდ წვავენ... გართობის ერთი სახეა, თუმცა სახალისოს მე პირადად, ამაში ვერაფერს ვხედავ". იქნებადა რაღაც ჯადო-მჩხიბაობის ამბავი იმალება ყველაფერ ამის უკან? რაღაც შავბნელი, ავი წეს-ჩვეულებები? აბა რა გითხრათ... - მხრებს იჩეჩავს ინსპექტორი. - ყველაფერს დავადგენთ, გპირდებით!

და ყოველივე დაფარული გამოჩნდების.

- ჩართვა!

ახლა უკვე სტუდიაში ვინაცვლებთ. თოქ-შოუს თემა: „ბანდიტები და ბანდიტიზმი როგორც ასეთი". წამყვანი ცხარე დისკუსიის შთაბეჭდილებას გვიქმნის: ბანდიტები იყვნენ ბილი კიდიცა და ნედ კელიც, ოღონდ...

- ეს თანამედროვე სერიული მკვლელები, რამეთუ ასე ვთქვათ, ჰეროიკული განზომილების უქონლობას გრძნობენ, - ბრძანებს ყოველთა საქმეთა სათვალიანი ექსპერტი, - უბრალოდ, ავადმყოფი ხალხია, გახრწნილ-გარყვნილი, მხოლოდ აწმყო რომ ადარდებთ და ქვეყნის მომავლისკენ არც იხედებიან, მხოლოდ ის რომ უნდათ, ყურადღება მიიქციონ როგორმე და არაფრიდან თუნდაც წამიერად მანათობელ ვარსკვლავებად იქცნენ...

- ასე ვთქვათ, ad astra per aspera... - კვერს უკრავს მეორე, აშკარად დროზე ადრე გამელოტებული. - ანთუ შურისგების ნაცვალგება: საკუთარ სულში მოკლას ჯაფარა და ამით საკუთარივე სული ჩაიკლას!

- და ეს ჩვენი ჯეკ ყელისმჭრელი ვინღაა? იქნებადა სწორედ ერთი ამათგანია, ამ მოჯანყე ბრბოდან? - თავად რომ არ უწყის, იმდენად რიტორიკულ შეკითხვას სვამს წამყვანი და ვითომ გაფაციცებული, პასუხს ახლა ტელეჩართვაში მონაწილე მაღალჩი-

ნოსნისაგან მოელის. ის კიდე ეხლანდელი ახალგაზრდობის მატერიალისტურ მისწრაფებებზე ჩივის და ვიდეომაღაზიის გაძარცვის ფაქტზე გოდებს - ვაითუ რიგითი მომხმარებლის ჯიბეზე აისახოს ესე ყოველიო.

- ჩართვა, წავიდა!

ვიდეოთვალი მაღაზიის ვიტრინას უვლის გარშემო. იქ მართლაც, თუნდაც სარეკლამოდ გამოდებული აპარატურის აღარცერთი ნიმუში აღარაა. სამაგიეროდ, ცვილის ფიგურების ნაცვლად ახლა ცოცხალი ადამიანები გამოჰყავთ კლუბის კარიდან: „არმანის“ ფირმის შარვალ-კოსტუმში გამოწყობილი, დე ნიროს ალი-კვალი ვიღაც მამაკაცი, ერთიც უწლოვანი გოგონა, კიდევ ერთი, ოციოდე წლის ახალგაზრდა ალბინოსი... სახელები აღარ იწერება მორბენალ სტრიქონზე - ამათ არავინ იცნობს. ოღონდ ნელი-ნელ, სხვა ინფორმაციაც ჩნდება: კლუბის დი-ჯეი პინკვალასა და მის მეპატრონეს, ჯონ მასლამას, ნარკოტიკებით მსხვილმასშტაბიან ვაჭრობაში ედებათ ბრალი და მისივე ხელქვეითი, ჩასაბერი საკრავების ახლომდებარე მაღაზიაში მომუშავე ალბინოსი დადასტურებულია როგორც იმ ავტოფურგონის მფლობელი, რომელშიც დიდი რაოდენობით კრეკი, „ყავისფერი შაქარი“, ჰაშიში და კოკაინი აღმოაჩინეს, მოპარულ ვიდეომაგნიტოფონებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

რაც შეეხება უწლოვან ქალბატონს, ეს ანაჰიტა სუფიანი გახლავთ - ნასვამ მდგომარეობაშიც აღმოჩნდა, დაბოლილიცა და - როგორც ამბობენ - ერთ ამ სამთაგანთანაც ჰქონია ახლო სექსუალური კავშირი... მოკლედ, ცისარტყელას ფერებში იხატება ყველაფერიო - ხატოვნად მეტყველებს მავანი ჟურნალისტი პირდაპირ ეთერში.

ოღონდ ქუჩებში უკვე ხმა დაირხა: „ცვილი“ დაგვიწვეს და სიმბას ახლა პინკვალაც უნდათ რომ მიაყოლონ! მოკლედ, ემზადეთ ომისთვის!

ოღონდ სახელისუფლებო ვიდეოთვალი ამგვარ ადგილებს, როგორც წესი, არ მოიხილავს ხოლმე.

* * *

ჯაბრაილი:

კალთებგანიერ პალტოს შიგნით ჩამალული, აზრაილად სახელდებული საყვირით, თითქოსდა ზმანებებში მიმავალი, რამდენიმე დღის განმავლობაში უჭმელ-უსმელი, ქალაქის ქუჩებში უგზო-უკვლოდ მობოდიალეს, სიზმარ-ცხადის საუფლოთა საზღვრების აღქმა გაქრობია; თუმცა ის კი ესმის, რომ ახლა უკვე ყველგანმყოფობის გარკვეული უნარ-ჩვევები უნდა გამოემუშავებინა, რაკიღა თხრობის ერთდროულად რამდენიმე კალაპოტს მიუყვება: ჯაბრაილი, რომელიც რომ ჰალელუია კონის მიმართ ჩადენილ საკუთარ ღალატს ჭვრეტს და ის ჯაბრაილი, მომაკვდავი წინასწარმეტყველის სარეცელს რომ დასტრიალებს თავს; ასევე, ჯაბრაილი, რომელიც რომ ფარულად მიუყვება კუდში ზღვისგადაღმა მომლოცველთა სვლას, რათა საჭირო დროს მოევლინოს ყველას და ის ჯაბრაილი, დღითიდღე რომ უმძაფრდება მტრის წადილის შეგრძნება - კიდევ უფრო ახლო მიიზიდოს, საბედისწერო ხელისხვევნით ჩაიკრას გულში: დახვეწილი, ორკაპენიანი, მისივე ნაღდი მეგობრის, სალადინის სახის დამჩემებელი მტრის სურვილი - ყურადღება გაუფანტოს და სიფხიზლე მოუდუნოს... და კიდევ - ჯაბრაილი, რომელიც რომ ლონდონ-ქალაქის ქუჩებს მიუყვება, ღვთის ნების დასადგენად.

განა მართლა მისი რისხვის დამტარებლად უნდა იქცეს?

თუ - სიყვარულისა მისისა?

შურისგებაა იგი თუ - მიტევება? აღმოუღებელი უნდა დარჩეს მის ჯიბეში საყვირი იგი თუ უნდა ამოიღოის და ჩაჰბეროს მჭახედ?

(არავითარ მითითებებს მე არ ვიძლევი. თავადაც იმის გაგების წადილი მკლავს - რომელს ირჩევს? ბოლო-ბოლო, ეს ხომ ისევ საკუთარ თავთან ბრძოლაა და სხვა არაფერი: ხასიათი ბედისწერის წინააღმდეგ - ბრძოლა წესების გარეშე. შედეგს წმინდა ნოკაუტი, ხალიჩაზე ხელის ორი დარტყმა ან ზედიზედ ორი ვარდნა განსაზღვრავს).

იბრძვის კიდეც და მრავალი ამბის გავლით, თხრობის გმირი თავის გზას განაგრძობს.

ისეც ხდება, რომ ჰალელუიაზე შესტკივა ხოლმე გული, მისი სახელის ხსენებაზეც კი გული ეკუმშება; ოღონდ მერე იმ ეშმასეულ ლექსაობებსაც იხსენებს და ყოველგვარ თანალმობას მაშინვე უკუაგდებს. საყვირი ხმიანობას ითხოვს, მაგრამ თავს იკავებს. ჯერ არა, ჯერ არ დამდგარა დრო. სწორ გადაწყვეტას ეძიებს და ამასობაში, ქუჩებს მიუყვება.

რომელიღაც ღამისეულ ფანჯარაში ტელევიზორის გამოსახულებას დალანდავს - ვითომდა „თოქ-შოუების“ ცნობადი წამყვანი ქალი ყოვლად უმანკოდ ეკითხება ასევე ცნობად სახეს: თქვენის აზრით, რაა ამქვეყნად ყველაზე უსიამო? „ე-ე... აბა რა გითხრათ, ე-ეე... დიახ, დიახ - ახალ წელს მარტოდმარტო დარჩენა!“ როცა მართლა მხოლოდ საკუთარ თავთან ერთი-ერთზე აღმოჩნდები, სარკეში ჩაიხედავ და თავს ეკითხები: სულ ესაა რაც ხარ? - მარტოსული ჯაბრაილი, რომელმაც არც თვე უწყის, არც რიცხვი, გზას განაგრძობს. სარკეში კი მოწინააღმდეგე იგივე სიჩქარით უახლოვდება - ხელს უწვდის, უხმობს.

აი, ქალაქიც ხმას აწვდენს: სწორედ ამ მიდამოებშიო, - ეუბნება, - სულ რაღაც სამასიოდე წლის წინ, ჰოლანდიის მეფემ მოინდომა დასახლება; მაშინ აქაურობა ნამდვილი გარეუბანი იყო, ინგლისის მწვანე მინდორ-ველებს შორის ჩაფლული სოფელი. ოღონდ სასახლესთან ერთად, მერე და მერე აქ ჰოლანდიურ ყაიდაზე წვერწაწვე-

ტებული, აგურის სახლებიც გაჩნდა - მისი კარისკაცებისათვის. განა ყველა მიგრანტი უნიათოა - ჩურჩულებენ დღემდე შემორჩენილი შენობები; ისინი ახლაც კი საკუთარ ნებას ახვევენ თავს გარემოს, საკუთარ კავშირებს ამყარებენ ახალათვისებულ მიწებთან, საკუთარ წარმოდგენებს ქმნიან და აცოცხლებენ. ოღონდ ქალაქი გაფრთხილებს: უკუკავშირიც არსებობს - ერთ მშვენიერ დღეს, ამ თავის პარკებად ქცეულ სამფლობელოში რომ მიჭენაობდა (სწორედ იმ ადგილებში, რომლის ცივილიზებასაც ასე ესწრაფვოდა), უილიამ III ცხენმა გადმოაგდო, ცუდად დაეცა მიწაზე და ეს თავისი სამეფო კისერიც მოიტეხა...

შიგადაშიგ, მოარულ ცხედრებს შორის აღმოჩნდება ხოლმე - მიცვალებულების მთელ ბრბოში, უარს რომ იყვნენ ეღიარებინათ, ცოცხლებში აღარ ვწერივართო; თუმცა ჩვეულებრივ ადამიანებივით კი იქცეოდნენ - მაღაზიებში შეივლიდნენ, ავტობუსებში ადიოდნენ, თამბაქოს ეწეოდნენ, ქალები კაცებს ეკეკლუცებოდნენ, სახლში დაბრუნებულნი კი ლოგინში უწვებოდნენ თავიანთ მეორე ნახევრებს. მკვდრები ხართ, მკვდრები! - უყვირის. - თქვენ-თქვენს საფლავებს უნდა დაუბრუნდეთ, ზომბებო! ოღონდ ისინი ყურსაც არ იბერტყავენ, იცინიან, ანდა სულაც მუშტებს უღერებენ. ისიც ჩუმდება და გზას აგრძელებს.

ქალაქი რაღაც გაურკვეველი ხდება, ამორფული. ამა სამყაროს აღწერაც კი უკვე შეუძლებელია: მომლოცველობა, წინასწარმეტყველი, მოწინააღმდეგე - ყველა ერთმანეთს ერწყმის, ნისლში იკარგება, ხელახლა ჩნდება... ეტყობა, საქმეც ეგაა - ჰალელუია, ჰალ-ლათ. ზეციური ფრინველია ეგე, სასურველი. გაახსენდა: დიდი ხნის წინ ეუბნებოდა, ჯამშიდის თაობაზე: კრებულის შედგენა სურსო. ერთიანი წიგნის. ნებისმიერი წიგნი კი ეშმასთან გარიგების შედეგია, თავის დროზე ფაუსტთან დადებული ხელშეკრულების გადამღერება, - უთხრა მაშინ ჰალეს. დ-რმა ფაუსტმა მარადისობა გადაცვალა ორი ათეული წლის ზეობაზე;

ავტორი კი მთელი თავისი ცხოვრების დანგრევას თანხმდება და სამაგიეროდ (ისიც, თუკი ძაან გაუმართლებს) მარადისობას ვერა, მაგრამ იქნებ შთამომავლობის ხსოვნას მაინც გამოკრას ხელი. ნებისმიერ შემთხვევაში, ეშმა მოგებული რჩება.

და რას წერს პოეტი? ლექსებს. და ახლა რა გადაძახილ-გადმოძახილი ესმის ყურში ჯაბრაილს? ლექსები. და რამ გაუგლიჯა გული? ლექსებმა და ისევ ლექსებმა.

აზრაილი მოსძახის პალტოს ჯიბიდან: ამომიყვანე! კი-კი-კი: შანსიც ეგაა. თამაშში ჩამრთე, ფსონს ჩამოდი - ეს ხომ ისევე ადვილია, როგორც ტყუილი... წყალსა და მეწყერს წაუღია ყველაფერი - ტუჩები მოპრუწე, ლოყები დაბერე და შეუბერე! მაგრა გავერთობით.

ცხელა მაგრამ რა ცხელა: ბოლითა და ბუღით, აუტანლად. არაა, ეს ის კურთხეული ლონდონ-ქალაქი არაა, არა ეს უგვანობა. შეუკურთხა. ასაფრენი ბილიკი #1, ალფავილი, ბაბილო. ენების აღრევის მომსწრეა. ბაბილონი: სახეცვლილი ასირიული „ბაბილუ“ - ღვთის კარი. ბა-ბი-ლონ-დონ.

და სადაა რო?

გუდსუეი: ვითომც სიკეთის ქუჩა. თუ - ქუჩა კეთილი? ოხრად კეთილი გულები იწვართებიან კარებების წინ თუ ქუჩის სანათების ქვეშ, ათასერთ სიკეთეს გთავაზობენ... ხელჩანთებს მიიქნევენ, გამომწვევად; გრძელ-გრძელ ფეხებზე მოვერცხლილბადიანი, გამჭვირვალე წინდები ამოუცვამთ: არამარტო ცინცხალი საქონელია (13-15 წლისა), არამედ - ხელმისაწვდომად იაფიც. ყველა მათგანს სულ მოკლე-მოკლე, ერთმანეთის ტყუპისცალივით მიმსგავსებული მოსაყოლი აქვთ: სადღაც, ვიღაცასთან გაბარებული ჩვილები, პურიტანი მშობლების მიერ სახლიდან გამოძევება, თანაც - ყველა ფერადკანიანია. სუტენიორები მათი შემოსავლის 90%-ს იჯიბავენ. ბოლო-ბოლო, საქონელი - ეს მხოლოდ საქონელია, კარგი თუ - არც ისე.

ჯაბრაილს აქეთ-იქიდან გამოსძახებენ, ის კი ფეხს უჩქარებს. რა მესაქმება მათთან? გაძუკნებულები. ოღონდ მერე რაღაც ხმა ესმის - რაღაც უსიტყვო ვედრება სწვდება მის სმენას. შეჩერდება. მათ მიზიდულობას გრძნობს. უახლოვდებიან, სახეს იცვლიან, გადასხვაფერდებიან. მთლად ახლოით შემოჯარულნი, ახლა მუხლებზე ეშვებიან მის წინ. რაისთვი თაყვანისმცემთ მე? - ეკითხება და უნდა რომ დაამატოს: ადრეც მინახიხართ. სულ სხვა ადგილას, კრეტსაბმელს მიღმა. მაშინაც თორმეტნი იყავით... აიშა, ჰაფზა, რამლა, საუდა, ზეინაბ ბინთ ჯახში, ზეინაბ ბინთ ჰუზეიმა, მაიმუნა, საფია, ჯუვაირია, უმ სალამა მაჰზუმითი, რეიჰანა ურია და პირმშვენიერი მარიამ კოპტი. უხმოდ დგანან მუხლებზე, მათი სურვილები მისთვის უსიტყვოდაც გასაგებია. განა ანგელოზიც თოჯინა არაა? კატპუტლი, მარიონეტი. მართლმორწმუნენი თავის ნებაზე გვატარებენ. ჩვენ ბუნების ძალთა განსახიერება ვართ და ისინი - ჩვენი ბატონები. ქალბატონებიც. ფეხებში სისუსტე ჩაუდგა, სიცხე მატულობს, ყურებში გუგუნი უდგას. სულ ადვილად შეიძლება გულიც წაგივიდეს.

არა, არ წაუვა.

ის ახლა მუხლმოდრეკილი ბავშვების წრეში დგას, საკუთარ მეპატრონეებს რომ ელიან.

და როცა მოვლენ, ისიც ამოიღებს თავის მოუსვენარ საყვირს, ტუჩებზე მიიწეპებს და ჩაჰბერავს: აზრაილი, მომსწყვედნი კაცთა.

* * *

და როს საყვირიდან ცეცხლის ენები გადმოიფრქვევა, მოახლოებულ რამდენიმე კაცს ალში გაახვევს და ისე დაბუგავს,

ამათგან დანახშირებული ფეხსაცმელებიც კი აღარ რჩება ქვაფენილზე, ჯაბრაილს გონება უნათდება.

ახლა ისევ მიაბიჯებს, უკან კი მადლიერი კახპების ხმები მოსდევს. აზრაილი კვლავ ჯიბეს უბრუნდება. ყველაფერი დღესავით არის ნათელი...

ის მთავარანგელოზი ჯაბრაილია, ხარების ანგელოზი, მაცნე. გაცხადების ძალით მოსილი. ძალუძს მკერდი გადაუხსნას ქალსა თუ კაცს, მათი გულები ამოიღოს და იქ ფარული სურვილები ცხადად აქციოს. ისაა ნატვრათა აღმსრულებელი, ვნებათა დამაცხრობელი, ოცნებათა სინამდვილედ გარდამქმნელი. ის ლამპარის მონა ჯინია და მბრძანებელი მისი - ფრთოსანი როკი.

და რა სურვილები, რა განცდები რიალებს ღამისეულ ჰაერში? შეიყნოსავს. მერე თავს დააქნევს - დე ასე იყოს. კი, ნამდვილად. ცეცხლი. ერთ დროს ეს ქალაქი ერთხელ უკვე განიწმინდა ცეცხლით, ძირისძირამდე.

ცეცხლი და წუმწუმა, ზეცით გარდმომავალი. „ესაა რისხვა უფლისა!“ - მშფოთვარე ღამეს გასძახის ჯაბრაილი. - „აი ხალხი იგი, რომელთა მიეცემათ სურვილთა მათთა აღსრულება, და სურვილნივე შთანთქავენ მათ!“

ირგვლივ სულ შეუხედავი მრავალსართულიანი შენობები გარშემორტყმიან. ყველა ზანგი თეთრკანიანის განავალში უნდა იჯდეს?! - სრულიად რიტორიკულად კითხულობს ფერადი წარწერა კედელზე. ამ ნაგებობებს სახელებიც კი აქვთ - ისანდლვანა, მაგალითად. თუმცა, ახლა უკვე გადაურქმევიათ და სადარბაზოს კარსაც „მანდელა“ აწერია.

სახლები ბეტონის ხიმინჯებზე დგას და ამ დარჩენილ ცარიელ სივრცეში ქარი დაშლიგინებს - აქეთ-იქით ყრის რაღაც ნარჩენებსა და ნაგავს: თეფშების ნატეხებს, ველოსიპედის დაგლეჯილ საბურავს, დამტვრეული კარიდან ფიცრიანად ამოგლეჯილ სახელურს, თოჯინას მოტეხილ ფეხს, სანაგვე ყუთებიდან უპატრონო, დამშეული

კატა-ძაღლების მიერ ამოთრეულ ხილ-ბოსტნეულის ანათალებს, კონსერვის ცარიელ ქილას, დამსხვრეულ კარიერას, დაკარგულ იმედს, ჩაკლულ სულს, გამქრალ ოცნებას, შიშის მთელს კონასა და პაწია დაჟანგულ აბაზანას. ჯაბრაილი არცკი განძრეულა, როცა მოსახლეთა პატარ-პატარა ჯგუფებმა ჩაუქროლეს მარჯვნიდან მარცხნივ და მერე - პირუკუ. ზოგი, ვისაც ხელში რა მოჰყვა, იმით შეიარაღებულიყო: კეტი, დანა, ბოთლი. ყველა ჯგუფი - ფერადკანიანებისა და თეთრკანიანების ერთგვარი ნაზავი.

ისიც საყვირს ამოიღებს და ჩაბერავს.

გაშლილი ვარდივით იფურჩქნება ბეტონის საფარზე ცეცხლის ალი,სანაგვეზე გადაყრილ ნივთებსა და ოცნებებსაც ალისფერი ენები ედება; აი, შურის არცთუისე პატარა გროვა კი მწვანედ იწვის. საერთოდ, ყველაფერს თავისი ფერის ცეცხლი ენთება და განათუ ყველა საჭიროებს სახმილს: მაგალითად, პატარ-პატარა ცეცხლოვანი ყვავილები, იგივე ბეტონზე რომ ამოზრდილან - არც საწვავს ითხოვენ და არც ფესვებს იდგამენ. ერთმანეთში გადახლართული ცეცხლოვანი ქიმერების ეს ბაღი ახლა იმ ეკლოვან ტყეს ემსგავსება, დიდი ხნის წინ, სულ სხვა ზღაპარში რომ შემორტყმოდა მძინარე მზეთუნახავის ციხე-დარბაზს.

ოღონდ აქ არავითარი მზეთუნახავი არაა, არც მძინარე და არც გამოღვიძებული. მხოლოდ ჯაბრაილ ფარიშტა, ცეცხლის სამყაროში რომ მიაბიჯებს. მერე იმავე ცეცხლისაგან ნაგებ მთელ შენობებსაც ხედავს, ცეცხლის კედლებითა და ცეცხლისავე ფარდებით ფანჯრებზე; ხალხსაც ცეცხლი წაჰკიდებია და მის გარშემო მიმორბიან, აალებულები. თავად ქუჩაც კი ცეცხლის ქვაფენილითაა დაგებული, აქ უკვე - სისხლისფერი ცეცხლის. ყველაფერი ალშია გახვეული, ის კი საყვირს უბერავს და ხალხს სწორედ იმას აძლევს, რაც მათ სურთ - თმებსა და კბილებზეც კი

ყველას ცეცხლი უკიდია, შუშა ლღვება, ხოლო ცაში ფრთებაალებული ჩიტები დაფრინავენ.

გრძნობს, მტერი უკვე სულ ახლოსაა. ის მაგნიტია, მორევის თვალი, შავი ხვრელის შუაგული, მის მიზიდულობის ძალას ვერც ჯაბრაილი და ვერც თავად სინათლის სხივი ვერ გაექცევა... აქეთ, - გაიძახის. - აქა ვარ!

არა სასახლე, არამედ უბრალოდ, კაფე; ზედა სართულზე კი არა მძინარე მზეთუნახავი, არამედ ერთი უბრალო, ბოლნაყლაპი ქალი წევს, უგონოდ; გვერდით ქმარი უწევს, ასევე გონსარმყოფი - ეს მექადან მობრუნებული მომლოცველი, ყოფილი სკოლის მასწავლებელი, სუფიანია. შანდაარის ფანჯრებიდან უსახო ადამიანები იცქირებიან, ხელებს იქნევენ, აშკარად რომ შველას ითხოვენ, მაგრამ ხმასაც ვერ იღებს ვერავინ - პირები არ გააჩნიათ და იმიტომ.

ცისკიდურზე მტერი გამოჩნდა!

სწორედ ისაა, ალმოდებულ შანდაარ-კაფეს ფონზე!

აზრაილი დაუკითხავად, თავისით უხტება ფარიშტას ხელებში.

მთავარანგელოზსაც კი ეწვევა ხოლმე გამოცხადება, და როცა ჯაბრაილი მეყვსეულად იჭერს სალადინ ჩამჩას გამოხედვას, ამ უსასრულო და წამიერი გამონათებისას თითქოს თვალებიდან ბინდი ეცლება - საკუთარ თავს ხედავს, მასთან ერთად, ფეხაწყობილნი რომ მიაბიჯებდნენ და ისიც ჰალელუია კონისთან ლოგინში თავის ცუღლუტობების ამბებს უყვებოდა, გამოწვლილვით... მერე კი ეს ამბები ყურმილში ესმოდა, უკვე ჩურჩულით მონაყოლი, სწორედ იმ ნიჭის წყალობით, ათას სხვადასხვა ხმად რომ შეეძლო ქცევა, და ახლა, ბოლოს და ბოლოს, ხვდება რომ მტერს უბრალოდ ჩამჩას იერი კი არ მიუღია, შესანიღბად, არამედ - ჯოჯოხეთის დესპანს შეუპყრია იგი: ახლა ბოროტება რაღაც გარეგანი მოვლენა კი აღარ იყო სალადინისათვის, არამედ - სრულიად მისი ბუნება, მეტასტაზებივით რომ ედებოდა მისივე არსის ყოველ კუთხე-კუნჭულს, ყოველივე კეთილს რომ უსპობდა და სულს რომ ხდიდა; ახლა სალადინში აღარც არა-

ფერი დარჩენილიყო, შავბნელი ალის გარდა, რომელიც ისევე ნთქავდა მას, როგორც ის მეორე, მთელს ქალაქს რომ მოდებოდა: „უსაშინლესი, უბოროტესი, წყეული ცეცხლი - უბრალო, ჩვეულებრივი ალის ნათებასთან რომ არაფერი ქონდა საერთო“.

ცეცხლი თაღად წამომართულიყო ქალაქის თავზე. სალადინ ჩამჩა, მტერი, იგივე ბებერი ჩამიჩა ჩამჩა, შანდაარ-კაფეს კარის ღიობში გაუჩინარდა. ეგე, შავი ხვრელის ფაშვი! ცისკიდური იხურება მის გარშემო, ყველა სხვა შესაძლებლობა ქრება, სამყარო ამ ერთ პაწია წერტილად იკუმშება. დიდი აფეთქების ჩამბერავი, ჯაბრაილიც თავის საყვირიანად ინთქმება იმავე კარის სიბნელეში.

* * *

სპიტლბრიკის რაიონის საზოგადოებრივ ურთიერთობათა საბჭოს შენობა ერთსართულიანი, დიდი უგვანი შესახედაობის რამ გახლდათ, ტყვიაგაუმტარი ფანჯრებით - 60-იან წლებში ჩადგმული ნამდვილი ბუნკერი. შიგაც მთლად ასე ადვილად ვერ მოხვდებოდით: შესასვლელი რადიოფიცირებული იყო, დერეფნის ბოლოს მეორე, ასევე საიმედოდ ჩაკლიტული კარი დაგხვდებოდათ და სიგნალიზაციაც საიმედო ეყენა. ოღონდ საქმეც ეგაა, რომ როგორც შემდგომ აღმოჩნდა, იმ დღეს საერთოდ გაეთიშათ იმ ორს: ქალსა და კაცს, საკუთარი გასაღებები რომ მოერგოთ ორივე კარისთვის. ოფიციალური ვერსიის თანახმად, ეს ხალხი ერთგვარ „შიდა დივერსიული“ ხასიათის ოპერაციას ატარებდა, რაკიღა, როგორც გაირკვა, ქალი სწორედ იმ განყოფილებაში მუშაობდა, სადაც დაიღუპა კიდეც. მიზანი მათი გაურკვეველი დარჩა და თუკი გავითვალისწინებთ, რომ ბოროტმოქმედნი ცეც-

ხლში დაიხრუკნენ, ძნელი სავარაუდო გახლდათ, როდესმე გამომზეურებულიყო რამე. მოკლედ, ეს ყველაფერი რაღაც „საკუთარ კარში გოლის გატანას“ უფრო გავდა.

მძიმე ამბავი კი იყო: ყველაფერს ისიც ემატებოდა, დაღუპული ქალი რომ რამდენიმე თვის ფეხმძიმე აღმოჩნდა.

ინსპექტორი სტივენ კინჩი უშუალო კავშირს ხედავდა აქ გაჩენილ ხანძარსა და შანდაარ-კაფეს გადაბუგვას შორის, სადაც ამ ქალის თანამზრახველი მამაკაცი თითქმის მუდმივად სახლობდა. სავარაუდოდო, - აცხადებდა ინსპექტორი, - სწორედ ეს პიროვნება იქნებოდა მთავარი ბოროტმოქმედი, ქალს კიდე -მის საყვარელს, რომელიც ოფიციალურად ჯერაც სხვა კაცის ცოლი გახლდათ - მხოლოდ და მხოლოდ მოტყუებული მსხვერპლის როლი ერგოო. არც პოლიტიკური მიზნების მთლად უარყოფა იქნებოდა მართებული, რადგან, როგორც გაირკვა, ორივენი თავიანთი რადიკალური შეხედულებებით იყვნენ ცნობილნი, ოღონდ ამის რაიმე დამამტკიცებელი საბუთის გამოჩხრეკა ვერა და ვერ მოხერხდა. ან იქნებ - და არც ეს იყო გამორიცხული - კაცი უბრალოდ, დაქირავებული ვინმე გახლდათ და შანდაარ-კაფე სულაც მისი აწ გარდაცვლილი მფლობელების დაკვეთით გადაწვა - დაზღვევის თანხის მისათვისებლად? ხოლო სუს შენობას მერე უკვე მისი საყვარლის თხოვნით შეუკეთა ცეცხლი - ასე ვთქვათ, რაღაც შიდასაოფისე უთანხმოების მიზეზით?

ის, რომ ხანძარი წინასწარგანზრახული ბოროტქმედება იყო, ეჭვს არ იწვევდა: სათავსოებში ოხრად ბენზინი მიმოესხათ, ხოლო ფოტოასლების გადასაღებ ოთახში ნაპოვნი ცხედრები ისეთ დღეში იყო, დანტისტის დახმარების გარეშე, ვერც მათი ამოცნობა მოხერხდებოდა. „ჯერ-ჯერობით, ესაა სულ“. - დასტურჰყო ინსპექტორმა კინჩმა.

ოღონდ აი, მე კი ბევრად მეტის თქმა შემიძლია.

ყოველ შემთხვევაში, შეკითხვები მაინც ერთზე მეტი მაქვს: მაგალითად, იმის თაობაზე თუ ვინ იყო ის ხალხი, ფურგონიანი მერსედე-

სით რომ ედგნენ კვალში ჯერ უოლკოტ რობერტსის პიკაპს, მერე კი პამელა ჩამჩას საყვარელ MG-ს? სწორედ მათ, ჰელოუინის ნიღბებით სახეებდაფარულებმა აიძულეს პამელა, ისინი ოფისში შეეშვა და მერე რა მოხდა იქ? და რაც მთავარია, რა იქნა ის წითელი საქაღალდე, თავის საბუთებიანად?

ჰეი, მისტერ კინჩ, აქა ხართ?

არა, წასულა. ერთი პასუხიც კი არ მაღირსა ამდენ შეკითხვაზე.

* * *

აი ეს კი ბ-ნი სალადინ ჩამჩა გახლავთ, პირადად: აქლემის ბეწვით გაწყობილი პალტო მოსავს და ახალბედა ჯიბის ქურდივით მიიძურწება ქუჩაში. ეს სწორედ ის სალადინ ჩამჩაა, მთელი საღამო რომ გონებაამღვრეულ ჰალელუია კონისთან ერთად გაატარა და არც რამ სინდისის ქენჯნას არ შეუწუხებია. „მე ფეხებზე დავყურებ, მაგრამ ვერ ვამჩნევ ნიშანს ეშმაკისას... სტყუიან თურმე...“ - თქვა ოტელომ იაგოს თაობაზე. თუმცა, რაიმე ნიშანი არც ჩამჩას ადევს - მისი ადამიანური იერსახე სავსებით საკმარისი საბუთია მისივე ქმედებებისათვის: ის დაანგრია, რაც არ უნდა არსებულიყო და ვერც იარსებებდა - შურისგება არჩია, ღალატისთვის ღალატითვე საპასუხოდ და ეს მტრის სუსტი წერტილის გამოყენებით მოახერხა, შიგ აქილევსის ქუსლში ჰკრა შხამიანი ისარი. ესაა სწორედ სამართალი, გულზე მალამოდ რომ ეფონება. ახლა კი მირბის, სიავისა და შემთხვევითობებით სავსე სამყაროში, სადაც ყველაფერი გაწონასწორებულია. რომელიღაც სახლი კი იწვის.

ბუმ-ბუმ - ისევ ბაგაბუგი გაჰქონდა გულს. - ბუმ-ბუმ-ბუმ!

მერე ალმოდებულ შანდაარს ჰკიდა თვალი და ადგილზევე გაშეშდა. სუნთქვაც კი შეეკრა - დუმ... დუმ-დუმ... და მარცხენა ხელში დაუარა ტკივილმა. ყურადღებას არ აქცევს, ხანძარს შესცქერის.

და ჯაბრაილსაც ხედავს, მოშორებით.

და თავს დააღირებს და შიგნით შერბის.

- მიშალა! სუფიან! ჰინდ! - გაჰყვირის ბოროტიანი ბ-ნი ჩამჩა.

პირველ სართულს ჯერაც არ მოსდებია ცეცხლი. კიბეს ეცა და გავარვარებული, მოშხამული ჰაერის ტალღა აგდებს უკან. გველეშაპის ამონასუნთქი, - გაუელვა თავში. ირგვლივ ცეცხლის ენები შიშინებს, იატაკიდან ჭერამდე. ბიჯსაც ვერ დგამს წინ.

- ხა-ართ მანდ ვინმე? - ყვირის. - არი ვინმე ცოცხალი?

ოღონდ გველეშაპი ღრიალს უმატებს და მის ხმას ფარავს.

რაღაც ეტაკა მკერდში, ზურგზე დააგდო, იატაკზე, ცარიელ მაგიდებს შორის. დუნ-ბედი დუმ-ბედი დუმ... გული მღერის. ეგეც შენ, ეგეც შენ.

მის თავსზემოთ რაღაც ხმაური მოისმის, მილიარდობით მღრღნელთა თათების ტყაპატყუპის მსგავსი, წარმოსახვით მესტვირეს რომ მისდევენ. ზემოთ იყურება: ჭერს უკვე ერთიანად მოსდებია ცეცხლი. გრძნობს, წამოდგომა აღარ შეუძლია. უცბად, ჭერს მთელი ერთი დირე მოსწყდება და ხედავს, პირდაპირ მასზე მოდის. ხელებს მაღლა წევს, ვითომ თავდასაცავად. ოღონდ ხის ეს მძიმე ნაჭერი ორივე ხელს გადაუმტვრევს და ერთიანად გააკრავს იატაკს. მკერდი გაუსაძლისი ტკივილით ევსება. სუნთქვა უჭირს. ხმასაც ვერ იღებს. ბ-ნი 1001, სალადინ ჩამჩა, და ამ ათასხმიან კაცს ახლა ის ერთიც აღარ შერჩენია, საშველად მაინც უხმოს ვინმეს.

ჯაბრაილ ფარიშტა, აზრაილით ხელში, შანდაარ-კაფეში შემოაბიჯებს.

* * *

რა ხდება, როცა იმარჯვებ?

როცა შენი მტრები შენსავე მოწყალების იმედადღა არიან? მაშინ რას იზამ? დათმობა - სუსტთა ხვედრია; ეს კი ძლიერთა გამოცდაა.

- სალათ-ბაბა, - ჯაბრაილი მისკენ იხრება. - მაგრა გამაცუცურაკე, აი! მართლა მაგარი ხარ.

ჩამჩა თვალებში შეჰყურებს და ხვდება, იმან ყველაფერი იცის.

- შ-შ... - რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ ტუჩები არ ემორჩილება. ახლა რას იზამ?

ცეცხლი ახლა უკვე წვიმად მოდის ძირს.

- რა ძალა გადგა? - ამბობს ჯაბრაილი, მერე კი ხელის ერთი აქნევით იცილებს საკუთარ შეკითხვას. - სისულელეა! გინდაც ის მეკითხა, აქ რა ძალამ შემოგაგდოო... ძაან სულელური საქციელი იყო, ნამდვილად. ადამიანურიო, გინდა მითხრა, ბ-ნო ჩამჩა? მერე, მაგათ რა ჭკუა მოეთხოვებათ?

ცეცხლი ახლა ყველგანაა, მათ გარშემო. მალე სულაც მოწყდებიან გარე სამყაროს, ციცქნა კუნძულზე დარჩებიან ხანძრის ამ ოკეანეში. ჩამჩას ისევ რაღაც ეტაკა მკერდში, შეფართხალდა. სამი სიკვდილი ერთად ადგას თავს - აგუზგუზებული ცეცხლი, „ბუნებრივი მიზეზებით“ გამოწვეული მიზეზ-შედეგობრივი მოვლენა და - თავად ჯაბრაილი. მართლა ხავსს ეჭიდება, იძაბება, მაგრამ მხოლოდ რაღაც ყრანტალი ამოსდის ხახიდან.

- მა... პპტტ... ეე... მაპატიე. - შშ...ეე...ბრლ-ე... შემიბრალე.

მაგიდების გადასაფარებლებს ცეცხლი მოსდებია, მაშხალებივით ბრიალებს. ზემოდან ხის ალმოდებული ნატეხები ცვივა. ჯაბრაილი თითქოს გაითიშაო, ერთსა და იმავეს იმეორებს, გაუთავებლად: „რა ჭკუა მოეთხოვებათ... სადა აქ ადამიანს ჭკუა?“

იქნებადა ბოროტება არც არასოდეს ყოფილა ყოვლისმომცველი, იქნებადა მისი გამარჯვება, თუნდაც შთამბეჭდავზე-შთამბეჭდავი, აროდეს ყოფილა სრული?

აბა ერთი, ამას დაცემული კაცის თვალთახედვითაც გავხედოთ: აკი ცდილობდა, ყოვლად დაუნანებლად, სხვა ადამიანის გონება აემღვრია და ამისათვის ყველა ღირსებით შემკულ ქალს იყენებდა (ნაწილობრივ მაინც) იმიტომ, რომ აღუსრულებელ და პირწმინდად ვუაიერისტულ ლტოლვას გრძნობდა მისდამი. არადა, სწორედ იგივე ადამიანმა საკუთარი სიცოცხლე შეაგდო სასწორზე - უყოყმანოდ, სრულიად უიმედო მცდელობაში, ვინმე მაინც გადაერჩინა.

და რა მერე?

ახლა ორივე ცეცხლის წრეშია მოქცეული, გარშემო ბოლი და ჭვარტლია, მათი დაღუპვა სრულიად გარდაუვალი ჩანს. რაღაც უფრო მნიშვნელოვანი საკითხებიც არსებობს, ვიდრე ეს ჭკუის მოთხოვნაა.

და რა გზას აირჩევს ფარიშტა?

და საერთოდ თუ აქვს არჩევანი?

ჯაბრაილი საყვირს გვერდზე მოისვრის, დაიხრება, სალადინს დირესაგან ათავისუფლებს. ხელ-ნეკნებდამტვრეული ჩამჩა კვნესის, და კვნესა მისი ჰგავს კრეაციონისტ მეორედმომსვლელის ხმას, ვიდრე იმ საცოდავს მთლად რჩეული ანათალით არ გაუმთლიანებდნენ ენას...

- ძაძა... გიანია. ძალზე გვიანია.

ცეცხლის პაწია ენები ეპოტინებიან პალტოს კალთებზე. მწველი შავი ბოლი ავსებს იქაურობას, თვალს უბრმავებს, სმენას უხშობს, ცხვირს უწვავს და ფილტვებამდე ატანს. ოღონდ ახლა ჯაბრაილ ფარიშტა იწყებს სულის შებერვას - გრძლად, უწყვეტად, ერთი ღრმა ამოსუნთქვით, და მისი ეს ამონასუნთქი, როგორც ცხელი დანა კარაქს, ისე სჭრის ცეცხლსა და ბოლს, კარის მიმართულებით, და მისუსტებული, ნახევრად გონწართმეული, მკერდში თითქოს უჯიათი

ჯორის მიერ დაწიხლული სალადინ ჩამჩა ხედავს - ან, როგორც მერე ამბობდა, - მოეჩვენა რომ ცეცხლი ისევე განიხვნა მათ წინაშე, ვითარცა წყალნი წითელზღვისანი და ბოლიც განიპო ვითარცა კრეტსაბმელი და გამოვიდნენ ეს ორნი გარე, შენდობის ბილიკით, ომის ქარცეცხლში ჩანთხეულ, ხმაურითა და მძვინვარებით აღვსილ ქალაქში, სიყვარულის ამ პაწია, განმწმენდი გამარჯვებით ხელში.

* * *

ახლა, დასკვნები.

ეს ორი რომ ჩნდება, მიშალა სუფიანი ქუჩაში, შანდაარის საპირდაპირო მხარეს დგას - ხანძარში დაღუპულ მშობლებს დასტირის, და ჰანიფი კი ცდილობს, როგორმე დაამშვიდოს და ნუგეში სცეს. ხელში სალადინატატებული ჯაბრაილი ზედ მათ ფეხებთან ეშვება მიწაზე, ისიც უგონოდ.

მერე მიშალა და ჰანიფი სასწრაფოს მანქანაში არიან, ორ გონწასულ მამაკაცს მიჰყვებიან საავადმყოფოში, და სანამ ჩამჩას ჟანგბადის ნიღაბი აქვს სახეზე აკრული, ქანგაცლილი ჯაბრაილი რაღაცას ბოდავს ძილ-ღვიძილში: რაღაც ჯადოსნურ საყვირზე, მუსიკის მაგივრად ცეცხლი რომ გამოსდიოდა პირიდან; მიშალა კიდე, რომელსაც ჩამჩა ეშმად ახსოვდა და ახლა მზად იყო, ნებისმიერი დაუჯერებელი დაეჯერებინა, ჰანიფს ეკითხება:

- შენც ფიქრობ რომ...

ოღონდ ნურას უკაცრავად, ჰანიფის გონება საღია და შეუვალი:

- არ არსებობს. ჯაბრაილ ფარიშტაა, ბოლო-ბოლო - მსახიობი... ეტყობა, რაღაც ნაწყვეტები ახსენდება თავისივე ნათამაშები როლიდან, ეგაა და ეგ.

- მაგრამ, ჰანიფ...

ის კიდე მშვიდად აწყვეტინებს, რბილად - აკი სულ ახლახანს დაობლდა ეს საბრალო - ოღონდ მკაცრად კი სჯის და თავდაჯერებულად:

- რაც ახლა აქ მოხდა, ამ საღამოს, სულაც სოციოპოლიტიკური მოვლენაა, შეიძლება ითქვას და ამის ასახსნელად რაღაც ავსულებისა თუ ეშმების გამოძახება სულაც არაა საჭირო. ეს უკვე ისტორიაა: ბრიტანეთის ისტორიის ერთი პატარა მონაკვეთი. ცვლილებების პროცესი დაიწყო, ეგაა სულ.

უცბად, ჯაბრაილის ხმა სხვაფერდება და თავის ბოდვაშიც სულ სხვა თემაზე გადადის: მომლოცველებს ახსენებს, მკვდარ ბავშვს, „ათი მცნების“ მსგავს რაღაცა ამბავს, და დაქცეულ სახლს, და რაღაც დედახეს... საქმე ისაა, რომ იმ ყოვლადგანმწმენდი ცეცხლის მერე უკანასკნელად ეზმანება ის თავისი სიზმარი, გაგრძელებებით. ჰანიფი ამბობს:

- მიშუ, მომისმინე ჩემი კარგო: ეს მხოლოდ და მხოლოდ მისი ავადმყოფური ფანტაზიებია, სხვა არაფერი!

ხელს ხვევს, ლოყაზე ეამბორება, თავისკენ იზიდავს. ჩემთან იყავი. სამყარო მყარია. ჩვენ კი მასში ვცხოვრობთ. აქ უნდა ვიცხოვროთ, აქ და ახლა.

მაგრამ სწორედ ამ დროს, ჯერ ისევ გონებამიბნედილი ჯაბრაილ ფარიშტა თავს წამოწევს და მთელი ხმით ყვირის:

- მიშალა, დაბრუნდი! მანდ არც არაფერი ხდება! გემუდარები - დაბრუნდი, დაბრუნდი-მეთქი!

კარი VIII

...და განიხვნენ წყალნი არაბეთისანი

სათამაშოებით მოვაჭრე შრინივასს წესად ედვა, შიგადაშიგ ცოლსა და შვილებს დამუქრებოდა - აი ნახავთ, ერთ მშვენიერ დღეს, როცა ეს ხელშესახები სამყარო ჩემთვის მთელ თავის მიმზიდველობას დაკარგავს, ყველასა და ყველაფერზე ხელს ავიღებ, საკუთარი სახელის ჩათვლით და სანიასინად გადავიქცევი, ჯამითა და საბიჯგელით სოფელ-სოფელ, კარდაკარ რომ დაიარებიან განსაკითხის სათხოვნელადო. ქ-ნი შრინივასი დათმენით ეკიდებოდა ამ მუქარებს, რაკიღა კარგად უწყოდა მისი გულკეთილობის ამბავი და ისიც, ხშირად რომ უყვარდა ღრმად მორწმუნეთათვის დამახასიათებელი აზრთა წყობის გამოვლინება, თუმცა ზოგადად, უნებური ამჩატებაც ეხერხებოდა (ეგ არ იყო განა, დიდ კანიონზე თვითმფრინავით გადაფრენა რომ დაიჟინა?); მოხეტიალე, გლახაკ ბერად აღკვეცა კი ორივე ამ მის მახასიათებელს მშვენივრად ერგებოდა. მანამდე კიდე, სანამ კაცი სავსებით კმაყოფილი ჩანდა ცხოვრებით, უმცროს ქალიშვილს, ხუთი წლის მინასაც დიდის სიამით ეთამაშებოდა და ბანზე, სარწეველა სავარძელშიც ხშირად გადაესვენებოდა ხოლმე გამტკბარი სახით, ხოლო ჭამის მადა არათუ არ უმცირდებოდა ერთ ჯამ ბრინჯამდე, არამედ წლითი-წლით სულ უფრო ეზრდებოდა... ქ-ნი შრინივასი ტუჩებს გამობერავდა - განაწყენებულ-განებივრებული კინომსახიობივით (თუმც საკუთარი მეორე ნახევარისა არ იყოს, ისიც გვარიანი პუტკუნა გახლდათ) და სულ სტვენა-სტვენით შეაბიჯებდა სახლში. ამიტომაც, ერთ დღესაც ოჯახის თავის სკამი რომ ცარიელი დაუხვდა, ჭიქა ლაიმის წვენი კიდე - სანახევროდ სავსე, მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა.

სიმართლე ითქვას, ბ-ნ შრინავასს თავადაც ვერ აეხსნა, რამ აიძულა იმ თიტლიპურელი მომლოცველების სანახავად წასვლა. სოფლის დაუდეგარი ბიჭუნები, მომხდარზე მუდამ ერთი საათით ადრე მაინც რომ იციან ხოლმე ყველაფერი, მთელი ხმით გაჰყვიროდნენ ვიღაც ხალხზე, ხელბარგით დატვირთულნი, დაწალიკებულნი, საკარტოფილე გზით რომ მოაბიჯებდნენ მათი სამოსახლოსკენ, ხოლო ამ მსვლელობას თავში ერთი თმაშევერცხლილი, პეპლებდახვეული გოგონა მოუძღოდა, მათ კი მირზა საიდ აჰტარის ფურგონიანი მერსედეს-ბენცი ედგათ კვალში, რომლის პატრონს ისეთი სახე ედო, თითქოსდა უმწიფარი მანგოს კურკა გასჩროდეს ყელში.

მთელი თავისი კარტოფილსაცავებისა და სათამაშოების საქვეყნოდ განთქმული ფაბრიკების მიუხედავად, ჩათნაპატნა არ იყო ის ადგილი, რომელსაც ასორმოცდაათამდე კაცი, ქალი და ბავშვი შეუმჩნევლად აუვლიდა გვერდს. ზედ ამ პროცესიის გამოჩენამდე სულ რაღაც ნახევარი საათით ადრე, შრინივასმა თავისი ფაბრიკის მუშათა მთელი წარმომადგენლობა მიიღო - ნება დაგვრთეთ მცირე ხნით მაინც შევწყვიტოთ საქმე - ამგვარ მოვლენას არ დავესწროთ, არ იქნებაო. რაკიღა ფიქრობდა, ერთი-ორი საათი შესვენება არც ამათ აწყენთო, ბ-ნი შრინივასი მოწყალედ დასთანხმდა. თუმცა, თავად კი არც წამომდგარა სავარძლიდან - აქაოდა ეგ ყველაფერი მე რაში მეხებაო. ოღონდ მერე, კარგა ხნის მერე, მიშალა აჰტარს ეტყვის: „ეს ნიშანი იყო. სხვა რა გითხრა? ვიცოდი, ტყუილად არ ჩამოივლიდით აქეთ. მე მომაკითხა“.

მთელმა თიტლიპურმა ჩვილების ღნავილით, ბავშვების გნიასით, მოხუცთა კვნესა-ოხვრითა თუ ოსმანისა და მისი ბუბუ-ნაბუღარის ნაწვალები ხუმრობებით შემოაბიჯა ჩათნაპატნაში - რაც, ჩვენში დარჩეს და, ბ-ნ შრინივასს სრულებითაც არ ანაღვლებდა. მაგრამ მერე ისიც მოახსენეს ბალღებმა, რომ მომლოცველთა შორის ზამინდარ მირზა საიდის ცოლი და სიდედრიც არიან და გლეხებივით ქურთა-პაჟამაში გამოწყობილები, სრულიად უსამკაულებოდ, ფეხ-

დაფეხ მოემართებიანო. მაშინ აიღო და გზისპირა სასადილოსკენ გაემართა, სადაც თიტლიპურელებს კარტოფილის ბჰურტებითა და პარატებით უმასპინძლდებოდნენ. მივიდა და ჩათნაპატნას პოლიციის ჯიპიც მოადგა იქაურობას - ინსპექტორი მეგაფონში გაიძახოდა, იძულებულნი გავხდებით, ამ „სექტანტისტური“ დემარშის მიმართ ძალა გამოვიყენოთ, თუკი ალაგობრივ არ დაიშლებითო. „აჰა, ისევ ეს ინდუისტურ-მაჰმადიანური გარჩევების სუნი მცემს,“ - გაიფიქრა შრინივასმა - „ცუდია, ცუდი. არაფერ სიკეთეს ეს არ მოიტანს“.

ეტყობა, პოლიციამ მომლოცველების სვლა რაღაც დემონსტრაციად მიიჩნია, მაგრამ როცა მირზა საიდ აჰტარმა აუხსნა ვითარება, ოფიცერი ცოტა არ იყოს, შეჩქვიფდა კიდეც. მართალია, ბრამინი შრინავასი ის კაცი არ იყო, მექას გზას დასდგომოდა სამომლოცველოდ, მაგრამ ცნობისმოყვარეობას წაეძლია და ახლოს მისულიყო, ზამინდარისთვის ყურის დასაგდებად:

- ამ კეთილ ხალხს ერთი რამ უდევს გულში: არაბეთის ზღვა გადაიარონ და ეჭვიც არ ეპარებათ, წყალნი განიხვნებიან ჩვენს წინო...

ხმაში ორჭოფობა ეტყობოდა მირზა საიდს, და თავად ჩათნაპატნას უფროს საპოლიციო ჩინსაც რაღაც ეჭვი ღრღნიდა:

- არ ხუმრობთ, ბაბუჯი?

- რა მეხუმრება... - გაეპასუხა მირზა საიდი. - ამათ ხომ ვეღარაფრით გადაარწმუნებთ და იმას ვდარდობ, ფარცაგი არაფერი შეემთხვათ...

ინსპექტორმა - ულვაშებში, ტყავის ქამარ-სარტყელსა და საკუთარ თვითდაჯერებაში დანთქმულმა სახელმწიფო ჩინოსანმა თავი გადააქნია მხოლოდ.

- და მე რა უნდა ვქნა? ამდენ ხალხს ასე ხომ ვერ დავტოვებ ქუჩაში! ერთი გადაბრუნებული სიტყვა და იმისთანა ყალილა ატყდება...

სწორედ ამ დროს, ბრბო ორად გაიპო და შრინივასმაც პირველად იხილა ერთიანად პეპლებით შესუდრული,ერთიანად თმაშევერცხლილი, კოჭებამდე თმაჩამოშვებული გოგონა.

- ღმერთო დიდებულო! - შეჰყვირა გაოგნებულმა. - აიშა, შენა ხარ? - მერე კი რაღაც მთლად სულელურად დაამატა: - და ჩემთვის დაპირებული თოჯინები სადღაა?

ყურადღებაც არავინ მიაქცია - ყველა აიშას მისჩერებოდა, რომელიც ნელა, ძაან ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა მკერდტყავშემოსილ ოფიცერს; სიტყვა არ დაუძრავს, მხოლოდ თავი დაუქნია - ის კიდე თითქოს ერთი ოციოდე წლით მაინც გაახალგაზრდავდაო და ბოლოს, მთლად უწვერული ყმაწვილის ხმით მიმართა:

- კარგი, კარგი, ბიცოლაჩემო... არც არაფერი ისეთი არ მომხდარა. ჩვენ ბოდიში.

ასე გაირკვა პოლიციასთან ურთიერთობის საქმე და გვიან საღამოს, როცა ჰაერი მთლად ჩაიხუთა, ხოლო ქალაქიდან ჩამოსულმა ვიღაც-ვიღაც ჰინდუისტმა ბიჭ-ბუჭებმა ქვების სროლას მიჰყვეს ხელი, ყველანი იქვე დააპატიმრეს და ადგილობრივ ხაროში უკრეს თავი.

- აიშა, ჩემო გოგონა, ეს რა ეშმაკი შეგჩენია? - ხმამაღლა, ოღონდ კი სრულიად უმისამართოდ და თავისათვისვე მოულოდნელად, სიცარიელეში გასძახა შრინივასმა...

დღისით მომლოცველები ნებისმიერ ჩრდილქვეშ ჩაიმუხლებდნენ ხოლმე, სადაც კი ეგეთს წააწყდებოდნენ. ბ-ნი შრინივასი მათ შორის დაბოდიალობდა, მცირეოდნავ გონებაარეული, რადგან გრძნობდა, რაღაც დიდი გარდატეხა უკვე თავისით მომხდარიყო მის ცხოვრებაში. თვალებით აიშა-გულთმისანს ჭამდა, ფიკუსის ხის ქვეშ რომ მოკალათებულიყო მიშალა აჰტართან, ქ-ნ კურეიშისა და მწველი სიყვარულისაგან გათანგულ, ბუბუ-ხარიან ოსმანთან ერთად. ბოლო-ბოლო, შრინივასი საკუთარი მერსედესის უკანა სავარძელ-

ში გადაშხლართულ, უძილობით გაწამებულ მირზა საიდს გადა-აწყდა და თავმდაბლად დაეკითხა:

- საიდ-ჯი, ამ გოგოსი გჯერათ?

- კარგი რა, შრინივას... - მირზა საიდი წამოიწია კიდეც, პასუხის გასაცემად. - ჩვენ ხომ თანამედროვე ხალხი ვართ: ვიცით რომ მოხუცებს გრძელი გზის გავლა არ შეუძლიათ, ღმერთი კიბოს არ არჩენს, და არც ზღვის წყლები განიხვნებიან... როგორმე უნდა მოვრჩეთ ამ სიბრიყვეს. მე შემომიდექით, მანქანაში ჯერ კიდევ არი ადგილი. ვინძლო ერთად მაინც გადავათქმევინოთ... ეს აიშა თქვენი მადლობელია და იქნებ ყურიც დაგიგდოთ.

- მანქანაში... - ისე უსუსურად იგრძნო თავი, თითქოს კაკლებ-ში ჩაავლეს ხელი და მაგრად მოუჭირესო. - ბიზნესს რა ვუყო...

- ხალხი ამოწყდება, - თავისას განაგრძობდა მირზა საიდი. - ჩვენი ხალხი. დახმარება მჭირდება. ცხადია, უსასყიდლოდ არა.

- ფულში არაა საქმე! - განაწყენდა შრინივასი. - მაპატიეთ, სეთ-ჯი, უნდა მოვიფიქრო.

- რაა აქ საფიქრალი?! - აყვირდა მირზა საიდი. - სამოქალაქო ფრონტი უნდა გავხსნათ ამ მუმბო-ჯუმბო ცრურწმენების წინააღ-მდეგ! ჰინდუ-მუსლიმ ბჰაი-ბჰაი! - ეგრე არ უნდა იყოს განა?

- ოღონდ მე რომ ურწმუნო არა ვარ? - სცადა შეკამათება. - ღმერთქალ ლაქშმის სახება მიკიდია კედელზე...

- მერე, სიმდიდრე საქმოსანი კაცის ღმერთი არაა?

- ...და გულშიც ის მიძევს. - დაამატა, ჭმუნვით.

მირზა საიდს მოსაუბრის აზროვნების ძაფიც გაუწყდა და საკუ-თარი მოთმინების ფიალაც გადაევსო.

- ოღონდ ეგ არა! აკი თქვენი ფილოსოფოსებიც კი აღიარებენ, რომ ეს მხოლოდ განყენებული საზრისია და სხვა არაფერი! ღმერთთა შინაგანი ძალა, ასე ვთქვათ...

სათამაშოების მწარმოებელმა პეპლების საბანქვეშ მძინარე აიშას გახედა.

- განა მე რომელი ფილოსოფოსი მნახეთ, სეთ-ჯი... - თქვა წყნარად.

და ის კი აღარ უთქვამს, როგორ შეუფრთხიალდა გული, როცა მიხვდა რომ ამ მძინარე გოგონასა და მის სამუშაო ოთახში, კედელზე ჩამოკიდულ კალენდარზე გამოსახულ ღმერთქალს ერთიერთზე, მართლა ტყუპისცალი სახეები ჰქონდათ...

* * *

როცა მომლოცველებმა ქალაქი დატოვეს, შრინივასიც მათ აედევნა და ყურიც არ უთხოვებია თავისი თმებგაშლილი ცოლისათვის, რომელსაც პატარა მინუ აეტატებინა ხელში და იმით ცდილობდა ქმრის გონში ჩაგდებას. შრინივასმა აიშას აუხსნა - მექას მონახულების არავითარი სურვილი არა მაქვს, ოღონდ ჯერ-ჯერობით, იმდენად მსურს შენს გვერდით სიარული, იქნებ ზღვამდეც კი მოგდიოთო.

მერე ვიღაც გლეხს აუწყო ნაბიჯი და თვალგაშტერებული შესცქეროდა, პეპლების მთელი ღრუბელი როგორ რიალებდა მომლოცველთა თავსზემოთ, თითქოსდა უზარმაზარი რამ ქოლგა გადაეფარებინათ, მზისგან თავდასაცავადო. გაოცებისაგან შეჰყვირა კიდეც, რამდენიმე ათეული ეს არსება მასაც რომ დააჯდა მხრებზე და წამში მისი მოწითალო პერანგის ელფერი მიიღეს. ის კაცი, გვერდში რომ მოყვებოდა, მუჰამედ-დინი გახლდათ, ვისაც წინა რიგებში სვლა არ ესურვებია. ისა და მისი ცოლი ჰადიჯა, ხანმოთეული ასაკის მიუხედავად, კმაყოფილი სახეებით მიაბიჯებდნენ და თოჯინებით მოვაჭრის მხრებზე მოკალათებული მწერების დანახვაზე, მუჰამედ-დინმა ხელი გაუწოდა, მერე კი მაგრად ჩამოართვა კიდეც საპასუხოდ დახვედრილი მარჯვენა.

* * *

მალე ცხადი გახდა, რომ მუსონური წვიმების დრო ჯერ არ დამდგარიყო. გაძვალტყავებული რქოსნების ჯოგი სასმელს დაეძებდა. წყალი - ეს სიყვარულია, - დაეწერა ვიღაცას ურიკების დამამზადებელი ქარხნის აგურის კედელზე. გზად სხვა ოჯახებსაც ხვდებოდნენ, სამხრეთისაკენ რომ მიემართებოდნენ ჯორკიდებულებით, წყლის საძიებლად.

- ოღონდ არა იმ დაწყევლილი მარილიანი წყლისკენ! - თიტლიპურელ მომლოცველებს უყვიროდა მირზა საიდი. - ახლა იმას მაყურებინეთ, კარაქივით როგორ არ გაიჭრება ზღვა შუაზე... ეს ხალხი სიცოცხლისათვის აყრილა საცხოვრებლიდან, თქვენ კიდე სიკვდილს დაეძებთ!

სვავები გზისპირა, გადამხმარი ხეების ტოტებზე ჩამომსხდარიყვნენ და მოთმინებით ადევნებდნენ თვალს მომლოცვლეთა მსვლელობას...

მირზა საიდი მთელი ეს დრო მუდმივ მცდელობაში იყო, თუნდაც რაიმე ეღონა. ძირითადად, დილითა და საღამოთი ადგებოდნენ გზას, ისიც თავის მომაკვდავ ცოლს ამოუდგებოდა გვერდში და ემუდარებოდა:

- გონს მოდი, მიშუ! ხომ ხედავ, ავად ხარ... წამო, მანქანაში მაინც წამოწექი და ფეხებსაც დაგიზელ...

ოღონდ ის უარს იყო და დედამისიც აქეთ ამუნათებდა:

- საიდ, იმისთანა უარყოფით აურას აფრქვევთ ირგვლივ, ყოველგვარი ნება მოგიჩლუნგდება ადამიანს. წადით, ის თქვენი კოკა-შოკა სვით იმ თქვენს კონდიცირებულჰაერიან მანქანაში, ჩვენ კი შეგვეშვით!

კვირის თავზე, მერსედესის მძღოლმაც უარი თქვა თავის საპატიო თანამდებობაზე და ისიც მომლოცველებს შეუერთდა. ახლა ზამინდარი იძულებული იყო, მანქანა სადმე გაეჩერებინა ხოლმე, მერე ყოველ დილა-საღამო იქით-აქეთ ერბინა და ერთთავად ხვეწნა-მუდარასა თუ მუქარასა და ასე განსაჯეთ, ქრთამის შეთავაზებებშიც კი გაეტარებინა; დღეყოველ წყევლიდა საკუთარი დანგრეული ცხოვრების პირველმიზეზს - აიშას, ოღონდაც პირისპირ შეხვედრისას, ნდომისაგან ხმა უწყდებოდა და კუდამოძუებული, გაურკვეველი ბრალეულობის გრძნობააღვსილი გაშორდებოდა ხოლმე, უსიტყვოდ.

კიბომ მიშალას კანი მთლად გაუნაცრისფერა, ქ-ნ კურეიშისას კი ნეკნებს გადაუთვლიდით ფერდებზე; თავისი საშინაო ქოშები მთლად გაეცვითა და ახლა იმ ფუთქების გამოისობითაც იტანჯებოდა, წყლის ბუშტულებივით რომ დაყროდა ტერფებზე. თუმცა კი აინუნშიც არ ჩააგდო სიძის შეთავაზება, მანქანაში მაინც ჩაბრძანდითო. აიშას მიერ მომლოცველებზე დადებული ჯადო ჯერაც ხუნდებივით ხელ-ფეხს უბორკავდა ყველას.

მირზა საიდს უკვე დღის ხვატში უწევდა უკან კარგა მანძილის გავლა ფეხით, - მიტოვებული მანქანის დასაქოქად და ჯგუფის წამოსაწევად; ერთხელაც კიდე, მივიდა და რას ხედავს - მისი ნალოლიავები მერსედესის წინა მინა ვიღაც ონავრებს ავტობუსიდან ნასროლი ქოქოსის კაკლით ჩაუმტვრევიათ... არა, მთლად კი ვერა, მაგრამ ახლა ეს მრავალფენოვანი შუშა ობობას ქსელის მსგავსად დაღარულიყო. იძულებული შეიქნა, მთლიანად ამოეღო, ნატეხ-ნატეხ, და ეს მბრჭყვინავი ნატეხებიც თითქოს მიწიერი ქონების წარმავლობასა და გაუფასურებაზე ღაღადებდნენ... ოღონდ მირზა საიდი ის კაცი არ იყო, ეგრე იოლად დაეთმო ნივთიერი ფასეულობანი, ეგრევე იოლად გამტყდარიყო წელში, მანქანის შუშასავით!

ღამით, როცა გასაშლელი საწოლის გვერდით ჩამოუჯდა ცოლს და ეს ამბავი ამცნო, იმან გულსგარეთ შესთავაზა - შენც ადექი და

ჩვენ შემოგვიერთდი, ხომ ხედავ, ეს ზეგარდმო ნიშანი იყო შენთვისო.

- და ჩემი მერსედესი გზაზე დავტოვო?! - აიძაგრა საიდი.

- და რა მერე? - დაეკითხა ცოლი სრულიად უფერული ხმით. - აკი სულ დაღუპვის გზაზე ქადაგებ და რაღა მნიშვნელობა აქ, მანქანით დაადგები ამ გზას თუ - უმანქანოდ?

- არ გესმის... - აქვითინდა მირზა საიდი. - და არც არავის ესმის ჩემი...

ჯაბრაილს გვალვა ესიზმრა:

მიწა დამსკდარიყო უღრუბლო ცის ქვეშ. ავტობუსებისა და ძველი ნაგებობების ლეში ეყარა ნათესი მინდვრების გვერდით. მირზა საიდი კი დიდ ჟამიანობას ჭვრეტს: ველური ვირები - კანჯარები - ბოლო ძალას შეწყვილებას ახარჯავენ და ქანცგაწყვეტილები, უსულოდ ეცემიან ძირს. ეროზიის გამო, მიწის მფხოჭნავ ვეება ბრჭყალებს დამსგავსებული ფესვებით, ხეები თითქოს ერთიანად მაღლა-მაღლა მოიწევენ წყლის საძებნელად; გაღატაკებული გლეხები სახელმწიფო სამსახურში შავ მუშებად ჩამდგარან და დიდ ორმოს თხრიან მთავარი გზის გასწვრივ - წვიმის მომლოდინე, ჯერაც ცარიელ წყალსაცავს. გზისპირასვე მდებარე ქოხმახებში გასაცოდავებული, უპოვარი ხალხი სახლობს: ვიღაც ქალს ერთი იღლია ფიჩხი მიაქვს ცეცხლის დასანთებად; მტვერსა და ჭუჭყში ჩამჯდარი, ჩამობრანძული პატარა გოგონა დღიდან-დღემდე ერთადერთ ქოთანსა და ასევე ერთადერთ, ძველისძველ თუჯის ტაფას ხეხავს მშრალი ქვიშით. „ნუთუ ამათი სიცოცხლეც ისევე ფასობს, როგორაც ჩვენი?“ - თავს ეკითხება მირზა საიდ აჰტარი. - „ან თუნდაც მხოლოდ ჩემი? ან - მიშალასი? და რა გამოუვლიათ ცხოვრებაში, რა გააჩნიათ ამ საცოდავებს, საკუთარი სულის გამოსაკვებად?“ ვიღაც გაძვალტყავებული, ასაკგაუგებარი კაცი ბოძზე შემომჯდარა, ფეხიფეხგადაჯვარედი-

ნებული, და ბირის აფუილებს. როცა მირზა საიდი გაუსწორდა, გადმოაწიტა და შიგ სახეში მოახვედრა ზამინდარს.

მომლოცველები ნელა იწევდნენ წინ: სამი საათი დილაობით მიაბიჯებდნენ და ერთ მაგდენს კიდევ - საღამოობით, სიცხე რომ ცოტათი მაინც დავარდებოდა ხოლმე. შეყოვნებებიც ბევრი ჰქონდათ: ბავშვების ავადმყოფობა, შარის მოდება ამა თუ იმ ადგილობრივ ხელისუფალთა მხრიდან, რომელიმე ოთხთვალას გატეხილი ღერძი... ჰა და ჰა, დღეში ორიოდემილს თუ გადიოდნენ საშუალოდ, არადა ასორმოცდაათი მილი ედოთ ზღვამდე - ძაან ზერელე გამოთვლით, ეს 11 კვირას მაინც დაიჭერდა. პირველი სიკვდილი კი მეთვრამეტე დღეს ესტუმრათ: ჰადიჯას, სრული ნახევარი საუკუნე რომ ედგა გვერდში სარფანჩა მუჰამედ-დინს, საკუთარ მეუღლეს, ახლა სიზმარში მთავარანგელოზი გამოეცხადა:

- შენა ხარ, ჯაბრაილ? - დაეკითხა.

- არა, - იყო პასუხი. - აზრაილი ვარ, ჩემი შავი საქმის გასაკეთებლად მოვედი... მაპატიე, იმედი თუ გაგიცრუე.

მეორე დილით, სიტყვაც რომ არ უთქვამს ქმრისთვის, ისე გააგრძელა გზა. ორი საათი იქნებოდა გასული, რომელიღაც ქულბაქის ნანგრევებს რომ მიადგნენ. ჰადიჯას წარმოდგენა არ ჰქონდა ამ ნანგრევთა წარსულზე, მის კედლებში ყელგამოჭრილ და გაქურდულ მოგზაურებზე და ა.შ., ოღონდ მათს იმდღევანდელ დანიშნულებაზე კი ეჭვიც არ შეჰპარვია.

- იქ უნდა წამოვწვე, - უთხრა სარფანჩას, იმან კი იუარა:

- ხალხს ჩამოვრჩებით...

- ეგ არაფერი, - გაეპასუხა მეუღლე, უჩვეულოდ მშვიდად. - მერე დაეწევი, უჩემოდ.

დაწვა და თავი ერთ გლუვ, ბრტყელ ქვაზე დადო, ქმარმა რომ გამოუძებნა დიდის რუდუნებითა და ცრემლის ფრქვევით. ერთი წუთის მერე, ის უკვე მკვდარი იყო. მუჰამედ-დინი მომლოცველების ჯაჭვს დაეწია და აიშას ეტაკა:

- შენი ბრალია ყველაფერი! სულ ტყუილად დაგიჯერე... ახლა კი ცოლი მომიკალი.

მწკრივი შეჩერდა. მირზა საიდ აჰტარმა დრო იხელთა და მტკიცებას მოჰყვა - ჰადიჯა შესაბამის ადგილას უნდა მივასვენოთ, როგორიც რომ ამგვარ მართლმორწმუნე მაჰმადიან ქალს ეკადრებაო. აიშა უარზე იდგა.

- მთავარანგელოზმა დაგვიბარა, პირდაპირ ზღვისკენ ვიაროთ - გზას არც გადავუხვიოთ და არც უკან არ გავბრუნდეთ.

მირზა საიდი ახლა მომლოცველებს მიუბრუნდა:

- ბოლოს და ბოლოს, გარდაცვლილი ჩვენი სარფანჩას საყვარელი მეუღლე გახლდათ... და ახლა რა, გზისპირა თხრილში ჩავაგდოთ?!

ოღონდ როცა ყველამ დასტურჰყო, ჰადიჯა აქვე უნდა დაიმარხოსო, საიდი საკუთარ ყურებს აღარ უჯერებდა. თავად სარფანჩაც კი დასთანხმდა, ეგრე აჯობებსო. მირზა საიდისთვის ახლა კი მართლა ცხადი გახდა, რომ ამათ მიზანდასახულობას ზღვარი არ ედო. ჰადიჯაც ბერწი ნახნავის კიდეზე დაფლეს, რაღაცის ყოფილი ბაქნის გვერდით.

თუმცა, უკვე მეორე დღეს მირზა საიდმა თვალი ჰკიდა, სარფანჩა რომ სხვათაგან განცალკევებით ვიდოდა და შიგადაშიგ, გადაყვითლებულ ბუჩქებს ყნოსავდა უაზროდ. საიდი მანქანიდან გადმოხტა და აიშას დააწია ერთი ამბავი:

- უგულო ურჩხული ხარ და მეტი არაფერი! რა ძალა გადგა, ის საცოდავი მოხუცი რომ მაინცა და მაინც აქ მოიყვანე მოსაკვდინებლად?!

აიშას ხმა არ გაუცია, ოღონდ ამჯერად სარფანჩამ გაიღო ხმა:

- ღარიბი ხალხი ვიყავით. არც არაფერი იმედი არ გვქონდა, მექა-შარიფს ჩაგვეღწია ოდესმე. ამან დაგვარწმუნა... დაგვარწმუნა და აჰა, შედეგიც!

აიშა-კაჰინმა ყურად კი იღო მისი ნათქვამი, ოღონდ ნუგეშისცემა არც უფიქრია:

- რწმენა განიმაგრეთ, - უთხრა. - ცოლი შენი დიად მომლოცველობის ჟამს აღესრულა და ახლა სამოთხეში განისვენებს, ანგელოზებსა და ყვავილებს შორის - რაღას დასტირი?

იმავ საღამოს, სარფანჩა მუჰამედ-დინი პატარა კოცონთან მჯდარ მირზა საიდს მიადგა.

- მაპატიეთ, სეთ-ჯი, - უთხრა. - შეიძლება, როგორც ერთხელ უკვე შემომთავაზეთ, თქვენს მანქანაში დაგემგზავროთ?

იმ მიზნის სრულად უარყოფის არმსურველი, რომლის მიღწევასაც მისი ცოლი შეეწირა, ოღონდ ვეღარც სრული რწმენის დამნარჩუნებელი, მუჰამედ-დინი იჭვის მთესავთა ბუდე-სალონში მოკალათდა.

- ჩემი პირველი მოქცეული, - განიხარა მირზა საიდმა.

* * *

მეოთხე კვირის თავზე სარფანჩა მუჰამედ-დინის განდგომამ თავისი შედეგი გამოიღო: როგორც წესი, ის უკანა სავარძელზე იჯდა ხოლმე, ვითომც თავად ყოფილიყო ზამინდარი, მირზა საიდი კიდე - მისი პირადი მძღოლი; შავი ტყავის შალითებმა, კონდიციონერმა, ელექტროსამართმა ფანჯრებმა და იქვე ჩადგმულმა პაწია ბარმაც თითქოს გააყოყლოჩინა კიდეც - აქაოდა ყველას შემიძლია ვადევნო თვალი, მაშინ როცა თავად მე ვერც ვერავინ მხედავსო. ახლა, ყოველი დღის ბოლოს, მომლოცველთა ერთი ჯგუფი სამქიმიანი, ბრჭყვინავვარსკვლავიანი და წინაშუშაამოგდებული „მერსედესის“ გარშემო იყრიდა თავს მუჰამედ-დინის შესახედად, რომელიც ისე

ჩაწევ-აწევდა ხოლმე მანქანის უკანა ფანჯრებს, მათ ხან თავად მისი სახე დაენახათ და ხანაც - ჩამუქებულ შუშებში არეკლილი საკუთარი სახეები ეხილათ. სარფანჩას იქ ყოფნა ახლა სულ სხვა ძალასა და დამაჯერებლობას მატებდა მირზა საიდის სიტყვებს და ისიც წვრილად გამოკითხავდა ხოლმე ყველას მათი გუნება-განწყობისა თუ რწმენა-თავდადების თაობაზე.

აიშას არც უცდია უკან მოეხმო თავის სამწყსო და ჯერ-ჯერობით, ისინი ამგვარ ნდობას ამართლებდნენ კიდეც: ურწმუნოთა ბანაკში გადასვლის აღარცერთი შემთხვევა არ აღნუსხულა, ოღონდ მირზა საიდი სულ უფრო ხშირად იჭერდა ხოლმე მისგაღიზიანებულ მზერას და მართლა წინასწარმეტყველი იყო თუ არა, ერთი კია რომ ამ მზერაში ახლა ბევრად მეტი გამოსჭვიოდა ერთი უბრალო გოგონას გაწიწმატებისა, ვინაც რომ აღარც ისე თავდაჯერებულად გრძნობს თავს...

მერე კი აიშა უეცრად სადღაც გაქრა.

ნაშუადღევის მოსვენების ჟამს წავიდა და დღენახევარი აღარ გამოჩენილა, რითაც დიდი არეულობა და დრტვინვა გამოიწვია უპატრონოდ დაყრილ მომლოცველებს შორის. არა, ნამდვილად რომ კარგად უწყის, როდის და როგორ შეუნთოს ცეცხლი თავის მრევლსო - გაიძახოდა საიდი. მერე მობრუნდა და თმა თავზე, ისევე როგორც წარბ-წამწამები, ახლა უკვე ოქროსფრად უელვარებდა. ხალხს უხმო და გამოუცხადა, მთავარანგელოზი განრისხებულია, ნუთუ თიტლიპურელებს იმ უბრალო მიზეზის გამო შესჩენიათ ეჭვის ჭია, ერთი ვინმე ტანჯულ-წამებული რომ ზეცად ამაღლდაო... იმასაც კი ფიქრობს, იქნებადა სულაც უკან წავიღო ჩემი დაპირება წყალთა განყოფის თაობაზე - „უბრალოდ მიხვალთ, ზღვის აბაზანებს მიიღებთ და მერე ისევ უკან, შინისაკენ გაუდგებით გზას - თქვენ-თქვენს კარტოფილის გამოფიტულ მინდვრებს დაგაბრუნებთ, რომლებზეც - აი, ამაში კი ეჭვიც არ შეგეპაროთ - აწ და მარადის ერთი წვეთი წვიმა აღარ დაეცემაო!“

გლეხებს ლამის იყო, ენები წაერთვათ.

- ოღონდ ეს არა, - ემუდარებოდნენ. - ბიბიჯი, გვიხსენ ამგვარი განსაცდელისაგან!

ეს პირველი შემთხვევა გახლდათ, როცა წინა წმინდანის სახელით მიმართეს იმას, ვინც ამგვარი, უკვე შიშისმგვრელი, ოღონდაც მეტად შთამბეჭდავი მიზანდასახულობით კი მიერეკებოდა მათ აღთქმული მომავლისაკენ. ამის მერე სარფანჩაცა და მირზა საიდიც სულ მარტონი დარჩნენ მანქანაში. „მეორე რაუნდი მთავარანგელოზისაა“, - გაიფიქრა მირზა საიდმა.

* * *

მეხუთე კვირას, ხანმოთეულ მომლოცველთა უმეტესობის ჯანმრთელობა მკვეთრად შეირყა, საკვების მარაგი ყუაზე იყო დასული, წყალი სულ უფრო ძნელი საშოვარი გახდა, და ბავშვების საცრემლე არხებიც კი გადამშრალიყო. სვავები უკვე ჰაერში კრავდნენ ირაოს.

რაკიღა მომლოცველებს სასოფლო-სამეურნეოდ ვარგისი მიდამოები უკან მოეტოვებინათ და უფრო მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში შეაბიჯეს, დევნა-შევიწროების შემთხვევებმაც იმატა. ხშირად ავტობუსები თუ სატვირთო მანქანები უარს იყვნენ, გვერდი აევლოთ მათთვის და ეს საცოდავებიც წივილ-კივილით აწყდებოდნენ ერთმანეთს, მერე კი ერთად ცვიოდნენ ხოლმე გზისპირა თხრილში. არც ველოსიპედისტები, მოტოროლერებზე ამხედრებული ხალხი თუ ათასი ჯურის დახლიდარები აკლებდნენ ხელს და სულ ქოქოლას აყრიდნენ, ყველა ერთიანად:

- შერეკლები! ტეტიები! მუსლიმანები!

ხშირად მთელი ღამე უწევდათ სიარული, რადგან ამა თუ იმ დასახლების ხელისუფალთ სულაც არ ეხატებოდათ გულზე ქუჩებში

მძინარე ვიღაც გადამთიელების ხილვა. სიკვდილიანობის მატე-ბა გარდაუვალი გახდა.

მერე იყო და, მართლმოქცეული ოსმანის ბუბუ-ნაბუღარმა რო-მელიღაც უსახელო დაბის ზედ შესასვლელთან, აქლემების ფუ-ნაში ჩაიმუხლა ოთხივე ფეხით.

- ადე, ბრიყვო! - შეუძახა თავადაც ღონემიხდილმა პატრონმა. - მაინცადამაინც აქ მოგინდა სიკვდილი?!

ბუბუ-ხარმა ორჯერ დააქნია ბოხორა თავი - კი, ეგრეაო, და სულიც განუტევა. პეპლებმა წამსვე დაფარეს ჯერ ისევ თბილი ლეში, მისი ტყავის ფერიც მიიღეს და თითქოს გაირინდნენ. უსა-სოოდ შთენილი ოსმანი აიშას საძებნელად გაეშურა, რომელსაც ახლა ყველაზე დაძენძილი სარი ჩაეცვა, ადგილობრივების გუ-ლის მოსაქონად, თუმცა პეპლები მაინც ისე ასხდნენ ზედ, დედუ-ფალივით გამოიყურებოდა.

- შესაძლებელია, რომ პირუტყვი ზეცად ამაღლდეს? - და-ეკითხა საწყალობლად; პასუხად აიშამ მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

- პირუტყვს სული არ გააჩნია, - თქვა მერე, გულსგარეთ. - ჩვენ კი ჯერ ჩვენივე სულები უნდა ვიხსნათ.

ოსმანმა თვალებში ჩახედა და უცებ მიხვდა, სულაც აღარ უყ-ვარდა.

- ავსულად ქცეულხარ... - თქვა ზიზღით.

- მე არა, - გაეპასუხა აიშა. - მე მხოლოდ მაცნე ვარ.

- მაშინ მითხარი ერთი, რად მოსურვებია ღმერთს ამ საცო-დავთა განადგურება? - აყვირდა ოსმანი. - რას უფრთხის, რისი ეშინია? მისდამი სიყვარულის დამტკიცებას უნდა შევეწიროთ ყველა? ეს რაში ჭირდება?

თითქოსდა ამ ღვთისმგმობი სიტყვების საპასუხოდო, აიშამ კიდევ უფრო მკაცრი წესები შემოიღო: მომლოცველებს, ყველას განურჩევლად, ახლა ხუთივე ლოცვა უნდა აღევლინათ ხოლმე, და პარასკევი დღეც მარხვად გამოცხადდა. მეექვსე კვირის თავ-

ზე კიდევ ოთხი გარდაცვლილის გვამი დაატოვებინა იქ, საცა თავად ჩაიკეცნენ მტვერში - ორი მოხუცის, ერთი დედაბრისა და ერთიც ექვსი წლის გოგონასი. მომლოცველები ემორჩილებოდნენ, თვალებაპყრობილნი ჩაუვლიდნენ განზე და გზას განაგრძობდნენ; მხოლოდ უკან დარჩენილი მირზა საიდ აჰტარი კრეფდა გვამებს და წესისამებრ ფლავდა მიწაში. თუმცა, ამაში სარფანჩა მუჰამედ-დინი და ყოფილი ხელთუკარებელი - ოსმანიც ეხმარებოდნენ. ასეთ შემთხვევებში კარგა გვარიანად ჩამორჩებოდნენ ხოლმე მომლოცველებს, მაგრამ მერსედეს-ბენცს დიდი დრო არ ესაჭიროებოდა ასორმოცამდე კაცის, ქალისა და ბავშვის წამოსაწევად, ქანცგაცლილები რომ მიიწევდნენ ზღვისკენ.

* * *

მკვდართა რიცხვი სულ უფრო მატულობდა, და რწმენაშერყეულთა რიცხვიც „მერსედესის“ გარშემო ყოველღამ იზრდებოდა. მირზა საიდი ათასგვარ ამბავს უყვებოდა მათ - პაწია ცხოველების, ლემინგების ჯოგ-ჯოგად თვითმკვლელობის თაობაზე, ან ჯადოსანმა ცირცეამ როგორ აქცია ადამიანები ღორებად... მერე იმაზეც მოუყვა, როგორ შეიტყუა ერთმა მესტვირემ კლდის ახოში მთელი ქალაქის ბავშვები და მათთან ერთად, უკვალოდ გაქრა. მერე სულაც ინგლისურად მოჰყვა თანასოფლელთათვის ამ ლექსის კითხვას, მათთვის უცხო ენაზე სიტყვის ჯადოსა და ხიბლის გადმოსაცემად.

- ჰამელნი ჰანოვერს ემეზობლება, ვეზერის წყლები ჩამოუდიან და უკეთესი არც არსებობს სხვა სანახები... - წაიგალობა, და მშვიდად ადევნებდა თვალს, როგორ იცვლიდა მთელს თავის იერსახეს გოგონა აიშა, მძვინვარე ფურიად გადაქცეული რომ გამოსცქეროდათ შორიდან, ხოლო პეპლები მის ზურგზე აალებული კოცონის

ენებივით დათამაშობდნენ და იფიქრებდით, ცეცხლი ზედ სხეულზე უკიდიაო.

- ვინაც ეშმას ენაზე თქმულ ეშმასავე ლექსებს უსმენს, - აყვირდა უცებ აიშა. - ვეღარც მის კლანჭებს გადაურჩება!

- გამოდის, ესეც არჩევანის საქმეა, - გასძახა მირზა საიდმა. - ეშმასა და უძირო ლურჯ ზღვას შორის...

* * *

რვა კვირა გავიდა და ურთიერთობა მირზა საიდსა და მის ცოლ მიშალას შორის იმდენად გაუარესდა, რომ თუნდაც სამადლოდ, ერთ სიტყვასაც აღარ გადაუგდებდნენ ხოლმე ერთმანეთს. ამ დროისათვის (მისი სასიკვდილო ავადობის მიუხედავად, რის გამოც კანი მთლად ფერფლისფერი გახდომოდა) მიშალა აიშას მარჯვენა ხელად და მის უთავგამოდებულეს მიმდევრად ქცეულიყო, სხვათა ეჭვიანობაც მხოლოდ უმძაფრებდა საკუთარ რწმენას, ხალხის განწყობის მერყეობაში კი ქმარს აქეთ სდებდა ბრალს.

- სხვა რომ არაფერი, - უთხრა ერთხელ, - იმდენად ცივი ხარ, შენი მიკარებაც კი მზარავს.

- მე მეუბნები მაგას?! - შეიცხადა მირზა საიდმა. - და ვისი გულისათვის მივატოვე ყველაფერი და შენ გამოგედევნე ამ უბედურებაში? ვისი სიყვარულით? ვისზე შემტკივა გული და ვისზე დარდითაა ღამეებს რომ თეთრად ვათენებ? ეგეთი რამ როგორ მოგდის თავში?

- ერთი საკუთარ თავსაც მოუსმინე, - რაღაც იმგვარი ხმით გაეპასუხა ცოლი, არავითარი გრძნობა მასში რომ აღარ მოისმო-

და, - მუდამ გაბრაზებული ხარ, ცივი და ბოღმიანი. ყინულივით ცივი...

- მაგრა გეშლება! - ახლა უკვე უყვიროდა კიდეც. - შეშფოთება, დარდი, მწუხარება, ტკივილი... ოღონდ ბრაზი და ბოღმა საიდან მოიტანე?!

მხრები აიჩეჩა:

- იქიდან... საიდანაც მოდის. ყველას ესმის, შენს გარდა. ყველას გარშემო.

- წამომყევი, - ემუდარებოდა. - ევროპისა და შტატების საუკეთესო კლინიკებში მიგიყვან... ახლა მედიცინა სასწაულებს სჩადის! აი ნახავ...

- არა, მექას უნდა ჩავიდე. - თქვა და ზურგი აქცია.

- შტერი ხარ და შტერი დედის შვილი! - მიაძახა. - თუ სიკვდილი მოგსურვებია, ამ ხალხს რაღას ერჩი?!

მიწაზე დაემხო და ქვითინი აუვარდა. ამის მერე მიშალა უარს ამბობდა მის გვერდით დაწოლაზე. დედა-შვილმა თავიანთი გასაშლელი საწოლები ახლა პეპლებდაფერილი მათი წინამძღოლის მოსასვენებელ ადგილთან ახლოს მიაჩოჩეს.

დღისით მიშალა მომლოცველებს შორის მიმოდიოდა, ამხნევებდა, რწმენას უმტკიცებდა, ეხმარებოდა, რითიც შეეძლო. აიშა კი სულ უფრო ჩრდილში რჩებოდა და მალე, მიშალა აჰტარი თავად იქცა ამ ხალხის ერთგვარ წინამძღოლად. ერთადერთი, ვისზეც მისი ნათქვამი არ ჭრიდა, ისევ საკუთარი დედა - ქ-ნი კურეიშისა, სახბანკის დირექტორის მეუღლე გახლდათ და სწორედ ამ მაღალჩინოსანი ქმრის ჩამოსვლა იქცა მთელ მოვლენად ამ ხალხისთვის: ერთხელაც, როცა დილის გადასვლის მერე, ჩაიმუხლეს და ფიჩხის მოგროვებასა თუ ქოთნების წმენდას მიჰყვეს ხელი, გზაზე, მტვრის ბუღში, გრძელზე-უგრძესი მანქანისა და მისი თანმხლები მოტოციკლეების მთელი ამალა გამოჩნდა. კარგა ოცდახუთი ფუნტით წონადაკლებული ქ-ნი კურეიშისა ფეხზე წამოხტა და ტანსაცმლის ჩამოფერ-

თხვა, თმის სწორება და სიცხეში უკვე სრულიად დამდნარი ტუჩების საცხის ძებნა იწყო...

- რა ბზიკმა გიკბინა? - დაინტერესდა მიშალა. - მოხდა რამე?

დედამისმა გზისკენ გაიშვირა თითი. წუთიც არ გასულა, ბანკირის მაღალ-მაღალი, ფერ-ხორციანი სხეული მათ თავსზემოთ აისვეტა.

- საკუთარი თვალით არ მენახა, ვერაფრით დავიჯერებდი! - თქვა დინჯად. - კი მაფრთხილებდნენ, მაგრამ ყურიც არ ვათხოვე. ახლა კი თავად მომიწია თქვენი ძებნა ამ უდაბურებაში... ასე სიტყვის უთქმელად აიბარგოთ პერისტანიდან - რამ წამოგიარათ?

ქ-ნი კურეიშისა ლამის კანკალებდა ქმრის მკაცრი მზერის ქვეშ, მოიმჩვარა, თვალზე ცრემლიც კი მოადგა.

- ღმერთო ჩემო, თავადაც არ მესმის... მაპატიე, თუ ღმერთი გწამს!

- ბოლოსდაბოლოს, იმხელა თანამდებობა მიკავია, - აყვირდა მოთმინებადაკარგული ბ-ნი კურეიში, დიდი ფინანსისტი. - რა პატივი და რიდი ექნებათ ჩემი, თუკი გაიგებენ რომ ჩემი საკუთარი ცოლ-შვილი ვიღაცმათხოვარ-მაწანწალებს აჰკიდებია შარაგზაზე?!

მიშალამ ხელი მოხვია აქვითინებულ დედას და მამას შეუძახა - მორჩი ჩვენს თათხვასო. ბ-ნმა აჰტარმა ახლაღა შენიშნა სიკვდილის დამღა შვილის სახეზე... მიშალამ კიბოს ამბავიც ამცნო და წინასწარმეტყველ აიშას დაპირებაც - მექაში სასწაული მოხდება და სრულად განიკურნებიო.

- აგაშენა ღმერთმა! - აღმოთქვა ბ-ნმა კურეიშიმ. - თუ ასეა, გავფრენილვართ ახლავე მექაში! რაღა ფეხით იბოდიალო იქამდე?

ოღონდ ამაზე კი ცივი უარი მიიღო.

- არა, ეგ შენი გადასაწყვეტი არაა. მხოლოდ მართლმორწმუნეზე გაჭრის წინასწარმეტყველება. ახლა კი უნდა წახვიდე, შენ აქ არაფერი გესაქმება. დედაჩემი მომხედავს.

ბ-ნი კურეიში თავისი ლიმუზინით ახლა მირზა საიდის „მერსედესს“ ამოუდგა გვერდში და ასე ვიდოდნენ, ტაატით, და წარამარა რომელიმე თავის თანმხლებ მოტოციკლისტს აგზავნიდა ამბის შესატყობად - რამე ხომ არ გჭირდებათ, წამალი ან ცივი ლიმონათი, ან რამე ეგეთიო... ერთხელაც ვერაფერზე მიიღო თანხმობა და მესამე დღეს, მოთმინებადაკარგულმა (თანაც - საბანკო საქმეს ეხუმრები?) ბ-ნმა კურეიშიმ მანქანა მოატრიალებინა და ქალაქის გზას გაუდგა. ოღონდ მანამდე ერთი თავისი მხლებელთაგანი კი დაუტოვა მირზა საიდს - თავადაც გამოიყენეთ რამეში და ქალებსაც მიაშველეთო. დღე არც იყო გასული, რომ იმან ის თავისი მოტოციკლი გზისპირას დააგდო, თავზე ხილაბანდი წაიკრა და ფეხით მოსიარულეთ შეუერთდა. აიშას ამაზე სიტყვა არ დასცდენია, თუმცა იქედნურად კი ჩაიღიმილა და ამით მირზა საიდს უკვე მერამდენედ შეახსენა - მართლა ცით მოვლენილი რამ ზმანება კი არა, სავსებით ხორციელი ქალი გახლდათ.

ოღონდ ძველ ცხოვრებასთან ამ მეყვსეული შეხების გამოისობით, ქ-ნ კურეიშის კი მართლა გაუნელდა თავგამოდება: წუწუნს მოუხშირა და სულ წვეული საღამოები, რბილი ბალიშ-მუთაქები და ყინულებჩაყრილი, ლაიმის წვენით სავსე ჭიქები ახსენდებოდა... ერთხელაც აზრად იღო - საზოგადოებაში ჩემი წონა-მდგომარეობის ქალი ასე ფეხშიშველა რატომ უნდა დავიარებოდე, ვიღაცა ბჰანგის დედაკაცივითო? მერე მირზა საიდს გამოეცხადა და რაღაც ისე, შემპარავად დაეკითხა:

- საიდ, შვილო - მართლა ეგრე ვერ მიტან?

თან ის თავისი ჯერ კიდევ ჩათქვირული ხორცები ისე დაულაგა წინ, თითქოს მართლა ეკეკლუცებაო.

საიდს ელდა ეცა.

- ე-ე... არა, რა თქმა უნდა! - ძლივს ამოღერღა.

- გატყობ, გატყობ... ალბათ, მთლად წასულია ჩემი საქმე... - თან თვალებს უჟუჟუნებს.

- ამიჯი, - ნერწყვი ძლივს გადაყლაპა საიდმა. - რას მიედ-მოედებით?

- რა იზამ, სულ უხეშად კი გელაპარაკებოდი ხოლმე და...

- არა, ეგ რა სახსენებელია... - მთლად დაიბნა.

- მაშინ, იქნებ ამ მანქანაში თქვენთან ერთად მგზავრობის ნება მოგვცეთ?

მირზა საიდმა შვებით ამოისუნთქა.

- თქვენად იგულეთ, ამიჯი.

- მაშ იქნებ სიკეთეს მარილიც მოაყაროთ და იმ ორ სოფლელ ჯენტლმენს ჩემს მაგივრად სთხოვოთ - თქვენთან, წინა სავარძელზე გადმობრძანდნენ? მოგეხსენებათ, ორი ქალი...

- რაზეა ლაპარაკი, ამიჯი.

* * *

ერთიანად აყრილი სოფლისა და მისი ზღვისაკენ დაძვრის ამბავი ქვეყანას მოედო, და უკვე მეცხრე კვირას მომლოცველებს ჟურნალისტები, ადგილობრივი პოლიტიკანები, რეკლამის განთავსების მოსურნე საქმოსანი ხალხი, აღმოსავლურ ეგზოტიკას დახარბებული უცხოელი ტურისტები და საერთოდ, იმისთანა ვინმეებიც კი მოაწყდნენ, ავტოშეჯიბრებებზე ავარიების სანახავად რომ დაიარებიან ხოლმე... ოღონდ ფერებცვალია პეპლების დანახვაზე, აიშას რომ დახვეოდნენ და ტანსაცმლისა და საკვების მაგივრობას უწევდნენ ერთდროულად, ყველას თავგზა აებნა

და იმისთანა ხვრელი გაუჩნდათ მათს სამყაროულ წარმოდგენებში, ვერა საშუალებით რომ ვერ ამოავსებდი.

მოკლედ, აიშას ფოტოები უკლებლივ ყველა ჟურნალ-გაზეთში გაჩნდა, ხოლო იმ სახის რეკლამებს, როგორიც ვთქვათ - ჩვენი ქსოვილები პეპლის ფრთებივით სიფრიფანაა! - ანდა რამე ამისდაგვარს, ბოლო არ უჩანდა. თუმცა, არცთუ მთლად სასიამოვნო გამოხდომებიც იყო: გავრცელდა ფურცლები, სადაც ცხადდებოდა, რომ „პადიატრა, ანუ ფეხით მომლოცველობა, ჩვენი დიადი კულტურის ძირძველი, ისლამამდელი ტრადიციაა და არა იმიგრანტ-მოგოლების მიერ თავსმოხვეული ღირებულება, ხოლო ამ წეს-ჩვეულების ვიღაც აიშა ბიბიჯის მიერ მითვისება - ისედაც რთულ ვითარებაში ცეცხლზე ნავთის დასხმას გავს!“

- ნუ შიშობთ, არაფერი გვემუქრება, - ამშვიდებდა ყველას კაჰინი.

* * *

ჯაბრაილს ახლა რომელიღაც გარეუბანი ესიზმრება:

რაც უფრო უახლოვდებოდა აიშას ეს ჰაჯი არაბეთის ზღვისპირად გაშენებულ მეგაპოლისს, მით უფრო მატულობდა ჟურნალისტების, პოლიტიკოსებისა თუ ადგილობრივი პოლიციელების მისვლა-მოსვლა მომლოცველთა ჯგუფის გარშემო. ჯერ იყო და პოლიციელები მათ ძალის გამოყენებით დაშლას დაემუქრნენ, ოღონდ პოლიტიკოსები დადგნენ უარზე - ამან შეიძლება დიდი მღელვარება გამოიწვიოს ქვეყანაშიო; იმათაც რაღა დარჩენოდათ, „ხელებიც დაგვიბანიაო“, - თქვეს და ამით დაიმშვიდეს თავი.

სარანგის გარეუბანი მემაღაროელთა დასახლებით გახლდათ ცნობილი, რომლებმაცლამის პირად შეურაცხყოფად აღიქვეს ის ამბავი, რომ ვიღაც გოგო ზღვის ორად გაყოფას აპირებდა ხელის ერთი აქნევით (იქნებადა იმიტომაც, თავად რომ მთელ ცხოვრებას თხუნელებივით მიწისქვეშ ატარებდნენ). ამათ წამქეზებლებიც ბლომად გამოუჩნდათ და მალე მთელი ბრბო დაიძრა ტრანსპარანტებით ხელში: არა - ისლამურ პადიატრას! აიშა - GO HOME!

სარანგში შესვლისწინა საღამოს მირზა საიდმა კიდევ ერთხელ, თუმცა ისევ ამაოდ მიმართა მომლოცველებს:

- არ გინდათ! - ემუდარებოდა. - ხვალ ყველას დაგვხოცავენ.

აიშამ რაღაც ჩაუჩურჩულა მიშალას და იმანაც ხმამაღლა განაცხადა:

- ჯობია წამებული გერქვას, ვიდრე მხდალი. გვყავს აქ ვინმე ეგეთი?

ერთი მართლა აღმოჩნდა - ბ-ნი შრინივასმა, დიდი კანიონის მცირედ მკვლევარმა და ბავშვთა სამყაროს მფლობელმა, ვისი დევიზიც კრეატიულობა და გულწრფელობა გახლდათ, მირზა საიდს დაუჭირა მხარი: ვითარცა ქალღმერთ ლაქშმის თაყვანისმცემელს, არა და არ შეეძლო ძალისმიერ ქმედებებში მონაწილეობის მიღება.

- რა ვქნა, ასეა ჩემი საქმე: აიშა კი მიყვარს და ისიც მესმის, რომ რაც გიყვარს, იმისთვის თავიც შეიძლება დადო, მაგრამ ომში მაინც ნეიტრალობის სტატუსს მოვითხოვ!

შრინივასი განდგომილთა ერთობის რიგით მეხუთე წევრი გახდა, და ქ-ნ კურეიშისაც მოუწია „მერსედესის“ უკანა სავარძელი ვიღაც მამაკაცთან ერთად გაეზიარებინა. შრინივასმა წამსვე იყნოსა, აქ მაინცადამაინც არ უხარიათ ჩემი გამოჩენაო და ქ-ნ კურეიშის, პატივისცემის ნიშნად, „ოჯახის დაგეგმარების პროექტისათვის“ განკუთვნილი ერთი თოჯინა შესთავაზა...

ის ღამე განდგომილთა ჯგუფმა მანქანაში გაატარა, მაშინ როცა მართლმორწმუნენი მოედანზე, ღია ცის ქვეშ ლოცულობდნენ - სამხედრო პოლიციის მეთვალყურეობით. მირზა საიდს რული არ ეკარებოდა - იმაზე ფიქრობდა, რაც შრინივასმა უთხრა, ეს რაღაც ძალზე განდიანური... „ოღონდ ეგაა, რომ ცხოვრებაში ვერაფრით ვიყენებ. ტანჯვის ატანა არ შემიძლია, სეთ-ჯი. დავრჩენილიყავი სახლში, რაღა დროს ჩემი თავგადასავლების ძიებაა...“

„ჩემი არ იყოს, - პასუხობდა უძილობით გატანჯული მირზა საიდი. - მეც რაღაც ეგეთი მჭირდა: საგნებთან, გარემოსთან, გრძნობებთან ბუნებრივად შერწყმის უუნარობა... უმრავლესობა თავს იმით იმყოფებს თუ რას სჩადის, რას ქმნის, რას მიაღწია... მე კი ძალიან დიდხანს ვცხოვრობდი გონების კარნახით - ეს არსებულ რეალობას ჩვენი ქმედებების მიმართ სრულიად გაუხედნავს ხდის.“

და კიდევ იმის თქმა სურდა, რომ ძაან ძნელი იყო იმის დაჯერება, რაც ახლა მართლა ხდებოდა მათ თავს.

* * *

მეორე დილით, როცა აიშაცა და მომლოცველებიც მზად იყვნენ დასაძრავად, მათ თავზე მორიალე პეპლების ქულა-ღრუბლები, დასაბამიდან რომ ადევნებოდნენ თიტლიპურიდან, მოულოდნელად გაიფანტნენ და სადღაც გაქრნენ; თავად აიშას შემოხვეულნიც კი - ასე ვთქვათ, ნარჩევი, ელიტარული კორპუსი, ადგილს მოსწყდა და ისიც იძულებულ გახდა ვიღაცის ძველი, დაფხავებული სარი შემოეცვა. მათი მომლოცველობის დიადი მიზნის დასტურმყოფელი საოცრების ასე გაქრობა თოთქოს რაღაც მძიმე ტვირთად დააწვა მომლოცველებს და ამიტომაც, მიშალა აჰტარის დამუნათებების მიუხე-

დავად, ისინი უხმოდ, ყოველგვარი სიმღერა-გალობის გარეშე მიაბიჯებდნენ საკუთარი ბედის შესახვედრად.

* * *

ქუჩის ბიჭების სახელდახელოდ შექმნილ დაჯგუფებას „არა - ისლამურ პადიატრას!“ მთელი ქუჩა გადაეკეტა აიშასა და მისი ხალხის მოლოდინში; ის კიდე, ვითომც აქ არაფერიო, ისე მიაბიჯებდა ველოსიპედის ჯაჭვებით, ბეისბოლის კეტებითა და დანებით შეიარაღებული ბრბოსაკენ, რომ უეცრად, საყვირის მგრგვინავი ხმიანობა გაისმა და ცა ფეხად ჩამოვიდა: გვალვა მეტისმეტად გვიან შეწყდა საიმისოდ, მოსავალი გადაერჩინა - სწორედ ამიტომ, მერე ბევრი ამბობდა კიდეც - ღმერთმა იმიტომაც აგროვა ამდენი წყალი ზეცაში, სწორედ ამ საჭიროებისათვის გამოეყენებინაო... მოკლედ, ჩვენი მოსავალი მისივე წინასწარმეტყველის გადასარჩენად გაიმეტაო.

არნახული ძალის თქეშმა სრულიად დათრგუნა მომლოცველებიცა და მათი წინააღმდგომნიც. ამ მცირე წარღვნის ხმაურში უცებ მეორე საყვირიც გაისმა, თუმცა ამჯერად ეს მირზა საიდის „მერსედესის“ ხმა გახლდათ, დიდი სისწრაფით, ლამის ხტუნვა-ხტუნვით რომ მოჯლიგინობდა გადავსებულ საწრეტ თხრილებზე, ნესვით დატვირთულ ურიკებს აყირავებდა, სარებზე გაჭიმულ თოკებზე გაფენილ სარეცხს გლეჯდა, ხელნაკეთობების დახლებს ამტვრევდა და მოედანს რომ მიაღწია, ძლივს შეჩერდა მუხრუჭების ღრჭიალ-ღრჭიალით, ინერციის ძალით ადგილზე შემოტრიალდა; მერე იქიდან შრი შრინივასი და ოსმანი გადმოხტნენ, მიშალა აჰტარსა და აიშას ხელი დაავლეს და გაარჯლებული წინააღმდეგობის მიუხედავად, მანქანაში შეაგდეს ორივენი.

საიდმა, რვაცილინდრიანი ძრავის ღმუილ-ღმუილით, წამსვე ადგილიდან მოსწყვიტა „მერსედესი“, ვიდრე ვინმე აზრზე მოსვლას მოასწრებდა და წყლით ამოვსებულ თვალის უპეებს გამოიწმენდდა.

მანქანის ფართო სალონში, შიგმსხდომთა სხეულები ერთმანეთს ეხლებოდა და მხოლოდ მიშალა აჰტარის წყევლა-კრულვაღა მოისმოდა გარკვევით, საკუთარ ქმარს რომ თათხავდა:

- მოღალატე! გამყიდველო! შე მართლა ჯორო შენა!

რაზეც საიდმა მეტად დამცინავად გამოსძახა:

- მოწამეობა ძნელი არაა, მიშალ! ნუთუ ვარდის ფურცლებივით გადაშლილი ოკეანის ნახვა აღარ გსურს?

ამაზე კი ქ-ნმა კურეიშისამ, ოსმანის გაჩაჩხულ ფეხებშორის რომ გამოეყო ალმურმოდებული სახე, თავის მხრივ დაამატა:

- კარგი, გეყოფა! მორჩი ახლა, მიშუ - ჩვენ მხოლოდ სიკეთე გვინდა შენთვის.

* * *

ახლა წარღვნა ესიზმრა ჯაბრაილს:

სარანგის გარეუბანში მომლოცველებს მაგარ დახვედრას კი უპირებდნენ, მაგრამ ახლა იმასაც ფიქრობდნენ, ვაითუ ჩვენი ღმერთები აიშას მხარეს დადგნენო: ქალაქის წყალსაწრეტი სისტემა წამსვე დანებდა მომხდური წყლების ჭარბ ძალას და ყველანი წელამდე ღვართქაფში აღმოჩნდნენ. ვიღაც-ვიღაცეები კიდე ცდილობდნენ მიზნამდე მიღწევას, მაგრამ თავად სამიზნისა არ იყოს, გზას ვეღარსად იკვლევდნენ. თქეშმა იმატა, მერე - კიდევ და უკვე სუნთქვაც კი ჭირდა წყლით გაბიჟვინებულ ჰაერში, თითქოსდა ზეგარდმო კერძო სამყარო ქუეშესა კერძო სამყაროსა შეერთებოდა და ხმელიც წყალსა შთაენთქა...

და ზმანებებში დანთქმულ ჯაბრაილსაც წყალმა დაუფარა სახედველნი.

* * *

წვიმა შეწყდა, და ნესტიანმა მზემაც გადმოხედა იავარქმნის ამ ვენეციურ სანახებს. სარანგის გარეუბნის გზები ახლა წყლის არხებს უფრო გავდა, რომლებშიც ათასგვარი ნამტვრევ-ნამუსრევი მოედინებოდა. სადაც სულ ცოტა ხნით ადრე რიქშები, აქლემებშებმული საზიდრები და ველოსიპედები დაგორავდნენ, ახლა გაზეთების ნახევები, ხის მძივები, მთლიან-მთლიანი საზამთროები, ქოლგები, მზის სათვალეები, ცარიელი კალათები, ბანქოს ქაღალდი, ქოშები, ქაქი და ნუ იტყვით, რაღა არ დაცურავდა. წყალს უცნაური, მოწითალო ელფერი დაჰკრავდა და გალუმპულ ხალხს აფიქრებინებდა, საქმეს უსისხლოდ არ ჩაუვლიაო. ოღონდ არც მომხდურებისა და არც დამხდურების კვალიც კი არსად ჩანდა. ირგვლივ წყალდიდობის სველი სიჩუმე გამეფებულიყო, მხოლოდ პაწია ტალღები ეტყლაშუნებოდნენ სკოლის ავტობუსის თუნუქის გვერდებს, და კიდევ - დაფეთებული ბავშვები სახლების სახურავებიდან გასძახოდნენ რაღაცას ერთიმეორეს...

მერე კი პეპლებიც გამოჩნდნენ.

თითქოს არც არსად წასულანო, თითქოსდა აქვე, მზის უკან იმალებოდნენო, მორიალდნენ და წამსვე მზისავე სხივების ელფერი დაიკრეს. ოღონდ ცაში ნათლის ამ უზარმაზარი ხალიჩის დანახვაზე, აგერ ახლა ამისთანა უბედურებაგადატანილ უბირ ხალხს მთლად ელდა ეცა და წამსვე მიიმალნენ დარაბებგადარაზულ სახლებში. მხოლოდ ერთ რომელიღაც ბორცვზე გადმომ-

დგარი მირზა საიდ აჰტარი და მისი მხრისამბმელები - ყველანი, თვით ზამინდარიც კი, სულშეგუბებულნი შესცქეროდნენ ამ სასწაულის კვლავ მობრუნებას.

ისე მოხდა, რომ წინა საქარე მინაამოღებულ მანქანაში შემოთქეშილი წვიმის წვეთებით დაბრმავებულ მირზა საიდს თავისი მანქანა გზას გადაეცდინა, მერე რომელიღაც შესახვევითა და რაღაც ბორცვზე გადავლით, ზედ სარანგელ მემაღაროელთა #1 გვირაბის შესასვლელთან მიეყვანა.

- მაგარი ხარ! - აყვირდა მიშალა აჰტარი. - უკან მაგათი ძმაკაცები გველოდებიან, წინ კიდე - მთლად მაგათი ბუნაგი! მეყოლე ახლა ვარდივით...

ოღონდ მათდა საბედნიეროდ, მთელი მოსახლეობის სამწუხაროდ და იმ მხარის საქვამადნო ინდუსტრიის დიდად სავალალოდ, ამ მხრივ სადარდებელი თურმე, აღარც არაფერი ჰქონიათ: ასორმოცდაათ მემაღაროელს შიგ გვირაბში წაასწრო თურმე წარღვნამ და არცერთი არ გადარჩენილა ცოცხალი...

მერე თავ-ფეხიანად გალუმპული საიდი, მიშალა, სარფანჩა, ოსმანი, ქ-ნი კურეიშისა, შრინივასი და აიშა იდგნენ და შესცქეროდნენ, სასწრაფოს, მეხანძრეების, მაშველებისა და სხვადასხვა წოდების ჩინოსანთა მანქანები როგორ მიდი-მოდიოდნენ აქეთ-იქით, ძაან საქმიანად; ოღონდ როგორც მოდიოდნენ, ისევე მიდიოდნენ - საშველი უკვე აღარავინ იყო.

- სიცოცხლე ტკივილია, - წართქვა სარფანჩამ. - სატანჯველი და დანაკარგი; გაუფასურებული ფული, გაბზარულ კაურიზე ნაკლებად რომ ფასობს.

დაღუპული ბუღაყოფილის პატრონი, მომლოცველობის დროს თავისი საუკეთესო მეგობრის დამკარგავი ოსმანი, მწარედ ტიროდა. ქ-ნი კურეიში კი ამ მძიმე ვითარებაშიც შეეცადა რაღაც ნათელი მხარე ეპოვა:

- მთავარია, ცოცხლები გადავრჩით, - თქვა.

არავინ გამოხმაურებია.

მაშინ აიშამ თვალები დახუჭა და მკერდისმიერი მართლაცდა რომ წინასწარმეტყველის ხმით აღმოთქვა:

- ეს იმ ბოროტების საზღაურია, რის ჩადენასაც ისინი ცდილობდნენ.

მირზა საიდი ლამის იყო, გაცოფდა:

- ეგენი საერთოდ არ ყოფილან იქ - არც შეიარაღებულნი და არც უიარაღოდ! ამ ოხერ მიწას თხრიდნენ, ეგ იყო და ეგ!

- და თავად კი გაითხარეს სამარე... - თქვა აიშამ, მშვიდად.

* * *

და სწორედ მაშინ დაინახეს ისევ პეპლები, ათასფერ ღრუბლად რომ მოედვნენ არემარეს. აიშამ უკან მიბრუნება მოითხოვა, მაგრამ საიდი დადგა უარზე:

- იქ ახლა ყველაფერი წყლითაა დაფარული. ამ ბორცვის იქითა მხარეს უნდა გადავიდეთ და ქალაქის მეორე ბოლოში აღმოვჩნდებით...

ოღონდ აიშა და მიშალა უკვე ეშვებოდნენ ქვევით; პირველი მეორეს, უკვე მთლად ფერფლისფერკანიანს ეხმარებოდა, წელზე შემოეხვია მისთვის ხელი.

- ღვთის გულისათვის, მიშუ! - დაადევნა ცოლს მირზა საიდმა. - მანქანას რა ვუყო?!

მაგრამ იმას უკან არც მოუხედავს, არც აქეთ-იქით არ იყურებოდა, მხოლოდ პირდაპირ.

და აი, მაშინ საიდ აჰტარიც აედევნა,თავისი საყვარელი „მერსედეს-ბენცი“ სარანგის დატბორილ #1 მაღაროს შესასვლელთან დააგდო უპატრონოდ.

ახლა შვიდი მომლოცველიღა იდგა თეძოებამდე წყალში, რომელიც ნელა, მეტისმეტად ნელა იხევდა უკან.

- დაშოშმინდი, - ეუბნებოდა მირზა საიდი. - მორჩა ეს შენი მომლოცველობა. შენი ხალხი ან დაიღრჩო, ან - ცემით ამოხადეს სული... ჩვენს გარდა არც აღარავინ დარჩა, უკან მოგდიოს...

მერე აიშას მიაჩერდა:

- დაივიწყე ეს ყველაფერი, დაო... თორემ თქვენც იგივე ბედი გელით.

- შეხედე, - მიათითა მიშალამ.

ყოველი მხრიდან - ნანგრევებიდან, წყლის საწრეტებიდან, ამოტრიალებული ყუთებიდან თიტლიპურელები ამოდიოდნენ და მოედანზე იყრიდნენ თავს; ოქროსფერი პეპლები ასხდნენ ყველას ტანსაცმელშემოგლეჯილ სხეულებზე, ხოლო წინ ამ პაწია არსებების მთელი წყება მოუძღოდათ, წვრილ ზოლად - თითქოს თოკებია, უხიფათო ალაგას გამოსაყვანად რომ ექაჩებიანო. შეძრწუნებული სარანგელები ფანჯრებიდან უცქერდნენ ამ მკვდრეთით აღდგომის მართლა დამზაფრავ სურათს, აიშას ჰაჯის წევრები კი მდუმარედ მწკრივდებოდნენ მოედანზე.

- თვალებს არ ვუჯერებ... - წაიბურტყუნა მირზა საიდმა.

ოღონდ ეს მართლა ასე იყო: ყოველი მომლოცველი მოიძიეს პეპლებმა და საღ-სალამათნი გამოიყვანეს მშრალზე. მერე იმასაც ამბობდნენ, ვისაც კი რამ მოტეხილი ჰქონდა, იმ ადგილს ასხდებოდნენ და ძვლებიც წამსვე მთელდებოდაო; ღია ჭრილობები თვალსა და ხელშუა პირს იკრავდნენ და ნაწიბურიც კი არავის აჩნდებოდაო... ზოგი იმასაც ამტკიცებდა - სრულიად უგონოდ ვიყავ და თვალში რომ გამოვიხედე, პეპლები მასხდნენ ტუჩებზე, ფრთებს მინიავებდნენ და მაშინღა ჩამიდგა სუნთქვაცო... ანუ - მათივე მტკიცებით, ჯერ დაიღრჩვნენ და მერე პეპლებმა მოაბრუნეს ამქვეყანას.

- მორჩით ამ სისულელეების როშვას! - ყვიროდა მირზა საიდი. - მართლა არნახულმა თავსხმამ გადაგარჩინათ, ის ბრბო დაშალა და შიშისაგან ჭკუაზე აფრაკად რომ ხართ, რა გასაკვირია...

- განახვნე თვალნი, საიდ. - თქვა მიშალამ და ცეცხლისფერი მწერებით შებურულ ასამდე კაცსა, ქალსა თუ ბავშვზე მიათითა. - ამათზე რაღას იტყვი?

* * *

მომლოცველობის ამ ბოლო დღეებში მთელი ქალაქი გარეთ ეფინებოდა მათ შესახვედრად. ზოგი გამქირდავი შეძახილებით მიაცილებდა, ზოგი - ბრაზიანად აყოლებდა თვალს, მაგრამ უმეტესობა ტკბილეულით, წამლითა და საკვებით განიკითხავდა ხოლმე. ქალაქის თავიც კი შეხვდა აიშა-მიშალას წყვილს და მეგაპოლისზე გასავლელი ქუჩებიც მოუნიშნა: ამგვარი სვლით ყოველ საღამოს რომელიღაც მეჩეთს მაინც მიადგებოდნენ და ღამის ქუჩაში გათევა მაინც აღარ მოუწევდათ. მირზა საიდი კიდე, გაზინზლული და გამოსავათებული, ღრმა დარდს შეეპყრო იმის გამო, რომ თუნდაც ერთი მუჭა მომლოცველებიც კი ვერ დაერწმუნებინა - ჯობს გონს მოუხმოთ და არა სასწაულებსო. სასწაულებმა ბევრჯერ გვიშველაო, - არცთუ მთლად ჰაერზე პასუხობდნენ თიტლიპურელები.

- ამ პეპლებმა დაგვღუპეს, - ბრაზობდა საიდი. - ეგენი რომ არა, რაღაც შანსი კიდევ გვექნებოდა...

- მაგრამ ეგენი ხომ იმთავითვე თან გვდევდნენ, - მხრებს იჩეჩდა სარფანჩა.

მიშალა აჰტარი უკვე აშკარად აღსავლის კარს უახლოვდებოდა; სუნიც კი სიკვდილისა უდიოდა და სახეც მთლად ჩატეტკოდა. ოღონდ ქმარს მაინც სათოფეზე არ უშვებდა ახლოს. დედაც კი შეაჩვენა და მამამისი ერთხელაც რომ ჩამოვიდა მის მოსანახულებლად, კუდამოძუებული გამოაბრუნა უკან.

- ყველაფერი უკვე იმ ზღვარს მიუახლოვდა, როცა მხოლოდ განწმენდილს ძალუძს წმინდასთან ყოფნა. - უთხრა რაღაც არცთუ მთლად გასაგებად.

ეს უკვე მთლად აიშა-კაჰინის ინტონაციები რომ შეიცნო ცოლის ხმაში, მირზა საიდს ბოლო იმედიც გადაეწურა.

დადგა პარასკევი და აიშამ გამოაცხადა, დღეს შეგვიძლია შევისვენოთ, საპარასკევო ლოცვაში მონაწილეობის მისაღებადო. მირზა საიდს თავის დროზე არაბულად დაზუთხული ყველა აია უკვე დავიწყნოდა და აღარც ის ახსოვდა რიგიანად, ხელის მტევნები როდის დაეჭირა წინ წიგნივით, როდის მოეყარა მუხლი, როდის დაედო შუბლი მიწაზე... იქნებ ამიტომაც, მეტად ამრეზით შესცქეროდა მთელს ამ ლოცვა-თაყვანისცემას. თუმცა, ლოცვის დასასრულს ისეთი რამ მოხდა, რამაც ფრიად შეაყოვნა აიშას ეს ჰაჯი.

სხვა მლოცველნი უკვე სტოვებდნენ მეჩეთის შიდა ეზოს, როცა მთავარი კარიბჭის მიღმა რაღაც ხმაური ატყდა. მირზა საიდი ამბის გასაგებად გაემართა.

- რა ხდება, რა ამბავია? - იკითხა და ბრბოში გაიკვლია გზა. კიბის ძირში, მოწნული კალათიდან, ჩვილის ტირილი მოისმოდა.

აშკარა იყო, ბავშვი ნაბუშარი იქნებოდა, სულ რაღაც ორიოდე კვირისა და სიცოცხლის გაგრძელების შესაძლებლობაც შეზღუდული ჰქონდა. ხალხი დრტვინავდა. მერე იმამი გადმოდგა კიბის თავზე, გვერდით აიშა-წინასწარმეტყველი ამოეყენებინა, ვისი კაჰინობაც უკვე მთელი ქალაქისთვის იყო ცნობილი. თავშეყრილნი მართლა ორად განიყვნენ და იმამიცა და აიშაც ერთდროულად წაიხარ-

ნენ კალათზე. სულიერმა წინამძღვარმა ზერელედ შეათვალიერა ჩვილი, წელში გაიმართა და ასე მიმართა ხალხს:

- ეს ბავშვი ცოდვიანია, ცოდვათა უფლის კერძი.

ახალგაზრდა იყო ჯერ.

ბრბო დაიძაბა, აღშფოთების ტალღამ გადაუარა თავზე. მირზა საიდ აჰტარმა დაიძახა:

- აიშა კაჰინი რაღას გვეტყვის?

- ყოველი განიკითხება და ყველას მიეზღვება თავისი, - იყო პასუხი.

ბრბოს მეტიც არ უნდოდა, და ჩვილი ქვებით ჩაქოლეს.

* * *

ამის მერე მომლოცველთა ჯგუფი უარს იყო, გზა გაეგრძელებინა. ჩვილის ამგვარად მოკვდინებამ ჯანყის განწყობა გააჩინა გადაღლილ და გამოფიტულ გლეხებს შორის, რომელთაგან ერთსაც არ აუღია და არ უსვრია ქვა. საზარელი ავადობისაგან ახლა უკვე მთლად კანგადათეთრებულ მიშალას არაქათი აღარა ჰქონდა ხალხის დასარაზმავად. აიშა, როგორც ყოველთვის, კამათში ჩაბმას არ აპირებდა.

- თუკი ღმერთს აქცევთ ზურგს, - ესღა თქვა. - ნუღარ შეიცხადებთ, თუკი ისიც იგივეს იზამს.

მომლოცველები დიდი მეჩეთის ნეონის ნათურებით განათებულ შიდა ეზოს კუთხეში ჩამოსხდნენ; აიშას სიტყვებმა კი დააფეთა, მაგრამ მაინც ზურგი აქციეს და ერთმანეთს მიეტმასნენ. მირზა საიდმა გადაწყვიტა, ვითარებით ესარგებლა:

- ერთი ეს მითხარი, - მტკნარად დაეკითხა კაჰინს. - მაინც, ზუსტად რას გეუბნება ხოლმე ანგელოზი? შენ ხომ მის ნათქვამს

სიტყვასიტყვით არასოდეს გადმოგვცემ, მხოლოდ საკუთარ ჭკუაზე გადააზრებულს - ეგრე არაა? პირდაპირ რატომ ვერასოდეს გვეუბნები სათქმელს?

- მხოლოდ მე მელაპარაკება, - თქვა აიშამ. - ნათლად და გასაგებად.

მირზა საიდი, ერთის მხრივ მის მიმართ სავსებით ხორციელი ვნებით შეპყრობილი, მეორეს მხრივ კი - საკუთარი მომაკვდავი ცოლისაგან მოკვეთის გულისტკივილით აღსავსე, მთელი ამ უსასრულო გზის უბედურებათა თვითმხილველი, აშკარად გრძნობდა - მის სუსტ წერტილს მივაგენიო.

- იქნებადა უფრო ზუსტად გვითხრა? ასე ვთქვათ, შენგან შეულამაზებლად? აბა ასე, ბრმად სანამდე უნდა გენდოთ?

- მთავარანგელოზი... საესტრადო სიმღერების ჰანგებზე მიმღერის ხოლმე სათქმელს.

მირზა საიდს ჯერ პირი დარჩა ღია, მერე კი ტაში შემოჰკრა და შურისგების მაუწყებელი ხარხარი აუვარდა. ის კი არა, ახლა ოსმანიც დავლურს უვლიდა, რაღაც ბოლივუდურ სიმღერებს გაჰკიოდა და ნაღდი დევადასივით აჟუჟუნებდა თვალებს.

- ჰო-ჯი! - იჭყანებოდა შიგადაშიგ. - აი თურმე როგორ უბნობს ანგელოზი! ჰო-ჯი, ჰო-ჯი!

და ასე, ერთიმეორის მიყოლებით, მომლოცველები დგებოდნენ და კვალში უდგებოდნენ მოდავლურეს, ცეკვით აღავლენდნენ საკუთარ იმედგაცრუებასა და უსასოობას მეჩეთის ეზოში, ვიდრე თავად ის ახალგაზრდა იმამი არ გამოვარდა და ღვთისგმობაზე არ მოჰყვა გამყინავ ყივილს.

* * *

ღამეც ჩამოწვა. თითლიპურელები თავიანთი სარპანჩას, მუ-ჰამედ-დინის გარეშემო შემოიკრიბნენ და მშობლიურ სოფელში დაბრუნების თაობაზე ალაპარაკდნენ. იქნებ მოსავლის მცირე ნაწილის გადარჩენა მაინც მოხერხდესო, ბჭობდნენ. მიშალა აჰ-ტარი უკვე სიკვდილის პირას იყო, თავი დედამისის კალთაში ჩა-ედო და ეული ცრემლი ეკიდა მარცხენა თვალზე. მოშორებით კი-დე, მეჩეთის ტექნოლოგიურად გამართული განათების ფონზე, წინასწარმეტყველი აიშა და ზამინდარი საუბრობდნენ, მშვიდად. ცაში ახალი, რქოსანი, ცივი მთვარე ციალებდა.

- თამაში შეგძლებიათ, - თქვა აიშამ. - შანსი არ გაუშვით ხე-ლიდან.

და აი, სწორედ მაშინ იყო, მირზა საიდმა დათმობაზე წასვლა რომ შესთავაზა:

- ცოლი მიკვდება, - თქვა. - არადა, მექა-შარიფს უნდა რომ ჩა-აღწიოს როგორმე. ასე გამოდის, საერთო ინტერესებიც გვაქვს...

აიშა მოთმინებით უსმენდა.

- მერწმუნე აიშა, ცუდი კაცი მართლა არა ვარ და უნდა გით-ხრა, თავადაც ბევრი რამ განვიცადე ამ გზაზე. შენ ხალხს სულიე-რი საზრდო მიეცი, არ ვდავობ. არ იფიქრო, თანამედროვე წყო-ბის ადამიანები სულიერს ვერაფერს ვგრძნობდეთ!

- ხალხმა მიმატოვა... - წაიჩურჩულა უცებ აიშამ.

- ხალხი ჯერ დაბნეულია, - თქვა საიდმა. - აი, თუკი ზღვასთან მათ მიყვანას დაიჯინებ, მერე კი აქედან არაფერი გამოგივა, შენ მაშინ ნახე! მე კიდე მიშალას მამას მოველაპარაკე უკვე: ნახევარ თანხას ის გადაიხდის... შენ და მიშალას, და კიდევ 12 სოფლელს - თვითმფრინავით გადაფრენას გთავაზობთ. თავად აარჩიე, ვინ დაგემგზავრება. მაშინ, მართლა სასწაულს ჩაიდენ თუნდაც მათ-თვის, იმის მაგივრად რომ ვერავისთვის ვერაფერი გააკეთო... მე თუ მკითხავ, თავად ეს მომლოცველობა უკვე სასწაული იყო, მთელი ეს გზა. ასე რომ, უკვე ისედაც ბევრი რამ მოახერხე.

სული მოითქვა.

- უნდა მოვიფიქრო, - თქვა აიშამ.

- იფიქრე, იფიქრე... - თავი დაუქნია აშკარად კმაყოფილმა საიდმა. - იმ შენს მთავარანგელოზსაც დაეკითხე. მთავარიც ისაა, ბოლოსდაბოლოს... თუ დათანხმდა, დანარჩენი თავისით მოგვარდება.

* * *

მირზა საიდ აჰტარს მშვენივრად ესმოდა, როგორ მიჩიხა აიშა: თუ გამოაცხადებდა, მთავარანგელოზმა ეს წინადადება მიიღოო, ტყუილსაც და უიმედობის განწყობასაც ყველა წამსვე მიუხვდებოდა; მაგრამ რა უნდა ექნა?როგორ დაიძვრენდა თავს ამ მდგომარეობიდან? და საერთოდ, ჰქონდა კია არჩევანი? „ტკბილია ნაცვალგება“ - ჩაიბურტყუნა თავისთვის. თუკი ყველაფერი ასე დალაგდა, მიშალასაც ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გადააფრენდა მექაში.

მეჩეთში ერთი პეპელაც კი არ შეფრენილა: კედლებს მოედვნენ და კიდევ - გუმბათზე დაფრინდნენ, იქ ციმციმებდნენ მომწვანო ფერებში.

აიშა ღამით: აჩრდილებს დასდევდა, მერე ისევ წვებოდა, ისევ დგებოდა, საძებნელად. საკუთარ თავში დაეჭვება არ ასვენებდა. ალიონზეღა დაუბრუნდა თავის ხალხს.

დილის ლოცვის მერე მომლოცველებს უთხრა, სიტყვა მაქვს თქვენთანო. უხალისოდ შემოეჯარნენ.

- წარსულ ღამით ანგელოზს არ უმღერია, - თქვა. - ამის მაგივრად, სულ ეჭვის ჭიაზე მესაუბრებოდა და იმაზე, როგორ იყენებს მას ეშმა. აღარ მენდობიან-მეთქი, ვუთხარი, და რა უნდა ვქნა? ასე მიპასუხა: „მხოლოდ მტკიცებას ძალუძს ეჭვის დათრგუნვა“.

ახლა უკვე ყველა ყურადღებით უსმენდა. მაშინ იმასაც მოუყვა, რა შესთავაზა მირზა საიდმა წინა ღამით.

- ასე მითხრა, წადი და იმ შენს ანგელოზს დაეკითხეო... მაგრამ ამას რა კითხვა უნდა? როგორ გამოგარჩიოთ ვინმე?! ან ყველა ერთად, ან - არავინ!

- რატომ უნდა გამოგყვეთ, - იკითხა სარფანჩამ, - ამდენი სიკვდილის, ბავშვის ჩაქოლვისა და ათასი უბედურების მერე?

- იმიტომ, რომ როცა წყალნი განიხვნებიან, ხსნა ყველას ერგება. უზენაესის დიდებას ეზიარებით ყველანი.

- რა წყლები, რის წყლები! - აყვირდა მირზა საიდი. - როგორ თუ განიხვნებიან?!

- მე შემომიდექით, - დაასრულა აიშამ თავისი გამოსვლა. - თავად ნახავთ. მერეღა განმსაჯეთ.

მისი შეთავაზება ერთ ძველ შეკითხვას შეიცავდა: როგორია შენი საზრისი? იმან კიდე, თავის მხრივ, ასევე ძველი პასუხი გასცა: ვცდუნდი, მაგრამ განვიახლე თავი ჩემი; დამთმობი აღარ ვარ, სრულია სული ჩემი და განწმენდილი...

* * *

მიქცევის დრო იდგა, როცა თიტლიპურელმა მომლოცველებმა უცხოელებითა და ადგილობრივი კინოვარსკვლავებით გამოჭედილ სასტუმრო „ჰოლიდეი ინს“ ჩაუარეს, რომლის ფანჯრებიდან თუ აივნებიდან სულ „პოლაროიდების“ ჩხაკაჩხუკი მოისმოდა, და ქალაქის ქვაფენილიდან ზღვისპირის სილაზე შეაბიჯეს - ცხოვრებაში პირველად, არაბეთის ზღვას მიაშტერდნენ.

ოღონდ მირზა საიდი კი მიშალას შესცქეროდა, რომელსაც თავისით ფეხზე დგომა აღარ შეეძლო და ორი ქალი ამოდგომო-

და აქეთ-იქიდან. აიშაც მის გვერდით იდგა - თიტლიპურელები დიდი ხნის სჯა-ბაასის შემდეგ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მაინც გაყოლოდნენ ბოლომდე: უაზრობა იქნებოდა, ახლა გაბრუნებულიყვნენ უკან, როცა მიზნამდე სულ რაღაც ნახევარი დღის სავალი დარჩენოდათ; ოღონდ ახლა, ეჭვის ჭიით სულდაღრღნილებს, ფეხის ყოველ გადადგმაზე თითქოს თვალსა და ხელსშუა ემატებოდათ წლები, ბერდებოდნენ, ჩაჩანაკდებოდნენ, ახლა მხოლოდ ხორციელად მისდევდნენ აიშას, და არა - სულიერად; ზღვისპირს რომ მიაღწიეს, ეს უკვე მთლად ფეხებმორყეული, ციებაშეყრილი, თვალებდაწითლებული, გაძვალტყავებული ბრბო იყო და არა მომლოცველთა შეკრული ჯარი და მირზა საიდს, ანაზდად, თავში უცნაურმა ფიქრმა გაუელვა - ემანდ საერთოდ თუ მიაღწევენ წყლამდეო...

ოღონდ მათს თავებზემოთ, პეპლები ჯერ ისევ რიალებდნენ.

- და ახლა რაღას ვშვებით, აიშა? - დაეკითხა საიდი. - დაღუპვის კიდეს მიგვაყენე ყველანი და აგე, ეს შენი ზღვაც... რას ამბობს ანგელოზი, რა მინდაო?

- ჯაბრაილი ამბობს, რომ ეს ზღვაც ჩვენსავე სულებს ჰგავს: როცა სული ხსნილია, ჩვენც სიბრძნისაკენ მივემართებით... თუკი გულებსაც გადავიხსნით, ზღვის წყალნიც თავისით განიყოფიან.

- დაყოფა-გაყოფამ ამ ცოდვილ მიწაზეც ბევრი უბედურება მოგვიტანა, - ჩაიფრუტუნა საიდმა. - ვითომ, წყალში სხვაგვარად იქნება საქმე?

- ჩუ! - აიშამ თითი მიიტანა ტუჩთან. - ანგელოზი მოფრინდა.

გასაკვირი კი იყო, რომ ამხელა აურზაურის მერე, ნაპირზე სულ ორასიოდე მოსეირემ თუ მოიყარა თავი - ოღონდ ისიც გასათვალისწინებელი გახლდათ, რაოდენი ძალისხმევა გამოიჩინა ადგილობრივმა ხელისუფლებამ - გზები გადაკეტა, სანაპიროსაკენ მანქანების მოძრაობა საერთოდ აკრძალა... მოკლედ, სანერვიულო აღარაფერი გახლდათ.

აი, მართლა გასაკვირი კი ის იყო, რომ ეს თვითმხილველები საერთოდ ვერ ამჩნევდნენ ცაში გუნდ-გუნდად მორიალე პეპლებს და ეტყობა, ვერც ის შეამჩნიეს, თუ რა მოხდა მერე: დიდ, ალმოდებულ ღრუბლად შენივთდნენ და რაღაც მთლად გოლიათური აღნაგობის არსებად შეიკვრნენ - ცისკიდურიდან ცისკიდურამდე რომ სწვდებოდა ზეცას.

- ანგელოზი! - გასძახა აიშამ მომლოცველებს. - მანამდეც სულ ჩვენთან იყო, ოღონდ - უხილავი. აღარც ახლა დაიჯერებთ?

მირზა საიდი ენაჩავარდნილი შესცქეროდა, როგორ მეყვსეულად უბრუნდებოდა ხალხს რწმენა:

- კი, კი! ვხედავთ! - გაჰყვიროდნენ, მუხლებზედაცემულნი და აიშა-კაჰინს შენდობას სთხოვდნენ. - ჯაბრაილ! ჯაბრაილ! იაალაჰ!

და სწორედ ამ დროს, პეპლებიც ზღვაში ჩაეშვნენ.

- განიყოფიან, განიყოფიან წყლები! - გაჰყვიროდა აღტკინებული ბრბო.

- რა ხდება, ძმაკაც? - ჩაესმა საიდს ვიღაც ტურისტის ხმა. - არაფერი ჩანს...

აიშა ნელი ნაბიჯით წავიდა წყლისკენ, მას ორქალმხარშემდგარი მიშალა მიჰყვა. საიდმა სცადა შეეჩერებინა:

- ხელი უშვით! ჩემი ცოლია, ბოლო-ბოლო! მე კი თქვენი ზამანდარი ვარ! თავი გაანებეთ!

მაგრამ მიშალამ შეაჩერა, სულ ერთი ნათქვამით:

- არ გინდა, საიდ: ზღვა მხოლოდ იმას გაეხსნება, ვინც თავად ხსნილია...

- მიშალა! - გაჰყვიროდა შეშლილივით, მაგრამ ქალს კოჭები უკვე დასველებოდა.

როგორც კი აიშამაც შედგა ფეხი წყალში, ხალხმაც მისკენ გაიწია. ხელში ჩვილებაყვანილი ქალები ზღვაში შერბოდნენ, შვილიშვილები ბაბუებს იტატებდნენ და ისე ეშვებოდნენ ტალღებში.

წუთიც არ გასულა, ყველანი უკვე შიგ იყვნენ, ეცემოდნენ, ისევ დგებოდნენ ფეხზე, წინ მიიწევდნენ, წყალს ადგაფუნებდნენ, ცისკიდურისკენ მიიწევდნენ თავგამოდებით და არცერთს ერთხელაც კი არ მოუხედავს უკან.

მირზა საიდმაც შეაბიჯა ზღვაში.

- მობრუნდი! - ევედრებოდა ცოლს. - ხომ ხედავ, არაფერიც არ ხდება! უკან მობრუნდი!

ზედ წყლისპირას ქ-ნი კურეიშისა, ოსმანი და შრი შრინივასი იდგნენ. მიშალას დედა მაზალოდ მოთქვამდა:

- ო, შვილო ჩემო! და ახლა რაღა?

- როცა მიხვდებიან, რომ სასწაული არ მოხდა, უკან გამობრუნდებიან. - აზრი გამოთქვა ოსმანმა.

- და ეს პეპლები? - ჩაიბურტყუნა შრინივასმა. - ეს რაღა იყო?

და ამ დროს მიხვდნენ სწორედ, რომ თიტლიპურელები უკან ვერასოდეს მობრუნდებოდნენ.

- მეტისმეტად ღრმად შეტოპეს. - თქვა სარფანჩამ. - წასულია მათი საქმე.

- ცურვა მაინც თუ იცის რომელიმემ? - ამოიზლუქუნა ქ-ნმა კურეიშისამ.

- რა ცურვა? - ხელი ჩაიქნია შრინივასმა. - როდის იყო, გლეხები ზღვაში ცურავდნენ?

მათ პოლიციის ქვეგანაყოფის მეთაური მიუახლოვდა - ვისაც სანაპიროზე წესრიგის დაცვა ევალებოდა.

- რა ხდება? - იკითხა. - ეს ხალხი რამ გადარია?

- იქნებ თქვენ მაინც შეაჩეროთ! - ეაჯა მირზა საიდი, თან ზღვისკენ იშვერდა ხელს.

- დააშავეს რამე?

- მასობრივი თვითმკვლელობა... ამას დაუშვებთ?!

ოღონდ უკვე მეტისმეტად დაგვიანებული იყო. აქა-იქ ჯერ კიდევ მოტივტივე თავებმა, თითქოს ერთი ვინმეს ბრძანებას ემორჩილები-

ანო, ერთად დაყვინეს და მერე არც გამოჩენილან წყლის ზედაპირზე. არა დაყვირება, არა მცდელობა თავის გადასარჩენად, არცერთი ჰაერში გასავსავებული ხელი არ ითხოვდა შველას.

საიდის, ოსმანის, შრინივასისა და სარფანჩას ყვირილი რჩებოდა ხმად მღაღადებლისა წყლისა უდაბნოსა ზედა...

საზოგადოდ, როგორც კი ადამიანი დაღრჩობის საფრთხეს იგრძნობს, წყალთან ბრძოლას იწყებს, გაუაზრებლად. ეს უბრალოდ, ადამიანის ბუნებას ეწინააღმდეგება - გულმშვიდად იცდიდე, ვიდრე ზღვა არ ჩაგყლაპავს. ოღონდ აი, მიშალა აჰტარი, აიშა და თიტლიპურელი გლეხები ისე ჩაინთქნენ შიგ, ხმაც არ გაუღიათ და თითიც არ გაუტოკებიათ.

მთლად სახეგალურჯებული ქ-ნი კურეიშისა პოლიციამ გამოათრია წყლიდან - ფილტვები სავსე ქონდა წყლით და ძლივს მოაბრუნეს ამქვეყანას. ოსმანი, შრინივასი და სარფანჩა მოგვიანებით ამოიყვანეს - არც ისინი გახლდნენ მთლად კარგ დღეში. მირზა საიდის მოხელეთება კი გაუჭირდათ - სულ უფრო და უფრო შორს მიცურავდა, სულ უფრო და უფრო ღრმად ყვინთავდა, სანამ მთლად ძალაგამოცლილი არ აიყვანეს სანაპირო დაცვის კატარღის ბანზე. მომლოცველობა გათავდა.

მეორე დღეს საავადმყოფოს პალატაში გამოეღვიძა, მის სასთუმალთან კი სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორი მოკალათებულიყო - ხელისუფალთ აზრად მოსვლოდათ აიშას ამ მსვლელობის გადარჩენილ მონაწილეთათვის უკანონო ემიგრაციის მცდელობაში დაედოთ ბრალი, და ინსპექტორს სურდა მანამდე მოესმინა მათი ახსნა-განმარტებები, სანამ ისინი ერთმანეთში მოთათბირებას მოახერხებდნენ.

აი, ამგვარი გახლდათ სოფელ თიტლიპურის სარფანჩას, ვინმე მუჰამედ-დინის ჩვენება:

„როცა მთლად წამერთვა ძალა და ვიფიქრე, ამ მლაშე წყლებში თუ მიწერია დაღრჩობა-მეთქი, სწორედ მაშინ ვიხილე

ყველაფერი საკუთარი თვალით: ზღვა ორად გაიპო და ისინიც დავლანდე - შორს, დაწალიკებულები მიაბიჯებდნენ... მათ შორის იყო ცოლი ჩემი, ჰადიჯა, რომელიც მიყვარდა...“

აგერ კი ოსმანის, ნაბუღარის ყოფილი მწყემსისა და ბაზრის ოინბაზის ჩვენება, სარფანჩას მონაყოლით ფრიად შეჩქვიფებულ ინსპექტორს რომ მისცა:

„ჯერ იყო და მაგრა მეშინოდა, ჩავიძირები-მეთქი, მაგრამ ძებნას მაინც განვაგრძობდი - აიშას პოვნა მსურდა, ვისაც მანამდეც ვიცნობდი, სანამ ასე შეიცვლებოდა... და მხოლოდ სულ ბოლოს დავინახე, რაც მოხდა - ზღვა ორად გაიყო და მის ფსკერზე მიმავალი ხალხიც კარგად ჩანდა, მომაკვდავ-მოფართხალე თევზებს შორის...“

შრი შრინივასიც თავის სათაყვანო ქალღმერთ ლაქშმის იფიცებოდა, ჩემი ორი თვალით ვნახე არაბეთის ზღვის განხვნაო. მოკლედ, ინსპექტორი ძაან აღრენილ ხასიათზე გახლდათ, რაკიღა დანამდვილებით იცოდა, ამ ხალხის ერთმანეთში წინასწარ მოლაპარაკება გამორიცხული იყო. ბოლო იმედად ქ-ნი კურეიშისა, ფრიად და ფრიად მაღალჩინოსანი კაცის მეუღლე რჩებოდა, მაგრამ ეს იმედიც გაუცრუვდა: ისიც ერთი-ერთზე იმეორებდა სხვათა ნაამბობს.

- გინდ დამიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ რაც ჩემმა თვალებმა იხილეს, მხოლოდ იმას ამბობს ენა ჩემი. - დაასვა ბეჭედი ბანკირის მეუღლემ და შვილმკვდარმა დედამ.

ინსპექტორს უკვე თმების ნარჩენები უდგებოდა ყალყზე და სასოწარკვეთილმა, გადაწყვიტა აქეთ გადასულიყო შეტევაზე:

- მისმინე, სარფანჩა ხარ თუ ვიღაცა, სანაპიროზე ხალხი ირეოდა და კაციშვილს ეგეთი არაფერი შეუნიშნავს! დამღრჩვალთა გვამები კი ეგერ მიწევს, მორგში... თუ ბევრს გაახურებ, შენვე დაგბრალდება ყველაფერი!

- რაც გინდათ ის ქენით, - პასუხობდა სარფანჩა მუჰამედ-დინი. - ოღონდ რაც ვნახე, ვნახე.

* * *

- შენ რაღას იტყვი? - დაეკითხა მირზა საიდ აჰტარს, როგორც კი მან თვალი გაახილა. - რას შეესწარი სანაპიროზე?

- ხალხი არა ხართ? - შეიცხადა იმან. - ცოლი დამეღუპა. თვითონაც ძლივს გადავრჩი. რა თქვენი კითხვა-პასუხების თავი მაქვს!

როცა გაიგო, ერთადერთი იყო აიშას ჰაჯის ხალხიდან, ვინაც წყალთა განყოფის მოწმე არ ყოფილა (შრი შინივასი მოუყვა ყველაფერს, და მერე მწუხარე ხმით დაამატა: სეთ-ჯი, ჩვენს წინ წყალნი დაიბეჭდნენ - როგორც რომ სამოთხის კარიბჭეს ცხვირწინ მიუხურავენ ცოდვილთ...), მირზა საიდი მოტყდა და მთელი კვირა და კიდევ ერთი დღეც სულ ქვითინში გაატარა: მისი თქვლიფინი კიდევ კარგა ხანს ისმოდა მას მერე, რაც ცრემლის სადინრებში მარილი დაელია.

მერე კი სახლში გაბრუნდა.

* * *

ჩრჩილს შეეჭამა პერისტანის სახელგანთქმული მარაოები, ბიბლიოთეკა კი მილიარდობით ჭიას მოესპო. ონკანი რომ მოუშვა, წყლის მაგივრად გველის წიწილები ჩამოიყარნენ ბაკანში, და სამეფო ლოგინის ფეხებიც ხვიარა მცენარეებს დაეფარათ - თითქოს მის არყოფნაში დრო აჩქარებულიყო და ასწლეულები ჩავლილიყო თვეების ნაცვლად: საცეკვაო დარბაზში, აკეცილ და

კუთხეში მიწეულ სპარსულ ხალიჩას რომ შეავლო ხელი, ისიც თითებშორის ჩაეფჩხვნა, ხოლო აბაზანაში წითელთვალა გომბეშოები დაბუდებულიყვნენ. ღამ-ღამობით, გარეთ ტურები ჩხაოდნენ ქარში. დედა-ხე მთლად გამოფიტულიყო და სულსღა ღაფავდა. მინდვრები ერთიანად გაბერწებულიყო; პერისტანის იმ ბაღებს, სადაც დიდი ხნის წინ, მავან თვალხატულა გოგონას ჰკიდა თვალი, ყოვლად უგვანად მოსდებოდა სიყვითლე. სვავი ერთადერთი ფრინველი გახლდათ, ვისი დანახვაც კიდევ შეიძლებოდა თავსზემოთ, ცაში.

სარწეველა სავარძელი ბანზე გამოიტანა, შიგ ჩაჯდა და წინ-დაუკან ქანაობას მოჰყვა, იქნებადა წავუძინოო.

ერთხელ, მხოლოდ ერთხელ ეწვია ხეს. სოფლიდან აღარაფერი დარჩენილიყო: უმიწაწყლო გლეხები და ვიღაც მომთაბარეები კი შეეცადნენ დაპატრონებოდნენ იქაურობას, მაგრამ გვალვამ ყველანი აყარა იქიდან. წვიმა აქ აღარასოდეს მოსულა. მირზა საიდი პერისტანს დაბრუნდა და დიდი ბოქლომი დაკიდა დაჟანგულანჯამებიან კარიბჭეზე. არც ცოცხლადმყოფი ნაცნობ-მეგობრების ამბავი აინტერესებდა - ტელეფონის აპარატთან მივიდა და კედლიდან ჩამოგლიჯა.

მრავალი დღის მერეღა მოვიდა აზრზე, რომ მთლად გამოფიტულიყო, რადგან სხეულიდან ახლა აცეტონის სუნი სდიოდა; მაგრამ, რაკი არც შიმშილს გრძნობდა და არც წყურვილი სტანჯავდა, ხელი ჩაიქნია. რისთვის ეწვალა? განა არა ჯობდა ასე, ქანაობ-ქანაობაში, არაფრის ფიქრში გაეტარებინა მთელი დღეები?

* * *

საკუთარი ცხოვრების ბოლო ღამით რაღაც ხმაური მოესმა, თითქოს ვიღაც გოლიათი მოამტვრევდა ტყეს, და გამონასუნთქის

მყრალი სუნიც კი ეცა თითქოს. მერე მიხვდა, ხე იწვისო. სავარ-ძლიდან წამოდგა და ბარბაცით გაემართა ბაღისკენ, რათა საკუ-თარი თვალით შეეხედა იმ ხანძრისთვის, თავად ისტორიას რომ ნთქავდა, მოგონებებს, გენეალოგიებს, ნიადაგს ასუფთავებდა და ახლა მას უახლოვდებოდა განსათავისუფლებლად - ქარს ცეცხლი პირდაპირ სახლისაკენ მოჰქონდა და მისი ჯერიც მალე დადგებოდა. დაინახა, როგორ ჩამოიმზღვლა ხე ათას ნატეხად, ხის ტანი კი გულივით ორად გადასკდა; მაშინ გატრიალდა და ბორძიკ-ბორძიკით შეაბიჯა ბაღში - იქ, სადაც აიშამ პირველად დაიჭირა მისი მზერა. მერე კი იგრძნო, ნელი-ნელ რომ შემოეჭ-დო მკერდზე რაღაც, რკინის სალტესავით და იქვე, გადამხმარი ფოთლების მშრალ მტვერში ჩაჯდა. მაგრამ ვიდრე საბოლოოდ დახუჭავდა თვალს, რაღაცა მოელამუნა ტუჩებზე - პეპლების პა-წია გუნდი ცდილობდა შეძრომოდა ღიად დარჩენილ პირში. მე-რე ზღვა გადაეფარა და უეცრად, აიშას გვერდით აღმოჩნდა, რა-ღაც სასწაულით რომ მისი ცოლის, მიშალას სხეულს შენივთებო-და...

- გაიხსენ გული! - უყვიროდა ქალი. - ბოლომდე გადაიხსენი! აქამდე მოსულხარ, ახლა რაღა...

როგორ და რანაირად ესმოდა ეს ხმა? ხომ წყლისქვეშ იყვნენ, თავსზემოთ აღმუვლებული ტალღები გადადიოდნენ, მაგრამ ყო-ველი სიტყვა ესმოდა და ისიც ცხადი იყო, რომ ყველას შეეძლო ამ ზარივით მრეკავი ხმის გაგონება.

- განიხსენ, - უთხრა.

ის კი საკუთარ ნიჟარაში ჩაიმალა.

ის ახლა ჟღრიალაკარიბჭიანი სიმაგრე იყო და იღრჩობოდა.

ისიც ასევე: ხედავდა, როგორ ევსებოდა პირი წყლით,ესმო-და, როგორ ჩასდიოდა წყალი ფილტვებში... და აი, სწორედ იმ წამს რაღაცამ გაიღვიძა მასში, წინააღდგომის სურვილი გაჩნდა,

სხვა არჩევანი ირჩია და გულის გასკდომა და მისი გარდახსნაც ერთი იყო.

სხეული ორად განეპო - ყელითგან თეძოებამდე, რათა იგი მთლიანად შემოსულიყო მასში, და მეყვსეულად განიხვნენ წყალნი, და ისინიც, არაბეთის ზღვის ფსკერზე გავლით, მექას გზას დაადგნენ.

კარი IX

ჯადოსნური ლამპარი

1

გულის შეტევიდან თვრამეტი თვის თავზე, სალადინ ჩამჩა ისევ ჩაჯდა თვითმფრინავში, რადგან დეპეშა მოუვიდა: მამაშენი ძვლის ტვინის კიბოთია დაავადებული და დიდი დღეც აღარ უწერიაო. „განუკურნებელი რამეა“ - სწორედ ასე, ყოველგვარი სანტიმენტების გარეშე დაუდასტურა თერაპევტმა, როცა ჩამჩამ გადაურეკა შესამოწმებლად.

მამა-შვილი, ფაქტიურად, უბრად იყვნენ მას შემდეგ, რაც ჩინგიზ ჩამჩავალამ მოჭრილი ცხენისწაბლას ხის გაყიდვიდან შემოსული ფული გამოუგზავნა - მთელი მარადისობით ადრე. სალადინმაც, თავის მხრივ ერთი მოკლე წერილი გაუგზავნა, სადაც მშობელს ატყობინებდა, საჰაერო კატასტროფაში მოვყევი და გადავრჩიო, რაზეც კიდევ უფრო მოკლე პასუხი მიიღო: ეგ ინფორმაცია უკვე მომივი-

დაო. და მაინც, როცა ეს დეპეშა მიიღო - მამის მეორე ცოლის, ნასრინ II-ის ხელმოწერელი - მამა სულს ღაფავს წრტ თუ გინდა მოუსწრო სწრაფად ჩამოდი წრტ - თავისათვისვე გასაკვირად, მთელი ამ წლების განმავლობაში ბ-ნ ჩინგიზ ჩამჩავალასთან ამისთანა აბურდული ურთიერთობისა და ამავე ურთიერთობათა მრავალჯერადი „სრული გაწყვეტის“ მიუხედავად, გული უთქმოდა ახლავე, დაუყოვნებლივ, ყოველმიზეზგარეშე ჩასულიყო ბომბეიში და მომაკვდავი მამისთვის ჯერ ისევ ცოცხალს მიესწრო.

ლამის მთელი დღე მოანდომა საკონსულოში რიგში დგომას, მერე იყო და ვერაფრით დაარწმუნა ვიღაც მოხელე, სასწრაფო საქმე მაქვსო: სისულელე მოუვიდა, დეპეშა არ გამოაყოლა ხელს და ახლა უხსნიდნენ - ასე ყველას შეუძლია განაცხადოს - მშობელი მამა მიკვდება და დამიჩქარეთო... ჩამჩა ერთხანს კიდევ იკავებდა თავს, მაგრამ ბოლოს მაინც იფეთქა:

- თქვენის მოკლე ჭკუით, ვგევარ ახლა მე ჰალისტანელ ტერორისტს?!

ჩინოსანმა მოხელემ მხრები აიჩეჩა.

- გეტყვით, ვინცა ვარ! - ღრიალებდა ჩამჩა. - ერთი საწყალი კაცი ვარ, ვიღაც ფანატიკოსებმა თვითმფრინავი რომ აუფეთქეს, ოცდაათიათასი ფუტი ვიფრინე მიწამდე, ახლა კი იმავე ტერორისტების გამო აქეთ უნდა მომდოთ შარი?!

ცხადია, ამის მერე მისი განაცხადი დასტის სულ ქვემოთ ამოდეს და სამი დღე არც განუხილავთ; შესაფერისი რეისი კი კიდევ 36 საათის მერე იყო დანიშნული - „ეარ ინდიას“ კუთვნილი გულისტანი.

გულისტანი და ბოსტანი - სამოთხის მარჩბივი ბაღი... 747-ის შესასვლელი კარის გვერდით ეს წარწერა რომ დაინახა, ჩამჩას ფერი-ფური წაუვიდა, ხოლო სარიში გამოწყობილი ინდოელი გამცილებელი ქალი კანადური აქცენტით რომ მიესალმა ყვე-

ლას, მთლად წაუხდა ნირი. ჯერ ადგილზევე გაშრა, მერე კი, უკნიდან ტრაპზე ამომსვლელი სხვა ხალხი რომ მიაწვა ზურგში, ეგღა გაიფიქრა, რატომღაც - ეს თუ არტერიაა, მე ნაღდად თრომბი ვყოფილვარო...

- მეეც ეგრე მმეშშინოდა, - ჩაესმა მხიარული ხმა. - ოღონდ ახლა ხხელებს ვშშლი ხოლმე და აასსეე ვეხხმარები აფრრენაშში...

* * *

- დღესსდღეობით, უუმთავრრესი ქქალღმერრთი, ცცხადია, ლლაქშმია, - გაუზიარა თავისი მოსაზრება ბ-ნმა სისოდიამ, როგორც კი სავარძლებში მოიკალათეს, მშვიდობით აფრინდნენ და მანაც პირველი ყლუპი უფასო ვისკი გადაუშვა ხახაში (ტყუილი არ უთქვამს - მართლა გიჟივით იქნევდა ხელებს, სანამ თვითმფრინავი მიწას არ მოსწყდა, მერე კი თავმდაბლად გაიღიმა: ხომ ხედავთ, სიმართლეს გეუბნებოდით, ნაღდად შველისო...); ორივენი ბოინგ-747-ის ზედა სართულზე ისხდნენ, ბიზნეს-კლასის არამწეველთათვის განკუთვნილ ადგილებზე და ბ-ნი სისოდიაც ისე მოუჯდა გვერდით, როგორც რომ ძველ კარგ ნაცნობს:

- ვვისსკი-სსოდა დამიძახეთ, ჩვენიანები არა ვართ? - დაიჟინა. - სსაით ggაგიწევვიათ? რა სსაქმეზე? წწელიწწადში რრამდენს შოულობთ? ქქალები ggელოდებიან თთუ მმეგობრულ დახხმარებბაზეც არ იტყოდით უარრს?

„გიჟია ოხერი... - გაიფიქრა სალადინ ჩამჩამ, თვალები მილულა და მამაზე დაიწყო ფიქრი. მთელი უბედურება ის იყო, რომ მამასთან გატარებული ერთი ბედნიერი დღეც ვერ გაიხსენა. ოღონდ ახლა ის ახარებდა, რომ თურმე ნუ იტყვით და, მისი სულ ყველაზე მიუტევე-

ბელი საქციელის შენდობაც კი შეეძლო ასეთ დროს. ცოტაც დაიცადე, - ემუდარებოდა უხმოდ. - მალე ჩამოვალ, სულ მალე...

- და აამ ჩჩვენს მმატერიალისსტურ დროში, - ისევ თავისას მიერეკებოდა ბ-ნი სისოდია, - ვინ, თუ არა სიუხვე-სიმდიდრის ქალღმერთი? ბბომბეიში ბბევრი ახხალგაზრდა ბბიზნესმენი ეთაყვანება - მის ქქანდაკს ხხელისგგულები გგადმობრუნებული აქვს და მმუდმივად წწყლის წწვეთები სსდის... ასე ვვთქვათ, თთითქოსდა მმარგგალიტები სსცვიოდეს...

კინოეკრანზე გამცილებელი გოგონა თავის გადარჩენის სხვადასხვა ხერხებს უჩვენებდა ცნობისმოყვარე მგზავრებს. ეკრანის ქვედა მარჯვენა კუთხეში კი ვიღაც კაცს ეს ყველაფერი ყრუ-მუნჯთა ენაზე გადაჰქონდა. დიდი წინსვლაა, ნამდვილად. - გაუელვა ჩამჩას. - „ცოცხალი ადამიანის ნაცვლად - წინასწარ ჩაწერილი ფილმი, ტექნოლოგიური სირთულე (ტექსტის უტყვ ჟესტებზე თარგმნა) და ფასიც შეუმჩნევლად მატულობს. ასე ვთქვათ, მაღალი ტექნოლოგიები უსაფრთხოების სამსახურში... არადა, საჰაერო მოგზაურობები სულ უფრო სახიფათო ხდებოდა, მსოფლიოში საავიაციო კომპანიების აქციები დღითიდღე ეცემოდა და კაციშვილი არ ფიქრობდა მათთვის დახმარების ხელის გაწვდენას. საჰაერო კატასტროფებმაც პირდაპირპროპორციულად - ანუ, კატასტროფულად იმატა. ასე რომ, ესეც ერთი მორიგი ტყუილი იყო, ვითომდა იმის დასამტკიცებლად - აი ნახეთ, როგორ ვზრუნავთ ყოველი თქვენგანის უსაფრთხოებაზე, ფილმიც კი გადავიღეთ თქვენთვისო... მოკლედ, გარეგნობა შიგთავსის გარეშე, ხატება - სინამდვილის ნაცვლად.

- მსხვილბიუჯეტიანი ფფილმის გგადაღებას ვვაპირებ ლაქშმიზე, - მიერეკებოდა ბ-ნი სისოდია. - ოღონდ ეს ჯერ მაინც ჩჩვენს შორის დდარჩეს... ალბათ, შშრიდევის მოვიწვევ - რრაც ჯჯაბრაილის დდაბრუნების იდეამ ჭჭირი მმოგჭამა, ახლა ისსაა „ნნუმერო უნო!“

ჩამჩას გაგონილი ჰქონდა, რა შთაბეჭდილებაც მოეხდინა ჯაბრაილ ფარიშტას ეკრანზე დაბრუნებას: მის პირველ ფილმს - „...და განიხვნენ წყალნი არაბეთისანი“ კრიტიკამ სულ ბდღვირი ადინა; სპეცეფექტები უნიათო იყო, აიშას როლის შემსრულებელი, ვინმე წიწკვა ბილიმორია არაფრად ვარგოდა, ხოლო თავად ჯაბრაილის მიერ მთავარანგელოზის განსახიერება „ნარცისისტულად“ და „მეგალომანიაკურად“ მონათლეს. მოკლედ, ის დრო, როცა მას უბრალოდ, არ შეეძლო რაიმე არასწორად გაეკეთებინა, წარსულს ჩაბარდა... რაც შეეხებოდა მის რიგით მეორე სურათს, „მაჰუნდი“ - ის უბრალოდ, ათასი ჯურის სარწმუნოებრივ დაჯგუფებათა მიერ დადებულ კვანტებს წამოედო და უკვალოდ გაქრა.

- სსხვა პროდიუსსერებთან ინება საქმის დაჭერა და აი, შშედეგიც! - წუხდა ბ-ნი სისოდია. - ვარრსკვლავურრმა დაავადდებამ იმსსხვერპლა. ჩემთან კი ყველაფერი სსაათივით ექქნებოდა აწწყობილი... კკარგი ggემოვნება წწარმატების ნნახევარია, მმოგეხსენებათ!

სალადინი საზურგეზე მიწვა - გვარიანად შეშინებულს, მთელი ულუფა ვისკი მეტისმეტად სწრაფად გამოეცალა და ახლა ცოტათი თავი უბრუოდა. ბ-ნ სისოდიას კი, ეტყობა, ფარიშტასადმი თავისი სიმპათიები წარსულისთვის ჩაებარებინა და ახლა ახალ ვარსკვლავს ეპოტინებოდა:

- ეს შშრიდევი ზედggამოჭრილი ლაქშმია! - უმტკიცებდა უხილავ მოპაექრეს. - ბაჯაღლო ოქრო. თთქვენც ხხომ მსახხიობი ხხართ და უნდა gesსმოდეთ... დდამირეკეთ - ამ ფფილმის ამბავი ნნაღდი რრამეა, იქნებადა სსაერთო ენაც ggამოვნახხოთ. ხომ იცით, ბბიზნესი ბიზზნესია...

ჩამჩას უკვე თავბრუ ეხვეოდა. რა უცნაურად იცვლიან სიტყვები შინაარსს! სულ რამდენიმე დღის წინ, სახლში დაბრუნება ყალბად გაიჟღერებდა, ახლა კი მამა უკვდებოდა იქ, და ჩაყუჩული გრძნობები თითქოს საცეცეებივით ეჭიდებიან. იქნებადა ენასაც თავისი და-

მართნოდა და აღმოსავლური კილოკავი გამორეოდა საუბარში? ხმის ამოღებასაც კი ერიდებოდა.

თითქმის ოცი წლის წინათ, როცა ახალგაზრდა და გვარგადაკეთებულმა სალადინმა ლონდონის თეატრების კალთებზე ჩაბღაუჭება მოახერხა და მამამისისაგან შორს დაიჭირა თავი, ხოლო ჩინგიზ ჩამჩავალა სულ სხვა - კარჩაკეტილობისა და მორწმუნეობის გზას დაადგა, სრულიად მოულოდნელად, მისგან წერილი მიიღო: სახლს სთავაზობდა საკუთრებაში გადასაცემად. ქონება ერთი მოუვლელი, დიდი ხნის მიუხედავი ნაგებობა გახლდათ სოლანის მთიან მხარეში. „ეს ჩემი პირველი შენაძენი იყო," - წერდა ჩინგიზი. - „ამიტომაც მინდა, პირველად ეს გადმოგცე". სალადინმა ჯერ ის იფიქრა, ნაღდად რაღაც მახეს მიგებს, სურს უკან, შინ დამაბრუნოს, იქნებ როგორმე ისევ თავის გავლენის ქვეშ მომაქციოსო; ხოლო როცა გაიგო რომ ეს სახლი რა ხანია სახელმწიფოს აეღო იჯარით და ახლა იქ სკოლა იყო გახსნილი, უკვე თავად ეს საბოძვარიც კი სატყუარად მიიჩნია: რა უნდა ექნა რა - უნდა მოენახულებინა ხოლმე და რომელიმე მაღალჩინოსანივით, ბიჭუნების აღლუმს დასწრებოდა თუ მათი სკოლისშიდა სპორტული შეჯიბრებები გაეხსნა? ეგეთი რამეები იქნებადა ჩინგიზ ჩამჩავალას ცუდმედიდობას ძაანაც წაადგებოდა, მაგრამ ჩამჩას ამის იოტისოდენა სურვილიც კი არ გააჩნდა. მოკლედ, საჩუქარი ფუჭი გამოდგა. მამას მისწერა, უარს ვამბობო. ეს უკანასკნელი შემთხვევა იყო, როცა მამამისმა რაღაცის ჩუქება დაუპირა. იმ ჯერზე, უძღებ შვილს სახლში დაბრუნება არ ეწერა.

- სსახეები არასსოდეს მავიწყდება, - რატრატს განაგრძობდა ბ-ნი სისოდია. - თქვენ აკი მიმის მეგგობარი ხართ, „ბოსტანის" აფფეთქებას რრომ გგადაურჩით! იმმედია, ახხლა აღღარაფერი გგიჭირთ?

სალადინმა თავი გაიქნია - გმადლობთ, ყველაფერი რიგზეაო. ბ-ნმა სისოდიამ თვალი ჩაუკრა ფორმიან გოგონას და კიდევ შეუკვეთა სასმელი.

- და რრა ცცუდად გამოუვიდათ ჯჯაბრაილსა და იმ ქალბატონს... - ბ-ნი სისოდია ეტყობა, მთლად დელიში ჩაფრენამდე არც აპირებდა ენის გაჩერებას. - ისეთი მმშვენიერი სსახელი ჰქონდა, ჰალელუია... არც ასსეთი ეჭვიანობა ვვარგა, ღმერთმანი... დაშორდნენ.

სალადინი ახლა მთელი ტანით გადაწვა სავარძელში და შეეცადა, მცირე ხნით მაინც წაეძინა. ეს-ესაა წარსულს გამოვექეცი. შემეშვი, რა.

თავისი გამოჯანმრთელების თაობაზე მხოლოდ ამ ხუთი კვირის წინ განაცხადა სახალხოდ, მიშალა სუფიანისა და ჰანიფ ჯონსონის ქორწილში. შანდაარის კაფეში გაჩენილ ხანძარში მშობლების დაღუპვამ მიშალას საკუთარი, ყოვლად ალოგიკური ბრალეულობის გრძნობა გაუჩინა, რის შედეგადაც დედა ეზმანებოდა სიზმრებში, რომელიც სულ ერთსა და იგივეს მოთქვამდა: „ხომ გითხარი, ცეცხლსაქრობი მოიტანე-მეთქი! მაგრამ შენ ხომ არასოდეს მისმენ... ფილტვებიც ისე გაქ გამომპალი სიგარეტის წევით, მთელ სახლში მოდებულ ხანძარს კი არა, სანთელს ვერ ჩააქრობ!“

დედის აჩრდილის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ, მიშალა გამოსახლდა ჰანიფის ბინიდან, სამ სხვა ქალთან ერთად იქირავა ერთი ოთახი, სპორტდარბაზში ჯამშიდ ჯოშის გამოთავისუფლებული ადგილი დაიკავა, სადაზღვევო კომპანიას სისხლი გაუშრო, სანამ თავისას არ მიაღწია და სრულად არ გადაახდევინა ის თანხა, რაც მის მშობლებს უნდა რგებოდათ და მხოლოდ მაშინ, როცა მისივე თაოსნობით, განახლებული შანდაარი კვლავ გაიხსნა, ჰინდ სუფიანის აჩრდილი სულთა საუფლოში საბოლოოდ გადასვლას დათანხმდა. ამის მერეღა დაურეკა მიშალამ ჰანიფს და სრულიად გაოგნებულს სთხოვა, ცოლად შემირთეო. ენაჩავარდნილ ვექილს ისღა

დარჩენოდა, მისი მდივნისათვის გადაეცა ყურმილი და მისი სახელით, იმას განეცხადებინა თანხმობა... მოკლედ, მომხდარი უბედურების მერე ყველა ნელ-ნელა მოდიოდა გონს - ანაჰიტაც კი მშვენივრად გამოიყურებოდა ქორწილში, სავსებით კმაყოფილი - აკი მიშალა ცალკე საცხოვრებელს დაპირდა ამ განახლებულ შანდაარში; პინკვალა და მისი შეფი, ჯონ მასლამა მალევე გაანთავისუფლეს მტკიცებულებათა არარსებობის გამო; მიშალამ სალადინს სთხოვა, ხელისმომკიდედ დამიდექიო (კარგად ახსოვდა, როგორ ცდილობდა ჩამჩა მისი მშობლების გადარჩენას) და იმანაც უარი ვეღარ უთხრა. ერთხანობა ის პროფესიულ ამბავში სრულიად გამოუსადეგარი გახლდათ - როგორც კი ვინმე სთხოვდა, იმ შენი ათასი ხმიდან ერთი მაინც გამოიყენე - მწვანილეულობის სარეკლამო რგოლი გვაქ გასაკეთებელიო, წამსვე ის თავისი სატელეფონო ბოროტქმედება ახსენდებოდა და სიტყვა ეჩხირებოდა ყელში. თუმცა, სწორედ მიშალას ქორწილში იგრძნო, მგონი ჭკუაზე მივდივარო. ისე, მაგარი ამბავი კი იყო - ახალგაზრდები ისეთი თავდავიწყებით კოცნიდნენ ერთმანეთს, ცერემონია უსასრულოდ გაიჭიმა. მერე, შანდაარ-კაფეში, იგივე გამეორდა და სტუმრებიც მალევე მოტყდნენ - ვაცალოთ ახალგაზრდებს ერთმანეთით ტკბობაო. ბოლო ჩამჩა იყო, ვინაც ფარდები ჩამოუშვა (ქუჩაში შეკრებილი ბიჭ-ბუჭობის გულმოსაკლავად) და ხელახლად გაშენებულ ჰაი-სტრიტს დაუყვა. ახლა პირველად გრძნობდა ფეხებში სიმსუბუქეს და მუხლებში - ძალას: ერთ ადგილას, წვიმისაგან შერჩენილ გუბურას გადაახტა კიდეც, უხერხულად.

არაფერია მარადისი, - ფიქრობდა სადღაც მცირე აზიის თავზე რომ მიფრინავდა. იქნებადა უბედურება - ეს უსასრულობაა, რომელიც ყველა ადამიანის ცხოვრებამ უნდა განვლოს, სიხარული კი - პატარ-პატარა გამონათებები, კუნძულები ოკეანეში... მისი

ეს ღრმააზროვანი წიაღსვლები ძალუმმა ხრვინვამ გააწყვეტინა: ბ-ნი ვისკი სისოდია, ჭიქით ხელში, ძილს მისცემოდა.

ისე, მძინარეც კი, სტიუარდესებისათვის ის ნამდვილი კერპი იყო: თავს დასტრიალებდნენ, ფრთხილად აცლიდნენ ჭიქას თი-თებიდან, პლედს აფარებდნენ მუხლებზე...

- ვაიმე, რა სიყვარულობა ვინმეა, არა?

სალადინმა რაღაც გაზეთები და ჟურნალები გადაათვალიერა და მოულოდნელად, ჰალ ფარშა-ვანგაზე გადააწყდა ცნობას: გაკოტ-რებულა თურმე, თავის სარეკლამო კომპანიანად... გზაც იქით ჰქო-ნიაო, - გაიფიქრა.

აი, ინდოეთში კი „საპატარძლოების ომი“ ისევ მძვინვარებდა. „ინდიან ექსპრესის“ ცნობით, კიდევ ერთი ეგეთი „თვითმკვლელო-ბა“ მოხდა: ნათესავებმა გოგონა მოკლეს და მერე თვითდაწვის ინ-სცენირება მოახდინეს, თუმცა ყველასათვის ცხადი კი იყო, რომ ეს მზითვის შეუგროვებლობის გამო მოხდა. სავსე იყო ახალგაზრდა ვა-ჟების მშობელთა განცხადებები „ხორბლისფერთმიან“ სარძლოთა მოთხოვნის თაობაზე, და იქვე - ამგვარი მოთხოვნების საპასუხოდ - გოგონების მშობელთა საპასუხო შემოთავაზებები... ხელისუფლე-ბაში, იარაღის შესყიდვის თაობაზე ატეხილი ყალილა ჯერაც გრძელდებოდა: მართლა თუ გადაუხადა მთავრობამ წილი შუამავ-ლებს? და მინისტრების ფართო ჯიბეებში რამდენი დაილექა? პრემი-ერ-მინისტრისადმი ნდობის ხარისხი დღითიდღე ეცემოდა...

ოღონდაც ეს ყველაფერი ჩამჩას გულს ახლოსაც არ ეკარებოდა. მერე გარეკანზე გამოტანილ ფოტოს მიაშტერდა: გაბეყილი სხე-ულები, დინების დაყოლებაზე რომ მიცურავდნენ... და წარწერა: „1987 წელი, ინდოეთის ჩრდილოეთში, ქალაქ მირუთში მაჰმადია-ნები ამოწყვიტეს და გვამები მდინარეში ჩაყარეს. საქმეს პოლიცია იძიებს“. ასე ჩანდა, ათასობით იქნებოდნენ, გახრწნადაწყებულები და აყროლებულები; ყროლის სუნი თითქოს ჟურნალის ფურცლები-დანაც კი სცემდა. ქაშმირში კი ერთ დროს ფრიად პოპულარულ პო-

ლიტიკოსს მართლმორწმუნე მაჰმადიანებმა ქოშები დაუშინეს შუა ლოცვის დროს - აქაოდა კონგრესთან დათმობებზე რატო წახვედიო... მოკლედ, მთელს მსოფლიოში მშვენერებასა და სი-სასტიკეს შორის ხელჩართულ ბრძოლაში, ეს უკანასკნელი აშკა-რად იკრებდა ძალას. ამ მწუხარე ფიქრებში ჩანთქმულს, უცებ ბ-ნ სისოდიას ხმა ჩაესმა - გამოღვიძებოდა და ეტყობა, ჟურნალის სწორედ იმ გარეკანს ჰკიდა თვალი:

- საქმეც ისაა, - თქვა წინანდელი ძმაკაცური ინტონაციების გარეშე. - რომ სსარწმუნოება, რრამაც ადამიანის ასსე ვთქვათ, სსტრატეგიული მიზნები უნდა ggამოკვეთოს, ჩვენს ბბედკრულ ქვეყანაში მხოლოდ უუმდაბლესი ინსტინქტების მსახხურად იქ-ცა, ღმერთი კი - მოggეხსენებათ - დიდი მმოშურნე ვინმეა.

ამ სასაკლაოზე ჩვენი ისტორიის გამყალბებლები არიან პასუ-ხისმgებელნი! - ამტკიცებდა ერთ-ერთი მაღალჩინოსანი, ხოლო მავანი „პროgრესულად მოაზროვნენი“ ამას თავდაჯერებით უარჰყოფდნენ. „პოლიციის თვითნებობის ბრალია ყველაფერი!“ - gაიძახოდნენ ერთნი; „ინდუისტმა ნაციონალისტებმა წამოყვეს თავი!“ - ამტკიცებdნენ მეორენი. პოლიტიკური მიმოხილვების ყოველთვიურში იმ პლაკატების ფოტოები დაბეჭdეს, ძველიdე-ლის ჯუმა-მასჯიdის მეჩეთში რომ gამოეფინა თავად იმამს - ფრი-ად უსიმპათიო შესახედაობის, ცინიკურად მომზირალ კაცს, dღე-ყოველ რომ ითვლიda შემოწირულობებს თავის ეზოში, მიმწუხ-რის ჟამს (ეტყობა ეფიქრა, მირუთის ამბებიdან gვარიანი ხეირის ნახვაც შეიძლებაო): ჩააქრეთ ცეცხლი ჩვენს ჩაფერფლილ gუ-ლებში! საუკუნო dიdება მათ, ვინაც პოლიცაების ხელითgან ეზიარა სიკვdილს! ჩამჩასdა gასაკვირად, ერთი-ორი ირონიუ-ლიც კი იყო: gააღვიძეთ პრემიერ-მინისტრი! და კიdევ - მოწოdე-ბაც: საყოველთაო gაფიცვა gარdაუვალია! ქვეშ კიdე - თარიღი.

- ცცუdი ddღეები dაgვიdgა... - gანაgრძობdა ბ-ნი სისოdია, მწუხარე ხმით. - ისსეთი ფფაქიზი ხელოვნება, როggორიც კინე-

მატოგრაფია, ტტელევიზიისა და ეკკონომიკის ერთობბლივ შშემოტევას ვერ გგაუძლებს...

უცბად, მოახლოებული გამცილებელი გოგონა დაინახა და წამში გადაერთო:

- უნდა გამოგიტყდეთ, კლუბ „მაღალი კილომეტრაჟის“ წევრი გახლავართ... - ახარა. - თქვენც ხომ არ... ჰა?

მართლა რა საოცარი წყვეტილობა ახასიათებს ადამიანის გონებას, - გაიკვირვა თავისთვის სალადინ ჩამჩამ. - რაღა გასაკვირია, თუკი საკმარისად დიდხანს ვერასოდეს ვუფიქრდებით ხოლმე ვერაფერს... მერე მიხვდა, რომ თავადაც გაურბოდა ფიქრები - მამიდან სულ ზიინათ ვაკილზე უხტებოდა. აკი დეპეშა გაუგზავნა, ჩამოვდივარო - დახვდებოდა კია აეროპორტში? რა შეიძლებოდა ან პირიქით - არ შეიძლებოდა მომხდარიყო მათ შორის? იქნებადა თავად დაუშვა სწორედ ის „უპატიებელი რამ“ მის მიმართ? იქნებადა სულაც - აქ ახლა ის გაუკვირდა, ადრე რომ მსგავსი აზრი თავში არასოდეს გაუვლია - გათხოვილია? ან - შეყვარებული ყავს? და თავად რა სურდა მისგან? დავინახავ და მივხვდები, - ასე გადაწყვიტა, იოლად. მომავალმა წარსული არ უნდა გადაფაროს და არც სიკვდილმა - სიცოცხლე.

ფრენამ მშვიდად ჩაიარა.

ზიინათ ვაკილი აეროპორტში არ დახვედრია.

- ხდება ხოლმე, - ხელი ჩაიქნია ბ-ნმა სისოდიამ. - მმე დდამემგზავრეთ, ggთხოვთ. აგე, ჩემი მანქანაც გამოჩნდა.

* * *

სულ რაღაც ნახევარი საათის მერე, სალადინ ჩამჩა უკვე სქენდალ-პოინტში იყო, ხელბარგით დატვირთული, თავისი ბავშვობის

კარიბჭესთან იდგა და ვიდეოთვალით აღჭურვილ, ზეთანამედროვე გამშვებ აპარატს მისჩერებოდა.

ირგვლივ, კედლის გაყოლებაზე, ვიღაცას ნარკოტიკების მოხმარების საწინააღმდეგო კამპანიის მოწოდებები გაეკრა: მომავალი ფინთია, თუ ფეხებზე გკიდია... თუკი ფხვნილი შავია, შაქარიც კი ფლავია... და ა. შ. „მორჩი ბაზარს!“ - გაუელვა თავში. - „მიდი, დარეკე“. და დარეკა კიდეც - ერთხელ და გაბმით, როგორც ეს მითითებული იყო კიდეც კარზე.

* * *

აყვავებულ ბაღში, ცხენისწაბლას მოჭრილი ხისაგან მორჩენილ ჯორკოს დაადგა თვალი. ახლა ალბათ, ეზოში სუფრის გასაშლელად თუ იყენებენ, მაგიდად. - სევდიანად გაიფიქრა. მამამისს მუდამ ჰქონდა მელოდრამატული, თავშესაცოდები გამოხდომების ნიჭი და ამგვარი მოსაგონარის თავზე წახემსება სავსებით შეესაბამებოდა მის მიდრეკილებებს. ფეხზე წამოდგომა შეეძლოს და რა ცრემლსადენ წარმოდგენას დადგამდა! ახლა მის სასთუმალს მიახლოებული ნებისმიერი ადამიანი ხომ ამ დიადი რეჟისორის მსხვერპლად იქცეოდა და ისიც ითქვას, სასიკვდილო სარეცლიდან მომავალი დარტყმები ისეთ კვალს ტოვებს, აღარასოდეს რომ არ ქრება.

დედინაცვალი მის შესახვედრად გამოვიდა მარმარილოთი მოპირკეთებული სახლიდან, სახეზე გაღიზიანების არც არაფერი ეტყობოდა.

- სალაჰუდინ... კარგია, ჩამოსვლა რომ მოახერხე. შენს დანახვაზე, სულიერად მაინც მომჯობინდება. სული კი ერთადერთია, რაც შერჩა. ხორცი უკვე უარს ეუბნება არსებობაზე.

6-7 წლით იქნებოდა დედამისზე უმცროსი, თუმცა იგივე მყიფე აღნაგობისა და რბილი ხმის პატრონი. ამ საკითხში მაინც, მამამისი რაღაც უცნაურად თანმიმდევრული გახლდათ.

- რამდენს გაატანს? - დაეკითხა.

- ნებისმიერ დღეს შეიძლება აღარ იყოს.

მიელომა ერთიანად მოდებოდა ჩინგიზის სხეულს, მის „მილოვან ძვლებს“ (ავადობას სახლში საკუთარი სიტყვარი შემოეტანა: აღარავინ ამბობდა - კიდურებიო, და „თავის“ მაგივრადაც მხოლოდ თავის ქალას თუ გაიგონებდით); ავთვისებიანი უჯრედები უკვე ძვლების გარშემო სისხლშიც კი აღმოეჩინათ.

- ადრევე უნდა მივმხვდარიყავით, - უთხრა ნასრინმა და სალადინმა ამ ასაკოვანი ქალის ის შინაგანი ძალა შეიგრძნო, რითაც ის საკუთარ გრძნობებს უმკლავდებოდა. - ბოლო ორი წლის განმავლობაში წონა ძალიან დაიგდო. თანაც მუხლებში ტკივილსაც უჩიოდა... მაგრამ ხომ იცი, მოხუცებს გვჩვევია ასე - ყველაფერს ასაკს ვაბრალებთ. რას წარმოიდგენ, მაინცადამაინც ეს ამაზრზენი დაავადება თუ დაგმართნია!

შეჩერდა, შეეცადა ხმაში შემოპარული ზაფრა მოეთოკა. მალე ქასთურბა, ეს მისი ყოფილი აიაც შემოუერთდა. ქმარი ერთი წლის წინ გარდაცვლოდა თურმე, სიბერისაგან, ძილში - რა შედარებაა იმ აღსასრულთან, მის პატრონსა და მისი ცოლის შემცდენელს რომ ელოდა ახლა. ქასთურბას კვლავაც ნასრინ I-ის თავბრუდამხვევი სარი ემოსა, ისევ ოპ-არტის სტილში. ძალზე გულთბილად დაუხვდა სალადინს: ჩახუტებით, ცხარე ცრემლებითა და ლოყაზე ამბორით.

- სანამ პირში სული უდგას, რაღაც იმედი მაინცაა, რაღაც სასწაულის... - ჩაიფშლუკუნა.

ნასრინ II-მ ხელი გადახვია ბეჭებზე, თავი მხარზე ჩამოადო. ამ ორი ქალის სიახლოვე სრულიად უშუალო იყო და ქვენა გრძნობების არა ნიშატი არ ედო: თითქოსდა სიკვდილის ამგვარ სიახლოვეს ეჭვიანობაც გამოერიცხა მათი გულებიდან და წყენაც. ეს ორი, ასა-

კოვანი ქალბატონი ახლა ერთმანეთს უზიარებდა საკუთარი დანაკარგის გარდუვალობას - სიყვარულის, ან უფრო უკეთ - საყვარლის დაკარგვას.

- სახლში შემოდი, - თქვა ბოლოს ნასრინმა. - უნდა გნახოს, აუცილებლად.

- თვითონ აზრზეა?

ნასრინმა პირდაპირ პასუხს აარიდა თავი.

- არც ისეთი გულუბრყვილოა, მოგეხსენება. სულ იმას კითხულობს, სისხლი სად მიდისო? სულ ორი ეგეთი ავადმყოფობაა, როცა სისხლი თავისით ქრება... პირველი კი ჭლექიაო.

- კი მაგრამ, თავად სიტყვა „კიბო“ არასოდეს უხსენებია?

ნასრინმა თავი დახარა. არა, არც მას, არც ვინმეს მისი თანდასწრებით.

- განა არ უნდა იცოდეს? - იკითხა ჩამჩამ. - განა კაცს უფლება არა აქ, სიკვდილისათვის განემზადოს?

წამით ნასრინის თვალებში ცეცხლმა იელვა. ვინ გგონია თავი, ჭკუას რომ გვასწავლი? ყველა შენს უფლებაზე თავად არა თქვი უარი? ოღონდ უცბადვე ჩაუქრა და როცა ხმა ამოიღო, აღშფოთების აღარაფერი ეტყობოდა.

- იქნებ, მართალიც იყო.

ოღონდ ქასთურბა კი უარზე დადგა:

- არავითარ შემთხვევაში! ეგღა აკლია იმ საცოდავს! გულიც გაუსკდება.

კიბოს იმდენად შეედედებინა ჩინგიზის სისხლი, გულს უკვე მისი ქაჩვა უჭირდა. სისხლძარღვებიც უცხო სხეულებით ჰქონდა დანაგვიანებული, რომლებიც ყოველ ახალგადასხმული სისხლის ნაწილაკებს ესხმოდნენ თავს. იგივე ჯგუფის სისხლისაც კი. გამოდის, ამ მცირედითაც ვერ დავეხმარები, - გაიფიქრა. ექიმებიც კარგად ხვდებოდნენ, არაფრის გაკეთება რომ აღარ ძალუძდათ და იმიტომაც გამოუშვეს შინ, სასიკვდილოდ.

- რაკი სისტემური მიელომაა, არც ქიმიოთერაპიას აქვს აზრი და არც დასხივებას. მელფალანის ინექციებიც აღარაფერს შველის.

მაგრამ თქმით მაინც არაფერი გითქვამთ მისთვის, - უმეორებდა შინაგანი ხმა. - არასწორია, არასწორი...

- არადა, სასწაული ხომ მაინც ხდება! - წამოიძახა უცებ ქასთურბამ. - ექიმების თქმით, ეს კიბოს ყველაზე უფრო მტანჯველი ფორმაა, მამათქვენი კი ვერავითარ ტკივილს ვერა გრძნობს! იქნებადა მართლა ლოცვის მადლმა...

იქნებადა სწორედ ტკივილების უქონლობის გამო ვერ დასვეს დიაგნოზი დროზე... სულ ცოტა, ორი წელი მაინც დასჭირდებოდა ორგანიზმში ასე ფესვის გადგმას.

ვიდრე ისინი საუბრობდნენ, რომელიღაც მსახურმა ხელჩანთა და შალითაში ჩადებული ტანსაცმელი სახლში შეიტანა.

- დროა, მამაჩემი ვნახო, - თქვა სალადინმა, ხმადაბლა და კიბეზე ავიდა.

სახლის შიდა გაწყობა სრულიად უცვლელი დაეტოვებინათ - ამ მხრივ ნასრინ II-ის პატივისცემა პირველის ხსოვნის მიმართ სრულიად უკიდეგანო გახლდათ, და მხოლოდ ჩიტების ფიტულების თავისი კოლექცია გამოეფინა მოზაიკით მოპირკეთებულ სასტუმრო ოთახში: ათასნაირი ოფოფები, თუთიყუშების იშვიათი ჯიშები, სამეფო პინგვინი და რა აღარა... სალადინმა ფეხს აუჩქარა, ამ მკვდარცოცხლების სასაფლაოს რომ მალე გასცლოდა და მამის კაბინეტში შეაბიჯა (ჩინგიზმა დაიჯინა, ზევით-ქვევით რომ არ ირბინოთ ჩემს მოვლა-პატრონობაში, ლოგინი აქ ჩამომიტანეთო).

ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში, ჩინგიზ ჩამჩავალას ეს უცნაური ჩვევა დასჩემდა - ღია თვალებით იცოდა ხოლმე ძილი და ახლა, ამ ჭერსმიპყრობილი და არაფრისმხედველი მზერის დამჭერს, ჩამჩას მთლად წაერთვა ძალა. ხომ არ დავაგვიანეო, - გაუელვა თავში. იქნებადა სწორედ მაშინ დალია სული, ბაღში რომ ველაქლაქებოდი იმ ორ ბებრუხანასო. მაგრამ ჩინგიზ ჩამჩავალას სხეული ჯერ შეინ-

ძრა, მერე ჩაახველა, მერე კი აკანკალებული ხელიც გამოიწოდა. სალადინ ჩამჩა მიუახლოვდა და მამის ალერსიან თითებს შეუშვირა თავი.

* * *

ათწლეულობით უბრად ყოფნის მერე, მამისადმი ხელახლად გაჩენილი ეს სიყვარულის გრძნობა მშვენიერი რამ იყო; მაცოცხლებელიო, - უნდოდა ეთქვა, მაგრამ დროზე დააჭირა ენას კბილი. ავადობას ლამის მთლად გაეშიშვლებინა ჩინგიზ ჩამჩავალას ძვლები; ლოყები სიცარიელეში ჩაცვენოდა, ხოლო დუნდულებქვეშ ბალიშს უდებდნენ - იმდენად დადნობოდა ხორცი. ოღონდ ყველაფერმა ამან თითქოს დადებითიც მოიტანა - სადღა იყო ის მისი თავკერძობა, ძალაუფლებისადმი ლტოლვა, სიმკაცრე და დაუნდობლობა - ახლა ერთი მოსიყვარულე, გულჩვილი და გულკეთილი პიროვნება იწვა მის წინ, ლოგინზე. ადრეც რომ ეგეთი ყოფილიყო... - ოცნებასავით გაუელვა სალაჰუდინ ჩამჩავალას (მისი გვარ-სახელის სრული, არა გაინგლისურებული ფორმაც სულ უფრო და უფრო მოსწონდა) - და რაღა ახლა, როცა სხვა აღარაფერი დარჩენია, გამომშვიდობების გარდა...

მეორე დღეს მამამ სთხოვა, პირი გამპარსეო.

- თორემ ეს ჩემი ბებრუხანები აზრზე არ არიან, ფილიშეივის რომელი მხარეა მუშა პირი...

ჩინგიზს კანი ნაოჭებად ეკიდა სახეზე, წვერი კი თითქოს იფშვნებოდა საპარსის ზედ ჩამოტარების შედეგად. არც ახსოვდა, უკანასკნელად როდის შეხებოდა ასე მამის პირისკანს, თითებით უსინჯავდა სიგლუვეს. რომ მორჩა, კიდევ ერთხელ მოუსვა ხელი.

ამ დროს ნასრინი და ქასთურბა შემოვიდნენ ოთახში.

- ერთი ამ მოხუცს შეხედე! - თქვა ნასრინმა. - თვალს ვერ აცილებს ბიჭს.

ჩინგიზ ჩამჩავალამ უგერგილოდ ჩაიცინა და ჩაფხვნილ-ჩაცვენილი კბილები გამოაჩინა. მერე, როცა ცოტაოდენი წყალი დაალევინეს, ისევ დაიძინა თვალღიამ და სამ განზომილებაში ჭვრეტდა ყველაფერს - საკუთარ კაბინეტში არსებულ ვითარებას, ზმანებების სამყაროსა და მოახლოებულ იმქვეყნიურ არსებობასაც - ან, ყოველ შემთხვევაში, წამით ასე წარმოიდგინა სალაჰუდინმა... - და ისიც ზემოთ, მამის ყოფილ საძინებელში ავიდა, მოსასვენებლად.

საღამოს, იმ ორ ქალბატონს წამლების გარჩევა-დახარისხებისას დაადგა თავს: ავადმყოფს მთელი რიგი მედიკამენტები ჰქონდა დანიშნული კიბოს მიერ მოწევნადი გვერდითი მოვლენების წინააღსადგომად: ანემიის, გულის უკმარისობისა და ა.შ. ეს იზოსორბიდის დინიტრატიო, ფუროსემიდიო, პრედნიზოლონიო - სულ სხვადასხვა დოზებითა და ჯერადობით. ქალებს ლამის თავბრუ დახვეოდათ ამდენი სხვადასხვა დანიშნულებისაგან.

- მაგას მე მივხედავ, - უთხრა. - რამეში მაინც გამოგადგებით.

მერე სიას დახედა: აგაროლი - ყაბზობის საწინააღმდეგოდ, სპირონოლაქტონი - ეშმაკმა უწყის, რისთვის; ზილორიკი, ალოპურინოლი... უეცრად, ერთი ძველი რეცენზია გაახსენდა, სადაც კენეტ ტინანი, თეატრის სახელგავარდნილი კრიტიკოსი, მარლოს პიესის, „ტამერლან დიდის“ ერთი დადგმის თაობაზე წერდა: „პერსონაჟები აქ ტაბლეტებისა და ნარკოტიკის გროვასავითაა, ერთმანეთის დასამარებას რომ ესწრაფვიან“ და იქვე საკუთარ პაროდიას სთავაზობდა მკითხველს, რომელშიც ეს ძნელადწარმოსათქმელი სახელები სხვადასხვა ქიმიური პრეპარატების დასახელებებით გახლდათ შეცვლილი:

შენა ხარ, ძველო - ძმაო ბარბიტურატო?

არ დაიჯერებ - ეს შენი მკვდარძაღლი მეპატრონე,

ნემბუტალი - უსულოდ გდია...

ან იქნებ გინდა, აურეომიცინი თუ ფორმალდეჰიდი
იხილო ტახტზე?! ამფეტამინის იმედი გაქ?
მეტი არაა ჩემი მტერი!

არა, მაინც რითი არა გაქ კაცს მეხსიერება დანაგვიანებული! ისე, ეს ფარმაცევტული „ტამერლანი“ არც მთლად ცუდი გამოსათხოვარი სიტყვა იქნებოდა აგერ ამ ხელმწიფისთვის, ჭიაგამოჭმული წიგნებით სავსე თავის კაბინეტში რომ იწვა აღსასრულის მომლოდინე, და ერთბაშად სამ სამყაროს ჭვრეტდა.

- ჩაიჩოჩე, მამაო! - ვითომ ძაან ხალისიანად მიუახლოვდა. - დროა, ფეხზე წამოგაყენოთ!

ისევ იქაა, მამამისის კაბინეტში, თაროზე: ნაღდი, სპილენძ-ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული სანათი, რომელსაც (საყოველთაო აზრით) ნებისმიერი სურვილის შესრულება ძალუძს - თუკი ხელს გადაუსვამ, რაღა თქმა უნდა - მაგრამ რაკი ეს თავშიც ჯერ არავის გაუვლია, ვერც ვერაფრის მტკიცებას ვერ მოვყვებით. ახლა კი, ოდნავ ჩაჟამული, თავის მომაკვდავ პატრონს დასცქეროდა და კიდევ, მის ერთადერთ შვილს. წამით თითქოს გადაძალა კიდეც სურვილმა - ჩამოეღო, სამგზის გადაესვა ხელი და ჯინისაგან ის ჯადოსნური სიტყვა გამოეთხოვა... მაინც შეიკავა თავი: არ შეიძლება რაღაც ზმანებებსა და ფანტაზიებს დამორჩილდე, ახლა აღარც ჯინ-იფრიტების დრო აღარაა და არც არავითარი ჯადოშელოცვები აღარ ჭრის, მხოლოდ ტაბლეტების უძალობა, ეგაა და ეგ.

- მოვიდა მამალი! - წაიმღერა სალაჰუდინმა, თან პაწია ფლაკონებს აწკარუნებდა.

- ისევ წამლები... - მჟავედ წაიბურტყუნა ჩინგიზმა. - ფუი!

* * *

იმ ღამით სალაჰუდინმა ნასრინი და ქასთურბაც აიძულა, საკუთარ ლოგინებში გაეთიათ ღამე, მამასთან კი თავად დარჩა და იატაკზე დაფენილი ქვეშაგებიდან ადევნებდა თვალყურს. შუაღამით მიცემული იზოსორბიდის წყალობით, მთელი სამი საათი ეძინა, მერე კი ფეხსადგილში გაყვანა სთხოვა. წამოსწია, ფეხებზე დააყენა და გაკვირვებას იყო, ეს ამხელა კაცი ლამის ბუზის წონა გამხდარიყო... ფეხზე ძველი, ქუსლდაჭეჭყილი ფლოსტები წამოეცვა, ჯერ კიდევ შერჩენილი თმა სასაცილოდ გაპუწოდა, თავი წინ წაეხარა გაჩხინკულ კისერზე. სალაჰუდინს უცებ მოხუცის ბავშვივით ხელში აყვანა, ლოგინში ჩაწვენა და მისთვის რაიმე სიმღერის წაღიღინება მოუნდა, ამის მაგივრად კი - სრულიად უდროოდ - შერიგებაზე ჩამოუგდო სიტყვა.

- იმიტომ ჩამოვედი, რომ არ მინდოდა ჩვენს შორის რაიმე გაუგებრობა დარჩენილიყო...

იდიოტი ხარ?! აი, ეშმაკმაც შეგაჩვენოს შავად და ბნელად... რაღა ამ შუაღამეს მოგინდა?! თუკი აქამდე მხოლოდ ეჭვი ჰქონდა - ნაღდად ვკვდებიო, ახლა ხომ დარწმუნებით იცის...

ჩინგიზი ლოგინისკენ მიჩლახუნობდა, მხოლოდ ხელი მოუჭირა ცოტა უფრო მაგრად.

- ახლა მაგას აღარა აქ მნიშვნელობა, - უთხრა. - რაც იყო, წყალმა წაიღო.

მეორე დილით, აშკარად რომ კარგად გამოძინებული და ფითქინა სარიში გამოწყობილი ორი ქალი უმტკიცებდა - საშინელება იყო, მთელი ღამე თვალი არ მოგვიხუჭავსო... მერე ჩინგიზს ეცნენ და ისე ეფერებოდნენ, სალადინმა ცოტა უხერხულადაც კი იგრძნო თავი. გარეთ გამოვიდა, კარი გამოიხურა. ეს სამი კი ერთმანეთს ეხვეოდა, კოცნიდა და ტიროდა...

სიკვდილი თავის საცეცებს ახვევდა სქენდელ-პოინტში მდებარე სახლს. სალაჰუდინმაც კი შეწყვიტა წინააღმდეგობა,ისევე როგორც

ყველა სხვამ გარშემო, და ჩინგიზიც კი რაღაც ირიბად იღიმოდა - აქაოდა ყველაფერი ვიცი, ყველაფერს ვხვდები, ვერაფერს მომატყუებთო. ქასთურბა და ნასრინი თავს ევლებოდნენ, მაგრამ მომაკვდავს უკვე ენაც შეუშუპდა, წყლის სმაც უჭირდა და ძლივას აგებინებდა ვინმეს რამეს. საჭმელს ახლოსაც აღარ იკარებდა, მხოლოდ ჩვილის საკადრის რაღაც ხილფაფას ტენიდნენ და ისიც, ლამის ძალისძალად.

- კარებები დააღეთ, - გასცა უცებ ბრძანება. - აღარ შემიძლია თქვენი ჩამომტირალი სახეების ცქერა, იქნებ ვინმე არც ისე დამწუხრებულმაც შემოიხედოს...

და აი, მსვლელობაც დაიწყო: ვიღაც მამიდები, დეიდები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ძველი და უკვე საკმარისად მივიწყებული მეგობრები, რაღაც ფონდების განმგებლები და მათი ხელქვეითები - თურმე ნუ იტყვით, ერთ დროს თავად ჩინგიზ ჩამჩავალას მიერ დაარსებული დაწესებულებებიდან, სასოფლოსამეურნეო აეროზოლებისა და სასუქის მწარმოებელი კონკურენტი ფირმის წარმომადგენლები... ამისთანა აჯაფსანდალი მეტი არ მენახოსო! - გაიფიქრა სალაჰუდინმა. ერთი ის კი გაიკვირვა, რა ზრდილად და თავაზიანად იქცეოდნენ ყველანი: ახალგაზრდები თავიანთი ცხოვრების თაობაზე უყვებოდნენ, თითქოსდა უნდოდათ ეგრძნობინებინათ - თქვენც ჩვენივე ცხოვრების ნაწილი ხართო; ასაკოვანნი წარსულს იხსენებდნენ - აქაოდა არავინ დაგვვიწყნია, იოლად არც არაფერი მიეცემა დავიწყებასო; მოკლედ, ამდენი წლის განმარტოების მერე, ისევ სამყაროს ნაწილად აგრძნობინებდნენ თავს. სიკვდილის სიახლოვე, ასე ვთქვათ, საუკეთესოდ წარმოაჩენდა მათ: თურმე რაოდენ ყურადღებიანი, თბილი და მოსიყვარულე შეიძლება იყოს ადამიანი, დიდბუნებოვანიც კი... ვიღაც ახალგაზრდა ქალი, სავსებით შესაძლებელია, სალაჰუდინის რომელიმე ნათესავთაგანი, პოლაროიდულ ფოტოებს უღებდა მამამისს სხვებთან ერთად და

ისიც, გაღიმებული, მოხალისებული, ხან ერთის თავს მიიზიდავდა შუბლზე საკოცნელად, ხან - მეორისას... აშკარად კმაყოფილი ჩანდა, ნოსტალგიის გრძნობით შეპყრობილი. „ეს ყველაფერი რაღაც დაბადების დღის აღნიშვნას უფრო ემგვანება ნელ-ნელა“, - გაიფიქრა სალაჰუდინმა. ან იქნებ - ფინეგანის აღაპს. მიცვალებული, უარს რომაა განისვენოს და ცოცხლებს დროსტარების საშუალებას აძლევს.

- ახლა მაინც ვუთხრათ, - ისევ წამოიწყო თავისი სალაჰუდინმა, როცა სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ.

ნასრინმა ჯერ სახე დახარა, ოღონდ მერე თავი მაინც დაუქნია თანხმობის ნიშნად. ქასთურბას ქვითინი აუტყდა.

მეორე დღეს უთხრეს, ვინმე ისეთი სპეციალისტი მოიყვანე, რაიმე შეკითხვა თუ გაუჩნდა, იმან გასცეს პასუხიო. ამგვარი ვინმე, ბ-ნი ფათახკარი, რომლის სახელზეც ჩვენ ისევე ვიქილიკებდით, როგორც რომ სხვანი, ვთქვათ, - მენ-ხუიზე თხზავდნენ ანეკდოტებს, ზუსტად ათზე გამოცხადდა - ამ მნიშვნელოვანი მისიის შესაბამისად გაფუყული.

- აჯობებს, მევე ვუთხრა, - თქვა და მართვის სადავეების იმთავითვე ხელში აღებას შეეცადა. - უნდა მოგახსენოთ, რომ ბევრს ეთაკილება ახლობლებთან საკუთარი შიშები გაამჟღავნოს.

- არა, ვერ აჯობებს. - მოუჭრა სალაჰუდინმა ისე უხეშად, თავადაც რომ სახტად დარჩა.

- ბატონი ბრძანდებით... - ისე აიჩეჩა მხრები ბ-ნმა ფათახკარმა, აქაოდა ხელებიც დამიბანიაო. ამის მერე, ცხადია, ნასრინიცა და ქასთურბაც ისე ეაჯნენ სალაჰუდინს, მალევე დაახევინეს უკან. იმანაც ხელი ჩაიქნია და აქიმს მამამისის საწოლისკენ წაუძღვა.

- კიბო მაქ, - აცნობა ჩინგიზ ჩამჩავალამ მის სასთუმალთან შემოჯარულ სამეულს, როცა დასტაქარი გაისტუმრეს. სიტყვებს ნათლად გამოთქვამდა, ფრთხილად და ლამის დანაწევრებით. - ძაან მიშვებული მქონია. არც მიკვირს. სწორედ ასე ვუთხარი ბ-ნ ფათახკარს -

ეგრე რომ არ იყოს, აბა ეს ჩემი სისხლი სად ჯანდაბაში ქრებამეთქი?

გარეთ რომ გამოვიდნენ და კარიც გამოიხურეს, თვალცრემლიანმა ქასთურბამ უსაყვედურა:

- როცა ჩამოხვედით, თვალებში თითქოს ნათელი ედგა. გუშინაც ისეთი ბედნიერი ჩანდა! ახლა კი ის სხივი ჩაუქრა. აწი აღარც არაფერს შეეწინააღმდეგება...

შუადღისას სულ მარტო დარჩა მამამისთან, სანამ ორივე ქალი წასათვლემად იყო წასული. არც იცოდა, რაზე ელაპარაკა, ოღონდ თავად ჩინგიზს ჰქონია რაღაც შვილისთვის სათქმელი:

- იცოდე, სიკვდილის სულაც არ მეშინია. ადამიანი, ბოლობოლო, უნდა მოკვდეს და ეს სულ სხვა რამეა, ვიდრე ახალგაზრდა რომ დაიღუპები... არავითარი ილუზიები არ გამაჩნია და ძალიანაც კარგად ვიცი, მერე არსადაც რომ არ მოვხვდები. ეს იქნება ჩემი ბოლო. და ძალიანაც კარგი. ერთადერთი, ტკივილის მეშინია - საცა დიდი ტკივილია, იქ კაცი ღირსების შეგრძნებას კარგავს. აი, ერთადერთი ეგ არ მინდა რომ მოხდეს.

- ექიმები ამბობენ, შენი შემთხვევა ერთია მილიონზეო... თითქოს რაღაცნაირად დაცული იყო ტკივილისაგან.

ჩინგიზს ეტყობოდა, გულზე მოეშვა. ახლაღა მიუხვდა შვილი, რამდენად შეშინებული ყოფილა მოხუცი, როგორ სჭირდებოდა ეს გასამხნევებელი სიტყვა...

- კარგი, მოვრჩეთ ამას, - თქვა. - ახლა მზადა ვარ. და კიდევ: ის ლამპარიც შენია.

სადღაც ერთი საათის მერე დიარეა დაეწყო. წვრილი შავი ნაკადი. საავადმყოფოს გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში ნასრინის რეკვამ შედეგი ვერ გამოიღო - დ-რი ფათახკარი მიუწვდომელი გახლდათ.

- აგაროლი ამოიღეთ აუცილებლად, - ესღა უთხრა მორიგე ექიმმა. - იმოდიუმი მიეცით.

არც ამან უშველა. საღამოს შვიდი საათისთვის ჩინგიზი მთლად მისავათდა და წამოჯდომაც უჭირდა, ჭამაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ორგანიზმს უკვე გაუწყლოება ემუქრებოდა. ქასთურბამ ძლივს გადააყლაპა ორი კოვზი გათლილ-დათქვეფილგარგარიანი მანის ფაფა.

- იფ-იფ! - თქვა ირონიულად და გაიღმიჭა.

მერე თითქოს დაიძინა კიდეც, თუმცა სალაჰუდინს საათში სამ-ჯერ უხდებოდა ზევით-ქვევით სირბილი.

- თუ ღმერთი გწამთ, ფათახკარის საშინაო ტელეფონი მომეცით!

მაგრამ ეს უკვე საავადმყოფოში საყოველთაოდ დადგენილ წე-სებს ეწინააღმდეგებოდა.

- თავად განსაჯეთ, - გაისმა ყურმილში, - იქნებადა დაწვა უკვე.

- ნაბიჭვარო! - ჩასძახა სალაჰუდინ ჩამჩავალამ.

ღამის სამ საათზე ჩინგიზი ისე დასუსტდა, ფეხზეც ვეღარ წამოდ-გა მოსასაქმებლად.

- მანქანა გამოიყვანეთ! - უყვირა სალაჰუდინმა ქალებს. - სა-ავადმყოფოში გადაგვყავს, ახლავე!

- ცუდი ამბავია, - თქვა ჩინგიზმა. - ეს შავი ქაქი. ძლივს სუნთქავ-და, ჰაერი სტვენით გამოსდიოდა ფილტვებიდან.

და სალაჰუდინსაც წარბი არ გატოკებია, ისე გაუგორა ცინცხალი ტყუილი:

- დარდი გაუშვი, ყველაფერი კარგად იქნება.

ჩინგიზ ჩამჩავალამ თავი გადააქნია, ოდნავ.

- მორჩა შვილო, ჩემი ამბავი. უკვე მივდივარ.

მკერდი მძიმედ აუდ-ჩაუდიოდა. პლასტმასის ჩამჩა მიუტანა პირ-თან და ნახევარ ლიტრამდე სისხლნარევი სითხე გადმოარწყია. ამის მერე უკვე ლაპარაკიც აღარ შეეძლო. მანქანის უკანა სავარ-ძელზე გადააწვინეს, აქეთ-იქიდან ნასრინი და ქასთურბა დაუსხდნენ და სალაჰუდინიც გამწარებული გაზავდა ბრიჩ-კენდის საავადმყო-ფოსაკენ.

- ფანჯარა ხომ არ გამოგიღო, მამი? - დაეკითხა თავმიუტრიალებლად.

- არა, არ მინდა. - ამოიხრიალა ჩინგიზმა.

კარგა ხანი გავიდა, სანამ სალაჰუდინი მიხვდებოდა, რომ ეს მისი უკანასკნელი სიტყვები იყო.

სარეანიმაციო განყოფილება. სწრაფ-სწრაფად მოძრავი ფეხები, სანიტრები, საკაცე. მერე - თეთრი ფარდა. ახალგაზრდა ექიმი, ყველაფერს აკეთებს, რაც შეუძლია. სწრაფად და ყოველგვარი ფართხა-ფურთხის გარეშე. მერე მოუტრიალდა და ეუბნება: „არა მგონია, გამოძვრეს". თითქოს ცხენმა ჩაწიხლა მუცელში. მაინც რაღაც უაზრო იმედს ებღაუჭებოდა -აი, ყველაფერს მოუწესრიგებენ და ისევ სახლში წავიყვანთ... გამოძვრება, აბა რა - ჯანიანი ვინმეა მამაჩემი. ამიტომაც მისი პირველი რეაქცია ექიმის სიტყვებზე - აღშფოთება და ბრაზი. უბრალოდ, ადამიანების მექანიკოსი ხარ, შეჩემა - გაუსწორე რაც საჭიროა და დაქოქე! ჩინგიზი იღრჩობოდა, აშკარად. „ეს კურტა ხელს გვიშლის, შემოაჭერით..." მერე - საწვეთური და მონიტორზე გაჩენილი, სულ უფრო და უფრო მისუსტებული გულისცემა, უსუსურობა. ახალგაზრდა ექიმი თავისთვის ბურდღუნებდა რაღაცას: „ახლა უკვე ბევრი აღარც დარჩა, ისე..."

და მაშინ სალაჰუდინ ჩამჩავალამ ერთი დიდი სისულელე კი ჩაიდინა: გარეთ გამოვიდა, ნასრინი და ქასთურბა მოძებნა და უთხრა - მიდით, გამოემშვიდობეთო.

- კარგით რა! - იფეთქა ექიმმა. ყურადღება არავინ მიაქცია.

ქალებს აღარ უტირიათ, მხოლოდ მივიდნენ და ხელები ჩასჭიდეს აქეთ-იქიდან. სალაჰუდინს სირცხვილის ალმურმა გადაჰკრა სახეზე: აწი ვეღარც ვერასოდეს გაიგებდა, მისწვდა თუ არა მომაკვდავი მამამისის სმენას მის მიერ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი...

ოღონდ მალევე მოეგო გონს და ახლა ურდუს ენაზე მიმართა - არც კი დავიწყნოდა, ამდენი ხნის უხმარობის მერე... ყველანი აქა ვართ, ბაბა. გვიყვარხარ. ცხადია, ის უკვე ვერაფერს ეტყოდა, ოღონდ თითქოს... მართლა ასე იყო თუ მოეჩვენა? თავი ოდნავ დახარა, მესმისო. გამიგონა. უცებ, თითქოს მომაკვდავმა საკუთარი სახე მიატოვაო - ცოცხალი იყო ჯერ, ოღონდ სადღაც გასულიყო, საკუთარ თავში დაეყვინა, რაღაცის სანახავად... მიჩვენებს, როგორ უნდა სიკვდილი, - გაიფიქრა სალაჰუდინმა. თვალს კი არ არიდებს, პირდაპირ სახეში შესცქერის სიკვდილს... და არცერთხელ ჩინგიზ ჩამჩავალას ღვთის სახელი არ უხსენებია.

- თუ შეიძლება, მიბრძანდით... - სთხოვა ექიმმა. - საქმე გვაქვს მოსამთავრებელი.

სალაჰუდინმა ორივე ქალი გარეთ გაიყვანა და ახლა, როცა კაცი ვეღარ ხედავდა, ორივეს ცრემლები წასკდა.

- აკი მეფიცებოდა, არასოდეს მიგატოვებო! - ქვითინებდა ნასრინი, რომელსაც ბოლოს და ბოლოს, მაინც უმტყუნა თავდაჭერამ. - და წავიდა...

სალაჰუდინმა ფარდის იქით შეიხედა: დაძაბულობა, სხეულის გაშეშება, მწვანე სინათლის ზევით-ქვევით ციმციმი მონიტორზე, ექიმი მკერდში უბაგუნებს მომაკვდავ პაციენტს. მარცხი.

ოღონდ ბოლო, რაც მამამისის სახეზე შეამჩნია, მაინც ზაფრა იყო - იმდენად ღრმა და ყოვლისმომცველი, სალაჰუდინს ძვლებში დაუარა გამთოშავმა სიცივემ. ეს რა იყო? რა ელოდა - მასაც და ყველა ჩვენთაგანსაც - ასე რამ დაზაფრა ეს უდრეკი და უჯიათი კაცი?! მერე, როცა ყველაფერი მოთავდა, საოპერაციო მაგიდასთან მივიდა - არა, მამამისის ტუჩებს ახლა მხოლოდ ღიმილი აჩნდა...

საყვარელ ლოყებს მიეფერა. დღეს აღარ გამიპარსავს, - გაიფიქრა. - წვერგაუპარსავი წავიდა. სახე უკვე გაცივებოდა, ოღონდ ტვინი ჯერ კიდევ გამოსცემდა რაღაც სითბოს. ნესტოებში ბამბა ჩაედოთ. და თუკი რაღაც შეცდომაა? იქნებადა სუნთქვა სჭირდება?

ნასრინ ჩამჩავალა ამოუდგა გვერდით.

- რაღა დარჩა... სახლში წავიყვანოთ, - თქვა ხმადაბლა.

* * *

სასწრაფოს მანქანითვე მოიყვანეს უკან, ძირს დადებულ საკაცეზე დასვენებული; ორი ქალი ეჯდა თავ-ფეხთან, სალაჰუდინი კი უკან მოსდევდათ, თავისი მანქანით. სანიტრებმა შემოიტანეს და კაბინეტში დააწვინეს. ნასრინმა კონდიციონერი ჩართო: მზე მალე ამოიწვერებოდა.

და რა იყო ეს, კაცმა რომ თქვას? - მაინც ეს ფიქრი აკვიატებოდა სალაჰუდინს. - აი, ეს ზაფრა მამის სახეზე? და კიდევ - ეს ღიმილი...

ისევ ვიღაც ხალხი მოჯარდა. ბიძებმა, ბიძაშვილებმა, მეგობრებმა იკისრეს ყველაფრის მოგვარება. ნასრინი და ქასთურბა იატაკზე დაფენილ ხალიჩებზე ჩამომსხდარიყვნენ, დაქირავებულ მოტირალებთან ერთად. ზოგი კრიალოსანს მარცვლავდა და ყალმას კითხულობდა ხმამაღლა. ძაან კი აღიზიანებდა ეს ყველაფერი, მაგრამ თავი ვერ აიძულა, საწინააღმდეგო ეთქვა რამე.

მერე მოლაც მოვიდა; ჩინგიზს სუდარა შეუკერეს, და გვამის განბანვის დროც დადგა. მართალია, უამრავი კაცი იყო გარშემო და მის მოხმარებას არავინ საჭიროებდა, მაინც დაიჟინა, მე უნდა ვქნაო. თუკი მამაჩემს შეეძლო სიკვდილისთვის თვალი გაესწორებინა, მეც მოვახერხებო, - თქვა.

და როცა ბანდნენ, როცა სხეულს გვერდზე აბრუნებდნენ მოლას მითითებებისდა კვალად - სანთლისფერი კანი, ამოჭრილი ბრმა ნაწლავის გრძელი ნაწიბური - სალაჰუდინს გაახსენდა, ერთადერთხელ რომ იხილა მამამისის შიშველი სხეული: ცხრა

წლისა იყო, შემთხვევით შეიხედა სააბაზანოში და მშობლის ფალოსის დანახვამ ლამის იყო, ელეთ-მელეთი დამართა. სქელი იყო, მოკლე ხელკეტს წააგავდა... ღმერთო, ალბათ რა ძალა იმალებოდა მასში, და რა უმნიშვნელო - საკუთარში... - აი, ეს გაიფიქრა მაშინ და ეს მთელი ცხოვრება ახსოვდა.

- თვალები დაუხუჭეთ, - განაწყენდა მოლა. - ადრევე უნდა მოგესაზრებინათ.

ჩაჯირკოებული ვინმე იყო, თხაკიკინა წვერი დაეყენებინა. ისე ეპყრობოდა გვამს, როგორც რამ ჩვეულ ნივთს, გარეცხვას რომ საჭიროებს - მანქანას, ფანჯარას, თეფშს...

- ლონდონიდან ჩამობრძანდით? ათასი წელი არ ვყოფილვარ იქ. დრო იყო, კლარიჯ-ჰოტელში ვმუშაობდი კარისკაცად.

არა მართლა? საინტერესოა. სასულიერო პირს აშკარად სალონური საუბრის გაბმა სურდა. გადამრევს ეს ხალხი! მამა მომიკვდა, არ გესმით თქვენ?

- ეს აღარ დაგჭირდებათ? - ეკითხება მოლა და ჩინგიზის საავადმყოფოში დაჭრილ-დაფხრეწილ კურტა-პიჟამაზე ათითებს. - მე წავიღებ. მექაში მომლოცველობის დროს ეცვა საწყალს.

წაიღეთ, მომაშორეთ აქედან!

- არ მესმის... ამ წმინდა ნაჭერს...

მომშორდით-მეთქი!

- ალაჰმა შეგინდოთ.

მერე:

ყვავილებით მორთული კუბო, თითქოს ზრდაგადასული ბავშვის ლოგინი ყოფილიყოს.

გვამი თეთრ სუდარაშია გახვეული, ზედ კი აბანოზის ხის ანათალები აყრია, სურნელოვნებისათვის.

უამრავი ყვავილი და მწვანე საფარი, ზედ ოქრომკედით დანაქსოვი ყურანის აიებით.

თავგადახდილი მანქანა, შიგ დასვენებული კუბოთი, დაძვრის ნიშანს ელოდება.

გამოთხოვება.

სასაფლაო.

მამაკაცები კუბოს მხარზე შეიდგამენ. მგლოვიარეთა შორის ჩინგიზის ერთი მეგობართაგანიცაა, ფილტვების ანთება აქვს და მაინც მოაყვანინა თავი. და კიდევ ერთი ვიღაც - ცრემლებს რომ აღვარღვარებს - დიდი დღე აღარც იმას უწერია, ხვალვე განუტევებს სულს... და სხვანი მრავალნი, ვინც კი ოდესმე იცნობდა გარდაცვლილს.

საფლავი.

სალაჰუდინი შიგ ჩახტება, კუბოს თავს აწოდებენ; ბოლო კი მესაფლავეს უჭირავს. ჩინგიზ ჩამჩავალას ახლა თავის ბოლო სამყოფელში ჩაასვენებენ. მამიჩემის სიმძიმეს ვგრძნობ, მისი თავის სიმძიმე მიჭირავს ხელებში. დასაძინებლად ვაწვენ; განისვენოს.

„სამყარო, - ვიღაცას უწერია, - ეს ის ადგილია, რომლის არსებობასაც საკუთარი სიკვდილით ვადასტურებთ...“

* * *

სასაფლაოდან მის დაბრუნებას ელოდა: სპილენძ-ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული სანათი, მისი დაბრუნებული მემკვიდრეობა. მამამისის კაბინეტში შევიდა და კარი ჩაკეტა. ფლოსტები ლოგინთან ელაგა, წყვილად. როგორც თავად იტყოდა, „კაცი იყო და წყვილ გამოთავისუფლებულ ხამლად კი იქცა“. ქვეშაგებს ჯერაც ეტყობოდა მისი სხეულის ანაბეჭდი, ოთახში კი ავადობის სუნი ტრიალებდა: აბანოზის ხის, ქაფურის, წამლების... სანათი ჩამოიღო თაროდან და მამამისისვე მაგიდას მიუჯდა. მერე ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და სამგზის გადაუსვა ლამპარს.

სინათლე ყველგან ერთდროულად აბდღვიალდა.

ოთახში ზიინათ ვაკილი შემოვიდა.

- ჩვენ ბოდიში, იქნებ ამ შუქ-ჩრდილებში გერჩივნა, მაგრამ აქაურობა ისეთი ჩაჟამებული იყო...

ხელებს გედის ფრთებივით იქნევდა ჰაერში და ნაზი, მომხიბლავი ხმით ლაპარაკობდა, გაშლილი თმა წელამდე სცემდა - მისი სრულიად პირადი ჯინი.

- ძაან ცუდად კი მოვიქეცი, ღმერთმანი, ადრევე უნდა მოვსულიყავი, მაგრამ მინდოდა გული ცოტათი მაინც გტკენოდა...ისე, რა თავისმართლებას ვიწყებ - მიხარია, ახლა მაინც რომ გხედავ, შე საბრალო დაობლებულო ბატო შენა!

ისევ ისეთივე იყო, ცხოვრებაში დანთქმული - უნივერსიტეტში ხელოვნებაზე ლექციების კითხვას სამედიცინო პრაქტიკასა და პოლიტიკურ საქმიანობას უხამებდა.

- მეც იმ ოხერ საავადმყოფოში ვიყავი, წარმოგიდგენია?! ოღონდ ვერ კი მოვტვინე რა ხდებოდა, სანამ ყველაფერი არ დამთავრდა და მაშინაც კი არ გამოვედი მოსასამძიმრებლად - აი, ამისთანა გაფუჭებული ვინმე ვარ! ახლა თუ გინდა, გამაგდე და ხმის ამომღები არა ვარ!

მართლა დიდსულოვანი ქალი იყო, ნამდვილად. ყველაზე დიდბუნებოვანი მათ შორის, ვისაც კი პირადად იცნობდა. როცა დაინახავ, მაშინვე მიხვდები... - ხომ უთხარი საკუთარ თავს და მართლა ეგრე აღმოჩნდა.

- მიყვარხარ, - გაიგონა საკუთარი ნათქვამი.

- კარგი ახლა, სიტყვაზე არ დაგიჭერ, - უთხრა. თუმცა ძაან კმაყოფილი კი ჩანდა. - მთლად სრულ ჭკუაზე არ უნდა იყო ჯერ. ბედი შენი, რომელიმე ჩვენს საავადმყოფოში რომ არა ხარ - იქ შენისთანა შერეკილებს ნარკომანებთან შეყრიან ხოლმე და მალე ისინიც წამალზე ჯდებიან... აი, ორმოცის მერე თუ იგივეს მეტყვი, მაშინ მიფრთხილდი - ვაითუ მართლა დავიჯერო!

დაუმარცხებელი და (როგორც მერე აღმოჩნდა) გაუთხოვარი ზინის მის ცხოვრებაში ხელახლად შემოსვლამ დაუმთავრა კიდეც ის აღდგენა-აღდგომის პროცესი, რაც მამამისის გარდაცვალებით დაიწყო: მისი ყოფილი, ინგლისური ცხოვრება, მისი ბოროტება და შეუფერებლობა ახლა რაღაც ისევე შორეულად და ისევე უნიადაგოდ ეჩვენებოდა, როგორც თავისივე შემოკლებული სასცენო სახელი.

- სწორედ რომ დროა, - დაეთანხმა ზინი, როცა მან სალაჰუდინის დაბრუნების გადაწყვეტილება ამცნო. - ახლა იქნებ საკუთარ თავსაც დაუბრუნდე.

კი, ეს ნამდვილად ახალი ცხოვრების დაწყებას გავდა, რომელშიც სამყარო მყარი იქნებოდა და ხელშესახები, რომელშიც აღარ იქნებოდა მასსა და საბოლოოდ, უცილობელ საფლავს შორის ჩამდგარი მშობლის მაიმახი სხეული. ობლის ცხოვრება - სწორედ ისეთი, როგორიც მაჰმადს ჰქონდა, როგორიც რომ ყველასა აქვს - უცნაური, სხივმფინარი სიკვდილით აღბეჭდილი, გონების თვალით რომ ისევე გაუნათებდა გზას, როგორც ის ჯადოსნური ლამპარი...

ახლა ისევე უნდა ვიფიქრო საკუთარ თავზე, როგორც მომავლის პირველ წამს სამარადისოდ მცხოვრებმა, - განაცხადა რამდენიმე დღის მერე, ზინის ბინაში გამოღვიძებულმა, მისი სიყვარულისაგან მიღებულ ნაკბილარებს რომ ილოკავდა (არადა, თავად ზინიმ შეიპატიჟა შინ, ძალზე მორიდებით და მორცხვადაც კი, თითქოს იმ კრეტსაბმელს ხსნიდა, რომლის უკანაც იმალებოდა ამდენი ხანი); ოღონდ არც ისე ადვილია ყველაფერი ჩამოიბერტყო მტვერივით - ის ხომ წარსულის ამჟამინდელ წამსაც არსებობდა, და მისი წარსულიც ახლა ტალღებად იზვირთებოდა მისსავე თავსზემოთ, ამ პიესის ბოლო მოქმედების დასამთავრებლად.

* * *

მერე გაიგო, რომ თურმე მდიდარიც გამხდარა: ჩინგიზის ანდერძის თანახმად, მისი სიკვდილის მერე, მთელ ქონებასა და ბიზნეს-ინტერესებს არჩეული მეურვეები უნდა გასძღოლოდნენ, შემოსავალი კი თანაბრად გადანაწილებულიყო სამ მხარეს - ნასრინს, ქასთურბასა (რომელიც „ჩემს საუკეთესო მესამე ნახევრად“ მოიხსენია) და სალაჰუდინს შორის. ამ ორი ქალის გარდაცვალების შემთხვევაში კი უკვე სალაჰუდინს შეეძლო მეურვეთა საბჭო გაეუქმებინა - მოკლედ, ის იყო ძირითადი ქონების პირდაპირი მემკვიდრე. „ოღონდ იმ პირობით,“ - გესლიანად ჩაუმატებია ჩინგიზ ჩამჩავალას - „თუკი მამაძაღლი იმ საბოძვარზე აღარ იტყვის უარს, ადრე რომ ასე უდიერად დამიბრუნა უკან - იჯარით გაცემულ სკოლის შენობაზე, ქვეყნის ჩრდილოეთით, სოლანის მხარეში რომ მდებარეობს“. მოკლედ, ამ კაცს შეეძლო ცხენისწაბლას ხე ძირში მოეჭრა, ოღონდ შვილისთვის რაიმეს დაკლებაზე ყაბულს არ იყო. თუმცა ისიც ითქვას, რომ პალიჰილისა და სქენდელ-პოინტის სახლები შესაბამისად, ნასრინ ჩამჩავალასა და ქასთურბაბაის პირად მფლობელობაში გადადიოდა და ამ უკანასკნელმა იქვე განაცხადა, ეს ჩაფეხვილი ნაგებობა არაფრად მიღირს, განაშენიანების კომპანიას მივყიდი - დაანგრიონ და მის მაგივრად ორი-სამი სხვა ააშენონო. საფასურს მართლაც კარგს აიღებდა, ხოლო ქ-ნ ქასთურბას უძრავი ქონების მიმართ არანაირი სენტიმენტალური გრძნობები არ გააჩნდა. სალაჰუდინმა სცადა წინაღდგომოდა, მაგრამ ვერც ვერაფერი გააწყო:

- მთელი ჩემი ცხოვრება აქ გავატარე, - შეახსენა ქალმა. - და იქნებ მე უფრო მეთქმის სიტყვა...

ნასრინ ჩამჩავალასაც არაფერში ანაღვლებდა ეს ძველი სახლი:

- ერთით მეტი, ერთით ნაკლები... ძველი მუმბაის ერთი პაწია კუთხე - დიდი ამბავი! ქალაქი იცვლება, ჩემო კარგო... - ის უკვე პალი-ჰილში გადასაბარგებლად ემზადებოდა: კედლებიდან პეპლების კოლექციას ხსნიდა, სასტუმრო ოთახში ფრთოსნების ფიტულებს ერთად აქუჩებდა...

- მოგცლია ერთი! - უთხრა ზიინათ ვაკილმაც. - შეეშვი რა... მაინც ვერ იცხოვრებდი შიგ, მანდ რა გაგაძლებინებდა?

მართალიც იყო. ბავშვობაში დაბრუნება კარგს არც არაფერს უქადდა.

- ჯორჯსა და ბჰუპენს უნდა შევხვდე... ეგენი გახსოვს? - უთხრა ერთ დღეს. - შენ რატომ არ წამოხვალ? არ გინდა, ქალაქის ცხოვრებას ფეხი აუწყო?

აი, სწორედ მაშინ იყო, ქალაქში დარხეული ხმების ამბავი რომ გაიგო: კინოვარსკვლავმა ჯაბრაილ ფარიშტამ სულ გარეკაო და იგრძნო, წარსულმა როგორ უჩხვლიტა გულში, სადღაც ბუჩქებში ჩამალული ეკალივით და მისი საყვირის ხმაც შორეული ექოსავით ჩაესმა ყურებში.

* * *

ლონდონიდან ბომბეის დაბრუნებული ჯაბრაილ ფარიშტა, საყოველთაო აზრით, ძველსას არაფრით გავდა.

- თავს იკლავს, ეგ ჩემისა! - განაცხადა ჯორჯ მირანდამ, კინოსამყაროს ერთი ჭორ-მართალიც რომ არ გამოეპარებოდა ხოლმე. - და თუ იცით, რას ამბობენ? უბედური სიყვარულის გამო გარეკაო...

სალაჰუდინს ხმა არ გაუღია, მაგრამ იგრძნო, როგორ წამოჭარხალდა სახეზე. ჰალე კონის ყოველგვარი ურთიერთობა გა-

ეწყვეტა ჯაბრაილ ფარიშტასთან და ტელეფონზე მის ზარებსაც კი აღარ პასუხობდა თურმე. ან რა გასაკვირია, ჭკუაზე არაა ალბათ... თავად ფარიშტამ, ბოლოჯერ რომ ელაპარაკა სალაჰუდინს, ასე უთხრა - ბომბეიში ვბრუნდები და იმედი მაქ, არც მას, არც შენ და არც ამ უბედურ ნისლიან ლონდონ-ქალაქს ცხოვრებაში აღარ ვნახავო. ახლა კი აგერ აქ, საკუთარ სამშობლოში დაბრუნებული აპირებდა ისევ რაღაც უბედურება ჩაედინა და საკუთარი ხელით გამოეჭრა ყელი...

- რაღაც უცნაურის რამ ფილმის გადაღებას ეპირება, - განაგრძობდა ჯორჯი. - და თან სულ საკუთარ ფულს დებს: ზედიზედ ორი ჩავარდნის მერე, მაგასთან საქმის დაჭერის მოსურნე აღარცერთი პროდიუსერი აღარ დარჩა. ასე თუ გააგრძელა, მალევე გაკოტრდება - ფანტუშ!

მოკლედ, როგორც სალაჰუდინმა გაიგო, ჯაბრაილს რამაიანადან აუღია რაღაც სიუჟეტი და თავის ჭკუაზე გაუთანამედროვებია, ოღონდ უკლებლივ ყველა გმირი - ცოდვისაგან გათავისუფლებულთა ნაცვლად, ბოღმიან და ყოვლად გარყვნილ ტიპაჟებად გადაუქცევია: რამა - ლოთია, სიტა - ქარაფშუტა და ფეხბუმბულა ქალი... მხოლოდ ერთი და ისიც - დემონთა მეუფე, რავანა ჰყავს სწორუპოვარ და პატიოსან კაცად გამოყვანილიო.

- ამისთანა რავანას, ცხადია, თავად ითამაშებს და ამით საბოლოოდ გადაიმტერებს ყველა ღმერთების მოშიშ მორწმუნეს, სათითაოდ... ნაჭერ-ნაჭერ დაგლეჯენ მაგ საცოდავს.

მსახიობების შერჩევისას, თურმე რამდენიმე უკვე თავად დამდგარა უარზე და ჩემს მტერს, იმისთანა ინტერვიუებს იძლეოდნენ ყვითელი პრესისთვის! ღვთისმგმობიაო, სატანისტიაო და კიდევ რას არ დებდნენ ბრალად! მის ბოლო მეწყვილეს, წიწკვა ბილიმორიას განუცხადებია ჟურნალ ჩინე-ბლიტზ-ისთვის: ღმერთმანი, ეშმასთან კოცნაობას გავდა ეს ყველაფერიო! მოკლედ, ჯაბრაილის ამ ძველისძველმა პრობლემამ - გოგირდის სიმყრალემ - ისევ იჩინა

თავი... არადა, მისი უცნაურზე-უცნაური ქცევა კიდევ უფრო მეტ საბაბს აძლევდა ხალხს ენების ასაქაფებლად, ვიდრე თავად ფილმის თემატიკა:

- ხან თაფლივით დატკბება ხოლმე და ხან კიდე მამაღმერთად წარმოუდგენია თავი და სრულიად სერიოზულად ითხოვს - თაყვანი მეცით და მუხლებზე დაეპერტყეთო! მაგისთანას ვინ გიჟი გაუჩერდება?! აგერ ნახავთ, საერთოდ თუ დაამთავრებს გადაღებებს! ისე, თარსი ვინმე კია - ჯერ ის ავადმყოფობა, მერე - ავიაკატასტროფაში მოხვედრა, მერე - ეს რაღაც უბედური სიყვარული... დაერხა საწყალს, რა გასაკვირია.

თუმცა, უარესი ხმებიც დადიოდა: ჯერ იყო და საგადასახადო ინსპექცია დადგომია თავს; მერე პოლიცია ესტუმრა - რექჰა ფარდაგოსნის თაობაზე დაუსვამთ რაღაც-რაღაც შეკითხვები... მისი ქვრივი კიდე იმუქრებოდა - იოტისოდენა რაიმე თუ გაირკვა, სათითაოდ გადავუმტვრევ ძვლებს მაგ ახვარსო. მოკლედ, ახლა მხოლოდ დაცვის თანხლებით გადიოდა გარეთ... ამას კიდე ისიც დაემატა, ფორას-როუდზე დაიარებოდა, მაგრამ მეპატრონეებმა გამოაგდეს უგვანი ქცევის გამოო... ქალებს სცემდა თურმე.

- ზოგისთვის მართლა მიუყენებია სხეულის დაზიანება, - ყვებოდა ჯორჯი. - და ბლომად ფული ჩაყარა ამ ამბის ჩასაფარცხად. არ ვიცი, არ ვიცი... ხალხი რას არ იტყვის. ოღონდ რაღაც უბედურება რომ სჭირს ამ ბიჭს, ცხადზე-ცხადია. მითხრეს, თქვენ კარგად იცნობთო. - მიუბრუნდა უცებ სალაჰუდინს.

- არ-აა, არც ისე... უბრალოდ, იმ ავიაკატასტროფის მერე... მცირე ხნით.

ეტყობა, ჯაბრაილს მაინც ვერ დაეღწია თავი საკუთარი ეშმებისაგან. არადა, ასე ეგონა (როგორც აღმოჩნდა, სულ ტყუილად), რომ იმ ხანძრის მერე, როცა ჯაბრაილმა ცეცხლს გამოსტაცა, რაღაცნაირად უნდა განწმენდილიყო ორივე, ეშმებიც ცეცხლში უნდა ჩანთქმულიყვნენ - აკი სიყვარულმა დაამტკიცა, რომ

გაადამიანურების მისეული ძალა ისევე მძლავრია, როგორიც - სიძულვილის შეყრის; რომ ღირსების გრძნობამ ისევე შეიძლება გადაასხვაფეროს ადამიანი, როგორც ვთქვათ, რაიმე კნინმა... ოღონდ არაფერია მარადისი და არც რაიმე წამალი კურნავს სრულად და საბოლოოდ.

- დაიცა რა! - ჩაერთო ბჰუპენი. - კინოინდუსტრია სავსეა ეგეთებით... სარკეში ჩაიხედე.

სიცილი აუტყდათ.

თუმცა თავად ბჰუპენი უცბად მოიქუშა:

- რამე რო იყოს, ეს ჯაბრაილი მუდამ დადებით ძალად მესახებოდა, - თქვა სრულიად სერიოზულად. - მოსახლეობის დაბალი ფენებიდან გამოსული დიდი მსახიობი, სულ სხვადასხვა მრწამსის ტექსტებიდან ამოკრეფილ ხასიათებს რომ განასახიერებს და თან - ყველასათვის მისაღებად... ასე თუ აუმხედრდნენ, ვერაფერი კარგის მანიშნებელი ამბავია.

სულ რაღაც ორიოდ დღის მერე, სალაჰუდინ ჩამჩავალა რომელიღაც გაზეთის საკვირაო გამოშვებაში გადააწყდა ცნობას, რომ ბომბეიში ალპინისტთა საერთაშორისო ექსპედიცია ჩამოსულა, ჰიდენ-პიკის დასაპყრობად მიემართებოდნენ თურმე; და როცა შემადგენლობის ჩამონათვალში სახელგანთქმული „ევერესტის დედოფალი“, ჰალელუია კონი ამოიკითხა, უცნაური შეგრძნება გაუჩნდა: თითქოსდა მისი წარმოსახული აჩრდილები არსებულ სამყაროში გადმოსახლებულიყვნენ, რომ ბედისწერას რაღაც საკუთარი, ზმანებათა საბედისწერო ლოგიკა შეემუშავებინა. „ახლა ვიცი, რაა აჩრდილი“, - გაიფიქრა უნებურად. - „მოუმთავრებელი წამოწყება, ეგაა და ეგ“.

* * *

მომდევნო ორი დღე სულ ჰალეს ბომბეიში ჩამოსვლა არ ამოსდიოდა თავიდან. მისი გონება ცდილობდა ქალის ტერფების აშკარა-ზე-აშკარა გამოჯანმრთელებასა და ჯაბრაილთან ურთიერთობის გაწყვეტას შორის რაღაც კავშირი დაემყარებინა: თითქოსდა ის იმ თავისი ეჭვიანი სიყვარულით ვნებდა მის ფეხებს, ახლა კი... საღი აზრი კარნახობდა, ბრტყელტერფიანობა ჰალეს ჯაბრაილის გაცნობამდე ბევრად ადრეც აწუხებდაო, ოღონდ ეს საბუთი რატომღაც, არ ჭრიდა; და რატომ ჩამოვიდა, რამე რომ იყოს? მართლა ბედისწერამ უწია?

ზინი (რომლის ქირურგიული პრაქტიკა, ლექციები უნივერსიტეტში და ეროვნული ერთიანობის მოწოდებით გასამართავი „ცოცხალი ჯაჭვის“ სამზადისი სალაჰუდინისა და ამ უაზრო ტვინთაჭყლეტისთვის არავითარ დროს აღარ უტოვებდა) მის დუმილს სრულიად მართებულად მიიჩნევდა ეჭვის გამოვლინებად - ბომბეიში დაბრუნების გამო, თავად ზინისთან ურთიერთობის გამოც... საკუთარი ეჭვების შესანიღბად, ახლა კარგი გამოჯეკილი ლექტორის ტონით ესაუბრებოდა:

- თუ მართლა აპირებ აქაურ ცხოვრებაში ჩაერთო, სალათ-ბაბა, რაღაც გაურკვევლობანაში ნუ გადავარდები... აქ ვართ ყველანი - ეგაა და ეგ. ცოტა ახლოს უნდა გაეცნო ვითარებას - მარტო ბავშვების მოგონებები არას გარგებს. ნოსტალგია იგივე დაავადებაა ერთგვარი.

გონებადაფანტული უქნევდა თავს, ის კიდე - იმით დაფეთებული, ისევ არ მიმატოვოსო - ისე ბრაზობდა, რომ ამით სულ თავგზას უბნევდა სალაჰუდინს.

დაიცა და, ჰალეს არ უნდა დაურეკოს? იქნებდა იმ სატელეფონო ხმების თაობაზე ჯაბრაილს არც არაფერი უთქვამს მისთვის?

თუ აჯობებს, თავად ჯაბრაილს შეხვდეს?

რაღაც უნდა მოხდეს, - შინაგანი ხმა აფრთხილებდა. - მოხდება კიდეც და აზრზეც არა ხარ, ეს რა შეიძლება იყოს... და ვერც ვერაფერს იღონებ - კი, ნამდვილად: კარგს არც არაფერს უნდა ელოდე.

* * *

ეს სწორედაც იმ „ჯაჭვის“ გაბმის დღეს მოხდა - იქ მართალია, ერთი-ორი უმნიშვნელო შეხლა-შემოხლა კი აღინიშნა, მაგრამ მთლიანობაში, ყველაფერმა კარგად ჩაიარა - ქალაქი კიდით-კიდემდე მოიცვა ადამიანების მწკრივმა და ბევრ მათგანს თვალებზე ცრემლიც კი უკიაფებდა. წრე ზუსტად რვა საათზე შეიკრა, თუმცა - ათასობით მონაწილის მიუხედავად - დურდარშანის ტელეამბებში ამის თაობაზე სიტყვაც არაფერი თქმულა. უმრავლეს სამთავრობო თუ მასთან მიტმასნილ ბეჭდურ გამოცემებშიც იგივე მოხდა. მხოლოდ ინგლისურენოვანმა საკვირაო გაზეთმა მოიხსენია, ეგ იყო და ეგ.

აბა, რამ მიიპყრო უმთავრესი ყურადღება იმ საღამოს ახალ ამბებში?

რამ და:

დაიღუპნენ ევერესტის დედოფალი და კინომაგნატი!

ორმაგი ტრაგედია მალაბარ-ჰილზე -

ჯაბრაილ ფარიშტა სადღაც გაქრა...

„ევერესტ-ვილას“ წყევლამ ისევ გვიწია.

ღირსპატივსაცემი კინოპროდიუსერის, ვ-ს. სისოდიას გულში ტყვიამოხვედრილი გვამი მომსახურე პერსონალმა სახელგანთქმული მსახიობის, ბ-ნ ჯაბრაილ ფარიშტას სასტუმრო ოთახის ნოხზე იპოვა, პირაღმა დავარდნილი. ქ-ნი ჰალელუია კონი (რომელიც, სავარაუდოდ, ასევე ზემოხსენებულ ინციდენტთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული) იმავე ცათამბჯენის სახურავიდან გადმოვარდა,

საიდანაც ამ ორიოდე წლის წინ ქ-ნმა რექჰა ფარდაგოსანმა გადმოაგდო საკუთარი მცირეწლოვანი ბავშვები და თავადაც მოისწრაფა სიცოცხლე.

დილის გაზეთები სულაც აღარ ეჭვობდნენ ამ ტრაგედიაში ჯაბრაილის მონაწილეობას: ეჭვმიტანილი, ჯაბრაილ ფარიშტა მიიმალა!

- სქენდელ-პოინტში უნდა დავბრუნდე, - უთხრა სალაჰუდინმა ზინის, რომელსაც ჯერაც ვერაფრით აეხსნა მისი ამ ყოყმანის პირველმიზეზი.

- აბა შენ იცი, იქნებ იქ მაინც გადაწყვიტო რამე.

არ იცოდა, როგორ დაეწყნარებინა, რითი აეხსნა ეს მისი გამტანჯველი ბრალეულობის გრძნობა, პასუხისგების მოთხოვნილება... როგორ ეთქვა რომ ორივე ეს უბედურება მის მიერვე დათესილი ბოროტების ყვავილების მონაგარი გახლდათ?

- რაღაც მაქვს მოსატვინი... - უთხრა გაუბედავად და ამით კიდევ უფრო გაუმძაფრა ქალს ეჭვი. - სულ ორიოდ დღე მჭირდება.

- სალათ-ბაბა, ეს შენივე გადასაწყვეტია, კაცის გადასაწყვეტი. - უპასუხა ხისტად. - დრო თავზე საყრელი გაქ.

* * *

იმ ღამით სალაჰუდინ ჩამჩავალა თავის ბავშვობისდროინდელი საწოლი ოთახიდან არაბეთის ზღვაში მიმცურავი გემების სინათლეებს გაჰყურებდა, ქასთურბამ რომ დაუკაკუნა კარზე.

- ერთი კაცია, თქვენ გკითხულობთ... - ჩაუჩურჩულა, აშკარად შეშინებულმა.

სალაჰუდინს არავინ შეუმჩნევია, ეზოში შემოსულიყოს.

- უკანა კარზე დარეკა... - აუხსნა ქალმა. - იცით... ის კაცია, ჯაბრაილი. ჯაბრაილ ფარიშტა, მაგაზე გაზეთები წერენ რომ...

ხმა ჩაუწყდა, ფრჩხილების კვნეტას მოჰყვა.

- მერე, სადაა?

- რა ვქნა ბაბა, შემეშინდა... მამათქვენის კაბინეტში შევიყვანე. პოლიციაში დავრეკო? ღმერთო, რა არ ხდება...

არა, არ გინდა. გავალ, დაველაპარაკები. იქნებ რა უნდა...

ჯაბრაილი ჩინგიზის ლოგინზე ჩამომჯდარიყო და იმ ძველ სანათს ატრიალებდა ხელში. ჭუჭყიანი კურტა ეცვა და სახეზევე ეტყობოდა, კარგა ხნის უძინარი უნდა ყოფილიყო. თვალები აქეთ-იქით დაურბოდა, ჩამქრალ-ჩამკვდარ მზერას ვერაფერზე აჩერებდა.

- აჰა-ა, ჩამჩა-ბატონო... გიხილეთ, როგორც იქნა. - თქვა და სანათით სავარძელზე მიათითა. - დაბრძანდით.

- ვერ გამოიყურები კარგად. - გადაუგდო სალაჰუდინმა, და იმანაც რაღაც შორეული, ცინიკური, უჩვეულო ღიმილით უპასუხა.

- დაჯე და მოკეტე, ჩამჩა. ერთი ამბავი მაქ მოსაყოლი...

შენ ჩაიდინე, - მიუხვდა სალაჰუდინი. - ორივე შენ მოკალი. მაგრამ ჯაბრაილმა თვალები დახუჭა, თითები შეაერთა და ამბის თხრობა იწყო - აი იმის, ბევრი სხვასავით, ამგვარად რომ იწყებოდა:

კან მა კან

ფი ქადიმ აზზამან...

* * *

იყო და არა იყო რა... მოკლედ, რაღაც ამდაგვარი და დარწმუნებულიც არა ვარ რადგან ჭკუაზე აღარ ვიყავი იაარ იმ დღეებში და როგორღა მეთქვა რა დაავადება იყო თუმცა კი ვიცი რასა ჰგავს მაგრამ დარწმუნებით მაინც ვერაფერს ვიტყოდი

ჩემი ერთი ნაწილი მუდამ გარეთ დგას და გაიძახის არ გინდათ მაგრამ ეგ არაფერს შველის და ხედავ როგორ გიახლოვდება

ღვთის ანგელოზი ვარ მე მაგის და ახლა კი შურისგების ანგელოზი ჯაბრაილ შურისმგებელი რაღა მუდამ და სულ შურისძიება უნდა იყოს

არ ვიცი იქნებ ეს ადამიანადქცევის საზღაურია არ ვიცი

ქალები განსაკუთრებით თუმცა არც სხვები აკლებენ ხელს

და რაღაც ამდაგვარი

ამიტომაც მოიყვანა ალბათ და ცუდი არც არაფერი უფიქრია ახლა ხომ ვიცი მხოლოდ სურდა ერთად ვყოფილიყავით

ქქაქია ვერა ხხედავ მითხრა არც მმთლად ისე გგადარეულია შენზე და შენ კკიდე მმართლა გგადარეული ხხარ ეგ ყველამ იცცის უბრალოდ უნდოდა ერთად ვყოფილიყავით

მაგრამ მე ხმები ჩამესმოდა

შენ მაინც ხომ გამიგებ ჩამჩა

ლ ე ქ ს ე ბ ი

ვარდი - წითელი, კოკორი - მოდიდო...

ფფშშტ ფრტ ხხხხ

მიყვარს ჩაი, მიყვარს ყავა

აი ეგეთები

ამეკვიატა და თავიდან ვერ ვიგდებდი და ჩემ თვალწინ შეიცვალა რას არ ვუძახდი შე ბოზო-მეთქი ვიცოდი სისოდია არ მოისვენებდა

ალბათ დამცინოდნენ ჩემ საკუთარ ბინაზე რომ

აქეთ ფიცარი, იქით ფიცარი

აი ამისთანა ლექსები ჩამჩა და ვინა გგონია ვინ თხზავდა

მეც ავიღე და ღვთის რისხვას ვუხმე და შიგ გულში მოვარტყი მაგრამ ის კახპა ცივი იყო ყინულივით და იცდიდა მშვიდად არ ვიცი როგორ არ ვიცი

მარტო აღარ ვიყავით და რაღაც ამდაგვარი

ეს რექჰა იყო თავის ნოხზე თუ ფარდაგზე გადამჯდარი ხომ გახსოვს ჩამჩა

როცა წავიქეცით და ვიღაცა შეშლილსახიანი მოშოტლანდიურო ტიპი სახელი აღარც მახსოვს

ის კიდე ხედავდა და ვერც ხედავდა იდგა და ხმას არ იღებდა

ეს სულ რექჰას მოუვიდა თავში ზემოთ ამეყვანა ევერესტის წვერ-ზე ჰალე ერთხელ ხომ უკვე ნამყოფი იყო და ერთადერთი გზა მერე მხოლოდ ქვევითაა

ხელი მე არ მიკვრია

ეს რექჰამ კრა

მაგას მე არასგზით არ ვიზამდი

კარგად გამიგე ჩამჩა

მიყვარდა ეგ გოგო

* * *

ერთი კი გაიფიქრა რომ სისოდია, რომელსაც რომ გასაოცარი ნიჭი ჰქონდა შემთხვევით შეჯახებოდა ხოლმე ვინმეს (ჯერ იყო და ჯაბრაილი - ქუჩას რომ გადადიოდა, მერე თავად სალაჰუდინი თვითმფრინავში და ახლა ეტყობა, ჰალელუიაც, მისსავე სასტუმროს დერეფანში) ასევე სრულიად შემთხვევით შეეჯახა საკუთარ სიკ-ვდილს; და მერე სწორედ კონიზეც გაიფიქრა, ვისაც აშკარად ნაკ-ლებად სწყალობდა ბედი ვარდნის ამბავში და რომელიც, სამყაროს სახურავზე მარტოკა ასვლის ნაცვლად, სასტუმრო ევერესტის სახუ-რავზე აღმოჩნდა და იქიდან დაეშვა დაბლა, პირდაპირზე. ოღონდ ახლა საქმეც ის იყო, თავად რომ მოუწევდა იმ საკუთარი ნაცოდვი-

ლარი ლექსებისათვის სიკვდილი და ვერც იმას იტყოდა, უსამართლოდო.

კარზე დააბრახუნეს. გააღეთ, პოლიცია! ქასთურბას მაინც გამოუძახია, ვერ მოისვენა.

ჯაბრაილმა სპილენძის სახურავი მოხადა ლამპარს და ძირს მოისროლა, რაკარუკით.

ნაღდად შიგ ჩამალა იარაღი, - გაუელვა სალაჰუდინს.

- ფრთხილად! - იყვირა. - შეიარაღებულია!

ბრახუნი შეწყდა. მაშინ ჯაბრაილმა სამგზის გადაუსვა ხელი ჯადოსნურ ლამპარს: ერთხელ, ორჯერ, სამჯერ.

პაწია რევოლვერი თითქოს თავისით ამოხტა იქიდან.

კარგად ახსოვს, როგორ ამოიზარდა გოლიათი ჯინი და მგრგვინავი ხმით დაეკითხა: მონა ვარ ლამპრისა და იმისი, ვისაც ის უპყრია ხელთ! რას მიბრძანებ?

რა შემბორკავი რამეა ეს იარაღი! - გაიფიქრა სალაჰუდინმა. - რა მცირე არჩევანი ჰქონდა ახლა, როცა ჯაბრაილი შეიარაღებული იყო, თავად კი - უიარაღო... რამდენად შეიკუმშა სამყარო! ძირძველ ჯინებს მარადიულის კარიბჭის განხვნა ძალუძდათ, ათასი სასწაულის მოხდენა, მოკლედ - რასაც კი ისურვებდი. თავის ძალამოსილ წინაპრებთან შედარებით, ეს XX საუკუნის ჯამბაზი სულ მთლად დაკნინებულიყო, ლამპრის უილაჯო მონა...

- ერთხელ, დიდი ხნის წინ ხომ გითხარი, - მშვიდად წარსთქვა ჯაბრაილ ფარიშტამ. - თუკი ეს უბედურება არ შემეშვება, ამას ვეღარ ავიტან-მეთქი.

მერე უცებ, ისე რომ სალაჰუდინმა ხელის განძრევაც კი ვერ მოასწრო, ლულა პირში ჩაიდო, მერე სასხლეტს გამოჰკრა ხელი და სამუდამოდ განთავისუფლდა კიდეც.

თავისი ბავშვობის ფანჯარასთან იდგა და არაბეთის ზღვას გაჰყურებდა. სავსე მთვარე ეკიდა ცაში - მისი ნათელი, სქენდალ-პოინტის კლდეებიდან ცისკიდურამდე გაწელილი, წყლის

მბრწყინავ თმაში გატარებულ ნავარცხნს, უცხო ქვეყნებში მიმავალ, ვერცხლისფერი ბილიკის მოჩვენებას ქმნიდა. თავი გადააქნია - ზღაპრების აღარა სჯეროდა. ბავშვობა დამთავრდა და ეს ხედიც მხოლოდ ძველი გრძნობების ანარეკლი გახლდათ, სხვა რა. ეშმაკსაც წაუღია ყველაფერი! მორეკონ ბულდოზერები და გადაასწორონ აქაურობა - თუკი ძველი სიკვდილზე უარს იტყვის, აღარც ახალი დაიბადება!

- წამო, - მოესმა ზიინათ ვაკილის ხმა.

ასე ჩანდა, მთელი მისი ავი საქმეების, სისუსტის გამოჩენისა და ბრალეულობის მიუხედავად - მთელი მისი ადამიანურობის მიუხედავად - კიდევ ერთი შესაძლებლობა ეძლეოდა. ბედისწერას არავითარი ახსნა არა აქვს - ის უბრალოდ, არსებობს... ზინიმ ხელი ჩაავლო მკლავში:

- წამო რა... ჩემთან წავიდეთ.

- მოვდივარ, - გაეპასუხა და იმ სანახებსაც ზურგი აქცია.

მადლობა მინდა ვუთხრა ყველა იმ პიროვნებასა თუ ადამიანთა ჯგუფს, ვისაც კი ამ წიგნის გამოცემაში თუნდაც რაიმე წვლილი დაუდვია.

სალმან რუშდი

ზოგადად, რუშდის მთარგმნელებისაგან

არა თაყვანივცე მას, რასაც თქვენ ეთაყვანებით

და ნურცა თქვენ თაყვანისცემთ მას, რასაც მე ვცემ თაყვანს.

მე ჩემი რწმენა მაქვს, თქვენ - თქვენი!

ყურანი, სურა 109, „არამართლმორწმუნენი“.

ათიოდე წლის წინ, როცა პირველად ჩამივარდა ხელში ამ წიგნის ინგლისური დედანი, მერე კი მისი პირველი თავი ვთარგმნე კიდეც, სრულად მას ვერსად იპოვიდით - ვერც ბიბლიოთეკებში და ვერც წიგნის დახლებზე (ისიც კარგად მესმის, რომ „დიოგენეს“ მიერ ამ წიგნის გამოცემა გვარიანი ვაჟკაცობაა - თუნდაც ფათვას მოხსნის მერე): ბევრ ქვეყანაში, შიშმა მკვლელობათა წინაშე, შიშმა ტერაქ-

ტების წინაშე - თანამედროვე ინკვიზიციათა ამ ყველაზე ქვენა ქმედებების მიმართ - წიგნი ესე ბევრად ადრე შეიტანა აკრძალულ ხილთა სიაში, ვიდრე ამას ამა თუ იმ ქვეყნის ხელისუფლება იზამდა.

იქნებ ამიტომაც, როცა ვინმე მკითხავდა ხოლმე, რა ძალა გადგიაო, პასუხი ერთი მქონდა: სიძულვილი!

იმიტომ, რომ მძულს ყველა ინკვიზიტორი, რა სარწმუნოებისაც არ უნდა იყოს და რაგვარ სამოსელსაც არ უნდა ირგებდეს: მძულს იმგვარი კათოლიკეები, „ქრისტეს უკანასკნელი საცდური“ რომ აკრძალეს და მერე ჟოზე სარამაგუს „სახარება იესოსი“ ამოიღეს ოხტში; „ჭმუკელები“ - ჰარი პოტერის მშვენიერი კეთილი წიგნის დაწვას რომ ითხოვენ; კომუნისტები და ფაშისტები... და რა გითხრათ რა, სახელი მათი ერთია - უწიგნურობა და ბნელეთი.

მძულს ის მაჰმადიანები, ღორებივით რომ დაკლეს რეჟისორები და მთარგმნელები, გამომცემლობებს რომ ცეცხლს უკიდებდნენ და „არასწორი“ წიგნების სიმბოლურ ფეხსადგილებში ჩაშვებას მოითხოვდნენ.

მძულს ცენზორები - სახელმწიფო მოხელეები, აკრძალული ლიტერატურის სიას რომ ადგენენ რუდუნებით და ის მართლმადიდებელი საეკლესიო მოღვაწენი, ვისი შიშითაც დარვინის წიგნის საბავშვო გამოცემის თარგმნა დღემდე ვერ მოხერხდა.

და ჩემივე დამოკიდებულება იმ „მამაოების“ მიმართ, ვინაც ქართველ მაჰმადიანებს ქართველებად არც კი სცნობს, ბევრად არაფრითაა უკეთესი...

არა, მე მაჰმადიანების მტერი არა ვარ - მტერი ჩემი სწორედ ეს ფაშიზმ-კომუნიზმია, ხოლო რელიგიური ფაშიზმ-კომუნიზი - სულ ერთია, ჯვარს აიტაცებს ის, ნახევარმთვარეს თუ სამფეხა სკამს - არაფრითაა ეროვნულ/ნაციონალისტურ ფაშიზმ-კომუ-

ნიზმზე უკეთესი - მით უმეტეს, როცა ორივე ღვთის სახელს იფარებს ფარად...

კაცს უნდა შეეძლოს ნებისმიერ წყაროს დაეწაფოს, საკუთარი აზრის შესაქმნელად: ის არც ისეთი გონებაჩლუნგია, როგორადაც მავანთ სურთ წარმოაჩინონ, ან - ისტორიის გაკვეთილთა მუდმივი უგულებელყოფით - თავად რომ სურს ამტკიცოს... ოღონდ რეი ბრედბერისეული გაფრთხილება დღეყოველ მაინც არ უნდა იჭრებოდეს ჩვენს ცხოვრებაში, არამედ იმავე ფანტასმაგორიის სფეროში რჩებოდეს, ჯაბრაილ ფარიშტას - „ეშმაკეული აიების“ პერსონაჟის -ავი სიზმრებივით.

ისიც კარგად მახსოვს, წიგნის ბოლომდე ჩაკითხვის მერე, ძალიანაც გაკვირვებული დავრჩი - მეგონა, რაღაც ანტიკლერიკალურ პამფლეტს, რაიმე ანტიისლამისტურ პუბლიცისტიკას ვნახავდი ორიანა ფალაჩის სტილში (რუშდის არ იყოს, მასაც სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, თუმცაღა კიბოთი დაავადებამ „უშველა“), მაგრამ ეს ოხერი, ვერაფერი ეგეთი იქ ვერა ვპოვე - პირიქით, სახტად დავრჩი რუშდის აშკარა მორწმუნეობით, ოღონდ იმგვარით, არა დოგმა და აკრძალვები რომ არ უმძიმებდა - სწორედ იგივე გრძნობა გამიჩნდა, როგორიც „უკანასკნელი საცდურის“ ყურებისას თუ ბულგაკოვისეული „ოსტატის“ კითხვისას (აი, მისი ნახვა ჩვენს სცენაზე კი მაინც ვერ მომიხერხდა და ესეც - მისი ყოვლად უვარგისი მოთარგმანების კი არა, ტექსტის „არამართლმადიდებლური“ სულისკვეთების გამო!).

„მწერლები და როსკიპები, - წართქვა ისევ მაჰუნდმა. - და რა განსხვავებაა?“

უფალს (რა სახელითაც არ უნდა მოვიხსენიოთ იგი) სწორედ ისეთები ვუყვარვართ, როგორნიც თავად შეგვქმნა ხატად თვისად, და უნარიც გვიბოძა მას მივეახლოთ როგორც შვილნი მისნი და ძალაც მოგვცა საკუთარი თავი დავინარჩუნოთ, საკუთარი საზრისი დავიცვათ - ეს ბევრად უფრო კეთილად ეთნიება მას, ვინემ უგონო, მონუ-

რი მორჩილება... ჩვენ კი საკუთარ თავში იესოს გამოძახილს უფ-
რო დავაფასებთ, თუ იობისას - ეს უკვე ჩვენივე გადასაწყვეტია.